კავშირი „იურისტები სამართლებრივი
სახელმწიფოსთვის“

საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები

ნაწილი II

(მეორე გადამუშავებული გამოცემა)

შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და
პასუხისმგებელი რედაქტორი,
სამართლის დოქტორი

ვასილ გონაშვილი

თბილისი
2008

უაკ (UDC) 342.4 (100)
ს – 177

Organization for Security and Co-operation in Europe
OSCE Mission to Georgia

Published with the financial support of the OSCE Mission to Georgia
წიგნი იბეჭდება საქართველოში ეუთოს მისიის ფინანსური დახმარებით

სტატიებში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და ყოველთვის არ ასახავს ეუთოს ოფიციალურ პოზიციას

* * * * *

წინამდებარე წიგნი არის ამ სერიის II ნაწილის მეორე გამოცემა. მასში მოცემულია 12 ქვეყნის: ავსტრალიის, ავსტრიის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, ლიტვის, ლუქსემბურგის, ისრაელის, საბერძნეთის, საფრანგეთის, პოლონეთის, ჩინეთის, ფინეთის კონსტიტუციების ოფიციალური და უახლესი ტექსტები ქართულ ენაზე. აქ წარმოდგენილი ქვეყნები სხვადასხვა მართვა-გამგეობის, სახელმწიფო წყობილების ფორმებითა და პოლიტიკური რეჟიმებით გამოირჩევიან და განსხვავებულ სამართლის სისტემებს წარმოადგენენ.

გარდა ამისა, თითოეულ ქვეყანას ერთვის მიმოხილვითი სტატია, სადაც გამოკვლეულია კონკრეტული ქვეყნის კონსტიტუციონალიზმის ისტორია, კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურები, მისი ანალიზი და განსაკუთრებული თავისებურებები. ასევე მოცემულია ზოგადი ცნობარი ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის, მოსახლეობის, ხელისუფლებისა და ეკონომიკის შესახებ.

წიგნი უდავოდ დიდ დახმარებას გაუწევს სამართალშემოქმედების პროცესში ჩართულ პირებს, პარლამენტის წევრებსა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს. ნაშრომი ასევე განკუთვნილია საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართლით დაინტერესებულ პირთათვის, იურისტებისა და პოლიტოლოგებისთვის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და დოქტორანტებისთვის.

შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და
პასუხისმგებელი რედაქტორი,
სამართლის დოქტორი
ვასილ გონაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ბეჟაშვილი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე
ბესიკ ლოლაძე - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე
კონსტანტინე ვარძელაშვილი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

© კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, 2008
ISBN 978-9941-0-0722-4 (ყველა ნაწილი)
ISBN 978-9941-0-0724-8 (II ნაწილი)
მეორე გადამუშავებული გამოცემა

შემდგენელთა შესახებ:

წიგნში წარმოდგენილი კონსტიტუციების თარგმანი შესრულებულია, ზოგადი ცნობარები და კონსტიტუციის მიმოხილვები მომზადებულია შემდეგი პირების მიერ:

- ავსტრალია — თამარ ოთარაშვილი; განახლება და კონსტიტუციის მიმოხილვა — დავით კურტანიძე
- ავსტრია — ბადრი კოჭლამაზაშვილი; განახლება და კონსტიტუციის მიმოხილვა — დავით კურტანიძე
- აზერბაიჯანი — შალვა ხუციშვილი
- ბელარუსი — ვასილ გონაშვილი
- ლიტვა — მიხეილ მარგველაშვილი; განახლება და კონსტიტუციის მიმოხილვა — დავით გაბეხაძე
- ლუქსემბურგი — თამარ მაჭარაშვილი; განახლება და კონსტიტუციის მიმოხილვა — დავით კურტანიძე
- ისრაელი — იაკობ ჭეიშვილი; განახლება და კონსტიტუციის მიმოხილვა — დავით გაბეხაძე
- საბერძნეთი — ირაკლი ქოიავა
- საფრანგეთი — ვასილ გონაშვილი
- პოლონეთი — ვასილ გონაშვილი
- ჩინეთი — შალვა ხუციშვილი
- ფინეთი — დავით კაშია

სარჩევი

წინათქმა 6

ავსტრალია 9
ზოგადი ცნობარი 10
კონსტიტუციის მიმოხილვა 15
კონსტიტუცია 25

ავსტრია 58
ზოგადი ცნობარი 59
კონსტიტუციის მიმოხილვა 64
კონსტიტუცია 75

აზერბაიჯანი 183
ზოგადი ცნობარი 184
კონსტიტუციის მიმოხილვა 189
კონსტიტუცია 209

ბელარუსი 261
ზოგადი ცნობარი 262
კონსტიტუციის მიმოხილვა 267
კონსტიტუცია 282

ლიტვა 321
ზოგადი ცნობარი 322
კონსტიტუციის მიმოხილვა 327
კონსტიტუცია 339

ლუქსემბურგი 375
ზოგადი ცნობარი 376
კონსტიტუციის მიმოხილვა 380
კონსტიტუცია 387

ისრაელი 406
ზოგადი ცნობარი 407
კონსტიტუციის მიმოხილვა 412
კონსტიტუცია 423

საბერძნეთი 467
ზოგადი ცნობარი 468
კონსტიტუციის მიმოხილვა 472
კონსტიტუცია 483

საფრანგეთი 553
ზოგადი ცნობარი 554
კონსტიტუციის მიმოხილვა 559
კონსტიტუცია 576

პოლონეთი 604
ზოგადი ცნობარი 605
კონსტიტუციის მიმოხილვა 610
კონსტიტუცია 628

ჩინეთი 684
ზოგადი ცნობარი 685
კონსტიტუციის მიმოხილვა 690
კონსტიტუცია 707

ფინეთი 743
ზოგადი ცნობარი 744
კონსტიტუციის მიმოხილვა 748
კონსტიტუცია 762

რეზიუმე 799

წინათქმა

ნებისმიერი ქვეყნის, ისევე როგორც საქართველოს განვითარება და გაძლიერება, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი სისტემის სრულყოფილების ხარისხზე, კანონმდებლობის დემოკრატიულობის დონესა და მისი აღსრულების სამართლებრივ ნებაზეა დამოკიდებული. იმისთვის, რომ საქართველოში ყველაზე უფრო საუკეთესო, საქართველოზე მორგებული კონსტიტუციური ინსტიტუტები დავამკვიდროთ, აუცილებელია საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამისი გამოცდილების დეტალური შესწავლა.

წარმოდგენილი წიგნის მიზანიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყველა დაინტერესებულ პირს შევთავაზოთ მსოფლიოში არსებული სხვადასხვა კონსტიტუციური ინსტიტუტების მოდელები, სახელმწიფო ორგანოებს შორის ურთიერთობის მექანიზმები, სახელმწიფო, რეგიონულ, ავტონომიურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის არსებული კავშირები, ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და მათი გარანტიების კონსტიტუციური ასპექტები, სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურების თავისებურებები და მახასიათებლები, კონსტიტუციის გადასინჯვის მოდელები, რომელთა ანალიზისა და საქართველოს რეალობის გათვალისწინების საფუძველზე, შესაძლოა საქართველოს კანონმდებლობის უფრო სრულყოფილი მექანიზმები იქნეს შემუშავებული.

ნაშრომის ერთ-ერთ დადებით მახასიათებლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ თარგმანისას გამოყენებულ იქნა შესაბამისი ქვეყნების სახელმწიფო ორგანოების ვებ-გვერდებსა და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოებში გამოქვეყნებული ტექსტები. ამასთან, ყველა ქვეყნის კონსტიტუცია მოიცავს მის უახლეს ცვლილებებსაც.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნაშრომში წარმოდგენილ კონსტიტუციურ აქტებს ერთვის სტატია, სადაც კონსტიტუციების მრავალმხრივ ანალიზთან ერთად ასევე განხილულია კონკრეტული ქვეყნების კონსტიტუციონალიზმის ისტორია, მოქმედი კონსტიტუციების მიღების პროცედურა და მათი განსაკუთრებული თავისებურებანი, რაც ამა თუ იმ ქვეყნის კონსტიტუციონალიზმის თავისებურების საერთო სურათს წარმოაჩენს.

თითოეული ქვეყნის კონსტიტუციური სამართლის უკეთ გაცნობისა და გააზრებისთვის, წიგნი შეიცავს უახლეს ინფორმაციას შესაბამის ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შესახებ. მოკლედ არის მოცემული ქვეყნების შექმნის ისტორია და ძირითადი თარიღები, მოსახლეობის რაოდენობა, ასაკობრივი შემადგენლობა, ზრდის ტემპი, რელიგია, ეთნიკური ჯგუფები, არსებული პოლიტიკური პარტიები, უკანასკნელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების თარიღები, ტერიტორიული ორგანოების სტატუსი და სახელწოდებები, აღმასრულებელი ხელი-

სუფლების შემადგენლობა და არსებული სამინისტროები, ეკონომიკის მოკლე მიმოხილვა, მონაცემები მთლიანი შიდა პროდუქტისა და ექსპორტ-იმპორტის შესახებ, სახელმწიფო ბიუჯეტის ოდენობა და სხვ.

აღნიშნული ინფორმაციის დამუშავებისას გამოყენებულია ინტერნეტის სხვადასხვა ვებ-გვერდებზე არსებული მონაცემები. მაგალითად, გეოგრაფიის, მოსახლეობისა და ხელისუფლების შესახებ ინფორმაცია ძირითადად აღებულია www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/ index.html ვებ-გვერდიდან, ქვეყნების მთავრობების შემადგენლობის შესახებ — www.gksoft.com/govt/en/world.html -დან, ეკონომიკისა და ისტორიის ძირითადი თარიღებისა და ფაქტების თაობაზე:

http://countries.ru/; www.state.gov/; www.krugosvet.ru/aMenu/1.htm; www.wikipedia.org/; http://sos.net.ua/geo.php?t=1; www.saga.ua/36.html; www.listtur.ru/ - დან.

გარდა ამისა, კონკრეტული ქვეყნების მონაცემების შესავსებად ასევე გამოყენებულია შესაბამისი ქვეყნების ვებ-გვერდებზე განთავსებული სხვა ინფორმაციაც.

რაც შეეხება კონსტიტუციების მიმოხილვებს, მათი ერთ-ერთი პარაგრაფი — კონსტიტუციონალიზმის ისტორია მომზადებულია თითოეულ ქვეყანაში დღეს მოქმედი კონსტიტუციის მიღებამდე არსებული კონსტიტუციებისა თუ სხვა ძირითადი აქტების მიმოხილვის საფუძველზე, სადაც ძირითადად გამოყენებულია შესაბამისი წყაროები. ამასთან, თითოეული მათგანი გაანალიზებულია იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით. კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პარაგრაფის ანალიზს საფუძვლად იდევს მოქმედი კონსტიტუციის ნორმები, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ სხვა აქტები, ასევე გადასინჯვის შესახებ ინტერნეტში გამოქვეყნებული სტატიებიდან და სხვა ქვეყნების პერიოდული საგაზეთო თუ საჟურნალო პუბლიკაციებიდან მოძიებული პრაქტიკული ინფორმაცია კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურის, არსებული პროექტების, კენჭისყრის შედეგების შესახებ და სხვ. კონსტიტუციის ანალიზი განხილულია ქართველი მკითხველისთვის საინტერესო კუთხით, ანუ თითოეული ქვეყნის კონსტიტუციონალიზმის თავისებურებებთან ერთად, მასში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს კონსტიტუციონალიზმისთვის საინტერესო საკითხებზე და, აქედან გამომდინარე, ზოგიერთი საკითხი გარდა კონსტიტუციური ნორმებისა, ასევე გამოკვლეულია შესაბამისი სახელმწიფოს სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზეც. კონსტიტუციის ანალიზი მომზადებულია სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემების, ინტერნეტის პუბლიკაციებისა და თითოეული კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტის პრაქტიკული განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. კონსტიტუციის მიმოხილვის ბოლო პარაგრაფი ეთმობა კონსტიტუციის განსაკუთრებულ თავისებურებებს, სადაც

წარმოჩენილია მსოფლიო კონსტიტუციონალიზმისგან განსხვავებული ყოველი ქვეყნის ძირითადი კანონის პოზიტიური თუ ნეგატიური დებულებები.

რაც შეეხება შემდგენელთა ჯგუფს, იგი პრაქტიკოსი იურისტებისგან შედგება, რომელთაც გარკვეული სამეცნიერო გამოცდილებაც გააჩნიათ. ზოგიერთი მათგანი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატის თანამშრომელი და პასუხისმგებელი თანამდებობის პირია და კანონშემოქმედებით პროცესშიც აქტიურად არის ჩართული კვლევით საქმიანობაში. ორი შემდგენელი საქართველოს პარლამენტის აპარატს წარმოადგენს, თითო კი — საგარეო საქმეთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურას, სასამართლო ხელისუფლებას, ადვოკატურასა და კერძო სექტორს.

ვფიქრობთ, წინამდებარე წიგნი უდავოდ დიდ დახმარებას გაუწევს კანონშემოქმედებით პროცესში ჩართულ პირებს და მისცემს საშუალებას უკეთ გაეცნონ სხვა ქვეყნების კონსტიტუციურ აქტებსა და კონსტიტუციური სამართლის თავისებურებებს.

ეს წიგნი არის ხუთი ნაწილისაგან შემდგარი სერიის II ნაწილის მეორე — განახლებული გამოცემა. მისი პირველი ვარიანტი გამოიცა 2005 წელს. წარმოდგენილ წიგნში კი განახლებულია ძველ გამოცემაში მოცემული კონსტიტუციების ტექსტები და სხვა ინფორმაცია, ასევე დამატებულია კონსტიტუციების მიმოხილვითი სტატიები.

ვასილ გონაშვილი
სამართლის დოქტორი

ავსტრალია


INDONESIA
PAPUA NEW GUINEA
EAST TIMOR
Timor Sea
Arafura Sea
Darwin
INDIAN OCEAN
Coral Sea
Cairns
Townsville
Mackay
Alice Springs
Lake Eyre
Brisbane
Perth
Fremantle
Newcastle
Adelaide
Sydney
CANBERRA
Great Australian Bight
Melbourne
Mount Kosciuszko
INDIAN OCEAN
Tasman Sea
Launceston
Tasmania
Hobart
0 300 600 km
0 300 600 mi
Lord Howe Island and Macquarie Island not shown

ზოგადი ცნობარი

შესავალი

აბორიგენი მოსახლეები კონტინენტზე დაახლოებით ორმოცი ათასი წლის წინ გამოჩნდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან. ამ კონტინენტზე მრავალი დამნაშავე იქნა გადმოსახლებული. XVIII-XIX საუკუნეებში ექვსი კოლონია შეიქმნა. მზარდი ეკონომიკური გავითარების შედეგად მიღწეულმა ქვეყნის სწრაფმა განვითარებამ ორმოც წელიწადს გასტანა. შემდეგ ეს პერიოდი შეცვალა ათწლიანმა დეპრესიამ, რასაც მოჰყვა უმუშევრობის მაღალი დონე, განადგურდა ბიზნესი, ხოლო დამსაქმებლებმა ხელფასები შეამცირეს.

ავსტრალიის ფედერაციის შექმნას საფუძველი დაუდო 1890-იანი წლების დეპრესიამ. ავსტრალიისა და ბრიტანეთის წარმომადგენლებს შორის მიმდინარე დისკუსიების შედეგად, ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო აქტი, რომელმაც მოგვიანებით, 1900 წელს შექმნა ავსტრალიის თანამეგობრობა. ახალმა სახელმწიფომ შეძლო წარმატებით გამოეყენებინა თავისი ბუნებრივი რესურსები, სწრაფად განავითარა სოფლის მეურნეობისა და საფეიქრო მრეწველობები და ბრიტანეთის სახელით ძირითადი წვლილი შეიტანა პირველ და მეორე მსოფლიო ომებში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრალიამ დაიწყო მასიური საიმიგრაციო პროგრამა, რომლის შედეგად ომის დამთავრების შემდეგ ოც მილიონზე მეტი ადამიანი გადასახლდა ავსტრალიიდან ევროპაში.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: ოკეანეთი, ინდოეთის ოკეანესა და სამხრეთ წყნარ ოკეანეს შორის.

ფართობი: სულ: 7.686.850 კმ^2; ხმელეთი: 7.617.930კმ^2; წყალი: 68.920კმ^2;
შენიშვნა: შეიცავს ლორდ ჰოვისა და მასკარის კუნძულებს.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ბოქსიტი, ქვანახშირი, სპილენძი, ოქრო, ვერცხლი, ურანი, ნიკელი, ვოლფრამი, მინერალური ქვიშები, თუთია, ბრილიანტი, ბუნებრივი აირი, ნავთობი.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 20 600 856 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 19.1% (კაცი 2 014 230; ქალი 1 920 604);
15-64 წლის: 67.5% (კაცი 7 005 588; ქალი 6 895 817);
65 წლის და ზემოთ: 13.4% (კაცი 1 226 432; ქალი 1 538 185) (2008);

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 0.80% (2008);

შობადობა: 11.9 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 7.62 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: 3.72 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 80.73 წელი; კაცი: 77.86 წელი; ქალი: 83.75 წელი (2008);

მოქალაქეობა: ავსტრალიის;

ეთნიკური ჯგუფები: თეთრკანიანი 92%, აზიელი 7%, აბორიგენი და სხვა 1%;

რელიგია: კათოლიკური: 26.4%, ანგლიკანური: 20.5%, სხვა ქრისტიანული: 20.5%, ბუდისტური: 1.9%, მუსლიმური: 1.5%, სხვა: 1.2%, გაურკვეველი: 12.7%, არც ერთი: 15.3% (2001);

ენა: ინგლისური;

განათლებულობა: სრული მოსახლეობის: 99%; კაცი: 99%; ქალი: 99% (2003).

განსაზღვრება: მოცემულია 15 და მეტი ასაკის პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ვრცელი ფორმა: ავსტრალიის თანამეგობრობა;
მოკლე ფორმა: ავსტრალია.

სახელმწიფოს ფორმა: ფედერალური მონარქიული სახელმწიფო;

დედაქალაქი: კანბერა;

ადმინისტრაციული ერთეულები:
6 შტატი: ახალი სამხრეთ უელსი, კვინსლენდი, სამხრეთ ავსტრალია, ტასმანია, ვიქტორია და დასავლეთი ავსტრალია;

2 ტერიტორია: ავსტრალიის დედაქალაქის ტერიტორია და ჩრდილოეთის ტერიტორია.

დაქვემდებარებული ტერიტორიები: აშმორისა და კარტიერის კუნძულები, შობის კუნძული, ქოქოსის (კილინგის) კუნძულები, მარჯნის ზღვის კუნძულები, ჰერდის კუნძული და მაკდონალდის კუნძულები, ნორფოლკის კუნძული, მაკკვარის კუნძული.

დამოუკიდებლობა: 1901 წლის 1 იანვარი (დიდი ბრიტანეთის კოლონიების ფედერაცია);

ეროვნული დღესასწაული: ავსტრალიის დღე, 26 იანვარი (1788);

აღმასრულებელი ხელისუფლება:
ქვეყნის მეთაური: გაერთიანებული სამეფოს დედოფალი ელიზაბეტ II (1952 წლის 6 თებერვლიდან, რომელსაც წარმოადგენს გენერალური გუბერნატორი მაიკლ ჯეფერი (2003 წლის 11 აგვისტოდან);
მთავრობის მეთაური: პრემიერ-მინისტრი კევინ რუდი (2007 წლის 3 დეკემბრიდან).

დეპარტამენტები: პრემიერ-მინისტრის დეპარტამენტი და კაბინეტი, განათლების, მომზადებისა და ახალგაზრდათა საკითხების დეპარტამენტი, გარემოსა და მემკვიდრეობის დეპარტამენტი, გენერალური ატორნეის დეპარტამენტი, დასაქმების, სამუშაო ადგილთან დაკავშირებულ ურთიერთობათა და მცირე ბიზნესის დეპარტამენტი, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი, თავდაცვის დეპარტამენტი, იმიგრაციისა და მრავალკულტურულ ურთიერთობათა დეპარტამენტი, კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ხელოვნების დეპარტამენტი, მრეწველობის, მეცნიერებისა და რესურსების დეპარტამენტი, ოჯახისა და საზოგადოებრივ მომსახურებათა დეპარტამენტი, საგარეო ურთიერთობათა და ვაჭრობის დეპარტამენტი, სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მეტყეველობის დეპარტამენტი, ტრანსპორტისა და რეგიონალურ სამსახურთა დეპარტამენტი, ფინანსებისა და ადმინისტრაციის დეპარტამენტი, ხაზინის დეპარტამენტი, ჯანმრთელობისა და მოხუცებულებზე მზრუნველობის დეპარტამენტი.

საკანონმდებლო ხელისუფლება:
ორპალატიანი ფედერალური პარლამენტი შედგება 76 ადგილიანი სენატის (სადაც 12-12 ადგილი ეკუთვნის ექვს შტატს და ორ-ორი ძირითად ტერიტორიებს; წევრთა ნახევარი ყოველ სამ წელიწადში ერთხელ აირჩევა ამომრჩეველების მიერ საყოველთაო არჩევნების გზით 6 წლის ვადით) და 150 ადგილიანი წარმომადგენელთა პალატისაგან (მისი წევრები აირჩევიან ამომრჩეველების მიერ არჩევნების გზით პრეფერენციული წარმომადგენლობის საფუძველზე სამი წლის

ვადით; არც ერთ შტატს არ შეიძლება ჰყავდეს ხუთ წარმომადგენელზე ნაკლები).

არჩევნები: სენატისა და წარმომადგენელთა პალატის არჩევნები ბოლოს ჩატარდა 2007 წლის 24 ნოემბერს.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: ეკონომისტები ხშირად მოიხსენიებენ ავსტრალიას როგორც „მსოფლიოს ფერმას". ქვეყანას გააჩნია განვითარებული დასავლური სტილის კაპიტალისტური ეკონომიკა, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე უტოლდება ოთხი დომინანტი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოს მაჩვენებელს. სოფლის მეურნეობა და ბუნებრივი რესურსების დარგები მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ბოლო წლებში ავსტრალიის ხელისუფლება ყურადღებას ამახვილებს ტურიზმის, განათლებისა და ტექნოლოგიების ბაზრების განვითარებაზე.

ქვეყნის განვითარებული ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალა მომსახურეობათა დარგია, თუმცა ავსტრალიის საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ბირთვი მაინც სოფლის მეურნეობა და სამთო მრეწველობებია.

ავსტრალიამ თავისი ეკონომიკის ორიენტაციის ცვლილებას 1980-იან წლებში დაუდო სათავე და ჩაკეტილი, იმპორტზე ორიენტირებული ქვეყნიდან საერთაშორისო დონეზე აღიარებული კონკურენციის მქონე, ექსპორტზე ორიენტირებულ სახელმწიფოდ გარდაიქმნა. 1996 წლიდან კოალიციურმა მთავრობამ განაგრძო მიკროეკონომიკური რეფორმის პოლიტიკის განხორციელება, რომელიც ძირითადად მუშათა ბაზარზე არის ორიენტირებული.

ტენიანობის გავლენამ, სუსტმა მოთხოვნამ ესპორტზე და ძლიერმა მოთხოვნამ იმპორტზე საგაჭრო დეფიციტი 2002 წელს არსებული 5 მილიარდი დოლარიდან 2003 წელს 14 მილიარდ აშშ-ის დოლარამდე ასწია. ეროვნული ეკონომიკის პროდუქციის ზრდა კომპენსაციას უწევს გლობალურ ეკონომიკურ ვარდნას, რომლის პარალელურადაც, ბიზნესისა და მომხმარებელთა რწმენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისადმი ურყევი რჩება.

2004 წლის ოქტომბრიდან ქვეყანაში უმუშევრობის დონე 5.2%-მდე დაეცა, რაც ყველაზე მცირე მაჩვენებელია 1970-იანი წლების შემდეგ. ავსტრალიის საფონდო ბირჟაზე 1990-იანი წლების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა წილების ფასი.

მთლიანი შიდა პროდუქტი: მსყიდველობითი უნარის პარიტეტი – $760.8 მილიარდი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 3.9% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $36.300 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 3%; მრეწველობა: 26.4%; მომსახურება: 70.6% (2007);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: ინფორმაცია არ მოიპოვება;

ბიუჯეტი: შემოსავალი: $321.3 მილიარდი; გასავალი: $309.1 მილიარდი (2007);

ექსპორტი: $141.7 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: ქვანახშირი, რკინის მადანი, ოქრო, ხორცი, ალუმინი, ხორბალი, მანქანები და ავტოსატრანსპორტო აღჭურვილობა.

ექსპორტის პარტნიორი: იაპონია 19.6%, ჩინეთი 12.3%, სამხრეთ კორეა 7.5%, აშშ 6.2%, ინდოეთი 5.5%, ახალი ზელანდია 5.5%, დიდი ბრიტანეთი 5% (2006);

იმპორტი: $159.4 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: მანქანები და სატრანსპორტო აღჭურვილობა, კომპიუტერები და ოფისის ტექნიკა, სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობა და ნაწილები, გადაუმუშავებული ნავთობი და ნავთობპროდუქტები;

იმპორტის პარტნიორები: ჩინეთი 14.4%, აშშ 14.1%, იაპონია 9.6%, გერმანია 5.1% (2006);

საგარეო ვალი: $824.9 მილიარდი (2007);

ეკონომიკური მზარდაჭერა: $2.123 მილიარდი (2006);

ვალუტა: ავსტრალიური დოლარი (AUD).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. სახელმწიფო, რომლის სახელწოდებაა „ავსტრალიის თანამეგობრობა", შეიქმნა 1901 წლის 1 იანვარს ექვსი შტატის, რომლებიც მანამდე თვითმყოფადი და თვითმმართველი ინგლისური კოლონიები იყო, და შტატების უფლებების მქონე 2 ტერიტორიის გაერთიანების შედეგად 1900 წლის 9 ივლისის კონსტიტუციური კანონის საფუძველზე, რომელიც არის ქვეყნის პირველი და უკანასკნელი კონსტიტუცია. ავსტრალიის თანამეგობრობა ფედერაციული სახელმწიფოა. სიტყვა „თანამეგობრობა" სწორედ ავსტრალიის სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობის ფორმაზე მიუთითებს.

კონსტიტუციის მიღებამდე მოქმედებდა ავსტრალაზიის ფედერალური საბჭოს 1885 წლის კანონი, რომელმაც ძალა დაკარგა კონსტიტუციის მიღებით და კოლონიების საზღვრების 1895 წლის კანონი, რომელიც აღარ გამოიყენებოდა იმ კოლონიის მიმართ, რომელიც თანამეგობრობის შტატი გახდებოდა.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. ავსტრალიას საკუთარი კონსტიტუცია „ეწყალობა" ბრიტანეთის პარლამენტის მიერ ვესტმინსტერში მიღებული კონსტიტუციური აქტის საფუძველზე, რომლითაც შეიქმნა ფედერაციული თანამეგობრობა.

ავსტრალიის კონსტიტუცია უმთავრესად თანამეგობრობის შექმნას ემსახურებოდა და ამიტომ იგი მრავალ ისეთ ნორმას შეიცავს, რომელიც მხოლოდ თანამეგობრობის დაარსებისას და მისი პირველი ორგანოების ფორმირებისთვის იყო აუცილებელი. აგრეთვე კონსტიტუციის ნორმები ხშირად იმ პირობით არის მიღებული, თუ თანამეგობრობა მომავალში სხვა რამეს არ დაადგენს. ამ ნორმების მაგიერ კი 100 წლის მანძილზე მრავალი სხვა კანონია მიღებული, რომელიც სხვაგვარად განსაზღვრავს ამა თუ იმ საკითხს.

კონსტიტუციის გადასინჯვის წესი საკმაოდ რთულია. ცვლილებებს იღებს პარლამენტის თითოეული პალატა წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით, რომელიც გადაეცემა თითოეული შტატის ამორჩევლებს. თუ შტატების უმრავლესობაში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა უმრავლესობა დაეთანხმა წარმოდგენილ ცვლილებებს, იგი წარედგინება გენერალურ გუბერნატორს დედოფლის თანხმობის მისაღებად.

არც ერთ ცვლილებას, რომელიც ამცირებს შტატის პროპორციულ წარმომადგენლობას პარლამენტის ორივე პალატაში ან წარმომადგენლების მინიმალურ რაოდენობას შტატის წარმომადგენელთა პალატაში, ან ზრდის, ამცირებს ან სხვაგვარად ცვლის შტატის საზღვრებს, ან ეხება კონსტიტუციის დებულებებს ამ საკითხებთან მიმართებაში, არ ენიჭება კანონის ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას მხარს დაუჭერენ ამ შტატის კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველები.

კონსტიტუციაში ცვლილებები შეტანილი იქნა 1907, 1910, 1929, 1946, 1967 და 1977 წლებში.

1967 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა დისკრიმინაციული დებულებები და პარლამენტს მიეცა სპეციალურად აბორიგენებისათვის კანონების მიღების უფლება. 1999 წელს ავსტრალიამ რეფერენდუმის გზით უარყო წინადადება, რომლის მიხედვითაც ავსტრალიის თანამეგობრობა დიდი ბრიტანეთის მონარქით სათავეში რესპუბლიკით უნდა შეცვლილიყო.

კონსტიტუციის ანალიზი. ავსტრალიის კონსტიტუცია შედგება პრეამბულისა და რვა თავისგან, რომლებიც შეიცავს 128 მუხლს. კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილია გეგმა, რომელშიც წარმოდგენილია გაერთიანებული სამეფოს დედოფლის (მეფის) და მისი მემკვიდრეებისადმი ერთგულების ფიცი. კონსტიტუციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ ახალი სამხრეთ უელსის, ვიქტორიის, სამხრეთ ავსტრალიის, კვინსლენდისა და ტასმანიის მოქალაქეები კონსტიტუციის საფუძველზე დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს გვირგვინის ქვეშ ერთიანდებიან ერთ განუყოფელ ფედერალურ თანამეგობრობად.

ავსტრალიის კონსტიტუცია ეფუძნება სიმეტრიული ფედერალიზმის პრინციპს. კონსტიტუციაში ფორმულირებულია თანამეგობრობასა და ცალკეულ შტატებს შორის ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. ავსტრალიის ფედერაციული ერთეულებია 6 შტატი და 2 ტერიტორია. ეს უკანასკნელნი ავსტრალიის თანამეგობრობის მთელი ისტორიის განმავლობაში ექვემდებარებოდა თანამეგობრობის მმართველობას, ამჟამად კი აღჭურვილია შტატების მსგავსი უფლებამოსილებებით.

სახელმწიფოს ფედერალური ორგანოების უფლებამოსილება მოიცავს თავდაცვას, საშინაო პოლიტიკას, იმიგრაციას, საერთაშორისო ვაჭრობას, ეროვნული ვალუტის გამოშვებას, საფოსტო სამსახურს და სხვ. ამ ფუნქციათაგან ზოგს ექსკლუზიური ხასიათი აქვს, ზოგი კი ფორმალურად ემთხვევა შტატების სახელისუფლო უფლებამოსილებებს, თუმცა ფედერალური და ადგილობრივი კანონმდებლობის კოლიზიის შემთხვევაში, ფედერალურ კანონებს უპირატესობა ენიჭება შტატების კანონებთან მიმართებით. შტატების უფლებამოსილება მოიცავს ყველა დანარჩენ ფუნქციებს, რომლებსაც არ მოიცავს თანამეგობრობის უფლებამოსილება.

კონსტიტუციის პირველი თავი, რომელიც შეიცავს ხუთ ნაწილს, ეხება საკანონმდებლო ხელისუფლებას, ხოლო მეორე და მესამე თავები — აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას.

ავსტრალია კონსტიტუციური მონარქიაა. ქვეყნის მეთაურად ფორმალურად ბრიტანეთის დედოფალი ითვლება, რომელიც თავისი უფლებამოსილების დელეგირებას ახდენს გენერალურ გუბერნატორზე, რომელიც ინიშნება დედოფლის მიერ ავსტრალიის მთავრობის წინადადებით. კონსტიტუციის თანახმად, სწორედ დედოფალს ეკუთვნის თანამეგობრობის აღმასრულებელი ხელისუფლება და მას ახორციელებს გენერალური გუბერნატორი, როგორც დედოფლის წარმომადგენელი. გენერალურ გუბერნატორს ფორმალურად აქვს უფლება დანიშნოს საპარ-

ლამენტო სესიები, აგრეთვე გადაავადოს საპარლამენტო სესია და დაითხოვოს წარმომადგენელთა პალატა, თუმცა იგი, როგორც წესი, მოქმედებს მხოლოდ მთავრობის, სახელდობრ, პრემიერ-მინისტრის რწმუნებით.

წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობით გასული პარტია აყალიბებს მთავრობას და მას მეთაურობს პრემიერ-მინისტრი. პრემიერ-მინისტრი არის უმრავლესობის პარტიის ან კოალიციის ლიდერი წარმომადგენელთა პალატაში და, ფაქტობრივად, მის ხელშია თავმოყრილი აღმასრულებელი ხელისუფლების ბერკეტები. სხვა მინისტრები მოიწვევიან პარლამენტის ორივე პალატის წევრთაგან, ამასთან, მათი უმრავლესობა ქვედა პალატის წევრია.

ტრადიციის თანახმად, პრემიერ-მინისტრი და „უფროსი" მინისტრები აყალიბებენ კაბინეტს, დანარჩენი მინისტრები კი მხოლოდ მონაწილეობენ კაბინეტის დისკუსიებში იმ საქმეების განხილვისას, რომლებიც უშუალოდ მათ კომპეტენციას განეკუთვნება.

კონსტიტუციის თანახმად, თანამეგობრობის საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ავსტრალიის ეროვნული საკანონმდებლო კრება (პარლამენტი), რომელიც შედგება ორი პალატის — წარმომადგენელთა პალატისა და სენატისაგან. წარმომადგენელთა პალატა შედგება თანამეგობრობის მოსახლეობის მიერ პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე 3 წლის ვადით არჩეული 150 წევრისგან. სხვადასხვა შტატში არჩეულ წევრთა რაოდენობა არის მათი მოსახლეობის რაოდენობის პროპორციული. წარმომადგენელთა პალატის წევრად აირჩევა 21 წლის ასაკის ამომრჩეველი, რომელიც არჩევის დროისთვის თანამეგობრობაში ცხოვრობს არანაკლებ სამი წლის განმავლობაში; ან უნდა იყოს დაბადებით ავსტრალიის მოქალაქე ან დიდი ბრიტანეთის ან შტატის კანონებით არანაკლებ ხუთი წლის მანძილზე ნატურალიზებული. რაც შეეხება სენატს, მასში ყოველ შტატს ეკუთვნის ადგილების თანაბარი რაოდენობა, მაშასადამე, იგი აგებულია შტატების თანასწორობის პრინციპზე და შედგება ყოველი შტატის მოსახლეობის მიერ, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული 76 სენატორისგან, რომელთაგან 12-12 აირჩევა შტატების მიერ 6 წლის ვადით ყოველ სამ წელიწადში ნახევრის განახლებით, ხოლო 2-2 ტერიტორიების მიერ — სამი წლის ვადით.

საპარლამენტო სესია ტარდება წელიწადში არანაკლებ ერთხელ, ისე, რომ ერთი საპარლამენტო სესიის ბოლო სხდომასა და მისი მომდევნო სესიის პირველ სხდომას შორის არ დაირღვეს თორმეტთვიანი პერიოდი. თუ პარლამენტი სხვაგვარად არ განსაზღვრავს, სენატის მიერ უფლებამოსილების განსახორციელებლად აუცილებელია სენატორთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის დასწრება. სენატში განსახილველი საკითხები მიიღება ხმათა უმრავლესობით, და ყოველ სენატორს ერთი ხმა აქვს. თავმჯდომარეს ყველა შემთხვევაში აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება; ხმების თანაბრად გაყოფისას, საკითხი უარყოფითად წყდება.

წარმომადგენელთა პალატის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის დასწრებაა საჭირო, რათა პალატის სხდომამ დაიწყოს თავის უფლებამო-

სილებათა განხორციელება. წარმომადგენელთა პალატაში დასასმელი საკითხების განსაზღვრა ხდება ხმათა უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკითხს დასვამს სპიკერი. სპიკერი არ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხმათა რაოდენობა თანაბარი იქნება. ასეთ შემთხვევაში მისი ხმა გადამწყვეტია.

პარლამენტის თითოეული პალატა იღებს წესებსა და ბრძანებებს მისი უფლებამოსილების, პრივილეგიებისა და იმუნიტეტების განსახორციელებელ საშუალებებსა და მის მიერ დამოუკიდებლად და მეორე პალატასთან ერთად განსახორციელებელ საქმიანობასა და პროცედურაზე.

კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილება მოიცავს შემდეგ სფეროებს: სხვა ქვეყნებსა და შტატებს შორის ვაჭრობა და კომერცია; გადასახადები; პროდუქციასა და საქონლის ექსპორტზე შეღავათების დაწესება; სანაოსნო და სამხედრო თავდაცვა, შეიარაღებული ძალების კონტროლი; ტერიტორიულ საზღვრებს მიღმა თევზჭერა; ვალუტა, ფულადი სისტემა და სამართლებრივი ტენდერი; საბანკო საქმე; დაზღვევა; ვალუტის გაცვლა; საავტორო უფლებები; უცხოელები და ნატურალიზაცია; უცხოური და თანამეგობრობის ფარგლებში შექმნილი სავაჭრო და ფინანსური დაწესებულებები; სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესისა და შტატების სასამართლოთა გადაწყვეტილებების წარმოება და აღსრულება; იმიგრაცია და ემიგრაცია; საგარეო ურთიერთობები; ტრანსპორტისა და რკინიგზის კონტროლი, შეძენა და მშენებლობა; არბიტრაჟი.

კანონპროექტები, რომლებიც ეხება შემოსავლებსა და ფულს ან გადასახადთა დაწესებას, არ შეიტანება სენატში. კანონპროექტი უნდა ეხებოდეს შემოსავლებს ან ფულს, ან აწესებდეს გადასახადებს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი შეიცავს დებულებებს ჯარიმების ან სხვა ფულადი სასჯელების დაწესებაზე, ან ლიცენზიათა მოთხოვნას ან გადახდას, ან ამ კანონით გათვალისწინებული სამსახურებისათვის გადასახადებს.

სენატს არა აქვს იმ წარდგენილ კანონებში ცვლილებების შეტანის უფლება, რომლებიც აწესებს გადასახადებს, აგრეთვე მას არ შეუძლია ცვლილებები შეიტანოს იმ კანონებში, რომლებიც შეეხება მთავრობის ჩვეულებრივი წლიური სამსახურისათვის გათვალისწინებულ შემოსავლებსა და ფულს.

სენატს არა აქვს წარდგენილ კანონპროექტებში ცვლილებების იმგვარად შეტანის უფლება, რომ გაართულოს ხალხის ვალდებულებები. სენატს შეუძლია წარმომადგენელთა პალატას ნებისმიერ დროს დაუბრუნოს ის კანონები, რომლებში ცვლილებების შეტანის უფლება მას არ გააჩნია და შეტყობინების საშუალებით სთხოვოს ამ კანონში რომელიმე დებულების შეცვლა ან გამოტოვება. თუ წარმომადგენელთა პალატა საჭიროდ მიიჩნევს, შეუძლია მოდიფიკაციით ან მის გარეშე შეცვალოს ან ამოიღოს დებულებები.

ამ დებულებაში აღნიშნულის გარდა, წარდგენილი კანონების მიმართ სენატს აქვს წარმომადგენელთა პალატის თანასწორი უფლებამოსილება.

პრაქტიკულად, ხელისუფლების ძირითადი ბერკეტები აღმასრულებელი ხე-

ლისუფლების ხელშია თავმოყრილი. მთავრობის მრავალმხრივი საქმიანობის ეფექტურობა, რომელიც ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ, უზრუნველყოფილია პარლამენტში არსებული პოლიტიკური პარტიების ფრაქციების მიერ. პარლამენტის დღის წესრიგში აუცილებლად განიხილება ე.წ. „მიმდინარე საკითხები", როდესაც პარლამენტი ისმენს მინისტრების ანგარიშებს მათი ქვემდებარე უწყებების საქმიანობაზე. ამასთან, სენატი სახელმწიფო სისტემაში მისი განსაკუთრებული როლიდან გამომდინარე, წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ეფექტურ საშუალებას. სენატში მთავრობის მხარდამჭერ სენატორებსა და ოპოზიციის სენატორებს შორის ძალთა ბალანსს უზრუნველყოფენ დამოუკიდებელი ან პატარა პარტიების წარმომადგენელი სენატორები. მიუხედავად იმისა, რომ სენატის მიერ ამა თუ იმ კანონპროექტის უარყოფა არ იწვევს მთავრობის დათხოვნას, მთავრობის მიერ ქვეყნის მართვის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად იზღუდება, თუ მსგავსი რამ სენატში რეგულარული ხდება. სწორედ ამიტომ, იმისათვის, რომ მიაღწიოს კანონპროექტების გატანას სენატში, მთავრობა ცდილობს კომპრომისის მიღწევას პატარა პარტიების წარმომადგენელ სენატორებთან, ხშირად კი თავად ოპოზიციასთანაც კი.

სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს ფედერალური უზენაესი სასამართლო, რომელსაც ეწოდება უმაღლესი სასამართლო და პარლამენტის მიერ შექმნილი სხვა ფედერალური სასამართლოები. ამჟამად შექმნილია ფედერალური იურისდიქციის საოჯახო და შრომითი ურთიერთობების სასამართლოები, აგრეთვე ფედერალური სასამართლო, რომელიც წყვეტს საკითხთა ფართო წრეს, როგორებიცაა გაკოტრება და ადმინისტრაციული საჩივრები. ამ სასამართლოების გარდა, ავსტრალიაში არ არსებობს ფედერალური იურისდიქციის სხვა სასამართლოები. შტატებში სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს უზენაესი და აგრეთვე სხვა სასამართლოები. შტატების სასამართლოები აღჭურვილია ფედერალურ კანონმდებლობაზე სამართლებრივი ზედამხედველობის ფუნქციებით.

უმაღლესი სასამართლო შედგება თავმჯდომარისა და 6 მოსამართლისგან. მოსამართლეთა მაქსიმალური ასაკი 70 წელია. თუმცა, პარლამენტს შეუძლია მიიღოს კანონი, რომელიც პარლამენტის მიერ შექმნილი სასამართლოს მოსამართლის მაქსიმალურ ასაკად დააწესებს 70 წელზე ნაკლებს. უმაღლესი სასამართლო ახორციელებს ზედამხედველობას კონსტიტუციური ნორმების დაცვაზე, წარმოადგენს უმაღლეს სააპელაციო ინსტანციას და ახორციელებს კონსტიტუციით დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

უმაღლეს სასამართლოს იურისდიქცია გააჩნია ნებისმიერ საკითხზე, რომელიც გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან ან ეხება: სხვა სახელმწიფოთა კონსულებს ან სხვა წარმომადგენლებს; საკითხს, რომელშიც მონაწილეობს თანამეგობრობა ან პირი, რომელსაც შეაქვს სარჩელი ან რომლის მიმართაც შეტანილია სარჩელი თანამეგობრობის სახელით; შტატებს შორის ან სხვადასხვა შტატების მოქალაქეთა შორის ან შტატისა და სხვა შტატის მოქალაქეს შორის არსებულ საკითხს; თანამეგობრობის თანამდებობის პირის წინააღმდეგ მისი გა-

დაწყვეტილების შესრულების შესახებ სასამართლოს ბრძანების, პრობაციის ან ამკრძალავი ნორმის მოთხოვნას.

პარლამენტს შეუძლია მიიღოს კანონები, რომლებიც უმაღლეს სასამართლოს იურისდიქციას მიანიჭებს იმ საკითხებზე, რომლებიც: გამომდინარებს კონსტიტუციიდან ან ეხება მის ინტერპრეტაციას; გამომდინარეობს პარლამენტის მიერ მიღებული ნებისმიერი კანონიდან; გამომდინარეობს სამხედრო-საზღვაო ან საზღვაო იურისდიქციიდან; ეხება სხვადასხვა შტატის მიერ მოწესრიგებულ ერთსა და იმავე საკითხს.

უმაღლესი სასამართლოსა და პარლამენტის მიერ შექმნილი სასამართლოების მოსამართლეები ინიშნებიან და თავისუფლდებიან მხოლოდ გენერალური გუბერნატორის მიერ. მათი გათავისუფლების მოთხოვნა უნდა მომდინარეობდეს პარლამენტის ორივე პალატიდან და უნდა ეფუძნებოდეს დადასტურებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობას. მოსამართლეები იღებენ პარლამენტის მიერ დანიშნულ ანაზღაურებას, მაგრამ არ შეიძლება ამ ანაზღაურების შემცირება მათ მიერ უფლებამოსილების განხორციელების განმავლობაში. უმაღლესი სასამართლოსა და პარლამენტის მიერ შექმნილი სასამართლოს მოსამართლეს შეუძლია დაკავებული თანამდებობიდან გადადგეს გენერალური გუბერნატორისადმი წერილობითი მიმართვით.

აღსანიშნავია, რომ ავსტრალიაში არსებობს სხვადასხვა მნიშვნელოვანი უწყებები, რომლებიც ფორმალურად არ შედიან სახელმწიფო დაწესებულებების სტრუქტურაში, მაგრამ ამა თუ იმ ფორმით სარგებლობენ ფინანსური და პოლიტიკური დამოუკიდებლობით. მათ შორისაა: ავსტრალიის ფოსტა, ტელსტრა (სატელეკომუნიკაციო უწყება) და ავსტრალიის ტელე-რადიომაუწყებლობის კომისია, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ტელე და რადიო მაუწყებლობას კერძო ტელე-რედიომაუწყებლობის ქსელების კონკურენციის პირობებში.

შტატები აღჭურვილია მნიშვნელოვანი სახელისუფლო უფლებამოსილებით. მრავალი ფუნქცია, რომლებიც უმრავლეს დასავლურ სახელმწიფოებში ჩვეულებრივ ეკუთვნის ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციას, ავსტრალიაში დელეგირებულია შტატებზე. შტატების ვალდებულებაა ფუნქციონირებს სახელმწიფო სკოლები, სამედიცინო დაწესებულებები, სოციალური უსაფრთხოების ორგანოები, პოლიცია, ხორციელდება ეკონომიკური განვითარების, ქალაქდაგეგმარებითი და სამშენებლო პროგრამები, შრომით ურთიერთობებზე სამართლებრივი ზედამხედველობა, გზები, პორტები, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურები, სამრეწველო სუბსიდიების გაცემა, ელექტრო და გაზმომარაგება (უმეტეს შტატებში) და სხვა სამსახურები.

ყოველ შტატს აქვს კონსტიტუცია, ასევე პარლამენტი, რომელიც აირჩევა 3 ან 4 წლით. ხუთ შტატში პარლამენტი ორპალატიანია და მთავრობის შემადგენლობა მტკიცდება ქვედა პალატის მიერ. ავსტრალიის შემადგენლობაში შემავალი ორივე ტერიტორიის პარლამენტი ერთპალატიანია.

ყოველ შტატის ჰყავს გუბერნატორი, რომლის შესახებ კონსტიტუციის დებულებებიც ვრცელდება და გამოიყენება შტატის მთავრობის ან სხვა აღმასრულებელი თანამდებობის პირის თუ ადმინისტრატორის მიმართ. თანამეგობრობა ყოველ შტატს იცავს დაპყრობისაგან, ხოლო შტატის აღმასრულებელ ხელისუფლებას – შიდა არეულობისაგან.

ყოველი შტატის კანონსა და სასამართლო პროცესებს თანამეგობრობის მასშტაბით ენიჭება სრული ნდობა და აღიარება. თუ შტატის კანონი არ შეესაბამება თანამეგობრობის კანონს, ამ უკანასკნელს ენიჭება უპირატესობა, ხოლო შტატის კანონის ის ნაწილი, რომელიც თანამეგობრობის კანონს არ შეესაბამება, ძალადაკარგულად ითვლება.

შტატის პარლამენტს შეუძლია შტატის ნებისმიერი ნაწილი დაუქვემდებაროს თანამეგობრობას და, შესაბამისად, ამ დაქვემდებარებით შტატის ამ ნაწილზე გავრცელდება თანამეგობრობის ექსკლუზიური იურისდიქცია. თანამეგობრობის პარლამენტის თანხმობის გარეშე შტატს უფლება არა აქვს შექმნას და შეინარჩუნოს ნებისმიერი სახის საზღვაო თუ სამხედრო ძალა, აგრეთვე თანამეგობრობის საკუთრებაზე დააწესოს რაიმე სახის გადასახადი, ხოლო თანამეგობრობას უფლება არა აქვს დააწესოს შტატის საკუთრებაზე რაიმე სახის გადასახადი. შტატს უფლება არა აქვს მოჭრას ფული ან ვალების დასაფარავად დაადგინოს რაიმე სხვა საშუალება, ოქროსა და ვერცხლის მონეტების გარდა.

თანამეგობრობის პარლამენტის უფლებამოსილებაში შედის თანამეგობრობაში ახალი შტატის მიღება ან დაარსება, აგრეთვე მისთვის, თავისი შეხედულებისამებრ, პირობების დაწესება, მათ შორის, პარლამენტის თითოეულ პალატაში წარმომადგენლობის განსაზღვრა. პარლამენტს შეუძლია მიიღოს კანონები ნებისმიერი ტერიტორიის მთავრობის შესახებ, რომელიც შეუერთდება რომელიმე შტატს ან მიღებულ იქნება თანამეგობრობის მიერ ან რომელზეც დედოფალი დააწესებს თანამეგობრობის ხელისუფლებას, რომელიც სხვა გზით იქნება მიღებული თანამეგობრობაში. აგრეთვე პარლამენტს შეუძლია ნება დართოს ასეთ ტერიტორიებს, ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლობა პარლამენტის თითოეულ პალატაში იმ პირობითა და ვადით, რასაც ისინი მიზანშეწონილად მიიჩნევენ.

შტატში არსებული საზღვრების გაზრდა, შემცირება ან სხვაგვარად შეცვლა შეუძლია თანამეგობრობის პარლამენტს, შტატის პარლამენტისა და შტატის ამომრჩევლების თანხმობით. ახალი შტატი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ პარლამენტის თანხმობით შტატიდან ტერიტორიის გამოყოფით, ორი ან მეტი შტატის ან შტატის ნაწილების გაერთიანებით, მაგრამ მხოლოდ ამ შტატების პარლამენტების თანხმობით.

ნაკლებად დასახლებული რეგიონების გარდა, რომლებიც არ შედის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სისტემაში, ავსტრალია იყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ოლქებად, რომელთა ორგანოებიც სუვერენული პოლიტიკური ერთეულების ნიშნებს ფლობენ, ჰყავთ არჩევითი საკანონმდებლო ორგანოები (საბჭოები), რომელთა წევრებიც თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ მერებს (ზოგიერთ ოლქში მერი აირჩევა საყოველთაო არჩევნებით). ხელისუფლების ად-

გილობრივი ორგანოები მთლიანობაში აკონტროლებენ სახელმწიფო ხარჯების მხოლოდ 5%-ს. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების კომპეტენცია, როგორც წესი, ვრცელდება სოციალური მომსახურების სფეროსა და სახელმწიფოს მოძრაე ქონებაზე, თუმცა ზოგ შტატში მათ ფუნქციებს განეკუთვნება აგრეთვე წყალმომარაგების, კანალიზაციის, ენერგომომარაგების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების საწარმოების მუშაობის საკითხები და სოციალური უსაფრთხოების პრობლემები.

ავსტრალიელები პირდაპირი წესით ირჩევენ ფედერალური პარლამენტის და შტატების პარლამენტების ორივე პალატის წევრებს (გარდა კვინსლენდის ერთპალატიანი პარლამენტისა და ტერიტორიების პარლამენტებისა), აგრეთვე — ადგილობრივი საბჭოების წევრებს. ამასთან, სხვადასხვა დონის ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები სხვადასხვა პრინციპებით ტარდება. საარჩევნო ოლქების საზღვრები დგინდება დამოუკიდებელი კომისრების მიერ.

ყველაზე მეტად გავრცელებული საარჩევნო სისტემა, რომელიც გამოიყენება წარმომადგენელთა პალატის არჩევნებსა და შტატების (ტასმანიის გარდა) პარლამენტების ქვედა პალატების არჩევნებში, ეფუძნება ერთმანდატიან ოლქებში პრეფერენციული (რეიტინგული) კენჭისყრის პრინციპს. რეიტინგული კენჭისყრისას ამომრჩევლები წარადგენენ კანდიდატებს საარჩევნო სიაში უპირატესობის მიხედვით. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ადგილების აბსოლუტურ უმრავლესობას რეიტინგში, ყველაზე ნაკლებად რეიტინგული კანდიდატი გამორიცხება სიიდან, ხოლო მის მიერ მიღებული ხმები გადანაწილდება კანდიდატის რეიტინგის შესაბამისად. კანდიდატების გამორიცხვისა და ხმების გადანაწილების პროცესი გრძელდება მანამ, სანამ სიაში დარჩენილ კანდიდატთაგან რომელიმე არ მიიღებს ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას. კენჭისყრის არსებული სისტემისას, როდესაც ბიულეტენში მოცემულია კანდიდატთა სია უპირატესობის შესაბამისად, პარტიები თავიანთ ამომრჩევლებს ურიგებენ სპეციალურ ინსტრუქციებს კანდიდატების სარეკომენდაციო რეიტინგის შესახებ.

ძლიერი პარტიების გარდა, რომლებსაც აქვთ პარლამენტში არჩევის შანსი, კენჭისყრის პრეფერენციული სისტემა ერთმანდატიან ოლქებში პატარა პარტიებსაც აძლევს გამარჯვების შანსს. ძლიერი პარტიების კანდიდატების წინასაარჩევნო მხარდაჭერის სანაცვლოდ პატარა პარტიებს შეუძლია მიიღონ გარკვეული პოლიტიკური დივიდენდები დიდი პარტიებისაგან. პრეფერენციული სისტემა აგრეთვე შესაძლებლობას აძლევს პარტიულ კოალიციებს, მხარი დაუჭირონ კონკრეტულ კანდიდატებს ამა თუ იმ ოლქში.

სენატის არჩევნებში, მიუხედავად იმისა, რომ გამოიყენება ანალოგიური პრეფერენციული სისტემა, საარჩევნო პროცედურა შედარებით რთულია, ვინაიდან თითოეული შტატიდან აირჩევა 6 წევრი, ხოლო ვადამდელი არჩევნებისას — 12 წევრი. კანდიდატები არჩეულად ითვლებიან, თუ მიიღებენ ხმათა აუცილებელ კვოტას, რომელიც შეადგენს ამომრჩეველთა საარჩევნო სიის 1/7-ს, ვადამდელი საყოველთაო არჩევნებისას კი — 1/13-ს პლუს ერთი ხმა. კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ აუცილებელ კვოტაზე მეტს, იღებენ „ზედმეტ" ხმებს, რომლებიც

გადანაწილდება შესაბამისად სხვა კანდიდატებზე, რომლებსაც რეიტინგში უჭირავთ მეორე, მესამე და ა.შ. ადგილი. ამ გზით, სიიდან იმ კანდიდატების თანმიმდევრობით გამორიცხვის შედეგად, რომლებმაც ნაკლები ხმები მიიღეს და მათ მიერ მიღებული ხმების სხვა კანდიდატებზე, მათი რეიტინგის შესაბამისად, გადანაწილების შედეგად, განისაზღვრება გამარჯვებულ კანდიდატთა საჭირო რაოდენობა. რადგანაც კანდიდატები საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი არიან პარტიული სიების შესაბამისად და ამომრჩეველების უმრავლესობა ხელმძღვანელობს პარტიების წინასაარჩევნო რეკომენდაციებით, არჩევნების შედეგად მიიღება პროპორციული წარმომადგენლობა. ასეთ სისტემას შეიძლება ეწოდოს მრავალმანდატიან-პრეფერენციული სისტემა.

ვაკანსიები ფედერალური პარლამენტის ორივე პალატაში ივსება განსხვავებულად. წარმომადგენელთა პალატაში ამ შემთხვევაში ტარდება ვადამდელი არჩევნები, ხოლო სენატში სენატორების შეცვლა ხდება შესაბამისი შტატის პარლამენტის პალატების ერთობლივ სხდომაზე. სენატში პარტიული წარმომადგენლობის დისბალანსის თავიდან ასაცილებლად კონსტიტუციის 1977 წელს მიღებული შესწორების თანახმად ახალი სენატორი იმავე პარტიიდან უნდა იქნეს წარდგენილი.

საყურადღებოა, რომ ავსტრალიაში წლების მანძილზე არ წყდება კამათი იმის თაობაზე, მიზანშეწონილი ხომ არ იქნება, რომ ავსტრალიამ უარი თქვას ბრიტანეთის მონარქის ხელისუფლების უზენაესობის ფორმალურად აღიარებაზე წმინდა „რესპუბლიკური" სტრუქტურის სასარგებლოდ. რესპუბლიკის მომხრეები ფიქრობენ, რომ ავსტრალიის საქმეებში ბრიტანეთის მონარქის ჩარევა მხოლოდ და მხოლოდ უიმედო ანაქრონიზმია, რაც ლახავს ავსტრალიის სუვერენულ სტატუსს. რესპუბლიკანიზმის მოწინააღმდეგეებად გვევლინებიან მონარქიული სტატუს-კვოს ტრადიციული დამცველები, რომლებსაც სურთ მეტროპოლიასთან ძველი კავშირის შენარჩუნება და რეალისტები, რომელთა აზრითაც ავსტრალია დე-ფაქტო ისედაც რესპუბლიკაა და აღნიშნული კამათი სახელმწიფოსათვის დესტრუქციული ხასიათისაა. მოსახლეობის უმრავლესობა დღევანდელი მდგომარეობის შენარჩუნების მომხრეა.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. ავსტრალიის კონსტიტუცია უმთავრესად თანამეგობრობის შექმნას ემსახურებოდა და ამიტომ მრავალ ისეთ ნორმას შეიცავს, რომელიც მხოლოდ თანამეგობრობის დაარსებისას და მისი პირველი ორგანოების ფორმირებისთვის იყო აუცილებელი. აგრეთვე კონსტიტუციის ნორმები ხშირად იმ პირობით არის მიღებული, თუ თანამეგობრობა მომავალში სხვა რამეს არ დაადგენს;

— კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილია გეგმა, რომელშიც წარმოდგენილია დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფლის (მეფის), მისი მემკვიდრეებისა და კანონისმიერი მემკვიდრეების ერთგულების ფიცი;

— 1900 წლის 9 იელისის კონსტიტუციური კანონის ნორმების მაგიერ 100 წლის მანძილზე მრავალი სხვა კანონია მიღებული, რომელიც სხვაგვარად განსაზღვრავს ამა თუ იმ საკითხს;

— ავსტრალიაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მნიშვნელოვანი უწყებები, რომლებიც ფორმალურად არ შედის სახელმწიფო დაწესებულებების სისტემაში, მაგრამ ამა თუ იმ ფორმით სარგებლობს ფინანსური და პოლიტიკური დამოუკიდებლობით. მათ შორისაა: ავსტრალიის ფოსტა, ტელსტრა (სატელეკომუნიკაციო უწყება) და ავსტრალიის ტელე-რადიომაუწყებლობის კომისია, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ტელე და რადიო მაუწყებლობას კერძო ტელე-რადიომაუწყებლობის ქსელების კონკურენციის პირობებში;

— ავსტრალიაში ფედერაციის სუბიექტებია შტატები, რომლებიც აღჭურვილია თანასწორი და ფართო უფლებამოსილებებით. მრავალი ფუნქცია, რომლებიც უმრაელეს დასავლურ სახელმწიფოებში ჩვეულებრივ ეკუთვნის ხელისუფლების ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციას, ავსტრალიაში დელეგირებულია შტატებზე;

— თავისებურია ავსტრალიის საარჩევნო სისტემა, რომელიც ეფუძნება ერთმანდატიან ოლქებში პრეფერენციული (რეიტინგული) კენჭისყრის პრინციპს.

ავსტრალიის თანამეგობრობის კონსტიტუციური კანონი[1]

მიღებულია 1900 წლის 9 ივლისს

(ცვლილებები შეტანილ იქნა 1907, 1910, 1929, 1946, 1967 და 1977 წელს)

(პრეამბულა)
ეს კანონი ქმნის ავსტრალიის თანამეგობრობას

(1900 წლის ავსტრალიის თანამეგობრობის კონსტიტუციური კანონი მიღებულია დიდი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ ვესტმინსტერში)

ახალი სამხრეთ უელსის, ვიქტორიის, სამხრეთ ავსტრალიის, კვინსლენდისა და ტასმანიის მოქალაქენი მოწიწებით ენდობიან რა ყოვლისშემძლე ღმერთის წყალობას, შეთანხმდნენ, რომ ამ კონსტიტუციის საფუძველზე დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს გვირგვინის ქვეშ გაერთიანდებიან ერთ განუყოფელ ფედერალურ თანამეგობრობად;

და ვინაიდან მიზანშეწონილია სხვა ავსტრალიური კოლონიებისა და დედოფლის სამფლობელოების თანამეგობრობისათვის მიერთებაში ხელშეწყობა,

დედოფლის უდიდებულესობის, სასულიერო და საერო ლორდების რჩევითა და თანხმობით, აგრეთვე თემთა პალატის თანხობით ამ მოწვევის პარლამენტის სხდომაზე მისი უმრავლესობით მიღებულ იქნება შემდეგი:

1. ეს კანონი იწოდება ავსტრალიის თანამეგობრობის კონსტიტუციურ კანონად.

2. დედოფლის შესახებ ამ კანონის დებულებები აგრეთვე ვრცელდება მისი უდიდებულესობის მემკვიდრეებზე დიდი ბრიტანეთის ფარგლებში.

3. დედოფალს საიდუმლო საბჭოს რჩევით ენიჭება უფლებამოსილება გამოაცხადოს, რომ დადგენილ დღეს ან მის შემდგომ დღეს, მაგრამ არა უმეტეს ამ კანონის მიღებიდან ერთი წლის ვადაში ახალი სამხრეთ უელსის, ვიქტორიის, სამხრეთ ავსტრალიის, კვინსლენდისა და ტასმანიის მოქალაქენი, აგრეთვე, თუ მისი უდიდებულესობა დაეთანხმება დასავლეთ ავსტრალიის მოქალაქეთა გადაწყვეტილებას — დასავლეთ ავსტრალიის მოქალაქენი, ავსტრალიის თანამეგობრობის სახელით გაერთიანდებიან ფედერალურ თანამეგობრობად. დედოფალს შეუძლია თანამეგობრობის დაარსების გამოცხადებიდან ნებისმიერ ვადაში დანიშნოს თანამეგობრობის გენერალური გუბერნატორი.

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია ავსტრალიის სენატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.aph.gov.au/senate/general/constitution/index.htm გამოქვეყნებული ავსტრალიის კონსტიტუციური კანონის ინგლისურენოვანი ტექსტი.

4. თანამეგობრობა დაარსდება და მისი კონსტიტუცია ძალაში შევა დადგენილ დღეს ან მის შემდგომ დღეს. სხვადასხვა კოლონიების პარლამენტებს შეუძლიათ ამ კანონის მიღებიდან ნებისმიერ ვადაში მიიღონ კანონები, რომლებიც ძალაში შევა დადგენილ დღეს ისევე, როგორც მათ მიიღებდნენ ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლისას.

5. ეს კანონი, ასევე თანამეგობრობის მიერ ამ კონსტიტუციაზე დაყრდნობით მიღებული კანონები სავალდებულო იქნება შესასრულებლად თანამეგობრობის ყველა შტატისა და ნაწილის სასამართლოების, მოსამართლეებისა და მოქალაქეებისათვის, ამ შტატების კანონების მიუხედავად; თანამეგობრობის კანონები ძალაში იქნება ყველა ბრიტანულ გემზე და დედოფლის სამხედრო გემებზე, რომელთა გასვლისა და შესვლის პორტები მდებარეობს თანამეგობრობაში.

6. „თანამეგობრობა" ნიშნავს ამ კანონით დაფუძნებულ ავსტრალიის თანამეგობრობას.

„შტატები" ნიშნავს ახალი სამხრეთ უელსის, ახალი ზელანდიის, კვინსლენდის, ტასმანიის, ვიქტორიის, დასავლეთ ავსტრალიისა და სამხრეთ ავსტრალიის კოლონიებს, სამხრეთ ავსტრალიის ჩრდილოეთ ტერიტორიის ჩათვლით, რომლებიც თანამეგობრობის ნაწილებია, აგრეთვე იმ კოლონიებს, ან ტერიტორიებს, რომლებიც შტატების სახით შეიძლება შეერთდეს ან დაარსდეს თანამეგობრობის მიერ. თანამეგობრობის ყოველ ასეთ ნაწილს „შტატი" ეწოდება.

„თავდაპირველი შტატები" ეწოდება იმ შტატებს, რომლებიც თანამეგობრობის დაარსებისას არის მისი ნაწილები.

7. ავსტრალაზიის ფედერალური საბჭოს 1885 წლის კანონი ამ კანონით ძალას კარგავს, თუმცა ეს გავლენას არ მოახდენს თანამეგობრობის დაარსებისას ძალაში მყოფ ავსტრალაზიის ფედერალური საბჭოს მიერ მიღებულ კანონებზე. თანამეგობრობის პარლამენტმა შეიძლება შეცვალოს შტატის ან იმ კოლონიის კანონი, რომელიც პარლამენტის მიერ არ არის ცნობილი შტატად.

8. ამ კანონის მიღების შემდეგ, კოლონიების საზღვრების 1895 წლის კანონი არ გამოიყენება იმ კოლონიის მიმართ, რომელიც თანამეგობრობის შტატი გახდება; ამ კანონის მიზნებისათვის თანამეგობრობა არის თვითმმართველი კოლონია.

9. თანამეგობრობის კონსტიტუცია არის შემდეგი შინაარსის:

თავი I. პარლამენტი
ნაწილი I — ზოგადი დებულებები

1. თანამეგობრობის საკანონმდებლო ხელისუფლებას წარმოადგენს ფედერალური პარლამენტი, რომელიც შედგება დედოფლის, სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან და, რომელსაც შემდგომში ეწოდება „პარლამენტი" ან „თანამეგობრობის პარლამენტი".

2. დედოფლის მიერ დანიშნული გენერალური გუბერნატორი იქნება მისი უდიდებულესობის წარმომადგენელი თანამეგობრობაში, სადაც დედოფლის ნებითა და ამ კონსტიტუციის მიხედვით აღასრულებს იმ უფლებამოსილებებსა და ფუნქციებს, რომელთა მისთვის მიკუთვნებასაც ინებებს მისი უდიდებულესობა.

3. თანამეგობრობის ერთიანი საშემოსავლო ფონდიდან დედოფალს გამოეყოფა წლიური თანხა გენერალური გუბერნატორის ხელფასისათვის, რომელიც, თუ პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, შეადგენს ათას ფუნტს. გენერალური გუბერნატორის ხელფასი არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში.

4. ამ კონსტიტუციის დებულებები, რომლებიც გენერალურ გუბერნატორს ეხება, ვრცელდება და გამოიყენება მხოლოდ გენერალური გუბერნატორის ან იმ პირის მიმართ, რომელსაც დედოფალი დანიშნავს თანამეგობრობის მთავრობის სამართავად; მაგრამ ეს პირი არ იქნება უფლებამოსილი, თანამეგობრობისგან მიიღოს ხელფასი ნებისმიერი სხვა თანამდებობისათვის, მის მიერ თანამეგობრობის მთავრობის მართვის ფუნქციის შესრულების განმავლობაში.

5. გენერალურ გუბერნატორს შეუძლია სურვილისამებრ დანიშნოს საპარლამენტო სესიები, ასევე – პერიოდულად, პროკლამაციისა თუ სხვა საშუალებით, გადაავადოს საპარლამენტო სესია და ამავე წესით, დაითხოვოს წარმომადგენელთა პალატა. ყოველი საყოველთაო არჩევნების შემდეგ პარლამენტი შესაკრებად მოიწვევა სასამართლო ბრძანების დაბრუნებისათვის დანიშნული დღიდან არა უმეტეს ოცდაათი დღის განმავლობაში. პარლამენტი შესაკრებად მოიწვევა თანამეგობრობის დაფუძნებიდან არა უმეტეს ექვსი თვის განმავლობაში.

6. საპარლამენტო სესია ჩატარდება წელიწადში არანაკლებ ერთხელ, ისე, რომ ერთი საპარლამენტო სესიის ბოლო სხდომასა და მისი მომდევნო სესიის პირველ სხდომას შორის არ დაირღვეს თორმეტთვიანი პერიოდი.

ნაწილი II – სენატი

7. სენატი შედგება ყოველი შტატისათვის, მათი მოსახლეობის მიერ, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული სენატორებისაგან. მოსახლეობა წარმოადგენს ერთიან ელექტორატს, თუ პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს. სანამ თანამეგობრობის პარლამენტი სხვაგვარად გადაწყვეტს, ქუინსლენდის შტატის პარლამენტს, თუ ეს შტატი თავდაპირველი შტატია, შეუძლია მიიღოს კანონები, რომლებიც შტატს დაყოფს ნაწილებად და განსაზღვრავს თითოეული ასეთი ნაწილიდან ასარჩევ სენატორთა რაოდენობას. მაგრამ ასეთი დებულების არარსებობის შემთხვევაში შტატი ერთ ელექტორატად ჩაითვლება.

სანამ პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, ყოველი თავდაპირველი შტატისათვის გათვალისწინებული იქნება ექვსი სენატორი. პარლამენტს შეუძლია მიიღოს კანონები, რომლებიც ამცირებს ან ზრდის ყოველი შტატისთვის განსაზღვრულ სენატორთა რაოდენობას, მაგრამ შენარჩუნებულ უნდა იქნეს რამდენიმე თავდაპირველი შტატის თანაბარი წარმომადგებლობა და არცერთ თავდაპირველ შტატს არ უნდა ჰყავდეს ექვს სენატორზე ნაკლები. სენატორები აირჩევიან ექვსი წლის ვადით, და ყოველი შტატისათვის არჩეულ სენატორთა სახელებს გენერალურ გუბერნატორთან დაამოწმებს გუბერნატორი.

8. ყოველი შტატისათვის სენატორთა ამომრჩეველების საარჩევნო მოთხოვნები განისაზღვება ამ კონსტიტუციით ან პარლამენტის მიერ წარმომადგენელთა პალატის ამომრჩეველთა საარჩევნო მოთხოვნების მსგავსად; თუმცა, სენატორთა არჩევისას ყოველ ამომრჩეველს ექნება მხოლოდ ერთი ხმა.

9. თანამეგობრობის პარლამენტი იღებს სენატორთა არჩევის წესის განმსაზღვრელ კანონებს, და ეს წესი ყველა შტატისათვის საერთოა. ამ კანონთა საფუძველზე, ყოველი შტატის პარლამენტი იღებს იმ შტატის სენატორთა არჩევის წესის განმსაზღვრელ კანონებს.

შტატის პარლამენტი იღებს ასევე შტატის სენატორთა არჩევის დროისა და ადგილის განმსაზღვრელ კანონებს.

10. თუ ამ კონსტიტუციის მიხედვით შტატის სენატორთა არჩევნებთან დაკავშირებით პარლამენტი სხვაგვარად არ განსაზღვრავს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, გამოიყენება ყოველი შტატის იმ დროისათვის მოქმედი კანონები, რომლებიც ეხება შტატის პარლამენტის უფრო მრავალრიცხოვანი წარმომადგენელთა პალატის არჩევას.

11. სენატს შეუძლია მუშაობას შეუდგეს იმის მიუხედავად, უზრუნველყოფს თუ არა ყოველი შტატი სენატში თავის წარმომადგენლობას.

12. ყოველი შტატის გუბერნატორს უფლება აქვს ამ შტატის სენატორთა არჩევნებისათვის გამოსცეს წერილობითი დოკუმენტი. სენატის დათხოვნის შემთხვევაში, დოკუმენტი გამოიცემა ასეთი დათხოვნის გამოცხადებიდან ათი დღის განმავლობაში.

13. სენატის პირველი შეკრებისა და მისი დათხოვნის შემდეგ ყოველი პირველი შეკრების შემდეგ, სენატს შეუძლია ყოველი შტატისათვის არჩეული სენატორები შეძლებისდაგვარად დაყოს თანაბარი რაოდენობის ორ კლასად; პირველი კლასის სენატორთა ადგილები ვაკანტური გახდება თანამდებობის დაკავებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, ხოლო მეორე კლასის სენატორთა ადგილები – ექვსი წლის გასელის შემდეგ; და შემდგომში, სენატორთა ადგილები ვაკან-

ტური გახდება მათ მიერ თანამდებობის დაკავებიდან ექვსი წლის გასვლის შემდეგ.

ვაკანტური ადგილების შესავსებად არჩევნები ტარდება ვაკანსიების წარმოქმნამდე ერთი წლით ადრე.

ამ ნაწილის მიზნებისათვის, სენატორის თანამდებობაზე ყოფნის ვადა იწყება მისი არჩევის დღის შემდგომი პირველი ივლისიდან, გარდა სენატის პირველად არჩევის ან დათხოვნის შემდეგ ჩატარებული არჩევნებისა, როდესაც სენატორის მიერ თანამდებობის დაკავების ვადა იწყება მისი არჩევის დღის წინა ივლისის პირველ რიცხვში.

14. შტატის სენატორთა რაოდენობას გაზრდის ან შემცირებისას, პარლამენტს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია მიიღოს შტატის სენატორთა ვაკანტური ადგილების შესახებ ისეთი დებულება, რომლითაც შენარჩუნებულ იქნება როტაციის პერიოდულობა.

15. თუ სენატორის ადგილი ვაკანტური გახდება მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, იმ შტატის პარლამენტის პალატები, რომლისთვისაც იქნა იგი არჩეული, შეიკრიბება და კენჭს უყრის ერთად. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტს მხოლოდ ერთი პალატა აქვს, ეს პალატა აირჩევს პირს, რომელიც ამ ადგილს დაიკავებს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე. მაგრამ თუ ვაკანსიის შესახებ ცნობილი გახდება პარლამენტის არასასესიო პერიოდში, შტატის გუბერნატორი, აღმასრულებელი საბჭოს რჩევით, თანამდებობის დასაკავებლად დანიშნავს პირს შტატის პარლამენტის მომდევნო სესიის დაწყებიდან თოთხმეტი დღის ვადაში, ან უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე იმის მიხედვით, თუ ამათგან რომელი პირობა დგება პირველი.

თუ ხალხის მიერ არჩეული სენატორის ადგილი ნებისმიერ დროს გახდება ვაკანტური, და მისი არჩევის დროისათვის იგი რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიერ იქნება საკუთარ კანდიდატად დასახელებული და იგი თავს მიიჩნევს ამგვარ კანდიდატად, პირი, რომელიც ამ მუხლის მიხედვით იქნა არჩეული ან დანიშნული ამ ვაკანსიის, ან ამ ვაკანსიისა და შემდგომი ვაკანსიის ან ვაკანსიების შედეგად, და თუ ამ პარტიაში არ არის სხვა ასარჩევი თუ დასანიშნი პირი, იქნება ამ პარტიის წევრი, როდესაც:

ა) წინა აბზაცის მიხედვით, კონკრეტული პარტიის წევრი არჩეულ ან დანიშნულ იქნა იმ სენატორის ადგილის დასაკავებლად, რომლის თანამდებობაც ვაკანტური გახდა; და

ბ) თანამდებობის დაკავებამდე იგი დატოვებს ამ პარტიას (თუ ეს არ ხდება თავად პარტიის არსებობის შეწყვეტის მიზეზით), იგი არ ჩაითვლება ამ თანამდებობაზე არჩეულად ან დანიშნულად და ვაკანსიის შესახებ კვლავ გაკეთდება განცხადება ამ კონსტიტუციის ოცდამეერთე მუხლის მიხედვით.

ამ მუხლის მიხედვით არჩეული ან დანიშნული სენატორის სახელს შტატის გუბერნატორი დაუდასტურებს გენერალ გუბერნატორს.

თუ 1977 წელს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის (სენატის ჩვეულებრივი ვაკანსიები) დაწყებამდე, ან მისი დაწყებისას სენატორთა ბოლო არჩევნებზე სენატორის თანამდებობა გახდა ვაკანტური ამ ვაკანსიის და შემდგომი ვაკანსიისა თუ ვაკანსიების შედეგად, შტატის პარლამენტის პალატის ან პალატების მიერ არჩეული, ან შტატის გუბერნატორის მიერ დანიშნული არც ერთი პირი, არ დაიკავებს ამ თანამდებობას. ეს ნაწილი გამოიყენება ისევე, როგორც მისი გამოყენება მოხდება მაშინ, როდესაც შტატის მოსახლეობის მიერ არჩეული სენატორის თანამდებობა ვაკანტური გახდა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის დაწყების შემდეგ. სენატორი, რომელსაც უკავია თანამდებობა კონსტიტუციაში 1977 წლის ცვლილებების შეტანისას (სენატის ჩვეულებრივი ვაკანსიები), და დანიშნულია შტატის გუბერნატორის მიერ იმ ვაკანსიის შედეგად, რომელიც დროის ნებისმიერ მონაკვეთში გაჩნდა შტატის მოსახლეობის მიერ არჩეული სენატორის ადგილას, მიიჩნევა, რომ დანიშნულია თანამდებობის დასაკავებლად შტატის იმ პარლამენტის მომდევნო სესიის დაწყებიდან თოთხმეტი დღის ვადის ამოწურვამდე, რომელიც მუშაობას შეუდგა ან შეუდგება მისი დანიშვნის შემდეგ და ამ ნაწილის მიხედვით შემდგომი ქმედებები განხორციელდება ისე, როგორც განხორცილდებოდა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შემდეგ შტატის მოსახლეობის მიერ არჩეული სენატორის თანამდებობაზე ყოფნის ვაკანსიის გაჩენის დროს. მომდევნო აბზაცის მიხედვით, სენატორი, რომელსაც უკავია თანამდებობა კონსტიტუციაში 1977 წლის ცვლილებების შეტანისას (სენატის ჩვეულებრივი ვაკანსიები), და რომელიც არჩეულ იქნა შტატის პარლამენტის პალატის ან პალატების მიერ იმ ვაკანსიის შედეგად, რომელიც დროის ნებისმიერ მომენტში გაჩნდა შტატის მოსახლეობის მიერ არჩეული სენატორის ადგილას, მიიჩნევა, რომ არჩეულია თანამდებობის დასაკავებლად შტატის მოსახლეობის მიერ არჩეული სენატორის თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვამდე.

თუ, კონსტიტუციაში 1977 წლის ცვლილებების შეტანის (სენატის ჩვეულებრივი ვაკანსიები) დაწყებისას ან დაწყებამდე, კანონი, რომელიც მიღებულია კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის მიზნით სახელწოდებით „კონსტიტუციაში 1977 წლის ცვლილებების შეტანა (ერთდროული არჩევნები)," ძალაში შევიდა, სენატორი, რომელსაც უკავია თანამდებობა ამ კანონის ძალაში შესვლისას და რომელიც არჩეულ იქნა შტატის პარლამენტის პალატის ან პალატების მოსახლეობის მიერ, მიიჩნევა თანამდებობაზე არჩეულად —

ა. თუ შტატის მოსახლეობის მიერ არჩეული სენატორის თანამდებობის ვადა იწურება ათას ცხრაას სამოცდათვრამეტი წლის ივნისის ოცდამეათე დღეს — წარმომადგენელთა პალატის ვადის ამოწურვამდე ან მის დათხოვნამდე მას შემდეგ, რაც შესაბამისი კანონი შევა ძალაში; ან

ბ. თუ შტატის მოსახლეობის მიერ არჩეული სენატორის თანამდებობის ვადა იწურება ათას ცხრაას ოთხმოცდაერთი წლის ივნისის ოცდამეათე დღეს — წარმომადგენელთა პალატის ვადის ამოწურვამდე ან მის დათხოვნამდე მას შემდეგ, რაც შესაბამისი კანონი შევა ძალაში, ან თუ მოხდება სენატის ვადაზე ადრე დათხოვნა, - ამ დათხოვნამდე.

16. სენატორის საარჩევნო მოთხოვნები უთანაბრდება წარმომადგენელთა პალატის წევრის საარჩევნო მოთხოვნებს.

17. ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელებამდე, სენატი ერთ-ერთ სენატორს აირჩევს სენატის თავმჯდომარედ; და ყოველთვის, როდესაც სენატის თავმჯდომარის თანამდებობა ვაკანტური გახდება, სენატის თავმჯდომარის თანამდებობის დასაკავებლად სენატი აირჩევს ახალ სენატორს. თავმჯდომარე თანამდებობას დატოვებს, თუ დატოვებს სენატორის თანამდებობას. იგი შეიძლება თანამდებობიდან გადაყენებულ იქნეს სენატში კენჭისყრის გზით. ასევე, თანამდებობის დატოვება მას შეუძლია გენერალური გუბერნატორისადმი მიწერილი შეტყობინების საფუძველზე.

18. თავმჯდომარის არყოფნის ნებისმიერ შემთხვევაში, მისი ფუნქციების შესასრულებლად სენატი ირჩევს სხვა სენატორს.

19. თავმჯდომარისადმი ან თუ თავმჯდომარე არ იმყოფება ადგილზე ან თანამეგობრობაში — გენერალური გუბერნატორისადმი მიწერილი წერილის საფუძველზე, სენატორს შეუძლია დატოვოს თანამდებობა, რომელიც ამის შემდგომ ვაკანტური გახდება.

20. სენატორის თანამდებობა ვაკანტური გახდება ასევე, თუ იგი სენატის ნებართვის გარეშე საპარლამენტო სესიის დროს ზედიზედ ორი თვის განმავლობაში არ დაესწრება სენატის სხდომებს.

21. როდესაც სენატში გაჩნდება ვაკანსია, თავმჯდომარე ან მისი არარსებობის ან თანამეგობრობაში არყოფნის შემთხვევაში - გენერალური გუბერნატორი ამის შესახებ შეატყობინებს იმ შტატის გუნერნატორს, რომლის წარმომადგენლობაშიც გაჩნდა ვაკანსია.

22. თუ პარლამენტი სხვაგვარად არ განსაზღვრავს, სენატის მიერ უფლებამოსილების განსახორციელებლად აუცილებელია სენატორთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის დასწრება.

23. სენატში განსახილველი საკითხები მიიღება ხმათა უმრავლესობით, და ყოველ სენატორს ერთი ხმა აქვს. თავმჯდომარეს ყველა შემთხვევაში აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება; ხმების თანაბრად გაყოფისას, საკითხი უარყოფითად გადაწყდება.

ნაწილი III – წარმომადგენელთა პალატა

24. წარმომადგენელთა პალატა შედგება თანამეგობრობის მოსახლეობის მიერ პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული წევრებისაგან. ამ წევრთა რაოდენობა, შეძლებისდაგვარად სენატორთა რაოდენობაზე ორჯერ მეტი უნდა იყოს. სხვადასხვა შტატში არჩეულ წევრთა რაოდენობა უნდა იყოს მათი შესაბამისი მოსახლეობის რაოდენობის პროპორციული, და სანამ პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, საჭიროების შემთხვევაში, შემდეგნაირად განისაზღვრება:

I. კვოტის დამტკიცება მოხდება თანამეგობრობის მოსახლეობის რაოდენობის სენატორთა რაოდენობაზე ორჯერ გაყოფით, თანამეგობრობის უკანასკნელი სტატისტიკის მონაცემების მიხედვით;

II. თითოეულ შტატში ასარჩევ წევრთა რაოდენობა განისაზღვრება შტატის მოსახლეობის რაოდენობის ქვოტაზე გაყოფით, თანამეგობრობის უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით. თუ ასეთი გაყოფის შემთხვევაში, დარჩენილი ნაშთი ქვოტის ნახევარს აღემატება, შტატში აირჩევა კიდევ ერთი წევრი. მიუხედავად ამ ნაწილში ჩამოყალიბებული დებულებისა, თითოეულ თავდაპირველ შტატში უნდა აირჩეს არანაკლებ ხუთი წევრი.

25. ბოლო ნაწილის მიზნებისათვის, თუ რომელიმე შტატის კანონით ნებისმიერი რასის ყველა წარმომადგენელს ჩამოერთმევა შტატის პარლამენტის უფრო მრავალრიცხოვანი პალატის არჩევნებში ხმის მიცემის უფლება, შტატის ან თანამეგობრობის მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება ამ შტატში მცხოვრები ამ რასის პირები.

26. ოცდამეოთხე ნაწილის დებულების მიუხედავად, პირველ არჩევნებზე თითოეულ შტატში ასარჩევ წევრთა რაოდენობა იქნება შემდეგი:
- ახალი სამხრეთ უელსი - ოცდასამი;
- ვიქტორია - ოცი;
- ქუინსლენდი - რვა;
- სამხრეთ ავსტრალია - ექვსი;
- ტასმანია - ხუთი.

თუ დასავლეთ ავსტრალია იქნება თავდაპირველი შტატი, წევრთა რაოდენობა იქნება შემდეგი:
- ახალი სამხრეთ უელსი - ოცდაექვსი;
- ვიქტორია - ოცდასამი;
- ქუინსლენდი - ცხრა;
- სამხრეთ ავსტრალია - შვიდი;
- დასავლეთ ავსტრალია - ხუთი;
- ტასმანია - ხუთი.

27. ამ კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტს შეუძლია მიიღოს კანონები, რომლებიც გაზრდის ან შეამცირებს წარმომადგენელთა პალატის წევრთა რაოდენობას.

28. ყოველი მოწვევის წარმომადგენელთა პალატა იმუშავებს პალატის პირველი შეკრებიდან არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში. თუმცა, გენერალურ გუბერნატორს შეუძლია მისი უფრო ადრე დათხოვნა.

29. სანამ თანამეგობრობის პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, ყოველი შტატის პარლამენტს შეუძლია მიიღოს კანონები, რომლებიც თითოეულ შტატში განსაზღვრავს საარჩევნო ოლქებს, რომლებშიც უნდა მოხდეს წარმომადგენელთა პალატის წევრთა არჩევა, ასევე განსაზღვრავს თითოეულ ოლქში ასარჩევ წევრთა რაოდენობას. ოლქი არ შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა შტატის ნაწილებისაგან. სხვა დებულების არარსებობის შემთხვევაში, თითოეული შტატი ჩაითვლება ერთ ელექტორატად.

30. სანამ პარლამენტი სხვაგვარად არ განსაზღვრავს, წარმომადგენელთა პალატის წევრთა ამომრჩევლების საარჩევნო მოთხოვნები იგივეა, რაც შტატის კანონით გათვალისწინებული შტატის პარლამენტის უფრო მრავალრიცხოვანი პალატის ამომრჩეველთა საარჩევნო მოთხოვნები; მაგრამ წევრთა არჩევისას თითოეულ ამომრჩეველს მხოლოდ ერთი ხმა აქვს.

31. სანამ პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში სხვაგვარად არ გადაწყვეტს, ამ კონსტიტუციის ფარგლებში, ყოველ შტატში მოქმედი კანონები, რომლებიც შტატის პარლამენტის უფრო მრავალრიცხოვან პალატას შეეხება, შეძლებისდაგვარად გამოიყენება შტატში წარმომადგენელთა პალატის წევრთა არჩევისას.

32. საბჭოს გენერალურ გუბერნატორს შეუძლია გამოსცეს წერილობითი აქტი წარმომადგენელთა პალატის წევრთა საყოველთაო არჩევნების შესახებ. პირველი საყოველთაო არჩევნების შემდეგ, წერილობითი დოკუმენტების გამოცემა მოხდება წარმომადგენელთა პალატის უფლებამოსილების ამოწურვიდან ან დათხოვნის შესახებ განცხადების გაკეთებიდან ათი დღის განმავლობაში.

33. წარმომადგენელთა პალატაში ვაკანსიის გაჩენისას, სპიკერი გამოსცემს დოკუმენტს ახალი წევრის ასარჩევად, ან თუ არ არის სპიკერი, ან იგი არ იმყოფება თანამეგობრობაში, დოკუმენტის გამოცემა შეუძლია საბჭოს გენერალურ გუბერნატორს.

34. სანამ პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, წარმომადგენელთა პალატის წევრი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საარჩევნო მოთხოვნებს:

I. უნდა იყოს ოცდაერთი წლის ასაკის, წარმომადგენელთა პალატის წევრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე ამომრჩეველი ან პირი, რომელიც უფლებამოსილია გახდეს ასეთი ამომრჩეველი და მისი არჩევის დროისათვის თანამეგობრობაში ცხოვრობს არანაკლებ სამი წლის განმავლობაში;

II. უნდა იყოს დედოფლის ქვეშევრდომი, დაბადებით მოქალაქე ან დიდი ბრიტანეთის კანონებით ან იმ კოლონიის კანონებით, რომელიც გახდა ან გახდება შტატი, ან თანამეგობრობის, ან შტატის კანონებით, არანაკლებ ხუთი წლის მანძილზე ნატურალიზებული.

35. ნებისმიერი სხვა საქმიანობის განხორციელებამდე, აგრეთვე სპიკერის თანამდებობის განთავისუფლების შემთხვევაში, წარმომადგენელთა პალატა აირჩევს წევრს სპიკერად. სპიკერი დატოვებს თანამდებობას იმ შემთხვევაში, თუ დატოვებს პალატის წევრობას. იგი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან პალატაში კენჭისყრის გზით, ასევე შეიძლება გადადგეს თანამდებობიდან ან დატოვოს წევრობა, თუ გენერალური გუბერნატორის სახელზე დაწერს განცხადებას.

36. სპიკერის არყოფნის განმავლობაში, ან სანამ იგი დროებით დატოვებს თანამდებობას, სპიკერის არყოფნის დროს წარმომადგენელთა პალატა მის უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით აირჩევს წევრს.

37. სპიკერისადმი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ან თუ სპიკერი არ იმყოფება თანამეგობრობაში — გენერალური გუბერნატორისადმი წერილობით მიმართვის საფუძველზე, წევრს შეუძლია გადადგეს თანამდებობიდან, რომელიც ამის შემდეგ ვაკანტური გახდება.

38. წევრის თანამდებობა ვაკანტური გახდება, თუ პარლამენტის ნებისმიერ სესიაზე ორი მომდევნო თვის ვადაში და პალატის ნებართვის გარეშე, არ გამოცხადდება პალატაში.

39. სანამ პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, წარმომადგენელთა პალატის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის დასწრებაა საჭირო, რათა პალატის სხდომამ დაიწყოს თავის უფლებამოსილებათა განხორციელება.

40. წარმომადგენელთა პალატაში დასასმელი საკითხების განსაზღვრა ხდება ხმათა უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკითხს დასვამს სპიკერი. სპიკერი არ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხმათა რაოდენობა თანაბარი იქნება. ასეთ შემთხვევაში მას გადამწყვეტი ხმა ექნება.

ნაწილი IV – პარლამენტის ორიეე პალატა

41. პირს, რომელსაც აქვს ან მოიპოვებს შტატის პარლამენტის უფრო მრავალრიცხოვანი პალატის არჩევნებში საარჩევნო უფლებას, სანამ ეს უფლება არსებობს, არ შეიძლება ჩამოერთვას თანამეგობრობის პარლამენტის ნებისმიერი პალატის არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

42. ყოველი სენატორი და წარმომადგენელთა პალატის წევრი თანამდებობის დაკავებამდე გენერალური გუბერნატორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე დებს ფიცს და აცხადებს ერთგულებას ამ კონსტიტუციის გეგმაში ჩამოყალიბებული ფორმით.

43. პარლამენტის ნებისმიერი პალატის წევრს არ შეუძლია იყოს არჩეული ან დაიკავოს წევრის თანამდებობა სხვა პალატაში.

44. ნებისმიერი პირი,

I. რომელიც აღიარებს ერთგულებას, ემორჩილება ან იცავს უცხო სახელმწიფოს ნორმებს; არის უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომი ან მოქალაქე; ან უფლებებითა და პრივილეგიებით უთანაბრდება უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომს ან მოქალაქეს; ან

II. რომელსაც ბრალი ედება სახელმწიფოს ღალატში; ან იყო ბრალდებული და იხდის სასჯელს; ან უნდა გასამართლდეს თანამეგობრობის ან შტატის კანონებით დასჯადი ნებისმიერი დანაშაულისათვის, რომელიც ითვალისწინებს ერთი წლის ან მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას; ან

III. რომელიც არის უფლებებში აღუდგენელი გაკოტრებული ან გადახდისუუნარო; ან

IV. რომელსაც უკავია გვირგვინის ქვეშ არსებული მომგებიანი თანამდებობა; ან იღებს პენსიას გვირგვინის ნებართვით თანამეგობრობის ნებისმიერი სხვა შემოსავლებიდან; ან

V. რომელსაც არა როგორც პარლამენტის წევრს, არამედ ინკორპორირებული კომპანიის წევრებთან ერთად, რომელთა რაოდენობა ოცდახუთს აღემატება, გააჩნია პირდაპირი ან არაპირდაპირი ფულადი დაინტერესება თანამეგობრობის საჯარო სამსახურებთან დადებულ ნებისმიერ შეთანხმებაში –

არ აქვს უფლება არჩეულ იქნეს ან დაიკავოს სენატორის ან წარმომადგენელთა პალატის წევრის თანამდებობა. მაგრამ მე-4 ქვეპუნქტი არ ვრცელდება თანამეგობრობის დედოფლის მინისტრებზე, ან შტატის დედოფლის მინისტრებზე, დედოფლის საზღვაო ფლოტში ან ჯარში მომსახურე ოფიცრის ან წევრის მიერ ხელფასის, ნახევარი ხელფასის ან პენსიის მიღებაზე ან თანამეგობრობის საზღვაო ან სამხედრო ძალების იმ ოფიცრის ან წევრის მიერ ხელფასის მიღებაზე, რომლის სამსახური სრულად არ ექვემდებარება თანამეგობრობას.

45. სენატორის ან წარმომადგენელთა პალატის წევრის თანამდებობა ვაკანტური გახდება, თუ:

I. ფლობს წინა მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვებს; ან

II. უფლების გადაცემით, მორიგებით ან სხვა გზით მიიღებს სარგებელს გაკოტრებასთან ან გადახდისუუნარო მევალეებთან დაკავშირებული კანონიდან;

III. პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღებს ან თანხმობას განაცხადებს ანაზღაურების ან ჰონორარის მიღებაზე თანამეგობრობას მიკუთვნებული მომსახურებისათვის, ან სამსახურისთვის, რომელიც პარლამენტში ეკუთვნის რომელიმე პირს ან შტატს.

46. სანამ პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, ნებისმიერი პირი, რომელსაც ამ კონსტიტუციის მიხედვით არ გააჩნია სენატორის ან წარმომადგენელთა პალატის წევრის თანამდებობის დაკავების უფლება, ამ თანამდებობაზე გატარებული ყოველი დღისათვის ვალდებული იქნება ასი ფუნტი გადაუხადოს პირს, რომელიც ამ ბრალდებით მის წინააღმდეგ აღძრავს სარჩელს ნებისმიერ სასამართლოში, რომელსაც ექვემდებარება ამგვარი საქმეები.

47. სანამ პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, სენატორის ან წარმომადგენელთა პალატის წევრის საარჩევნო მოთხოვნებთან ან რომელიმე პალატაში ვაკანსიასთან ან რომელიმე პალატის არჩევნებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი წყდება იმ პალატის მიერ, რომელშიც დაისმება.

48. სანამ პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, ყოველი სენატორი და წარმომადგენელთა პალატის წევრი თანამდებობის დაკავების დღიდან გასამრჯელოს სახით მიიღებს ოთხას ფუნტს.

49. სენატისა და წარმომადგენელთა პალატის, აგრეთვე მათ წევრთა და კომიტეტების უფლებამოსილებებს, პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს განსაზღვრავს პარლამენტი, ხოლო პარლამენტის მიერ მათ განსაზღვრამდე ისინი შეესაბამება თანამეგობრობის დაარსებისას მოქმედ დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის, მის წევრთა და კომიტეტების უფლებამოსილებებს, პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს.

50. პარლამენტის თითოეული პალატა იღებს წესებსა და ბრძანებებს შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

I. მისი უფლებამოსილებების, პრივილეგიებისა და იმუნიტეტების განსახორციელებელ საშუალებებზე;

II. მის მიერ დამოუკიდებლად და მეორე პალატასთან ერთად განსახორციელებელ საქმიანობასა და პროცედურაზე.

ნაწილი V – პარლამენტის უფლებამოსილებები

51. ამ კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს კანონები მშვიდობის, წესრიგისა და თანამეგობრობის კარგი მმართველობისთვის შემდეგ საკითხებზე:

I. სხვა ქვეყნებსა და შტატებს შორის ვაჭრობა და კომერცია;

II. გადასახადები - იმგვარად, რომ არ დაუშვას განსხვავება შტატებსა და შტატების ნაწილებს შორის;

III. პროდუქციასა და საქონლის ექსპორტზე შეღავათების დაწესება - ისე, რომ ეს შეღავათები მთელი თანამეგობრობისათვის საერთო იყოს;

IV. ფულის გასესხება თანამეგობრობის საჯარო კრედიტისათვის;

V. საფოსტო, სატელეგრაფო, სატელეფონო და სხვა მსგავსი მომსახურებები;

VI. თანამეგობრობისა და სხვა ქვეყნების სანაოსნო და სამხედრო თავდაცვა, ასევე თანამეგობრობის კანონების აღსრულებისა და შენარჩუნებისათვის შეიარაღებული ძალების კონტროლი;

VII. შუქურები და მცურავი შუქურები;

VIII. ასტრონომიული და მეტეოროლოგიური ობსერვატორიები;

IX. კანარტინი;

X. ავსტრალიის წყლების ტერიტორიულ საზღვრებს მიღმა თევზჭერა;

XI. აღწერა და სტატისტიკა;

XII. ვალუტა, ფულადი სისტემა და სამართლებრივი ტენდერი;

XIII. სახელმწიფო საბანკო საქმისაგან განსხვავებული საბანკო საქმე; ასევე ის სახელმწიფო საბანკო საქმე, რომელიც სცილდება სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ ფარგლებს, ბანკების ინკორპორირება და ქაღალდის ფულის გამოშვება;

XIV. სახელმწიფო დაზღვევისაგან განსხვავებული დაზღვევა; ასევე ის სახელმწიფო დაზღვევა, რომელიც სცილდება სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ ფარგლებს;

XV. წონისა და ზომის ერთეულები;

XVI. ვალუტის გაცვლა და სასესხო ბარათები;

XVII. გაკოტრება და გადახდისუუნარობა;

XVIII. საავტორო უფლებები, გამოგონებათა და დიზაინთა პატენტები და სავაჭრო ნიშნები;

XIX. უცხოელები და ნატურალიზაცია;

XX. უცხოური და თანამეგობრობის ფარგლებში შექმნილი სავაჭრო და ფინანსური დაწესებულებები;

XXI. ქორწინება;

XXII. განქორწინება და საოჯახო საქმეები და მათთან დაკავშირებული მშობელთა უფლებები, ასევე ბავშვთა მეურვეობა და მზრუნველობა;

XXIII. ინვალიდთა და მოხუცებულთა პენსიები;

XXIII. დედათა დახმარებებით უზრუნველყოფა, ქვრივთა პენსიები, ბავშვთა პოლისები, უმუშევრობა, ფარმაცევტული, ავადმყოფობათა და საავადმყოფოთა დახმარებები, სამედიცინო და სტომატოლოგიური მომსახურებები (მაგრამ იმგვარად, რომ არ გამოიწვიოს რაიმე ფორმის სამოქალაქო შეკრება), სტუდენტთა დახმარებები და საოჯახო ანაზღაურებები;

XXIV. მთელი თანამეგობრობის ფარგლებში სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესისა და შტატების სასამართლოთა გადაწყვეტილებების წარმოება და აღსრულება;

XXV. მთელი თანამეგობრობის ფარგლებში კანონთა, საჯარო აქტთა და ჩანაწერთა და შტატების სასამართლო პროცესთა ცნობა;

XXVI. ნებისმიერი რასის ადამიანებზე, რომელთა მიმართაც სპეციალური კანონების მიღებაა საჭირო;

XXVII. იმიგრაცია და ემიგრაცია;

XXVIII. კრიმინალთა რაოდენობის ზრდა;

XXIX. საგარეო ურთიერთობები;

XXX. წყნარი ოკეანის კუნძულებთან თანამეგობრობის ურთიერთობა;

XXXI. ნებისმიერი სახელმწიფოს ან პირის მიერ საკუთრების შეძენა სამართლიანი პირობებით, ნებისმიერი მიზნით, რომლებზეც პარლამენტს გააჩნია კანონების მიღების უფლებამოსილება;

XXXII. თანამეგობრობის სანაოსნო და სამხედრო მიზნებისათვის არსებული ტრანსპორტისა და რკინიგზების კონტროლი;

XXXIII. რკინიგზათა შეძენა სახელმწიფოს თანხმობით, ამ სახელმწიფოსა და თანამეგობრობის მიერ შეთანხმებული პირობებით;

XXXI. რკინიგზათა მშენებლობა და მათი გავრცელება ნებისმიერ ქვეყანაში ამ სახელმწიფოს თანხმობით;

XXXV. მორიგება და არბიტრაჟი იმ სამრეწველო დავების მოგვარებისა და აღკვეთის მიზნით, რომლებიც სცილდება ნებისმიერი სახელმწიფოს ფარგლებს;

XXXVI. ამ კონსტიტუციით განსაზღვრული საკითხები, სანამ პარლამენტი სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს;

XXXVII. საკითხები, რომლებიც სხვა ქვეყნისა თუ ქვეყნების პარლამენტების მიერ თანამეგობრობის პარლამენტს წარედგინება, მაგრამ ისე, რომ ეს საკითხები გავრცელდეს მხოლოდ იმ სახელმწიფოებზე, რომელთა პარლამენტების მიერ იქნა წარდგენილი ან რომლებიც შემდგომში მიიღებენ ამ საკითხების შესახებ კანონს;

XXXVIII. ნებისმიერი უფლებამოსილების განხორციელება, რომელიც კონსტიტუციის მიხედვით მხოლოდ დიდი ბრიტანეთის ან ავსტრალიის ფედერალური საბჭოს გამგებლობას განეკუთვნება ყველა იმ ქვეყნის პარლამენტების მოთხოვნითა თუ თანხმობით, რომლებსაც პირდაპირ ეხება კონკრეტული საკითხი;

XXXIX. საკითხები, რომლებიც თან ახლავს კონსტიტუციის მიხედვით პარლამენტის ან მისი რომელიმე პალატის, თანამეგობრობის მთავრობის ან ფედე-

რალური სასამართლო ხელისუფლების ან თანამეგობრობის რომელიმე დეპარტამენტის ან მოხელის უფლებამოსილებების აღსრულებას.

52. ამ კონსტიტუციის მიხედვით პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს კანონები მშვიდობის, წესრიგისა და თანამეგობრობის კარგი მთავრობისათვის შემდეგ საკითხებზე:

I. თანამეგობრობის მთავრობის რეზიდენციასა და თანამეგობრობის მიერ საჯარო სამსახურისათვის შეძენილ ყველა ადგილზე;

II. საჯარო სამსახურის ნებისმიერ დეპარტამენტთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებზე კონტროლიც კონსტიტუციით თანამეგობრობის აღმასრულებელ ხელისუფლებას აქვს მინიჭებული;

III. სხვა საკითხებზე, რომლებიც კონსტიტუციის მიხედვით პარლამენტის განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება.

53. წარდგენილი კანონპროექტი, რომლებიც შეეხება შემოსავლებსა და ფულს ან გადასახადთა დაწესებას, არ შეიტანება სენატში. მაგრამ კანონპროექტი უნდა ეხებოდეს შემოსავლებს ან ფულს, ან აწესებდეს გადასახადებს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი შეიცავს დებულებებს ჯარიმების ან სხვა ფულადი სასჯელების დაწესებაზე, ან ლიცენზიათა მოთხოვნას ან გადახდას, ან ამ კანონით გათვალისწინებული სამსახურებისათვის გადასახადებს.

სენატს არა აქვს იმ წარდგენილ კანონპროექტებში ცვლილების შეტანის უფლება, რომლებიც აწესებს გადასახადებს, ასევე მას არ შეუძლია ცვლილებები შეიტანოს იმ კანონებში, რომლებიც შეეხება მთავრობის ჩვეულებრივი წლიური სამსახურისათვის გათვალისწინებულ შემოსავლებსა და ფულს.

სენატს არა აქვს წარდგენილ კანონპროექტებში ცვლილებების იმგვარად შეტანის უფლება, რომ გაართულოს ხალხის ვალდებულებები.

სენატს შეუძლია ნებისმიერ დროს წარმომადგენელთა პალატას დაუბრუნოს ის კანონპროექტები, რომლებში ცვლილებების შეტანის უფლება მას არ გააჩნია და შეტყობინების საშუალებით სთხოვოს ამ პროექტში რომელიმე დებულების შეცვლა ან გამოტოვება. თუ წარმომადგენელთა პალატა საჭიროდ მიიჩნევს, შეუძლია მოდიფიკაციით ან მის გარეშე შეცვალოს ან ამოიღოს დებულებები.

ამ დებულებაში აღნიშნულის გარდა, წარდგენილი კანონპროექტების მიმართ სენატს აქვს წარმომადგენელთა პალატის თანასწორი უფლებამოსილება.

54. წარდგენილი კანონპროექტი, რომელიც ეხება მთავრობის ჩვეულებრივი წლიური სამსახურისათვის გათვალისწინებულ შემოსავლებსა და ფულს, მხოლოდ ამ საკითხს არეგულირებს.

55. გადასახადების შესახებ კანონები მოაწესრიგებენ მხოლოდ ამ საკითხს. მის დებულებას, რომელიც სხვა საკითხს დაარეგულირებს, არ აქვს იურიდიული ძალა.

გადასახადების შესახებ კანონები, გარდა კანონებისა, რომლებიც არეგულირებენ ჩვეულებიდან გამომდინარე ან იმ გადასახადებს, რომლებიც წესდება ქვეყნის შიგნით დამზადებულ, რეალიზებულ და მოხმარებულ საქონელზე, შეეხება მხოლოდ გადასახადის ერთ კონკრეტულ ტიპს; ჩვეულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესახებ კანონები არეგულირებს მხოლოდ ამ ტიპის ვალდებულებებს, და ქვეყნის შიგნით დამზადებული, რეალიზებული და მოხმარებული საქონლის შესახებ კანონები არეგულირებს მხოლოდ ამ ტიპის გადასახადებს.

56. შემოსავლებსა და ფულთან დაკავშირებით არ ჩატარდება კენჭისყრა და არ მიიღება რეზოლუცია ან კანონპროექტი, ვიდრე ამ აქტს გენერალური გუბერნატორი იმავე სესიაზე შეტყობინებით არ გაუწევს რეკომენდაციას იმ პალატაში, სადაც მომზადდა ეს წინადადება.

57. თუ წარმომადგენელთა პალატა მიიღებს რომელიმე კანონპროექტს და სენატი უარყოფს ან ვერ მიიღებს მას, ან მიიღებს იმ ცვლილებებით, რომლებსაც არ დაეთანხმება წარმომადგენელთა პალატა და თუ სამი თვის ინტერვალის შემდეგ წარმომადგენელთა პალატა იმავე ან შემდგომ სესიაზე კვლავ მიიღებს წარდგენილ კანონპროექტს ცვლილებების გარეშე ან იმ ცვლილებებით, რომლებიც მიღებულ, წარდგენილ ან შეთანხმებულ იქნა სენატში, ხოლო სენატი უარყოფს ან ვერ მიიღებს ამ კანონპროექტს, ან მიიღებს იმ ცვლილებებით, რომლებსაც არ დაეთანხმება წარმომადგენელთა პალატა, გენერალურ გუბერნატორს შეუძლია ერთდროულად დაითხოვოს სენატი და წარმომადგენელთა პალატა. მაგრამ ასეთი დათხოვნა არ განხორციელდება წარმომადგენელთა პალატის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ექვსი თვის განმავლობაში.

თუ ამგვარი დათხოვნის შემდეგ წარმომადგენელთა პალატა კვლავ მიიღებს კანონპროექტს ცვლილებების გარეშე ან იმ ცვლილებებით, რომლებიც მიღებულ, წარდგენილ ან შეთანხმებულ იქნა სენატში, ხოლო სენატი უარყოფს ან ვერ მიიღებს მას ან მიიღებს იმ ცვლილებებით, რომლებსაც არ დაეთანხმება წარმომადგენელთა პალატა, გენერალური გუბერნატორი მოიწვევს სენატისა და წარმომადგენელთა პალატის წევრთა ერთობლივ სხდომას.

ერთობლივ სხდომაზე დამსწრე წევრებს შეუძლიათ მოითათბირონ და ერთად უყარონ კენჭი წარმომადგენელთა პალატის მიერ წარდგენილი კანონპროექტის საბოლოო ვარიანტს, ასევე, ცვლელებებს, რომლებიც მიღებულ იქნა ერთი პალატის მიერ და არ არსებობს მათზე მეორე პალატის თანხობა. მიღებულად მიიჩნევა ცვლილებები, რომლებზეც არსებობს სენატისა და წარმომადგენელთა პალატის წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობის თანხმობა, ასევე თუ წარდგენილი კანონპროექტის ცვლილებები, თუ დადასტურებულია სენატისა და წარმომადგენელთა პალატის წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით, ჩაითვლება წარმომადგენელთა პალატის მიერ წესისამებრ მიღებულად და დედოფლის თანხმობის მისაღებად წარედგინება გენერალურ გუბერნატორს.

58. როდესაც პარლამენტის ორივე პალატის მიერ მიღებული კანონი დედოფლის თანხმობის მისაღებად წარედგინება გენერალურ გუბერნატორს, იგი თავისი დისკრეციის უფლების ფარგლებში, მაგრამ ამ კონსტიტუციის მიხედვით, თანხმობას განაცხადებს ან გადადებს კანონს დედოფლის თანხმობის მისაღებად.

გენერალურ გუბერნატორს შეუძლია წარდგენილი კანონი დააბრუნოს იმ პალატაში, სადაც იგი მომზადდა. ასევე, შეუძლია წარუდგინოს თავისი შენიშვნები, რომლებსაც შემდგომ განიხილავენ პალატები.

59. დედოფალს შეუძლია ერთი წლის განმავლობაში არ მისცეს გენერალურ გუბერნატორს კანონზე თანხმობის განცხადების უფლება და ეს ფაქტი, რომელიც გენერალურ გუბერნატორს ეცნობება პარლამენტის ორივე პალატაში წარმოთქმული სიტყვით, გაგზავნილი შეტყობინებით ან პროკლამაციით, გააუქმებს კანონს მას შემდეგ, რაც მისი დაუთანხმებლობის შესახებ გახდება ცნობილი.

60. დედოფლის თანხმობის მისაღებად გადადებულ კანონს არ ექნება იურიდიული ძალა, სანამ გენერალური გუბერნატორისათვის დედოფლის თანხმობის მისაღებად მისი წარდგენიდან ორი წლის განმავლობაში გენერალური გუბერნატორი პარლამენტის ორივე პალატაში სიტყვის წარმოთქმის, შეტყობინების ან პროკლამაციის საშუალებით არ განაცხადებს დედოფლისაგან მიღებული თანხმობის შესახებ.

თავი II. აღმასრულებელი ხელისუფლება

61. თანამეგობრობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის დედოფალს და მას ახორციელებს გენერალური გუბერნატორი, როგორც დედოფლის წარმომადგენელი და მიმართულია ამ კონსტიტუციისა და თანამეგობრობის კანონების აღსრულებისა და შენარჩუნებისაკენ.

62. თანამეგობრობის მთავრობაში იქმნება ფედერალური აღმასრულებელი საბჭო, რომელიც ასრულებს გენერალური გუბერნატორის მრჩევლის ფუნქციას, ხოლო საბჭოს წევრებს ირჩევს და იწვევს გენერალური გუბერნატორი და ამტკიცებს აღმასრულებელ კონსულებად, რომლებიც თანამდებობას დაიკავებენ გენერალური გუბერნატორისათვის სასურველი ვადის განმავლობაში.

63. კონსტიტუციის დებულებები, რომლებიც ეხება საბჭოს გენერალურ გუბერნატორს, ეხება გენერალურ გუბერნატორს, რომელიც მოქმედებს ფედერალური აღმასრულებელი საბჭოს რჩევით.

64. გენერალურ გუბერნატორს შეუძლია დანიშნოს თანამდებობის პირები, რათა უხელმძღვანელონ საბჭოს გენერალური გუბერნატორის მიერ დაარსებულ თანამეგობრობის შტატის დეპარტამენტებს.

ასეთი თანამდებობის პირები თანამდებობას იკავებენ გენერალური გუბერნატორის სურვილის ვადით. ისინი არიან ფედერალური აღმასრულებელი საბჭოს წევრები, ასევე თანამეგობრობისათვის დედოფლის შტატის მინისტრები.

პირველი საყოველთაო არჩევნების შემდეგ, არცერთი შტატის მინისტრი არ დარჩება თანამდებობაზე სამ თვეზე ხანგრძლივი ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი გახდება სენატორი ან წარმომადგენელთა პალატის წევრი.

65. თუ პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, შტატის მინისტრთა რაოდენობა შვიდს არ უნდა აღემატებოდეს, რომლებიც თანამდებობას დაიკავებენ პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში — გენერალური გუბერნატორის მითითების მიხედვით.

66. შტატის მინისტრთა ხელფასებისთვის თანამეგობრობის გაერთიანებული საშემოსავლო ფონდიდან დედოფალს გადაეხდება წლიური თანხა, რომელიც თუ პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში თორმეტი ათას ფუნტს.

67. სანამ პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, თანამეგობრობის აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა სხვა თანამდებობის პირის დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების უფლებამოსილება აქვს საბჭოს გენერალურ გუბერნატორს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანამეგობრობის კანონის შესაბამისად, საბჭოს გენერალური გუბერნატორის მიერ თანამდებობის პირთა დანიშვნის უფლებამოსილება დელეგირებულია სხვა ორგანოსადმი.

68. თანამეგობრობის საზღვაო და სამხედრო ძალების ხელმძღვანელობას ახორციელებს გენერალური გუბერნატორი, როგორც დედოფლის წარმომადგენელი.

69. თანამეგობრობის დაარსების შემდეგ, გენერალური გუბერნატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში ყოველ შტატში თანამეგობრობას გადაეცემა საჯარო სამსახურის შემდეგი დეპარტამენტები:

- ფოსტები, ტელეგრაფები და ტელეფონები;
- საზღვაო და სამხედრო დაცვა;
- შუქურები და მცურავი შუქურები;
- კარანტინი.

ყოველი შტატის საბაჟო და საакციზო დეპარტამენტები თანამეგობრობას გადაეცემა მისი დაარსებისას.

70. კონსტიტუციის მიხედვით თანამეგობრობის აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის გადასაცემ საკითხებთან მიმართებაში, თანამეგობრობის დაარსებისას კოლონიის გუბერნატორისადმი მიკუთვნებული, ან მისი აღმასრულებელი საბჭოს რჩევით კოლონიის გუბერნატორის ან კოლონიის ნებისმიერი სხვა უწყებისადმი მიკუთვნებული ყველა უფლებამოსილება და ფუნქცია გადაეცემა გენერალურ გუბერნატორს, საბჭოს გენერალურ გუბერნატორს ან უწყებას, რომელიც როგორც საქმე მოითხოვს, თანამეგობრობაში ახორციელებს მსგავს ფუნქციას.

თავი III. სასამართლო ხელისუფლება

71. თანამეგობრობის სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ ფედერალური უზენაესი სასამართლო, რომელსაც ეწოდება ავსტრალიის უმაღლესი სასამართლო და ის სხვა სასამართლოები, რომლებსაც შექმნის პარლამენტი, ასევე — სხვა სასამართლოები, რომელთაც იგი დააარსებს ფედერალური იურისდიქციით.

უმაღლესი სასამართლო შედგება თავმჯდომარისა და სხვა მოსამართლეებისაგან, რომელთა რიცხვი არ უნდა იყოს ორზე ნაკლები, როგორც ამას პარლამენტი განსაზღვრავს.

72. უმაღლესი სასამართლოსა და პარლამენტის მიერ შექმნილი სასამართლოების მოსამართლეები:

I. ინიშნებიან საბჭოს გენერალური გუბერნატორის მიერ;

II. თავისუფლდებიან მხოლოდ საბჭოს გენერალური გუბერნატორის მიერ, ერთსა და იგივე სესიაზე პარლამენტის ორივე პალატის მიერ მიმართვის შედეგად, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს დადასტურებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობას;

III. იღებენ პარლამენტის მიერ დანიშნულ ანაზღაურებას; მაგრამ არ შეიძლება ამ ანაზღაურების შემცირება მათ მიერ უფლებამოსილების განხორციელების განმავლობაში.

უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის დანიშვნა მოხდება მის მიერ სამოცდაათი წლის მიღწევამდე და არ შეიძლება მოსამართლედ იმ პირის დანიშვნა, რომელმაც უკვე მიაღწია სამოცდაათ წელს. პარლამენტის მიერ შექმნილი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის ვადა ამოიწურება მისი დანიშვნის დროს სასამართლოში არსებული მოსამართლეების მაქსიმალური ასაკის მიღწევისას და არ შეიძლება პირის ასეთი სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნა, თუ მას მიღწეული აქვს ამ სასამართლოს მოსამართლეთა მაქსიმალური ასაკისათვის.

ამ მუხლის მიხედვით, პარლამენტის მიერ შექმნილი სასამართლოების მოსამართლეთა მაქსიმალური ასაკი სამოცდაათი წელია.

პარლამენტს შეუძლია მიიღოს კანონი, რომელიც პარლამენტის მიერ შექმნილი სასამართლოს მოსამართლის მაქსიმალურ ასაკად დააწესებს სამოცდაათ წელზე ნაკლებს და უფლებამოსილი იქნება, ნებისმიერ დროს შეიტანოს ცვლილება ამ კანონში, მაგრამ ასეთი ცვლილება გავლენას არ მოახდენს იმ მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის ვადაზე, რომლის დანიშვნა მოხდა ასეთი ცვლილების შეტანამდე.

უმაღლესი სასამართლოსა და პარლამენტის მიერ შექმნილი სასამართლოს მოსამართლეს შეუძლია დაკავებული თანამდებობიდან გადადგეს გენერალური გუბერნატორისადმი წერილობითი მიმართვით.

კონსტიტუციის 1977 წლის ცვლილებით (მოსამართლეთა პენსიაზე გასვლა) ამ პუნქტისადმი დამატებული დებულებები გავლენას არ მოახდენს იმ მოსამართლის მიერ თანამდებობრივი უფლებამოსილების გაგრძელებაზე, რომელიც თანამდებობაზე დაინიშნა ასეთი დებულებების შემუშავებამდე.

ამ პუნქტში უმაღლესი სასამართლოს ან პარლამენტის მიერ შექმნილი სასამართლოს მოსამართლის დანიშვნაზე მითითება ასევე მოიცავს მითითებას იმ პირის დანიშვნაზე, რომელსაც უკავია უმაღლესი სასამართლოს ან პარლამენტის მიერ შექმნილი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა იმგვარივე სასამართლოში, რომელსაც გააჩნია სხვა სტატუსი ან სახელწოდება.

73. უმაღლესი სასამართლოს იურისდიქცია განისაზღვრება პარლამენტის მიერ დადგენილი შეზღუდვებითა და წესებით, რათა მოისმინოს და გადაწყვიტოს აპელაციები განაჩენებზე, დეკრეტებზე, ბრძანებებსა და სასჯელებზე, რომლებიც ეკუთვნის:

I. უმაღლესი სასამართლოს იურისდიქციის განმახორციელებელ მოსამართლეს ან მოსამართლეებს;

II. რომელიმე ფედერალურ სასამართლოს ან ფედერალური იურისდიქციის განმახორციელებელ სასამართლოს ან რომელიმე შტატის უზენაესი სასამართლოს იურისდიქციას ან ნებისმიერი შტატის სხვა რომელიმე სასამართლოს იურისდიქციას, რომლიდანაც თანამეგობრობის დაარსების დროს დედოფლის სახელზე საბჭოში შეტანილია აპელაცია;

III. აგრეთვე შტატის შიდა კომისიას მხოლოდ სამართლის საკითხებთან მიმართებით.

უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა ამ საქმეზე იქნება საბოლოო.

მაგრამ პარლამენტის მიერ დადგენილი არც ერთი გამონაკლისი თუ წესი ხელს არ შეუშლის უმაღლეს სასამართლოს, მოისმინოს და გადაწყვიტოს შტატის უზენაესი სასამართლოს საქმიანობიდან გამომდინარე ნებისმიერი აპელაცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებზედაც თანამეგობრობის დაარსებისას ასეთი სასამართლოდან აპელაცია საბჭოში შეტანილია დედოფლის სახელზე.

სანამ პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, სხვადასხვა შტატების უზენაესი სასამართლოებიდან საბჭოში დედოფლის სახელზე გაგზავნილი აპელაციე-

ბისათვის გათვალისწინებული პირობები და შეზღუდვები ასევე გამოიყენება მათგან უმაღლეს სასამართლოში შეტანილ აპელაციებზე.

74. საბჭოში დედოფლის სახელზე არ დაიშვება აპელაცია უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, განურჩევლად საკითხის წარმომაელობისა, რომლებიც წარმოიშობა თანამეგობრობისა და ნებისმიერი შტატის ან შტატების კონსტიტუციურ უფლებამოსილებებს შორის ან ნებისმიერი ორი ან მეტი შტატის კონსტიტუციურ უფლებამოსილებებს შორის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უმაღლესი სასამართლო დაადასტურებს, რომ საკითხი უნდა გადაწყვიტოს მისმა უდიდებულესობამ საბჭოში.

უმაღლესი სასამართლო ამ დასტურს გასცემს იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდება, რომ რომელიმე განსაკუთრებული მიზეზის გამო უნდა გაიცეს სერთიფიკატი, ამის შემდეგ მისი უდიდებულესობა საბჭოში აპელაციას მიიღებს ზედმეტი დაყოვნების გარეშე.

გარდა ამ პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევისა, ეს კონსტიტუცია არ ზღუდავს დედოფალს, განახორციელოს თავისი სამეფო პრეროგატივიდან გამომდინარე უფლება და საბჭოში მის უდიდებულესობას მიანიჭოს უმაღლესი სასამართლოდან მის სახელზე შეტანილ აპელაციათა განხილვის სპეციალური ნებართვა. პარლამენტს შეუძლია მიიღოს კანონები, რომლებიც შეზღუდავს იმ საკითხებს, რომლებზედაც შესაძლებელი იქნება ასეთი ნებართვის მოთხოვნა, მაგრამ ასეთი შეზღუდვების შემცველი კანონპროექტები ინახება გენერალური გუბერნატორის მიერ მისი უდიდებულესობის ნებისათვის.

75. უმაღლეს სასამართლოს იურისდიქცია გააჩნია ნებისმიერ საკითხზე, რომელიც:

I. გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან;

II. შეეხება სხვა სახელმწიფოთა კონსულებს ან სხვა წარმომადგენლებს;

III. ეხება საკითხს, რომელშიც მონაწილეობს თანამეგობრობა ან პირი, რომელსაც შეაქვს სარჩელი ან რომლის მიმართაც შეტანილია სარჩელი თანამეგობრობის სახელით;

IV. შეეხება შტატებს შორის ან სხვადასხვა შტატების მოქალაქეთა შორის ან შტატისა და სხვა შტატის მოქალაქეს შორის არსებულ რაიმე საკითხს;

V. ეხება თანამეგობრობის თანამდებობის პირის წინააღმდეგ მისი გადაწყვეტილების შესრულების შესახებ სასამართლოს ბრძანების, პრობაციის ან ამკრძალავი ნორმის მოთხოვნას.

76. პარლამენტს შეუძლია მიიღოს კანონები, რომლებიც უმაღლეს სასამართლოს იურისდიქციას მიანიჭებს იმ საკითხებზე, რომლებიც:

I. გამომდინარებს კონსტიტუციიდან ან ეხება მის ინტერპრეტაციას;

II. გამომდინარეობს პარლამენტის მიერ მიღებული ნებისმიერი კანონიდან;

III. გამომდინარეობს სამხედრო-საზღვაო ან საზღვაო იურისდიქციიდან;

IV. ეხება სხვადასხვა შტატის მიერ მოწესრიგებულ ერთსა და იმავე საკითხს.

77. უკანასკნელ ორ პუნქტში აღნიშნულ ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში პარლამენტს შეუძლია კანონების მიღება, რომლებიც:

I. განსაზღვრავს უმაღლესი სასამართლოსაგან განსხვავებული ნებისმიერი ფედერალური სასამართლოს იურისდიქციას;

II. განსაზღვრავს ხარისხს, თუ რამდენად იქნება ნებისმიერი ფედერალური სასამართლოს იურისდიქცია ექსკლუზიური იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებითაც აღჭურვილია შტატების სასამართლოები.

78. პარლამენტი მიიღებს კანონებს, რომლებიც სასამართლო ხელისუფლების განსჯად საკითხებზე შესაძლებელს გახდის თანამეგობრობის ან შტატის წინააღმდეგ საქმეთა განხილვას.

79. ნებისმიერი სასამართლოს ფედერალური იურისდიქცია შეიძლება განხორციელდეს პარლამენტის მიერ დადგენილი მოსამართლეთა რაოდენობის მიერ.

80. თანამეგობრობის კანონის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი დანაშაულის შესახებ სასამართლო იმ შტატში გაიმართება, რომელშიც ჩადენილ იქნა დანაშაული, ხოლო თუ დანაშაული არ განხორციელებულა არც ერთ შტატში, სასამართლო გაიმართება იმ ადგილას ან ადგილებში, რომლებსაც განსაზღვრავს პარლამენტი.

თავი IV. ფინანსები და ვაჭრობა

81. თანამეგობრობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოზიდული და მიღებული ყველა შემოსავალი და ფული შეადგენს ერთიან კონსოლიდირებულ საშემოსავლო ფონდს, რომელიც ამ კონსტიტუციით განსაზღვრული ხარჯებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისად თანამეგობრობის მიზნებისათვის იქნება გამოყოფილი.

82. კონსოლიდირებული საშემოსავლო ფონდის მიღებასთან, მართვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯები შეადგენს პირველად დანახარჯს; თანამეგობრობის შემოსავალი, უპირველეს ყოვლისა, გამოყენებულ იქნება თანამეგობრობის ხარჯების დასაფარავად.

83. თანამეგობრობის ხაზინიდან არ შეიძლება თანხის გატანა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გამოყოფილია კანონის შესაბამისად. მაგრამ პარლამენტის პირველი შეკრებიდან ერთი თვის ამოწურვამდე საბჭოს გენერალურ გუ-

ბერნატორს შეუძლია ხაზინიდან გაიტანოს თანხა, რომელიც საჭიროა თანამეგობრობისათვის გადაცემული ნებისმიერი დეპარტამენტისათვის და პარლამენტის პირველი არჩევნების ჩასატარებლად.

84. როდესაც შტატის საჯარო სამსახურის რომელიმე დეპარტამენტი გადაეცემა თანამეგობრობას, დეპარტამენტის ყველა თანამდებობის პირი დაექვემდებარება თანამეგობრობის აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლს.

ყველა ის თანამდებობის პირი, რომელიც არ დარჩება თანამეგობრობის სამსახურში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის დანიშნულია სხვა თანამდებობაზე იმავე ანაზღაურებით, უფლებამოსილი იქნება, შტატისგან მიიღოს პენსია, დახმარება ან სხვა სახის კომპენსაცია, რომელსაც მას გადაუხდიან კანონის შესაბამისად მისი თანამდებობის გაუქმების საფუძველზე.

ნებისმიერ თანამდებობის პირს, რომელიც თანამეგობრობის დაარსებისას არის შტატის საჯარო სამსახურში და რომელიც, აღმასრულებელი საბჭოს რჩევის საფუძველზე შტატის გუბერნატორის თანხმობით გადაყვანილია თანამეგობრობის საჯარო სამსახურში, ექნება იგივე უფლებები, რომლებიც მას ექნებოდა, თუ იქნებოდა თანამეგობრობისათვის გადაცემული დეპარტამენტის თანამდებობის პირი და შეინარჩუნა თავისი თანამდებობა თანამეგობრობაში.

ყველა თანამდებობის პირი, რომელიც თანამეგობრობაში შეინარჩუნებს თანამდებობას, ასევე შეინარჩუნებს თავის ყველა უფლებას და უფლებამოსილი იქნება ისეთ დროს გადადგეს თანამდებობიდან და ისეთი პენსია და საპენსიო დახმარება მიიღოს, რომელსაც იგი მიიღებდა შტატის კანონის საფუძველზე, თუ მისი თანამეგობრობაში სამსახური ჩაითვლებოდა შტატში სამსახურად. ასეთ პენსიასა და საპენსიო დახმარებას მას გადაუხდის თანამეგობრობა; ამასთან, შტატი თანამეგობრობას გადაუხდის ამ თანამდებობის პირისათვის ასანაზღაურებელი თანხის ნახევარს, რომელიც გამოითვლება ამ პირის შტატში სამსახურის ვადის მსახურის მთლიან ხანგრძლივობასთან პროპორციულად. ხელფასის რაოდენობის გამოანგარიშების მიზნით მხედველობაში მიიღება თანხა, რომელსაც თანამდებობის პირი შტატისგან თანამეგობრობაში გადასვლის დროს იღებდა.

85. როდესაც შტატის საჯარო სამსახურის რომელიმე დეპარტამენტი გადაეცემა თანამეგობრობას:

I. ყველა ის საკუთრება, რომელიც ამ დეპარტამენტთან მიმართებაში გამოიყენება, გადაეცემა თანამეგობრობას; მაგრამ იმ დეპარტამენტების საკუთრება, რომლებიც საბაჟოს, აქციზებსა და სუბსიდიებს აკონტროლებენ, თანამეგობრობას გადაეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს გენერალური გუბერნატორი გამოაცხადებს ამის საჭიროების შესახებ;

II. თანამეგობრობას შეუძლია შეიძინოს შტატის ნებისმიერი ქონება, რომელიც გამოიყენებოდა არა მხოლოდ დეპარტამენტებთან მიმართებაში; თუ შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია, საფასურის გამოთვლა შეძლებისდაგვარად უნდა მოხდეს, იმგვარად, როგორც თანამეგობრობის დაარსებისას შტატში მოქმედი კა-

ნონით გამოითვლებოდა მიწის საფასური ან შტატის მიერ საჯარო მიზნებისათვის აღებულ მიწაზე პროცენტი;

III. თანამეგობრობა აანაზღაურებს ამ მუხლით თანამეგობრობისათვის გადაცემული ყველა საკუთრების საფასურს; თუ არ იქნა მიღწეული შეთანხმება კომპენსაციის ფორმის შესახებ, იგი განისაზღვრება პარლამენტის მიერ მიღებული კანონების მიხედვით;

IV. თანამეგობრობა, მისთვის დეპარტამენტის გადაცემისას, თავის თავზე იღებს გადაცემული დეპარტამენტის მიმართ არსებულ შტატის ვალდებულებებს.

86. თანამეგობრობის დაარსებისას, საბაჟოსა და აქციზების მოკრეფის, ვალდებულებათა კონტროლისა და სუბსიდიათა გადახდის კონტროლის უფლებამოსილება გადაეცემა თანამეგობრობის აღმასრულებელ ხელისუფლებას.

87. თანამეგობრობის დაარსების შემდეგ ათი წლის განმავლობაში და შემდეგ, სანამ პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, საბაჟო და სააქციზო ვალდებულებებიდან გამომდინარე, თანამეგობრობის შემოსავლების არა უმეტეს ერთ მეოთხედს თანამეგობრობა გამოიყენებს ყოველწლიურად თავისი დანახარჯების მიმართ.

ამ კონსტიტუციის შესაბამისად, ბალანსი გადაეხდება სხვადასხვა შტატებს ან მოხმარდება თანამეგობრობის მიერ შტატებისგან აღებული ვალის პროცენტის დაფარვას.

88. თანამეგობრობის დაარსებიდან ორი წლის განმავლობაში დაწესებულ იქნება ერთიანი საბაჟო ვალდებულებები.

89. ერთიანი საბაჟო ვალდებულებების დაწესებამდე:

I. თანამეგობრობა თითოეულ შტატს კრედიტის სახით მისცემს თანამეგობრობის მიერ მოკრეფილ შემოსავლებს;

II. თანამეგობრობა თითოეული შტატისათვის მოახდენს შემდეგის დებიტირებას:

ა) შტატიდან თანამეგობრობისათვის გადაცემული დეპარტამენტის შენახვის ან არსებობისათვის გადაცემის მომენტისას საჭირო თანამეგობრობის ხარჯების;

ბ) შტატის პროპორციულობის, მისი მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, თანამეგობრობის სხვა ხარჯებში.

III. თანამეგობრობა თითოეულ შტატს მის სასარგებლოდ ყოველთვიურად გადაუხდის ბალანს (თუ ასეთი იქნება).

90. პარლამენტის უფლებამოსილება, დააწესოს საბაჟო და სააქციზო ვალდებულებები და მიანიჭოს სუბსიდიები საქონლის წარმოებაზე ან ექსპორტზე, ერთიანი საბაჟო ვალდებულებების დაწესებისას გახდება ექსკლუზიური.

ერთიანი საბაჟო ვალდებულებების დაწესებისას, სხვადასხვა შტატში მოქმედი კანონები, რომლებიც აწესებს საბაჟო ან სააქციზო ვალდებულებებს, ან სთავაზობს სუბსიდიებს საქონლის წარმოებასა და ექსპორტზე, ძალადაკარგულად ჩაითვლება, მაგრამ ნებისმიერი სუბსიდიის მინიჭება ან ასეთ სუბსიდიაზე შეთანხმება, რომელიც კანონიერად განხორციელდა შტატის მთავრობის მიერ ან მისი უფლებამოსილების ქვეშ, მოქმედად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ეს განხორციელდა ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტი წლის ივნისის ოცდამეათე დღეს, და არა სხვა შემთხვევაში.

91. ამ კონსტიტუციით შტატი უფლებამოსილია გაიღოს დახმარება ან სუბსიდია ოქროს, ვერცხლის ან სხვა მეტალის საძიებლად, ასევე, რეზოლუციით გამოხატული პარლამენტის ორივე პალატის თანხმობის საფუძველზე გაიღოს საქონლის წარმოებისა და ექსპორტისათვის დახმარება ან სუბსიდია.

92. ერთიანი საბაჟო ვალდებულებების დაწესებისას, ვაჭრობა და შტატებს შორის შიდა ტრანსპორტის ან საოკეანო ნავიგაციის საშუალებით მიმოსვლა, სრულიად თავისუფალი იქნება.

მაგრამ ამ კონსტიტუციის ნებისმიერი დებულების მიუხედავად, ნებისმიერ შტატში ან იმ ნებისმიერ კოლონიაში, რომელიც იმ დროს, როდესაც საქონელი რჩება მის ტერიტორიაზე, ერთიანი საბაჟო ვალდებულებების დაწესებამდე გახდება შტატი, ასეთი ვალდებულებების დაწესებიდან ორი წლის განმავლობაში იმპორტირებული საქონლის სხვა შტატში გადატანის შემთხვევაში, იგი დაექვემდებარება თანამეგობრობაში ასეთი საქონლის იმპორტირებისათვის დაწესებულ გადასახადზე ნაკლების გადახდევინებას.

93. ერთიანი საბაჟო გადასახადების დაწესებიდან ხუთი წლის განმავლობაში და შემდგომ, სანამ პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს:

I. ვალდებულებები, რომლებიც გათვალისწინებულია ერთ შტატში იმპორტირებული და შემდეგ, სხვა შტატში გადატანილი საქონლისათვის და სააქციზო ვალდებულებები, რომლებიც გადაიხდება საქონელზე, რომელიც წარმოებული ან დამზადებულია ერთ შტატში და შემდეგ მოხმარებისათვის გადატანილია სხვა შტატში, ჩაითვლება, რომ მიღებულ იქნა არა პირველ, არამედ მეორე შტატში;

II. ერთიანი საბაჟო ვალდებულებების დაწესებიდან ხუთი წლის შემდეგ, პარლამენტმა, იმ საფუძველზე, რომელსაც იგი სამართლიანად მიიჩნევს, შეიძლება გაითვალისწინოს სხვადასხვა შტატისათვის თანამეგობრობის ზედმეტი შემოსავლის ყოველთვიური გადახდა.

94. ერთიანი საბაჟო და სააქციზო ვალდებულებების დაწესებიდან ხუთი წლის შემდეგ, სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, პარლამენტს შეუძლია თანამეგობრობის ყოველი ჭარბი შემოსავლიდან დაადგინოს სხვადასხვა შტატებისათვის ყოველთვიური თანხის გადახდის ვალდებულება.

95. ამ კონსტიტუციის ნებისმიერი დებულების მიუხედავად, დასავლეთ ავსტრალიის შტატის პარლამენტს, თუ ეს შტატი თავდაპირველი შტატია, შეუძლია ერთიანი საბაჟო ვალდებულებების დაწესებიდან ხუთი წლის განმავლობაში დააწესოს საბაჟო ვალდებულებები იმ საქონელზე, რომლებიც შევა ამ შტატში და რომლებიც არ არის იმპორტირებული თანამეგობრობის საზღვრებს მიღმა ტერიტორიებიდან. ამ ვალდებულებების განხორციელება უზრუნველყოფილ იქნება თანამეგობრობის მიერ.

მაგრამ ნებისმიერ საქონელზე ამგვარად დაწესებულმა ნებისმიერმა ვალდებულებამ ამ წლებიდან პირველ წელიწადს არ უნდა გადააჭარბოს იმ ვალდებულებას, რომელიც დაწესებულია საქონელზე დასავლეთ ავსტრალიის კანონის საფუძველზე და რომელიც მოქმედებს ერთიანი ვალდებულებების დაწესებისას; ასევე მან არ უნდა გადააჭარბოს ამ წლებიდან მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე წლების მიხედვით ამ უკანასკნელი ვალდებულების ოთხ-მეხუთედს, სამ-მეხუთედს, ორ-მეხუთედსა და ერთ-მეხუთედს; ამ მუხლის მიხედვით დაწესებული ყველა ვალდებულება შეწყდება ერთიანი ვალდებულებების დაწესებიდან მეხუთე წლის შემდეგ.

თუ ხუთი წლის მანძილზე ნებისმიერ დროს ამ მუხლის მიხედვით ნებისმიერი საქონლისათვის გათვალისწინებული ვალდებულება უფრო მაღალია, ვიდრე იგივე საქონლის იმპორტირებისათვის თანამეგობრობის მიერ დაწესებული ვალდებულება, მაშინ ამ უფრო მაღალი ვალდებულების შესრულება მოხდება საქონლით, რომლის იმპორტირებაც ხდება დასავლეთ ავსტრალიაში თანამეგობრობის საზღვრებს მიღმა ტერიტორიებიდან.

96. თანამეგობრობის დაარსებიდან ათი წლის განმავლობაში და შემდგომ, ვიდრე პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, პარლამენტს შეუძლია ნებისმიერ შტატს გაუწიოს ფინანსური დახმარება იმ პირობების საფუძველზე, რომლებსაც თავად მიიჩნევს მიზანშეწონილად.

97. სანამ პარლამენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, იმ კოლონიაში მოქმედი კანონები, რომელიც გახდა ან გახდება ის შტატი, რომელიც კოლონიის მთავრობის ანგარიშზე მიიღებს შემოსავალსა და ხარჯებს, ასევე ამ შემოსავლისა და ხარჯების გადასინჯვა და აუდიტი, გამოიყენება შტატში თანამეგობრობის ანგარიშზე შემოსავლისა და ხარჯების მიღების მიმართ, ასევე, თუ თანამეგობრობის თანამდებობის პირი ან მთავრობა, აღნიშნული იქნებოდა ყველა იმ ადგილას, სადაც მოხსენიებულია კოლონიის თანამდებობის პირი ან მთავრობა.

98. პარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილება ვაჭრობის მიმართ ასევე ვრცელდება ნავიგაციასა და საქონლის ზღვით გადაზიდვაზე, ასევე ნებისმიერი შტატის საკუთრებაში მყოფ რკინიგზებზე.

99. თანამეგობრობა ვაჭრობის, კომერციის ან შემოსავლების არც ერთი კანონით ან წესით არ მიანიჭებს უპირატესობას არც ერთ შტატს ან მის რომელიმე ნაწილს სხვა შტატთან ან მის რომელიმე ნაწილთან მიმართებაში.

100. თანამეგობრობა ვაჭრობის ან კომერციის შესახებ არც ერთი კანონით ან წესით არ შეზღუდავს შტატის ან მასში მცხოვრებთა უფლებას, კონსერვაციისა და ირიგაციისათვის მიზნობრივად გამოიყენონ მდინარის წყლები.

101. შიდა საშტატო კომისია შეიქმნება იმ შესაბამისი უფლებამოსილებებითა და ადმინისტრაციით, რომელსაც პარლამენტი მიიჩნევს საჭიროდ თანამეგობრობის ფარგლებში ვაჭრობისა და კომერციის შესახებ კონსტიტუციის დებულებათა და მათ შესაბამისად მიღებული კანონების აღსრულებისა და შენარჩუნებისათვის.

102. ვაჭრობასა და კომერციასთან მიმართებაში პარლამენტს შეუძლია კანონით აკრძალოს შტატის ან შტატის ფარგლებში არსებული რომელიმე ორგანოს მიერ რკინიგზებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის უპირატესობის მინიჭება ან დისკიმინაცია, თუ ისინი შეუსაბამოა და არ არის მიზანშეწონილი ან უსამართლოა რომელიმე შტატის მიმართ; მხედველობაში მიიღება შტატის მიერ თავისი რკინიგზების მშენებლობასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებები. მაგრამ ამ პუნქტით განსაზღვრული მნიშვნელობით, უპირატესობის მინიჭება და დისკრიმინაცია არ იქნება მიჩნეული ნებისმიერი შტატის მიმართ შეუსაბამოდ, მიზანშეუწონლად და უსამართლოდ, თუ ამის შესახებ გადაწყვეტილებას არ მიიღებს შიდა საშტატო კომისია.

103. შიდა საშტატო კომისიის წევრები:

I. დაინიშნებიან საბჭოს გენერალური გუბერნატორის მიერ;

II. თანამდებობას დაიკავებენ შვიდი წლის ვადით. თუმცა, შესაძლებელი იქნება მათი თანამდებობიდან გადაყენება პარლამენტის ერთსა და იმავე სესიაზე ორივე პალატის მიერ წარმოდგენილი მიმართვით, რომლითაც თანამდებობიდან გადაყენების საფუძვლად მითითებული იქნება კომისიის წევრის დამტკიცებული უკანონობა ან ქმედუუნარობა;

III. მიიღებენ პარლამენტის მიერ განსაზღვრულ ანაზღაურებას; და მათი თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში ეს ანაზღაურება არ შეიძლება შემცირდეს.

104. ამ კონსტიტუციის არც ერთი დებულებით უკანონოდ არ მიიჩნევა არც ერთი გადასახადი, რომელიც დაწესებულია შტატის საკუთრებაში არსებული რკინიგზით საქონლის გადაზიდვისათვის, თუ გადასახადი შიდა საშტატო კომისიის მიერ მიჩნეულია შტატის ტერიტორიის განვითარებისათვის აუცილებლად, და თუ ეს გადასახადი თანაბრად გამოიყენება, როგორც შტატის შიგნით არსებული, ისე იმ საქონლის მიმართ, რომელიც შტატში სხვა შტატიდან შემოდის.

105. პარლამენტს უფლება აქვს შტატების მოსახლეობის შესაბამისი რაოდენობის მიხედვით შეცვალოს ამ შტატების საჯარო ვალები ან მათი ნაწილი, რაც დაეფუძნება თანამეგობრობის უკანასკნელ სტატისტიკურ მონაცემებს. ასევე შეუძლია შეცვალოს, განაახლოს ან გააერთიანოს ეს ვალები ან მათი რომელიმე ნაწილი; შტატები აუნაზღაურებენ თანამეგობრობას შეცვლილ ვალებს, ხოლო ვალებთან დაკავშირებული პროცენტი გაიქვითება ან შენარჩუნდება სხვადასხვა შტატისათვის გადასახდელი თანამეგობრობის შემოსავლის გადაჭარბებული ნაწილიდან, ხოლო თუ ეს გადაჭარბებული ნაწილი არ აღმოჩნდა საკმარისი ან თუ არ არსებობს გადაჭარბება, დეფიციტის ან მთლიანი თანხის გადახდა მოხდება სხვადასხვა შტატის მიერ.

105.* 1. თანამეგობრობას შეუძლია შტატებთან დადოს შეთანხმება მათ საჯარო ვალებთან დაკავშირებით, რაც მოიცავს:

ა) თანამეგობრობის მიერ ამ ვალების შეცვლას;

ბ) ამ ვალების მართვას;

გ) პროცენტის გადახდას და ასეთ ვალებთან დაკავშირებული გაუფასურებული თანხების უზრუნველყოფასა და მართვას;

დ) ასეთი ვალების გაერთიანებას, განახლებას, კონვერსიასა და გამოსყიდვას;

ე) შტატების ან თანამეგობრობის მიერ სესხის აღებას, ასევე თანამეგობრობის მიერ შტატებისათვის სესხის აღებას.

2. პარლამენტს შეუძლია მიიღოს კანონები, რომლებიც აღიარებს ამ პუნქტის ამოქმედებამდე დადებული შეთანხმებების ნამდვილობას.

3. პარლამენტს შეუძლია მიიღოს კანონები მხარეების მიერ ამ შეთანხმებათა შესრულების მიზნით.

4. მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერი ასეთი შეთანხმების შეცვლა ან გაუქმება.

5. ნებისმიერი ასეთი შეთანხმება თუ ცვლილება შესასრულებლად სავალდებულოა თანამეგობრობისა და მისი წევრი შტატებისათვის ამ კონსტიტუციის ან სხვა შტატების კონსტიტუციების ნებისმიერი დებულების, ან თანამეგობრობის ან შტატების კანონების დებულებათა მიუხედავად.

6. ამ მუხლით მინიჭებული რომელიმე უფლებამოსილება არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ამ კონსტიტუციის ას მეხუთე მუხლით შეზღუდული.

თავი V. შტატები

106. ამ კონსტიტუციის მიხედვით, თანამეგობრობის თითოეული შტატის კონსტიტუცია ძალაში დარჩება თანამეგობრობის დაარსების, შტატის აღიარების ან დაარსებიდან გამომდინარე, სანამ არ შეიცვლება შტატის კონსტიტუციის საფუძველზე.

107. იმ კოლონიის პარლამენტის ნებისმიერი უფლებამოსილება, რომელიც გახდა ან გახდება შტატი, ძალაში დარჩება, როგორც თანამეგობრობის დაარსების, ისე შტატის აღიარების ან დაარსების კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უფლებამოსილება ამ კონსტიტუციის საფუძველზე განეკუთვნება თანამეგობრობის განსაკუთრებულ გამგებლობას ან ამოღებულია შტატის პარლამენტის უფლებამოსილებებიდან.

108. იმ კოლონიის ნებისმიერი მოქმედი კანონი, რომელიც გახდა ან გახდება შტატი, რომელიც ამ კონსტიტუციის მიხედვით ეხება პარლამენტის უფლებამოსილებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხს, ძალაში დარჩება ამ შტატისათვის; და სანამ თანამეგობრობის პარლამენტი ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღებს დებულებას, შტატის პარლამენტი უფლებამოსილი ექნება, შეცვალოს ან გააუქმოს ამ კოლონიის პარლამენტის მიერ შტატის სტატუსის მიკუთვნებამდე მიღებული კანონი.

109. თუ შტატის კანონი არ შეესაბამება თანამეგობრობის კანონს, ამ უკანასკნელს ენიჭება უპირატესობა, ხოლო შტატის კანონის ის ნაწილი, რომელიც თანამეგობრობის კანონს არ შეესაბამება, ძალადაკარგულად ითვლება.

110. შტატის გუბერნატორის შესახებ კონსტიტუციის დებულებები ვრცელდება და გამოიყენება შტატის მთავრობის ან სხვა აღმასრულებელი თანამდებობის პირის თუ ადმინისტრატორის მიმართ.

111. შტატის პარლამენტს შეუძლია შტატის ნებისმიერი ნაწილი დაუქვემდებაროს თანამეგობრობას და, შესაბამისად, ამ დაქვემდებარებით შტატის ამ ნაწილზე გავრცელდება თანამეგობრობის ექსკლუზიური იურისდიქცია.

112. ერთიანი საბაჟო ვალდებულებების დაწესების შემდეგ შტატს შეუძლია იმპორტზე, ექსპორტზე და შტატში შემავალ და შტატიდან გამავალ საქონელზე დააწესოს ის გადასახადები, რომლებიც საჭირო იქნება შტატის საინსპექციო კანონების აღსასრულებლად; ყველა ამგვარი გადასახადის ერთობლიობა გამოიყენება თანამეგობრობის სასარგებლოდ; ნებისმიერი ასეთი საინსპექციო კანონის გაუქმება შესაძლებელია თანამეგობრობის პარლამენტის მიერ.

113. ყველა ფერმენტირებული, დისტილირებული ან ინტოქსიკაციური სითხეები, რომლებიც შედის შტატში ან რჩება გამოსაყენებლად, შესყიდვებისათვის, გასაყიდად ან შესანახად, ექვემდებარება შტატის კანონებს, ამ შტატში დამზადებული სითხეების მსგავსად.

114. თანამეგობრობის პარლამენტის თანხმობის გარეშე შტატს უფლება არა აქვს შექმნას და შეინარჩუნოს ნებისმიერი სახის საზღვაო თუ სამხედრო ძალა,

ასევე თანამეგობრობის საკუთრებაზე დააწესოს რაიმე სახის გადასახადი, ხოლო თანამეგობრობას უფლება არა აქვს დააწესოს შტატის საკუთრებაზე რაიმე სახის გადასახადი.

115. შტატს უფლება არა აქვს მოჭრას ფული ან ვალების დასაფარავად დადგინოს რაიმე სხვა საშუალება, ოქროსა და ვერცხლის მონეტების გარდა.

116. თანამეგობრობას უფლება არა აქვს მიიღოს კანონი რომელიმე რელიგიის აღიარების ან მისი სავალდებულო სამსახურის ან აღმსარებლობის თავისუფლების აკრძალვის მიზნით, ასევე რელიგიური კუთვნილების კრიტერიუმი არ გამოიყენება თანამეგობრობაში რომელიმე თანამდებობის მიღების ან საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად.

117. ნებისმიერი შტატის მოქალაქე დედოფლის ქვეშევრდომი არ შეიძლება სხვა შტატში გახდეს ისეთი დისკრიმინაციის ობიექტი, რომელიც მასზე არ გავრცელდებოდა, თუ იგი სხვა შტატის მოქალაქე დედოფლის ქვეშევრდომი იქნებოდა.

118. ყოველი შტატის კანონს, საჯარო აქტებსა და ჩანაწერებს, ასევე სასამართლო პროცესებს თანამეგობრობის მასშტაბით ენიჭება სრული ნდობა და აღიარება.

119. თანამეგობრობა ყოველ შტატს დაიცავს დაპყრობისაგან, ხოლო შტატის აღმასრულებელ ხელისუფლებას – შიდა არეულობისაგან.

120. ყოველი შტატი მიიღებს დებულებებს თავის ციხეებში იმ პირთა დასაკავებლად, რომლებიც ეჭვმიტანილნი ან ბრალდებულნი არიან თანამეგობრობის კანონთა დარღვევისათვის და ასეთ დანაშაულებში ბრალდებულ პირთა დასასჯელად, ხოლო თანამეგობრობის პარლამენტი მიიღებს კანონებს ამ დებულებების ძალაში შესვლის მიზნით.

თავი VI. ახალი შტატები

121. პარლამენტის უფლებამოსილებაში შედის თანამეგობრობაში ახალი შტატის მიღება ან დაარსება, ასევე მათთვის, თავისი შეხედულებისამებრ, პირობების დაწესება, მათ შორის, პარლამენტის თითოეულ პალატაში წარმომადგენლობის განსაზღვრა.

122. პარლამენტს შეუძლია მიიღოს კანონები ნებისმიერი ტერიტორიის მთავრობის შესახებ, რომელიც შეუერთდება რომელიმე შტატს ან მიღებულ იქ-

ნება თანამეგობრობის მიერ ან რომელზეც დედოფალი დააწესებს თანამეგობრობის ხელისუფლებას, რომელიც სხვა გზით იქნება მიღებული თანამეგობრობაში. ასევე, პარლამენტს შეუძლია ნება დართოს ასეთ ტერიტორიებს, ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლობა პარლამენტის თითოეულ პალატაში იმ პირობითა და ვადით, რომლებსაც იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს.

123. თანამეგობრობის პარლამენტს, შტატის პარლამენტისა და შტატის იმ ამომრჩევლების თანხმობით, რომლებიც კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში მონაწილეობენ კენჭისყრაში, შეუძლია გაზარდოს, შეამციროს ან სხვაგვარად შეცვალოს შტატში არსებული საზღვრები იმ პირობითა და ვადით, რომლებზეც მოხდება შეთანხმება, ხოლო შესაბამისი თანხმობის არსებობის საფუძველზე, შეუძლია მიიღოს დებულებები, რომლებიც შეეხება კონკრეტულ შტატთან დაკავშირებული ტერიტორიის ნებისმიერ გაფართოებას, შემცირებას ან შეცვლას.

124. ახალი შტატი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ პარლამენტის თანხმობით შტატიდან ტერიტორიის გამოყოფით, ორი ან მეტი შტატის ან შტატის ნაწილების გაერთიანებით, მაგრამ მხოლოდ ამ შტატების პარლამენტების თანხმობით.

თავი VII. გარდამავალი დებულებები

125. თანამეგობრობის მთავრობის ადგილსამყოფელს განსაზღვრავს პარლამენტი, რომელიც ადგილს დაიკავებს ახალი სამხრეთ ეულსის შტატში, სიდნეიდან არანაკლებ ასი მილის მანძილზე, იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელიც უბოძეს ან მოიპოვა თანამეგობრობამ და ეკუთვნის მას. ეს ტერიტორია არ უნდა იყოს ას კვადრატულ მილზე ნაკლები, და ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც შედგება სამეფო მიწებისაგან, თანამეგობრობას გადაეცემა ყოველგვარი სასყიდლის გარეშე.

პარლამენტის ადგილსამყოფელი იქნება მელბურნში, სანამ არ გადავა მთავრობის ადგილსამყოფელ ადგილზე.

126. დედოფალი გენერალურ გუბერნატორს მიანიჭებს თანამეგობრობის რომელიმე ნაწილში თავისი მოადგილის ან მოადგილეთა დანიშვნის უფლებამოსილებას, რომელნიც გენერალ გუბერნატორის სურვილის ვადით განახორციელებენ გენერალური გუბერნატორის იმ უფლებამოსილებებსა და ფუნქციებს, რომელთა მინიჭებასაც იგი საჭიროდ მიიჩნევს ამ მოადგილის ან მოადგილეებისათვის დედოფლის მიერ განსაზღვრული ან მიღებული მითითებების საფუძველზე; მაგრამ ამ მოადგილის ან მოადგილეთა დანიშვნა გავლენას არ მოახდენს გენერალური გუბერნატორის მიერ თავისი უფლებამოსილებებისა და ფუნქციების შესრულებაზე.

127. (ამოღებულია)

თავი VIII. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა

128. ამ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი გზით:

კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის მიზნით წარმოდგენილი კანონი მიიღება პარლამენტის თითოეული პალატის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით და ორივე პალატის მიერ მისი მიღებიდან არანაკლებ ორი და არა უგვიანეს ექვსი თვის განმავლობაში გადაეცემა თითოეული შტატის ან ტერიტორიის წარმომადგენელთა პალატის წევრთა არჩევის უფლების მქონე მოქალაქეებს.

მაგრამ თუ ერთი პალატა ამ კანონს მიიღებს აბსოლუტური უმრავლესობით, ხოლო მეორე პალატა მას უარყოფს ან მიიღებს რაიმე ცვლილებით, რომელსაც არ დაეთანხმება პირველი პალატა, და თუ სამთვიანი პერიოდის შემდეგ პირველი პალატა იმავე ან მომდევნო სესიაზე კვლავ მიიღებს მას აბსოლუტური უმრავლესობით იმ ცვლილებით ან ცვლილების გარეშე, რომელიც მიღებული ან შეთანხმებულია მეორე პალატასთან, ხოლო მეორე პალატა უარყოფს ან ვერ მიიღებს ამ კანონს ან მიიღეს მას იმ ცვლილებით, რომელსაც არ დაეთანხმება პირველი პალატა, გენერალურ გუნერნატორს შეუძლია მიიღოს წარდგენილი კანონი იმ რედაქციით, რომლითაც ბოლოს წარადგინა პირველმა პალატამ და რომლებზეც შემდგომ ორივე პალატა შეთანხმდა. მას ასევე შეუძლია კანონი გადასცეს ყველა შტატისა და ტერიტორიის მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

როდესაც კანონი გადაეცემა ამომრჩეველებს, კენჭისყრის პროცედურას განსაზღვრავს პარლამენტი. მაგრამ სანამ წარმომადგენელთა პალატის ამომრჩეველთა საარჩევნო მოთხოვნები ერთგვარი გახდება თანამეგობრობის მასშტაბით, ამომრჩეველების, რომლებიც ხმას აძლევენ კანონის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ, ხმათა მხოლოდ ნახევარს მიენიჭება ყოველ შტატში მნიშვნელობა. თუ შტატების უდიდეს ნაწილში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა უმრავლესობა დაეთანხმა წარდგენილ კანონს, იგი წარედგინება გენერალურ გუბერნატორს დედოფლის თანხმობის მისაღებად.

არც ერთ ცვლილებას, რომელიც ამცირებს შტატის პროპორციულ წარმომადგენლობას პარლამენტის ორივე პალატაში ან წარმომადგენლების მინიმალურ რაოდენობას შტატის წარმომადგენელთა პალატაში ან ზრდის, ამცირებს ან სხვაგვარად ცვლის შტატის საზღვრებს ან შეეხება კონსტიტუციის დებულებებს ამ საკითხებთან მიმართებაში, არ მიენიჭება კანონის ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ შტატის კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველები მხარს დაუჭერენ ამ კანონს.

ამ მუხლში ტერმინი „ტერიტორია" გულისხმობს ნებისმიერ ტერიტორიას, რომელიც მითითებულია კონსტიტუციის 122-ე მუხლში და რომლის შესახებაც

არსებობს წარმომადგენელთა პალატაში ამ ტერიტორიის წარმომადგენლობის განმსაზღვრელი მოქმედი კანონი.

ბეგმა
ფიცი

მე, ა. ბ. ვფიცავ, რომ ვიქნები მისი უდიდებულესობა დედოფალი ვიქტორიას, მისი მემკვიდრეებისა და კანონით მემკვიდრეების ჭეშმარიტად ერთგული. დაე, შემეწიოს ღმერთი!

დადასტურება

მე, ა. ბ. სრულად და გულწრფელად ვადასტურებ და ვაცხადებ, რომ ვიქნები მისი უდიდებულესობა დედოფალი ვიქტორიას, მისი მემკვიდრეებისა და კანონით მემკვიდრეების ჭეშმარიტად ერთგული.

(შენიშვნა - დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მეფის ან დედოფლის ამ დროისათვის არსებული სახელი პერიოდულად შეიცვლება)



ავსტრია

0 50 100 km
0 50 100 mi
CZECH REP.
GERMANY
Danube
Linz
VIENNA
SLOV.
Wels
Neusiedler See
Salzburg
Bregenz
Innsbruck
LIECH.
Grossglockner
Graz
HUNG.
SWITZ.
Klagenfurt
SLOVENIA
ITALY
CROATIA
Gulf of Venice
BOS. & HER.

ზოგადი ცნობარი

შესავალი

პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ ავსტრია, ოდესღაც ავსტრო-უნგრეთის იმპერიის ძალაუფლების ცენტრი, გახდა პატარა რესპუბლიკა. 1938 წელს ნაცისტური გერმანიის ანექსიის შემდეგ, ავსტრიის სტატუსი წლების მანძილზე გაურკვეველი იყო. 1955 წელს ხელმოწერილმა სახელმწიფო შეთანხმებამ ბოლო მოუღო ოკუპაციას, აღიარა ავსტრიის დამოუკიდებლობა და აკრძალა გერმანიასთან გაერთიანება. იმავე წელს გამოცხადდა ქვეყნის „მუდმივი ნეიტრალიტეტი", როგორც საბჭოთა სამხედროების გამოყვანის პირობა. 1995 წელს ავსტრია გაერთიანდა ევროკავშირში, ხოლო 1999 წელს – ევროკავშირის ეკონომიკისა და სავალუტო კავშირში.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: ცენტრალური ევროპა; სამხრეთით ესაზღვრება სლოვენია, სამხრეთ-დასავლეთით – იტალია, დასავლეთით – შვეიცარია, ჩრდილო-დასავლეთით – გერმანია, ჩრდილოეთით – ჩეხეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთით – სლოვაკეთი, აღმოსავლეთით – უნგრეთი.

ფართობი: სულ: 83.870 კმ^2; მიწა: 82.444 კმ^2; წყალი: 1.426 კმ^2.

ბუნებრივი რესურსები: ნავთობი, ქვანახშირი, მურა ნახშირი, ხე, რკინის მადანი, სპილენძი, თუთია, სტიბიუმი, მაგნეზიტი, ვოლფრამი, გრაფიტი, მარილი, ჰიდროენერგია.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 8 205 533 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლამდე: 14.8% (კაცი 6216 326; ქალი 592 131);
15-64 წლამდე: 67.5% (კაცი 2 783 531; ქალი 2 753 389);
65 წლის და ზევით: 17.7% (კაცი 599 415; ქალი 855 741 (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 0.064% (2008);

შობადობა: 8.66 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 9.91 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: 1.88 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 79.36 წელი; კაცი: 76.46 წელი; ქალი: 82.41 წელი (2008);

მოქალაქეობა: ავსტრიის;

ეთნიკური ჯგუფები: ავსტრიელები – 91.1%, ყოფილი იუგოსლავიელები (ხორვატები, სლოვენიელები, სერბები და ბოსნიელები), თურქები – 1.6%, გერმანელები – 0.9%, სხვა – 2.4% (2001);

რელიგია: რომაული კათოლიკური – 73.6%, პროტესტანული 4.7%, მაჰმადიანური – 4.2%, სხვა – 3.5%, გაურკვეველი – 2%, არც ერთი – 12% (2001);

ენა: გერმანული (ოფიციალური ქვეყნის მასშტაბით) – 88.6%, თურქული – 2.3%, სერბული – 2.2%, ხორვატიული (ოფიციალური ბურგენლენდში) – 1.6%, სლოვენიური (ოფიციალური კარინტიაში) და უნგრული (ოფიციალური ბურგენლენდში) – 5.3% (2001);

განათლებულობა: მოსახლეობის 98%.
განსაზღვრება: მოცემულია 15 და მეტი ასაკის პირთა მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ წერა-კითხვა.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ვრცელი ფორმა: ავსტრიის რესპუბლიკა
შემოკლებული ფორმა: ავსტრია
ადგილობრივი ვრცელი ფორმა: რესპუბლიკა ესტერეიხ
ადგილობრივი შემოკლებული ფორმა: ესტერეიხ

მმართველობის ფორმა: ფედერაციული საპარლამენტო რესპუბლიკა

დედაქალაქი: ვენა

ადმინისტრაციული ერთეულები: 9 მიწა: ბურგენლანდი, კარინთია, ქვემო ავსტრია, ზემო ავსტრია, ზალცბურგი, შტირია, ტიროლი, ფორარლბერგი, ვენა.

დამოუკიდებლობა: 1156 წელი (ავსტრიის საჰერცოგოს დაარსება); 1918 წლის 12 ნოემბერი (რესპუბლიკად გამოცხადების დღე);

ეროვნული დღესასწაული: ეროვნული დღე, 26 ოქტომბერი (1955);

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი ჰაინც ფიშერი (2004 წლის 8 იელისიდან);
მთავრობის მეთაური: კანცლერი ალფრედ გუსენბაუერი (2007 წლის 11 იანვრიდან);
არჩევნები: საპრეზიდენტო არჩევნები ბოლოს ჩატარდა 2004 წლის 25 აპრილს;
არჩევნების შედეგები: ჰაინც ფიშერი არჩეულია პრეზიდენტად ხმათა 52.4%-ით. ბენინა ფერერო ვალდნერმა მიიღო ხმათა 47.6%.

ფედერალური სამინისტროები: ფინანსთა სამინისტრო; ქალთა დაცვის, მედიისა და სამოქალაქო სამსახურის სამინისტრო; სოფლის მეურნეობის, ხე-ტყის, გარემოსა და წყლის მეურნეობის სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; ეკონომიკისა და შრომის სამინისტრო; განათლების, ხელოვნებისა და კულტურის სამინისტრო; ევროპული და საგარეო ურთიერთობების სამინისტრო; ტრანსპორტის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სამინისტრო; ჯანმრთელობის, ოჯახისა და ახალგაზრდობის დაცვის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; მეცნიერებისა და კვლევის სამინისტრო; საზოგადოებრივი საქმეებისა და მომხმარებელთა დაცვის სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება:
ორპალატიანი ფედერალური კრება შედგება ფედერალური საბჭოს — ბუნდესრატის (მის შემადგენლობაშია 62 წევრი, რომლებიც აირჩევიან თითოეული შტატის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, მაგრამ თითოეულ შტატს გააჩნია 3 წარმომადგენელი მაინც; წევრების უფლებამოსილების ვადაა 5 ან 6 წელი) და ეროვნული საბჭოსგან — ნაციონალრატისგან (მის შემადგენლობაშია პირდაპირი წესით 4 წლის ვადით არჩეული 183 წევრი);
არჩევნები: ეროვნული საბჭოს არჩევნები ბოლოს ჩატარდა 2006 წლის 1 ოქტომბერს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: ალიანსი ავსტრიის მომავლისათვის; ავსტრიის სახალხო პარტია; ავსტრიის თავისუფლების პარტია; ავსტრიის სოციალურ-დემოკრატიული პარტია; მწვანეთა პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: ავსტრია, თავისი კარგად განვითარებული საბაზრო ეკონომიკითა და ცხოვრების მაღალი დონით, მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროკავშირის სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით გერმანიის ეკონომიკასთან.

ქვეყნის ეკონომიკა მოიცავს მომსახურების, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის სექტორებს. სატყეო მრეწველობა ძირითად დარგს წარმოადგენს. მიწის ფართობის 47% ტყით არის დაფარული. ევროკავშირის წევრობამ გამოიწვია უცხოური ინვესტორების მოდინება. მთავრობამ წარმატებით განახორციელა ეკონომიკური რეფორმა, ბიზნესის განსავითარებლად და ინვესტიციების მოსაზიდად შექმნა მიმზიდველი გარემო, აგრეთვე განახორციელა ეფექტური საპენსიო რეფორმა. იმისათვის, რომ კონკურენცია გაუწიოს ევროკავშირის ახალ წევრ სახელმწიფოებსა და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს, ავსტრიამ უნდა გააგრძელოს რესტრუქტურიზაცია, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს ეკონომიკის ცოდნაზე დაფუძნებულ სექტორებს, ხელი შეუწყოს მომსახურების სექტორს და უზრუნველყოს მოსახლეობის მეტი მონაწილეობა შრომის ბაზარზე.

მთლიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $317.8 მილიარდი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 3.4% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $38.400 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 1.6%; მრეწველობა: 30.3%; მომსახურება: 68% (2007);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 5.9% (2004);

ბიუჯეტი: შემოსავალი: $179.3 მილიარდი; გასავალი: $181.8 მილიარდი (2007);

ექსპორტი: $164.9 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: მანქანები და დანადგარები, ავტომობილები და ნაწილები, ქაღალდი, ლითონები, ქიმიკატები, რკინა, ფოლადი, ტექსტილი, კვების პროდუქტები.

ექსპორტის პარტნიორები: გერმანია 30.1%, იტალია 9%, აშშ 5.8%, შვეიცარია 4.7% (2006);

იმპორტი: $162.7 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: მანქანები და დანადგარები, ავტომობილები, ქიმიკატები, ლითონის საქონელი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, კვების პროდუქტები.

იმპორტის პარტნიორები: გერმანია 45.4%, იტალია 7%, შვეიცარია 4.5%, ნიდერლანდები 4.1% (2006);

საგარეო ვალი: $752.5 მილიარდი (2007);

ეკონომიკური დახმარება: $1.498 მილიარდი (2006);

ვალუტა: ევრო (EUR).

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. ავსტრიის კონსტიტუციური კანონმდებლობის საფუძველია 1920 წლის დღეს მოქმედი ფედერალური კონსტიტუციური კანონი. „კონსტიტუციად" წოდებულმა აღნიშნულმა კანონმა არსებითი ცვლილებები განიცადა 1929 წლის 7 დეკემბერს და მას შემდეგ ცნობილია 1920 წლის ფედერალურ კონსტიტუციურ კანონად 1929 წლის რედაქციით. ცვლილებები ძირითადად შეეხო აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერებას.

აღნიშნული კონსტიტუციური კანონის მოქმედება შეწყვეტილი იყო 1934-1945 წლებში ფაშიზმის დამყარებისა და ავსტრიის მიერ სახელმწიფო სუვერენიტეტის დაკარგვის გამო. 1945 წლის მაის-დეკემბერში მოქმედებდა ავსტრიის დროებითი კონსტიტუცია, ხოლო დეკემბრის ბოლოდან აღდგა ავსტრიის 1920 წლის ფედერალური კონსტიტუციური კანონის მოქმედება.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. ავსტრიის ფედერალური კონსტიტუციური კანონი მიღებულ იქნა 1920 წლის 1 ოქტომბერს კონსტიტუციური ეროვნული კრების მიერ და ძალაში შევიდა 1920 წლის 10 ნოემბერს. თუმცა, ქვეყანაში მოქმედებს აგრეთვე 300-ზე მეტი კონსტიტუციური მნიშვნელობის კანონი. აქედან გამომდინარე, ავსტრია დაწერილი არაკოდიფიცირებული კონსტიტუციის მქონე ქვეყანათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ.

1920 წლის კონსტიტუციური კანონი საკმაოდ მოქნილი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ეფექტურად აეწყო ფეხი ისტორიული ცვლილებებისათვის. ამას ხელს უწყობდა მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის გამარტივებული წესი.

ფედერალური კონსტიტუციური კანონის გადასინჯვის შემდეგი წესია დადგენილი: კონსტიტუციური კანონები ან კონსტიტუციური დებულებები, რომლებსაც ჩვეულებრივი კანონები შეიცავს, მიიღება ეროვნული საბჭოს მიერ წევრთა არანაკლებ ნახევრის დასწრებისას და ხმათა 2/3-ის უმრავლესობით. თუ ფედერალური საბჭო ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ არ გამოთქვამს დასაბუთებულ საწინააღმდეგო აზრს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული საკანონმდებლო გადაწყვეტილებიდან 8 კვირის განმავლობაში, იგი მტკიცდება და ქვეყნდება.

კონსტიტუციური კანონები ან კონსტიტუციური დებულებები, რომელთაც ჩვეულებრივი კანონები შეიცავს და რომელთა საფუძველზედ შეზღუდულია საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის სფეროში მიწების კომპეტენცია, ამას გარდა საჭიროებს ფედერალური საბჭოს მიერ დამტკიცებას, რომელიც მიიღება მის წევრთა არანაკლებ ნახევრის დასწრებისას, ხმათა არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით.

ფედერალური კონსტიტუციის სრული გადასინჯვა შესაბამისი პროცედურის დამთავრების შემდეგ, მაგრამ ფედერალური პრეზიდენტის მიერ მის დამტკიცებამდე, აგრეთვე კონსტიტუციის ყოველი ნაწილობრივი გადასინჯვა, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ეროვნული საბჭოს ან ფედერალური საბჭოს 1/3, წარდგენილ უნდა იქნეს მთელი ფედერაციის რეფერენდუმზე.

თითქმის 90 წლიანი არსებობის მანძილზე ავსტრიის 1920 წლის ფედერალურ კონსტიტუციურ კანონში მრავალი არსებითი ცვლილება იქნა შეტანილი. ცვლილებები პირველად 1929 წლის 7 დეკემბერს განხორციელდა. 70-იანი წლების შუა ხანებამდე იგი შეიცვალა ოცდაათზე მეტჯერ, შემდეგ 1984 წლამდე მასში კიდევ იქნა შეტანილი გარკვეული ცვლილებები, ხოლო 1990 წლიდან მოყოლებული ავსტრიის კონსტიტუციური კანონმდებლობა არსებითად შეიცვალა. 1990-2000 წლებში მიღებულ იქნა 26 ახალი მუხლი, ცვლილებები და დამატებები შეეიდა 95 მუხლში, ამოღებულ იქნა 3 მუხლი, სხვადასხვა მუხლების 5 ნაწილი და ცვლილებები შეეხო მის სტრუქტურასაც.

კონსტიტუციის ანალიზი. ფედერალური კონსტიტუციური კანონი შედგება რვა ნაწილისაგან და შეიცავს 152 მუხლს. მუხლები შინაარსობრივად საკმაოდ დატვირთულია, რაც, საბოლოო ჯამში, კონსტიტუციას სხვა ევროპულ კონსტიტუციებთან შედარებით მოცულობითს ხდის. იგი დეტალურად არეგულირებს სახელმწიფობრივი მნიშვნელობის სფეროებს და მრავალ ისეთ საკითხს შეიცავს, რომლებსაც ვერ შეეხვდებით სხვა ქვეყნების კონსტიტუციებში. სახელდობრ, უშიშროების ორგანოების, ჯარისა და სასკოლო ორგანოების სამართლებრივ მდგომარეობას. ფართოდ არის რეგულირებული ევროკავშირში ავსტრიის მონაწილეობის საკითხი, ავსტრიიდან ევროპულ პარლამენტში დეპუტატების არჩევა, მათი უფლებამოსილება და სხვ.

კონსტიტუციური კანონის პირველი ნაწილი შეიცავს ზოგად დებულებებს, რომლებიც ადგენს, რომ ავსტრია არის დემოკრატიული საპარლამენტო რესპუბლიკა და ეფუძნება ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფედერაციის სტატუსს და მის შემადგენელ ნაწილებს — მიწებს, მათ შორის კომპეტენციის განაწილების საკითხს.

მეორე და მესამე ნაწილები ეხება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციისა და განხორციელების საფუძვლებს: ეროვნული და ფედერალური საბჭოს, ფედერალური კრების, პრეზიდენტის, მთავრობისა და არმიის, აგრეთვე ფედერალური სასკოლო ორგანოების სამართლებრივ სტატუსს, აგრეთვე სასამართლო ხელისუფლებას.

მეოთხე ნაწილი შეიცავს ნორმებს, რომლებიც დეტალურად არეგულირებს მიწების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების საკითხებს. ასეთი მიდგომა არ არის დამახასიათებელი დეცენტრალიზებული ფედერაციების კონსტიტუციებისთვის, რომლებშიც ფედერაციის სუბიექტებში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია მიკუთვნებული აქვს უშუალოდ მათ კომპეტენციას. ამ ნაწილში აგრეთვე დეტალურადაა რეგლამენტირებული ავსტრიის დედაქალაქის — ვენის სტატუსი, რომელიც უფლებებით უთანაბრდება მიწების სტატუსს, და ადმინისტრაციული მოწყობა.

მეხუთე ნაწილი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ადგენს საანგარიშო პალატის მიერ ფედერაციასა და მიწებში საანგარიშო და საფინანსო საქმიანობაზე კონ-

ტროლის განხორციელების კონსტიტუციურ საფუძვლებს.

მეექვსე ნაწილის დებულებები, რომლებიც ეხება მიწების დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ სენატებსა და ავსტრიის ადმინისტრაციულ სასამართლოს, რომლებიც შექმნილია სახელმწიფო მმართველობის კანონიერების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს, რომლის უმთავრესი ამოცანაა კონსტიტუციურობის, სტაბილური მმართველობისა და ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის დაცვის უზრუნველყოფა, XX საუკუნის დასაწყისის კონსტიტუციონალიზმისათვის წარმოადგენდა სიახლეს.

1981 წლის ფედერალური კანონის საფუძველზე კონსტიტუციაში გაჩნდა ახალი ნაწილი — სახალხო უფლებათა დაცვა, ხოლო ყოფილი მეშვიდე ნაწილი — დასკვნითი დებულებები, გახდა კონსტიტუციის მერვე ნაწილი.

მეშვიდე ნაწილის მუხლების ნორმების, რომლებიც არეგულირებს ხალხის უფლებათა დაცვის კოლეგიის ფორმირების, საქმიანობისა და უფლებამოსილების წესს, კონსტიტუციაში ჩამატება განპირობებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის იურიდიული გარანტიების სათანადო დონეზე გაძლიერების საჭიროებით, მით უმეტეს, რომ ფედერალური კონსტიტუცია დეტალურად არ ასახავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, აგრეთვე მათი დაცვის გარანტიებს.

მერვე ნაწილი შეიცავს მნიშვნელოვანი აქტების ჩამონათვალს, რომლებიც უნდა მოქმედებდნენ, როგორც კონსტიტუციური კანონები 1920 წლის ფედერალური კონსტიტუციური კანონის თანახმად.

ავსტრიის კონსტიტუცია ეფუძნება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, დემოკრატიული, სამართლებრივი და ფედერაციული რესპუბლიკისა და ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად დანაწილების პრინციპებს.

კონსტიტუციური საფუძვლები ადამიანის უფლებებისა და მოქალაქეობის შესახებ ამომწურავად არ არის ასახული 1920 წლის ფედერალურ კონსტიტუციურ კანონში. იგი შეიცავს მხოლოდ ცალკეულ დებულებებს, რომლებიც ეხება ავსტრიის ფედერაციისა და მიწების მოქალაქეობას, ადამიანთა თანასწორობას მიუხედავად მათი წარმომავლობისა, სქესისა, მდგომარეობისა, კლასობრივი კუთვნილებისა და სარწმუნოებისა. აგრეთვე შეიცავს დებულებებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ ადმინისტრაციულ და საკონსტიტუციო სასამართლოებში, აგრეთვე ადამიანის უფლებების დაცვის სახალხო კოლეგიისადმი მიმართვის გზით.

ძირითადი უფლებები და თავისუფლებები უმთავრესად დადგენილია 1867 წლის 21 დეკემბრის კანონით (ბოლოს ცვლილებები შეეიდა 1988 წელს), 1862 წლის 27 ოქტომბრის კანონით „საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის შესახებ", 1988 წლის 29 ნოემბრის ფედერალური კონსტიტუციური კანონით „პირადი თავისუფლებების დაცვის შესახებ, რომელმაც შეცვალა 1862 წლის 26 ოქტომბრის კანონი „პირადი თავისუფლებების დაცვის შესახებ" და სხვა კონსტიტუციური კანონებით.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს, ეძლევათ რა მოქალაქეებს უფლება, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართონ ადმინისტრაციულ და საკონსტიტუციო სასამართლოებს, ადამიანის უფლებების დაცვის სახალხო კოლეგიას, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს.

ავსტრია ნეიტრალური სახელმწიფოა. კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის თავდაცვა მიმართულია საგარეო დამოუკიდებლობის, ფედერაციის ტერიტორიის ხელშეუხებლობისა და მთლიანობის უზრუნველყოფისკენ, სახელდობრ კი, მუდმივი ნეიტრალიტეტის დაცვისა და მხარდაჭერისკენ.

ავსტრია საპარლამენტო, დემოკრატიული რესპუბლიკაა. კონსტიტუციის თანახმად, ფედერაციის საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება ქვედა პალატის — ეროვნული საბჭოს მიერ ზედა პალატასთან — ფედერალურ საბჭოსთან (ბუნდესრატთან) ერთად, თუმცა გარკვეულ საკითხთა გადასაწყვეტად ისინი ერთად იკრიბებიან ფედერალური კრების სახით. ეროვნული საბჭო აირჩევა უშუალოდ ხალხის მიერ, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლებით, პროპორციული სისტემის საფუძველზე. აქტიური საარჩევნო უფლების ზღვრული ასაკი 18 წელია, ხოლო პასიური საარჩევნო უფლების — 19 წელი. ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში 183 წევრია, რომელთა უფლებამოსილების ვადა 4 წელს შეადგენს. პალატის ვადამდე დათხოვნის შემთხვევაში წევრთა უფლებამოსილება გრძელდება ახალი მოწვევის ეროვნული საბჭოს შეკრებამდე.

რაც შეეხება ფედერალურ საბჭოს, იგი ე.წ. სუსტი ზედა პალატის როლს ასრულებს და კომპლექტდება არაპირდაპირ, მიწების საკანონმდებლო ორგანოების — ლანდტაგების მიერ მიწის მოქალაქეთა რაოდენობის პროპორციულად. თუმცა, არანაკლებ ერთი მანდატი ეძლევა პარტიას, რომელსაც დეპუტატების რაოდენობით მეორე ადგილი უკავია ლანდტაგში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე პარტია ფლობს დეპუტატთა თანაბარ რაოდენობას — იმ პარტიას, რომელსაც ამომრჩეველთა ხმების რაოდენობით ლანდტაგის ბოლო არჩევნებში ეკავა მეორე ადგილი. რამდენიმე პარტიის თანაბარი მდგომარეობის შემთხვევაში საკითხი წყდება წილისყრით. მოქალაქეთა უდიდესი რაოდენობის მქონე მიწები წამოაყენებენ 12 კანდიდატს, ხოლო ყველა სხვა მიწა — იმდენ წევრს, რაც პროპორციულად შეეფარდება მისი მოქალაქეების რაოდენობასა და მითითებულ უდიდეს რაოდენობას. ამასთან, თითოეულ მიწას აქვს უფლება წარმოადგინოს არანაკლებ სამი წარმომადგენელი. თითოეული წევრისთვის ინიშნება სათადარიგო წარმომადგენელი. ბუნდესრატის შემადგენლობაში ამჟამად 5-6 წლის ვადით არჩეული 64 წევრია. მისი წევრები არ უნდა შედიოდნენ მათი წარმდგენი ლანდტაგის შემადგენლობაში. ლანდგატის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის ან მისი დათხოვნის შემდეგ, მის მიერ წარდგენილი ფედერალური საბჭოს წევრები ინარჩუნებენ თავიანთ ფუნქციებს, ვიდრე ახალი ლანდტაგი არ ჩაატარებს ფედერალური საბჭოს არჩევნებს.

თავისებურებით გამოირჩევა ფედერალური საბჭოს მუშაობაც. მისი თავმჯდო-

მარის ადგილს რიგრიგობით იკავებენ სხვადასხვა მიწების წარმომადგენლები, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ.

ეროვნული საბჭოსა და ფედერალური საბჭოს წევრები თავიანთი მოვალეობის შესრულებისას არ არიან შეზღუდულნი არავითარი დავალებებით. თუ ფედერალური მთავრობის წევრმა უარი თქვა თანამდებობაზე ან გადააყენეს, მისივე სურვილით შემდგომი უფლებამოსილების განხორციელებას მას დროებით დააკისრებს კომპეტენტური საარჩევნო ორგანო. მანდატის განახლების შემდეგ მოქმედება უწყდება ეროვნული საბჭოს იმ წევრის მანდატს, რომელსაც დროებით ჰქონდა წევრის მანდატი, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ იგი დათანხმდება ეროვნული საბჭოს დროებით ამორიცხული წევრის მოადგილეობაზე.

არჩევნებისა და სახალხო კენჭისყრის ჩასატარებლად უნდა შეიქმნას საარჩევნო კომისიები, რომლებშიც თანაბარუფლებიანი წევრების სახით შედიან იმ პარტიათა წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობენ საარჩევნო კამპანიაში, ხოლო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ამას გარდა — წევრები, რომლებიც მიეკუთვნებიან ან ადრე მიეკუთვნებოდნენ სასამართლო კორპუსს. ამ კომისიების წევრთა რაოდენობა, გარდა სასამართლო კორპუსიდან წევრებისა, უნდა ნაწილდებოდეს საარჩევნო კამპანიაში მონაწილე პარტიებს შორის იმ მანდატების რაოდენობის შესაბამისად, რომლებიც მათ მოიპოვეს ეროვნული საბჭოს ბოლო არჩევნებში.

აღსანიშნავია, რომ ავსტრიაში მოქმედებს სავალდებულო საარჩევნო პრინციპი, რის საფუძველზეც არასაპატიო მიზეზით არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობა იწვევს დაჯარიმებას, ხოლო მისი გადაუხდელობა — ორი კვირით დაპატიმრებას.

კანონპროექტები შეიტანება ეროვნულ საბჭოში, რისი უფლებაც მის წევრს, ფედერალურ საბჭოს, ფედერალური საბჭოს წევრთა 1/3-ს, მთავრობას, აგრეთვე 100 ათას მოქალაქეს ან სამი მიწის მოქალაქეთა 1/6-ს გააჩნია. ეროვნული საბჭო თუ მოითხოვს, ნებისმიერი კანონი მიღების შემდეგ, პრეზიდენტის მიერ ხელმოწერამდე, დასამტკიცებლად გაიტანება რეფერენდუმზე.

ეროვნული საბჭოს წევრები შეიძლება დაპატიმრებულ იქნენ სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედების ჩადენისას მხოლოდ ეროვნული საბჭოს თანხმობით, გარდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე ნივთიერი სამხილით მათი დაკავებისა. თანხმობა საჭიროა აგრეთვე ეროვნული საბჭოს წევრების ბინის ჩხრეკის ჩასატარებლად, რომელიც მიღებულად ჩაითვლება, თუ ეროვნული საბჭო რვა კვირის განმავლობაში არ მიიღებს თხოვნაზე გადაწყვეტილებას; ფედერალური საბჭოს წევრები თავიანთი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში სარგებლობენ იმავე იმუნიტეტით, რითაც მათი წარმდგენი ლანდტაგის წევრები.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თვითდათხოვნის შესახებ. თუმცა, ამ შემთხვევაში ეროვნული საბჭოს უფლებამოსილების ვადა გრძელდება ახალარჩეული ეროვნული საბჭოს შეკრების დღემდე.

მართალია, ავსტრია საპარლამენტო რესპუბლიკაა, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტი პირდაპირი გზით აირჩევა. მისი თანამდებობა საკმაოდ ფორმალურია, ხოლო სტატუსი შეესაბამება ევროპის შესაბამისი მმართველობის მქონე ქვეყნების სახელმწიფოს მეთაურთა სამართლებრივ მდგომარეობას და საკმაოდ სუსტი ბერკეტებით სარგებლობს. მას შეუძლია დაითხოვოს ეროვნული საბჭო, თუმცა ერთი და იმავე მიზეზით მეორედ დათხოვნა აღარ შეუძლია; არ გააჩნია ვეტოს უფლება; ფედერალური კრების თანხმობით შესაძლებელია მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება; ყველა მისი აქტი დასტურდება ფედერალური კანცლერის ან კომპეტენტური ფედერალური მინისტრის ხელმოწერით.

პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე 35 წლის ასაკს მიღწეული პირი. იგი აირჩევა 6 წლის ვადით. ხელახალი არჩევა მომდევნო ვადით დაიშვება მხოლოდ ერთხელ. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუცია ითვალისწინებს სახალხო კენჭისყრის გზით მისი თანამდებობიდან ვადაზე ადრე გადაყენების წესს, რომელიც ტარდება პალატების ინიციატივით. თუმცა ამ მექანიზმის განხორციელებაში პარლამენტი შეზღუდულია იმით, რომ სახალხო კენჭისყრით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების წინადადებაზე უარის თქმა ითვლება მის ხელახალ არჩევად და იწვევს ეროვნული საბჭოს დათხოვნას.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა, რომელიც შედგება კანცლერის, ვიცე-კანცლერისა ან სხვა მინისტრებისგან. კანცლერი და მისი წინადადებებით მთავრობის სხვა წევრები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ. მთავრობის ცალკეულ წევრთა გადაყენება ხდება კანცლერის წინადადებით. ამ თანამდებობებზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ეროვნულ საბჭოში არჩევის უფლების მქონე პირი, თუმცა დაუშვებელია იმავდროულად ეროვნული საბჭოს წევრობა.

ფედერალური მთავრობა ან შესაბამისი ფედერალური მინისტრი გადაყენებულ უნდა იქნეს თანამდებობიდან, თუ ეროვნული საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას ფედერალური მთავრობისათვის ან მისი ცალკეული წევრებისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. ამ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ეროვნული საბჭოს წევრთა არანაკლებ ნახევრის დასწრება.

რაც შეეხება ავსტრიის სასამართლო ხელისუფლებას, ავსტრიაში გვხვდება სხვადასხვა სახის სასამართლო ორგანოები. უზენაესი სასამართლო არის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე ბოლო ინსტანცია. მოსამართლეები ინიშნებიან მთავრობის წარდგინებით პრეზიდენტის ან მისი უფლებამოსილი კომპეტენტური მინისტრის მიერ. მიწებში ადმინისტრაციულ საკითხთა განსახილველად შექმნილია სენატები, ხოლო ვენაში — ადმინისტრაციული სასამართლო.

ავსტრია მსოფლიოში პირველი ქვეყანაა, სადაც პირველად შეიქმნა კონსტიტუციური კონტროლის დამოუკიდებელი ორგანო — საკონსტიტუციო სასამართლო. მისი უფლებამოსილება საკმაოდ ფართოა და კონსტიტუციურობის გარდა მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმების უფლებასაც მოიცავს. იგი აგრეთვე იხილავს დავებს სხვადასხვა ორგანოებს შო-

რის, ხელშეკრულებათა მართლწინააღმდეგობის თაობაზე, არჩევნების კანონიერად ჩატარების თაობაზე და სხვ. იგი შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, 12 სხვა წევრისა და 6 სათადარიგო წევრისგან. სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, 6 წევრი და 3 სათადარიგო წევრი ინიშნება პრეზიდენტის მიერ მთავრობის წინადადებით; სასამართლოს ეს წევრები უნდა დაინიშნონ მოსამართლეების, მმართველობის თანამდებობის პირებისა და უნივერსიტეტების სამართლის პროფესორთაგან. სასამართლოს დანარჩენი 6 სხვა წევრი და 3 სათადარიგო წევრი ინიშნება პრეზიდენტის მიერ პარლამენტის პალატების წინადადებით. აუცილებელია, რომ 3 წევრსა და 2 სათადარიგო წევრს ჰქონდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ვენის საზღვრებს გარეთ.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს უნდა ჰქონდეს სამართალსა და პოლიტიკური მეცნიერების სფეროში სრული განათლება და არანაკლებ 10 წლისა ეკავოთ სამსახურებრივი მდგომარეობა, რომლისთვისაც აუცილებელია ამგვარი განათლება. გარდა ამისა, წევრებად არ შეიძლება დაინიშნონ ფედერალური ან მიწის მთავრობის, ეროვნული საბჭოს, ფედერალური საბჭოს ან სხვა საერთო წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები ან რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრები და აქტივისტები. სასამართლოს თავმჯდომარედ ან მის მოადგილედ არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ასრულებდა ზემოაღნიშნულ ერთ-ერთ ფუნქციას.

სახელმწიფო მოწყობის ფორმით ავსტრია ფედერაციული სახელმწიფოა, რომლის შემადგენლობაშია ცხრა ფედერალური ერთეულის სტატუსის მქონე მიწა. სწორედ აქედან გამომდინარე, კონსტიტუციას წითელ ზოლად გასდევს ფედერაციასა და მიწებს შორის ურთიერთობის საკითხები: ფედერაციის გამგებლობას მიკუთვნებული საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობა, კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების დადგენა, მიწის გამგებლობას მიკუთვნებული აღმასრულებელი საქმიანობა და მაკონკრეტებელი კანონების მიღება და სხვ.

ავსტრიის ფედერალიზმს საფუძველად არ უდევს მოსახლეობის ეროვნულ-ეთნიკური განსხვავებები. მოსახლეობის თითქმის 99% გერმანულად ლაპარაკობს. ფედერაცია ყალიბდებოდა მრავალი საუკუნის მანძილზე და ეფუძნებოდა მომავალი მიწების უმრავლესობის ფეოდალურ განკერძოებულობას.

კონსტიტუციის თანახმად, ავსტრიის სახელმწიფო ენაა გერმანული, რაც არ უნდა ზღუდავდეს ენობრივ უმცირესობათათვის ფედერალური კანონით მინიჭებულ უფლებებს. ავსტრიის ფედერაციის ერთეულებში არსებობს სხვა ოფიციალური ენებიც, მაგრამ მათზე კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი.

ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის შედეგად ავსტრიის სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადების დროს ფედერაცია შეიქმნა არა ხელშეკრულების, არამედ კონსტიტუციის საფუძველზე.

კონსტიტუციის თანახმად, მიწები სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებია თავიანთი კონსტიტუციებით (კონსტიტუციური კანონებით), აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებით, ფედერალური პარლამენტის ზედა პალატაში წარმომადგენლობით და მოქალაქეობით, რომლის მოპოვებისა და და-

კარგვის წესი ერთნაირია ყველა მიწაში. მიწების სახელმწიფოებრივი სტატუსის ფორმალური ნიშნები ხელს ვერ უშლის ავსტრიის სახელმწიფოებრივი მოწყობის უნიფიკაციის მდგრად ტენდენციას.

მიწის საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ლანდტაგი, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას — ლანდტაგის მიერ არჩეული მიწის მთავრობა, რომელიც შედგება მიწის გუბერნატორის, მისი მოადგილეებისა და სხვა წევრებისგან. მიწის მთავრობის წევრები არ უნდა შედიოდნენ ლანდტაგის შემადგენლობაში, თუმცა მიწის მთავრობაში შეიძლება არჩეულ იქნენ მხოლოდ ის პირები, რომელთაც აქვთ ლანდტაგში არჩევის უფლება. ფედერალური კონსტიტუცია სპეციალურ თავში ახდენს მიწების პარლამენტების (ლანდტაგების) და მთავრობების ფორმირების, შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დეტალურ რეგლამენტირებას. ლანდტაგის წევრები აირჩევიან პროპორციული სისტემით, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე პირადად განხორციელებული ფარული კენჭისყრის გზით, მიწების ყველა მდედრობითი და მამრობითი სქესის ხმის უფლების მქონე მოქალაქეების მიერ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თითოეული ლანდტაგი შეიძლება დათხოვნილ იქნეს ფედერალური პრეზიდენტის მიერ ფედერალური მთავრობის წარდგენითა და ფედერალური საბჭოს თანხმობით. საბჭოს თანხმობა მიიღება წევრთა ნახევრის დასწრებითა და ხმათა 2/3-ის უმრავლესობით. ამასთან, კენჭისყრაში მონაწილეობას ვერ იღებენ იმ მიწის წარმომადგენლები, რომლის ლანდტაგიც დაითხოვება.

ფედერაცია ქმნის საერთო სახელმწიფოებრივ მმართველობას მიწებში, არეგულირებს მიწების თემურ ორგანიზაციასა და დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ სენატებთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. სხვა ფედერაციების სუბიექტებისგან განსხვავებით, მიწებს არ აქვს თავიანთი სასამართლოები და ტელე და რადიომაუწყებლობის დაწესებულებები, არ არეგულირებენ უნივერსიტეტების საქმიანობას. მიწების ავტონომიის შეზღუდვა უფრო თვალსაჩინო ხდება ფედერაციასა და მიწებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნისას. ფორმალურად, კონსტიტუციის თანახმად, კომპეტენციების გამიჯვნა ხდება შემდეგი სქემით: კონსტიტუციაში ჩამოთვლილია საკითხები, რომლებიც ეკუთვნის ფედერაციის ექსკლუზიურ კომპეტენციას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში, აგრეთვე საკითხები, რომლებიც ეკუთვნის მიწების ექსკლუზიურ კომპეტენციას, ან რომლებთან მიმართებითაც ფედერაცია ადგენს საკანონმდებლო პრინციპებს, ხოლო მიწები მათთან მიმართებით გამოსცემენ კონკრეტულ კანონებს და ახორციელებენ მათ აღსრულებას. კონსტიტუციით ცალ-ცალკე დგინდება გამიჯვნა გადასახადების, საერთო და პროფესიული განათლების სფეროში, დანარჩენი უფლებამოსილებები საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის სფეროში ეკუთვნის მიწების კომპეტენციას. მიწების საკანონმდებლო უფლებამოსილებაში შედის უმთავრესად ადგილობრივი მეურნეობის, განათლებისა და კულტურის ცალკეული საკითხების რეგულირება. საკანონმდებლო საქმიანობა ფედერაციის კომპეტენციაა, ხოლო ფედერალური კანონების აღსრულება — მიწების. ამ პირობებში გადასახადების სახეობები და ოდენობა განისაზღვრება, იკ-

რიფება და ნაწილდება ცენტრის მიერ. ცენტრალიზაციის ტენდენციას კიდევ უფრო აძლიერებს 1995 წელს ავსტრიის ევროკავშირში გაერთიანების შედეგად წარმოშობილი მძლავრი ინტეგრაციული პროცესები.

ამ ფონზე ავსტრიის ფედერალიზმის შენარჩუნებას ხელს უწყობს „კოოპერაციული ფედერალიზმის" პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს ფედერაციასა და მიწებს შორის სახელმწიფო ხელისუფლების განაწილებისა და დაბალანსების ხელოვნურ მხარდაჭერას, აგრეთვე მათ შორის თავიანთი კომპეტენციის საკითხებთან მიმართებით კოოპერაციისა და კოორდინაციის გაძლიერებას, მთავრობის წევრებისა და მიწების ადმინისტრაციის ხელმძღვანელების მუდმივი კონფერენციების საქმიანობას და სხვ. 1984 წლიდან ფედერალურ საბჭოს აქვს აბსოლუტური ვეტოს უფლება კომპეტენციის იმ ცვლილებებთან მიმართებით, რომლებიც აუარესებს მიწების მდგომარეობას.

კონსტიტუციაში ცალკე არის განხილული დედაქალაქისა და თემების სამართლებრივი მდგომარეობა. ფედერაციის დედაქალაქია ვენა, რომელიც თავისი სამართლებრივი მდგომარეობით გათანაბრებულია მიწის სტატუსთან. ვენაში ლანდტაგის ფუნქციები ეკისრება თემის საბჭოს, ხოლო მიწის მთავრობის ფუნქციები — საქალაქო სენატს.

რაც შეეხება თემებს, კონსტიტუციის თანახმად, თითოეული მიწა იყოფა თემებად. თემი არის თვითმმართველობის უფლების მქონე ტერიტორიული ერთეული და ამავდროულად — ადმინისტრაციული ერთეული. ტერიტორიის ყოველი უბანი უნდა ეკუთვნოდეს რომელიმე თემს. თემი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს. მისი კომპეტენციის სფეროს წარმოადგენს საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებანი. ფედერაციისა და მიწის საერთო კანონებით დადგენილ ფარგლებში მას უფლება აქვს ფლობდეს ყველა სახის ქონებას, შეიძინოს და განკარგოს იგი, ეწეოდეს სამეურნეო საქმიანობას, აგრეთვე საფინანსო სისტემის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ბიუჯეტი და აკრიფოს გადასახადები. თემისათვის, რომლის მოსახლეობა შეადგენს არა უმეტეს 20 ათასს, თუ ეს არ არღვევს მიწის ინტერესებს, მიწის კანონის საფუძველზე თემის წარდგინებით უნდა დაწესდეს დამოუკიდებელი სტატუსი (საქალაქო სამართლებრივი სტატუსი).

თემების ორგანოებია: თემის საბჭო, რომელიც წარმოადგენს თემში შემავალი საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეების მიერ არჩეულ საერთო წარმომადგენლობით ორგანოს, თემის გამგეობა (საქალაქო საბჭო), რომელშიც წარმოდგენილი არიან თემის საბჭოში არჩეული პარტიები მიღებული მანდატების შესაბამისად, ხოლო ქალაქებში — საქალაქო სენატი, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი სტატუსი და ბურგომისტრი, რომელიც აირჩევა თემის საბჭოს მიერ.

თემის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობა იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია საბჭოს უფლებამოსილად ცნობისათვის; თუმცა, კონკრეტულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მისაღებად შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს სხვა პირობებიც.

საკუთარი კომპეტენციის სფეროში ცალკეულ ამოცანათა შესასრულებლად თემებს შეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ გაერთიანდნენ თემთა კავშირებში. მათში არჩევნები ტარდება პროპორციული სისტემით, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფედერაციის მოქალაქეების მიერ უშუალოდ განხორციელებული ფარული კენჭისყრის გზით, რომელთაც თემის ტერიტორიაზე გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

ავსტრიის სახელმწიფო მექანიზმში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საანგარიშო პალატას, რომელიც ახორციელებს ფედერაციის, მიწების, თემთა კავშირების, თემებისა და სახელმწიფო ეკონომიკური საწარმოების ფინანსური საქმიანობის კონტროლს. იგი აგრეთვე ადგენს ფედერაციის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშს და წარუდგენს ეროვნულ საბჭოს. საანგარიშო პალატას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა ეროვნული საბჭოს მთავარი კომიტეტის წინადადებით 12 წლის ვადით და მისი ხელახალი არჩევა დაუშვებელია. საანგარიშო პალატის თავმჯდომარე არ უნდა შედიოდეს რომელიმე სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობაში და უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში არ უნდა ეკავოს თანამდებობა ფედერალურ მთავრობაში. საანგარიშო პალატა ექვემდებარება უშუალოდ ეროვნულ საბჭოს და დამოუკიდებელია ფედერალური მთავრობისა და მიწების მთავრობებისაგან.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. ავსტრიის 1920 წლის ფედერალური კონსტიტუციური კანონი საკმაოდ მოცულობითია, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მრავალ საკითხს დეტალურად არეგულირებს და მრავალ ისეთ საკითხს შეიცავს, რომლებსაც ვერ შევხვდებით სხვა ქვეყნების კონსტიტუციებში;

— ავსტრია ნეიტრალური სახელმწიფოა. ქვეყნის თავდაცვა მიმართულია მუდმივი ნეიტრალიტეტის დაცვისა და მხარდაჭერისკენ;

— ქვეყნის სახელმწიფო ენაა გერმანული, თუმცა მიწებში არსებობს სხვა ოფიციალური ენებიც;

— ავსტრია დაწერილი არაკოდიფიცირებული კონსტიტუციის მქონე ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება, რადგან 1920 წლის ფედერალური კონსტიტუციური კანონის გარდა, რომელიც ასრულებს ქვეყანაში კონსტიტუციის როლს, ავსტრიაში მოქმედებს აგრეთვე 300-ზე მეტი კონსტიტუციური მნიშვნელობის კანონი;

— ფედერალური საბჭო წარმოადგენს ე.წ. სუსტ ზედა პალატას და კომპლექტდება არაპირდაპირ, მიწების საკანონმდებლო ორგანოების — ლანდტაგების მიერ. მისი თავმჯდომარის ადგილს რიგ-რიგობით იკავებენ სხვადასხვა მიწების წარმომადგენლები, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ;

— პარლამენტის ქვედა პალატაში ასაკობრივი ცენზი დაბალია: პასიური საარჩევნო უფლება იწყება 19 წლიდან; მოქმედებს სავალდებულო საარჩევნო პრინციპი. არასაპატიო მიზეზით არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობა იწვევს დაჯარიმებას, ხოლო მისი გადაუხდელობა — ორკვირიან პატიმრობას;

— კონსტიტუცია ითვალისწინებს სახალხო კენჭისყრის გზით პრეზიდენტის ვადამდე თანამდებობიდან გადაყენების წესს, რომელიც ტარდება პალატების ინიციატივით. თუმცა, გადაყენების წინადადებაზე უარის თქმა იწვევს ეროვნული საბჭოს დათხოვნას;

— ეროვნულ საბჭო უფლებამოსილია ვადის ამოწურვამდე მიიღოს გადაწყვეტილება თვითდათხოვნის შესახებ. თუმცა, ამ შემთხვევაში, ისევე როგორც დათხოვნისას, მისი უფლებამოსილების ვადა გრძელდება ახალარჩეული ეროვნული საბჭოს შეკრების დღემდე;

— მართალია მინისტრობა და დეპუტატობა შეუთავსებელია, მაგრამ მინისტრის თანამდებობის დატოვება იწვევს დეპუტატობის აღდგენას, თუ პირი მინისტრად დანიშნამდე იყო დეპუტატი. ხოლო მის დროებით შემცვლელს ეძლევა შესაძლებლობა იყოს დეპუტატის მოადგილე;

— ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, გარდა საარჩევნო კამპანიაში მონაწილე პარტიების წევრთა წინა არჩევნების შედეგების პროპორციულად წარმოდგენისა, უნდა შედიოდნენ ასევე წევრები, რომლებიც მიეკუთვნებიან ან ადრე მიეკუთვნებოდნენ სასამართლო კორპუსს;

— გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო მოწყობის ფორმით ავსტრია ფედერაციული სახელმწიფოა, კონსტიტუციას წითელ ზოლად გასდევს ფედერაციასა და მიწებს შორის ურთიერთობის საკითხები;

— მსოფლიოში პირველად ავსტრიაში შეიქმნა კონსტიტუციური კონტროლის დამოუკიდებელი ორგანო, რომლის უფლებამოსილება ფართოა და კონსტიტუციურობის გარდა კანონიერების შემოწმების უფლებასაც მოიცავს;

— თავისებურია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა ცენზების საკითხიც: წევრთა ნახევარი უნდა დაინიშნონ მოსამართლეების, მმართველობის თანამდებობის პირებისა და უნივერსიტეტების სამართლის პროფესორთაგან, ხოლო მესამედს უნდა ჰქონდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ვენის საზღვრებს გარეთ; საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ ან მის მოადგილედ არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში იყო ფედერალური ან მიწის მთავრობის წევრი, პარლამენტის პალატისა და სხვა საერთო წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, პოლიტიკური პარტიის აპარატის მუშაკი ან სხვა ფუნქციონერი.

ავსტრიის ფედერალური კონსტიტუციური კანონი[1]

მიღებულია 1920 წლის 1 ოქტომბერს

(ცვლილებები შეტანილ იქნა 1929-2000 წლებში)

პირველი ნაწილი
ზოგადი დებულებანი. ევროკული კავშირი
ა) ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ავსტრია არის დემოკრატიული რესპუბლიკა. მისი სამართალი მომდინარეობს ხალხიდან.

მუხლი 2. 1. ავსტრია არის ფედერაციული სახელმწიფო.

2. ფედერაციული სახელმწიფო შედგება შემდეგი დამოუკიდებელი მიწებისგან: ბურგენლანდი, კარინთია, ქვემო ავსტრია, ზემო ავსტრია, ზალცბურგი, შტირია, ტიროლი, ფორარლბერგი და ვენა.

მუხლი 3. 1. ფედერაციის ტერიტორია მოიცავს ფედერაციის მიწების ტერიტორიებს.

2. ფედერაციის ტერიტორიის შეცვლა, რომელიც ამასთანავე ერთ-ერთი მიწის ტერიტორიის შეცვლაც არის, აგრეთვე ფედერაციის ტერიტორიის შიგნით მიწის საზღვრების შეცვლა, გარდა სამშვიდობო ხელშეკრულებების დადების შემთხვევებისა, შეიძლება განხორციელდეს ფედერაციისა და იმ მიწის, რომლის ტერიტორიაც იცვლება, იდენტური კონსტიტუციური კანონების საფუძველზე.

მუხლი 4. 1. ფედერაციის ტერიტორია ერთიანია საგალუტო, ეკონომიკურ და საბაჟო ურთიერთობათა სფეროში.

2. ფედერაციის შიგნით არ დაიშვება საბაჟო ან სხვა სატრანსპორტო შეზღუდვები.

მუხლი 5. 1. ფედერაციის დედაქალაქი და უმაღლესი ორგანოების ადგილსამყოფელი არის ვენა.

2. საგანგებო შემთხვევების პერიოდში ფედერალურ პრეზიდენტს ფედერალური მთავრობის წარდგინებით შეუძლია გადაიტანოს ფედერაციის უმაღლესი ორ-

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია ავსტრიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.idv.uni-linz.ac.at/b-vg/b-vg-inh.htm გამოქვეყნებული ავსტრიის კონსტიტუციის გერმანულენოვანი ტექსტი, აგრეთვე რუსულ ენაზე გამოცემული კრებული "Конституции государств Европы". Издательство НОРМА, 2001 г.

განოების ადგილსამყოფელი ფედერაციის ტერიტორიის სხვა ადგილას.

მუხლი 6. 1. ავსტრიის რესპუბლიკისათვის დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა.

2. მოქალაქეები, რომელთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ამა თუ იმ მიწის ტერიტორიაა, არიან ამ მიწის მოქალაქეები; მიწების კანონებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს აგრეთვე, რომ ის მოქალაქეებიც, რომლებიც მიწის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მაგრამ არ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ჩაითვლონ ამ მიწის მოქალაქეებად.

3. პირის ძირითადი საცხოვრებელი ადგილი არის ის ადგილი, სადაც იგი დასახლდა აშკარად გამოხატული მიზნით, რომ შექმნას საკუთარი საცხოვრებელი პირობები. თუ ეს წინაპირობა პირის ცხოვრების პროფესიულ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ პირობებზე ზოგადი შეხედულებიდან გამომდინარე ფაქტობრივად შეესაბამება მის რამდენიმე საცხოვრებელ ადგილს, მაშინ ამ პირმა მუდმივ საცხოვრებელ ადგილად უნდა მიუთითოს ის, რომელიც მისთვის ყველაზე უფრო მისაღებია.

მუხლი 7. 1. ფედერაციის ყველა მოქალაქე კანონის წინაშე თანასწორია, მიუხედავად წარმომავლობისა, სქესისა, მდგომარეობისა, კლასობრივი კუთვნილებისა და სარწმუნოებისა.

2. საჯარო დაწესებულებათა მოხელეებისთვის ფედერალური არმიის სამხედრო მოსამსახურეების ჩათვლით, გარანტირებულია პოლიტიკური უფლებების შეუფერხებელი განხორციელება.

3. თანამდებობრივ დასახელებათა ფორმებში აისახება თანამდებობის პირის შესაბამისი სქესი. იგივე ვრცელდება წოდებებთან მიმართებაშიც.

მუხლი 8. 1. რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა გერმანული, რაც არ უნდა ზღუდავდეს ენობრივ უმცირესობათათვის ფედერალური კანონით მინიჭებულ უფლებებს.

2. რესპუბლიკა (ფედერაცია, მიწები და თემები) ცნობილია ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნებით, რომელიც ჩამოყალიბდა დროთა განმავლობაში და გამოიხატება ავტოქტონურ ეთნიკურ ჯგუფებში. ეთნიკური ჯგუფების ენა და კულტურა, აგრეთვე მათი მომავალი არსებობა და დაცვა უნდა განმტკიცდეს, ასევე ყველამ ხელი უნდა შეუწყოს და პატივი სცეს მათ.

მუხლი 8ª. 1. ავსტრიის რესპუბლიკის ფერებია — წითელი, თეთრი, წითელი. დროშა შედგება ერთნაირი სიგანის 3 ჰორიზონტალური ზოლისგან, რომელთაგან შუა ზოლი არის თეთრი, ხოლო ზედა და ქვედა ზოლები — წითელი.

2. ავსტრიის რესპუბლიკის გერბზე (ფედერალური გერბი) გამოსახულია მოლივლივე, ერთთავიანი შავი არწივი წითელი ენით ოქროს ატრიბუტებით, რომლის მკერდი ნაწილობრივ დაფარულია წითელი ფარით გადამკვეთი განივი ვერ-

ცხლის ჯაჭვით. არწივს თავზე ადგას ოქროს გვირგვინი სამი სწორკუთხა ქონგურით. ორივე თათზე შემოჭდობილი აქვს ოქროს ჯაჭვი. მარჯვენა თათში უპყრია ნამგალი შიგნით მიმართული ბასრი პირით, ხოლო მარცხენა თათში — ოქროს ურო.

3. დაწვრილებითი დებულებები, რომლებიც იცავს გერბსა და ფერებს, აგრეთვე რესპუბლიკის ბეჭედს დგინდება ფედერალური კანონებით.

მუხლი 9. 1. საერთაშორისო სამართლის აღიარებული ნორმები მოქმედებს ფედერალური კანონის შემადგენელი ნაწილის სახით.

2. კანონისა და სახელმწიფოებრივი შეთანხმების საფუძველზე, 50-ე მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად, ფედერაციის ცალკეული სუვენერული უფლებები შესაძლოა გადაეცეს სახელმწიფოთაშორისო დაწესებულებებსა და მათ ორგანოებს, ხოლო სახელმწიფოს შიგნით უცხოურ სახელმწიფოთა ორგანოების ქმედებები, ისევე როგორც ავსტრიის ორგანოების ქმედებები საზღვარგარეთ, შესაძლოა დარეგულირდეს საერთაშორისო სამართლის ფარგლებში.

მუხლი 9ª. 1. ავსტრია ცნობს თავის პასუხისმგებლობას ქვეყნის ყოველმხრივი თავდაცვის სფეროში. თავდაცვა მიმართულია საგარეო დამოუკიდებლობის, აგრეთვე ფედერაციის ტერიტორიის ხელშეუხებლობისა და მთლიანობის უზრუნველყოფისკენ, სახელდობრ კი, მუდმივი ნეიტრალიტეტის დაცვისა და მხარდაჭერისკენ. აქედან გამომდინარე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კონსტიტუციური დაწესებულებებისა და მათი საქმიანობის, აგრეთვე მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების გარეშე ძალისმიერი ზემოქმედებისაგან დაცვა.

2. ყოველმხრივი თავდაცვა მოიცავს ქვეყნის სამხედრო, იდეოლოგიურ, სამოქალაქო და ეკონომიკურ თავდაცვას.

3. ყველა მამრობითი სქესის ავსტრიელი მოქალაქე ითვლება სამხედრო ვალდებულად. ყველა, ვინც უარს ამბობს ან სამხედრო სამსახურიდან თავისუფლდება რელიგიური მოტივებით, ვალდებულია ეწეოდეს სამხედრო სამსახურის შემცვლელ სამსახურს. უფრო კონკრეტული დებულებები განსაზღვრულია კანონით.

4. ავსტრიის მოქალაქე ქალებს უფლება აქვთ მოხალისეებად ჩაირიცხონ და გადიოდნენ სამსახურს ფედერალურ შეიარაღებულ ძალებში, აგრეთვე დატოვონ ეს სამსახური.

მუხლი 10. 1. ფედერაციის გამგებლობას მიეკუთვნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობა შემდეგ საკითხებში:

1) ფედერალური კონსტიტუცია, სახელდობრ, ეროვნული საბჭოს არჩევნები და სახალხო კენჭისყრის ჩატარება ფედერალური კონსტიტუციის შესაბამისად; საკონსტიტუციო საკითხთა იურისდიქცია;

2) საგარეო ურთიერთობები, საზღვარგარეთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ წარმომადგენლობათა ჩათვლით, სახელდობრ, ყველა სახელმწიფოებრივ ხელშეკ-

რულებათა დადება, საზღვრების დაწესება; საქონელბრუნვა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით ვაჭრობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან; საბაჟო საქმე;

3) ფედერაციის ტერიტორიაზე შემოსვლისა და გასვლის რეგულირება და ზედამხედველობა, იმიგრაცია და ემიგრაცია; საპასპორტო საქმე; განსახლება; გასვლის უფლების ჩამორთმევა, გასახლება და გაცემა, აგრეთვე გადაცემა;

4) ფედერალური ფინანსები, სახელდობრ, სახელმწიფო გადასახადები, რომლებიც გადაიხდება სრულად ან ნაწილობრივ ფედერაციის სასარგებლოდ; მონოპოლიები;

5) ფულადი ბრუნვა, საკრედიტო, საბანკო და საბირჟო საქმე, ზომები, წონა, სტანდარტები და სინჯები;

6) სამოქალაქო სამართალი, ეკონომიკური გაერთიანებების სამართლის ჩათვლით, გარდა რეგულირებისა, რომელიც აწესებს ადმინისტრაციულ შეზღუდვებს უცხოელებისათვის მიწების ყიდვა-გაყიდვაზე; სისხლისსამართლებრივი რეგულირება, გარდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა და მიწების საკუთარი კომპეტენციის სფეროს მიკუთვნებულ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაზე საქმის წარმოების სამართლებრივი რეგულირებისა; იუსტიცია; დაწესებულებები, რომლებიც იცავს საზოგადოებას პირებისგან, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული, ზედამხედველობას მოკლებული ან სხვა საშიში პირებისგან, როგორებიცაა შრომა-გასწორებისა და სხვა ამგვარი დაწესებულებები; ადმინისტრაციული იურისდიქცია; საავტორო უფლება; ბეჭედი; ლიკვიდაცია და ამოღება სანიტარიის მიზნით და სხვა სახის ამოღება, თუ ისინი არ ეხება მიწების საკუთარი კომპეტენციის სფეროებს; ნოტარიუსების, ადვოკატებისა და სხვა მონათესავე პროფესიის პირთა საქმიანობის საკითხები;

7) საზოგადოებრივი სიმშვიდის, წესრიგისა და უშიშროების დაცვა პირველადი ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენის ჩათვლით, უშიშროების ადგილობრივი პოლიციის ქმედებების გარდა; გაერთიანებებისა და შეკრებების სამართლებრივი რეგულირება; სამოქალაქო მდგომარეობის აქტები, დაბადების რეგისტრაციისა და გვარის შეცვლის რეგისტრაციის ჩათვლით; უცხოელთა საქმეებისა და ჩაწერის განმკარგავი პოლიცია; იარაღი; საბრძოლო მასალა, ასაფეთქებელი საშუალებები, სასროლო საქმე;

8) ხელოსნობა და მრეწველობა; დუნაის სანაოსნო კომპანიების სახელმწიფო სააგენტოები და კერძო საშუამავლო კანტორები; არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ ბრძოლა; საპატენტო საქმე, აგრეთვე ნიმუშების, მარკებისა და საქონლის სხვა სასაქონლო ნიშნების დაცვა; პატენტების რწმუნებულთა საქმიანობა; საინჟინრო საქმე და საკითხები, რომლებიც ეხება სამოქალაქო ტექნიკის სფეროს სპეციალისტებს; სავაჭრო, სახელოსნო და სამრეწველო პალატები; პროფესიონალურ წარმომადგენლობათა დაფუძნება, რომლებიც ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებენ, გარდა იმისა, რომლებიც სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის დარგებს მიეკუთვნება;

9) სარკინიგზო ტრანსპორტი, აერონავიგაცია და ნაოსნობა, თუ იგი არ ხვდება მე-11 მუხლის მოქმედების ქვეშ; საავტომობილო საქმე, საკითხები, რომ-

ლებიც ეხება გზებს, რომლებიც ფედერალური კანონით მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე აღიარებულია ტრანზიტული მიმოსვლისათვის ფედერალური მნიშვნელობის გზებად, საგზაო პოლიციის საქმიანობის გარდა; წყლისა და სანაოსნო პოლიცია, თუ იგი არ ექცევა მე-11 მუხლის მოქმედების ქვეშ; ფოსტა, ტელეფონი, ტელეგრაფი; გარემო პირობებთან პროექტების შეთავსებადობის შემოწმება იმ საკითხებში, რომლებშიც ივარაუდება გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება და რომლებშიც, ადმინისტრაციული მითითებების შესაბამისად, დადგენილების მიღების გზით განისაზღვრება ტრასების გაკლის ადგილები.

10) სამთო საქმე; სატყეო მეურნეობა საძოვრების ჩათვლით; წყლის სამართალი; წყალსაცავების მდგომარეობის რეგულირება წყალდიდობების დროს უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე ნაოსნობისა და ხე-ტყის დაცურებისათვის; კაშხალების მშენებლობა; ბუნებაში წყლის გზების გაყვანა და მოვლა; ელექტროენერგეტიკული ნაგებობებისა და დანადგარების სტანდარტიზაცია და უნიფიკაცია, ამ სფეროში უშიშროების უზრუნველყოფა; მაღალეოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზების სამართლებრივი რეგულირება, რომლებიც ორი ან მეტი მიწის ტერიტორიაზე გადის; ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის რეგულირება; გეოდეზია;

11) შრომის სამართალი, თუ მას არ ითვალისწინებს მე-12 მუხლი; სოციალური და ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა; მუშა-მოსამსახურეთა პროფესიული პალატები, გარდა სოფლისა და სატყეო მეურნეობებში არსებულისა;

12) ჯანდაცვა, გარდა დამკრძალავი საქმისა და სასაფლაოებისა, აგრეთვე თემებში სანიტარული სამსახურისა და სასწრაფო დახმარების ორგანიზებისა; სამკურნალო დაწესებულებებსა და სანატორიუმებში, კურორტებზე და სამკურნალო წყაროებზე მხოლოდ სანიტარული ზედამხედველობის განხორციელება; მავნე მინარევების დასაშვები ნორმების დარღვევის შედეგად გარემოზე საშიში ზემოქმედების თავიდან აცილების უზრუნველყოფა; ჰაერის სისუფთავის უზრუნველყოფა, გათბობის სფეროში მიწების კომპეტენციაში ჩაურევლად. საშიში ნარჩენების წარმოება, ხოლო რაც შეეხება სხვა ნარჩენებს — მხოლოდ ერთგვაროვანი მითითებების გამოსვლაზე მოთხოვნილების არსებობის შემთხვევაში; ვეტერინარული საქმე; სასურსათო საქმე, საკვები პროდუქტების ხარისხზე კონტროლის ჩათვლით; მცენარეული კულტურებისა და მარცვლეულის, საკვების, სასუქისა და შხამ-ქიმიკატების ტრანსპორტირების რეგულირება, აგრეთვე შხამ-ქიმიკატების მოწყობილობები, დაშვების უფლების ჩათვლით, ხოლო მარცვლეულისა და მცენარეული კულტურების ტრანსპორტირებისას — აგრეთვე ნებართვის ჩათვლით;

13) სამეცნიერო და სპეციალურ-ტექნიკური საარქივო და საბიბლიოთეკო სამსახური, საკითხები, რომლებიც ეხება ფედერაციის თეატრებს, მათი მშენებლობის საკითხების გარდა; ძეგლთა დაცვა; საკითხები, რომლებიც ეხება კულტების გაგზავნას; მოსახლეობის აღწერა, აგრეთვე მიწის შიგნით ნებისმიერი აუცილებელი სტატისტიკური მონაცემების წარმოებაზე მიწის უფლების აუცი-

ლებლობისას სტატისტიკა, თუ იგი არ ეხება მხოლოდ ერთი მიწის ინტერესებს; ანაბრები და ფონდები, თუ მათი მიზნები სცილდება ცალკეული მიწების ინტერესების საზღვრებს და თუ ადრე ისინი არ შედიოდა მიწების ავტონომიურ მმართველობაში;

14) ფედერალური პოლიციისა და ფედერალური ჟანდარმერიის ორგანიზება და ხელმძღვანელობა, დაცვის სხვა ქვედანაყოფების დაფუძნება და ფორმირება თემებში, გარდა დაცვის ქვედანაყოფებისა; დაცვის ქვედანაყოფების აღჭურვისა და იარაღის გამოყენების უფლების პირობების რეგულირება;

15) სამხედრო საქმე; ომით მიყენებული ზარალის აღმოფხვრასა და ომის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები; დაღუპული მებრძოლების საფლავების მოვლა-პატრონობა; ომთან ან მის შედეგებთან დაკავშირებული აუცილებელი ზომების განხორციელება ეკონომიკის ერთიანი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფისათვის, სახელდობრ, მოსახლეობის მომარაგება პირველადი აუცილებლობის ნივთებით;

16) ფედერალური ორგანოებისა და სხვა ფედერალური უწყებების შექმნა; ფედერალურ მოსამსახურეთა სამსახურებრივი სამართალი და სამართალი, რომელიც არეგულირებს მათ თანამდებობათა ცვლას;

17) დემოგრაფიული პოლიტიკა იმ ნაწილში, რომელშიც იგი ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე, ეხება ბავშვებისთვის დახმარებებისა და კომპენსაციების გამოყოფას;

18) არჩევნები ევროპულ პარლამენტში.

2. ფედერალური კანონით გლეხურ კომლში ერთიანი მემკვიდრეობის შესახებ, აგრეთვე ფედერალური კანონების თანახმად, რომლებიც მოიცავს პირველი აბზაცის მე-10 პუნქტში ჩამოთვლილ საკითხებს, მიწების კანონიერი კომპეტენციის სფეროს გადაეცემა მაკონკრეტებელ დადგენილებათა გამოცემა ზუსტად მითითებულ ცალკეულ დებულებებზე. მიწების ამ კანონებისათვის გამოიყენება, შესაბამისად, მე-15 მუხლის მე-6 აბზაცის დებულებები. ამგვარ შემთხვევებში მიღებულ მაკონკრეტებელ კანონთა აღსრულება ეკისრება ფედერაციას, თუმცა დადგენილებები მიწების კანონის მაკონკრეტებელ დებულებათა აღსრულების შესახებ საჭიროებს შესაბამისი მიწის მთავრობასთან წინასწარ შეთანხმებას.

3. სახელმწიფოებრივი ხელშეკრულებების დადებამდე, რომელთა განხორციელებისთვისაც საჭიროა მე-16 მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გატარება ან რომლებიც სხვა მხრივ ეხება მიწების დამოუკიდებელი კომპეტენციის სფეროს, ფედერაციამ მიწებს უნდა მისცეს საშუალება ამ საკითხზე დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია.

მუხლი II. 1. ფედერაციის გამგებლობას განეკუთვნება საკანონმდებლო, ხოლო მიწის გამგებლობას – აღმასრულებელი საქმიანობა შემდეგ საკითხებზე:

1) მოქალაქეობა;

2) პროფესიული წარმომადგენლობები, თუ ისინი არ ექცევა მე-10 მუხლის მოქმედების ქვეშ. თუმცა გამონაკლისია წარმომადგენლობები სოფლისა და სატ-

ყეო მეურნეობის სფეროში, აგრეთვე ალპინიზმისა და სათხილამურო სპორტის და სპორტული სწავლების ინსტრუქტორების საქმიანობის სფეროში, რომლებიც მიწების საკუთარი კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება;

3) სახალხო საბინაო საქმეები, საბინაო მშენებლობისა და საცხოვრებელი სახლების სანაციის ხელშეწყობის გარდა;

4) საგზაო პოლიცია;

5) სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიებები;

6) ნაოსნობა შიდა წყლებში იმ ნაწილში, რომელშიც ეხება სანაოსნო კონცესიებს, სანაოსნო ნაგებობებს და იძულებით უფლებებს ამგვარ ნაგებობებთან მიმართებაში, თუ ისინი განთავსებულნი არ არიან დუნაიზე, ბოდენის ტბაზე, ნოიზიდლერის ტბაზე და სხვა სასაზღვრო საწყლო გზების სასაზღვრო ნაწილებზე; წყლის და სანაოსნო პოლიცია შიდა წყლების გზებზე დუნაის, ბოდენის ტბის, ნოიზიდლერის ტბისა და სხვა სასაზღვრო წყლის გზების სასაზღვრო ნაწილების გარდა;

7) პროექტების გარემოსთან შეთავსებადობის შემოწმება, რომლებშიც იკარაუდება გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება; თუ დგას ერთიანი დებულებების გამოცემის აუცილებლობა, მაშინ ამგვარი პროექტები უნდა დამტკიცდეს.

2. ერთიანი დებულებების გამოცემის აუცილებლობის შემთხვევაში ფედერალური კანონი არეგულირებს ადმინისტრაციულ წარმოებას, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზოგად დებულებებსა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილებათა შესრულებას იმ შემთხვევებში, როდესაც საკანონმდებლო კომპეტენცია განეკუთვნება მიწებს, კერძოდ, საგადასახადო საქმეებში; განსხვავებულად შეიძლება დარეგულირდეს მმართველობის სხვადასხვა სფეროებში ფედერალურ კანონებსა ან მიწების კანონებზე დაყრდნობით, თუ ამას მოითხოვს რეგულირების საგანი.

3. დადგენილებები იმ ფედერალური კანონების აღსრულების შესახებ, რომლებიც შეესაბამება პირველ და მე-2 აბზაცებს, უნდა ქვეყნდებოდეს ფედერაციის მიერ, თუ აღნიშნულ კანონებში სხვა რამ არ არის დადგენილი. პირველი აბზაცის მე-4 და მე-6 პუნქტებში მითითებული საკითხების აღსრულების შესახებ იმ დებულებების გამოცხადების წესი, რომელთა გამოცემის უფლებამოსილება მიწებს ფედერალური კანონით ენიჭებათ, შესაძლოა დარეგულირდეს ფედერალური კანონით.

4. მე-2 აბზაცის შესაბამისად მიღებული კანონებისა და მათი აღსრულების შესახებ დებულებების გამოყენება ევალება ფედერაციას ან მიწებს, იმის მიხედვით, საკითხი ეხება მიწის, თუ ფედერაციის აღმასრულებელ საქმიანობას.

5. თუ არის ერთიანი დებულების გამოცემის მოთხოვნილება, ფედერალური კანონით შესაძლოა დადგინდეს ჰაერში მავნე ნივთიერების შემადგენლობის ერთიანი ზღვრული ნორმები. ეს ნორმები არ უნდა დაირღვეს ფედერაციისა და მიწების დებულებებში, რომლებიც არეგულირებენ მმართველობის ცალკეულ სფეროებს.

6. თუ საერთო დებულებების გამოცემა აუცილებლად ითვლება, ფედერალუ-

რი კანონით რეგულირდება აგრეთვე მოქალაქეების მონაწილეობის პროცედურა ფედერალური კანონის შესაბამისად წარმოდგენილი პროექტების განხილვაში, ადმინისტრაციულ წარმოებაში, რომელიც მოსდევს პროექტების განხილვაში მოქალაქეთა მონაწილეობის პროცედურას, და შესაბამისი პროექტის თაობაზე აუცილებელი ნებართვის გაცემისას მოქალაქეების მონაწილეობის პროცედურის შედეგების აღრიცხვის წესი, აგრეთვე მე-10 მუხლის პირველი აბზაცის მე-9 პუნქტში მოხსენიებული პროექტებისთვის. ამ დებულებათა შესასრულებლად გამოიყენება მე-4 აბზაცი.

7. მე-7 პუნქტის პირველ აბზაცში მითითებულ საქმეებზე თითოეული მიწის აღმასრულებელი საქმიანობის სფეროს ბოლო ინსტანციას წარმოადგენს დამოუკიდებელი სენატის გადაწყვეტილება გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუმცა, ეს სენატი წარმოადგენს ფაქტობრივ უმაღლეს ორგანოს იმ დებულებებით, რომლებიც არეგულირებენ ადმინისტრაციულ წარმოებას. დამოუკიდებელი სენატი შედგება თაემჯდომარის, მოსამართლეებისა და იურიდიული განათლების მქონე სხვა წევრებისგან და ინიშნება კომპეტენტური ფედერალური მინისტრის მიერ, მისი გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება გაუქმებას ან შეცვლას საქმის ინსტანციებში მსვლელობისას; ამ გადაწყვეტილებების გასაჩივრება დაიშვება ადმინისტრაციულ სასამართლოში.

8. თუ მე-7 პუნქტის პირველი აბზაცის თანახმად პროექტი ვრცელდება რამდენიმე მიწაზე, ამ შემთხვევაში დაინტერესებული მიწები წინასწარ უნდა შეთანხმდნენ. თუ შეთანხმებული გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული თვრამეტი თვის განმავლობაში, მიწის ან ამ საქმეში მონაწილე ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობით კომპეტენცია გარემოს საკითხებთან დაკავშირებით გადადის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატის ხელში.

9. მე-7 პუნქტის პირველ აბზაცში მითითებულ საკითხებზე ფედერალურ მთავრობას და ცალკეულ მინისტრებს მინიჭებული აქვთ მიწების მთავრობის თაობაზე შემდეგი უფლებამოსილებანი:

1) ფედერალური ორგანოებისათვის მიწების ორგანოების დოკუმენტების გაცნობა;

2) მათთვის ინფორმაციის მიწოდება ფედერაციის მიერ მიღებული კანონებისა და დადგენილებების აღსრულების შესახებ;

3) ყველა აუცილებელი ცნობის მოთხოვნა აღმასრულებელი საქმიანობის შესახებ ფედერაციის მიერ მიღებული კანონებისა და დადგენილებების მოსამზადებლად;

4) ცალკეულ შემთხვევებში ცნობებისა და აქტების პროექტების მოთხოვნა, თუ ეს აუცილებელია სხვა უფლებამოსილებათა განსახორციელებლად.

მუხლი 12. 1. ფედერაციის გამგებლობას განეკუთვნება კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების დადგენა, ხოლო მიწის გამგებლობას — კონკრეტული კანონების გამოცემა და აღმასრულებელი საქმიანობა შემდეგ საკითხებზე:

1) ღარიბთა შეფარება; დემოგრაფიული პოლიტიკა, თუ მას არ ითვალისწი-

ნებს მე-10 მუხლი; მზრუნველთა სახალხო დაწესებულებები; დედათა, ჩვილთა და მოზარდთა სოციალური უზრუნველყოფა; სოციალური უზრუნველყოფის სამკურნალო დაწესებულებები; კურორტებისთვის, აგრეთვე საკურორტო დაწესებულებებისთვის მოთხოვნის დაწესება, ბუნებრივი წყაროები;

2) კონფლიქტების არსებობისას არასასამართლო შუამავლობის საჯარო დაწესებულებები;

3) მიწის რეფორმა, კერძოდ, აგრარული გარდაქმნები და დასახლება;

4) დაავადებებისა და მავნებლებისაგან მცენარეთა დაცვა;

5) ელექტროენერგეტიკა, თუ მას არ ითვალისწინებს მე-10 მუხლი;

6) შრომის სამართალი, აგრეთვე სასოფლო-სატყეო მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა უფლებების დაცვა.

2. მიწის რეფორმის საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებების მიმღებად და მიწების ინსტანციად ითვლება სენატები, რომლებიც შედგება თავმჯდომარისა და მოსამართლეებისგან, ადმინისტრაციის თანამდებობის პირებისა და ექსპერტებისაგან წევრების უფლებებით. სენატი, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება უმაღლესი ინსტანციის სახით, იქმნება კომპეტენტურ ფედერალურ სამინისტროსთან. სენატების ორგანიზაცია, ამოცანები და მათში წარმოება, აგრეთვე მიწის რეფორმის გატარებასთან დაკავშირებული სხვა ორგანოთა ორგანიზაციის პრინციპები რეგულირდება ფედერალური კანონით. მასში უნდა იყოს მითითებული, რომ სენატი არ ექვემდებარება არც გაუქმებას, არც მართვის წესით ცვლილებას; მიწის ინსტანციაში პირველი ინსტანციის ორგანოების მოქმედებების გასაჩივრების ჩვეულებრივი სამართლებრივი მეთოდების შეზღუდვა დაშვებულია.

3. რამდენადაც მიწების ორგანოების მიერ ელექტროენერგეტიკის საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგება ერთმანეთს და თუ მიწის მთავრობა წარმოადგენდა მის ერთადერთ კომპეტენტურ ინსტანციას, ამგვარი საკითხის განხილვა გადაეცემა კომპეტენტურ ფედერალურ სამინისტროს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მხარე მოითხოვს ამას ფედერალური კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში. როგორც კი ფედერალური სამინისტროს მიერ გამოტანილ იქნება გადაწყვეტილება, მიწის ორგანოების მიერ მიღებული წინა გადაწყვეტილებები ძალას კარგავს.

4. ფედერალურ კანონებში მკაფიოდ უნდა იყოს აღნიშნული, როგორც ასეთი, საკანონმდებლო პრინციპები და პრინციპული დებულებები.

მუხლი 13. 1. ფედერაციისა და მიწების კომპეტენცია გადასახადების სფეროში რეგულირდება განსაკუთრებული ფედერალური კონსტიტუციური კანონით (კონსტიტუციური კანონი „ფინანსების შესახებ").

2. ფედერაცია, მიწები და თემები მოვალენი არიან თავიანთი ბიუჯეტის გამგებლობისას ყველა ძალა მიმართონ საერთო ეკონომიკური თანასწორობის უზრუნველყოფისაკენ.

მუხლი 14. 1. ფედერაციის გამგებლობა მოიცავს საკანონმდებლო და აღმას-

რულებელ საქმიანობას სასკოლო საქმის სფეროში, აგრეთვე სკოლა-ინტერნატებსა და სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებში აღზრდის სფეროში, თუ შემდგომი აბზაცებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სასკოლო საქმისა და აღზრდის საკითხებს, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული მუხლი, არ მიეკუთვნება 14[1] მუხლით რეგულირებული საკითხები.

2. ფედერაციის გამგებლობას განეკუთვნება საკანონმდებლო, ხოლო მიწის გამგებლობას — აღმასრულებელი ხელისუფლება სამსახურებრივ სამართალთან, აგრეთვე სამართალთან დაკავშირებით, რომელიც არეგულირებს საჯარო სავალდებულო სკოლებში მასწავლებელთა თანამდებობრივ ცვლას, თუ მე-4 აბზაცის „ა" პუნქტით სხვა რამ არ არის დადგენილი. ფედერალურმა კანონებმა შეიძლება მიწის საკანონმდებლო კომპეტენციას გადასცეს მაკონკრეტებელი დადგენილებების გამოცემის უფლება ზუსტად მითითებულ ცალკეული დებულებებზე. ამასთან, შესაბამისად, გამოიყენება მე-15 მუხლის მე-6 აბზაცის დებულებები. ამგვარი ფედერალური კანონების აღსრულების შესახებ დადგენილებებს, თუ მათში სხვა რამ არ არის დადგენილი, უნდა გამოსცემდეს ფედერაცია.

3. ფედერაციის კომპეტენციას განეკუთვნება კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების დადგენა, ხოლო მიწის კომპეტენციას — მაკონკრეტებელი კანონების მიღება და აღმასრულებელი საქმიანობა შემდეგ საკითხებზე:

ა) კოლეგიების სტრუქტურა და შემადგენლობა, რომლებიც ფედერალური სასკოლო ორგანოების საზღვრებში უნდა შეიქმნას მიწებში და ადმინისტრაციულ რაიონებში, აღნიშნულ კოლეგიათა წევრების დანიშვნისა და მათი დაჯილდოების ჩათვლით;

ბ) საჯარო სავალდებულო სკოლების ორგანიზაცია (მშენებლობა, საორგანიზაციო ფორმები, შექმნა, შენახვა, დახურვა, ადგილმდებარეობა, კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა და მეცადინეობის დრო);

გ) საჯარო სკოლა-ინტერნატების ორგანიზაცია, რომლებიც მარტოოდენ ან უპირატესად სავალდებულო სკოლების მოსწავლეთათვის არის განკუთვნილი;

დ) პროფესიული მოთხოვნები, რომლებიც საჭიროა მიწებში, თემებსა და თემთა კავშირებში საბავშვო-ბაღების აღსაზრდელების, ბავშვთა სახლებისა და სკოლა-ინტერნატების თანამდებობებზე ჩარიცხვისას, რომლებიც მარტოოდენ ან უპირატესად სავალდებულო სკოლათა მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი.

4. მიწების გამგებლობა მოიცავს საკანონმდებლო და აღმასრულებელ საქმიანობას შემდეგ საკითხებზე:

ა) იმ ორგანობის კომპეტენცია, რომლებიც წარმოადგენს უმაღლესი ინსტანციის საჯარო სავალდებულო სკოლების მასწავლებელთა სამსახურებრივ საქმიანობას, რეგულირდება მეორე აბზაცის თანახმად მიღებული კანონებით. ამ შემთხვევაში კანონით უნდა დადგინდეს, რომ ფედერალური სასკოლო ორგანოები მიწებსა და ადმინისტრაციულ რაიონებში მონაწილეობას იღებენ დანიშვნებში, სხვა ორგანოებში სამსახურებრივ თანამდებობრივ ცვლილებაში და წახალისებებში, აგრეთვე წოდებების მინიჭებასა და დისციპლინურ წარმოებაში. დანიშვნასა და სხვა სამსახურებრივ ცვლილებებში, აგრეთვე წახალისებათა ორგანიზაცი-

აში მონაწილეობის მიღება გულისხმობს, რომ აღნიშნულ საკითხებზე წინადადებების შეტანა მიეკუთვნოს ქვემდგომ ფედერალურ სასკოლო ორგანოებს;

ბ) საბავშვო ბაღებისა და საბავშვო სახლების ორგანიზება.

5. მე-2-4 აბზაცებით დადგენილი დებულებებისაგან გამონაკლისის სახით ფედერაციის გამგებლობას მიეკუთვნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობა შემდეგ საკითხებზე:

ა) საჯარო სკოლები, საბავშვო ბაღები, საბავშვო სახლები და სკოლა-ინტერნატები სპეციალური თავისებურებებით, რომლებიც წარმოადგენს საჯარო სკოლების შემადგენელ ნაწილებს და უზრუნველყოფენ სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული მეცადინეობების ჩატარებას;

ბ) მარტოოდენ ან უპირატესად „ა" პუნქტში მითითებული სპეციალური თავისებურებების მქონე სკოლების მოსწავლეებისათვის განკუთვნილი საჯარო სკოლა-ინტერნატები;

გ) სამსახურებრივი სამართალი და სამართალი, რომელიც არეგულირებს მასწავლებელთა, აგრეთვე საბავშვო ბაღის აღმზრდელების „ა" და „ბ" პუნქტებში ჩამოთვლილ საჯარო დაწესებულებებში დაკავებულ თანამდებობრივ ცვლას.

6. საჯარო სკოლებად ითვლება ისეთი სკოლები, რომლებსაც ქმნიან და ინახავენ კანონით დადგენილი ინსტანციების სასკოლო საქმის ხელმძღვანელობით. ამგვარ ინსტანციებს წარმოადგენენ ფედერაციის ორგანოები, რამდენადაც ფედერაციის გამგებლობას მიეკუთვნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობა იმ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება საჯარო სკოლების შექმნას, შენახვასა და დახურვას. სასკოლო საქმის ხელმძღვანელობის კანონით დადგენილ ინსტანციას წარმოადგენენ მიწების ორგანოები, აგრეთვე მიწების კანონთა დებულებების შესაბამისად თემი ან თემთა კავშირი, რამდენადაც მიწის გამგებლობას მიეკუთვნება საკანონმდებლო ან მაკონკრეტებელი საკანონმდებლო დებულებების მიღება და აღმასრულებელი საქმიანობა იმ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება საჯარო სკოლების შექმნას, შენახვასა და დახურვას. საჯარო სკოლები ხელმისაწვდომია ყველასათვის, მიუხედავად წარმომავლობისა, სქესისა, რასისა, მდგომარეობისა, კლასობრივი კუთვნილებისა, ენისა და სარწმუნოებისა. სხვა მხრივ, მათი ხელმისაწვდომობა განისაზღვრება კანონით დადგენილი წინა პირობებიდან გამომდინარე. აღნიშნული დებულება ვრცელდება შესაბამისად საბავშვო ბაღებზე, საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებზე.

7. სკოლები, რომლებიც არ განეკუთვნება საჯარო სკოლებს, წარმოადგენენ კერძო სკოლებს. მათზე კანონიერი მოთხოვნების ძალით ვრცელდება საჯარო სამართლის დებულებები.

8. ფედერაციას ეკისრება უფლებამოსილება ცნობების შეგროვებაზე, რომლებიც მე-2-3 აბზაცების თანახმად მიეკუთვნება მიწების აღმასრულებელი საქმიანობის საკითხებს და რომლებიც ეხება კანონებისა და იმ დადგენილებების დაცვას, რომლებიც მიღებულია მიწების მიერ ამ აბზაცებით განმტკიცებული დებულებების საფუძველზე. ამავე მიზნით ფედერაციას შეუძლია გაგზავნოს თავისი ინსპექციები სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში. ნაკლოვანებათა აღმოჩენის

შემთხვევაში მიწის გუბერნატორს შეიძლება მიეცეს მითითება (მუხლი 20, აბზაცი 1) აღმოფხვრას ისინი გარკვეული დროის განმავლობაში. კანონის დებულებების თანახმად, მიწის გუბერნატორი ვალდებულია მიიღოს ზომები ამგვარი ღონისძიებების განსახორციელებლად და გამოიყენოს ყველა არსებული საშუალება, რომელსაც იგი ფლობს, როგორც მიწის საკუთარი კომპეტენციის სფეროში მოქმედი ორგანო.

9. მასწავლებლების, აღმზრდელებისა და საბავშვო ბაღების აღმზრდელების სამსახურებრივი სამართლის სფეროში ფედერაციას, მიწებს, თემებსა და თემთა კავშირებს შორის საკანონმდებლო და აღმასრულებელი კომპეტენციის განაწილების მიზნით, რომელიც ეხება ამ პირთა სამსახურებრივ ურთიერთობებს, მოქმედებენ მე-10 და 30-ე მუხლებში განმტკიცებული შესაბამისი ზოგადი დებულებები, თუ წინა აბზაცებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

10. იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება მიწებსა და ადმინისტრაციულ რაიონებში მოქმედ ფედერალურ სასკოლო ორგანოებს, სავალდებულო სასკოლო სწავლებას, სკოლების, კერძო სკოლების ორგანიზებას და სკოლასა და ეკლესიას (რელიგიურ საზოგადოებებს) შორის ურთიერთობებს, სკოლებში რელიგიის სწავლების ჩათვლით. ეს საკითხები არ ეხება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებსა და ხელოვნების აკადემიებს. ფედერალური კანონები შეიძლება მიღებულ იქნეს ეროვნული საბჭოს მიერ მხოლოდ წევრთა არანაკლებ ნახევრის დასწრებისა და ხმების 2/3-ის უმრავლესობით მიღების შემთხვევაში. აღნიშნული პირობა თანაბარი ზომით მოქმედებს ამ საკითხებზე დადებული სახელმწიფოს ხელშეკრულებების დამტკიცების შემთხვევაში, რომლებიც თავიანთი შინაარსით შეესაბამება 50-ე მუხლის დებულებებს.

11. (გაუქმებულია)

მუხლი 14ª. 1. პროფესიული სასკოლო სწავლების სფეროში, აგრეთვე პროფესიული სასოფლო და სატყეო მეურნეობის აღზრდის სფეროში მიწების გამგებლობა მოიცავს საკანონმდებლო და აღმასრულებელ საქმიანობას საკითხებზე, რომლებიც ეხება სკოლა-ინტერნატებს, სამსახურებრივ სამართალსა და სამართალს, რომელიც არეგულირებს მასწავლებლების და სკოლების და სკოლა-ინტერნატების აღმზრდელების თანამდებობრივ ცვლას, რაც მითითებულია მოცემულ მუხლში, თუ შემდგომი აბზაცებით სხვა რამ არ არის დადგენილი. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სწავლების საკითხები არ მიეკუთვნება პროფესიულ სასკოლო სწავლებას სასოფლო და სატყეო მეურნეობის სფეროში.

2. ფედერაციის გამგებლობა მოიცავს საკანონმდებლო და აღმასრულებელ საქმიანობას შემდეგ საკითხებზე:

ა) უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლო დაწესებულებები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები სატყეო მეურნეობის სფეროში, აგრეთვე სასოფლო და სატყეო მეურნეობის სფეროში პროფესიონალური სკოლების მასწავლებელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ბ) სპეციალური სკოლები სატყეო საქმეში სპეციალისტების სწავლებისათ-

ვის;

გ) საჯარო სკოლები სასოფლო და სატყეო მეურნეობის დარგში, რომლებიც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მეცადინეობების უზრუნველყოფის მიზნით ორგანიზაციულად არიან დაკავშირებულნი „ა" და „ბ" პუნქტებში ჩამოთვლილ საჯარო სკოლებთან ან სასოფლო და სატყეო მეურნეობის დარგში მოქმედ რომელიმე ფედერალურ კვლევით დაწესებულებასთან;

დ) სკოლა-ინტერნატები, რომლებიც განკუთვნილია მარტოოდენ და უპირატესად „ა-გ" პუნქტებში ჩამოთვლილ სკოლების მოსწავლეებისათვის;

ე) სამსახურებრივი სამართალი და სამართალი, რომელიც არეგულირებს „ა-დ" პუნქტებში ჩამოთვლილ დაწესებულებათა აღმზრდელებისა და მასწავლებლების თანამდებობრივ ცვლას;

ვ) დოტაციები სასოფლო და სატყეო მეურნეობის სფეროში კონფესიონალური სკოლების პერსონალთა შრომით ანაზღაურებაზე;

ზ) ფედერალური კვლევითი დაწესებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სასოფლო და სატყეო მეურნეობას, რომლებიც სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული მეცადინეობების უზრუნველყოფის მიზნით ორგანიზაციულად არიან დაკავშირებულნი რომელიმე ფედერაციის მიერ შექმნილ სკოლასთან სასოფლო და სატყეო მეურნეობის სფეროში.

3. თუ ეს არ ეხება მე-2 აბზაცში ჩამოთვლილ საკითხებს, მაშინ ფედერაციის გამგებლობას მიეკუთვნება საკანონმდებლო, ხოლო მიწების გამგებლობას — აღმასრულებელი საქმიანობა შემდეგ საკითხებზე:

ა) რელიგიის სწავლება;

ბ) სამსახურებრივი სამართალი და სამართალი, რომელიც არეგულირებს სასოფლო და სატყეო მეურნეობის სფეროში საჯარო პროფესიულ და სპეციალური სკოლების მასწავლებელთა თანამდებობრივ ცვლას, აგრეთვე იმ საჯარო სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა თანამდებობრივ ცვლას, რომლებიც განკუთვნილია მარტოოდენ და უპირატესად მითითებულ სკოლათა მოსწავლეებისათვის, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც ეხება იმ ორგანოთა კომპეტენციას, რომლებიც წარმოადგენენ უმაღლეს ინსტანციას მასწავლებელთა და აღმზრდელთა სამსახურებრივ მოღვაწეობასთან მიმართებით.

„ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად გამოცემულ ფედერალურ კანონებს, შეუძლიათ გადასცენ მიწის საკანონმდებლო კომპეტენციის შესახებ კონკრეტული დადგენილებების გამოცემის უფლება ზუსტად მითითებულ ცალკეულ დებულებებს, ამასთან გამოიყენება შესაბამისად მე-15 მუხლის მე-6 აბზაცის დებულებები. ამგვარი ფედერალური კანონების აღსრულების შესახებ დადგენილებებს, თუ მათში სხვა რამ არ არის დადგენილი, უნდა გამოსცემდეს ფედერაცია.

4. ფედერაციის გამგებლობას მიეკუთვნება კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების დადგენა, ხოლო მიწების გამგებლობას — კონკრეტული კანონების გამოცემა და აღმასრულებელი საქმიანობა:

ა) სასოფლო და სატყეო მეურნეობის სფეროში პროფესიულ სკოლათა მიმართებით: როგორც სწავლების მიზნების, ასევე სავალდებულო საგნების გან-

საზღვრის საკითხებზე, აგრეთვე უფასო სწავლების, სავალდებულო სწავლების და ერთი მიწის სკოლიდან მეორე მიწის სკოლაში გადასვლის საკითხებზე;

ბ) სასოფლო და სატყეო მეურნეობის სფეროში სპეციალურ სკოლებთან მიმართებით: მიღების პირობების, სწავლების მიზნების, ორგანიზაციული ფორმების, მეცადინეობათა მოცულობის და სავალდებულო საგნების, უფასო სწავლების და ერთი მიწის სკოლიდან მეორე მიწის სკოლაში გადაყვანის საკითხებზე;

გ) საკითხებზე, რომლებიც ეხება საჯარო სამართლის დებულებათა გავრცელებას კერძო პროფესიულ და სპეციალურ სკოლებზე სასოფლო და სატყეო მეურნეობის სფეროში, გარდა მე-2 აბზაცის „ბ" პუნქტში მითითებული სკოლებისა;

დ) საბჭოების კომპეტენციასა და ორგანიზაციაზე, რომლებიც ახორციელებენ მიწებზე დაკისრებულ აღმასრულებელ საქმიანობას პირველ აბზაცში ჩამოთვლილ საკითხებზე.

5. მე-2 აბზაცის „გ" და „დ" პუნქტებში ჩამოთვლილ სასოფლო და სატყეო მეურნეობის სფეროში სკოლებისა და კვლევით დაწესებულებათა შექმნა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიწის მთავრობა, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განთავსდეს სპეციალური სკოლა ან კვლევითი დაწესებულება, თანახმაა მის შექმნაზე. ამგვარი თანხმობა არ არის საჭირო, როდესაც საუბარი ეხება სასოფლო და სატყეო მეურნეობის სფეროში სპეციალური სკოლის შექმნას, რომელიც სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული მეცადინეობების უზრუნველყოფის მიზნით ორგანიზაციულად უნდა იყოს დაკავშირებული ამ სკოლათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მომზადებისათვის განკუთვნილ რომელიმე დაწესებულებასთან.

6. ფედერაცია უფლებამოსილია განახორციელოს ზედამხედველობა მის მიერ მიღებული დებულებების შესრულებაზე იმ საკითხებში, რომლებიც მე-3 და მე-4 აბზაცების შესაბამისად მიეკუთვნება მიწის აღმასრულებელ საქმიანობას.

7. მე-14 მუხლის მე-6, მე-7 და მე-9 აბზაცების დებულებები მოქმედებს შესაბამისად პირველ აბზაცში ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებითაც.

8. მე-4 აბზაცში მითითებულ საკითხებზე ფედერალური კანონები ეროვნული საბჭოს მიერ მიიღება მხოლოდ დამსწრე წევრთა არანაკლებ ნახევრისა და ხმათა 2/3-ის უმრავლესობით.

მუხლი 15. 1. თუ რომელიმე კანონი ფედერალური კონსტიტუციის შესაბამისად არ მიეკუთვნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის სფეროში ფედერაციის კომპეტენციას, მაშინ იგი მიეკუთვნება მიწების კომპეტენციის სფეროს.

2. ადგილობრივი პოლიციის უსაფრთხოების საქმეებზე ანუ მისი საქმიანობის იმ ნაწილზე, რომელიც ეხება მარტოოდენ ან უპირატესად მცხოვრებთა ერთიანობის ადგილობრივ ინტერესებს, რომლებიც შედიან თემში და რომელთა ფუნქციები ადგილობრივი თემის საზღვრებში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ამ თემის მიერ, ფედერაციას ეკისრება უფლებამოსილება თემთა საქმეების წარმოებაზე

და ნაკლოვანებების აღმოჩენის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია მიწის გუბერნატორს მისცეს მითითება მათი აღმოფხვრის თაობაზე (მუხლი 103). ამავე მიზნით ფედერაციის მიერ თემში შეიძლება გაიგზავნოს ინსპექციები; მიწის გუბერნატორი ყოველ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქნეს ჩაყენებული საქმის კურსში.

3. მიწების მიერ გამოცემულმა საკანონმდებლო დებულებებმა თეატრისა და კინოს, აგრეთვე საჯარო გამოფენების, წარმოდგენებისა და სანახაობების საკითხებზე, თუ ისინი არ ეხება საწარმოო-ტექნიკურ, სამშენებლო და ხანძარსაწინააღმდეგო საკითხებს, ფედერალური პოლიციის ორგანოებს ადგილობრივი კომპეტენციის სფეროების გათვალისწინებით უნდა მიანიჭოს სულ მცირე მათ ორგანიზაციაზე მეთვალყურეობის უფლებამოსილება, აგრეთვე პირველი ინსტანციის უფლება ამ კანონებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას.

4. ფედერაციისა და შესაბამისი მიწის შეთანხმებული კანონებით რეგულირდება, თუ რა მოცულობით გადაეცემა აღმასრულებელი საქმიანობა ფედერალური პოლიციის ორგანოებს მათი ოფიციალური კომპეტენციის სფეროში, რომლებიც ეხება საგზაო პოლიციას, გარდა ადგილობრივი საგზაო პოლიციისა (118-ე მუხლი, მე-3 აბზაცი, მე-4 პუნქტი) და წყლისა და სახომალდო პოლიციის შიდა წყლების გზებზე, გარდა დუნაის, ბოდენის ტბის, ნოიზიდლერის ტბის და სხვა სასაზღვრო წყლების გზების სასაზღვრო უბნებისა.

5. იმ შენობათა მშენებლობის სფეროში აღსრულების აქტები, რომლებიც ფედერაციას მიეკუთვნება და საჯარო მიზნებს ემსახურება, როგორიცაა მაგალითად, ფედერაციის ან საჯარო დაწესებულებების ორგანოებისა და უწყებების — მათ შორის სკოლებისა და საავადმყოფოების ან ფედერაციის იმ სამხედრო მოსამსახურეთა ან სხვა მოსამსახურეთა კაზარმული განთავსება, რომლებიც მიეკუთვნება არაპირდაპირ ფედერალურ მმართველობას, ამასთან აღნიშნულ საკითხთა გადაწყვეტისას ბოლო ინსტანციას წარმოადგენს მიწის გუბერნატორი. თუმცა, შენობის სიმაღლისა და ფასადის გარე გაფორმების განსაზღვრის უფლება ამგვარ შემთხვევებში მიეკუთვნება მიწის აღმასრულებელი საქმიანობის სფეროს.

6. იმასთან დაკავშირებით, რომ ფედერაციას რჩება მხოლოდ კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების დადგენის უფლება იმ ფარგლებში, რომლებსაც ფედერალური კანონი ითვალისწინებს, მათი კომპეტენცია ხორციელდება მიწების კანონმდებლობით. ფედერალური კანონით შეიძლება დადგინდეს კონკრეტული კანონების გამოცემის ვადა, რომელიც ფედერალური საბჭოს თანხმობის გარეშე ვერ იქნება 6 თვეზე ნაკლები და 1 წელზე მეტი. თუ ეს ვადა მიწების მიერ არ იქნა დაცული, კონკრეტული კანონების გამოცემის კომპეტენცია გადადის მიწიდან ფედერაციაზე. მიწების მიერ კონკრეტული კანონის მიღების შემდეგ ფედერალური კონკრეტული კანონი ძალას კარგავს. იმ შემთხვევებში, როდესაც ფედერაციის, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების სუბიექტის მიერ დადგენილი არ არის ზოგადი პრინციპები, მიწის კანონმდებლობას შეუძლია თავისუფ-

ლად არეგულიროს ისინი. მას შემდეგ, რაც ფედერაცია დაადგენს მიწის კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს, ფედერალური კანონით განსაზღვრულ ვადაში, დებულებები მოყვანილ უნდა იქნეს იმ კანონთან შესაბამისობაში, რომელიც ადგენს ზოგად პრინციპებს.

7. თუ აქტს, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს მიწის აღმასრულებელი საქმიანობის პროცესში, მე-11, მე-12 და მე-14 მუხლების მე-2 და მე-3 აბზაცებში და მე-14ª მუხლის მე-3 და მე-4 აბზაცებში მითითებულ საკითხებზე, მნიშვნელობა ექნება რამდენიმე მიწისათვის, მაშინ დაინტერესებულმა მიწებმა თავდაპირველად უნდა შეათანხმონ თავიანთი ქმედებები. თუ შეთანხმება არ იქნა მიღწეული საკითხის წამოჭრიდან ექვსი თვის განმავლობაში, მაშინ ამგვარი აქტის გამოცემის კომპეტენცია ერთ-ერთი მიწის ან რომელიმე დაინტერესებული მხარის წინადადებით გადადის ფედერალური სამინისტროს კომპეტენციაში. უფრო დაწვრილებითი დებულებები შეიძლება დარეგულირდეს მე-11, მე-12 და მე-14 მუხლების მე-2 და მე-3 აბზაცებისა და 14ª მუხლის მე-3 და მე-4 აბზაცების შესაბამისად გამოცემული კანონებით.

8. საკითხებზე, რომლებიც მე-11 და მე-12 მუხლების შესაბამისად მიეკუთვნება ფედერაციის კანონმდებლობას, ფედერაციას მიეკუთვნება მის მიერ გამოცემული დებულებების განხორციელებაზე ზედამხედველობის უფლება.

9. მიწებს აქვთ უფლება თავიანთი საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებისას გამოსცენ საკითხის რეგულირებისათვის აუცილებელი დებულებები სისხლის და სამოქალაქო სამართლის სფეროში.

10. მიწის კანონები, რომლებსაც ცვლილებები შეაქვს მიწებში არსებულ საერთო-სახელმწიფოებრივი მმართველობის ორგანოთა სტრუქტურაში ან შეიცავენ მის ახალ რეგულირებას, შეიძლება გამოქვეყნდეს მხოლოდ ფედერალური მთავრობის თანხმობით.

მუხლი 15. 1. ფედერაციასა და მიწებს შეუძლიათ ერთმანეთთან დადონ შეთანხმებები თავიანთი კომპეტენციის საკითხებზე. ამგვარი შეთანხმებების დადება, ფედერაციის სახელით მათი საგნიდან გამომდინარე, ეკისრება ფედერალურ მთავრობას ან ფედერალურ მინისტრებს. შეთანხმებები, რომლებიც აუცილებელია ფედერალური საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებისთვის, შეიძლება დაიდოს მხოლოდ ფედერალური მთავრობის მიერ ეროვნული საბჭოს თანხმობით, ამასთან ეროვნული საბჭოს ამგვარ გადაწყვეტილებებზე შესაბამისად ვრცელდება 50-ე მუხლის მე-3 აბზაცის დებულებები; ისინი უნდა გამოქვეყნდეს ფედერალური კანონების ბიულეტენში.

2. მიწებს შორის შეთანხმებები უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც მიეკუთვნება საკუთარი კომპეტენციის სფეროს და დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ფედერალურ მთავრობას.

3. პირველი აბზაცით გათვალისწინებულ შეთანხმებებზე ვრცელდება სახელშეკრულებო სამართლის საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები. ეს დებულება ეხება აგრეთვე მე-2 აბზაცში მითითებულ შეთანხმებებს, რამდენადაც სხვა

რამ არ არის გათვალისწინებული დაინტერესებული მიწების იდენტური კონ-სტიტუციური კანონებით.

მუხლი 16. 1. მიწის საკუთარი გამგებლობის საკითხებზე შეიძლება დაიდოს სახელმწიფო ხელშეკრულებები ავსტრიასთან მოსაზღვრე სახელმწიფოებთან ან მათ შემადგენელ ნაწილებთან.

2. მიწის გუბერნატორი ვალდებულია მოლაპარაკების დაწყებამდე ფედერა-ლურ მთავრობას ინფორმაცია მიაწოდოს ამგვარი სახელმწიფოებრივი ხელშეკ-რულების თაობაზე. ხელშეკრულების დადებამდე მიწის გუბერნატორმა უნდა მი-იღოს ფედერალური მთავრობის თანხმობა. თანხმობა მიღებულად ითვლება, თუ ფედერალურმა მთავრობამ თანხმობაზე თხოვნის გაგზავნიდან რვა კვირის გან-მავლობაში ფედერალური კანცლერის უწყებაში გუბერნატორს არ აცნობა თან-ხმობაზე უარის თქმის შესახებ. მოლაპარაკებების წარმოებისა და სახელმწიფო-ებრივი ხელშეკრულებების დადების უფლებამოსილება ეკუთვნის ფედერალურ პრეზიდენტს, მიწის მთავრობის წინადადებითა და მიწის გუბერნატორის მიერ მასზე ხელმოწერით.

3. ფედერალური მთავრობის მოთხოვნით სახელმწიფოებრივი ხელშეკრულე-ბები პირველი აბზაცის თანახმად წყდება მიწების მიერ. თუ მიწა დროულად არ ასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ამ საკითხზე უფლებამოსილება გადადის ფედერაციაზე.

4. მიწები ვალდებულნი არიან თავიანთი კომპეტენციის სფეროში მიიღონ სა-ხელმწიფო ხელშეკრულებების შესრულებისათვის აუცილებელი ზომები; თუ მი-წა დროულად არ ასრულებს ამ ვალდებულებას, ამგვარი ზომების მიღების კომ-პეტენცია, კერძოდ, აუცილებელი კანონების გამოცემა გადადის ფედერაციაზე. მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება მიწის მიერ აუცილებელი ზომები, მოცემუ-ლი დებულების თანახმად ფედერაციის მიერ ამასთან დაკავშირებით გამოცემუ-ლი კანონი ან დადგენილება ძალას კარგავს.

5. უცხო სახელმწიფოებთან ხელშეკრულებების შესრულებისას ფედერაცია ამგვარადვე ფლობს იმ საკითხებზე ზედამხედველობის უფლებას, რომლებიც მი-წების საკუთარი კომპეტენციის სფეროში შედის. ამასთან, მიწებთან დაკავშირე-ბით ფედერაციას მიეკუთვნება იგივე უფლებები, რომლებსაც იგი ფლობს არა-პირდაპირი ფედერალური მმართველობის საკითხებში (მუხლი 102).

მუხლი 17. კომპეტენციის თაობაზე მე-10 და მე-15 მუხლებით გათვალისწი-ნებული დებულებები აღმასრულებელი და საკანონმდებლო საქმიანობის სფერო-ში არანაირად არ ეხება ფედერაციისა და მიწის, როგორც კერძო-სამართლებრი-ვი ურთიერთობების სუბიექტების მდგომარეობას.

მუხლი 18. 1. მთელი სახელმწიფოებრივი მმართველობა შეიძლება განხორ-ციელდეს მხოლოდ კანონების საფუძველზე.

2. მმართველობის თითოეულ ორგანოს შეუძლია თავისი კომპეტენციის ფარ-

გლებში და საფუძველზე გამოსცეს დადგენილებები.

3. თუ საზოგადოებისთვის აშკარა და გამოუსწორებელი ზიანის უგულებელყოფის მიზნით აუცილებელი იქნება სასწრაფო ზომების მიღება, რომლებიც კონსტიტუციის თანახმად საჭიროებენ ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებას, იმ პერიოდში, როდესაც ეს უკანასკნელი არ იკრიბება, არ შეუძლია დროულად შეიკრიბოს ან როდესაც მისი საქმიანობის განხორციელებას ხელს უშლის დაუძლეველი ძალა, მაშინ ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია ფედერალური მთავრობის წინადადებით საკუთარი და მისი პასუხისმგებლობით მიიღოს ეს ზომები დროებითი დადგენილებების გამოცემის გზით, რომლებსაც ცვლილებები შეაქვს კანონში. ფედერალურ მთავრობას შეაქვს თავისი წინადადება შეთანხმების თაობაზე მუდმივ ქვეკომიტეტთან, რომელიც იქმნება ეროვნული საბჭოს მთავარი კომიტეტის მიერ (მუხლი 55, აბზაცი 2). ამგვარი დადგენილება საჭიროებს ფედერალური მთავრობის ვიზირებას.

4. მე-3 აბზაცის თანახმად ფედერალური მთავრობის მიერ გამოცემული თითოეული დადგენილება დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს ეროვნულ საბჭოს, რომელიც სესიებს შორის პერიოდში მოწვეული უნდა იქნეს ფედერალური პრეზიდენტის მიერ, ხოლო სესიის დროს — ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მიერ წარდგენის შემდგომი რვა დღიდან ერთ-ერთ დღეს. დადგენილების წარდგენიდან ოთხი კვირის განმავლობაში ეროვნული საბჭო ვალდებულია დადგენილების ნაცვლად მიიღოს შესაბამისი ფედერალური კანონი ან თავისი გადაწყვეტილებით მოითხოვოს ფედერალური მთავრობის დადგენილების დაუყოვნებლივი გაუქმება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ფედერალური მთავრობა ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს ეს მოთხოვნა. ეროვნული საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დროული მიღების მიზნით მისი თავმჯდომარე ვალდებულია წარდგენა კენჭისყრაზე დააყენოს არა უგვიანეს მითითებული ოთხკვირიანი ვადის ბოლოს წინა დღეს, უფრო დაწვრილებით დებულებებს ადგენს რეგლამენტი. თუ ფედერალური მთავრობის მიერ დადგენილება გაუქმებულ იქნა ზემოთ გათვალისწინებულის მიხედვით, მაშინ მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღეს ამ დადგენილებებით გაუქმებული საკანონმდებლო დებულებები კვლავ იძენენ ძალას.

5. მე-3 აბზაცში მითითებულ დადგენილებებს ფედერალურ კონსტიტუციურ კანონებში შეუძლიათ შეიტანონ ცვლილებები ან დაადგინონ რომელიმე მუდმივი ფინანსური დაბეგვრა ფედერაციისთვის, მიწებისთვის, რაიონებისა და თემებისთვის ან ფინანსური ვალდებულებები ფედერაციის მოქალაქეებისთვის, ასევე გაითვალისწინონ სახელმწიფო ქონების ჩამორთმევა, მე-10 მუხლის მე-16 პუნქტში მითითებული ზომების გატარება, და ბოლოს, შეეხონ კოალიციური სამართლისა და ბინის დამქირავებელთა ინტერესების დაცვის საკითხებს.

მუხლი 19. 1. აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენენ ფედერალური პრეზიდენტი, ფედერალური მინისტრები და სახელმწიფო მდივნები, აგრეთვე მიწების მთავრობის წევრები.

2. პირველ აბზაცში ჩამოთვლილ პირთა და კერძო მეურნეობაში მყოფი საჯარო დაწესებულებების სხვა თანამდებობის პირთა საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს ფედერალური კანონით.

მუხლი 20. 1. ფედერაციისა და მიწის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელობით საკანონმდებლო დებულებების შესაბამისად მმართველობა ხორციელდება გარკვეული ვადით არჩეული ან უვადოდ დანიშნული კომპეტენტური ორგანოების (პირების) მიერ. ეს ორგანოები (პირები), თუ კონსტიტუციური კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამოკიდებულნი არიან ზემდგომი ორგანოების მითითებებზე და პასუხისმგებელნი არიან მათ წინაშე თავიანთ სამსახურებრივ საქმიანობაზე. დაქვემდებარებულ ორგანოს შეუძლია უარი თქვას ბრძანებების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ იგი მომდინარეობს არაკომპეტენტური ორგანოდან ან თუ მისი შესრულება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის კანონმდებლობის დებულებებს.

2. თუ ფედერალური კანონის ან მიწის კანონის საფუძველზე საკითხების გადაწყვეტაში უმაღლესი ინსტანციის სახით იქმნება კოლეგიური ორგანო, რომლის გადაწყვეტილებებიც კანონის დებულებების თანახმად გაუქმებას ან მმართველობაში ცვლილებებს არ ექვემდებარება და რომლის შემადგენლობაშიც შედის სულ მცირე ერთი მოსამართლე, ამ კოლეგიური ორგანოს წევრები თავიანთი მოვალეობების შესრულებისას არავითარ მითითებებზე არ არიან დამოკიდებულნი.

3. ყოველია ორგანო, რომელსაც დაკისრებული აქვს ფედერალური, მიწისა და თემის მმართველობის ამოცანები, აგრეთვე საჯარო სამართლის სხვა კორპორაციათა ორგანოები, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს ფაქტები, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა მხოლოდ მათ საქმიანობასთან დაკავშირებით და რომელთა საიდუმლოდ შენახვაც აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგისა და მშვიდობის დაცვის, სახელმწიფოს საიმედოდ დაცვის, საგარეო ურთიერთობათა უზრუნველყოფის, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მომზადების ან შესაბამისი პარტიების ინტერესებიდან გამომდინარე (სამსახურებრივი საიდუმლო). სამსახურებრივი საიდუმლოს დაცვა თანამდებობის პირთათვის არ არის სავალდებულო, მათ დამნიშნავ საერთო წარმომადგენლობით ორგანოსთან მიმართებით, თუ ეს უკანასკნელი მოითხოვს ამგვარ ცნობებს.

4. ყოველი ორგანო, რომელსაც ეკისრება ფედერალური მიწისა და თემის მმართველობის ამოცანები, აგრეთვე საჯარო სამართლის სხვა კორპორაციათა ორგანოები, ვალდებულია მიაწოდოს ცნობები მათი კომპეტენციის სფეროში არსებულ საქმეებზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საიდუმლოს დაცვის ვალდებულებას. პროფესიული წარმომადგენლობები ვალდებულნი არიან მიაწოდონ ცნობები მხოლოდ მათ საკუთარ საქმიანობასთან მიმართებით და მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება მათ მიერ კანონით დადგენილი ამოცანების

შესრულებას. უფრო დაწვრილებითი რეგულირება ფედერაციის ორგანოებთან დაკავშირებით, აგრეთვე თვითმმართველობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში წარმოადგენს ფედერაციის საქმეს. მიწისა და თემთა ორგანოებთან მიმართებით დაწვრილებითი რეგულირება, აგრეთვე თვითმმართველობა კანონმდებლობის საფუძვლების სფეროში წარმოადგენს ფედერაციის საქმეს, ხოლო კანონების აღსრულებისა და აღმასრულებელ საქმიანობასთან მიმართებით — მიწების საქმეს.

მუხლი 21. 1. მიწების გამგებლობას განეკუთვნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობა იმ საკითხებზე, რომლებიც შეეხება შრომის სამართალს, შრომითი ხელშეკრულების მარეგულირებელი წესების ჩათვლით, რომლითაც რეგულირდება მიწის, თემისა და თემთა კავშირების ორგანოებში მოსამსახურეთა მიერ თანამდებობების დაკავება, თუ ყველა აღნიშნულ საკითხზე მე-2 აბზაცითა და მე-14 მუხლის „დ" პუნქტის მე-2 და მე-3 აბზაცებით სხვა რამ არ არის დადგენილი. სახელშეკრულებო სასამსახურო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებზე გადაწყვეტილებებს იღებენ სასამართლოები.

2. მიწების გამგებლობას მიეკუთვნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობა დაქირავებულად მომუშავე მოსამსახურეთა უფლებების დაცვის საკითხებზე და მიწების მოსამსახურეთა თანამდებობრივი ცვლის საკითხებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ დაწესებულებებში მშრომელებს. თუ ამ აბზაცის შესაბამისად არ არის დადგენილი მიწების კომპეტენცია, მაშინ მითითებული საკითხები მიეკუთვნება ფედერაციის კომპეტენციას.

3. რამდენადაც ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ფედერაციის მოსამსახურეებთან მიმართებით უმაღლეს ინსტანციებს წარმოადგენს ფედერაციის უმაღლესი ორგანოები. მიწების მოსამსახურეებთან მიმართებაში უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენენ მიწების უმაღლესი ორგანოები; რამდენადაც ეს კანონი ფედერაციის მოსამსახურეთა მიმართებაში ითვალისწინებს შესაბამის გამონაკლისებს, მიწების კონსტიტუციური კანონით შესაძლოა დადგინდეს, რომ მიწების მოსამსახურეებთან მიმართებაში უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენენ ანალოგიური ორგანოები.

4. საჯარო დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის ნებისმიერ დროს უზრუნველყოფილია ფედერაციის, მიწების, თემების და თემთა კავშირების ორგანოებში სამსახურებრივი ადგილის ცვლის შესაძლებლობა. დაუშვებელია საკანონმდებლო დებულებების მიღება, რომელთა შესაბამისადაც სამსახურის დროის ჩათვლა უნდა გამოირჩეოდეს იმის მიხედვით, წარმოადგენს იგი ფედერაციაში, მიწებში, თემებში თუ თემთა კავშირებში სამსახურს. სამსახურებრივი სამართლის, აგრეთვე სამართლის, რომელიც არეგულირებს თანამდებობრივ ცვლას და ფედერაციაში, მიწებსა და თემებში დაქირავებულად მომუშავე მოსამსახურეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად ფედერაციამ და მიწებმა ერთმანეთს უნდა აცნობონ ამ საკითხებზე მიღებული ქმედებების შესახებ.

5. კანონით შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს, რომ:

1) თანამდებობის პირებს უწესდებათ ვადა გარკვეული ხელმძღვანელი ფუნქციების შესასრულებლად ან იმ შემთხვევებში, როდესაც ამას მოითხოვს მათი სამსახურის თავისებურებანი;

2) ვადის ამოწურვის ან ორგანოთა, ანდა საჯარო უფლებებით მოქმედი სტრუქტურების ორგანიზაციის შეცვლისას არ მოითხოვება კანონის შესაბამისად დანიშვნა;

3) თუ დანიშვნის კომპეტენცია გადაცემულია 66-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, მაშინ გადაყვანის ან შეცვლის შემთხვევაში დანიშვნა არ მოითხოვება.

6. მე-5 აბზაცში მითითებულ შემთხვევებში არ არსებობს თანაბარი გამოყენების უფლება.

მუხლი 22. ფედერაციის, მიწებისა და თემების ორგანოები მათთვის კანონით დადგენილი კომპეტენციის სფეროების ჩარჩოებში ვალდებულია დახმარება გაუწიოს ერთმანეთს.

მუხლი 23. 1. ფედერაცია, მიწები, რაიონები, თემები და სხვა გაერთიანებები, აგრეთვე საჯარო სამართლის დაწესებულებები პასუხს აგებენ მიყენებული ზიანისათვის იმ პირების მიმართ, რომლებიც მოქმედებენ მათი წარმომადგენლების სახით კანონების აღსრულებისას და რომლებიც დამნაშავენი არიან მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში.

2. პირები, რომლებიც მოქმედებენ როგორც პირველ აბზაცში ჩამოთვლილი ერთ-ერთი სამართლის სუბიექტის წარმომადგენელნი, თუ მათ ბრალი ედებათ განზრახ ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, მის წინაშე აგებენ პასუხს სამართლის სუბიექტის მიერ, დაზარალებულისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებით.

3. პირები, რომლებიც მოქმედებენ როგორც პირველ აბზაცში ჩამოთვლილი სამართლის სუბიექტების ერთ-ერთი წარმომადგენელი, პასუხს აგებენ უშუალოდ მათ მიერ კანონის აღსრულებისას მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად სამართლის სუბიექტისთვის მიყენებული ზარალისათვის.

4. უფრო კონკრეტული დებულებები, რომლებიც მიეკუთვნება 1-3 აბზაცის დებულებებს, დგინდება ფედერალური კანონით.

5. ფედერალურმა კანონმა 1-3 აბზაცებში მითითებული პრინციპებიდან გადახვევით შესაძლოა დაადგინოს საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირების სფეროში მოქმედი სპეციალური დებულებები.

ბ) ევროპის კავშირი

მუხლი 23Ა. 1. ავსტრიის რესპუბლიკიდან ევროპულ პარლამენტში გაგზავნილი დეპუტატები აირჩევიან პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის შესაბამისად, თანასწორი, პირადაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე იმ ქალთა და მამაკაცთა პირადად განხორციელებული ფარული ხმის მიცემის გზით,

რომელთაც არჩევნების წლის 1 იანვრისათვის შეუსრულდათ სრული 18 წელი და რომელებსაც არჩევნების დღისთვის გააჩნიათ ავსტრიის მოქალაქეობა და ევროკავშირის სამართლის შესაბამისად არა აქვთ ჩამორთმეული საარჩევნო უფლება, ან ევროპული კავშირის სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ, რომელთაც ევროკავშირის სამართლის შესაბამისად აქვთ პასიური საარჩევნო უფლება. უფრო კონკრეტული დებულებები არჩევნების ჩატარების წესის შესახებ დგინდება ფედერალური კანონით.

2. ფედერაციის ტერიტორია ევროპული პარლამენტის არჩევნებზე წარმოადგენს ერთიან საარჩევნო ერთეულს.

3. არჩევის უფლება აქვს ყველა ქალსა და მამაკაცს, რომელთაც არჩევნების წლის 1 იანვრისთვის შეუსრულდათ სრული 19 წელი და არჩევნების დღეს გააჩნიათ ავსტრიის მოქალაქეობა და ევროკავშირის სამართლის შესაბამისად არ აქვთ ჩამორთმეული საარჩევნო უფლება ან ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ, რომელთაც ევროკავშირის სამართლის შესაბამისად აქვთ პასიური საარჩევნო უფლება.

4. აქტიური და პასური საარჩევნო უფლების ჩამორთმევა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

5. ევროპულ პარლამენტში არჩევნების ჩატარება და მათი ხელმძღვანელობა ხორციელდება საარჩევნო ორგანოების მიერ, რომელთაც ნიშნავს ეროვნული საბჭო. საზღვარგარეთ ხმის მიცემა არ უნდა განხორციელდეს საარჩევნო ორგანოს მონაწილეობის გარეშე. უფრო კონკრეტული დებულებები საზღვარგარეთ ხმის მიცემის თაობაზე მიღებულ უნდა იქნეს ეროვნული საბჭოს მიერ წევრთა არანაკლებ ნახევრის დასწრებისას და ხმების 2/3-ის უმრავლესობით.

6. ამომრჩეველთა სიები დგება თემებში მათთვის გადაცემული კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 23ᵝ. 1. საჯარო დაწესებულებების მოსამსახურეთათვის, თუ ისინი კენჭს იყრიან ევროპული პარლამენტის არჩევნებში, გარანტირებულია თავისუფალი დროის მიცემა, რომელიც მათ სჭირდებათ კენჭისყრაში მონაწილეობისთვის. საჯარო დაწესებულებათა მოსამსახურეებმა, რომლებიც აირჩევიან ევროპული პარლამენტის წევრებად, დროებით უნდა დატოვონ სამუშაო ადგილას მანდატის განხორციელება ანაზღაურების დაკარგვით. დეტალები რეგულირდება კანონით.

2. უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებს შეუძლიათ გააგრძელონ კვლევითი სამუშაო, სწავლება და გამოცდების მიღება ევროპარლამენტის შემადგენლობაში შესვლის დროსაც. ამ შრომისთვის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მასწავლებლის შრომითი ანაზღაურების 25 პროცენტს.

3. რამდენადაც ეს ფედერალური კონსტიტუციური კანონი ითვალისწინებს ეროვნული საბჭოსადმი სხვა საქმიანობის ან წინათ განხორციელებული საქმიანობის შეუთავსებლობას, იმდენად ამგვარი საქმიანობა შეუთავსებელია აგრეთვე

ევროპის პარლამენტის წევრობასთან.

მუხლი 23ბ. 1. ევროსაბჭოს ფარგლებში კომისიის, სასამართლო პალატის, პირველი ინსტანციის სასამართლოს, საანგარიშო პალატის, ევროპული საინვესტიციო ბანკის ადმინისტრაციული საბჭოს, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს, აგრეთვე რეგიონთა კომიტეტების წევრების დანიშვნაში ავსტრიის მონაწილეობა ხორციელდება ფედერალური მთავრობის მიერ.

2. ამასთან, კომისიის, სასამართლო პალატის, პირველი ინსტანციის სასამართლოს, საანგარიშო პალატის და ევროპული საინვესტიციო ბანკის ადმინისტრაციული საბჭოს წევრებთან მიმართებაში ფედერალური მთავრობა ვალდებულია შეუთანხმდეს ეროვნული საბჭოს მთავარ კომიტეტს. ფედერალური მთავრობა ვალდებულია ეროვნული საბჭოს მთავარ კომიტეტსა და ფედერალურ პრეზიდენტს ერთდროულად აცნობოს თავისი სავარაუდო გადაწყვეტილების შესახებ.

3. ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან მიმართებით ფედერალური მთავრობა ისმენს კანონის საფუძველზე მოქმედი და პროფესიულ წარმომადგენელთა განსხვავებული სოციალური და ეკონომიკური ჯგუფების წინადადებებს.

4. რეგიონებისა და მათი მიწების კომიტეტის წევრთა დანიშვნაში ავსტრიის მონაწილეობა უნდა განხორციელდეს მიწების, აგრეთვე ავსტრიის ქალაქების კავშირისა და ავსტრიის თემების კავშირის წინადადებების საფუძველზე. ამასთან, მიწებმა უნდა წარადგინონ თითო წარმომადგენელი, ავსტრიის ქალაქების კავშირმა და ავსტრიის თემების კავშირმა — შეთანხმებისამებრ სამი წარმომადგენელი.

5. ფედერალური მთავრობა ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს ეროვნულ საბჭოს იმ წევრებზე, რომლებიც ცნობილი გახდნენ მე-3 და მე-4 აბზაცების შესაბამისად. ფედერალური მთავრობა ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს ეროვნულ საბჭოს იმ წევრების შესახებ, რომლებიც ცნობილნი გახდნენ მე-2, მე-3 და მე-4 აბზაცების შესაბამისად.

მუხლი 23გ. 1. ფედერაცია ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს მიწებს ევროპული კავშირის ფარგლებში ყველა წინასწარ დაგეგმილი ღონისძიების შესახებ, რომლებიც ეხება მათი საკუთარი კომპეტენციის სფეროს ან რომლებიც ამას გარდა მათთვის საინტერესო იქნება და მისცეს მათ შესაძლებლობა გამოხატონ საკუთარი აზრი. მათი აზრი უნდა გადაეცეს ფედერალური კანცლერის უწყებას. ეს მოქმედებს თემებთან დამოკიდებულებაშიც, თუ ეხება თემების საკუთარი კომპეტენციის ან სხვა მნიშვნელოვანი ინტერესების სფეროებს. თემების წარმომადგენლობა ამ საკითხებში მიეკუთვნება ავსტრიის ქალაქების კავშირსა და ავსტრიის თემების კავშირს (მუხლი 115, აბზაცი 3).

2. თუ ფედერაციას წარდგენილი აქვს მიწების ერთიანი აზრი, ევროპის კავშირის დაგეგმილი ღონისძიების თემაზე, რომელიც ეხება მიწების საკანონმდებლო საკითხებს, მაშინ ფედერაცია შებოჭილი აღმოჩნდება ამ აზრით ევროპის

კავშირში აღნიშნულ საქმეზე მსჯელობისას და ხმის მიცემისას. ფედერაციას შეუძლია ეს აზრი მხედველობაში არ მიიღოს მხოლოდ იძულებითი შიდა და გარე პოლიტიკური ხასიათის გარემოებების შემთხვევაში. ფედერაცია ვალდებულია ამ გარემოებების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მიწებს.

3. თუ ევროკავშირის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიება შეეხება აგრეთვე მიწების საკანონმდებლო საკითხებს, მაშინ ფედერალურ მთავრობას შეუძლია გადასცეს მიწის დანიშნულ წარმომადგენელს საბჭოში ნების გამოხატვაში მონაწილეობის უფლება. აღნიშნული უფლების განხორციელება ხდება ფედერალური მთავრობის კომპეტენტური ორგანოს მონაწილეობითა და მასთან შეთანხმებით. მიწების ამ წარმომადგენლებთან დაკავშირებით მოქმედებს მე-2 აბზაცის დებულებები. ამასთან მიწის წარმომადგენელი პასუხისმგებელია 142-ე მუხლის შესაბამისად ფედერალური კანონმდებლობის საკითხებში ეროვნული საბჭოს წინაშე, ხოლო მიწის კანონმდებლობის საკითხებში — ლანდტაგების წინაშე.

4. 1-3 აბზაცებთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებითი დებულებები დგინდება ფედერაციასა და მიწებს შორის შეთანხმებებით (მუხლი 15ª, აბზაცი 1).

5. მიწები ვალდებულნი არიან მიიღონ ზომები, რომლებიც მათი პირადი კომპეტენციის სფეროში აუცილებელია ევროპული ინტეგრაციის ფარგლებში სამართლებრივი აქტების რეალიზაციისას. თუ რომელიმე მიწა დროულად არ ასრულებს ამ ვალდებულებას და თუ ეს დადგინდება სასამართლოს მიერ ევროკავშირის ფარგლებში ავსტრიასთან მიმართებაში, მაშინ ამგვარ ზომათა მიღების უფლებამოსილება, კერძოდ, აუცილებელ კანონთა გამოცემის უფლება გადაეცემა ფედერაციას. ამ დებულების შესაბამისად მიღებული ზომა, კერძოდ, ამგვარი ტიპის კანონი ან დადგენილება კარგავს ძალას, როგორც კი მიწა მიიღებს აუცილებელ ზომებს.

მუხლი 23ᵇ. 1. ფედერალური მთავრობის უფლებამოსილი წევრი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ეროვნულ საბჭოსა და ფედერალურ საბჭოს ევროკავშირის ფარგლებში ყველა დაგეგმილი ღონისძიების თაობაზე და მისცეს მათ შესაძლებლობა გამოთქვან საკუთარი აზრი.

2. თუ ფედერალური მთავრობის უფლებამოსილი წევრის მიერ გამოთქმულია ეროვნული საბჭოს აზრი ევროკავშირის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიების თაობაზე, რომელიც რეალიზებულ უნდა იქნეს ფედერალური კანონით ან უშუალოდ უნდა იქნეს მიმართული გამოყენებული სამართლებრივი აქტის გამოცემისკენ ან ეხება საკითხებს, რომლებიც საჭიროებს ფედერალური კანონით რეგულირებას, მაშინ ფედერალური მთავრობის ეს წევრი შებოჭილია. აღნიშნული აზრით დაკავშირებულია ევროკავშირში განხილვისა და ხმის მიცემის დროს.

3. თუ ფედერალური მთავრობის წევრს მე-2 აბზაცის თანახმად სურს ეროვნული საბჭოს აზრისაგან გადახვევა, მაშინ იგი ვალდებულია ამის შესახებ მოკლე ვადაში აცნობოს ეროვნულ საბჭოს. თუ განხილვის პროცესში მყოფი ევროკავშირის სამართლებრივი აქტი ითვალისწინებს მოქმედი ფედერალური კონსტიტუციური კანონის შეცვლას, მაშინ ნებისმიერ შემთხვევაში ამგვარი გადახვევა

შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული საბჭო განსაზღვრული დროის განმავლობაში არ გამოხატავს ამის თაობაზე წინააღმდეგობას.

4. თუ ეროვნულმა საბჭომ მე-2 აბზაცის თანახმად გამოთქვა თავისი აზრი, მაშინ ფედერალური მთავრობის უფლებამოსილი წევრი ვალდებულია ეროვნულ საბჭოს შეატყობინოს ევროკავშირში კენჭისყრის შედეგების შესახებ. კერძოდ, ეროვნული საბჭოს აზრისგან გადახვევის შემთხვევაში ფედერალური მთავრობის კომპეტენტური ორგანო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მას აღნიშნულის მიზეზი.

5. ეროვნული საბჭოს უფლებამოსილებათა განხორციელება 1-4 აბზაცების თანახმად პრინციპულად მიეკუთვნება მის მთავარ კომიტეტს. უფრო დაწვრილებითი დებულებები ამის თაობაზე დგინდება ეროვნული საბჭოს რეგლამენტის თაობაზე ფედერალური კანონით. ამასთან, განსაკუთრებით უნდა დარეგულირდეს, თუ რა ზომითაა უფლებამოსილი მთავარი კომიტეტის მუდმივი ქვეკომიტეტი ევროკავშირის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიების განხილვის საკითხებზე, რომლებიც განსახილველად გადაეცემა მთავარ კომიტეტს და რა ზომით რჩება თვით ეროვნულ საბჭოს კომპეტენციათა განხორციელება 1-4 აბზაცების თანახმად. მუდმივ ქვეკომიტეტთან დაკავშირებით მოქმედებს 55-ე მუხლის მე-2 აბზაცი.

6. თუ ფედერალური მთავრობის უფლებამოსილი წევრის მიერ გამოთქმულია ფედერალური საბჭოს აზრი ევროკავშირის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიების თაობაზე, რომლის რეალიზაციაც უნდა მოხდეს ფედერალური კონსტიტუციური კანონის შესაბამისად, რომელიც მოითხოვს 44-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად ფედერალური საბჭოს თანხმობას, მაშინ იგი აღმოჩნდება ამ აზრით შებოჭილი ევროკავშირში განხილვისას და კენჭისყრისას. მას შეუძლია ამ აზრიდან გადახვევა მხოლოდ იძულებითი შიდა და გარე პოლიტიკური ხასიათის გარემოებათა შემთხვევაში. უფრო დაწვრილებით ფედერალური საბჭოს კომპეტენციის პირველი აბზაცისა და წინამდებარე აბზაცის თანახმად განხორციელების წესი რეგულირდება ფედერალური საბჭოს რეგლამენტით. ამასთან, განსაკუთრებით უნდა დარეგულირდეს, თუ რა ზომითაა უფლებამოსილი ევროკავშირის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხილვისას ფედერალური საბჭოს ნაცვლად მისი განსაზღვრული კომიტეტი და რა ზომით რჩება თვით ფედერალურ საბჭოს კომპეტენციათა განხორციელება პირველი და წინამდებარე აბზაცების შესაბამისად.

მუხლი 23. 1. ავსტრია მონაწილეობს თანამედროვე საგარეო პოლიტიკაში და ევროკავშირის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკაში ამსტერდამის ხელშეკრულების რედაქციით ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5 თავის შესაბამისად. მასში შედის აღნიშნული ხელშეკრულების მე-17 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად გადაწყვეტილებაში მონაწილეობის მიღება, აგრეთვე იმ ღონისძიებებში მონაწილეობა, რომელთა საშუალებითაც ხდება ერთ ან რამდენიმე მესამე სახელმწიფოსთან ეკონომიკური ურთიერთობების მხარდაჭერა, შეზღუდვა

ან საერთოდ აკრძალვა. ევროკავშირის გადაწყვეტილება ევროკავშირის ერთობლივი დაცვის შესახებ, აგრეთვე ევროკავშირში დასავლეთ ევროკავშირის ინტეგრაციის თაობაზე მოითხოვს ეროვნული საბჭოსა და ფედერალური საბჭოს დასკვნას 44-ე მუხლის პირველი და მე-2 აბზაცების გამოყენების თაობაზე.

2. თანამედროვე საგარეო პოლიტიკისა და მე-5 თავის თანახმად ევროკავშირის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკის ფარგლებში გადაწყვეტილებათა თაობაზე, აგრეთვე ამსტერდამის რედაქციით ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6 თავის თანახმად პოლიციისა და სისხლის სამართლის საქმეებზე იუსტიციის სფეროში თანამშრომლობის ფარგლებში გადაწყვეტილებებთან მიმართებით მოქმედებს 23-ე მუხლის მე-2-5 აბზაცები.

3. გადაწყვეტილებათა მიღებისას მშვიდობის მხარდაჭერის, კრიზისის დაძლევაში შეიარაღებული ძალების გამოყენების, აგრეთვე ამსტერდამის რედაქციით ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-17 მუხლის თანახმად გადაწყვეტილებათა მიღებისას ერთობლივი დაცვისა და დასავლეთ ევროკავშირის ინსტიტუტების უფრო მჭიდრო ურთიერთობების პოლიტიკის თანდათანობითი ფორმირების საკითხებში აუცილებელია ფედერალური კანცლერისა და საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრის ხმის უფლების შეთანხმებული რეალიზაცია.

4. თუ მისაღები გადაწყვეტილება წარმოშობს ავსტრიის ვალდებულებას გაერთიანებების ან ცალკეულ პირთა ინტერესების წინააღმდეგ, მე-3 აბზაცის შესაბამისად მისაღები ღონისძიებების დამტკიცება შესაძლებელია იმ დათქმით, რომ დამატებით განხორციელდეს ის პროცედურებიც, რაც გათვალისწინებულია კონსტიტუციური სამართლით სხვა ქვეყნების პირთა გაერთიანებებისა თუ ცალკეულ პირთა ინტერესების შელახვისას.

მეორე ნაწილი
ფედერაციის საკანონმდებლო ხელისუფლება
ა) ეროვნული საბჭო

მუხლი 24. ფედერაციის საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება ეროვნული საბჭოს მიერ ფედერალურ საბჭოსთან ერთად.

მუხლი 25. 1. ეროვნული საბჭოს ადგილმდებარეობაა ვენა — ფედერაციის დედაქალაქი.

2. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია ფედერალური მთავრობის წარდგინებით ეროვნული საბჭო მოიწვიოს ფედერაციის ტერიტორიის სხვა ადგილზე.

მუხლი 26. 1. ეროვნული საბჭო აირჩევა ფედერაციის ხალხის მიერ პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის შესაბამისად, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, რომელიც ეკუთვნის ყველა ქალსა და

მამაკაცს, რომელთაც არჩევნების წლის 1 იანვრისთვის შეუსრულდათ სრული თვრამეტი წელი, პირადად განხორციელებული ფარული კენჭისყრის გზით. უფრო დაწვრილებითი დებულებები კენჭისყრის პროცედურის თაობაზე დგინდება ფედერალური კანონით.

2. ფედერაციის ტერიტორია იყოფა ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებად; მათმა საზღვრებმა არ შეიძლება გაყოს მიწების საზღვრები; აღნიშნული საარჩევნო ოლქები იყოფა რეგიონალურ-ტერიტორიულ საარჩევნო უბნებად. საარჩევნო ოლქის (საარჩევნო ერთეულის) ამომრჩევლებიდან დეპუტატების რიცხვი უნდა განაწილდეს იმ საარჩევნო ოლქების მოქალაქეთა რიცხვის პროპორციულად, რომელთაც მოსახლეობის ბოლო აღწერის შედეგად მუდმივი ძირითადი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდათ შესაბამის საარჩევნო ოლქში და რომელთაც მართალია რეგისტრაციის დღისთვის არ გააჩნდათ ძირითადი საცხოვრებელი ადგილი ფედერაციის ტერიტორიაზე, მაგრამ შეყვანილნი იყვნენ საარჩევნო სიაში შესაბამისი საარჩევნო ოლქის თემში. ამავე მეთოდით ნაწილდება ერთ საარჩევნო ოლქში დეპუტატების რაოდენობა. არჩევნების ჩატარების წესი ეროვნულ საბჭოში უნდა ითვალისწინებდეს ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე მანდატების განაწილების პროცედურას, რომლის საშუალებითაც ხდება როგორც გადანაწილებული მანდატების გათანაბრება იმ პარტიების მიერ, რომლებიც კენჭს იყრიან საარჩევნო ოლქში, ასევე ჯერ კიდევ გადაუნაწილებელი მანდატების პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპით გადანაწილება. ამომრჩევლების გადანაწილება სხვა საარჩევნო ერთეულების მიერ არ დაიშვება.

3. არჩევნების დღედ უნდა მოდიოდეს კვირა ან სხვა საერთო დასვენების დღე. იმ გარემოებათა შემთხვევაში, რომლებიც ხელს უშლიან არჩევნების ჩატარების დაწყებას, გაგრძელებასა და დამთავრებას, საარჩევნო ორგანოს შეუძლია არჩევნების ჩატარება გააგრძელოს შემდეგ დღეებშიც ან გადაავადოს იგი.

4. პასიური საარჩევნო უფლება აქვს ყველა იმ ქალსა და მამაკაცს, რომელსაც არჩევნების დღისთვის მიღებული აქვთ ავსტრიის მოქალაქეობა და რომელთაც არჩევნების წლის 1 იანვრისთვის შეუსრულდათ სრული 19 წელი.

5. აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

6. ეროვნული საბჭოს, აგრეთვე ფედერალური პრეზიდენტის არჩევნების ჩასატარებლად არჩევნების ხელმძღვანელობისათვის და 46-ე მუხლის შესაბამისად სახალხო კენჭისყრის ჩასატარებლად, აგრეთვე სახალხო კენჭისყრის წესით წარმოდგენილ წინადადებათა შესამოწმებლად უნდა შეიქმნას საარჩევნო კომისიები, რომლებშიც თანაბარუფლებიანი წევრების სახით უნდა შედიოდნენ იმ პარტიათა წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობენ საარჩევნო კამპანიაში, ხოლო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ამას გარდა — წევრები, რომლებიც მიეკუთვნებიან ან ადრე მიეკუთვნებოდნენ სასამართლო კორპუსს. საარჩევნო დებულებით ამ კომისიების წევრთა დადგენილი რიცხვი, სასამართლო კორპუსიდან წევრების გამოკლებით, უნდა ნაწილდებოდეს საარჩევნო კამპანიაში მონაწილე პარტიებს შორის იმ მანდატების რაოდენობის შესაბამისად, რომლებიც მათ მოი-

პოვეს ეროვნულ საბჭოში ბოლო არჩევნებში. საზღვარგარეთ ეროვნული საბჭოს არჩევნებში, ფედერალური პრეზიდენტის არჩევნებში, აგრეთვე რეფერენდუმებში ხმის მიცემა არ უნდა განხორციელდეს საარჩევნო ორგანოს გარეშე. უფრო დაწვრილებითი დებულებები საზღვარგარეთ ხმის მიცემის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს ეროვნული საბჭოს მიერ წევრთა არანაკლებ ნახევრის დასწრებისას და ხმების არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით.

7. ამომრჩეველთა სიები დგება თემის მიერ მათთვის გადაცემული კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 27. 1. ეროვნული საბჭოს უფლებამოსილების ვადა მისი პირველი მოწვევის დღიდან შეადგენს 4 წელს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ახალი ეროვნული საბჭოს მოწვევის დღემდე.

2. ხელახლა არჩეული ეროვნული საბჭო უნდა იქნეს მოწვეული ფედერალური პრეზიდენტის მიერ არჩევნებიდან არანაკლებ 30 დღის განმავლობაში. ფედერალურმა მთავრობამ არჩევნების ისეთი ორგანიზება უნდა მოახდინოს, რომ ხელახლა არჩეულ ეროვნულ საბჭოს შეეძლოს შეკრება ეროვნული საბჭოს წინა მოწვევის უფლებამოსილების ვადის მეოთხე წლის ამოწურვიდან მეორე დღესვე.

მუხლი 28. 1. ფედერალური პრეზიდენტი იწვევს ეროვნულ საბჭოს ყოველწლიურად ერთ მორიგ სესიაზე, რომელიც არ უნდა დაიწყოს 15 სექტემბერზე ადრე და არ უნდა დამთავრდეს მომდევნო წლის 15 ივლისზე ადრე.

2. ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია აგრეთვე მოიწვიოს ეროვნული საბჭო რიგგარეშე სესიაზე ფედერალური მთავრობის მოთხოვნით, ან ეროვნული საბჭოს არანაკლებ 1/3-ის ან ფედერალური საბჭოს მოთხოვნით ფედერალური პრეზიდენტი ვალდებულია მოიწვიოს ეროვნული საბჭო რიგგარეშე სესიაზე ფედერალური პრეზიდენტისთვის წარდგენილი მოთხოვნიდან არა უგვიანეს 2 კვირის განმავლობაში; შეკრება არ ითხოვს რაიმე ვიზირებას. ეროვნული საბჭოს წევრების მოთხოვნით ან ფედერალური საბჭოს წინადადებით რიგგარეშე სესიის მოწვევისათვის არ არის საჭირო ფედერალური მთავრობის წინადადება.

3. ფედერალური პრეზიდენტი აცხადებს ეროვნული საბჭოს სესიის დამთავრების შესახებ ეროვნული საბჭოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე.

4. ეროვნული საბჭოს ახალი სესიის უფლებამოსილების ერთი და იმავე ვადის განმავლობაში გახსნისას მისი მუშაობა გრძელდება იმ ეტაპიდან, რომელზეც დასრულდა წინა სესიის მუშაობა. სესიის დამთავრებისას ეროვნულ საბჭოს შეუძლია დაავალოს ცალკეულ კომიტეტებს განაგრძონ მუშაობა.

5. სესიის მსვლელობისას ეროვნული საბჭოს სხდომებს იწვევს პრეზიდენტი. თუ სესიის მსვლელობისას ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონით დადგენილი ეროვნული საბჭოს წევრთა რაოდენობა ან ფედერალური მთავრობა მოითხოვენ, მაშინ პრეზიდენტი ვალდებულია მოიწვიოს სხდო-

მა. უფრო დაწვრილებით დებულებებს შეიცავს ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონი, რომელიც იმავდროულად ადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც იკრიბება ეროვნული საბჭო.

6. ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალურმა კანონმა უნდა დაადგინოს სპეციალური ნორმები ეროვნული საბჭოს მოწვევის თაობაზე იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ეროვნული საბჭოს არჩეულ თავმჯდომარეებს აღარ შეუძლიათ თავიანთი მოვალეობების განხორციელება ან როდესაც მათი თანამდებობები ვაკანტური ხდება.

მუხლი 29. 1. ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს ეროვნული საბჭო, თუმცა ერთი და იმავე მიზეზით შეუძლია ამის შესახებ განკარგულება გასცეს მხოლოდ ერთხელ. ამ შემთხვევაში ახალი არჩევნები ორგანიზებული უნდა იქნეს ფედერალური მთავრობის მიერ ისე, რომ ხელახლა არჩეულ ეროვნულ საბჭოს შესაძლებლობა ჰქონდეს შეიკრიბოს მისი დათხოვნიდან არა უადრეს მე-100 დღეს.

2. ეროვნულ საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ჩვეულებრივი კანონის საფუძველზე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თვითდათხოვნის შესახებ.

3. მე-2 აბზაცის თანახმად დათხოვნის შემდეგ, აგრეთვე იმ ვადის გასვლის შემდეგ, რა ვადითაც ეროვნული საბჭო იყო არჩეული, მისი უფლებამოსილების ვადა გრძელდება ახალარჩეული ეროვნული საბჭოს შეკრების დღემდე.

მუხლი 30. 1. ეროვნული საბჭო თავის წევრთაგან ირჩევს თავმჯდომარეს, მეორე და მესამე თავმჯდომარეებს.

2. ეროვნული საბჭოს მუშაობა მიმდინარეობს სპეციალური ფედერალური კანონის საფუძველზე. ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონი მიიღება წევრთა არანაკლებ ნახევრის დასწრებისას და ხმების 2/3-ის უმრავლესობით.

3. ფედერაციის საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის სფეროში მმართველობის საქმეების განხორციელებისა და საპარლამენტო საკითხების გადაწყვეტის მხარდასაჭერად, აგრეთვე მსგავს დავალებათა შესასრულებლად და იმ საქმეების სამართავად, რომლებიც წამოყენებულია ავსტრიის რესპუბლიკიდან ევროკავშირის დეპუტატებისთვის, იქმნება საპარლამენტო დირექცია, რომელიც ექვემდებარება ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს. ფედერალურ საბჭოსთან მიმართებაში საპარლამენტო დირექციის შიდა ორგანიზება უნდა დარეგულირდეს ფედერალური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, რომელიც ასრულებს რა ამ კანონით ფედერალური საბჭოსთვის დაკისრებულ დავალებებს, ფლობს აგრეთვე უფლებას მისცეს მითითებები.

4. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ახორციელებს აგრეთვე საპარლამენტო დირექციის მოსამსახურეთა დანიშვნას და ყველა სხვა უფლებამოსილებას, რომელიც ეხება აღნიშნული პერსონალის სამსახურის განხორციელებას.

5. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია საპარლამენტო ამოცანათა შესასრულებლად საპარლამენტო კლუბებისთვის აუცილებელი სამსახურებრივი დახმარების გასაწევად მათთვის გამოყოს საპარლამენტო დირექციის მოსამსახურეები.

6. ორგანიზაციულ ამოცანათა განხორციელებისას, რომლებიც აღნიშნული მუხლის შესაბამისად ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის გამგებლობას მიეკუთვნება, იგი წარმოადგენს უმაღლეს განმკარგულებელ ორგანოს და ერთპიროვნულად ახორციელებს ამ უფლებამოსილებებს. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს აქვს უფლება, გამოსცეს დადგენილებები, რომლებიც ეხება მხოლოდ აღნიშნულ მუხლში რეგლამენტირებულ ორგანიზაციულ საკითხებს.

მუხლი 31. ეროვნული საბჭოს მიერ გადაწყვეტილებათა მისაღებად, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი ან ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონის თანახმად საჭიროა წევრთა არანაკლებ 1/3-ის დასწრება და ხმათა უბრალო უმრავლესობა.

მუხლი 32. 1. ეროვნული საბჭოს სხდომები იმართება ღიად.

2. საჯაროობა გამოირიცხება თუ თავმჯდომარის ან დამსწრე წევრთა 1/5-ის მოთხოვნით ეროვნული საბჭოს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება უცხო პირთა გაძევების შესახებ.

მუხლი 33. არავინ აგებს პასუხს ეროვნული საბჭოსა და მისი კომიტეტების ღია სხდომებზე მიმდინარე მსჯელობათა შესახებ ინფორმაციის გახმაურებაზე.

ბ. ფედერალური საბჭო (ბუნდესრატი)

მუხლი 34. 1. მიწები ფედერალურ საბჭოში წარმოდგენილია მიწების მოქალაქეთა რაოდენობის პროპორციულად შემდეგი დებულებების შესაბამისად.

2. მოქალაქეთა უდიდესი რაოდენობის მქონე მიწები წამოაყენებენ 12 კანდიდატს, ხოლო ყველა სხვა მიწა — ამ რიცხვიდან მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც პროპორციულად შეეფარდება მისი მოქალაქეების რაოდენობასა და მითითებულ უდიდეს რაოდენობას. დანარჩენი, რაც კვოტის ნახევარს აღემატება, მიიჩნევა მთელ კვოტად. ამასთან, თითოეულ მიწას აქვს უფლება წარმოადგინოს არანაკლებ სამი წარმომადგენელი. თითოეული ამგვარი წევრისთვის ინიშნება სათადარიგო წარმომადგენელი.

3. წევრების რაოდენობა, რომელიც წარმოდგენილი გაანგარიშების საფუძველზეა წამოყენებული თითოეული მიწიდან, დგინდება ფედერალური პრეზიდენტის მიერ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შემდეგ.

მუხლი 35. 1. ფედერალური საბჭოს წევრები და მათი მოადგილეები აირჩევიან ლანდტაგების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ვადით, პროპორციული

წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე, თუმცა, არანაკლებ ერთი მანდატი ეძლევა პარტიას, რომელსაც დეპუტატების რაოდენობით მეორე ადგილი უკავია ლანდტაგში, ხოლო იმ შემთხვევაში თუ რამდენიმე პარტია ფლობს დეპუტატთა თანაბარ რაოდენობას — იმ პარტიას, რომელსაც ლანდტაგის ბოლო არჩევნებში ეკავა მეორე ადგილი ამომრჩეველთა ხმების რაოდენობით. რამდენიმე პარტიის თანაბარი მდგომარეობის შემთხვევაში საკითხი წყდება წილისყრით.

2. ფედერალური საბჭოს წევრები არ უნდა შედიოდნენ მათი წარმდგენი ლანდტაგის შემადგენლობაში. თუმცა მათ უნდა ჰქონდეთ აღნიშნულ ლანდტაგში არჩევის უფლება.

3. ლანდგატის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის ან მისი დათხოვნის შემდეგ, მის მიერ წარდგენილი ფედერალური საბჭოს წევრები ინარჩუნებენ თავიანთ ფუნქციებს, ვიდრე ახალი ლანდტაგი არ ჩაატარებს არჩევნებს ფედერალურ საბჭოში.

4. 34-ე და 35-ე მუხლის დებულებები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ფედერალურ საბჭოში არანაკლებ ოთხი მიწის წარმომადგენელთა უმრავლესობით. ამასთან, აუცილებელია აგრეთვე მის გადაწყვეტილებათა მისაღებად საჭირო ხმათა უმრავლესობა.

მუხლი 36. 1. ფედერალურ საბჭოში თავმჯდომარის ადგილს რიგ-რიგობით იკავებენ სხვადასხვა მიწების წარმომადგენლები, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ მიწათა დასახელების ანბანური თანმიმდევრობით.

2. თითოეულ მიწას ხელმძღვანელობს მისი ის წარმომადგენელი, რომელიც პირველად იქნა წამოყენებული საბჭოში; მოადგილეების დანიშვნის წესს არეგულირებს ფედერალური საბჭოს რეგლამენტი. თავმჯდომარეს ეწოდება „ფედერალური საბჭოს პრეზიდენტი", ხოლო მის მოადგილეს „ფედერალური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი".

3. ფედერალური საბჭო სხდომისთვის მოიწვევა თავმჯდომარის მიერ ეროვნული საბჭოს ადგილმდებარეობის მიხედვით. თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ მოიწვიოს ფედერალური საბჭო, თუ ამას მოითხოვს მის წევრთა 1/4 ან ფედერალური მთავრობა.

4. მიწების გუბერნატორებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ფედერალური საბჭოს ყველა სხდომაში. ფედერალური საბჭოს რეგლამენტის დაწერილებითი დებულებების შესაბამისად მათ მოთხოვნილებისამებრ უნდა მოუსმინონ თავიანთი მიწების საკითხებზე.

მუხლი 37. 1. ფედერალური საბჭოს გადაწყვეტილებათა მისაღებად, თუ აღნიშნული კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი ან თუ სხვა რამ არ არის დადგენილი ფედერალური საბჭოს რეგლამენტით ცალკეულ საქმეებზე, საჭიროა წევრთა არანაკლებ 1/3-ის დასწრება და ხმათა უბრალო უმრავლესობა.

2. ფედერალური საბჭო თავისი გადაწყვეტილებით ამტკიცებს რეგლამენტს.

ეს გადაწყვეტილება შესაძლოა მიღებულ იქნეს მხოლოდ წევრთა ნახევრის დასწრებისა და ხმების 2/3-ის უმრავლესობით. რეგლამენტში შესაძლოა იყოს აგრეთვე დებულებები, რომლებიც სცდება ფედერალური საბჭოს საქმიანობის საშინაო ფარგლებს, თუ ეს აუცილებელია ფედერალურ საბჭოში საქმეთა განხილვის რეგულირებისთვის. რეგლამენტს აქვს ფედერალური კანონის ძალა. მას აქვეყნებს ფედერალური კანცლერი ფედერალური კანონების ბიულეტენში.

3. ფედერალური საბჭოს სხდომები ტარდება ღიად. თუმცა საჯაროობა შესაძლოა გამოირიცხოს რეგლამენტის დებულებათა შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. 33-ე მუხლის დებულებები მოქმედებს აგრეთვე ფედერალური საბჭოსა და მისი კომიტეტების ღია სხდომებთან მიმართებაშიც.

გ) ფედერალური კრება

მუხლი 38. ეროვნული საბჭო და ფედერალური საბჭო, რომლებიც შეადგენენ ფედერალურ კრებას, მოიწვევა ერთობლივ ღია სხდომაზე ეროვნული საბჭოს ადგილმდებარეობის მიხედვით, ფედერალური პრეზიდენტის მიერ ფიცის დასადებად და ომის გამოცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

მუხლი 39. 1. ფედერალური კრება, გარდა მე-60 მუხლის მე-6 აბზაცით, 63-ე მუხლის მე-2 აბზაცით, 64-ე მუხლის მე-4 აბზაცით და 68-ე მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მოიწვევა ფედერალური პრეზიდენტის მიერ. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე და ფედერალური საბჭოს თავმჯდომარე თავმჯდომარეობენ მონაცვლეობით, ამ უკანასკნელით დაწყებული.

2. ფედერალურ საბჭოში გამოიყენება შესაბამისად ეროვნული საბჭოს რეგლამენტი.

3. 33-ე მუხლის დებულებები მოქმედებს ფედერალური კრების სხდომებთან მიმართებაშიც.

მუხლი 40. 1. ფედერალური კრების გადაწყვეტილებები მოწმდება მისი თავმჯდომარის მიერ და მყარდება ფედერალური კანცლერის ხელმოწერით.

2. ფედერალური კრების გადაწყვეტილებები ომის გამოცხადების შესახებ ოფიციალურად უნდა გამოქვეყნდეს ფედერალური კანცლერის მიერ.

დ) ფედერალური საკანონმდებლო პროცესი

მუხლი 41. 1. კანონპროექტები შეიტანება ეროვნულ საბჭოში მის წევრთა, ფედერალური საბჭოს ან ფედერალური საბჭოს წევრთა 1/3-ის მიერ, აგრეთვე ფედერალური მთავრობის წარდგინებით.

2. ხმის უფლების მქონე ასი ათასი მოქალაქიდან შემოსული თითოეული წინადადება ან სამი მიწის ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა 1/6 ნაწილის წინადადება (სახალხო ინიციატივა) ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განსა-

ხილველად გადაეცემა ეროვნულ საბჭოს. ხმის უფლების მქონედ სახალხო საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელებისას ითვლება ის, ვინც სახალხო საკანონმდებლო ინიციატივაში მონაწილეობის დღეს ფლობს საარჩევნო უფლებას ეროვნულ საბჭოში და ძირითადი საცხოვრებელი ადგილი აქვს ფედერაციის თემის ტერიტორიაზე. სახალხო ინიციატივის სახით წამოყენებული წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნეს კანონპროექტის ფორმით.

მუხლი 42. 1. ეროვნული საბჭოს თითოეული საკანონმდებლო გადაწყვეტილება მისი თავმჯდომარის მიერ დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ფედერალურ საბჭოს.

2. თუ კონსტიტუციური კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საკანონმდებლო გადაწყვეტილება დამტკიცებული და გამოქვეყნებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფედერალური საბჭო ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ არ გამოთქამს დასაბუთებულ საწინააღმდეგო აზრს.

3. ეს საწინააღმდეგო აზრი ეროვნულ საბჭოს უნდა გადაეცეს ფედერალური საბჭოს თავმჯდომარის მიერ წერილობითი ფორმით, ფედერალური საბჭოს მიერ მიღებული საკანონმდებლო გადაწყვეტილებიდან რვა კვირის განმავლობაში. ამის შესახებ უნდა ეცნობოს ფედერალურ კანცლერს.

4. თუ ეროვნული საბჭო დაასაბუთებს თავის თავდაპირველ გადაწყვეტილებას თავის წევრთა არანაკლებ ნახევრის დასწრებისას, მაშინ ეს გადაწყვეტილება დამტკიცებული და გამოქვეყნებული უნდა იქნეს, თუ ფედერალური საბჭო არ გამოთქვამს ან მე-3 აბზაცით გათვალისწინებულ ვადაში არ შეიტანს დასაბუთებულ საწინააღმდეგო აზრს, მაშინ საკანონმდებლო გადაწყვეტილება დამტკიცებულ და გამოქვეყნებულ უნდა იქნეს.

5. ფედერალური საბჭო არ იღებს მონაწილეობას ეროვნული საბჭოს მიერ იმ კანონების მიღებაში, რომლებიც ეხება ეროვნული საბჭოს რეგლამენტს, ეროვნული საბჭოს დათხოვნას, ფინანსების თაობაზე ფედერალურ კანონს, 51-ე მუხლის მე-5 აბზაცის მიხედვით დროებით მზრუნველობას, ფედერაციის პასუხისმგებლობის აღებას ან შეცვლას, ფედერაციის ფინანსური მოვალეობების აღებას ან შეცვლას ან ფედერალური ხარჯთაღრიცხვის პროექტის დამტკიცებას.

მუხლი 43. ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით ან მის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით, ეროვნული საბჭოს ყოველ საკანონმდებლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით 42-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის დამთავრების შემდეგ, მაგრამ ფედერალური პრეზიდენტის მიერ მის დამტკიცებამდე, უნდა ჩატარდეს სახალხო კენჭისყრა.

მუხლი 44. 1. კონსტიტუციური კანონები ან კონსტიტუციური დებულებები, რომელთაც ჩვეულებრივი კანონები შეიცავს, შეიძლება მიღებულ იქნეს ეროვნული საბჭოს მიერ წევრთა არანაკლებ ნახევრის დასწრებისას და ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით; ისინი მკაფიოდ უნდა იქნენ აღნიშნული, როგორც ასე-

თი („კონსტიტუციური კანონი", „კონსტიტუციური დებულებები").

2. კონსტიტუციური კანონები ან კონსტიტუციური დებულებები, რომელთაც ჩვეულებრივი კანონები შეიცავს, რომელთა საფუძველზე შეზღუდულია საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის სფეროში მიწების კომპეტენცია, ამას გარდა საჭიროებენ ფედერალური საბჭოს მიერ დამტკიცებას, რომელიც მიიღება მის წევრთა არანაკლებ ნახევრის დასწრებისას და ხმათა არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით.

3. მთელი ფედერალური კონსტიტუციის გადასინჯვა 42-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის დამთავრების შემდეგ, მაგრამ ფედერალური პრეზიდენტის მიერ მის დამტკიცებამდე, აგრეთვე კონსტიტუციის ყოველი ნაწილობრივი გადასინჯვა, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ეროვნული საბჭოს ან ფედერალური საბჭოს 1/3, წარდგენილი უნდა იქნეს მთელი ფედერაციის ხალხის კენჭისყრაზე.

მუხლი 45. 1. სახალხო კენჭისყრის ჩატარებისას გადაწყვეტილებები მიიღება ნამდვილად ცნობილ ხმათა უბრალო უმრავლესობით.

2. სახალხო კენჭისყრის შედეგები ოფიციალურად უნდა გამოცხადდეს.

მუხლი 46. 1. სახალხო ინიციატივის განხორციელებისა და სახალხო კენჭისყრის ჩატარების პროცედურა რეგულირდება ფედერალური კანონით.

2. ხმის უფლება აქვს ფედერაციის თითოეულ მოქალაქეს, რომელსაც აქვს ეროვნული საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

3. სახალხო კენჭისყრის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფედერალური პრეზიდენტი.

მუხლი 47. 1. ფედერალური კანონები კონსტიტუციურ ძალას იძენენ ფედერალური პრეზიდენტის მიერ მათი ხელმოწერიდან.

2. კანონს ხელმოსაწერად წარადგენს ფედერალური კანცლერი.

3. ხელმოსაწერი აქტი აგრეთვე უნდა განმტკიცდეს ფედერალური კანცლერის ხელმოწერით.

მუხლი 48. ფედერალური კანონები და 50-ე მუხლში მითითებული სახელმწიფო ხელშეკრულებები ქვეყნდება ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილების დამტკიცებით, ხოლო სახალხო კენჭისყრის საფუძველზე მიღებული ფედერალური კანონები — სახალხო კენჭისყრის დამტკიცებით.

მუხლი 49. 1. ფედერალური კანონები და 50-ე მუხლში მითითებული სახელმწიფო ხელშეკრულებები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ფედერალური კანცლერის მიერ ფედერალური კანონების ბიულეტენში. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ისინი საკალდებულო ძალას იძენენ ფედერალური კანონების ბიულეტენის ნომრის მინიჭების და დაგზავნის დღის ამოწურვისთანავე, და, თუ

სხვა რამ არ არის დადგენილი, მოქმედებენ ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე; თუმცა ეს დებულება არ ვრცელდება სახელმწიფო ხელშეკრულებაზე, რომელიც ექვემდებარება აღსრულებას კანონების გამოცემის საფუძველზე (50-ე მუხლი, მე-2 აბზაცი).

2. 50-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხელშეკრულებების დამტკიცებასთან დაკავშირებით ეროვნულ საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ხელშეკრულება ან სახელმწიფო ხელშეკრულების ცალკეული ზუსტად მითითებული ნაწილები ექვემდებარება გამოქვეყნებას არა ფედერალური კანონების ბიულეტენში, არამედ სხვა შესაბამისი მეთოდით. ეროვნული საბჭოს ამ გადაწყვეტილებაში მითითებულ უნდა იქნეს გამოქვეყნების ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმისაწვდომობას მისი მოქმედების მთელი დროის განმავლობაში, და ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ფედერალური კანონების ბიულეტენში ფედერალური კანცლერის მიერ. თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ამგვარი სახელმწიფო ხელშეკრულებები ძალას იძენენ ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილების შემცველი ფედერალური კანონების ბიულეტენის ნომრის მინიჭების და დაგზავნის დღის ამოწურვისთანავე, და თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, მოქმედებენ ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე.

3. ფედერალური კანონების ბიულეტენთან დაკავშირებით გამოიცემა სპეციალური ფედერალური კანონი.

მუხლი 49ᵃ. 1. ფედერალურ კანცლერს კომპეტენტურ ფედერალურ მინისტრებთან ერთად უფლება აქვს ხელახლა გამოაქვეყნოს ფედერალური კანონები, გარდა ამ კანონისა და ფედერალური კანონების ბიულეტენში მოქმედი რედაქციით გამოქვეყნებული სავალდებულო ძალის მქონე სახელმწიფო ხელშეკრულებებისა.

2. ხელახალ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით შესაძლებელია:

1) მოძველებული ტერმინოლოგიური კონსტრუქციების შესწორება და ძველი მართლწერის ახლით შეცვლა;

2) სხვა სამართლებრივი დებულებების დამოწმების დაზუსტება, თუ ეს დაზუსტებები უკვე აღარ შეესაბამება კანონმდებლობის მდგომარეობას, აგრეთვე სხვა უზუსტობათა აღმოფხვრა;

3) იმ დებულებებზე მითითება, რომლებიც უკვე აღარ მოქმედებენ მოგვიანებით მიღებული სამართლებრივი დებულებებიდან გამომდინარე ან იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი სხვა მიზეზების გამო უსაგნონი გახდნენ;

4) მოკლე დასახელებებისა და ანბანური შემოკლებების დასახელებების მითითება;

5) ცალკეულ დებულებათა გაუქმებასთან ან დამატებასთან დაკავშირებით მუხლების, პარაგრაფების, აბზაცების ნუმერაციის შესაბამისი ცვლა, აგრეთვე ამ დებულებებიდან გამომდინარე ანალოგიური დაზუსტებები, რომლებიც სამართლებრივი აქტის ტექსტშია;

6) გარდამავალ დებულებათა კრებითი ჩამონათვალის შედგენა, აგრეთვე შესაბამისი ფედერალური კანონის წინა რედაქციები ექვემდებარება გამოყენებას მათი მოქმედების სფეროს მითითებით, იმ პირობით, რომ ეს ცნობები სპეციალურად უნდა გამოქვეყნდეს ხელახალ გამოცემასთან ერთად.

3. ყველა სასამართლო და მმართველობის ორგანო, კანონის ხელახალი გამოქვეყნების დღიდან შემდეგ ყველა შემთხვევაში უნდა ხელმძღვანელობდეს ფედერალური კანონის ხელახლა გამოცემული ტექსტით.

მუხლი 49ᵃ. 1. ფედერალური საკანონმდებლო ხელისუფლების გამგებლობას მიკუთვნებულ პრინციპულ და საერთო ავსტრიული მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით სახალხო გამოკითხვა ტარდება, თუ ეროვნული საბჭო იღებს ამის შესახებ გადაწყვეტილებას თავის წევრთა ან ფედერალური მთავრობის მოთხოვნით მთავარ კომიტეტში წინასწარი განხილვის შემდეგ. არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე იმ საქმეებზე, რომლებზეც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ ან ადმინისტრაციულმა ორგანომ, არ შეიძლება იყოს სახალხო გამოკითხვის საგანი.

2. პირველი აბზაცის მნიშვნელობის მიხედვით, მოთხოვნა უნდა შეიცავდეს კითხვის დასმის შესახებ წინადადებას, რომელიც საფუძვლად უდევს სახალხო გამოკითხვას. იგი უნდა შედგებოდეს ან ერთი კითხვისგან, რომელიც საჭიროებს პასუხებს „დიახ" ან „არა" ან ორი მოსალოდნელი ალტერნატიული გადაწყვეტილებისგან.

3. სახალხო გამოკითხვები ტარდება 45-ე და 46-ე მუხლების გამოყენების საფუძველზე. სახალხო გამოკითხვების დროს ხმის უფლება აქვს მას, ვისაც მისი ჩატარების დღისათვის აქვს აქტიური საარჩევნო უფლება ეროვნული საბჭოს არჩევნებში და ფედერაციის ტერიტორიაზე ერთ-ერთ თემში აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ფედერალური საარჩევნო ორგანოები ვალდებულნი არიან ეროვნულ საბჭოს და ფედერალურ მთავრობას წარუდგინონ სახალხო გამოკითხვის შედეგები.

ე) ეროვნული საბჭოსა და ფედერალური საბჭოს მონაწილეობა ფედერალური აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში

მუხლი 50. 1. პოლიტიკური სახელმწიფო ხელშეკრულებები, აგრეთვე რომლებსაც ცვლილებები ან დამატებები შეაქვს კანონში და არ ექცევიან მე-16 მუხლის პირველი აბზაცის მოქმედების ქვეშ, შესაძლოა დაიდოს მხოლოდ ეროვნული საბჭოს დამტკიცებით. თუ ამგვარი სახელმწიფო ხელშეკრულებები არეგულირებენ მიწების საკუთარი კომპეტენციის საკითხებს, მაშინ ისინი ამასთან ერთად საჭიროებენ ფედერალური საბჭოს დამტკიცებას.

2. იმ სახელმწიფო ხელშეკრულების დამტკიცების შემთხვევაში, რომელიც ექცევა პირველი აბზაცის მოქმედების ქვეშ, ეროვნულ საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ეს სახელმწიფო ხელშეკრულება ექვემდე-

ბარება კანონების გამოცემის საფუძველზე აღსრულებას.

3. მე-2 და მე-3 აბზაცების თანახმად მისაღებ ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საჭიროა შესაბამისად 42-ე მუხლის 1-4 აბზაცების დებულებების გამოყენება, ხოლო თუ სახელმწიფო ხელშეკრულებით დამატება ან ცვლილება შედის საკონსტიტუციო სამართალში — 44-ე მუხლის პირველი და მე-2 აბზაცების დებულებების გამოყენება. პირველი აბზაცის თანახმად, დამტკიცების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაში ამგვარი სახელმწიფო ხელშეკრულებები ან სახელმწიფო ხელშეკრულებების დებულებები ექვემდებარება ზუსტ აღნიშვნას, როგორც „კონსტიტუციის ცვლილებანი".

მუხლი 51. 1. ეროვნული საბჭო იღებს ფედერალურ კანონს „ფინანსების შესახებ"; მისი განხილვის საფუძვლია ფედერალური მთავრობის პროექტი.

2. ფინანსური წლის ამოწურვამდე არა უგვიანეს 10 კვირის განმავლობაში ფედერალურმა მთავრობამ უნდა წარუდგინოს ეროვნულ საბჭოს ფედერაციის შემოსავლებისა და გასავლების მომდევნო საფინანსო წლის ნუსხა.

3. ფედერალური კანონი ფინანსების შესახებ დანართის სახით უნდა შეიცავდეს ფედერაციის შემოსავლებისა და გასავლების ნუსხას (ფედერალური ნუსხის პროექტს), შემდეგი საფინანსო წლისათვის საშტატო განრიგს, აგრეთვე სხვა დებულებებს, რომლებიც არსებითია შესაბამის საფინანსო წელს ბიუჯეტის განსახორციელებლად. ფედერალურ საწარმოებთან და ფედერაციის განცალკევებულ ქონებასთან დაკავშირებით ფედერალური ნუსხის პროექტში, აგრეთვე მიღებული უნდა იქნეს ფედერაციის მიერ სუბსიდიები გადასახადებისა და ნამეტების დასაფარად, თუმცა ამ შემთხვევაში შემდეგი შესაბამისი ფედერალური ან ფედერაციის განცალკევებული ქონების საფინანსო წლის შემოსავლები და გასავლები განსაკუთრებით უნდა იყოს მითითებული ფინანსების შესახებ ფედერალური კანონის დანართში.

4. თუ ფედერალურმა მთავრობამ დროულად არ წარუდგინა ეროვნულ საბჭოს „ფინანსების შესახებ" ფედერალური კანონის პროექტი, ეროვნული საბჭოს წევრთა მოთხოვნის საფუძველზე იგი შეიძლება შეტანილ იქნეს ეროვნულ საბჭოში. თუ ფედერალური მთავრობა მოგვიანებით წარმოადგენს „ფინანსების შესახებ" ფედერალური კანონის პროექტს, მაშინ ეროვნულ საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ეს უკანასკნელი საფუძვლად დაედოს განხილვას.

5. თუ ეროვნულმა საბჭომ საფინანსო წლის ამოწურვამდე არ მიიღო მომდევნო საფინანსო წლის ფინანსების შესახებ ფედერალური კანონი და არ შეიტანა ფედერალურ კანონში რაიმე დროებითი ზომა, მაშინ შემოსავლები ამოღებულ უნდა იქნეს მოქმედი დებულებების შესაბამისად. გასავლები უნდა დაიფაროს:

1) ფინანსების შესახებ ფედერალური კანონის პროექტის ფედერალური მთავრობის მიერ წარდგენის შემთხვევაში მარეგულირებელი კანონის ძალაში შესვლამდე, ამ პროექტის საფუძველზე, მაგრამ არა უმეტეს მომდევნო საფინანსო წლის 4 თვისა.

2) ფინანსების შესახებ ფედერალური კანონის პროექტის ფედერალური მთავრობის მიერ წარუდგენლობის შემთხვევაში ან როდესაც პირველ პუნქტში მითითებული შემდეგი საფინანსო წლის პირველი თვე ამოიწურა გასავლებთან მიდგომის საფუძველზე, რომელსაც შეიცავს ფინანსების შესახებ ბოლო ფედერალური კანონი.

ფინანსების შესახებ ფედერალური კანონის პროექტის გასავლების მუხლში კანონების საფუძველზე შეტანილი შემოსავლებისა და გასავლების შესახებ ცვლილებების ან ფინანსების შესახებ ბოლო ფედერალური კანონის გათვალისწინებით, რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენება პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, განისაზღვრება დასაშვები გასავლების უკიდურესი ზღვარი, ამასთან გასავლის განსაზღვრისათვის თითოეულ თვეზე საფუძველს წარმოადგენს ამ გასავლების 1/12 ნაწილი. ვალდებულებათა შესასრულებლად გასავლები აუცილებლად უნდა დაიფაროს მათი გადახდის ვადის დადგომისთანავე პირველი და მე-2 პუნქტების დებულებების შესაბამისად, საშტატო თანამდებობათა ცვლა შესაძლოა განხორციელდეს ფინანსების შესახებ ფედერალური კანონის პროექტის ან ფინანსების შესახებ ბოლო ფედერალური კანონის საფუძველზე. ფინანსური ვალდებულებები აუცილებლობის შემთხვევაში მიიღება გადასახდელად უმაღლესი თანხის ნახევრამდე გათვალისწინებული ზომით და მოკლევადიანი ვალდებულებები საკასო სესხებზე აუცილებლობის შემთხვევაში მიიღება გადასახდელად უმაღლეს თანხამდე გათვალისწინებული ზომით. სხვა შემთხვევებში შესაბამისად გამოიყენება ფინანსების შესახებ ბოლო ფედერალური კანონის დებულებები გასავლებისა და შემოსავლების გარდა, რომელსაც იგი შეიცავს.

6. უფრო დაწვრილებითი დებულებები ფინანსების შესახებ ფედერალური კანონის შემუშავებისა და ფედერაციის ბიუჯეტის განხორციელების შესახებ განისაზღვრება ფედერალური კანონით ერთიანი პრინციპების საფუძველზე. სახელდობრ, ამ კანონით უნდა დარეგულირდეს იმ საკითხთა გადაწყვეტის პროცედურული მეთოდები, რომლებიც წამოიჭრება ფულადი სახსრების შეძენიდან მოვალეობათა არსებობისა და გარდაქმნისას, რომლებიც არ გადაიხდება იმავე საფინანსო წლის განმავლობაში, ან მოკლევადიანი დაფინანსებიდან (საფინანსო ვალდებულებები), ფინანსური ტვირთის დასაბუთების საბიუჯეტო დაგროვებათა წარმოქმნისას, ფედერალური ქონების განკარგვისას და ფედერაციის გარანტიების დადგენისას, აგრეთვე საანგარიშო პალატის მონაწილეობა ანგარიშების წარმოების ორგანიზაციაში.

მუხლი 51. 1. ფინანსთა ფედერალური მინისტრი უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ ბიუჯეტის განხორციელებისას, ეკონომიურობის რენტაბელობისა და მიზანშეწონილობის პრინციპების გათვალისწინებით, უპირველეს ყოვლისა, გასავლები, წარმოებდეს აუცილებელი სავალდებულო გადასახადების დასაფარად, ხოლო შემდეგ სხვა დანარჩენი გათვალისწინებული გასავლები, მაგრამ ეს გასავლები განკარგულებაში მყოფი შემოსავლების თანაბარზომიერი უნდა იყოს.

2. თუ ამას მოითხოვს გასავლებისა და შემოსავლების განვითარება ან თუ საფინანსო წლის განმავლობაში საერთო ეკონომიკურ განვითარებაში დაისახა მნიშვნელოვანი ცვლილებები, მაშინ:

1) ფინანსთა ფედერალურ მინისტრს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ფედერალური კანონით გათვალისწინებული კონიუნქტურის გათანაბრებისკენ მიმართული ფინანსური ნუსხის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებაზე;

2) ფედერალურ მინისტრს ფედარალური მთავრობის თანხმობით შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება გასცეს განკარგულება, თუ ეს არ შეეხება ფედერაციის სავალდებულო გადასახადების შესრულებას არა უმეტეს 6 თვის ვადით დროებითი გასავლების განხორციელებას ან საბოლოო გასავლების განხორციელებას.

მუხლი 51ᵇ. 1. გასავლები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ფინანსების შესახებ ფედერალურ კანონში (არაგეგმიური გასავლები) ან საჭიროებს გასავლების მომატებას, რომლებიც გათვალისწინებულია ფინანსების შესახებ ფედერალური კანონით (ზეგეგმიური გასავლები), შესაძლოა წარმოებდეს ბიუჯეტის შესრულების ფარგლებში, მხოლოდ ფინანსების შესახებ ფედერალური კანონის უფლებამოსილების საფუძველზე.

2. თუმცა დაყოვნების საშიშროების არსებობისას, ფედერალური მთავრობის დადგენილების საფუძველზე ეროვნული საბჭოს კომიტეტთან შეთანხმებით, რომელსაც დავალებული აქვს ფინანსების შესახებ ფედერალური კანონის განხილვა, შესაძლოა წარმოებდეს გაუთვალისწინებელი და გადაუდებელი:

1) არაგეგმიური გასავლები, რომელიც ზომით არ აღემატება ფინანსების შესახებ ფედერალური კანონით გასავლების საერთო თანხის 1/1000 ნაწილს;

2) ზეგეგმიური გასავლები, რომელიც ზომით არ აღემატება ფინანსების შესახებ ფედერალური კანონით გათვალისწინებული გასავლების საერთო თანხის 2/1000 ნაწილს.

თუ ეროვნული საბჭოს კომიტეტი, რომელსაც დაავალეს ფინანსების შესახებ ფედერალური კანონის წინასწარი განხილვა, არ მიიღებს გადაწყვეტილებას 2 კვირის განმავლობაში, მაშინ თანხმობა მიღებულად ითვლება.

3. ფინანსთა ფედერალური მინისტრის თანხმობით ზეგეგმიური გასავლები შესაძლოა, არსებობდეს მაშინ, როდესაც ეს გადაჭარბებული გასავლები განპირობებულია:

1) კანონით დადგენილი ვალდებულების საფუძველზე;

2) არსებული ფინანსური ვალდებულების დროს;

3) ფინანსების შესახებ ფედერალური კანონის ძალაში შესვლისთვის უკვე არსებული სხვაგვარი ვალდებულების საფუძველზე;

4) უშუალოდ დაკავშირებული შრომის ნაყოფიერების ან დამატებითი შემოსავლის ზრდის შედეგად.

4. ეროვნულ საბჭოს შეუძლია უფლებამოსილება მიანიჭოს ფინანსთა ფედერალურ მინისტრს ფინანსების შესახებ ფედერალური კანონის მეშვეობით, მოი-

წონოს ზეგეგმიური გასავლები, რომლებიც განსხვავდებიან მე-3 აბზაცში დასახელებული გასავლებისგან. ეს უფლებამოსილება შესაძლოა მინიჭებულ იქნეს, თუ გადაჭარბება დაკავშირებულია ფაქტობრივ პირობებთან და განსაზღვრულია ციფრობრივად ან გათვლილია, აგრეთვე ეხება გასავლებს:

1) რომელთა განაწილება აუცილებელია გაუთვალისწინებელი ვადიანობისას და მნიშვნელოვნად არ ცვლის ფედერალური ნუსხის გასავლების განაწილებას;

2) რომლებიც აუცილებელი ხდება, თუ საფინანსო წლის განმავლობაში დაისახება საერთო ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ცვლილება (მუხლი 51ᵃ, აბზაცი 2);

3) რომელთაც აქვთ უმნიშვნელო მნიშვნელობა ფინანსების შესახებ ფედერალური კანონით გათვალისწინებული გასავლების საერთო თანხასთან შედარებით.

5. ამ მუხლის დებულებათა საფუძველზე გასავლების გადაჭარბება შესაძლოა დამტკიცდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი დაფარვა ხდება ეკონომიისა და დამატებითი შენატანების ხარჯზე.

6. თავდაცვითი ზომების მიღების აუცილებლობის შემთხვევაში ფედერალური მთავრობის დადგენილების საფუძველზე საფინანსო წლის განმავლობაში შესაძლოა წარმოებულ იქნეს გადაუდებელი არაგეგმიური და ზეგეგმიური გასავლები ქვეყნის საიმედო დაცვის მიზნით (ფედერალური კონსტიტუციური კანონის 9ᵃ მუხლი) „ფინანსების შესახებ" ფედერალური კანონით გათვალისწინებული გასავლების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით, ეროვნული საბჭოს კომიტეტთან შეთანხმებით, რომელსაც დავალებული აქვს ფინანსების შესახებ ფედერალური კანონის წინასწარი განხილვა. თუ ამგვარი ზეგასავლების დაფარვა არ ხდება ეკონომიისა და დამატებითი შემოსავლით, მაშინ ფინანსთა ფედერალური მინისტრი ფედერალური მთავრობის დადგენილებით უფლებამოსილია, საჭირო გასავლების დაფარვა უზრუნველყოს ფინანსური ვალდებულებების აღებითა და მათი ცვლილებებით.

მუხლი 51ᵇ. 1. ეროვნული საბჭოს მონაწილეობა ბიუჯეტის წარმოებაში 51ᵇ მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად ხორციელდება ეროვნული საბჭოს კომიტეტის მეშვეობით, რომელსაც დავალებული აქვს ფინანსების შესახებ ფედერალური კანონის წინასწარი განხილვა. ამ კომიტეტს შეუძლია გადასცეს გარკვეულ ამოცანათა შესრულება ქვეკომიტეტს, რომელსაც აგრეთვე მინიჭებული აქვს ბიუჯეტის წარმოებაში მონაწილეობის მიღების უფლება, ფედერალური პრეზიდენტის მიერ 29-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად ეროვნული საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში. ამას გარდა, კომიტეტი, რომელსაც დავალებული აქვს ფინანსების შესახებ ფედერალური კანონის წინასწარი განხილვა და, შესაბამისად, მისი მუდმივი ქვეკომიტეტი მოიწვევენ ეროვნული საბჭოს სხდომას (მუხლი 28), თუ ეს გამოწვეულია აუცილებლობით. უფრო დაწვრილებით დებულებებს შეიცავს ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონი.

2. ფინანსთა ფედერალურმა მინისტრმა ყოველკვარტალურად უნდა შეატყობინოს პირველ აბზაცში მოხსენიებულ ეროვნული საბჭოს კომიტეტს 51ᵃ მუხ-

ლის მე-2 აბზაცის და აგრეთვე 51ᵇ მუხლის მე-2-4 აბზაცების შესაბამისად მიღებული ზომების შესახებ. სხვა შეტყობინებები აუცილებელია, გადაეცეს ამ კომიტეტს ფედერალური კანონის განსაკუთრებული დებულებების საფუძველზე.

მუხლი 52. 1. ეროვნულ საბჭოსა და ფედერალურ საბჭოს უფლება აქვთ შეამოწმონ ფედერალური მთავრობის საქმისწარმოება, მიმართონ მის წევრებს შეკითხვით აღმასრულებელი საქმიანობის ყველა ასპექტებთან მიმართებით და მოითხოვონ ყველა აუცილებელი ცნობის მიღება, აგრეთვე თავიანთ გადაწყვეტილებებში მოახდინონ რეკომენდაციების ფორმულირება აღმასრულებელი საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით.

2. კონტროლის უფლება პირველი აბზაცის თანახმად არსებობს ფედერალურ მთავრობასა და მის წევრებთან მიმართებით, აგრეთვე იმ დაწესებულებებთან მიმართებით, რომლებშიც ფედერაცია მონაწილეობს ძირითადი და საკუთარი კაპიტალის არანაკლებ 50%-ით და რომლებიც ექვემდებარება საანგარიშო პალატის კონტროლს. ამგვარ ფინანსურ მონაწილეობად უნდა ჩაითვალოს დაწესებულების ფლობა ფინანსური ან სხვაგვარი ეკონომიკური თუ ორგანიზაციული ფორმებით. ეს დებულება მოქმედებს აგრეთვე ნებისმიერი სხვა დაწესებულების მიმართ, რომლებზედაც ვრცელდება ამ აბზაცში ჩამოთვლილი პირობები.

3. ეროვნული საბჭოსა და ფედერალური საბჭოს თითოეული წევრი უფლებამოსილია მიმართოს ეროვნული საბჭოსა და ფედერალური საბჭოს სხდომებზე ფედერალური მთავრობის წევრებს მოკლე ზეპირი შეკითხვით.

4. შეკითხვაზე უფრო დაწვრილებითი რეგულირების უფლება დგინდება ფედერალური კანონით, რომელიც ეხება ეროვნული საბჭოს რეგლამენტს, აგრეთვე ფედერალური საბჭოს რეგლამენტით.

მუხლი 52ᵃ. 1. კონსტიტუციური დაწესებულებებისა და მათი უნარიანობის დაცვისთვის, აგრეთვე დაზვერვის ორგანოების მიერ ქვეყნის სამხედრო თავდაცვის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომების შემოწმების მიზნით ეროვნული საბჭოს კომპეტენტური კომიტეტები ირჩევენ ერთ მუდმივ ქვემოკიტეტს. თითოეულ ქვეკომიტეტში უნდა იყოს ეროვნული საბჭოს მთავარ ქვეკომიტეტში წარმოდგენილი თითოეული პარტიის მინიმუმ ერთი წევრი.

2. მუდმივი ქვეკომიტეტები უფლებამოსილნი არიან შესაბამისი ფედერალური მინისტრებისგან მოითხოვონ ყველა აუცილებელი ცნობის წარმოდგენა და აუცილებელი დოკუმენტების გაცნობა. ეს არ ეხება იმ წყაროების შესახებ ცნობებსა და დოკუმენტებს, რომელთა გახმაურება საფრთხეს შეუქმნიდა ეროვნულ უშიშროებასა და ადამიანთა უსაფრთხოებას.

3. როდესაც ეს აუცილებელია მუდმივი ქვეკომიტეტები შეიძლება აგრეთვე შეიკრიბონ ეროვნული საბჭოს სესიის გარეშე.

4. უფრო დაწვრილებით დებულებებს შეიცავს ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონი.

მუხლი 52[3]. 1. ფედერალური ფინანსების საქმეში, კონკრეტული სიტუაციის გარკვევის მიზნით საანგარიშო პალატის კონტროლს დაქვემდებარებული კომიტეტი ფედერალური კონსტიტუციური კანონის 126[2] მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად ირჩევს მუდმივ ქვეკომიტეტს. ამ ქვეკომიტეტში უნდა იყოს ეროვნული საბჭოს მთავარ კომიტეტში წარმოდგენილი თითოეული პარტიისა მინიმუმ ერთი წევრი.

2. უფრო დაწერილებით დებულებებს შეიცავს ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონი.

მუხლი 53. 1. ეროვნულ საბჭოს შეუძლია თავისი გადაწყვეტილებით შექმნას საგამოძიებო კომიტეტები.

2. საგამოძიებო კომიტეტების შექმნის წესისა და მათში წარმოების თაობაზე უფრო დაწერილებითი რეგულირება დგინდება ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონით.

3. სასამართლოები და სხვა ორგანოები ვალდებულნი არიან დააკმაყოფილონ მტკიცებულების წარმოებაზე ამ კომიტეტების მოთხოვნები; ყველა საჯარო დაწესებულებამ მათი მოთხოვნით უნდა წარადგინოს საკუთარი დოკუმენტაცია.

მუხლი 54. (*გაუქმებულია*)

მუხლი 55. 1. ეროვნული საბჭო თავისი წევრებიდან პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე ირჩევს მთავარ კომიტეტს.

2. აუცილებლობის შემთხვევაში მთავარი კომიტეტი შეიძლება მოწვეულ იქნეს იმ პერიოდში, როდესაც ეროვნული საბჭოს სესია არ ტარდება (მუხლი 28).

3. მთავარი კომიტეტი თავისი წევრებიდან ირჩევს მუდმივ ქვეკომიტეტს, რომელზეც ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებები. არჩევა ხდება პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე; თუმცა ამ პრინციპის დაცვისას ქვეკომიტეტში უნდა შედიოდეს მთავარ კომიტეტში წარმოდგენილი პარტიიდან არანაკლებ თითო წევრი. ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონი უნდა უზრუნველყოფდეს, რომ მუდმივი ქვეკომიტეტი მოწვეულ და შეკრებილ იქნეს ნებისმიერ დროს. თუ ეროვნული საბჭო 29-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად ფედერალური პრეზიდენტის მიერ დაითხოვება, მაშინ მუდმივ ქვეკომიტეტს ეკისრება მონაწილეობა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში, რომელიც ამ კანონის თანახმად ეკუთვნის ეროვნულ საბჭოს (მთავარ კომიტეტს).

4. ფედერალური კანონით შესაძლოა დადგინდეს ფედერალური მთავრობის ან ფედერალური მინისტრის საერთო აქტის მთავარ კომიტეტთან შეთანხმების მოთხოვნა, აგრეთვე მთავარი კომიტეტისათვის ფედერალური მთავრობის ან ფედერალური მინისტრის მხრიდან მოხსენების წარდგენა. უფრო დაწერილებითი დებულებები, კერძოდ, იმ შემთხვევისთვის, როდესაც შეთანხმება არ მიიღწევა,

წარმოდგენილია ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალურ კანონში.

5. მმართველობის შეუფერხებელი წარმოების უზრუნველყოფის ზომების ან მოსახლეობისა და სხვა მომხმარებლების სამეურნეო თუ სამომხმარებლო საქონლით მომარაგების თაობაზე კომპეტენტური ფედერალური მინისტრის დებულებები საჭიროებს ეროვნული საბჭოს მთავარი კომიტეტის მხრიდან დამტკიცებას. ამასთან, ამგვარი დებულებების დაყოვნების ან გაუქმების საშიშროების წარმოქმნის შემთხვევაში შესაძლოა დადგინდეს კანონით განსაზღვრული განსაკუთრებული წესები. მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებები, რომლებიც მოითხოვს ამგვარი დებულებების დამტკიცებას, შესაძლოა მიღებულ იქნეს მხოლოდ მის წევრთა არანაკლებ ნახევრის დასწრებისა და ხმათა არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით.

ე) ეროვნული საბჭოსა და ფედერალური საბჭოს წევრთა სტატუსი

მუხლი 56. 1. ეროვნული საბჭოს წევრები და ფედერალური საბჭოს წევრები თავიანთი მოვალეობის შესრულებისას არ არიან შეზღუდულნი არავითარი დავალებებით.

2. თუ ფედერალური მთავრობის წევრმა ან სახელმწიფო მდივანმა უარი თქვა თანამდებობაზე, მაშინ მათი გადადგომის შემდეგ, ხოლო 71-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში — გადაყენების შემდეგ, შემდგომი უფლებამოსილებების განხორციელებას მათ დროებით დააკისრებს კომპეტენტური საარჩევნო ორგანო, თუ პირი, რომელსაც ეს ეხება, 8 დღის განმავლობაში საარჩევნო ორგანოს წინაშე უარს არ იტყვის მანდატის განახლებაზე.

3. მანდატის განახლების შემდეგ მოქმედება უწყდება ეროვნული საბჭოს იმ წევრის მანდატს, რომელსაც დროებით ჰქონდა წევრის მანდატი, თუ მომდევნო ეროვნული საბჭოს იმავე საარჩევნო ოლქში არჩეული წევრი არ განუცხადებს საარჩევნო ორგანოს იმის თაობაზე, რომ მას სურს ისარგებლობს მანდატით, როგორც ეროვნული საბჭოს დროებით ამორიცხული წევრის მოადგილემ.

4. მე-2 და მე-3 აბზაცები მოქმედებს აგრეთვე, თუ ფედერალური მთავრობის წევრი ან სახელმწიფო მდივანი არ იღებდნენ ეროვნული საბჭოს წევრად არჩევნებში მონაწილეობას.

მუხლი 57. 1. ეროვნული საბჭოს წევრები არასოდეს არ მიეცემიან პასუხისგებაში ხმის მიცემისათვის საკუთარი მოვალეობების განხორციელებისას და პასუხს აგებენ თავიანთ ზეპირ ან წერილობით სახით გამოთქმულ აზრზე მოვალეობათა განხორციელებისას მხოლოდ ეროვნული საბჭოს წინაშე.

2. ეროვნული საბჭოს წევრები შეიძლება დაპატიმრებულ იქნენ სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედების ჩადენისას მხოლოდ ეროვნული საბჭოს თანხმობით, გარდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე ნივთიერი სამხილით მათი დაკა-

ვების შემთხვევისა. ეროვნული საბჭოს თანხმობა საჭიროა აგრეთვე ეროვნული საბჭოს წევრების ბინის ჩხრეკის ჩასატარებლად.

3. ამის გარდა, ეროვნული საბჭოს თანხმობის გარეშე მისი წევრები შესაძლოა ოფიციალურად იდევნებოდნენ სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედებისათვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედება აშკარად არ არის დაკავშირებული აღნიშნული დეპუტატის პოლიტიკურ საქმიანობასთან, თუმცა კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გამოითხოვონ ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილება ამგვარი კავშირის არსებობაზე, თუ ამას მოითხოვს აღნიშნული დეპუტატი ან მუდმივი კომიტეტის წევრთა 1/3, რომელსაც ამგვარი საქმეები ევალება. მსგავსი მოთხოვნის არსებობისას ყოველგვარი ოფიციალური დევნა დაუყონებლივ უნდა შეწყდეს ან შეჩერდეს.

4. ეროვნული საბჭოს თანხმობა ყველა ამ შემთხვევაში ჩაითვლება მიღებულად, თუ რვა კვირის განმავლობაში არ მიიღებს გადაწყვეტილებას დევნის განხორციელების უფლებამოსილი ორგანოს შესაბამის თხოვნაზე; ეროვნული საბჭოს მიერ დროული გადაწყვეტილების მიღების მიზნით მისმა თავმჯდომარემ ამგვარი საკითხი კენჭისყრაზე უნდა დასვას არა უგვიანეს ამ ვადის ბოლოს წინა დღეს. სესიებს შორის დრო ამ ვადაში არ ითვლება.

5. ნივთიერი სამხილით დანაშაულის ჩადენის ადგილზე დეპუტატის დაკავებისას, კომპეტენტურმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს დაპატიმრების განხორციელების თაობაზე. ეროვნული საბჭოს მოთხოვნით, ხოლო სესიებს შორის პერიოდში იმ მუდმივი კომიტეტის მოთხოვნით, რომელსაც ამგვარი საქმეები ევალება, დაპატიმრება უნდა გაუქმდეს ან დევნა საერთოდ უნდა შეწყდეს.

6. დეპუტატების იმუნიტეტი წყდება ხელახლა არჩეული ეროვნული საბჭოს მოწვევის დღეს, ხოლო მის ორგანოებში, რომლებიც თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ ამის შემდგომაც — ამ ფუნქციების დასრულების მომენტიდან.

7. უფრო დაწვრილებითი დებულებები დგინდება ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონით.

მუხლი 58. ფედერალური საბჭოს წევრები თავიანთი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში სარგებლობენ იმავე იმუნიტეტით, რითაც ლანდტაგის წევრები, რომლის მიერაც არიან ისინი წარდგენილნი.

მუხლი 59. ეროვნული საბჭოს, ფედერალური საბჭოს ან ევროპული პარლამენტის არც ერთი წევრი არ შეიძლება იმავდროულად შედიოდეს ორი სხვა წარმომადგენლობითი ორგანოდან რომელიმეს შემადგენლობაში.

მუხლი 59ᵃ. 1. საჯარო დაწესებულების მოსამსახურეს, თუ იგი კენჭს იყრის ეროვნული საბჭოს არჩევნებში, გარანტირებული აქვს კენჭისყრაში მონაწილეობისათვის აუცილებელი თავისუფალი დროის მიცემა.

2. საჯარო დაწესებულების მოსამსახურეს, რომელიც არის ეროვნული საბ-

ჭოს ან ფედერალური საბჭოს წევრი, მისი თხოვნით მიეცემა სამსახურებრივ მოვალეობათა თავისუფალი განხორციელების ან თანამდებობიდან გათავისუფლების უფლება მისი მანდატის განხორციელებისათვის აუცილებელი ვადით. სამსახურებრივი მოვალეობის თავისუფალი განხორციელების ან თანამდებობიდან გათავისუფლების დროის განმავლობაში ანაზღაურდება სარგო, რომელიც შეესაბამება სამსახურებრივ ურთიერთობებში ფაქტობრივად დახარჯულ, შრომით ანაბარს, მაგრამ არა უმეტეს სამსახურებრივი სარგოს 75%-ისა; ეს შეზღუდვა მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაინტერესებული პირი არ იყენებს არც სამსახურებრივი მოვალეობების თავისუფალი განხორციელების უფლებას და არც თანამდებობიდან გათავისუფლების უფლებას. თანამდებობიდან დათხოვნას მოსდევს სარგოს ჩამორთმევა.

3. თუ საჯარო დაწესებულების მოსამსახურე თავისი მანდატის განხორციელების გამო ვერ გამოიყენება თავის წინა სამუშაო ადგილზე, მაშინ მას უფლება აქვს, მისი მონაცემების შესაბამისად მიეცეს ტოლფასი, აგრეთვე მისი თანხმობით — არატოლფასი საქმიანობა.

4. *ამოღებულია.*

მუხლი 59³. 1. საჯარო დაწესებულების მოსამსახურების, რომლებიც არჩეულნი არიან ეროვნული საბჭოს ან ფედერალური საბჭოს წევრებად, სარგოებზე კონტროლის განსახორციელებლად საპარლამენტო დირექციასთან იქმნება კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

1) ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მიერ დასახელებული თითო წარმომადგენელი;

2) ფედერალური საბჭოს თავმჯდომარის მიერ მისი მოადგილის თანხმობით დასახელებული ორი წარმომადგენელი;

3) მიწის ორი წარმომადგენელი;

4) თემის ორი წარმომადგენელი და

5) ერთი წევრი, რომელსაც წინათ ეკავა სასამართლო თანამდებობა.

კომისიის წევრები, რომლებიც გახდნენ წევრები მე-2-5 პუნქტების შესაბამისად, ინიშნებიან ფედერალური პრეზიდენტის მიერ. ამასთან, ფედერალური მთავრობა თავისი წინადადებების მიწოდებისას (მუხლი 67) მე-3 პუნქტის საფუძველზე შეზღუდულია მიწის ხელმძღვანელების ერთობლივი წინადადებით, ხოლო მე-4 პუნქტის საფუძველზე — თემთა ავსტრიული კავშირის წინადადებით და ქალაქების ავსტრიული კავშირის წინადადებით. კომისიის წევრები, რომლებიც გახდნენ წევრები 1-4 პუნქტების შესაბამისად, უნდა იყვნენ პირები, რომლებიც წინათ უფლებამოსილებას ახორციელებდნენ მე-19 მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ის, ვინც ბოროტად იყენებს თავის პროფესიას. კომისიის წევრობა მთავრდება საკანონმდებლო პერიოდის დასრულებისთანავე, თუმცა არა ახალი წევრის დანიშვნამდე ან წარდგენამდე.

2. კომისია გამოთქვამს თავის მოსაზრებას საჯარო დაწესებულების მოსამსახურის, ეროვნული საბჭოს ან ფედერალური საბჭოს წევრის მოთხოვნაზე, ან

მისი სამსახურებრივი ინსტანციების მოთხოვნაზე სხვადასხვა მოსაზრებების თაობაზე, რომლებიც წარმოიშობა 59ᵃ მუხლის შესრულებისას ან რომლებიც მომდინარეობენ საჯარო დაწესებულების მოსამსახურესა და მის სამსახურებრივ ორგანოს შორის კანონის დებულებებზე მათი დასკვნებიდან. კომისია გამოთქვამს აგრეთვე საკუთარ მოსაზრებას მოსამართლესა და სენატს ან კომისიას შორის ამგვარ აზრთა სხვადასხვაობაზე 87-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, აგრეთვე აზრთა სხვადასხვაობაზე ეროვნული საბჭოს წევრებს ან ფედერალური საბჭოსა და ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს შორის 30-ე მუხლის 3ᵃ და 3ᵇ აბზაცების შესრულებაში.

3. ეროვნული საბჭოს ან ფედერალური საბჭოს წევრი, რომელიც არის საჯარო სამსახურის მოსამსახურე, ვალდებულია ყოველწლიურად აცნობოს, თუ როგორ ხდებოდა მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების თავისუფლად განხორციელება ან 59ᵃ მუხლის შესაბამისად მისი თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე და რა მეთოდით მოწმდებოდა მის მიერ განხორციელებული შრომითი ანაბარი. კომისიის მიერ გამოძიების განსახორციელებლად მოქმედებს 53-ე მუხლის მე-3 აბზაცით დადგენილი წესი. კომისიას აქვს რეგლამენტი. კომისია ყოველწლიურად წარუდგენს მოხსენებას ეროვნულ საბჭოს, ხოლო თუ ეს ეხება ფედერალური საბჭოს წევრებს – ფედერალურ საბჭოსაც. მოხსენება ქვეყნდება.

მესამე ნაწილი
ფედერაციის აღმასრულებელი ხელისუფლება
ა) მმართველობა
1. ფედერალური პრეზიდენტი

მუხლი 60. 1. ფედერალური პრეზიდენტი აირჩევა ფედერაციის ხალხის მიერ თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლებით პირადად განხორციელებული ფარული კენჭისყრის გზით; თუ არჩევნებზე კენჭი ეყრება მხოლოდ ერთ კანდიტატს, მაშინ არჩევნები უნდა ჩატარდეს ხმის მიცემის შემდეგი ფორმით: კანდიდატის „მომხრე" ან „მოწინააღმდეგე". ხმის უფლება აქვს ყველა მოქალაქეს, რომელსაც უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ეროვნული საბჭოს არჩევნებში. არჩევნებში მონაწილეობის მიღების ვალდებულება არსებობს ფედერაციის იმ მიწებში, სადაც ეს გათვალისწინებულია მიწის კანონით. უფრო დაწვრილებითი დებულებანი არჩევნების ჩატარების წესისა და მასში მონაწილეობის ვალდებულებების შესახებ განისაზღვრება ფედერალური კანონით. მითითებულ ფედერალურ კანონში დადგენილი უნდა იქნეს საფუძვლები, რომლებიც მიუხედავად მათში მონაწილეობის მიღების ვალდებულებისა, ამართლებს არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობას.

2. არჩეულად ითვლება პირი, რომელიც მიიღებს ნამდვილად ცნობილ ხმათა ნახევარზე მეტს, თუ ამგვარი ხმათა უმრავლესობა არ მოგროვდა, მაშინ ჩატარდება არჩევნების მეორე ტური. მასში ნამდვილად ჩაითვლება მხოლოდ ის ხმები,

რომლებიც მიიღო პირველ ტურში ხმათა უმეტესი რაოდენობის მქონე ორიდან ერთმა კანდიდატმა.

3. ფედერალურ პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ ის პირი, რომელსაც უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ეროვნული საბჭოს არჩევნებში და რომელსაც არჩევნების წლის 1 იანვრისთვის შეუსრულდა 35 წელი. არჩეულად ყოფნის უფლება არა აქვთ იმპერატორის სახლებისა და ოჯახების წევრებს, რომლებიც ოდესმე მიეკუთვნებოდნენ მათ.

4. ფედერალური პრეზიდენტის არჩევნების შედეგები ოფიციალურად უნდა გამოქვეყნდეს ფედერალური კანცლერის მიერ.

5. ფედერალური პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა ექვსი წელია. ხელახალი არჩევა მომდევნო ვადით დაიშვება მხოლოდ ერთხელ.

6. ფედერალური პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე იგი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან სახალხო კენჭისყრის საფუძველზე. სახალხო კენჭისყრა უნდა ჩატარდეს ფედერალური კრების მოთხოვნით. ფედერალური კრება მოიწვევა ამ მიზნით ფედერალური კანცლერის მიერ, თუ ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს ეროვნული საბჭო. ეროვნული საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელია წევრთა არანაკლებ ნახევრის დასწრება და ხმათა 2/3-ის უმრავლესობა. ეროვნული საბჭოს ამგვარი გადაწყვეტილება აბრკოლებს ფედერალური პრეზიდენტის მიერ მისი მოვალეობების შემდგომ განხორციელებას. ფედერალური პრეზიდენტის სახალხო კენჭისყრით თანამდებობიდან გადაყენების წინადადებაზე უარის თქმა ითვლება მის ხელახალ არჩევად და თან მოსდევს ეროვნული საბჭოს დათხოვნა (მუხ. 29, აბზ. 1). ასეთ შემთხვევაში ფედერალური პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს.

მუხლი 61. 1. ფედერალურ პრეზიდენტს თავისი სამსახურებრივი საქმიანობის პერიოდში არ შეუძლია შედიოდეს რომელიმე საერთო წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობაში და დაკავებული იყოს რაიმე სხვა პროფესიული საქმიანობით.

2. წოდებით „ფედერალური პრეზიდენტი", ასევე ამ დასახელების ან სხვა დასახელებასთან დაკავშირებით მისი ნებისმიერი დამატებით არ შეიძლება სარგებლობდეს არავინ სხვა. ეს წოდება დაცულია კანონით.

მუხლი 62. 1. ფედერალური პრეზიდენტი თანამდებობის დაკავებისას ფედერალური საბჭოს წინაშე დებს ფიცს:

„ვფიცავ, მკაცრად დავიცავ რესპუბლიკის კონსტიტუციასა და ყველა კანონს და შევასრულებ ჩემს მოვალეობებს, გამოვიყენებ რა ცოდნას და კეთილსინდისიერებას".

2. დამატებით დასაშვებია რელიგიური ხასიათის ფიცის დადება.

მუხლი 63. 1. ფედერალური პრეზიდენტის წინააღმდეგ დევნის ოფიციალური

აღძვრა დასაშვებია მხოლოდ ფედერალური კრების თანხმობის შემთხვევაში.

2. ფედერალური პრეზიდენტის წინააღმდეგ დევნის აღძვრის თაობაზე შუამდგომლობა კომპეტენტურმა ორგანომ უნდა წარუდგინოს ეროვნულ საბჭოს, რომელიც გადაწყვეტს, უნდა განიხილოს თუ არა ფედერალურმა კრებამ ეს წინადადება. თუ ეროვნული საბჭო ამაზე თანახმა იქნება, ფედერალური კანცლერი ვალდებულია დაუყონებლივ მოიწვიოს ფედერალური კრება.

მუხლი 64. 1. თუ არსებობს რაიმე გარემოება, რომელიც ხელს უშლის ფედერალურ პრეზიდენტს თავისი მოვალეობების განხორციელებაში, მაშინ ყველა მისი ფუნქცია თავდაპირველად გადადის ფედერალური კანცლერის ხელში. თუმცა, თუ ამ გარემოებებს ადგილი აქვს ოცზე მეტი დღის განმავლობაში ან თუ ფედერალურ პრეზიდენტს აღარ შეუძლია განახორციელოს თავისი მოვალეობები მე-60 მუხლის მე-6 აბზაცის ძალით, მაშინ ფედერალური პრეზიდენტის ფუნქციებს ახორციელებს კოლეგია — ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, მეორე თავმჯდომარე და მესამე თავმჯდომარე. აღნიშნული დებულება მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ ფედერალური პრეზიდენტის ადგილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში რჩება ვაკანტური.

2. კოლეგია, რომელიც პირველი აბზაცის თანახმად უფლებამოსილია ფედერალური პრეზიდენტის ფუნქციების განხორციელებაზე, გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. კოლეგიის თავმჯდომარეობა ეკისრება ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც აგრეთვე უნდა იყოს მისი ოფიციალური წარმომადგენელი.

3. თუ არსებობს რაიმე გარემოება, რომელიც ხელს უშლის ეროვნული საბჭოს ერთ ან ორ თავმჯდომარეს მათი მოვალეობის განხორციელებაში ან მათი თანამდებობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვაკანტურია, მაშინ კოლეგია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები მათი მონაწილეობის გარეშე; თანაბარი ხმების შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რანგით უფრო მაღალი თავმჯდომარის ხმას.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც ფედერალური პრეზიდენტის თანამდებობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვაკანტურია, ფედერალურმა მთავრობამ დაუყონებლივ უნდა დანიშნოს ახალი ფედერალური პრეზიდენტის არჩევნები; არჩევნების ჩატარების შემდეგ კოლეგიამ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს ფედერალური კრება ფედერალური პრეზიდენტის მიერ ფიცის დასადებად.

მუხლი 65. 1. ფედერალური პრეზიდენტი წარმოადგენს რესპუბლიკას შიდა ურთიერთობებში, იღებს და ნიშნავს ელჩებს, თანხმობას აძლევს უცხო ქვეყნის კონსულების დანიშვნაზე. ნიშნავს რესპუბლიკის საკონსულო წარმომადგენლებს საზღვარგარეთ და დებს სახელმწიფო ხელშეკრულებებს. სახელმწიფო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, რომელიც არ ექცევა 50-ე მუხლის მოქმედების ქვეშ, ან მე-16 მუხლის პირველი აბზაცის თანახმად სახელმწიფო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, რომელიც არ წარმოადგენს კანონის ცვლილებას

ან დამატებას, ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია გასცეს განკარგულება იმის თაობაზე, რომ ეს სახელმწიფო ხელშეკრულება სრულდებოდეს დადგენილების გამოცემის საფუძველზე.

2. ამ კონსტიტუციის სხვა დებულებების შესაბამისად, დაკისრებული უფლებამოსილების გარდა მას უფლება აქვს:

ა) დანიშნოს ფედერალური მოსამსახურეები, ოფიცრების ჩათვლით და ფედერაციის სხვა თანამდებობის პირები, მიანიჭოს მათ სამსახურებრივი წოდებები;

ბ) დააწესოს და მიანიჭოს პროფესიული წოდებები;

გ) ცალკეულ შემთხვევებში: შეიწყალოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გასამართლებული პირები; შეამსუბუქოს და შეცვალოს მოსამართლეების მიერ დადგენილი სასჯელი; შეამსუბუქოს სამართლებრივი შედეგები და განახორციელოს შეწყალება, მოხსნას ნასამართლეობა და ბოლოს შეწყვიტოს იმ პირთა მიმართ სისხლის სამართლებრივი სასამართლო წარმოება, რომლებიც იდევნებიან ოფიციალური წესით სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედებისათვის;

დ) ქორწინების გარეშე შვილები მათი მშობლების შუამდგომლობით ცნოს ქორწინებაში დაბადებულებად.

3. სპეციალური კანონები განსაზღვრავს, აღნიშნულის გარდა რა ფარგლებში მიეკუთვნება ფედერალურ პრეზიდენტს საპატიო უფლების მინიჭების, გამონაკლისი შეღავათების, პენსიებისა და დანამატების თაობაზე უფლებამოსილებანი, აგრეთვე, თანამდებობაზე დანიშვნასა და თანამდებობაზე დამტკიცებასთან დაკავშირებული უფლებები და პერსონალურ საკითხებზე სხვა უფლებამოსილებანი.

მუხლი 66. 1. ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია ფედერალური მთავრობის უფლებამოსილ წევრებს გადასცეს გარკვეული კატეგორიის ფედერალური თანამდებობის პირების დანიშვნის უფლება და უფლებამოსილი გახადოს ისინი, თავის მხრივ, ეს უფლება გარკვეული ფედერალური თანამდებობის პირების მიმართ შემდგომ გადასცენ ქვემდგომ ორგანოებს.

2. ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია ფედერალურ მთავრობას ან ფედერალური მთავრობის უფლებამოსილ წევრებს მიანიჭოს სახელმწიფო ხელშეკრულებათა ცალკეული ფორმების დადების უფლებამოსილება, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მე-16 მუხლის პირველი აბზაცისა და 50-ე მუხლის მოქმედების ქვეშ. ამგვარი უფლებამოსილება ვრცელდება აგრეთვე განკარგულების მიღების უფლებაზე, რომ ეს სახელმწიფო ხელშეკრულებები სრულდებოდეს დადგენილებათა გამოქვეყნების საფუძველზე.

3. ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია მიწის მთავრობის სახელმწიფო ხელშეკრულებების დადებაზე, მე-16 მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, უფლებამოსილება მიანიჭოს მიწის მთავრობის წინადადებითა და მიწის გუბერნატორის ხელმოწერით, რომლებსაც არ შეაქვთ ცვლილებები და დამატებები კანონში; ამგვარი უფლებამოსილება ვრცელდება აგრეთვე განკარგულებათა მიღების უფლებაზე, რომ ეს სახელმწიფო ხელშეკრულებები სრულდებოდეს დადგენილებათა

გამოქვეყნების საფუძველზე.

მუხლი 67. 1. ყველა ქმედება, რომელზეც უფლებამოსილია ფედერალური პრეზიდენტი, თუ კონსტიტუციური კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხორციელდება ფედერალური მთავრობის ან მთავრობის მიერ უფლებამოსილი ფედერალური მინისტრის წინადადების საფუძველზე. კანონი განსაზღვრავს, თუ რა ფარგლებში არის ფედერალური მთავრობა ან კომპეტენტური ფედერალური მინისტრი ამგვარ შემთხვევებში დაკავშირებული სხვა ორგანოთა წინადადებებთან.

2. ფედერალური პრეზიდენტის ყველა გადაწყვეტილება, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი კონსტიტუციური კანონმდებლობით, მათი ნამდვილობის უზრუნველსაყოფად უნდა დადასტურდეს ფედერალური კანცლერის ან კომპეტენტური ფედერალური მინისტრის ხელმოწერით.

მუხლი 68. 1. ფედერალური პრეზიდენტი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის 142-ე მუხლის თანახმად პასუხისმგებელია ფედერალური კრების წინაშე.

2. ამ პასუხისმგებლობის განსახორციელებლად, ფედერალური კანცლერი ეროვნული საბჭოს ან ფედერალური საბჭოს გადაწყვეტილებით იწვევს ფედერალურ კრებას.

3. 142-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ორივე წარმომადგენლობითი ორგანოდან თითოეულის წევრთა ნახევარზე მეტის დასწრება და ხმათა 2/3-ის უმრავლესობის მხარდაჭერა.

2. ფედერალური მთავრობა

მუხლი 69. 1. ფედერაციის უმაღლესი მმართველობის საქმეების განხორციელება, თუ იგი გადაცემული არ აქვს ფედერალურ პრეზიდენტს, ევალება ფედერალურ კანცლერს, ვიცე-კანცლერს ან სხვა ფედერალურ მინისტრებს. ისინი თავიანთი ერთიანობით შეადგენენ ფედერალურ მთავრობას, რომელსაც მეთაურობს ფედერალური კანცლერი.

2. ვიცე-კანცლერი ცვლის ფედერალურ კანცლერს მისი კომპეტენციის ყველა სფეროში. გარემოებათა არსებობისას, რომლებიც ხელს უშლიან ერთდროულად ფედერალურ კანცლერსა და ვიცე-კანცლერს თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებაში, ფედერალური პრეზიდენტი ავალებს ფედერალური მთავრობის ერთ-ერთ წევრს შეცვალოს ფედერალური კანცლერი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ერთდროულად წინააღმდეგობანი ფედერალური კანცლერისა და ვიცე-კანცლერის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის, რომლებიც გამორიცხავს მოადგილის დანიშვნის შესაძლებლობას, მაშინ ფედერალური კანცლერის შეცვლა ხდება სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნით

შედარებით ხანგრძლივი ვადით, ხოლო თანაბარი ვადის შემთხვევაში — ფედერალური მთავრობის ასაკით ყველაზე უფროსი წევრის დანიშვნით, რომელსაც ამისთვის არანაირი დაბრკოლება არ გააჩნია.

3. ფედერალურ მთავრობას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ სხდომას ესწრება მის წევრთა ნახევარზე მეტი.

მუხლი 70. 1. ფედერალური კანცლერი და მისი წინადადებით ფედერალური მთავრობის სხვა წევრები ინიშნებიან ფედერალური პრეზიდენტის მიერ. ფედერალური კანცლერის ან ფედერალური მთავრობის სრული შემადგენლობის გადაყენებისთვის არ არის საჭირო შესაბამისი წინადადება. ფედერალური მთავრობის ცალკეულ წევრთა გადაყენება ხდება ფედერალური კანცლერის წინადადებით. ფედერალური კანცლერის ან ფედერალური მთავრობის მთელი შემადგენლობის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების დამოწმება ხდება ხელახლა დანიშნული ფედერალური კანცლერის ხელმოწერით; გადაყენებისთვის ხელმოწერა არ არის საჭირო.

2. ფედერალურ კანცლერად, ვიცე-კანცლერად ან ფედერალურ მინისტრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც უფლება აქვს არჩეულ იქნეს ეროვნულ საბჭოში; ფედერალური მთავრობის წევრები არ უნდა შედიოდნენ ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში.

3. თუ ფედერალური პრეზიდენტი ნიშნავს ახალ ფედერალურ მთავრობას იმ დროს, როდესაც ეროვნული საბჭო არ არის შეკრებილი, იგი ვალდებულია ერთი კვირის განმავლობაში მოიწვიოს ეროვნული საბჭოს რიგგარეშე სესია (28-ე მუხლის მე-2 აბზაცი) მისთვის ახალი ფედერალური მთავრობის წარსადგენად.

მუხლი 71. თუ ფედერალური მთავრობა გადადგა, ფედერალურმა პრეზიდენტმა ახალი ფედერალური მთავრობის ჩამოყალიბებამდე უნდა დააკისროს მმართველობის შემდგომი განხორციელება გადამდგარი მთავრობის წევრებს ან ფედერალურ უწყებათა უმაღლეს თანამდებობის პირებს და ერთ-ერთ მათგანს დაავალოს ფედერალური მთავრობის ხელმძღვანელობა. მმართველობის შემდგომი განხორციელება შესაძლოა დაეკისროს აგრეთვე გადამდგარი ფედერალური მინისტრის დაქვემდებარებულ სახელმწიფო მდივანს ან შესაბამისი ფედერალური სამინისტროს უმაღლეს თანამდებობის პირებს. ეს დებულება გამოიყენება შესაბამისად ფედერალური მთავრობის შემადგენლობიდან რამდენიმე წევრის გამოსვლის შემთხვევაშიც. პირს, რომელსაც დაკისრებული აქვს მმართველობის განხორციელება, იგივე პასუხისმგებლობა ეკისრება, რაც ფედერალურ მინისტრს (მუხლი 76).

მუხლი 72. 1. ფედერალური მთავრობის წევრები თანამდებობის დაკავებისას ფიცს დებენ ფედერალური პრეზიდენტის წინაშე.

2. ფედერალური კანცლერის, ვიცე-კანცლერის და დანარჩენი ფედერალური მინისტრების დანიშვნის თაობაზე დოკუმენტებს ადგენს ფედერალური პრეზიდენ-

ტი ფიცის დადების დღეს და ხელის მოწერით ამოწმებს ხელახლა დანიშნული ფედერალური კანცლერი.

3. ეს დებულებები ექვემდებარება გამოყენებას აგრეთვე 71-ე მუხლში მითითებულ შემთხვევებშიც.

მუხლი 73. 1. ფედერალური მინისტრის მიერ თავისი მოვალეობების შესრულების ხელშემშლელი დროებითი გარემოებების არსებობისას ფედერალური პრეზიდენტი ფედერალური კანცლერის წინადადებით შემცვლელ ფედერალურ მინისტრთან შეთანხმებით ან იმ შემთხვევაში, როდესაც ეს შესაძლებელია, ვიცეკანცლერთან შეთანხმებით ავალებს მის შეცვლას ერთ-ერთ ფედერალურ მინისტრს, ფედერალური მინისტრის ერთ-ერთ დაქვემდებარებულ სტატს-მდივანს ან შესაბამისი ფედერალური სამინისტროს ერთ-ერთ უმაღლეს თანამდებობის პირს. ფედერალური მინისტრის ყოფნა ევროკავშირის წევრ ერთ-ერთ ქვეყანაში არ განიხილება მისი საქმიანობის განხორციელების ხელშემშლელ პირობად.

2. აუცილებლობის შემთხვევაში უფლებამოსილ ფედერალურ მინისტრს შეუძლია გადასცეს სხვა ფედერალურ მინისტრს ან სახელმწიფო მდივანს უფლებამოსილება მიიღოს მონაწილეობა ევროკავშირის საბჭოს სხდომებში, ამ ჩარჩოებში ჩაატაროს გარკვეული გეგმების განხილვა და მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში.

3. ფედერალური მთავრობის წევრს, რომელიც იმყოფება ევროკავშირის წევრ ერთ-ერთ სახელმწიფოში, შეუძლია განახორციელოს თავისი საქმიანობა ეროვნულ საბჭოში ან ფედერალურ საბჭოში მისი დაქვემდებარებული სახელმწიფო მდივნის ან ერთ-ერთი ფედერალური მინისტრის საშუალებით. ფედერალური მთავრობის წევრს, რომლის შეცვლა არ ხდება, შეუძლია ხმის უფლება გადასცეს ფედერალურ მთავრობაში ერთ-ერთ ფედერალურ მინისტრს; ამით მისი პასუხისმგებლობა არ იცვლება. ხმის უფლება შესაძლოა გადაეცეს მხოლოდ ფედერალური მთავრობის წევრს, რომელიც შეზღუდული არ არის ფედერალური მთავრობის წევრის შეცვლით და რომელსაც გადაცემული არა აქვს ხმის უფლება.

მუხლი 74. 1. თუ ეროვნული საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას ფედერალური მთავრობისათვის ან მისი ცალკეული წევრებისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ, ფედერალური მთავრობა ან შესაბამისი ფედერალური მინისტრი გადაყენებულ უნდა იქნენ თამდებობიდან.

2. ეროვნული საბჭოს მიერ უნდობლობის გამოცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ეროვნული საბჭოს წევრთა არანაკლებ ნახევრის დასწრება. თუმცა, თუ ამას მოითხოვს ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონით დადგენილ წევრთა რაოდენობა, კენჭისყრა შეიძლება გადაიდოს ეროვნული საბჭოს მუშაობის მეორე დღეს. კენჭისყრის ვადის შემდგომი გადადება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით.

3. ფედერალურ პრეზიდენტს 70-ე მუხლის პირველი აბზაცით მინიჭებულ უფლებამოსილებასთან ერთად, შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს ფედერალური მთავრობა ან მისი ცალკეული წევრი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ან მათი სურვილისამებრ.

მუხლი 75. ფედერალური მთავრობის წევრებს, აგრეთვე სახელმწიფო მდივნებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ეროვნული საბჭოს, ფედერალური საბჭოს და ფედერალური კრების, აგრეთვე ამ წარმომადგენლობითი ორგანოების კომიტეტების (ქვეკომიტეტების) ყველა სხდომაში, მაგრამ მთავარი კომიტეტის მუდმივი ქვეკომიტეტის სხდომებში და ეროვნული საბჭოს საგამოძიებო კომიტეტის სხდომებში — მხოლოდ განსაკუთრებული მიწვევით. ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონის უფრო დაწვრილებითი დებულებების, აგრეთვე ფედერალური საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად ფედერალური მთავრობის წევრებსა და სახელმწიფო მდივნებს მათი მოთხოვნისამებრ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მოუსმინონ. ეროვნულ საბჭოს, ფედერალურ საბჭოს და ფედერალურ კრებას, აგრეთვე მათ კომიტეტებს (ქვეკომიტეტებს) შეუძლიათ მოითხოვონ თავიანთ სხდომებზე ფედერალური მთავრობის წევრთა დასწრება და მათთვის აუცილებელ ღონისძიებათა გატარების დავალება.

მუხლი 76. 1. ფედერალური მთავრობის წევრებს (მუხლები 69-ე და 71-ე) ეროვნული საბჭოს წინაშე აკისრიათ 142-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

2. მათთვის 142-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალის წაყენების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ეროვნული საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტის დასწრება.

მუხლი 77. 1. ფედერალური მმართველობის განხორციელება ეკისრება ფედერალურ სამინისტროებსა და მასზე დაქვემდებარებულ ორგანოებს.

2. ფედერალური სამინისტროების რაოდენობა, მათი კომპეტენციის სფეროები და სტრუქტურა განისაზღვრება ფედერალური კანონით.

3. ფედერალური კანცლერის უწყების ხელმძღვანელობა ევალება ფედერალურ კანცლერს, სხვა ფედერალური სამინისტროების ხელმძღვანელობა — ფედერალურ მინისტრებს. ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია გადასცეს შესაბამის ფედერალურ მინისტრებს ფედერალური კანცლერის უწყების კომპეტენციის სფეროში შემავალი გარკვეული საქმეების კონკრეტული ხელმძღვანელობა პერსონალის მართვის საკითხებისა და მუშაობის ორგანიზაციის ჩათვლით, რაც არ ათავისუფლებს ფედერალური კანცლერის უწყებას ამ დავალებათა შემდგომი განხორციელებისაგან; შესაბამისი ფედერალური მინისტრები ამგვარ საკითხებზე გამოდიან კომპეტენტური ფედერალური მინისტრის სახით.

4. ფედერალურ კანცლერსა და სხვა ფედერალურ მინისტრებს გამონაკლისის სახით შეიძლება დაეკალოთ რომელიმე სხვა ფედერალური სამინისტროს

ხელმძღვანელობა.

მუხლი 78. 1. განსაკუთრებულ შემთხვევებში ფედერალური მინისტრები შეიძლება დაინიშნონ აგრეთვე მათთვის იმავდროულად ფედერალური სამინისტროს ხელმძღვანელობის დაკისრების გარეშე.

2. საქმეთა წარმოებაში ფედერალური მინისტრებისათვის დახმარების გაწევის მიზნით და პარლამენტში მათი წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად შესაძლოა დამატებით დაინიშნონ სახელმწიფო მდივნები, რომლებიც თანამდებობაზე ინიშნებიან და თანამდებობიდან თავისუფლდებიან ფედერალური მინისტრების მსგავსად.

3. ფედერალურ მინისტრს შეუძლია სახელმწიფო მდივანს მისი თანხმობით დაავალოს აგრეთვე გარკვეულ დავალებათა შესრულება. სახელმწიფო მდივანი ექვემდებარება ფედერალურ მინისტრს და შეზღუდულია მისი მითითებებით.

3. უშიშროების ფედერალური ორგანოები

მუხლი 78[2]. 1. უშიშროების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს შინაგან საქმეთა მინისტრი. მას ექვემდებარება უშიშროების სამმართველო, ხოლო მას, თავის მხრივ, საოლქო სამმართველოსა და ფედერალური პოლიციის სამმართველოს ორგანოები, როგორც უშიშროების ორგანოები.

2. თუ ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას ან საკუთრებას რეალური საფრთხე ემუქრება ან შესაძლოა ამგვარი საფრთხე უშუალოდ წარმოიქმნას, მაშინ უშიშროების ორგანოები, მიუხედავად უშიშროების აღმოფხვრაში ერთ-ერთი ამგვარი ორგანოს კომპეტენციის არსებობისა, უფლებამოსილნი არიან კომპეტენტური ორგანოს ჩარევამდე აღმოუჩინონ პირველადი მრავალმხრივი დახმარება.

3. ფედერალური კანონი განსაზღვრავს, თუ რამდენად აქვთ თემების ორგანოებს უშიშროების ორგანოების სახით ჩარევის უფლება.

მუხლი 78[3]. 1. თითოეულ მიწაზე არსებობს უშიშროების სამმართველო. მის სათავეში დგას უშიშროების სამმართველოს დირექტორი. ვენაში პოლიციის ფედერალური სამმართველო ერთდროულად წარმოადგენს უშიშროების სამმართველოსაც, ხოლო პოლიციის პრეზიდენტი — უშიშროების სამმართველოს დირექტორს.

2. შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი მიწის გუბერნატორთან შეთანხმებით ნიშნავს უშიშროების სამმართველოს დირექტორს.

3. შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი ვალდებულია აცნობოს მიწის გუბერნატორს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისის ან მთელს მიწაზე საზოგადოებრივი სიმშვიდის, წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად უშიშროების სამმართველოს დირექტორისათვის მიცემული მნიშვნელოვანი მითითების შესახებ.

მუხლი 78. 1. პოლიციის ფედერალურ სამმართველოს სათავეში უდგას პოლიციის დირექტორი, ხოლო ვენის პოლიციის ფედერალურ სამმართველოს — პოლიციის პრეზიდენტი.

2. პოლიციის ფედერალური სამმართველოების დაფუძნება და ადგილებზე მათი მოქმედების სფეროების დადგენა ხორციელდება ფედერალური მთავრობის დადგენილების საფუძველზე.

მუხლი 78ª. 1. წესრიგის დაცვის ქვედანაყოფები წარმოადგენენ შეიარაღებულ, უნიფორმაში ჩაცმულ ან საომარი სახით სხვაგვარად დაკომპლექტებულ ფორმირებებს, რომელთაც პოლიციური ხასიათის ამოცანები აკისრიათ. წესრიგის დაცვის ქვედანაყოფებს არ უნდა მიეკუთვნოს, სახელდობრ, დაცვის პირადი შემადგენლობა, რომელიც განკუთვნილია ქვეყნის მეურნეობის ცალკეული დარგების დასაცავად, ისეთების, როგორიცაა სოფლისა და სატყეო მეურნეობა (მინდვრების, სავარგულებისა და ტყეების დაცვა), სამთო გადამუშავება, სამონადირეო მეურნეობა, თევზჭერა და სხვა საწყლო რესურსების ობიექტები, აგრეთვე ბაზრებზე ზედამხედველობის ორგანოები, სახანძრო რაზმები.

2. ტერიტორიაზე, რომელიც მიეკუთვნება ფედერაციის უშიშროების დამცავი ფედერალური პოლიციის რომელიმე ორგანოს ადგილობრივი კომპეტენციის სფეროს, არ შეიძლება შეყვანილ იქნეს და იქ არ უნდა იმყოფებოდეს რომელიმე სხვა ტერიტორიული ერთეულის უშიშროების დაცვის ქვეგანყოფილება.

4. ფედერალური ჯარი

მუხლი 79. 1. ფედერალურ ჯარს ეკისრება ქვეყნის შეიარაღებული თავდაცვა.

2. ფედერალურ ჯარს, თუ კანონიერი სამოქალაქო ხელისუფლება მოითხოვს მის მხარდაჭერას, ამას გარდა, ეკისრება:

1) ქვეყნის შეიარაღებული თავდაცვის გარდა: ა) კონსტიტუციური დაწესებულებების დაცვა და მათი საქმიანობის პირობების, აგრეთვე მოქალაქეთა დემოკრატიული თავისუფლებების დაცვა; ბ) ქვეყნის შიგნით წესრიგისა და უშიშროების საერთო დაცვა;

2) დახმარების აღმოჩენა სტიქიური უბედურებებისა და თავისი მასშტაბებით მნიშვნელოვანი კატასტროფების დროს.

3. ფედერალური ჯარის სხვა ამოცანებს არეგულირებს ფედერალური კონსტიტუციური კანონი.

4. შეიარაღებული ძალების შესახებ კანონი განსაზღვრავს, თუ რომელ ორგანოებსა და დაწესებულებებს შეუძლიათ მე-2 აბზაცში მითითებული მიზნებისათვის უშუალოდ მიმართონ მხარდაჭერისთვის ფედერალურ ჯარს.

5. მე-2 აბზაცში მითითებული მიზნებით ჯარში დამოუკიდებელი ჩარევა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოები დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად მოკლებულნი არიან მიმართონ

ამგვარი მხარდაჭერისათვის მიმართვის შესაძლებლობას, ხოლო შემდგომ დაყოვნებას შესაძლოა მთელი საზოგადოებისათვის მოჰყვეს გამოუსწორებელი ზიანი, ან იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება რეალური თავდასხმის მოგერიებას ან წინააღმდეგობის ჩახშობას, რომელიც თან სდევს ფედერალური ჯარის რომელიმე ნაწილის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობის აქტებს.

მუხლი 80. 1. ფედერალური ჯარის უმაღლესი მთავარსარდალი არის ფედერალური პრეზიდენტი.

2. იმ შემთხვევებში, როდესაც შეიარაღებული ძალების შესახებ კანონის თანახმად გადაწყვეტილების მიღებაზე არ არის უფლებამოსილი ფედერალური პრეზიდენტი, ასეთი უფლებამოსილებანი ეკისრება კომპეტენტურ ფედერალურ მინისტრს, მისთვის ფედერალური მთავრობის მიერ მინიჭებული უფლებების ფარგლებში.

3. ფედერალური ჯარის სარდლობას ახორციელებს კომპეტენტური ფედერალური მინისტრი.

მუხლი 81. ფედერალური კანონი არეგულირებს შეიარაღებული ძალების შევსებაში, მხარდაჭერასა და განლაგებაში და მათი ჩვეულებრივი მოთხოვნილების უზრუნველყოფაში მიწების მონაწილეობის ფარგლებს.

5. ფედერალური სასკოლო ორგანოები

მუხლი 81. 1. ფედერალური მმართველობა სასკოლო საქმის სფეროსა და სკოლა-ინტერნატებში აღზრდის სფეროში განეკუთვნება შესაბამისი ფედერალური მინისტრის კომპეტენციას, ხოლო იმ ნაწილში, რომელშიც ეს არ ეხება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებსა და ხელოვნების აკადემიებს, აგრეთვე სოფლისა და სატყეო მეურნეობის სფეროში პროფესიულ სასკოლო აღზრდას და სოფლისა და სატყეო მეურნეობის სკოლა-ინტერნატებში სასკოლო აღზრდას, განეკუთვნება ფედერალური სასკოლო ორგანოების კომპეტენციას, რომელიც ექვემდებარება შესაბამის ფედერალურ მინისტრს. იმ ბავშვთა სიების შესადგენად, რომლებიც ვალდებულნი არიან სკოლაში იარონ, შესაძლოა ფედერაციის მიერ გადაცემული კომპეტენციის ფარგლებში ჩაბმულ იქნენ თემები.

2. თითოეული მიწის კომპეტენციის სფეროში უნდა შეიქმნას სასკოლო ორგანო – მიწის სასკოლო საბჭო, ხოლო თითოეული ადმინისტრაციული რაიონის კომპეტენციის სფეროში – რაიონული სასკოლო საბჭო. ვენის მიწაზე მიწის სასკოლო საბჭო ასრულებს აგრეთვე რაიონული სასკოლო საბჭოს ამოცანებს და ატარებს "ვენის საქალაქო სასკოლო საბჭოს" სახელწოდებას. მიწისა და რაიონის სასკოლო საბჭოების კომპეტენციის საგნობრივი სფერო რეგულირდება ფედერალური კანონით.

3. ფედერალური სასკოლო ორგანოების მოწყობასთან მიმართებაში, რომელიც ექვემდებარება კანონის საფუძველზე რეგულირებას, მოქმედებს შემდეგი

ძირითადი დებულებები:

ა) ფედერალური სასკოლო ორგანოების ფარგლებში უნდა შეიქმნას კოლეგიები. მიწის სასკოლო ორგანოების კოლეგიათა ხმის უფლების მქონე წევრები უნდა დაინიშნონ ლანდტაგში პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის შესაბამისად, ხოლო რაიონული სასკოლო ორგანოების კოლეგიათა ხმის უფლების მქონე წევრები — ლანდტაგში ბოლო არჩევნებზე წარმოდგენილი პარტიებისთვის რაიონში მიცემული ხმების რაოდენობის შესაბამისად. დაიშვება ლანდტაგის მიერ კოლეგიის ყველა წევრის ან მათი ნაწილის დანიშვნა;

ბ) მიწის სასკოლო საბჭოს პრეზიდენტია მიწის გუბერნატორი, ხოლო რაიონული სასკოლო საბჭოს თავმჯდომარე — მმართველობის რაიონული ორგანოს ხელმძღვანელი. თუ კანონით გათვალისწინებულია მიწის სასკოლო საბჭოს პრეზიდენტის შემცველელი პირის დანიშვნა, მაშინ იგი ცვლის პრეზიდენტს ყველა საქმეში, რომელიც პრეზიდენტმა თავის გამგებლობაში არ დაიტოვა. თუ კანონით გათვალისწინებულია ვიცე-პრეზიდენტის დანიშვნა, მაშინ მას ენიჭება დოკუმენტების გაცნობისა და მათი განხილვის უფლება, ასეთი ვიცე-პრეზიდენტი უნდა დაინიშნოს, ყველა შემთხვევაში, იმ ხუთ მიწაზე, რომლებსაც ფედერალური კონსტიტუციის ამ დებულებების ძალაში შესვლამდე ჩატარებული მოსახლეობის ბოლო ოფიციალური აღწერის შედეგების თანახმად, ჰყავდათ მოსახლეობის ყველაზე უდიდესი რაოდენობა;

გ) კოლეგიებისა და მიწის და რაიონული სასკოლო საბჭოების პრეზიდენტების (თავმჯდომარეების) ამოცანები განისაზღვრება კანონით. კოლეგიები იღებენ დადგენილებებსა და იძლევიან ზოგად მითითებებს, ნიშნავენ თანამდებობის პირებს და წამოაყენებენ წინადადებებს თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, აგრეთვე იძლევიან კანონპროექტებისა და განკარგულებების დასკვნებს;

დ) გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია კოლეგიის უახლოეს სხდომამდე გადადება, პრეზიდენტი (თავმჯდომარე) თვითონ ახორციელებს კოლეგიის კომპეტენციის სფეროს მიკუთვნებულ ფუნქციებს, და ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს კოლეგიას;

ე) თუ კოლეგიას ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ აქვს საშუალება მიიღოს გადაწყვეტილება, მაშინ ამ დროის შემდგომ ვადაში, ვიდრე არ არსებობს კოლეგიის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების საშუალება, კოლეგიის ფუნქციები გადადის პრეზიდენტის (თავმჯდომარის) ხელში. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტი (თავმჯდომარე) ცვლის კოლეგიას.

4. კოლეგიებს არ შეიძლება მიეცეთ მითითებები მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ (მე-20 მუხლის პირველი აბზაცი) საკითხებზე. ეს დებულება არ მოქმედებს იმ მითითებებთან დაკავშირებით, რომლებიც კრძალავს კოლეგიის კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებათა აღსრულებას ან აწესებს კოლეგიის მიერ მიღებული დადგენილების გაუქმებას. ამგვარი მითითებები უნდა დასაბუთდეს. სასკოლო ორგანოს, რომელსაც ეგზავნება მითითება, შეუძლია კოლეგიის გადაწყვეტილების საფუძველზე ეს მითითება გაასაჩივროს 129-ე მუხლის შესაბამისად უშუალოდ ადმინისტრაციულ სასამართლოში.

5. კომპეტენტურ ფედერალურ მინისტრს შეუძლია პირადად ან მისი მეთაურობის ქვეშ მყოფი სამინისტროს ორგანოების მეშვეობით გაეცნოს საქმის მდგომარეობას და მუშაობას აგრეთვე იმ სკოლებში და სკოლა-ინტერნატებში, რომლებიც ექვემდებარება ფედერალურ სამინისტროს მიწის სასკოლო საბჭოების მეშვეობით. აღმოჩენილი ნაკლოვანებების შესახებ, რამდენადაც ისინი არ არის მითითებული მე-14 მუხლის მე-8 აბზაცში, მათი აღმოფხვრის მიზნით უნდა ეცნობოს მიწის სასკოლო საბჭოს.

მუხლი 81[3]. 1. მიწის სასკოლო საბჭოებს შეუძლიათ წამოაყენონ წინადადებები სამი კანდიდატურის შესახებ:

ა) სკოლების დირექტორთა, აგრეთვე მიწის სასკოლო საბჭოებს დაქვემდებარებული სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მასწავლებელთა და აღმზრდელთა ფედერაციის ნომენკლატურას მიკუთვნებული საშტატო ადგილების შეცვლასთან მიმართებით;

ბ) მიწისა და რაიონულ სასკოლო საბჭოებთან მოქმედი სასკოლო ზედამხედველობის ორგანოების მოსამსახურეთა ფედერაციის ნომენკლატურას მიკუთვნებული საშტატო ადგილების შეცვლასთან მიმართებით, აგრეთვე მასწავლებლებისთვის სასკოლო განათლებაზე ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელების დაკისრებასთან მიმართებაში;

გ) ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალიზებულ სკოლებში მასწავლებლის თანამდებობაზე პრეტენდენტთა შემმოწმებელი კომისიის წევრებისა და თავმჯდომარეების დანიშვნასთან მიმართებაში.

2. პირველ აბზაცში ჩამოთვლილი წინადადებები უნდა წარედგინოს 66-ე მუხლის პირველი აბზაცის ან 67-ე მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად ან სხვა მითითებათა შესაბამისად კომპეტენტურ მინისტრს. წარმოდგენილ პირთა რიცხვიდან ამორჩევა ეკისრება ფედერალურ მინისტრს.

3. მიწის თითოეულ სასკოლო საბჭოსთან პირველი ინსტანციის სახით უნდა შეიქმნას საკვალიფიკაციო და დისციპლინური კომისიები დირექტორებისა და მასწავლებლებისთვის, აგრეთვე აღმზრდელებისთვის, რომლებიც იმყოფება საჯარო-სამართლებრივ სამსახურებრივ ურთიერთობებში ფედერაციასთან და გამოიყენება მიწის სასკოლო საბჭოს დაქვემდებარებულ სკოლაში (სკოლა-ინტერნატში) სამუშაოდ. უფრო კონკრეტულად ეს უნდა დარეგულირდეს ფედერალური კანონით.

ბ) სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 82. 1. სასამართლო ხელისუფლების წყაროა ფედერაცია.

2. განაჩენები და სასამართლო გადაწყვეტილებები გამოიტანება და ცხადდება რესპუბლიკის სახელით.

მუხლი 83. 1. სასამართლოების ორგანიზაცია და კომპეტენცია დგინდება ფე-

დერალური კანონით.

2. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას თავისი კანონიერი მოსამართლე.

მუხლი 84. სამხედრო სასამართლოები უქმდება საომარი დროის პერიოდში მოქმედის გარდა.

მუხლი 85. სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.

მუხლი 86. 1. მოსამართლეები, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ინიშნებიან ფედერალური მთავრობის წარდგინებით ფედერალური პრეზიდენტის ან მისი უფლებამოსილი კომპეტენტური ფედერალური მინისტრის მიერ; ფედერალურმა მთავრობამ ან ფედერალურმა მინისტრმა უნდა მიიღონ კანდიდატების შესახებ წინადადებები სენატებიდან, რომლებიც ამის შესახებ უფლებამოსილნი არიან სასამართლო წყობილების შესახებ კანონით.

2. კომპეტენტური ფედერალური მინისტრის მიერ წარდგენილი და ფედერალური მთავრობისთვის გაგზავნილი კანდიტატურების სია პრეტენდენტების საკმაო რიცხვის არსებობისას უნდა შედგებოდეს სულ ცოტა სამი პირისგან, ხოლო თუ აუცილებელია ერთზე მეტი ადგილის შეცვლა, მაშინ პირთა რიცხვიდან, რომელიც დასანიშნი მოსამართლეების რიცხვზე სულ ცოტა ორჯერ მეტია.

მუხლი 87. 1. მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან თავიანთი მოვალეობების განხორციელებისას.

2. მოსამართლე თავისი სამოსამართლო მოვალეობების განხორციელებისას განიხილავს კანონით მის გამგებლობას დაქვემდებარებულ ყველა სასამართლო საქმეს მოსამართლეებს შორის საქმეთა განხილვაზე კომპეტენციათა განაწილების შესაბამისად, გარდა იუსტიციის მმართველობის სფეროს მიკუთვნებული საქმეებისა, რომლებიც კანონის დებულებების თანახმად არ ექვემდებარება სენატის ან კომისიების მიერ გადაწყვეტას.

3. საქმეთა განხილვის კომპეტენცია უნდა განაწილდეს ერთი სასამართლოს მოსამართლეებს შორის წინასწარ სასამართლო წყობილების შესახებ კანონით დადგენილი ვადით. განაწილების თანახმად, მოსამართლის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმე შეიძლება ჩამოცილებულ იქნეს მისგან ამაზე უფლებამოსილი სენატის მიერ და მხოლოდ მის მიერ მოვალეობათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა არსებობისას ან იმ შემთხვევაში, როდესაც მის მიერ შესრულებულ ამოცანათა მოცულობა აფერხებს დადგენილი დროის განმავლობაში მათ შესრულებას.

მუხლი 87. 1. ფედერალური კანონით ცალკეულ ზუსტად მითითებული სამოქალაქო საქმეების განხილვა, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოების განსჯადია, შესაძლოა გადაეცეს სპეციალურად მომზადებულ თანამდებობის

პირებს, რომლებიც არ წარმოადგენენ მოსამართლეებს.

2. მოსამართლეს, რომლის იურისდიქციასაც კომპეტენციათა განაწილების თანახმად მიკუთვნებული აქვს ეს საქმეები, შეუძლია ნებისმიერ დროს დაიტოვოს მათი განხილვა თავისთვის ან გამოითხოვოს ისინი განხილვისათვის.

3. პირველ აბზაცში მითითებულ საქმეთა განხილვისას ფედერალური თანამდებობის პირები, რომლებიც არ არიან მოსამართლეები, შეზღუდულნი არიან მხოლოდ კომპეტენტური მოსამართლეების მითითებებით, რომელთა იურისდიქციასაც კომპეტენციათა განაწილების თანახმად მიეკუთვნება ეს საქმეები. გამოყენებას ექვემდებარება მე-20 მუხლის პირველი აბზაცი.

მუხლი 88. 1. სასამართლო მოწყობის კანონში განსაზღვრულია ასაკობრივი ზღვარი, რომლის მიღწევისაც მოსამართლეები გადაყენებულნი უნდა იქნენ.

2. ამას გარდა, მოსამართლეები შესაძლოა გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან ან საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ გადაყვანილ იქნენ სხვა ადგილზე, ან გადაყენებულ იქნენ მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი ფორმის დაცვით და ოფიციალური სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. თუმცა, მითითებული პირობები არ გამოიყენება მათი გადაყვანის ან გადაყენებისას, თუ ეს აუცილებელია სასამართლოს ორგანიზაციაში ცვლილებებთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში კანონით დგინდება, თუ რა დროის განმავლობაში უნდა იქნენ მოსამართლეები გადაყვანილნი ან გადაყენებულნი ჩვეულებრივ გათვალისწინებული პირობების გარდა.

3. მოსამართლის თანამდებობიდან დროებით გათავისუფლებას შესაძლოა, მოხდეს მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარის ან ზემდგომი სასამართლო ორგანოს განკარგულებით თანადროულად საქმის კომპეტენტური მოსამართლისათვის გადაცემით.

მუხლი 88'. სასამართლო მოწყობის კანონს შეუძლია დაადგინოს, რომ ზემდგომ სასამართლოში გათვალისწინებულ იქნეს საუბნო მოსამართლეთა ადგილები. საუბნო მოსამართლეთა ადგილების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს სასამართლოებში მოსამართლეთა ადგილების ორ პროცენტს. ქვემდგომი საუბნო მოსამართლეების ქვემდგომ სასამართლოებში გამოყენების წესი დგინდება სასამართლო წყობილების შესახებ კანონით კომპეტენტური ზემდგომი სასამართლოს სენატის მიერ. საუბნო მოსამართლეებს შესაძლოა, დაევალოთ მხოლოდ ქვემდგომ სასამართლოთა მოსამართლეების შეცვლა და მხოლოდ მათ მიერ თავიანთ მოვალეობათა განხორციელებისას დაბრკოლებების არსებობისას ან როდესაც მათ მიერ შესრულებულ ამოცანათა მოცულობა აფერხებს დადგენილი ვადის განმავლობაში მათ შესრულებას.

მუხლი 89. 1. მოსამართლეები, თუ მოცემულ მუხლში სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილნი არ არიან შეამოწმონ აქვთ თუ არა კანონიერი ძალა სათანადოდ გამოქვეყნებულ კანონებს, დადგენილებებსა და სახელმწიფო

ხელშეკრულებებს.

2. თუ სასამართლო ეჭვობს დადგენილებასთან დაკავშირებით მისი სავარაუდო უკანონობის გამო, მაშინ მან ამ დადგენილების გაუქმების თაობაზე უნდა შეიტანოს წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოში. თუ უზენაესი სასამართლო ან სასამართლო, რომელიც კომპეტენტურია მეორე ინსტანციის სასამართლოს სახით გადაწყვეტილების გამოტანაში, ეჭვობს კანონის გამოყენებასთან დაკავშირებით მისი სავარაუდო შეუსაბამობის გამო, მაშინ მან უნდა შეიტანოს წარდგინება ამ კანონის გაუქმების თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოში.

3. თუ სასამართლოს მიერ გამოსაყენებელმა სამართლებრივმა დებულებამ უკვე დაკარგა ძალა, მაშინ სასამართლოს წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ეს სამართლებრივი დებულება იყო უკანონო ან არაკონსტიტუციური.

4. მე-2 და მე-3 აბზაცები მოქმედებს საკუთრივ 140ª მუხლის თანახმად სახელმწიფო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით.

5. ფედერალური კანონით უნდა განისაზღვროს, როგორი შედეგები აქვს სასამართლოს მიერ დაწყებული საქმის წარმოებისთვის მე-2, მე-3 ან მე-4 აბზაცების თანახმად შეტანილ წარდგინებას.

მუხლი 90. 1. სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი საქმეების განხილვა სასამართლოებში, რომლებსაც გამოაქვთ მათზე გადაწყვეტილებები, ხდება ზეპირად და საჯაროდ. გამონაკლისებს განსაზღვრავს კანონი.

2. სისხლისსამართლებრივ საქმისწარმოებაში მოქმედებს საბრალდებო პროცესის პრინციპები.

მუხლი 91. 1. ხალხი უნდა მონაწილეობდეს მართლმსაჯულების განხორციელებაში.

2. კანონში ჩამოთვლილ იმ დანაშაულებათა საქმეებზე, რომლებზეც დაკისრებული უნდა იქნეს მკაცრი სასჯელი, აგრეთვე ყველა პოლიტიკური დანაშაულისა და გადაცდომის საქმეებზე საკითხს ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ წყვეტენ ნაფიცი მსაჯულები.

3. სხვა სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებათა საქმეებში მართლმსაჯულების განხორციელებაში მსაჯულები მონაწილეობენ, თუ დასანიშნი სასჯელის ზომა შეიძლება აღემატებოდეს კანონით გათვალისწინებულ ზღვარს.

მუხლი 92. 1. სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ საქმეებზე უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენს უზენაესი სასამართლო.

2. უზენაეს სასამართლოში არ შეიძლება შედიოდნენ ფედერალური მთავრობის, მიწის მთავრობის ან რომელიმე საერთო წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები; უფლებამოსილების ან საქმიანობის გარკვეული ვადით არჩეული საერთო წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებისთვის, სასამართლოს წევრად დაუშვებლობა შენარჩუნებულია აგრეთვე მანდატის ვადაზე ადრე უარის თქმის

შემთხვევაში უფლებამოსილების ან საქმიანობის ვადის აძოწურვამდე. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ან თავმჯდომარის მოადგილედ არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ასრულებდა ზემოხსენებულ ფუნქციას.

მუხლი 93. სასამართლო წესით დასჯად სისხლისსამართლებრივ ქმედებებთან დაკავშირებით ამნისტიები ხორციელდება ფედერალური კანონის საფუძველზე.

მუხლი 94. სასამართლო და ადმინისტრაციული ხელისუფლება განცალკევებულია ყველა დონეზე.

მეოთხე ნაწილი
მიწების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება
ა) ზოგადი დებულებები

მუხლი 95. 1. მიწების საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებენ ლანდტაგები. მისი წევრები აირჩევიან პროპორციული სისტემით, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე პირადად განხორციელებული ფარული კენჭისყრის გზით, მიწების ყველა მდედრობითი და მამრობითი სქესის მოქალაქეების მიერ, რომელთაც აქვთ ლანდტაგში არჩევის შესახებ დებულებათა თანახმად ხმის უფლება. უფრო დაწერილებითი დებულებები არჩევნების პროცედურასა და არჩევნებში მონაწილეობის საყოველთაო ვალდებულების შესახებ განისაზღვრება მიწის კანონით. დგინდება აგრეთვე მიზეზები, რომელთა თანახმად არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობა, მიუხედავად ამგვარი მონაწილეობის ვალდებულებისა, საპატიოდ ჩაითვლება.

2. ლანდტაგში არჩევნების შესახებ დებულებები არ შეიძლება შეიცავდეს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების უფრო შეზღუდულ პირობებს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ფედერალური კონსტიტუციით ეროვნული საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით.

3. ამომრჩეველები ახორციელებენ თავიანთ საარჩევნო უფლებას საარჩევნო ოლქებში, რომელთაგან თითოეული არის ტერიტორიულად გამოყოფილი. დეპუტატების რიცხვი ნაწილდება საარჩევნო ოლქებში მოქალაქეთა რიცხოვნობის მიხედვით. ლანდტაგში არჩევნების ჩატარების წესის თაობაზე დებულებები შეიძლება ითვალისწინებდეს მანდატების განაწილების დასკვნით პროცედურას ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე, რომლის საფუძველზეც ხორციელდება, როგორც საარჩევნო ოლქებში არჩევნებში მონაწილე პარტიათა მანდატების დაბალანსება, ასევე ჯერ კიდევ გადაუნაწილებელი მანდატების განაწილება, პროპორციული წარმომადგენლობის საარჩევნო სისტემის პრინციპების საფუძველზე. ამომრჩეველთა განაწილება სხვაგვარ საარჩევნო ერთეულებად არ დაიშვება.

4. საჯარო დაწესებულებათა მოსამსახურეებზე, რომლებიც კენჭს იყრიან ლანდტაგში ან ლანდტაგში არჩეულ დეპუტატებზე ვრცელდება 59ᵃ მუხლი, რომლის თანახმად დასაშვებია უფრო ზუსტი რეგულირება. მიწის კონსტიტუციური კანონით შესაძლებელია შეიქმნას დაწესებულება, მოხსენების გამოქვეყნების უფლებამოსილებებითა და ვალდებულებებით, რომელიც 59ᵇ მუხლის თანახმად კომისიის მიერ გამოქვეყნებული მოხსენების ანალოგიურია.

მუხლი 96. 1. ლანდტაგის წევრები სარგებლობენ ისეთივე იმუნიტეტით, რითაც ეროვნული საბჭოს წევრები; შესაბამისად გამოიყენება 57-ე მუხლის დებულებები.

2. 32-ე და 33-ე მუხლების დებულებები მოქმედებს აგრეთვე ლანდტაგებისა და მათი კომიტეტების სხდომებთან მიმართებაშიც.

3. ლანდტაგის წევრებისთვის მიწის კანონით 56-ე მუხლის მე-2-4 აბზაცების შესაბამისად შეიძლება დადგინდეს წესი, რომლის თანახმადაც ისინი უარს ამბობენ მანდატზე ფედერალურ საბჭოში ან მიწის მთავრობაში მათ არჩევასთან დაკავშირებით.

მუხლი 97. 1. მიწის კანონის მისაღებად აუცილებელია ლანდტაგის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების დასაბუთება და მისი ხელმოწერით დამოწმება, მიწის კონსტიტუციის დებულებების შესაბამისად და მიწის გუბერნატორის მიერ კანონის გამოქვეყნება მიწის კანონების ბიულეტენში.

2. თუ მიწის კანონი ითვალისწინებს, რომ მისი აღსრულებისთვის აუცილებელია ფედერალური ორგანოების მხრიდან ხელშეწყობა, მაშინ ამგვარ ხელშეწყობაზე გამოთხოვნილ უნდა იქნეს ფედერალური მთავრობის თანხმობა. თანხმობა მიღებულად ჩაითვლება, თუ ფედერალური მთავრობა კომპეტენტურ ფედერალურ სამინისტროზე საკანონმდებლო გადაწყვეტილების გადაცემის დღიდან რვა კვირის განმავლობაში არ შეატყობინებს მიწის გუბერნატორს ფედერალური ორგანოების მხრიდან ხელშეწყობაზე უარის თქმის შესახებ. საკანონმდებლო გადაწყვეტილების გამოქვეყნება ამ ვადის ამოწურვამდე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფედერალურმა მთავრობამ მასზე აშკარად გამოხატა თავისი თანხმობა.

3. თუ კონსტიტუციის შესაბამისი ლანდტაგის გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ზომების დაუყონებლივ გამოყენება საზოგადოებისთვის აშკარა, აუნაზღაურებელი ზიანის თავიდან ასაცილებლად, როდესაც ლანდტაგს არ შეუძლია დროულად შეიკრიბოს ან მის საქმიანობას აბრკოლებს ზემდგომი ხელისუფლება, მაშინ მიწის მთავრობას შეუძლია პროპორციული საარჩევნო სისტემის პრინციპის საფუძველზე ფორმირებულ ლანდტაგის კომიტეტთან შეთანხმებით მიიღოს ეს ზომები დროებით გადაწყვეტილებების გზით, რომელიც ცვლის კანონს. მათ შესახებ მიწის მთავრობის მიერ დაუყონებლივ უნდა ეცნობოს ფედერალურ ხელისუფლებას. როგორც კი ლანდტაგისთვის დაბრკოლება აღმოიფხვრება, იგი მოიწვევა. შესაბამისად მოქმედებს მე-18 მუხლის მე-4 აბზაცი.

4. მე-3 აბზაცში მითითებული დებულებები ნებისმიერ შემთხვევაში არ შეიძლება აღნიშნავდეს მიწის კონსტიტუციური კანონების დებულებების ცვლილებებს და არ შეიძლება რეგულირების საგნად ჰქონდეს მიწის, ოლქებისა და თემების ხანგრძლივი ფინანსური ტვირთი, მოქალაქეთა ფინანსური ვალდებულებები, სახელმწიფო ქონების გაყიდვა, მე-12 მუხლის პირველი აბზაცის მე-6 პუნქტში ჩამოთვლილ საკითხებზე ზომები, პალატის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა საქმიანობის საკითხი.

მუხლი 98. 1. ლანდტაგის ყველა საკანონმდებლო გადაწყვეტილების შესახებ მათი მიღებისთანავე და გამოქვეყნებამდე მიწის გუბერნატორმა უნდა აცნობოს ფედერალური კანცლერის უწყებას.

2. თუ ლანდტაგის საკანონმდებლო გადაწყვეტილებით შესაძლებელია ფედერაციის ინტერესებისთვის ზიანის მიყენება, ფედერალურ მთავრობას შეუძლია გამოთქვას დასაბუთებული წინააღმდეგობა ამ საკანონმდებლო გადაწყვეტილების წინააღმდეგ ფედერალური კანცლერის უწყებისთვის მისი გადაცემის დღიდან რვა კვირის განმავლობაში. თუ საკანონმდებლო პროცესის დაწყებამდე, რომელიც ეხება საკანონმდებლო გადაწყვეტილებას, ფედერაციას მიეცა საშუალება გამოეთქვა საკუთარი აზრი ამ გადაწყვეტილების პროექტზე, მაშინ წინააღმდეგობა შეიძლება ეყრდნობოდეს მხოლოდ ფედერაციის კომპეტენციაში ჩარევაზე მტკიცებას. წინააღმდეგობის არსებობისას საკანონმდებლო გადაწყვეტილება შეიძლება გამოქვეყნდეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი ხელახლა იქნება დამტკიცებული ლანდტაგის მიერ წევრთა არანაკლებ ნახევრის დასწრების შემთხვევაში.

3. წინააღმდეგობის გამოთქმისთვის დადგენილი ვადის ამოწურვამდე საკანონმდებლო გადაწყვეტილების გამოქვეყნება დაიშვება მხოლოდ ფედერალური მთავრობის ამგვარად გამოხატული თანხმობის არსებობისას.

4. ლანდტაგის საკანონმდებლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებიც არეგულირებენ საგადასახადო საკითხებს, მოქმედებს ფინანსების შესახებ კონსტიტუციური კანონის დებულებები.

მუხლი 99. 1. მიწის კონსტიტუცია, რომელიც მიიღება მიწის კონსტიტუციური კანონის ფორმით, იცვლება აგრეთვე მიწის კონსტიტუციური კანონით, თუ ამით არ ირღვევა ფედერალური კონსტიტუცია.

2. მიწის კონსტიტუციური კანონი მიიღება მხოლოდ ლანდტაგის წევრთა ნახევრის დასწრებისა და ხმათა 2/3-ის უმრავლესობით.

მუხლი 100. 1. თითოეული ლანდტაგი შეიძლება დათხოვნილ იქნეს ფედერალური პრეზიდენტის მიერ ფედერალური მთავრობის წარდგენითა და ფედერალური საბჭოს თანხმობით. ფედერალური საბჭოს თანხმობა მიცემულ უნდა იქნეს წევრთა ნახევრის დასწრებითა და ხმათა 2/3-ის უმრავლესობით. კენჭისყრაში ვერ მიიღებენ მონაწილეობას იმ მიწის წარმომადგენლები, რომლის ლანდტაგიც დაითხოვება.

2. ლანდტაგის დათხოვნის შემთხვევაში მიწის კონსტიტუციის დებულებათა შესაბამისად სამი კვირის განმავლობაში უნდა დაინიშნოს ხელახალი არჩევნები. ხელახლად არჩეული ლანდტაგი იკრიბება არჩევნებიდან ოთხი კვირის განმავლობაში.

მუხლი 101. 1. თითოეული მიწის აღმასრულებელი ხელისუფლება ხორციელდება ლანდტაგის მიერ არჩეული მიწის მთავრობის მიერ.

2. მიწის მთავრობის წევრები არ უნდა შედიოდნენ ლანდტაგის შემადგენლობაში, თუმცა მიწის მთავრობაში შეიძლება არჩეულ იქნენ მხოლოდ ის პირები, რომელთაც აქვთ ლანდტაგში არჩევის უფლება.

3. მიწის მთავრობა შედგება მიწის გუბერნატორის, აუცილებელი რაოდენობის მოადგილეებისა და სხვა წევრებისგან.

4. თანამდებობის დაკავებამდე მიწის გუბერნატორი ფედერალური პრეზიდენტის წინაშე, ხოლო მიწის მთავრობის სხვა წევრები მიწის გუბერნატორის წინაშე დებენ ფედერალური კონსტიტუციისადმი ერთგულების ფიცს. დამატებით დასაშვებია რელიგიური შინაარსის ფიცის დადება.

მუხლი 102. 1. ფედერაცია თავის აღმასრულებელ ხელისუფლებას მიწებში ახორციელებს მიწის გუბერნატორისა და მასზე დაქვემდებარებული მიწის ორგანოების (არაპირდაპირი ფედერალური მმართველობა) მეშვეობით იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მას აქვს საკუთარი ფედერალური ორგანოები (პირდაპირი ფედერალური მმართველობა). თუ არაპირდაპირი ფედერალური მმართველობის ფუნქციების შესრულება მიკუთვნებული აქვთ ფედერალურ ორგანოებს, კერძოდ, ფედერალური პოლიციის ორგანოებს, მაშინ ფედერალური ორგანოები მოცემული ფუნქციების შესრულებისას ექვემდებარებიან მიწის გუბერნატორს და შეზღუდულნი არიან მისი ბრძანებებით (მუხლი 20. აბზაცი 1); დავალებული აქვთ თუ არადა რა ფარგლებში, ამგვარ ფედერალურ ორგანოებს აღსრულების აქტების განხორციელება, განისაზღვრება ფედერალური კანონებით; ისინი შესაძლოა გამოქვეყნებულ იქნენ მხოლოდ დაინტერესებული პირების თანხმობით, თუ ეს არ ეხება მე-2 აბზაცში მითითებული საკითხების აღსრულების დავალების შემთხვევებს.

2. კონსტიტუციით დადგენილი კომპეტენციის სფეროების ფარგლებში ფედერალურ ორგანოებს შეუძლიათ უშუალოდ აღასრულონ შემდეგი საკითხები: საზღვრების დადგენა, საქონელბრუნვა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქონლით ვაჭრობა, საბაჟო საქმე, ფედერაციის ტერიტორიაზე შემოსვლასა და გასვლაზე ზედამხედველობა და მისი რეგულირება, ფედერალური ფინანსები, მონოპოლიები, ზომები, წონები, სტანდარტები და დამღები, ტექნიკური აპრობირება, იუსტიცია, საპასპორტო საქმე, ჩაწერა, იარაღი, საბრძოლო მასალა, ასაფეთქებელი საშუალებები, სასროლო საქმე, საპატენტო საქმე, ნიმუშების, მარკებისა და სხვა სასაქონლო ნიშნების დაცვა, ტრანსპორტი, წყლისა და სასამართლო პოლიცია, ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი, სამთო საქმე, დუნაის კონტროლი

და დაცვა, კაშხალების აგება, წყლის გზების გაყვანა და წესრიგში ქონა, გეოდეზია, შრომის უფლება, სოციალური დაზღვევა, ძეგლთა დაცვა, ფედერალური პოლიციისა და ფედერალური ჟანდარმერიის ორგანიზება და მათი ხელმძღვანელობა, და ბოლოს — განსაკუთრებული შემთხვევების დროს იქაც, სადაც ამ ფედერალური კონსტიტუციური კანონის ძალაში შესვლის დღეს ფედერალური პოლიციის ორგანოების ადგილობრივი კომპეტენციის სფერო არ ემთხვევა ფედერაციის რომელიმე მიწის ტერიტორიას — საზოგადოებრივი წესრიგის, უსაფრთხოებისა და სიმშვიდის დაცვა; საკითხები, რომლებიც ეხება ბეჭდვას, პოლიციის გაერთიანებას, კრებებსა და ფუნქციებს, რომელიც ეხება უცხოელთა საქმეებს; სამხედრო საქმე, ომის მონაწილეთა და მათ ახლობლებზე მზრუნველობა; დემოგრაფიული პოლიტიკა იმ ნაწილში, რომელშიც იგი ეხება ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ბავშვებზე შემწეობისა და კომპენსაციების მიცემას; სასკოლო საქმე, აგრეთვე სკოლა-ინტერნატებსა და სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებში აღზრდა, პროფესიული სასკოლო სწავლებისა და სასოფლო და სატყეო მეურნეობის სკოლა-ინტერნატებში აღზრდის გარდა.

3. ფედერაციას რჩება უფლება მიწის გუბერნატორს დაავალოს ფედერაციის აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელება მე-2 აბზაცში ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებაშიც.

4. მე-2 აბზაცში ჩამოთვლილი საკითხების გარდა სხვა საკითხების განსახილველად საკუთარი ფედერალური ორგანოების შექმნა დაიშვება მხოლოდ დაინტერესებული მიწების თანხმობით.

5. თუ მიწაზე ფედერალური მმართველობის უშუალო განხორციელების საკითხებთან დაკავშირებით საჭიროა საზოგადოებისათვის აშკარა, აუნაზღაურებელი ზარალისაგან დასაცავი გადაუდებელი ზომების მიღება, იმ ვადაში, რომელშიც ფედერაციის მმართველობის უმაღლესი ორგანო თავისი უფრო მაღალი მდგომარეობის გამო ამას ვერ ახორციელებს, მაშინ ამ ორგანოს ნაცვლად ზომებს იღებს მიწის გუბერნატორი.

მუხლი 102[ა] *(ამოღებულია)*

მუხლი 103. 1. არაპირდაპირი ფედერალური მმართველობის საკითხებზე მიწის გუბერნატორი შეზღუდულია ფედერალური მთავრობის (მუხლი 20), აგრეთვე ცალკეული ფედერალური მინისტრების ბრძანებებით და ვალდებულია განახორციელოს ამგვარი ბრძანებების რეალიზაცია, გამოიყენებს რა იმ საშუალებებს, რომლებსაც იგი ფლობს, როგორც მიწის საკუთარი კომპეტენციის სფეროში მოქმედი ორგანო.

2. თავისი რეგლამენტის მიღებისას მიწის მთავრობას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, რომ საკითხთა ზოგიერთი ჯგუფი, რომლებიც არაპირდაპირ ფედერალური მმართველობის ძალით შედის მიწის კომპეტენციის სფეროში, უნდა გადაწყდეს გუბერნატორის სახელით მისი მთავრობის წევრთა მიერ. ამ საკითხებთან მიმართებაში მიწის მთავრობის შესაბამისი წევრები შეზ-

ღუდულნი არიან მიწის გუბერნატორის ბრძანებებით (მუხლი 20) იმავე ზომით, რა ზომითაც თვითონ არიან შეზღუდულნი ფედერალური მთავრობის ან ცალკეული ფედერალური მინისტრების ბრძანებებით.

3. ფედერალური მთავრობისა და ცალკეული ფედერალური მინისტრების პირველ აბზაცში გათვალისწინებული ბრძანებები, აგრეთვე მე-2 აბზაცში ჩამოთვლილი შემთხვევების დროს უნდა გაეგზავნოს მიწის გუბერნატორს. ეს უკანასკნელი, თუ იგი დამოუკიდებლად არ ახორციელებს არაპირდაპირ ფედერალურ მმართველობას მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს, ვალდებულია საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ (მუხლი 142, აბზაცი 2, პუნქტი „ე") ბრძანება ყოველგვარი ცვლილებების გარეშე დაუყონებლივ წერილობითი ფორმით გადასცეს მიწის მთავრობის შესაბამის წევრს და თვალყური მიადევნოს ამ ბრძანების შესრულებას. თუ ბრძანება არ სრულდება, მიუხედავად იმისა, რომ მიწის გუბერნატორმა მიიღო აუცილებელი ზომები, მაშინ ფედერალური მთავრობის წინაშე 142-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ეკისრება აგრეთვე მიწის მთავრობის შესაბამის წევრს.

4. არაპირდაპირი ფედერალური მმართველობის საკითხების ადმინისტრაციულ ინსტანციებში განხილვისას მათზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მიწის გუბერნატორი, თუ იგი გამოდის სააპელაციო ორგანოს სახით, თუ ფედერალური კანონი, გამონაკლისის სახით, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ცალსახად სხვა რამეს არ ადგენს. არაპირდაპირი ფედერალური მმართველობის საკითხები, რომლებზეც მიწის გუბერნატორი გადაწყვეტილებებს იღებს პირველი ინსტანციით, განიხილება ზემდგომ ინსტანციებში შესაბამისი ფედერალური მინისტრის ჩათვლით, თუ ფედერალური კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 104. 1. 102-ე მუხლის დებულებები არ გამოიყენება იმ დაწესებულებებთან, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ფედერაციის კომპეტენციას მიკუთვნებული და მე-17 მუხლში ჩამოთვლილი საკითხების აღსრულება.

2. ფედერალურ მინისტრებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ქონების განკარგვა, ამგვარ საკითხთა აღსრულება შეუძლიათ გადასცენ გუბერნატორსა და მასზე დაქვემდებარებულ მიწის ორგანოებს. აღნიშნული გადაცემა შესაძლოა მთლიანად ან ნაწილობრივ ნებისმიერ მომენტში იქნეს ანულირებული. ფედერალური კანონით განისაზღვრება რა ზომით ანაზღაურდება ფედერაციის მიერ ცალკეულ გამონაკლის შემთხვევაში ამგვარი საკითხების შესრულებასთან დაკავშირებული გასავლები.

103-ე მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცები შესაბამისად მოქმედებს.

მუხლი 105. 1. მიწის გუბერნატორი წარმოადგენს მიწას. არაპირდაპირ ფედერალურ მმართველობას მიკუთვნებულ საკითხებზე, მას ეკისრება ფედერალური მთავრობის წინაშე 142-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. მიწის გუბერნატორს ცვლის მიწის მთავრობის მიერ დანიშნული მთავრობის

წევრი (მიწის გუბერნატორის მოადგილე). ამ დანიშვნის თაობაზე უნდა ეცნობოს ფედერალურ კანცლერს. ამგვარი შეცვლის შემთხვევაში ამისთვის დანიშნულ მიწის მთავრობის წევრს, არაპირდაპირ ფედერალურ მმართველობას მიკუთვნებულ საკითხებზე ფედერალური მთავრობის წინაშე აგრეთვე ეკისრება 142-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. იმუნიტეტი არ აბრკოლებს მიწის გუბერნატორისა და მისი შემცვლელი მიწის მთავრობის წევრის პასუხისგებაში მიცემას. იმუნიტეტი აგრეთვე ხელს არ უშლის 103-ე მუხლის მე-3 აბზაცით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიწის მთავრობის წევრის პასუხისგებაში მიცემას.

2. მიწის მთავრობის წევრებს ლანდტაგის წინაშე ეკისრებათ 142-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

3. 142-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ლანდტაგის წევრთა ნახევრის დასწრება.

მუხლი 106. მიწის მთავრობის აპარატის შიდა სამსახურის ხელმძღვანელობისთვის სამმართველოს თანამდებობის პირებიდან, რომლებიც ფლობენ სამართლებრივ ცოდნას, ინიშნება მიწის მართვის სამსახურის დირექტორი. არაპირდაპირ ფედერალურ მმართველობას მიკუთვნებულ საკითხებზე იგი აგრეთვე არის მიწის გუბერნატორის დამხმარე ორგანო.

მუხლი 107. (გაუქმებულია)

ბ) ფედერაციის დედაქალაქი – ვენა

მუხლი 108. ვენაში – ფედერაციის დედაქალაქში, რომელიც თავისი მდგომარეობით გათანაბრებულია მიწის მდგომარეობასთან, თემის საბჭოს ეკისრება აგრეთვე ლანდტაგის ფუნქციები, საქალაქო სენატს – მიწის მთავრობის ფუნქციები, ბურგომისტრს – მიწის გუბერნატორის ფუნქციები, მაგისტრატს – მიწის მთავრობის მართვის სამსახურის ფუნქციები, მაგისტრატის დირექტორს – მიწის მართვის სამსახურის დირექტორის ფუნქციები.

მუხლი 109. არაპირდაპირი ფედერალური მმართველობის სფეროში ვენის მიწაზე ადმინისტრაციულ ინსტანციებში საკითხთა განხილვა, თუ ეს ფედერალური კანონით აკრძალული არ არის, იწყება მაგისტრატის მიერ, რომელიც წარმოადგენს რაიონული მმართველობის ორგანოს, ან იმ შემთხვევებში, როდესაც პირველი ინსტანციის სახით შესრულება ევალებათ ფედერალურ ორგანოებს (მუხლი 102, აბზაცი 1) – იწყება ამ ორგანოების მიერ და შემდგომ ხორციელდება ბურგომისტრის, როგორც მიწის გუბერნატორის მიერ. სხვა შემთხვევებში მოქმედებს 103-ე მუხლის მე-4 აბზაცის დებულებები.

მუხლი 110. (გაუქმებულია)

მუხლი 111. მშენებლობისა და გადასახადების საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებისას უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენს განსაკუთრებული კოლეგიური ორგანოები. ამგვარი კოლეგიური ორგანოების შემადგენლობა და დანიშვნის წესი რეგულირდება მიწების კანონებით.

მუხლი 112. 108-111-ე მუხლების დებულებათა გათვალისწინებით, ვენასთან — ფედერაციის დედაქალაქთან დაკავშირებით სხვა მხრივ მოქმედებს ამ ნაწილის „გ" თავის დებულებები, გარდა 119-ე მუხლის მე-4 აბზაცისა და 119ᵃ მუხლისა. 142-ე მუხლის მე-2 აბზაცის „დ" პუნქტი გამოიყენება ფედერაციის მიერ ვენისათვის — ფედერაციის დედაქალაქისათვის გადაცემული კომპეტენციის განხორციელებისას.

მუხლი 113. (გაუქმებულია)

მუხლი 114. (გაუქმებულია)

გ) თემები

მუხლი 115. 1. მომდევნო მუხლების შინაარსის თანახმად, თემებში იგულისხმება ადგილობრივი თემები.

2. იმ საკითხებზე, რომლებიც არ განეკუთვნება კონკრეტულად ფედერაციის კომპეტენციას, მიწის კანონმდებლობამ ამ თავის მომდევნო მუხლების პრინციპების შესაბამისად უნდა დაარეგულიროს თემების უფლებები. 118-ე და 119-ე მუხლების თანახმად თემების გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე კომპეტენცია განისაზღვრება ამ ფედერალური კონსტიტუციის ძირითადი დებულებების შესაბამისად.

3. თემების ავსტრიული კავშირი და ქალაქების ავსტრიული კავშირი მოწოდებულნი არიან წარმოადგინონ თემების ინტერესები.

მუხლი 116. 1. თითოეული მიწა იყოფა თემებად. თემი წარმოადგენს თვითმმართველობის უფლების მქონე ტერიტორიულ ერთეულს და ამავდროულად ადმინისტრაციულ ერთეულს. ტერიტორიის ყოველი უბანი უნდა მიეკუთვნებოდეს რომელიმე თემს.

2. თემი წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს. ფედერაციისა და მიწის საერთო კანონებით დადგენილ ფარგლებში მას უფლება აქვს ფლობდეს ყველა სახის ქონებას, შეიძინოს და განკარგოს იგი, ეწეოდეს სამეურნეო საქმიანობას, ასევე საფინანსო სისტემის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ბიუჯეტი და აკრიფოს გადასახადები.

3. თემისათვის, რომლის მოსახლეობა შეადგენს არა უმეტეს 20 ათასს, თუ

ეს არ არღვევს მიწის ინტერესებს, მიწის კანონის საფუძველზე თემის წარდგინებით უნდა დაწესდეს დამოუკიდებელი სტატუსი. ამგვარი საკანონმდებლო გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს მხოლოდ ფედერალური მთავრობის თანხმობით. თანხმობა მიღებულად ითვლება, თუ კომპეტენტური ფედერალური სამინისტროს მიერ საკანონმდებლო გადაწყვეტილების მიღების დღიდან რვა კვირის განმავლობაში ფედერალური მთავრობა არ აცნობებს მიწის გუბერნატორს უარის შესახებ. დამოუკიდებელი სტატუსის მქონე ქალაქი სათემო მმართველობის ამოცანათა გარდა, უნდა ახორციელებდეს სარაიონო მმართველობის ამოცანებსაც.

4. *გაუქმებულია*

მუხლი 116. 1. საკუთარი კომპეტენციის სფეროში ცალკეულ ამოცანათა შესასრულებლად თემებს შეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ გაერთიანდნენ თემთა კავშირებში. ამგვარი გადაწყვეტილება მოითხოვს ზედამხედველი ორგანოს თანხმობას. თანხმობა უნდა გაიცეს დადგენილების საფუძველზე, თუ თემებისა და თემთა კავშირების მონაწილეობით კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება:

1) საქალაქო მმართველობის ამოცანათა შესრულების შემთხვევებში არ ემუქრება შეთანხმებაში მონაწილე თემების, როგორც თვითმმართველი ერთეულების ფუნქციონირებას;

2) თემების, როგორც კერძო სამართლის სუბიექტების მიერ ამოცანათა შესრულებისას ეყრდნობა მონაწილე თემთა ინტერესების შესაბამისად მიზანშეწონილობას, რენტაბელობასა და ეკონომიურობას.

2. შესაბამისი კანონმდებლობა (მუხლები 10-15) ცალკეულ ამოცანათა შესრულებისას შესაძლოა ითვალისწინებდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე კავშირების ჩამოყალიბებას, რამაც საფრთხის ქვეშ არ უნდა დააყენოს თემების, როგორც თვითმმართველი ერთეულებისა და ქვედა მმართველობითი რგოლების ფუნქციონირება. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ თემთა კავშირების შექმნისას უპირველეს ყოვლისა აუცილებელია დაინტერესებულ თემთა აზრის მოსმენა.

3. თუ თემთა კავშირებმა უნდა გადაწყვიტონ საკითხები საკუთარი კომპეტენციის სფეროში, მაშინ კავშირში შემავალ თემებს უნდა მიეცეთ ამ კავშირის ამოცანათა შესრულებაზე გარკვეული ზემოქმედების უფლება.

4. მიწის კანონმდებლობამ უნდა დაარეგულიროს თემთა კავშირების ორგანიზება. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში მათ ორგანოებად გათვალისწინებულ უნდა იქნეს კავშირში შემავალი ყველა თემის არჩეული წარმომადგენლისაგან შემდგარი კავშირის კრება და კავშირის მამასახლისის თანამდებობა. შეთანხმების საფუძველზე შექმნილ თემთა კავშირებში აუცილებელია მიღებულ იქნეს დებულებები თემების შესვლასა და გამოსვლაზე, აგრეთვე თემთა კავშირის დათხოვნაზე.

5. თემების კავშირების მიერ ამოცანათა შესრულების კომპეტენცია დგინდება ამ ფედერალური კონსტიტუციური კანონის ზოგადი დებულებებით.

მუხლი 117. 1. თემების ორგანოების სახით ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მოქმედებდნენ:

ა) თემის საბჭო, რომელიც წარმოადგენს თემში შემავალი საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეების მიერ არჩეულ საერთო წარმომადგენლობით ორგანოს;

ბ) თემის გამგეობა, იგივე საქალაქო საბჭო, ხოლო ქალაქებში, რომლებსაც გააჩნიათ დამოუკიდებელი სტატუსი — საქალაქო სენატი;

გ) ბურგომისტრი.

2. თემის საბჭოში არჩევნები ტარდება პროპორციული სისტემით, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფედერაციის იმ მოქალაქეების მიერ უშუალოდ განხორციელებული ფარული კენჭისყრით, რომელთაც გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი თემის ტერიტორიაზე. მიწის კანონებით შეიძლება აგრეთვე გათვალისწინებული იყოს, რომ ხმის მიცემის უფლება აქვთ იმ მოქალაქეებსაც, რომლებიც ცხოვრობენ თემის ტერიტორიაზე, მაგრამ არ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. არჩევნების შესახებ დებულება არ შეიძლება შეიცავდეს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების უფრო შეზღუდულ პირობებს, ვიდრე ლანდტაგში არჩევის შესახებ დებულება. თუმცა, შეიძლება განისაზღვროს, რომ თემის საბჭოს არჩევნებზე აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება არ მიეცემათ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ თემის ტერიტორიაზე არანაკლებ ერთი წლისა, თუ აშკარაა, რომ მათი თემში ყოფნა მხოლოდ დროებითია. ლანდტაგში არჩევნების ჩატარებისას არჩევნებში მონაწილეობის ვალდებულების შესახებ დებულებები (მუხლი 95, აბზაცი 1) შესაბამისად გამოიყენება თემის საბჭოში არჩევნების დროსაც. არჩევნების თაობაზე დებულებამ შესაძლოა დაადგინოს, რომ ამომრჩევლები საარჩევნო უფლებას ახორციელებენ თავიანთ საარჩევნო ოლქებში, რომელთაგან თითოეული ტერიტორიულად განცალკევებულია. ამომრჩეველთა სხვა საარჩევნო ერთეულებად დაყოფა დაუშვებელია. არჩევნების თაობაზე დებულებით შესაძლოა დადგინდეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ არც ერთი შემოთავაზებული კანდიდატურა არ გადის, არჩეულად ჩაითვლებიან ის პირები, რომელთა გვარებიც ყველაზე ხშირად იქნება დასახელებული საარჩევნო ბიულეტენებში.

3. თემის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობა იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია საბჭოს უფლებამოსილად ცნობისათვის; თუმცა, კონკრეტულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მისაღებად შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს სხვა პირობებიც.

4. თემის საბჭოს სხდომები ღიაა, თუმცა შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს გამონაკლისებიც. თემის ხარჯთაღრიცხვის პროექტისა ან შემაჯამებელი ბალანსის განხილვისას საჯაროობა არ გამოირიცხება.

5. თემის საბჭოში წარმოდგენილი პარტიები, მიღებული მანდატების შესაბამისად, წარმოდგენილ უნდა იქნენ თემის გამგეობაში.

6. ბურგომისტრი აირჩევა თემის საბჭოს მიერ. ამასთან, მიწის კონსტიტუცია შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ბურგომისტრი აირჩევა მათ მიერ, ვისაც

აქვს თემის საბჭოს არჩევის უფლება.

7. თემებში საქმეთა მმართველობას ახორციელებს სათემო მმართველობის სამსახური (საქალაქო მმართველობის სამსახური), ხოლო ქალაქებში, რომელთაც გააჩნიათ დამოუკიდებელი სტატუსი — მაგისტრატი. მაგისტრატის შიდა სამსახურის ხელმძღვანელობისთვის სამმართველოს იურიდიული განათლების მქონე თანამდებობის პირთაგან ინიშნება მაგისტრატის დირექტორი.

8. მიწის კანონმდებელს შეუძლია გაითვალისწინოს თემთა საკუთარი კომპეტენციის საკითხებში ამომრჩეველთა უშუალო მონაწილეობა და თემის საბჭოს არჩევნებში ურთიერთქმედება.

მუხლი 118. 1. თემის კომპეტენციის სფეროს წარმოადგენს მისი საკუთარი უფლებამოსილებანი და ფედერაციისა და მიწის მიერ მისთვის გადაცემული უფლებამოსილებანი.

2. თემის საკუთარი კომპეტენციის სფერო, 116-ე მუხლის მე-2 აბზაცში მითითებულ უფლებამოსილებათა გარდა, მოიცავს აგრეთვე ყველა იმ საკითხს, რომლებიც მარტოოდენ ან უპირატესად ეხება თემში შემავალ მოქალაქეთა ადგილობრივ ინტერესებს და იმ პირობით, რომ ამ საკითხებზე აუცილებელი ზომები შესაძლოა მიღებულ იქნეს თემის მიერ მისი ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში. კანონებში ზუსტად უნდა იყოს ჩამოთვლილი ის უფლებამოსილებანი, რომლებიც განეკუთვნება თემის საკუთარი კომპეტენციის სფეროს.

3. თემი საკუთარი კომპეტენციის სფეროში დამოუკიდებლად არის პასუხისმგებელი საჯარო მმართველობის ამოცანათა შესრულებისას შემდეგ საკითხებზე:

1) თემთა ორგანოების დანიშვნა — იმ ფარგლებში, რაც არ ზღუდავს ზემდგომი საარჩევნო ორგანოების კომპეტენციას; თემის წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელების მიზნით შიდა მოწყობის რეგულირება;

2) თემის მოსამსახურეთა დანიშვნა და სამსახურებრივი საქმიანობის ხელმძღვანელობის განხორციელება — იმ ფარგლებში, რაც არ ზღუდავს ზემდგომი დისციპლინური, კვალიფიციური და საინსპექციო კომისიების კომპეტენციას;

3) უსაფრთხოების ადგილობრივი პოლიცია (მუხლი 15, აბზაცი 2); ადგილობრივი პოლიცია, რომელიც საჯარო ღონისძიებათა ჩატარებისას უზრუნველყოფს წესრიგს;

4) თემის შიგნით სატრანსპორტო გზების მართვა, ადგილობრივი საგზაო პოლიცია;

5) ადგილობრივი საკარგულების დაცვის პოლიცია;

6) ბაზრების ადგილობრივი პოლიცია;

7) ჯანდაცვის ადგილობრივი პოლიციური სამსახური, კერძოდ, სასწრაფო დახმარებისა და სამაშველო სამსახურის ორგანიზების შესახებ, აგრეთვე დამკრძალავი საქმისა და სასაფლაოთა ორგანიზების შესახებ;

8) ჩვეულებათა პოლიცია;

9) მშენებლობის ადგილობრივი პოლიცია, თუ ეს არ ეხება შენობებს, რომლებიც მიეკუთვნება ფედერაციას ან ემსახურება საჯარო მიზნებს (მუხლი 17,

აბზაცი 5.), ადგილობრივი სახანძრო პოლიცია; ადგილობრივი ტერიტორიების დაგეგმარება;

10) კონფლიქტების გადაწყვეტისას არასასამართლო შუამდგომლობის საჯარო დაწესებულებანი;

11) მოძრავი ქონების აუქციონზე ნებაყოფლობითი გაყიდვა.

4. თემმა საკუთარი პასუხისმგებლობით უნდა განახორციელოს თავისი უფლებამოსილებანი საკუთარი კომპეტენციის სფეროში კანონებსა და ფედერაციისა და მიწის დადგენილებათა ფარგლებში. შეზღუდული არ არის რა ბრძანებებით და 119ᵃ მუხლის მე-5 აბზაცის დებულებათა გათვალისწინებით ისწრაფვის, რათა გამოირიცხოს გასაჩივრება მმართველობის ორგანოებში თემის საზღვრებს გარეთ. ფედერაციასა და მიწებს აქვთ უფლება მათ საკუთარ კომპეტენციას მიკუთვნებულ საოლქო ამოცანათა შესრულებაზე განახორციელონ ზედამხედველობა. ამასვე ეხება მე-12 მუხლის მე-2 აბზაცის დებულებანი.

5. ბურგომისტრი, თემის გამგეობის (საქალაქო საბჭოს, საქალაქო სენატის) წევრები და თემის ნებისმიერი სხვა დანიშნული ორგანო პასუხს აგებს თემის საბჭოს წინაშე თემის საკუთარი კომპეტენციის სფეროში შემავალ თავისი ამოცანების შესრულებაზე.

6. საკუთარი კომპეტენციის სფეროს საკითხებზე თემს შეუძლია გამოიყენებს რა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება, რეალურად მოსალოდნელ დარღვევათა აღსაკვეთად და არსებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლის თემში საზოგადოებრივ ცხოვრებას, გამოსცეს ადგილობრივი პოლიციის განკარგულებანი, აგრეთვე მათი დაუცველობა ცნოს ადმინისტრაციულ გადაცდომად. ამგვარი განკარგულებანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონებსა და მიწისა და ფედერაციის დადგენილებებს.

7. თემის თხოვნით მის საკუთარ კომპეტენციის სფეროს მიკუთვნებული ცალკეულ უფლებამოსილებათა განხორციელება, 119ᵃ მუხლის მე-3 აბზაცის შესაბამისად, მიწის მთავრობის დადგენილების ან მიწის გუბერნატორის დადგენილების საფუძველზე შესაძლოა გადაეცეს რომელიმე სახელმწიფო ორგანოს. თუ ამგვარი დადგენილების საფუძველზე კომპეტენცია უნდა გადაეცეს ფედერალურ ორგანოს, მაშინ ამისთვის საჭიროა ფედერალური მთავრობის თანხმობა. თუ მიწის გუბერნატორის განკარგულებათა საფუძველზე კომპეტენცია უნდა გადაეცეს მიწის ორგანოს, მაშინ ამისთვის საჭიროა მიწის მთავრობის თანხმობა. ამგვარი დადგენილება უნდა გაუქმდეს როგორც კი აღმოიფხვრება მისი მიღების მიზეზი. მითითებული უფლებამოსილების გადაცემა არ ერცელდება მე-6 აბზაცის თანახმად განკარგულებათა გამოცემის უფლებაზე.

8. თემში წესრიგის დაცვის ქვედანაყოფების დაფუძნებაზე ან მათი ორგანიზაციის შეცვლაზე გადაწყვეტილებას იღებს ფედერალური მთავრობა.

მუხლი 118ᵇ. 1. ფედერაციის ან მიწის კანონებით შესაძლოა დადგინდეს, რომ თემებში წესრიგის დაცვის ქვედანაყოფების თანამშრომლებს მიეცეთ თემის თანხმობით კომპეტენტურ ორგანოებში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორცი-

ელების უფლება.

2. თემის თანხმობით ოლქში მმართველობის ორგანოს შეუძლია წესრიგის დაცვის ქვედანაყოფის თანამშრომლებს მიანიჭოს ადმინისტრაციული სასჯელის თაობაზე კანონის გამოყენების უფლებამოსილება იმავე მოცულობით, რა მოცულობითაც იგი გამოიყენება საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის სხვა ორგანოების მიერ. ეს უფლება მიეცემათ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის ორგანოში ახორციელებენ კონტროლს ადმინისტრაციულ დებულებათა დაცვის საკითხში, რომლებიც ადმინისტრაციული სასჯელის საქმეებზე შეადგენენ წარმოების საგანს, ან რამდენადაც ეს საკითხი თემის გამგებლობის სფეროშია.

მუხლი 119. 1. თემისთვის გადასაცემი კომპეტენცია მოიცავს უფლებამოსილებებს, რომლებიც თემმა უნდა განახორციელოს ფედერალური კანონების შესაბამისად, დავალებით ან ფედერაციის მითითებების საფუძველზე, ან იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც თემმა უნდა განახორციელოს მიწის კანონების შესაბამისად, დავალებით ან მიწის მითითებათა საფუძველზე.

2. თემისთვის გადაცემულ უფლებამოსილებებს ახორციელებს ბურგომისტრი. ამასთან ფედერალური აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე იგი შეზღუდულია ფედერაციის კომპეტენტური ორგანოების მითითებით, ხოლო მიწის აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე — მიწის კომპეტენტური ორგანოების მითითებებით და ამ საკითხებზე პასუხს აგებს მე-4 აბზაცის დებულებათა შესაბამისად.

3. ბურგომისტრს შეუძლია, პასუხისმგებლობის მოუხსნელად, თემის გამგეობის (საქალაქო საბჭოს, საქალაქო სენატის) წევრებს, 117-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად შექმნილ სხვა ორგანოებს ან კოლეგიალური ორგანოების წევრებს დაავალოს საკუთარი სახელით თემისათვის გადაცემულ კომპეტენციას მიეკუთვნებულ უფლებამოსილებათა განხორციელება. გადაცემული უფლებამოსილებების განხორციელებისას შესაბამისი ორგანოები ან მათი წევრები შეზღუდულნი არიან ბურგომისტრის მითითებებით და პასუხს აგებენ მე-4 აბზაცის დებულებათა შესაბამისად.

4. წინასწარი განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით კანონის დარღვევასა და აგრეთვე დადგენილებებისა და ბრძანებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით მე-2 და მე-3 აბზაცებში დასახელებული პირები, თუ ისინი უფლებამოსილებას ახორციელებენ ფედერალური აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში, შეიძლება გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან მიწის გუბერნატორის მიერ, ხოლო თუ უფლებამოსილებას ახორციელებენ მიწის აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში, მაშინ — მიწის მთავრობის მიერ. აღნიშნული არ ეხება ამ პირის თემის საბჭოში წევრობას.

მუხლი 119ª. 1. ფედერაცია და მიწები ახორციელებენ ზედამხედველობას იმაზე, არღვევს თუ არა თემი საკუთარი კომპეტენციის სფეროში აღმასრულებე-

ლი საქმიანობის განხორციელებისას კანონებსა და დადგენილებებს, კერძოდ, სცილდება თუ არა იგი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებს და ასრულებს თუ არა კანონით მასზე დაკისრებულ დავალებებს.

2. ამას გარდა, მიწას უფლება აქვს შეამოწმოს თემის ფინანსური საქმიანობა მისი ეკონომიურობის, რენტაბელობისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. შემოწმების შედეგები თემის საბჭოსთვის წარსადგენად გადაეცემა ბურგომისტრს. ბურგომისტრმა სამი თვის განმავლობაში უნდა აცნობოს შემოწმებათა შედეგად მიღებული ზედამხედველობის ზომების შესახებ.

3. ზედამხედველობის განხორციელებისა და თემის საკუთარი კომპეტენციის სფეროში შემავალი ფედერაციის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების საკანონმდებლო რეგულირების უფლება აქვს ფედერაციას, ხოლო სხვა შემთხვევებში — მიწას; ზედამხედველობა უნდა განახორციელონ საერთო სახელმწიფოებრივმა მმართველობის ორგანოებმა.

4. ზედამხედველობის ორგანოებს უფლება აქვთ მიიღონ ცნობები თემის ნებისმიერ საქმეებზე. თემი ვალდებულია წარუდგინოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც გამოითხოვს კონკრეტულ შემთხვევაში ზედამხედველობის ორგანო და დაუშვას შემოწმების წარმოება ადგილზე.

5. პირი, რომელიც მიიჩნევს, რომ რომელიმე სათემო ორგანოს გადაწყვეტილებით თემის საკუთარი კომპეტენციის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე ირღვევა მისი უფლებები, შეუძლია, მას შემდეგ, რაც საკითხი განიხილება ყველა წინა ინსტანციაში (მუხლი 118, აბზაცი 4), გადაწყვეტილების მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიმართოს ზედამხედველობის ორგანოს. ამ უკანასკნელმა უნდა გააუქმოს გადაწყვეტილება, თუ იგი არღვევს განმცხადებლის უფლებებს და საქმე გადასცეს თემს ახალი გადაწყვეტილების მისაღებად. დამოუკიდებელი სტატუსის მქონე ქალაქებთან მიმართებით შესაბამისმა კანონმდებლობამ (აბზაცი 3) უნდა დაადგინოს, რომ ზედამხედველობის ორგანოსთვის მიმართვა გამოირიცხება.

6. თემმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ზედამხედველობის ორგანოს საკუთარი კომპეტენციის სფეროში გამოცემული დადგენილებების თაობაზე. ზედამხედველობის ორგანო, რომელიც მოისმენს თემის აზრს, ვალდებულია თავისი დადგენილებით გააუქმოს კანონსაწინააღმდეგო დადგენილებები და დროულად აცნობოს თემს გაუქმების მიზეზების შესახებ.

7. თუ შესაბამისი კანონმდებლობა (აბზაცი 3) ღონისძიების სახით, რომელსაც იღებს ზედამხედველობის ორგანო, ითვალისწინებს თემის საბჭოს დათხოვნას, მაშინ მიწის ორგანოების მიერ ზედამხედველობის განხორციელებისას ეს ღონისძიება მიიღება მიწის მთავრობის მიერ, ხოლო ფედერალური ორგანოების მიერ ზედამხედველობის განხორციელებისას — მიწის გუბერნატორის მიერ. კომპენსაციის დაშვება ღონისძიების სახით, რომელსაც იყენებს ზედამხედველობის ორგანო, შეზღუდული უნდა იყოს უპირობო აუცილებლობის შემთხვევით. ზედამხედველობის ორგანოების მიერ გამოყენებული ღონისძიებები გამოყენებულ უნდა იქნეს ისე, რომ ამავდროულად მაქსიმალურად იქნეს დაცული მესამე პირ-

თა უფლებები.

8. თემის მიერ ცალკეულ ღონისძიებათა განხორციელება საკუთარი კომპეტენციის სფეროში, რომლებიც მნიშვნელოვანწილად ეხება არა მხოლოდ ადგილობრივ ინტერესებს, კერძოდ, რომელთაც გააჩნიათ განსაკუთრებული ფინანსური მნიშვნელობა, შესაძლოა დაშვებულ იქნეს შესაბამისი კანონმდებლობის (აბზაცი 3) საფუძველზე მათ განხორციელებაზე ზედამხედველობის ორგანოდან მიღებული თანხმობის შემთხვევაში. თანხმობაზე უარის თქმის მიზეზად შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ იმგვარ გარემოებათა არსებობა, რომლებიც აშკარად გაამართლებდა არა ადგილობრივ, არამედ უფრო საერთო ინტერესების აუცილებლობას.

9. ზედამხედველობის ორგანოს მიერ განსახორციელებელ წარმოებაში თემს აქვს მხარის სტატუსი; მას უფლება აქვს ზედამხედველობის ორგანოს წინააღმდეგ საჩივრით მიმართოს ადმინისტრაციულ სასამართლოს (მუხლი 131, 132) და საკონსტიტუციო სასამართლოს (მუხლი 144).

10. ამ მუხლის დებულებები გამოიყენება შესაბამისად თემთა კავშირებთან მიმართებაში ზედამხედველობის განხორციელებაზე, თუ საქმე ეხება თემის საკუთარი კომპეტენციის სფეროში მათ საქმიანობას (მუხლი 116, აბზაცი 4).

მუხლი 120. ადგილობრივი თემების გაერთიანება ტერიტორიულ თემებში, თვითმმართველობის საფუძველზე მათი მოწყობა და მიწებში საერთო-სახელმწიფოებრივი მმართველობის ორგანიზების სხვა პრინციპების დადგენა წარმოადგენს ფედერალური კონსტიტუციური კანონმდებლობის რეგულირების საგანს; ამ კანონების კონკრეტიზაცია ხორციელდება მიწის კანონმდებლობით. სამსახურებრივ სამართალსა და ტერიტორიული თემების მოსამსახურეთა თანამდებობრივი ცვლის სამართალში კომპეტენციათა რეგულირება წარმოადგენს ფედერალური კონსტიტუციური კანონმდებლობის საგანს.

მეხუთე ნაწილი
საანგარიშო და საფინანსო საქმიანობის კონტროლი

მუხლი 121. 1. ფედერაციის, მიწების, თემთა კავშირების, თემებისა და კანონით დადგენილი სხვა სუბიექტების ფინანსური საქმიანობის შემოწმების უფლება ეკისრება საანგარიშო პალატას.

2. საანგარიშო პალატა ადგენს ანგარიშს ფედერაციის ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ და წარუდგენს მას ეროვნულ საბჭოს. ფედერაციის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე ანგარიშის შინაარსი არ შეიძლება გამოქვეყნდეს ეროვნულ საბჭოში განხილვამდე.

3. ფედერაციის ფინანსური ვალდებულებებისა და დავალიანებების ყველა დოკუმენტი ხელმოწერილ უნდა იქნეს საანგარიშო პალატის თავმჯდომარის მიერ, ხოლო იმ გარემოებათა არსებობისას, რომლებიც ხელს უშლიან მას ვალდე-

ბულებათა შესრულებას — მისი მოადგილის მიერ. ეს ხელმოწერა არის სესხების მართლზომიერებისა და მათი იმ მთავარ წიგნში ჩაწერის სისწორის გარანტი, რომელიც აფიქსირებს სახელმწიფო დავალიანებებს.

4. ყოველ მეორე წელს საანგარიშო პალატამ მის კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისა და დაწესებულებებისაგან, რომლებიც ვალდებულნი არიან ანგარიში წარადგინონ ეროვნულ საბჭოში, ამ საწარმოთა და დაწესებულებების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა შეაგროვოს ცნობები საშუალო შემოსავალზე, ყველა საზოგადოებრივი შემოწირულობისა და მატერიალური შემოსავლების ჩათვლით, აგრეთვე მმართველობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, ყველა მოსამსახურის, პენსიებისათვის დამატებითი თანხების გაცემის ჩათვლით. ამასთან, დასახელებული წრის პირთა საშუალო შემოსავალი ცალკეული საწარმოებისა და დაწესებულებისთვის მიეთითება განსაკუთრებულად.

მუხლი 122. 1. საანგარიშო პალატა ექვემდებარება უშუალოდ ეროვნულ საბჭოს. ფედერაციის ფინანსური საქმიანობის საკითხებზე და კანონიერი პროფესიული წარმომადგენლობების ფინანსური საქმიანობის საკითხებზე, თუ ისინი ექცევა ფედერაციის აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედების ქვეშ, საანგარიშო პალატა გამოდის ეროვნული საბჭოს ორგანოს სახით, ხოლო მიწის, თემთა კავშირებისა და თემების ფინანსური საქმიანობის საკითხებზე, აგრეთვე კანონიერი პროფესიული წარმომადგენლობების ფინანსური საქმიანობის საკითხებზე, თუ ისინი ექცევა მიწის აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედების ქვეშ — შესაბამისი ლანდტაგის ორგანოს სახით.

2. საანგარიშო პალატა დამოუკიდებელია ფედერალური მთავრობისა და მიწების მთავრობებისაგან და ექვემდებარება მხოლოდ კანონის დებულებებს.

3. საანგარიშო პალატა შედგება თავმჯდომარის, თანამდებობის პირებისა და აუცილებელი რაოდენობის დამხმარე პერსონალისგან.

4. საანგარიშო პალატის თავმჯდომარე აირჩევა ეროვნული საბჭოს მთავარი კომიტეტის წინადადებით 12 წლის ვადით; ხელახალი არჩევა არ დაიშვება. თანამდებობის დაკავების წინ იგი დებს ფიცს ფედერალური პრეზიდენტის წინაშე.

5. საანგარიშო პალატის თავმჯდომარე არ უნდა შედიოდეს რომელიმე სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობაში და უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში არ უნდა ჰქონოდა დაკავებული თანამდებობა ფედერალურ მთავრობაში.

მუხლი 123. 1. საანგარიშო პალატის თავმჯდომარე პასუხისმგებლობის თვალსაზრისით უტოლდება ფედერალური მთავრობისა და მიწის მთავრობის წევრებს, იმის მიხედვით საანგარიშო პალატა მოქმედებს ეროვნული საბჭოს ორგანოს თუ ლანდტაგის ორგანოს სახით.

2. იგი შეიძლება გამოწვეულ იქნეს ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 123. 1. საანგარიშო პალატის თავმჯდომარე უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ეროვნულ საბჭოში საანგარიშო პალატის მოხსენების განხილვაში, აგრეთვე ფედერალური საბიუჯეტო ხარჯთა ნუსხის, პალატის ფინანსური საქმიანობის შემოწმების შესახებ შუამდგომლობის განსაკუთრებული აქტების და საანგარიშო პალატასთან დაკავშირებულ ფინანსების შესახებ ფედერალური კანონპროექტის თავების განხილვაში.

2. ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონის უფრო დაწვრილებითი დებულებების შესაბამისად საანგარიშო პალატის თავმჯდომარეს აქვს იმის უფლება, რომ მისი მოთხოვნით მისი აზრი მოსმენილ იქნეს ყველა შემთხვევაში პირველ აბზაცში მითითებულ საკითხთა განხილვისას.

მუხლი 124. 1. საანგარიშო პალატის თავმჯდომარეს გარკვეულ გარემოებებში, რომლებიც ხელს უშლის მისი მოვალეობების შესრულებას, ცვლის საანგარიშო პალატის რანგით უფროსი თანამდებობის პირი. აღნიშნული წესი მოქმედებს იმ შემთხვევებშიც, როდესაც თავმჯდომარის თანამდებობა ვაკანტური გახდება. საანგარიშო პალატის თავმჯდომარის შეცვლა ეროვნულ საბჭოში განისაზღვრება ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონით.

2. თავმჯდომარის შეცვლის შემთხვევაში მის შემცვლელ პირზე ვრცელდება 123-ე მუხლის პირველი აბზაცის დებულებები.

3. თავმჯდომარეს შეუძლია თავმჯდომარის მოადგილეს მისი თანხმობით დაავალოს გარკვეულ საქმეთა შესრულება; ამასთან თავმჯდომარის მოადგილე ექვემდებარება თავმჯდომარეს და შეზღუდულია მისი მითითებით.

მუხლი 125. 1. საანგარიშო პალატის თანამდებობის პირებს ნიშნავს ფედერალური პრეზიდენტი საანგარიშო პალატის თავმჯდომარის წინადადებით, რომელიც ხელს აწერს ამ დანიშვნას; ამგვარივე წესი მოქმედებს სამსახურებრივ წოდებათა მინიჭების დროსაც. თუმცა, ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია გარკვეული კატეგორიის თანამდებობის პირთა დანიშვნის უფლებამოსილება გადასცეს საანგარიშო პალატის თავმჯდომარეს.

2. დამხმარე პერსონალი ინიშნება საანგარიშო პალატის თავმჯდომარის მიერ.

3. ფედერალური უზენაესობა სამსახურის სფეროში საანგარიშო პალატის მოსამსახურეებთან მიმართებით მიიღწევა საანგარიშო პალატის თავმჯდომარის საქმიანობით.

მუხლი 126. საანგარიშო პალატის არც ერთ წევრს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს იმ დაწესებულებათა ხელმძღვანელობასა და მართვაში, რომელთა საქმიანობაც ექვემდებარება საანგარიშო პალატის მხრიდან კონტროლს. საანგარიშო პალატის არც ერთ წევრს არ შეუძლია აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს სხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელობასა და მართვაში, რომელთა საქმიანობაც მიმართულია მოგების მიღებისკენ.

მუხლი 126ᵃ. თუ საანგარიშო პალატას სამართლის სუბიექტებთან წარმოებაში აზრთა სხვადასხვაობა (მუხლი 121, აბზაცი 1) საანგარიშო პალატის კომპეტენციის მარეგულირებელი კანონის დებულებათა განმარტების გამო, მაშინ ფედერალური მთავრობის ან მიწის მთავრობის ან საანგარიშო პალატის განცხადებით საკითხს წყვეტს საკონსტიტუციო სასამართლო. სამართლის ყველა სუბიექტს უნდა ჰქონდეს საშუალება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოთქმული სამართლებრივი აზრის შესაბამისად განახორციელოს შემოწმება საანგარიშო პალატის მეშვეობით. ამ მოვალეობათა შესრულება ხორციელდება ჩვეულებრივი სასამართლოების მიერ. წარმოების წესი რეგულირდება ფედერალური კანონით.

მუხლი 126ᵇ. 1. საანგარიშო პალატამ უნდა ჩაატაროს ფედერაციის მთელი სახელმწიფო ეკონომიკის, აგრეთვე იმ ფინანსური საქმიანობის შემოწმება, რაც დაკავშირებულია საქველმოქმედო ან სხვაგვარ ფონდებთან და დაწესებულებებთან, რომელთა მართვაც ხორციელდება ფედერაციის ორგანოების მიერ დანიშნული ფედერაციის ორგანოების ან პირთა (პირთა გაერთიანებების) მიერ.

2. საანგარიშო პალატა დამოუკიდებლად ამოწმებს ფედერაციის მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაციების ფინანსურ საქმიანობას ან ფედერაციის სხვა სამართლის სუბიექტებთან ერთად, რომელთა მიმართებაშიც საანგარიშო პალატას კონტროლის განხორციელების უფლება აქვს, თუ მათ ეკუთვნით თავდაპირველი, ძირითადი ან საკუთარი კაპიტალის არანაკლებ 5%; აგრეთვე ამოწმებს იმ საწარმოთა საქმიანობას, რომელთა ექსპლუატაციაც ხდება თვით ფედერაციის მიერ ან ერთობლივად ფედერაციისა და ზემოხსენებული სხვა სუბიექტების მიერ. ამგვარ ფინანსურ მონაწილეობას უთანაბრდება იმ საწარმოთა მართვა, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ სხვა ფინანსურ ან რაიმე ეკონომიკურ ან საორგანიზაციო ზომების დახმარებით. საანგარიშო პალატის კომპეტენცია ვრცელდება აგრეთვე ნებისმიერი დონის სხვა სამეწარმეო ორგანიზაციებზე, რომლებსაც ეხება ამ აბზაცში მითითებული ნიშნები.

3. საანგარიშო პალატა უფლებამოსილია ფინანსური საქმიანობის საჯაროსამართლებრივი კორპორაციების შემოწმება ჩაატაროს ფედერაციის ხარჯებით.

4. ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით ან ეროვნული საბჭოს წევრთა მოთხოვნით საანგარიშო პალატამ თავისი კომპეტენციის სფეროში უნდა ჩაატაროს ფინანსური საქმიანობის სპეციალური შემოწმება. უფრო დაწვრილებით რეგულირებას ადგენს ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონი. საანგარიშო პალატამ აგრეთვე უნდა ჩაატაროს ამგვარი შემოწმებები ფედერალური მთავრობის ან ფედერალური მინისტრის დასაბუთებული მოთხოვნით და შედეგების შესახებ აცნობოს ორგანოს, რომელიც ითხოვს შემოწმების ჩატარებას.

5. საანგარიშო პალატის მიერ ჩატარებული შემოწმება მოიცავს არსებულ დებულებებთან საქმიანობის შესაბამისად ციფრული მონაცემების სიზუსტის გამოვლენას, მის ეკონომიურობას, რენტაბელობასა და მიზანშეწონილობას.

მუხლი 126ბ. საანგარიშო პალატა უფლებამოსილია შეამოწმოს სპეციალურ სადაზღვევო ორგანოთა წარმომადგენლების ფინანსური საქმიანობა.

მუხლი 126გ. 1. საანგარიშო პალატა ყოველწლიურად არა უგვიანეს 31 დეკემბრისა ეროვნულ საბჭოს მოხსენებას წარუდგენს გასული წლის თავისი საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, საანგარიშო პალატას შეუძლია ეროვნულ საბჭოს შეატყობინოს სხვადასხვა შუამდგომლობის საფუძველზე მის მიერ დადგენილ ცალკეულ ფაქტებზე. ეროვნულ საბჭოში ყოველი მოხსენების წარდგენასთან ერთად საანგარიშო პალატა ვალდებულია გაუგზავნოს იგი ფედერალურ კანცლერს. საანგარიშო პალატის საქმიანობის შესახებ მოხსენება ყოველწლიურად უნდა გამოქვეყნდეს; თუმცა, მისი შინაარსის გამოქვეყნება დაუშვებელია ეროვნულ საბჭოში მისი განხილვის დაწყებამდე.

2. საანგარიშო პალატის მოხსენებათა განსახილველად ეროვნულ საბჭოში იქმნება მუდმივი კომიტეტი. მისი ჩამოყალიბებისას დაცულ უნდა იქნეს პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპი.

მუხლი 127. 1. საანგარიშო პალატამ უნდა ჩაატაროს მიწის საკუთარი კომპეტენციის სფეროში ფინანსური საქმიანობის, აგრეთვე იმ ფინანსური საქმიანობის შემოწმება, რაც დაკავშირებულია საქველმოქმედო, აგრეთვე სხვა ფონდებსა და დაწესებულებებთან, რომელთა მართვაც ხორციელდება მიწის ორგანოების მიერ დანიშნული მიწის ორგანოებისა და პირების (პირთა გაერთიანებების) მიერ. საანგარიშო პალატის მიერ გატარებული შემოწმება მოიცავს ციფრული მონაცემების ზუსტ გამოვლენას არსებულ დებულებებთან საქმიანობის შესაბამისობაზე და ფინანსური საქმიანობის ეკონომიურობას, რენტაბელობასა და მიზანშეწონილობას; თუმცა ივი არ ვრცელდება ფინანსური საქმიანობისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე, კონსტიტუციის შესაბამისად მოქმედი კომპეტენტური წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებებზე.

2. მიწის მთავრობები ვალდებულნი არიან საანგარიშო პალატას ყოველწლიურად გადასცენ წინასწარი ხარჯთანუსხა და შემაჯამებელი საბალანსო ანგარიშები.

3. საანგარიშო პალატა ამოწმებს იმ საწარმოთა ფინანსურ საქმიანობას, რომლებიც შექმნილია თვით მიწის მიერ ან ერთობლივად მიწისა და სამართლის იმ სხვა სუბიექტების მიერ, რომელთა მიმართებაშიც საანგარიშო პალატა კომპეტენტურია განახორციელოს კონტროლი იმ შემთხვევებში, როცა მას ეკუთვნის თავდაპირველი, ძირითადი ან საკუთარი კაპიტალის არანაკლებ 50%. აგრეთვე ამოწმებს საწარმოთა საქმიანობას, რომელთა ექსპლუატაციაც ხდება თვით მიწის მიერ ან ერთობლივად მიწისა და სხვა ზემოთჩამოთვლილი სუბიექტების მიერ. ფინანსური მონაწილეობის ცნებასთან მიმართებაში შესაბამისად მოქმედებს 126ᵇ მუხლის მე-2 აბზაცი. საანგარიშო პალატის კომპეტენცია ვრცელდება აგრეთვე სხვა ნებისმიერი დონის სამეწარმეო ორგანიზაციებზე, რომელთაც გააჩნიათ ამ აბზაცში მითითებული ნიშნები.

4. საანგარიშო პალატა უფლებამოსილია მიწის სახსრების ხარჯზე ჩაატაროს საჯარო-სამართლებრივ კორპორაციათა ფინანსური საქმიანობის შემოწმება.

5. საანგარიშო პალატამ უნდა აცნობოს თავისი შემოწმების შედეგები მიწის მთავრობას ლანდტაგში წარსადგენად და დასკვნის აუცილებლად მოსამზადებლად, რომელიც უნდა მომზადდეს 3 კვირის განმავლობაში. მიწის მთავრობა ვალდებულია საანგარიშო პალატას 3 თვის განმავლობაში მოახსენოს შემოწმების შედეგების მიხედვით მიღებული ზომების შესახებ.

6. საანგარიშო პალატა ყოველწლიურად, არა უგვიანეს 31 დეკემბრისა ლანდტაგში წარადგენს მოხსენებას გასული წლის საქმიანობის შესახებ, რომელიც ეხება მოცემულ მიწას. გარდა ამისა, საანგარიშო პალატას შეუძლია ნებისმიერ დროს აცნობოს ცალკეული შემოწმებების თაობაზე. საანგარიშო პალატა ლანდტაგში წარდგინებასთან ერთად ყოველ ცნობას უგზავნის მიწის მთავრობას, აგრეთვე ფედერალურ მთავრობას. საანგარიშო პალატის ცნობა უნდა გამოქვეყნდეს ლანდტაგში წარდგენის შემდეგ.

7. ლანდტაგის გადაწყვეტილებით ან მიწის კონსტიტუციური კანონით დადგენილი რაოდენობის ლანდტაგის წევრთა მოთხოვნით, რაც არ აღემატება მისი შემადგენლობის ერთ მესამედს, საანგარიშო პალატამ თავისი კომპეტენციის სფეროში უნდა ჩაატაროს ფინანსური საქმიანობის სპეციალური შემოწმება. ეიდრე საანგარიშო პალატა ამგვარი მოთხოვნის საფუძველზე არ წარუდგენს ლანდტაგს მოხსენებას, სხვა ამგვარი მოთხოვნა არ შეიძლება გაკეთდეს. საანგარიშო პალატამ ამგვარადვე უნდა ჩაატაროს ასეთი შემოწმება მიწის მთავრობის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე და მოახსენოს მისი შედეგების თაობაზე ორგანოს, რომელმაც მოითხოვა შემოწმების ჩატარება.

8. ამ მუხლის დებულება მოქმედებს აგრეთვე ქალაქ ვენის ფინანსური საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებითაც. ამასთან ლანდტაგის ნაცვლად მოქმედებს თემის საბჭო, ხოლო მიწის მთავრობის ნაცვლად – საქალაქო სენატი.

მუხლი 127. 1. საანგარიშო პალატის კონტროლს ექვემდებარება თემების ფინანსური საქმიანობა, რომელთა მოსახლეობა არანაკლებ 20 ათას მოსახლეს შეადგენს, აგრეთვე ფინანსური საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საქველმოქმედო დაწესებულებებთან, სხვა ფონდებთან და დაწესებულებებთან, რომელთა მართვას ახორციელებენ თემთა ორგანოები. საანგარიშო პალატის მიერ ჩატარებული შემოწმება მოიცავს არსებულ მითითებებთან საქმიანობის შესაბამისობაზე რიცხობრივი მონაცემების სიზუსტის გამოვლენას, ფინანსური საქმიანობის ეკონომიურობას, რენტაბელობასა და მიზანშეწონილობას.

2. ბურგომისტრები ვალდებულნი არიან ყოველწლიურად გადასცენ საანგარიშო პალატას და იმავდროულად მიწის მთავრობას წინასწარი ხარჯთა ნუსხა და შემაჯამებელი საბალანსო ანგარიშები.

3. საანგარიშო პალატა ამოწმებს შემდგომ იმ საწარმოთა ფინანსურ საქმიანობას, რომლებიც შექმნილია თვით თემის მიერ, რომლის მოსახლეობა არანაკლებ 20 000 მოსახლეს შეადგენს, ან თემისა და სამართლის სხვა სუბიექტების

მიერ ერთობლივად, რომელთა მიმართებაშიც საანგარიშო პალატას შეუძლია კონტროლის განხორციელება, თუ მათ ეკუთვნით თავდაპირველი, ძირითადი ან საკუთარი კაპიტალის არანაკლებ 50%; აგრეთვე ამოწმებს იმ საწარმოთა საქმიანობას, რომელთა ექსპლუატაციასაც ახორციელებს თვით თემი ან ერთობლივად თემი და ზემოჩამოთვლილი სხვა სუბიექტები. ფინანსური საქმიანობის ცნებასთან მიმართებით შესაბამისად მოქმედებს 126-ე მუხლის მე-2 აბზაცი. საანგარიშო პალატის კომპეტენცია ვრცელდება აგრეთვე სხვა ნებისმიერი დონის სამეწარმეო ორგანიზაციებზე, რომლებსაც მოცემულ აბზაცში მითითებული ნიშნები გააჩნიათ.

4. საანგარიშო პალატა უფლებამოსილია ჩაატაროს საჯარო-სამართლებრივ კორპორაციათა ფინანსური საქმიანობის შემოწმება იმ თემის სახსრების ხარჯზე, რომლის მოსახლეობა არანაკლებ 20 ათასია.

5. საანგარიშო პალატამ უნდა აცნობოს თავისი შემოწმების შედეგები ბურგომისტრს თემის საბჭოში წარსადგენად და დასკვნის სპეციალურად მოსამზადებლად, რომელიც უნდა მომზადდეს 3 კვირის განმავლობაში. ამ ვადის ამოწურვისას საანგარიშო პალატა გადასცემს შემოწმების შედეგებს სპეციალურად შედგენილ დასკვნასთან ერთად მიწის მთავრობას, რომელიც მათ წარუდგენს ლანდტაგს. ბურგომისტრი ვალდებულია 3 თვის განმავლობაში მოახსენოს საანგარიშო პალატას შემოწმების შედეგების მიხედვით მიღებული ზომების შესახებ.

6. საანგარიშო პალატა არა უგვიანეს 31 დეკემბრისა წარუდგენს თემის საბჭოს გასული წლის მოხსენებას თავისი საქმიანობის შესახებ, რამდენადაც ეს საქმიანობა ეხება მოცემულ თემს. იგი ვალდებულია აგრეთვე თემის საბჭოში წარდგენასთან ერთად ყოველი მოხსენება იმავდროულად გაუგზავნოს მიწის მთავრობას, აგრეთვე ფედერალურ მთავრობას. საანგარიშო პალატის მოხსენებები უნდა გამოქვეყნდეს ლანდტაგისათვის წარდგენის შემდეგ.

7. მიწის შესაბამისი მთავრობის დასაბუთებული მოთხოვნის თანახმად, საანგარიშო პალატამ ცალკეულ შემთხვევებში უნდა ჩაატაროს არანაკლებ 20 000 მცხოვრებლისგან შემდგარი თემის ფინანსური საქმიანობის შემოწმება და შეატყობინოს ამ შემოწმების შედეგები მიწის მთავრობას. გამოიყენება ამ მუხლის პირველი და მე-3 აბზაცები.

8. დებულებები, რომლებიც მოქმედებს იმ თემთა ფინანსური საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით, რომლის მოსახლეობა არანაკლებ 20 000-ია, გამოიყენება აგრეთვე თემთა კავშირების ფინანსური საქმიანობის შემოწმებასთან მიმართებაში.

მუხლი 127[3]. 1. საანგარიშო პალატა უფლებამოსილია შეამოწმოს კანონის საფუძველზე მოქმედ პროფესიულ წარმომადგენლობათა ფინანსური საქმიანობა.

2. კანონის საფუძველზე მოქმედი პროფესიული წარმომადგენლობები ვალდებულნი არიან ყოველწლიურად გადასცენ საანგარიშო პალატას ხარჯთაღრიცხვის პროექტი და შემაჯამებელი საბალანსო ანგარიშები.

3. საანგარიშო პალატის მიერ ჩატარებული შემოწმება მოიცავს საქმიანობის

არსებულ დებულებათა შესაბამისობასთან ზუსტი რიცხობრივი მონაცემების გამოვლენას, ფინანსური საქმიანობის ეკონომიურობას, რენტაბელობასა და მიზანშეწონილობას; თუმცა იგი არ ვრცელდება კანონიერად მოქმედი იმ პროფესიული წარმომადგენლობების კომპეტენტურ ორგანოთა ფინანსური საქმიანობისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ფინანსურ საქმიანობაზე უფლებამოსილნი არიან წარმომადგენლობითი ინტერესების სახით.

4. საანგარიშო პალატა ვალდებულია შემოწმების შედეგების შესახებ აცნობოს კანონიერად მოქმედი პროფესიული წარმომადგენლობის საწესდებო ორგანოს თავმჯდომარეს (წარმომადგენლობით ორგანოს). პალატა ვალდებულია ამას დაურთოს შემოწმების შედეგები და აუცილებელ დასკვნასთან ერთად წარუდგინოს კანონიერად მოქმედი პროფესიული წარმომადგენლობის საწესდებო ორგანოს (წარმომადგენლობით ორგანოს). საანგარიშო პალატა ვალდებულია აგრეთვე შემოწმების შედეგების თაობაზე იმავდროულად აცნობოს კანონის საფუძველზე მოქმედ პროფესიულ წარმომადგენლობაზე უმაღლესი ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოს. საანგარიშო პალატის მოხსენება ქვეყნდება მის საწესდებო ორგანოში (წარმომადგენლობით ორგანოში) წარდგენის შემდგომ.

მუხლი 127ბ. თუ მიწა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ქმნის საანგარიშო პალატის ანალოგიურ დაწესებულებებს, მაშინ მიწის კონსტიტუციური კანონით უნდა განხორციელდეს 126ᵃ მუხლის შესაბამისი რეგულირება.

მუხლი 128. საანგარიშო პალატის ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ უფრო დაწვრილებითი დებულებები დგინდება ფედერალური კანონით.

მეექვსე ნაწილი
კონსტიტუციის დაცვისა და მმართველობის კანონიერების გარანტიები

მუხლი 129. სახელმწიფო მმართველობის კანონიერების უზრუნველყოფა ეკისრება დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ სენატებს და ადმინისტრაციულ სასამართლოს, რომელიც მდებარეობს ვენაში.

ა) დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატები მიწებში

მუხლი 129ᵃ. 1. დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატები საქმიანობას ახორციელებენ მას შემდეგ, რაც ამოიწურება ადმინისტრაციული საქმის გაელა ინსტანციების მიხედვით და როდესაც მათი მონაწილეობა აუცილებლად მიიჩნევა:

1) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების პროცესში, გარდა ფედერალური დონის ფინანსური დანაშაულობების შესახებ საქმეებისა;

2) პირთა სარჩელებზე, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სამსახურებრივი ბრძანების უშუალო შესრულების შედეგად ან იძულებითი ზემოქმედების განხორციელებისას დაირღვა მათი უფლებები, გარდა ფედერალური დონის ფინანსური დანაშაულობების შესახებ საქმეებისა;

3) სხვა საქმეებზე, რომლებიც მათი საქვეუწყებოა მმართველობის ცალკეული დარგების მარეგულირელი ფედერაციისა და მიწების კანონების საფუძველზე;

4) პირველი პუნქტის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მისაღებად სარჩელების განხილვისას ვალდებულებათა დარღვევებზე, თუ საკითხი ეხება კერძო ბრალდების საქმეებს ან გადასახადებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლებრივ დანაშაულებს, მიწის კანონის საფუძველზე და მე-3 პუნქტის თანახმად.

2. კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებების უშუალოდ ადმინისტრაციული სენატის მიერ გასაჩივრება. ფედერალური მმართველობის საქმეებზე, აგრეთვე მე-11 და მე-12 მუხლებიდან გამომდინარე საქმეებზე, მსგავსი ფედერალური კანონები შესაძლოა მიღებულ იქნეს მხოლოდ დაინტერესებული მიწების თანხმობით.

3. 89-ე მუხლი შესაბამისად მოქმედებს დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ სენატებთან დაკავშირებითაც.

მუხლი 129ᵈ. 1. დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატები შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და აუცილებელი რაოდენობის სხვა წევრთაგან. სენატის წევრები ინიშნებიან მიწის მთავრობის მიერ არანაკლებ 6 წლის ვადით. სენატის წევრთა არანაკლებ მეოთხედი წარმოდგენილი უნდა იყოს პროფესიული ფედერალური თანამდებობის პირებით;

2. დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატების წევრები 129ᵃ და 129ᵇ მუხლების შესაბამისად დაკისრებულ ამოცანათა შესრულებისას არ არიან შეზღუდულნი რაიმე ინსტრუქციებით. დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატების წევრებს შორის საქმეები წინასწარვე ნაწილდება მიწის კანონით დადგენილ ვადაში; დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატის წევრისთვის ამგვარი განაწილების შედეგად შეხვედრილი საქმე თავმჯდომარის განკარგულებით შესაძლოა მისგან გამოთხოვილ იქნეს, მხოლოდ განხილვისთვის დაბრკოლების გაჩენის შემთხვევაში.

3. დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატის წევრები შესაძლოა ვადაზე ადრე გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და მხოლოდ დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატის გადაწყვეტილებით.

4. დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატების წევრებს უნდა ჰქონდეთ იურიდიული განათლება. თანამდებობის დაკავების პერიოდში მათ არა აქვთ უფლება ასრულებდნენ სხვა სამუშაოს, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების დამოუკიდებლად შესრულებას.

5. დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ სენატებში საქმის წარმოების მარეგუ-

ლირებელი ფედერალური კანონის შესაბამისად ეს ორგანოები გადაწყვეტილებას იღებენ რამდენიმე ან ცალკეულ წევრთა მონაწილეობით.

6. დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატების ორგანიზაცია, აგრეთვე მათ წევრთა სამსახურეობრივი უფლებები რეგულირდება მიწის კანონით, ხოლო საქმის წარმოება — ფედერალური კანონით.

ბ) დამოუკიდებელი ფედერალური სენატი
ც) დევნილთა საქმეებზე

მუხლი 129ბ. 1. ფედერალური კანონით შესაძლოა დაფუძნდეს კიდეე ერთი დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატი დევნილთა საქმეებზე უმაღლესი საპელაციო ორგანოს სახით (დევნილთა საქმეებზე დამოუკიდებელი ფედერალური სენატი).

2. დევნილთა საქმეებზე დამოუკიდებელი ფედერალური სენატი შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და აუცილებელი რაოდენობის სხვა წევრებისაგან. სენატის წევრები ინიშნებიან ფედერალური პრეზიდენტის მიერ ფედერალური მთავრობის წინადადებით. დანიშვნა ხორციელდება განუსაზღვრელი ვადით.

3. სენატის წევრები, მათთვის მიკუთვნებულ ამოცანათა შესრულებისას, არ არიან შეზღუდულნი მითითებებით. დევნილთა საქმეებზე დამოუკიდებელი ფედერალური სენატის, როგორც კოლეგიის მიერ საქმეები ნაწილდება წინასწარ სენატის წევრებს შორის ყოველწლიურად. ამგვარი განაწილების შედეგად სენატის წევრისთვის მიღებული საქმე შესაძლოა გამოთხოვილ იქნეს მისგან თავმჯდომარის განკარგულებით მხოლოდ საქმის განხილვისას დაბრკოლებათა გაჩენის შემთხვევაში.

4. კანონით შეიძლება დადგინდეს ასაკობრივი ზღვარი, რომლის მიღწევისას დევნილთა საქმეებზე დამოუკიდებელი ფედერალური სენატის წევრები გადადგებიან თანამდებობიდან. სხვა შემთხვევაში ისინი შესაძლოა გათავისუფლდნენ თანამდებობიდან მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მხოლოდ დევნილთა საქმეებზე დამოუკიდებელი ფედერალური სენატის გადაწყვეტილების საფუძველზე.

5. სენატის წევრებს უნდა ჰქონდეთ იურიდიული განათლება. თანამდებობის დაკავებისას ისინი არ უნდა ეწეოდნენ სხვა საქმიანობას, რაც ეჭვქვეშ დააყენებს მათ მიერ თანამდებობრივ მოვალეობათა დამოუკიდებლად შესრულებას.

6. 89-ე მუხლის მოქმედება შესაბამისად ვრცელდება დევნილთა საქმეებზე დამოუკიდებელ ფედერალურ სენატზეც.

7. უფრო დაწვრილებითი დებულებანი დგინდება ფედერალური კანონით. ამასთან სპეციალურ რეგულირებას ექვემდებარება საკითხები იმის თაობაზეც, თუ რა საქმეებზე იღებს სენატი გადაწყვეტილებას უმრავლესობით და რა საქმეებზე — ცალკეულ პირთა მეშვეობით.

გ) ადმინისტრაციული სასამართლო

მუხლი 130. 1. ადმინისტრაციული სასამართლო გადაწყვეტილებებს იღებს საჩივრებზე, რომლებშიც მითითებულია:

ა) მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებათა მართლწინააღმდეგობა, დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატების ჩათვლით;

ბ) მმართველობის ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა მიღებისას მოვალეობების დარღვევა, დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატის ჩათვლით. ამას გარდა, ადმინისტრაციული სასამართლო განიხილავს საჩივრებს 81-ე მუხლის მე-4 აბზაცის შესაბამისად მიცემულ მითითებებზე.

2. მართლწინააღმდეგობა არ დგება იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობა მმართველობის ორგანოების საქმიანობისთვის ადგენს აუცილებელ წესებს და თვით ამ ორგანოებს აძლევს არჩევანის უფლებას იმ პირობით, რომ ისინი კანონის დებულებების შესაბამისად ხელმძღვანელობდნენ ამ თავისუფალი შეხედულებებით.

მუხლი 131. 1. მმართველობის ორგანოს გადაწვეტილებაზე მართლწინააღმდეგობის საფუძვლით საჩივარი შეიძლება შეიტანოს:

1) ნებისმიერმა პირმა, რომელიც ამტკიცებს, რომ ამგვარი გადაწყვეტილებით დარღვეულია მისი უფლებები, თუ საქმე უკვე განხილულ იქნა ყველა სხვა ინსტანციაში;

2) კომპეტენტურმა ფედერალურმა მინისტრმა მე-11, მე-12 მუხლებში, მე-14 მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცებში და მე-14ª მუხლის მე-3 და მე-4 აბზაცებში მითითებულ საკითხებზე, აგრეთვე იმ საკითხებზე, რომელთა მიმართებაშიც კოლეგიური გადაწყვეტილება წარმოადგენს მიწის ან რაიონის სასკოლო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველს, თუ მხარეების მიერ ამ გადაწყვეტილების ჩვეულებრივ ინსტანციებში გასაჩივრება აღარ შეიძლება;

3) მიწის კომპეტენტურმა მთავრობამ კომპეტენტური ფედერალური მინისტრის გადაწყვეტილებაზე მე-15 მუხლის მე-5 აბზაცში მითითებულ საკითხებზე.

2. მმართველობის ცალკეული სფეროების მარეგულირებელი მიწისა და ფედერაციის კანონებით განისაზღვრება პირველ აბზაცში მითითებული შემთხვევების გარდა კიდევ რა წინაპირობებისას დაიშვება მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილების გასაჩივრება მათი კანონსაწინააღმდეგობის გამო.

3. ადმინისტრაციულ სასამართლოს შეუძლია უარი თქვას დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატის გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვაზე, თუ ეს გადაწყვეტილება არ არის დამოკიდებული განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხზე, კერძოდ, იმდენად, რამდენადაც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სენატის გადაწყვეტილება განსხვავდება ადმინისტრაციული სასამართლოს პრაქტიკისაგან, ამგვარი პრაქტიკა საერთოდ არ არსებობს, ან ამ პერიოდამდე არსებულ ადმინისტრაციული სასამართლოს პრაქტიკაში განსახილველ სამართლებრივ საკითხზე არ არსებობს ერთგვაროვანი პასუხი, გარდ

ამისა, ადმინისტრაციული წესით დასჯად საქმეებზე, თუ დაკისრებული იყო უმნიშვნელო ფულადი ჯარიმა.

მუხლი 131. (*გაუქმებულია*)

მუხლი 132. გადაწყვეტილებათა მიღებისას ვალდებულებების დარღვევაზე საჩივარი შეიძლება შეიტანოს ნებისმიერმა პირმა, ვისაც ჰქონდა ადმინისტრაციულ წარმოებაში მხარის სახით მონაწილეობის უფლება და დაინტერესებულია გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულებათა შესრულებით. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის საქმეებზე საჩივრის შეტანა არ დაიშვება გადაწყვეტილებათა მიღებისას ვალდებულებების დარღვევაზე; ეს არ მოქმედებს კერძო ბრალდების საქმეებსა და ფინანსურ დარღვევებზე სახდელის დაკისრების შემთხვევებში.

მუხლი 133. ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადობა არ ვრცელდება:

1) საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებზე;

2) *ამოღებულია*;

3) პატენტებთან დაკავშირებულ საქმეებზე;

4) საქმეებზე, რომლებზეც გადაწყვეტილებები უმაღლეს ინსტანციებში მიიღება კოლეგიური ორგანოების მიერ, თუ მოცემული ორგანოს ორგანიზაციის მარეგულირებელი ფედერაციის ან მიწის კანონის შესაბამისად, მის წევრებში შედის ერთი მოსამართლე მაინც, ხოლო დანარჩენი წევრები მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებისას არ არიან შეზღუდულნი რაიმე მითითებებით, თუ ამ ორგანოს გადაწყვეტილება არ ექვემდებარება მმართველობის წესით გაუქმებას ან შეცვლას, თუ მიუხედავად ამგვარ პირობათა არსებობისა, სპეციალურად არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სასამართლოში სარჩელის წარდგენის პირობა.

მუხლი 134. 1. ადმინისტრაციული სასამართლო შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და აუცილებელი რაოდენობის სხვა წევრთაგან (სენატების თავმჯდომარეები და მრჩეველები).

2. ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები ინიშნებიან ფედერალური პრეზიდენტის მიერ ფედერალური მთავრობის წინადადებით. ფედერალური მთავრობა წამოაყენებს თავის წინადადებებს, ხოლო როდესაც ეს ეხება თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობებს — ადმინისტრაციული სასამართლოს პლენუმის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატურის შესახებ წინადადების საფუძველზე.

3. ადმინისტრაციული სასამართლოს ყველა წევრს უნდა ჰქონდეს დასრულებული განათლება სამართალსა და პოლიტიკური მეცნიერებაში და არანაკლებ 10 წლისა ეკავოს იმგვარი სამსახურებრივი მდგომარეობა, რომლისთვისაც აუცილებელია ამგვარი განათლების ქონა. სასამართლოს წევრთა არანაკლებ 1/3-ს

უნდა ჰქონდეს სასამართლო სამსახურში დაშვების უფლება და წევრთა არანაკლებ 1/3 წარმოდგენილი უნდა იყოს მიწების სპეციალური დაწესებულებებიდან, სადაც ისინი დაკავებულნი იყვნენ პროფესიული საქმიანობით, სასურველია მიწების მმართველობის სამსახურის სფეროში.

4. ფედერალური მთავრობის, მიწის მთავრობის ან რომელიმე საერთო სახელმწიფოებრივი ორგანოს წევრები არ შეიძლება იყვნენ ადმინისტრაციული სასამართლოს წევრები. უფლებამოსილების ან საქმიანობის განსაზღვრული ვადით არჩეულ საერთო წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებთან დაკავშირებით, სასამართლოს წევრად ყოფნის აკრძალვა შენარჩუნებულია აგრეთვე მათი მანდატის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში უფლებამოსილების ან საქმიანობის ვადის ამოწურვამდე.

5. ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარედ ან თავმჯდომარის მოადგილედ არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ასრულებდა მე-4 აბზაცში ჩამოთვლილ ფუნქციათაგან ერთ-ერთს.

6. ადმინისტრაციული სასამართლოს ყველა წევრი წარმოადგენს პროფესიონალ დანიშნულ მოსამართლეს. მათზე ვრცელდება აგრეთვე 87-ე მუხლის პირველი და მე-2 აბზაცების და 82-ე მუხლის მე-2 აბზაცის დებულებები. კანონის თანახმად ადმინისტრაციული სასამართლოს წევრები უნდა გადადგნენ იმ წლის 31 დეკემბერს, რომელ წელსაც მათ უსრულდებათ 65 წელი.

მუხლი 135. 1. ადმინისტრაციულ სასამართლოში საქმეებზე გადაწყვეტილებებს იღებენ სენატები, რომლებიც იქმნება პლენუმის მიერ სასამართლოს წევრთაგან.

2. საქმეების განხილვის კომპეტენციას პლენუმი წინასწარ ანაწილებს სენატებს შორის ფედერალური კანონით დადგენილ ვადაში.

3. ამგვარი განაწილების თანახმად სასამართლოს ერთ-ერთი წევრის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმე გამოთხოვილ უნდა იქნეს მხოლოდ იმ გარემოებებში, რომლებიც ხელს უშლიან მათ მიერ მოვალეობათა შესრულებას.

4. 89-ე მუხლი შესაბამისად მოქმედებს ადმინისტრაციულ სასამართლოსთან დაკავშირებითაც.

მუხლი 136. ადმინისტრაციულ სასამართლოს ორგანიზაციის, ამოცანათა წრისა და საქმის წარმოების უფრო დაწვრილებითი დებულებანი რეგულირდება სპეციალური ფედერალური კანონით და ამ კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული სასამართლოს პლენუმის მიერ მიღებული რეგლამენტით.

დ) საკონსტიტუციო სასამართლო

მუხლი 137. საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს ყველა ქონებრივ-სამართლებრივ მოთხოვნებს, რომელიც წარედგინება ფედერაციას, მიწებს, რაიონებს, თემებსა და თემთა კავშირებს და რომლებიც არ ექვემდებარება არც ჩვეულებრივ სასამართლო წესით განხილვას და არც მმართველობის ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების გზით აღსრულებას.

მუხლი 138. 1. საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს აგრეთვე დავებს:

ა) სასამართლოებსა და მმართველობის ორგანოებს შორის;

ბ) ადმინისტრაციულ სასამართლოებსა და ყველა სასამართლოებს შორის, სახელდობრ, ადმინისტრაციულ სასამართლოსა და თვით საკონსტიტუციო სასამართლოს შორის, აგრეთვე ჩვეულებრივ და სხვა სასამართლოებს შორის.

2. საკონსტიტუციო სასამართლო ფედერალური მთავრობის ან მიწის მთავრობის წარდგინებით ადგენს, მიეკუთვნება თუ არა საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების აქტი ფედერაციის ან მიწის კომპეტენციას.

მუხლი 138ª. 1. ფედერალური მთავრობის ან მიწის დაინტერესებული მთავრობის შუამდგომლობით საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა 15ª მუხლის პირველი აბზაცით გათვალისწინებული შეთანხმება და შესრულებულია თუ არა რომელიმე მიწის ან ფედერაციის მიერ ამ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებები, იმ შემთხვევებში, როდესაც ეს არ ეხება ქონებრივ-სამართლებრივ მოთხოვნებს.

2. თუ ეს გათვალისწინებულია 15ª მუხლის მე-2 აბზაცში მითითებულ შეთანხმებაში, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლო მიწის დაინტერესებული მთავრობის შუამდგომლობით ადგენს, არსებობს თუ არა ამგვარი შეთანხმება და შესრულებულია თუ არა მისგან გამომდინარე ვალდებულებები იმ შემთხვევებში, როდესაც ეს არ ეხება ქონებრივ-სამართლებრივ მოთხოვნებს.

მუხლი 139. 1. სასამართლოს წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საქმეებს ფედერაციისა და მიწის ორგანოების დადგენილებათა უკანონობის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი დადგენილება ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი დავის განხილვისას გამოყენებას — სასამართლოს ინიციატივით მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა ძალით. იგი მიწის ორგანოების დადგენილებათა უკანონობის შესახებ საქმეებს განიხილავს აგრეთვე ფედერალური მთავრობის წარდგინებით და ფედერალურ ორგანოთა დადგენილებების უკანონობის შესახებ — აგრეთვე მიწის მთავრობის წარდგინებით, ხოლო იმ ორგანოთა დადგენილებათა უკანონობის შესახებ, რომლებიც 119ª მუხლის მე-6 აბზაცის შესაბამისად ზედამხედველობას ახორციელებენ თემებთან მიმართებაში — აგრეთვე დაინტერესებული თემის წარდგინებით. გარდა ამისა, იგი განიხილავს საქმეებს დადგენილებათა უკანონობის

შესახებ იმ პირის შუამდგომლობით, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ უკანონობის გამო უშუალოდ დაირღვა მისი უფლებები, იმ შემთხვევებში, როდესაც დადგენილება აღნიშნულ პირთან მიმართებით მოქმედებს სასამართლოს გადაწყვეტილების ან სპეციალური მითითების გამოცემის გარეშე; ამგვარ შუამდგომლობებთან მიმართებაში მოქმედებს შესაბამისად 89-ე მუხლის მე-3 აბზაცი.

2. თუ საკონსტიტუციო სასამართლოში სამართლებრივი დავის განხილვისას, რომელთა მიმართებაშიც საკონსტუტიციო სასამართლომ უნდა გამოიყენოს რომელიმე დადგენილება, მხარის შუამდგომლობა უსაგნო ხდება, მაშინ, მიუხედავად ამისა, დადგენილებების კანონიერების შემოწმებაზე დაწყებული წარმოება უნდა გაგრძელდეს.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია გააუქმოს დადგენილება – როგორც უკანონო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გარკვევით იქნა განცხადებული შუამდგომლობა მისი გაუქმების თაობაზე ან როდესაც მითითებული დადგენილება ექვემდებარებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი დავის განხილვისას გამოყენებას. თუმცა თუ საკონსტიტუციო სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ დადგენილება მთლიანობაში მოკლებულია კანონიერ საფუძველს, გამოცემულ იქნა არაკომპეტენტური ორგანოს მიერ ან გამოქვეყნდა უკანონო მეთოდით, მაშინ იგი ამ გადაწყვეტილებას, როგორც უკანონოს, აუქმებს მთლიანობაში.

ეს დებულება არ მოქმედებს, თუ მთელი დადგენილების გაუქმება მთლიანობაში აშკარად ეწინააღმდეგება მხარის სამართლებრივ ინტერესებს, რომელმაც პირველი აბზაცის ბოლო წინადადების თანახმად განაცხადა შუამდგომლობა, ან თუ სამართლებრივი დავის თაობაზე მის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს ინიციატივით აღმოჩენილ იქნა მიზეზი მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა ძალით წარმოების აღძვრისათვის დადგენილების შესამოწმებლად.

4. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის დადგენილებამ ძალა დაკარგა, ხოლო წარმოება აღიძრა სასამართლოს ინიციატივით მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა ძალით ან ადრე იყო აღძრული შუამდგომლობა ამის თაობაზე განცხადებულ იქნა სასამართლოს ან პირის მიერ, რომელიც ამტკიცებს, რომ დადგენილების უკანონობის გამო უშუალოდ დაირღვა მისი უფლებები, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, იყო თუ არა დადგენილება უკანონო. შესაბამისად მოქმედებს მე-3 აბზაცი.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც დადგენილება უქმდება, როგორც უკანონო, ავალდებულებს ფედერაციისა და მიწის უმაღლეს კომპეტენტურ ორგანოებს დაუყოვნებლივ გამოაქვეყნონ გაუქმების თაობაზე ცნობა. ეს დებულება მოქმედებს აგრეთვე შესაბამისად მე-4 აბზაცის თანახმად გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევებშიც. გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან, თუ საკონსტიტუციო სასამართლო თვითონ არ დაადგენს დადგენილების მოქმედების შეჩერების ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს, ხოლო რაიმე საკანონმდებლო ზომე-

ბის განხორციელების აუცილებლობისას — 1 წელს.

6. თუ დადგენილება გაუქმდა, როგორც უკანონო ან საკონსტიტუციო სასამართლომ მე-4 აბზაცის შესაბამისად გამოიტანა დადგენილების უკანონობის შესახებ გადაწყვეტილება, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილებები სავალდებულოა ყველა სასამართლოსა და მმართველობის ორგანოსათვის. გაუქმებამდე წარმოშობილ ვალდებულებებთან მიმართებაში დადგენილება ექვემდებარება შემდგომში გამოყენებასაც, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც გახდა მისი გაუქმების მიზეზი, თუ საკონსტიტუციო სასამართლო გაუქმების თაობაზე თავის გადაწყვეტილებაში არ დაადგენს სხვა რამეს. თუ საკონსტიტუციო სასამართლო გაუქმების შესახებ თავის გადაწყვეტილებაში მე-5 აბზაცის თანახმად დაადგენს ვადას, მაშინ დადგენილება ექვემდებარება გამოყენებას ამ ვადის ამოწურვამდე წარმოშობილ ყველა შესაბამის ვალდებულებებთან მიმართებაში, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც გახდა მისი გაუქმების მიზეზი.

მუხლი 139[1]. საკითხს იმის თაობაზე, გადამეტებული ხომ არ არის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლები სამართლებრივი დებულების ხელახალი გამოქვეყნებისას, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს სასამართლოს წარდგინებით; იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლებრივი დებულების ხელახალი გამოქვეყნება წარმოადგენს თვით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების წინაპირობას, — საკუთარი ინიციატივით მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა ძალით; ფედერაციის მიერ ხელახლა გამოქვეყნებულ სამართლებრივ დებულებებთან დაკავშირებით — აგრეთვე მიწის მთავრობის წარდგინებით, ხოლო რომელიმე მიწის მიერ ხელახლა გამოქვეყნებულ სამართლებრივ დებულებებთან დაკავშირებით — აგრეთვე ფედერალური მთავრობის წარდგინებით. გარდა ამისა, საკითხს იმის თაობაზე, სამართლებრივ დებულებათა ხელახალი გამოქვეყნებისას გადამეტებული არის თუ არა მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლები საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს იმ პირის წარდგინებით, რომელიც ამტკიცებს, რომ ამით უშუალოდ დაირღვა მისი უფლებები, რამდენადაც ხელახლა გამოქვეყნებული სამართლებრივი დებულება სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის ან სპეციალური დებულების გამოცემის გარეშე უშუალოდ მოქმედებს მოცემულ პირთან მიმართებაში. გამოყენებას ექვემდებარება შესაბამისად 89-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 აბზაცები, აგრეთვე 139-ე მუხლის მე-2-6 აბზაცები.

მუხლი 140. 1. საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საქმეებს ფედერაციისა და მიწის კანონების არაკონსტიტუციურობის თაობაზე — ადმინისტრაციული სასამართლოს, უმაღლესი სასამართლოს ან საქმის განხილვაზე მეორე ინსტანციის სახით უფლებამოსილი სასამართლოს წარდგინებით, ხოლო იმ შეთხვევებში, როდესაც ამგვარი კანონი ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოყენებას სამართლებრივი დავის განხილვისას — საკუთარი ინიციატივით მასზე დაკისრებული ვალდებულების ძალით. იგი განიხილავს საქმეებს მიწის კანონების არაკონსტიტუციურობის თაობაზე ფედერალური მთავრო-

ბის წარდგინებით და ფედერალური კანონების არაკონსტიტუციურობაზე - აგრეთვე მიწის მთაურობის ან ეროვნული საბჭოს წევრთა 1/3-ის წარდგინებით. მიწის კონსტიტუციური კანონით შესაძლოა დადგინდეს, რომ მიწის კანონთა არაკონსტიტუციურობის გამო წარდგინების უფლება ეკუთვნის აგრეთვე ლანდტაგის წევრთა 1/3-ს. საკონსტიტუციო სასამართლო ამას გარდა განიხილავს კანონების არაკონსტიტუციურობის თაობაზე საქმეებს იმ პირის შუამდგომლობით, რომელიც ამტკიცებს, რომ ამგვარი არაკონსტიტიუციურობის გამო უშუალოდ დაირღვა მისი უფლებები, იმ შემთხვევებში, როდესაც კანონი აღნიშნულ პირთან მიმართებით მოქმედებს სასამართლო გადაწყვეტილებით ამის შესახებ მითითების ან სპეციალური დებულების გამოცემის გარეშე; ამგვარ შუამდგომლობასთან მიმართებით მოქმედებს შესაბამისად 89-ე მუხლის მე-3 აბზაცი.

2. თუ საკონსტიტუციო სასამართლოში იმ სამართლებრივი დავის განხილვისას, რომელთან მიმართებაშიც საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გამოიყენოს რომელიმე კანონი, მხარის შუამდგომლობა უსაგნო ხდება, მაშინ, მიუხედავად ამისა, უნდა გაგრძელდეს გამოყენებას დაქვემდებარებული კანონის კონსტიტუციურობის შემოწმებაზე დაწყებული წარმოება.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია გააუქმოს კანონი, როგორც არაკონსტიტუციური, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გარკვევით გაკეთდა განაცხადი მისი გაუქმების შუამდგომლობაზე და მიღებული კანონი ექვემდებარებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოყენებას მის მიერ სამართლებრივი დავის განხილვისას. თუმცა, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ კანონი მთლიანობაში მიღებულ იქნა არაუფლებამოსილი საკანონმდებლო ორგანოს მიერ, კომპეტენციათა განაწილების ძალით ან გამოქვეყნებულ იქნა არაკონსტიტუციური გზით, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლო კანონს, როგორც არაკონსტიტიუციურს აუქმებს მთლიანობაში. ეს დებულება არ მოქმედებს, თუ მთელი კანონის გაუქმება აშკარად ეწინააღმდეგება მხარეთა სამართლებრივ ინტერესებს, რომლებმაც პირველი აბზაცის ბოლო წინადადების თანახმად განაცხადეს შუამდგომლობა, ან თუ სამართლებრივი დავის შესახებ მის საქმესთან დაკავშირებით, მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა ძალით სასამართლოს ინიციატივით, აღმოჩენილ იქნა კანონის შემოწმების თაობაზე წარმოების აღძერის მიზეზი.

4. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის კანონმა ძალა დაკარგა, ხოლო წარმოება აღძრულია სასამართლოს ინიციატივით მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა თანახმად ან სასამართლოს ან პირის მიერ ამის თაობაზე გამოცხადდა შუამდგომლობა, რომელიც ამტკიცებს, რომ კანონის არაკონსტიტუციურობის გამო უშუალოდაა დარღვეული მისი უფლებები, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, იყო თუ არა კანონი არაკონსტიტუციური. შესაბამისად მოქმედებს მე-3 აბზაცი.

5. კანონის, როგორც არაკონსტიტუციურის, გაუქმების შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ავალდებულებს ფედერალურ კანცლერსა

და შესაბამისი მიწის გუბერნატორს, გამოაქვეყნონ გაუქმების შესახებ ცნობა. ეს დებულება მოქმედებს მე-4 აბზაცის შესაბამისად გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან, თუ საკონსტიტუციო სასამართლო თვითონ არ დაადგენს კანონის მოქმედების შეწყვეტის ვადას. აღნიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 18 თვეს.

6. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონი უქმდება, როგორც არაკონსტიტუციური, ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, თუ მასში სხვა რამ არ არის მითითებული, არაკონსტიტუციურად ცნობილი საკანონმდებლო დებულების მიერ ადრე გაუქმებული საკანონმდებლო დებულება კვლავ შეევა ძალაში. არაკონსტიტუციურობის შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნებისას აგრეთვე მითითებული უნდა იქნეს, შედის თუ არა რომელიმე საკანონმდებლო დებულება კვლავ ძალაში და კონკრეტულად რომელი.

7. თუ კანონი გაუქმდა, როგორც არაკონსტიტუციური ან საკონსტიტუციო სასამართლომ მე-4 აბზაცის თანახმად გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ კანონი იყო არაკონსტიტუციური, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილებები სავალდებულოა ყველა სასამართლოსა და მმართველობის ორგანოსათვის. კანონის გაუქმებამდე წარმოქმნილ გარემოებებთან მიმართებით, კანონი ექვემდებარება შემდგომში გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გახდა მისი გაუქმების მიზეზი, თუ საკონსტიტუციო სასამართლო გაუქმების თაობაზე თავის გადაწყვეტილებაში სხვა რამეს არ დაადგენს. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ გაუქმების თაობაზე თავის გადაწყვეტილებაში მე-5 აბზაცის შესაბამისად დაადგინა ვადა, მაშინ კანონი გამოყენებას ექვემდებარება ყველა შესაბამის გარემოებებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოიქმნება ამ ვადის ამოწურვამდე, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც გახდა მისი გაუქმების მიზეზი.

მუხლი 140[1]. 1. საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს სახელმწიფო ხელშეკრულებათა მართლსაწინააღმდეგობის თაობაზე საქმეებს. ამასთან სახელმწიფო ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლებიც დადებულია 50-ე მუხლის შესაბამისად ეროვნული საბჭოს თანხმობით და რომელთაც 16-ე მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად ცვლილებები და დამატებები შეაქვთ სახელმწიფო ხელშეკრულებათა კანონებში, გამოიყენება 140-ე მუხლი, ხოლო სხვა სახელმწიფო ხელშეკრულებებთან მიმართებაში — 139-ე მუხლი, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ხელშეკრულებები, რომელთა უკანონობა და არაკონსტიტუციურობა დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან არ უნდა იქნეს გამოყენებული მათი შესრულების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოების მიერ, თუ საკონსტიტუციო სასამართლო თვითონ არ დაადგენს ამგვარი ხელშეკრულების გამოყენების ვადას. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს 50-ე მუხლში მითითებულ და იმ სახელმწიფო ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლებსაც მე-16 მუხლის პირველი აბზაცის თანახმად ცვლილებები და დამატებები შეაქვთ სახელმწიფო

ხელშეკრულების კანონებში, და 1 წელს — ყველა სხვა სახელმწიფო ხელშეკრულებასთან მიმართებაში.

2. თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს კონსტიტუციასთან და კანონთან იმ სახელმწიფო ხელშეკრულების წინააღმდეგობას, რომელიც კანონისა და დადგენილებათა მიღების საფუძველზე ექვემდებარება შესრულებას, მაშინ დადგენილების საფუძველზე სახელმწიფო ხელშეკრულების შესრულების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება ან დებულება კარგავს ძალას.

მუხლი 141. 1. საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საქმეებს:

ა) ფედერალური პრეზიდენტის, საერთო წარმომადგენლობითი ორგანოების, ევროპული პარლამენტისა და კანონიერი პროფესიული წარმომადგენლობების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოების (წარმომადგენლობითი ორგანოების) არჩევნების თაობაზე;

ბ) მიწის მთავრობაში და თემის აღმასრულებელ ორგანოებში არჩევნების თაობაზე;

გ) საერთო წარმომადგენლობითი ორგანოების შუამდგომლობაზე მისი წევრისთვის მანდატის ჩამორთმევის თაობაზე; ავსტრიის რესპუბლიკიდან ევროპულ პარლამენტში არსებული არანაკლებ 11 დეპუტატის შუამდგომლობაზე ავსტრიის რესპუბლიკიდან ევროპულ პარლამენტში არსებული დეპუტატის მანდატის ჩამორთმევის თაობაზე;

დ) კანონიერი პროფესიული წარმომადგენლობის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს (წარმომადგენლობითი ორგანოს) შუამდგომლობაზე ამ ორგანოს წევრის მანდატის ჩამორთმევის თაობაზე;

ე) იმ შემთხვევებში, როდესაც არჩევნების ჩატარების მარეგულირებელ ფედერაციისა და მიწის კანონებში გათვალისწინებულია მანდატის ჩამორთმევა მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით — იმ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თაობაზე, რომელთა საფუძველზეც ხდება მანდატის ჩამორთმევა საერთო აღმასრულებელ ორგანოში, თემის აღმასრულებელ ორგანოში ან კანონიერი პროფესიული წარმომადგენლობის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოში (წარმომადგენლობით ორგანოში), თუ საკითხი ყველა სხვა ინსტანციაში უკვე განხილულია.

გასაჩივრება (შუამდგომლობა) შესაძლოა დასაბუთებულ იქნეს საარჩევნო კანონით გათვალისწინებული პროცედურის დარღვევაზე მითითებით ან შესაბამისად საერთო წარმომადგენლობით ორგანოში, ევროპულ პარლამენტში, კანონიერი პროფესიონალური წარმომადგენლობის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოში (წარმომადგენლობით ორგანოში) ან თემის აღმასრულებელ ორგანოში წევრობის გაუქმებისთვის კანონით გათვალისწინებულ საფუძველზე მითითებით. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაკმაყოფილოს არჩევნებთან დაკავშირებული საჩივარი, თუ არჩევნების პროცედურის მართლწინააღმდეგობა დამტკიცებულია და მან იმოქმედა არჩევნების შედეგებზე. მოცემული საკითხის განხილვისას მმართველობის ორგანოებში საერთო წარმომადგენლობით ორგანოსა და კანონიერ

პროფესიულ წარმომადგენლობას აქვთ მხარის სტატუსი.

2. თუ „ა" პუნქტის პირველი აბზაცის შესაბამისად შეტანილი საჩივარი დაკმაყოფილდა და ამასთან დაკავშირებით აუცილებელია საერთო წარმომადგენლობით ორგანოში, ევროპის პარლამენტში ან კანონის საფუძველზე მოქმედი პროფესიული წარმომადგენლობების უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოში არჩევნების ნაწილობრივ ან მთლიანად ხელახლა ჩატარება, მაშინ მოცემული წარმომადგენლობის შესაბამისი წევრები კარგავენ მანდატებს ხელახალ არჩევნებში არჩეული წევრების მიერ მანდატების მიღების დროიდან, რომელიც ჩატარდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გადაცემიდან ასი დღის განმავლობაში.

3. ფედერალური კანონით რეგულირდება, თუ რა პირობებში გამოაქვს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სახალხო ინიციატივის ან სახალხო კენჭისყრის შედეგების წესით წარმოდგენილ განხილულ წინადადებათა შედეგების გასაჩივრებასთან დაკავშირებით. ფედერალურმა კანონმა შეიძლება დააწესოს აგრეთვე, თუ რა ვადით უნდა გადაიდოს შესაძლო გასაჩივრების გამო ფედერალური კანონის გამოქვეყნება, რომლის მიზეზითაც ჩატარდა სახალხო კენჭისყრა.

მუხლი 142. 1. საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საქმეებს იმ ბრალდებებზე, რომლებსაც თან სდევს ფედერაციის უმაღლესი ორგანოებისა და მიწების კონსტიტუციით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა მათ მიერ ოფიციალური საქმიანობის განმაელობაში დაშვებულ დანაშაულებრივ სამართალდარღვევებზე.

2. ბრალდება შეიძლება აღიძრას:

ა) ფედერალური პრეზიდენტის წინააღმდეგ მის მიერ ფედერალური კონსტიტუციის დარღვევასთან დაკავშირებით — ფედერალური კრების გადაწყვეტილებით;

ბ) ფედერალური მთავრობისა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით მასთან გათანაბრებული ორგანოების წევრების წინააღმდეგ, მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევაში — ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით;

გ) საბჭოში ავსტრიის წარმომადგენლის წინააღმდეგ - მის მიერ კანონის დარღვევასთან დაკავშირებით მიწების გამგებლობას მიკუთვნებულ საკანონმდებლო საკითხებში — ყველა ლანდტაგის იდენტური გადაწყვეტილებით;

დ) მიწების მთავრობათა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით მასთან გათანაბრებული ორგანოების წევრთა წინააღმდეგ, მათ მიერ კანონის დარღვევასთან დაკავშირებით - შესაბამისი ლანდტაგის გადაწყვეტილებით;

ე) მიწის გუბერნატორის, მისი მოადგილის (მუხლი 105, აბზაცი 1) ან მიწის მთავრობის წევრთა (მუხლი 103, მე-2 და მე-3 აბზაცები) წინააღმდეგ, მათ მიერ კანონის დარღვევასთან დაკავშირებით, აგრეთვე ფედერაციის დადგენილებათა ან სხვა განკარგულებათა (დებულებათა) შეუსრულებლობის შემთხვევაში არაპირდაპირი ფედერალური მმართველობის საკითხებზე, ხოლო მიწის მთავრო-

ბის წევრებთან დაკავშირებით, აგრეთვე მათ მიერ ამ საკითხებზე გუბერნატორის ბრძანებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით — ფედერალური მთავრობის გადაწყვეტილებით;

ვ) ფედერაციის დედაქალაქის — ვენის ორგანოების წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი საკუთარი კომპეტენციის სფეროში ასრულებენ ფედერალური აღსრულების სფეროს მიკუთვნებულ ამოცანებს, მათ მიერ კანონის დარღვევასთან დაკავშირებით — ფედერალური მთავრობის გადაწყვეტილებით;

ზ) მიწის გუბერნატორის წინააღმდეგ მე-14 მუხლის მე-8 აბზაცის შესაბამისად მიცემული მითითების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით - ფედერალური მთავრობის გადაწყვეტილებით;

თ) მიწის სასკოლო საბჭოს თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის წინააღმდეგ, კანონის დარღვევასთან დაკავშირებით, აგრეთვე დადგენილებათა ან ფედერაციის სხვა განკარგულებათა (დებულებათა) დარღვევასთან დაკავშირებით — ფედერალური მთავრობის გადაწყვეტილებით;

ი) მიწის მთავრობის წევრთა წინააღმდეგ კანონის დარღვევასთან, მე-11 მუხლის პირველი აბზაცის მე-7 პუნქტის საკითხებზე ფედერაციის დადგენილებათა გამოუყენებლობასთან, აგრეთვე მე-11 მუხლის მე-9 აბზაცის შესაბამისად უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშემშლელი ფაქტორების არსებობასთან დაკავშირებით — ეროვნული საბჭოსა და ფედერალური მთავრობის გადაწყვეტილებით.

3. თუ ფედერალურმა მთავრობამ მე-2 აბზაცის „დ" პუნქტის შესაბამისად აღძრა ბრალდება მხოლოდ მიწის გუბერნატორის ან მისი მოადგილის წინააღმდეგ, მაგრამ ამასთანავე გაირკვა, რომ მე-2 აბზაცის „დ" პუნქტის შესაბამისად ბრალი მიუძღვის მიწის მთავრობის სხვა წევრს, რომელსაც ეკისრებოდა 103-ე მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად არაპირდაპირი ფედერალური მმართველობის საქმეები, მაშინ ფედერალურ მთავრობას შეუძლია ნებისმიერ დროს გადაწყვეტილების გამოტანამდე წამოაყენოს თავისი ბრალდება მიწის მთავრობის ამ წევრის წინააღმდეგაც.

4. თუ საკონსტიტუციო სასამართლო გამოიტანს გასამართლების თაობაზე გადაწყვეტილებას, ამ გადაწყვეტილებით პირი თავისუფლდება თანამდებობიდან, ხოლო განსაკუთრებით მძიმე გარემოებების შემთხვევაში, აგრეთვე დროებით ჩამოერთმევა პოლიტიკური უფლებები; მე-2 აბზაცის „დ", „ვ" და „ზ" პუნქტებში მითითებულ უმნიშვნელო სამართალდარღვევათა შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლო შესაძლოა შემოიფარგლოს სამართალდარღვევათა კონსტატაციით. სასკოლო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენებას მოსდევს აგრეთვე იმ მოსამსახურეთა თანამდებობიდან გადაყენება, რომელთანაც 81ª მუხლის მე-3 აბზაცის „ბ" პუნქტის შესაბამისად დაკავშირებულია თავმჯდომარის თანამდებობა.

5. ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია გამოიყენოს 65-ე მუხლის მე-2 აბზაცის „გ" პუნქტის შესაბამისად მისთვის მინიჭებული უფლება, მხოლოდ იმ წარმომადგენლობითი ორგანოს ან წარმომადგენლობით ორგანოთა შუამდგომლობით,

რომელთაც გადაწყვეტილება მიიღეს ბრალდების აღძერაზე, ხოლო ფედერალური მთავრობის მიერ ბრალდების აღძერის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში — მხოლოდ მისი შუამდგომლობის გამოყენებისას, მაგრამ ყველა შემთხვევაში - მხოლოდ ბრალდებულის თანხმობით.

მუხლი 143. 142-ე მუხლში დასახელებულ პირთა წინააღმდეგ შესაძლოა აგრეთვე აღიძრას ბრალდება იმ ქმედებათა ჩადენისას, რომლებიც ისჯება სამართლებრივი წესით და რომლებიც დაკავშირებულია ბრალდებას დაქვემდებარებულ პირთა ოფიციალურ საქმიანობასთან. ამ შემთხვევებთან დაკავშირებით კომპეტენტურია მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლო. მას გადაეცემა ჩვეულებრივ სისხლის სამართლის სასამართლოში დაწყებული საქმის განხილვა. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია ამგვარ შემთხვევებში 142-ე მუხლის მე-4 აბზაცთან ერთად გამოიყენოს აგრეთვე სისხლის სამართლის კანონმდებლობის დებულებები.

მუხლი 144. 1. საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საჩივრებს მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებებზე, თუ პირი, რომელსაც შეაქვს საჩივარი, ამტკიცებს, რომ ამ გადაწყვეტილებით დარღვეულია კონსტიტუციური კანონით გარანტირებული მისი უფლება ან მისი უფლებების დარღვევა დაკავშირებულია უკანონო დადგენილების, არაკონსტიტუციური კანონის ან მართლსაწინააღმდეგო სახელმწიფო ხელშეკრულების გამოყენებასთან. საკონსტიტუციო სასამართლო ამგვარივე პირობებში განიხილავს საჩივრებს მმართველობის ორგანოს მიერ გარკვეული პირის საწინააღმდეგოდ მიმართული ბრძანების ან იძულებითი ზემოქმედების უშუალო განხორციელებისას. საჩივარი შესაძლოა შეტანილ იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმე განიხილება ყველა სხვა ინსტანციაში, რომელთა გამგებლობასაც იგი განეკუთვნება.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია თავისი განსაზღვრებით განხილვის დაწყებამდე უარყოს საჩივრის განხილვა, თუ არსებობს მისი დაკმაყოფილების საკმარისი საფუძველი ან მიღებული გადაწყვეტილებიდან არ არის მოსალოდნელი საქმის გახსნა. განხილვის უარყოფა დაუშვებელია 133-ე მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადობიდან ამოღებულ საკითხებთან დაკავშირებით.

3. თუ საკონსტიტუციო სასამართლო აღიარებს, რომ მმართველობის ორგანოს გასაჩივრებულმა გადაწყვეტილებამ არ დაარღვია პირველი აბზაცის მიხედვით უფლება და რომ საქმე არ ეხება 133-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადობიდან ამოღებულ საკითხებს, საკონსტიტუციო სასამართლომ საჩივრის შემტანი პირის შუამდგომლობით მისი საჩივარი უნდა გადასცეს ადმინისტრაციულ სასამართლოს, იმის გადასაწყვეტად, დაირღვა თუ არა ამ გადაწყვეტილებით საჩივრის შემტანი პირის რაიმე სხვა უფლება. აღნიშნული დებულება შესაბამისად მოქმედებს მე-2 აბზაცის თანახმად გამოტანილ განმარტებებთან დაკავშირებითაც.

მუხლი 145. საკონსტიტუციო სასამართლო სპეციალური ფედერალური კანონის დებულებათა საფუძველზე განიხილავს საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების დარღვევის თაობაზე საქმეებს.

მუხლი 146. 1. 137-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება ხორციელდება ჩვეულებრივი სასამართლოების მიერ.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებათა აღსრულება ეკისრება ფედერალურ პრეზიდენტს. აღსრულება ხორციელდება მისი მითითებით უფლებამოსილი პირების მიერ და მისი შეხედულების თანახმად ფედერალური ან მიწის ორგანოების მიერ, ფედერალური არმიის ჩათვლით. შუამდგომლობას ამგვარ გადაწყვეტილებათა აღსრულების თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლო უცხადებს ფედერალურ პრეზიდენტს. ფედერალური პრეზიდენტის ზემოაღნიშნული მითითებები არ საჭიროებს 67-ე მუხლით გათვალისწინებული ხელმოწერით დამოწმებას, თუ ეს ეხება ფედერაციის ან ფედერალურ ორგანოებთან დაკავშირებულ აღსრულებით იძულებას.

მუხლი 147. 1. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, 12 სხვა წევრისა და 6 სათადარიგო წევრისგან.

2. სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, 6 სხვა წევრი და 3 სათადარიგო წევრი ინიშნება ფედერალური პრეზიდენტის მიერ ფედერალური მთავრობის წინადადებით; სასამართლოს ეს წევრები უნდა დაინიშნონ მოსამართლეების, მმართველობის თანამდებობის პირებისა და უნივერსიტეტების სამართლებრივი დისციპლინის პროფესორთა რიცხვიდან. სასამართლოს 6 სხვა წევრი და 3 სათადარიგო წევრი ინიშნება ფედერალური პრეზიდენტის მიერ 3 წევრსა და 2 სათადარიგო წევრთან დაკავშირებით ეროვნული საბჭოს, ხოლო სასამართლოს 3 წევრსა და 1 სათადარიგო წევრთან დაკავშირებით კი ფედერალური საბჭოს წინადადებით. სასამართლოს 3 წევრსა და 2 სათადარიგო წევრს უნდა ჰქონდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ვენის — ფედერაციის დედაქალაქის საზღვრებს გარეთ. მმართველობის თანამდებობის პირები, რომლებიც ინიშნებიან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებად ან საკონსტიტუციო სასამართლოს სათადარიგო წევრებად, უნდა გათავისუფლდნენ სამსახურიდან. ეს დებულება არ ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოს სათადარიგო წევრებად დანიშნულ პირებზე, რომლებიც ამ გათავისუფლების პერიოდში გათავისუფლებულნი არიან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობიდან.

3. სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, დანარჩენ წევრებსა და სათადარიგო წევრებს უნდა ჰქონდეს სამართალსა და პოლიტიკური მეცნიერების სფეროში სრული განათლება და არანაკლებ 10 წლისა უნდა ეკავოთ სამსახურებრივი მდგომარეობა, რომლისთვისაც აუცილებელია ამგვარი განათლება.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება, შედიოდ-

ნენ ფედერალური მთავრობისა და მიწის მთავრობის წევრები, ეროვნული საბჭოს, ფედერალური საბჭოს ან სხვა საერთო წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები; უფლებამოსილების ან საქმიანობის გარკვეული ვადით არჩეულ ამ წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებთან დაკავშირებით, სასამართლოს წევრობის აკრძალვა ვრცელდება აგრეთვე მანდატისაგან ვადაზე ადრე უარის თქმის შემთხვევაში უფლებამოსილების ან საქმიანობის ვადის ამოწურვამდე. საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც არიან რომელიმე პოლიტიკური პარტიის აპარატის მუშაკები ან სხვა ფუნქციონერები.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ ან თავმჯდომარის მოადგილედ არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ასრულებდა მე-4 აბზაცში მითითებულ ერთ-ერთ ფუნქციას.

6. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებთან დაკავშირებით გამოიყენება 87-ე მუხლის პირველი და მე-2 აბზაცები და 88-ე მუხლის მე-2 აბზაცი; უფრო დაწვრილებითი დებულებანი რეგულირდება 148-ე მუხლის შესაბამისად მიღებული ფედერალური კანონით. ზღვრულ ასაკად, რომლის მიღწევის შემთხვევაშიც მოსამართლის საქმიანობა წყდება, ითვლება იმ წლის 31 დეკემბერი, როდესაც მას უსრულდება 70 წელი.

7. თუ სასამართლოს წევრმა ან სათადარიგო წევრმა საკმარისი დასაბუთების არარსებობის შემთხვევაში არ მოახდინა რეაგირება საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე ერთმანეთის მიმდევრობით სამჯერ მიწვევაზე, სასამართლო მოუსმენს რა მას, ახდენს ფაქტის კონსტატაციას. ამ კონსტატაციას თან სდევს სასამართლოს წევრობის ან სათადარიგო წევრობის უფლების დაკარგვა.

მუხლი 148. საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ უფრო დაწვრილებითი დებულებები რეგულირდება სპეციალური ფედერალური კანონით და ამ კანონის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული რეგლამენტით.

მეშვიდე ნაწილი
სახალხო უფლებების დაცვის კოლეგია

მუხლი 148ᵃ. 1. ნებისმიერ პირს აქვს უფლება ფედერალური მმართველობის განხორციელებაში ნაკლოვანებებზე საჩივრით მიმართოს სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიას, ფედერაციის, როგორც კერძო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტის საქმიანობის ჩათვლით, იმ შემთხვევაში, თუ ეს ნაკლოვანებები ლახავს მის ინტერესებს და თუ მას არ ჰქონდა გასაჩივრების რაიმე მეთოდის გამოყენების უფლება. ნებისმიერი ამგვარი საჩივარი უნდა შემოწმდეს სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის მიერ. შემოწმების შედეგების, აგრეთვე მიღებული საჭირო ზომების თაობაზე უნდა ეცნობოს საჩივრის შემტან პირს.

2. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიას უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით, მასზე დაკისრებული მოვალეობების თანახმად, შეამოწმოს ფედერალური მმართველობის განხორციელებაში ნაკლოვანებების შესაძლო არსებობა, ფედერაციის, როგორც კერძო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტის საქმიანობის ჩათვლით.

3. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიას ამას გარდა ევალება ეროვნულ საბჭოში შესული პეტიციებისა და მოქალაქეთა ინიციატივების შესრულების მხარდაჭერა. დეტალებს ადგენს ეროვნული საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონი.

4. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგია დამოუკიდებულია საკუთარი მოვალეობების შესრულებისას.

მუხლი 148[3]. 1. ფედერაციის, მიწებისა და თემების ყველა ორგანო ვალდებულია მხარი დაუჭიროს სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიას მის მიერ საკუთარ ამოცანათა განხორციელებისას, უზრუნველყოს მისთვის მასალების გაცნობის შესაძლებლობა და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს აუცილებელი ცნობები. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის წინაშე არ მოქმედებს სამსახურებრივი საიდუმლოს შენახვის ვალდებულება.

2. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგია ვალდებულია შეინახოს სამსახურებრივი საიდუმლოება იმ მოცულობით, როგორც უნდა შეინახოს ორგანომ, რომელსაც სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიამ მიმართა საკუთარი ამოცანების შესრულებისას. ეროვნული საბჭოსთვის მოხსენების წარდგენისას სახალხო უფლებების დაცვის კოლეგია ვალდებულია შეინახოს სამსახურებრივი საიდუმლოება იმ მოცულობით, როგორც ამას მოითხოვს პარტიის ან ეროვნული უშიშროების ინტერესები.

მუხლი 148[3]. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიას შეუძლია რეკომენდაციები მისცეს უმაღლესი ფედერალური მმართველობის განმახორციელებელ ორგანოებს იმ ზომების თაობაზე, რომელთა გამოყენება აუცილებელია კონკრეტულ შემთხვევაში ან კონკრეტული შემთხვევის მიზნით. თვითმმართველობისა და მმართველობის საკითხებში დამოუკიდებელი ორგანოების საშუალებით სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიას შეუძლია რეკომენდაციები მისცეს თვითმმართველობის კომპეტენტურ ორგანოს ან დამოუკიდებელ ორგანოს. რეკომენდაციების თაობაზე ეცნობება აგრეთვე ფედერალური მმართველობის უმაღლეს ორგანოებს. შესაბამისი ორგანო ვალდებულია ფედერალური კანონით დადგენილი გარკვეული ვადის განმავლობაში შეასრულოს ეს რეკომენდაციები და აცნობოს ამის შესახებ სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიას ან წერილობით დაასაბუთოს რეკომენდაციების შეუსრულებლობის მიზეზი.

მუხლი 148[4]. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგია ვალდებულია თავისი საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად მოახსენოს ეროვნულ საბჭოსა და ფედე-

რალურ საბჭოს. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ეროვნული საბჭოსა და ფედერალური საბჭოს, აგრეთვე მათ კომიტეტებში (ქვეკომიტეტებში) სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის ანგარიშის განხილვაში და ყოველი მოთხოვნის შემთხვევაში მოსმენილ იქნეს. ამგვარივე უფლება აქვთ სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის წევრებს ეროვნულ საბჭოში და მის კომიტეტებში (ქვეკომიტეტებში) ფედერალური ფინანსური კანონპროექტის იმ ნაწილების განხილვასთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიას. დეტალები დგინდება ეროვნული საბჭოს რეგლამენტისა და ფედერალური საბჭოს რეგლამენტის შესახებ ფედერალური კანონით.

მუხლი 148ᵃ. საკონსტიტუციო სასამართლო სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის წარდგინებით განიხილავს საქმეებს ფედერალური ორგანოების დადგენილებათა უკანონობის თაობაზე.

მუხლი 148ᵇ. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიასა და ფედერალურ მთავრობას ან რომელიმე ფედერალურ მინისტრს შორის სახალხო უფლებების დაცვის კომპეტენციის მარეგულირებელი კანონის დებულებათა განმარტების მიზნით უთანხმოების შემთხვევაში, ეს საკითხი წყდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დახურულ სხდომაზე ფედერალური მთავრობის ან სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის წარდგინებით.

მუხლი 148ᵇ. 1. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგია მდებარეობს ვენაში. იგი შედგება სამი წევრისგან, რომელთაგან ერთ-ერთი ახორციელებს თავმჯდომარის ფუნქციას. კოლეგიის უფლებამოსილების ვადა შეადგენს ექვს წელს. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის წევრის ხელახალი არჩევა დასაშვებია არა უმეტეს ერთხელ.

2. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის წევრები ეროვნული საბჭოს მიერ აირჩევიან მთავარი კომიტეტის მიერ შეთავაზებული საერთო სიის საფუძველზე. მთავარი კომიტეტი წარადგენს თავის წინადადებას ამ საერთო სიის თაობაზე თავის წევრთა არანაკლებ ნახევრის დასწრების შემთხვევაში. ამასთან, მანდატების უმეტესი რაოდენობის მქონე სამ პარტიას უფლება აქვს საერთო სიაში შესატანად წამოაყენოს თავიანთი თითო-თითო წევრი. სახალხო დაცვის კოლეგიის წევრები თანამდებობის დაკავებისას ფიცს დებენ ფედერალური პრეზიდენტის წინაშე.

3. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიაში თავმჯდომარეობა ხორციელდება მისი წევრების მიერ, რომლებიც ყოველწლიურად, წარმოდგენილი პარტიების მანდატების რაოდენობიდან გამომდინარე, თანმიმდევრობით ენაცვლებიან ერთმანეთს. ეს თანმიმდევრობა შენარჩუნებულია უცვლელად სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში.

4. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის რომელიმე წევრის ადგილის ვა-

დამდე გათავისუფლების შემთხვევაში, ეროვნულ საბჭოში წარმოდგენილმა ამ წევრის წარმომდგენმა პარტიამ უნდა წარადგინოს სხვა წევრი. ახალი არჩევნები უნდა ჩატარდეს მეორე აბზაცის შესაბამისად უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

5. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის წევრებს უფლება აქვთ არჩეულ იქნენ ეროვნულ საბჭოში; მათ არ შეუძლიათ თავიანთი სამსახურებრივი საქმიანობის განმაელობაში ფედერალური მთავრობის, მიწის მთავრობის ან საერთო წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობაში შესვლა და სხვა რაიმე პროფესიული საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 148ბ. 1. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის აპარატის მოსამსახურეები ინიშნებიან ფედერალური პრეზიდენტის მიერ სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის თავმჯდომარის წინადადებით, რომელიც ამ დანიშვნას ამტკიცებს თავისი ხელმოწერით; ამგვარი წესი მოქმედებს ასევე თანამდებობრივ წოდებათა მინიჭებისას. თუმცა, ფედერალურ პრეზიდენტს შეუძლია სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის თავმჯდომარეს მიანიჭოს გარკვეული კატეგორიის მოსამსახურეთა დანიშვნის უფლებამოსილება. დამხმარე პერსონალი ინიშნება სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის თავმჯდომარის მიერ. ამ მიმართებით სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის თავმჯდომარე წარმოადგენს უმაღლეს განმკარგულებელ ორგანოს და ერთპიროვნულად ახორციელებს ამ უფლებამოსილებებს.

2. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის მოსამსახურეებთან დაკავშირებით სამსახურებრივ საქმიანობათა უმაღლეს ხელმძღვანელობას ფედერაციის სახელით ახორციელებს სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის თავმჯდომარე.

3. სახალხო უფლებების დაცვის კოლეგია იღებს თავის რეგლამენტს, საქმეთა განხილვისას ანაწილებს ვალდებულებებს, განსაზღვრავს, თუ რომელი უფლებამოსილებანი უნდა განახორციელონ დამოუკიდებლად სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის წევრებმა. რეგლამენტის დამტკიცებისა და ვალდებულებათა განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის წევრთა ერთსულოვნება.

მუხლი 148გ. 1. მიწებს თავიანთი კონსტიტუციური კანონების საფუძველზე უფლება აქვთ სახალხო უფლებების დაცვის კოლეგია კომპეტენტურად გამოაცხადონ მიწის მართვის განხორციელების სფეროში. ამ შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება 148-ე და 148ბ მუხლები.

2. თუ მიწები თავიანთი მართვის სფეროში ქმნიან სახალხო უფლებების დაცვის კოლეგიის ანალოგიური ამოცანების მქონე დაწესებულებებს, მაშინ მიწის კონსტიტუციური კანონით შესაძლოა დადგინდეს 148-ე და 148ბ მუხლების დებულების ანალოგიური რეგულირება.

მუხლი 148დ. უფრო დაწვრილებითი დებულებანი, რომლებიც აკონკრეტებენ

აღნიშნული ნაწილის დებულებებს, დგინდება ფედერალური კანონით.

მერვე ნაწილი
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 149. 1. ამ კანონთან ერთად და 44-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად მისგან გამომდინარე კონსტიტუციური კანონების სახით ცვლილებების გათვალისწინებით, უნდა მოქმედებდეს:

1867 წლის 21 დეკემბრის სახელმწიფოს ძირითადი კანონი „იმპერიის საბჭოში წარმოდგენილი სამეფოებისა და მიწების მოქალაქეთა საერთო უფლებების შესახებ";

1862 წლის 27 ოქტომბრის კანონი საცხოვრებლის ხელშეუხებლობის დაცვის შესახებ".

1918 წლის 30 ოქტომბრის დროებითი ეროვნული კრების გადაწყვეტილება;

1919 წლის 3 აპრილის კანონი „ქვეყნიდან გაძევებისა და ჰაბსბურგ-ლოტარინგიის სახლის ქონების კონფისკაციის შესახებ";

1919 წლის 3 აპრილის კანონი „მემამულეობის, მაღალი საზოგადოების რაინდთა და ქალბატონთა ორდენებისა და ზოგიერთი ტიტულისა და საპატიო წოდებების გაუქმების შესახებ";

1919 წლის 10 სექტემბრის სენ-ჟერმენის სახელმწიფო ხელშეკრულების მე-5 თავის მე-3 ნაწილი;

2. ძალას კარგავენ 1867 წლის 21 დეკემბრის სახელმწიფოს ძირითადი კანონის მე-20 მუხლი, აგრეთვე ამ მუხლის საფუძველზე გამოცემული 1869 წლის 5 მაისის კანონი.

მუხლი 150. 1. ამ კანონით შემოღებული ფედერალური კონსტიტუციის გარდამავალი დებულებები რეგულირდება კანონთან ერთად ძალაში შესული განსაკუთრებული კონსტიტუციური კანონით.

2. კანონები, რომლებიც შეესაბამება ახალი რედაქციის ფედერალური კონსტიტუციური კანონის დებულებებს, შესაძლოა მიღებულ იქნეს ფედერალურ კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანითა და მისი გამოქვეყნებით, მაგრამ ისინი ძალაში ვერ შევა ახალი ფედერალური კონსტიტუციური კანონის დებულებათა ძალაში შესვლამდე, თუ ფედერალური კონსტიტუციური კანონის ახალ დებულებათა ძალაში შესვლიდან არ ითვალისწინებენ მათი აღსრულებისთვის აუცილებელ ზომებს.

მუხლი 151. 1. ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციით არსებული (ფედერალური კანონების ბიულეტენი, 1991 წ., №565) 78ᲬᲔ მუხლი და 118-ე მუხლის მე-8 აბზაცი ძალაში შედის 1992 წლის 1 იანვრიდან, 1992 წლის 1 იანვრამდე არსებული წესრიგის დაცვის ქვეგანყოფილებები რჩებიან თა-

ვიანთი არსით ხელშეუხებელნი; ეს დებულება ძალაში შედის 1992 წლის 1 იანვრიდან.

2. ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციით არსებული (ფედერალური კანონების ბიულეტენი, 1991 წ., №565) მე-10 მუხლის პირველი აბზაცის მე-7 ქუნქტი, 52ᵃ-ე, 78-78ᵃ მუხლები, 102-ე მუხლის მე-2 აბზაცი, მესამე განყოფილებაში შეტანილი ცვლილებები და 102-ე მუხლი ძალაში შედის 1993 წლის 1 მაისიდან.

3. 102-ე მუხლის მე-5 აბზაცი, აგრეთვე მე-6 და მე-7 აბზაცები ძალას კარგავს 1993 წლის 30 აპრილის ამოწურვისთანავე. 102-ე მუხლის მე-2 აბზაცში ფრაზა „გარდა უსაფრთხოების ადგილობრივი პოლიციის საქმიანობისა" ძალას კარგავს 1993 წლის 30 აპრილის ამოწურვისთანავე.

4. 26-ე მუხლი, 41-ე მუხლის მე-2 აბზაცი, 49ᵇ მუხლის მე-3 აბზაცი, 56-ე მუხლის მე-2-4 აბზაცები, 95-ე მუხლის 1-3 აბზაცები, 96-ე მუხლის მე-3 აბზაცი, ამასთან, ფედერალური კონსტიტუციური კანონის 56-ე მუხლის პირველი აბზაცის ახალი რედაქციის დებულება (ფედერალური კანონების ბიულეტენი, 1992 წ., №470) ძალაში შედის 1993 წლის 1 მაისიდან.

5. ფედერალური კონსტიტუციური კანონის 54-ე მუხლის რედაქცია (ფედერალური კანონების ბიულეტენი, 1992 წ., №868) ძალაში შედის 1993 წლის 1 იანვრიდან.

6. ფედერალური კონსტიტუციური კანონის (ფედერალური კანონების ბიულეტენი, 1993 წ., №508) ქვემოთ წარმოდგენილი დებულებები ძალაში შედის:

1) მე-10 მუხლის პირველი აბზაცის მე-9 პუნქტი, 11-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-7 პუნქტი, აგრეთვე 11-ე მუხლის მე-6-9 აბზაცები ძალაში შედის 1994 წლის 1 ივლისიდან;

2) 28-ე მუხლის მე-5 აბზაცი, 52-ე მუხლის მე-2 აბზაცი, 52-ე მუხლის ადრინდელი დებულებების მე-2-3 აბზაცები, მე-3 და მე-4 აბზაცების სახით, აგრეთვე 52ᵇ მუხლის მე-2 აბზაცი ძალაში შედიან 1993 წლის 1 ოქტომბრიდან;

3) 142-ე მუხლის მე-2 აბზაცის „თ" პუნქტი ძალაში შედის 2001 წლის 1 იანვრიდან.

7. ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციით არსებული (ფედერალური კანონების ბიულეტენი. 1993 წ. №508) მე-11 მუხლის მე-7-8 აბზაცები ძალას კარგავს 2000 წლის 31 დეკემბრის ამოწურვისთანავე. 2000 წლის 31 დეკემბრიდან წარმოების წესი, რომელიც დამახასიათებელია სენატის ჩამოყალიბებამდე გარემოს საკითხებზე, უქმდება სამართლებრივი დებულების საფუძველზე, რომელიც მოქმედებდა ამ კომპეტენციისთვის 2000 წლის 31 დეკემბრამდე.

7ᵃ. ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციით (ფედერალური კანონების ბიულეტენი, I. 1997 წ. №2) 102-ე მუხლის მე-2 აბზაცი ძალაში შედის 1994 წლის 1 იანვრიდან. ამავე დროს ძალას კარგავს ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციით არსებული (ფედერალური კონსტიტუციური ბიულეტენი, 1993 წ., №532) 102-ე მუხლის მე-2 აბზაცი.

8. ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციის (ფედერალური კანო-

ნების ბიულეტენი, 1994 წ., №268) 52-ე მუხლი ძალაში შედის 1994 წლის 1 აპრილიდან.

9. ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციის (ფედერალური კანონების ბიულეტენი, 1994 წ., №504) მე-6 მუხლის 2-3 აბზაცები, 26-ე მუხლის მე-2 აბზაცი, 41-ე მუხლის მე-2 აბზაცი, 49[ბ] მუხლის მე-3 აბზაცი და 117-ე მუხლის მე-2 აბზაცი ძალაში შედის 1995 წლის 1 იანვრიდან. ფედერაციისა და მიწების სამართლებრივ დებულებებში 1996 წლის 1 იანვრიდან იცვლება ცნება „ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი" მის ყველა გრამატიკულ ფორმაში, „ძირითადი საცხოვრებელი ადგილი" შესაბამის გრამატიკულ ფორმებში, თუ ცნება „ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი" 1995 წლის 31 დეკემბრამდე არ არის შეცვლილი ცნებით „საცხოვრებელი ადგილი"; 1996 წლის 1 იანვრიდან ცნება „ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი" ფედერაციისა და მიწების სამართლებრივ დებულებებში აღარ უნდა გამოიყენებოდეს; სანამ მიწის კანონები არ ითვალისწინებენ, რომ ლანდტაგსა და თემის საბჭოში არჩევისა და არჩეულად ყოფნის უფლება განისაზღვრება ძირითადი საცხოვრებელი ადგილის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იგი განისაზღვრება ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მოსახლეობის შემდგომი აღწერის შედეგების მიღებამდე ძალაში შესვლის მითითებული დროის შემდგომ საარჩევნო ოლქებში (საარჩევნო კორპუსი), აგრეთვე რეგიონალურ საარჩევნო ოლქებში (26-ე მუხლის მე-2 აბზაცი) დეპუტატთა რაოდენობის განაწილებისთვის, აგრეთვე მიწების წარმომადგენლობისთვის ფედერალურ საბჭოში (მუხლი 34) ძირითად საცხოვრებელ ადგილს უთანაბრდება ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი, რომელიც დადგენილია მოსახლეობის ბოლო აღწერის შედეგების მიხედვით.

10. 87-ე მუხლის მე-3 აბზაცი და 88[ა] მუხლი ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციით (ფედერალური კანონების ბიულეტენი, 1994 წ., №506) ძალაში შედის 1994 წლის 1 ივნისიდან.

11. ხელახლა რედაქტირებული და მიღებული დებულებების ფედერალური კონსტიტუციური კანონის საფუძველზე ძალაში შესასვლელად (ფედერალური კანონების ბიულეტენი, 1994 წ. №103), ფედერალური კონსტიტუციური კანონის საფუძველზე ძალადაკარგულად ცნობისათვის, აგრეთვე ახალ სამართლებრივ დებულებებზე გადასასვლელად მოქმედებს შემდეგი:

1) კანონის დასახელება, 21-ე მუხლი, 56-ე მუხლის მე-6-7 აბზაცები, 122-ე მუხლის მე-2 და მე-4 აბზაცები, მე-3-5 აბზაცები, 123-ე მუხლი, 123[ა] მუხლის მე-2 აბზაცი, 124-ე მუხლის 1 აბზაცი, 147-ე მუხლის მე-2 აბზაცი, აგრეთვე 150-ე მუხლის მე-2 აბზაცი, ძალაში შედის 1995 წლის 1 იანვრიდან;

2) პირველი განყოფილების სათაური, პირველი განყოფილების „ა" თავის სათაური, მე-10 მუხლი, მე-16 მუხლის მე-18 პუნქტის პირველი აბზაცი, პირველი განყოფილების „ბ" თავის მე-4 აბზაცი, 30-ე მუხლი, 59-ე მუხლის მე-3 აბზაცი, 73-ე მუხლი, 117-ე მუხლის მე-2 აბზაცი, 141-ე მუხლის მე-2 აბზაცი, 142-ე მუხლის 1-2 აბზაცები, „გ" პუნქტის მე-2 აბზაცი და ახლანდელი „დ-ი" პუნქტები, აგრეთვე 142-ე მუხლის მე-3-5 აბზაცები ძალაში შედის ავსტრიის

რესპუბლიკის ევროპის კავშირში შესვლის თაობაზე სახელმწიფო ხელშეკრულებასთან ერთად;

3) მე-2 პუნქტში ჩამოვლილი დებულებების ძალაში შესვლისთანავე ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციით (ფედერალური კანონების ბიულეტენი, 1992 წ., №276) ძალას კარგავს მე-10 მუხლის მე-4-6 აბზაცები და მე-6 მუხლის მე-6 აბზაცი;

4) 122-ე მუხლის 1 აბზაცი და 127ᵇ მუხლი ძალაში შედის 1997 წლის 1 იანვრიდან. ისინი მოქმედებენ ფინანსური აქტებისთვის, რომლებიც მოსდევს 1994 წლის 21 დეკემბერს;

5) ვიდრე ავსტრიისა და ევროპარლამენტის პრეზიდენტები არ იქნებიან არჩეულნი საყოველთაო არჩევნების საფუძველზე, ისინი წარგზავნილნი იქნებიან ეროვნული საბჭოს მიერ ფედერალური კრების წევრთა რიცხვიდან. ეს წარგზავნა ხორციელდება ეროვნულ საბჭოში წარმოდგენილ პარტიათა წინადადებების საფუძველზე მათი რაოდენობის შესაბამისად პროპორციული არჩევნების პრინციპის საფუძველზე. წარგზავნის პერიოდში ეროვნული საბჭოსა და ფედერალური საბჭოს წევრები იმავდროულად შეიძლება იყვნენ ევროპარლამენტის წევრებიც. სხვა მხრივ მოქმედებს შესაბამისად 23ᵇ მუხლის 1 და მე-2 აბზაცები. თუ ევროპარლამენტში წარგზავნილი ეროვნული საბჭოს წევრი უარს ამბობს ეროვნულ საბჭოში თავის მანდატზე, მაშინ მოქმედებს 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცები;

6) მე-5 პუნქტი ძალაში შედის 1994 წლის 22 დეკემბრიდან.

11ᵃ. ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციის (ფედერალური კანონების ბიულეტენი, №1013/1994) 112-ე მუხლი, 103-ე მუხლის მე-3 აბზაცი და 151-ე მუხლის მე-6 აბზაცის მე-3 პუნქტი ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციით (ფედერალური კანონების ბიულეტენი, №8/1999) ძალაში შედის 1995 წლის 1 იანვრიდან.

12. ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციით (ფედერალური კანონების ბიულეტენი, №392/1996) 59ᵃ მუხლი, 59ᵃ მუხლი და 95-ე მუხლი ძალაში შედის 1996 წლის 1 აგვისტოდან. 59ᵃ მუხლისა და 95-ე მუხლის მე-4 აბზაცის შესასრულებლად საკანონმდებლო დებულებების მიღებამდე მოქმედებს ფედერაციის შესაბამისი საკანონმდებლო დებულება იმ მიწებზე, რომლებსაც ისინი ეხება, რადგანაც მიწები ჯერ კიდევ არ ახორციელებენ 59ᵃ მუხლისა და 95-ე მუხლის მე-4 აბზაცის აზრის შესაბამისად რეგულირებას.

13. ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციით (ფედერალური კანონების ბიულეტენი, №437/1996) 23ᵃ მუხლის მე-6 აბზაცი და 28-ე მუხლის მე-5 აბზაცი ძალაში შედის 1996 წლის 15 სექტემბრიდან.

14. ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციით (ფედერალური კანონების ბიულეტენი, №659/1996) 49-ე მუხლი და 49ᵃ მუხლის 1 და მე-3 აბზაცები ძალაში შედის 1997 წლის 1 იანვრიდან.

15. ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციით (ფედერალური კანონების ბიულეტენი, 2/1997) 55-ე მუხლი ძალაში შედის 1997 წლის 1 იან-

ერიდან. ამავდროულად ძალას კარგავს 54-ე მუხლი.

16. ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციით (ფედერალური კანონების ბიულეტენი, №64/1997) 147-ე მუხლის მე-2 აბზაცი ძალაში შედის 1997 წლის 1 იანვრიდან.

17. ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციით (ფედერალური კანონების ბიულეტენი, №87/1997) 69-ე მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცები, 73-ე მუხლის პირველი აბზაცი, 73-ე მუხლის მე-3 აბზაცი, აგრეთვე 148ᵉ მუხლი ძალაში შედიან 1997 წლის 1 სექტემბრიდან. მეექვსე განყოფილების „გ" თავის 129-ე მუხლი, 131-ე მუხლის მე-3 აბზაცი და მეექვსე განყოფილებაში კვლავ აღნიშნული თავები ძალაში შედის 1998 წლის 1 იანვრიდან.

18. ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციით (ფედერალური კანონების ბიულეტენი, №30/1998) 9ᵃ მუხლის მე-4 აბზაცი ძალაში შედის 1998 წლის 1 იანვრიდან.

19. 23-ე მუხლი ძალაში შედის ამსტერდამის ხელშეკრულების თანადროულად. აღნიშნული მუხლის ძალაში შესვლა ცხადდება ფედერალური კანცლერის მიერ ფედერალური კანონების ბიულეტენში.

20. 149-ე მუხლის პირველ აბზაცში ძალას კარგავს:

1) 1945 წლის 30 ნოემბრის კონსტიტუციურ კანონზე (ფედერალური კანონების ბიულეტენი, №6/1946) მითითება, რომელიც ეხება პირადი თავისუფლების დაცვის შესახებ 1862 წლის 27 დეკემბრის კანონის გამოყენებას (იმპერატორის კანონების ბიულეტენი, №87) ეროვნული სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას 1995 წლის 30 დეკემბრის შემდეგ;

2) სიტყვათა შეთანხმება „1919 წლის 8 მაისის „კანონი (სახელმწიფო კანონების ბიულეტენი, №257) „გერმანია-ავსტრიის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბისა და სახელმწიფო ბეჭდის შესახებ" 1921 წლის 21 დეკემბრის კანონის მე-2, მე-5 და მე-6 მუხლებში ცვლილებებით" (სახელმწიფო კანონების ბიულეტენი, №484) 1981 წლის 31 ივლისის შემდეგ.

21. 144-ე მუხლის მე-3 აბზაცში სიტყვათა შეთანხმება „ან ბრძანების დაუყოვნებლივ განხორციელების გზით ან ძალისმიერი ზემოქმედებით" ძალას კარგავს 1990 წლის 31 დეკემბრის შემდეგ.

22. ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციით (ფედერალური კანონების ბიულეტენი, №8/1999) მე-10 მუხლის პირველი აბზაცის მე-14 პუნქტი, მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 აბზაცები, მე-18 მუხლის მე-5 აბზაცი, 21-ე მუხლი, 37-ე მუხლის მე-2 აბზაცი, 51ᵇ მუხლის მე-6 აბზაცი, 52ᵇ მუხლის პირველი აბზაცი, მე-60 მუხლის მე-2 აბზაცი, 78ᵉ მუხლის მე-2 აბზაცი, 102-ე მუხლის პირველი აბზაცი, 102-ე მუხლის ახალი რიგითი ნომრით მე-6 აბზაცი, აგრეთვე 118-ე მუხლის მე-8 აბზაცი, 118ᵃ მუხლი და 125-ე მუხლის მე-3 აბზაცი ძალაში შედის 1999 წლის 1 იანვრიდან. 102-ე მუხლის მე-5 აბზაცი ძალას კარგავს 1998 წლის 31 დეკემბრის შემდეგ.

23. ფედერალური კონსტიტუციური კანონის რედაქციით (ფედერალური კანონების ბიულეტენი, №148/1999) 30-ე მუხლის მე-3 აბზაცის პირველი წინა-

დადება, 127ბ მუხლი, 129ბ მუხლის მე-4 აბზაცი, 147-ე მუხლის მე-2 აბზაცის მე-4 და მე-5 წინადადებები და 147-ე მუხლის მე-6 აბზაცის პირველი წინადადება ძალაში შედის 1999 წლის 1 აგვისტოდან.

მუხლი 152. ამ ფედერალური კონსტიტუციური კანონის აღსრულება ევალება ფედერალურ მთავრობას.

აზერბაიჯანი

ზოგადი ცნობარი

შესავალი

აზერბაიჯანელმა ერმა, რომელიც ძირითადად თურქული და მუსლიმანი მოსახლეობისგან შედგება, დამოუკიდებლობა მოიპოვა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წლიდან. სწორედ აქედან იღებს სათავეს თანამედროვე აზერბაიჯანის სახელმწიფო. 1994 წლის შეიარაღებული შეტაკების მიუხედავად ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია და აზერბაიჯანის რესპუბლიკის უმთავრეს პრობლემად რჩება ტერიტორიული კონფლიქტი სომხეთთან აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის (ძირითადად სომხებით დასახლებულ) ანკლავთან დაკავშირებით. მთიანი ყარაბაღი მოიცავს აზერბაიჯანის ტერიტორიის 16%-ს.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: სამხრეთ-დასავლეთი აზია; აღმოსავლეთით ესაზღვრება საქართველო და სომხეთი, ჩრდილოეთით — რუსეთის ფედერაცია, დასავლეთით — კასპიის ზღვა, სამხრეთით კი — ირანი.

ფართობი: სულ: 86.600 კმ^2; ხმელეთი: 86.100 კმ^2; წყალი: 500 კმ^2.
შენიშვნა: შეიცავს ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკისა და მთიანი ყარაბაღის ტერიტორიას.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ნავთობი, ბუნებრივი გაზი, რკინა, ალუმინი, ფერადი ლითონები.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 8 177 717 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 24.6% (კაცი 1 061 318; ქალი 947 607);
15-64 წლის: 68.6% (კაცი 2 753 277; ქალი 2 855 406);
65 წლის და ზემოთ: 6.8% (კაცი 208 293; ქალი 351 816) (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 0.723% (2008);

შობადობა: 17.52 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 8.32 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: -1.97 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 66.31 წელი; კაცი: 62.2; ქალი: 71 (2008).

მოქალაქეობა: აზერბაიჯანის

ეთნიკური ჯგუფები: აზერბაიჯანელები 90.6%, დაღესტნელები 2.2%, რუსები 1.8%, სომხები 1.2%, სხვა 3.9% (1999);
შენიშვნა: სომხური მოსახლეობა ცხოვრობს მხოლოდ სეპარატისტული მთიანი ყარაბახის ტერიტორიაზე.

რელიგია: მუსულმანური 93.4%, რუსული მართლმადიდებლური 2.5%, სომხური მართლმადიდებლური 2.3%, სხვა 1.8% (1995);

ენა: აზერბაიჯანული 90.3%, ლეზგიური ენები 2.2%, რუსული 1.8%, სომხური 1.5%, სხვა 3% (1999);

განათლებულობა: მთელი მოსახლეობის: 98.8%; კაცი 99.5%; ქალი 98.2% (1999);
განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ვრცელი ფორმა: აზერბაიჯანის რესპუბლიკა;
მოკლე ფორმა: აზერბაიჯანი;
ადგილობრივი ვრცელი ფორმა: აზერბაიჯან რესპუბლიკასი
ყოფილი: აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

სახელმწიფოს ფორმა: შერეული მმართველობის რესპუბლიკა

დედაქალაქი: ბაქო

ადმინისტრაციული ერთეულები: 59 რაიონი, 11 ქალაქი, 1 ავტონომიური რესპუბლიკა;

დამოუკიდებლობა: 30 აგვისტო 1991 წელი

ეროვნული დღესასწაული: აზერბაიჯანის რესპუბლიკის დაფუძნების დღე – 28 მაისი (1918);

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: ილჰამ ალიევი (2003 წლის 31 ოქტომბრიდან);
არჩევნების შედეგები: ილჰამ ალიევი მეორე ვადით იქნა არჩეული პრეზიდენტად 2008 წლის 15 ოქტომბერს.

სამინისტროები: ახალგაზრდობის, სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო; განათლების სამინისტრო; ეკონომიკური განვითარების სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; კულტურის სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამინისტრო; სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; ეროვნული უშიშროების სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება:
ერთპალატიანი ეროვნული კრება – მილი მეჯლისი (125 ადგილიანი; წევრები აირჩევიან პირდაპირი არჩევნებით მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე).
ბოლო არჩევნები ჩატარდა 2005 წლის 4 ნოემბერს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: კოალიცია აზადლიკი (მასში შედის აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი და ლიბერალური პარტია), სამოქალაქო სოლიდარობის პარტია, სამოქალაქო ერთიანობის პარტია, კომუნისტური პარტია, პარტია ახალი აზერბაიჯანი, აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტია, სამართლიანობის პარტია, აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის პარტია, ღია საზოგადოების პარტია, აზერბაიჯანის სახალხო ფორუმი, მწვანეთა პარტია, პარტია მუსავატი (თანასწორობა), ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: აზერბაიჯანის ძირითადი საექსპორტო საშუალებაა ნავთობი. მისი ექსპორტი დაიწყო 1997 წლის ნოემბრიდან და ყოველწლიურად იზრდება. სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებებისა და მოლაპარაკებების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში უცხოური კომპანიების მხრიდან ინვესტიციების ჩადების მაჩვენებლები, რაც ძირითადად ნავთობის მოპოვების განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაზეა ორიენტირებული. აზერბაიჯანული ნავთობის მოპოვება და წარმოება ხორციელდება აზერბაიჯანის საერთაშორისო ნავთობკომპანიის მიერ. აზერბაიჯანის ეკონომიკა რეფორმირების პროცესშია და მის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. მისი ენერგეტიკული შესაძლებლობები და ბუნებრივი რესურსები ეკონომიკის განვითარების კარგ საშუალებას იძლევა. თუმცა, ეკონომიკური განვთარების შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს ქვეყნის არაენერგეტიკული სექტორების განვთარება. ამ მიზნით ხორციელდება აღნიშ-

ნულ სექტორებში ინვესტიციების მოზიდვისა და ნავთობის რეალიზაციით მიღებული შემოსავლების გადანაწილების ღონისძიებები. მეორე შემაფერხებელი გარემოება სომხეთთან აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის გამო წარმოებული კონფლიქტია. რუსეთთან და ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების პარალელურად სწრაფად ვითარდება აზერბაიჯანის სავაჭრო კავშირები თურქეთსა და ევროკავშირთან, რაც ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი გარემოებაა. თუმცა, აზერბაიჯანის ეკონომიკის განვითარება ძირითადად მაინც ნავთობის საერთაშორისო ფასებზეა დამოკიდებული.

მთლიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $65.47 მილიარდი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 23.4% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $7.700 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 6.2%; მრეწველობა: 63.3%; მომსახურება: 30.5% (2007).

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 24% (2005);

ბიუჯეტი: შემოსავალი: $7.67 მილიარდი; გასავალი: $9.256 მილიარდი (2007).

ექსპორტი: $21.27 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: ნავთობი და გაზი, ბამბა, სასურსათო პროდუქცია, მანქანა-დანადგარები.

ექსპორტის პარტნიორები: იტალია 44.7%, ისრაელი 10.7%, თურქეთი 6.1%, საფრანგეთი 5.5%, რუსეთი 5.4%, ირანი 4.6%, საქართველო 4.5%. (2007);

იმპორტი: $6.045 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: მანქანები და აღჭურვილობა, ქიმიკატები, სასურსათო პროდუქტები, მეტალი.

იმპორტის პარტნიორები: რუსეთი 22.4%, დიდი ბრიტანეთი 8.6%, გერმანია 7.7%, თურქეთი 7.3%, თურქმენეთი 7%, უკრაინა 6%, ჩინეთი 4.2% (2007);

საგარეო ვალი: $2.399 მილიარდი (2007);

უცხოური ვალუტისა და ოქროს რეზერვები: $4.273 მილიარდი (2007);

ეკონომიკური მხარდაჭერა: $223.4 მილიონი (2005);

ვალუტა: აზერბაიჯანული მანათი (AZM).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. აზერბაიჯანულ იურისპრუდენციაში აზერბაიჯანის კონსტიტუციონალიზმის ისტორიის სათავედ 1920-იან წლებს მიიჩნევენ, როდესაც აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ დაიწყო კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტების მიღება და ქვეყნის ძირითადი კანონის პროექტის შემუშავება. 1918-1920 წლებში მიღებულ იქნა კანონები „მთავრობის შესახებ", „პარლამენტის შესახებ", „მოქალაქეობის შესახებ", „ეროვნული დროშის შესახებ" და ა.შ., რომლებითაც წესრიგდებოდა სახელმწიფო წყობილებასთან და ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები. პარალელურად, მომზადდა კონსტიტუციის პროექტიც, თუმცა მისი მიღება და ამოქმედება ვერ მოხერხდა 1920 წლის აპრილში აზერბაიჯანში მეთერთმეტე წითელი არმიის შეჭრისა და ქვეყნის გასაბჭოების გამო.

1920 წლის 28 აპრილს გამოცხადდა აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ 1921 წლის 19 მაისს სრულიად აზერბაიჯანის საბჭოების პირველ ყრილობაზე მიღებულ იქნა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც აზერბაიჯანის კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში პირველი კონსტიტუცია იყო. იგი მთლიანად ემყარებოდა ბოლშევიკურ იდეოლოგიას. გასაბჭოებამ და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნამ მნიშვნელოვანი დაღი დაასვა აზერბაიჯანის კონსტიტუციური სამართლის განვითარებას. მან დაკარგა თვითმყოფადი ხასიათი და მთლიანად საბჭოთა კონსტიტუციონალიზმის გავლენის ქვეშ და მის კვალდაკვალ ვითარდებოდა.

1921 წლის პირველმა კონსტიტუციამ იურიდიულად გააფორმა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და აზერბაიჯანის გასაბჭოების პროცესის შედეგები. თავისი სტრუქტურითა და შინაარსით ეს აქტი არაფრით განსხვავდებოდა იმ პერიოდის სხვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუციებისგან, რომლებიც რუსეთის მეზობელ ქვეყნებში გასაბჭოებისა და კომუნისტური ხელისუფლების პირველი ტალღის მმართველობის პირობებში იქნა მიღებული. სახელმწიფო წყობილების ფორმად აღიარებულ იქნა მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო, სახელმწიფო მმართველობის ფორმად — პროლეტარიატის დიქტატურა. 1921 წლის კონსტიტუციის შინაარსი მთლიანად ეთმობოდა მხოლოდ სახელმწიფო მოწყობას, მათ შორის აზერბაიჯანის სახელმწიფოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკების დაფიქსირებასა და მათი მმართველობის სისტემის განსაზღვრას, სახელმწიფო ორგანოთა სისტემასა და კომპეტენციას, მათი ფორმირების წესს, საზოგადოების ეკონომიკური მოწყობის საფუძვლებსა და საკუთრების ფორმასთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელ ნორმებს. კონსტიტუციის რეგულირების სფეროს მიკუთვნებული სხვა ისეთი საკითხები, როგორიცაა მაგალითად, ადამიანის უფლებები და მათი დაცვის გარანტიები, მასში არ ყოფილა გათვალისწინებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე დეკლარაციული ხასიათის წინადადებას. აზერბაიჯანელი

მეცნიერების დიდი ნაწილი 1921 წლის კონსტიტუციას უარყოფითად აფასებს ძირითადად იმის გამო, რომ ამ აქტმა იურიდიულად დაასამარა აზერბაიჯანის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და მნიშვნელოვნად შეზღუდა აზერბაიჯანის სახელმწიფოს სუვერენიტეტი, დაადგინა რა ქვეყნის ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში და მისი მეშვეობით და არა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი სუბიექტის სახით საბჭოთა კავშირში შესვლის იურიდიული საფუძვლები.

მომდევნო ძირითადი კანონი სრულიად აზერბაიჯანის საბჭოების მეცხრე საგანგებო ყრილობამ 1937 წლის 14 მარტს მიიღო. აზერბაიჯანის ახალი კონსტიტუციის მიღება განპირობებული იყო 1936 წლის 5 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი ძირითადი კანონის დამტკიცებით, რომელსაც მეცნიერები ე.წ. „სტალინურ კონსტიტუციასაც" უწოდებენ. აზერბაიჯანის 1937 წლის კონსტიტუცია 155 მუხლისგან შედგებოდა და 14 თავს აერთიანებდა. აზერბაიჯანის სახელმწიფო კვლავ მუშათა და გლეხთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა, რომლის ეკონომიკურ საფუძველს ქმნიდა მეურნეობის სოციალისტური სისტემა და წარმოების საშუალებებსა და იარაღზე სოციალისტური საერთო საკუთრება. აზერბაიჯანის სახელმწიფოს შემადგენლობაში დაფიქსირდა ნახიჭევანის ავტონომიური რეპუბლიკისა და მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქის არსებობა. ძირითადი კანონით დეტალურად განისაზღვრა საბჭოთა კავშირში გაერთიანებისა და სუვერენული უფლებების ნაწილობრივ საკავშირო ხელისუფლებისათვის გადაცემის შემდეგ აზერბაიჯანის რესპუბლიკის გამგებლობაში დარჩენილი უფლებამოსილებები. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომლის უფლებამოსილებაც 4 წლის ვადით განისაზღვრებოდა. ყოველ 12500 მოსახლეზე აირჩეოდა ერთი დეპუტატი. უმაღლესი საბჭო ირჩევდა თავისივე პრეზიდიუმს და საკანონმდებლო უფლებამოსილებათა განხორციელებასთან ერთად ახდენდა აზერბაიჯანის სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი განმკარგულებელი ორგანოს მინისტრთა საბჭოს ფორმირებას. კონსტიტუცია დეტალურად განსაზღვრავდა მინისტრთა საბჭოში შემავალი თანამდებობის პირთა ჩამონათვალს, ასევე აზერბაიჯანის სამინისტროთა ნუსხას. კონსტიტუციის ცალ-ცალკე თავები ეთმობოდა ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკისა და მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემისა და სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა სისტემის მომწესრიგებელ ნორმებს. სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებდა აზერბაიჯანის უმაღლესი სასამართლო, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო და მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქის სასამართლო, რაიონული სახალხო სასამართლოები და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ შექმნილი სასამართლოები. აზერბაიჯანის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშნა ხდებოდა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, ხოლო ავტონომიური ერთეულების უმაღლეს სასამართლოთა მოსამართლეების — შესაბამისი ავტონომიური ერთეუ-

ლის უმაღლესი საბჭოების მიერ. რაიონული სახალხო სასამართლოს მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები 5 წლიანი ვადით პირდაპირი არჩევნების გზით იმავე რაიონის მოსახლეობის მიერ აირჩეოდნენ. აზერბაიჯანის პროკურატურა სოციალისტური სახელმწიფო სისტემის შესაბამისად აღჭურვილი იყო კანონიერებაზე ზედამხედველობის ყოვლისმომცველი კომპეტენციით და ექვემდებარებოდა საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურატურას, რომლის ხელმძღვანელიც ნიშნავდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს 5 წლის ვადით. პროკურატურის სისტემასთან დაკავშირებული ერთ-ერთი საინტერესო მომენტი ის იყო, რომ თუ რაიონისა და ქალაქის პროკურორებს ნიშნავდა აზერბაიჯანის გენერალური პროკური და ამტკიცებდა საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკისა და მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქის პროკურორებს პირდაპირ საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი ნიშნავდა. 1937 წლის კონსტიტუცია ასევე დეტალურად აწესრიგებდა სახელმწიფო სიმბოლოებთან დაკავშირებულ საკითხებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიღების პროცედურასა და საარჩევნო სისტემის საფუძვლებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანის კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში 1937 წლის კონსტიტუციამ პირველად გაითვალისწინა ადამიანის ცალკეულ უფლებათა და მოვალეობათა ჩამონათვალი. აღიარებულ იქნა შრომის, დასვენების, განათლების მიღების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლება, პიროვნებისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლება; სოციალისტური წყობილების დაცვის პირობით. ასევე გარანტირებული იყო სიტყვის, ბეჭდვის, შეკრების, მიტინგისა და დემონსტრაციის თავისუფლება. ცალკე მუხლი ეთმობოდა რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნისა და აღმსარებლობის საკითხებს. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის ძირითად კანონში, განსხვავებით სხვა მოძმე სოციალისტური რესპუბლიკების უმეტესობის კონსტიტუციებისგან, განსაკუთრებით ცალკე იყო ხაზგასმული ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხი. მოქალაქეთა ვალდებულებას წარმოადგენდა კანონმდებლობის დაცვა, საერთო საკუთრების დაცვა, სამხედრო სამსახურის გავლა და სამშობლოს დაცვა. ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობა ნიშნავდა ხალხისა და სამშობლოს მტრობას. კონსტიტუციაში კონკრეტულად იყო განსაზღვრული სამშობლოს ღალატის შემადგენლობა, რომელიც, როგორც უმძიმესი ბოროტმოქმედება, კანონის მთელი სიმკაცრით ისჯებოდა. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის უფლება ჰქონდა აზერბაიჯანის უმაღლეს საბჭოს დეპუტატთა ხმების ორანაკლებ 2/3-ით.

აზერბაიჯანის რიგით მესამე კონსტიტუციის მიღება კვლავ საბჭოთა კავშირის ახალი ძირითადი კანონის დამტკიცებამ გამოიწვია, რომელიც 1977 წლის 7 ოქტომბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე საგანგებო სესიაზე ერთხმად იქნა მხარდაჭერილი. 1977 წლის საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად, რომელსაც იურიდიულ მეცნიერებაში ე.წ. „ბრეჟნევის კონსტიტუციასაც“ უწოდებენ, მოკავ-

შირე საბჭოთა რესპუბლიკებში კონსტიტუციების ახალი ტალღის მასობრივად მიღების პირობებში, 1978 წლის 21 აპრილს აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესმა საბჭომ მიიღო აზერბაიჯანის კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში ბოლო საბჭოთა კონსტიტუცია. ახალი ძირითადი კანონი წინა კონსტიტუციებისგან განსხვავებით შეიცავდა საკმაოდ ვრცელ პრეამბულას მთელი რიგი დეკლარაციული ფორმულირებებით კომუნისტურ პარტიაზე, „მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევ კავშირზე" და მათი ძალისხმევით სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაზე და მასში უკვე აღარ იყო საუბარი პროლეტარიატის დიქტატურაზე.

1978 წლის კონსტიტუციის პირველი თავით, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური სისტემის განმსაზღვრელ დებულებებს ეთმობოდა, მთელი ძალაუფლება ეკუთვნოდა ხალხს. ეს უკანასკნელი მისთვის მინიჭებულ სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებდა სახალხო დეპუტატთა საბჭოების მეშვეობით, რომლებიც ქმნიდნენ სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველს. აზერბაიჯანის კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში პირველად დაფიქსირდა მასში ხალხის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისა და უშუალო დემოკრატიის ისეთი მნიშვნელოვანი ფორმა, როგორიცაა რეფერენდუმი, რომელიც კონსტიტუციის გაგებით წარმოადგენდა საერთო-სახალხო გამოკითხვასა და საერთო-სახალხო კენჭისყრას. ძირითადი კანონი წინა კონსტიტუციების მსგავსად არ აღიარებდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. სახელმწიფოს ორგანიზაცია ემყარებოდა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს – ქვემოდან ზემოთ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს არჩევითობას, მათ ანგარიშვალდებულებას ხალხის წინაშე, ქვემდგომი ორგანოებისათვის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა სავალდებულობას. კონსტიტუციამ ხაზგასმით აღნიშნა კომუნისტური პარტიის წარმმართველი როლი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქვეყნის ეკონომიკის . საფუძვლად კვლავ გამოცხადდა წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება სახელმწიფო (საერთო-სახალხო) და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ფორმით. ამავე დროს ძირითადმა კანონმა გაითვალისწინა კერძო საკუთრების უფლების კვაზი ფორმა მოქალაქეთა ე.წ. პირადი საკუთრების სახით. ამასთან, მკაცრად განსაზღვრა იმ ობიექტების წრე, რომელიც შეიძლება ყოფილიყო პირადი საკუთრების საგანი. მოქალაქეთა უფლებებს კონსტიტუციის ცალკე თავი დაეთმო. განმტკიცდა მოქალაქეთა კანონის წინაშე თანასწორობა მიუხედავად სქესისა და ეროვნებისა. ტრადიციულად პირველ რიგში აღიარებულ იქნა შრომისა და დასვენების უფლებები, განათლების მიღების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, კულტურის მიღწევებით სარგებლობის, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის მიღების, სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირთა საქმიანობის გასაჩივრების, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაერთიანების უფლებები, შემოქმედებითი და სამეცნიერო საქმიანობის თავისუფლება, პოლიტიკური აქტიურობის თავისუფლება, სინდისის თავისუფლება, პიროვნების თავისუფლებისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობა,

მისი პატივისა და ღირსების დაცვის გარანტია. უფლებათა აღიარების პარალელურად მოქალაქეებს დაეკისრათ გარკვეული ვალდებულებები. შრომა განიხილებოდა ერთდროულად უფლებად და ვალდებულებად.

1978 წლის კონსტიტუციამ იურიდიულად განსაზღვრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში გაერთიანების პრინციპები და მისი კავშირიდან გამოსვლის უფლება და წესი. დეტალურად მოწესრიგდა აზერბაიჯანის სსრ-ის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა ჩამონათვალი, ყველა სხვა უფლებამოსილება საკავშირო ხელისუფლების კომპეტენციაში გადავიდა. აზერბაიჯანის სახელმწიფოს შემადგენლობაში უცვლელი სტატუსით, კომპეტენციითა და სახელმწიფო ორგანოთა სისტემით დაფიქსირდა ნახიჭევანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქის არსებობა. აზერბაიჯანის სსრ-ის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ განისაზღვრა უმაღლესი საბჭო, რომლის წევრებიც საარჩევნო ოლქების მიხედვით პირდაპირი არჩევნებით აირჩეოდნენ და მათი უკან გამოწვევა შეიძლებოდა იმპერატიული მანდატის საფუძველზე. უმაღლესი საბჭო ქმნიდა პრეზიდიუმს თავმჯდომარისა და მოადგილეების შემადგენლობით, ასევე დროებით და მუდმივ კომისიებს, და ძირითადად ახორციელებდა საკანონმდებლო და ხელისუფლების სხვა ორგანოთა მაკონტროლებლის ფუნქციებს. მასთან, არსებობდა სახალხო კონტროლის კომიტეტი. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა მინისტრებისა და სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებისგან შემდგარი მინისტრთა საბჭო, რომელსაც ქმნიდა უმაღლესი საბჭო. მინისტრთა საბჭო ასევე ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი იყო მის წინაშე. ადგილობრივ ხელისუფლებას ახორციელებდნენ ადგილობრივი სახალხო დეპუტატთა საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები. სასამართლო ორგანოთა სისტემას ქმნიდა აზერბაიჯანის უმაღლესი სასამართლო, ნახიჭევანის არ-ის უმაღლესი სასამართლო, მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო და რაიონული სახალხო სასამართლოები. აღსანიშნავია, რომ 1978 წლის კონსტიტუციით სასამართლო და პროკურატურის სისტემას არსებითი ცვლილებები არ განუცდია. ახალმა ძირითადმა კანონმა დამატებით გაითვალისწინა სისხლის სამართლის პროცესუალური ხასიათის რამდენიმე ნორმა და აღიარა ბრალდებულის დაცვის უფლება.

ჩამოთვლილი საკითხების გარდა 1978 წლის 21 აპრილის კონსტიტუციის საკმაოდ ვრცელი ტექსტი ასევე შეიცავდა სახელმწიფო ბიუჯეტთან და სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმასთან, საარჩევნო სისტემასთან და სახელმწიფო სიმბოლოებთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელ დებულებებს. ცალკე თავი დაეთმო კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის წესის განსაზღვრას, რომელიც 1937 წლის კონსტიტუციის რედაქციიდან უცვლელად იქნა გადმოტანილი. 1978 წლის ძირითადი კანონი წინამორბედ კონსტიტუციებთან შედარებით სამართლებრივი თვალსაზრისით პროგრესული ხასიათის დოკუმენტი იყო და მან მთელი რიგი არსებითი ცვლილებების შემდეგ 1995 წლამდე იმოქმედა. გასათვალისწინებელია, რომ 1990-იანი წლების შემ-

დეგ მთელი რიგი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობები 1978 წლის კონსტიტუციის კორექტირებულ რედაქციასთან ერთად ძირითადად კონკრეტული კანონებით რეგულირდებოდა.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. აზერბაიჯანის დღეს მოქმედი კონსტიტუცია 1995 წლის 12 ნოემბერს საერთო-სახალხო რეფერენდუმზე იქნა მიღებული და მის მიღებას წინ უსწრებდა იურისტი მეცნიერების, პარლამენტის წევრებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებისგან შემდგარი 35 კაციანი საკონსტიტუციო კომისიის ხანგრძლივი მუშაობა (1995 წლის იანვრიდან) პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის ხელმძღვანელობით.

აზერბაიჯანის ახალმა კონსტიტუციამ დაადგინა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის დეტალური პროცედურა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუ საბჭოთა კონსტიტუციების მოქმედების პირობებში კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის საკმაოდ მარტივი პროცედურა მოქმედებდა, დღეისათვის აზერბაიჯანის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა მნიშვნელოვნადაა გართულებული, რაც აზერბაიჯანის კონსტიტუციას ე.წ. „მყარ კონსტიტუციათა" ჯგუფში აერთიანებს. 13 წლიანი მოქმედების განმავლობაში აზერბაიჯანის კონსტიტუციაში ცვლილებები მხოლოდ ერთხელ 2002 წელს იქნა განხორციელებული.

აზერბაიჯანის კონსტიტუცია განასხვავებს კონსტიტუციის რედაქციის შეცვლის ორ ფორმას კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასა და კონსტიტუციაში დამატებების შეტანას. პირველი შედარებით რთულია და გულისხმობს კონსტიტუციით უკვე დადგენილი ინსტიტუტებისა და სამართლებრივი რეგულაციების შეცვლას, ხოლო მეორე ფორმა არის კონსტიტუციის ძირითადი ტექსტით უკვე დადგენილი ინსტიტუტებისა და სამართლებრივი პრინციპების ფარგლებში გარკვეული ახალი ნორმებისა და რეგულაციების შემოღება, კონსტიტუციით დადგენილი ზოგადი განსაზღვრებების საფუძველზე კონკრეტული სამართლებრივი რეგულირების დაწესება. თუმცა, კონსტიტუციაში დამატების შეტანის თაობაზე კანონპროექტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციის უკვე დადგენილი რედაქციის ნორმებს. კონსტიტუციაში ცვლილებების თაობაზე კანონპროექტი საჭიროებს დამტკიცებას საერთო-სახალხო რეფერენდუმზე, ხოლო დამატებების შეტანის თაობაზე კანონპროექტი მიიღება საკანონმდებლო ორგანოს მიერ. საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე კანონპროექტის ინიცირების უფლება აქვს აზერბაიჯანის პრეზიდენტსა და ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოს – მილი მეჯლისს. საერთო-სახალხო რეფერენდუმზე გატანამდე კანონპროექტი ექსპერტიზას გადის აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სასამართლოში, რომლის წინასწარი დასკვნა სავალდებულოა საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე კანონპროექტისათვის. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია მიიღოს გადაწყვეტილება რეფერენდუმზე უკვე მიღებული საკონსტიტუციო ცვლილების შესახებ. აზერბაიჯანის ძირითადი კანონი სხვა ე.წ. „მყარი კონსტიტუციების" მსგავსად წინასწარ განსაზღვრავს იმ საკითხთა წრეს, რომელთა შეცვლა საკონსტიტუციო ცვლილებების ფარგლებში

აკრძალულია. კერძოდ, კონსტიტუციაში მოცემულია დათქმა იმის თაობაზე, რომ საკონსტიტუციო ცვლილების ფარგლებში დაუშვებელია ხელისუფლების წყაროსა და სახალხო სუვერენიტეტის განმსაზღვრელ ნორმებში ცვლილების შეტანა, ასევე მე-6 მუხლის – ხელისუფლების უზურპაციის აკრძალვა, მე-7 მუხლის (აზერბაიჯანის სახელმწიფო), მე-8 მუხლის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი) და 21-ე მუხლის (აზერბაიჯანის სახელმწიფო ენა) შეცვლა. ამასთანავე, კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტი არ უნდა შეიცავდეს ისეთ ნორმებს, რომლებიც გააუარესებს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სამართლებრივ რეჟიმს. ყველა ზემოაღნიშნული კომპონენტი ერთობლიობაში მნიშვნელოვნად ართულებს კონსტიტუციის გადასინჯვის შესაძლებლობას და ქმნის მისი სტაბილური მოქმედების გარანტიას. თუმცა ამ შემაკავებელ კომპონენტებში ყველაზე არსებითი მაინც რეფერენდუმის მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ძირითადი კანონის ტექსტის ცვლილებას მოქალაქეთა უმრავლესობის ნებით ეროვნული კონსენსუსის გზით.

სწორედ ასეთი წესით იქნა შეტანილი ცვლილებები აზერბაიჯანის მოქმედ კონსტიტუციაში ჯერჯერობით ერთხელ – 2002 წლის 24 აგვისტოს გამართულ რეფერენდუმზე. საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე კანონპროექტი ინიცირებული იყო პრეზიდენტის მიერ და საკმაოდ მასშტაბურ ხასიათს ატარებდა – მთლიანობაში 40-მდე საკითხს მოიცავდა. თუმცა თანამედროვე გადმოსახედიდან რიგ მეცნიერთა და ანალიტიკოსთა მოსაზრებით საკონსტიტუციო ცვლილებები განპირობებული იყო არა იმდენად კონსტიტუციის ტექსტის სრულყოფის ან მოდერნიზაციის ან რომელიმე ცალკეულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ რეგულაციაში ხარვეზის აღმოფხვრისა და მისი დახვეწის აუცილებლობით, არამედ კონკრეტული პოლიტიკური ვითარებით. 2002 წლის საკონსტიტუციო ცვლილების ძირითადი სამართლებრივი დატვირთვა მდგომარეობდა პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას მის უფლება-მოვალეობათა დროებით შესრულებასთან დაკავშირებული 104-ე და 105-ე მუხლებით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმის ახლებურ გადაწყვეტაში. კერძოდ, 2002 წლის ცვლილებამდე აზერბაიჯანის კონსტიტუცია ითვალისწინებდა ნორმას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს მეთაურის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას მის უფლება-მოვალეობებს ახორციელებდა მილი მეჯლისის თავმჯდომარე. ასეთი რეგულირება, როდესაც პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას მის ფუნქციებს გარკვეული შეზღუდვებით ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ან მისი ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარე ასრულებს, ტრადიციულია დღეისათვის მოქმედი დემოკრატიული და ნახევრადდემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციების აბსოლუტური უმრავლესობისათვის. 2002 წლის ცვლილების შედეგად შემოღებულ იქნა წესი, რომლის თანახმადაც აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა გარემოების გამო უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მას შეუწყდება უფლე-

ბამოსილება და ამ ფაქტის დადგომიდან სამი თვის ვადაში გაიმართება პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები, ხოლო ამ ვადის განმავლობაში პრეზიდენტის ფუნქციებს პრემიერ-მინისტრი შეასრულებს. მილი მეჯლისის თავმჯდომარე ამ პროცესში მხოლოდ იმ შემთხვევაში ერთვება თუ პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტის მოვალეობათა შესრულებისას გადადგება თანამდებობიდან ან ჯანმრთელობის მდგომარეობა არ მისცემს მას აღნიშნულ მოვალეობათა შესრულების შესაძლებლობას. საქმე იმაშია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების დროისათვის მნიშვნელოვნად იყო გაუარესებული აზერბაიჯანის იმდროინდელი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ძირითადი გათვლა მიმართული იყო საჭიროების შემთხვევაში ექსტრაორდინალურ პირობებში ხელისუფლების ცვლილებისას სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, რისი გამოცდილებაც მანამდე აზერბაიჯანში არ არსებობდა. პარლამენტის თავმჯდომარისაგან განსხვავებით პრეზიდენტის მიერ დანიშნული პრემიერ-მინიტრის მიერ, რომელიც უკვე ფლობდა აღმასრულებელ კომპეტენციასა და სახელმწიფო მმართველობის რეალურ ბერკეტებს, რიგგარეშე არჩევნებამდე სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციის განხორციელებას უნდა უზრუნველეყო ქვეყნის ეფექტური მართვა, პოლიტიკური კურსის უცვლელობა და სახელმწიფო ხელისუფლების სტაბილური გადაცემა, როგორც ეს შემდეგში განხორციელდა კიდევაც 2003 წლის შემოდგომაზე ილჰამ ალიევის პრემიერ-მინისტრობის პირობებში.

რაც შეეხება აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატებების შეტანის პროცესს. ასეთი კანონპროექტის ინიცირების უფლება აქვს აზერბაიჯანის მილი მეჯლისის არანაკლებ 63 დეპუტატს – სრული შემადგენლობის უმრავლესობას. დამატების შეტანა მართალია ცალკე კონსტიტუციური კანონის მიღების გზით ხდება, მაგრამ იგი კონსტიტუციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. კანონპროექტი განიხილება და მიიღება ორი მოსმენით. გადაწყვეტილება მიიღება მილი მეჯლისის არანაკლებ 95 დეპუტატის – ორი-მესამედის მხარდაჭერის შემთხვევაში. როგორც პირველი ისე მეორე მოსმენით მიღების შემდეგ კანონპროექტი ხელმოწერისათვის ეგზავნება პრეზიდენტს. კონსტიტუციაში დამატების შეტანის თაობაზე კანონპროექტი ძალაში შედის მეორე კენჭისყრით მიღების შემდეგ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერისთანავე. დამატების შეტანის თაობაზე კანონპროექტი არ შეიძლება შეეხოს კონსტიტუციის პირველი განყოფილებით გათვალისწინებულ ხალხის მიერ ხელისუფლების განხორციელებისა და სახელმწიფოს საფუძვლების განმსაზღვრელ ნორმებს. საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების გამოცდილებისგან განსხვავებით პრაქტიკაში კონსტიტუციაში დამატების შეტანის პრეცედენტი ჯერჯერობით არ არსებობს. ყველა შემთხვევაში აზერბაიჯანის კონსტიტუციის ტექსტის შეცვლის ასეთი ორი განსხვავებული წესის არსებობა, სხვა პროცედურულ ნიუანსებთან ერთად აზერბაიჯანის კონსტიტუციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს. კონსტიტუციის კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ იგი ოფიციალურად უშვებს არა მხოლოდ კონსტიტუციის ტექსტში ცვლილების ან დამატების შეტანას, არამედ ითვალისწინებს

რეფერენდუმის გზით ახალი კონსტიტუციის მიღების იურიდიულ შესაძლებლობასაც.

კონსტიტუციის ანალიზი. აზერბაიჯანის 1995 წლის კონსტიტუციის ვრცელი ტექსტი პრეამბულისა და 158 მუხლისგან შედგება და საკმაოდ რთული სტრუქტურით ხასიათდება. კონსტიტუციის ძირითადი დებულებები იყოფა ხუთ განყოფილებად. თითოეული განყოფილება ერთ ან, იშვიათად, რამდენიმე თავს აერთიანებს. ძირითადი კანონის ტექსტის შემადგენლობაში ცალკე ადგილი ეთმობა გარდამავალ დებულებებს, რომლებიც არც ერთ განყოფილებაში არ შედის და კონსტიტუციის ტექსტის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებით არც მუხლებად იყოფა. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით რთულია თავად კონსტიტუციის ძირითადი ტექსტის მუხლების სტრუქტურაც: მუხლი იყოფა ნაწილებად, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა პუნქტებად, ხოლო პუნქტები — ქვეპუნქტებად.

კონსტიტუციის პრეამბულაში ძირითადი ადგილი თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის პირობებში აზერბაიჯანელი ხალხის მიზნების გაცხადებას ეთმობა. პრეამბულას ლოგიკურად მოსდევს პირველი თავი „ხალხის ხელისუფლება", რომლის პირველი მუხლი — ხელისუფლების წყარო განსაზღვრავს აზერბაიჯანელი ხალხის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი წყაროს, არსსა და შემადგენლობას.

კონსტიტუციის პირველი განყოფილება ასევე ადგენს ხალხის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ფორმებსა და აზერბაიჯანის სახელმწიფოს არსს, განსაზღვრავს თანამედროვე აზერბაიჯანის სახელმწიფოსათვის ყველაზე პრინციპულ საკითხებს: სახელმწიფოს უზენაესი მიზანი, სახელმწიფოს მეთაური, შეიარაღებული ძალები, სახელმწიფოს ტერიტორია, ბუნებრივი რესურსები, საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპები, საკუთრება, სახელმწიფო და ეკონომიკური განვითარება, სახელმწიფო და სოციალური განვითარება, ოჯახი და სახელმწიფო, რელიგია და სახელმწიფო, ფულის ერთეული, სახელმწიფო ენა, დედაქალაქი და სახელმწიფო სიმბოლოები. აზერბაიჯანის კონსტიტუციის თანახმად აზერბაიჯანელი ხალხი თავის სუვერენიტეტს ახორციელებს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების გზით არჩეული თავისი წარმომადგენლების (პრეზიდენტისა და მილი მეჯლისის წევრების) მეშვეობით, ასევე უშუალო დემოკრატიის ფორმის — რეფერენდუმის გზით. კონსტიტუცია ამომწურავად ადგენს, ერთი მხრივ, იმ საკითხთა ჩამონათვალს, რომელთა გადაწყვეტაც მხოლოდ რეფერენდუმის გზითაა შესაძლებელი (აზერბაიჯანის კონსტიტუციის მიღება ან მასში ცვლილების შეტანა, აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრების შეცვლა) და, მეორე მხრივ, იმ საკითხებს რომელთა გადაწყვეტა რეფერენდუმის გზით დაუშვებელია (გადასახადები და სახელმწიფო ბიუჯეტი, ამნისტია და შეწყალება, თანამდებობის პირთა არჩევა, დანიშვნა ან დამტკიცება). ყველა სხვა შემთხვევაში აზერბაიჯანელი ხალხის სუვერენული უფლებაა

საჭიროებისამებრ რეფერენდუმის გზით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც მის ინტერესებსა და უფლებებს შეეხება.

კონსტიტუციის მე-6 მუხლი კრძალავს ხელისუფლების უზურპაციას ნებისმიერი პირის, პირთა ჯგუფის, სოციალური ჯგუფის ან ორგანიზაციის მიერ და ასეთ აქტს ხალხის წინაშე მიმართულ უმძიმეს დანაშაულად აცხადებს, ხოლო მე-20 მუხლით დადგენილია, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკა არ არის პასუხისმგებელი იმ ვალების გადახდაზე, რომლებიც აღებულ იქნა შეიარაღებული აჯანყების ან აზერბაიჯანის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების მხარდასაჭერად. კონსტიტუციის ტექსტში ამგვარი, გარკვეულად თავისებური ხასიათის ჩანაწერების არსებობა, რომელიც შემდეგ მუხლებშიც რამდენჯერმეა ხაზგასმული, ერთი შეხედვით შეიძლება გაკვირვებული იყოს, მაგრამ რეალურად ეს განპირობებულია აზერბაიჯანში 1990-იან წლებში კონსტიტუციის მიღებამდე განვითარებული მოვლენებით, როდესაც ადგილი ჰქონდა არაკანონიერი მეთოდებით და მათ შორის შეიარაღებული აჯანყების გზით სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდების მცდელობას.

კონსტიტუციის თანახმად აზერბაიჯანი არის დემოკრატიული, სამართლებრივი, საერო და უნიტარული რესპუბლიკა, რომლის სუვერენიტეტი საშინაო საკითხებში განისაზღვრება ქვეყნის კანონმდებლობით, ხოლო საერთაშორისო საკითხებში – საერთაშორისო ხელშეკრულებებით. აზერბაიჯანის 1995 წლის ძირითადი კანონი წინამორბედი კონსტიტუციებისგან განსხვავებით აღიარებს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. სახელმწიფო ხელისუფლება შემდეგი წესით გადანაწილდება: საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს – აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისს, აღმასრულებელი ხელისუფლება – პრეზიდენტს, ხოლო სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება სასამართლო ორგანოების მიერ. ამასთანავე, კონსტიტუციის ცალკე მუხლი ეთმობა პრეზიდენტის როგორც სახელმწიფოს მეთაურის სტატუსის განსაზღვრას. პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური წარმოადგენს სახელმწიფოს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში, განასახიერებს ხალხის ერთიანობასა და უზრუნველყოფს აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობის მემკვიდრეობას. იგი არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი და აზერბაიჯანის სახელით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულებისა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტი. პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი კონსტიტუციის განსაკუთრებული დამოკიდებულება, რაც მის ასეთ წინა პლანზე წამოწევაშიც ნათლად ვლინდება, განაპირობებს პრეზიდენტის მნიშვნელოვან ადგილს სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში და აზერბაიჯანის სახელმწიფოს ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის ფორმაზე მიუთითებს.

კონსტიტუციის მეორე განყოფილება მოქალაქეთა უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრას ეთმობა. ეს ფაქტიც ერთ-ერთი ნიშანია იმისა, რომ აზერბაიჯანის კონსტიტუცია ე.წ. „ახალი ტალღის კონსტიტუციათა“ ჯგუფს მიეკუთვნება. კონსტიტუციის თანახმად ყველა პირი დაბადებიდან აღჭურვილია ხელშეუხებე-

ლი, წარუვალი და დაურღვეველი უფლებებითა და თავისუფლებებით. ამასთან, კონსტიტუცია მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს მოქალაქეთა ვალდებულებებთან ურთიერთკავშირში ერთიანი კომპლექტის სახით განიხილავს და აცხადებს, რომ უფლებები და თავისუფლებები თავის თავში მოიცავს პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს საზოგადოებისა და სხვა პირთა წინაშე. კონსტიტუცია აღიარებს კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის უფლებას, ქალისა და მამაკაცის თანასწორობას და სახელმწიფოს ვალდებულებას ყველასათვის უზრუნველყოს თანაბარი უფლებები და თავისუფლებები მიუხედავად რასისა, ეროვნებისა, რელიგიისა, ენისა, სქესისა, წარმოშობისა, ქონებრივი ან სოციალური მდგომარეობისა, მრწამსისა და პოლიტიკური პარტიების ან სხვა ორგანიზაციისადმი კუთვნილებისა. დაუშვებელია ადამიანის უფლებათა შეზღუდვა ამ საბაბით. გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა. კონსტიტუცია იცნობს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ შემდეგ უფლებებსა და თავისუფლებებს: სიცოცხლის უფლებას (იმ დათქმით, რომ დასაშვებია შეიარაღებული შეტაკების შედეგად მტრის ჯარისკაცის მოკვლა ან სიკვდილით დასჯის აღსრულება სასამართლოს გადაწყვეტილებით[1]), ქორწინების, შრომის, გაფიცვის, დასვენების, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ბუნებრივ პირობებში ცხოვრების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საცხოვრებლის, ეროვნული კუთვნილების, მშობლიური ენის გამოყენების, პატივისა და ღირსების დაცვის, მოქალაქეობის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის, საარჩევნო, სახელმწიფო ორგანოთათვის მიმართვის, გაერთიანების, პოლიტიკური თავშესაფრის, თავისუფალი წარმოების, სამართლებრივი დახმარების მიღების უფლებას (ამასთან, სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება უზრუნველყოს უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება), სასამართლოსათვის განმეორებით მიმართვის უფლებას, აზრისა და სიტყვის, რწმენის, შეკრების, ინფორმაციის, შემოქმედების თავისუფლებას. აზერბაიჯანის კონსტიტუცია ცალკე ყურადღებას უთმობს სისხლის სამართლის პროცესუალური ხასიათის რამდენიმე უფლებას: სასამართლოს იურისდიქციის შეცვლის დაუშვებლობას, ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით გასამართლების დაუშვებლობის, ნათესავების წინააღმდეგ ჩვენების მიცემის დაუშვებლობის, დაკავებულთა, დაპატიმრებულთა და ბრალდებულთა უფლებების დაცვის გარანტიას, და რაც მთავარია - უდანაშაულობის პრეზუმფციას, რომლის აზერბაიჯანული გაგებაც თავის თავში უდანაშაულობის პრეზუმფციის კლასიკურ გაგებასთან ერთად მოიცავს რამდენიმე დამატებით გარანტიას, მაგალითად, დათქმას მართლმსაჯულების განხორციელებისას კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენების დაუშვებლობის თაობაზე და ა.შ.

---

[1] სიკვდილით დასჯა ოფიციალურად გაუქმებულია სისხლის სამართლის კოდექსით.

აზერბაიჯანის კონსტიტუცია ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივ მდგომარეობას ადამიანის უფლებათა და ვალდებულებათა ნაწილში უთანაბრებს აზერბაიჯანის მოქალაქეთა სამართლებრივ მდგომარეობას, გარდა კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი გმონაკლისებისა, რომლებიც ძირითადად პოლიტიკური ხასიათის უფლებებთან და ვალდებულებებთან არის დაკავშირებული. კონსტიტუცია ცალკე მუხლად აყალიბებს იმ დათქმებს, რომლებიც მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფისკენ არის მიმართული. ამ ნორმის თანახმად კონსტიტუციაში მითითებულ უფლებებს აქვს უშუალო მოქმედების ძალა და საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები თანაბრად არიან ვალდებული მათ შესრულებაზე. მხოლოდ ომის, სამხედრო წესების ან საგანგებო მდგომარეობის ან მობილიზაციის მოქმედებისას დაიშვება ადამიანის უფლებათა დროებითი ან ნაწილობრივი შეზღუდვა, რომლის შესახებაც მოსახლეობას წინასწარ უნდა ეცნობოს. ამ პირობებშიც კი დაუშვებელია ვინმეს იძულება მიიღოს რელიგიური ან სხვა სწავლება ან შეხედულება და გახდეს მისი მიმდევარი. ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული დავა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ სასამართლო გზით და კონსტიტუციის რომელიმე დებულების განმარტება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა გაუქმების მიმართულებით დაუშვებელია.

აზერბაიჯანის მოქალაქეთა ვალდებულებებს შეადგენს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დაცვა, სამშობლოს დაცვა და სამხედრო სამსახურის გავლა, გადასახადებისა და სხვა სახელმწიფო მოსაკრებლების გადახდა, სხელმწიფო სიმბოლოების პატივისცემა, ისტორიულ და კულტურულ ძეგლთა დაცვა და გარემო პირობების დაცვა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ისეთი ვალდებულება როგორიცაა სამშობლოსადმი ერთგულება. ამ ცნების ქვეშ კონსტიტუცია გულისხმობს საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა თანამდებობის პირების მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეობათა ჯეროვან და კეთილსინდისიერ შესრულებას. ყველა აღნიშნული თანამდებობის პირი ჩაითვლება თანამდებობიდან გადაყენებულად და ვეღარ დაიკავებს სახელმწიფო თანამდებობას თუ მას ბრალი დაედო სახელმწიფო დანაშაულში, მათ შორის სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების ან შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების ჩადენაში, და ამისათვის მსჯავრი დაედო სასამართლოს მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ 1995 წლის კონსტიტუციის ავტორებმა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მომწესრიგებელი ნორმების შემუშავებისას ყურადღებით გაითვალისწინეს როგორც იმ დროისათვის კონსტიტუციონალიზმის სფეროში წამყვანი დემოკრატიული ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება, ისე აზერბაიჯანის 1978 წლის საბჭოთა კონსტიტუციის ადამიანის უფლებების სფეროსთან დაკავშირებული ნორმების ცალკეული ასპექტები და შეიძლება ითქვას, აზერბაიჯანის დღეს მოქმედი კონსტიტუციის მეორე განყოფილება ამ ორი მიდგომის კომპლექსური გააზრების საფუძველზე შეიქმნა. მართალია გადამწყვეტი გავლენა დასავლურმა დემოკრატიულმა გამოცდილებამ იქონია, მაგრამ აზერბაიჯანის

კონსტიტუციის ტექსტში როგორც უფლებების, ისე ვალდებულებების ნაწილში არც თუ ისე ძნელი შესამჩნევია საბჭოთა კონსტიტუციის გავლენის ცალკეული დეტალები.

კონსტიტუციის მესამე განყოფილება ეძღვნება სახელმწიფო ხელისუფლების არსსა და განხორციელების ფორმებს. მისი ცალ-ცალკე თავები ეთმობა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, ასევე ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს. აზერბაიჯანის საკანონმდებლო ორგანო, ერთპალატიანი მილი მეჯლისი შედგება 125 დეპუტატისგან, რომლებიც აირჩევიან მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნებით 5 წლის ვადით. მილი მეჯლისის დეპუტატებად აირჩევიან 25 წლის ასაკს მიღწეული ქმედუნარიანი აზერბაიჯანის მოქალაქეები. სასამართლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში დასაქმებული პირები, რელიგიური მოღვაწეები და ორმაგი მოქალაქეობის მქონე ან სხვა სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების მქონე პირების არჩევა დაუშვებელია. დეპუტატები სარგებლობენ იმუნიტეტით, ინდემნიტეტითა და თავისუფალი მანდატით, რომელიც შეუთავსებელია სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისა.

საკანონმდებლო ორგანო თავად განსაზღვრავს მისი ორგანიზაციის წესს, ირჩევს თავმჯდომარეს, მოადგილეებს, ქმნის მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს, ასევე სახელმწიფო ფინანსებზე კონტროლის განმახორციელებელ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს — საანგარიშო პალატას.

საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოს კომპეტენცია პირობითად ორ ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება საკითხები, რომლებზეც აზერბაიჯანის პარლამენტმა უნდა დაადგინოს მარეგულირებელი ნორმები საკანონმდებლო უფლებამოსილების განხორციელების გზით კანონმდებლის ფუნქციის ფარგლებში, ხოლო მეორე ჯგუფში შედის საკითხები, რომლებიც მილი მეჯლისის გამგებლობაშია და მისი უშუალო გადაწყვეტილებით გადაწყდება. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუცია ამ საკითხების ამომწურავ ჩამონათვალს არ ადგენს და ასეთი საკითხების დამატებით კონსტიტუციური კანონით დადგენის იურიდიულ შესაძლებლობასაც აღიარებს.

საკანონმდებლო პროცესი აზერბაიჯანში იწყება მილი მეჯლისის დეპუტატის, ქვეყნის პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს, გენერალური პროკურატურის ან ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისის მიერ მილი მეჯლისში კანონპროექტის შეტანით. ამასთანავე, პარლამენტი უფლებამოსილია ან გაიზიაროს შემოთავაზებული კანონპროექტი იმ სახით რა სახითაც იქნა წარმოდგენილი ან უარყოს. ამ პროექტებში ცვლილების შეტანა დაიშვება მხოლოდ ინიციატორის თანხმობით. მიღების შემდეგ კანონპროექტები ჩვეულებრივ 14 დღის ვადაში, ხოლო სასწრაფოდ მიჩნეული კანონპროექტები 24 საათის განმავლობაში გადაეცემა პრეზიდენტს ხელმოსაწერად, რომელსაც, თავის მხრივ, 56 დღიანი ვადა აქვს კანონის ხელმოწერისა და გამოქვეყნებისთვის.

რაც შეეხება მილი მეჯლისის უშუალო კომპეტენციაში შემავალ საკითხებს, ესენია: პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობების დაფუძნება, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირება და დენონსირება, სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და მისი შესრულების კონტროლი, ადამიანის უფლებათა დამცველის არჩევა, აზერბაიჯანის სამხედრო დოქტრინის დამტკიცება, საკონსტიტუციო, უზენაესი და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება, პრეზიდენტისათვის ქვეყნის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემა, გენერალური პროკურორის დანიშვნასა და გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემა, მინისტრთა კაბინეტისათვის ნდობის გამოცხადება, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელისა და მმართველი საბჭოს წევრების დანიშვნა, პრეზიდენტისათვის შეიარაღებული ძალების გამოყენებასა და ომისა და ზავის გამოცხადებაზე თანხმობის მიცემა, რეფერენდუმის დანიშვნა, ამნისტიის გამოცხადება, პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება. ამ საკითხთა წრე ამომწურავი არ არის და მათი გაერცობა შესაძლებელია კონსტიტუციაში დამატების შეტანის თაობაზე კონსტიტუციური კანონპროექტით.

მილი მეჯლისის კომპეტენციისათვის დამახასიათებელი ერთი საინტერესო თავისებურება ის არის, რომ პარლამენტი, გარდა წმინდა საკანონმდებლო ფუნქციისა, ქვეყნის პოლიტიკის განსაზღვრასა და სახელმწიფო მმართველობის განხორციელებასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებათა თითქმის 90%-ზე მეტს ახორციელებს მხოლოდ პრეზიდენტის წარდგინებისა და მიმართვის საფუძველზე ან მისი კომპეტენცია პრეზიდენტისათვის ამა თუ იმ საკითხზე თანხმობის მიცემით შემოიფარგლება. ურთიერთდამოკიდებულების ასეთი სისტემა უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას ხელისუფლების ორი უმნიშვნელოვანესი შტოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთბალანსისა და თანამშრომლობის მაღალ დონეს და მნიშვნელოვან კონსოლიდაციას. მართალია არადათხოვნადი პარლამენტის პირობებში ეს სისტემა არცთუ ისე მოქნილია, მაგრამ, მეორე მხრივ, აღსანიშნავია მისი ეფექტურობა პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის ასეთი დიდი ურთიერთდამოკიდებულების გამო მუდმივად თუ არა ძირითად საკითხებზე მაინც კონსენსუსის აუცილებლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი, რომელიც ამ მიზნით ქმნის მინისტრთა კაბინეტს. პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრს ნიშნავს პარლამენტის თანხმობით, ხოლო მინისტრებს — დამოუკიდებლად. თუ მილი მეჯლისი ზედიზედ სამჯერ არ დაეთანხმება პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურაზე, პრეზიდენტი უფლებამოსილია იგი თანამდებობაზე დანიშნოს მილი მეჯლისის თანხმობის გარეშე. აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტი მთლიანად ანგარიშვალდებულია და უფლებამოსილებას იხსნის პრეზიდენტის წინაშე. მისი კომპეტენცია ძირითადად მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებას და დამტკიცების შემთხვევაში მის აღსრულებას, უზრუნველყოფს სა-

ხელმწიფო ეკონომიკური და სოციალური პროგრამების განხორციელებას და ხელმძღვანელობს აღმასრულებელ ორგანოთა საქმიანობას. მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციაშია ასევე ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელება, რაც ერთ-ერთ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს, რადგან, როგორც წესი, აღნიშნული ფუნქცია სხვა ქვეყნებში სახელმწიფოს მთავარ საბანკო დაწესებულებას აკისრია. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მინისტრთა კაბინეტი არ ფლობს არანაირ კომპეტენციას საგარეო ურთიერთობათა, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში და ეს საკითხები მთლიანად პრეზიდენტის კომპეტენციაშია, რომელსაც ამ და სხვა საკითხებზე მთავრობისათვის უფლებამოსილებათა დელეგირებაც შეუძლია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურის ზოგად უფლებამოსილებებთან ერთად ფლობს მნიშვნელოვან აღმასრულებელ კომპეტენციასაც, რაც ქვეყნის ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობის ფორმაზე კიდევ ერთხელ მიუთითებს. კერძოდ, აზერბაიჯანის პრეზიდენტის უფლებამოსილებები ზემოთ ჩამოთვლილის გარდა მოიცავს ასევე: მილი მეჯლისის არჩევნების დანიშვნას, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პარლამენტისათვის წარდგენასა და ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური პროგრამების დამტკიცებას, საჭიროების შემთხვევაში მინისტრთა კაბინეტის სხდომების თავმჯდომარეობას, მინისტრთა კაბინეტის გადაყენებას, ცენტრალურ და ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოთა შექმნას, შეიარაღებული ძალების უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის დანიშვნას, საკუთარი აღმასრულებელი აპარატის შექმნასა და მისი ხელმძღვანელის დანიშვნას, მინისტრებისა და ქვემდგომი თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების გაუქმებას, უშიშროების საბჭოს შექმნას, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადებას, სხვა ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენელთაგან რწმუნებათა სიგელების მიღებას, კანონების ხელმოწერასა და გამოქვეყნებას, უმაღლეს სახელმწიფო და სპეციალურ წოდებათა მინიჭებას, რეფერენდუმის დანიშვნას, შეწყალების უფლებას, საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადებას, ომისა და ზავის საკითხების გადაწყვეტას (მილი მეჯლისის თანხმობით), მობილიზაციის გამოცხადებას და ა.შ.

პრეზიდენტი აღჭურვილია „სუსპენზიური ვეტოს“ უფლებით. იგი ხელს აწერს ან აქვეყნებს კანონს ან ვეტოს ადებს მას. თუმცა მილი მეჯლისი უფლებამოსილია არანაკლებ ხმათა ორი მესამედით დაძლიოს იგი. პრეზიდენტის კომპეტენციასთან დაკავშირებით ყველაზე საინტერესოა კონსტიტუციაში არსებული დათქმა იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტი აღმასრულებელი წესით გადაწყვეტილებას იღებს ყველა სხვა საკითხზე, რომელიც კონსტიტუციით არ მიეკუთვნება მილი მეჯლისის ან სასამართლო ორგანოთა კომპეტენციას. იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანის კონსტიტუცია ზოგადი ხასიათის უფლებების დადგენით არცთუ ისე ამომწურავად განსაზღვრავს მილი მეჯლისისა და სასამართლო ორგანოთა კომპეტენციას, პრეზიდენტის გამგებლობაში ექცევა ე.წ. „ნარჩენი კომპეტენციის“ დიდი ნაწილი, რაც მას სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუტად აქცევს.

პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნებით 5 წლის ვადით და მისი ხელმეორედ აირჩევა დაიშვება მხოლოდ ერთხელ. იგი აირჩევა საკმაოდ მაღალი ქვორუმით – არჩევნებში მონაწილეთა ხმების 2/3-ით. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს 35 წლის ასაკს მიღწეული აზერბაიჯანის მოქალაქე, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოვრია 10 წელი მაინც, არ ყოფილა ნასამართლეები, არ აქვს ორმაგი მოქალაქეობა ან რაიმე ვალდებულებები სხვა სახლმწიფოს წინაშე და აქვს უმაღლესი განათლება. კონსტიტუციის ერთი თავისებურება ის არის, რომ პრეზიდენტის, მილი მეჯლისის წევრებისა და მოსამართლეთა გარდა, ძირითადი კანონი კონკრეტულ ცენზებს აწესებს აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებისა და სხვა მოხელეებისთვისაც. პრეზიდენტი ხელშეუხებელია, თუმცა მისი თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება იმპიჩმენტის წესით მის მიერ მხოლოდ მძიმე დანაშაულის ჩადენისას. კონსტიტუციის დარღვევა არ წარმოადგენს იმპიჩმენტის საფუძველს. იმპიჩმენტის პროცესი საკმაოდ თავისებურია. საკითხის აღძვრის უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს უზენაესი სასამართლოს დასკვნის საფუძველზე, ხოლო გადაწყვეტილებას იმპიჩმენტის თაობაზე იღებს მილი მეჯლისი არანაკლებ ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით. მილი მეჯლისის გადაწყვეტილება შემდეგში ხელახლა უნდა დაადასტუროს საკონსტიტუციო სასამართლომ.

სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სასამართლო, უზენაესი სასამართლო, სააპელაციო სასამართლოები და საერთო და სპეციალური სასამართლოები. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო, სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების გზით, აგრეთვე კანონით დადგენილი სხვა ფორმებით. მოსამართლეებად ინიშნებიან 30 წლის ასაკს მიღწეული აზერბაიჯანის მოქალაქეები უმაღლესი იურიდიული განათლებით და არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილებით. საკონსტიტიუციო სასამართლოსა და ზედა დონის სასამართლოების მოსამართლეები ინიშნებიან მილი მეჯლისის მიერ პრეზიდენტის წარდგინებით, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოებისა და სპეციალური სასამართლოების მოსამართლეები პრეზიდენტის მიერ. მოსამართლეები ხელშეუხებელნი არიან და კონსტიტუცია უზრუნველყოფს მათი სრული დამოუკიდებლობის გარანტიებს. თუმცა მილი მეჯლისი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები არანაკლებ 83 ხმით, ხოლო სხვა მოსამართლეები 63 ხმით, რაც ასევე კონსტიტუციის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს.

აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციის ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი მუხლი ეთმობა. მისი 9 წევრიანი შემადგენლობა პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე აირჩევა მილი მეჯლისის მიერ. კონსტიტუცია დეტალურად განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას, რომელიც სხვადასხვა სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენისა და ხელისუფლების ორგანოთა შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხებზე წამოჭრილი დავის გადაწყვეტის უფლებამოსილებებთან ერთად

ითვალისწინებს სხვადასხვა თანამდებობის პირთა უფლებამოსილების ცნობისა და შეწყვეტის, სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე იურიდიული ფაქტების დადგენის, ასევე პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესში აქტიური მონაწილეობის, დარღვეული ადამიანის უფლებების საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით აღდგენის საკითხთა განხილვას. კონსტიტუცია ასევე განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოების სტატუსსა და კომპეტენციას, ადგენს პროკურატურის სტატუსსა და ფუნქციებს. პროკურატურა სხვა უფლებებთან ერთად აღჭურვილია კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის ზოგადი უფლებით და ცენტრალიზებულ სისტემას წარმოადგენს. გენერალური პროკურორის მოადგილეები და ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ გენერალური პროკურორის წარდგინებით, ხოლო ყველა სხვა პროკურორი ინიშნება გენერალური პროკურორის მიერ პრეზიდენტის თანხმობით. პროკურატურის თანამდებობის პირთა დანიშვნის ასეთი წესი უზრუნველყოფს ამ ორგანოებზე პრეზიდენტის გავლენის განმტკიცებას.

კონსტიტუციის ცალკე თავი ეთმობა ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსისა და სახელმწიფო ორგანოთა სისტემის განსაზღვრას. კონსტიტუციის თანახმად ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკა არის „ავტონომიური სახელმწიფო" აზერბაიჯანის სახელმწიფოს შემადგენლობაში. გასათვალისწინებელია, რომ ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსსა და სახელმწიფო ორგანოთა ძირითად კომპეტენციასთან დაკავშირებით აზერბაიჯანის 1995 წლის კონსტიტუციამ წინამორბედი 1978 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული სამართლებრივი რეგულირება თითქმის უცვლელად გაიზიარა და მხოლოდ მისი უმნიშვნელო მოდერნიზაციით შემოიფარგლა. ნახიჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღიარებულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპი საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოთა შორის. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირია ალი მეჯლისის (უმაღლესი კრების) თავმჯდომარე. ალი მეჯლისი 45 წევრისგან შედგება და 5 წლის ვადით აირჩევა. მისი არჩევნების წესი, ორგანიზაცია და კომპეტენცია აზერბაიჯანის მილი მეჯლისის მსგავსია, ოღონდ ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბებით. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკა უფლებამოსილია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ისეთი საკითხები, როგორიცაა ადილობრივი ბიუჯეტი, ადგილობრივი სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმები, ადგილობრივი გადასახადები, ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების მიმართულებები, სოციალური უზრუნველყოფა, ბუნებრივი პირობების დაცვა, ტურიზმი, განათლება, მეცნიერება და კულტურა. ამასთან, ქვეყნის პრეზიდენტი უფლებამოსილია მოახდინოს ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებზე გარკვეული კომპეტენციის დელეგირება. ნახიჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მინისტრთა კაბინეტი პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. ნახიჭევანის ალი მეჯლისი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს ქვეყნის პრეზიდენტის წარდგინებით, ხოლო მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას ამტკიცებს. ნახიჭევანის მინისტრთა კაბინეტი აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტის

მსგავსი სტატუსითა და კომპეტენციით სარგებლობს. კონსტიტუცია ნახიჭევანის სასამართლო სისტემაზე დამოუკიდებლად არ საუბრობს და მას აზერბაიჯანის სასამართლო სისტემის ერთიან ფარგლებში განიხილავს.

კონსტიტუციის მეოთხე განყოფილება ადგილობრივ თვითმმართველობას შეეხება, რომელიც არჩევითი კოლეგიური ორგანოების – მუნიციპალიტეტების მიერ ხორციელდება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენცია უნიტარული სახელმწიფოების ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის დამახასიათებელი ისეთი უფლებებისაგან შედგება როგორიცაა, მაგალითად, ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, ადგილობრივი ეკონომიკური და სოციალური გეგმებისა და ბიუჯეტის დამტკიცება, მუნიციპალური საკუთრების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა, ადგილობრივი ეკოლოგიური პროგრამების დამტკიცება და ა.შ. ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები უფლებამოსილნი არიან გარკვეული კონკრეტული უფლებამოსილებები გადასცენ ადგილობრივ ორგანოებს, თუმცა ეს უკანასკნელნი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისას იმყოფებიან ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს კონტროლქვეშ. საინტერესოა ის გარემოება, რომ კონსტიტუცია ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დათხოვნის მექანიზმს არ იცნობს.

კონსტიტუციის მეხუთე განყოფილება – სამართალი და კანონი განსაზღვრავს კანონმდებლობის სისტემას, კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესს. ამ განყოფილებაში დეტალურად არის მოწესრიგებული აზერბაიჯანის ნორმატიული აქტების იერარქია, მათი სტატუსი და იურიდიული ძალა, ნორმათა კოლიზიისას საკითხის გადაწყვეტის წესი. ასევე განსაზღვრულია ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის ძირითადი სამართლებრივი პრინციპები. ცალკე მუხლი ეთმობა საერთაშორისო სამართლის აქტების იურიდიული ძალისა და ნორმათა კოლიზიის საკითხის გადაწყვეტას.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. აზერბაიჯანის რესპუბლიკის 1995 წლის ძირითადი კანონი, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. „ახალი ტალღის" კონსტიტუციებისათვის ნიშანდობლივ ბევრ დეტალსა და კონსტიტუციონალიზმის გამოცდილებიდან მთელ რიგ ტრადიციულ ინსტიტუტსა და მიდგომას ითვალისწინებს, მაინც შეიცავს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ გარკვეულ თავისებურებებს, რაც ძირითადად სახელმწიფო ინსტიტუტებთან და პრეზიდენტის როლის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული. ასეთ განსაკუთრებულ თავისებურებებს შეიძლება მივაკუთნოთ:

– აზერბაიჯანი მართალია შერეული მმართველობის მქონე ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება, ძლიერი პრეზიდენტით სათავეში, მაგრამ მას ამასთან გააჩნია გარკვეული თავისებურებებიც, მაგალითად, პრეზიდენტს არ შეუძლია პარლამენტის დათხოვნა, რაც სხვა არც ერთ ამგვარი ფორმის რესპუბლიკაში არ გვხვდება;

– საკანონმდებლო ორგანო აირჩევა მხოლოდ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით; პარლამენტი თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის პრეზიდენტზე რადგან თითქმის ყველა მნიშვნელოვან უფლებამოსილებას იგი პრეზიდენტის წარდგინების ან ინიციატივის საფუძველზე ახორციელებს ან კონკრეტული საკანონმდებლო უფლების რეალიზაცია მიბმულია პრეზიდენტის მოქმედებაზე;

– მართალია, პარლამენტი დამოუკიდებელია საკანონმდებლო უფლებამოსილების განხორციელებისას, მაგრამ პრეზიდენტისათვის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მინიჭება, კანონის ხელმოწერის 56 დღიანი ვადა და სუსპენზიური ვეტოს უფლება მას პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების იურიდიულ საშუალებას აძლევს;

– პრეზიდენტი ფართო უფლებებით სარგებლობს და მის გამგებლობაში ექცევა კონსტიტუციის დებულებებით გაუთვალისწინებელი „ნარჩენი" კომპეტენციაც, რაც სახელმწიფო მეთაურის ფუნქციებთან ერთად მას მნიშვნელოვანი აღმასრულებელი და განმკარგულებელი კომპეტენციით აღჭურავს და სახელმწიფოს მართვის საქმეში ფართო დისკრეციას ანიჭებს;

– პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით გადაყენება სასამართლო ხელისუფლების ყველა ორგანოსა და პარლამენტის სრულ კონსენსუსს საჭიროებს, ამასთანავე, პარლამენტი ამ პროცესში პასიური ორგანოა და იმპიჩმენტის პროცესის როგორც დაწყება ისე დასრულება საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივაა; ამასთან, იმპიჩმენტი ერცელდება მხოლოდ მძიმე დანაშაულის ჩადენაზე;

– მინისტრთა კაბინეტი, მიუხედავად იმისა, რომ უფლებამოსილების განსახორციელებლად პარლამენტის მიერ ნდობის გამოცხადებას საჭიროებს და პრემიერ-მინისტრიც პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ორგანოს თანხმობით ინიშნება, არ არის ანგარიშვალდებული პარლამენტის წინაშე და მილი მეჯლისს მინისტრთა კაბინეტის საქმიანობაზე არანაირი ზემოქმედების მოხდენა არ შეუძლია, მათ შორის არც ინტერპელაციის, უნდობლობის ვოტუმის, მინისტრის გადაყენების ან იმპიჩმენტის მექანიზმის გამოყენებით; რეალურად პარლამენტს არ აქვს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლისა და პასუხისმგებლობის ბერკეტები;

– მინისტრთა კაბინეტი საკმაოდ სუსტია. იგი არ ფლობს არანაირ კომპეტენციას საგარეო ურთიერთობათა, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში და ეს საკითხები მთლიანად პრეზიდენტის კომპეტენციაშია, რომელსაც ამ და სხვა საკითხებზე მთავრობისათვის უფლებამოსილებათა დელეგირებაც შეუძლია;

– საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების სუბიექტებს, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობით ორგანოს, ისე უზენაეს სასამართლოსა და გენერალურ პროკურატურას;

– კონსტიტუცია გამოირჩევა ცენზების მრავალფეროვნებით. პარლამენტის დეპუტატებად და პრეზიდენტად არ შეიძლება არჩეულ იქნენ ორმაგი მოქალაქეობის მქონე ან სხვა სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების მქონე პირები, ხო-

ლო დეპუტატებად ასევე — რელიგიური მოღვაწეები. პრეზიდენტს მოეთხოვება უმაღლესი განათლება;

— სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია, თუმცა პარლამენტს ნებისმიერი მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების უფლება აქვს;

— პროკურატურა მართალია კონსტიტუციის ტექსტში სასამართლო ხელისუფლების თავშია გაერთიანებული, მაგრამ რეალურად ძლიერ და დამოუკიდებელ ორგანოთა ცენტრალიზებული სისტემაა, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის გავლენის ქვეშაა;

— უნიტარული სახელმწიფო მოწყობის პირობებში აზერბაიჯანის შემადგენლობაშია ნახიჭევანის ავტონომიური სახელმწიფო;

— კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა, რომელიც განასხვავებს კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესსა და რთული პროცედურითა და რეფერენდუმის მექანიზმით ართულებს კონსტიტუციის ტექსტის შეცვლას, რითაც უზრუნველყოფს მის სტაბილურ მოქმედებასა და აზერბაიჯანის 1995 წლის კონსტიტუციას ე.წ. „მყარი კონსტიტუციების" რიგში აყენებს.

— კონსტიტუცია შეიცავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ერცელ და ამომწურავ ჩამონათვალს და სხვადასხვა ნაწილებში მრავლად შეიცავს სისხლის სამართლის საპროცესო ხასიათის ნორმებს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია[1]

მიღებულია 1995 წლის 12 ნოემბერს
საერთო-სახალხო რეფერენდუმზე

(ცვლილებები შეტანილ იქნა 2002 წლის 24 აგვისტოს)

აზერბაიჯანელი ხალხი, განაგრძობს სახელმწიფოებრიობის საუკუნოვან ტრადიციებს, ეფუძნება „აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის" კონსტიტუციურ აქტში აღიარებულ პრინციპებს, სურს მთელი საზოგადოებისა და თითოეული პიროვნებისთვის უზრუნველყოს აყვავება და კეთილდღეობა, ისწრაფვის თავისუფლებისა და უსაფრთხოების დასამკვიდრებლად, აცნობიერებს პასუხისმგებლობას წარსული, ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე და თავისი სუვერენიტეტის უფლების საფუძველზე, საზეიმოდ აცხადებს შემდეგ მიზნებს:

1. დაიცვას აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა;
2. კონსტიტუციის ფარგლებში დაამკვიდროს დემოკრატიული სისტემა;
3. მიაღწიოს სამოქალაქო საზოგადოების დაფუძნებას;
4. ააშენოს სამართლებრივი, საერო სახელმწიფო, უზრუნველყოს კანონის უზენაესობა, როგორც ერის ნების გამოხატულება;
5. უზრუნველყოს ცხოვრების ღირსეული პირობები ყველასათვის სამართლიანი ეკონომიკური და სოციალური წყობილებით;
6. დარჩეს საყოველთაოდ აღიარებული ადამიანური ფასეულობების ერთგული, იცხოვროს მშვიდად და თავისუფლად მსოფლიოს სხვა ხალხებთან ერთად და ამ მიზნით ითანამშრომლოს მათთან.

ზემოთ ჩამოთვლილი გულწრფელი მიზნების გათვალისწინებით, წარმოდგენილი კონსტიტუცია მიღებულია მოსახლეობის ხმათა უმრავლესობით საერთო-სახალხო რეფერენდუმზე.

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://www.constitutional-court-az.org/ და მილი მეჯლისის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://www.meclis.gov.az/ გამოქვეყნებული აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის ინგლისურ, რუსულ და აზერბაიჯანულენოვანი ტექსტები.

განყოფილება I
ზოგადი დებულებანი
თავი I
ხალხის ხელისუფლება

მუხლი 1. ხელისუფლების წყარო

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ხელისუფლების ერთადერთ წყაროს აზერბაიჯანელი ხალხი წარმოადგენს.

II. აზერბაიჯანელი ხალხი შედგება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეთაგან, რომლებიც ცხოვრობენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ან იმყოფებიან მის საზღვრებს გარეთ და ემორჩილებიან აზერბაიჯანის სახელმწიფოსა და მის კანონებს, რაც არ გამორიცხავს საერთაშორისო სამართლით დადგენილ ნორმებს.

მუხლი 2. სახალხო სუვერენიტეტი

I. აზერბაიჯანელი ხალხის სუვერენულ უფლებას წარმოადგენს თავისუფლად და დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი ბედი და დაადგინოს საკუთარი მმართველობის ფორმა.

II. აზერბაიჯანელი ხალხი თავის სუვერენულ უფლებას ახორციელებს უშუალოდ, საერთო-სახალხო რეფერენდუმის გზით, აგრეთვე საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, თავისუფალი, ფარული და უშუალო კენჭისყრით არჩეული თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

მუხლი 3. საერთო-სახალხო რეფერენდუმის გზით გადასაწყვეტი საკითხები

I. აზერბაიჯანელი ხალხი უფლებამოსილია რეფერენდუმის გზით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც მის უფლებებსა და ინტერესებს შეეხება.

II. ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ რეფერენდუმის გზით:

1) აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღება და მასში ცვლილებების შეტანა;

2) აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების შეცვლა.

III. რეფერენდუმის გამართვა დაუშვებელია შემდეგ საკითხებზე:

1) გადასახადები და სახელმწიფო ბიუჯეტი;

2) ამნისტია და შეწყალება;

3) იმ თანამდებობის პირთა არჩევა, დანიშვნა ან დამტკიცება, რომელთა არჩევა, დანიშენა ან დამტკიცებაც საკანონმდებლო და/ან აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებებს წარმოადგენს.

მუხლი 4. ხალხის წარმომადგენლობის უფლება

ხალხის მიერ არჩეული უფლებამოსილი წარმომადგენლების გარდა, არავის არ აქვს უფლება წარმოადგინოს ხალხი, ილაპარაკოს ან გააკეთოს მიმართვა ხალხის სახელით.

მუხლი 5. ხალხის ერთიანობა

I. აზერბაიჯანელი ხალხი ერთიანია.

II. აზერბაიჯანელი ხალხის ერთიანობა აზერბაიჯანის სახელმწიფოს საფუძველია. აზერბაიჯანის რესპუბლიკა ყველა აზერბაიჯანელი მოქალაქის საერთო და განუყოფელ სამშობლოს წარმოადგენს.

მუხლი 6. ხელისუფლების უზურპაციის აკრძალვა

I. აზერბაიჯანელი ხალხის არც ერთ ნაწილს, პიროვნებას, სოციალურ ჯგუფს ან ორგანიზაციას არა აქვს უფლება მიითვისოს აზერბაიჯანელი ხალხის ხელისუფლების განხორციელების უფლებამოსილება.

II. ხელისუფლების უზურპაცია ხალხის წინააღმდეგ მიმართული უმძიმესი დანაშაულია.

თავი II
სახელმწიფოს საფუძვლები

მუხლი 7. აზერბაიჯანის სახელმწიფო

I. აზერბაიჯანის სახელმწიფო დემოკრატიული, სამართლებრივი, საერო და უნიტარული რესპუბლიკაა.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუვერენული ხელისუფლება საშინაო საკითხებში განსაზღვრულია კანონმდებლობით, ხოლო საერთაშორისო საკითხებში — მხოლოდ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი ნორმებით, რომელთა ხელშემკვრელ მხარესაც აზერბაიჯანის რესპუბლიკა წარმოადგენს.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლება ეფუძნება ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპს:

— საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება პარლამენტის — აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის მიერ;

— აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს;

— სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის სასამართლოების მიერ.

IV. ამ კონსტიტუციის დებულებათა შესაბამისად, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები ურთიერთთანამშრომლობენ და დამოუკიდებელნი არიან თავიანთი უფლებამოსილებების ფარგლებში.

მუხლი 8. აზერბაიჯანის სახელმწიფოს მეთაური

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი აზერბაიჯანის სახელმწიფოს მეთაურია. იგი წარმოადგენს აზერბაიჯანის სახელმწიფოს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი განასახიერებს აზერბაიჯანელი ხალხის ერთიანობას და უზრუნველყოფს აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობის მემკვიდრეობითობას.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი წარმოადგენს აზერბაიჯანის სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის, აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების გარანტს, რომელთა ხელშემკვრელი მხარეც აზერბაიჯანის რესპუბლიკაა.

IV. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი უზრუნველყოფს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას.

მუხლი 9. შეიარაღებული ძალები

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკა თავისი უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიზნით ქმნის შეიარაღებულ ძალებსა და სხვა ფორმირებებს.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკა უარყოფს ომს, როგორც სხვა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ხელყოფისა და საერთაშორისო კონფლიქტების გადაწყვეტის საშუალებას.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი აზერბაიჯანის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდალია.

მუხლი 10. საერთაშორისო ურთიერთობათა პრინციპები

აზერბაიჯანის რესპუბლიკა საერთაშორისო ურთიერთობებს სხვა სახელმწიფოებთან წარმართავს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 11. ტერიტორია

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი, ხელშეუხებელი და განუყოფელია.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის შიდა წყლები, კასპიის ზღვის (ტბის) სექტორი, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკუთრებაა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავზე საჰაერო სივრცე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილებია.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიის გასხვისება დაუშვებელია. აზერბაიჯანის რესპუბლიკა არავის, არანაირი ფორმით არ გადასცემს თავის ტერიტორიას ან მის ნაწილს; სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მილი მეჯლისის გადაწყვეტილების საფუძველზე გამართული საერთო-სახალხო რეფერენდუმის გზით, აზერბაიჯანელი ხალხის მიერ გამოხატული ნების შესაბამისად.

მუხლი 12. სახელმწიფოს უზენაესი მიზანი

I. სახელმწიფოს უზენაესი მიზანია ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფა.

II. ადამიანისა და მოქალაქის ის უფლებები და თავისუფლები, რომლებიც სრულად არ არის გათვალისწინებული ამ კონსტიტუციაში, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად, რომელთა ხელშემკვრელ მხარესაც აზერბაიჯანის რესპუბლიკა წარმოადგენს.

მუხლი 13. საკუთრება

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საკუთრება ხელშეუხებელია და მას იცავს სახელმწიფო.

II. საკუთრება შეიძლება იყოს სახელმწიფო, კერძო და მუნიციპალური.

III. დაუშვებელია საკუთრების გამოყენება ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფის მიზნით, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების, პიროვნების პატივისა და ღირსების საწინააღმდეგოდ.

მუხლი 14. ბუნებრივი რესურსები

ბუნებრივი რესურსები აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკუთრებაა, ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის უფლებებისა და ინტერესებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

მუხლი 15. ეკონომიკური განვითარება და სახელმწიფო

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საკუთრების სხვადასხვა ფორმებზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარება ემსახურება ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას.

II. აზერბაიჯანის სახელმწიფო საბაზრო ურთიერთობების საფუძველზე ქმნის პირობებს ეკონომიკის განვითარებისთვის, უზრუნველყოფს წარმოების თავისუფლებას, ზღუდავს მონოპოლიასა და არაკეთილსინდისიერ კონკურენციას ეკონომიკურ ურთიერთობებში.

მუხლი 16. სოციალური განვითარება და სახელმწიფო

I. აზერბაიჯანის სახელმწიფო ზრუნავს ხალხისა და თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის ამაღლებაზე, მის სოციალურ დაცვასა და ცხოვრების ღირსეულ პირობებზე.

II. აზერბაიჯანის სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, ხელოვნების განვითარებას, იცავს ბუნებას, ხალხის ისტორიულ მატერიალურ და სულიერ მემკვიდრეობას.

მუხლი 17. ოჯახი და სახელმწიფო

I. ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი საფუძველი, სახელმწიფოს განსაკუთრებული დაცვის ქვეშ იმყოფება.

II. ბავშვებზე ზრუნვა და მათი აღზრდა მშობლების მოვალეობას წარმოადგენს. სახელმწიფო ახორციელებს კონტროლს ამ მოვალეობის შესრულებაზე.

მუხლი 18. რელიგია და სახელმწიფო

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში რელიგია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. ყველა სარწმუნოება თანასწორია კანონის წინაშე.

II. დაუშვებელია ადამიანის ღირსების დამამცირებელი და საკაცობრიო პრინციპების საწინააღმდეგო რელიგიის პროპაგანდა და გავრცელება.

III. სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემა საერო ხასიათისაა.

მუხლი 19. ფულის ერთეული

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფულის ერთეულია მანათი.

II. ფულის ერთეულის ბრუნვაში გამოშვების და ბრუნვიდან ამოღების უფლება აქვს მხოლოდ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული ბანკი სახელმწიფოს განსაკუთრებულ საკუთრებას წარმოადგენს.

III. აკრძალულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადახდის საშუალებად მანათის გარდა სხვა ფულადი ერთეულების გამოყენება.

მუხლი 20. სახელმწიფო ვალების შეზღუდვა

აზერბაიჯანის რესპუბლიკა არ არის პასუხისმგებელი იმ ვალების გადახდაზე, რომლებიც აღებულ იქნა შეიარაღებული ავკანყების ან აზერბაიჯანის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების მხარდასაჭერად.

მუხლი 21. სახელმწიფო ენა

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა აზერბაიჯანული ენაა. აზერბაიჯანის რესპუბლიკა უზრუნველყოფს აზერბაიჯანული ენის განვითარებას.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკა უზრუნველყოფს სხვა ენების თავისუფალ გამოყენებასა და განვითარებას, რომელზეც მოსახლეობა საუბრობს.

მუხლი 22. დედაქალაქი

აზერბაიჯანის რესპუბლიკის დედაქალაქია ქალაქი ბაქო.

მუხლი 23. აზერბაიჯანის სახელმწიფო სიმბოლოები

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლოებია: აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული ჰიმნი.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის დროშა შედგება სამი ფართო თანაბარი ჰორიზონტალური ზოლისაგან. ზედა ზოლი არის ლურჯი ფერის, შუა ზოლი – წითელი ფერის, ხოლო ქვედა ზოლი მწვანე ფერის. წითელი ზოლის შუაში,

დროშის ორივე მხარეს დატანილია თეთრი ნახევარმთვარისა და რვა ქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულება. დროშის სიგანე არის 1:2-ზე მისი სიგრძის პროპორციულად.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო დროშისა და სახელმწიფო გერბის ფორმები და გამოსახულება, ეროვნული ჰიმნის ტექსტი და მუსიკა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით.

განყოფილება II
ძირითადი უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები
თავი III.
ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 24. ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების ძირითადი პრინციპი

I. ყველა პირი დაბადებიდან აღჭურვილია ხელშეუხებელი, დაურღვეველი და წართმეული უფლებებითა და თავისუფლებებით.

II. უფლებები და თავისუფლებები თავის თავში მოიცავს პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს საზოგადოებისა და სხვა პირთა წინაშე.

მუხლი 25. თანასწორობის უფლება

I. კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა თანასწორია.

II. მამაკაცები და ქალები თანაბარი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობენ.

III. სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველასათვის თანაბარ უფლებებსა და თავისუფლებებს, მიუხედავად რასისა, ეროვნებისა, რელიგიისა, ენისა, სქესისა, წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა, სოციალური მდგომარეობისა, მრწამსისა, პოლიტიკური პარტიის, პროფესიული კავშირის ან სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი მიკუთვნებისა. დაუშვებელია ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა ან უარყოფა რასის, ეროვნების, რელიგიის, ენის, რწმენის, სქესის, პოლიტიკური და სოციალური კუთვნილების საფუძველზე.

მუხლი 26. ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა

I. ყველას აქვს უფლება დაიცვას თავისი უფლებები და თავისუფლებები კანონით დადგენილი ფორმებით.

II. სახელმწიფო ყველასთვის უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

მუხლი 27. სიცოცხლის უფლება

I. ყველას აქვს სიცოცხლის უფლება.

II. ყველა მოქალაქის სიცოცხლის უფლება ხელშეუხებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეიარაღებული შეტაკების შედეგად ხდება მტრის ჯარისკაცის მოკვლა, ან სიკვდილით დასჯა აღსრულდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

III. სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომა, სანამ იგი ძალაშია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომელთაც ჩაიდინეს უმძიმესი დანაშაული სახელმწიფოს ან სხვა პირთა წინააღმდეგ.

IV. ადამიანის წინააღმდეგ იარაღის გამოყენება დაუშვებელია, გარდა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებისა, რომელიც შესაძლოა გამოწვეულ იყოს ქვეყანაზე შეიარაღებული თავდასხმისას თავდაცვის, გადაუდებელი აუცილებლობის, დამნაშავის დაპატიმრებისა და შეპყრობის, პატიმრობაში მყოფი პირის საპყრობილიდან გაქცევის თავიდან აცილებით, აჯანყების ან აზერბაიჯანის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო გადატრიალების თავიდან აცილებით, საგანგებო მდგომარეობის ან სამხედრო წესების დროს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გაცემული ბრძანების შესრულებით.

მუხლი 28. თავისუფლების უფლება

I. ყველას აქვს უფლება იყოს თავისუფალი.

II. თავისუფლების უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით დადგენილი პროცედურით დაკავების, დაპატიმრების ან საპყრობილეში მოთავსების შემთხვევაში.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ ნებისმიერ პიროვნებას უფლება აქვს თავისუფლად გადადგილდეს და თავად აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე გაემგზავროს აზერბაიჯანიდან.

IV. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეს უფლება აქვს შეუზღუდავად შემოვიდეს თავის სამშობლოში.

მუხლი 29. საკუთრების უფლება

I. ყველას აქვს საკუთრების უფლება.

II. საკუთრების არც ერთ ფორმას ან სახეობას არ შეიძლება ჰქონდეს უპირატესობა. საკუთრების უფლება, კერძო საკუთრების უფლების ჩათვლით, დაცულია კანონით.

III. ნებისმიერ პიროვნებას უფლება აქვს ფლობდეს მოძრავ ან უძრავ ქონებას. საკუთრების უფლება მოიცავს მესაკუთრის უფლებას ფლობდეს, ისარგებლოს და განკარგოს ქონება, დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად.

IV. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ქონება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. ქონების მთლიანად ჩამორთმევა დაუშვებელია. საკუთრების გასხვისება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დაიშვება მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით, რომელიც შეესაბამება მის ფასს.

V. სახელმწიფო იცავს მემკვიდრეობის უფლებას.

მუხლი 30. ინტელექტუალური საკუთრების უფლება

I. ყველას აქვს ინტელექტუალური საკუთრების უფლება.

II. საავტორო უფლება, საგამომგონებლო უფლება და ინტელექტუალური საკუთრების სხვა ფორმები უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ.

მუხლი 31. უსაფრთხო ცხოვრების უფლება

I. ყველას აქვს უფლება იცხოვროს უსაფრთხოდ.

II. კანონით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, პიროვნების სიცოცხლის, მისი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის, საკუთრების, საცხოვრებელი ადგილის ხელყოფა, მის წინააღმდეგ იარაღის გამოყენება აკრძალულია.

მუხლი 32. პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება

I. ყველას აქვს პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება.

II. ყველას აქვს უფლება დაიცვას პირადი და ოჯახური საიდუმლოება. დაუშვებელია პიროვნების ცხოვრებაში ჩარევა, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

III. პირის თანხმობის გარეშე მასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება, შენახვა და გავრცელება დაუშვებელია.

IV. სახელმწიფო იცავს ყველას უფლებას შეინახონ კორესპონდენციის, წერილის, ტელეგრაფისა და სხვა საფოსტო სამსახურების საიდუმლოება. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია დანაშაულის თავიდან ასაცილებლად ან გამოძიების მსვლელობისას და ხორციელდება კანონით დადგენილი პროცედურით.

მუხლი 33. საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლება

I. ყველას აქვს საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლება.

II. კანონით ან სასამართლოს მიერ განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევების გარდა არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ სადგომში მისი მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ.

მუხლი 34. ქორწინების უფლება

I. ყველას აქვს დაქორწინების უფლება კანონით დადგენილი ასაკის მიღწევის შემდეგ.

II. ქორწინება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ნებაყოფლობითი თანხმობის საფუძველზე. ქორწინების იძულება დაუშვებელია.

III. ოჯახი და ქორწინება სახელმწიფოს დაცვის ქვეშაა. დედებს, მამებსა და ბავშვებს იცავს კანონი. სახელმწიფო დახმარებას უწევს მრავალსულიან ოჯახებს.

IV. ქმარსა და ცოლს თანაბარი უფლებები აქვთ. მშობლებს უფლება აქვთ და ამავე დროს აკისრიათ ვალდებულება იზრუნონ შვილებზე და აღზარდონ ისინი.

V. შვილები მოვალენი არიან იზრუნონ მშობლებზე. ჯანმრთელი შვილები 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ ვალდებულნი არიან ზრუნავდნენ ინვალიდ მშობლებზე.

მუხლი 35. შრომის უფლება

I. შრომა ყველა პირის პირადი და საზოგადოებრივი კეთილდღეობის საფუძველია.

II. ყველა პირი თავისი შრომითი შესაძლებლობების მიხედვით, უფლებამოსილია დამოუკიდებლად აირჩიოს საქმიანობის, პროფესიის, თანამდებობისა და სამუშაო ადგილის სახეობა.

III. შრომის იძულება დაუშვებელია.

IV. შრომითი ხელშეკრულება იდება თავისუფლად და ნებაყოფლობით. შრომითი ხელშეკრულების იძულებით დადება აკრძალულია.

V. იძულებით შრომაში ჩაბმა დასაშვებია კანონით დადგენილი პირობებითა და ვადით სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, იძულებით შრომაში ჩაბმა დასაშვებია სამხედრო სამსახურში უფლებამოსილი თანამდებობის პირის დავალებების შესრულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე მოქალაქეთა იძულება გარკვეულ სამუშაოთა შესასრულებლად საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს.

VI. ყველას აქვს უფლება იშრომოს უსაფრთხო და ჯანმრთელ პირობებში, მიიღოს ანაზღაურება თავისი შრომისათვის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, რომელიც არ უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დადგენილ შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები.

VII. უმუშევარ პირებს აქვთ სახელმწიფოსგან სოციალური დახმარების მიღების უფლება.

VIII. სახელმწიფო ყველა ღონისძიებას ახორციელებს უმუშევრობის აღმოსაფხვრელად.

მუხლი 36. გაფიცვის უფლება

I. ყველას აქვს უფლება გაიფიცოს დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად.

II. იმ პირებს, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობენ, გაფიცვის უფლება შეიძლება შეეზღუდოთ მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში. სამხედრო მოსამსახურეებსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებსა და სხვა სამხედრო ფორმირებებში მომსახურე სამოქალაქო პირებს არ აქვთ გაფიცვის უფლება.

III. ინდივიდუალური და კოლექტიური შრომითი დავები წყდება კანონის შესაბამისად.

მუხლი 37. დასვენების უფლება

I. ყველას აქვს დასვენების უფლება.

II. შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომუშავე პირთათვის გარანტირებულია არა უმეტეს 8 საათიანი სამუშაო დღე, დასვენების დღე და დღესასწაულები, და წელიწადში ერთხელ ანაზღაურებადი შვებულება არანაკლებ 21 კალენდარული დღისა.

მუხლი 38. სოციალური უზრუნველყოფის უფლება

I. ყველას აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება.

II. გაჭირვებულთა დახმარება პირველ რიგში მისი ოჯახის წევრთა მოვალეობას წარმოადგენს.

III. ყველას აქვს სოციალური უზრუნველყოფის მიღების უფლება კანონით დადგენილი ასაკის მიღწევის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის, შრომისუნარიანობის დაკარგვის, უმუშევრობისა და კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

IV. პენსიისა და სოციალური დახმარების მინიმალური ოდენობა განისაზღვრება კანონით.

V. სახელმწიფო ქმნის პირობებს საქველმოქმედო საქმიანობის, ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევის და სოციალური უზრუნველყოფის სხვა ფორმების განსავითარებლად.

მუხლი 39. ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ბუნებრივ პირობებში ცხოვრების უფლება

I. ყველას აქვს უფლება იცხოვროს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო პირობებში.

II. ყველას აქვს უფლება მოიპოვოს ინფორმაცია მის გარშემო არსებული ბუნებრივი პირობების შესახებ და მიიღოს კომპენსაცია მისი ჯანმრთელობისა და ქონებისათვის ეკოლოგიური სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

მუხლი 40. კულტურის უფლება

I. ყველას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს კულტურულ ცხოვრებაში, ისარგებლოს კულტურული დაწესებულებებითა და კულტურული ფასეულობებით.

II. ყველა პირი მოვალეა პატივისცემით მოეპყროს ისტორიულ, კულტურულ და სულიერ ფასეულობებს, იზრუნოს მათზე, დაიცვას ისტორიული და კულტურული ძეგლები.

მუხლი 41. ჯანმრთელობის დაცვის უფლება

I. ყველას აქვს ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო დახმარების მიღების უფლება.

II. სახელმწიფო, საკუთრების სხვადასხვა ფორმების საფუძველზე, ახორციელებს აუცილებელ ღონისძიებებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა სახეობის განვითარებისთვის, უზრუნველყოფს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ კეთილსაიმედოობას, ქმნის პირობებს სხვადასხვა სახის სამედიცინო დაზღვევის არსებობისთვის.

III. თანამდებობის პირები, რომლებიც მალავენ ხალხის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელ ფაქტებს, პასუხს აგებენ კანონის შესაბამისად.

მუხლი 42. განათლების უფლება

I. ყველას აქვს განათლების მიღების უფლება.

II. სახელმწიფო უზრუნველყოფს უფასო, სავალდებულო საშუალო განათლებას.

III. განათლების სისტემა სახელმწიფოს კონტროლის ქვეშაა.

IV. სახელმწიფო უზრუნველყოფს განათლების გაგრძელებას ნიჭიერი ადამიანებისათვის, მათი ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად.

V. მინიმალურ საგანმანათლებლო სტანდარტებს ადგენს სახელმწიფო.

მუხლი 43. საცხოვრებლის უფლება

I. საცხოვრებელი ადგილის უკანონოდ ჩამორთმევა დაუშვებელია.

II. სახელმწიფო ხელს უწყობს საცხოვრებელი ადგილების მშენებლობას, ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს საცხოვრებლის უფლების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 44. ეროვნული კუთვნილების უფლება

I. ყველას აქვს უფლება დაიცვას თავისი ეროვნული კუთვნილება.

II. ეროვნული კუთვნილების შეცვლის იძულება დაუშვებელია.

მუხლი 45. მშობლიური ენის გამოყენების უფლება

I. ყველას აქვს უფლება გამოიყენოს მშობლიური ენა. ყველას აქვს უფლება აღიზარდოს, მიიღოს განათლება და შემოქმედებითი საქმიანობა განახორციელოს ნებისმიერ ენაზე, სურვილის მიხედვით.

II. მშობლიური ენის გამოყენების უფლების ჩამორთმევა დაუშვებელია.

მუხლი 46. პატივისა და ღირსების დაცვის უფლება

I. ყველას აქვს უფლება დაიცვას თავისი პატივი და ღირსება.

II. პიროვნების ღირსებას იცავს სახელმწიფო. არც ერთი გარემოება არ შეიძლება გახდეს პიროვნების ღირსების დამცირების საფუძველი.

III. დაუშვებელია ნებისმიერი პირის წამება და ტანჯვა, მის მიმართ ადამიანური ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. დაუშვებელია

220 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII, XIII, XIV, XV, XVI, XVII, XVIII, XIX, XX, XXI, XXII, XXIII, XXIV, XXV, XXVI, XXVII, XXVIII, XXIX, XXX, XXXI, XXXII, XXXIII, XXXIV, XXXV, XXXVI, XXXVII, XXXVIII, XXXIX, XL, XLI, XLII, XLIII, XLIV, XLV, XLVI, XLVII, XLVIII, XLIX, L, LI, LII, LIII, LIV, LV, LVI, LVII, LVIII, LIX, LX, LXI, LXII, LXIII, LXIV, LXV, LXVI, LXVII, LXVIII, LXIX, LXX, LXXI, LXXII, LXXIII, LXXIV, LXXV, LXXVI, LXXVII, LXXVIII, LXXIX, LXXX, LXXXI, LXXXII, LXXXIII, LXXXIV, LXXXV, LXXXVI, LXXXVII, LXXXVIII, LXXXIX, XC, XCI, XCII, XCIII, XCIV, XCV, XCVI, XCVII, XCVIII, XCIX, C, CI, CII, CIII, CIV, CV, CVI, CVII, CVIII, CIX, CX, CXI, CXII, CXIII, CXIV, CXV, CXVI, CXVII, CXVIII, CXIX, CXX, CXXI, CXXII, CXXIII, CXXIV, CXXV, CXXVI, CXXVII, CXXVIII, CXXIX, CXXX, CXXXI, CXXXII, CXXXIII, CXXXIV, CXXXV, CXXXVI, CXXXVII, CXXXVIII, CXXXIX, CXL, CXLI, CXLII, CXLIII, CXLIV, CXLV, CXLVI, CXLVII, CXLVIII, CXLIX, CL, CLI, CLII, CLIII, CLIV, CLV, CLVI, CLVII, CLVIII, CLIX, CLX, CLXI, CLXII, CLXIII, CLXIV, CLXV, CLXVI, CLXVII, CLXVIII, CLXIX, CLXX, CLXXI, CLXXII, CLXXIII, CLXXIV, CLXXV, CLXXVI, CLXXVII, CLXXVIII, CLXXIX, CLXXX, CLXXXI, CLXXXII, CLXXXIII, CLXXXIV, CLXXXV, CLXXXVI, CLXXXVII, CLXXXVIII, CLXXXIX, CXC, CXCI, CXCII, CXCIII, CXCIV, CXCV, CXCVI, CXCVII, CXCVIII, CXCIX, CC, CCI, CCII, CCIII, CCIV, CCV, CCVI, CCVII, CCVIII, CCIX, CCX, CCXI, CCXII, CCXIII, CCXIV, CCXV, CCXVI, CCXVII, CCXVIII, CCXIX, CCXX, CCXXI, CCXXII, CCXXIII, CCXXIV, CCXXV, CCXXVI, CCXXVII, CCXXVIII, CCXXIX, CCXXX, CCXXXI, CCXXXII, CCXXXIII, CCXXXIV, CCXXXV, CCXXXVI, CCXXXVII, CCXXXVIII, CCXXXIX, CCXL, CCXLI, CCXLII, CCXLIII, CCXLIV, CCXLV, CCXLVI, CCXLVII, CCXLVIII, CCXLIX, CCL, CCLI, CCLII, CCLIII, CCLIV, CCLV, CCLVI, CCLVII, CCLVIII, CCLIX, CCLX, CCLXI, CCLXII, CCLXIII, CCLXIV, CCLXV, CCLXVI, CCLXVII, CCLXVIII, CCLXIX, CCLXX, CCLXXI, CCLXXII, CCLXXIII, CCLXXIV, CCLXXV, CCLXXVI, CCLXXVII, CCLXXVIII, CCLXXIX, CCLXXX, CCLXXXI, CCLXXXII, CCLXXXIII, CCLXXXIV, CCLXXXV, CCLXXXVI, CCLXXXVII, CCLXXXVIII, CCLXXXIX, CCXC, CCXCI, CCXCII, CCXCIII, CCXCIV, CCXCV, CCXCVI, CCXCVII, CCXCVIII, CCXCIX, CCC, CCCI, CCCII, CCCIII, CCCIV, CCCV, CCCVI, CCCVII, CCCVIII, CCCIX, CCCX, CCCXI, CCCXII, CCCXIII, CCCXIV, CCCXV, CCCXVI, CCCXVII, CCCXVIII, CCCXIX, CCCXX, CCCXXI, CCCXXII, CCCXXIII, CCCXXIV, CCCXXV, CCCXXVI, CCCXXVII, CCCXXVIII, CCCXXIX, CCCXXX, CCCXXXI, CCCXXXII, CCCXXXIII, CCCXXXIV, CCCXXXV, CCCXXXVI, CCCXXXVII, CCCXXXVIII, CCCXXXIX, CCCXL, CCCXLI, CCCXLII, CCCXLIII, CCCXLIV, CCCXLV, CCCXLVI, CCCXLVII, CCCXLVIII, CCCXLIX, CCCL, CCCLI, CCCLII, CCCLIII, CCCLIV, CCCLV, CCCLVI, CCCLVII, CCCLVIII, CCCLIX, CCCLX, CCCLXI, CCCLXII, CCCLXIII, CCCLXIV, CCCLXV, CCCLXVI, CCCLXVII, CCCLXVIII, CCCLXIX, CCCLXX, CCCLXXI, CCCLXXII, CCCLXXIII, CCCLXXIV, CCCLXXV, CCCLXXVI, CCCLXXVII, CCCLXXVIII, CCCLXXIX, CCCLXXX, CCCLXXXI, CCCLXXXII, CCCLXXXIII, CCCLXXXIV, CCCLXXXV, CCCLXXXVI, CCCLXXXVII, CCCLXXXVIII, CCCLXXXIX, CCCXC, CCCXCI, CCCXCII, CCCXCIII, CCCXCIV, CCCXCV, CCCXCVI, CCCXCVII, CCCXCVIII, CCCXCIX, CCCC, CCCCI, CCCCII, CCCCIII, CCCCIV, CCCCV, CCCCVI, CCCCVII, CCCCVIII, CCCCIX, CCCCX, CCCCXI, CCCCXII, CCCCXIII, CCCCXIV, CCCCXV, CCCCXVI, CCCCXVII, CCCCXVIII, CCCCXIX, CCCCXX, CCCCXXI, CCCCXXII, CCCCXXIII, CCCCXXIV, CCCCXXV, CCCCXXVI, CCCCXXVII, CCCCXXVIII, CCCCXXIX, CCCCXXX, CCCCXXXI, CCCCXXXII, CCCCXXXIII, CCCCXXXIV, CCCCXXXV, CCCCXXXVI, CCCCXXXVII, CCCCXXXVIII, CCCCXXXIX, CCCCXL, CCCCXLI, CCCCXLII, CCCCXLIII, CCCCXLIV, CCCCXLV, CCCCXLVI, CCCCXLVII, CCCCXLVIII, CCCCXLIX, CCCCL, CCCCLI, CCCCLII, CCCCLIII, CCCCLIV, CCCCLV, CCCCLVI, CCCCLVII, CCCCLVIII, CCCCLIX, CCCCLX, CCCCLXI, CCCCLXII, CCCCLXIII, CCCCLXIV, CCCCLXV, CCCCLXVI, CCCCLXVII, CCCCLXVIII, CCCCLXIX, CCCCLXX, CCCCLXXI, CCCCLXXII, CCCCLXXIII, CCCCLXXIV, CCCCLXXV, CCCCLXXVI, CCCCLXXVII, CCCCLXXVIII, CCCCLXXIX, CCCCLXXX, CCCCLXXXI, CCCCLXXXII, CCCCLXXXIII, CCCCLXXXIV, CCCCLXXXV, CCCCLXXXVI, CCCCLXXXVII, CCCCLXXXVIII, CCCCLXXXIX, CCCCXC, CCCCXCI, CCCCXCII, CCCCXCIII, CCCCXCIV, CCCCXCV, CCCCXCVI, CCCCXCVII, CCCCXCVIII, CCCCXCIX, CCCCC, CCCCCI, CCCCCII, CCCCCIII, CCCCCIV, CCCCCV, CCCCCVI, CCCCCVII, CCCCCVIII, CCCCCIX, CCCCCX, CCCCCXI, CCCCCXII, CCCCCXIII, CCCCCXIV, CCCCCXV, CCCCCXVI, CCCCCXVII, CCCCCXVIII, CCCCCXIX, CCCCCXX, CCCCCXXI, CCCCCXXII, CCCCCXXIII, CCCCCXXIV, CCCCCXXV, CCCCCXXVI, CCCCCXXVII, CCCCCXXVIII, CCCCCXXIX, CCCCCXXX, CCCCCXXXI, CCCCCXXXII, CCCCCXXXIII, CCCCCXXXIV, CCCCCXXXV, CCCCCXXXVI, CCCCCXXXVII, CCCCCXXXVIII, CCCCCXXXIX, CCCCCXL, CCCCCXLI, CCCCCXLII, CCCCCXLIII, CCCCCXLIV, CCCCCXLV, CCCCCXLVI, CCCCCXLVII, CCCCCXLVIII, CCCCCXLIX, CCCCCL, CCCCCLI, CCCCCLII, CCCCCLIII, CCCCCLIV, CCCCCLV, CCCCCLVI, CCCCCLVII, CCCCCLVIII, CCCCCLIX, CCCCCLX, CCCCCLXI, CCCCCLXII, CCCCCLXIII, CCCCCLXIV, CCCCCLXV, CCCCCLXVI, CCCCCLXVII, CCCCCLXVIII, CCCCCLXIX, CCCCCLXX, CCCCCLXXI, CCCCCLXXII, CCCCCLXXIII, CCCCCLXXIV, CCCCCLXXV, CCCCCLXXVI, CCCCCLXXVII, CCCCCLXXVIII, CCCCCLXXIX, CCCCCLXXX, CCCCCLXXXI, CCCCCLXXXII, CCCCCLXXXIII, CCCCCLXXXIV, CCCCCLXXXV, CCCCCLXXXVI, CCCCCLXXXVII, CCCCCLXXXVIII, CCCCCLXXXIX, CCCCCXC, CCCCCXCI, CCCCCXCII, CCCCCXCIII, CCCCCXCIV, CCCCCXCV, CCCCCXCVI, CCCCCXCVII, CCCCCXCVIII, CCCCCXCIX, CCCCCC, CCCCCCI, CCCCCCII, CCCCCCIII, CCCCCCIV, CCCCCCV, CCCCCCVI, CCCCCCVII, CCCCCCVIII, CCCCCCIX, CCCCCCX, CCCCCCXI, CCCCCCXII, CCCCCCXIII, CCCCCCXIV, CCCCCCXV, CCCCCCXVI, CCCCCCXVII, CCCCCCXVIII, CCCCCCXIX, CCCCCCXX, CCCCCCXXI, CCCCCCXXII, CCCCCCXXIII, CCCCCCXXIV, CCCCCCXXV, CCCCCCXXVI, CCCCCCXXVII, CCCCCCXXVIII, CCCCCCXXIX, CCCCCCXXX, CCCCCCXXXI, CCCCCCXXXII, CCCCCCXXXIII, CCCCCCXXXIV, CCCCCCXXXV, CCCCCCXXXVI, CCCCCCXXXVII, CCCCCCXXXVIII, CCCCCCXXXIX, CCCCCCXL, CCCCCCXLI, CCCCCCXLII, CCCCCCXLIII, CCCCCCXLIV, CCCCCCXLV, CCCCCCXLVI, CCCCCCXLVII, CCCCCCXLVIII, CCCCCCXLIX, CCCCCCL, CCCCCCLI, CCCCCCLII, CCCCCCLIII, CCCCCCLIV, CCCCCCLV, CCCCCCLVI, CCCCCCLVII, CCCCCCLVIII, CCCCCCLIX, CCCCCCLX, CCCCCCLXI, CCCCCCLXII, CCCCCCLXIII, CCCCCCLXIV, CCCCCCLXV, CCCCCCLXVI, CCCCCCLXVII, CCCCCCLXVIII, CCCCCCLXIX, CCCCCCLXX, CCCCCCLXXI, CCCCCCLXXII, CCCCCCLXXIII, CCCCCCLXXIV, CCCCCCLXXV, CCCCCCLXXVI, CCCCCCLXXVII, CCCCCCLXXVIII, CCCCCCLXXIX, CCCCCCLXXX, CCCCCCLXXXI, CCCCCCLXXXII, CCCCCCLXXXIII, CCCCCCLXXXIV, CCCCCCLXXXV, CCCCCCLXXXVI, CCCCCCLXXXVII, CCCCCCLXXXVIII, CCCCCCLXXXIX, CCCCCCXC, CCCCCCXCI, CCCCCCXCII, CCCCCCXCIII, CCCCCCXCIV, CCCCCCXCV, CCCCCCXCVI, CCCCCCXCVII, CCCCCCXCVIII, CCCCCCXCIX, CCCCCCC, CCCCCCCI, CCCCCCCII, CCCCCCCIII, CCCCCCCIV, CCCCCCCV, CCCCCCCVI, CCCCCCCVII, CCCCCCCVIII, CCCCCCCIX, CCCCCCCX, CCCCCCCXI, CCCCCCCXII, CCCCCCCXIII, CCCCCCCXIV, CCCCCCCXV, CCCCCCCXVI, CCCCCCCXVII, CCCCCCCXVIII, CCCCCCCXIX, CCCCCCCXX, CCCCCCCXXI, CCCCCCCXXII, CCCCCCCXXIII, CCCCCCCXXIV, CCCCCCCXXV, CCCCCCCXXVI, CCCCCCCXXVII, CCCCCCCXXVIII, CCCCCCCXXIX, CCCCCCCXXX, CCCCCCCXXXI, CCCCCCCXXXII, CCCCCCCXXXIII, CCCCCCCXXXIV, CCCCCCCXXXV, CCCCCCCXXXVI, CCCCCCCXXXVII, CCCCCCCXXXVIII, CCCCCCCXXXIX, CCCCCCCXL, CCCCCCCXLI, CCCCCCCXLII, CCCCCCCXLIII, CCCCCCCXLIV, CCCCCCCXLV, CCCCCCCXLVI, CCCCCCCXLVII, CCCCCCCXLVIII, CCCCCCCXLIX, CCCCCCCL, CCCCCCCLI, CCCCCCCLII, CCCCCCCLIII, CCCCCCCLIV, CCCCCCCLV, CCCCCCCLVI, CCCCCCCLVII, CCCCCCCLVIII, CCCCCCCLIX, CCCCCCCLX, CCCCCCCLXI, CCCCCCCLXII, CCCCCCCLXIII, CCCCCCCLXIV, CCCCCCCLXV, CCCCCCCLXVI, CCCCCCCLXVII, CCCCCCCLXVIII, CCCCCCCLXIX, CCCCCCCLXX, CCCCCCCLXXI, CCCCCCCLXXII, CCCCCCCLXXIII, CCCCCCCLXXIV, CCCCCCCLXXV, CCCCCCCLXXVI, CCCCCCCLXXVII, CCCCCCCLXXVIII, CCCCCCCLXXIX, CCCCCCCLXXX, CCCCCCCLXXXI, CCCCCCCLXXXII, CCCCCCCLXXXIII, CCCCCCCLXXXIV, CCCCCCCLXXXV, CCCCCCCLXXXVI, CCCCCCCLXXXVII, CCCCCCCLXXXVIII, CCCCCCCLXXXIX, CCCCCCCXC, CCCCCCCXCI, CCCCCCCXCII, CCCCCCCXCIII, CCCCCCCXCIV, CCCCCCCXCV, CCCCCCCXCVI, CCCCCCCXCVII, CCCCCCCXCVIII, CCCCCCCXCIX, CCCCCCCC, CCCCCCCCI, CCCCCCCCII, CCCCCCCCIII, CCCCCCCCIV, CCCCCCCCV, CCCCCCCCVI, CCCCCCCCVII, CCCCCCCCVIII, CCCCCCCCIX, CCCCCCCCX, CCCCCCCCXI, CCCCCCCCXII, CCCCCCCCXIII, CCCCCCCCXIV, CCCCCCCCXV, CCCCCCCCXVI, CCCCCCCCXVII, CCCCCCCCXVIII, CCCCCCCCXIX, CCCCCCCCXX, CCCCCCCCXXI, CCCCCCCCXXII, CCCCCCCCXXIII, CCCCCCCCXXIV, CCCCCCCCXXV, CCCCCCCCXXVI, CCCCCCCCXXVII, CCCCCCCCXXVIII, CCCCCCCCXXIX, CCCCCCCCXXX, CCCCCCCCXXXI, CCCCCCCCXXXII, CCCCCCCCXXXIII, CCCCCCCCXXXIV, CCCCCCCCXXXV, CCCCCCCCXXXVI, CCCCCCCCXXXVII, CCCCCCCCXXXVIII, CCCCCCCCXXXIX, CCCCCCCCXL, CCCCCCCCXLI, CCCCCCCCXLII, CCCCCCCCXLIII, CCCCCCCCXLIV, CCCCCCCCXLV, CCCCCCCCXLVI, CCCCCCCCXLVII, CCCCCCCCXLVIII, CCCCCCCCXLIX, CCCCCCCCL, CCCCCCCCLI, CCCCCCCCLII, CCCCCCCCLIII, CCCCCCCCLIV, CCCCCCCCLV, CCCCCCCCLVI, CCCCCCCCLVII, CCCCCCCCLVIII, CCCCCCCCLIX, CCCCCCCCLX, CCCCCCCCLXI, CCCCCCCCLXII, CCCCCCCCLXIII, CCCCCCCCLXIV, CCCCCCCCLXV, CCCCCCCCLXVI, CCCCCCCCLXVII, CCCCCCCCLXVIII, CCCCCCCCLXIX, CCCCCCCCLXX, CCCCCCCCLXXI, CCCCCCCCLXXII, CCCCCCCCLXXIII, CCCCCCCCLXXIV, CCCCCCCCLXXV, CCCCCCCCLXXVI, CCCCCCCCLXXVII, CCCCCCCCLXXVIII, CCCCCCCCLXXIX, CCCCCCCCLXXX, CCCCCCCCLXXXI, CCCCCCCCLXXXII, CCCCCCCCLXXXIII, CCCCCCCCLXXXIV, CCCCCCCCLXXXV, CCCCCCCCLXXXVI, CCCCCCCCLXXXVII, CCCCCCCCLXXXVIII, CCCCCCCCLXXXIX, CCCCCCCCXC, CCCCCCCCXCI, CCCCCCCCXCII, CCCCCCCCXCIII, CCCCCCCCXCIV, CCCCCCCCXCV, CCCCCCCCXCVI, CCCCCCCCXCVII, CCCCCCCCXCVIII, CCCCCCCCXCIX, CCCCCCCCC, CCCCCCCCCI, CCCCCCCCCII, CCCCCCCCCIII, CCCCCCCCCIV, CCCCCCCCCV, CCCCCCCCCVI, CCCCCCCCCVII, CCCCCCCCCVIII, CCCCCCCCCIX, CCCCCCCCCX, CCCCCCCCCXI, CCCCCCCCCXII, CCCCCCCCCXIII, CCCCCCCCCXIV, CCCCCCCCCXV, CCCCCCCCCXVI, CCCCCCCCCXVII, CCCCCCCCCXVIII, CCCCCCCCCXIX, CCCCCCCCCXX, CCCCCCCCCXXI, CCCCCCCCCXXII, CCCCCCCCCXXIII, CCCCCCCCCXXIV, CCCCCCCCCXXV, CCCCCCCCCXXVI, CCCCCCCCCXXVII, CCCCCCCCCXXVIII, CCCCCCCCCXXIX, CCCCCCCCCXXX, CCCCCCCCCXXXI, CCCCCCCCCXXXII, CCCCCCCCCXXXIII, CCCCCCCCCXXXIV, CCCCCCCCCXXXV, CCCCCCCCCXXXVI, CCCCCCCCCXXXVII, CCCCCCCCCXXXVIII, CCCCCCCCCXXXIX, CCCCCCCCCXL, CCCCCCCCCXLI, CCCCCCCCCXLII, CCCCCCCCCXLIII, CCCCCCCCCXLIV, CCCCCCCCCXLV, CCCCCCCCCXLVI, CCCCCCCCCXLVII, CCCCCCCCCXLVIII, CCCCCCCCCXLIX, CCCCCCCCCL, CCCCCCCCCLI, CCCCCCCCCLII, CCCCCCCCCLIII, CCCCCCCCCLIV, CCCCCCCCCLV, CCCCCCCCCLVI, CCCCCCCCCLVII, CCCCCCCCCLVIII, CCCCCCCCCLIX, CCCCCCCCCLX, CCCCCCCCCLXI, CCCCCCCCCLXII, CCCCCCCCCLXIII, CCCCCCCCCLXIV, CCCCCCCCCLXV, CCCCCCCCCLXVI, CCCCCCCCCLXVII, CCCCCCCCCLXVIII, CCCCCCCCCLXIX, CCCCCCCCCLXX, CCCCCCCCCLXXI, CCCCCCCCCLXXII, CCCCCCCCCLXXIII, CCCCCCCCCLXXIV, CCCCCCCCCLXXV, CCCCCCCCCLXXVI, CCCCCCCCCLXXVII, CCCCCCCCCLXXVIII, CCCCCCCCCLXXIX, CCCCCCCCCLXXX, CCCCCCCCCLXXXI, CCCCCCCCCLXXXII, CCCCCCCCCLXXXIII, CCCCCCCCCLXXXIV, CCCCCCCCCLXXXV, CCCCCCCCCLXXXVI, CCCCCCCCCLXXXVII, CCCCCCCCCLXXXVIII, CCCCCCCCCLXXXIX, CCCCCCCCCXC, CCCCCCCCCXCI, CCCCCCCCCXCII, CCCCCCCCCXCIII, CCCCCCCCCXCIV, CCCCCCCCCXCV, CCCCCCCCCXCVI, CCCCCCCCCXCVII, CCCCCCCCCXCVIII, CCCCCCCCCXCIX, CCCCCCCCCC, CCCCCCCCCCI, CCCCCCCCCCII, CCCCCCCCCCIII, CCCCCCCCCCIV, CCCCCCCCCCV, CCCCCCCCCCVI, CCCCCCCCCCVII, CCCCCCCCCCVIII, CCCCCCCCCCIX, CCCCCCCCCCX, CCCCCCCCCCXI, CCCCCCCCCCXII, CCCCCCCCCCXIII, CCCCCCCCCCXIV, CCCCCCCCCCXV, CCCCCCCCCCXVI, CCCCCCCCCCXVII, CCCCCCCCCCXVIII, CCCCCCCCCCXIX, CCCCCCCCCCXX, CCCCCCCCCCXXI, CCCCCCCCCCXXII, CCCCCCCCCCXXIII, CCCCCCCCCCXXIV, CCCCCCCCCCXXV, CCCCCCCCCCXXVI, CCCCCCCCCCXXVII, CCCCCCCCCCXXVIII, CCCCCCCCCCXXIX, CCCCCCCCCCXXX, CCCCCCCCCCXXXI, CCCCCCCCCCXXXII, CCCCCCCCCCXXXIII, CCCCCCCCCCXXXIV, CCCCCCCCCCXXXV, CCCCCCCCCCXXXVI, CCCCCCCCCCXXXVII, CCCCCCCCCCXXXVIII, CCCCCCCCCCXXXIX, CCCCCCCCCCXL, CCCCCCCCCCXLI, CCCCCCCCCCXLII, CCCCCCCCCCXLIII, CCCCCCCCCCXLIV, CCCCCCCCCCXLV, CCCCCCCCCCXLVI, CCCCCCCCCCXLVII, CCCCCCCCCCXLVIII, CCCCCCCCCCXLIX, CCCCCCCCCCL, CCCCCCCCCCLI, CCCCCCCCCCLII, CCCCCCCCCCLIII, CCCCCCCCCCLIV, CCCCCCCCCCLV, CCCCCCCCCCLVI, CCCCCCCCCCLVII, CCCCCCCCCCLVIII, CCCCCCCCCCLIX, CCCCCCCCCCLX, CCCCCCCCCCLXI, CCCCCCCCCCLXII, CCCCCCCCCCLXIII, CCCCCCCCCCLXIV, CCCCCCCCCCLXV, CCCCCCCCCCLXVI, CCCCCCCCCCLXVII, CCCCCCCCCCLXVIII, CCCCCCCCCCLXIX, CCCCCCCCCCLXX, CCCCCCCCCCLXXI, CCCCCCCCCCLXXII, CCCCCCCCCCLXXIII, CCCCCCCCCCLXXIV, CCCCCCCCCCLXXV, CCCCCCCCCCLXXVI, CCCCCCCCCCLXXVII, CCCCCCCCCCLXXVIII, CCCCCCCCCCLXXIX, CCCCCCCCCCLXXX, CCCCCCCCCCLXXXI, CCCCCCCCCCLXXXII, CCCCCCCCCCLXXXIII, CCCCCCCCCCLXXXIV, CCCCCCCCCCLXXXV, CCCCCCCCCCLXXXVI, CCCCCCCCCCLXXXVII, CCCCCCCCCCLXXXVIII, CCCCCCCCCCLXXXIX, CCCCCCCCCCXC, CCCCCCCCCCXCI, CCCCCCCCCCXCII, CCCCCCCCCCXCIII, CCCCCCCCCCXCIV, CCCCCCCCCCXCV, CCCCCCCCCCXCVI, CCCCCCCCCCXCVII, CCCCCCCCCCXCVIII, CCCCCCCCCCXCIX, CCCCCCCCCCC, CCCCCCCCCCCI, CCCCCCCCCCCII, CCCCCCCCCCCIII, CCCCCCCCCCCIV, CCCCCCCCCCCV, CCCCCCCCCCCVI, CCCCCCCCCCCVII, CCCCCCCCCCCVIII, CCCCCCCCCCCIX, CCCCCCCCCCCX, CCCCCCCCCCCXI, CCCCCCCCCCCXII, CCCCCCCCCCCXIII, CCCCCCCCCCCXIV, CCCCCCCCCCCXV, CCCCCCCCCCCXVI, CCCCCCCCCCCXVII, CCCCCCCCCCCXVIII, CCCCCCCCCCCXIX, CCCCCCCCCCCXX, CCCCCCCCCCCXXI, CCCCCCCCCCCXXII, CCCCCCCCCCCXXIII, CCCCCCCCCCCXXIV, CCCCCCCCCCCXXV, CCCCCCCCCCCXXVI, CCCCCCCCCCCXXVII, CCCCCCCCCCCXXVIII, CCCCCCCCCCCXXIX, CCCCCCCCCCCXXX, CCCCCCCCCCCXXXI, CCCCCCCCCCCXXXII, CCCCCCCCCCCXXXIII, CCCCCCCCCCCXXXIV, CCCCCCCCCCCXXXV, CCCCCCCCCCCXXXVI, CCCCCCCCCCCXXXVII, CCCCCCCCCCCXXXVIII, CCCCCCCCCCCXXXIX, CCCCCCCCCCCXL, CCCCCCCCCCCXLI, CCCCCCCCCCCXLII, CCCCCCCCCCCXLIII, CCCCCCCCCCCXLIV, CCCCCCCCCCCXLV, CCCCCCCCCCCXLVI, CCCCCCCCCCCXLVII, CCCCCCCCCCCXLVIII, CCCCCCCCCCCXLIX, CCCCCCCCCCCL, CCCCCCCCCCCLI, CCCCCCCCCCCLII, CCCCCCCCCCCLIII, CCCCCCCCCCCLIV, CCCCCCCCCCCLV, CCCCCCCCCCCLVI, CCCCCCCCCCCLVII, CCCCCCCCCCCLVIII, CCCCCCCCCCCLIX, CCCCCCCCCCCLX, CCCCCCCCCCCLXI, CCCCCCCCCCCLXII, CCCCCCCCCCCLXIII, CCCCCCCCCCCLXIV, CCCCCCCCCCCLXV, CCCCCCCCCCCLXVI, CCCCCCCCCCCLXVII, CCCCCCCCCCCLXVIII, CCCCCCCCCCCLXIX, CCCCCCCCCCCLXX, CCCCCCCCCCCLXXI, CCCCCCCCCCCLXXII, CCCCCCCCCCCLXXIII, CCCCCCCCCCCLXXIV, CCCCCCCCCCCLXXV, CCCCCCCCCCCLXXVI, CCCCCCCCCCCLXXVII, CCCCCCCCCCCLXXVIII, CCCCCCCCCCCLXXIX, CCCCCCCCCCCLXXX, CCCCCCCCCCCLXXXI, CCCCCCCCCCCLXXXII, CCCCCCCCCCCLXXXIII, CCCCCCCCCCCLXXXIV, CCCCCCCCCCCLXXXV, CCCCCCCCCCCLXXXVI, CCCCCCCCCCCLXXXVII, CCCCCCCCCCCLXXXVIII, CCCCCCCCCCCLXXXIX, CCCCCCCCCCCXC, CCCCCCCCCCCXCI, CCCCCCCCCCCXCII, CCCCCCCCCCCXCIII, CCCCCCCCCCCXCIV, CCCCCCCCCCCXCV, CCCCCCCCCCCXCVI, CCCCCCCCCCCXCVII, CCCCCCCCCCCXCVIII, CCCCCCCCCCCXCIX, CCCCCCCCCCCC, CCCCCCCCCCCCI, CCCCCCCCCCCCII, CCCCCCCCCCCCIII, CCCCCCCCCCCCIV, CCCCCCCCCCCCV, CCCCCCCCCCCCVI, CCCCCCCCCCCCVII, CCCCCCCCCCCCVIII, CCCCCCCCCCCCIX, CCCCCCCCCCCCX, CCCCCCCCCCCCXI, CCCCCCCCCCCCXII, CCCCCCCCCCCCXIII, CCCCCCCCCCCCXIV, CCCCCCCCCCCCXV, CCCCCCCCCCCCXVI, CCCCCCCCCCCCXVII, CCCCCCCCCCCCXVIII, CCCCCCCCCCCCXIX, CCCCCCCCCCCCXX, CCCCCCCCCCCCXXI, CCCCCCCCCCCCXXII, CCCCCCCCCCCCXXIII, CCCCCCCCCCCCXXIV, CCCCCCCCCCCCXXV, CCCCCCCCCCCCXXVI, CCCCCCCCCCCCXXVII, CCCCCCCCCCCCXXVIII, CCCCCCCCCCCCXXIX, CCCCCCCCCCCCXXX, CCCCCCCCCCCCXXXI, CCCCCCCCCCCCXXXII, CCCCCCCCCCCCXXXIII, CCCCCCCCCCCCXXXIV, CCCCCCCCCCCCXXXV, CCCCCCCCCCCCXXXVI, CCCCCCCCCCCCXXXVII, CCCCCCCCCCCCXXXVIII, CCCCCCCCCCCCXXXIX, CCCCCCCCCCCCXL, CCCCCCCCCCCCXLI, CCCCCCCCCCCCXLII, CCCCCCCCCCCCXLIII, CCCCCCCCCCCCXLIV, CCCCCCCCCCCCXLV, CCCCCCCCCCCCXLVI, CCCCCCCCCCCCXLVII, CCCCCCCCCCCCXLVIII, CCCCCCCCCCCCXLIX, CCCCCCCCCCCCL, CCCCCCCCCCCCLI, CCCCCCCCCCCCLII, CCCCCCCCCCCCLIII, CCCCCCCCCCCCLIV, CCCCCCCCCCCCLV, CCCCCCCCCCCCLVI, CCCCCCCCCCCCLVII, CCCCCCCCCCCCLVIII, CCCCCCCCCCCCLIX, CCCCCCCCCCCCLX, CCCCCCCCCCCCLXI, CCCCCCCCCCCCLXII, CCCCCCCCCCCCLXIII, CCCCCCCCCCCCLXIV, CCCCCCCCCCCCLXV, CCCCCCCCCCCCLXVI, CCCCCCCCCCCCLXVII, CCCCCCCCCCCCLXVIII, CCCCCCCCCCCCLXIX, CCCCCCCCCCCCLXX, CCCCCCCCCCCCLXXI, CCCCCCCCCCCCLXXII, CCCCCCCCCCCCLXXIII, CCCCCCCCCCCCLXXIV, CCCCCCCCCCCCLXXV, CCCCCCCCCCCCLXXVI, CCCCCCCCCCCCLXXVII, CCCCCCCCCCCCLXXVIII, CCCCCCCCCCCCLXXIX, CCCCCCCCCCCCLXXX, CCCCCCCCCCCCLXXXI, CCCCCCCCCCCCLXXXII, CCCCCCCCCCCCLXXXIII, CCCCCCCCCCCCLXXXIV, CCCCCCCCCCCCLXXXV, CCCCCCCCCCCCLXXXVI, CCCCCCCCCCCCLXXXVII, CCCCCCCCCCCCLXXXVIII, CCCCCCCCCCCCLXXXIX, CCCCCCCCCCCCXC, CCCCCCCCCCCCXCI, CCCCCCCCCCCCXCII, CCCCCCCCCCCCXCIII, CCCCCCCCCCCCXCIV, CCCCCCCCCCCCXCV, CCCCCCCCCCCCXCVI, CCCCCCCCCCCCXCVII, CCCCCCCCCCCCXCVIII, CCCCCCCCCCCCXCIX, CCCCCCCCCCCCC, CCCCCCCCCCCCCI, CCCCCCCCCCCCCII, CCCCCCCCCCCCCIII, CCCCCCCCCCCCCIV, CCCCCCCCCCCCCV, CCCCCCCCCCCCCVI, CCCCCCCCCCCCCVII, CCCCCCCCCCCCCVIII, CCCCCCCCCCCCCIX, CCCCCCCCCCCCCX, CCCCCCCCCCCCCXI, CCCCCCCCCCCCCXII, CCCCCCCCCCCCCXIII, CCCCCCCCCCCCCXIV, CCCCCCCCCCCCCXV, CCCCCCCCCCCCCXVI, CCCCCCCCCCCCCXVII, CCCCCCCCCCCCCXVIII, CCCCCCCCCCCCCXIX, CCCCCCCCCCCCCXX, CCCCCCCCCCCCCXXI, CCCCCCCCCCCCCXXII, CCCCCCCCCCCCCXXIII, CCCCCCCCCCCCCXXIV, CCCCCCCCCCCCCXXV, CCCCCCCCCCCCCXXVI, CCCCCCCCCCCCCXXVII, CCCCCCCCCCCCCXXVIII, CCCCCCCCCCCCCXXIX, CCCCCCCCCCCCCXXX, CCCCCCCCCCCCCXXXI, CCCCCCCCCCCCCXXXII, CCCCCCCCCCCCCXXXIII, CCCCCCCCCCCCCXXXIV, CCCCCCCCCCCCCXXXV, CCCCCCCCCCCCCXXXVI, CCCCCCCCCCCCCXXXVII, CCCCCCCCCCCCCXXXVIII, CCCCCCCCCCCCCXXXIX, CCCCCCCCCCCCCXL, CCCCCCCCCCCCCXLI, CCCCCCCCCCCCCXLII, CCCCCCCCCCCCCXLIII, CCCCCCCCCCCCCXLIV, CCCCCCCCCCCCCXLV, CCCCCCCCCCCCCXLVI, CCCCCCCCCCCCCXLVII, CCCCCCCCCCCCCXLVIII, CCCCCCCCCCCCCXLIX, CCCCCCCCCCCCCL, CCCCCCCCCCCCCLI, CCCCCCCCCCCCCLII, CCCCCCCCCCCCCLIII, CCCCCCCCCCCCCLIV, CCCCCCCCCCCCCLV, CCCCCCCCCC

რომელიმე პირზე სამედიცინო, სამეცნიერო ან სხვა ცდების ჩატარება მისი თანხმობის გარეშე.

მუხლი 47. აზრისა და სიტყვის თავისუფლება

I. ყველას აქვს აზრისა და სიტყვის თავისუფლება.

II. დაუშვებელია ნებისმიერი პირის იძულება მისი იდეებისა და პრინციპების ჩამოყალიბების ან უარყოფის მიზნით.

III. დაუშვებელია რასობრივი, ეროვნული, რელიგიური შუღლისა და მტრობის გამომწვევი აგიტაცია და პროპაგანდა.

მუხლი 48. რწმენის თავისუფლება

I. ყველას აქვს რწმენის თავისუფლება.

II. ყველას აქვს უფლება თავისუფლად განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება რელიგიასთან, დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად აღიარებდეს რომელიმე რელიგიას ან არ აღიარებდეს არც ერთ რელიგიას, გამოხატოს და გაავრცელოს რელიგიასთან დაკავშირებული თავისი შეხედულებები.

III. რელიგიური რიტუალების აღსრულება თავისუფალია, თუ არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საზოგადოებრივ მორალს.

IV. რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების ხელყოფა გაუმართლებელია.

მუხლი 49. შეკრების თავისუფლება

I. ყველას აქვს თავისუფალი შეკრების უფლება.

II. ყველას აქვს უფლება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის წინასწარი შეტყობინების შემდეგ სხვებთან ერთად მშვიდობიანად და უიარაღოდ შეგროვდნენ, გამართონ შეკრება, მიტინგი, დემონსტრაცია, ქუჩის მსვლელობა, მოაწყონ პიკეტი.

მუხლი 50. ინფორმაციის თავისუფლება

I. ყველას აქვს უფლება კანონიერი გზით მოიძიოს, მიიღოს გადასცეს, მოამზადოს და გაავრცელოს ინფორმაცია.

II. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება უზრუნველყოფილია. სახელმწიფო ცენზურა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, მათ შორის ბეჭდვით საშუალებებზე, აკრძალულია.

მუხლი 51. შემოქმედების თავისუფლება

I. ყველას აქვს შემოქმედების თავისუფლება.

II. სახელმწიფო უზრუნველყოფს მხატვრულ-ლიტერატურული, სამეცნიერო-ტექნიკური და შემოქმედების სხვა ფორმების თავისუფალ განხორციელებას.

მუხლი 52. მოქალაქეობის უფლება

პირი, რომელსაც აქვს პოლიტიკური და სამართლებრივი კავშირი აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან, აგრეთვე, გააჩნია ორმხრივი უფლებები და მოვალეობები, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან აზერბაიჯანელი მოქალაქისაგან დაბადებული პირი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეა. პირი, რომლის ერთ-ერთი მშობელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეა.

მუხლი 53. მოქალაქეობის უფლების გარანტია

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქისთვის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია ნებისმიერ შემთხვევაში.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის აზრბაიჯანის რესპუბლიკიდან გაძევება ან სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია ნებისმიერ შემთხვევაში.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკა უზრუნველყოფს მის საზღვრებს გარეთ დროებით ან მუდმივად მცხოვრები აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეთა სამართლებრივ დაცვასა და მფარველობას.

მუხლი 54. საზოგადოებისა და სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ შეუფერხებლად მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს უფლება აქვს დამოუკიდებლად აღუდგეს წინ სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყების ან შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას.

მუხლი 55. სახელმწიფო მართვაში მონაწილეობის უფლება

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მართვაში. ამ უფლების განხორციელება მათ შეუძლიათ უშუალოდ ან წარმომადგენლების მეშვეობით.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ იმუშაონ სახელმწიფო ორგანოებში. სახელმწიფო ორგანოთა თანამდებობის პირები ინიშნებიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეთაგან. უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები სახელმწიფო სამსახურში მიიღებიან კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 56. საარჩევნო უფლება

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეები უფლებამოსილნი არიან აირჩიონ და არჩეულ იქნენ სახელმწიფო ორგანოებში, მონაწილეობა მიიღონ რეფერენდუმში.

II. არჩევნებში, ისევე როგორც რეფერენდუმში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ პირებს, რომელთა ქმედუუნარობაც დადგენილია სასამართლოს გადაწყვეტილებით.

III. სამხედრო მოსამსახურეების, მოსამართლეების, სახელმწიფო მოსამსახურეების, რელიგიური მოღვაწეების, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე თავისუფლებაშეზღუდული პირებისა და წინამდებარე კონსტიტუციასა და კანონში განსაზღვრული პირების არჩევნებში მონაწილეობა შეიძლება შეიზღუდოს კანონით.

მუხლი 57. მიმართვის უფლება

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეები უფლებამოსილნი არიან უშუალოდ მიმართონ, აგრეთვე ინდივიდუალური და კოლექტიური წერილობითი მიმართვები გაუგზავნონ სახელმწიფო ორგანოებს. ყოველ მიმართვაზე უნდა გაიცეს შესაბამისი პასუხი კანონით დადგენილ ვადებში და წესით.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეები უფლებამოსილნი არიან გააკრიტიკონ სახელმწიფო ორგანოების, სახელმწიფო თანამდებობის პირების, პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირების, სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების მუშაობა, აგრეთვე, ცალკეული პირების საქმიანობა. კრიტიკის გამო დევნა დაუშვებელია. შეურაცხყოფა ან ცილისწამება არ შეიძლება ჩაითვალოს კრიტიკად.

მუხლი 58. გაერთიანების უფლება

I. ყველას აქვს უფლება თავისუფლად გაერთიანდეს სხვებთან.

II. ყველას აქვს უფლება შექმნას ნებისმიერი გაერთიანება, მათ შორის პოლიტიკური პარტია, პროფესიული კავშირი ან სხვა საზოგადოებრივი გაერთიანება, ან შეუიდეს უკვე არსებულ გაერთიანებაში. უზრუნველყოფილია ყველა გაერთიანების თავისუფალი საქმიანობა.

III. დაუშვებელია რომელიმე გაერთიანებაში პირის იძულებით შეყვანა ან მის წევრად ყოფნის იძულება.

IV. აკრძალულია გაერთიანება, რომლის მიზანია აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში კანონიერი სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა. კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დამრღვევი გაერთიანების საქმიანობა შეიძლება შეწყდეს მხოლოდ სასამართლოს გზით.

მუხლი 59. თავისუფალი წარმოების უფლება

ყველას აქვს უფლება თავისი საშუალებების, შესაძლებლობებისა და ქონების თავისუფალი გამოყენებით, დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა ან კანონით დაშვებული სხვა ეკონომიკური საქმიანობა.

მუხლი 60. უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო გარანტია

I. უზრუნველყოფილია ყველას უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სასამართლოში.

II. ყველას აქვს უფლება სასამართლოში გაასაჩივროს სახელმწიფო ორგანოების, პოლიტიკური პარტიების, პროფესიული კავშირების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილება ან მოქმედება (უმოქმედობა).

მუხლი 61. სამართლებრივი დახმარების მიღების უფლება

I. ყველას აქვს კვალიფიციური სამართლებრივი დახმარების მიღების უფლება.

II. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში სამართლებრივი დახმარების გაწევა ხდება უფასოდ, სახელმწიფოს ხარჯზე.

III. ყველა პირს დაკავების, დაპატიმრების, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ ბრალდების წარდგენის შემთხვევაში უფლება აქვს ისარგებლოს დამცველის დახმარებით.

მუხლი 62. სასამართლოს იურისდიქციის შეცვლის დაუშვებლობა

ყველას აქვს უფლება მისი საქმე განიხილებოდეს კანონით დადგენილ სასამართლოში. საქმის განხილვა სხვა სასამართლოს მიერ, მასში მონაწილე პირის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

მუხლი 63. უდანაშაულობის პრეზუმფცია

I. ყველას აქვს უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი ყველა პირი ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალი არ იქნება დადასტურებული კანონით დადგენილი წესით და სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

II. პირისადმი წარდგენილი ბრალდების მიმართ ეჭვის არსებობის შემთხვევაში, მისი ბრალდებულად ცნობა დაუშვებელია.

III. პირი, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში, ვალდებული არ არის ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.

IV. დაუშვებელია კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება მართლმსაჯულების განხორციელებისას.

V. არავინ არ შეიძლება იქნეს ცნობილი დამნაშავედ სასამართლოს განაჩენის გარეშე.

მუხლი 64. ერთი და იმავე დანაშაულისთვის განმეორებით გასამართლების დაუშვებლობა

არავინ არ შეიძლება იქნეს გასამართლებული მეორედ ერთი და იმავე დანაშაულისთვის.

მუხლი 65. სასამართლოსთვის განმეორებით მიმართვის უფლება

სასამართლოს მიერ გასამართლებულ პირს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით, მასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის, აგრეთვე, შეწყალებისა და სასჯელის შემსუბუქების მოთხოვნით მიმართოს ზემდგომ სასამართლოს.

მუხლი 66. ნათესავების წინააღმდეგ ჩვენების მიცემის იძულების დაუშვებლობა

დაუშვებელია პირის იძულება თავისი თავის, ცოლის (ქმრის), შვილების, მშობლების, დის, ძმის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. ნათესავთა ჩამონათვალი, რომელთა წინააღმდეგაც ჩვენების მიცემა არ არის საეალდებულო, განისაზღვრება კანონით.

მუხლი 67. დაკავებულთა, დაპატიმრებულთა და ბრალდებაწარდგენილ პირთა უფლებები

დაკავებულ, დაპატიმრებულ და ბრალდებაწარდგენილ პირებს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ დაუყოვნებლივ უნდა განემარტოთ თავიანთი უფლებები და დაკავებისა და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზეზები.

მუხლი 68. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

I. დანაშაულის ან ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შედეგად დაზარალებულ პირთა უფლებები დაცულია კანონით. დაზარალებული პირები უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ სასამართლო განხილვებში და მოითხოვონ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

II. ყველას აქვს უფლება მიიღოს სახელმწიფოსგან ანაზღაურება სახელმწიფო ორგანოების ან თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებების ან უმოქმედობის შედეგად მიყენებული ზიანისთვის.

მუხლი 69. უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებები

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მყოფი უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ იმავე უფლებებით და შეასრულონ იგივე ვალდებულებები, რითაც აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეებმა, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომლის ხელშემკვრელ მხარესაც აზერბაიჯანის რესპუბლიკა წარმოადგენს.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ან დროებით მყოფი უცხოელი მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 70. პოლიტიკური თავშესაფრის უფლება

I. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმათა შესაბამისად აზერბაიჯანის რესპუბლიკა უზრუნველყოფს პოლიტიკურ თავშესაფარს უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის.

II. დაუშვებელია სხვა სახელმწიფოსათვის იმ პირების გადაცემა, რომლებიც იდევნებიან თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო ან იმ ქმედებებისათვის, რაც აზებაიჯანის რესპუბლიკაში დანაშაულად არ ითვლება.

მუხლი 71. ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა

I. ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციით დადგენილი უფლებების დაცვა და შესრულება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მოვალეობას წარმოადგენს.

II. ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების შეზღუდვა დაუშვებელია.

III. მხოლოდ ომის გამოცხადების, სამხედრო წესებისა და საგანგებო მდგომარეობის, აგრეთვე მობილიზაციის დროს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა გათვალისწინებით დაიშვება ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების ნაწილობრივი ან დროებითი შეზღუდვა. უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის შესახებ მოსახლეობას წინასწარ უნდა ეცნობოს.

IV. დაუშვებელია რაიმე გარემოების გამო ვინმეს იძულება მიიღოს რელიგიური ან სხვა სწავლება, შეხედულება და გახდეს მისი მიმდევარი.

V. კონსტიტუციის არც ერთი დებულება არ შეიძლება იქნეს განმარტებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა გაუქმების მიმართულებით.

VI. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება ხდება უშუალოდ.

VII. ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლოს გზით.

VIII. დაუშვებელია პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება იმ ქმედების გამო, რომელიც მისი ჩადენის მომენტში არ ითვლებოდა სამართალდარღვევად. თუ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ მასზე ახალი კანონით გაუქმდა ან შემსუბუქდა პასუხისმგებლობა, ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიყენება ახალი კანონი.

თავი IV.
მოქალაქეთა ძირითადი მოვალეობანი

მუხლი 72. მოქალაქეთა ძირითადი მოვალეობანი

I. სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე ყველას აკისრია მისი უფლებებისა და თავისუფლებებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დაცვა, სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა, კანონით დადგენილ ვალდებულებათა შესრულება საყოველთაო მოვალეობაა.

III. კანონის არცოდნა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს არ წარმოადგენს.

მუხლი 73. გადასახადები და სხვა სახელმწიფო მოსაკრებლები

I. კანონით დადგენილი გადასახადებისა და სხვა სახელმწიფო მოსაკრებლების სრულად და დროულად გადახდა საყოველთაო მოვალეობას წარმოადგენს.

II. დაუშვებელია ვინმეს იძულება კანონით გაუთვალისწინებელი ან კანონით დადგენილზე მეტი გადასახადისა და სხვა სახელმწიფო მოსაკრებლის გადასახდელად.

მუხლი 74. სამშობლოსადმი ერთგულება

I. სამშობლოსადმი ერთგულება წმინდათაწმინდაა.

II. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებში თანამდებობაზე არჩევით ან დანიშვნით მომუშავე პირები პასუხისმგებელნი არიან მათზე დაკისრებულ მოვალეობათა ზუსტად და კეთილსინდისიერად შესრულებაზე და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დებენ ფიცს.

III. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებში თანამდებობაზე არჩევით ან დანიშვნით მომუშავე ყველა პირი, რომელმაც ფიცი დადო აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაზე, ითვლება თანამდებობიდან გადაყენებულად და ვეღარ დაიკავებს ამ თანამდებობას, თუ მას ბრალი დაედო სახელმწიფო დანაშაულის, მათ შორის სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყების მოწყობასა და შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების ჩადენაში და ამის გამო მსჯავრდებულ იქნა სასამართლოს მიერ.

მუხლი 75. სახელმწიფო სიმბოლოების პატივისცემა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლოების. მისი დროშის გერბისა და ჰიმნის პატივისცემა წარმოადგენს ყველა მოქალაქის მოვალეობას.

მუხლი 76. სამშობლოს დაცვა

I. სამშობლოს დაცვა ყველა მოქალაქის მოვალეობაა. მოქალაქეები გადიან სამხედრო სამსახურს კანონით დადგენილი წესით.

II. კანონით დადგენილ შემთხვევებში, დაიშვება სავალდებულო სამხედრო სამსახურის შეცვლა ალტერნატიული სამსახურით თუ მოქალაქის აღმსარებლობა ეწინააღმდეგება სამხედრო სამსახურის გავლის წესს.

მუხლი 77. ისტორიულ და კულტურულ ძეგლთა დაცვა

ისტორიულ და კულტურულ ძეგლთა დაცვა ყველა პირის მოვალეობას წარმოადგენს.

მუხლი 78. გარემო პირობების დაცვა

გარემო პირობების დაცვა ყველა პირის მოვალეობას წარმოადგენს.

მუხლი 79. კანონსაწინააღმდეგო მოვალეობათა შესრულების დაუშვებლობა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის საწინააღმდეგო მოვალეობების შესრულების იძულება დაუშვებელია.

მუხლი 80. პასუხისმგებლობა

ამ კონსტიტუციისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობის დარღვევა, მათ შორის კონსტიტუციითა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების ბოროტად გამოყენება ან დაკისრებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოიწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

განყოფილება III
სახელმწიფო ხელისუფლება
თავი V.
საკანონმდებლო ხელისუფლება

მუხლი 81. საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის მიერ.

მუხლი 82. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის შემადგენლობის რაოდენობა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისი შედგება 125 დეპუტატისგან.

მუხლი 83. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატთა არჩევის საფუძვლები

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატები აირჩევიან მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნებით, უშუალო და ფარული კენჭისყრით.

მუხლი 84. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის უფლებამოსილების ვადა

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ყოველი მოწვევის მილი მეჯლისის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის არჩევნები იმართება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ნოემბრის პირველ კვირა დღეს.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკის შესაბამისი მოწვევის მილი მეჯლისის უფლებამოსილების ვადით.

IV. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის ვადამდე უფლებამოსილებაშეწყვეტილი დეპუტატის უფლებამონაცვლე დეპუტატის არჩევის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება შესაბამისი მოწვევის მილი მეჯლისის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

მუხლი 85. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატობის კანდიდატთა მოთხოვნები

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატად, კანონით დადგენილი წესით, შეიძლება არჩეულ იქნეს არანაკლებ 25 წლის ასაკს მიღწეული აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნებისმიერი მოქალაქე.

II. დაუშვებელია აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატად არჩეულ იქნენ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები, სხვა სახელმწიფოების წინაშე ვალდებულებების მქონე პირები, აღმასრულებელი ან სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში მომუშავე პირები, ან სხვა ანაზღაურებადი საქმიანობით, სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობის გარდა, დაკავებული პირები, რელიგიური მოღვაწეები, სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირები, მძიმე დანაშაულისათვის გასამართლებული პირები, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე.

მუხლი 86. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატთა არჩევნების შედეგების გადასინჯვა და დამტკიცება

არჩევნების შედეგების სამართლიანობის გადასინჯვა და დამტკიცება ხდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 87. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის უფლებამოსილების ვადის ამოწურვა

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატთა უფლებამოსილება წყდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ახალი მოწვევის მილი მეჯლისის პირველი შეკრების დღეს.

II. თუ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 120 დღეზე ნაკლებია დარჩენილი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის გამოკლებული დეპუტატის უფლებამონაცვლე არ აირჩევა.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისი უფლებამოსილია თუ დადასტურებულია მისი არანაკლებ 83 დეპუტატის უფლებამოსილება.

მუხლი 88. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის სესიები

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისი მორიგ სესიაზე იკრიბება ყოველ წელს, წელიწადში ორჯერ — საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიაზე.
აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის პირველი სხდომა მოიწვევა არა უგვიანეს ერთი კვირისა მილი მეჯლისის არანაკლებ 83 დეპუტატის უფლებამოსილების დადასტურების დღიდან.
თუ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის არჩევის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 10 მარტისა, არ იქნება დადასტურებული არანაკლებ 83 დეპუტატის უფლებამოსილება, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის პირველი სხდომის ჩატარების თარიღს განსაზღვრავს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის რიგგარეშე სესია მოიწვევა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის თავმჯდომარის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ან აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის არანაკლებ 42 დეპუტატის მოთხოვნით.

III. რიგგარეშე სესიის დღის წესრიგი განისაზღვრება იმ პირთა მიერ, ვინც სესიის მოწვევა მოითხოვა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდეგ რიგგარეშე სესია იხურება.

მუხლი 89. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატის მანდატის ჩამორთმევა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტა

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატის მანდატის ჩამორთმევა დაიშვება:

1. არჩევნების დროს ხმათა არასწორი დათვლის გამოვლენის შემთხვევაში;

2. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეობიდან გასვლისა და სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში;

3. დანაშაულის ჩადენისას, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობის შემთხვევაში;

4. სხვა სახელმწიფო ორგანოში თანამდებობის დაკავების, რელიგიურ მოღვაწედ გახდომისა და სამეწარმეო, კომერციული ან სხვა ანაზღაურებადი საქმიანობის (სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობის გარდა) განხორციელების შემთხვევაში;

5. მანდატზე თავისი ნებით უარის თქმის შემთხვევაში.
აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატის მანდატის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კანონით დადგენილი წესით.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატების მიერ უფლებამოსილებათა მუდმივად შესრულების შეუძლებლობისა და კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში, მათი უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება. ამგვარი გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 90. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატთა ხელშეუხებლობა

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატის პიროვნება მისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში ხელშეუხებელია. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება, მის მიმართ სასამართლო წესით ადმინისტრაციული დევნისა და იძულების სხვა ზომების გამოყენება, მისი გაჩხრეკა, პირადი დათვალიერება დაუშვებელია მისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, გარდა დანაშაულზე წასწრების შემთხვევისა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატის დაკავება შეიძლება დანაშაულზე წასწრებისას. ასეთ შემთხვევაში ორგანო, რომელმაც დააკავა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატი, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამ ფაქტის შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატის ხელშეუხებლობა შეიძლება შეწყდეს მხოლოდ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის გადაწყვეტილებით აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 91. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატების პასუხისმგებლობის დაუშვებლობა

დაუშვებელია აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისში გაწეული საქმიანობის, ხმის მიცემისა და აზრის გამოხატვის გამო. ამ საკითხებზე მათთვის ახსნა-განმარტებებისა და ჩვენებების მოთხოვნა დაუშვებელია მათივე თანხმობის გარეშე.

მუხლი 92. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის საქმიანობის ორგანიზაცია

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისი განსაზღვრავს თავისი საქმიანობის წესს, აგრეთვე ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილეებს, ქმნის მუდმივმოქმედ და სხვა კომისიებს, ქმნის საანგარიშო პალატას.

მუხლი 93. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის აქტები

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისი მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე იღებს კონსტიტუციურ კანონებს, კანონებსა და დადგენილებებს.

II. კონსტიტუციური კანონები, კანონები და დადგენილებები მიიღება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის მიერ წინამდებარე კონსტიტუციით დადგენილი წესით.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატი ხმის მიცემას ახორციელებს უშუალოდ.

IV. დაუშვებელია აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები შეიცავდნენ კონკრეტულ დავალებებს აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებისათვის.

მუხლი 94. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის მიერ დადგენილი ძირითადი წესები

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისი უფლებამოსილია დაადგინოს ძირითადი წესები შემდეგ საკითხებზე:

1) წინამდებარე კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა, ამ უფლებათა და თავისუფლებათა სახელმწიფო გარანტიები;

2) აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები;

3) აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის არჩევნები და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატის სტატუსი;

4) რეფერენდუმი;

5) სასამართლო სისტემა და მოსამართლეთა სტატუსი, პროკურატურა, ადვოკატურა და ნოტარიატი;

6) მართლმსაჯულების განხორციელება, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება;

7) მუნიციპალიტეტების არჩევნები და მუნიციპალიტეტების სტატუსი;

8) საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი, საომარი მდგომარეობის რეჟიმი;

9) სახელმწიფო ჯილდოები;

10) ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სტატუსი;

11) სამოქალაქო სამართლის ობიექტები;

12) გარიგებები, სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებები, წარმომადგენლობა და მემკვიდრეობა;

13) საკუთრების უფლება, მათ შორის სახელმწიფო, კერძო და მუნიციპალური საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი, ინტელექტუალური საკუთრების უფლება, სხვა ქონებრივი უფლებები; ვალდებულებითი უფლებები;

14) საოჯახო ურთიერთობები, მათ შორის მეურვეობა და მზრუნველობა;

15) ფინანსური საქმიანობის საფუძვლები, გადასახადები, ვალდებულებები და მოსაკრებლები;

16) შრომითი ურთიერთობები და სოციალური უზრუნველყოფა;

17) დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა განსაზღვრა, მათი ჩადენისათვის პასუხისმგებლობის დადგენა;

18) თავდაცვა და სამხედრო სამსახური;

19) სახელმწიფო სამსახური;

20) უსაფრთხოების საფუძვლები;

21) ტერიტორიული მოწყობა, სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი;

22) საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირება და დენონსირება;

23) კავშირგაბმულობა და ტრანსპორტი;

24) სტატისტიკა, მეტეოროლოგია და სტანდარტები;

25) საბაჟო საკითხები,

26) ვაჭრობა და საბირჟო საქმიანობა;

27) საბანკო საქმე, ბუღალტერია და დაზღვევა.

II. ამ მუხლის პირველი ნაწილის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში გათვალისწინებულ საკითხებზე კანონები მიიღება არანაკლებ 83 ხმით, ხოლო დანარჩენ საკითხებზე – არანაკლებ 63 ხმით.

III. ამ მუხლის პირველ ნაწილში განსაზღვრულ საკითხებს კონსტიტუციური კანონით შესაძლოა დაემატოს სხვა საკითხებიც.

მუხლი 95. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის გადასაწყვეტი საკითხები

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის კომპეტენციას წარმოადგენს შემდეგ საკითხთა გადაწყვეტა:

1) აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის საქმიანობის ორგანიზაცია;

2) აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობების დაფუძნება;

3) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა;

4) საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირება და დენონსირება;

5) აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და კონტროლი მის შესრულებაზე;

6) აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დამცველის არჩევა;

7) აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხედრო დოქტრინის დამტკიცება;

8) წინამდებარე კონსტიტუციით განსაზღვრულ საკითხებზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებების დამტკიცება;

9) აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის დანიშვნაზე თანხმობის მიცემა;

10) აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნა;

11) აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნასა და გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემა;

12) აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართვის საფუძველზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება;

13) აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე მოსამართლეთა თანამდებობიდან გადაყენება;

14) აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისათვის ნდობის გამოცხადების საკითხის გადაწყვეტა;

15) აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელისა და მმართველი საბჭოს წევრთა დანიშვნა;

16) აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების იმ ამოცანების შესასრულებლად გამოყენებაზე თანხმობის მიცემა, რომელიც არ წარმოადგენს მათ დანიშნულებას;

17) აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე ომის გამოცხადებასა და ზავის დადებაზე თანხმობის მიცემა;

18) რეფერენდუმის დანიშვნა;

19) ამნისტიის გამოცხადება.

II. ამ მუხლის პირველი ნაწილის 1-5 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე კანონები მიიღება არანაკლებ 63 ხმით, ხოლო დანარჩენ საკითხებზე ხმათა იგივე რაოდენობით მიიღება დადგენილებები, თუ წინამდებარე კონსტიტუციით სხვა რამ არ არის დადგენილი.

III. დადგენილებები შეიძლება მიღებულ იქნეს, აგრეთვე, სხვა საკითხებზე, რომლებიც წინამდებარე კონსტიტუციის მიხედვით აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის კომპეტენციას წარმოადგენს, მილი მეჯლისის საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე და იმ საკითხებზე, რომლებიც მილი მეჯლისისგან რეაგირებას მოითხოვს.

IV. ამ მუხლის პირველ ნაწილში განსაზღვრულ საკითხებს კონსტიტუციური კანონით შესაძლოა დაემატოს სხვა საკითხებიც.

მუხლი 96. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება (აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისში კანონპროექტების შეტანისა და სხვა საკითხების დაყენების უფლება) აქვთ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დეპუტატებს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პროკურატურას, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისს.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პროკურატურის, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისში საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე შეტანილი კანონპროექტები და დადგენილების პროექტები განიხილება და კენჭისყრაზე გაიტანება იმ სახით, როგორითაც იქნა წარდგენილი.

III. ამგვარ კანონპროექტებსა და დადგენილების პროექტებში ცვლილების შეტანა დაიშვება მხოლოდ მისი საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმდგენი ორგანოს თანხმობით.

IV. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პროკურატურის, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისში საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე შეტანილი კანონპროექტები და დადგენილების პროექტები კენჭისყრაზე გაიტანება წარდგენიდან ორი თვის განმავლობაში.

V. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პროკურატურის, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისის მიერ აღნიშნული კანონპროექტებისა და დადგენილების პროექტების სასწრაფოდ განსახილველად მიჩნევის შემთხვევაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისში მისი კენჭისყრაზე გატანის ვადა 20 დღემდე შემცირდება.

მუხლი 97. კანონების ხელმოსაწერად გაგზავნის ვადები

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს კანონები ხელმოსაწერად ეგზავნება მათი მიღებიდან 14 დღის ვადაში.

II. სასწრაფოდ განსახილველად მიჩნეული კანონპროექტები აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ხელმოსაწერად იგზავნება მიღებიდან 24 საათის განმავლობაში.

მუხლი 98. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის აქტების ამოქმედება

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის მიერ მიღებული კანონი და დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან, თუ თვითონ ამ კანონით ან დადგენილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

თავი VI.
აღმასრულებელი ხელისუფლება

მუხლი 99. აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელება

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს.

მუხლი 100. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატთა მოთხოვნები

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს არანაკლებ 35 წლის ასაკს მიღწეული აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, რო-

მელსაც მუდმივად უცხოვრია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე 10 წელი მაინც, გააჩნია საარჩევნო უფლება, არ ყოფილა ნასამართლევი მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის, არ გააჩნია ვალდებულებები სხვა სახელმწიფოების წინაშე, აქვს უმაღლესი განათლება და არა აქვს ორმაგი მოქალაქეობა.

მუხლი 101. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების საფუძვლები

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნებით, უშუალო და ფარული კენჭისყრით.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა არჩევნებში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით.

III. თუ არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს ხმათა ამგვარ უმრავლესობას, მაშინ არჩევნების პირველი ტურის ჩატარებიდან მეორე კვირა დღეს იმართება არჩევნების მეორე ტური. არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ორი კანდიდატი, რომელთაც არჩევნების პირველ ტურში ყველაზე მეტი ხმა დააგროვეს, ან საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატების მიერ თავისი კანდიდატურების მოხსნის შემთხვევაში, მათი მომდევნო ორი კანდიდატი, რომელთაც პირველ ტურში ყველაზე მეტი ხმა დააგროვეს.

IV. კანდიდატი, რომელიც არჩევნების მეორე ტურში ხმათა უმრავლესობას მოიპოვებს, ჩაითვლება აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩეულად.

V. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტად ერთი და იგივე პირის ორ ვადაზე მეტი ხნით არჩევა დაუშვებელია.

VI. ამ მუხლის მოქმედების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 102. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შედეგები

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შედეგები ოფიციალურად ცხადდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არჩევნების გამართვიდან 14 დღის განმავლობაში.

მუხლი 103. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეული პირის ფიცი

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეული პირი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან 3 დღის განმავლობაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა თანდასწრებით დებს შემდეგი შინაარსის ფიცს: „აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას ვფიცავ დავემორჩილო აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციას, და-

ვიცვა სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, ღირსეულად ეემსახურო ხალხს".

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილად ითვლება ფიცის დადების დღიდან.

მუხლი 104. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილებების მუდმივად შესრულების შეუძლებლობა

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვადამდე უფლებამოსილებაშეწყვეტილად ჩაითვლება მისი თანამდებობიდან ნებაყოფლობით გადადგომის, ჯანმრთელობის მდგომარეობის სრულად გაუარესების გამო მის უფლებამოსილებათა მუდმივად განხორციელების შეუძლებლობის ან წინამდებარე კონსტიტუციით განსაზღვრულ თანამდებობიდან გადაყენების სხვა შემთხვევებში.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომისას მისი განცხადება გადადგომის შესახებ წარედგინება აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს. აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო დარწმუნდება, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა თავად შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ და გადაწყვეტილებას იღებს დაკმაყოფილოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომა. ამ მომენტიდან პრეზიდენტი უფლებამოსილებაშეწყვეტილად ითვლება თანამდებობიდან გადადგომის მოტივით.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მისი უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისი მიმართავს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ამ ფაქტის გამოსარკვევად. აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს არანაკლებ ექვსი ხმით. თუ აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო არ დაადასტურებს ამ ფაქტს, საკითხი ამოწურულად ჩაითვლება.

მუხლი 105. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობათა შესრულება მისი თანამდებობიდან გადადგომისას

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, უფლებამოსილების შეწყვეტიდან სამი თვის განმავლობაში იმართება აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები. ამ შემთხვევაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევამდე პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

II. თუ ამ ვადის განმავლობაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი — აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი გადადგება თანამდებობიდან ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო დაკარგავს უფლებამოსილებათა განხორციელების შესაძლებლობას, მაშინ აზერ-

ბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის თავმჯდომარე.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის თავმჯდომარის მიერ ამ მუხლის მეორე ნაწილში მითითებული მიზეზების გამო, პრეზიდენტის მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისი დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას რომელიმე სხვა თანამდებობის პირისათვის პრეზიდენტის მოვალეობათა დაკისრების შესახებ.

მუხლი 106. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ხელშეუხებლობა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი აღჭურვილია ხელშეუხებლობის უფლებით. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივი და ღირსება დაცულია კანონით.

მუხლი 107. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება

I. მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის დაყენების უფლება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისში აქვს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს დასკვნის საფუძველზე, ამ დასკვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დადგენილებით, რომელიც მიიღება არანაკლებ 95 დეპუტატის მხარდაჭერით. ამ დადგენილებას ხელს აწერს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. თუ დადგენილების მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო არ დაუჭერს მხარს მის ხელმოწერას, დადგენილება არ ამოქმედდება.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ დადგენილება მიიღება აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მილი მეჯლისში ამ საკითხის დაყენებიდან 2 თვის ვადაში. თუ მითითებული ვადის განმავლობაში დადგენილება არ იქნა მიღებული აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდება უარყოფილად ითვლება.

მუხლი 108. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის უზრუნველყოფა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მისი ოჯახის უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფოს ხარჯზე.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მისი ოჯახის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დაცვის სპეციალური სამსახური.

მუხლი 109. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებანი

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი:

1) ნიშნავს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის არჩევნებს;

2) აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისს დასამტკიცებლად წარუდგენს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტს;

3) ამტკიცებს სახელმწიფო ეკონომიკურ და სოციალურ პროგრამებს;

4) აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს; თანამდებობიდან გადააყენებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს;

5) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წევრებს, საჭიროების შემთხვევაში თავმჯდომარეობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომებს;

6) გადაწყვეტილებას იღებს მინისტრთა კაბინეტის გადაყენების შესახებ;

7) აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტით აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში ქმნის ცენტრალურ და ადგილობრივ აღმასრულებელ ორგანოებს;

8) აუქმებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებსა და განკარგულებებს, ცენტრალური და ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების აქტებს;

9) აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისს წარდგინებით მიმართავს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა დასანიშნად; აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს;

10) აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისს წარდგინებით მიმართავს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელისა და მმართველი საბჭოს წევრების დასანიშნად;

11) აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისს დასამტკიცებლად წარუდგენს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხედრო დოქტრინას;

12) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობას;

13) ქმნის აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის აღმასრულებელ აპარატსა და ნიშნავს მის ხელმძღვანელს;

14) აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისს მიმართავს წარდგინებით აზერბაიჯანის რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დამცველის ასარჩევად;

15) აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისს მიმართავს წარდგინებით სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის შესაქმნელად; ნიშნავს და გამო-

იწვევს აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებს სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში;

16) იღებს რწმუნებათა და გაწვევის სიგელებს სხვა სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლობებისაგან;

17) დებს სახელმწიფოთაშორის და მთავრობათაშორის ხელშეკრულებებს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისში სარატიფიკაციოდ და სადენონსაციოდ წარადგენს სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებებს, ხელს აწერს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიკაციის ბრძანებულებას;

18) ნიშნავს რეფერენდუმს;

19) ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს;

20) წყვეტს მოქალაქეობის საკითხებს;

21) წყვეტს პოლიტიკური თავშესაფრის საკითხებს;

22) ახორციელებს შეწყალებას;

23) აჯილდოვებს სახელმწიფო ჯილდოებით;

24) ანიჭებს უმაღლეს სამხედრო და სპეციალურ წოდებებს;

25) აცხადებს ნაწილობრივ ან სრულ მობილიზაციას, აგრეთვე დემობილიზაციას;

26) გადაწყვეტილებას იღებს მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში დაუყოვნებლივ გამოძახებასა და სამხედრო სამსახურში გამოძახებულ პირთა რეზერვში ჩარიცხვაზე;

27) ქმნის აზერბაიჯანის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს;

28) აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისს მიმართავს წარდგინებით აზერბაიჯანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების იმ ამოცანების შესასრულებლად გამოყენების თაობაზე თანხმობის მისაღებად, რომელიც არ წარმოადგენს მათ დანიშნულებას;

29) აცხადებს საგანგებო და საომარ მდგომარეობას;

30) აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის თანხმობით აცხადებს ომს და დებს ზავს;

31) აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტით ამ მიზნებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ქმნის დაცვის სპეციალურ სამსახურებს;

32) აღმასრულებელი წესით გადაწყვეტილებას იღებს ყველა სხვა საკითხზე, რომელიც წინამდებარე კონსტიტუციით არ მიეკუთვნება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის ან სასამართლო ორგანოთა კომპეტენციას.

მუხლი 110. კანონთა ხელმოწერა

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი კანონს ხელს აწერს მისთვის ხელმოსაწერად გაგზავნიდან 56 დღის ვადაში. თუ ხელმოსაწერად გაგზავნილი კანონი მიუღებელია აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტისთვის, მაშინ იგი ხელს არ მოაწერს კანონს და აღნიშნულ ვადაში თავისი შენიშვნებით უკან დაუბრუნებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისს.

II. თუ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს არ მოაწერს კონსტიტუციურ კანონს, მაშინ იგი ძალაში ვერ შევა. თუ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისი ხელმეორედ მიიღებს კანონს არანაკლებ 95 ხმით, რომელიც პირველად მიღებული იყო არანაკლებ 83 ხმით, ხოლო არანაკლებ 83 ხმით მიიღებს კანონებს, რომლებიც პირველად მიღებული იყო არანაკლებ 63 ხმით, მაშინ ეს კანონები ძალაში შევა განმეორებითი კენჭისყრის შემდეგ.

მუხლი 111. საომარი მდგომარეობის გამოცხადება

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიის განსაზღვრული ნაწილის ფაქტობრივი ოკუპაციის, აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოების მხრიდან ომის გამოცხადების, აზერბაიჯანის რესპუბლიკაზე შეიარაღებული თავდასხმის რეალური საფრთხის არსებობის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიის ბლოკადის, აგრეთვე ამ ტერიტორიის ან მისი ნაწილისათვის ბლოკადის გამოცხადების რეალური საფრთხის არსებობისას აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში აცხადებს საომარ მდგომარეობას და საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ ბრძანებულებას ხელმოწერიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარუდგენს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისს.

მუხლი 112. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება

ბუნებრივი უბედურებების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების, დიდი ეკოლოგიური და სხვა კატასტროფების, აგრეთვე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედებების, სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყების მოწყობის ან შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების, მასობრივი არეულობის შემთხვევებში, რომელსაც თან ახლავს ძალადობა, მოქალაქეთა სიცოცხლისა და უსაფრთხოებისათვის ან სახელმწიფო დაწესებულებათა ნორმალური მუშაობისათვის საფრთხის შემქმნელი სხვა კონფლიქტების არსებობისას აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიის ცალკეულ ნაწილში აცხადებს საგანგებო მდგომარეობას და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ ბრძანებულებას ხელმოწერიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარუდგენს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისს.

მუხლი 113. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის აქტები

I. საერთო მოქმედების წესების დადგენისას აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებებს, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში განკარგულებებს.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან, თუ თავად ამ ბრძანებულებებითა და განკარგულებებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 114. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სტატუსი

I. აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ქმნის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ექვემდებარება აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

IV. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის წესი განისაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ.

მუხლი 115. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შედიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, მისი მოადგილეები, მინისტრები და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ცენტრალური ორგანოების ხელმძღვანელები.

მუხლი 116. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადადგომა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი გადადგება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავებისა და უფლებამოსილების განხორციელების დაწყების პირველ დღესვე.

მუხლი 117. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომები

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომებს, როგორც წესი, თავმჯდომარეობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

მუხლი 118. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნის წესი

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს თანამდებობაზე ნიშნავს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის თანხმობით.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის შესახებ წინადადება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისში შეიტანება აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავებიდან და უფლებამოსილების განხორციელების დაწყების დღიდან არა უგვიანეს ერთი თვის განმავლობაში, ან აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადადგომის შემთხვევაში, გადადგომიდან არა უგვიანეს ორი კვირის ვადაში.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მისთვის ამ წინადადების წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში. თუ აღნიშნული წესი და-

ირღვა, ან აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისმა ზედიზედ სამჯერ არ მისცა თანხმობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან ერთ-ერთის აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად დანიშვნაზე, მაშინ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თანამდებობაზე დანიშნოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის თანხმობის გარეშე.

მუხლი 119. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილება

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი:

1) შეიმუშავებს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგენს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს;

2) უზრუნველყოფს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას;

3) უზრუნველყოფს საფინანო-საკრედიტო და საკალუტო პოლიტიკის განხორციელებას;

4) უზრუნველყოფს სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების განხორციელებას;

5) უზრუნველყოფს სახელმწიფო სოციალური პროგრამების განხორციელებას;

6) ხელმძღვანელობს სამინისტროებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ცენტრალური ორგანოების მუშაობას, აუქმებს მათ აქტებს;

7) გადაწყვეტილებებს იღებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციაში გადაცემულ სხვა საკითხებზე.

მუხლი 120. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აქტები

I. საერთო მოქმედების წესების დადგენისას აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი გამოსცემს დადგენილებებს, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში განკარგულებებს.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებები და განკარგულებები ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან, თუ თავად ამ დადგენილებებითა და განკარგულებებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 121. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წევრობის კანდიდატთა მოთხოვნები

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად შეიძლება დაინიშნოს არანაკლებ 30 წლის ასაკს მიღწეული აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება, უმაღლესი განათლება და არ გააჩნია ვალდებულებები სხვა სახელმწიფოთა წინაშე.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ, მინისტრად და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ცენტრალური ორგანოების ხელ-

მძღვანელებად შეიძლება დაინიშნოს არანაკლებ 25 წლის ასაკს მიღწეული აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება, უმაღლესი განათლება და არ გააჩნია ვალდებულებები სხვა სახელმწიფოთა წინაშე.

მუხლი 122. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წევრების მოთხოვნები

დაუშვებელია აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა, მისმა მოადგილემ, მინისტრმა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ცენტრალური ორგანოების ხელმძღვანელებმა იმავდროულად დაიკავონ სხვა არჩევითი ან დანიშვნითი თანამდებობა, განახორციელონ სამეწარმეო, კომერციული ან სხვა ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა, მიიღონ რაიმე ფინანსური ანაზღაურება, გარდა თანამდებობრივი სარგოსი ან სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობიდან მიღებული ანაზღაურებისა.

მუხლი 123. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ხელშეუხებლობა

I. თანამდებობაზე ყოფნისას აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პიროვნება ხელშეუხებელია.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება, მის მიმართ სასამართლო წესით ადმინისტრაციული დევნისა და იძულების სხვა ზომების გამოყენება, მისი გაჩხრეკა, პირადი დათვალიერება დაუშვებელია, გარდა დანაშაულზე წასწრების შემთხვევისა.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის დაკავება შეიძლება მხოლოდ დანაშაულზე წასწრებისას. ასეთ შემთხვევაში ორგანო, რომელმაც დაკავა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამ ფაქტის შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს.

IV. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ხელშეუხებლობა შეიძლება მოეხსნას აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 124. აღმასრულებელი ხელისუფლება ადგილებზე

I. ადგილობრივ დონეზე აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებენ აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურები.

II. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

III. ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებას განსაზღვრავს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

თავი VII.
სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 125. სასამართლო ხელისუფლების განხორციელება

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სასამართლო ხელისუფლებას სამართალწარმოების გზით ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.

II. სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო, აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლოები, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საერთო და სპეციალური სასამართლოები.

III. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო, სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოების გზით, აგრეთვე კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.

IV. სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილეობს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პროკურატურა და დაცვა.

V. სასამართლო მოწყობისა და სამართალწარმოების საკითხები განისაზღვრება კანონით.

VI. დაუშვებელია კანონით დადგენილის გარდა, სხვა სამართლებრივი საშუალებების გამოყენება მოსამართლეთა უფლებამოსილებების შესაცვლელად ან საგანგებო სასამართლოების შექმნის მიზნით.

მუხლი 126. მოსამართლეობის კანდიდატისადმი წაყენებული მოთხოვნები

I. მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს არანაკლებ 30 წლის ასაკს მიღწეული აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება, უმაღლესი იურიდიული განათლება და იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

II. დაუშვებელია მოსამართლეებმა იმავდროულად დაიკავონ სხვა არჩევითი ან დანიშვნითი თანამდებობა, განახორციელონ სამეწარმეო, კომერციული ან სხვა ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა, მიიღონ რაიმე ფინანსური ანაზღაურება, გარდა თანამდებობრივი სარგოსი ან სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობიდან მიღებული ანაზღაურებისა.

მუხლი 127. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, სამართალწარმოების განხორციელების ძირითადი პრინციპები და პირობები

I. მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს, უფლებამოსილების ვადის გასვლამდე მათი შეცვლა დაუშვებელია.

II. მოსამართლეები საქმეებს განიხილავენ მიუკერძოებლად, სამართლიანად და ორივე მხარის თანაბარუფლებიანობის დაცვით, ფაქტების საფუძველზე და კანონის შესაბამისად.

III. სამართალწარმოების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა ნებისმიერი მხარის მიერ, ნებისმიერი მიზეზით, უკანონო ქმედება, მუქარა და ხელის შეშლა დაუშვებელია.

IV. სამართალწარმოება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საფუძველზე.

V. სამართალწარმოება ყველა სასამართლოში საჯაროა. საქმის დახურულ სასამართლო სხდომაზე განხილვა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ღია სამართალწარმოებამ შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო, პროფესიული, კომერციული საიდუმლოების გამჟღავნება, ან/და არსებობს პირადი ან ოჯახური საიდუმლოს დაცვის აუცილებლობა.

VI. სისხლის სამართლის საქმეთა დაუსწრებელი წარმოება დაუშვებელია, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

VII. სამართალწარმოება ხორციელდება შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით.

VIII. სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე დაცვის უფლება ყველასთვის გარანტირებულია.

IX. სამართალწარმოება ეფუძნება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს.

X. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სამართალწარმოება ხორციელდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე, ან იმ მოსახლეობის ენაზე, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენენ. სასამართლო განხილვის მონაწილე იმ პირებისათვის, რომელთაც არ იციან სამართალწარმების ენა, გარანტირებულია საქმის მასალების გაცნობის, საქმის განხილვაში თარჯიმანის დახმარებით მონაწილეობისა და სასამართლოში მშობლიურ ენაზე გამოსვლის უფლება.

მუხლი 128. მოსამართლეთა ხელშეუხებლობა

I. მოსამართლეები ხელშეუხებელნი არიან.

II. მოსამართლეების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

III. მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტა დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

IV. მოსამართლის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს დასკვნის საფუძველზე მიმართავს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისს მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით. აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს შესაბამისი დასკვნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს წარედგინება მისი მოთხოვნიდან 30 დღის ვადაში.

V. აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საapელაციო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობიდან გადაყენების გადაწყვეტილებას აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისი იღებს არანაკლებ 83

ხმით, ხოლო სხვა მოსამართლეთა გადაყენების შესახებ გადაწყვეტილებას — არანაკლებ 63 ხმით.

მუხლი 129. სასამართლოს გადაწყვეტილებები და მათი აღსრულება

სასამართლოები გადაწყვეტილებას იღებენ სახელმწიფოს სახელით და მათი შესრულება სავალდებულოა.

მუხლი 130. აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პროკურატურის, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისის მიმართვის საფუძველზე უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს შემდეგ საკითხებზე:

1) აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონების, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის დადგენილებების, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებისა და განკარგულებების, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ცენტრალური ორგანოების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ;

2) აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებების, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებების, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ცენტრალური ორგანოების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონებთან შესაბამისობის შესახებ;

3) აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ცენტრალური ორგანოების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებებთან შესაბამისობის შესახებ;

4) კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებთან შესაბამისობის შესახებ;

5) მუნიციპალიტეტების აქტების აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციასთან და კანონებთან, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებებთან, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებთან (ნახიჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აგრეთვე, ნახიჭევანის ავტონომიური

რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებთან და ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებთან) შესაბამისობის შესახებ;

6) აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობათაშორისი შეთანხმებების აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებთან შესაბამისობის შესახებ;

7) ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისის დადგენილებების, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებების აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ; ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებების აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონებთან შესაბამისობის შესახებ; ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებების აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებებთან და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებთან შესაბამისობის შესახებ;

8) საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავების თაობაზე.

IV. აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პროკურატურის, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისის მიმართვის საფუძველზე განმარტავს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს.

V. ამ მუხლის მე-3 ნაწილის 1-7 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით დარღვეული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღდგენის მიზნით ნებისმიერ პირს კანონით დადგენილი წესით უფლება აქვს მიმართოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს და გაასაჩივროს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, მუნიციპალიტეტების ნორმატიული აქტები, სასამართლო აქტები, რომლებითაც დაირღვა მათი უფლებები და თავისუფლებები.

VI. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სასამართლოები უფლებამოსილნი არიან, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმართონ აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების განმარტების მიზნით.

VII. ამ მუხლის მე-3 ნაწილის 1-7 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით დარღვეული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღდგენის

მიზნით ადამიანის უფლებათა დამცველს უფლება აქვს მიმართოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს და გაასაჩივროს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, მუნიციპალიტეტების ნორმატიული აქტები, სასამართლო აქტები, რომლებითაც დაირღვა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

VIII. აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს წინამდებარე კონსტიტუციით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

IX. აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებებს იღებს მის უფლებამოსილებებთან დაკავშირებით. აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს სავალდებულო ძალა აქვს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

X. კანონები და სხვა აქტები ან მათი ცალკეული ნაწილები, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობათაშორისი შეთანხმებები ძალას კარგავენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულ ვადაში; ხოლო აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებები არ ამოქმედდება.

მუხლი 131. აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო წარმოადგენს მართლმსაჯულების უმაღლეს ორგანოს საერთო და სპეციალური სასამართლოების განსჯადობას მიკუთვნებულ სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სხვა საქმეებზე, კანონით დადგენილი წესით ახორციელებს საკასაციო სამართალწარმოებას და განმარტავს სასამართლო პრაქტიკის საკითხებს.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით.

მუხლი 132. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლოები

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლოები წარმოადგენენ უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებს კანონით მათ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით.

მუხლი 133. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პროკურატურა

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პროკურატურა, კანონით დადგენილი წესით, ახორციელებს ზედამხედველობას კანონების შესრულებასა და გამოყენებაზე; კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს და ახორციელებს გამოძიებას; სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდე-

ბას; წარადგენს სარჩელს სასამართლოში; ასაჩივრებს სასამართლო გადაწყვეტილებებს.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პროკურატურა აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურორისადმი ტერიტორიული და სპეციალიზებული პროკურატურების დაქვემდებარების საფუძველზე, წარმოადგენს ერთიან, ცენტრალიზებულ ორგანოს.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურორი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის თანხმობით.

IV. აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილეები, რესპუბლიკური სპეციალიზებული პროკურატურების ხელმძღვანელი პროკურორები, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი თანამდებობაზე ინიშნებიან და თანამდებობიდან თავისუფლდებიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის წარდგინებით.

V. ტერიტორიული და სპეციალიზებული პროკურატურების პროკურორები თანამდებობაზე ინიშნებიან და თანამდებობიდან თავისუფლდებიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანხმობით.

თავი VIII.
ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკა

მუხლი 134. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი

I. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენს ავტონომიურ სახელმწიფოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში.

II. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება წინამდებარე კონსტიტუციით.

III. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკა აზრბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

IV. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციას, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონებს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებებს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს სავალდებულო მოქმედების ძალა აქვთ ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

V. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისის მიერ მიღებული კონსტიტუცია და კანონები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული დადგენილებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს, აზერბაიჯანის

რესპუბლიკის პრეზიდენტის დადგენილებებსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს.

VI. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია დასამტკიცებლად წარდგენება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ და დამტკიცდება კონსტიტუციური კანონით.

მუხლი 135. ხელისუფლებათა დანაწილება ნახიჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში

I. საკანონმდებლო ხელისუფლებას ნახიჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში ახორციელებს ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისი, აღმასრულებელ ხელისუფლებას — ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, ხოლო სასამართლო ხელისუფლებას — ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოები.

II. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისი დამოუკიდებელია აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონებით მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაში; ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი დამოუკიდებელია აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებებით მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაში; ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოები დამოუკიდებელნი არიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონებით მათ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაში.

მუხლი 136. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი

ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირია ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისის თავმჯდომარე.

მუხლი 137. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისი

I. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისი შედგება 45 წევრისგან.

II. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისის უფლებამოსილების ვადა 5 წელია.

III. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისი ირჩევს თავის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს, ქმნის მუდმივ და სხვა კომისიებს.

მუხლი 138. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისის მიერ დადგენილი საერთო მოქმედების წესები

I. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისი ადგენს საერთო მოქმედების წესებს შემდეგ საკითხებზე:

1) ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისის არჩევნები;

2) გადასახადები;

3) ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების მიმართულებები;

4) სოციალური უზრუნველყოფა;

5) ბუნებრივი პირობების დაცვა;

6) ტურიზმი;

7) ჯანმრთელობის დაცვა, მეცნიერება, კულტურა.

II. ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისი იღებს კანონებს.

მუხლი 139. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისის გადასაწყვეტი საკითხები

I. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისი გადაწყვეტილებებს იღებს შემდეგ საკითხებზე:

1) ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისის საქმიანობის ორგანიზება;

2) ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცება;

3) ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური პროგრამების დამტკიცება;

4) ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

5) ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის დამტკიცება;

6) ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადება.

II. ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისი იღებს დადგენილებებს.

მუხლი 140. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი

I. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას ამტკიცებს ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისი ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის წარდგინებით.

II. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თანამდებობაზე ინიშნება ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე.

III. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი:

1) შეიმუშავებს და ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისს დასამტკიცებლად წარუდგენს ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტს;

2) უზრუნველყოფს ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულებას;

3) უზრუნველყოფს ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური პროგრამების შესრულებას;

4) უზრუნველყოფს ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური პროგრამების შერულებას;

5) გადაწყვეტილებებს იღებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მის უფლებამოსილებებში გადაცემულ სხვა საკითხებზე.

IV. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი იღებს დადგენილებებსა და განკარგულებებს.

მუხლი 141. ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლება ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკაში

ნახიჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურები ინიშნებიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ალი მეჯლისის თავმჯდომარის წარდგინებით.

განყოფილება IV
ადგილობრივი თვითმმართველობა
თავი IX.
მუნიციპალიტეტები

მუხლი 142. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაცია

I. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტების მიერ.

II. მუნიციპალიტეტები იქმნება არჩევნების საფუძველზე.

III. მუნიციპალიტეტების სტატუსის საფუძვლები დგინდება ამ კონსტიტუციით, ხოლო მუნიციპალიტეტების არჩევის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 143. მუნიციპალიტეტების საქმიანობის ორგანიზაცია

I. მუნიციპალიტეტები თავის საქმიანობას ახორციელებენ სხდომების, მუდმივი და სხვა კომისიების მუშაობის გზით.

II. მუნიციპალიტეტის სხდომა მოიწვევა მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მიერ.

მუხლი 144. მუნიციპალიტეტების უფლებამოსილება

I. მუნიციპალიტეტის სხდომა გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:

1) მუნიციპალიტეტის წევრის უფლებამოსილების ცნობა და კანონით დადგენილ შემთხვევებში ამ უფლებამოსილების შეწყვეტა;

2) მუნიციპალიტეტის რეგლამენტის დამტკიცება;

3) მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, მუნიციპალიტეტის მუდმივი და სხვა კომისიების არჩევა;

4) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების დადგენა;

5) ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცება და მისი შესრულება;

6) მუნიციპალიტეტის საკუთრების ფლობა, მისით სარგებლობა და განკარგვა;

7) სოციალური დაცვისა და სოციალური განვითარების ადგილობრივი პროგრამების მიღება და მათი შესრულება;

8) ეკონომიკური განვითარების ადგილობრივი პროგრამების მიღება და შესრულება;

9) ადგილობრივი ეკოლოგიური პროგრამის მიღება და შესრულება.

II. მუნიციპალიტეტებს შეიძლება გადაეცეთ დამატებითი უფლებამოსილებანი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების მიერ. ამ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად მუნიციპალიტეტებს უნდა გადაეცეთ ფინანსური სახსრები.

ამგვარი უფლებამოსილებების განხორციელება კონტროლდება შესაბამისი საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ.

მუხლი 145. მუნიციპალიტეტების გადაწყვეტილებები

I. მუნიციპალიტეტების სხდომებზე განხილულ საკითხებზე მიიღება გადაწყვეტილებები.

II. მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება მიიღება მუნიციპალიტეტის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

III. ადგილობრივ გადასახადებთან და მოსაკრებლებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება მუნიციპალიტეტის წევრთა ხმების არანაკლებ ორი მესამედით.

მუხლი 146. მუნიციპალიტეტების დამოუკიდებლობის გარანტია

მუნიციპალიტეტების სასამართლო დაცვა და სხვა სახელმწიფო ორგანოთა გადაწყვეტილებების შედეგად დამატებით გაღებული ხარჯების ანაზღაურება უზრუნველყოფილია.

განყოფილება V
სამართალი და კანონი
თავი X.
კანონმდებლობის სისტემა

მუხლი 147. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის იურიდიული ძალა

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციას გააჩნია უზენაესი იურიდიული ძალა.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციას გააჩნია უშუალო მოქმედების ძალა.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია წარმოადგენს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობის სისტემის საფუძველს.

მუხლი 148. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობის სისტემაში შემავალი აქტები

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობის სისტემაში შედის შემდეგი აქტები:

1) კონსტიტუცია;

2) რეფერენდუმზე მიღებული აქტები;

3) კანონები;

4) ბრძანებულებები;

5) აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებები;

6) აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოთა ნორმატიული აქტები.

II. საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლის ხელშემკვრელ მხარესაც აზერბაიჯანის რესპუბლიკა წარმოადგენს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობის სისტემის განუყოფელი ნაწილია.

III. ნახიჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში იურიდიული ძალა აქვთ, აგრეთვე ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებსა და ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს.

IV. ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის სისტემა უნდა შეესაბამებოდეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობის სისტემას.

V. აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილნი არიან მიიღონ ნორმატიული ხასიათის აქტები, რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანოონმდებლობის სისტემაში შემავალ აქტებს.

მუხლი 149. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები

I. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები უნდა ეფუძნებოდეს სამართალს და სამართლიანობას (თანასწორი დამოკიდებულება თანასწორ ინტერესთან).

II. რეფერენდუმზე მიღებული აქტების შესრულება და გამოყენება სავალდებულოა მოქალაქეების, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებისათვის, იურიდიული პირებისა და მუნიციპალიტეტებისათვის მხოლოდ გამოქვეყნების შემდეგ.

III. დაუშვებელია კანონები ეწინააღმდეგებოდნენ კონსტიტუციას. კანონების შესრულება და გამოყენება მხოლოდ გამოქვეყნების შემდეგ არის სავალდებულო მოქალაქეების, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებისათვის, იურიდიული პირებისა და მუნიციპალიტეტებისათვის.

IV. დაუშვებელია აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებები ეწინააღმდეგებოდეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს. მათი შესრულება და გამოყენება მხოლოდ გამოქვეყნების შემდეგ არის სავალდებულო მოქალაქეების, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და იურიდიული პირებისათვის.

V. დაუშვებელია აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებები ეწინააღმდეგებოდეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებებს. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებების შესრულება და გამოყენება მხოლოდ გამოქვეყნების შემდეგ არის სავალდებულო მოქალაქეების, აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოებისა და იურიდიული პირებისათვის.

VI. დაუშვებელია აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოთა ნორმატიული აქტები ეწინააღმდეგებოდეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებებს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს.

VII. ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობის გამაუმჯობესებელ და მათი პასუხისმგებლობის გამაუქმებელ ან შემამსუბუქებელ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს აქვთ უკუძალა. სხვა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს უკუძალა არ გააჩნიათ.

მუხლი 150. მუნიციპალიტეტების აქტები

I. მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული აქტები უნდა ეფუძნებოდეს სამართალს და სამართლიანობას (თანასწორი დამოკიდებულება თანასწორ ინტერესთან), არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებებს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს (ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკაში), აგრეთვე ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს.

II. მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული აქტის შესრულება სავალდებულოა მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისა და აქ განლაგებული იურიდიული პირებისათვის.

მუხლი 151. საერთაშორისო აქტების იურიდიული ძალა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობის სისტემაში შემავალ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებსა (გარდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციისა და რეფერენდუმზე მიღებული აქტებისა) და საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის წინააღმდეგობის წარმოშობის შემთხვევაში უპირატესობა საერთაშორისო ხელშეკრულებებს ენიჭება.

თავი XI.
აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა

მუხლი 152. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის წესი

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხოლოდ რეფერენდუმის გზით.

მუხლი 153. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებების შეტანის შესახებ ინიციატივის წარდგენის წესი

თუ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის ან აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილია აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებების შეტანის შესახებ ინიციატივა, მას თან უნდა დაერთოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი დასკვნა.

მუხლი 154. აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების შეზღუდვა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტში რეფერენდუმზე უკვე მიღებული ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია.

მუხლი 155. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებების შეტანის ინიციატივის შეზღუდვა

დაუშვებელია რეფერენდუმზე ამ კონსტიტუციის პირველ, მე-2, მე-6, მე-7, მე-8 და 21-ე მუხლებში ცვლილების შეტანის საკითხის დაყენება, III თავით დადგენილი ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების გაუქმება ან უფრო მაღალი ხარისხით შეზღუდვა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომლის ხელშემკვრელ მხარესაც აზერბაიჯანის რესპუბლიკა წარმოადგენს.

თავი XII.
აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატებების შეტანა

მუხლი 156. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატებების შეტანის წესი

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატების შეტანა ხდება კონსტიტუციური კანონის სახით აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის მიერ არანაკლებ 95 ხმით.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატებების შეტანის შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტს კენჭი ეყრება ორჯერ. მეორე კენჭისყრა იმართება პირველი კენჭისყრიდან 6 თვის გასვლის შემდეგ.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატებების შეტანის შესახებ კონსტიტუციური კანონი, ამ კონსტიტუციით კანონის ხელმოწერისათვის დადგენილი წესით, ხელმოსაწერად ეგზავნება აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს, როგორც პირველი, ასევე მეორე კენჭისყრის შემდეგ.

IV. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატებების შეტანის შესახებ კონსტიტუციური კანონები ძალაში შედის აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მისი მეორე კენჭისყრით მიღების შემდეგ ხელმოწერისთანავე.

V. კონსტიტუციური კანონები აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტის ძირითად ნაწილს.

მუხლი 157. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატებების შეტანის ინიციატივა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატებების შეტანის ინიციატივის წამოყენების უფლება აქვს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს ან აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის არანაკლებ 63 დეპუტატს.

მუხლი 158. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატებების შეტანის ინიციატივის შეზღუდვა

წინამდებარე კონსტიტუციის პირველი განყოფილებით დადგენილ დებულებებთან დაკავშირებით აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში დამატებების შეტანა დაუშვებელია.

გარდამავალი დებულებები

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია ძალაში შედის საერთო-სახალხო რეფერენდუმზე მიღების შემდეგ გამოქვეყნების დღიდან. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან ძალას კარგავს 1978 წლის 21 აპრილს მიღებული აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი).

2. ამ კონსტიტუციის მიღებამდე არჩეული პრეზიდენტი ახორციელებს ამ კონსტიტუციით აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

3. ამ კონსტიტუციის 101-ე მუხლი მე-5 ნაწილი ვრცელდება მხოლოდ ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ არჩეულ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტზე.

4. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახალხო დეპუტატებისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილი მილი მეჯლისის უფლებამოსი-

ლება წყდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ახალარჩეული მილი მეჯლისის პირველი შეკრებისთანავე.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ახალარჩეული მილი მეჯლისის პირველი სხდომა მოიწვევა მილი მეჯლისის არანაკლებ 83 დეპუტატის უფლებამოსილების დადასტურების დღიდან არა უგვიანეს ერთი კვირის შემდეგ. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის პირველი სესია გაგრძელდება 1996 წლის 31 მაისამდე.

„აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის არჩევნების შესახებ" აზერბაიჯანის რესპუბლიკის 1995 წლის 15 აგვისტოს კანონის 85-ე მუხლი იურიდიულ ძალას ინარჩუნებს ამ კანონის საფუძველზე არჩეული აზერბაიჯანის რესპუბლიკის პირველი მოწვევის მილი მეჯლისის უფლებამოსილების შეწყვეტამდე.

5. ამ კონსტიტუციის მიღების დღიდან აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ახორციელებს ამ კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

6. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან აზერბაიჯანის რესპუბლიკის ადგილობრივი სახალხო საბჭოების დეპუტატებს უწყდებათ უფლებამოსილება. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობით ადგილობრივი სახალხო დეპუტატთა საბჭოებისადმი მინიჭებულ უფლებამოსილებებს ახორციელებენ აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.

7. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში მიღებულ უნდა იქნეს კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და გაიმართოს მუნიციპალიტეტების არჩევნები.

8. კანონები და სხვა ნორმატიულ სამართლებრივი აქტები, რომლებიც მოქმედებდნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე, იურიდიულ ძალას ინარჩუნებენ იმ ნაწილში, რა ნაწილშიც შეესაბამებიან ან კონსტიტუციას.

9. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის მომენტისათვის არსებული აზერბაიჯანის რესპუბლიკის სასამართლოები სამართალწარმოებას ახორციელებენ ამ კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილებისა და პრინციპების შესაბამისად.

10. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში მიღებულ უნდა იქნეს ამ კონსტიტუციის შესაბამისი კანონმდებლობა მოსამართლეთა სტატუსის, სასამართლო მოწყობისა და სასამართლო რეფორმის შესახებ და ხელახლა იქნეს დანიშნული აზერბაიჯანის რესპუბლიკის ყველა მოსამართლე. აღნიშნული კანონმდებლობის მიღებამდე მოსამართლეთა თანამდებობებზე დანიშვნა და მათი თანამდებობებიდან გადაყენება ხორციელდება ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში მიღებულ უნდა იქნეს კანონი აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ და შეიქმნას აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო. აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნამდე ამ კონსტიტუციით აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამარ-

თლოსათვის მინიჭებული უფლებამოსილებანი არ ხორციელდება. ამ კონსტიტუციის 130-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო.

12. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ აზერბაიჯანის რესპუბლიკის უმაღლეს საარბიტრაჟო სასამართლოს ეწოდება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკური სასამართლო და იგი თავის საქმიანობას გააგრძელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ბელარუსის რესპუბლიკა

ზოგადი ცნობარი

შესავალი

სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ბელარუსის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე მე-VII-VI საუკუნეებში დასახლდნენ. ბელარუსის ისტორია რამდენიმე პერიოდად შეიძლება დავყოთ. I – ლიტვის პერიოდის დროს XIII საუკუნეში ბელარუსის ტერიტორიაზე შეიქმნა ლიტვის სამეფო, XIV საუკუნეში წარმოიშვა ტერმინი „ბელაია რუს". II პერიოდში – XVI საუკუნეში ე.წ. პოლონეთის პერიოდში ლიტვის სამეფო გაერთიანდა პოლონეთთან. ამ დროს შეიცვალა როგორც რელიგიური, ისე საერო ინსტიტუტები. გაბატონებულმა კლასმა სწრაფად გაითავისა პოლონური ენა, კულტურა და კათოლიკური რწმენა. XVII საუკუნეში მისი საზღვრები იყო ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. ამ დროის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსეთ-პოლონეთის ომი უკრაინის მიწისთვის, ასევე ომი პოლონეთსა და შვეციას შორის. III პერიოდში – XVIII საუკუნის ბოლოს პოლონეთი დაიყო რუსეთად, პრუსიად და ავსტრიად, რითაც ბელარუსის მიწები რუსეთის იმპერიის მფლობელობაში მოექცა. 1918 წლის 24 მარტს სრულიად ბელარუსის კონგრესმა გამოაცხადა ბელარუსიის სახალხო რესპუბლიკა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა ლიტვა-ბელარუსიის ერთიანი სახელმწიფო, რომელიც 1920 წელს ისევ დაიშალა. შემდგომი პერიოდი არის საბჭოთა პერიოდი, როდესაც დაიწყო ბელარუსის გასაბჭოება. II მსოფლიო ომის დროს ბელარუსია ფაქტიურად მიწასთან იქნა გასწორებული. ბელარუსიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა 1991 წლის 25 აგვისტოს. 1991 წლის დეკემბერში რუსეთმა და ბელარუსმა გაბათილეს საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ ფედერაციული ხელშეკრულება და შექმნეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. 1999 წლის 8 დეკემბერს რუსეთ-ბელარუსს შორის დაიდო საკავშირო სახელმწიფოს შექმნის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ურთიერთთანამშრომლობასა და კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების შექმნას.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: აღმოსავლეთ ევროპა; დასავლეთით ესაზღვრება პოლონეთი, აღმოსავლეთით – რუსეთი, ჩრდილოეთით – ლატვია, ჩრდილო-დასავლეთით – ლიტვა, სამხრეთით – უკრაინა.

ფართობი: სულ: 207 600 კმ^2; ხმელეთი: 207 600 კმ^2; წყალი: 0 კმ^2.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ტყე, ტორფი, ნავთობისა და გაზის მცირე მარაგი, გრანიტი, კირქვა, მერგელი, ცარცი, ქვიშა, ხრეში, თიხა.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 9 685 768 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 14.4% (კაცი 717 885; ქალი 677 254);
15-64 წლის: 70.9% (კაცი 3 333 699; ქალი 3 531 920);
65 წლის და ზემოთ: 14.7% (კაცი 459 627; ქალი 965 383) (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: -0.393% (2008);

შობადობა: 9.62 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 13.92 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: 0.38 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 70.34 წელი; კაცი: 64.63; ქალი: 76.4 (2008).

მოქალაქეობა: ბელარუსის

ეთნიკური ჯგუფები: ბელარუსიელი 81.2%, რუსი 11.4%, პოლონელი, უკრაინელი და სხვა 7.4%.

რელიგია: აღმოსავლური ორთოდოქსალური: 80%, სხვა: კათოლიკური, პროტესტანტული, მუსულმანური და სხვა 20% (1997);

ენა: ბელარუსიული, რუსული.

განათლებულობა: სრული მოსახლეობის: 99.6%; კაცი 99.8%; ქალი 99.5% (2003);

განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
სრული ფორმა: ბელარუსის რესპუბლიკა;
მოკლე ფორმა: ბელარუსი;
ყოფილი: ბელარუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა;

ადგილობრივი ვრცელი ფორმა: რესპუბლიკა ბელარუს

სახელმწიფოს ფორმა: რესპუბლიკა

დედაქალაქი: მინსკი

ადმინისტრაციული ერთეულები: 6 ოლქი: ბრესტი, გომელსკი, გრონდენსკი, ვიტებსკი, მოგელევსკი, მინსკაია. 1 მუნიციპალიტეტი: მინსკი.

დამოუკიდებლობა: 1991 წლის 25 აგვისტო (საბჭოთა კავშირისგან);

ეროვნული დღესასწაული: დამოუკიდებლობის დღე — 3 ივლისი (1944);
შენიშვნა: 1944 წლის 3 ივლისი იყო მინსკის გერმანელთა ჯარებისგან განთავისუფლების დღე, ხოლო 1991 წლის 25 აგვისტო — ბელარუსის საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის დღე.

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო (1994 წლის 20 ივლისიდან);
არჩევნების შედეგები: ალექსანდრე ლუკაშენკო ხმათა 82.6%-ით მესამე ვადით იქნა არჩეული 2006 წლის 19 მარტს.

მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა:
პრემიერ-მინისტრი, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, პრემიერ-მინისტრის 4 მოადგილე;
სამინისტროები: არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტრო, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო, გადასახადებისა და მოსაკრებლების სამინისტრო, განათლების სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო, ვაჭრობის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, ინფორმაციის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის სამინისტრო, კულტურის სამინისტრო, მრეწველობის სამინისტრო, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, საგანგებო სიტუაციების სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, სატყეო მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო, სტატისტიკისა და ანალიზის სამინისტრო, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.
სახელმწიფო კომიტეტები: ქონებრივ საკითხებზე სახელმწიფო კომიტეტი, სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო კომიტეტი, სტანდარ-

ტიზაციის სახელმწიფო კომიტეტი, სახელმწიფო საბაჟო კომიტეტი, სახელმწიფო საზღვრის კომიტეტი.

5 მთავრობას დაქვემდებარებული გაერთიანება და 2 მთავრობას დაქვემდებარებული გაერთიანება.

საკანონმდებლო ხელისუფლება: პარლამენტი შედგება ორი პალატისგან: რესპუბლიკის საბჭოსგან, რომელშიც 4 წლის ვადით არჩეული 64 წევრია (მათგან 56 წევრი აირჩევა რეგიონული საბჭოების მიერ, ხოლო 8 - ინიშნება პრეზიდენტის მიერ) და 110 ადგილიანი წარმომადგენელთა პალატისგან (მისი წევრები 4 წლის ვადით აირჩევიან საყოველთაო კენჭისყრით);

არჩევნები: უკანასკნელად ჩატარდა 2004 წლის 17 ოქტომბერს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: ბელარუსის კომუნისტური პარტია, აგრარული პარტია, ეკოლოგიური მწვანეთა პარტია, ბელარუსის სახალხო ფრონტი, ბელარუსის სოციალ-დემოკრატიული პარტია, ბელარუსის სოციალისტური პარტია, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, კომუნისტ ბელარუსთა პარტია, შრომისა და სამართლიანობის რესპუბლიკური პარტია, ხალხთა სოციალ-დემოკრატიული პარტია, ქალთა პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: ბელარუსში ყველაზე დიდ სამრეწველო ქალაქს მინსკი წარმოადგენს, სადაც ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის მეოთხედი იწარმოება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრებია გომელი, მოგილიოვი, ბობრუისკი, ბრესტი, გროდნო, პოლოცკი.

საბჭოთა პერიოდში ბელორუსია ითვლებოდა ერთ-ერთ წამყვან სამრეწველო-აგრარულ ქვეყნად. ამ პერიოდში მრეწველობა სწრაფად ვითარდებოდა, შენდებოდა სხვადასხვა ქარხნები და კომპლექსები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბელარუსიაში დაიწყო შერეული (სახელმწიფო-საბაზრო) ეკონომიკის მშენებლობა. პრივატიზაცია პრაქტიკულად არ განხორციელებულა 1990 წლამდე, 1992-1994 საკმაოდ შემცირდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობა, რამაც სწრაფი ინფლაცია, უმუშევრობა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი გამოიწვია.

1995 წელს გარკვეული სტრუქტურული რეფორმები იქნა გატარებული, რითაც გაძლიერდა ფასებსა და სავალუტო კურსზე ადმინისტრაციული კონტროლი და სახელმწიფოს ჩარევა კერძო საწარმოების მართვაში. მართალია, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 1997 წლიდან წარმოების მოცულობა ყოველწლიურად 7-10%-ით იმატებს, მაგრამ აღნიშნული ზრდა დამყარებულია სახელმწიფო შეკვეთებზე, რომელთა უმრავლესობა აუნაზღაურებელი რჩება. 1998 წელს რუსეთში არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა დიდი ზიანი მოუტანა ბელარუსიის მრეწველობას, ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობას. ამდენად, როგორც ჩანს, ბე-

ლარუსია დასავლეთის ღია საბაზრო ეკონომიკისგან თვითიზოლირებული აღმოჩნდა.

მთლიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $105.2 მილიარდი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 8.2% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $10.900 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 8.7%; მრეწველობა: 40.6%; მომსახურება: 50.6% (2007).

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 27.1% (2003);

ბიუჯეტი: შემოსავალი: $20.76 მილიარდი; გასავალი: $21.18 მილიარდი (2007).

ექსპორტი: $23.04 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: მანქანები და აღჭურვილობა, მინერალური პროდუქტები, ქიმიკატები, მეტალი, ტექსტილი, სურსათ-სანოვაგე.

ექსპორტის პარტნიორები: რუსეთი 34.7%, ნიდერლანდი 17.7%, დიდი ბრიტანეთი 7.5%, უკრაინა 6.3%, პოლონეთი 5.2% (2006);

იმპორტი: $27.57 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: მინერალური პროდუქტები, მანქანები და აღჭურვილობა, ქიმიკატები, სურსათ-სანოვაგე, მეტალი.

იმპორტის პარტნიორები: რუსეთი 58.6%, გერმანია 7.5%, უკრაინა 5.5% (2006);

საგარეო ვალი: $6.889 მილიარდი (2007);

ეკონომიკური მხარდაჭერა: $53.76 მილიონი (2005);

ვალუტა: ბელარუსიული რუბლი (BYB/BYR).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. ბელარუსის კონსტიტუციონალიზმის ისტორია ძირითადი აქტების სიმრავლით გამოირჩევა და დაახლოებით იმ რაოდენობის კონსტიტუციურ აქტებს ითვლით, რასაც საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნები. ქვეყნის ყველა კონსტიტუციას საერთო ის აქვს, რომ კონსტიტუციონალიზმის განვითარების ისტორია მიმდინარეობდა რუსეთში არსებული პოლიტიკური პროცესების ანალოგიურად და ყველა მათგანს ახასიათებს საბჭოთა სამართლისა და იდეოლოგიის გაელენა.

ბელარუსის პირველი კონსტიტუცია 1919 წლის 3 თებერვლით თარიღდება. მასში განმტკიცებულია პროლეტარიატის დიქტატურა, უარყოფილია ხელისუფლების დანაწილების და მიწაზე კერძო საკუთრების პრინციპები. თუმცა მრავალ უარყოფით მახასიათებელთან ერთად, გარდა იმისა, რომ იგი ქვეყნის პირველი კონსტიტუციური აქტი იყო, ასევე ფორმალურად აღიარებულ იქნა ზოგიერთი ადამიანის უფლება, კერძოდ, რელიგიური პროპაგანდისა და საჯარო შეკრების თავისუფლება, რასობრივი და ეროვნული თანასწორობა, სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა რამდენიმე ენა: ბელარუსიული, რუსული, პოლონური და ებრაული.

ბელარუსის მეორე კონსტიტუციის, რომელიც მიღებულ იქნა 1927 წლის 11 აპრილს სსრკ-ის 1924 წლის კონსტიტუციის საფუძველზე, ძირითად თავისებურებას ის წარმოადგენდა, რომ იგი ადასტურებდა ბელარუსიის შესვლას ახალი სახელმწიფოს შემადგენლობაში.

რიგით მესამე კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1937 წლის 19 თებერვალს სსრკ-ის 1936 წლის კონსტიტუციის საფუძველზე და აღიარებდა სოციალიზმის გამარჯვების, სოციალური სისტემის ბატონობისა და სოციალისტური საკუთრების პრინციპებს. მართალია იგი ძველი კონსტიტუციებისგან განსხვავებით დამატებით ითვალისწინებდა ადამიანის ზოგიერთ უფლებას, მაგალითად, პირად, საცხოვრებელი ადგილისა და მიმოწერის ხელშეუხებლობას, ასევე მოქალაქეთა თანასწორობას, მაგრამ არ შეიცავდა მათი უზრუნველყოფის გარანტიებს და ამდენად, მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა.

ბელარუსის მეოთხე ძირითადი კანონია 1978 წლის 13 აპრილის კონსტიტუცია, რომელიც სსრკ-ის 1977 წლის კონსტიტუციის მსგავსად სოციალიზმის იდეების განმტკიცებას ემსახურებოდა. მისთვის დამახასიათებელი იყო მაღალი იდეოლოგიზაცია, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების არასაკმარისი გარანტირება, ხელისუფლების დანაწილების არასრულყოფილება და სხვ., თუმცა ძველ კონსტიტუციებთან შედარებით პროგრესულ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. ბელარუსის შემდეგი, დღეს მოქმედი კონსტიტუციის მიღება დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირის დაშლასთან. იგი 1994 წლის 15 მარტით თარიღდება. მიუხედავად ამისა, კონ-

სტიტუციის ტექსტი მაინც წააგავდა რუსეთის კონსტიტუციას არა მხოლოდ სტრუქტურით, არამედ შინაარსითაც. პრეზიდენტს მინიჭებული ჰქონდა ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი უფლებამოსილება. ამასთან, პარლამენტი არ წარმოადგენდა მუდმივმოქმედ ორგანოს და შესაბამისად მის წევრებს შეეძლოთ დეპუტატობის შეთავსება თავდაპირველ სამუშაო ადგილთან.

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა 1996 წელს მისი გადასინჯვა გამოიწვია. მეცნიერებაში 1996 წლის 24 ნოემბერს მიღებულ კონსტიტუციის რედაქციას ახალ კონსტიტუციად მოიხსენიებენ, ვინაიდან პრეზიდენტის მიერ 28 ნოემბერს ხელმოწერილ იქნა კონსტიტუციის სრული შესწორებული ტექსტი, თუმცა ეს იყო 1994 წლის კონსტიტუციის ცვლილებები და დამატებები. სწორედ ამ ფორმით ქვეყნდება იგი ბელარუსის ოფიციალურ გამოცემებში.

კონსტიტუციის მოქმედების მანძილზე მასში ცვლილებები ორჯერ იქნა შეტანილი: 1996 წლის 24 ნოემბერს და 2004 წლის 17 ოქტომბერს. პირველი ცვლილება ეხებოდა კონსტიტუციის სხვადასხვა საკითხებს და თავებს, ხოლო მეორემ გააუქმა 81-ე მუხლის ნორმა, რომელიც კრძალავდა პრეზიდენტის თანამდებობის არა უმეტეს ორჯერ დაკავებას, რითაც პრეზიდენტს მიეცა საშუალება შეუზღუდავი რაოდენობით და ვადით იყოს თანამდებობაზე.

რეფერენდუმზე მიღებული ბელარუსის რესპუბლიკის 1994 წლის კონსტიტუცია ცვლილებებითა და დამატებებით ძალაში შევიდა მისი გამოქვეყნების დღიდან, გარდა მისი ცალკეული დებულებებისა, რომლებიც ძალაში შევიდა კონსტიტუციით დადგენილ ვადებში.

კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვს პრეზიდენტს ან საარჩევნო უფლების მქონე ბელარუსის რესპუბლიკის არანაკლებ 150 000 მოქალაქეს. ამ საკითხს განიხილავენ პარლამენტის პალატები, რომელთაც იგი უნდა მიიღონ არანაკლებ 3 თვის შუალედში ორჯერ განხილვისა და დამტკიცების შემდეგ. კონსტიტუცია, ასევე კანონები მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, აღნიშნული კანონების ძალაში შესვლის შესახებ და აქტები კონსტიტუციის განმარტების შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მათ ხმას მისცემს პარლამენტის თითოეული პალატის სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

კონსტიტუციის ცვლილებისა და დამატების მიღება დაუშვებელია საგანგებო მდგომარეობის დროს, ასევე წარმომადგენელთა პალატის უფლებამოსილების უკანასკნელი 6 თვის მანძილზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ კონსტიტუციური შესწორება შეიძლება განხორციელდეს რეფერენდუმის მეშვეობითაც. რეფერენდუმზე აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს კენჭისყრისათვის სიაში შეტანილ მოქალაქეთა უმრავლესობა. თუმცა, აღნიშნულია, რომ კონსტიტუციის I, II, IV, VIII ნაწილები, რომლებიც ეხება კონსტიტუციური წყობის საფუძვლებს, პიროვნებას, საზოგადოებასა და სახელმწიფოს, პრეზიდენტს, პარლამენტს, მთავრობას, სასამართლოს, კონსტიტუციის გადასინჯვის წესს, შეიძლება გადასინჯოს მხოლოდ რეფერენდუმის გზით.

ისევე როგორც კონსტიტუცია, მასში განხორციელებული ცვლილებები მიღებულ იქნა სწორედ რესპუბლიკურ რეფერენდუმზე.

კონსტიტუციის ანალიზი. კონსტიტუცია შედგება პრეამბულის, 146 მუხლისა და 9 ნაწილისაგან. ზოგიერთი ნაწილი იყოფა თავებად.

კონსტიტუცია ადგენს ბელარუსის სახელმწიფოებრიობის თავისებურებებს. რესპუბლიკა არის დემოკრატიული, სოციალური სამართლებრივი სახელმწიფო. იგი თავის ტერიტორიაზე აღჭურვილია უზენაესობით და სრული ხელისუფლებით, დამოუკიდებლად ახორციელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, იცავს დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, კონსტიტუციურ წყობას, უზრუნველყოფს კანონიერებასა და მართლწესრიგს. რესპუბლიკა მიზნად ისახავს თავისი ტერიტორია აქციოს არაატომურ ზონად, ხოლო სახელმწიფო — ნეიტრალურად.

ისევე როგორც სხვა ავტორიტარული რეჟიმის მქონე რესპუბლიკებისთვის არის დამახასიათებელი, კონსტიტუციის დონეზე აღიარებულია თანამედროვე სახელმწიფოებრიობის მიღწევები და დემოკრატიული პრინციპები, თუმცა სახელმწიფო ორგანოთა შემდგომი მოწყობა და ქვემდებარეობა და, აქედან გამომდინარე, ქვეყანაში დამკვიდრებული პოლიტიკური რეჟიმი არ იძლევა მათი რეალურად განხორციელების საშუალებას.

კონსტიტუციურად სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთ წყაროდ და სუვერენიტეტის მატარებლად გამოცხადებულია ხალხი, რომელიც თავის ხელისუფლებას ახორციელებს უშუალოდ, წარმომადგენლებისა და სხვა ორგანოების მეშვეობით. კონსტიტუციური წყობის შეცვლისა და სახელმწიფო ხელისუფლების ძალმომრეობითი მეთოდებით მოპოვების, ასევე ბელარუსის რესპუბლიკის კანონების სხვა გზით დარღვევისაკენ მიმართული ნებისმიერი მოქმედება ისჯება კანონით.

ასევე აღიარებულია, რომ რესპუბლიკაში დემოკრატია ხორციელდება პოლიტიკური ინსტიტუტების, იდეოლოგიისა და შეხედულებების მრავალფეროვნების საფუძველზე. პოლიტიკური პარტიების, რელიგიური ან სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების, სიციალური ჯგუფების იდეოლოგია არ შეიძლება მოქალაქეთათვის სავალდებულო იყოს.

ბელარუსის რესპუბლიკა ცნობს საერთაშორისო სამართლის პრინციპების პრიორიტეტს და უზრუნველყოფს კანონმდებლობის მასთან შესაბამისობას. მას საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად შეუძლია ნებაყოფლობით შეიდეს სახელმწიფოთაშორისო გაერთიანებებში და გამოვიდეს მათგან. არ დაიშვება კონსტიტუციის საწინააღმდეგო საერთაშორისო ხელშეკრულების დადება.

საკუთრება შეიძლება იყოს სახელმწიფო და კერძო. წიაღი, წყალი და ტყე შეადგენს სახელმწიფოს განსაკუთრებულ საკუთრებას. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები სახელმწიფოს საკუთრებაშია. კანონით შეიძლება განისაზღვროს სხვა ობიექტებიც, რომლებიც იქნება მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში ან დადგინდეს მათი კერძო საკუთრებაში გადასვლის განსაკუთრებული წესი;

ასევე განმტკიცებულია სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლება ცალკეული სახის საქმიანობის განხორციელებაზე.

ბელარუსის რესპუბლიკაში სახელმწიფო ენებია ბელარუსიული და რუსული ენები.

კონსტიტუციის მიხედვით, ყველა თანაბარია კანონის წინაშე და აქვს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უფლებებისა და კანონიერი ინტერესების თანაბარი დაცვის უფლება. პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ზნეობის, მოსახლეობის ჯანმრთელობის, სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე.

ყველას აქვს სიცოცხლის უფლება. სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის გამონაკლისი ღონისძიება მის გაუქმებამდე გამოიყენება კანონით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის და მხოლოდ სასამართლო განაჩენის შესაბამისად. პირადი უფლებებიდან ასევე აღიარებულია უდანაშაულობის პრეზუმფციის, პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევის დაუშვებლობის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა კანონიერი მფლობელობის ხელშეუხებლობის, თავისუფლად გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება, რელიგიის თავისუფლება, დაქორწინების უფლება, აზრისა და მრწამსის თავისუფლება, ინფორმაციის მიღების, შენახვისა და გავრცელების უფლება.

მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებებიდან აღიარებულია შეკრების, მიტინგის, ქუჩის მსვლელობის, დემონსტრაციისა და პიკეტის თავისუფლება, გაერთიანების, სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტაში მონაწილეობის, სახელმწიფო ორგანოებში არჩევისა და პეტიციის უფლება.

მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებებიდან ყურადღება მახვილდება შრომის უფლებაზე, ქირით მომუშავე პირებისათვის გარანტირებულია ანაზღაურების სამართლიანი წილი შრომის ეკონომიკური შედეგით, მისი რაოდენობის, ხარისხისა და საზოგადოებრივი დანიშნულების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ მისი და მისი ოჯახის უზრუნველმყოფი დონისა და ღირსეული არსებობისა. ქალებსა და მამაკაცებს, მოზრდილებსა და არასრულწლოვნებს აქვთ თანაბარი შრომისთვის თანასწორი ანაზღაურების უფლება. მშრომელებს აქვთ დასვენების უფლება. მესაკუთრეს აქვს ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება როგორც მარტო, ისე სხვა პირებთან ერთად. გარანტირებულია ჯანმრთელობის დაცვისა და ხელსაყრელი გარემო პირობების უფლება და მისი დარღვევით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების, ასევე სოციალური უზრუნველყოფის უფლება მოხუცებულობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, შრომისუნარიანობის, მარჩენალის დაკარგვის შემთხვევებში, საცხოვრებელი ადგილის, განათლების, ეროვნული კუთვნილების დაცვის, მშობლიური ენით სარგებლობის, ურთიერთობის ენის არჩევისა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება.

ყველას აქვს უფლება, ბელარუსის რესპუბლიკის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების შესაბამისად მიმართოს საერთაშორისო ორგანიზაციებს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით, თუ ამოწურულია შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის ყველა შესაძლო საშუალება. ყველას აქვს იურიდიული დახმარების უფლება.

კონსტიტუციით გათვალისწინებული პირადი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება შეიძლება შეჩერდეს მხოლოდ საგანგებო ან სამხედრო მდგომარეობის პირობებში. მართალია კონსტიტუცია ჩამოთვლის იმ უფლებებს, რომელიც არც ამ პერიოდში შეიძლება შეიზღუდოს, მაგრამ მათი ჩამონათვალი საკმაოდ ვიწროა. ესენია: სიცოცხლის, სასტიკი მოპყრობის, უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლებები და რელიგიის თავისუფლება.

კონსტიტუციის ცალკე ნაწილი ეთმობა უშუალო დემოკრატიას — საარჩევნო სისტემასა და რეფერენდუმს. არჩევნები არის საყოველთაო, თანასწორი, თავისუფალი, პირდაპირი ან ირიბი და ტარდება ფარული კენჭისყრით. აქტიური საარჩევნო უფლება იწყება 18 წლის ასაკიდან.

კონსტიტუციის თანახმად დეპუტატის მანდატი იმპერატიული ხასიათისაა და გათვალისწინებულია დეპუტატის გამოწვევის ინსტიტუტი. გამოწვევის შესახებ კენჭისყრა ტარდება დეპუტატის არჩევისათვის გათვალისწინებული წესით, საარჩევნო უფლების მქონე და შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა არანაკლებ 20%-ის ინიციატივით. რესპუბლიკის საბჭოს წევრის გამოწვევის საფუძველი და წესი დგინდება კანონით.

კონსტიტუცია ითვალისწინებს ორი სახის რეფერენდუმს: რესპუბლიკურს და ადგილობრივს, რომლებიც ტარდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხთა გადასაწყვეტად.

რესპუბლიკური რეფერენდუმი ინიშნება პრეზიდენტის მიერ საკუთარი ინიციატივით, ასევე პალატების ინიციატივით, რომლებიც მას იღებენ განცალკევებულ სხდომებზე თითოეული პალატის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით, ან საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 450 000 მოქალაქის წინადადებით, მათ შორის თითოეული ოლქიდან და ქალაქ მინსკიდან არანაკლებ 30 000 მოქალაქის მონაწილეობით. აღნიშნული ინიციატივების ან წინადადებების განხილვის შემდეგ რესპუბლიკურ რეფერენდუმს ნიშნავს პრეზიდენტი. იგი ასევე ხელს აწერს რესპუბლიკურ რეფერენდუმზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

ადგილობრივი რეფერენდუმები ინიშნება შესაბამისი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ მათივე ინიციატივით ან საარჩევნო უფლების მქონე და შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა არანაკლებ 10%-ის წინადადებით.

რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება უარყოფილ ან შეცვლილ იქნეს მხოლოდ რეფერენდუმის გზით, თუ თვით რეფერენდუმით სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული. კონსტიტუცია არ განსაზღვრავს იმ საკითხთა ნუსხა, რომლებიც არ შეიძლება გატანილ იქნეს რეფერენდუმზე და მათ დადგენას კანონს ანდობს.

სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად დაყოფის საფუძველზე. სახელმწიფო ორგანოები თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელნი არიან: ისინი ერთმანეთს შორის ურთიერთმოქმედებენ და აკავებენ და აწონასწორებენ ერთმანეთს. თუმცა, ისევე როგორც კონსტიტუციის შემდგომი ნორმებიდან ირკვევა და პრაქტიკაც ამაზე მეტყველებს, შეკავება-გაწონასწორების მექანიზმი მნიშვნელოვნად იხრება პრეზიდენტის სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე, ბელარუსი განეკუთვნება შერეული მმართველობის მქონე ქვეყნებს, ძლიერი პრეზიდენტით სათავეში. მას საფუძვლად უდევს რუსული ანალოგიური მოდელი, თუმცა მეტი ავტორიტარიზმის ნიშნებით გამოირჩევა.

ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, კონსტიტუციის, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების გარანტი. პრეზიდენტი განასახიერებს ერის ერთიანობას, უზრუნველყოფს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების რეალიზაციას, რესპუბლიკას წარმოადგენს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, იღებს ზომებს ქვეყნის სუვერენიტეტის, ეროვნული უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, უზრუნველყოფს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მემკვიდრეობითობასა და ურთიერთქმედებას, ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის შუამავლობას.

პრეზიდენტი სარგებლობს აბსოლუტური ხელშეუხებლობით და მისი დაკავება არც ერთ შემთხვევაში არ არის შესაძლებელი.

პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს არანაკლებ 35 წლის ასაკს მიღწეული დაბადებით ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც ფლობს საარჩევნო უფლებას და მუდმივად ცხოვრობს რესპუბლიკაში არჩევნებამდე არანაკლებ 10 წლის მანძილზე. პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით უშუალოდ ბელარუსის ხალხის მიერ საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. 2004 წლიდან აღარ არის შეზღუდული პრეზიდენტის თანამდებობის დაკავების ჯერადობა და ქვეყანას 1994 წლიდან ერთი და იგივე პრეზიდენტი მართავს. გამომდინარე იქიდან, რომ 1996 წლის კონსტიტუციური ცვლილებების გარდამავალი დებულებების თანახმად, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ათვლა დაიწყო კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან, მისი შემდგომი არჩევნები ჩატარდა არა 1999 წელს ანუ 5 წლიანი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, არამედ 2001 წელს, ხოლო მესამე ვადით იგი არჩეულ იქნა 2006 წელს, ვინაიდან პრეზიდენტად მხოლოდ ორი ვადით არჩევის შემზღუდავი ნორმა ამ დროს უკვე აღარ მოქმედებდა.

პრეზიდენტის უფლებამოსილება ფაქტობრივად განუსაზღვრელია, იგი ყველა მნიშვნელოვანი სახელისუფლო ბერკეტით არის აღჭურვილი, რის გამოც მას აღარ ესაჭიროება პოლიტიკურ პროცესებში სხვა ხელისუფლების შტოებთან კომპრომისი და დიალოგი და ერთპიროვნულად მართავს ქვეყნის პოლიტიკურ-

სამართლებრივ პროცესებს. მისი უფლებამოსილება პირობითად რამდენიმე სფეროდ შეიძლება დავყოთ:

- საკანონმდებლო საქმიანობა, რომელიც მოიცავს საკანონმდებლო ინიციატივისა და ვეტოს უფლებას; რესპუბლიკური რეფერენდუმების, წარმომადგენელთა პალატის, რესპუბლიკის საბჭოსა და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მორიგი და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნას; პალატების დათხოვნას;

- აღმასრულებელ ხელისუფლებასთან დაკავშირებული საქმიანობა, რომლის ფარგლებში პრეზიდენტი ქმნის, აუქმებს და გარდაქმნის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს; განსაზღვრავს მთავრობის სტრუქტურას; წარმომადგენელთა პალატის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს; დამოუკიდებლად ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრის მოადგილეებს, მინისტრებს და მთავრობის სხვა წევრებს, იღებს გადაწყვეტილებას მთავრობის ან მისი წევრის გადადგომის შესახებ; უფლება აქვს გააუქმოს მთავრობის აქტები;

- საკადრო უფლებამოსილება: პრეზიდენტი ნიშნავს ყველა მოსამართლეს, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საკონსტიტუციო სასამართლოს 6-6 წევრს; რესპუბლიკის საბჭოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოსა და უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს თავმჯდომარეებს ამ სასამართლოების მოსამართლეთა რიცხვიდან; მისივე თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს უზენაესი სასამართლოსა და უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს მოსამართლეებს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გენერალურ პროკურორს, ეროვნული ბანკის მმართველობის თავმჯდომარესა და წევრებს; რესპუბლიკის საბჭოსათვის შეტყობინებით, თანამდებობიდან ათავისუფლებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებს, უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს, გენერალურ პროკურორს, ეროვნული ბანკის მმართველობის თავმჯდომარესა და წევრებს; ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეს; ნიშნავს სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური ორგანოების ხელმძღვანელებს და განსაზღვრავს მათ სტატუსს;

- საერთაშორისო უფლებამოსილება: იგი აწარმოებს მოლაპარაკებებს და ხელს აწერს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, დამოუკიდებლად ნიშნავს და გამოიწვევს ბელარუსის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთის ქვეყნებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში; იღებს მასზე აკრედიტებული უცხოეთის სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებისა და გამოწვევის სიგელებს;

- საგანგებო მდგომარეობის უფლებამოსილება: სტიქიური უბედურების, კატასტროფის, ასევე პირთა ჯგუფის ან ორგანიზაციის მხრიდან არეულობისას, რომელსაც ერთვის ძალადობა ან ძალადობის მუქარა, რომელთა შედეგად საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სახელმწიფოს ტერი-

ტორიულ მთლიანობასა და არსებობას, ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ნაწილებში აცხადებს საგანგებო მდგომარეობას, მიღებული გადაწყვეტილების 3 დღის ვადაში რესპუბლიკის საბჭოში დასამტკიცებლად წარდგენით; კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლება აქვს გადადოს გაფიცვის ჩატარება ან შეაჩეროს იგი, მაგრამ არა უმეტეს სამთვიანი ვადით;

- ადგილობრივ ორგანოებთან დაკავშირებული უფლებამოსილება: პრეზიდენტი უშუალოდ ან მის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ახორციელებს კონტროლს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების კანონმდებლობის დაცვაზე; უფლება აქვს კანონმდებლობასთან შეუსაბამობის შემთხვევებში შეაჩეროს დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებები და გააუქმოს ადგილობრივი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების გადაწყვეტილებები;

- სამხედრო უფლებამოსილება: პრეზიდენტი არის ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი; თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობას; რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოიღებს სამხედრო მდგომარეობას ომის საშიშროების ან თავდასხმის შემთხვევაში, აცხადებს სრულ ან ნაწილობრივ მობილიზაციას და ეს გადაწყვეტილება მიღებიდან 3 დღის ვადაში შეაქვს რესპუბლიკის საბჭოში; აყალიბებს და ხელმძღვანელობს უშიშროების საბჭოს; თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საბჭოს მდივანს;

- პრეზიდენტს ასევე გააჩნია სახელმწიფოს მეთაურის ის სიმბოლური უფლებამოსილება, რომელიც ე.წ „სუსტ“ პრეზიდენტებსაც კი გააჩნიათ: იგი წყვეტს მოქალაქედ მიღების, მოქალაქეობის შეწყვეტისა და თავშესაფრის მიცემის საკითხებს; აჯილდოვებს სახელმწიფო ჯილდოებით, ანიჭებს საკლასო ჩინებსა და წოდებებს; ახორციელებს მსჯავრდებულთა შეწყალებას. პრეზიდენტს არ შეიძლება ეკავოს სხვა თანამდებობა, საიდანაც ხელფასთან ერთად მიიღებს ფულად ანაზღაურებას, გარდა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებიდან მიღებული ჰონორარებისა. უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში მას შეუჩერდება პოლიტიკური პარტიისა და პოლიტიკური მიზნის მიმდევარი სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრობა.

კონსტიტუცია იცნობს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის რამდენიმე ფორმას: გადადგომას, თანამდებობიდან გათავისუფლებას და გადაყენებას. პრეზიდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. მის გადადგომას იღებს წარმომადგენელთა პალატა. იგი შეიძლება ვადამდე გათავისუფლდეს თანამდებობიდან, თუ არ შეუძლია ჯანმრთელობის ურყევი მდგომარეობის უქონლობის გამო უფლებამოსილების განხორციელება. ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება პალატების წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით. რაც შეეხება თანამდებობიდან გადაყენებას, იგი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან სახელმწიფო ღალატის ან მძიმე დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. საქმე აღიძრება წარმომადგენელთა პალატაში დეპუტატთა არანაკ-

ლებ 1/3-ის ინიციატივით, ხოლო ბრალდების წარდგენისა და მისი გამოძიების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს წარმომადგენელთა პალატის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. შემდგომ ბრალდების გამოძიების ორგანიზება ხდება რესპუბლიკის საბჭოს მიერ და სწორედ ეს პალატა იღებს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით გადაწყვეტილებას პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. თუ პალატები ბრალდების წარდგენიდან ერთი თვის მანძილზე არ მიიღებენ გადაწყვეტილებას, ეს ნიშნავს ბრალდების უარყოფას.

პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება არ შეიძლება ინიცირებულ იქნეს პარლამენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვის პერიოდში. დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით პრეზიდენტის გადაყენების შემთხვევაში ბრალდების არსის შესახებ საქმეს იხილავს უზენაესი სასამართლო.

ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი — ეროვნული კრება, რომელიც შედგება ორი პალატის: წარმომადგენელთა პალატისა და რესპუბლიკის საბჭოსგან.

წარმომადგენელთა პალატის შემადგენლობაშია 110 დეპუტატი, რომლებიც აირჩევიან საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, ხოლო რესპუბლიკის საბჭო წარმოადგენს ტერიტორიული წარმომადგენლობის პალატას და მისი წევრები აირჩევიან არაპირდაპირი საარჩევნო პრინციპით: 8-8 წევრს (სულ 56 წევრს) ირჩევენ ყოველი ოლქის და ქალაქ მინსკის ადგილობრივი დეპუტატთა საბჭოები, ხოლო 8 წევრს ნიშნავს პრეზიდენტი. ამდენად, რესპუბლიკის საბჭოს შემადგენლობაში სულ 64 წევრია.

პასიური საარჩევნო უფლება წარმომადგენელთა პალატის დეპუტატებთან დაკავშირებით იწყება 21 წლის ასაკიდან, ხოლო რესპუბლიკის საბჭოს წევრებთან დაკავშირებით — 30 წლის ასაკიდან. რესპუბლიკის საბჭოს წევრთათვის ასევე დადგენილია შესაბამისი ოლქის ან ქალაქ მინსკის ტერიტორიაზე არანაკლებ 5 წლიანი ცხოვრობის სტაჟი. ორივე პალატაში აირჩევიან მხოლოდ ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეები.

არც ერთი პალატის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს მეორე პალატის წევრი, პრეზიდენტი ან მოსამართლე. წარმომადგენელთა პალატის დეპუტატი შეიძლება იმავდროულად იყოს მთავრობის წევრი, თუმცა აღნიშნული შეთავსება ეკრძალება რესპუბლიკის საბჭოს წევრს და პირიქით — წარმომადგენელთა პალატის დეპუტატი არ შეიძლება იყოს დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს წევრი, რაც არ არის აკრძალული რესპუბლიკის საბჭოს წევრთათვის.

პარლამენტის პალატების უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. თუმცა, პალატების უფლებამოსილება შეიძლება ვადამდე შეწყდეს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით. ერთი პალატის დათხოვნა ავტომატურად არ იწვევს მეორე პალატის დათხოვას, თუმცა პრეზიდენტის გადაწყვეტილებით შეიძლება ასევე გამოიწვიოს მეორე პალატის დათხოვნაც. წარმომადგენელთა პალატის უფლებამოსილება შე-

იძლება ვადამდე შეწყდეს მთავრობის ნდობის უარყოფისას, მთავრობისათვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებისას ან პრემიერ-მინისტრის დანიშვნაზე თანხმობის მიცემაზე ორჯერ უარის თქმისას. წარმომადგენელთა პალატის ან რესპუბლიკის საბჭოს უფლებამოსილება შეიძლება ასევე ვადამდე შეწყდეს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე პარლამენტის პალატების მიერ კონსტიტუციის სისტემატური ან უხეში დარღვევის შემთხვევაში. ამ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდენტი პალატების თავმჯდომარეებთან ოფიციალური კონსულტაციების შემდეგ არა უმეტეს 2 თვის ვადაში. პალატები არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს საგანგებო ან სამხედრო მდგომარეობის პერიოდში, პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოლო 6 თვეს, პრეზიდენტის თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების შესახებ პალატების მიერ საკითხის გადაწყვეტის პერიოდში. ასევე დაუშვებელია პალატების დათხოვნა მათი პირველი სხდომიდან ერთი წლის განმავლობაში.

საკმაოდ მოკლეა პალატების სამუშაო რეჟიმში ყოფნის ვადა. ისინი იკრიბებიან წელიწადში ორ მორიგ სესიაზე. პირველი სესიის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 80 დღეზე მეტი, ხოლო მეორე სესიის — 90 დღეზე მეტი.

გარდა პალატების ერთობლივი უფლებამოსილებისა, მათ გააჩნიათ მხოლოდ თითოეული პალატის გამგებლობას მიკუთვნებული უფლებამოსილებაც. წარმომადგენელთა პალატის ხელშია თავმოყრილი მთავრობის კონტროლთან დაკავშირებული საკითხები. იგი პრეზიდენტს აძლევს თანხმობას პრემიერ-მინისტრის დანიშვნაზე; ისმენს პრემიერ-მინისტრის მოხსენებას მთავრობის საქმიანობის პროგრამის შესახებ და ამტკიცებს ან უარყოფს პროგრამას; პრემიერ-მინისტრის ინიციატივით იხილავს საკითხს მთავრობის ნდობის შესახებ; უნდობლობას უცხადებს მთავრობას. რაც შეეხება რესპუბლიკის საბჭოს, იგი ძირითადად აღჭურვილია საკადრო საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილებით. იგი პრეზიდენტს აძლევს თანხმობას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, უზენაესი სასამართლოსა და უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეების, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, გენერალური პროკურორის, ეროვნული ბანკის მმართველობის თავმჯდომარისა და წევრების დანიშვნაზე; ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის 6-6 წევრს. ამასთან, რესპუბლიკის საბჭო წყვეტს ადგილობრივ ორგანოებთან დაკავშირებულ საპარლამენტო კონტროლის საკითხებს: აუქმებს დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების კანონმდებლობასთან შეუსაბამო გადაწყვეტილებას; იღებს გადაწყვეტილებას დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დათხოვნის შესახებ.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნია პრეზიდენტს, წარმომადგენელთა პალატის დეპუტატებს, რესპუბლიკის საბჭოს, მთავრობას, ასევე საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 50 000 მოქალაქეს. კანონპროექტები, რომელთა მიღების შედეგად შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო სახსრები, ხარჯების წარმოქმნა და გაზრდა, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ პრეზიდენტის ან მისი დავალებით — მთავრობის თანხმობით.

კანონპროექტი შეიტანება და თავდაპირველად განიხილება წარმომადგენელთა პალატაში, ხოლო შემდგომ — რესპუბლიკის საბჭოში. პალატების სხდომები უფლებამოსილად ითვლება, თუ მათ ესწრება შესაბამისად წევრთა საერთო შემადგენლობის არანაკლებ 2/3. პალატების გადაწყვეტილებები მიღებულად ითვლება, თუ მათ ხმას მისცემს პალატების სრული შემადგენლობის უმრავლესობა. ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და სამხედრო დოქტრინის შესახებ კანონები არის პროგრამული და მიღებულად ითვლება, თუ მათ ხმას მისცემს პალატების სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

რესპუბლიკის საბჭოს მიერ კანონპროექტის უარყოფის შემთხვევაში წარმოქმნილი უთანხმოების გადასალახავად პალატებმა შეიძლება პარიტეტულ საფუძველზე შექმნან შემთანხმებელი კომისია. შემთანხმებელი კომისიის მიერ შემუშავებული კანონპროექტის ტექსტი დასამტკიცებლად წარედგინება ორივე პალატას. თუ ამ კომისიაში არ იქნება მიღებული კანონპროექტის შეთანხმებული ტექსტი, პრეზიდენტს, ან მისი დავალებით პრემიერ-მინისტრს, შეუძლია მოითხოვოს, რომ წარმომადგენელთა პალატამ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. კანონი წარმომადგენელთა პლატის მიერ მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს მის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

ორივე პალატის მიერ მიღებული კანონი ათდღიან ვადაში ხელმოსაწერად გადაეცემა პრეზიდენტს. თუ პრეზიდენტი არ დააბრუნებს კანონს მისთვის წარდგენიდან ორი კვირის მანძილზე, კანონი ხელმოწერილად ითვლება. თუ პრეზიდენტი არ ეთანხმება კანონის ტექსტს, მას თავისი შენიშვნებით უბრუნებს წარმომადგენელთა პალატას. ვეტოს გადასალახად აუცილებელია ორივე პალატის წევრთა 2/3-ის თანხმობა.

კონსტიტუცია ითვალისწინებს პრეზიდენტის მიერ კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემის ორ ფორმას: ერთი, როდესაც პალატები სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით მიღებული კანონის საფუძველზე, თვითონ მოახდენენ კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემის საკანონმდებლო უფლებამოსილების პრეზიდენტისთვის დელეგირებას. ამ დროს კანონმა უნდა განსაზღვროს რეგულირების საგანი და პრეზიდენტის მიერ დეკრეტების გამოცემის უფლებამოსილების ვადა. ამასთან, არ დაიშვება დელეგირება, რომელიც ითვალისწინებს კონსტიტუციის ცვლილებასა და დამატებას, მის განმარტებას; პროგრამული კანონების ცვლილებებსა და დამატებებს; რესპუბლიკური ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცებას; პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების წესის შეცვლას; მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას. პრეზიდენტისთვის საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირების შესახებ კანონმა არ შეიძლება მას დართოს ამ კანონის შეცვლის ნება, ასევე მიანიჭოს უკუქცევითი ძალის მქონე ნორმების მიღების უფლება; და მეორე, როდესაც განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში პრეზიდენტს თავისი ინიციატივით ან მთავრობის წინადადებით შეუძლია გამოსცეს კანონის ძალის მქონე დროებითი დეკრეტები. ისინი საბოლოო განხილვი-

სათვის სამდღიან ვადაში უნდა წარედგინოს წარმომადგენელთა პალატას, ხოლო შემდეგ — რესპუბლიკის საბჭოს. ეს დეკრეტები ძალას ინარჩუნებს, თუ არ არის უარყოფილი თითოეული პალატის სრული შემადგენლობის ხმათა არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით.

პალატების წევრები თავიანთი აზრების გამოხატვისა და უფლებამოსილების განხორციელებისას სარგებლობენ ხელშეუხებლობით. ეს არ ეხება მათ ცილისწამებასა და შეურაცხყოფაში ბრალდებას. უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, შესაბამისი პალატის წინასწარი თანხმობის გარეშე, დაუშვებელია მათი დაპატიმრება ან სხვა გზით პირადი თავისუფლების დარღვევა, გარდა სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის, ასევე დანაშაულის ჩადენის ადგილზე დაკავების შემთხვევებისა.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა — მინისტრთა საბჭო, რომელიც არის სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო. იგი თავის საქმიანობაში ექვემდებარება პრეზიდენტს და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრის, მისი მოადგილეებისა და მინისტრებისგან. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ სახელმწიფო მმართველობის სხვა რესპუბლიკური ორგანოების ხელმძღვანელებიც. ამჟამად მისი შემადგენლობა საკმაოდ ფართო და წარმომადგენლობითია და მოიცავს 25 სამინისტროს, 7 სახელმწიფო კომიტეტს, 5 მთავრობას დაქვემდებარებულ გაერთიანებას და 2 მთავრობას დაქვემდებარებულ ორგანიზაციას.

პრემიერ-მინისტრი ინიშნება პრეზიდენტის მიერ წარმომადგენელთა პალატის თანხმობით. თანხმობის მიცემაზე ორჯერ უარის თქმის შემთხვევაში პრეზიდენტს უფლება აქვს დანიშნოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, დაითხოვოს წარმომადგენელთა პალატა და დანიშნოს ახალი არჩევნები. მთავრობის მუშაობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი.

ბელარუსში მთავრობის გადაყენების ორი გზა არსებობს: I — პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით იღებს გადაწყვეტილებას მთავრობის გადაყენების შესახებ და II — პრემიერ-მინისტრს შეუძლია წარმომადგენელთა პალატის წინაშე დასვას წარმოდგენილი პროგრამის ან კონკრეტული მიზეზით მთავრობის ნდობის საკითხი. თუ წარმომადგენელთა პალატა უარს იტყვის ნდობაზე, პრეზიდენტს უფლება აქვს 10 დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება მთავრობის გადადგომის ან წარმომადგენელთა პალატის დათხოვნისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

მთავრობის უფლებამოსილება მოიცავს სახელმწიფო საქმიანობის ყველა სფეროს, თუმცა როდესაც საქმე ეხება ძალოვანი უწყებების გამოყენებას, იგი საკმაოდ ვიწროა და გამოიხატება მხოლოდ ზომების მიღებაში და არა რეალურ უზრუნველყოფაში. მთავრობა შეიმუშავებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და იღებს ზომებს მათ სარეალიზაციოდ; შეიმუშავებს და პრეზიდენტს პარლამენტში შესატანად წარუდგენს რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს და მისი შესრულების ანგარიშს; უზრუნველყოფს ერთიანი ეკონომიკუ-

რი, საფინანსო, საკრედიტო და ფულადი პოლიტიკის, მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯანდაცვის, ეკოლოგიის, სოციალური უზრუნველყოფისა და შრომის ანაზღაურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვას; იღებს ზომებს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის, სახელმწიფო ინტერესების დაცვის, ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის, საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბელარუსის რესპუბლიკაში სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნით სასამართლოებს. საერთო სასამართლოების სისტემიდან კონსტიტუცია მოიხსენიებს მხოლოდ უზენაეს სასამართლოსა და უმაღლეს სამეურნეო სასამართლოს. სასამართლოთა სისტემა აგებულია ტერიტორიულობისა და სპეციალიზაციის პრინციპებზე. აღიარებულია სასამართლოს დამოუკიდებლობის გარკვეული პრინციპები. სასამართლოებში საქმე იხილება კოლეგიალურად, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში — მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად. მართლმსაჯულება ხორციელდება პროცესში შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის საფუძველზე.

მოსამართლეებს არ შეუძლიათ განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა, შეასრულონ სხვა ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა.

საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც შედის სასამართლო ხელისუფლების სისტემაში, შედგება 12 მოსამართლისგან — სამართლის სფეროს მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტებისგან, რომელთაც, როგორც წესი, გააჩნიათ სამეცნიერო ხარისხი. მის 6 მოსამართლეს ნიშნავს პრეზიდენტი, ხოლო 6 მოსამართლე აირჩევა რესპუბლიკის საბჭოს მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ინიშნება პრეზიდენტის მიერ რესპუბლიკის საბჭოს თანხმობით. წევრთა უფლებამოსილების ვადაა 11 წელი, ხოლო ზღვრული ასაკი — 70 წელი.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს პრეზიდენტს, წარმომადგენელთა პალატას, რესპუბლიკის საბჭოს, უზენაეს სასამართლოს, უმაღლეს სამეურნეო სასამართლოს, მინისტრთა საბჭოს. სასამართლოს უფლებამოსილება ფართოა იმ მხრივ, რომ იხილავს ყველა სახელმწიფო ორგანოს აქტების არა მხოლოდ კონსტიტუციურობას, არამედ შესაბამისობას ზემდგომ აქტებთან, მაგალითად, მინისტრთა საბჭოს დადგენილებების, უზენაესი სასამართლოს, უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს, გენერალური პროკურორის, ასევე სხვა სახელმწიფო ორგანოს აქტების შესაბამისობას კონსტიტუციასთან, რატიფიცირებულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან, კანონებთან, დეკრეტებთან და ბრძანებულებებთან.

ბელარუსი არის უნიტარული სახელმწიფო. რესპუბლიკის ტერიტორია იყოფა ოლქებად, რაიონებად, ქალაქებად და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად. ყველაზე მაღალი დონის ტერიტორიული ერთეულია ოლქი. ამჟამად შექმნილია 6 ოლქი. ქალაქი მინსკი დამოუკიდებელი ადმინისტრაციული

ერთეულია. ადგილობრივი მმართველობა და თვითმმართველობა ხორციელდება მოქალაქეთა მიერ ადგილობრივ დეპუტატთა საბჭოების, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოების, ადგილობრივი რეფერენდუმების, კრებების და სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეებში პირდაპირი მონაწილეობის სხვა ფორმების მეშვეობით.

დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები აირჩევა შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოქალაქეთა მიერ 4 წლის ვადით, ხოლო ადგილობრივი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების ხელმძღვანელები თანამდებობაზე ინიშნებიან და თანამდებობიდან თავისუფლდებიან პრეზიდენტის მიერ ან მის მიერ დადგენილი წესით და თანამდებობაზე მტკიცდებიან შესაბამისი დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მიერ.

დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების განსაკუთრებულ კომპეტენციას წარმოადგენს: ეკონომიკური და სოციალური დანიშნულების პროგრამების, ადგილობრივი ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების დამტკიცება; ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების დადგენა; კომუნალური საკუთრების მართვისა და განკარგვის წესის განსაზღვრა; ადგილობრივი რეფერენდუმების დანიშვნა.

ადგილობრივი ორგანოების მიერ საკანონმდებლო მოთხოვნების სისტემატური ან უხეში დარღვევის შემთხვევაში, ისინი შეიძლება დათხოვნილ იქნენ რესპუბლიკის საბჭოს მიერ. დეპუტატთა ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის სხვა საფუძვლები განისაზღვრება კანონით.

ქვეყნის პროკურატურა ფართო უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. მას გააჩნია ყველა ის უფლება, რითაც სარგებლობდა მისი წინამორბედი საბჭოთა პერიოდში. პროკურატურას ეკისრება კონტროლი კანონების, დეკრეტების, ბრძანებულებებისა და სამინისტროთა და მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოების, ადგილობრივი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა ნორმატიული აქტების ზუსტ და ერთმნიშვნელოვან აღსრულებაზე. იგი ასევე ახორციელებს ზედამხედველობას დანაშაულთა გამოძიებისას კანონთა აღსრულებაზე, სამოქალაქო, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების კანონთან შესაბამისობაზე, აწარმოებს წინასწარ მოკვლევას, სასამართლოებში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

პროკურატურის ორგანოთა ერთიან და ცენტრალიზებულ სისტემას ხელმძღვანელობს პრეზიდენტის მიერ, რესპუბლიკის საბჭოს თანხმობით, დანიშნული გენერალური პროკურორი. ქვემდგომი პროკურორები ინიშნებიან გენერალური პროკურორის მიერ. გენერალური პროკურორი თავის საქმიანობაში ექვემდებარება პრეზიდენტს.

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებაზე, სახელმწიფო საკუთრებით სარგებლობაზე, პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობისა და სახელმწიფო საკუთრე-

ბის, სამეურნეო, საფინანსო და საგადასახადო ურთიერთობების მარეგულირებელ სხვა სახელმწიფო ორგანოთა აქტების აღსრულებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი, რომელიც იქმნება და რომლის თავმჯდომარე ინიშნება პრეზიდენტის მიერ.

რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემა მოიცავს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს. საბიუჯეტო შემოსავლები წარმოიქმნება კანონით განსაზღვრული გადასახადების, სხვა საკალდებულო გადასახდელების, ასევე სხვა შენატანების ხარჯზე. კანონის შესაბამისად შეიძლება შეიქმნას არასაბიუჯეტო ფონდებიც.

რესპუბლიკის საბანკო სისტემა შედგება ეროვნული ბანკისა და სხვა ბანკებისაგან. ეროვნული ბანკი არეგულირებს საკრედიტო ურთიერთობებს, ფულის მიმოქცევას, განსაზღვრავს ანგარიშსწორების წესს და ფლობს ფულის ემისიის განსაკუთრებულ უფლებას.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. ბელარუსის რესპუბლიკა წარმოადგენს შერეული მმართველობის მქონე ქვეყანას ძლიერი პრეზიდენტით, რომელსაც ფართო უფლებამოსილება გააჩნია სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროში და ეს ყოველივე ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმის დამკვიდრებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, შეზღუდული არ არის პრეზიდენტის თანამდებობის დაკავების ჯერადობა, იგი სარგებლობს აბსოლუტური ხელშეუხებლობით და მისი დაკავება არც ერთ შემთხვევაში არ არის შესაძლებელი; გათვალისწინებულია პრეზიდენტისთვის საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირების შესაძლებლობა ნებისმიერ დროს;

- ბელარუსიულ ენასთან ერთად სახელმწიფო ენას წარმოადგენს რუსული ენაც;

- დეპუტატის მანდატი იმპერატიული ხასიათისაა და შესაძლებელია ამომრჩეველთა მიერ დეპუტატის უკან გამოწვევა;

- პარლამენტის ზედა პალატა — რესპუბლიკის საბჭო აირჩევა არაპირდაპირი საარჩევნო პრინციპით ადგილობრივი დეპუტატთა საბჭოების მიერ, ხოლო მის 8 წევრს ნიშნავს პრეზიდენტი; რესპუბლიკის საბჭოს წევრთათვის ასევე დადგენილია შესაბამისი ოლქის ან ქალაქ მინსკის ტერიტორიაზე არანაკლებ 5 წლიანი ცხოვრობის ცენზი;

- თავისებურებით გამოირჩევა თითოეული პალატის წევრთა თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხიც და განსხვავებულ აკრძალვებს ითვალისწინებს;

- საკმაოდ მოკლეა პალატების სამუშაო რეჟიმში ყოფნის ვადა. პირველი სესიის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 80 დღეზე მეტი, ხოლო მეორე სესიის – 90 დღეზე მეტი;

- ქვეყანაში ფუნქციონირებს 25 სამინისტრო. მთავრობის შემადგენლობაში ასევე შედიან მთავრობას დაქვემდებარებულ გაერთიანებები და ორგანიზაციები;

- პროკურატურა ძლიერი უფლებამოსილებით არის აღჭურვილი, რაც კერძო იურიდიული პირების კონტროლის უფლებამოსილებასაც მოიცავს.

ბელარუსის რესპუბლიკის კონსტიტუცია[1]

მიღებულია 1994 წლის 15 მარტს

(ცვლილებები შეტანილ იქნა რეფერენდუმის გზით
1996 წლის 24 ნოემბერსა და 2004 წლის 17 ოქტომბერს)

ჩვენ, ბელარუსის რესპუბლიკის (ბელარუსის) ერი,

გამოვდივართ რა ბელარუსის არსებული მდგომარეობიდან და მომავალი პასუხისმგებლობიდან,

ვთვლით რა თავს მსოფლიო თანამეგობრობის სრულოფლებიან სუბიექტად და ვამტკიცებთ რა ჩვენს მიმდევრობას ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისადმი,

ვეფუძნებით რა თვითგამორკვევის ხელშეუვალ უფლებას,

ვეყრდნობით რა ბელარუსის სახელმწიფოებრიობის განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიას,

ვისწრაფვით რა განვამტკიცოთ ბელარუსის რესპუბლიკის თითოეული მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები,

გვსურს უზრუნველვყოთ სამოქალაქო თანხმობა, სახალხო ხელისუფლებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ურყევი საფუძველი,

ვიღებთ ამ კონსტიტუციას — ბელარუსის რესპუბლიკის ძირითად კანონს.

ნაწილი I. კონსტიტუციური წყობის საფუძველი

მუხლი 1. ბელარუსის რესპუბლიკა არის უნიტარული, დემოკრატიული, სოციალური სამართლებრივი სახელმწიფო.

ბელარუსის რესპუბლიკა თავის ტერიტორიაზე აღჭურვილია უზენაესობით და სრული ხელისუფლებით, დამოუკიდებლად ახორციელებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ბელარუსის რესპუბლიკა იცავს თავის დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, კონსტიტუციურ წყობას, უზრუნველყოფს კანონიერებასა და მართლწესრიგს.

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია ბელარუსის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.president.gov.by/press10669.html და უზენაესი საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.belarus.net/parliame/ ასევე ჟურნალ "WWW Belarus"-ში გამოქვეყნებული ბელარუსის კონსტიტუციის რუსულენოვანი ტექსტები.

მუხლი 2. ადამიანი, მისი უფლებები, თავისუფლებები და მათი რეალიზაციის გარანტიები წარმოადგენს უმაღლეს ფასეულობებს და საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიზანს.

სახელმწიფო პასუხისმგებელია მოქალაქის წინაშე პიროვნების თავისუფალი და ღირსეული განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნაზე. მოქალაქე პასუხისმგებელია სახელმწიფოს წინაშე მისთვის კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულებების განუხრელ შესრულებაზე.

მუხლი 3. ბელარუსის რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი წყარო და სუვერენიტეტის მატარებელია ხალხი. ხალხი თავის ხელისუფლებას ახორციელებს უშუალოდ, წარმომადგენლებისა და სხვა ორგანოების მეშვეობით კონსტიტუციით განსაზღვრული ფორმითა და ფარგლებში.

კონსტიტუციური წყობის შეცვლისა და სახელმწიფო ხელისუფლების ძალმომრეობითი მეთოდებით მოპოვების, ასევე ბელარუსის რესპუბლიკის კანონების სხვა გზით დარღვევისაკენ მიმართული ნებისმიერი მოქმედება ისჯება კანონით.

მუხლი 4. ბელარუსის რესპუბლიკაში დემოკრატია ხორციელდება პოლიტიკური ინსტიტუტების, იდეოლოგიისა და შეხედულებების მრავალფეროვნების საფუძველზე.

პოლიტიკური პარტიების, რელიგიური ან სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების, სიციალური ჯგუფების იდეოლოგია არ შეიძლება მოქალაქეთათვის საეალდებულო იყოს.

მუხლი 5. პოლიტიკური პარტიები და ბელარუსის რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების ფარგლებში მოქმედი სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებები ხელს უწყობენ მოქალაქეთა პოლიტიკური ნების გამოვლენასა და გამოხატვას, მონაწილეობენ არჩევნებში.

პოლიტიკურ პარტიებსა და სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებს უფლება აქვთ ისარგებლონ მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებით, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

იკრძალება პოლიტიკური პარტიების, ასევე სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა და საქმიანობა, რომელთაც აქვთ კონსტიტუციური წყობის ძალადობით შეცვლის ან ომის, სოციალური, ეროვნული, რელიგიური და რასობრივი შუღლის პროპაგანდის წარმართვის მიზანი.

მუხლი 6. ბელარუსის რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად დაყოფის საფუძველზე.

სახელმწიფო ორგანოები თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელნი არიან: ისინი ერთმანეთს შორის ურთიერთმოქმედებენ და აკავებენ და აწონასწორებენ ერთმანეთს.

მუხლი 7. ბელარუსის რესპუბლიკაში დადგენილია სამართლის უზენაესობის პრინციპი.

სახელმწიფო, ყველა მისი ორგანო და თანამდებობის პირი მოქმედებს კონსტიტუციის ფარგლებში და მის შესაბამისად მიღებული საკანონმდებლო აქტების მიხედვით.

კანონით დადგენილი წესით კონსტიტუციის დებულებების საწინააღმდეგოდ აღიარებულ სამართლებრივ აქტებს ან სხვა ცალკეულ დებულებებს არ აქვთ იურიდიული ძალა.

სახელმწიფო ორგანოთა ნორმატიული აქტები ქვეყნდება ან საყოველთაოდ ცნობილი ხდება კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებით.

მუხლი 8. ბელარუსის რესპუბლიკა ცნობს საერთაშორისო სამართლის პრინციპების პრიორიტეტს და უზრუნველყოფს კანონმდებლობის მასთან შესაბამისობას.

ბელარუსის რესპუბლიკას საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად შეუძლია ნებაყოფლობით შევიდეს სახელმწიფოთაშორისო გაერთიანებებში და გამოვიდეს მათგან.

არ დაიშვება კონსტიტუციის საწინააღმდეგო საერთაშორისო ხელშეკრულების დადება.

მუხლი 9. ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორია არსებობის პირობებითა და ხალხის თვითგამორკვევის სივრცობრივი ფარგლებით, მისი კეთილდღეობითა და ბელარუსის რესპუბლიკის სუვერენიტეტის საფუძვლით არის ბუნებითი.

ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუსხვისებელია. ტერიტორია იყოფა ოლქებად, რაიონებად, ქალაქებად და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად. სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა განისაზღვრება კანონმდებლობით.

მუხლი 10. ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეს გარანტირებული აქვს სახელმწიფოს დაცვა და მფარველობა, როგორც ბელარუსის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეობა ან მოქალაქეობის შეცვლის უფლება.

ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქე არ შეიძლება გადაეცეს უცხო სახელმწიფოს, თუ ბელარუსის რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოქალაქეობის მოპოვება და დაკარგვა ხორციელდება კანონის შესაბამისად.

მუხლი 11. უცხოეთის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები ბელარუსის ტერიტორიაზე ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქის თანაბრად სარგებლობენ უფლებებითა და თავისუფლებებით და ასრულებენ ვალდებულებებს,

თუ კონსტიტუციით, კანონებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 12. ბელარუსის რესპუბლიკას შეუძლია თავშესაფრის უფლება მიანიჭოს პირებს, რომლებსაც სხვა სახელმწიფოები დევნიან პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის ან ეროვნული კუთვნილების გამო.

მუხლი 13. საკუთრება შეიძლება იყოს სახელმწიფო და კერძო. სახელმწიფო ყველას თანასწორ უფლებას ანიჭებს სამეურნეო და სხვა საქმიანობის განსახორციელებლად, გარდა კანონით აკრძალულისა, და უზრუნველყოფს საკუთრების ყველა ფორმის განვითარებისათვის თანასწორ დაცვასა და თანაბარ პირობებს.

სახელმწიფო ხელს უწყობს კოოპერაციის განვითარებას. სახელმწიფო ყველასთვის უზრუნველყოფს შესაძლებლობებითა და ქონებით თავისუფალი სარგებლობის შესაძლებლობას სამეწარმეო და კანონით ნებადართული სხვა ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად.

სახელმწიფო ადამიანისა და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად ახორციელებს ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებას, ასევე სოციალური მიზნების თანახმად უზრუნველყოფს სახელმწიფო და კერძო ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებებსა და კოორდინაციას.

წიაღი, წყალი და ტყე შეადგენს სახელმწიფოს განსაკუთრებულ საკუთრებას. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები სახელმწიფოს საკუთრებაშია.

კანონით შეიძლება განისაზღვროს სხვა ობიექტებიც, რომლებიც იქნება მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში ან დადგინდეს მათი კერძო საკუთრებაში გადასვლის განსაკუთრებული წესი; ასევე განმტკიცებულია სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლება ცალკეული სახის საქმიანობის განხორციელებაზე.

სახელმწიფო მშრომელებისთვის უზრუნველყოფს მათ უფლებას მონაწილეობა მიიღონ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მართვაში მათი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისა და ცხოვრების სოციალურ-კულტურული დონის გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 14. სახელმწიფო არეგულირებს სოციალურ, ეროვნულ და სხვა ერთობათა შორის ურთიერთობას, კანონის წინაშე თანასწორობისა და მათი უფლებებისა და ინტერესების პატივისცემის პრინციპების საფუძველზე.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, დამქირავებელთა გაერთიანებებსა და პროფესიულ კავშირებს შორის სოციალურ-შრომით სფეროში ურთიერთობა ხორციელდება სოციალური პარტნიორობისა და მხარეთა ურთიერთმოქმედების პრინციპებზე დაყრდნობით.

მუხლი 15. სახელმწიფო პასუხისმგებელია ისტორიულ-კულტურული და სასულიერო მემკვიდრეობის, ბელარუსის რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნული ერთობის კულტურის თავისუფალი განვითარების დაცვაზე.

მუხლი 16. რელიგია და აღმსარებლობა კანონის წინაშე თანასწორია. სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა რეგულირდება კანონით, ბელარუსის ერის სულიერი, კულტურული და სახელმწიფოებრივი ტრადიციების ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის გზით.

აკრძალულია რელიგიური ორგანიზაციების, მათი ორგანოებისა და წარმომადგენლების საქმიანობა, რომელიც მიმართულია ბელარუსის რესპუბლიკის სუვერენიტეტის, მისი კონსტიტუციური წყობისა და სამოქალაქო თანხმობის დარღვევისაკენ ან რომელსაც ერთვის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა, ასევე, თუ იგი აფერხებს მოქალაქეთა მიერ მათი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, საოჯახო ვალდებულებების შესრულებას ან ზიანს აყენებს მოქალაქეთა ჯანმრთელობასა და ზნეობას.

მუხლი 17. ბელარუსის რესპუბლიკაში სახელმწიფო ენებს წარმოადგენენ ბელარუსიული და რუსული ენები.

მუხლი 18. ბელარუსის რესპუბლიკა თავის საგარეო პოლიტიკაში გამოდის სახელმწიფოთა თანასწორობის, ძალის ან ძალით მუქარის გამოუყენებლობის, საზღვრების ურღვევობის, დავების მშვიდობიანი გზით დარეგულირების, შიდა საქმეებში ჩაურევლობისა და საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან.

ბელარუსის რესპუბლიკა მიზნად ისახავს თავისი ტერიტორია აქციოს არაატომურ ზონად, ხოლო სახელმწიფო — ნეიტრალურად.

მუხლი 19. ბელარუსის რესპუბლიკის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს სიმბოლოებს წარმოადგენს მისი სახელმწიფო დროშა, სახელმწიფო გერბი და სახელმწიფო ჰიმნი.

მუხლი 20. ბელარუსის რესპუბლიკის დედაქალაქია ქალაქი მინსკი. ქალაქ მინსკის სტატუსი განისაზღვრება კანონით.

ნაწილი II. პიროვნება, საზოგადოება, სახელმწიფო

მუხლი 21. ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოს უმაღლეს მიზანს.

ყველას აქვს ცხოვრების ღირსეული დონის, მათ შორის საკმარისი კვების, ჩაცმის, საცხოვრებელი ადგილისა და აუცილებელი პირობების მუდმივი გაუმჯობესების უფლება.

სახელმწიფო უზრუნველყოფს კონსტიტუციით, კანონებითა და სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებით გათვალისწინებულ ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს.

მუხლი 22. ყველა თანაბარია კანონის წინაშე და აქვს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უფლებებისა და კანონიერი ინტერესების თანაბარი დაცვის უფლება.

მუხლი 23. პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ზნეობის, მოსახლეობის ჯანმრთელობის, სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე.

არავინ არ შეიძლება სარგებლობდეს კანონსაწინააღმდეგო შეღავათებითა და პრივილეგიებით.

მუხლი 24. ყველას აქვს სიცოცხლის უფლება. სახელმწიფო იცავს ადამიანის სიცოცხლეს ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო მცდელობისაგან.

სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის გამონაკლისი ღონისძიება მის გაუქმებამდე გამოიყენება კანონის შესაბამისად, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის და მხოლოდ სასამართლო განაჩენის შესაბამისად.

მუხლი 25. სახელმწიფო უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფლებას, ხელშეუხებლობასა და ღირსებას. პირადი თავისუფლების შეზღუდვა ან აკრძალვა შესაძლებელია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

დაპატიმრებულ პირს აქვს მისი დაკავებისა და დაპატიმრების კანონიერების სასამართლო შემოწმების უფლება.

არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, მკაცრ, არაადამიანურ ან ღირსების დამამცირებელ მიმართვასა და სასჯელს, ასევე მისი თანხმობის გარეშე სამედიცინო ან სხვა სახის გამოკვლევას.

მუხლი 26. არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს დანაშაულში ბრალდებულად, თუ მისი ბრალი კანონით გათვალისწინებული წესით არ იქნება დამტკიცებული და არ იქნება დადგენილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით. ბრალდებული არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.

მუხლი 27. არავინ არ შეიძლება იძულებულ იქნეს მისცეს ჩვენება ან ახსნა-განმარტება თავისი თავის, თავის ოჯახის წევრთა და ახლო ნათესავების წინააღმდეგ. კანონის დარღვევით მიღებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს.

მუხლი 28. ყველას აქვს უფლება დაცულ იქნეს მის პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევისაგან, მათ შორის მისი კორესპონდენციის, სატელეფონო და სხვა შეტყობინების საიდუმლოებაში, მის პატივსა და ღირსებაში ჩარევის მცდელობისაგან.

მუხლი 29. გარანტირებულია მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილისა და სხვა კანონიერი მფლობელობის ხელშეუხებლობა. არავინ არ შეიძლება კანონიერი საფუძვლის გარეშე შევიდეს მოქალაქის საცხოვრებელ სახლში და სხვა კანონიერ მფლობელობაში მისი ნების საწინააღმდეგოდ.

მუხლი 30. ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეს აქვს უფლება თავისუფლად გადაადგილდეს და აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი ბელარუსის რესპუბლიკის ფარგლებში, დატოვოს იგი და დაუბრკოლებლად დაბრუნდეს უკან.

მუხლი 31. ყველას აქვს უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი ურთიერთობა რელიგიასთან, ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად აღიაროს ნებისმიერი რელიგია ან არ აღიაროს არც ერთი, გამოხატოს და გაავრცელოს რელიგიასთან დაკავშირებული შეხედულებები, მონაწილეობა მიიღოს კანონით ნებადართულ რელიგიურ კულტებში, რიტუალებსა და წეს-ჩვეულებებში.

მუხლი 32. ქორწინება, ოჯახი, მამობა და ბავშვობა სახელმწიფოს დაცვის ქვეშ იმყოფება. ქალსა და მამაკაცს უფლება აქვთ საქორწინო ასაკის მიღწევისას ნებაყოფლობით დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი. ოჯახურ ურთიერთობებში მეუღლეები თანასწორუფლებიანები არიან.

მშობლებსა და მათ შემცვლელ პირებს აქვთ უფლება და ვალდებულნი არიან აღზარდონ ბავშვები, იზრუნონ მათ ჯანმრთელობაზე, განვითარებასა და სწავლებაზე. ბავშვი არ შეიძლება დაექვემდებაროს მკაცრ მიმართვას ან დამცირებას, ჩაბმულ იქნეს სამუშაოში, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს მის ფიზიკურ, გონებრივ ან ზნეობრივ განვითარებას. ბავშვები ვალდებულნი არიან იზრუნონ მშობლებზე, ასევე მათ შემცვლელ პირებზე და აღმოუჩინონ მათ დახმარება.

ბავშვები მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება გამოეყონ თავისი ოჯახიდან მშობელთა ან მათ შემცვლელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, თუ მშობლები ან მათი შემცვლელი სხვა პირები არ ასრულებენ თავის მოვალეობებს.

ქალებისთვის გარანტირებულია მამაკაცთა თანასწორი შესაძლებლობის მინიჭება განათლების მიღებასა და პროფესიულ მომზადებაში, შრომასა და სამსახურში (სამუშაოზე) დაწინაურებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, კულტურულ და საქმიანობის სხვა სფეროებში, ასევე მათი შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობების შექმნაში.

ახალგაზრდობას გარანტირებული აქვს უფლება სულიერ, ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებაზე.

სახელმწიფო ქმნის ახალგაზრდობის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში თავისუფალი და ეფექტური მონაწილეობისათვის აუცილებელ პირობებს.

მუხლი 33. ყველასთვის გარანტირებულია აზრისა და მრწამსის თავისუფლება და მათი თავისუფალი გამოხატვა.

არავინ არ შეიძლება იძულებულ იქნეს თავისი მრწამსის გამოხატვაში ან მასზე უარის თქმაში.

დაუშვებელია სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან ცალკეული მოქალაქეების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონოპოლიზაცია, ასევე ცენზურა.

მუხლი 34. ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეს გარანტირებული აქვს სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და საერთაშორისო ცხოვრების, გარემოს მდგომარეობის შესახებ სრული, უტყუარი და დროული ინფორმაციის მიღების, შენახვისა და გავრცელების უფლება.

სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეს მისცენ შესაძლებლობა გაეცნოს მასალებს, რომელიც ეხება მის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

ინფორმაციით სარგებლობა შეიძლება შეიზღუდოს კანონმდებლობით მოქალაქეთა პატივის, ღირსების, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვისა და მათ მიერ თავიანთი უფლებამოსილების სრულად განხორციელების მიზნით.

მუხლი 35. შეკრების, მიტინგის, ქუჩის მსვლელობის, დემონსტრაციისა და პიკეტის თავისუფლება, რომელიც არ არღვევს მართლწესრიგსა და ბელარუსის რესპუბლიკის სხვა მოქალაქეთა უფლებებს, გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ. აღნიშნული ღონისძიებების წარმართვის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 36. ყველას აქვს გაერთიანების უფლება. მოსამართლეები, პროკურატურის მოსამსახურეები, შინაგან საქმეთა ორგანოების, სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის, უშიშროების ორგანოების თანამშრომლები და სამხედრო მოსამსახურეები არ შეიძლება იყვნენ პოლიტიკური პარტიისა და პოლიტიკური მიზნების მიმდევარი სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრები.

მუხლი 37. ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეს უფლება აქვს მონაწილეობდეს სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტაში როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით.

მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეთა მართვაში უზრუნველყოფილია რეფერენდუმის ჩატარებით, კანონპროექტებისა

და რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხთა განხილვითა და კანონით საყოველთაოდ აღიარებული სხვა საშუალებებით.

კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეები მონაწილეობენ რესპუბლიკურ და ადგილობრივ კრებებზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხთა განხილვაში.

მუხლი 38. ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეს უფლება აქვს თავისუფლად აირჩიოს და იყოს არჩეული სახელმწიფო ორგანოებში საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი ან ირიბი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

მუხლი 39. ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეს თავისი შესაძლებლობებისა და პროფესიული მზადყოფნის შესაბამისად აქვს ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს თანამდებობაზე თანაბარი დაშვების უფლება.

მუხლი 40. ყველას შეუძლია გაგზავნოს პირადი ან კოლექტიური მიმართვები სახელმწიფო ორგანოებში.

სახელმწიფო ორგანოები, ასევე თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან განიხილონ მიმართვა და კანონით განსაზღვრულ ვადაში არსებითად გასცენ პასუხი. შეტანილი განცხადების განხილვაზე უარის თქმა წერილობით უნდა იყოს მოტივირებული.

მუხლი 41. ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის გარანტირებულია შრომის უფლება, როგორც ადამიანის თვითდამკვიდრების ყველაზე უფრო ღირსეული საშუალება, ანუ პროფესიის, დასაქმებისა და სამუშაოს სახეობის არჩევის, მოწოდების, შესაძლებლობების, განათლების, პროფესიული მომზადების შესაბამისად და საზოგადოებრივი შესაძლებლობების ჩათვლით, ასევე შრომის ჯანმრთელი და უსაფრთხო პირობები.

სახელმწიფო ქმნის პირობებს მოსახლეობის სრული დასაქმებისთვის. ნებისმიერი პირისთვის, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დაუსაქმებლობის შემთხვევაში, გარანტირებულია ახალი სპეციალობის სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება საზოგადოების შესაძლებლობების მიხედვით, ასევე უმუშევრობისათვის დახმარება კანონის შესაბამისად.

მოქალაქეებს უფლება აქვთ დაიცვან თავიანთი ეკონომიკური და სოციალური ინტერესები, მათ შორის პროფესიულ კავშირებში გაერთიანების უფლება, კოლექტიური ხელშეკრულების (შეთანხმების) დადებისა და გაფიცვის უფლება.

იძულებითი შრომა აკრძალულია, გარდა სასამართლოს განაჩენით განსაზღვრული სამუშაოსა და სამსახურის ან საგანგებო და საომარი მდგომარეობის შესახებ კანონის შესაბამისად.

მუხლი 42. ქირით მომუშავე პირებისთვის გარანტირებულია ანაზღაურების სამართლიანი წილი შრომის ეკონომიკური შედეგით, მისი რაოდენობის, ხარისხისა და საზოგადოებრივი დანიშნულების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ მისი და მისი ოჯახის უზრუნველმყოფი დონისა და ღირსეული არსებობისა.

ქალებსა და მამაკაცებს, მოზრდილებსა და არასრულწლოვნებს აქვთ თანაბარი შრომისთვის თანასწორი ანაზღაურების უფლება.

მუხლი 43. მშრომელებს აქვთ დასვენების უფლება. ქირით მომუშავეებისთვის ეს უფლება უზრუნველყოფილია არა უმეტეს 40 საათიანი სამუშაო კვირის დადგენით, ღამით შეზღუდული ხანგრძლივობის სამუშაო დროით, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების მიცემით, ყოველკვირეული დასვენების დღეებით.

მუხლი 44. სახელმწიფო ყველასთვის უზრუნველყოფს საკუთრების უფლებას და ხელს უწყობს მის მოპოვებას.

მესაკუთრეს აქვს ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება როგორც მარტო, ისე სხვა პირებთან ერთად. საკუთრების ხელშეუხებლობა და მისი მემკვიდრეობის უფლება დაცულია კანონით.

კანონიერი საშუალებით მოპოვებულ საკუთრებას იცავს სახელმწიფო.

სახელმწიფო ახალისებს და იცავს მოქალაქეთა დანაზოგს, ანაბარის გაზრდისთვის ქმნის გარანტიებს.

ქონების იძულებითი ჩამორთმევა დაიშვება მხოლოდ საზოგადოებრივი აუცილებლობის მოტივით კანონით განსაზღვრული პირობებისა და წესის დაცვით, ჩამორთმეული ქონების დროული და სრული კომპენსაციით, ასევე სასამართლოს დადგენილებით.

საკუთრების უფლების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივ სარგებლობასა და უსაფრთხოებას, ზიანს აყენებდეს გარემოს, ისტორიულ-კულტურულ ფასეულობებს, ლახავდეს უფლებებსა და სხვა პირთა კანონით დაცულ ინტერესებს.

მუხლი 45. ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეს გარანტირებული აქვს ჯანმრთელობის დაცვის უფლება, მათ შორის ჯანდაცვის სახელმწიფო დაწესებულებებში უფასო მკურნალობა.

სახელმწიფო ქმნის ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების პირობებს.

ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქის ჯანდაცვის უფლება უზრუნველყოფილია ასევე ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებით, გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებებით, გამაჯანსაღებელი დაწესებულებებით სარგებლობის შესაძლებლობითა და შრომის დაცვის სრულყოფით.

მუხლი 46. ყველას აქვს ხელსაყრელი გარემო პირობების უფლება და ამ უფლების დარღვევით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების უფლება.

ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და დაცვის, ასევე გარემოს დაცვისა და აღდგენის მიზნით სახელმწიფო აკონტროლებს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

მუხლი 47. ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის გარანტირებულია სოციალური უზრუნველყოფის უფლება მოხუცებულობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, შრომისუნარიანობის დაკარგვის, მარჩენალის დაკარგვისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. სახელმწიფო იჩენს განსაკუთრებულ ზრუნვას ომისა და შრომის ვეტერანებზე, ასევე პირებზე, რომლებსაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისას დაუზიანდათ ჯანმრთელობა.

მუხლი 48. ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეს აქვს საცხოვრებელი ადგილის უფლება. ეს უფლება უზრუნველყოფილია სახელმწიფო და კერძო საცხოვრებელი ფონდის განვითარებით, მოქალაქეებისთვის საცხოვრებელი ადგილის მოპოვებისთვის ხელის შეწყობით.

მოქალაქეებს, რომლებიც საჭიროებენ სოციალურ დაცვას, საცხოვრებელი მიეცემათ სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ან კანონმდებლობის შესაბამისად მათთვის ხელმისაწვდომ ფასში.

არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას საცხოვრებელი.

მუხლი 49. ყველას აქვს განათლების უფლება. გარანტირებულია საყოველთაო საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების დაშვებადობა და უფასობა.

საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება ნებადართულია ყველასთვის თითოეული პირის შესაძლებლობების შესაბამისად. ყველას შეუძლია სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში კონკურსის საფუძველზე უფასოდ მიიღოს შესაბამისი განათლება.

მუხლი 50. ყველას აქვს უფლება დაიცვას თავისი ეროვნული კუთვნილება, ისევე როგორც არავინ არ შეიძლება იძულებულ იქნეს განსაზღვროს და მიუთითოს ეროვნული კუთვნილება.

ეროვნული ღირსების შეურაცხყოფა ისჯება კანონის შესაბამისად.

ყველას აქვს მშობლიური ენით სარგებლობისა და ურთიერთობის ენის არჩევის უფლება. სახელმწიფო კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს აღზრდისა და სწავლების ენის არჩევის თავისუფლებას.

მუხლი 51. ყველას აქვს კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაოდ ხელმისაწვდომი სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდებში მყოფი სამამულო და მსოფლიო კულტურის ფა-

სეულობებით, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის განვითარებით.

სამხატვრო, სამეცნიერო, ტექნიკური შემოქმედებისა და სწავლების თავისუფლება გარანტირებულია.

ინტელექტუალური საკუთრება დაცულია კანონით. სახელმწიფო საერთო ინტერესების საკეთილდღეოდ ხელს უწყობს კულტურის, სამეცნიერო და ტექნიკური კვლევის განვითარებას.

მუხლი 52. ყველა, ვინც იმყოფება ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ვალდებულია დაიცვას მისი კონსტიტუცია, კანონები და პატივი სცეს ეროვნულ ტრადიციებს.

მუხლი 53. ყველა ვალდებულია პატივი სცეს სხვა პირთა ღირსებას, უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

მუხლი 54. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ისტორიულ-კულტურულ, სასულიერო მემკვიდრეობას და სხვა ეროვნულ ფასეულობებს.

მუხლი 55. ბუნებრივი გარემოს დაცვა ყველას ვალია.

მუხლი 56. ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქე ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებაში სახელმწიფო გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა საურავების გადახდის გზით.

მუხლი 57. ბელარუსის რესპუბლიკის დაცვა ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქის ვალდებულება და წმინდა ვალია.

სამხედრო სამსახურში ყოფნის წესი, სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები და პირობები ან მისი ალტერნატივით შეცვლა განისაზღვრება კანონით.

მუხლი 58. არავინ არ შეიძლება იძულებულ იქნეს შეასრულოს ბელარუსის რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონებით გაუთვალისწინებელი ვალდებულებები ან უარი თქვას თავის უფლებებზე.

მუხლი 59. სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს მისთვის ხელმისაწვდომი ყველა ზომა კონსტიტუციით გათვალისწინებული ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების სრულად განსახორციელებლად აუცილებელი შიდა და საერთაშორისო წესრიგის დასამყარებლად.

სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები და სხვა პირები, რომელთაც მინდობილი აქვთ სახელმწიფო ფუნქციების აღსრულება, ვალდებულნი არიან

თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ პირადი უფლებებისა და თავისუფლებების განსახორციელებლად აუცილებელი ზომები.

ამ ორგანოებსა და პირებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ პირადი უფლებებისა და თავისუფლებების დამრღვევი ქმედებებისათვის.

მუხლი 60. ყველასთვის გარანტირებულია უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ კანონით განსაზღვრულ ვადებში.

უფლებების, თავისუფლებების, პატივისა და ღირსების დაცვის მიზნით, კანონის შესაბამისად, მოქალაქეს უფლება აქვთ სასამართლო წესით მოითხოვოს როგორც ქონებრივი ზიანის, ისე მორალური ზიანის მატერიალური ანაზღაურება.

მუხლი 61. ყველას აქვს უფლება, ბელარუსის რესპუბლიკის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების შესაბამისად მიმართოს საერთაშორისო ორგანიზაციებს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით, თუ ამოწურულია შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის ყველა შესაძლო საშუალება.

მუხლი 62. ყველას აქვს იურიდიული დახმარების უფლება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად და განსახორციელებლად, მათ შორის უფლება ნებისმიერ დროს ისარგებლოს ადვოკატისა და მისი სხვა წარმომადგენლის დახმარებით სასამართლოში, სახელმწიფო ორგანოებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, საზოგადოებრივ გაერთიანებებში, ასევე თანამდებობის პირებთან და მოქალაქეებთან ურთიერთობაში. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იურიდიული დახმარების აღმოჩენა ხდება სახელმწიფო სახსრების ხარჯზე.

ბელარუსის რესპუბლიკაში აკრძალულია სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

მუხლი 63. ამ კონსტიტუციით გათვალისწინებული პირადი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება შეიძლება შეჩერდეს მხოლოდ საგანგებო ან სამხედრო მდგომარეობის პირობებში, კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრული წესითა და ფარგლებში. საგანგებო მდგომარეობის პერიოდში განსაკუთრებული ღონისძიებების განხორციელებისას არ შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით, 25-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 26-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები.

ნაწილი III. საარჩევნო სისტემა. რეფერენდუმი
თავი I. საარჩევნო სისტემა

მუხლი 64. დეპუტატთა და ხალხის მიერ სხვა სახელმწიფო თანამდებობებზე არჩეულ პირთა არჩევნები არის საყოველთაო: არჩევის უფლება აქვთ 18 წლის ასაკს მიღწეულ ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეებს.

არჩევნებში არ მონაწილეობენ სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული მოქალაქეები და პირები, რომლებიც სასამართლოს განაჩენით იმყოფებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. კენჭისყრაში არ მონაწილეობენ პირები, რომლებთან დაკავშირებითაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეულია აღკვეთის ღონისძიება — პატიმრობა. მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების ნებისმიერი პირდაპირი ან ირიბი შეზღუდვა სხვა შემთხვევებში დაუშვებელია და ისჯება კანონით.

დეპუტატთა და სახელმწიფო თანამდებობებზე ასარჩევ სხვა პირთა საარჩევნო ცენზი განისაზღვრება შესაბამისი კანონებით, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 65. არჩევნები არის თავისუფალი: ამომრჩეველი თვითონ წყვეტს მონაწილეობა მიიღოს თუ არა არჩევნებში და ვის მისცეს ხმა. არჩევნების მომზადება და წარმართვა მიმდინარეობს ღიად და საჯაროდ.

მუხლი 66. არჩევნები არის თანასწორი: ამომრჩევლებს გააჩნიათ ხმათა თანაბარი რაოდენობა.

სახელმწიფო თანამდებობებზე არჩეული (ასარჩევი) კანდიდატები არჩევნებში მონაწილეობენ თანაბარ საფუძველზე.

მუხლი 67. დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია: დეპუტატები აირჩევიან მოქალაქეების მიერ უშუალოდ.

მუხლი 68. არჩევნებზე ხმის მიცემა ფარულია: კენჭისყრის დროს დაუშვებელია ამომრჩეველთა ნების გამოხატვაზე კონტროლი.

მუხლი 69. დეპუტატობის კანდიდატის წამოყენების უფლება გააჩნიათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომით კოლექტივებსა და მოქალაქეებს კანონის შესაბამისად.

მუხლი 70. არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ხარჯები ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების ფარგლებში. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ხარჯები შეიძლება გაღებულ იქნეს საზოგადოებრივი გაერთიანების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და მოქალაქის სახსრების ხარჯზე.

მუხლი 71. არჩევნების წარმართვას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

არჩევნების ჩატარების წესი განისაზღვრება ბელარუსის რესპუბლიკის კანონებით.

არჩევნები არ ტარდება საგანგებო ან სამხედრო მდგომარეობის დროს.

მუხლი 72. დეპუტატთა გამოწვევა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

დეპუტატის გამოწვევის შესახებ კენჭისყრა ტარდება დეპუტატის არჩევისათვის გათვალისწინებული წესით, საარჩევნო უფლების მქონე და შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა არანაკლებ ოცი პროცენტის ინიციატივით.

რესპუბლიკის საბჭოს წევრის გამოწვევის საფუძველი და წესი დგინდება კანონით.

თავი 2. რეფერენდუმი (სახალხო კენჭისყრა)

მუხლი 73. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხთა გადასაწყვეტად შეიძლება ჩატარდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი რეფერენდუმები.

მუხლი 74. რესპუბლიკური რეფერენდუმი ინიშნება ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ საკუთარი ინიციატივით, ასევე წარმომადგენელთა პალატისა და რესპუბლიკის საბჭოს ინიციატივით, რომლებიც მას იღებენ განცალკევებულ სხდომებზე კონსტიტუციით დადგენილი თითოეული პალატის შემადგენლობის (სრული შემადგენლობის) ხმათა უმრავლესობით, ან საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 450 000 მოქალაქის წინადადებით, მათ შორის თითოეული ოლქიდან და ქალაქ მინსკიდან არანაკლებ 30 000 მოქალაქის მონაწილეობით.

რეფერენდუმის ჩატარების შესახებ წარმომადგენელთა პალატისა და რესპუბლიკის საბჭოს ან მოქალაქეთა წინადადებების კანონის შესაბამისად განხილვის შემდეგ, პრეზიდენტი ნიშნავს რესპუბლიკურ რეფერენდუმს.

რეფერენდუმის ჩატარების თარიღი დგინდება რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების გამოცემის დღიდან არა უმეტეს სამი თვის ვადაში.

რესპუბლიკურ რეფერენდუმზე მიღებულ გადაწყვეტილებას ხელს აწერს ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მუხლი 75. ადგილობრივი რეფერენდუმები ინიშნება შესაბამისი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ მათივე ინიციატივით ან საარჩევნო

უფლების მქონე და შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა არანაკლებ ათი პროცენტის წინადადებით.

მუხლი 76. რეფერენდუმი ტარდება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით.

რეფერენდუმებში მონაწილეობენ საარჩევნო უფლების მქონე ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეები.

მუხლი 77. რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება უარყოფილ ან შეცვლილ იქნეს მხოლოდ რეფერენდუმის გზით, თუ რეფერენდუმით სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული.

მუხლი 78. რესპუბლიკური და ადგილობრივი რეფერენდუმების ჩატარების წესი, ასევე საკითხთა ნუსხა, რომლებიც არ შეიძლება გატანილ იქნეს რეფერენდუმზე, განისაზღვრება ბელარუსის რესპუბლიკის კანონით.

ნაწილი IV. პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო

თავი 3. ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტი

მუხლი 79. ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, ბელარუსის რესპუბლიკის კონსტიტუციის, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების გარანტი.

პრეზიდენტი განასახიერებს ერის ერთიანობას, უზრუნველყოფს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების რეალიზაციას, ბელარუსის რესპუბლიკას წარმოადგენს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში. პრეზიდენტი იღებს ზომებს ბელარუსის რესპუბლიკის სუვერენიტეტის, მისი ეროვნული უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, უზრუნველყოფს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მემკვიდრეობითობასა და ურთიერთქმედებას, ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის შუამავლობას.

პრეზიდენტი სარგებლობს ხელშეუხებლობით, მისი პატივი და ღირსება დაცულია კანონით.

მუხლი 80. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს არანაკლებ 35 წლის ასაკს მიღწეული დაბადებით ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც ფლობს საარჩევნო უფლებას და მუდმივად ცხოვრობს ბელარუსის რესპუბლიკაში არჩევნებამდე არანაკლებ ათი წლის მანძილზე.

მუხლი 81. პრეზიდენტი აირჩევა ხუთი წლის ვადით უშუალოდ ბელარუსის რესპუბლიკის ხალხის მიერ საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატთა წამოყენება ხდება ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ ამომრჩეველთა არანაკლებ 100 000 ხელმოწერის არსებობისას. პრეზიდენტის არჩევნები ინიშნება წარმომადგენელთა პალატის მიერ წინა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უმეტეს ხუთი თვის ვადაში და ტარდება არა უმეტეს ორი თვის ვადაში.

თუ პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტური გახდება, არჩევნები ტარდება ვაკანსიის გაჩენიდან არანაკლებ 30 დღისა და არა უმეტეს 70 დღის ვადაში.

მუხლი 82. ითვლება, რომ არჩევნები შედგა, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საარჩევნო სიებში შეტანილ ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეთა არანაკლებ ნახევარმა.

პრეზიდენტი არჩეულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს კენჭისყრაში მონაწილე ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქეთა ნახევარი მაინც.

თუ კანდიდატთაგან ვერცერთი ვერ მოაგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას, ორკვირიან ვადაში ტარდება კენჭისყრის მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა მიიღეს. არჩეულად ითვლება პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც მეორე ტურში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობას მიიღებს.

პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების წესი განისაზღვრება ბელარუსის რესპუბლიკის კანონით.

მუხლი 83. პრეზიდენტი თანამდებობას იკავებს შემდეგი შინაარსის ფიცის დადების შემდეგ:

„ვიკავებ რა რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობას, საზეიმოდ ვფიცავ, რომ ერთგულად ვემსახურები ბელარუსის რესპუბლიკის ხალხს, პატივს ვცემ და დავიცავ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს, გაუუფრთხილდები და დავიცავ ბელარუსის რესპუბლიკის კონსტიტუციას, წმინდად და კეთილსინდისიერად აღვასრულებ ჩემთვის დაკისრებულ უმაღლეს ვალდებულებებს“.

ფიცი მიიღება საზეიმო ვითარებაში წარმომადგენელთა პალატის დებუტატთა და რესპუბლიკის საბჭოს წევრთა, საკონსტიტუციო, უზენაესი და უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს მოსამართლეთა თანდასწრებით პრეზიდენტის არჩევის დღიდან არა უმეტეს ორი თვის ვადაში. ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან წყდება წინა პრეზიდენტის უფლებამოსილება.

მუხლი 84. ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტი:

1) ნიშნავს რესპუბლიკურ რეფერენდუმებს;

2) ნიშნავს წარმომადგენელთა პალატის, რესპუბლიკის საბჭოსა და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მორიგ და რიგგარეშე არჩევნებს;

3) კონსტიტუციით გათვალისწინებული წესით ითხოვს პალატებს;

4) ნიშნავს ბელარუსის რესპუბლიკის საარჩევნო და რესპუბლიკური რეფერენდუმის ჩატარების ცენტრალური კომისიის ექვს წევრს;

5) ქმნის, აუქმებს და გარდაქმნის ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციას, სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოებს, ასევე პრეზიდენტთან არსებულ საკონსულტაციო-სათათბირო და სხვა ორგანოებს;

6) წარმომადგენელთა პალატის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს;

7) განსაზღვრავს ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურას, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრის მოადგილეებს, მინისტრებს და მთავრობის სხვა წევრებს, იღებს გადაწყვეტილებას მთავრობის ან მისი წევრის გადადგომის შესახებ;

8) რესპუბლიკის საბჭოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოსა და უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს თავმჯდომარეებს ამ სასამართლოების მოსამართლეთა რიცხვიდან;

9) რესპუბლიკის საბჭოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს უზენაესი სასამართლოსა და უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს მოსამართლეებს, საარჩევნო და რესპუბლიკური რეფერენდუმის ჩატარების ცენტრალური კომისიის თავმჯდომარეს, გენერალურ პროკურორს, ეროვნული ბანკის მმართველობის თავმჯდომარესა და წევრებს;

10) ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს ექვს მოსამართლესა და ბელარუსის რესპუბლიკის სხვა მოსამართლეებს;

11) კანონით გათვალისწინებულ საფუძველზე, რესპუბლიკის საბჭოსათვის შეტყობინებით, თანამდებობიდან ათავისუფლებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებს, უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებს, საარჩევნო და რესპუბლიკური რეფერენდუმის ჩატარების ცენტრალური კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს, გენერალურ პროკურორს, ეროვნული ბანკის მმართველობის თავმჯდომარესა და წევრებს;

12) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეს;

13) მიმართავს ბელარუსის რესპუბლიკის ხალხს სახელმწიფოს მდგომარეობისა და საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ;

14) ყოველწლიური მოხსენებით მიმართავს პარლამენტს, რომელიც განხილვის გარეშე მოისმინება წარმომადგენელთა პალატისა და რესპუბლიკის საბჭოს სხდომაზე; უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს პარლამენტისა და მისი ორგანოების მუშაობაში, ნებისმიერ დროს გამოვიდეს მათ წინაშე მოხსენებით ან შეწყობინებით;

15) უფლება აქვს უხელმძღვანელოს ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობის სხდომებს;

16) ნიშნავს სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური ორგანოების ხელმძღვანელებს და განსაზღვრავს მათ სტატუსს; ნიშნავს პრეზიდენტის წარმომადგენლებს პარლამენტში და სხვა თანამდებობის პირებს, რომელთა თანამდებობები განსაზღვრულია კანონმდებლობის შესაბამისად, თუ კანონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

17) წყვეტს ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქედ მიღების, მოქალაქეობის შეწყვეტისა და თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

18) ადგენს სახელმწიფო დღესასწაულებს და დასვენების დღეებს, აჯილდოვებს სახელმწიფო ჯილდოებით, ანიჭებს საკლასო ჩინებსა და წოდებებს;

19) ახორციელებს მსჯავრდებულთა შეწყალებას;

20) აწარმოებს მოლაპარაკებებს და ხელს აწერს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ნიშნავს და გამოიწვევს ბელარუსის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთის ქვეყნებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში;

21) იღებს მასზე აკრედიტებული უცხოეთის სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებისა და გამოწვევის სიგელებს;

22) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, ასევე პირთა ჯგუფის ან ორგანიზაციის მხრიდან არეულობისას, რომელსაც ერთვის ძალადობა ან ძალადობის მუქარა, რომელთა შედეგად საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასა და არსებობას, ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ნაწილებში აცხადებს საგანგებო მდგომარეობას, მიღებული გადაწყვეტილების სამი დღის ვადაში რესპუბლიკის საბჭოში დასამტკიცებლად წარდგენით;

23) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლება აქვს გადადოს გაფიცვის ჩატარება ან შეაჩეროს იგი, მაგრამ არა უმეტეს სამთვიანი ვადით;

24) ხელს აწერს კანონებს; უფლება აქვს თავის შენიშვნებთან ერთად კონსტიტუციით დადგენილი წესით კანონი ან მისი ცალკეული დებულება დაუბრუნოს წარმომადგენელთა პალატას;

25) უფლება აქვს გააუქმოს მთავრობის აქტები;

26) უშუალოდ ან მის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ახორციელებს კონტროლს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების კანონმდებლობის დაცვაზე; უფლება აქვს კანონმდებლობასთან შეუსაბამობის შემთხვევებში შეაჩეროს დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებები და გააუქმოს ადგილობრივი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების გადაწყვეტილებები;

27) აყალიბებს და ხელმძღვანელობს ბელარუსის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს; თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უშიშროების საბჭოს სახელმწიფო მდივანს;

28) არის ბელარუსის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი; თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობას;

29) ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოიღებს სამხედრო მდგომარეობას ომის საშიშროების ან თავდასხმის შემთხვევაში, აცხადებს სრულ ან ნაწილობრივ მობილიზაციას და ეს გადაწყვეტილება მიღებიდან სამი დღის ვადაში შეაქვს რესპუბლიკის საბჭოში;

30) ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონებით მისთვის დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 85. პრეზიდენტი კონსტიტუციის საფუძველზე და შესაბამისად გამოსცემს ბელარუსის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სავალდებულო ძალის მქონე ბრძანებულებებსა და განკარგულებებს.

კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში პრეზიდენტი გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს. პრეზიდენტი უშუალოდ ან უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოფს მის მიერ გამოცემული განკარგულებების აღსრულებას.

მუხლი 86. პრეზიდენტს არ შეიძლება ეკავოს სხვა თანამდებობა, საიდანაც ხელფასთან ერთად მიიღებს ფულად ანაზღაურებას, გარდა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებიდან მიღებული ჰონორარებისა.

უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში პრეზიდენტს შეუჩერდება პოლიტიკური პარტიისა და პოლიტიკური მიზნის მიმდევარი სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრობა.

მუხლი 87. პრეზიდენტს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. პრეზიდენტის გადადგომას იღებს წარმომადგენელთა პალატა.

მუხლი 88. ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიძლება ვადამდე განთავისუფლდეს თანამდებობიდან, თუ არ შეუძლია ჯანმრთელობის ურყევი მდგომარეობის უქონლობის გამო პრეზიდენტის ვალდებულებების განხორციელება. პრეზიდენტის ვადამდე განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება წარმომადგენელთა პალატის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით და რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, პალატების მიერ სპეციალურად შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე.

პრეზიდენტი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან სახელმწიფო ღალატის ან მძიმე დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. ბრალდების წარდგენისა და მისი გამოძიების შესახებ გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს წარმომადგენელთა პალატის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, ხოლო წინადადებას შეიტანს დეპუტატთა არანაკლებ ერ-

თი მესამედი. ბრალდების გამოძიების ორგანიზება ხდება რესპუბლიკის საბჭოს მიერ. პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებულად ითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას ხმას მისცემს რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი, ასევე წარმომადგენელთა პალატის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

რესპუბლიკის საბჭოსა და წარმომადგენელთა პალატის მიერ პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობა ბრალდების წარდგენიდან ერთი თვის მანძილზე ნიშნავს ბრალდების უარყოფას. პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება არ შეიძლება ინიცირებულ იქნეს კონსტიტუციის შესაბამისად პარლამენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვის პერიოდში.

დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით პრეზიდენტის გადაყენების შემთხვევაში ბრალდების არსის შესახებ საქმე იხილება უზენაესი სასამართლოს მიერ.

მუხლი 89. პრეზიდენტის თანამდებობის გათავისუფლების, კონსტიტუციით გათვალისწინებული საფუძვლებით მის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის მიღებამდე მისი უფლებამოსილება გადადის პრემიერ-მინისტრზე.

თავი 4. პარლამენტი — ეროვნული კრება

მუხლი 90. ბელარუსის რესპუბლიკის პარლამენტი — ეროვნული კრება არის ბელარუსის რესპუბლიკის წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო.

პარლამენტი შედგება ორი პალატის: წარმომადგენელთა პალატისა და რესპუბლიკის საბჭოსგან.

მუხლი 91. წარმომადგენელთა პალატის შემადგენლობაშია 110 დეპუტატი. წარმომადგენელთა პალატის არჩევა ხორციელდება კანონის საფუძველზე საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

რესპუბლიკის საბჭო წარმოადგენს ტერიტორიული წარმომადგენლობის პალატას. ყოველი ოლქიდან და ქალაქ მინსკიდან ფარული კენჭისყრით ოლქებისა და ქალაქ მინსკის საბაზო დონის ადგილობრივ დეპუტატთა საბჭოს დეპუტატთა სხდომებზე აირჩევა რესპუბლიკის საბჭოს რვა-რვა წევრი. რესპუბლიკის საბჭოს რვა წევრი ინიშნება ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ.

ახალი შემადგენლობის პარლამენტის პალატათა არჩევნები ინიშნება პალატების მოქმედი შემადგენლობის უფლებამოსილების გასვლამდე არა უმეტეს ოთხ თვეში და ტარდება არა უმეტეს 30 დღეში.

პარლამენტის პალატათა რიგგარეშე არჩევნები ტარდება პარლამენტის პალატათა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის დღიდან სამი თვის ვადაში.

მუხლი 92. წარმომადგენელთა პალატის დეპუტატი შეიძლება იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქე.

რესპუბლიკის საბჭოს წევრი შეიძლება იყოს 30 წლის ასაკს მიღწეული ბელარუსის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც არანაკლებ ხუთი წელი ცხოვრობს შესაბამისი ოლქის ან ქალაქ მინსკის ტერიტორიაზე.

წარმომადგენელთა პალატის დეპუტატები პარლამენტში თავის უფლებამოსილებას ახორციელებენ პროფესიონალურ საფუძველზე, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. წარმომადგენელთა პალატის დეპუტატი შეიძლება იმავდროულად იყოს მთავრობის წევრი.

ერთი და იგივე პირი არ შეიძლება იმავდროულად იყოს ორივე პალატის წევრი. წარმომადგენელთა პალატის დეპუტატი არ შეიძლება იყოს დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს წევრი. რესპუბლიკის საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს მთავრობის წევრი. დაუშვებელია წარმომადგენელთა პალატის დეპუტატისა და რესპუბლიკის საბჭოს წევრის უფლებამოსილების იმავდროულად პრეზიდენტის ან მოსამართლის თანამდებობასთან შეთავსება.

მუხლი 93. პარლამენტის უფლებამოსილების ვადაა ოთხი წელი. პარლამენტის უფლებამოსილება შეიძლება გაგრძელდეს კანონის საფუძველზე მხოლოდ ომის შემთხვევაში.

არჩევნების შემდეგ პარლამენტის პალატების პირველი სესია მოიწვევა საარჩევნო და რესპუბლიკური რეფერენდუმის ჩატარების ცენტრალური კომისიის მიერ და მუშაობას იწყებს არჩევნებიდან არა უმეტეს 30 დღის ვადაში. წარმომადგენელთა პალატის პირველი სხდომის მოწვევისა და მუშაობის დასაწყებად ოცდაათდღიანი ვადა აითვლება მისი ახალი შემადგენლობის ასარჩევად ჩატარებული მეორე ტურის დღიდან. თუ წარმომადგენელთა პალატის ასარჩევად არ ტარდება მეორე ტური, ოცდაათდღიანი ვადა აითვლება ბელარუსის რესპუბლიკის საყოველთაო არჩევნების პირველი ტურის ჩატარების დღიდან. რესპუბლიკის საბჭოს პირველი სხდომის მოწვევისა და მუშაობის დასაწყებად ოცდაათდღიანი ვადა აითვლება რესპუბლიკის საბჭოს წევრთა ოლქებიდან ან ქალაქ მინსკიდან ასარჩევად ჩატარებული საბაზო დონის დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პირველი სხდომის დღიდან.

კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით წარმომადგენელთა პალატისა და რესპუბლიკის საბჭოს უფლებამოსილება შეიძლება ვადამდე შეწყდეს. წარმომადგენელთა პალატისა და რესპუბლიკის საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტისას პრეზიდენტის გადაწყვეტილებით შეიძლება ასევე შეწყდეს შესაბამისად მეორე პალატის უფლებამოსილება.

მუხლი 94. წარმომადგენელთა პალატის უფლებამოსილება შეიძლება ვადამდე შეწყდეს მთავრობის ნდობის უარყოფისას, მთავრობისათვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებისას ან პრემიერ-მინისტრის დანიშვნაზე თანხმობის მიცემაზე ორჯერ უარის თქმისას.

წარმომადგენელთა პალატის ან რესპუბლიკის საბჭოს უფლებამოსილება შეიძლება ასევე ვადამდე შეწყდეს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე პარლამენტის პალატების მიერ კონსტიტუციის სისტემატური ან უხეში დარღვევის შემთხვევაში.

ამ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდენტი პალატების თავმჯდომარეებთან ოფიციალური კონსულტაციების შემდეგ არა უმეტეს ორ თვიან ვადაში.

პალატები არ შეიძლება დათხოვნილ იქნენ საგანგებო ან სამხედრო მდგომარეობის პერიოდში, პრეზიდენტის უფლებამოსილების ბოლო ექვს თვეს, პრეზიდენტის თანამდებობიდან ვადამდე განთავისუფლების შესახებ პალატების მიერ საკითხის გადაწყვეტის პერიოდში.

დაუშვებელია პალატების დათხოვნა მათი პირველი სხდომიდან ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი 95. პალატები იკრიბებიან წელიწადში ორ მორიგ სესიაზე. პირველი სესია იხსნება 2 ოქტომბერს, მისი ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 80 დღეზე მეტი.

მეორე სესია იხსნება 2 აპრილს; მისი ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს ოთხმოცდაათ დღეზე მეტი.

თუ 2 ოქტომბერი ან 2 აპრილი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ სესია იხსნება მის შემდგომ პირველ სამუშაო დღეს.

წარმომადგენელთა პალატა და რესპუბლიკის საბჭო განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში მოიწვევა რიგგარეშე სესიაზე პრეზიდენტის ინიციატივით, ასევე, თითოეული პალატის სრული შემადგენლობის ორი მესამედის მოთხოვნით, განსაზღვრული დღის წესრიგით.

რიგგარეშე სესიები მოიწვევა პრეზიდენტის ბრძანებულებით.

მუხლი 96. წარმომადგენელთა პალატა თავისი შემადგენლობიდან ირჩევს წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარესა და მის მოადგილეს.

რესპუბლიკის საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს.

წარმომადგენელთა პალატისა და რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები უძღვებიან სხდომებს და განკარგავენ პალატების შინაგანაწესს.

საკანონმდებლო მუშაობის წარმართვის, პალატის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა წინასწარი განხილვისა და მომზადებისთვის წარმომადგენელთა

პალატა და რესპუბლიკის საბჭო თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ მუდმივ კომისიებს და სხვა ორგანოებს.

მუხლი 97. წარმომადგენელთა პალატა:

1) პრეზიდენტის წინადადებით ან საარჩევნო უფლების მქონე ბელარუსის არანაკლებ 150 000 მოქალაქის ინიციატივით იხილავს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ და კონსტიტუციის განმარტების შესახებ კანონის პროექტებს;

2) იხილავს კანონის პროექტებს, მათ შორის ბელარუსის რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დამტკიცების შესახებ; სამხედრო დოქტრინის; საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციისა და დენონსაციის; მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და ვალდებულებების ძირითადი შინაარსისა და პრინციპების შესახებ; მოქალაქეობის, უცხოელთა სტატუსისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ; ეროვნული უმცირესობების უფლებათა შესახებ; რესპუბლიკური ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ; რესპუბლიკური გადასახადებისა და მოსაკრებლების დადგენის შესახებ; საკუთრების ურთიერთობების განხორციელების პრინციპების შესახებ; სოციალური დაცვის საფუძვლების შესახებ; შრომისა და დასაქმების პრინციპების რეგულირების შესახებ; ქორწინების, ოჯახის, ბავშვობის, დედობის, მამობის, აღზრდის, განათლების, კულტურისა და ჯანდაცვის შესახებ; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ; სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაწყვეტის წესის განსაზღვრის შესახებ; ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ; სასამართლო წყობილების, სამართალწარმოებისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ; სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ; ამნისტიის შესახებ; ომის გამოცხადებისა და მშვიდობის დამყარების შესახებ; სამხედრო და საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმის შესახებ; სახელმწიფო ჯილდოების დადგენის შესახებ; კანონთა განმარტების შესახებ;

3) ნიშნავს პრეზიდენტის არჩევნებს;

4) პრეზიდენტს აძლევს თანხმობას პრემიერ-მინისტრის დანიშვნაზე;

5) ისმენს პრემიერ-მინისტრის მოხსენებას მთავრობის საქმიანობის პროგრამის შესახებ და ამტკიცებს ან უარყოფს პროგრამას; პალატის მიერ პროგრამის მეორედ უარყოფა ნიშნავს მთავრობისათვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებას;

6) პრემიერ-მინისტრის ინიციატივით იხილავს საკითხს მთავრობის ნდობის შესახებ;

7) წარმომადგენელთა პალატის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით უნდობლობას უცხადებს მთავრობას; მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი არ შეიძლება დადგეს მისი პროგრამის დამტკიცების შემდეგ ერთი წლის მანძილზე;

8) იღებს პრეზიდენტის გადადგომას;

9) წარმომადგენელთა პალატის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით წარადგენს პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრალდებას სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენაში; რესპუბლიკის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე სრული შემადგენლობის ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ;

10) აუქმებს წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარის განკარგულებებს. წარმომადგენელთა პალატას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სხვა საკითხებზეც, თუ ეს გათვალისწინებულია კონსტიტუციით.

მუხლი 98. რესპუბლიკის საბჭო:

1) ამტკიცებს და უარყოფს წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებულ კანონის პროექტებს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ; კონსტიტუციის განმარტების შესახებ; სხვა კანონების პროექტებს;

2) პრეზიდენტს აძლევს თანხმობას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეების, უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეების, საარჩევნო და რესპუბლიკური რეფერენდუმის ჩატარების ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის, გენერალური პროკურორის, ეროვნული ბანკის მმართველობის თავმჯდომარისა და წევრების დანიშვნაზე;

3) ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს ექვს წევრს;

4) ირჩევს საარჩევნო და რესპუბლიკური რეფერენდუმის ჩატარების ცენტრალური კომისიის ექვს წევრს;

5) აუქმებს დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების კანონმდებლობასთან შეუსაბამო გადაწყვეტილებას;

6) იღებს გადაწყვეტილებას დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დათხოვნის შესახებ მათ მიერ კანონმდებლობის სისტემატური და უხეში დარღვევის შემთხვევაში და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

7) იხილავს წარმომადგენელთა პალატის მიერ აღძრულ ბრალდებას პრეზიდენტის წინააღმდეგ სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ, იღებს გადაწყვეტილებას მისი გამოძიების შესახებ. სათანადო საფუძვლის არსებობისას სრული შემადგენლობის ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ;

8) იხილავს საგანგებო მდგომარეობის, სამხედრო მდგომარეობის, სრული ან ნაწილობრივი მობილიზაციის შემოღების შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულებებს და მათი მიღებიდან არა უმეტეს სამდღიან ვადაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

რესპუბლიკის საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სხვა საკითხებზე, თუ ეს გათვალისწინებულია კონსტიტუციით.

მუხლი 99. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნია პრეზიდენტს, წარმომადგენელთა პალატის დეპუტატებს, რესპუბლიკის საბჭოს, მთავრობას, ასევე საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 50 000 მოქალაქეს და მისი რეალიზაცია ხდება წარმომადგენელთა პალატაში.

კანონპროექტები, რომელთა მიღების შედეგად შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო სახსრები, ხარჯების წარმოქმნა და გაზრდა, შეიძლება შეტანილ იქნეს წარმომადგენელთა პალატაში მხოლოდ პრეზიდენტის ან მისი დავალებით — მთავრობის თანხმობით.

პრეზიდენტს ან მისი დავალებით მთავრობას შეუძლია შეიტანოს წინადადება წარმომადგენელთა პალატაში და რესპუბლიკის საბჭოში კანონის პროექტის განხილვის გადაუდებლად გამოცხადების შესახებ. წარმომადგენელთა პალატამ და რესპუბლიკის საბჭომ ამ შემთხვევაში მოცემული პროექტი უნდა განიხილონ მისი განსახილველად შეტანის დღიდან ათი დღის განმავლობაში.

პრეზიდენტის, ან მისი თანხმობით მთავრობის მოთხოვნით, წარმომადგენელთა პალატა და რესპუბლიკის საბჭო თავიანთ სხდომებზე იღებენ გადაწყვეტილებას, ხმას აძლევენ რა პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ შემოტანილ პროექტს მთლიანად ან მის ნაწილს, პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ წარმოდგენილი ან მიღებული შესწორებების შენარჩუნებით.

მუხლი 100. თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ნებისმიერი კანონპროექტი თავდაპირველად იხილება წარმომადგენელთა პალატაში, ხოლო შემდგომ რესპუბლიკის საბჭოში.

კანონპროექტი, გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, კანონი ხდება წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებისა და რესპუბლიკის საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ თითოეული პალატის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.

წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული კანონპროექტები ხუთი დღის განმავლობაში განსახილველად გადაეცემა რესპუბლიკის საბჭოს, სადაც იგი განხილულ უნდა იქნეს არა უმეტეს ოცი დღის ვადაში, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

კანონი რესპუბლიკის საბჭოს მიერ დამტკიცებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა ან თუ ოცი დღის ვადაში, ხოლო კანონპროექტის გადაუდებლად გამოცხადებისას — შეტანის დღიდან ათი დღის ვადაში, არ იქნება განხილული რესპუბლიკის საბჭოს მიერ.

რესპუბლიკის საბჭოს მიერ კანონპროექტის უარყოფის შემთხვევაში წარმოქმნილი უთანხმოების გადასალახავად პალატებმა შეიძლება შექმნან პარიტეტულ საფუძველზე ფორმირებული შემთანხმებელი კომისია. შემთანხმებელი კომისიის მიერ შემუშავებული კანონპროექტის ტექსტი დასამტკიცებლად წარედგინება ორივე პალატას.

თუ შემთანხმებელ კომისიაში არ იქნება მიღებული კანონპროექტის შეთანხმებული ტექსტი, პრეზიდენტს, ან მისი დავალებით პრემიერ-მინისტრს შეუძლია მოითხოვოს, რომ წარმომადგენელთა პალატამ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. კანონი წარმომადგენელთა პლატის მიერ მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს წარმომადგენელთა პალატის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული და რესპუბლიკის საბჭოს მიერ დამტკიცებული კანონი ამ მუხლით დადგენილი წესით ათდღიან ვადაში ხელმოსაწერად გადაეცემა პრეზიდენტს. თუ პრეზიდენტი თანახმაა, ხელს აწერს მას. თუ პრეზიდენტი არ დააბრუნებს კანონს მისთვის წარდგენიდან ორი კვირის მანძილზე, კანონი ხელმოწერილად ითვლება. კანონი არ ითვლება ხელმოწერილად და არ შედის ძალაში, თუ ვერ დაბრუნდება პარლამენტში სესიის დამთავრებამდე.

ტექსტისათვის დაუთანხმებლობის შემთხვევაში პრეზიდენტი თავისი შენიშვნებით მას უბრუნებს წარმომადგენელთა პალატას, რომელმაც კანონი უნდა განიხილოს პრეზიდენტის შენიშვნებით არა უმეტეს ოცდაათ დღეში. თუ კანონი მიღებულ იქნება წარმომადგენელთა პალატის მიერ სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით, პრეზიდენტის შენიშვნებთან ერთად თხუთმეტი დღის ვადაში გადაეცემა რესპუბლიკის საბჭოს, რომელმაც იგი ასევე ხელახლა უნდა განიხილოს არა უმეტეს ოც დღეში. კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას დამტკიცებს რესპუბლიკის საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედი. წარმომადგენელთა პალატისა და რესპუბლიკის საბჭოს მიერ პრეზიდენტის შენიშვნების გადალახვის შემდეგ კანონს თხუთმეტი დღის ვადაში ხელს აწერს პრეზიდენტი. კანონი ძალაში შედის, თუ ამ ვადაში პრეზიდენტი მას ხელს არ მოაწერს.

პალატების მიერ ამავე წესით განიხილება პრეზიდენტის შენიშვნები კანონის ცალკეული დებულებების თაობაზე, რომლებიც ბრუნდება ხელახლა განსახილველად. ამ შემთხვევაში წარმომადგენელთა პალატისა და რესპუბლიკის საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანამდე კანონს ხელს აწერს პრეზიდენტი და ძალაში შედის იმ დებულებების გარეშე, რომელთა შესახებაც არსებობს პრეზიდენტის შენიშვნა.

მუხლი 101. პრეზიდენტის ინიციატივით, წარმომადგენელთა პალატასა და რესპუბლიკის საბჭოს, სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით მიღებული კანონის საფუძველზე, შეუძლიათ მოახდინონ კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემის საკანონმდებლო უფლებამოსილების პრეზიდენტისათვის დელეგირება. ამ კანონმა უნდა განსაზღვროს რეგულირების საგანი და პრეზიდენტის მიერ დეკრეტების გამოცემის უფლებამოსილების ვადა.

არ დაიშვება პრეზიდენტისთვის დეკრეტების გამოცემის უფლებამოსილების დელეგირება, რომელიც ითვალისწინებს კონსტიტუციის ცვლილებასა და დამატებას, მის განმარტებას; პროგრამული კანონების ცვლილებებსა და დამატებებს;

რესპუბლიკური ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცებას; პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების წესის შეცვლას; მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას. პრეზიდენტისთვის საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირების შესახებ კანონმა არ შეიძლება მას დართოს ამ კანონის შეცვლის ნება, ასევე მიანიჭოს უკუქცევითი ძალის მქონე ნორმების მიღების უფლება.

განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში პრეზიდენტს თავისი ინიციატივით ან მთავრობის წინადადებით შეუძლია გამოსცეს კანონის ძალის მქონე დროებითი დეკრეტები. თუ ასეთი დეკრეტები გამოიცემა მთავრობის წინადადებით, ისინი დამოწმდება პრემიერ-მინისტრის ხელმოწერით. დროებითი დეკრეტები საბოლოო განხილვისათვის სამდღიან ვადაში უნდა წარედგინოს წარმომადგენელთა პალატას, ხოლო შემდეგ რესპუბლიკის საბჭოს. ეს დეკრეტები ძალას ინარჩუნებს, თუ არ არის უარყოფილი თითოეული პალატის სრული შემადგენლობის ხმათა არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. პალატებს შეუძლიათ კანონით დაარეგულირონ უარყოფილი დეკრეტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობები.

მუხლი 102. წარმომადგენელთა პალატის დეპუტატები და რესპუბლიკის საბჭოს წევრები თავიანთი აზრების გამოხატვისა და უფლებამოსილების განხორციელებისას სარგებლობენ ხელშეუხებლობით. ეს არ ეხება მათ ცილისწამებასა და შეურაცხყოფაში ბრალდებას.

თავიანთი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში წარმომადგენელთა პალატის დეპუტატები და რესპუბლიკის საბჭოს წევრები, შესაბამისი პალატის წინასწარი თანხმობის გარეშე, არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნენ ან სხვა გზით დაერღვეთ პირადი თავისუფლება, გარდა სახელმწიფო ღალატის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის, ასევე დანაშაულის ჩადენის ადგილზე დაკავების შემთხვევებისა.

წარმომადგენელთა პალატის დეპუტატებსა და რესპუბლიკის საბჭოს წევრებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს უზენაესი სასამართლო.

მუხლი 103. პალატების სხდომები ღიაა. თუ ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები, პალატებს შეუძლიათ სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით მიიღონ გადაწყვეტილება დახურული სხდომის ჩატარების შესახებ. სხდომების დროს, მათ შორის დახურულისას პრეზიდენტი, მისი წარმომადგენლები, პრემიერ-მინისტრი და მთავრობის წევრები შეიძლება სიტყვით გამოვიდნენ რიგგარეშედ იმდენჯერ, რამდენჯერაც მოითხოვენ.

წარმომადგენელთა პალატის დეპუტატთა და რესპუბლიკის საბჭოს წევრთა კითხვებისა და მთავრობის პასუხებისთვის განკუთვნილია თვეში ერთი სხდომა.

წარმომადგენელთა პალატის დეპუტატებსა და რესპუბლიკის საბჭოს წევრებს უფლება აქვთ შეკითხვით მიმართონ პრემიერ-მინისტრს, მთავრობის წევ-

რებს, პარლამენტის მიერ შექმნილ ან არჩეულ სახელმწიფო ორგანოთა ხელმძღვანელებს. შეკითხვა შეტანილ უნდა იქნეს პალატების დღის წესრიგში. შეკითხვაზე პასუხის გაცემა საკალდებულოა 20 სასესიო დღის ვადაში პარლამენტის პალატების მიერ დადგენილი წესით.

პალატების სხდომები უფლებამოსილად ითვლება, თუ მათ ესწრება შესაბამისად წარმომადგენელთა პალატის დეპუტატთა ან რესპუბლიკის საბჭოს წევრთა საერთო შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

წარმომადგენელთა პალატაში და რესპუბლიკის საბჭოში კენჭისყრა ღიაა და ხორციელდება პირადად დეპუტატისა და რესპუბლიკის საბჭოს წევრის მიერ „მომხრე" ან „წინააღმდეგ" ხმის მიცემის გზით. ფარული კენჭისყრა ტარდება მხოლოდ საკადრო საკითხთა გადასაწყვეტად.

მუხლი 104. წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილება მიიღება კანონისა და დადგენილების ფორმით. წარმომადგენელთა პალატის დადგენილება მიიღება განმკარგულებელ და საკონტროლო საკითხებზე. რესპუბლიკის საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება დადგენილების ფორმით. პალატების გადაწყვეტილებები მიღებულად ითვლება, თუ მათ ხმას მისცემს პალატების სრული შემადგენლობის უმრავლესობა, თუ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ბელარუსის რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ და ბელარუსის რესპუბლიკის სამხედრო დოქტრინის შესახებ კანონები არის პროგრამული და მიღებულად ითვლება, თუ მათ ხმას მისცემს პალატების სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

კანონები ქვეყნდება მათი ხელმოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ და ძალაში შედის გამოქვეყნებიდან 10 დღის შემდეგ, თუ თვით კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი. ამავე წესით ქვეყნდება და ძალაში შედის პრეზიდენტის დეკრეტები.

კანონებს არ გააჩნიათ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამსუბუქებენ ან აუქმებენ მოქალაქეთა პასუხისმგებლობას.

მუხლი 105. წარმომადგენელთა პალატის, რესპუბლიკის საბჭოს, მათი ორგანოების, წარმომადგენელთა პალატის წევრთა და რესპუბლიკის საბჭოს დეპუტატთა საქმიანობის წესი განისაზღვრება პალატების რეგლამენტებით, რომლებსაც ხელს აწერენ პალატების თავმჯდომარეები.

თავი 5. ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობა — მინისტრთა საბჭო

მუხლი 106. ბელარუსის რესპუბლიკაში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა — ბელარუსის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო — სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო.

მთავრობა თავის საქმიანობაში ექვემდებარება ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტს და პასუხისმგებელია ბელარუსის რესპუბლიკის პარლამენტის წინაშე.

მთავრობა თავის უფლებამოსილებას იხსნის ბელარუსის რესპუბლიკის ახალარჩეული პრეზიდენტის წინაშე.

ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრის, მისი მოადგილეებისა და მინისტრებისგან. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ სახელმწიფო მმართველობის სხვა რესპუბლიკური ორგანოების ხელმძღვანელებიც.

პრემიერ-მინისტრი ინიშნება ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ წარმომადგენელთა პალატის თანხმობით. ამ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება წარმომადგენელთა პალატის მიერ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის შესახებ წინადადების შეტანის დღიდან არა უმეტეს ორი კვირის ვადაში. წარმომადგენელთა პალატის მიერ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურაზე თანხმობის მიცემაზე ორჯერ უარის თქმის შემთხვევაში ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს დანიშნოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, დაითხოვოს წარმომადგენელთა პალატა და დანიშნოს ახალი არჩევნები. მთავრობის მუშაობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. პრემიერ-მინისტრი:

1) ახორციელებს მთავრობის საქმიანობის უშუალო ხელმძღვანელობას და მის საქმიანობაზე ატარებს პერსონალურ პასუხისმგებლობას;

2) ხელს აწერს მთავრობის დადგენილებებს;

3) თავისი დანიშვნიდან ორი თვის ვადაში პარლამენტს წარუდგენს მთავრობის საქმიანობის შესახებ პროგრამას, ხოლო მისი უარყოფის შემთხვევაში ორი თვის ვადაში წარმოადგენს მთავრობის საქმიანობის განმეორებით პროგრამას;

4) ახდენს პრეზიდენტის ინფორმირებას მთავრობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და ყველა მისი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესახებ;

5) ასრულებს მთავრობის ორგანიზაციასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციებს.

მთავრობას ან მთავრობის ნებისმიერ წევრს უფლება აქვს განუცხადოს პრეზიდენტს გადადგომის შესახებ, თუ შეუძლებლად მიიჩნევს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შემდგომ განხორციელებას. მთავრობა განუცხადებს პრეზიდენტს გადადგომის შესახებ წარმომადგენელთა პალატის მიერ უნდობლობის ვოტუმის გამოხატვის შემთხვევაში.

პრემიერ-მინისტრს შეუძლია წარმომადგენელთა პალატის წინაშე დასვას წარმოდგენილი პროგრამის ან კონკრეტული მიზეზით მთავრობის ნდობის საკითხი. თუ წარმომადგენელთა პალატა უარს იტყვის ნდობაზე, პრეზიდენტს უფლება აქვს ათი დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება მთავრობის გადადგომის ან წარმომადგენელთა პალატის დათხოვნისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ. გადადგომის უარყოფისას მთავრობა აგრძელებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას.

პრეზიდენტს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება მთავრობის გადაყენების შესახებ და თანამდებობიდან გაანთავისუფლოს მთავრობის ნებისმიერი წევრი.

გადადგომის ან უფლებამოსილების მოხსნის შემთხვევაში ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობა პრეზიდენტის დავალებით თავისი უფლებამოსილების განხორციელებას აგრძელებს ახალი მთავრობის ფორმირებამდე.

მუხლი 107. ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობა:

ხელმძღვანელობს მისდამი დაქვემდებარებულ სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოთა სისტემას;

შეიმუშავებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და იღებს ზომებს მათ სარეალიზაციოდ;

შეიმუშავებს და პრეზიდენტს პარლამენტში შესატანად წარუდგენს რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს და მისი შესრულების ანგარიშს;

უზრუნველყოფს ერთიანი ეკონომიკური, საფინანსო, საკრედიტო და ფულადი პოლიტიკის, მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯანდაცვის, ეკოლოგიის, სოციალური უზრუნველყოფისა და შრომის ანაზღაურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვას;

იღებს ზომებს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის, სახელმწიფო ინტერესების დაცვის, ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის, საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად;

ბელარუსის რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებით გამოდის მესაკუთრის სახელით, ორგანიზაციას უწევს სახელმწიფო საკუთრების მართვას;

უზრუნველყოფს კონსტიტუციის, კანონებისა და დეკრეტების, პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების აღსრულებას;

აუქმებს სამინისტროთა და სახელმწიფო მმართველობის სხვა რესპუბლიკურ ორგანოთა აქტებს;

ახორციელებს კონსტიტუციით, კანონებითა და პრეზიდენტის აქტებით მისთვის დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 108. ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობა გამოსცემს ბელარუსის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სავალდებულო ძალის მქონე დადგენილებებს.

პრემიერ-მინისტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს განკარგულებებს. მთავრობის კომპეტენცია, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციის საფუძველზე ბელარუსის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონით.

თავი 6. სასამართლო

მუხლი 109. ბელარუსის რესპუბლიკაში სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნით სასამართლოებს.

სასამართლოთა სისტემა აგებულია ტერიტორიალურობისა და სპეციალიზაციის პრინციპებზე.

ბელარუსის რესპუბლიკაში სასამართლო წყობილება განისაზღვრება კანონით.

აკრძალულია საგანგებო სასამართლოების შექმნა.

მუხლი 110. მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

სასამართლოთა საქმიანობაში რაიმე ჩარევა მართლმსაჯულების განხორციელებისას დაუშვებელია და იწვევს პასუხისმგებლობას კანონის საფუძველზე.

მუხლი 111. მოსამართლეებს არ შეუძლიათ განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა, შეასრულონ სხვა ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო-კელევითი საქმიანობისა.

მოსამართლეთა თანამდებობაზე არჩევის (დანიშვნის) და მათი განთავისუფლების საფუძვლები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 112. მოსამართლეები ახორციელებენ მართლმსაჯულებას კონსტიტუციისა და მის შესაბამისად მიღებული სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

თუ კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ ნორმატიული აქტი არ შეესაბამება კონსტიტუციას, კონსტიტუციის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას და დადგენილი წესით აყენებს საკითხს მოცემული ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ.

მუხლი 113. სასამართლოებში საქმე იხილება კოლეგიალურად, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში — მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად.

მუხლი 114. ყველა სასამართლოში საქმის განხილვა ღიაა. ღია სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში სამართალწარმოების ყველა წესის დაცვით.

მუხლი 115. მართლმსაჯულება ხორციელდება პროცესში შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის საფუძველზე.

სასამართლო დადგენილებები სავალდებულოა ყველა მოქალაქისა და თანამდებობის პირისთვის.

პროცესში მონაწილე ყველა მხარესა და პირს აქვს გადაწყვეტილებების, განაჩენებისა და სხვა სასამართლო დადგენილებების გასაჩივრების უფლება.

მუხლი 116. ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლი სახელმწიფოში ხორციელდება ბელარუსის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

ბელარუსის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 12 მოსამართლისგან — სამართლის სფეროს მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტებისგან, რომელთაც, როგორც წესი, გააჩნიათ სამეცნიერო ხარისხი.

საკონსტიტუციო სასამართლოს ექვს მოსამართლეს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ხოლო ექვსი მოსამართლე აირჩევა რესპუბლიკის საბჭოს მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ინიშნება პრეზიდენტის მიერ რესპუბლიკის საბჭოს თანხმობით. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადა 11 წელია. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა ზღვრული ასაკი 70 წელია.

საკონსტიტუციო სასამართლო ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის, წარმომადგენელთა პალატის, რესპუბლიკის საბჭოს, ბელარუსის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს, ბელარუსის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინადადებით იძლევა დასკვნას:

კანონების, დეკრეტების, პრეზიდენტის ბრძანებულებების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ბელარუსის რესპუბლიკის სხვა ვალდებულებების შესაბამისობაზე კონსტიტუციასთან და ბელარუსის რესპუბლიკის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან;

სახელმწიფოთაშორისო გაერთიანებების აქტების, რომელშიც შედის ბელარუსის რესპუბლიკა და კანონების აღსასრულებლად მიღებული პრეზიდენტის ბრძანებულებების შესაბამისობაზე კონსტიტუციასთან, ბელარუსის რესპუბლიკის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან, კანონებთან და დეკრეტებთან;

მინისტრთა საბჭოს დადგენილებების, უზენაესი სასამართლოს, უმაღლესი სამეურნეო სასამართლოს, გენერალური პროკურორის აქტების შესაბამისობაზე კონსტიტუციასთან, ბელარუსის რესპუბლიკის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან, კანონებთან, დეკრეტებთან და ბრძანებულებებთან;

რომელიმე სხვა სახელმწიფო ორგანოს აქტების შესაბამისობაზე კონსტიტუციასთან, ბელარუსის რესპუბლიკის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებთან, კანონებთან, დეკრეტებთან და ბრძანებულებებთან.

არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტები ან მათი ცალკეული დებულებები ძალას კარგავენ კანონით განსაზღვრული წესით.

კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტის ინიციატივით იძლევა დასკვნას პარლამენტის პალატების მიერ ბელარუსის რესპუბლიკის კონსტიტუციის სისტემატური ან უხეში დარღვევის ფაქტების არსებობაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

ნაწილი V. ადგილობრივი თვითმმართველობა

მუხლი 117. ადგილობრივი მმართველობა და თვითმმართველობა ხორციელდება მოქალაქეთა მიერ ადგილობრივ დეპუტატთა საბჭოების, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, ტერიტორიული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოების, ადგილობრივი რეფერენდუმების, კრებების და სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეებში პირდაპირი მონაწილეობის სხვა ფორმების მეშვეობით.

მუხლი 118. დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები აირჩევა შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოქალაქეთა მიერ ოთხი წლის ვადით.

მუხლი 119. ადგილობრივი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების ხელმძღვანელები თანამდებობაზე ინიშნებიან და თანამდებობიდან თავისუფლდებიან ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ან მის მიერ დადგენილი წესით და თანამდებობაზე მტკიცდებიან შესაბამისი დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მიერ.

მუხლი 120. დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები კომპეტენციის ფარგლებში წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან და შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე და ასრულებენ ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს.

მუხლი 121. დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების განსაკუთრებულ კომპეტენციას წარმოადგენს:

ეკონომიკური და სოციალური დანიშნულების პროგრამების, ადგილობრივი ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების დამტკიცება;

კანონის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების დადგენა;

კანონით დადგენილ ფარგლებში კომუნალური საკუთრების მართვისა და განკარგვის წესის განსაზღვრა;

ადგილობრივი რეფერენდუმების დანიშვნა.

მუხლი 122. ადგილობრივი დეპუტატთა საბჭოები, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იღებენ შესაბამის ტერიტორიაზე სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილებებს.

დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც არ შეესაბამება კანონმდებლობას, უქმდება ზემდგომი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ.

ადგილობრივი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც არ შეესაბამება კანონმდებლობას, უქმდება შესაბამისი დეპუტატთა საბჭოების, ზემდგომი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, ასევე ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ.

ადგილობრივი დეპუტატთა საბჭოების, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების გადაწყვეტილება, რომელიც ზღუდავს ან არღვევს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

მუხლი 123. ადგილობრივი ორგანოების მიერ საკანონმდებლო მოთხოვნების სისტემატური ან უხეში დარღვევის შემთხვევაში, ისინი შეიძლება დათხოვნილ იქნენ რესპუბლიკის საბჭოს მიერ. დეპუტატთა ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის სხვა საფუძვლები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 124. ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენცია, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.

ნაწილი VI. პროკურატურა. სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი

თავი 7. პროკურატურა

მუხლი 125. კანონების, დეკრეტების, ბრძანებულებებისა და სამინისტროთა და მინისტრთა საბჭოს სხვა საქვეუწყებო ორგანოების, ადგილობრივი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა ნორმატიული აქტების ზუსტ და ერთმნიშვნელოვან აღსრულებაზე კონტროლი ეკისრება ბელარუსის რესპუბლიკის გენერალურ პროკურორსა და მის ქვემდებარე პროკურორებს.

პროკურატურა ახორციელებს ზედამხედველობას დანაშაულთა გამოძიებისას კანონთა აღსრულებაზე, სამოქალაქო, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების კანონთან შესაბამისობაზე, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აწარმოებს წინასწარ მოკვლევას, სასამართლოებში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

მუხლი 126. პროკურატურის ორგანოთა ერთიან და ცენტრალიზებულ სისტემას ხელმძღვანელობს პრეზიდენტის მიერ, რესპუბლიკის საბჭოს თანხმობით, დანიშნული გენერალური პროკურორი.

ქვემდგომი პროკურორები ინიშნებიან გენერალური პროკურორის მიერ.

მუხლი 127. გენერალური პროკურორი და ქვემდგომი პროკურორები დამოუკიდებლები არიან თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას და ხელმძღვანელობენ კანონმდებლობით.

გენერალური პროკურორი თავის საქმიანობაში ექვემდებარება პრეზიდენტს.

მუხლი 128. პროკურატურის ორგანოთა კომპეტენცია, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.

თავი 8. სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი

მუხლი 129. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებაზე, სახელმწიფო საკუთრებით სარგებლობაზე, პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობისა და სახელმწიფო საკუთრების, სამეურნეო, საფინანსო და საგადასახადო ურთიერთობების მარეგულირებელ სხვა სახელმწიფო ორგანოთა აქტების აღსრულებაზე სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის მიერ.

მუხლი 130. სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი იქმნება პრეზიდენტის მიერ.

სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ინიშნება პრეზიდენტის მიერ.

მუხლი 131. სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის კომპეტენცია, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.

ნაწილი VII. ბელარუსის რესპუბლიკის საფინანსო-საკრედიტო სისტემა

მუხლი 132. ბელარუსის რესპუბლიკის საფინანსო-საკრედიტო სისტემა მოიცავს საბიუჯეტო სისტემას, საბანკო სისტემას, ასევე არასაბიუჯეტო ფონდების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა ფინანსურ საშუალებებს.

ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტარდება ერთიანი საბიუჯეტო-საფინანსო, საგადასახადო, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა.

მუხლი 133. ბელარუსის რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემა მოიცავს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს.

საბიუჯეტო შემოსავლები წარმოიქმნება კანონით განსაზღვრული გადასახადების, სხვა სავალდებულო გადასახდელების, ასევე სხვა შენატანების ხარჯზე. საერთო-სახელმწიფოებრივი გასავლები ხორციელდება რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯზე მისი გასავლის ნაწილის შესაბამისად.

კანონის შესაბამისად ბელარუსის რესპუბლიკაში შეიძლება შეიქმნას არასაბიუჯეტო ფონდები.

მუხლი 134. ბიუჯეტებისა და სახელმწიფოს არასაბიუჯეტო ფონდების შედგენის, დამტკიცებისა და აღსრულების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 135. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში განსახილველად წარედგინება პარლამენტს საანგარიშო საფინანსო წლის დამთავრების დღემდე არა უმეტეს ხუთი თვის ვადაში.

ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიში კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში განსახილველად გადაეცემათ შესაბამის დეპუტატთა საბჭოებს.

რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების ანგარიში ქვეყნდება საჯაროდ.

მუხლი 136. ბელარუსის რესპუბლიკის საბანკო სისტემა შედგება ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული ბანკისა და სხვა ბანკებისაგან. ეროვნული ბანკი არეგულირებს საკრედიტო ურთიერთობებს, ფულის მიმოქცევას, განსაზღვრავს ანგარიშსწორების წესს და ფლობს ფულის ემისიის განსაკუთრებულ უფლებას.

ნაწილი VIII. ბელარუსის რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედება და მისი შეცვლის წესი

მუხლი 137. კონსტიტუციას გააჩნია უმაღლესი იურიდიული ძალა. კანონები, დეკრეტები, ბრძანებულებები და სახელმწიფო ორგანოთა სხვა აქტები გამოიცემა ბელარუსის კონსტიტუციის საფუძველზე და შესაბამისად.

კანონის, დეკრეტის ან ბრძანებულების კონსტიტუციასთან შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კონსტიტუცია.

დეკრეტის ან ბრძანებულების კანონთან შეუსაბამობის შემთხვევაში კანონს მხოლოდ მაშინ აქვს უპირატესი იურიდიული ძალა, თუ დეკრეტის ან ბრძანებულების გამოცემის უფლებამოსილება გადაცემული იყო კანონით.

მუხლი 138. კონსტიტუციის ცვლილებისა და დამატების შესახებ საკითხი განიხილება პარლამენტის პალატების მიერ პრეზიდენტის ან საარჩევნო უფლების მქონე ბელარუსის რესპუბლიკის არანაკლებ 150 000 მოქალაქის ინიციატივით.

მუხლი 139. კონსტიტუციის ცვლილებისა და დამატების შესახებ კანონი შეიძლება მიღებულ იქნეს პარლამენტის მიერ არანაკლებ სამი თვის შუალედში ორჯერ განხილვისა და დამტკიცების შემდეგ.

პარლამენტის მიერ კონსტიტუციის ცვლილებისა და დამატების მიღება დაუშვებელია საგანგებო მდგომარეობის დროს, ასევე წარმომადგენელთა პალატის უფლებამოსილების უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე.

მუხლი 140. კონსტიტუცია, ასევე კანონები მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, აღნიშნული კანონების ძალაში შესვლის შესახებ და აქტები კონსტიტუციის განმარტების შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მათ ხმას მისცემს პარლამენტის თითოეული პალატის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

კონსტიტუციაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება განხორციელდეს რეფერენდუმის მეშვეობით. რეფერენდუმის გზით კონსტიტუციის ცვლილებისა და დამატების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს კენჭისყრისათვის სიაში შეტანილ მოქალაქეთა უმრავლესობა.

კონსტიტუციის I, II, IV, VIII ნაწილები შეიძლება გადაისინჯოს მხოლოდ რეფერენდუმის გზით.

ნაწილი IX. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

მუხლი 141. რესპუბლიკურ რეფერენდუმზე მიღებული ბელარუსის რესპუბლიკის 1994 წლის კონსტიტუცია ცვლილებებითა და დამატებებით (ეს კონსტიტუცია) ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან, გარდა მისი ცალკეული დებულებებისა, რომლებიც ძალაში შედის ამ კონსტიტუციით დადგენილ ვადებში. იმავდროულად წყვეტს მოქმედებას ბელარუსის რესპუბლიკის კანონი „ბელარუსის რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალაში შესვლის წესის შესახებ".

მუხლი 142. ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი კანონები, ბრძანებულებები და სხვა აქტები, ამ კონსტიტუციის ამოქმედებამდე გამოიყენება იმ ნაწილში, რაც არ ეწინააღმდეგება ბელარუსის რესპუბლიკის კონსტიტუციას.

მუხლი 143. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტი აყალიბებენ წარმომადგენელთა პალატას 1996 წლის რესპუბლიკური რეფერენდუმის ჩატარების თარიღის დანიშვნის დღისათვის არჩეული უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა რიცხვიდან.

ამასთან, ბელარუსის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს უნარჩუნდებათ თავიანთი უფლებამოსილება ამ კონსტიტუციით გათვალისწინებული

ვადის განმავლობაში. მათი უფლებამოსილების ვადა აითვლება ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან.

რესპუბლიკის საბჭოს ფორმირება ხდება ამ კონსტიტუციის 91-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

თუ მითითებულ ვადაში წარმომადგენელთა პალატის შემადგენლობა არ იქნება ფორმირებული, პრეზიდენტსა და უმაღლეს საბჭოს შორის შეთანხმების საფუძველზე პრეზიდენტი ამ კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის შესაბამისად ითხოვს უმაღლეს საბჭოს და ნიშნავს პარლამენტის არჩევნებს.

მუხლი 144. ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტი ინარჩუნებს თავის უფლებამოსილებას. მისი უფლებამოსილების ვადა აითვლება ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი 145. ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობა ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან იძენს ამ კონსტიტუციით დადგენილ უფლებებსა და ვალდებულებებს.

მუხლი 146. პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი თვის ვადაში, ამ კონსტიტუციით დადგენილი წესით, ქმნიან და აყალიბებენ მასში მითითებულ ორგანოებს, თუ კონსტიტუციის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ლიტვა

Baltic Sea
0 30 60 km
0 30 60 mi
LATVIA
Butinge
Klaipėda
Šiauliai
Panevėžys
Utena
Tauragė
Kaunas
RUSSIA
Kaliningrad Oblast
VILNIUS
Marijamopolė
POLAND
BELARUS

ზოგადი ცნობარი

შესავალი

ლიტველთა წინაპრები – აისტები (ბალტები) ცხოვრობდნენ ჩვ.წ-მდე მე-2 ათასწლეულში ბალტიის ზღვის სანაპიროზე. ლიტველი ხალხის წინაპრები იყვნენ აუკშტაიტები და ჟემაიტები, ნაწილობრივ კი – კურშები, ზემგალები და სელები.

მე-9 საუკუნიდან ლიტვის ტერიტორიაზე არსებობდნენ ცალკეული ფეოდალური სამთავროები, რომლებიც 1236 წელს გაერთიანდნენ. 1240 წელს შეიქმნა ლიტვის დიდი სამთავრო. 1795 წელს რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ გაიყვეს ლიტვა-პოლონეთის სახელმწიფო. ლიტვის რესპუბლიკის დიდი ნაწილი შეუერთდა რუსეთის იმპერიას და 120 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა მის შემადგენლობაში.

პირველი მსოფლიო ომის დროს ლიტვა დაიპყრეს გერმანულმა ჯარებმა. 1918 წელს ლიტვამ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა. 1918-1919 წ.წ. ქვეყნის დიდ ნაწილში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. 1920 წელს პოლონეთის სეიმის გადაწყვეტილებით ვილნიუსის მხარე შეუერთდა პოლონეთს. 1940 წელს საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელდა ლიტვის ანექსია.

ლიტვის დამოუკიდებლობა აღდგა 1990 წლის 11 მარტს. 1992 წელს ლიტვა გახდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი, 2004 წელს – ნატოს, ხოლო 2004 წელს – ევროკავშირის წევრი.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: აღმოსავლეთი ევროპა; ჩრდოლოეთიდან ესაზღვრება ლატვია, სამხრეთ-დასავლეთიდან რუსეთის ფედერაცია, სამხრეთიდან – პოლონეთი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – ბელარუსი.

ფართობი: სულ: 65.200 კმ^2;

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ტორფი, სათესი მიწები.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 3 565 205 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 14.5% (მამაკაცი 264 668; ქალი 250 997);
15-64 წლის: 69.5% (მამაკაცი 1 214 236; ქალი 1 263 198);
65 წლის და ზემოთ: 16% (მამაკაცი 197 498; ქალი 374 608) (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: -0.284% (2008);

შობადობა: 9 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 11.12 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: -0.72 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2005);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 74.67 წელი; კაცი 69.72 წელი; ქალი: 79.89 წელი (2008);

მოქალაქეობა: ლიტვის

ეთნიკური ჯგუფები: ლიტველები 83.4%, პოლონელები 6.7%, რუსები 6.3%, სხვები 3.6%.

რელიგია: კათოლიკები, ლუთერანები, მართლმადიდებლები, პროტესტანტები, ბაპტისტები, მუსულმანები, იუდეველები.

ენები: ლიტვური (ოფიციალური), პოლონური, რუსული.

განათლებულობა: მთელი მოსახლეობის: 99.6%; მამაკაცი: 99.6% ქალი: 99.6% (2003);
შენიშვნა: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ერცელი ფორმა: ლიტვის რესპუბლიკა
შემოკლებული ფორმა: ლიტვა
ადგილობრივი ვრცელი ფორმა: ლიეტუვოს რესპუბლიკა
ადგილობრივი შემოკლებული ფორმა: ლიეტუვა.

მმართველობის ფორმა: შერეული მმართველობის რესპუბლიკა

დედაქალაქი: ვილნიუსი

ადმინისტრაციული ერთეულები: 10 ოლქი

დამოუკიდებლობა: 1990 წლის 11 მარტი (საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე); 1991 წლის 6 სექტემბერი (საბჭოთა კავშირმა ცნო ლიტვის დამოუკიდებლობა);

ეროვნული დღესასწაულები: დამოუკიდებლობის დღე, 16 თებერვალი (1918);
შენიშვნა: 16 თებერვალს (1918 წ.) ლიტვამ გამოაცხადა საბჭოთა რუსეთისგან დამოუკიდებლობა და დააარსა თავისი სახელმწიფოებრიობა, ხოლო 1990 წლის 11 მარტს მან გამოაცხადა საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა.

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი ვალდას ადამკუსი (2004 წლის 12 ივლისიდან);
მთავრობის მეთაური: პრემიერი გედიმინას კირკილასი (2006 წლის 4 ივლისიდან);
არჩევნები უკანასკნელად ჩატარდა 2004 წ.ლის 13 ივნისს.
არჩევნების შედეგები: ვ. ადამკუსი 52.2%, კ. პრუნსკიენი 47.8%.

სამინისტროები: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გარემოს დაცვის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, ეროვნული თავდაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, კულტურის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოციალური დაცვისა და შრომის სამინისტრო, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება: ერთპალატიანი პარლამენტი ანუ სეიმი (141 წევრიდან 71 წევრი აირჩევა უშუალოდ ხალხის მიერ, 70 – პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე 4 წლის ვადით).
არჩევნები უკანასკნელად ჩატარდა 2004 წლის 10 და 24 ოქტომბერს.

პოლიტიკური პარტიები: კონსერვატიული პარტია, ლეიბორისტული პარტია, ლიბერალური და ცენტრისტული კავშირი, ლიბერალ-დემოკრატიული პარტია, ლიტვის ქრისტიან-დემოკრატები, ლიტვის სახალხო კავშირი, ლიტვის სოციალ-დემოკრატიული კოალიცია, ქრისტიან-კონსერვატორების სოციალური კავშირი, ახალგაზრდა ლიტვა და ნეონაციონალისტები.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: ლიტვაში გაფართოებული საპრივატიზაციო პროგრამისა და ფასების რეფორმის, ახალი საბანკო და საფინანსო სისტემის შექმნა და ეკონომიკური კანონმდებლობის გადასინჯვა დაიწყო 1991 წლიდან. რეფორმის შედეგების შემსუბუქების მიზნით მთავრობა წინ აღუდგა ქარხნების დახურვას

და იძლეოდა სახელმწიფო სუბსიდიებს. ამან ხელი შეუწყო ცხოვრების დონის მისაღებ დონეზე შენარჩუნებასა და პენსიონერებისა და მოსახლეობის ღარიბი ფენების დახმარებების გაზრდას.

ლიტვის ორდონიანი საბანკო სისტემა შედგება ლიტვის ცენტრალური ბანკისგან, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს და 20-ზე მეტი კომერციული ბანკისგან. სახელმწიფოს ჯამური წილი კომერციულ ბანკებში არის 35%.

ეკონომიკის გარდაქმნის ძირითადი რგოლი პრივატიზაციაა. მრეწველობის პრივატიზაციის პროცესში სახელმწიფომ შეინარჩუნა კონტროლი სტრატეგიული მნიშვნელობის დარგებზე. 1992 წლის პირველ ნახევრამდე დაშვებული იყო მხოლოდ სამამულო ინვესტირება, ხოლო 1996-97 წლებში პრივატიზებულ იქნა 158 საწარმო, რომლებშიც უცხოური კაპიტალის წილმა 79% შეადგინა.

ფინანსური არასტაბილურობის გამო 1989-92 წ.წ. მთლიანი შიდა პროდუქტი ლიტვის რესპუბლიკაში შემცირდა 50%-ით, მაგრამ 1994 წლიდან დაიწყო ზრდა და 2003 წლისათვის უკვე $40,88 მილიარდი შეადგინა ანუ $11 ერთ სულ მოსახლეზე.

ლიტვაში არის ორი მსხვილი ატომური ელექტროსადგური, რომლებიც ლიტვას უზრუნველყოფენ ელექტროენერგიით. არის აგრეთვე ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და ნავთობტერმინალი.

ლიტვა არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, ხოლო 2004 წლის მაისიდან — ევროკავშირის წევრი.

მთლიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $59.98 მილიარდი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 8.8% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $16.800 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 5.3%; მრეწველობა: 33.3%; მომსახურება 61.4% (2004).

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 4% (2003);

ბიუჯეტი: შემოსავალი: $13.28 მილიარდი; გასავალი: $13.75 მილიარდი (2007);

ექსპორტი: $17.8 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქაონელი: მინერალური პროდუქტები 23%, საფეიქრო ნაწარმი და ტანსაცმელი 16%, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 11%, ქიმიკატები 6%, ხე-ტყე და ტყის პროდუქტები 5%, საკვები პროდუქტები 5% (2001);

ექსპორტის პარტნიორები: რუსეთი 15.1%, გერმანია 12.8%, პოლონეთი 6.3%; ესტონეთი 5.8%, დიდი ბრიტანეთი 4.8%, დანია 4.1%, ბელარუსი 4% (2007);

იმპორტი: $22.8 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: მინერალური პროდუქტები 21%, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 17%, სატრანსპორტო აღჭურვილობა 11%, ქიმიკატები 9%, საფეიქრო ნაწარმი და ტანსაცმელი 9%, ლითონი 5% (2001);

იმპორტის პარტნიორები: რუსეთი 18.1%, გერმანია 14.9%, პოლონეთი 10.6%, ლატვია 5.5%, ნიდერლანდები 4.2% (2007);

საგარეო ვალი: 27.17 მილიარდი (2007);

ეკონომიკური მხარდაჭერა: $249.7 მილიონი (2004);

ვალუტა: ლიტი (LTL).

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. ლიტვის კონსტიტუციონალიზმის ისტორია სათავეს იღებს 1920 წლის 2 ივნისის დროებითი კონსტიტუციის მიღებით, რის საფუძველსაც ქვეყნის მიერ ერთი წლით ადრე დამოუკიდებლობის დეკლარირება წარმოადგენდა. გარდამავალი აქტის მოქმედება 1922 წლის 1 აგვისტოს დამფუძნებელი კრების მიერ ახალი კონსტიტუციის მიღებამდე გაგრძელდა. აღნიშნული კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ლიტვა დემოკრატიულ საპარლამენტო რესპუბლიკას წარმოადგენდა, როგორც ფორმალური, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით პოლონეთის კონსტიტუციის მნიშვნელოვან ზეგავლენას განიცდიდა. თუმცა, აღნიშნულმა აქტმა მხოლოდ რამდენიმე წელი იარსება და მოქმედება 1926 წლის დეკემბერს შეწყვიტა, რაც ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში ანტანას სმეტონას მოსვლას უკავშირდებოდა, რომელმაც სეიმის დათხოვნის შემდეგ 1928 წელს თავად მიიღო და გამოაქვეყნა კონსტიტუციის ახალი ტექსტი. აღნიშნული კონსტიტუცია მნიშვნელოვნად აძლიერებდა აღმასრულებელი ხელისუფლების პოზიციებს, სეიმის, როგორც ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციები მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული, ხოლო ზედა პალატის წევრები თავად პრეზიდენტის მიერ ინიშნებოდნენ.

რივით მეოთხე კონსტიტუცია, რომელიც 1938 წელს იქნა მიღებული და ფაქტობრივად მხოლოდ ორი წლის განმავლობაში მოქმედებდა, გარკვეულწილად ლიტვის სახელმწიფოებრიობის სიმბოლოდაც შეიძლება იქნეს განხილული, ვინაიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სწორედ ამ კონსტიტუციის მოქმედება იქნა აღდგენილი.

კონსტიტუციონალიზმის შემდგომი განვითარების ისტორია ლიტვის საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპაციის ფაქტს უკავშირდება. აღნიშნულ პერიოდში 2 კონსტიტუცია იქნა მიღებული – 1940 წლის 25 აგვისტოს და 1978 წლის 20 აპრილს, რომლებიც კონსტიტუციების საბჭოური მოდელების მნიშვნელოვან ზეგავლენას განიცდიდნენ.

ოთხმოციანი წლების ბოლოს საბჭოთა რესპუბლიკებში დაწყებული ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად 1990 წლის 11 მარტს ლიტვის უმაღლესმა საბჭომ გააუქმა საბჭოთა კავშირისა და ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციების მოქმედება ლიტვის ტერიტორიაზე და მიიღო კანონი 1938 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ. თუმცა, ვინაიდან აღნიშნული აქტი აღარ შეესაბამებოდა თანამედროვე რეალიებს, იმავე დღეს იქნა მიღებული ლიტვის რესპუბლიკის დროებითი კონსტიტუცია, რომელმაც გარდამავალი სამართლებრივი აქტის ფუნქცია იკისრა 1992 წლის 25 ოქტომბერს რეფერენდუმის გზით ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღებამდე.

კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა. კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა XIV თავით განისაზღვრება, რომლის მიხედვითაც საკითხის ინიცირების უფლება გააჩნიათ საპარლამენტო სუბიექტებს: სეიმის წევრთა ჯგუფს

არანაკლებ სეიმის წევრთა საერთო რაოდენობის 1/4-ისა ან არანაკლებ 300 000 ამომრჩეველს. მისი ინიციატივის უფლება არ გააჩნია პრეზიდენტსა და მთავრობას. ამასთან კონსტიტუცია განსაკუთრებულად იცავს კონსტიტუციის ცალკეულ ფუნდამენტურ დებულებებს, რომელთა შეცვლაც მხოლოდ საყოველთაო რეფერენდუმის გზით არის შესაძლებელი. ასე მაგალითად, კონსტიტუციის I მუხლის დებულება – „ლიტვის სახელმწიფო არის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა" შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ რეფერენდუმის მეშვეობით, რასაც საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა არანაკლებ 3/4-ის უმრავლესობა ესაჭიროება. განსაკუთრებულად დაცულ დებულებებათა რიცხვს განეკუთვნება ასევე კონსტიტუციის I თავი და თავად გადასინჯვის პროცედურის განმსაზღვრელი დებულებები, რომლებიც ასევე მხოლოდ რეფერენდუმის გზით შეიძლება შეიცვალოს. სხვა თავებში ცვლილებათა შეტანისათვის გათვალისწინებულია კენჭისყრის ორ ეტაპიანი პროცედურა, რომელთა შორის პერიოდიც არ შეიძლება იყოს სამ თვეზე ნაკლები. კონსტიტუციური შესწორება მიღებულად ითვლება, თუ მას თითოეული კენჭისყრის დროს მხარს დაუჭერს სეიმის წევრთა არანაკლებ 2/3-ისა. კონსტიტუციის მიუღებელი შესწორება სეიმს ხელახალი განხილვისთვის შეიძლება წარედგინოს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. დღეგანდელი მდგომარეობით, კონსტიტუციაში ცვლილება ორჯერ შეეიდა – 1996 წლის 20 ივლისსა და 2004 წლის 13 ივლისს.

კონსტიტუციის ანალიზი. მოქმედი კონსტიტუციის ტექსტი პრეამბულის, 14 თავისა და დასკვნითი დებულებებისაგან შედგება. კონსტიტუციის შემადგენელ ელემენტებად გვევლინება ასევე 4 კონსტიტუციური აქტი – კონსტიტუციური კანონი „ლიტვის სახელმწიფოს შესახებ", კონსტიტუციური კანონი „ლიტვის რესპუბლიკის პოსტსაბჭოურ აღმოსავლურ კავშირებთან მიერთებაზე უარის შესახებ," კონსტიტუციური კანონი „ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალაში შესვლის პროცედურის შესახებ" და კონსტიტუციური აქტი „ევროკავშირში ლიტვის რესპუბლიკის წევრობის შესახებ".

პრეამბულაში ასახულია ლიტველი ხალხის მისწრაფება შექმნას ისტორიულ სახელმწიფოებრიობაზე დაფუძნებული სამართლიანი, ჰარმონიული, სამოქალაქო საზოგადოება და სამართლებრივი სახელმწიფო. I თავი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითად საფუძვლებს ეთმობა, რომლის მიხედვით, ლიტვა წარმოადგენს სახალხო სუვერენიტეტის პრინციპზე დაფუძნებულ დემოკრატიულ რესპუბლიკას, სადაც ლიტველი ხალხი ხელისუფლებას ახორციელებს უშუალოდ ან დემოკრატიული გზით არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით. სახალხო ხელისუფლების უშუალოდ განხორციელების ფორმას წარმოადგენს რეფერენდუმი, რომელიც ტარდება სახელმწიფოსა და ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე და რომელიც ინიშნება სეიმის მიერ ან 300 ათასი ამომრჩეველის მოთხოვნით. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება სეიმის, პრეზიდენტის, მთავრობისა და სასამართლოს მიერ. აქვეა მოცემული დებულებე-

ბი სიმბოლიკის, მოქალაქეობისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ.

კონსტიტუციის სტრუქტურის გარკვეულ თავისებურებად უნდა იქნეს მიჩნეული ის გარემოება, რომ ადამიანის უფლება-თავისუფლებები დამოუკიდებელი თავის სახით არ არის წარმოდგენილი და აღნიშნულ საკითხს კონსტიტუციის მომდევნო სამი თავი ეთმობა, რომლებიც შესაბამისად „ადამიანი და სახელმწიფო", „საზოგადოება და სახელმწიფო" და „ეროვნული ეკონომიკა და შრომა" იწოდებიან.

კონსტიტუციის II თავი – „ადამიანი და სახელმწიფო" ძირითადად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლება-თავისუფლებათა აღიარება-გარანტირებას ეთმობა და აღნიშნული კატეგორის უფლებათა მთელ სპექტრს მოიცავს. 21-ე მუხლი განამტკიცებს პიროვნების თავისუფლების უფლებას, რომლის მიხედვითაც, ადამიანის თავისუფლება ხელშეუხებელია და მისი შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილი პროცედურითა და საფუძველის არსებობის შემთხვევაში.

კონსტიტუცია დაცულად და გარანტირებულად აცხადებს პიროვნების ღირსებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, გამოხატვის თავისუფლებას, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას, პეტიციის უფლებას, გადაადგილების თავისუფლებას და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლებას, შეკრებების თავისუფლებას. ასევე იგი განამტკიცებს საკუთრების უფლებას, რომლის მიხედვითაც საკუთრება წარმოადგენს ხელშეუხებელ სიკეთეს, რომლის შეზღუდვაც შესაძლებელია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით საზოგადოებრივი საჭიროებისათვის და მხოლოდ სამართლიანი ანაზღაურებით. აღნიშნული თავით განისაზღვრება ასევე პიროვნების საარჩევნო უფლება, რომლის მიხედვითაც 18 წლის ასაკს მიღწეულ ლიტვის ნებისმიერ მოქალაქეს აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ამასთან, აქტიური საარჩევნო უფლების შეზღუდვის ერთადერთ საფუძვლად სასამართლოს მიერ პირის ქმედუუნაროდ აღიარება არის მითითებული.

III თავი – საზოგადოება და სახელმწიფო, ითვალისწინებს ოჯახის, როგორც „საზოგადოებისა და სახელმწიფოს საფუძვლის" სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს, განსაზღვრავს მშობელთა სტატუსს, არეგულირებს ქორწინებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებსა და სავალდებულო განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ითვალისწინებს კულტურის, მეცნიერებისა და კვლევითი საქმიანობის თავისუფლებას, შეიცავს დებულებებს ეკლესიებთან და სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ და ითვალისწინებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცენზურის აკრძალვას.

IV თავი – ეროვნული ეკონომიკა და შრომა არეგულირებს მეწარმეობასთან დაკავშირებულ საკითხებს და განსაზღვრავს სახელმწიფოს როლსა და ფუნქციებს ეკონომიკური რეგულაციების სფეროში. აღნიშნულ თავშია განმტკიცებული ასევე შრომის, შრომითი გაერთიანებების ჩამოყალიბების, პროფესიული საქმიანობის თავისუფალი არჩევის, გაფიცვის უფლება და ა.შ.

კონსტიტუციის შემდგომი სამი თავი მთლიანად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას ეთმობა. ხელისუფლების ცალკეულ შტათა შორის უფლებამოსილებათა განაწილების ბალანსი ლიტვის, როგორც შერეული მმართველობის ფორმის მქონე ქვეყნად კლასიფიცირების საშუალებას იძლევა, საპარლამენტო მოდელისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებების ჭარბი წარმომადგენლობით. ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა 141 წევრით დაკომპლექტებული ერთპალატიანი პარლამენტი – სეიმი, რომელიც აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. სეიმის წევრად შესაძლებელია არჩეულ იქნეს 25 წელს მიღწეული ლიტვის ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც ფიცით ან სხვა რაიმე ვალდებულებით არ არის დაკავშირებული სხვა სახელმწიფოსთან. სეიმის წევრი სარგებლობს კონსტიტუციურად გარანტირებული ხელშეუხებლობის უფლებით. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან სხვა სახით მისი თავისუფლების შეზღუდვა სეიმის თანხმობის გარეშე. სეიმის წევრები ფლობენ ასევე ინდემნიტეტს, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია მათი პასუხისგებაში მიცემა კენჭისყრის დროს დაკავებული პოზიციის ან გამოსვლისთვის. თუმცა, ინდემნიტეტს არ აქვს აბსოლუტური ხასიათი და შეურაცხყოფისა და ცილისწამებისთვის სეიმის წევრები პასუხს აგებენ საერთო წესით. სეიმის წევრებს შეუძლიათ დაიკავონ პრემიერ-მინისტრისა ან მინისტრის თანამდებობები. სხვა მხრივ, სეიმის წევრობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა სახელმწიფო, კომერციულ, სამეწარმეო ან სხვა რაიმე დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში მუშაობასთან.

სეიმის უფლებამოსილების ვადა 4 წლით განისაზღვრება, თუმცა, შესაძლებელია ვადამდელი არჩევნების ჩატარებაც, თუ ამას მოითხოვს სეიმის წევრთა სულ მცირე 3/5. ვადამდელი არჩევნების გამოცხადების უფლებას ფლობს ასევე პრეზიდენტი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სეიმის დათხოვნის შესახებ, თუ სეიმი წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში არ დაამტკიცებს მთავრობის პროგრამას ან 60 დღის განამვლობაში ორჯერ იტყვის უარს მისი დამტკიცების თაობაზე ან თუ უნდობლობას გამოუცხადებს მთავრობას. თუმცა, კონსტიტუცია ითვალისწინებს პრეზიდენტის მიერ აღნიშნული უფლების განხორციელების გარკვეულწილად შემბოჭავ მექანიზმს, რომლის მიხედვითაც ახლადარჩეულ პარლამენტს პირველი სხდომიდან 30 დღის განმავლობაში შეუძლია თავად მიიღოს გადაწყვეტილება პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შესახებ წევრთა 3/5-ის უმრავლესობით.

სეიმის სტრუქტურასა და მუშაობის წესს განსაზღვრავს სეიმის რეგლამენტი – სტატუტი, რომელიც კანონის ძალის მქონე აქტია. სეიმის მუშაობის ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს სასესიო მუშაობა. წლის განმავლობაში იგი იკრიბება საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე. რიგგარეშე სესიის მოწვევა შესაძლებელია სეიმის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით ან პრეზიდენტის გადაწყვეტილებით მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში.

ორგანიზაციული საკითხების მოგვარების მიზნით სეიმი ირჩევს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს. თავმჯდომარე წარმართავს სეიმის მუშაობას და წარ-

ზოადგენს მას სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში, ხელმოწერით ადასტურებს სეიმის მიერ მიღებული კანონის ავთენტურობას და ხელმოსაწერად გადაუგზავნის პრეზიდენტს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი ხელს არ მოაწერს კანონს და არც დაუბრუნებს სეიმს ხელახლა განსახილველად, უფლებამოსილია თავად მოაწეროს კანონს ხელი, ხელს აწერს სეიმის მიერ მიღებულ რეზოლუციებს და სხვა აქტებს, წარუდგენს სეიმს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელთა და საპარლამენტო ომბუდსმენების კანდიდატურებს, ახორციელებს კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საპარლამენტო მუშაობის პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ მუდმივმოქმედი კომიტეტები, რომელთა რაოდენობა და დარგობრივი სფეროები განისაზღვრება სეიმის რეგლამენტით. ამჟამად ფუნქციონირებს 15 მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელთაგან თითოეული შედგება სულ მცირე 7 და არა უმეტს 17 დეპუტატისგან და ყალიბდება საპარლამენტო პოლიტიკური ძალების პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით. მუშაობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით კომიტეტები ირჩევენ თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს, რომლებსაც ამტკიცებს სეიმი. სესიის დროს კომიტეტის სხდომები იმართება სულ მცირე კვირაში ერთხელ მაინც. კომიტეტის საგანგებო სხდომები მოიწვევა კომიტეტის თავმჯდომარის მიერ ან კომიტეტის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით. თუ რაიმე საკითხი ერთდროულად რამდენიმე კომიტეტის კომპეტენციაში ხვდება, ისინი უფლებამოსილნი არიან ჩაატარონ ერთობლივი სხდომები. გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კომიტეტის თავმჯდომარის ხმას.

კომიტეტებს ფართო უფლებამოსილებები გააჩნიათ კანონპროექტების განხილვის, ინიცირების, ასევე კანონმდებლობის ჰარმონიზაციასთან დაკავშირებული წინადადებების მომზადების თვალსაზრისით. ისინი ასევე წარმოადგენენ საპარლამენტო კონტროლის განხორციელების უმნიშვნელოვანეს მექანიზმს და უფლებამოსილნი არიან განიხილონ სამთავრობო პროგრამები, მოისმინონ სამთავრობო სტრუქტურების მიერ მიწოდებული ინფორმაციები და მოხსენებები, მოიწვიონ მთავრობის წევრები და სხვა სახელმწიფო მოხელეები ინფორმაციის უშუალოდ მოსახსენებლად.

გარდა საპარლამენტო მუდმივმოქმედი კომიტეტებისა ცალკეული მოკლევადიანი ან კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად პარლამენტი აყალიბებს მუდმივმოქმედ კომისიებს ან საგამოძიებო კომისიებს გარკვეული საგამოძიებო, მაკონტროლებელი, საზედამხედველო ან სხვა ფუნქციების შესასრულებლად. კომისიების შემადგენლობა, წევრთა ოდენობა, ამოცანები და უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება სეიმის გადაწყვეტილებით.

მათი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად დეპუტატები უფლებამოსილნი არიან შექმნან საპარლამენტო ჯგუფები რეგლამენტით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. პოლიტიკურ ჯგუფს ხელმძღვანელობს და სეიმში წარმოადგენს

პოლიტიკური ჯგუფის უხუცესი წევრი. ამასთან დეპუტატები, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ საპარლამენტო ჯგუფში განიხილებიან შერეული პოლიტიკური ჯგუფის წევრებად, რომელიც სარგებლობს ისეთივე უფლებამოსილებებით, როგორც გაერთიანებაზე დაფუძნებული პოლიტიკური ჯგუფები. სეიმის წევრებს შეუძლიათ შექმნან ასევე დროებითი ჯგუფები.

სეიმის, როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას კანონშემოქმედება წარმოადგენს. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნია სეიმის წევრს, პრეზიდენტს, მთავრობას და 50 000 ათას ამომრჩეველს. კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს სხდომაში მონაწილე სეიმის წევრთა უმრავლესობა. კონსტიტუციური კანონის მისაღებად საჭიროა სეიმის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარი, ხოლო ცვლილებების შეტანა შესაძლებელია 3/5-ის უმრავლესობით. სეიმის მიღებული კანონი ხელმოსაწერად გადაეგზავნება პრეზიდენტს, რომელმაც 10 დღის განმავლობაში ხელი უნდა მოაწეროს მას და გამოაქვეყნოს ოფიციალურად ან საკუთარი მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნოს პარლამენტს ხელახალი განხილვისთვის. სეიმს შეუძლია გაიზიაროს პრეზიდენტის შენიშვნები ან არ გაიზიაროს ისინი და ჩვეულებრივი კანონის შემთხვევაში — სეიმის წევრთა უმრავლესობით, ხოლო კონსტიტუციური კანონის შემთხვევაში — არანაკლებ 3/5-ის უმრავლესობით დაძლიოს პრეზიდენტის ვეტო. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტი ვალდებულია ხელი მოაწეროს კანონს და გამოაქვეყნოს იგი არა უგვიანეს სამი დღის განმავლობაში.

კანონების მიღება ასევე შესაძლებელია რეფერენდუმის გზით.

ფართო უფლებამოსილებები გააჩნია სეიმს აღმასრულებელი ხელისუფლების და სხვა სახელმწიფო ორგანოების ფორმირების პროცესშიც. იგი ამტკიცებს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, ირჩევს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლეებს, ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფო კონტროლიორს, ლიტვის ბანკის კოლეგიის თავმჯდომარეს, ქმნის კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო დაწესებულებებს, აგრეთვე ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს.

ფართო უფლებამოსილება გააჩნია სეიმს ასევე კონტროლის თვალსაზრისით. იგი აკონტროლებს მთავრობისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას. ამ თვალსაზრისით იგი უფლებამოსილია პრეზიდენტის, საკონსტიტუციო, უზენაესი, სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მოსამართლეების და სეიმის წევრების მიერ კონსტიტუციის უხეში დარღვევის ან ფიცის დარღვევისათვის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში წევრთა 3/5-ის უმრავლესობით გადააყენოს ისინი დაკავებული თანამდებობიდან ან ჩამოართვას სეიმის წევრის მანდატი. ეს ხორციელდება სეიმის სტატუტით დადგენილი იმპიჩმენტის პროცედურით.

სეიმის წევრები უფლებამოსილნი არიან შეკითხვით მიმართონ პრემიერ-მინისტრს, მინისტრებს, სეიმის მიერ შექმნილი ან არჩეული სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელებს, რომლებიც ვალდებულნი არიან წერილობი-

თი ან ზეპირი პასუხი გასცენ მათ დადგენილ ვადაში. გარდა ამისა, სეიმის წევრთა არანაკლებ 3/5-ს შეუძლია ინტერპელაციით მიმართოს პრემიერ-მინისტრს ან მინისტრებს და გამოუცხადოს მათ უნდობლობა, თუ მათ პასუხს არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს.

კონტროლის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენენ აგრეთვე სეიმის ომბუდსმენები, რომლებიც განიხილავენ მოქალაქეთა საჩივრებს სახელმწიფო თანამდებობის პირებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა მხრიდან თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და ბიუროკრატიზმის შესახებ და უფლებამოსილნი არიან სასამართლოში შეიტანონ სარჩელი დამნაშავე თანამდებობის პირის თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სეიმი კონტროლს ახორციელებს სახელწიფო კონტროლის ორგანოს მეშვეობით, რომელსაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო კონტროლიორი. მის კანდიდატურასაც წარადგენს პრეზიდენტი და ნიშნავს სეიმი. სახელმწიფო კონტროლიორი ზედამხედველობს სახელმწიფო ქონების მართვისა და გამოყენების კანონიერებას, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას და ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს სეიმს.

სახელმწიფოს მეთაურია რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა 5 წლის ვადით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. ერთი და იგივე პირი რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. კანდიდატად შეიძლება წარდგენილ იქნეს 40 წლის ასაკს მიღწეული ლიტვის ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც ლიტვაში ცხოვრობს არანაკლებ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში და წარადგენს არანაკლებს 20 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერას. პრეზიდენტად არჩეული იქნება პირი, რომელიც არჩევნებში მიიღებს მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს. ამასთან, არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ნახევარისა. თუ პირველ ტურში ვერცერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას, შემდგომ ტურში მონაწილეობს ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც მიიღებს ხმათა უმრავლესობას.

პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, რაც ზოგადად საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელისათვის დამახასიათებელ ნიშანთვისებას წარმოადგენს. თუმცა, ამავე მოდელისაგან განსხვავებით, იგი არ გვევლინება ქვეყნის უუფლებო სიმბოლოდ, საკმაოდ ფართო უფლებამოსილებები გააჩნია და აქტიურ მონაწილეობას იღებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს იგი ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების — მთავრობის ფორმირების პროცესში. იგი უფლებამოსილია სეიმის თანხმობით დანიშნოს და გაათავისუფლოს თანამდებობიდან პრემიერ-მინისტრი, დაავალოს მას მთავრობის შექმნა და პრემიერ-მინისტრის წარდგინებით დანიშნოს და გაათავისუფლოს მინისტრები, რომლებიც პერსონალურად არიან პასუხისმგებელნი მის წინაშე, ასევე დანიშნოს და გაათავისუფლოს

კანონით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირები. ფართო უფლებამოსილებები ენიჭება მას ასევე საგარეო პოლიტიკის სფეროშიც, ვინაიდან იგი წყვეტს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს და მთავრობასთან ერთად ახორციელებს საგარეო პოლიტიკას, ასევე მთავრობის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უცხო სახელმწიფოებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში ლიტვის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებს. იგი ასევე ხელს აწერს კანონებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთახმებებს და წარადგენს მათ სეიმში სარატიფიკაციოდ. მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრეზიდენტი სასამართლო ხელისუფლების ფორმირების პროცესშიც. იგი სეიმს წარუდგენს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატურებს, ხოლო უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლის დანიშვნის შემდეგ მათი შემადგენლობიდან სეიმს დასანიშნად წარუდგენს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურას; ნიშნავს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებს, ხოლო სეიმის მიერ მათი მოწონების შემთხვევაში, მათი შემადგენლობიდან — სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს; ნიშნავს საოლქო და რეგიონული სასამართლოების მოსამართლეებსა და თავმჯდომარეებს და ცვლის მათ სამუშაო ადგილებს; კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სეიმში შეაქვს წინადადებები მოსამართლეთა გათავისუფლების შესახებ. იგი ასევე უფლებამოსილია სეიმს წარუდგინოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამი მოსამართლის კანდიდატურა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა მოსამართლის დანიშვნის შემდეგ მათი შემადგენლობიდან სეიმს დასანიშნად წარუდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურას.

პრეზიდენტი ხელშეუხებელია: თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემა.

პრეზიდენტი შეიძლება ვადამდე იქნეს თანამდებობიდან გადაყენებული მხოლოდ კონსტიტუციის ან ფიცის უხეში დარღვევის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში. რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს წყვეტს სეიმი იმპიჩმენტის პროცედურით.

აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს მთავრობა, რომელიც შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან. პრემიერ-მინისტრი მისი დანიშვნიდან არა უგვიანეს 15 დღის ვადაში სეიმს წარუდგენს მის მიერ ფორმირებულ და პრეზიდენტის მიერ დანიშნულ მთავრობას და განსახილველად წარუდგენს სამთავრობო პროგრამას. მთავრობა სოლიდარულად არის პასუხისმგებელი სეიმის წინაშე, ხოლო მინისტრები პერსონალურად — როგორც სეიმის, ასევე პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის წინაშე. აღსანიშნავია, რომ მთავრობის წევრები სარგებლობენ იმუნიტეტით, დაუშვებელია მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაპატიმრება ან თავისუფლების სხვა რაიმე სახით შეზღუდვა სეიმის თანხმობის გარეშე, ხოლო სეიმის სესიებს შორის პერიოდში — პრეზიდენტის წინასწარი თანხმობის გარეშე.

კონსტიტუციური მართლწესრიგის უზრუნველყოფის ზედამხედველ ორგანოს – საკონსტიტუციო სასამართლოს ეთმობა კონსტიტუციის VIII თავი, რომელიც შეიცავს ძირითად დებულებებს სასამართლოს ორგანიზაციის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ. აღნიშნული თავის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს 9 მოსამართლით დაკომპლექტებულ ორგანოს, რომელთა უფლებამოსილების ვადაც 9 წლით განისაზღვრება, შემადგენლობის ყოველ სამ წელიწადში ერთხელ 1/3-ით განახლების პრინციპის გათვალისწინებით. სასამართლოს დაკომპლექტებაში თანაბარ მონაწილეობას იღებს ხელისუფლების სამივე შტო, რომელთაგან თითოეული სამი კანდიდატის წარდგენის უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. თავმჯდომარის კანდიდატურას მოსამართლეთაგან წარადგენს პრეზიდენტი და ნიშნავს სეიმი. მოსამართლეები ფლობენ სამართლებრივი დაცვის ისეთივე გარანტიებს, როგორსაც სეიმის წევრები და გადაწყვეტილებათა მიღებისას ხელმძღვანელობენ მხოლოდ კონსტიტუციით.

უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება არ შემოიფარგლება მხოლოდ კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის განხილვით და იგი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები სეიმის მიერ მიღებული სხვა აქტების, ასევე პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ მიღებული აქტების არა მხოლოდ კონსტიტუციასთან, არამედ ჩვეულებრივ კანონებთან შესაბამისობის შესახებ. გარდა ზემოაღნიშნულისა, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააკეთოს დასკვნები იმის თაობაზე, დარღვეულ იქნა თუ არა პრეზიდენტისა და სეიმის არჩევნების დროს საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნები, იძლევა თუ არა პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა მის მიერ მოვალეობების შემდგომი შესრულების შესაძლებლობას, ეწინააღმდეგება თუ არა ლიტვის რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებები კონსტიტუციას და ეწინააღმდეგება თუ არა კონსტიტუციას სეიმის იმ წევრებისა და სახელმწიფო თანამდებობის პირების კონკრეტული მოქმედებები, რომელთა მიმართაც, აღძრულია იმპიჩმენტის პროცედურა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები გამოაქვს ლიტვის რესპუბლიკის სახელით და იგი გასაჩივრებას არ ექვემდებარება. გადაწყვეტილებათა მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით. ამასთან სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის სულ მცირე 2/3-ი მაინც. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თავმჯდომარის ხმას.

სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციას ეთმობა IX თავი, რომლის მიხედვითაც ლიტვის რესპუბლიკის სასამართლოებს წარმოადგენენ უზენაესი, საოპერაციო, რეგიონული და საოლქო სასამართლოები. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ასევე სპეციალიზირებული სასამართლოების შექმნის შესაძლებლობა. კონსტიტუცია დეტალურად არეგულირებს ცალკეული ინსტანციის სასამართლოთა ფორმირებისა და მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების წესს. მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ლიტვის რესპუბლიკის მო-

ქალაქე. მოსამართლეებს არ შეუძლიათ ეკავოთ რაიმე სხვა არჩევითი ან დანიშვნითი თანამდებობა, მუშაობდნენ სამეწარმეო, კომერციულ ან სხვა კერძო დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში და იღებდეს სხვა ანაზღაურებას გარდა ხელფასისა, პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის განკუთვნილი ანაზღაურებისა. მოსამართლე დამოუკიდებელია და მესამე პირთა მიერ მის საქმიანობაში ჩარევა ისჯება კანონით. მოსამართლეები სარგებლობენ იმუნიტეტით. მათი დაპატიმრება ან თავისუფლების სხვა გზით შეზღუდვა ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა საჭიროებს სეიმის წინასწარ თანხმობას, ხოლო სეიმის სესიებს შორის პერიოდში – პრეზიდენტის თანხმობას.

უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს – უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, ხოლო მათი შემადგენლობიდან – თავმჯდომარე ინიშნებიან და თავისუფლდებიან სეიმის მიერ პრეზიდენტის წარდგინებით. უზენაესი სასამართლო, როგორც საკასაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე და სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების საჩივრები. საჩივრებს სასამართლო განიხილავს მხოლოდ სამართლებრივი კუთხით და არ ახდენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების განხილვას. სასამართლო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს უნიფიცირებული სასამართლო პრაქტიკის დანერგვაში, ვინაიდან მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს აქვს პრეცედენტული მნიშვნელობა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებისათვის. როგორც წესი, საქმეთა განხილვა წარმოებს სამი მოსამართლისაგან დაკომპლექტებული კოლეგიის მიერ, თუმცა თუ საქმის განხილვა დაკავშირებულია კანონის განმარტებისა და გამოყენების რთულ შემთხვევასთან, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, შესაბამისი პალატის თავმჯდომარეს ან მოსამართლეთა კოლეგიას შეუძლია საქმე მოსმენისთვის გადასცეს გაფართოებულ კოლეგიას 7 მოსამართლის შემადგენლობით ან შესაბამისი პალატის პლენარულ სხდომას.

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები, ხოლო მათი შემადგენლობიდან თავმჯდომარე, ინიშნებიან და თავისუფლდებიან პრეზიდენტის მიერ სეიმის თანხმობით. სააპელაციო სასამართლოები სააპელაციო წესით განიხილავენ რეგიონული სასამართლოების, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საჩივრებს. ისინი ასევე განიხილავენ საერთაშორისო და უცხოური სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ცნობის და ლიტვის ტერიტორიაზე მათი აღსრულების საკითხებს.

შემდეგ რგოლს სასამართლო სისტემაში წარმოადგენენ რეგიონალური სასამართლოები, რომლებიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ სისხლისა და სამოქალაქო საქმეებს, ხოლო სააპელაციო წესით – საოლქო (პირველი ინსტანციის) სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების საჩივრებს. გარდა ზემოაღნიშნულისა ქვეყანაში ფუნქციონირებს აგრეთვე ადმინისტრაციული იურისდიქციის მქონე სპეციალიზირებულ სასამართლოთა სისტემა, რომელიც შედგება უზენაესი ადმინისტრაციუ-

ლი და პირველი ინსტანციის ადმინისტრაციული სასამართლოებისაგან, რომლებიც განიხილავენ საჯარო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. ასევე არსებობს სპეციალიზირებული აუდიტის და კომერციული არბიტრაჟის სასამართლოები.

ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანიზაციის თვალსაზრისით ქვეყანაში არსებობს სამდონიანი სისტემა. ადგილობრივი მმართველობა ხორციელდება ოლქების დონეზე, რომელთა საერთო რაოდენობა 10-ს შეადგენს და რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა მუნიციპალიტეტებად. ოლქს ხელმძღვანელობს ოლქის გუბერნატორი, რომელიც ინიშნება ცენტრალური ხელისუფლების მიერ და რომლის უმთავრეს ფუნქციასაც მუნიციპალიტეტების მიერ ლიტვის კანონმდებლობისა და კონსტიტუციის განუხრელ შესრულებაზე კონტროლი წარმოადგენს. ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის წამყვანი რგოლია მუნიციპალიტეტი, სადაც ხელისუფლების ძირითად ორგანოს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საბჭო, რომელიც აირჩევა ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. ამასთან არჩევნებში როგორც აქტიური, ასევე პასიური საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობენ არა მხოლოდ ლიტვის მოქალაქეები, არამედ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მუდმივად მცხოვრები პირებიც. საბჭო, თავის მხრივ, ირჩევს მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც ხელმძღვანელობს ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებას. ადგილობრივი თვითმმართველობის უმდაბლეს ერთეულს წარმოადგენს საუხუცესო, რომლის ხელძღვანელს – უხუცესს ნიშნავს მუნიციპალიტეტის საბჭო. ამჟამად ქვეყნის მთელი ტერიტორია მოიცავს 500 საუხუცესოს.

დამოუკიდებელი, XIII თავის სახით არის ჩამოყალიბებული ის ფუნდამენტური პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც ლიტვა წარმართავს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკას. აღნიშნული თავის შესაბამისად, ლიტვის რესპუბლიკა საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით. აკრძალულია ომის პროპაგანდა, ასევე ქვეყნის ტერიტორიაზე მასობრივი განადგურების იარაღის ან სხვა სახელმწიფოთა ბაზების არსებობა. ამავე თავით რეგულირდება სამხედრო და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებული საკითხებიც. საომარ მდგომარეობას აცხადებს სეიმი. სახელმწიფოზე თავდასხმის ან ქვეყნისათვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში პრეზიდენტი უფლებამოსილია შემოიღოს სამხედრო მდგომარეობა, გამოაცხადოს მობილიზაცია და ეს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარუდგინოს სეიმს. სახელმწიფოში კონსტიტუციური წყობის ან საზოგადოებრივი მშვიდობისათვის საფრთხის წარმოშობისას სეიმი აცხადებს ასევე საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში, ხოლო სეიმის სესიებს შორის პერიოდში ამგვარი უფლებამოსილება გააჩნია პრეზიდენტს, რომელიც იმავდროულად იწვევს სეიმის სესიას მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების განსახილველად. ამომწურავად განისაზღვრება იმ უფლებათა ჩამონათვალი, რომელთა შეზღუდვაც შესაძლებელია საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს. ამგვარი უფლება სულ ექვსია და მათ

განეკუთვნება: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლება, გამოხატვის თავისუფლება, გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება, გაერთიანებისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება.

განსაკუთრებული თავისებურებები. ლიტვის კონსტიტუცია მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება:

— კონსტიტუციის სტრუქტურულ თავისებურებად უნდა იქნეს მიჩნეული ის გარემოება, რომ ძირითადი ტექსტის გარდა კონსტიტუციის შემადგენელ ელემენტებად გვევლინება ასევე 4 კონსტიტუციური აქტი;

— კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვს მხოლოდ საპარლამენტო სუბიექტს და ამომრჩეველებს და არ გააჩნია პრეზიდენტს;

— კონსტიტუცია არ შეიცავს ადამიანის უფლება-თავისუფლებებს დამოუკიდებელი თავის სახით და ისინი კონსტიტუციის სამ თავში არის წარმოდგენილი;

— სეიმის წევრები ფლობენ ინდემნიტეტს, რომელიც არ არის აბსოლუტური ხასიათის და შეურაცხყოფისა და ცილისწამებისთვის ისინი პასუხს აგებენ საერთო წესით;

— პრემიერ-მინისტრი და მინისტრები სარგებლობენ იმუნიტეტით და მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაპატიმრება ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა საჭიროებს სეიმის, ხოლო სეიმის სესიებს შორის პერიოდში — პრეზიდენტის წინასწარ თანხმობას;

— ანალოგიურად, მოსამართლეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაპატიმრება ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა საჭიროებს სეიმის, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — პრეზიდენტის წინასწარ თანხმობას;

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში აქტიურ და პასიურ საარჩევნო ხმის უფლებას ფლობენ როგორც ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეები, ასევე შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მუდმივად მცხოვრები პირები.

ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუცია[1]

დამტკიცებულია რეფერენდუმზე
1992 წლის 25 ოქტომბერს

(შესწორებები შეტანილია 1996 წლის 20 ივლისსა
და 2004 წლის 13 ივლისს)

ლიტველი ხალხი,

რომელმაც მრავალი საუკუნის წინ შექმნა ლიტვის სახელმწიფო, რომლის სამართლებრივი საფუძველი ემყარება ლიტვის სტატუტებსა და ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციას,

რომელიც საუკუნეების განმავლობაში გაბედულად იცავდა თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას,

რომელმაც შეინარჩუნა თავისი სული, მშობლიური ენა, დამწერლობა და ჩვეულებები,

განახორციელა ადამიანისა და ხალხის ბუნებითი უფლება თავისუფლად იცხოროს მამა-პაპისა და წინაპრების მიწაზე — ლიტვის დამოუკიდებელ სახელმწიფოში და იღწვოდეს მისთვის,

რომელიც ზრუნავს ეროვნული თანხმობისთვის ლიტვის მიწაზე,

მიისწრაფვის ღია, სამართლიანი, ჰარმონიული, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოსკენ,

აღდგენილი ლიტვის სახელმწიფოს მოქალაქეთა ნებით იღებს და აცხადებს ამ კონსტიტუციას.

თავი I. ლიტვის სახელმწიფო

მუხლი 1. ლიტვის სახელმწიფო არის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა.

მუხლი 2. ლიტვის სახელმწიფო იქმნება ხალხის მიერ. სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს.

მუხლი 3. არავის არ შეუძლია შელახოს ან შეზღუდოს ხალხის სუვერენიტეტი, მითვისოს ხალხის კუთვნილი სუვერენული ნება.

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია ლიტვის სეიმის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www3.lrs.lt/pls/inter2/dokpaieska.showdoc_e?p_id=239805 გამოქვეყნებული ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის ოფიციალური ინგლისურენოვანი ტექსტი.

ხალხს და ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს ნებისმიერ პირს, რომელიც ძალადობრივი გზით ხელყოფს ლიტვის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, კონსტიტუციურ წყობილებას.

მუხლი 4. უმაღლეს სუვერენულ ნებას ხალხი ახორციელებს უშუალოდ ან დემოკრატიული გზით არჩეული თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

მუხლი 5. ლიტვაში სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებენ სეიმი, რესპუბლიკის პრეზიდენტი, მთავრობა და სასამართლო.

ხელისუფლებრივი უფლებამოსილება იზღუდება კონსტიტუციით. სახელმწიფო დაწესებულებები ემსახურება ხალხს.

მუხლი 6. კონსტიტუცია არის ერთიანი და გამოიყენება უშუალოდ. ყველას შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები კონსტიტუციაზე დაყრდნობით.

მუხლი 7. ბათილია ნებისმიერი კანონი ან სხვა აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

ნამდვილია მხოლოდ გამოქვეყნებული კანონები.

კანონის არცოდნა არ შეიძლება იყოს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

მუხლი 8. სახელმწიფო ხელისუფლების ან მისი ინსტიტუტის ძალადობრივი გზით მითვისება მიიჩნევა ანტიკონსტიტუციურ ქმედებად, არის უკანონო და ბათილი.

მუხლი 9. სახელმწიფოსა და ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდება რეფერენდუმის შედეგად.

კანონით დადგენილ შემთხვევებში რეფერენდუმს ნიშნავს სეიმი.

რეფერენდუმი ინიშნება აგრეთვე საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 300 ათასი მოქალაქის მოთხოვნით.

რეფერენდუმის დანიშვნისა და ჩატარების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 10. ლიტვის რესპუბლიკის ტერიტორია არის ერთიანი და განუყოფელი.

სახელმწიფო საზღვრები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ლიტვის რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, სეიმის წევრთა ოთხი მეხუთედის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ.

მუხლი 11. ლიტვის სახელმწიფოს ტერიტორიის ადმინისტრაციული ერთეულები და მათი საზღვრები დგინდება კანონით.

მუხლი 12. ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით ან კანონით დადგენილი სხვა საფუძვლებით.

არავინ არ შეიძლება იყოს ერთდროულად ლიტვის რესპუბლიკისა და სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა.

მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 13. ლიტვის სახელმწიფო მეურვეობს თავის მოქალაქეებს საზღვარგარეთ.

აკრძალულია ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა, თუ ლიტვის რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 14. სახელმწიფო ენა არის ლიტვური ენა.

მუხლი 15. სახელმწიფო დროშის ფერებია ყვითელი, მწვანე და წითელი.

სახელმწიფო გერბი არის თეთრი მხედარი წითელ ფონზე.

სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა და მათი გამოყენება დგინდება კანონებით.

მუხლი 16. სახელმწიფო ჰიმნი არის ვინცას კუდირკას „ეროვნული საგალობელი".

მუხლი 17. ლიტვის რესპუბლიკის დედაქალაქი არის ქალაქი ვილნიუსი — ლიტვის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული დედაქალაქი.

თავი II. ადამიანი და სახელმწიფო

მუხლი 18. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არის ბუნებითი.

მუხლი 19. ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით.

მუხლი 20. ადამიანის თავისუფლება ხელშეუხებელია.

არავინ არ შეიძლება თვითნებურად იქნეს დაკავებული ან დაპატიმრებული. არავის არ შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა კანონით დადგენილი საფუძვლებისა და პროცედურებისა.

დანაშაულის ადგილზე დაკავებული პირი 48 საათის განმავლობაში უნდა იქნეს მიყვანილი სასამართლოში, სადაც დაკავებულის თანდასწრებით უნდა გადაწყდეს დაკავების დასაბუთებულობის საკითხი. თუ სასამართლო არ მიიღებს დადგენილებას დაპატიმრების შესახებ, დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

მუხლი 21. ადამიანის პიროვნება ხელშეუხებელია.

ადამიანის ღირსება დაცულია კანონით.

აკრძალულია პიროვნების წამება, დასახიჩრება, მისი ღირსების დამცირება, სასტიკი მოპყრობა ან სასჯელის გამოყენება.

ადამიანი მისი ნებართვისა და თავისუფალი თანხმობის გარეშე არ შეიძლება დაექვემდებაროს სამეცნიერო ან სამედიცინო ექსპერიმენტს.

მუხლი 22. მოქალაქის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია.

მიმოწერა, სატელეფონო საუბრები, სატელეგრაფო შეტყობინებები და პირის სხვა ურთიერთობები ხელშეუხებელია.

ინფორმაცია პირის პირადი ცხოვრების შესახებ შეიძლება შეგროვდეს მხოლოდ სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე და მხოლოდ კანონის შესაბამისად.

კანონი და სასამართლო იცავენ ადამიანს პირად და საოჯახო ცხოვრებაში თვითნებური და უკანონო ჩარევისაგან, პატივისა და ღირსების ხელყოფისაგან.

მუხლი 23. საკუთრება ხელშეუხებელია.

საკუთრების უფლება დაცულია კანონით.

საკუთრების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ კანონით დადგენილი წესით საზოგადოებრივი საჭიროებისათვის და მხოლოდ სამართლიანი ანაზღაურებით.

მუხლი 24. ადამიანის საცხოვრებელი ხელშეუხებელია.

დაუშვებელია მცხოვრების თანხმობის გარეშე საცხოვრებელში შესვლა. გამონაკლისი დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილების ან კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, როდესაც ეს აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის, დამნაშავის დაკავების, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების გადარჩენის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 25. ადამიანს უფლება აქვს, ჰქონდეს და თავისუფლად გამოხატოს შეხედულებები.

ადამიანს არ უნდა შეექმნას დაბრკოლებები ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღებისა და გავრცელების დროს.

შეხედულებების გამოხატვის, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით, თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრების, ადამიანის ზნეობის ან კონსტიტუციური წყობის დასაცავად.

შეხედულებების გამოხატვისა და ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება შეუთავსებელია დანაშაულებრივ ქმედებებთან — ეროვნული, რასობრივი, რელიგიური ან სოციალური სიძულვილის გაღვივებასთან, ძალადობასა და დისკრიმინაციასთან, ცილისწამებასა და დეზინფორმაციასთან.

მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით მიიღოს სახელმწიფო დაწესებულებებში მის შესახებ არსებული ინფორმაცია.

მუხლი 26. დაუშვებელია აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა.

ყოველ ადამიანს აქვს ნებისმიერი რელიგიის ან რწმენის თავისუფალი არჩევის უფლება, აგრეთვე უფლება, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია ან რწმენა აღმსარებლობით, რიტუალების აღსრულებით, წესების დაცვითა და სწავლებით.

არ შეიძლება პირის იძულება, აირჩიოს ან გააცხადოს რომელიმე რელიგია ან რწმენა.

რელიგიის ან რწმენის გაცხადებისა და გავრცელების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა თუ მორალის უზრუნველსაყოფად, ან პიროვნების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მშობლები და მეურვეები თავისუფლად, თავიანთი შეხედულების შესაბამისად ზრუნავენ ბავშვებისა და მეურვეობის ქვეშ მყოფი პირების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდისთვის.

მუხლი 27. დაუშვებელია დანაშაულის ან კანონის შეუსრულებლობის გამართლება ადამიანის შეხედულებით, რელიგიის ან რწმენის გაცხადებით.

მუხლი 28. თავისი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას ადამიანი ვალდებულია დაიცვას ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუცია და კანონები, არ დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 29. ყველა თანასწორია კანონის, სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულების ან თანამდებობის პირის წინაშე.

დაუშვებელია ადამიანის უფლებების შეზღუდვა ან მისთვის პრივილეგიების მინიჭება, განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნებისა, ენისა, წარმოშობისა, სოციალური მდგომარეობისა, რელიგიისა, მრწამსისა ან შეხედულებისა.

მუხლი 30. პირს, რომლის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები ირღვევა, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

პირისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება დგინდება კანონით.

მუხლი 31. პირი ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და არ იქნება ცნობილი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირს აქვს მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ მისი საქმის ღია და სამართლიანი განხილვის უფლება.

აკრძალულია პირის იძულება, მისცეს საკუთარი თავის, ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავების საწინააღმდეგო ჩვენება.

სასჯელის შეფარდება და გამოყენება შეიძლება მხოლოდ კანონის საფუძველზე.

არავინ არ შეიძლება განმეორებით დაისაჯოს ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ ან ბრალდებულს პირს დაკავების ან პირველი დაკითხვის მომენტიდან გარანტირებული აქვს დაცვის, აგრეთვე ადვოკატის ყოლის უფლება.

მუხლი 32. მოქალაქეს აქვს ლიტვაში თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და ლიტვიდან თავისუფლად გასვლის უფლება.

ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროებისა და ხალხის ჯანმრთელობის დაცვის, აგრეთვე მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მოქალაქეს არ შეიძლება აეკრძალოს ლიტვაში დაბრუნება.

ყოველ ლიტველს შეუძლია დასახლდეს ლიტვაში.

მუხლი 33. მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობდნენ თავიანთი ქვეყნის მართვაში, როგორც უშუალოდ, ისე დემოკრატიულად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით, აგრეთვე უფლება, თანაბარ საწყისებზე დაიკავონ ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფო თანამდებობა.

მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სახელმწიფო დაწესებულების ან თანამდებობის პირების მუშაობის კრიტიკისა და მათი გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება. კრიტიკისათვის დევნა აკრძალულია.

მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ პეტიციის უფლება, რომლის განხორციელების წესი დგინდება კანონით.

მუხლი 34. მოქალაქეებს, რომელთაც არჩევნების დღისთვის შეუსრულდათ 18 წელი, აქვთ საარჩევნო უფლება.

პასიური საარჩევნო უფლება დგინდება ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციითა და საარჩევნო კანონებით.

არჩევნებში არ მონაწილეობენ სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი მოქალაქეები.

მუხლი 35. მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ საზოგადოებებში, პოლიტიკურ პარტიებსა და ასოციაციებში თავისუფალი გაერთიანების უფლება, თუ მათი მიზანი და საქმიანობა არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციასა და კანონებს.

დაუშვებელია პირის იძულება, მიეკუთვნებოდეს რომელიმე საზოგადოებას, პოლიტიკურ პარტიას ან ასოციაციას.

პოლიტიკური პარტიების, სხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა და საქმიანობა რეგულირდება კანონით.

მუხლი 36. დაუშვებელია მოქალაქეებისთვის უიარაღოდ, მშვიდობიანი შეკრების აკრძალვა ან შეზღუდვა.

ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 37. ეთნიკურ გაერთიანებებს მიკუთვნებულ მოქალაქეებს აქვთ თავიანთი ენის, კულტურისა და ადათ-წესების განვითარების უფლება.

თავი III. საზოგადოება და სახელმწიფო

მუხლი 38. ოჯახი არის საზოგადოებისა და სახელმწიფოს საფუძველი.

სახელმწიფო იცავს და მეურვეობს ოჯახს, დედობას, მამობას და ბავშვობას.

ქორწინება შესაძლებელია მამაკაცისა და ქალის ნებაყოფლობითი თანხმობით.

სახელმწიფოს მიერ რეგისტრირდება ქორწინება, დაბადება და სიკვდილი. სახელმწიფო ასევე ცნობს ქორწინების საეკლესიო რეგისტრაციას.

მეუღლეთა უფლებები ოჯახში თანაბარია.

მშობელთა უფლება და მოვალეობაა შვილების პატიოსან ადამიანებად და ერთგულ მოქალაქეებად აღზრდა და სრულწლოვანების მიღწევამდე მათი რჩენა.

შვილების მოვალეობაა მშობლების პატივისცემა, სიბერეში მათზე ზრუნვა და მათი მემკვიდრეობის გაფრთხილება.

მუხლი 39. სახელმწიფო ზრუნავს ოჯახებზე, რომლებიც ბავშვებს ზრდიან სახლში და კანონით დადგენილი წესით მხარს უჭერს მათ.

მოსამსახურე დედებისათვის კანონით გათვალისწინებულია ანაზღაურებადი შვებულება მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ, შრომის ხელსაყრელი პირობები და სხვა შეღავათები.

არასრულწლოვანი ბავშვები დაცული არიან კანონით.

მუხლი 40. სახელმწიფო და მუნიციპალური სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებები საერო ხასიათისაა. მშობელთა მოთხოვნით ისინი უზრუნველყოფენ რელიგიურ სწავლებას.

კანონით დადგენილი წესით შეიძლება შეიქმნას არასახელმწიფო სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს ენიჭებათ ავტონომია.

სახელმწიფო ზედამხედველობს სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობას.

მუხლი 41. განათლება სავალდებულოა 16 წლამდე პირებისთვის.

განათლების მიღება სახელმწიფო და მუნიციპალურ საშუალო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და უმაღლეს სასწავლებლებში უფასოა.

უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომია ყველასათვის, თითოეული ადამიანის შესაძლებლობების შესაბამისად. კარგი აკადემიური მოსწრების მქონე მოქალაქეებისთვის გარანტირებულია უფასო განათლება სახელმწიფო უმაღლეს დაწესებულებებში.

მუხლი 42. კულტურა, მეცნიერება და კვლევითი საქმიანობა, აგრეთვე სწავლება თავისუფალია.

სახელმწიფო მხარს უჭერს კულტურასა და მეცნიერებას, ყურადღებას უთმობს ლიტვის ისტორიისა და ხელოვნების ძეგლებს, აგრეთვე კულტურის სხვა ძეგლებისა და საგანძურის დაცვას.

ავტორის სულიერი და მატერიალური ინტერესები, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო, ტექნიკურ, კულტურულ და მხატვრულ შემოქმედებასთან, დაცულია კანონით.

მუხლი 43. სახელმწიფო ცნობს ტრადიციულ ეკლესიებსა და რელიგიურ ორგანიზაციებს ლიტვაში, ასევე სხვა ეკლესიებსა და რელიგიურ ორგანიზაციებს, თუ მათ აქვთ საზოგადოების მხარდაჭერა და მათი სწავლება და წეს-ჩვეულებები არ ეწინააღმდეგება კანონსა და მორალს.

სახელმწიფოს მიერ აღიარებული ეკლესიები და სხვა რელიგიური ორგანიზაციები ფლობენ იურიდიული პირის უფლებებს.

ეკლესიებსა და რელიგიურ ორგანიზაციებს გააჩნიათ თავისუფლად ქადაგებისა და წეს-ჩვეულებების აღსრულების უფლება, მათ აქვთ სამლოცველო სახლები, საქველმოქმედო ორგანიზაციები და საგანმანათლებლო დაწესებულებები სასულიერო პირთა მოსამზადებლად.

ეკლესიები და რელიგიური ორგანიზაციები თავისუფლად მოქმედებენ თავიანთი კანონებისა და სტატუტების შესაბამისად.

ეკლესიებისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების მდგომარეობა სახელმწიფოში განისაზღვრება შეთანხმებით ან კანონით.

დაუშვებელია ეკლესიის ან სხვა რელიგიური ორგანიზაციების ქადაგებების, სხვა რელიგიური საქმიანობის, აგრეთვე სამლოცველო სახლების გამოყენება კონსტიტუციისა და კანონის საწინააღმდეგო მიზნებით.

ლიტვაში არ არის სახელმწიფო რელიგია.

მუხლი 44. მასობრივი ინფორმაციის ცენზურა აკრძალულია.

სახელმწიფოს, პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, სხვა ინსტიტუციებს ან პირებს არ შეუძლიათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონოპოლიზება.

მუხლი 45. მოქალაქეთა ეთნიკური გაერთიანებები დამოუკიდებლად ახორციელებენ მათი ეთნიკური კულტურის, განათლების, ქველმოქმედებისა და ურთიერთდახმარების საქმეებს.

სახელმწიფო მხარს უჭერს ეთნიკურ გაერთიანებებს.

თავი IV. ეროვნული ეკონომიკა და შრომა

მუხლი 46. ლიტვის მეურნეობა ეფუძნება კერძო საკუთრების უფლებას, ინდივიდუალური ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებასა და პირად ინიციატივას.

სახელმწიფო მხარს უჭერს საზოგადოებრივად სასარგებლო ეკონომიკურ ძალისხმევასა და ინიციატივას.

სახელმწიფო არეგულირებს ეკონომიკურ საქმიანობას ისე, რომ იგი ემსახურებოდეს ხალხის კეთილდღეობას.

კანონით იკრძალება წარმოებისა და ბაზრის მონოპოლიზება, დაცულია კეთილსინდისიერი კონკურენციის თავისუფლება.

სახელმწიფო იცავს მომხმარებლის ინტერესებს.

მუხლი 47. მიწა, შიდა წყლები, ტყეები, პარკები, გზები, ისტორიული, არქეოლოგიური და კულტურული ადგილები განსაკუთრებული საკუთრების უფლებით ეკუთვნის მხოლოდ ლიტვის რესპუბლიკას.

ლიტვის რესპუბლიკას გააჩნია განსაკუთრებული საკუთრების უფლება მისი ტერიტორიის ზევით საჰაერო სივრცეზე, კონტინენტურ შელფსა და ბალტიის ზღვაში ეკონომიკურ ზონაზე.

სხვა ქვეყნების სუბიექტებს ლიტვის რესპუბლიკის მიწაზე, შიდა წყლებსა და ტყეებზე საკუთრების უფლება შეიძლება გააჩნდეთ კონსტიტუციური კანონის შესაბამისად.

მიწის ნაწილი შეიძლება საკუთრების უფლებით ეკუთვნოდეს უცხო სახელმწიფოს, კანონით დადგენილი პროცედურის, ვადისა და პირობების შესაბამისად, მათი დიპლომატიური მისიისა და საკონსულო დაწესებულებების შესაქმნელად.

მუხლი 48. ყველა ადამიანს აქვს სამსახურისა და საქმიანობის თავისუფლად არჩევის, ასევე შრომის სათანადო, უსაფრთხო და ჯანმრთელი პირობების, შრომის სამართლიანი ანაზღაურებისა და უმუშევრობის შემთხვევაში სოციალური უზრუნველყოფის უფლება.

ლიტვის რესპუბლიკაში უცხოელთა შრომა რეგულირდება კანონით.

იძულებითი შრომა აკრძალულია.

იძულებით შრომად არ მიიჩნევა სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახური, აგრეთვე შრომა ომის, სტიქიური უბედურებების, ეპიდემიების დროს ან სხვა საგანგებო შემთხვევებში.

იძულებით შრომად არ მიიჩნევა მსჯავრდებულთა კანონით რეგულირებული შრომა.

მუხლი 49. ყოველ მშრომელს აქვს დასვენების, თავისუფალი დროის, აგრეთვე ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების უფლება.

სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება კანონით.

მუხლი 50. პროფესიული კავშირები იქმნება თავისუფლად და მოქმედებენ დამოუკიდებლად. ისინი იცავენ მშრომელთა პროფესიულ, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებსა და ინტერესებს.

ყველა პროფესიულ კავშირს აქვს თანაბარი უფლებები.

მუხლი 51. მშრომელებს თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის დროს აქვთ გაფიცვის უფლება.

ამ უფლების განხორციელების შეზღუდვები, პირობები და წესი დგინდება კანონით.

მუხლი 52. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქეებს ასაკის ან ინვალიდობის გამო პენსიის მიღების უფლებით, აგრეთვე სოციალური დაცვით უმუშევრობის, ავადმყოფობის, ქვრივობის, მარჩენალის დაკარგვისა და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 53. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანთა ჯანმრთელობაზე და ავადმყოფობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მათ სამედიცინო დახმარებითა და მომსახურებით. კანონით დგინდება მოქალაქეთათვის სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულებებში უფასო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.

სახელმწიფო ხელს უწყობს ფიზიკურ კულტურასა და სპორტს.

სახელმწიფოსა და ყოველ პიროვნებას ევალებათ გარემოს დაცვა მავნე ზემოქმედებისაგან.

მუხლი 54. სახელმწიფო ზრუნავს ბუნებრივი გარემოს, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, ცალკეული ბუნებრივი ობიექტებისა და განსაკუთრებული ღირებულების მქონე ადგილების დაცვაზე, ახორციელებს ზედამხედველობას ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე, აღდგენასა და გამრავლებაზე.

კანონით აკრძალულია მიწის, წიაღისა და წყლების გამოფიტვა, წყლისა და ჰაერის დაბინძურება, გარემოზე რადიაციული ზემოქმედების მოხდენა, აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს გაღარიბება.

თავი V. სეიმი

მუხლი 55. სეიმი შედგება ხალხის წარმომადგენლებისაგან – სეიმის 141 წევრისაგან, რომლებიც არჩეულია საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, ოთხი წლის ვადით.

სეიმი არჩეულად ითვლება, თუ არჩეულია სეიმის წევრთა არანაკლებ სამი მეხუთედი. სეიმის წევრთა არჩევის წესი დგინდება კანონით.

მუხლი 56. სეიმის წევრად შეიძლება აირჩეს ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც ფიცით ან სხვა ვალდებულებით არ არის დაკავშირებული უცხო სახელმწიფოსთან, არის 25 წლის და მუდმივად ცხოვრობს ლიტვაში.

სეიმის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც არა აქვს მოხდილი სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი, აგრეთვე პირი, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუუნაროდ.

მუხლი 57. სეიმის მორიგი არჩევნები ტარდება სეიმის წევრთა უფლებამოსილების ამოწურვის წელს, ოქტომბრის მეორე კვირა დღეს.

სეიმის ვადამდელი არჩევნების შემდეგ სეიმის მორიგი არჩევნები უნდა ჩატარდეს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დღეს.

მუხლი 58. სეიმის ვადამდელი არჩევნები შეიძლება ჩატარდეს არანაკლებ სეიმის წევრთა სამი მეხუთედის უმრავლესობით მიღებული დადგენილებით.

სეიმის ვადამდელი არჩევნები შეიძლება გამოცხადდეს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერაც:

1) თუ წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში სეიმი არ მიიღებს გადაწყვეტილებას მთავრობის ახალი პროგრამის შესახებ ან სამთავრობო პროგრამის პირველი წარდგენიდან 60 დღის განმავლობაში ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცებს სამთავრობო პროგრამას.

2) მთავრობის წინადადებით, თუ სეიმი უშუალოდ უცხადებს მთავრობას უნდობლობას.

რესპუბლიკის პრეზიდენტს არ შეუძლია გამოაცხადოს სეიმის ვადამდელი არჩევნები, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ექვსი თვეა დარჩენილი, აგრეთვე, თუ სეიმის ვადამდელი არჩევნებიდან არ გასულა ექვსი თვე.

სეიმის ვადამდელი არჩევნების შესახებ სეიმის დადგენილებაში ან პრეზიდენტის განკარგულებაში მიეთითება სეიმის ხელახალი არჩევნების დღე. სეიმის ხე-

ლახალი არჩევნები უნდა ჩატარდეს არჩევნების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არა გვიანეს სამი თვის ვადაში.

მუხლი 59. სეიმის წევრთა უფლებამოსილების ვადა იწყება ახლადარჩეული სეიმის პირველი სხდომის დღიდან. ამ სხდომის გახსნისას იწურება წინა მოწვევის სეიმის წევრთა უფლებამოსილების ვადა.

სეიმის არჩეული წევრი ხალხის წარმომადგენლის ყველა უფლებას იძენს მხოლოდ მის მიერ სეიმში ლიტვის რესპუბლიკისადმი ერთგულების ფიცის დადების შემდეგ.

სეიმის წევრი, რომელიც არ დადებს ფიცს კანონის შეაბამისად, ან ფიცს პირობითად დადებს, კარგავს სეიმის წევრის მანდატს. ამასთან დაკავშირებით სეიმი იღებს დადგენილებას.

თავისი მოვალეობების განხორციელების დროს სეიმის წევრი ხელმძღვანელობს ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციით, სახელმწიფო ინტერესებით, თავისი სინდისით და დაუშვებელია მისი შეზღუდვა მანდატით.

მუხლი 60. სეიმის წევრთა უფლებამოსილება შეუთავსებელია სახელმწიფო დაწესებულებებში და ორგანიზაციებში ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან, აგრეთვე სამეწარმეო, კომერციულ ან სხვა კერძო დაწესებულებებში ან ორგანიზაციებში მუშაობასთან. სეიმის წევრი თავისი უფლებამოსილების პერიოდში თავისუფლდება ეროვნული თავდაცვის მოვალეობისაგან.

სეიმის წევრი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ პრემიერ-მინისტრად ან მინისტრად.

სემის წევრის სამუშაო, აგრეთვე მის საპარლამენტო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება სახელმწიფო სახსრებიდან. სეიმის წევრს არ შეუძლია მიიღოს არანაირი სხვა ანაზღაურება, გარდა შემოქმედებითი საქმიანობისთვის გათვალისწინებული ანაზღაურებისა.

სეიმის წევრთა მოვალეობები, უფლებები და საქმიანობის გარანტიები დგინდება კანონით.

მუხლი 61. სეიმის წევრს უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს პრემიერ-მინისტრს, მინისტრებს, სეიმის მიერ შექმნილი ან არჩეული სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელებს. მათ სეიმის სესიაზე ევალებათ პასუხის გაცემა სეიმის მიერ დადგენილი წესით ზეპირად ან წერილობით.

სესიის დროს სეიმის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს შეუძლია პრემიერ-მინისტრს ან მინისტრებს წარუდგინოს ინტერპელაცია.

ინტერპელაციაზე პრემიერ-მინისტრის ან მინისტრების პასუხის განხილვის შემდეგ სეიმს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ პასუხი არადამაკმაყოფილებელია და სეიმის ყველა წევრის ნახევრის ხმათა უმრავლესობით პრემიერ-მინისტრს ან მინისტრს გამოუცხადოს უნდობლობა.

კენჭისყრის წესი დგინდება კანონით.

მუხლი 62. სეიმის წევრი ხელშეუხებელია.

დაუშვებელია სეიმის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან სხვა სახით მისი თავისუფლების შეზღუდვა სეიმის თანხმობის გარეშე.

დაუშვებელია სეიმის წევრის დევნა სეიმში კენჭისყრისათვის ან გამოსვლისათვის. თუმცა, პიროვნების შეურაცხყოფის ან ცილისწამებისათვის ის პასუხისგებაში მიეცემა საერთო წესით.

მუხლი 63. სეიმის წევრის უფლებამოსილება წყდება შემდეგ შემთხვევებში:

1) უფლებამოსილების ვადის ამოწურვის ან ვადაზე ადრე არჩეული სეიმის პირველი სხდომის დაწყებისას;

2) გარდაცვალებისას;

3) გადადგომისას;

4) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობისას;

5) სეიმის მიერ იმპიჩმენტის წესით მისთვის მანდატის ჩამორთმევისას;

6) არჩევნების ბათილად ცნობის ან არჩევნების შესახებ კანონის უხეში დარღვევისას;

7) სეიმის წევრის მოვალეობასთან შეუთავსებელ სამსახურში გადასვლისას ან თუ იგი უარს არ იტყვის ამ სამსახურზე;

8) ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეობის დაკარგვისას.

მუხლი 64. სეიმი ყოველწლიურად იკრიბება ორ მორიგ — საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიაზე. საგაზაფხულო სესია იწყება 10 მარტს და მთავრდება 30 ივნისს. საშემოდგომო სესია იწყება 10 სექტემბერს და მთავრდება 23 დეკემბერს. სეიმს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება სესიის გაგრძელების შესახებ.

რიგგარეშე სესიები მოიწვევა სეიმის თავმჯდომარის მიერ სეიმის ყველა წევრის არანაკლებ მესამედის წინადადებით, ხოლო კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში — რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ.

მუხლი 65. ახლადარჩეულ სეიმს თავის პირველ სხდომაზე, რომელიც უნდა შედგეს სეიმის არჩევიდან არა უგვიანეს 15 დღეში, იწვევს რესპუბლიკის პრეზიდენტი. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი არ მოიწვევს სეიმს, 15 დღის გასვლიდან მეორე დღეს სეიმის წევრები თვითონ იკრიბებიან.

მუხლი 66. სეიმის სხდომას უძღვება სეიმის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე.

სეიმის არჩევნების შემდეგ პირველ სხდომას ხსნის ასაკით უხუცესი სეიმის წევრი.

მუხლი 67. სეიმი:

1. განიხილავს და იღებს კონსტიტუციის შესწორებებს;

2. იღებს კანონებს;

3. იღებს რეფერენდუმის შესახებ გადაწყვეტილებებს;

4. ნიშნავს ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებს;

5. ქმნის კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ინსტიტუტებს, აგრეთვე ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს;

6. ამტკიცებს ან უარყოფს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ წარდგენილ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას;

7. განიხილავს პრემიერ-მინისტრის მიერ წარდგენილ სამთავრობო პროგრამას და იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების შესახებ;

8. მთავრობის წინადადებით ქმნის ან აუქმებს ლიტვის რესპუბლიკის სამინისტროებს;

9. ახორციელებს კონტროლს მთავრობის საქმიანობაზე, შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს პრემიერ-მინისტრს ან მინისტრს;

10. ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებსა და თავმჯდომარეებს;

11. ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფო კონტროლიორს, ლიტვის ბანკის კოლეგიის თავმჯდომარეს;

12. ნიშნავს ადგილობრივი მუნიციპალური საბჭოების არჩევნებს;

13. ქმნის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და შეაქვს ცვლილებები მის შემადგენლობაში;

14. ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ზედამხედველობს მის შესრულებას;

15. ადგენს სახელმწიფო გადასახადებსა და სხვა სავალდებულო გადასახდელებს;

16. ახდენს ლიტვის რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებასა და დენონსირებას, განიხილავს საგარეო პოლიტიკის სხვა საკითხებს;

17. განსაზღვრავს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ დაყოფას;

18. აწესებს ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებს;

19. გამოსცემს აქტებს ამნისტიის შესახებ;

20. შემოაქვს პირდაპირი მმართველობა, სამხედრო და საგანგებო მდგომარეობა, აცხადებს მობილიზაციას და იღებს გადაწყვეტილებას სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ.

მუხლი 68. სეიმში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ეკუთვნით სეიმის წევრებს, რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობას.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აგრეთვე აქვთ ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეებს. საარჩევნო უფლების მქონე 50 000 მოქალაქეს შეუძლია წარადგინოს სეიმში კანონპროექტი, რომლის განხილვაც სეიმისთვის სავალდებულოა.

მუხლი 69. სეიმში კანონები მიიღება კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით.

კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს სხდომაში მონაწილე სეიმის წევრთა უმრავლესობა.

ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი მიიღება, თუ მას ხმას მისცემს სეიმის ყველა წევრის ნახევარზე მეტი, ხოლო მასში დამატებების შეტანა ხდება სეიმის წევრთა არანაკლებ სამი მეხუთედის ხმათა უმრავლესობით.

ლიტვის რესპუბლიკის კანონის დებულებების მიღება შეიძლება რეფერენდუმითაც.

მუხლი 70. სეიმის მიერ მიღებული კანონი ძალაში შედის ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტის ხელმოწერისა და მისი ოფიციალურად გამოქვეყნების შემდეგ, თუ თვითონ კანონით არ არის დადგენილი მისი ძალაში შესვლის უფრო გვიანი ვადა.

სეიმის მიერ მიღებულ სხვა აქტებს და სეიმის სტატუტს ხელს აწერს სეიმის თავმჯდომარე. ეს აქტები ძალაში შედის მათი გამოქვეყნებიდან მეორე დღეს, თუ თვით ამ აქტებით არ არის დადგენილი მათი ძალაში შესვლის სხვა წესი.

მუხლი 71. რესპუბლიკის პრეზიდენტი სეიმის მიერ მიღებული კანონის გადაცემიდან არა უგვიანეს ათი დღის ვადაში ხელს აწერს და ოფიციალურად აქვეყნებს მას ან შესაბამისი მოტივირებით განმეორებითი განხილვისათვის აბრუნებს სეიმში.

თუ მითითებულ ვადაში ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტი სეიმის მიერ მიღებულ კანონს არ დააბრუნებს და ხელს არ მოაწერს მას, ასეთი კანონი ძალაში შედის სეიმის თავმჯდომარის მიერ მისი ხელმოწერისა და ოფიციალურად გამოქვეყნების შემდეგ.

რეფერენდუმის შედეგად მიღებულ კანონს ან სხვა აქტს ხელს აწერს და ოფიციალურად აქვეყნებს რესპუბლიკის პრეზიდენტი არა უგვიანეს ხუთი დღისა.

თუ მითითებულ ვადაში რესპუბლიკის პრეზიდენტი ასეთ კანონს ხელს არ მოაწერს და არ გამოაქვეყნებს, კანონი ძალაში შედის სეიმის თავმჯდომარის ხელმოწერისა და ოფიციალურად გამოქვეყნების შემდეგ.

მუხლი 72. სეიმს შეუძლია რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დაბრუნებული კანონის ხელახლა განხილვა და მიღება.

სეიმის მიერ განმეორებით განხილული კანონი მიღებულად ითვლება, თუ მიღებულია რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ წარდგენილი ცვლილებები და დამატებები ან თუ კანონს ხმას მისცემს სეიმის წევრთა ნახევარზე მეტი, ხოლო კონსტიტუციურ კანონს — არანაკლებ სეიმის წევრთა სამი მეხუთედი.

რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდებულია ასეთ კანონებს ხელი მოაწეროს და დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს არა უგვიანეს სამი დღისა.

მუხლი 73. სახელმწიფო თანამდებობის პირებისა (მოსამართლეთა გარდა) და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა მხრიდან თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და ბიუროკრატიზმის შესახებ მოქალაქეთა საჩივრები განიხილება სეიმის ომბუდსმენების მიერ. მათ უფლება აქვთ წინადადებები შეიტანონ სასამართლოში ბრალეული თანამდებობის პირების დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

სეიმის ომბუდსმენთა უფლებამოსილებები დგინდება კანონით. აუცილებლობის შემთხვევაში სეიმი ქმნის კონტროლის სხვა ინსტიტუტებს. მათი სისტემა და უფლებამოსილებები დგინდება კანონით.

მუხლი 74. რესპუბლიკის პრეზიდენტი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეები, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეები, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეები და სეიმის წევრები კონსტიტუციის უხეში დარღვევის ან ფიცის დარღვევისათვის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის ფაქტის გამოვლენის დროს სეიმის წევრთა სამი მეხუთედის უმრავლესობის მიერ შეიძლება გადაყენებულ იქნენ დაკავებული თანამდებობიდან ან ჩამოერთვათ სეიმის წევრის მანდატი. ეს ხორციელდება სეიმის სტატუტით დადგენილი იმპიჩმენტის პროცედურით.

მუხლი 75. სეიმის მიერ დანიშნული ან არჩეული თანამდებობის პირები, გარდა კონსტიტუციის 74-ე მუხლში მითითებული პირებისა, თანამდებობებიდან თავისუფლდებიან სეიმის მიერ სეიმის ყველა წევრის ხმათა უმრავლესობით გამოცხადებული უნდობლობის შემთხვევაში.

მუხლი 76. სეიმის სტრუქტურა და მუშაობის წესი დგინდება სეიმის სტატუტით. სეიმის სტატუტს აქვს კანონის ძალა.

თავი VI. რესპუბლიკის პრეზიდენტი

მუხლი 77. რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური. ის წარმოადგენს ლიტვის სახელმწიფოს და ასრულებს ყველაფერს, რაც კონსტიტუციითა და კანონებით მის ვალდებულებას წარმოადგენს.

მუხლი 78. რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს დაბადებით ლიტვის მოქალაქე, რომელიც ლიტვაში ცხოვრობს არანაკლებ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, თუ მას არჩევნების დღისათვის შეუსრულდა არანაკლებ 40 წელი და თუ შეიძლება არჩეულ იქნეს სეიმის წევრად.

რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეების მიერ ხუთი წლის ვადით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

ერთი და იგივე პირი რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

მუხლი 79. რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრირდება ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც პასუხობს 78-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს და მოაგროვებს არანაკლებ 20 000 ამომრჩეველის ხელმოწერას. რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა რაოდენობა არ არის შეზღუდული.

მუხლი 80. რესპუბლიკის პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ორი თვით ადრე, ბოლო კვირა დღეს.

მუხლი 81. რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელმაც პირველი კენჭისყრის დროს ყველა ამომრჩეველის არანაკლებ ნახევრის მონაწილეობისას მოაგროვა არჩევნებში მონაწილე ყველა ამომრჩეველის ხმათა ნახევარზე მეტი. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა ყველაზე მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ ამომრჩეველთა ხმების ერთი მესამედისა.

თუ კენჭისყრის პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა აუცილებელი რაოდენობა, ორი კვირის შემდეგ ტარდება განმეორებითი კენჭისყრა საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატისთვის. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

თუ პირველ ტურში მონაწილეობდა არა უმეტეს ორი კანდიდატისა და ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ტარდება განმეორებითი არჩევნები.

მუხლი 82. რესპუბლიკის არჩეული პრეზიდენტი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგება რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვის დღიდან მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც ვილნიუსში ხალხის წარმომადგენლების – სეიმის წევრების მონაწილეობით დადებს ფიცს ხალხის წინაშე, რომ იქნება ლიტვის რესპუბლიკისა და კონსტიტუციის ერთგული, კეთილსინდისიერად შეასრულებს თავის მოვალეობებს და ყველას მიმართ ერთნაირად სამართლიანი იქნება.

ფიცს დებს აგრეთვე რესპუბლიკის ხელახლა არჩეული პრეზიდენტი.

რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების აქტს ხელს აწერენ თავად პრეზიდენტი და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას – საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე.

მუხლი 83. რესპუბლიკის პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს სეიმის წევრი, ეკავოს სხვა რომელიმე თანამდებობა და მიიღოს სხვა ანაზღაურება, გარდა პრეზიდენტისათვის დადგენილი ხელფასისა და შემოქმედებითი საქმიანობისთვის გათვალისწინებული ანაზღაურებისა.

რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულმა პირმა უნდა შეაჩეროს თავისი საქმიანობა პოლიტიკურ პარტიებსა და პოლიტიკურ ორგანიზაციებში რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ახალი კამპანიის დაწყებამდე.

მუხლი 84. რესპუბლიკის პრეზიდენტი:

1. წყვეტს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს და მთავრობასთან ერთად ახორციელებს საგარეო პოლიტიკას;

2. ხელს აწერს ლიტვის რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებს და წარადგენს მათ სეიმში სარატიფიკაციოდ;

3. მთავრობის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უცხო სახელმწიფოებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში ლიტვის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებს; იღებს უცხო სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებისა და გამოწვევის სიგელებს; ანიჭებს უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს და სპეციალურ წოდებებს;

4. სეიმის თანხმობით ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ავალებს მას შექმნას მთავრობა და ამტკიცებს მის შემადგენლობას;

5. სეიმის თანხმობით ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრს;

6. ახალი სეიმის არჩევის შემდეგ იღებს მთავრობის უფლებამოსილების მოხსნას და მასვე ავალებს ახალი მთავრობის ფორმირებამდე მოვალეობების შესრულებას;

7. იღებს მთავრობის გადადგომას და აუცილებლობისას ავალებს მას მოვალეობების შემდგომ შესრულებას ან ერთ-ერთ მინისტრს ავალებს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შესრულებას ახალი მთავრობის ფორმირებამდე; იღებს მინისტრთა გადადგომას და შეუძლია მათვე დააკისროს მოვალეობების შესრულება ახალი მინისტრების დანიშვნამდე;

8. მთავრობის გადადგომის ან მისი უფლებამოსილების მოხსნის შემთხვევაში არა უგვიანეს მე-15 დღისა სეიმს განსახილველად წარუდგენს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას;

9. პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს;

10. დადგენილი წესით ნიშნავს და ათავისუფლებს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო თანამდებობის პირებს;

11. სეიმს წარუდგენს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატურებს, ხოლო უზენაესი სასამართლოს ყველა მოსამართლის დანიშვნის შემდეგ მათი შემადგენლობიდან სეიმს დასანიშნად წარუდგენს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურას; ნიშნავს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებს, ხოლო სეიმის მიერ მათი მოწონების შემთხვევაში, მათი შემადგენლო-

ბიდან – სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს; ნიშნავს საოლქო და რეგიონული სასამართლოების მოსამართლეებსა და თავმჯდომარეებს და ცვლის მათ სამუშაო ადგილებს; კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სეიმში შეაქვს წინადადებები მოსამართლეთა გათავისუფლების შესახებ;

12. სეიმს წარუდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს სამი მოსამართლის კანდიდატურას, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა მოსამართლის დანიშვნის შემდეგ მათი შემადგენლობიდან სეიმს დასანიშნად წარუდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურას;

13. სეიმს წარუდგენს სახელმწიფო კონტროლიორისა და ლიტვის ბანკის კოლეგიის თავმჯდომარის კანდიდატურებს; შეუძლია სეიმში შეიტანოს წარდგინება მათ მიმართ უნდობლობის გამოცხადების შესახებ;

14. სეიმის თანხმობით ნიშნავს და ათავისუფლებს ჯარების სარდალსა და უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელს;

15. ანიჭებს უმაღლეს სამხედრო წოდებებს;

16. სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, იღებს გადაწყვეტილებებს შეიარაღებული აგრესიისაგან დაცვის, სამხედრო მდგომარეობის შემოღების, ასევე მობილიზაციის შესახებ და ამ გადაწყვეტილებებს დასამტკიცებლად წარადგენს სეიმის უახლოეს სხდომაზე;

17. კანონით დადგენილი წესით და შემთხვევებში აცხადებს საგანგებო მდგომარეობას და ამ გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად წარადგენს სეიმის უახლოეს სხდომაზე;

18. გამოდის სეიმში ყოველწლიური მოხსენებით ლიტვის მდგომარეობისა და ლიტვის რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ;

19. კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევს სეიმის რიგგარეშე სესიას;

20. აცხადებს სეიმის მორიგ არჩევნებს, ხოლო კონსტიტუციის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სეიმის ვადამდელ არჩევნებს;

21. კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად ანიჭებს ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეობას;

22. ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს;

23. შეიწყალებს მსჯავრდებულთ;

24. ხელს აწერს და აქვეყნებს სეიმის მიერ მიღებულ კანონებს ან კონსტიტუციის 71-ე მუხლით დადგენილი წესით მათ უბრუნებს სეიმს.

მუხლი 85. რესპუბლიკის პრეზიდენტი მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოსცემს აქტებს – დეკრეტებს. კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3, მე-15, მე-17 და 21-ე პუნქტებში მითითებული რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტებისათვის ძალის მისანიჭებლად ისინი ხელმოწერილ უნ-

და იქნეს პრემიერ-მინისტრის ან შესაბამისი მინისტრის მიერ. პასუხისმგებლობა ასეთ დეკრეტზე ეკისრება მის ხელმომწერ პრემიერ-მინისტრს ან მინისტრს.

მუხლი 86. რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელშეუხებელია: თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემა.

რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიძლება ვადამდე იქნეს თანამდებობიდან გადაყენებული მხოლოდ კონსტიტუციის ან ფიცის უხეში დარღვევის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში. რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს წყვეტს სეიმი იმპიჩმენტის პროცედურით.

მუხლი 87. კონსტიტუციის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ სეიმის ვადამდელი არჩევნების გამოცხადებისას, ახლადარჩეულ სეიმს პირველი სხდომიდან 30 დღის განმავლობაში წევრთა სამი მეხუთედის უმრავლესობით შეუძლია გამოაცხადოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების შესახებ.

რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელმაც გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, შეუძლია მაშინვე დარეგისტრირდეს კანდიდატის სახით.

ასეთ არჩევნებზე განმეორებით არჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტი ითვლება უფლებამოსილების მეორე ვადით არჩეულად, თუ არჩევნებამდე მისი უფლებამოსილების პირველი ვადის შემდეგ გავიდა სამი წელი. თუ მისი პირველი უფლებამოსილების ვადის შემდეგ გავიდა სამ წელზე ნაკლები, რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა მხოლოდ პირველი უფლებამოსილებიდან დარჩენილი ვადით, რაც არ ითვლება უფლებამოსილების მეორე ვადად.

თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნები ცხადდება მისი უფლებამოსილების მეორე ვადის დროს, მაშინ რესპუბლიკის ეს პრეზიდენტი შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ მეორე უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

მუხლი 88. რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებები წყდება შემდეგ შემთხვევებში:

1. არჩევის ვადის გასვლის შემდეგ;
2. რესპუბლიკის პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების ჩატარებისას;
3. დაკავებული თანამდებობიდან გადაყენებისას;
4. რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდაცვალებისას;
5. სეიმის მიერ იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებისას;
6. თუ სეიმი საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის გათვალისწინებით, სეიმის ყველა წევრის სამი მეხუთედის ხმათა უმრავლესობით მიიღებს დადგენილებას, რომლითაც ადგენს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს მას თავისი მოვალეობების შესრულების შესაძლებლობას.

მუხლი 89. რესპუბლიკის პრეზიდენტის სიკვდილის, თანამდებობიდან გადადგომის, იმპიჩმენტის წესით გადაყენების ან რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თავისი მოვალეობების შესრულების შეუძლებლობის შესახებ სეიმის დადგენილების მიღების შემთხვევებში მის მოვალეობებს დროებით ასრულებს სეიმის თავმჯდომარე. ასეთ შემთხვევაში სეიმის თავმჯდომარეს ჩამოერთმევა თავისი უფლებამოსილებები სეიმში, სადაც მის მოვალეობებს სეიმის დავალებით დროებით შეასრულებს მისი მოადგილე. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში სეიმი ვალდებულია არა უგვიანეს 10 დღის ვადაში დანიშნოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც უნდა ჩატარდეს არა უგვიანეს ორი თვის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ სეიმი ვერ შეძლებს შეკრებასა და არჩევნების დანიშვნას, არჩევნებს ნიშნავს მთავრობა.

რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელიც დროებით გაემგზავრა საზღვარგარეთ ან ავად გახდა და ამასთან დაკავშირებით არ შეუძლია თავისი მოვალეობების შესრულება, ამ ვადით ცვლის სეიმის თავმჯდომარე.

პრეზიდენტის დროებით შემცვლელ სეიმის თავმჯდომარეს არ შეუძლია სეიმის ვადამდელი არჩევნების გამოცხადება, სეიმის თანხმობის გარეშე მინისტრების გათავისუფლება ან დანიშვნა. ამ პერიოდში სეიმმა არ შეიძლება განიხილოს სეიმის თავმჯდომარისადმი უნდობლობის გამოცხადების საკითხი.

დაუშვებელია რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებების რომელიმე სხვა შემთხვევაში ან სხვა პირის ან დაწესებულების მიერ განხორციელება.

მუხლი 90. რესპუბლიკის პრეზიდენტს აქვს რეზიდენცია. რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მისი რეზიდენციის დაფინანსება დგინდება კანონით.

თავი VII. ლიტვის რესპუბლიკის მთავრობა

მუხლი 91. ლიტვის რესპუბლიკის მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან.

მუხლი 92. პრემიერ-მინისტრს სეიმის თანხმობით ნიშნავს და ათავისულებს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მინისტრებს პრემიერ-მინისტრის წარდგენით ნიშნავს და ათავისუფლებს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

პრემიერ-მინისტრი მისი დანიშვნიდან არა უგვიანეს 15 დღის ვადაში სეიმს წარუდგენს მის მიერ ფორმირებულ და პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ მთავრობას და განსახილველად წარუდგენს სამთავრობო პროგრამას.

მთავრობა თავის უფლებამოსილებას იხსნის რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე სეიმის არჩევნების შემდეგ ან პრეზიდენტის არჩევის შემთხვევაში.

ახალი მთავრობა თავისი საქმიანობის განსახორციელებლად უფლებამოსილებას იღებს სეიმის სხდომებში მონაწილე სეიმის წევრთა ხმების უმრავლესობით მისი პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში.

მუხლი 93. უფლებამოსილების დაწყებამდე პრემიერ-მინისტრი და მინისტრები სეიმში დებენ ფიცს, რომ უერთგულებენ ლიტვის რესპუბლიკას, დაიცავენ კონსტიტუციასა და კანონებს. ფიცის ტექსტი დგინდება მთავრობის შესახებ კანონით.

მუხლი 94. ლიტვის რესპუბლიკის მთავრობა:

1. მართავს ქვეყნის საქმეებს, იცავს ლიტვის რესპუბლიკის ტერიტორიულ ხელშეუხებლობას, უზრუნველყოფს სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგს;
2. ცხოვრებაში ატარებს კანონებსა და კანონისა და პრეზიდენტის დეკრეტების განხორციელების შესახებ სეიმის დადგენილებებს;
3. ახდენს სამინისტროებისა და სხვა სამთავრობო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაციას;
4. ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და შეაქვს ის სეიმში; ასრულებს სახელმწიფო ბიუჯეტს, წარუდგენს სეიმს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;
5. შეიმუშავებს კანონპროექტებს და სეიმში შეაქვს განსახილველად;
6. ამყარებს დიპლომატიურ ურთიერთობებს და მხარს უჭერს კავშირებს უცხო სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
7. ასრულებს კონსტიტუციითა და სხვა კანონებით მთავრობისათვის დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

მუხლი 95. ლიტვის რესპუბლიკის მთავრობა ყველა წევრის ხმათა უმრავლესობით წყვეტს სახელმწიფო მმართველობის საკითხებს სხდომებზე დადგენილებების მიღების გზით. მთავრობის სხდომებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ასევე სახელმწიფო კონტროლიორს.

მთავრობის დადგენილებებს ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი და შესაბამისი დარგის მინისტრი.

მუხლი 96. ლიტვის რესპუბლიკის მთავრობა მთავრობის საერთო საქმიანობისათვის სოლიდარულად არის პასუხისმგებელი სეიმის წინაშე.

მინისტრები, რომლებიც მათთვის დაკისრებული სფეროების მართვას ახორციელებენ, პასუხისმგებელი არიან სეიმისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე და უშუალოდ ექვემდებარებიან პრემიერ-მინისტრს.

მუხლი 97. პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას და ხელმძღვანელობს მის საქმიანობას.

პრემიერ-მინისტრის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგენით, არა უმეტეს 60 დღის ვადით, ერთ-ერთ მინისტრს ავალებს მის შეცვლას, ხოლო ასეთი წარდგენის არარსებობის შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტი ერთ-ერთ მინისტრს ავალებს პრემიერ-მინისტრის შეცვლას.

მუხლი 98. მინისტრი ხელმძღვანელობს სამინისტროს, წყვეტს სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს, აგრეთვე ასრულებს კანონით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

მინისტრის დროებით შეცვლა შეუძლია მხოლოდ პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნულ მთავრობის სხვა წევრს.

მუხლი 99. პრემიერ-მინისტრსა და მინისტრებს არ შეუძლიათ დაიკავონ სხვა რომელიმე არჩევითი ან დანიშვნითი თანამდებობები, იმუშაონ სამეწარმეო, კომერციულ ან სხვა კერძო დაწესებულებებში ან ორგანიზაციებში, აგრეთვე მიიღონ სხვა ანაზღაურება, გარდა მთავრობაში მათი თანამდებობის შესაბამისად დადგენილი ხელფასისა და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის გათვალისწინებული ანაზღაურებისა.

მუხლი 100. დაუშვებელია პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაპატიმრება, თავისუფლების სხვა სახით შეზღუდვა სეიმის წინასწარი თანხმობის გარეშე, ხოლო სეიმის სესიებს შორის პერიოდში — რესპუბლიკის პრეზიდენტის წინასწარი თანხმობის გარეშე.

მუხლი 101. სეიმის მოთხოვნით მთავრობამ ან ცალკეულმა მინისტრებმა სეიმს უნდა წარუდგინონ თავიანთი საქმიანობის ანგარიში.

თუ იცვლება მინისტრთა ნახევარზე მეტი, მთავრობის უფლებამოსილება ხელახლა უნდა დაადასტუროს სეიმმა. წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა უნდა გადადგეს.

მთავრობა ვალდებულია გადადგეს ასევე შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ სეიმი ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცებს ახლადარჩეული მთავრობის პროგრამას;

2. თუ სეიმი წევრთა ხმების უმრავლესობით ფარული კენჭისყრით უნდობლობას გამოუცხადებს მთავრობას ან პრემიერ-მინისტრს;

3. პრემიერ-მინისტრის სიკვდილის ან გადადგომის შემთხვევაში;

4. სეიმის არჩევნების შემდეგ, როდესაც ყალიბდება ახალი მთავრობა.

მინისტრი ვალდებულია გადადგეს სეიმის წევრთა ნახევარზე მეტის მიერ მისთვის ფარული კენჭისყრით უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში.

მთავრობის ან მინისტრის გადადგომას იღებს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

თავი VIII. საკონსტიტუციო სასამართლო

მუხლი 102. საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებებს კანონებისა და სეიმის სხვა აქტების კონსტიტუციასთან, აგრეთვე რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის აქტების კონსტიტუციასა და კანონებთან შესაბამისობის შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსი და უფლებამოსილების განხორციელების წესი დგინდება საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ლიტვის რესპუბლიკის კანონით.

მუხლი 103. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა წლით მხოლოდ ერთი უფლებამოსილების ვადით დანიშნული ცხრა მოსამართლისაგან. საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა ყოველ სამ წელიწადში ერთი მესამედით განახლდება. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატებს დაასახელებს სეიმი, რომელთაგან სამი წარმოდგენილი უნდა იყოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, სამი — სეიმის თავმჯდომარის, ხოლო სამი — უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით ამ სასამართლოს მოსამართლეთაგან ნიშნავს სეიმი.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებად შეიძლება დაინიშნონ უმწიკვლო რეპუტაციის მქონე ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეები, რომელთაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება და იურისტის სპეციალობით ან იურიდიულ სფეროში სამეცნიერო თუ პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება.

მუხლი 104. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს დამოუკიდებელი არიან რომელიმე სახელმწიფო დაწესებულების, პირის ან ორგანიზაციისაგან და ხელმძღვანელობენ მხოლოდ ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციით.

თავიანთი მოვალეობის შესრულების დაწყებამდე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები სეიმში დებენ ლიტვის რესპუბლიკისა და კონსტიტუციისადმი ერთგულების ფიცს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე ვრცელდება სასამართლოების მოსამართლეთათვის დადგენილი შრომითი და პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები სარგებლობენ სეიმის წევრების მსგავსი ხელშეუხებლობის უფლებით.

მუხლი 105. საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს ლიტვის რესპუბლიკის კანონებისა და სეიმის მიერ მიღებული სხვა აქტების ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლო ასევე განიხილავს შემდეგი აქტების კონსტიტუციასა და კანონებთან შესაბამისობას:

1. რესპუბლიკის პრეზიდენტის აქტების;

2. რესპუბლიკის მთავრობის აქტების.

საკონსტიტუციო სასამართლო იძლევა დასკვნას:

1. რესპუბლიკის პრეზიდენტის ან სეიმის წევრთა არჩევნების დროს დაირღვა თუ არა საარჩევნო კანონები;

2. იძლევა თუ არა რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა მის მიერ მოვალეობების შემდგომი შესრულების შესაძლებლობას;

3. ეწინააღმდეგება თუ არა ლიტვის რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებები კონსტიტუციას;

4. ეწინააღმდეგება თუ არა კონსტიტუციას იმ სეიმის წევრებისა და სახელმწიფო თანამდებობის პირების კონკრეტული მოქმედებები, რომელთა მიმართაც აღძრულია საქმე იმპიჩმენტის წესით.

მუხლი 106. 105-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ აქტებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება გააჩნია მთავრობას, სეიმის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედსა და სასამართლოებს.

რესპუბლიკის პრეზიდენტის აქტების კონსტიტუციასა და კანონებთან შესაბამისობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება გააჩნიათ სეიმის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედსა და სასამართლოებს.

მთავრობის აქტების კონსტიტუციასა და კანონებთან შესაბამისობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლიათ სეიმის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, სასამართლოებსა და რესპუბლიკის პრეზიდენტს.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინება ან სეიმის დადგენილება აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის განხილვის შესახებ აჩერებს ამ აქტის მოქმედებას.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის დასკვნის მიღების შესახებ თხოვნით მიმართვა შეუძლია სეიმს, ხოლო სეიმის არჩევნებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ — ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტს.

საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს საქმის განხილვაზე ან დასკვნის მომზადებაზე უარის თქმის უფლება, თუ მიმართვა არ არის დაფუძნებული სამართლებრივ მოტივებზე.

მუხლი 107. ლიტვის რესპუბლიკის კანონი (ან მისი ნაწილი), სეიმის სხვა აქტი (ან მისი ნაწილი), რესპუბლიკის პრეზიდენტის აქტი ან მთავრობის აქტი (ან მისი ნაწილი) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციასთან (ან მის ნაწილთან) შესაბამისი აქტის შესაბამისობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები კონსტიტუციით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე კონსტიტუციის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულ საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სეიმი.

მუხლი 108. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა უფლებამოსილება წყდება:

1. უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას;
2. გარდაცვალებისას;
3. გადადგომისას;
4. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოვალეობის შესრულების შეუძლებლობისას;
5. სეიმის მიერ იმპიჩმენტის წესით თანამდებობებიდან გადაყენებისას.

თავი IX. სასამართლო

მუხლი 109. ლიტვის რესპუბლიკაში სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ სასამართლოების მიერ.

მოსამართლეები და სასამართლოები სამართალწარმოების განხორციელების დროს დამოუკიდებელი არიან.

მოსამართლეები საქმეთა განხილვის დროს ექვემდებარებიან მხოლოდ კანონს.

სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს ლიტვის რესპუბლიკის სახელით.

მუხლი 110. მოსამართლეს არ შეუძლია გამოიყენოს კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

იმ შემთხვევებში, თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ კონკრეტულ საქმეზე გამოსაყენებელი კანონი ან სხვა სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მოსამართლე აჩერებს ამ საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს თხოვნით, გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ კანონის ან სხვა სამართლებრივი აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 111. ლიტვის რესპუბლიკის სასამართლოებია: ლიტვის უზენაესი სასამართლო, ლიტვის სააპელაციო სასამართლო, რეგიონული და საოლქო სასამართლოები.

ადმინისტრაციული, შრომის, საოჯახო საქმეებისა და სხვა კატეგორიის საქმეების განსახილველად კანონის შესაბამისად შეიძლება დაფუძნდეს სპეციალიზებული სასამართლოები.

საგანგებო უფლებამოსილებების მქონე სასამართლოები არ შეიძლება დაფუძნდეს ლიტვის რესპუბლიკაში მშვიდობიან დროს.

სასამართლოთა შემადგენლობა და კომპეტენცია დგინდება სასამართლოების შესახებ ლიტვის რესპუბლიკის კანონით.

მუხლი 112. ლიტვაში მოსამართლეები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეები. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, ხოლო მათი შემადგენლობიდან — თავმჯდომარე ინიშნებიან და თავისუფლდებიან სეიმის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით.

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები, ხოლო მათი შემადგენლობიდან თავმჯდომარე, ინიშნებიან და თავისუფლდებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ სეიმის თანხმობით.

რეგიონული, საოლქო და სპეციალიზებული სასამართლოების მოსამართლეთა და თავმჯდომარეთა დანიშვნა და მათი სამუშაო ადგილების შეცვლა ხდება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ.

მოსამართლეთა დანიშვნის, დაწინაურების, გადაყვანის ან დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ რესპუბლიკის პრეზიდენტს რჩევებს აძლევს კანონით გათვალისწინებული სპეციალური სასამართლო დაწესებულება.

მოსამართლედ დანიშნული პირი კანონით დადგენილი წესით დებს ფიცს ლიტვის რესპუბლიკის დაცვისა და სამართალწარმოების მხოლოდ კანონის შესაბამისად განხორციელების შესახებ.

მუხლი 113. მოსამართლეს არ შეუძლია დაიკავოს რაიმე სხვა არჩევითი ან დანიშვნითი თანამდებობა, იმუშაოს სამეწარმეო, კომერციულ ან სხვა კერძო დაწესებულებებში ან ორგანიზაციებში. მას ასევე არ შეუძლია მიიღოს რაიმე სხვა ანაზღაურება, გარდა მოსამართლისთვის დანიშნული ხელფასისა და პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის გათვალისწინებული ანაზღაურებისა.

მოსამართლეს არ შეუძლია მონაწილეობდეს პოლიტიკური პარტიების ან სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობაში.

მუხლი 114. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ინსტიტუტების, სეიმის წევრებისა და სხვა თანამდებობის პირების, პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ჩარევა მოსამართლის ან სასამართლოს საქმიანობაში აკრძალულია და იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

არ შეიძლება მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დასტიმრება ან თავისუფლების სხვა გზით შეზღუდვა სეიმის თანხმობის გარეშე, ხოლო სეიმის სესიებს შორის პერიოდში — ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანხმობის გარეშე.

მუხლი 115. ლიტვის რესპუბლიკის სასამართლოთა მოსამართლეები თანამდებობიდან თავისუფლდებიან კანონით გათვალისწინებული წესით შემდეგ შემთხვევებში:

1. საკუთარი სურვილით;

2. უფლებამოსილების ვადის ამოწურვის ან კანონით დადგენილი საპენსიო ასაკის მიღწევისას;

3. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;

4. მათი სხვა თანამდებობაზე არჩევის ან მათი თანხმობით სხვა სამუშაოზე გადაყვანისას;

5. მოსამართლის წოდებისათვის სახელის გამტეხი საქციელის ჩადენის შემთხვევაში;

6. მათ მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში.

მუხლი 116. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეები, აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეები, კონსტიტუციის უხეში დარღვევის ან ფიცის დარღვევისათვის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში შეიძლება გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან სეიმის მიერ იმპიჩმენტის წესით.

მუხლი 117. საქმეების განხილვა ყველა სასამართლოში წარმოებს ღიად. სასამართლოს სხდომა შეიძლება დაიხუროს ადამიანის პირადი ან ოჯახური ცხოვრების საიდუმლოების დაცვის მიზნით, აგრეთვე, თუ საქმის ღიად განხილვის დროს შეიძლება გახმაურდეს სახელმწიფო, პროფესიული ან კომერციული საქმიანობა.

ლიტვის რესპუბლიკაში სამართალწარმოება მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე.

ლიტვური ენის არმცოდნე პირებს გარანტირებული აქვთ საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში თარჯიმნის მეშვეობით მონაწილეობა.

მუხლი 118. პროკურორი აღძრავს სისხლის სამართლის საქმეებს, ხელმძღვანელობს გამოძიებას და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პროკურორი იცავს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

უფლებამოსილების განხორციელებისას პროკურორი დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.

ლიტვის რესპუბლიკის პროკურატურა მოიცავს გენერალურ პროკურატურასა და ტერიტორიულ პროკურატურებს.

გენერალურ პროკურორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რესპუბლიკის პრეზიდენტი სენატის თანხმობით.

პროკურორების დანიშვნისა და გათავისუფლების წესი და მათი სტატუსი დგინდება კანონით.

თავი X. ადგილობრივი თვითმმართველობა და მმართველობა

მუხლი 119. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება გარანტირებული აქვთ კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ერთეულებს. ის ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალური საბჭოების მეშვეობით.

ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეებსა და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში სხვა მუდმივად მცხოვრებ პირებს უფლება აქვთ, კანონის საფუძველზე, ოთხი წლის ვადით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით აირჩიონ მუნიციპალური საბჭოების წევრები ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეებისა და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მუდმივად მცხოვრებ სხვა პირთა რიცხვიდან.

მუნიციპალური დაწესებულებების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი დგინდება კანონით.

ლიტვის რესპუბლიკის კანონების, მთავრობისა და მუნიციპალური საბჭოების დადგენილებების უშუალოდ განხორციელების მიზნით მუნიციპალური საბჭო ქმნის მის წინაშე ანგარიშვალდებულ აღმასრულებელ ორგანოს.

მუხლი 120. სახელმწიფო მხარს უჭერს მუნიციპალიტეტებს.

კონსტიტუციითა და კანონებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში მუნიციპალიტეტები მოქმედებენ თავისუფლად და დამოუკიდებლად.

მუხლი 121. მუნიციპალიტეტები ადგენენ და ამტკიცებენ თავიანთ ბიუჯეტს.

მუნიციპალურ საბჭოებს უფლება აქვთ კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში და წესით დაადგინონ ადგილობრივი მოსაკრებლები, თავიანთი ბიუჯეტის ხარჯზე გაითვალისწინონ გადასახადებსა და მოსაკრებლებზე შეღავათები.

მუხლი 122. მუნიციპალურ საბჭოებს უფლება აქვთ თავიანთი უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით მიმართონ სასამართლოს.

მუხლი 123. უმაღლესი დონის ადმინისტრაციულ ერთეულებში მმართველობის ორგანიზება ხდება მთავრობის მიერ კანონით დადგენილი წესით.

მუნიციპალიტეტების მიერ კონსტიტუციისა და კანონის დაცვასა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულებაზე ზედამხედველობა ხორციელდება მთავრობის მიერ დანიშნული წარმომადგენლების მიერ.

მთავრობის წარმომადგენლის უფლებამოსილებები და მათი განხორციელების წესი დგინდება კანონით.

კანონით დადგენილი წესით და შემთხვევებში მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე სეიმმა შეიძლება დროებით შემოიღოს პირდაპირი მმართველობა.

მუხლი 124. მუნიციპალური საბჭოების, მათი აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების აქტები და მოქმედებები, რომლებიც არღვევენ მოქალაქეებისა და ორგანიზაციების უფლებებს, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

თავი XI. ფინანსები და სახელმწიფო ბიუჯეტი

მუხლი 125. ლიტვის რესპუბლიკაში ცენტრალური ბანკია ლიტვის ბანკი, რომელიც საკუთრების უფლებით ეკუთვნის ლიტვის სახელმწიფოს.

ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ლიტვის ბანკს.

ლიტვის ბანკის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი, ასევე მისი უფლებამოსილება დგინდება კანონით.

მუხლი 126. ლიტვის ბანკს ხელმძღვანელობს ბანკის კოლეგია, რომელიც შედგება თავმჯდომარის, თავმდომარის მოადგილეებისა და წევრებისაგან.

ლიტვის ბანკის კოლეგიის თავმჯდომარეს 5 წლის ვადით, რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს სეიმი.

მუხლი 127. ლიტვის საბიუჯეტო სისტემას შეადგენენ ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი, ასევე დამოუკიდებელი მუნიციპალური ბიუჯეტები.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირება ხდება გადასახადების, საეალდებულო ფულადი გადასახდელების, მოსაკრებლების, სახელმწიფო ქონების შემოსავლებისა და სხვა შენატანების ხარჯზე.

გადასახადები და სხვა საბიუჯეტო გადასახდელები და მოსაკრებლები დგინდება ლიტვის რესპუბლიკის კანონებით.

მუხლი 128. სახელმწიფო სესხისა და სახელმწიფოს სხვა არსებითი ქონებრივი ვალდებულებების შესახებ გადაწყეეტილებები მიიღება სეიმის მიერ მთავრობის წინადადებით.

სახელმწიფო ქონების მართვის, სარგებლობისა და განკარგვის წესი დგინდება კანონით.

მუხლი 129. საბიუჯეტო წელი იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს.

მუხლი 130. მთავრობა ადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, რომელიც სეიმში შეაქვს საბიუჯეტო წლის დასრულებამდე არა უგვიანეს 75-ე დღისა.

მუხლი 131. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს განიხილავს და ამტკიცებს სეიმი კანონით ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე.

ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს სეიმს შეუძლია გაზარდოს ხარჯები მხოლოდ ამ ხარჯების დაფინანსების წყაროების მითითებით. აღნიშნულ კანონებში ცვლილებების შეტანამდე არ შეიძლება კანონით გათვალისწინებული ხარჯების შემცირება.

მუხლი 132. თუ სახელმწიფო ბიუჯეტი განსაზღვრულ ვადაში არ დამტკიცდა, მისი ხარჯები საბიუჯეტო წლის დასაწყისში ყოველთვიურად არ შეიძლება აღემატებოდეს წინა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მეთორმეტედს.

საბიუჯეტო წლის განმავლობაში სეიმს შეუძლია ცვლილებები შეიტანოს ბიუჯეტში. ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანება მისი შედგენის, მიღებისა და დამტკიცების წესის მსგავსად. აუცილებლობის შემთხვევაში სეიმს შეუძლია დაამტკიცოს დამატებითი ბიუჯეტი.

თავი XII. სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 133. სახელმწიფო კონტროლის სისტემა და უფლებამოსილება დგინდება კანონით.

სახელმწიფო კონტროლს ხელმძღვანელობს სახელმწიფო კონტროლიორი, რომელიც ინიშნება რესპულიკის პრეზიდენტის წარდგინებით სეიმის მიერ ხუთი წლის ვადით.

სახელმწიფო კონტროლიორი უფლებამოსილების დაწყებისას დებს ფიცს. ფიცი დგინდება კანონით.

მუხლი 134. სახელმწიფო კონტროლიორი ახორციელებს ზედამხედველობას სახელმწიფოს ქონების მართვისა და გამოყენების კანონიერებასა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე.

სახელმწიფო კონტროლიორი სეიმს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს.

თავი XIII. საგარეო პოლიტიკა და სახელმწიფოს დაცვა

მუხლი 135. ლიტვის რესპუბლიკა საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, ისწრაფვის სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის, მოქალაქეთა კეთილდღეობისა და მათი ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფისკენ, მონაწილეობს სამართალსა და მართლმსაჯულებაზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის შექმნაში.

ლიტვის რესპუბლიკაში ომის პროპაგანდა აკრძალულია.

მუხლი 136. ლიტვის რესპუბლიკა მონაწილეობს საერთაშორისო ორგანიზაციებში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებსა და მის დამოუკიდებლობას.

მუხლი 137. ლიტვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ შეიძლება იყოს მასობრივი განადგურების იარაღი და სხვა სახელმწიფოთა სამხედრო ბაზები.

მუხლი 138. სეიმი ახდენს ლიტვის რესპუბლიკის შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებასა და დენონსირებას:

1. ლიტვის რესპუბლის სახელმწიფოს საზღვრის შეცვლის შესახებ;
2. უცხო სახელმწიფოებთან პოლიტიკური თანამშრომლობის, ურთიერთდახმარებისა და სახელმწიფოს თავდაცვასთან დაკავშირებული თავდაცვის ხასიათის ხელშეკრულებების;
3. ძალის გამოყენების ან ძალით დამუქრებაზე უარის თქმის შესახებ, ასევე სამშვიდობო ხელშეკრულებების;
4. ლიტვის რესპუბლიკის სამხედრო ძალების უცხო სახელმწიფოების ტერიტორიაზე ყოფნისა და სტატუსის შესახებ;
5. ლიტვის რესპუბლიკის უნივერსალურ და რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციებში მონაწილეობის შესახებ;
6. მრავალმხრივი ან გრძელვადიანი ეკონომიკური ხელშეკრულებების.

კანონებით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ლიტვის რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების სეიმის მიერ რატიფიკაციის სხვა შემთხვევებიც.

ლიტვის რესპუბლიკის სეიმის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები წარმოადგენს ლიტვის რესპუბლიკის სამართლებრივი სისტემის ნაწილს.

მუხლი 139. შეიარაღებული გარე თავდასხმისაგან ლიტვის რესპუბლიკის დაცვა არის ლიტვის რესპუბლიკის ყოველი მოქალაქის უფლება და ვალდებულება.

კანონით დადგენილი წესით ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეები ვალდებული არიან გაიარონ სამხედრო ან ეროვნული თავდაცვის ალტერნატიული სამსახური.

ეროვნული თავდაცვის ორგანიზაცია დგინდება კანონით.

მუხლი 140. სახელმწიფო თავდაცვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვასა და კოორდინირებას ახდენს სახელმწიფო თავდაცვის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან რესპუბლიკის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, სეიმის თავმჯდომარე, ეროვნული თავდაცვის მინისტრი და შეიარაღებული ჯარების სარდალი. სახელმწიფო თავდაცვის საბჭოს ხელმძღვანელობს რესპუბლიკის პრეზი-

ღენტი. მისი შექმნის, საქმიანობის წესი და უფლებამოსილება დგინდება კანონით.

ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

სამხედრო ძალების მართვასა და ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებლობა სეიმის წინაშე ეკისრება მთავრობას, ეროვნული თავდაცვის მინისტრსა და სამხედრო ჯარების სარდალს. ეროვნული თავდაცვის მინისტრი უნდა იყოს მოქმედი სამხედრო მოსამსახურე.

მუხლი 141. პირები, რომლებიც გადიან მოქმედ სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურს, აგრეთვე ეროვნული თავდაცვის სისტემის, პოლიციისა და შინაგანი სამსახურის არგადამდგარი სამხედრო მოსამსახურეები, სერჟანტთა შემადგენლობა, ზევადიანი მოსამსახურეები, სხვა გასამხედროებული სამსახურებისა და უშიშროების სამსახურების ანაზღაურებადი თანამდებობის პირები არ შეიძლება იყვნენ სეიმის წევრები და მუნიციპალური საბჭოების წევრები. მათ არ შეუძლიათ დაიკავონ არჩევითი ან დანიშვნითი თანამდებობები სახელმწიფო საჯარო სამსახურში, მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობაში.

მუხლი 142. სეიმი აცხადებს სამხედრო მდგომარეობას, მობილიზაციასა და დემობილიზაციას, იღებს გადაწყვეტილებას სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ ქვეყნის თავდაცვის ან ლიტვის რესპუბლიკის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების აუცილებლობის შემთხვევაში.

შეიარაღებული თავდასხმის დროს, სუვერენიტეტის ან სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მუქარის წარმოშობისას, რესპუბლიკის პრეზიდენტი დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას შეიარაღებული აგრესიისაგან დაცვის შესახებ, შემოაქვს სამხედრო მდგომარეობა მთელს სახელმწიფოში ან მის ნაწილში, აცხადებს მობილიზაციას და ეს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად შეაქვს სეიმის უახლოეს სხდომაზე, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — დაუყოვნებლივ იწვევს სეიმის რიგგარეშე სესიას. სეიმი ამტკიცებს ან აუქმებს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას.

მუხლი 143. თუ სამხედრო მოქმედების დროს უნდა ჩატარდეს მორიგი არჩევნები, სეიმი ან რესპუბლიკის პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას სეიმის, რესპუბლიკის პრეზიდენტის ან მუნიციპალური საბჭოების უფლებამოსილების გაგრძელების შესახებ. ასეთ შემთხვევაში არჩევნები ინიშნება ომის დამთავრებიდან არა უგვიანეს სამი თვის ვადაში.

მუხლი 144. სახელმწიფოში კონსტიტუციური წყობის ან საზოგადოების შშვიდობისადმი საფრთხის წარმოშობისას სეიმს შეუძლია სახელმწიფოს მთელ

ტერიტორიაზე ან მის ნაწილში შემოიღოს საგანგებო მდგომარეობა. მისი ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს ექვს თვეს.

სეიმის სესიებს შორის პერიოდში, გადაუდებელ შემთხვევებში ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელიც ამ საკითხის განსახილველად ამავდროულად იწვევს სეიმის სესიას. სეიმი ამტკიცებს ან უარყოფს რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას.

საგანგებო მდგომარეობა რეგულირდება კანონით.

მუხლი 145. საომარი ან საგანგებო მდგომარეობის შემოღების დროს დროებით შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციის 22-ე, 24-ე, 25-ე, 32-ე, 35-ე და 36-ე მუხლებში მითითებული უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 146. სახელმწიფო მეურვეობს და ეხმარება მეომრებს, რომელთაც სამხედრო სამსახურის გაელის დროს დაკარგეს ჯანმრთელობა, აგრეთვე სამხედრო სამსახურის გაელის დროს მოკლული ან გარდაცვლილი მეომრების ოჯახებს.

სახელმწიფო უზრუნველყოფს იმ მოქალაქეებსაც, რომელთაც დაკარგეს ჯანმრთელობა სახელმწიფოს თავდაცვაში მონაწილეობის შედეგად, აგრეთვე სახელმწიფოს თავდაცვაში მონაწილეობის შედეგად მოკლული ან გარდაცვლილი მოქალაქეების ოჯახებს.

თავი IV. კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 147. ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ წინადადების სეიმში შეტანის უფლება აქვთ სეიმის წევრთა ჯგუფს სეიმის წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი მეოთხედისა ან არანაკლებ 300 ათას ამომრჩეველს.

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს კონსტიტუციაში შესწორებების შეტანა არ შეიძლება.

მუხლი 148. კონსტიტუციის I მუხლის დებულება „ლიტვის სახელმწიფო არის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა" შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ რეფერენდუმის შედეგად, თუ ამას მხარს დაუჭერს საარჩევნო უფლების მქონე ლიტვის მოქალაქეთა არანაკლებ სამი მეოთხედისა.

მხოლოდ რეფერენდუმის შედეგად შეიძლება შეიცვალოს I თავის „ლიტვის სახელმწიფო" და XIV თავის „კონსტიტუციის გადასინჯვა" დებულებები.

კონსტიტუციის სხვა თავებში შესწორებები სეიმში განიხილება და კენჭისყრაზე დგება ორჯერ. ამ კენჭისყრებს შორის უნდა იყოს არანაკლებ სამთვიანი შესვენება. კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტი სეიმის მიერ მი-

ღებულად ჩაითვლება, თუ თითოეული კენჭისყრის დროს მას ხმას მისცემს სეიმის წევრთა არანაკლებ ორი მესამედისა.

კონსტიტუციის მიუღებელი შესწორება სეიმს შეიძლება წარედგინოს ხელახალი განხილვისათვის არანაკლებ ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 149. კონსტიტუციის შესწორების შესახებ მიღებულ კანონს ხელს აწერს რესპუბლიკის პრეზიდენტი და იგი ოფიციალურად ქვეყნდება არა უგვიანეს ხუთი დღის ვადაში.

თუ მითითებულ ვადაში რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს არ მოაწერს და არ გამოაქვეყნებს კანონს, მაშინ იგი ძალაში შედის სეიმის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერისა და გამოქვეყნების შემდეგ.

კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონი ძალაში შედის მისი მიღებიდან არანაკლებ ერთი თვის ვადაში.

დასკვნითი დებულებები

მუხლი 150. ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილებია:

1991 წლის 11 თებერვლის კონსტიტუციური კანონი „ლიტვის სახელმწიფოს შესახებ“;

1992 წლის 8 ივნისის კონსტიტუციური აქტი „ლიტვის რესპუბლიკის პოსტსაბჭოთა აღმოსავლურ კავშირებთან მიუერთებლობის შესახებ“;

1992 წლის 25 ოქტომბრის კანონი „ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალაში შესვლის პროცედურის შესახებ“;

2004 წლის 13 ივლისის კონსტიტუციური აქტი „ევროკავშირში ლიტვის რესპუბლიკის წევრობის შესახებ“.

მუხლი 151. ლიტვის რესპუბლიკის ეს კონსტიტუცია ამოქმედდება რეფერენდუმის შედეგების ოფიციალური გამოქვეყნებიდან მეორე დღეს, იმ პირობით, თუ მას რეფერენდუმზე დაამტკიცებს საარჩევნო უფლების მქონე ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეთა ნახევარზე მეტი.

მუხლი 152. ამ კონსტიტუციისა და მისი ცალკეული დებულებების ამოქმედების წესი განისაზღვრება ლიტვის რესპუბლიკის კანონით „ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალაში შესვლის წესის შესახებ“, რომელიც მიიღება რეფერენდუმის შედეგად ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციასთან ერთად.

მუხლი 153. ლიტვის რესპუბლიკის ამ კონსტიტუციის რეფერენდუმის შედეგად მიღების შემთხვევაში 1993 წლის 25 ოქტომბრამდე ლიტვის რესპუბლიკის სეიმის მიერ სეიმის წევრთა ხმების სამი მეხუთედის უმრავლესობით შეიძლება შეიცვალოს ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის 47-ე, 55-ე, 56-ე მუხლებით,

58-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 პუნქტით, 65-ე, 68-ე და 69-ე მუხლებით, 84-ე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტებით, 87-ე მუხლის პირველი ნაწილით, 96-ე, 103-ე და 118-ე მუხლებით, 119-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დებულებები.

მუხლი 154. რეფერენდუმის შედეგად მიღებულ ლიტვის რესპუბლიკის ამ კონსტიტუციას და ლიტვის რესპუბლიკის კანონს „ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალაში შესვლის წესის შესახებ" ხელს აწერს და არა უგვიანეს 15 დღის ვადაში აქვეყნებს ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

ლიტვის რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ვიტაუტას ლანდსბერგისი
1992 წლის 6 ნოემბერი,
ვილნიუსი

ლუქსემბურგი



ზოგადი ცნობარი

შესავალი

ლუქსემბურგის საჰერცოგო წარმოიშვა 963 წელს. 1792 წლამდე იგი წარმოადგენდა ესპანეთისა და ნიდერლანდების ნაწილს, ხოლო 1795-1813 წ.წ. შეუერთდა საფრანგეთს. 1815 წელს შეიქმნა ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, რომელსაც მართავდა ჰოლანდიისა და ბელგიის მეფე. ლუქსემბურგი ნიდერლანდების შემადგენლობაში იყო 1891 წლამდე. 1830-1839 წ.წ. დიდი საჰერცოგოს ნაწილი შეეიდა ბელგიის შემადგენლობაში. 1914-1918 წ.წ. ქვეყანა ოკუპირებულ იქნა გერმანული არმიის მიერ, რაც 1939-1945 წ.წ. განმეორდა. 1944-1948 წ.წ. ნიდერლანდები, ბელგია და ლუქსემბურგი გაერთიანდნენ ბენილუქსის საბაჟო კავშირში, ხოლო 1958 წელს შექმნეს ეკონომიკური კავშირი.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: დასავლეთიდან ესაზღვრება ბელგია, აღმოსავლეთიდან – გერმანია, ხოლო სამხრეთიდან – საფრანგეთი.

ფართობი: სულ: 2.586 კმ^2; ხმელეთი: 2.586 კმ^2; წყალი: 0 კმ^2.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: რკინა, სახნავ-სათესი მიწები.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 486 006 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 18.6% (კაცი 45 729; ქალი 43 889);
15-64 წლის: 66.6% (კაცი 163 356; ქალი 160 425);
65 წლის და ზემოთ: 14.7% (კაცი 29 206; ქალი 42 401) (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 1.188% (2008);

შობადობა: 11.77 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 8.43 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: 8.54 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 79.18 წელი; კაცი: 75.91; ქალი: 82.67 (2008);

მოქალაქეობა: ლუქსემბურგის;

ეთნიკური ჯგუფები: ლუქსემბურგელები – 63.1%, პორტუგალიელები – 13.3%, ფრანგები – 4.5%, იტალიელები – 4.3%, გერმანელები – 2.3%, სხვა ევროპული – 7.3%, სხვა – 5.2% (2000);

რელიგია: კათოლიკე – 87%, სხვა (პროტესტანტი, იუდეველი, მუსულმანი) – 13% (2000);

ენა: მშობლიური – ლუქსემბურგული, გერმანული და ფრანგული – წარმოების;

განათლებულობა: სრული მოსახლეობის: 100%; კაცი – 100%; ქალი – 100% (2000);

განსაზღვრება: მოცემულია 15 წელზე მეტი ასაკის პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლია.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ერცელი ფორმა: ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო;
მოკლე ფორმა: ლუქსემბურგი;
ადგილობრივი ერცელი ფორმა: გრანდ დიუხ დე ლუქსემბურგ;
ადგილობრივი მოკლე ფორმა: ლუქსემბურგ;

სახელმწიფოს ფორმა: კონსტიტუციური მონარქია;

დედაქალაქი: ლუქსემბურგი;

ადმინისტრაციული ერთეულები: 3 ოლქი: დიკირხი, გრევენმახერი, ლუქსემბურგი;

დამოუკიდებლობა: 1839 წელი (ნიდერლანდებისგან);

ეროვნული დღესასწაული: ეროვნული დღე – 23 ივნისი (დიდი ჰერცოგის – ჩარლოტის დაბადების დღე);

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: დიდი ჰერცოგი ჰენრი (2000 წლის 7 ოქტომბრიდან);
მთავრობის თავმჯდომარე: პრემიერ-მინისტრი იუნკერი (1995 წლის 20 იანვრიდან).

სამინისტროები: სახელმწიფო სამინისტრო, საგარეო საქმეთა და იმიგრაციის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის, მევენახეობისა და აგრარული განვითარების სამინისტრო, მცირე ბიზნესის, ტურიზმისა და მშენებლობის სამინისტრო, კულტურის, უმაღლესი განათლებისა და კვლევის სამინისტრო, ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის სამინისტრო, ეროვნული განათლებისა და პროფესიული სწავლების სამინისტრო, ჰუმანიტარული აქციების სამინისტრო, გარემოს დაცვის სამინისტრო, ოჯახისა და ინტეგრაციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, საზოგადოებრივ სამუშაოთა და ადმინისტრაციული რეფორმების სამინისტრო, შინაგან საქმეთა და მიწის დაგეგმარების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სოციალური უსაფრთხოების სამინისტრო, ტრანსპორტის სამინისტრო, მოგზაურობისა და დასაქმების სამინისტრო, სამოქალაქო სამსახურის სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება: ერთპალატიანი პარლამენტი – დეპუტატთა პალატა (60 ადგილიანია; წევრები აირჩევიან უშუალოდ ხალხის მიერ 5 წლის ვადით);

არჩევნები: უკანასკნელად ჩატარდა 2004 წლის 13 ივნისს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: დემოკრატიული რეფორმების ალტერნატიული პარტია; ქრისტიანულ-სოციალური ხალხთა პარტია; დემოკრატიული პარტია; მწვანეთა პარტია; ლუქსემბურგის სოციალისტ მუშათა პარტია; მემარცხენეთა პარტია; სხვა პატარა პარტიები.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: ლუქსემბურგი წარმოადგენს ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანას დასავლეთში. ეკონომიკის საფუძველს ძირითადად წარმოადგენენ მომსახურების და საფინანსო სფეროები. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბანკო საქმეს.

ლუქსემბურში გამოსაყენებელი მთელი ენერგია – ნავთობი, ბუნებრივი გაზი, ქვანახშირი იმპორტირებულია. სოფლის მეურნეობის ძირითად პროდუქტს წარმოადგენს ხორცისა და რძის ნაწარმი და სხვადასხვა მარცვლეული კულტურები.

ლუქსემბურგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფინანსური ცენტრია ევროპაში. 1995 წლისათვის აქ უკვე მდებარეობდა 220 უცხოური ბანკი. 1994 წლისთვის ქვეყანაში მოქმედებდა 12 ათასი ჰოლდინგური კომპანია.

აგრეთვე მაღალგანვითარებულია ტრანსპორტის დარგი. სარკინიგზო გზის სიგრძე 271 კმ-ია, ხოლო საავტომობილო გზის – 51 000 კმ.

ლუქსემბურგი ცნობილია ცხოვრების მაღალი დონით – ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობით ლუქსემბურგი მეორეა მსოფლიოში. პირველი ადგილი უჭირავს კატარს.

2006-2007 წლების მძლავრი ეკონომიკური ზრდის შემდეგ, მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე არსებულმა ძვრებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს ლუქსემბურგის ეკონომიკაზე ეკონომიკური ზრდის შემცირების კუთხით, მაგრამ ევროპის საშუალო დონეზე დიდი ზრდა მაინც შენარჩუნდება.

მთლიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $38.56 მილიარდი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 5.4% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $80.500 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 1%; მრეწველობა: 13%; მომსახურება: 86% (2005);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: არ არის ინფორმაცია;

ბიუჯეტი: სახელმწიფო შემოსავალი: $20.53 მილიარდი; გასავალი: $19.27 მილიარდი (2007).

ექსპორტი: $19.85 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: მანქანები და სატრანსპორტო აღჭურვილობა, ფოლადის პროდუქტი, ქიმიკატები, კაუჩუკის პროდუქტი, მინა.

ექსპორტის პარტნიორები: გერმანია 21.1%, საფრანგეთი 16.3%, ბელგია 10.1%, იტალია 7.4%, დიდი ბრიტანეთი 7.1%, ნიდერლანდები 5.4%, ესპანეთი 5% (2006);

იმპორტი: $24.75 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: მინერალები, მეტალი, სურსათ-სანოვაგე, სამომხმარებლო საქონელი.

იმპორტის პარტნიორები: ბელგია 27.4%, გერმანია 23.8%, ჩინეთი 17.1%, საფრანგეთი 9.2%, ნიდერლანდები 5% (2006);

საგარეო ვალი: არ არის ინფორმაცია;

ეკონომიკური მხარდაჭერა: $291 მილიონი (2006);

ვალუტა: ევრო (EUR).

კონსტიტუციის მიმოხილვა

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. 1815 წელს ვენის კონგრესის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით შეიქმნა ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, რომელსაც მართავდა ჰოლანდიისა და ბელგიის მეფე. 1839 წლის 19 აპრილს გაფორმებული ლონდონის ხელშეკრულებით ლუქსემბურგმა მიიღო ფართო ავტონომია. 1841 წლის 12 ოქტომბერს მიღებულ იქნა, ხოლო 1842 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ლუქსემბურგის, როგორც ავტონომიური ერთეულის კონსტიტუცია. 1848 წლის 20 მარტს და 1858 წლის 27 ნოემბერს მასში შევიდა მნიშვნელოვანი დამატებები.

ლუქსემბურგმა სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა 1867 წელს. 1868 წლის 17 ოქტომბერს მიღებულ იქნა ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს კონსტიტუცია, რომელიც წარმოადგენს ლუქსემბურგის მოქმედ კონსტიტუციას. სწორედ მისი მიღებით იწყება ლუქსემბურგის თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის ისტორია. კონსტიტუციით რადიკალურად შეიცვალა ლუქსემბურგის კონსტიტუციური წყობილება, თუმცა ტექნიკური თვალსაზრისით იგი პირველი კონსტიტუციის დამატებაა.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მოქმედი კონსტიტუცია დასაბამს აძლევს ლუქსემბურგის თანამედროვე კონსტიტუციურ წყობილებას. მისი მიღებიდან დღევანდლამდე მასში მრავალი არსებითი ცვლილებაა შეტანილი – ხანდახან თვეში რამდენჯერმეც. პირველად ცვლილება 1919 წლის 15 მაისს იქნა შეტანილი, ხოლო უკანასკნელი – 2004 წლის 19 ნოემბერს.

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის წესი 2004 წელს შეიცვალა, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციის გადასინჯვას იღებს დეპუტატთა პალატა წევრთა 2/3-ით, ორი მოსმენით, რომელთა შორის ინტერვალი არანაკლებ 3 თვე უნდა იყოს. პალატის წევრთა 1/4-ის ან საკანონმდებლო არჩევნებისას საარჩევნო სიებში რეგისტრირებული 25 ათასი ამომრჩევლის მოთხოვნით დეპუტატთა პალატის მიერ პირველი მოსმენით მიღებული ტექსტი, მეორე მოსმენის ნაცვლად ერთი თვის ვადაში გაიტანება რეფერენდუმზე, რომლის ორგანიზაციის წესსაც ადგენს კანონი. გადასინჯვა დამტკიცებულად ითვლება ნამდვილად ცნობილ ხმათა უმრავლესობით.

თუ ადრე კონსტიტუცია კრძალავდა ნებისმიერი სახის კონსტიტუციურ შესწორებას რეგენტობის პერიოდში, კონსტიტუციის მოქმედი რედაქციით დაშვებულია ამ პერიოდში გარკვეული შესწორებების განხორციელება. კონსტიტუციის თანახმად, რეგენტობის პერიოდში კონსტიტუციაში არ შეიძლება შეტანილ იქნეს ისეთი შესწორება, რომელიც ეხება დიდი ჰერცოგის კონსტიტუციურ პრეროგატივებს, მის სტატუსსა და ტახტის მემკვიდრეობითობას.

კონსტიტუციის ანალიზი. ლუქსემბურგის კონსტიტუცია ძველი კონსტიტუციების რიცხვს განეკუთვნება. სხვა ქვეყნების კონსტიტუციებთან შედარებით იგი ერთ-ერთი ყველაზე ლაკონურია და შედგება 11 თავისა და მცირე მოცულობის 121 მუხლისგან. კონსტიტუციას არ აქვს პრეამბულა.

ლუქსემბურგის სახელმწიფოს ეწოდება ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო და იგი გამოცხადებულია თავისუფალ, დამოუკიდებელ და განუყოფელ სახელმწიფოდ. ლუქსემბურგში განმტკიცებულია მონარქიული მმართველობის მემკვიდრეობითობის პრინციპი და საპარლამენტო დემოკრატიული რეჟიმი.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1918-1919 წლებში რამდენჯერმე იყო მმართველობისაგან მონარქის ჩამოშორებისა და ლუქსემბურგის რესპუბლიკად გამოცხადების მცდელობა, მაგრამ აღნიშნული მცდელობები წარუმატებლად დამთავრდა. ლუქსემბურგს 2000 წლის 7 ოქტომბრიდან მართავს დიდი ჰერცოგი ჰენრი, რომელმაც გვირგვინი მემკვიდრეობით მიიღო მამის – დიდ ჰერცოგ ჟანისაგან.

კონსტიტუციის პირველი თავი, რომელიც ეძღვნება ლუქსემბურგის სახელმწიფოს, მის ტერიტორიასა და დიდ ჰერცოგს, განსაზღვრავს ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგის მიერ ტახტის დაკავებას, ჰერცოგის უფლებამოსილებების განხორციელებას მისი მემკვიდრის არასრულწლოვანების ან ტახტის ვაკანტურობის შემთხვევებში. დიდი ჰერცოგის პიროვნება წმინდა და ხელშეუხებელია. დადგენილია, რომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სისტემისა და სასამართლოების ტერიტორიული იურისდიქციის ნებისმიერი ცვლილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონით.

კონსტიტუციის მეორე თავი ეძღვნება ლუქსემბურგელებსა და მათ უფლებებს. ამ თავში წარმოდგენილია ლუქსემბურგის მოქალაქეების ძირითადი უფლებები და ვალდებულებები. ქვეყანაში არ არსებობს წოდებრივი განსხვავება, გარანტირებულია ყველა ლუქსემბურგელის კანონის წინაშე თანასწორობა და სახელმწიფო სამსახურის თანაბრად ხელმისაწვდომობა. სახელმწიფო უზრუნველყოფს პიროვნებისა და ოჯახის ბუნებით უფლებებს. აღიარებულია შრომის უფლება, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანდაცვისა და მოსამსახურეთა დასვენების ორგანიზაცია, პროფესიული კავშირების თავისუფლებები, ვაჭრობისა და მრეწველობის თავისუფლება და სხვა, რომელთა კონკრეტული რეგულირება კანონით განისაზღვრება. კონსტიტუციის თანახმად, ხმის მიცემის უფლება მოქალაქეს აქვს 18 წლიდან.

გარანტირებულია მოქალაქეთა ინდივიდუალური თავისუფლება, სასამართლო დაცვა, საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა, რელიგიის, აზრის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება; დაცულია მიმოწერის საიდუმლოება. კონსტიტუციის თანახმად, საკუთრების ჩამორთმევა დაუშვებელია, გარდა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე და კანონით დადგენილი შემთხვევებისა და წესის შესაბამისად, სამართლიანი და წინასწარი ანაზღაურებით. აკრძალულია ქონების კონფისკაციის სასჯელად დაწესება.

დაწყებითი განათლება უფასო და საკალდებულოა. სახელმწიფო ზრუნავს, რომ ყოველმა ლუქსემბურგელმა მიიღოს დაწყებითი განათლება. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუცია არ ადგენს სახელმწიფოს ოფიციალურ ენებს. მასში მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ ადმინისტრაციულ და სასამართლო წარმოებაში ენის გამოყენების წესს განსაზღვრავს კანონი.

კონსტიტუციის მესამე თავი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან და ეძღვნება სუვერენულ უფლებებს. მასში აღნიშნულია, რომ სუვერენიტეტი ეკუთვნის ერს ქვეყნის კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად და მას ახორციელებს დიდი ჰერცოგი.

რადგანაც ლუქსემბურგი არის კონსტიტუციური მონარქია, მთელი ხელისუფლება ფორმალურად მემკვიდრეობით დანიშნული დიდი ჰერცოგის ხელშია. დიდი ჰერცოგის სრულწლოვანება დგება სრული 18 წლის ასაკის მიღწევისთანავე. თუ დიდი ჰერცოგი აღმოჩნდება ქვეყნის სამართავად არასათანადო მდგომარეობაში, აგრეთვე მისი არასრულწლოვანებისას, დგინდება რეგენტობა.

დიდი ჰერცოგი არის სახელმწიფოს მეთაური, ერთიანობის სიმბოლო და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. კონსტიტუციის თანახმად, დიდი ჰერცოგი ახორციელებს აგრეთვე აღმასრულებელ ხელისუფლებას, ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობის წევრებს, შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი და კომუნალური საბჭო. დიდ ჰერცოგს კანონის თანახმად აქვს მონეტის მოჭრის უფლება. გარდა ამისა, იგი ამტკიცებს და აქვეყნებს კანონებს, ნიშნავს სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობებზე, თუმცა მისი პასუხისმგებლობა ყველა შემთხვევაში მთავრობის წევრებზე გადადის, ვინაიდან განკარგულებებს მასთან ერთად ხელს აწერენ პასუხისმგებელი მინისტრები.

აქვე აღსანიშნავია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების სფეროში დიდი ჰერცოგის ზემოაღნიშნული კონსტიტუციური უფლებამოსილება მხოლოდ ფორმალურია, რადგან მმართველობის თვალსაზრისით რეალურად ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში მოქმედებს საპარლამენტო მმართველობის დემოკრატიული სისტემა. აღმასრულებელი ხელისუფლება პრაქტიკულად ხორციელდება პრემიერ-მინისტრისა და მისი მთავრობის წევრების მიერ, სუვერენიტეტი კი ეკუთვნის ხალხს.

დიდი ჰერცოგი არის ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი და ხელმძღვანელობს შეიარაღებულ ძალებს. დეპუტატთა პალატისაგან თანხმობის მიღების შემდეგ, რომელსაც პალატა იღებს კონსტიტუციის გადასინჯვისათვის დადგენილი პროცედურის შესაბამისად, დიდი ჰერცოგი აცხადებს და წყვეტს ომს.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს მხოლოდ მონარქს. დეპუტატთა პალატა უფლებამოსილია დიდ ჰერცოგს წარუდგინოს სამთავრობო კანონპროექტები, რომლებიც შემდეგ განსახილველად წარედგინება პალატას დიდი ჰერცოგის მიერ. თუმცა, პრაქტიკულად, კანონპროექტების ინიცირებაც და დიდი ჰერცოგისათვის წარდგენაც ხორციელდება დეპუტატთა პალატის მიერ. კანონების მიღებამდე კონსულტირება ხდება უამრავ პროფესიულ ორგანოსთან, რომელთა

ინტერესებსაც ეხება პროექტები. სოციალური და ეკონომიკური საბჭო გეველინება მთავრობის მრჩეველად ყველა მნიშვნელოვან პროექტზე.

ხელშეკრულებებს დებს დიდი ჰერცოგი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ისინი სანქცირებული უნდა იქნეს კანონით და გამოქვეყნდეს კანონის გამოქვეყნებისათვის დადგენილი წესების დაცვით.

სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებებისგან. სასამართლოებისა და ტრიბუნალების მიერ მართლმსაჯულების განხორციელება, სასამართლო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების მიღება და აღსრულება ხდება დიდი ჰერცოგის სახელით. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შტოებისათვის კონსტიტუციით მიკუთვნებული უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება ხელშეკრულებით დროებით გადაეცეს საერთაშორისო სამართლის დაწესებულებებს.

კონსტიტუციის მეოთხე თავის თანახმად, რომელიც ეძღვნება დეპუტატთა პალატას, საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ერთპალატიანი პარლამენტი — დეპუტატთა პალატა, რომელსაც კონსტიტუციით მინიჭებული აქვს ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს როლი. ყოველი კანონი უნდა დამტკიცდეს დეპუტატთა პალატის მიერ. კონსტიტუცია ადგენს, რომ დიდ საჰერცოგოში მოქმედებს დემოკრატიული საპარლამენტო რეჟიმი. კანონით დადგენილ შემთხვევებსა და პირობებში ამომრჩეველებს შეუძლიათ, აზრი გამოთქვან რეფერენდუმის გზით.

დეპუტატთა პალატა შედგება 5 წლის ვადით არჩეული 60 დეპუტატისგან, რომლებიც აირჩევიან პირდაპირი და საყოველთაო საარჩევნო უფლებით, პროპორციული წარმომადგენლობის სისტემით, სიებისათვის ხმის მიცემით. ქვეყანა იყოფა 4 მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქად. დეპუტატთა პალატის წევრობის კანდიდატი უნდა იყოს ლუქსემბურგელი, ფლობდეს პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს, მიაღწიოს 21 წლის ასაკს და ლუქსემბურგში ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი.

დეპუტატის მანდატი შეუთავსებელია ზოგიერთ მნიშვნელოვან თანამდებობასთან, მათ შორის მთავრობის წევრობასთან. აღსანიშნავია, რომ მთავრობის წევრად დანიშნული დეპუტატი თანამდებობის დატოვების შემდეგ პირველ შემცვლელ პირად შეიტანება იმ სიაში, რომლითაც იქნა არჩეული. იგივე წესი მოქმედებს დეპუტატის მოადგილესთან დაკავშირებითაც, რაც მას ხელს უწყობს იმაში, რომ პარტიის კვოტით არჩეულ დეპუტატთა შორის პირველივე ვაკანსიის წარმოშობისას ავტომატურად გახდეს დეპუტატი.

სადეპუტატო იმუნიტეტი მოქმედებს მხოლოდ სესიის პერიოდში. ამ დროს დეპუტატის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიშვება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით, გარდა დანაშაულის ჩადენის ადგილას დაკავების შემთხვევისა.

კონსტიტუციის მეხუთე თავი ეძღვნება დიდი ჰერცოგის მთავრობას. იგი უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი წევრისგან. მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი და აღმასრულებელი ხელისუფლება პრაქტიკულად ხორციელდება სწო-

რედ პრემიერ-მინისტრისა და მისი მთავრობის წევრების მიერ, რომელთაც ნიშნავს დიდი ჰერცოგი. მთავრობა ძირითადად არის კოალიციური და შედგება საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიების წარმომადგენლებისგან.

მთავრობა პასუხისმგებელია დეპუტატთა პალატის წინაშე. მთავრობის წევრებს აქვთ პალატაში დასწრების უფლება და მათი მოთხოვნით მათ უნდა მოუსმინონ. ისინი პასუხისმგებელნი არიან და დიდი ჰერცოგის ზეპირმა ან წერილობითმა ბრძანებამ არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება გაათავისუფლოს მთავრობის წევრი პასუხისმგებლობისაგან. მთავრობის წევრის წინააღმდეგ საქმის აღძვრის უფლება აქვს დეპუტატთა პალატას. დიდ ჰერცოგს მთავრობის მსჯავრდებული წევრის შეწყალება შეუძლია მხოლოდ პალატის მოთხოვით.

კონსტიტუციის V^1 თავი, რომელიც მიღებულია 1989 წლის 13 ივნისს, ეძღვნება სახელმწიფო საბჭოს და განამტკიცებს მის, როგორც მთავრობის საკონსულტაციო ორგანოს, ფუნქციებს. საბჭო მოწოდებულია გააკეთოს დასკვნები შემოთავაზებულ კანონპროექტებსა და შესწორებებზე და აგრეთვე მთავრობის მიერ ან კანონით დადგენილ სხვა საკითხებზე. მუხლებს კენჭი ეყრება პალატის მიერ, მისი აზრის გათვალისწინებით.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ბოლომდე, სანამ კონსტიტუციაში შეტანილი იქნებოდა ცვლილებები, რომლებიც ეხება სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო საბჭო აღჭურვილი იყო მმართველობის სფეროში დავების გადაწყვეტის უფლებამოსილებით. აღნიშნული ცვლილებებით კი ეს უფლებამოსილება გადაეცა ადმინისტრაციულ სასამართლოსა და ტრიბუნალს, რის შედეგადაც ადმინისტრაციული მართლმსაჯულება გამოეყო აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროს და ჩამოყალიბდა სასამართლო ხელისუფლების სისტემაში.

მართლმსაჯულების განხორციელებას ეძღვნება კონსტიტუციის მეექვსე თავი, რომლითაც განმტკიცებულია სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მისი სისტემა და იურისდიქცია დგინდება მხოლოდ კანონით. უმაღლესი სასამართლო პალატის ორგანიზაცია განისაზღვრება სპეციალური კანონით. სამხედრო სასამართლოების ორგანიზაციას, მათ უფლებამოსილებებს, ამ სასამართლოების წევრთა უფლებებსა და მოვალეობებს და უფლებამოსილების ვადებს განსაზღვრავს სპეციალური კანონები. კანონი აგრეთვე განსაზღვრავს სასამართლო ორგანოების ორგანიზაციას შრომითი დავების განხილვისათვის, სასამართლო ინსტანციების სოციალური დაზღვევის სფეროში, აგრეთვე მათ უფლებამოსილებას, დანიშვნის წესსა და წევრთა უფლებამოსილების ვადებს. კონსტიტუცია კრძალავს საგანგებო მართლმსაჯულების შემოღებას ნებისმიერი ფორმით.

მართლმსაჯულება ხორციელდება სასამართლოებისა და ტრიბუნალების მიერ. ისინი მხოლოდ მაშინ იყენებენ საერთო და ადგილობრივ დადგენილებებსა და რეგლამენტებს, თუ ისინი შეესაბამება კანონებს.

ადმინისტრაციულ საკითხებზე იურისდიქცია ეკუთვნის ადმინისტრაციულ ტრიბუნალსა და ადმინისტრაციულ სასამართლოს, რომელიც არის უმაღლესი სასამართლო ადმინისტრაციულ სფეროში. ეს სასამართლოები აგრეთვე აღჭურ-

ვლნი არიან საგადასახადო საკითხებზე დავების გადაწყვეტის უფლებამოსილებით. კანონით აგრეთვე შეიძლება დადგინდეს სხვა ადმინისტრაციული ინსტანციები. ადმინისტრაციული სასამართლოსა და ადმინისტრაციული ტრიბუნალის მოსამართლეები ინიშნებიან დიდი ჰერცოგის მიერ. ადმინისტრაციული სასამართლოს წევრების, აგრეთვე ადმინისტრაციული ტრიბუნალის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის დანიშვნა, გარდა პირველი დანიშვნისა, ხორციელდება ადმინისტრაციული სასამართლოს მოსაზრებების გათვალისწინებით.

ლუქსემბურგში არსებობს საოლქო სასამართლოებიც. აგრეთვე, გვხვდება მშვიდობის მოსამართლეები, რომლებიც ინიშნებიან უშუალოდ დიდი ჰერცოგის მიერ.

კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკონსტიტუციო სასამართლო. მის შემადგენლობაშია უმაღლესი სასამართლო პალატის თავმჯდომარე, ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარე, საკასაციო სასამართლოს ორი მრჩეველი და დიდი ჰერცოგის მიერ უმაღლესი სასამართლო პალატისა და ადმინისტრაციული სასამართლოს შეხედულების გათვალისწინებით დანიშნული ხუთი მოსამართლე.

კონსტიტუციით განმტკიცებულია მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპი. აღსანიშნავია, რომ 1989 წლის 20 აპრილს მიღებული კონსტიტუციური შესწორებით ეს დებულება გავრცელდა მშვიდობის მოსამართლეებზეც და პრაქტიკულად შეეხო ქვეყნის მოსამართლეთა მთელ კორპუსს.

განსჯადობის შესახებ დავებს წყვეტს უმაღლესი სასამართლო პალატა.

შეიარაღებულ ძალებს ეძღვნება კონსტიტუციის მეშვიდე თავი, რომლის თანახმადაც ყველაფერი, რაც ეხება შეიარაღებულ ძალებს, რეგულირდება კანონით. კანონის საგანს წარმოადგენს აგრეთვე წესრიგის დამცველ ძალთა ორგანიზაცია და უფლებამოსილება. კონსტიტუციის თანახმად, შეიძლება სამოქალაქო გვარდიის ფორმირება.

ფინანსებს ეძღვნება კონსტიტუციის მერვე თავი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს სასარგებლოდ არავითარი გადასახადი არ შეიძლება იქნეს დადგენილი, თუ არა კანონით. მასში აგრეთვე აღნიშნულია, რომ პრივილეგიები არ შეიძლება დაწესდეს გადასახადების დაკისრების სფეროში. ყოველგვარი გადასახადისგან გათავისუფლება ან მათი შემცირება დგინდება მხოლოდ კანონით.

საერთო ადმინისტრაციისა და ხაზინის ანგარიშებს დაქვემდებარებული ყველა დაწესებულების ანგარიშების შემოღება და ლიკვიდაცია ეკისრება კონტროლის პალატას, რომლის ორგანიზაციას, უფლებამოსილების განხორციელებისა და წევრთა დანიშვნის წესს განსაზღვრავს კანონი. კონტროლის პალატა თვალყურს ადევნებს, რომ ბიუჯეტის გასავლების არც ერთი მუხლი არ იქნეს გადამეტებული. აგრეთვე, იგი ამტკიცებს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებების ანგარიშებს და ვალდებულია შეაგროვოს მასთან დაკავშირებით ნებისმიერი ინფორმაცია და საბუღალტრო დოკუმენტი. სახელმწიფოს საერთო ანგარიში კონტროლის პალატის შენიშვნებთან ერთად წარედგინება დეპუტატთა პალატას.

კონსტიტუციის მეცხრე თავი არეგულირებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციას. ქვეყანა იყოფა 3 ოლქად, რომლებიც თავისმხრივ იყოფა 12 კანტონად, ხოლო კანტონები — 116 კომუნად. 12 კომუნას გააჩნია ქალაქის სტატუსი. კო-

მუნები წარმოადგენენ იურიდიული პირის უფლების მქონე ავტონომიურ ერთეულებს, რომლებიც იმართება თავიანთი ორგანოების მიერ. ყოველ კომუნაში არსებობს მისი ამომრჩევლების მიერ უშუალოდ არჩეული კომუნალური საბჭო. კომუნალური საბჭო ყოველწლიურად ადგენს კომუნის ბიუჯეტს და ამტკიცებს მის ანგარიშს. გარდა საგანგებო შემთხვევებისა, იგი აგრეთვე იღებს კომუნის რეგლამენტს. საბჭოს შეუძლია დიდი ჰერცოგის თანხმობით დაადგინოს ადგილობრივი გადასახადები.

კომუნას მართავს ბურგომისტრებისა და ეშევენების კოლეგია, რომლის წევრებიც არჩეულ უნდა იქნენ კომუნალური მრჩევლებისაგან. კანონი არეგულირებს კომუნის მართვის კონტროლს. მას შეუძლია კომუნის ორგანოების ზოგიერთი აქტი დაუქვემდებაროს კონტროლის ორგანოს მხრიდან დამტკიცებას და აგრეთვე გაითვალისწინოს მათი ბათილობა და შეჩერება კომუნის ინტერესებთან შეუთავსებლობისა და უკანონობის შემთხვევებში, ისე, რომ არ ჩაერიოს საერთო და ადმინისტრაციულ სასამართლოთა უფლებამოსილებაში. სამოქალაქო მდგომარეობის აქტების წარმოება და რეესტრების შენახვა წარმოადგენს კომუნალური ხელისუფლების განსაკუთრებულ უფლებამოსილებას.

კონსტიტუციის მეათე თავით განისაზღვრება კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის წესი, მეთერთმეტე თავი კი ადგენს კანონმდებლობის კონსტიტუციის დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის წესს.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. ლუქსემბურგის კონსტიტუცია ძველი კონსტიტუციების რიცხვს განეკუთვნება, რომელშიც მრავალი ცვლილებაა შეტანილი და იგი სხვა ქვეყნების კონსტიტუციებთან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე ლაკონიურია. კონსტიტუციას არ აქვს პრეამბულა;

— კონსტიტუცია არ ადგენს სახელმწიფოს ოფიციალურ ენებს; მასში მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ ადმინისტრაციულ და სასამართლო წარმოებაში ენის გამოყენების წესს განსაზღვრავს კანონი;

— საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შტოებისათვის კონსტიტუციით მიკუთვნებული უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება ხელშეკრულებით დროებით გადაეცეს საერთაშორისო სამართლის დაწესებულებებს;

— კონსტიტუციის მიხედვით იქმნება სახელმწიფო საბჭო, რომელიც წარმოადგენს მთავრობის საკონსულტაციო ორგანოს. იგი მოწოდებულია მისცეს დასკვნები შემოთავაზებულ კანონპროექტებსა და შესწორებებზე და აგრეთვე მთავრობის მიერ ან კანონით დადგენილ სხვა საკითხებზე;

— ლუქსემბურგში აქტიური საარჩევნო უფლებით მოქალაქეები სარგებლობენ 18 წლიდან, ხოლო პასიური საარჩევნო უფლებით — 21 წლიდან.

ლუქსემბურგის კონსტიტუცია[1]

მიღებულია 1868 წლის 17 ოქტომბერს

(ცვლილებები შეტანილ იქნა 1919 წლის 15 მაისს, 1948 წლის 28 აპრილს, 1948 წლის 6 მაისს, 1948 წლის 15 მაისს, 1948 წლის 21 მაისს, 1956 წლის 27 იელისს, 1956 წლის 25 ოქტომბერს, 1972 წლის 27 იანვარს, 1979 წლის 13 ივნისს, 1983 წლის 25 ნოემბერს, 1988 წლის 20 დეკემბერს, 1989 წლის 31 მარტს, 1989 წლის 20 აპრილს, 1989 წლის 13 ივნისს, 1989 წლის 16 ივნისს, 1989 წლის 19 ივნისს, 1994 წლის 23 დეკემბერს, 1996 წლის 12 ივლისს, 1998 წლის 12 იანვარს, 1999 წლის 29 აპრილს, 1999 წლის 2 ივნისს, 2000 წლის 8 აგვისტოს, 2003 წლის 18 თებერვალს, 2003 წლის 19 დეკემბერს, 2004 წლის 26 მაისს, 2004 წლის 19 ნოემბერს)

თავი I. სახელმწიფო, მისი ტერიტორია და დიდი ჰერცოგი

მუხლი 1. ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.

მუხლი 2. სასამართლო და ადმინისტრაციული ოლქების, კანტონების და კომუნების საზღვრები და მთავარი ქალაქები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ კანონით.

მუხლი 3. ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს გვირგვინი 1783 წლის 30 ივნისის პაქტის, 1815 წლის 9 ივნისის ვენის ტრაქტატის 71-ე მუხლისა და 1867 წლის 11 მაისის ლონდონის ტრაქტატის პირველი მუხლის შესაბამისად ნასაუს ოჯახში არის მემკვიდრეობითი.

მუხლი 4. დიდი ჰერცოგის პიროვნება წმინდა და ხელშეუხებელია.

მუხლი 5. დიდი ჰერცოგის სრულწლოვანება დგება სრული თვრამეტი წლის ასაკის მიღწევისთანავე. ტახტზე ასვლისას ის შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში, დეპუტატთა პალატის ან მის მიერ დანიშნული დეპუტაციის თანდასწრებით დებს შემდეგი შინაარსის ფიცს:

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია რიჩმონდის უნივერსიტეტის მიერ, მისამართზე: www.ocfrc.unihc.ch/content/index_ger.html გამოქვეყნებული ლუქსემბურგის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი. აგრეთვე, ლუქსემბურგის მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.gouvernement.lu/ გამოქვეყნებული მისი ფრანგულენოვანი ტექსტი.

„ვფიცავ, დავიცავ ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს კონსტიტუციასა და კანონებს, მხარს დავუჭერ ეროვნულ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, აგრეთვე საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ თავისუფლებებს".

მუხლი 6. თუ დიდი ჰერცოგის გარდაცვალების შემთხვევაში მისი მემკვიდრე არასრულწლოვანია, საგვარეულო პაქტის შესაბამისად ხორციელდება რეგენტობა.

მუხლი 7. 1. თუ დიდი ჰერცოგი აღმოჩნდება ქვეყნის სამართავად არასათანადო მდგომარეობაში, ისევე, როგორც მემკვიდრის არასრულწლოვანებისას, ამ შემთხვევაშიც დგინდება რეგენტობა.

2. ტახტის გათავისუფლების შემთხვევაში პალატა ნიშნავს დროებით რეგენტობას. ოცდაათი დღის განმავლობაში ახალი პალატა წევრების ორმაგი შემადგენლობით იღებს ვაკანსიის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას.

მუხლი 8. 1. უფლებამოსილების განხორციელების დაწყების წინ რეგენტი დებს შემდეგი შინაარსის ფიცს:

2. „ვფიცავ, ვიქნები დიდი ჰერცოგის ერთგული; ვფიცავ, დავიცავ ქვეყნის კონსტიტუციასა და კანონებს".

თავი II. ლუქსემბურგელები და მათი უფლებები

მუხლი 9. 1. ლუქსემბურგელის სტატუსის მოპოვება, შენარჩუნება და დაკარგვა ხდება სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

2. ეს კონსტიტუცია და პოლიტიკური უფლებების შესახებ სხვა კანონები ამ სტატუსთან ერთად განსაზღვრავენ ამ უფლებების განსახორციელებლად აუცილებელ პირობებს.

3. წინა პუნქტისაგან განსხვავებით, პოლიტიკური უფლებების განხორციელება კანონმა შეიძლება მიანიჭოს არალუქსემბურგელებსაც.

მუხლი 10. 1. ნატურალიზაცია ხორციელდება საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ.

2. კანონი განსაზღვრავს ნატურალიზაციის შედეგებს.

მუხლი 10[1]. 1. კანონის წინაშე ყველა ლუქსემბურგელი თანასწორია.

2. ისინი მიიღებიან ყველა საჯარო, სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში. კანონი განსაზღვრავს არალუქსემბურგელთა სამსახურში მიღებას.

მუხლი 11. 1. სახელმწიფოში არ არსებობს არავითარი წოდებრივი განსხვავება.

2. ლუქსემბურგელები თანასწორნი არიან კანონის წინაშე; მხოლოდ მათ შეუძლიათ იყვნენ სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში, გარდა კანონით დადგენილი განსაკუთრებული შემთხვევებისა.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს პიროვნებისა და ოჯახის ბუნებით უფლებებს.

4. კანონი უზრუნველყოფს შრომის უფლებას და თითოეული მოქალაქისთვის ამ უფლების განხორციელებას.

5. კანონი ახდენს სოციალური უზრუნველყოფის, ჯანდაცვისა და მოსამსახურეთა დასვენების ორგანიზებას და უზრუნველყოფს პროფკავშირის თავისუფლებებს.

6. კანონი უზრუნველყოფს ვაჭრობისა და მრეწველობის თავისუფლებას, თავისუფალი პროფესიითა და სასოფლო-სამეურნეო შრომით დასაქმებას, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებიც შეიძლება დადგენილ იქნეს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ.

მუხლი 12. ინდივიდუალური თავისუფლება გარანტირებულია. არავინ შეიძლება დაექვემდებაროს დევნას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და კანონითვე განსაზღვრული ფორმის შესაბამისად. გარდა დანაშაულის ადგილზე დაკავებისა, არავინ შეიძლება იქნეს დაპატიმრებული, დაპატიმრების მომენტში ან მის შემდგომ არა უგვიანეს ოცდაოთხ საათში სასამართლოს მოტივირებული დადგენილების გარეშე.

მუხლი 13. არავის შეიძლება თავისი ნების საწინააღმდეგოდ ჩამოერთვას მისთვის კანონით დადგენილი სასამართლო დაცვის უფლება.

მუხლი 14. სასჯელის დაკისრება ან გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კანონის საფუძველზე.

მუხლი 15. საცხოვრებელი ადგილი ხელშეუხებელია. ბინის გაჩხრეკა დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი ფორმით.

მუხლი 16. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას თავისი საკუთრება, გარდა საზოგადოებრივი ინტერესებით და კანონით დადგენილი შემთხვევებისა და წესით და სამართლიანი და წინასწარი ანაზღაურების პირობით.

მუხლი 17. დაუშვებელია ქონების კონფისკაციის სასჯელის სახით დაწესება.

მუხლი 18. აკრძალულია პოლიტიკური მოტივით სიკვდილით დასჯა, სამოქალაქო სასჯელი და დადაღვა.

მუხლი 19. რელიგიისა და მისი საჯარო აღსარებლობის, აგრეთვე საკუთარი რელიგიური შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება უზრუნველყოფილია ამ თავისუფლებით სარგებლობისას ჩადენილი სამართალდარღვევებისთვის დაწესებულ პასუხისმგებლობასთან ერთად.

მუხლი 20. დაუშვებელია პირის იძულება მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ აქტებში ან რიტუალებში და დაიცვას რელიგიური დასვენების დღეები.

მუხლი 21. სამოქალაქო ქორწინება ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს საეკლესიო ქორწინებას.

მუხლი 22. სახელმწიფოს მონაწილეობა რელიგიური კულტის ხელმძღვანელთა თანამდებობაზე დანიშვნასა და დაშვებადობაში, სხვა კულტის მსახურთა თანამდებობაზე დანიშვნისა და გადაყენების წესი, ამის შესახებ ზემდგომი ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლება, მათი აქტების გამოქვეყნების უფლება, ასევე ეკლესიის ურთიერთობა სახელმწიფოსთან წარმოადგენენ შეთანხმების საგანს, რომელიც ექვემდებარება პალატაში წარდგენას იმ საკითხებზე, რომლებიც საჭიროებენ მის მონაწილებას.

მუხლი 23. 1. სახელმწიფო ზრუნავს, რომ ყოველმა ლუქსემბურგელმა მიიღოს დაწყებითი განათლება, რომელიც სავალდებულო და უფასოა. სამედიცინო და სოციალური დახმარების გაწევა რეგულირდება კანონით.

2. სახელმწიფო ხსნის უფასო საშუალო სასწავლო დაწესებულებებს და უმაღლესი განათლების აუცილებელ კურსებს.

3. კანონი ადგენს სახალხო განათლებისა და მთავრობისა და კომუნების მხრიდან მათზე ზედამხედველობის ურთიერთობების პირობებს. გარდა ამისა, იგი არეგულირებს ყველაფერს, რაც ეხება სახალხო განათლებასა და დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად ითვალისწინებს მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის ფინანსური დახმარების სისტემას.

4. ყოველი ლუქსემბურგელი თავისუფალია სამსახურის დაკავებისა და განსაზღვრული პროფესიებით დასაქმების პირობების შესახებ კანონის დებულებების მიხედვით დიდ საპერეგოში ან საზღვარგარეთ განათლების მიღებაში და თავისი შეხედულებისამებრ უნივერსიტეტების არჩევაში.

მუხლი 24. აზრის ზეპირად გამოთქმის თავისუფლება ნებისმიერ საკითხზე და ბეჭდვითი თავისუფლება გარანტირებულია, გარდა ამ თავისუფლებების განხორციელებისას ჩადენილი სამართალდარღვევისა. არასოდეს არ შეიძლება დადგენილ იქნეს ცენზურა.

მუხლი 25. ლუქსემბურგელებს უფლება აქვთ შეიკრიბონ მშვიდობიანად და უაირაღოდ წინასწარი ნებართვის გარეშე, ამ უფლების განხორციელების საკა-

ნონმდებლო რეგულირების შესაბამისად. ეს დებულება არ გამოიყენება პოლიტიკურ, რელიგიურ და ღია ცის ქვეშ სხვა შეკრებებზე.

მუხლი 26. ლუქსემბურგელებს აქვთ გაერთიანების უფლება. ამ უფლების განსახორციელებლად საჭირო არ არის წინასწარი ნებართვა.

მუხლი 27. ყველას აქვს უფლება ერთი ან რამდენიმე პირის მიერ ხელმოწერილი პეტიციით მიმართოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. პეტიციების კოლექტიურად მიმართვის უფლება მხოლოდ განსაზღვრულ ორგანოებს გააჩნიათ.

მუხლი 28. 1. მიმოწერის საიდუმლოება ხელშეუხებელია. კანონი განსაზღვრავს თანამდებობის პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საფოსტო დაწესებულებისათვის მინდობილი საიდუმლო კორესპონდენციის დარღვევისათვის.

2. სატელეგრაფო კორესპონდენციის საიდუმლოების გარანტიას ადგენს კანონი.

მუხლი 29. კანონი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ და სასამართლო წარმოებაში ენის გამოყენების წესს.

მუხლი 30. თანამდებობის პირების წინააღმდეგ სამსახურებრივი ქმედების გამო საქმის აღძვრისათვის არ არის საჭირო რაიმე წინასწარი ნებართვა, გარდა მთავრობის წევრებთან დაკავშირებული დებულებებისა.

მუხლი 31. არც ერთი კატეგორიის თანამდებობის პირები, გარდა მთავრობის წევრებისა, არ შეიძლება გათავისუფლდნენ თანამდებობიდან, ჩამოერთვათ წოდებები და პენსია, თუ არა კანონით დადგენილი წესით.

თავი 3. სუვერენული უფლებები
ნაწილი 0. ძირითადი დებულებები

მუხლი 32. 1. სუვერენიტეტი ეკუთვნის ერს. დიდი ჰერცოგი მას ახორციელებს ქვეყნის კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად.

2. მას არ გააჩნია სხვა უფლებამოსილებები, გარდა კონსტიტუციითა და კონსტიტუციის საფუძველზე სპეციალური კანონებით მისთვის ოფიციალურად დაკისრებულისა, ისე, რომ ამ კონსტიტუციის მე-3 მუხლს არ მიადგეს ზიანი.

ნაწილი I. დიდი ჰერცოგის პრეროგატივები

მუხლი 33. დიდი ჰერცოგი არის სახელმწიფოს მეთაური, ერთიანობის სიმბოლო და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. იგი ქვეყნის კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას.

მუხლი 34. დიდი ჰერცოგი ამტკიცებს და აქვეყნებს კანონებს. იგი თავისი გადაწყვეტილების შესახებ განაცხადებს პალატაში კენჭისყრიდან სამი თვის განმავლობაში.

მუხლი 35. 1. დიდი ჰერცოგი სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობებზე ნიშნავს კანონის შესაბამისად და კანონით დადგენილი გამონაკლისების მიხედვით.

2. სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებადი ნებისმიერი თანამდებობა შეიძლება შემოღებულ იქნეს მხოლოდ საკანონმდებლო დებულებით.

მუხლი 36. დიდი ჰერცოგი კანონების შესასრულებლად გამოსცემს რეგლამენტებსა და დადგენილებებს.

მუხლი 37. 1. დიდი ჰერცოგი დებს ხელშეკრულებებს. ხელშეკრულებებს არ გააჩნიათ ძალა, სანამ არ დამტკიცდებიან კანონით და მისი გამოქვეყნებისათვის გათვალისწინებული ფორმით.

2. მე-3 თავის 49[1] მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ხელშეკრულებები მტკიცდებიან 114-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების მიხედვით მიღებული კანონით.

3. დაუშვებელია საიდუმლო ხელშეკრულებების მიღება.

4. დიდი ჰერცოგი ხელშეკრულებების აღსასრულებლად იღებს რეგლამენტებსა და დედგენილებებს, იმ ფორმით, რომელიც არეგულირებს კანონთა აღსასრულებელ ღონისძიებებს, იმ შედეგებით, რომელთანაც დაკავშირებულია ამ ღონისძიებების აღსრულება, კონსტიტუციითა და კანონებით გათვალისწინებული საკითხებისთვის ზიანის მიუყენებლად.

5. ნებისმიერი დათმობა, გაცვლა, მიერთება შეიძლება მხოლოდ კანონით.

6. დიდი ჰერცოგი ხელმძღვანელობს შეიარაღებულ ძალებს. პალატისაგან მიღებული თანხმობის შემდეგ იგი კონსტიტუციის 114-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აცხადებს და წყვეტს ომს.

მუხლი 38. დიდი ჰერცოგი უფლებამოსილია პირი გაათავისუფლოს დაკისრებული სასამართლო სასჯელისაგან ან შეუმსუბუქოს იგი, გარდა მთავრობის წევრებისათვის დაკისრებული სასჯელისა.

მუხლი 39. დიდ ჰერცოგს კანონის თანახმად აქვს მონეტის მოჭრის უფლება.

მუხლი 40. დიდ ჰერცოგს უფლება აქვს უბოძოს სამეფო ტიტულები, რომლებიც არ არის დაკავშირებული რაიმე პრივილეგიებთან.

მუხლი 41. დიდი ჰერცოგი აჯილდოებს სამოქალაქო და სამხედრო ორდენებით კანონის შესაბამისად.

მუხლი 42. 1. დიდ ჰერცოგს შეუძლია თავის წარმომადგენლად დანიშნოს სისხლით ნათესავი პრინცი, რომელმაც უნდა ატაროს დიდი ჰერცოგის ლეიტენანტის წოდება და რეზიდენცია იქონიოს დიდ საჰერცოგოში.

2. თანამდებობის დაკავების წინ აღნიშნულმა წარმომადგენელმა კონსტიტუციის დაცვის თაობაზე უნდა დადოს ფიცი.

მუხლი 43. 1. სამოქალაქო ფურცელი განისაზღვრება წელიწადში სამასი ათასი ოქროს ფრანკით.

2. იგი შეიძლება შეიცვალოს კანონით ყოველი მეფობის დაწყებისას. საბიუჯეტო კანონით ყოველწლიურად შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს წარმომადგენლობითი ხარჯების დასაფარავი თანხები.

მუხლი 44. რეზიდენციის სახით დიდ ჰერცოგს ეძლევა დიდი საჰერცოგოს სასახლე ლუქსემბურგში და ბერგის სასახლე.

მუხლი 45. დიდი ჰერცოგის განკარგულებები საჭიროებენ მთავრობის პასუხისმგებელი წევრის მიერ დამოწმებას.

ნაწილი II. კანონმდებლობა

მუხლი 46. ყოველი კანონი უნდა დამტკიცდეს დეპუტატთა პალატის მიერ.

მუხლი 47. 1. დიდი ჰერცოგი პალატას დასამტკიცებლად წარუდგენს წინადადებებსა და კანონპროექტებს.

2. დეპუტატთა პალატა უფლებამოსილია დიდ ჰერცოგს წარუდგინოს სამთავრობო კანონპროექტები.

მუხლი 48. კანონების ოფიციალური განმარტება ხორციელდება მხოლოდ კანონით.

ნაწილი III. მართლმსაჯულება

მუხლი 49. 1. სასამართლოებისა და ტრიბუნალების მიერ მართლმსაჯულება ხორციელდება დიდი ჰერცოგის სახელით.

2. სასამართლო განაჩენებსა და გადაწყვეტილებებს იღებს დიდი ჰერცოგის სახელით.

ნაწილი IV. საერთაშორისო უფლებამოსილება

მუხლი 49[1]. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შტოებისათვის კონსტიტუციით მიკუთვნებული უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება ხელშეკრულებით დროებით გადაეცეს საერთაშორისო სამართლის დაწესებულებებს.

თავი IV. დეპუტატთა პალატა

მუხლი 50. ქვეყანას წარმოადგენს დეპუტატთა პალატა. დეპუტატები კენჭისყრაში მონაწილეობენ თავიანთი ამომრჩევლებისაგან დამოუკიდებლად, ხელმძღვანელობენ რა მხოლოდ დიდი საჰერცოგოს საერთო ინტერესებით.

მუხლი 51. 1. დიდ საჰერცოგოში მოქმედებს საპარლამენტო დემოკრატიული რეჟიმი.

2. პალატის ორგანიზაცია რეგულირდება კანონით.

3. პალატა შედგება 60 დეპუტატისგან. 114-ე მუხლის პირობებით კენჭსაყრელი კანონი ადგენს თითოეულ საარჩევნო ოლქში ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობას.

4. არჩევნები არის პირდაპირი.

5. დეპუტატები აირჩევიან უპირობო საყოველთაო საარჩევნო უფლებით, პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის თანახმად სიებისათვის ხმის მიცემით, უმცირესი საარჩევნო კვოტის პრინციპით, კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.

6. ქვეყანა იყოფა ოთხ საარჩევნო ოლქად: სამხრეთი (ეშ-ნა-ალზეტე, კარელანი), ცენტრალური (ლუქსემბურგი და მერში), ჩრდილოეთი (დიკირპი, რედანჟი, ვილცი, კლერვო და ვიანდანი) და აღმოსავლეთი (გრევენმახერი, რემიჰი, ეხტერმახი).

7. კანონით დადგენილ შემთხვევებსა და პირობებში, ამომრჩევლებს შეუძლიათ აზრი გამოთქვან რეფერენდუმის გზით.

მუხლი 52. 1. ამომრჩეველისათვის აუცილებელია:

ა) იყოს ლუქსემბურგელი;

ბ) ფლობდეს პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს;

გ) მიაღწიოს 18 წლის ასაკს.

2. ამ მოთხოვნებს შეიძლება კანონით სხვა მოთხოვნებიც დაემატოს. დაუშვებელია საგადასახადო მოთხოვნის შემოღება.

3. ასარჩევად აუცილებელია, რომ პირი:

ა) იყოს ლუქსემბურგელი;

ბ) ფლობდეს პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს;

გ) მიაღწიოს 21 წლის ასაკს;

დ) დიდ საჰერცოგოში ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი.

4. აურჩევლობის სხვა პირობების დადგენა დაუშვებელია.

მუხლი 53. 1. უფლება არ აქვთ აირჩიონ და იყვნენ არჩეულნი:

ა) სისხლის სამართლის დამნაშავეები;

ბ) წვრილმანი სამართალდარღვევისათვის სასამართლოს განაჩენით ხმის უფლებაჩამორთმეულნი;

გ) მზრუნველობის ქვეშ მყოფი სრულწლოვანები.

2. სხვა გამონაკლისები არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს.

3. ხმის მიცემის უფლება შეიძლება აღდგენილ იქნეს იმ პირის შეწყალებისას, რომელსაც იგი სისხლის სამართლის პროცესის შედეგად ჩამოერთვა.

მუხლი 54. 1. დეპუტატის მანდატი შეუთავსებელია შემდეგ ფუნქციებთან:

ა) მთავრობის წევრის;

ბ) სახელმწიფო საბჭოს წევრის;

გ) მოსამართლის;

დ) კონტროლის პალატის წევრის;

ე) კომუნის კომისიონერის;

ვ) სახელმწიფო სამსახურის გადასახადების ამკრეფი მოსამსახურის ან სახელმწიფო სამსახურის ბულალტრული მოსამსახურის;

ზ) მოქმედი სამსახურის საკადრო სამხედრო მოსამსახურის.

2. თანამდებობის პირებს, რომლებზეც ვრცელდება შეუთავსებლობის წესები, არჩევანის უფლება აქვთ დეპუტატის მანდატსა და თავიანთ სამსახურს შორის.

3. დეპუტატი, რომელსაც მოიწვევენ მთავრობის წევრად, ხოლო შემდგომ დატოვებს თანამდებობას, სრული უფლებით შეიტანება პირველ შემცვლელ პირად იმ სიაში, რომლითაც იქნა არჩეული. იგივე წესი მოქმედებს აგრეთვე დეპუტატის მოადგილესთან დაკავშირებით, რომელსაც მოიწვევენ მთავრობის წევრის თანამდებობაზე და უარს იტყვის სადეპუტატო მანდატზე, რომელსაც იგი მიიღებს ამ სამსახურში ყოფნის პერიოდში. თუ ამგვარი უფლებამოსილება რამდენიმე პირს გააჩნია, სიაში შეტანა ხორციელდება არჩევნებზე მიღებულ ხმათა რაოდენობის მიხედვით.

მუხლი 55. წინა მუხლში გათვალისწინებული შეუთავსებლობის შემთხვევები არ აბრკოლება მომავალში კანონით შეუთავსებლობის სხვა პირობების დადგენას.

მუხლი 56. დეპუტატები აირჩევიან ხუთი წლის ვადით.

მუხლი 57. 1. პალატა ამოწმებს თავის წევრთა უფლებამოსილებას და წყვეტს მასთან დაკავშირებით წარმოქმნილ დავებს.

2. თანამდებობის დაკავებისას დეპუტატები დებენ შემდეგი შინაარსის ფიცს: „ეფიცავ, ვიქნები დიდი ჰერცოგის ერთგული და დავიცავ სახელმწიფოს კონსტიტუციასა და კანონებს".

3. ეს ფიცი იდება პალატის თავმჯდომარის წინაშე ღია სხდომაზე.

მუხლი 58. მთავრობის მიერ ანაზღაურებად თანამდებობაზე დანიშნული დეპუტატი, რომლის მიღებასაც იგი დაეთანხმა, დაუყოვნებლივ წყვეტს სადეპუტატო უფლებამოსილებას და მისი განხორციელება შეუძლია მხოლოდ ახალი არჩევის შემთხვევაში.

მუხლი 59. ყველა კანონპროექტი ექვემდებარება ხელახალ კენჭისყრას, თუ პალატა ღია სხდომაზე სახელმწიფო საბჭოს თანხმობით სხვა რამეს არ დადგენს. ორ კენჭისყრას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ სამი თვე.

მუხლი 60. პალატა ყოველ სესიაზე ირჩევს თავის თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს და ქმნის ბიუროს.

მუხლი 61. რეგლამენტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევების გარდა პალატის სხდომები ღიაა.

მუხლი 62. 1. ნებისმიერი რეზოლუცია მიიღება ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, კენჭისყრაზე წარდგენილი წინადადება უარყოფილად ითვლება.

2. პალატას რეზოლუციის მიღება შეუძლია მხოლოდ მის წევრთა უმრავლესობის დასწრების შემთხვევაში.

მუხლი 63. (ამოღებულია)

მუხლი 64. პალატას აქვს საგამოძიებო უფლებამოსილება. ამ უფლების განხორციელება რეგულირდება კანონით.

მუხლი 65. კანონპროექტი მიიღება მხოლოდ მუხლობრივი განხილვის შემდეგ.

მუხლი 66. პალატას უფლება აქვს შეცვალოს ან გაყოს წარმოდგენილი მუხლები და შესწორებები.

მუხლი 67. 1. დაუშვებელია პალატაში პეტიციის პირადად წარდგენა.

2. პალატა უფლებამოსილია პეტიციით მიმართოს მთავრობის წევრებს. მთავრობის წევრები ვალდებულნი არიან ახსნა-განმარტება მისცენ მისი შინაარსის თაობაზე, რამდენჯერაც პალატა მოითხოვს.

3. პალატა არ იხილავს პირადი ინტერესის მქონე პეტიციებს, თუ ეს პეტიციები არ ეხება მთავრობის ან ხელისუფლების აქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ან თუ ჩარევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პალატა.

მუხლი 68. დაუშვებელია დეპუტატის დევნა ან დაკითხვა მისი უფლებამოსილების შესრულებისას გამოთქმული შეხედულებებისა და ხმის მიცემისთვის.

მუხლი 69. სესიის დროს დეპუტატის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიშვება მხოლოდ პალატის თანხმობით, გარდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე დაკავების შემთხვევისა. სესიის დროს ვალისთვის დაპატიმრება დაიშვება მხოლოდ პალატის თანხმობით. დეპუტატის თავისუფლების აღკვეთა და დევნა სესიის მიმდინარეობისას ჩერდება, თუ ამას პალატა მოითხოვს.

მუხლი 70. პალატა თავისი რეგლამენტით ადგენს თავისი უფლებამოსილების განხორციელების წესს.

მუხლი 71. პალატის სხდომები ტარდება დიდი ჰერცოგის ადმინისტრაციის ადგილსამყოფელ შენობაში.

მუხლი 72. 1. პალატა იკრიბება ყოველწლიურად მორიგ სესიაზე, რეგლამენტით დადგენილ ვადაში.

2. დიდ ჰერცოგს შეუძლია მოიწვიოს პალატა საგანგებო სესიაზე; ის ვალდებულია ეს გააკეთოს დეპუტატთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

3. პალატის ყოველი სესია იხსნება და იხურება პირადად დიდი ჰერცოგის ან მისი სახელით სპეციალურად დანიშნული უფლებამოსილის მიერ.

მუხლი 73. (ამოღებულია)

მუხლი 74. დიდ ჰერცოგს შეუძლია დაითხოვოს პალატა. ახალი არჩევნები ტარდება დათხოვნიდან არა უგვიანეს სამ თვეში.

მუხლი 75. დეპუტატთა პალატის წევრები სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურების გარდა იღებენ ანაზღაურებას, რომლის გადახდის ოდენობა და პირობები განისაზღვრება კანონით.

თავი V. დიდი ჰერცოგის მთავრობა

მუხლი 76. დიდი ჰერცოგი განსაზღვრავს მისი მთავრობის ორგანიზაციას, რომელიც შედგება არანაკლებ სამი წევრისგან.

კონსტიტუციის 36-ე მუხლითა და 37-ე მუხლის მე-4 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, დიდ ჰერცოგს შეუძლია მის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში მთავრობის წევრებს დააკისროს მათ აღსასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.

მუხლი 77. დიდი ჰერცოგი ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობის წევრებს.

მუხლი 78. მთავრობის წევრები პასუხისმგებელნი არიან.

მუხლი 79. მთავრობის წევრებსა და დიდ ჰერცოგს შორის არ არის არანაირი შუამავალი ორგანო.

მუხლი 80. 1. მთავრობის წევრებს აქვთ პალატაში დასწრების უფლება და მათი მოთხოვნით უნდა მოუსმინონ.

2. პალატას შეუძლია მოითხოვოს მათი დასწრება.

მუხლი 81. დიდი ჰერცოგის ზეპირმა ან წერილობითმა ბრძანებამ არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება გაათავისუფლოს მთავრობის წევრი პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 82. პალატას უფლება აქვს აღძრას საქმე მთავრობის წევრის წინააღმდეგ. კანონი განსაზღვრავს პასუხისმგებლობას, სასჯელის დაკისრების წესს და, როგორც პალატის, ასევე დაზარალებულის მიერ გამოძიების მოთხოვნის საქმის წარმოების წესს.

მუხლი 83. დიდ ჰერცოგს მთავრობის მსჯავრდებული წევრის შეწყალება შეუძლია მხოლოდ პალატის მოთხოვით.

თავი V[1]. სახელმწიფო საბჭო

მუხლი 83[1]. 1. სახელმწიფო საბჭო მოწოდებულია მისცეს დასკვნები შემოთავაზებულ კანონპროექტებსა და შესწორებებზე და აგრეთვე მთავრობის მიერ ან კანონით დადგენილ სხვა საკითხებზე. მუხლებს კენჭი ეყრება პალატის მიერ 65-ე მუხლის შესაბამისად, მისი აზრის გათვალისწინებით, კანონით დადგენილ ვადებში.

2. სახელმწიფო საბჭოს ორგანიზაცია და უფლებამოსილების განხორციელების წესი რეგულირდება კანონით.

თავი VI. მართლმსაჯულება

მუხლი 84. დავები, რომელთა საგანსაც წარმოადგენს სამოქალაქო უფლებები, განსჯადია მხოლოდ სასამართლოების მიერ.

მუხლი 85. სასამართლოების განსჯადია პოლიტიკური უფლებების შესახებ დავები, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

მუხლი 86. არავითარი სასამართლო ან სადავო საქმის განხილვა არ შეიძლება, თუ არა კანონის ძალით. არ შეიძლება შეიქმნას არანაირი სახელწოდების კომისიები ან სასამართლოები.

მუხლი 87. სპეციალური კანონით განისაზღვრება უმაღლესი სასამართლო პალატის ორგანიზაცია.

მუხლი 88. სასამართლო სხდომები საჯაროა, თუ ეს არ წარმოადგენს საშიშროებას საზოგადოებრივი წესრიგისა და მორალისთვის. ამ შემთხვევაში თავის გადაწყვეტილებას აცხადებს სასამართლო.

მუხლი 89. სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს მოტივირებული. იგი ცხადდება ღია სხდომაზე.

მუხლი 90. მშვიდობის მოსამართლეები და სხვა მოსამართლეები ინიშნებიან უშუალოდ დიდი ჰერცოგის მიერ. უმაღლესი სასამართლო პალატის წევრები და საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეები და მოადგილეები ინიშნებიან უმაღლესი სასამართლო პალატის რჩევით დიდი ჰერცოგის მიერ.

მუხლი 91. 1. მშვიდობის მოსამართლეები, საოლქო სასამართლოებისა და უმაღლესი სასამართლო პალატის წევრები შეუცვლელნი არიან. მათგან არავის არ შეიძლება ჩამოერთვას თავისი თანამდებობა ან ვადამდე იქნეს გადაყენებული, თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამ მოსამართლეებიდან ნებისმიერის გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ სხვა ადგილას დანიშვნით და მისი თანხმობით.

2. თუმცა, ავადმყოფობის ან შეუფერებელი საქციელის შემთხვევაში შესაძლებელია მათი თანამდებობიდან გადაყენება, გამოწვევა ან გადაადგილება, კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად.

მუხლი 92. სასამართლო უწყების წევრთა ანაზღაურება დგინდება კანონით.

მუხლი 93. კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა არც ერთ მოსამართლეს არ შეუძლია გაუწიოს მთავრობას ანაზღაურებადი სამსახური, თუ იგი მას არ ახორციელებს აუნაზღაურებლად და იმ პირობით, რომ არ დაირღვევა კანონით დადგენილი შეუთავსებლობის პირობები.

მუხლი 94. 1. სპეციალური კანონები განსაზღვრავს სამხედრო სასამართლოების ორგანიზაციას, მათ უფლებამოსილებებს, ამ სასამართლოების წევრთა უფლებებსა და მოვალეობებს და უფლებამოსილების ვადებს.

2. კანონი ასევე განსაზღვრავს სასამართლო ორგანოების ორგანიზაციას შრომითი დავების განხილვისათვის, სასამართლო ინსტანციების სოციალური დაზღვევის სფეროში, მათ უფლებამოსილებას, დანიშვნის წესსა და წევრთა უფლებამოსილების ვადებს.

მუხლი 95. სასამართლოები და ტრიბუნალები იყენებენ საერთო და ადგილობრივ დადგენილებებსა და რეგლამენტებს, თუ ისინი შეესაბამებიან კანონებს. უმაღლესი სასამართლო პალატა კანონით დადგენილი წესით წყვეტს განსჯადობის შესახებ დავებს.

მუხლი 95¹. 1. ადმინისტრაციული საკითხებზე იურისდიქცია ეკუთვნის ადმინისტრაციულ ტრიბუნალსა და ადმინისტრაციულ სასამართლოს. ეს სასამართლოები ასევე აღჭურვილნი არიან საგადასახადო საკითხებზე დავების გადაწყვეტის უფლებამოსილებით, კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2. კანონით ასევე შეიძლება დადგენილ იქნეს სხვა ადმინისტრაციული ინსტანციები.

3. ადმინისტრაციული სასამართლო არის უმაღლესი სასამართლო ადმინისტრაციულ სფეროში.

4. ადმინისტრაციული სასამართლოების უფლებამოსილება და ორგანიზაცია რეგულირდება კანონით.

5. ადმინისტრაციული სასამართლოსა და ადმინისტრაციული ტრიბუნალის მოსამართლეები ინიშნებიან დიდი ჰერცოგის მიერ. ადმინისტრაციული სასამართლოს წევრების, ასევე ადმინისტრაციული ტრიბუნალის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის დანიშვნა, გარდა პირველადი დანიშვნისა, ხორციელდება ადმინისტრაციული სასამართლოს მოსაზრებების გათვალისწინებით.

6. 91-ე, 92-ე და 93-ე მუხლების დებულებები გამოიყენება ადმინისტრაციული სასამართლოსა და ადმინისტრაციული ტრიბუნალის წევრებისთვის.

მუხლი 95². 1. საკონსტიტუციო სასამართლო დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ.

2. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია პრეიუდიციალური წესით კანონის თანახმად, თავის ყოველ სხდომაზე მიიღოს გადაწყვეტილება კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ, გარდა იმ კანონებისა, რომლებიც ამტკიცებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაშია უმაღლესი სასამართლო პალატის თავმჯდომარე, ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარე, საკასაციო სასამართლოს ორი მრჩეველი და დიდი ჰერცოგის მიერ უმაღლესი სასამართლო პალატისა და ადმინისტრაციული სასამართლოს შეხედულების გათვალისწინებით დანიშნული ხუთი მოსამართლე. მათ მიმართ გამოიყენება 91-ე, 92-ე და 93-ე მუხლების დებულებები. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხუთი მოსამართლე.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაცია და უფლებამოსილების წესი განისაზღვრება კანონით.

თავი VII. შეიარაღებული ძალები

მუხლი 96. ყველაფერი, რაც ეხება შეიარაღებულ ძალებს, რეგულირდება კანონით.

მუხლი 97. კანონის საგანს წარმოადგენს წესრიგის დამცველ ძალთა ორგანიზაცია და უფლებამოსილება.

მუხლი 98. შეიძლება სამოქალაქო გვარდიის ფორმირება, რომლის ორგანიზაციაც რეგულირდება კანონით.

თავი VIII. ფინანსები

მუხლი 99. სახელმწიფოს სასარგებლოდ არავითარი გადასახადი არ შეიძლება იქნეს დადგენილი, თუ არა კანონით. სახელმწიფოს ხარჯზე არავითარი სესხი არ შეიძლება იქნეს აღებული პალატის თანხმობის გარეშე. სახელმწიფოს კუთვნილი არავითარი უძრავი ქონება არ შეიძლება იქნეს ჩამორთმეული, თუ ჩამორთმევა ნებადართული არ არის სპეციალური კანონით. თუმცა, ძირითადმა კანონმა შეიძლება დაადგინოს ლიმიტი, რომლის ქვემოთაც არ არის საჭირო პალატის სპეციალური თანხმობა. სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი დიდი უძრავი ქონების მოპოვება, სახელმწიფოს სასარგებლოდ ინფრასტრუქტურის და მნიშვნელოვანი მშენებლობის დიდი პროექტების რეალიზაცია, ნებისმიერი დიდი ფინანსური ვალდებულება სახელმწიფოს მიერ ნებადართული უნდა იყოს სპეციალური კანონით. ძირითადი კანონი განსაზღვრავს ლიმიტებს, რომლისგან გამომდინარეც მოითხოვება ნებართვა. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე არანაირი ვალდებულება არ შეიძლება დადგინდეს არა უმეტეს ერთი საფინანსო წლით,

თუ არა სპეციალური კანონით. არანაირი ვალდებულება, კომუნის არანაირი დებეგვრა არ შეიძლება დაწესდეს კომუნალური საბჭოს თანხმობის გარეშე. კანონი განსაზღვრავს კომუნალური გადასახადების დაკისრების სფეროში გამონაკლისებს, რომელთა საჭიროება დასტურდება გამოცდილებით.

მუხლი 100. სახელმწიფოს სასარგებლოდ გადასახადებს კენჭი ეყრებათ ყოველწლიურად. მისი წარმდგენი კანონმდებლობა ძალაში შედის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 101. არავითარი პრივილეგიები არ შეიძლება დაწესდეს გადასახადების დაკისრების სფეროში. ყოველგვარი გადასახადისგან გათავისუფლება ან მათი შემცირება დგინდება მხოლოდ კანონით.

მუხლი 102. დაუშვებელია მოქალაქეებისაგან რომელიმე გადასახადის მოთხოვნა, გარდა კანონში მითითებული გამონაკლისები შემთხვევებისა.

მუხლი 103. არავითარი პენსია, სამსახურისათვის გადასახდელი ან ანაზღაურება ხაზინის ანგარიშიდან არ შეიძლება დაწესდეს, თუ არა კანონით.

მუხლი 104. პალატა ყოველწლიურად ამტკიცებს ბიუჯეტის შესახებ ანგარიშს და კენჭს უყრის ბიუჯეტს. სახელმწიფოს ყოველგვარი შემოსავალი და ხარჯი მითითებული უნდა იყოს ბიუჯეტსა და ანგარიშებში.

მუხლი 105. 1. საერთო ადმინისტრაციისა და ხაზინის ანგარიშებს დაქვემდებარებული ყველა დაწესებულების ანგარიშების შემოღება და ლიკვიდაცია ეკისრება კონტროლის პალატას.

2. კანონი განსაზღვრავს ამ პალატის ორგანიზაციას, მისი უფლებამოსილების განხორციელებისა და წევრთა დანიშვნის წესს.

3. კონტროლის პალატა თვალყურს ადევნებს, რომ ბიუჯეტის გასავლების არც ერთი მუხლი არ იქნეს გადამეტებული.

4. ბიუჯეტის ერთი ნაწილიდან მეორეში არ შეიძლება განხორციელდეს არავითარი ტრანსფერტი, თუ არა კანონის საფუძველზე.

5. თუმცა, მთავრობის წევრებს შეუძლიათ მათი უწყებების ფარგლებში განახორციელონ ნამეტის ტრანსფერტი ერთი და იმავე ნაწილის ერთი მუხლიდან მეორეში, მაგრამ დეპუტატთა პალატის წინაშე მისი გამარტლების ვალდებულებით.

6. კონტროლის პალატა ამტკიცებს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებების ანგარიშებს და ვალდებულია შეაგროვოს მასთან დაკავშირებით ნებისმიერი ინფორმაცია და საბუღალტრო დოკუმენტი. სახელმწიფოს საერთო ანგარიში კონტროლის პალატის შენიშვნებთან ერთად წარედგინება დეპუტატთა პალატას.

მუხლი 106. რელიგიის მსახურთათვის ხელფასი და პენსია დგინდება სახელმწიფოს მიერ კანონით.

თავი IX. კომუნები

მუხლი 107. 1. კომუნები ტერიტორიულ საფუძველზე ქმნიან იურიდიული პირის უფლების მქონე ავტონომიურ ერთეულებს, რომლებიც იმართებიან თავიანთი ორგანოების მიერ, მათი საკუთრებითა და საკუთარი ინტერესით.

2. ყოველ კომუნაში არსებობს კომუნის ამომრჩევლების მიერ უშუალოდ არჩეული კომუნალური საბჭო. ამომრჩევლისა და ასარჩევთა პირობები დგინდება კანონით.

3. საბჭო ყოველწლიურად ადგენს კომუნის ბიუჯეტს და ამტკიცებს მის ანგარიშს. გარდა საგანგებო შემთხვევებისა, იგი იღებს კომუნის რეგლამენტს. მას შეუძლია დიდი პერცოგის თანხმობით დაადგინოს ადგილობრივი გადასახადები. დიდ პერცოგს აქვს საბჭოს დათხოვნის უფლება.

4. კომუნა იმართება ბურგომისტრების და ეშევენების კოლეგიის მიერ, რომლის წევრებიც არჩეულ უნდა იქნენ კომუნალური მრჩეველებისაგან. მოქალაქეობის მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდნენ ბურგომისტრების და ეშევენების კოლეგიის წევრები, დგინდება კონსტიტუციის 114-ე მუხლის პირობების თანახმად მიღებული კანონით.

5. კანონი არეგულირებს კომუნის მართვის კონტროლს. მას შეუძლია კომუნის ორგანოების ზოგიერთი აქტი დაუქვემდებაროს კონტროლის ორგანოს მხრიდან დამტკიცებას და ასევე გაითვალისწინოს მათი ბათილობა და შეჩერება კომუნის ინტერესებთან შეუთავსებლობისა და უკანონობის შემთხვევებში, ისე, რომ არ ჩაერიოს საერთო და ადმინისტრაციულ სასამართლოთა უფლებამოსილებაში.

მუხლი 108. სამოქალაქო მდგომარეობის აქტების წარმოება და რეესტრების შენახვა წარმოადგენს კომუნალური ხელისუფლების განსაკუთრებულ უფლებამოსილებას.

თავი X. ზოგადი დებულებები

მუხლი 109. ქალაქი ლუქსემბურგი არის დიდი საჰერცოგოს დედაქალაქი და მთავრობის ადგილსამყოფელი. მთავრობის ადგილსამყოფლის გადატანა შესაძლებელია მხოლოდ დროებით და მხოლოდ სერიოზული მიზეზით.

მუხლი 110. 1. არანაირი ფიცი არ დაიშვება, თუ არა კანონით; მისი ფორმა განისაზღვრება კანონით.

2. ყველა საჯარო თანამდებობის პირი, თანამდებობაზე გამწესების წინ დებს შემდეგი შინაარსის ფიცს:

„ვფიცავ, ვიქნები დიდი ჰერცოგის ერთგული, დავემორჩილები სახელმწიფოს კონსტიტუციასა და კანონებს. ვალდებულებას ვიღებ, ჩემი მოვალეობები შევასრულო პატიოსნად, ზუსტად და მიუკერძოებლად“.

მუხლი 111. ნებისმიერი უცხოელი, რომელიც იმყოფება დიდი საჰერცოგოს ტერიტორიაზე, სარგებლობს პიროვნებისა და ქონების დაცვით, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

მუხლი 112. კანონი, საერთო ან კომუნალური ადმინისტრაციული დადგენილება ან რეგლამენტი ძალაში შედის მხოლოდ კანონით დადგენილი ფორმით გამოქვეყნების შემდეგ.

მუხლი 113. კონსტიტუციის არც ერთი დებულება არ შეიძლება იქნეს შეჩერებული.

მუხლი 114. კონსტიტუციის ნებისმიერი გადასინჯვა დეპუტატთა პალატაში მიიღება ორი მოსმენით, რომელთა შორის ინტერვალი უნდა იყოს არანაკლებ სამი თვე. გადასინჯვა არ შეიძლება მიღებულ იქნეს, თუ მას ხმას არ მისცემს პალატის წევრთა ორი მესამედი. პალატის წევრთა ერთი მეოთხედის ან საკანონმდებლო არჩევნებისას საარჩევნო სიებში რეგისტრირებული ოცდახუთი ათასი ამომრჩეველის მოთხოვნით დეპუტატთა პალატის მიერ პირველი მოსმენით მიღებული ტექსტი პალატაში მეორე მოსმენის ნაცვლად ერთი თვის ვადაში გაიტანება რეფერენდუმზე. გადასინჯვა დამტკიცებულად ითვლება, თუ იგი მოიპოვებს ნამდვილად ცნობილ ხმათა უმრავლესობას. კანონი ადგენს რეფერენდუმის ორგანიზაციის წესს.

მუხლი 115. რეგენტობის პერიოდში კონსტიტუციაში არ შეიძლება შევიდეს არავითარი შესწორება, რომელიც ეხება დიდი ჰერცოგის კონსტიტუციურ პრეროგატივებს, მის სტატუსს და აგრეთვე ტახტის მემკვიდრეობითობას.

თავი XI. ბარდამავალი და დამატებითი დებულებები

მუხლი 116. შესაბამისი კანონის მიღებამდე, დეპუტატთა პალატა სარგებლობს მთავრობის წევრთა მიმართ თავისი შეხედულებით გამოძიების უფლებით, ხოლო უმაღლესი სასამართლოს საერთო სხდომაზე მას განსჯის სამართალდარღვევის კვალიფიკაციითა და სასჯელის განსაზღვრით, თუმცა სასჯელი არ

შეიძლება იყოს თავისუფლების აღკვეთაზე მძიმე, გარდა კანონით განსაკუთრებულად გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 117. კონსტიტუციის მიღების დღიდან უარყოფილია ყველა კანონი, დეკრეტი, დადგენილება, რეგლამენტი და სხვა აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება მას.

მუხლი 118. სიკვდილით დასჯა, რომელიც გაუქმებულია პოლიტიკურ საქმეებზე, იცვლება უშუალოდ სასჯელის ქვემდგომი ღონისძიებებით, იქამდე, სანამ ახალი კანონით არ დადგინდება სასჯელი.

მუხლი 119. შეთანხმების მიღწევამდე ძალაში რჩება 22-ე მუხლში გათვალისწინებული რელიგიური კულტების შესახებ მოქმედი დებულებები.

მუხლი 120. კონსტიტუციით გათვალისწინებული კანონებისა და რეგლამენტების გამოქვეყნებამდე გამოიყენება მოქმედი კანონები და რეგლამენტები.

მუხლი 121. (ამოღებულია)

ისრაელი


0 10 20 km
0 10 20 mi
LEBANON
SYRIA
Nahariyya
Har Meron
Haifa
Nazareth
Mediterranean Sea
Hadera
Netanya
Tel Aviv-Yafo
Bat Yam
Holon
Petah Tiqwa
West Bank
Rishon LeZiyyon
Ashdod
Jerusalem
Ashqelon
Gaza Strip
Dead Sea
Beersheba
Dimona
NEGEV
JORDAN
EGYPT
Eilat

ზოგადი ცნობარი

შესავალი

II მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთმა უარი განაცხადა პალესტინის მანდატზე. გაერომ აღნიშნული ტერიტორია დაყო არაბულ და ებრაულ სახელმწიფოებად, რამაც არაბების უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ისრაელთან წარმოებულ რამდენიმე ომში არაბები დამარცხდნენ, თუმცა ორ მხარეს შორის დაპირისპირება არ შეწყვეტილა.

1982 წელს ისრაელმა 1979 წლის ისრაელი-ეგვიპტეს სამშვიდობო ხელშეკრულების შესაბამისად გამოიყვანა ჯარები სინაიდან. 1993 წელს ისრაელის და პალესტინის ოფიციალურმა პირებმა ხელი მოაწერეს ე.წ. „ოსლოს შეთანხმებას", რომელიც ითვალისწინებდა დროებითი პალესტინური ავტონომიის შექმნას. იორდანიასთან არსებული ტერიტორიული და სხვა სახის დავები გადაწყდა 1994 წელს დადებული ისრაელ-იორდანიის სამშვიდობო ხელშეკრულებით. 2000 წელს ისრაელმა ცალმხრივად დატოვა სამხრეთ ლიბანის ტერიტორია, რომელიც ოკუპირებული ჰქონდა 1982 წლიდან. 1991 წელს ისრაელის, პალესტინისა და სირიის წარმომადგენლებს შორის გაიმართა მოლაპარაკებები საბოლოო შეთანხმების მისაღწევად. 2002 წლის 24 ივნისს აშშ-მა პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოსაგვარებლად წარმოადგინა „საგზაო რუკა", რომელიც ითვალისწინებდა ორი სახელმწიფოს შექმნას. ამის მიუხედავად, მუდმივი სტატუსის შესახებ შეთანხმების მიღწევა შეაფერხა 2000 წლის სექტემბრიდან პალესტინა-ისრაელს შორის აგორებულმა ძალადობის ახალმა ტალღამ.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: შუა აღმოსავლეთი; ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ლიბანი, აღმოსავლეთიდან – იორდანია, ხოლო დასავლეთიდან – ეგვიპტე.

ფართობი: სულ: 20.770 კვ^2; მიწა: 20.330 კვ^2; წყალი: 440 კვ^2.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ხე-ტყე, პოტაში, სპილენძი, ბუნებრივი აირი, ფოსფატური ქანები, მაგნიუმი, თიხა, ქვიშა.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 7 112 359 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 28% (მამაკაცი 1 118 229; ქალი 971 083);
15-64 წლის: 62.2% (მამაკაცი 2 244 928; ქალი 2 183 688);
65 წლის და ზემოთ: 9.8% (მამაკაცი 303 289; ქალი 393 142) (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 1.713% (2008);

შობადობა: 20.02 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 5.41 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: 2.52 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთლიანი მოსახლეობა: 80.61 წელი; მამაკაცი: 78.54 წელი; ქალი: 82.79 წელი (2008).

მოქალაქეობა: ისრაელის

ეთნიკური ჯგუფები: ებრაელები 76.4 (ისრაელში დაბადებულები 67.1%, ევროპასა და ამერიკაში დაბადებულები 22.6%, აფრიკაში დაბადებულები 5.9%, აზიაში დაბადებულები 4.2%), არაებრაელები 23.6% (ძირითადად არაბები) (2004).

რელიგია: იუდაიზმი 76.4%, მაჰმადიანობა 16% (ძირითადად სუნიტები), ქრისტიანობა 2.1%, სხვა 3.9% (2004);

ენები: ებრაული (ოფიციალური), არაბული, რომელიც ოფიციალურად გამოიყენება არაბი უმცირესობისთვის.

განათლებულობა: მთელი მოსახლეობის: 97.1%; მამაკაცი: 98.5%; ქალი: 95.9% (2004).
შენიშვნა: მოცემულია 15 წელზე უფროსი ასაკის წერა-კითხვის მცოდნე პირთა მიმართ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება: ვრცელი ფორმა: ისრაელის სახელმწიფო
შემოკლებული ფორმა: ისრაელი
ადგილობრივი ვრცელი ფორმა: მედინატ ისრაელ
ადგილობრივი შემოკლებული ფორმა: ისრაელ

მმართველობის ფორმა: საპარლამენტო რესპუბლიკა

დედაქალაქი: იერუსალიმი

ადმინისტრაციული ერთეულები: 6 ოლქი; ცენტრალური, პაიფა, იერუსალიმი, ჩრდილოეთი, სამხრეთი და თელ-ავივი.

დამოუკიდებლობა: 1948 წლის 14 მაისი (ერთა ლიგის მანდატისაგან);

ეროვნული დღესასწაულები: დამოუკიდებლობის დღე 14 მაისი (1948);

აღმასრულებული ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი შიმონ პერესი (2007 წლის 15 ივლისიდან);
მთავრობის მეთაური: პრემიერ მინისტრი ეჰუდ ოლმერტი (2006 წლის მაისიდან);
არჩევნები: უკანასკნელი არჩევნები ჩატარდა 2007 წლის 13 ივნისს, რის შედეგადაც პრეზიდენტად აირჩა შიმონ პერესი; შემდეგი არჩევნები უნდა ჩატარდეს 2014 წელს.

კაბინეტი: პრემიერ-მინისტრის ოფისი; თავდაცვის სამინისტრო; მშენებლობის სამინისტრო; იმიგრანტთა ინტეგრაციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; ეროვნული ინფრასტრუქტურის სამინისტრო; მრეწველობის, ვაჭრობისა და შრომის სამინისტრო; ტრანსპორტისა და საგზაო უსაფრთხოების სამინისტრო; სოფლის მეურნეობისა და აგრარული განვითარების სამინისტრო; კომუნიკაციების სამინისტრო; განათლების სამინისტრო; გარემოს დაცვის სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; საგარეო ურთიერთობათა სამინისტრო; მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ტურიზმის სამინისტრო; კეთილდღეობისა და სოციალური მომსახურების სამინისტრო; ნეგევისა და გალილეის განვითარების სამინისტრო; ჯანდაცვის სამინისტრო, პენსიონერთა საქმეების სამსახური.

საკანონმდებლო ხელისუფლება:
ერთპალატიანი პარლამენტი — ქნესეთი (120 ადგილიანი; წევრები აირჩევიან პირდაპირ გზით 4 წლის ვადით);
არჩევნები: უკანასკნელად ჩატარდა 2006 წლის 28 მარტს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: მშვიდობისა და თანასწორობის დემოკრატიული ფრონტი, მწვანე ფოთლის პარტია, შრომის პარტია, ლიკუდის პარტია, ეროვნულ-დემოკრატიული ასამბლეა, ეროვნული რელიგიური პარტია, ეროვნული კავშირი, ერთი ერი, შასი, შინუი, გაერთიანებული არაბული სია, გაერთიანებული თორა იუდაიზმი, იაჰადი.

ეკონომიკის მიმოხილვა: ისრაელს გააჩნია ტექნოლოგიურად განვითარებული საბაზრო ეკონომიკა, მთავრობის მნიშვნელოვანი მონაწილეობით. ის დამოკიდებულია დაუმუშავებელი ნავთობის, მარცვლეულის, ნედლეულის და სამხედრო აღჭურვილობის იმპორტზე. ბუნებრივი რესურსების შეზღუდული რაოდენობის მიუხედავად ისრაელმა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ინტენსიურად განავითარა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სექტორები.

ისრაელი ახორციელებს მნიშვნელოვანი რაოდენობით მარცვლეულის იმპორტს, თუმცა სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება ძირითადად ადგილობრივი საშუალებებით ხდება. დამუშავებული ალმასები, მაღალი ტექნოლოგიური აღჭურვილობა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (ხილი და ბოსტნეული) ძირითადი საექსპორტო საქონელია. ისრაელში მნიშვნელოვანი მიმდინარე საგადასახადო დეფიციტია, რომლის დაფარვა ხდება დიდი ოდენობის საზღვარგარეთული სატრანსფერო გადასახადებით და საზღვარგარეთული კრედიტებით. მთავრობის საგარეო ვალების დაახლოებით ნახევარი ეკუთვნის აშშ-ს, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური და სამხედრო დახმარების მთავარ წყაროს.

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტმა, მაღალი ტექნოლოგიების, მშენებლობისა და ტურიზმის სფეროში არსებულმა სირთულეებმა და მზარდმა ინფლაციამ 2001-2002 წ.წ. გამოიწვია მთლიანი შიდა პროდუქტის მცირეოდენი შემცირება. თუმცა, მთავრობის მიერ გატარებულმა გონივრულმა ფისკალურმა პოლიტიკამ და სტრუქტურულმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად გაზარდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მაჩვენებელი და ხელი შეუწყო ეკონომიკის სტაბილური განვითარების გარემოს შექმნას, რის შედეგადაც 2003 წლიდან მოყოლებული ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 5%-ს შეადგენს.

მთლიანი შიდა პროდუქტი — მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $161.9 მილიარდი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 5.3% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $26,600 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 2.7%; მრეწველობა: 30.2%; მომსახურება: 67.1% (2007);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 21.6% (2005);

ბიუჯეტი: შემოსავალი: $53.6 მილიარდი; გასავალი: $53.63 მილიარდი (2007);

ექსპორტი: $50.37 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: მექანიზმები და აღჭურვილობა, პროგრამული უზრუნველყოფა, დამუშავებული ალმასები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ქიმიკატები, ქსოვილები და ტანსაცმელი.

ექსპორტის პარტნიორები: აშშ 35%, ბელგია 7.5%, ჰონგ-კონგი 5.8% (2007);

იმპორტი: $55.79 მილიარდი. (2007);

საიმპორტო საქონელი: ნედლეული, სამხედრო აღჭურვილობა, საწარმოო საშუალებები, დაუმუშავებელი ალმასები, საწვავი, მარცვლეული, სამომხმარებლო საქონელი.

იმპორტის პარტნიორები: აშშ 13.9%, ბელგია 7.9%, გერმანია 6.2%, ჩინეთი 6.1%, შვეიცარია 5.1%, დიდი ბრიტანეთი 4.7%, იტალია 4.1% (2007);

საგარეო ვალი: $89.95 მილიარდი (2007);

ეკონომიკური დახმარება: $240 მილიონი აშშ-ისგან (2006);

ვალუტა: შეკელი (ILS).

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. ისრაელის კონსტიტუციონალიზმის, ისევე როგორც სახელმწიფოებრიობის ისტორია სათავეს იღებს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებით, რომელიც ფორმალური თვალსაზრისითა და ისრაელის უზენაესი სასამართლოს განმარტებით არ წარმოადგენს კონსტიტუციურ აქტს, თუმცა შეიცავს ფუნდამენტურ დებულებებს ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის პრინციპების შესახებ, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი ზეგავლენა მოახდინეს ამჟამად არსებული კონსტიტუციური მოდელის განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესზე. დეკლარაციის მიხედვით კონსტიტუციის ტექსტის შემუშავება დაეკალა კონსტიტუციურ ასამბლეას, რომელიც არჩეულ იქნა 1949 წლის 25 იანვარს. ასამბლეამ ჩაატარა 4 სხდომა და მიიღო გარდამავალი კანონი, რის საფუძველზეც იგი იწოდა პირველ ქნესეთად. ვინაიდან ვერც კონსტიტუციურმა კომისიამ და ვერც პირველმა ქნესეთმა ვერ შეძლო კონსტიტუციის ტექსტის შემუშავება, ქნესეთი იძულებული გახდა მიეღო ცალკეული ძირითადი კანონები სახელმწიფოებრივი მოწყობის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულწილად სადავოდ არის მიჩნეული თავად ძირითადი კანონების სამართლებრივი ბუნების არსი. აზრთა სხვადასხვაობა მათი იურიდიული ბუნებისა და ჩვეულებრივ კანონებთან მიმართებაში სამართლებრივი უპირატესობის საკითხთან დაკავშირებით განპირობებულია თავად ძირითადი კანონების მიღების პროცედურით, რომელიც ჩვეულებრივი კანონების მიღების პროცედურის იდენტურია. თუმცა თავად დასახელება და აგრეთვე ისრაელის უზენაესი სასამართლოს უახლესი პრაქტიკა ნათლად ცხადყოფს აღნიშნული აქტების კონსტიტუციურ ხასიათს.

კონსტიტუციის ანალიზი. ისრაელის კონსტიტუცია ე.წ არაკოდიფიცირებულ კონსტიტუციათა რიცხვს განეკუთვნება. ერთიანი, ორგანული სტრუქტურის არ მქონე კონსტიტუცია ცალკეული კანონების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც ძირითად კანონებად იწოდება და ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის ფუნდამენტურ საკითხებს არეგულირებს. ამჟამინდელი მდგომარეობით ქვეყნის კონსტიტუციას ქმნის სხვადასხვა დროს მიღებული 12 ძირითადი კანონი: ქნესეთი, ისრაელის მიწები, სახელმწიფოს პრეზიდენტი, სახელმწიფოს ეკონომიკა, ჯარი, ისრაელის დედაქალაქი – იერუსალიმი, სასამართლო ხელისუფლება, სახელმწიფოს კონტროლიორი, ადამიანის ღირსება და თავისუფლება, მთავრობა და დასაქმების თავისუფლება.

ადამიანის უფლება-თავისუფლებებს ეძღვნება 1992 წლის 17 მარტის ძირითადი კანონი „ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების შესახებ", რომელიც მხოლოდ ადამიანის ფუნდამენტურ უფლება-თავისუფლებათა გარანტირებით შემოიფარგლება. პირველი მუხლის თანახმად, კანონის ძირითად მიზანს ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების დაცვა წარმოადგენს. კანონი კრძალავს სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ღირსების ყოველ დარღვევას, განამტკიცებს პირადი

თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლებას, გადაადგილების თავისუფლებას, პირადი ცხოვრებისა და საკუთრების ხელშეუხებლობის უფლებას. კანონი შეიცავს ასევე გარანტიას, რომლის მიხედვითაც უფლებათა შეზღუდვა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და აკისრებს სახელმწიფო სტრუქტურებსა და თანამდებობის პირებს უფლებების დაცვის ვალდებულებას.

დასაქმების უფლებას ეთმობა 1994 წლის 9 მარტის ძირითადი კანონი „დასაქმების თავისუფლების შესახებ", რომლის მე-3 მუხლი განამტკიცებს ისრაელის ყველა მოქალაქისა და ისრაელში მცხოვრებ პირთა უფლებას დაიკავონ ყველა სახის თანამდებობა, განახორციელონ პროფესიული და სავაჭრო საქმიანობა. აღნიშნული უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, გარკვეულ ფარგლებში და შესაბამისი საკანონმდებლო მიზეზის არსებობისას.

მმართველობის ფორმის მიხედვით ისრაელი საპარლამენტო რესპუბლიკას წარმოადგენს. „ქნესეთის შესახებ" ძირითადი კანონის თანახმად, ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა საყოველთაო, ეროვნული, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული არჩევნებით დაკომპლექტებული 120 წევრიანი ქნესეთი. საარჩევნო ხმის უფლებას ფლობს 18 წლის ასაკს მიღწეული ისრაელის ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც ეს უფლება სასამართლოს მიერ არ აქვს ჩამორთმეული, ხოლო პასიურ საარჩევნო ხმის უფლებას — ისრაელის ყველა მოქალაქე, რომელსაც კანდიდატთა სიაში შეტანის დღეს შეუსრულდა 21 წელი ან მეტი, თუ მას აღნიშნული უფლება ჩამორთმეული არ აქვს კანონის საფუძველზე ან სასამართლოს გადაწყვეტილებით მისჯილი არ აქვს ხუთი წლით ან მეტი ვადით პატიმრობა ქნესეთის არჩევნების შესახებ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის და თუ მისი პატიმრობის ვადის გასვლის თარიღიდან გასული არ არის ხუთი წელი. კონსტიტუცია ზღუდავს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა არჩევის შესაძლებლობას პარლამენტში. კანონი ასევე განსაზღვრავს იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ ქნესეთის წევრობის კანდიდატები. ამ კატეგორიის პირებს განეკუთვნება, მაგალითად, სახელმწიფოს პრეზიდენტი, მთავარი რაბინი, მოსამართლე, რელიგიური სასამართლოს მოსამართლე, სახელმწიფო კონტროლიორი, თავდაცვის ჯარების გენერალური შტაბის ხელმძღვანელი და კანონით განსაზღვრული სხვა მაღალი რანგის მქონე სახელმწიფო მოხელეები და სამხედრო თანამდებობის პირები.

ქნესეთის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ოთხი წლით. უფლებამოსილების ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში ქნესეთის არანაკლებ 80 წევრის მხარდაჭერით მიღებული კანონის საფუძველზე. ამასთან მოცემული პერიოდი არ შეიძლება აღემატებოდეს აღნიშნული გარემოებების გადასალახად აუცილებელ დროს. ზემოხსენებული კანონით განისაზღვრება ასევე ახალი არჩევნების ჩატარების თარიღი.

წლის განმავლობაში ქნესეთი ატარებს 2 სესიას, რომელთა საერთო ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს 8 თვეზე ნაკლები. საკითხების განხილვა ხდება ღია სხდომებზე, თუმცა ქნესეთის გადაწყვეტილებით სხდომა შეიძლება იყოს ფარული. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა ქნესეთის თავმჯდომარის მიერ ქნესეთის ოცდაათი წევრის ან მთავრობის მოთხოვნით. გადაწყვეტილებათა მიღება ხდება კენჭისყრაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ქნესეთი თავის წევრთა შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეებს. ქნესეთის თავმჯდომარე წარმართავს ქნესეთის საქმიანობას, წარმოადგენს ქნესეთს და პასუხისმგებელია რეგლამენტისა და წესრიგის დაცვაზე. იგი, ან მისი რომელიმე მოადგილე, ხელმძღვანელობს სხდომას, წარადგენს საკითხებს განხილვაზე და ამტკიცებს კენჭისყრის შედეგებს. გარდა ამისა, ქნესეთი ირჩევს ქნესეთის მდივანს, რომელიც ინიშნება ქნესეთის თავმჯდომარის მიერ და ხელმძღვანელობს ქნესეთის საპარლამენტო მუშაობას. იგი კონსულტაციას უწევს თავმჯდომარეს საპროცედურო და რეგლამენტის საკითხებში, ასევე პასუხისმგებელია მთავრობასთან კონტაქტზე, ფრაქციათა უფლებების დაცვაზე და საერთაშორისო ხელშეკრულებების გატანაზე. გარდა ამისა, ქნესეთში არსებობს გენერალური დირექტორის თანამდებობა, რომელიც მთლიანად ორგანიზაციულ-სამეურნეო საკითხების მოგვარებით არის დაკავებული.

პარლამენტის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით პარლამენტი ქმნის ასევე მუდმივმოქმედ კომიტეტებს. იგი ასევე უფლებამოსილია კომიტეტებისათვის შესაბამისი ფუნქციის მინიჭებით ან სპეციალური კომისიის ფორმირების გზით შექმნას საგამოძიებო კომისიები და განსაზღვროს მათი უფლებამოსილება და ფუნქციები. კომიტეტების ფორმირება ხდება ქნესეთში პარტიათა წარმომადგენლობის პროპორციულად. დღესდღეობით პარლამენტში ფუნქციონირებს 12 მუდმივმოქმედი კომიტეტი. ესენია: კონსტიტუციის, კანონისა და მართლმსაჯულების; ეკონომიკური ურთიერთობების; განათლების, კულტურისა და სპორტის; ქალთა სტატუსის; საფინანსო; საერთაშორისო ურთიერთობებისა და თავდაცვის; წარმომადგენელთა; იმიგრაციისა და ინტეგრაციის; შინაგან საქმეთა და გარემოს; შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის; მეცნიერებისა და ტექნოლოგიების; სახელმწიფო კონტროლის.

კომიტეტები აქტიურად მონაწილეობენ საკანონმდებლო პროცესში და ამზადებენ კანონპროექტებს წინასწარი და პირველი მოსმენის შემდეგ შემდგომი მოსმენებისათვის. გარდა ამისა, კომიტეტები განიხილავენ დღის წესრიგის საკითხებს, მოქალაქეთა მიმართვებს და ქნესეთის მიერ მათთვის განსახილველად გადაცემულ ნებისმიერ სხვა საკითხს. კომიტეტები უფლებამოსილი არიან ცალკეული საკითხების განსახილველად მოიწვიონ მინისტრები, სახელმწიფო მოხელეები, სპეციალისტები, შექმნან ქვეკომიტეტები. შესაძლებელია ერთობლივი კომიტეტების შექმნაც სხვადასხვა კომიტეტების წარმომადგენელთა თანაბარი მონაწილეობით.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლებამოსილება გააჩნია მთავრობას, ქნესეთის წევრს, დეპუტატთა ჯგუფს და ქნესეთის კომისიას. კანონპროექტების განხილვა ხდება სამი მოსმენით. პირველი მოსმენის შემდეგ პარლამენტი უფლებამოსილია უარყოს კანონპროექტი ან გადასცეს იგი კომიტეტს მისი შემდგომი მომზადებისათვის. კომიტეტი უფლებამოსილია შეიმუშავოს წინადადებები, რომლებიც არ შეიძლება სცდებოდეს კანონპროექტის თემას. მას შემდეგ, რაც კომისია მორჩება მის საქმეს, იგი გადაუგზავნის კანონპროექტს ქნესეთს მეორე და მესამე განხილვებისთვის.

კანონი არეგულირებს ასევე ქნესეთის წევრთა გადადგომასთან და უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხებს. ქნესეთის წევრი უფლებამოსილია მოითხოვოს გადადგომა, რის შესახებაც მან წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ქნესეთის თავმჯდომარეს. უფლებამოსილება შეწყდება თავმჯდომარისათვის განცხადების წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში, თუ ამავე ვადაში იგი უკან არ იქნება გათხოვილი.

ქნესეთის წევრის უფლებამოსილება ავტომატურად წყდება ქნესეთის წევრობის კანდიდატობისათვის შეუთავსებელ თანამდებობაზე არჩევის ან დანიშვნის მომენტიდან.

ქნესეთი ასევე უფლებამოსილია რეზოლუციით შეუწყვიტოს მის წევრს უფლებამოსილება, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად მას ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაული და მისჯილი აქვს პატიმრობა ერთ წელზე მეტი ვადით. საკითხის ინიცირება შესაძლებელია სულ მცირე 10 წევრის მიერ შეტანილი სარჩელისა და პალატის კომიტეტის წინადადების საფუძველზე. გადაწყვეტილება მიიღება ქნესეთის წევრთა 2/3-ის თანხმობით.

გარდა საკანონმდებლო ფუნქციებისა პარლამენტი ახორციელებს ასევე სახელმწიფოს ფინანსურ კონტროლს სახელმწიფო აუდიტორის ინსტიტუტის მეშვეობით. სახელმწიფო აუდიტს ახორციელებს სახელმწიფო კონტროლიორი, რომელიც აირჩევა ქნესეთის მიერ 7 წლის ვადით და პასუხისმგებელია მხოლოდ ქნესეთის წინაშე. სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაკავება შეუძლია ისრაელში მუდმივად მცხოვრებ ნებისმიერ მოქალაქეს. კონტროლიორი უფლებამოსილია განახორციელოს სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, სახელმწიფო კორპორაციების, ადგილობრივი ორგანოების და იმ ორგანოების ეკონომიკის, ქონების, ფინანსების აუდიტი, რომლებიც ექვემდებარებიან სახელმწიფო კონტროლიორის მიერ შემოწმებას. სახელმწიფო აუდიტს დაქვემდებარებულმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლად უნდა მიაწოდოს სახელმწიფო კონტროლიორს ის ინფორმაცია, დოკუმენტაცია, ახსნა-განმარტებები ან ნებისმიერი სხვა მასალა, რომელსაც კონტროლიორი აუდიტის მიზნებისათვის აუცილებლად მიიჩნევს. კონტროლიორი უფლებამოსილია შეისწავლოს საზოგადოების მიერ წარმოდგენილი საჩივრები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. კონტროლიორი მის მიერ განხორციელებული აუდიტის ანგარიშებს წარუდგენს ქნესეთს.

სახელმწიფოს მეთაურის სტატუსი, უფლებამოსილებები, აგრეთვე არჩევისა და გადაყენების პროცედურები რეგულირდება „სახელმწიფოს პრეზიდენტის შესახებ" ძირითადი კანონით. კანონის პირველი მუხლის თანახმად, ქვეყნისა სახელმწიფო მეთაურს წარმოადგენს ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა ქნესეთის მიერ 7 წლის ვადით. პრეზიდენტის კანდიდატურის წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია ქნესეთის სულ მცირე 10 წევრს. ქნესეთის თავმჯდომარე მის მოადგილესთან კონსულტაციის შემდეგ ნიშნავს არჩევნების დღეს.

პრეზიდენტი აირჩევა ფარული კენჭისყრით. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ქნესეთის წევრთა ხმების უმრავლესობას. თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა უმრავლესობას, ტარდება მეორე ტური. თუ მეორე ტურშიც ვერ მიიღება უმრავლესობა, არჩევნები უნდა გაგრძელდეს. ვინც მესამე და ყოველ მომდევნო არჩევნებში შედეგების მიხედვით ყველაზე ცოტა ხმას მიიღებს, ვეღარ მიიღებს მონაწილეობას შემდეგ ტურში. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მესამე ან ყოველ შემდგომ ტურში მიიღებს კენჭისყრაში მონაწილე ქნესეთის წევრთა ხმების უმრავლესობას. თუ ორი კანდიდატი მიიღებს ხმათა თანაბარ რაოდენობას, კენჭისყრა განმეორებით უნდა ჩატარდეს.

პრეზიდენტი ხელს აწერს ყველა კანონს, გარდა იმისა, რომელიც მის უფლებამოსილებას შეეხება, აყალიბებს მთავრობას, კანონის შესაბამისად იღებს მთავრობის გადადგომას, ახდენს სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას, იღებს უცხო სახელმწიფოების მიერ ისრაელში გამოგზავნილი დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას, უფლებამოსილებას ანიჭებს ისრაელის საკონსულოს წარმომადგენლებს და ამტკიცებს ისრაელში გამოგზავნილი უცხო ქვეყნის საკონსულოს წარმომადგენლების დანიშვნებს, ხელს აწერს ქნესეთის მიერ რატიფიცირებულ უცხო სახელმწიფოსთან დადებულ კონვენციებს, ნიშნავს და ათავისუფლებს მოსამართლეებსა და სხვა თანამდებობის პირებს, ახორციელებს მისთვის კანონით დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

პრეზიდენტს არ შეიძლება ეკავოს სხვა რაიმე თანამდებობა ან ახორციელებდეს რაიმე სხვა საქმიანობას. იგი ფლობს იმუნიტეტს, რომელიც გრძელდება თანამდებობის დატოვების შემდეგაც.

პრეზიდენტს შეუძლია გადადგეს თანამდებობიდან ქნესეთის თავმჯდომარესთან წერილობითი განაცხადის წარდგენის შემდეგ. გადადგომის შესახებ განაცხადს არ ესაჭიროება დამოწმება. პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტურად ცხადდება ქნესეთის თავმჯდომარესთვის გადადგომის შესახებ განაცხადის წარდგენიდან 48 საათის შემდეგ.

პრეზიდენტი შესაძლებელია გადაყენებულ იქნეს ქნესეთის რეზოლუციით, თუ იგი არ შესაბამება თანამდებობას. საკითხის ინიცირების უფლებამოსილება გააჩნია ქნესეთის არანაკლებ 20 წევრს, რასაც მხარი უნდა დაუჭიროს ქნესეთის პალატის კომიტეტის წევრთა არანაკლებ 3/4-მა. საკითხი უნდა იქნეს განხილული ქნესეთის სხდომაზე ან სპეციალურად ამისათვის შეკრებილ სხდომაზე. პრეზიდენტი უფლებამოსილია ქნესეთში საკითხის დაყენებამდე გამოთქვას საკუთარი აზრი და დაიცვას თავი. პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამას

მხარს დაუჭერს ქნესეთის წევრთა 3/4. პრეზიდენტის თანამდებობის ვაკანტურად გამოცხადების შემთხვევაში პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს ქნესეთის თავმჯდომარე.

მთავრობის უფლებამოსილება, მისი საქმიანობის წესი, ადგილი და როლი სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში განისაზღვრება ძირითადი კანონით „მთავრობის შესახებ", რომელიც 2001 წლის 7 მარტს იქნა მიღებული. აღნიშნული კანონის პირველი მუხლის თანახმად, მთავრობა, რომელიც კაბინეტად იწოდება, წარმოადგენს სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელიც შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან და პასუხისმგებელია ქნესეთის წინაშე. პრემიერ-მინისტრი იმავდროულად არის ქნესეთის წევრი. ამჟამინდელი მდგომარეობით, მთავრობა, გარდა პრემიერ-მინისტრისა, შედგება ვიცე პრემიერ-მინისტრის და პრემიერ-მინისტრის ოთხი მოადგილისაგან, რომლებიც იმავდროულად ცალკეულ სამინისტროებს ხელმძღვანელობენ და ოცი მინისტრისაგან.

კანონი განსაზღვრავს მთავრობის ფორმირების პროცედურას. აღნიშნული პროცედურის შესაბამისად, ქნესეთის ფრაქციებთან კონსულტაციის შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტი ქნესეთის ერთ-ერთ წევრს, რომელიც განაცხადებს, რომ მზადაა მიიღოს შესაბამისი ამოცანები, აკალებს მთავრობის ფორმირებას. ქნესეთის წევრმა, რომელსაც დაეკისრა მთავრობის ფორმირება, ეს ამოცანა უნდა განახორციელოს 28 დღის განმავლობაში. პრეზიდენტი უფლებამოსილია არა უმეტეს 14 დღით გააგრძელოს ეს ვადა. როდესაც პრეზიდენტი ქნესეთის წევრს დააკისრებს მთავრობის ფორმირების ამოცანას, პრეზიდენტი ამის შესახებ ატყობინებს ქნესეთის თავმჯდომარეს, ხოლო ქნესეთის თავმჯდომარე — ქნესეთს. ქნესეთის წევრი, რომელმაც ჩამოაყალიბა მთავრობა უნდა ჩაუდგეს მას სათავეში.

ქნესეთის წინაშე წარდგომისას იგი აცხადებს მისი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, მის შემადგენლობას და მინისტრებს შორის ფუნქციების განაწილების წესს და ითხოვს ნდობის გამოხატვას. მთავრობა ჩამოყალიბებულად ითვლება, როდესაც ქნესეთი მას გამოუცხადებს ნდობას და მინისტრები დაიკავებენ თანამდებობებს.

თუ კანონით განსაზღვრული ვადა გავა და ქნესეთის წევრი მთავრობის ფორმირების შესახებ პრეზიდენტს არ აცნობებს, ან თუ ვადის გასულამდე განუცხადებს პრეზიდენტს, რომ ის ვერ შეძლებს მთავრობის ფორმირებას, ან თუ იგი წარადგენს მთავრობას, მაგრამ ქნესეთი არ გამოუცხადებს მას ნდობას, პრეზიდენტი უფლებამოსილია მთავრობის ფორმირების ამოცანა გადააკისროს ქნესეთის იმ წევრს, რომელიც განაცხადებს მზადყოფნას ამ ამოცანის შესასრულებლად ან შეუძლია აცნობოს ქნესეთის თავმჯდომარეს, რომ მას არ გააჩნია მთავრობის ფორმირების შესაძლებლობა, ამ ვადის გასვლიდან ან მთავრობის ფორმირების შეუძლებლობის შესახებ ქნესეთის წევრთა განცხადებიდან ან მთავრობის ნდობის უარყოფიდან სამი დღის ვადაში.

თუ მთავრობის შემადგენლობა ვერ მოიპოვებს ქნესეთის ნდობას, პრეზიდენტი უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ქნესეთის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

მინისტრად შეიძლება დაინიშნოს ისრაელში მუდმივად მცხოვრები ისრაელის ნებისმიერი მოქალაქე. მინისტრები პასუხისმგებელნი არიან პრემიერ-მინისტრის წინაშე. მინისტრს შეუძლია გადადგეს თანამდებობიდან პრემიერ-მინისტრისათვის განცხადების წარდგენით. მისი მთავრობაში სამსახური შეწყდება ამ განცხადების პრემიერ-მინისტრისთვის წარდგენიდან 48 საათის შემდგომ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი ამ ვადის გასვლამდე უკან არ გაიტანს განცხადებას.

მინისტრის უფლებამოსილების ვადა წყდება, თუ იგი აირჩევა ან დაინიშნება ქნესეთის წევრობის კანდიდატობისთვის შეუთავსებელ თანამდებობაზე.

თუ სასამართლო გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს და დანაშაულში დადგენს პრემიერ-მინისტრის ამორალურ საქციელს, ქნესეთი უფლებამოსილია წევრთა უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება მისი დაკავებული თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში ქნესეთის კომიტეტი რეკომენდაციის სახით იღებს გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ და ამ რეკომენდაციას წარუდგენს ქნესეთის პლენუმს. თუ ამ ვადაში რეკომენდაცია არ იქნება წარდგენილი, მას წარადგენს ქნესეთის თავმჯდომარე. ამასთან, კანონის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ქნესეთი მიიღებს გადაწყვეტილებას არ გადააყენოს პრემიერ-მინისტრი და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა, პრემიერ-მინისტრი მაინც გათავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან და მთავრობაც გადადგება. გადადგომის შესახებ მთავრობისათვის შეტყობინების შემდეგ პრემიერ-მინისტრი გადადგომის შესახებ განცხადებას წარუდგენს პრეზიდენტს. მისი გადადგომა თავისთავად გულისხმობს მთავრობის გადადგომას.

კანონი ითვალისწინებს ასევე პრემიერ-მინისტრის ავტომატური გადაყენების შესაძლებლობას პრემიერ-მინისტრის ქნესეთის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში.

კანონი მართალია დეტალურად არეგულირებს მთავრობის ფორმირებასა და გადაყენებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, მაგრამ არ შეიცავს რაიმე მეტნაკლებად ამომწურავი სახის ჩამონათვალს მთავრობის უფლებამოსილებების შესახებ და საკმაოდ ზოგადად განსაზღვრავს მის ფუნქციებს, რომლებიც ძირითადად მთავრობის მიერ ცალკეულ წევრთა შორის უფლებამოსილებათა გადაცემის, ასევე ახალი სამინისტროებისა და მინისტრთა კომიტეტების ჩამოყალიბებაზე მითითებით შემოიფარგლება. თუმცა მთავრობა უფლებამოსილია განახორციელოს სხვა უფლებამოსილებებიც, რომლებიც კანონის საფუძველზე სხვა ორგანოსათვის არ არის გადაცემული.

ისრაელის სასამართლო ხელისუფლება სასამართლო ორგანოთა რთულ და განშტოებულ სისტემას წარმოადგენს, რომელიც რიგ სპეციალიზირებულ და რელიგიურ სასამართლოებს მოიცავს. სასამართლო ხელისუფლების ორგანიზა-

ცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება 1984 წლის 28 თებერვლის ძირითადი კანონით „სასამართლო ხელისუფლების შესახებ". I თავი შეიცავს ზოგად დებულებებს და განსაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს. პირველი მუხლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლებას ისრაელში ახორციელებენ უზენაესი, საოლქო, მაგისტრატთა და კანონით განსაზღვრული სხვა სასამართლოები. გარდა ზემოაღნიშნულისა, სასამართლო ხელისუფლებას ინაწილებენ ასევე რელიგიური სასამართლოები, სხვა სასამართლოები და კანონით განსაზღვრული სხვა ორგანოები. აკრძალულია დროებითი სასამართლოების შექმნა. პირები, რომლებიც ახორციელებენ სასამართლო ხელისუფლებას არიან დამოუკიდებელნი და არ არიან პასუხისმგებელნი არავის წინაშე გარდა კანონისა.

მეორე თავი მოსამართლეთა სტატუსის განსაზღვრას, მათი დანიშვნისა და უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხებს და მათი სოციალური და სამართლებრივი გარანტიების შექმნას ეთმობა. მოსამართლებს ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი მოსამართლეთა საარჩევნო კომიტეტის წარდგინებით. კომიტეტი შედგება ცხრა წევრისგან, კერძოდ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, უზენაესი სასამართლოს ცხრა წევრს შორის არჩეული ორი მოსამართლის, იუსტიციის მინისტრის და მთავრობის მიერ დანიშნული სხვა მინისტრის, ქნესეთის მიერ დანიშნული ქნესეთის ორი წევრის და ადვოკატთა პალატის ეროვნული საბჭოს მიერ არჩეული ადვოკატთა პალატის ორი წარმომადგენლისაგან. კომიტეტს ხელმძღვანელობს იუსტიციის მინისტრი.

კანონი შეიცავს უაღრესად მწირ ინფორმაციას მოსამართლეობის კანდიდატთათვის წაყენებული მოთხოვნების შესახებ და მხოლოდ ისრაელის მოქალაქეობის, როგორც სავალდებულო მოთხოვნაზე მითითებით შემოიფარგლება.

მოსამართლის უფლებამოსილება იწყება მისი ფიცის დადებიდან და გრძელდება პენსიაზე გასვლამდე, თანამდებობიდან გადადგომამდე, ქნესეთის წევრობის კანდიდატისათვის აკრძალული თანამდებობის დაკავებისას ან ამგვარ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში, მოსამართლეთა საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარის ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მომზადებული მოსამართლეთა საარჩევნო კომიტეტის გადაწყვეტილებით, რასაც მხარი უნდა დაუჭიროს სულ მცირე შვიდმა წევრმა ან სადისციპლინო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

კანონი განამტკიცებს ასევე მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. მე-9 მუხლის თანახმად დაუშვებელია მოსამართლე მუდმივად იქნეს გადაყვანილი სხვა ადგილას მდებარე სასამართლოში სამუშაოდ, გარდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით, სადისციპლინო სასამართლოს გადაწყვეტილებით. ასევე, მოსამართლე მისი თანხმობის გარეშე არ შეიძლება დაინიშნოს თანამდებობაზე უფრო დაბალი ინსტანციის სასამართლოში. უფლებამოსილების დროის განმავლობაში და მისი დამთავრების შემდეგ მოსამართლეები იღებენ ანაზღაურებას. ამასთან მოსამართლებს ეკრძალებათ ეკავოთ რაიმე სხვა თანამდებობა და ეწეოდნენ სახელმწიფო საქმიანობას, გარდა იუსტი-

ციის მინისტრის და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევებისა. სისხლის სამართლის საგამოძიებო პროცესის დაწყება ან ინფორმაციის შეგროვება მოსამართლეზე დასაშვებია მხოლოდ გენერალური ატორნეის თანხმობით. ბრალდების წაყენების შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მოსამართლე დროებით დაითხოვოს თანამდებობიდან.

მოსამართლეთა დისციპლინური დარღვევების საქმეების განხილვა ხდება დისციპლინარული სასამართლოს მიერ, რომელიც კომპლექტდება მოსამართლეებისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დანიშნული პენსიაზე გასული მოსამართლეებისაგან. დისციპლინარული პროცესი და მასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სპეციალური კანონით.

უმაღლეს სააპელაციო ინსტანციას წარმოადგენს ქვეყნის უზენაესი სასამართლო, რომელიც იმავდროულად არის რა მართლმსაჯულების უმაღლეს ორგანო, უფლებამოსილია გაათავისუფლოს პირი წინასწარი პატიმრობიდან, თუ მიიჩნევს, რომ ის უდანაშაულოა, კონტროლი გაუწიოს ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველოს ორგანოების თანამდებობის პირების მიერ მათი უფლებამოსილებების სამართლიანად განხორციელებას და შეაჩეროს მათი უფლებამოსილება მათი არასწორად არჩევის ან დანიშვნის შემთხვევაში, მიუთითოს სასამართლოებს და იმ პირებსა და ორგანოებს, რომელთაც კანონით გააჩნიათ სასამართლო ან კვაზი-სასამართლო უფლებამოსილება, კანონის შესაბამისად შექმნილ სხვა სასამართლოებსა და რელიგიურ სასამართლოებს, რომ განახორციელონ მათი უფლებამოსილებები სამართლიანად, კანონის შესაბამისად მოუსმინონ საქმეს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ მიიღონ საქმე წარმოებაში ან გადადონ საქმე განსახილველად, რელიგიურ სასამართლოებს დაავალოს განიხილონ მის კომპეტენციაში შემავალი საქმეები ან თავი შეიკავონ განხილვისგან. ასევე სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს გარკვეული წესები, რომლებიც ვრცელდება ქვემდგომ სასამართლოებზე.

სასამართლოში საქმის განხილვა ხდება სამი მოსამართლით დაკომპლექტებული პალატის მიერ, ხოლო დამატებითი განხილვა ხუთი მოსამართლის მიერ.

საოლქო სასამართლოები წარმოადგენენ როგორც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებს, ასევე რიგ შემთხვევებში განიხილავენ საქმეებს პირველი ინსტანციის წესით. ამჟამად ქვეყნის მაშტაბით ფუნქციონირებს ექვსი საოლქო სასამართლო. ყოველ საოლქო სასამართლოსთან არსებობს ასევე საოლქო ადმინისტრაციული საკითხების სასამართლო, რომელიც განიხილავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წინააღმდეგ შეტანილ სარჩელებს.

მაგისტრატთა სასამართლო წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს. იგი განიხილავს სარჩელებს, რომელთა ღირებულება 20 მილიონ შეკელს არ აღემატება.

გარდა ამისა, სასამართლო სისტემა მოიცავს ცალკეულ სპეციალიზირებულ სასამართლეობს, როგორიცაა მაგალითად შრომითი დავების, საზღვაო დავების, მცირე სასარჩელო ღირებულების მქონე დავების განმხილველ სასამართლოები

და რელიგიურ სასამართლოებს, რომლებიც რელიგიურ კანონებთან დაკავშირებული საკითხების განხილვით არიან დაკავებული.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით ისრაელი უნიტარულ სახელმწიფოთა რიცხვს განეკუთვნება. ქვეყნის ტერიტორია იყოფა 6 ოლქად: იერუსალიმის, ჩრდილოეთის, სამხრეთის, ცენტრალურ, ჰაიფის და თელავივის ოლქებად. თითოეული ოლქი, თავის მხრივ, შედგება ქვე-ოლქებისაგან, რომელთა საერთო რაოდენობა 15-ს შეადგენს.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ საქალაქო საბჭოები – მსხვილ მუნიციპალიტეტებში, ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც მართავენ პატარა მუნიციპალიტეტებს და რეგიონალური საბჭოები, რომლებიც მართავენ კომუნათა ჯგუფებს, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 2000 კაცს და რომლებიც, თავის მხრივ, ადგილობრივი კომიტეტების მიერ იმართებიან. ადგილობრივი მთავრობა ნიშნავს თავმჯდომარეს ან მერს, რომელიც აირჩევა დემოკრატიული არჩევნების შედეგად საბჭოს სხვა წევრებთან ერთად. ადგილობრივი მთავრობა პასუხისმგებელია ისეთი საკითხების მოგვარებაზე, როგორიცაა ფიზიკური ინსფრასტრუქტურა – გზები, წყლის მომარაგება, ნარჩენების განთავსება, ადგილობრივი გარემოსა და სისუფთავის დაცვა, ადგილობრივი კულტურული ცხოვრება - მუზეუმები, ბიბლიოთეკები და ა.შ. მას აქვს აგრეთვე გარკვეული სოციალური ფუნქციები, როგორიცაა მაგალითად გაჭირვებული ოჯახების დახმარება.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. ისრაელის კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურება ერთიანი კონსტიტუციური აქტის არარსებობაა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუციურ სფეროს მარეგულირებელ ყველა აქტი კონსტიტუციური მნიშვნელობის აქტად ჩაითვალოს. ქვეყანაში არსებობს იერარქიულად სხვა კანონებზე მაღლამდგომი 12 ძირითადი კანონი;

– გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება პასიური საარჩევნო ხმის უფლების რეალიზაცია. კერძოდ, არჩევის უფლება ეზღუდებათ პირებს, რომლებსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით მისჯილი აქვს ხუთი წლით ან მეტი ვადით პატიმრობა სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის და თუ მათი პატიმრობის ვადის გასვლის თარიღიდან გასული არ არის 5 წელი;

- კონსტიტუცია ზღუდავს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა პარლამენტში არჩევის შესაძლებლობას;

- გარკვეულ თავისებურებად უნდა იქნეს მიჩნეული აგრეთვე ქნესეთის მდივნის თანამდებობის არსებობა, რომელიც ინიშნება ქნესეთის თავმჯდომარის მიერ და რომლის უმთავრეს ფუნქციასაც საპროცედურო და სარეგლამენტო საკითხებში თავმჯდომარის კონსულტირება, მთავრობასთან ურთიერთობების კურირება და ფრაქციათა უფლებების დაცვა წარმოადგენს და გენერალური დირექტორის თანამდებობის ფუნქციონირება, რომელიც მთლიანად ორგანიზაციულ-სამეურნეო საკითხების მოგვარებით არის დაკავებული;

- ქნესეთის წევრის უფლებამოსილება ავტომატურად წყდება ქნესეთის წევრობის კანდიდატობისათვის შეუთავსებელ თანამდებობაზე არჩევის ან დანიშვნის მომენტიდან და მას რაიმე დამატებითი გადაწყვეტილების მიღება არ სჭირდება;

- პრემიერ-მინისტრი იმავდროულად არის ქნესეთის წევრი, მაშინ, როდესაც მინისტრისთვის ქნესეთის წევრობა საკალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს და მინისტრად შესაძლებელია დაინიშნოს პირი, რომელიც არ იყო არჩეული ქნესეთის წევრად;

- პრეზიდენტი აირჩევა 7 წლის ვადით და სარგებლობს იმუნიტეტით, რომელიც გრძელდება თანამდებობის დატოვების შემდეგაც.

ისრაელის ძირითადი კანონები[1]

ძირითადი კანონი: ქნესეთი[2]

მიღებულია 1958 წლის 12 თებერვალს

(ცვლილებები შეტანილ იქნა 1959 წლის 22 ივლისს, 1959 წლის 29 ივლისს, 1959 წლის 6 აგვისტოს, 1967 წლის 14 მარტს, 1974 წლის 17 ივლისს, 1980 წლის 16 ივლისს, 1981 წლის 1 აპრილს, 1985 წლის 31 ივლისს, 1987 წლის 19 მაისს)

მუხლი 1. ქნესეთი
ქნესეთი არის სახელმწიფოს პარლამენტი.

მუხლი 2. სხდომის ადგილმდებარეობა
ქნესეთის ადგილსამყოფელია იერუსალიმი.

მუხლი 3. შემადგენლობა
ქნესეთი არჩევისთანავე შედგება ას ოცი წევრისაგან.

მუხლი 4. საარჩევნო სისტემა
ქნესეთი აირჩევა საყოველთაო, ეროვნული, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული არჩევნებით, ქნესეთის არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად; ეს მუხლი შეიძლება შეიცვალოს, მხოლოდ ქნესეთის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

მუხლი 5. საარჩევნო ხმის უფლება
ისრაელის ყველა მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა თვრამეტი წელი, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ქნესეთის არჩევნებში, თუ ეს უფლება სასამართლოს მიერ არ აქვს ჩამორთმეული. კანონი არჩევნების შესახებ განსაზღვრავს იმ თარიღს, რომლითაც განისაზღვრება, თუ როდის უსრულდება პირს თვრამეტი წელი, რათა მან შესძლოს ქნესეთის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებით სარგებლობა.

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია ქნესეთის მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.knesset.gov.il/description/eng/eng_mimshal_yesod2.htm#4 გამოქვეყნებული ისრაელის ძირითადი კანონების ინგლისურენოვანი ტექსტები.

[2] ქნესეთი ეწოდება ისრაელის პარლამენტს.

მუხლი 6. არჩევის უფლება

ა) ქნესეთში არჩევის უფლება გააჩნია ყველა ეროვნების ისრაელის მოქალაქეს, რომელსაც კანდიდატთა სიაში შეტანის დღეს შეუსრულდა 21 წელი ან მეტი, თუ მას აღნიშნული უფლება ჩამორთმეული არ აქვს კანონის საფუძველზე ან სასამართლოს გადაწყვეტილებით მისჯილი არ აქვს ხუთი წლით ან მეტი ვადით პატიმრობა ქნესეთის არჩევნების შესახებ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის და თუ მისი პატიმრობის ვადის გასვლის თარიღიდან გასული არ არის ხუთი წელი.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ისრაელის მოქალაქე იმავდროულად არის სხვა სახელმწიფოს მოქალაქეც და აღნიშნული სახელმწიფოს კანონმდებლობა არ აძლევს მას ამ ქვეყნის მოქალაქეობიდან გასვლის საშუალებას, იგი ვერ გახდება ქნესეთის წევრობის კანდიდატი, თუ ამ სიაში მისი სახელის შემცველი კანდიდატთა სიის წარმოდგენის და ქნესეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ დამტკიცების მომენტისათვის მას არ აქვს განხორციელებული მისი მხრიდან ყველა აუცილებელი ქმედება ხსენებული მოქალაქეობიდან გასასვლელად. ამ მიზნით, პიროვნება არ უნდა იქნეს განხილული სხვა სახელმწიფოს მოქალაქედ, თუ რომელიმე პერიოდში მას ექნება აღნიშნული სახელმწიფოს პასპორტი ან მისი მოქალაქეობის დამადასტურებელი ნებისმიერი სხვა საბუთი.

მუხლი 7. კანდიდატობის დაუშვებლობა

ქნესეთში ასარჩევი კანდიდატი არ შეიძლება იყოს:

1. სახელმწიფოს პრეზიდენტი;
2. მთავარი რაბინი;
3. მოსამართლე, სანამ იმყოფება მოსამართლის თანამდებობაზე;
4. რელიგიური სასამართლოს მოსამართლე, სანამ იმყოფება მოსამართლის თანამდებობაზე;
5. სახელმწიფო კონტროლიორი;
6. ისრაელის თავდაცვის ჯარების გენერალური შტაბის ხელმძღვანელი;
7. სხვა რელიგიის მქონე მინისტრი და რაბინი, სანამ უკავიათ ანაზღაურებადი თანამდებობა;
8. კანონით განსაზღვრული მაღალი რანგის მქონე სახელმწიფო მოხელეები და სამხედრო თანამდებობის პირები.

მუხლი 7. კანდიდატთა სიის მონაწილეობის შეზღუდვა

კანდიდატთა სია არ შეიძლება მონაწილეობდეს ქნესეთის არჩევნებში, რომლის მიზანი და საქმიანობა აშკარად ან სავარაუდოდ ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

1. იმის უარყოფა, რომ ისრაელის სახელმწიფო წარმოადგენს ებრაელი ხალხის სახელმწიფოს;
2. სახელმწიფოს დემოკრატიულობის უარყოფა;

3. რასიზმის დამკვიდრება.

მუხლი 8. ქნესეთის უფლებამოსილების ვადა

ქნესეთის უფლებამოსილების ვადა არის არჩევის დღიდან ოთხი წელი.

მუხლი 9. არჩევნების თარიღი

ქნესეთის არჩევნები უნდა ჩატარდეს, ქნესეთის უფლებამოსილების ვადის გასვლის წელს შესაბამისი თვის მესამე სამშაბათს. მაგრამ თუ ეს წელიწადი ნაკიანია, მაშინ არჩევნები ტარდება ამ თვის პირველ სამშაბათს.

მუხლი 9ᵃ. პარლამენტის მოქმედების ვადის გაგრძელება

ა) ქნესეთმა არ შეიძლება გააგრძელოს მისი უფლებამოსილების ვადა, თუ არა ქნესეთის ოთხმოცი წევრის უმრავლესობით მიღებული კანონის მიხედვით და საგანგებო გარემოებების დროს, რომელიც ხელს შეუშლის არჩევნების დროულად ჩატარებას; ამგვარი გახანგრძლივებული პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული გარემოებების გადასალახად აუცილებელ დროს; ზემოხსენებულ კანონში უნდა განისაზღვროს ახალი არჩევნების თარიღი.

ბ) 34-ე მუხლის დებულებების შეუზღუდავად, ქნესეთმა, მისი წევრების უმრავლესობის გადაწყვეტილებით, არჩევნები შეიძლება დანიშნოს „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაზე ადრე იმ პირობით, რომ ახალი თარიღი წინ არ უნდა უსწრებდეს მე-9 მუხლის შესაბამისად დაწესებულ ქნესეთის არჩევნების თარიღს.

მუხლი 10. არჩევნების დღე უნდა იყოს დასვენების დღე

არჩევნების დღე უნდა იყოს დასვენების დღე, მაგრამ ტრანსპორტმა და სხვა საზოგადოებრივმა სამსახურებმა ნორმალურად უნდა იმუშაონ.

მუხლი 11. საარჩევნო შედეგების გამოქვეყნება

არჩევნების შედეგები უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში არჩევნების დღიდან თოთხმეტი დღის ვადაში.

მუხლი 12. ქნესეთის პირველი შეკრება

ქნესეთის პირველი შეკრება უნდა ჩატარდეს არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან მეორე კვირის ორშაბათს, დღის ოთხ საათზე, ხოლო თუ ეს დღე არის დასვენების დღე ან დასვენების დამდეგი დღე – ამ დღის შემდგომ კვირა დღეს.

მუხლი 13. ქნესეთის გახსნა

ქნესეთი უნდა გაიხსნას სახელმწიფოს პრეზიდენტის მიერ, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – ქნესეთის დამსწრე წევრთაგან ასაკით უხუცესის მიერ; თუ პარლამენტს გახსნის პრეზიდენტი, მაშინ მან შეხვედრის თავმჯდომარეობა უნდა გადააბაროს ქნესეთის დამსწრე წევრთაგან ასაკით უხუცესს.

მუხლი 14. ფიცის დადება

უხუცესი წევრის მიერ პირველი სხდომის გახსნის ან თავმჯდომარეობის გადმობარების შემდგომ მან უნდა წარმოთქვას შესაბამისი შინაარსის ფიცი:

„ვდებ ფიცს, რომ დავიცავ ისრაელის სახელმწიფოსადმი ერთგულებას და კეთილსინდისიერად შევასრულებ ქნესეთის წევრის მოვალეობებს".

სხდომის თავმჯდომარის მიერ ფიცის დადების შემდგომ ის ხელახლა უკითხავს ფიცის ტექსტს ქნესეთის წევრებს და ყველა პარლამენტის წევრი თანმიმდევრობით დგება და ამბობს სიტყვას „ვფიცავ".

მუხლი 15. დეკლარაცია სხდომის გახსნის შემდეგ

ქნესეთის ის წევრები, რომლებიც არ ესწრებოდნენ შეხვედრას და ფიცი არ დადეს ან ის წევრები, რომლებიც შემდგომ გახდნენ ქნესეთის წევრები დებენ ერთგულების საკუთარი ფიცს, რომელსაც კითხულობს სხდომის ხელმძღვანელი და ქნესეთის წევრი ამბობს სიტყვას „ვფიცავ".

მუხლი 16. არშემდგარი ფიცი

ქნესეთის თავმჯდომარის მოთხოვნისამებრ, თუ ქნესეთის წევრი არ დადებს ერთგულების ფიცს, მის დადებამდე ვერ ისარგებლებს ქნესეთის წევრის უფლებამოსილებით.

მუხლი 17. ქნესეთის წევრთა იმუნიტეტი

ქნესეთის წევრებს აქვთ იმუნიტეტი. დეტალური საკითხები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 18. ქნესეთის შენობის იმუნიტეტი

ქნესეთის შენობას აქვს იმუნიტეტი. დეტალური საკითხები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 19. პროცედურა და წესები

ქნესეთმა თვითონ უნდა განსაზღვროს თავისი პროცედურა; თუ ეს პროცედურა კანონით არ არის განსაზღვრული, მას განსაზღვრავს ქნესეთი მისი წესებით; სანამ არ იქნება დადგენილი პროცედურა, ის თავის საქმიანობას განახორციელებს მისთვის მისაღები პრაქტიკითა და ჩვეულებებით.

მუხლი 20. თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები

ქნესეთი თავის წევრთა შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეებს.

მუხლი 20ᵃ. თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი და დროებითი თავმჯდომარე

ა) ქნესეთის თავმჯდომარის მიერ სახელმწიფოს საზღვრების დატოვების შემთხვევაში, მის დაბრუნებამდე თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე.

ბ) თუ თავმჯდომარე პალატის კომიტეტს განუცხადებს ან პალატის კომიტეტი გადაწყვეტს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ქნესეთის თავმჯდომარეს დროებით არ შეუძლია მოვალეობის შესრულება, ამ შემთხვევაში თავმჯდომარის უფლებამოსილებას დროებით განახორციელებს მისი მოადგილე, სანამ თავმჯდომარე შეატყობინებს პალატის კომიტეტს თავისი ჯანმრთელობის შესახებ ან სანამ პალატის კომიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ქნესეთის თავმჯდომარეს მალე შეეძლება თავისი ფუნქციების შესრულება.

გ) თუ ქნესეთის თავმჯდომარის თანამდებობა ვაკანტური გახდება მისი გადადგომით ან გარდაცვალებით ან პალატის კომიტეტის გადაწყვეტილებით, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ის მუდმივად ვერ ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას, მაშინ მის უფლებამოსილებას ახალი თავმჯდომარის არჩევამდე დროებით შეასრულებს მისი მოადგილე.

დ) პალატის კომიტეტი თავმჯდომარის მოადგილეს ნიშნავს დროებით თავმჯდომარედ ან თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

ე) ქნესეთის თავმჯდომარის მოადგილე ქნესეთის დროებითი თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების შესრულების დროს სრულად ახორციელებს ქნესეთის მიერ კანონით დადგენილ ყველა უფლებამოსილებას.

ვ) ის ქმედებები, რომლებიც ხორციელდება თავმჯდომარის მიმართ და რომელიც განსაზღვრულია „ა", „ბ", და „გ" პუნქტებით შესაბამისად ვრცელდება მისი უფლებამოსილების დროებით გამხორციელებელი მოადგილის მიმართაც.

მუხლი 21. კომიტეტები

ქნესეთი თავის წევრთა შემადგენლობიდან ირჩევს მუდმივ კომიტეტებს, რომლებიც საჭიროებისამებრ თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევენ სპეციალურ საკითხთა კომიტეტებს. თუ კომიტეტების უფლებამოსილება, პროცედურები და ფუნქციები კანონით არ არის განსაზღვრული, რეგულირდება შესაბამისი წესებით.

მუხლი 22. საგამოძიებო კომისია

ქნესეთს, მის მიერ განსაზღვრული საკითხების გამოსაძიებლად რომელიმე მუდმივი კომიტეტისთვის შესაბამისი უფლებამოსილებების მინიჭების ან მისი წევრებისაგან შემდგარი ახალი კომისიის შექმნის საშუალებით შეუძლია დანიშნოს საგამოძიებო კომისია. ამგვარი საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვრება ქნესეთის მიერ. ყოველ საგამოძიებო კომისიაში ქნესეთში მათი წარმომადგენლობის შესაბამისად უნდა შედიოდნენ აგრეთვე იმ პარ-

ტიათა წარმომადგენლები, რომლებიც არ მონაწილეობენ მთავრობაში, ქნესეთის შემადგენლობაში არსებული პროცენტული რაოდენობით.

მუხლი 23 მთავრობის წევრი, რომელიც არ არის ქნესეთის წევრი

მთავრობის წევრი, რომელიც არ არის ქნესეთის წევრი, ქნესეთთან დაკავშირებულ საკითხებში სარგებლობს ქნესეთის წევრის სტატუსით. გამონაკლისს წარმოადგენს ხმის მიცემის უფლება.

მუხლი 24. ქვორუმი

ქნესეთის ვალდებულებაში შედის დებატების ჩატარება და დამსწრე წევრთა რაოდენობით გადაწყვეტილებების მიღება, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 25. უმრავლესობა

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ქნესეთი გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით ან არ იღებს მას უმრავლესობის მიერ ხმის არ მიცემის შემთხვევაში. არჩევნების პროცედურა დადგენილია შესაბამისი წესებით.

მუხლი 26. სხდომები

ქნესეთის სხდომა უნდა ჩატარდეს დადგენილ ადგილას. თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში თავმჯდომარემ მის მოადგილესთან შეთანხმებით სხდომა შეიძლება ჩაატაროს სხვა ადგილას. ქნესეთის სხდომა უნდა ჩატარდეს სამუშაო დღეს.

მუხლი 27. სხდომის საჯაროობა

სხდომა მიმდინარეობს საჯაროდ, გარდა სპეციალური შემთხვევებისა, რომლის დროსაც სხდომა დადგენილი წესით დახურულად ცხადდება.

მუხლი 28. საჯაროობა – ღია სხდომები

ქნესეთში პროცედურები მიმდინარეობს საჯაროდ, თუ არ ეხება სისხლისსამართლებრივ ან სამოქალაქო პასუხისმგებლობას. თუმცა, სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით აკრძალოს ისეთი საკითხების გამოქვეყნება, რომლებიც, მისი აზრით, ხელყოფს სახელმწიფოს უშიშროებას.

მუხლი 29. საჯაროობა – დახურული სხდომა

დახურულ სხდომაზე გატანილი და გამოთქმული საკითხების გამოქვეყნები აკრძალულია, თუ წესებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 30. საჯაროობის აკრძალვა

პირი, რომელიც გამოაქვეყნებს წინამდებარე ორი მუხლით აკრძალულ საკითხებს, კანონით დადგენილი წესით ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

მუხლი 31. სესიები

ა) ჭნესეთი ატარებს წელიწადში ორ სესიას. პირველი სესია უნდა გაიხსნას ეროვნული დღესასწაულის შემდეგ ოთხი კვირის განმავლობაში, ხოლო მეორე - დამოუკიდებლობის დღის შემდეგ ოთხი კვირის განმავლობაში. ორივე სესიის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს რვა თვეზე ნაკლები.

ბ) თუ ჭნესეთის არჩევნები არ ჩატარდა მე-9 მუხლში გათვალისწინებულ დღეს, მაშინ პალატის კომიტეტი განსაზღვრავს იმ წელს სესიების ჩატარების დროს, როდესაც არჩეული იქნა ჭნესეთი.

მუხლი 32. სესიის გახსნის დრო

თუ ჭნესეთი არ მოიწვევა წინა მუხლით გათვალისწინებული ოთხი კვირის განმავლობაში, იგი მოიწვევა მეხუთე კვირის ორშაბათს, საღამოს ოთხ საათზე.

მუხლი 33. ჭნესეთის რიგგარეშე მოწვევა

ზემოაღნიშნული სესიის გარდა, ჭნესეთის თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს ჭნესეთი მისი ოცდაათი წევრის ან მთავრობის მოთხოვნით.

მუხლი 34. ჭნესეთის დათხოვნა

ჭნესეთმა არ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება თვითდათხოვნის შესახებ, თუ ამ მიზნით არ მიიღებს კანონს ჭნესეთის წევრთა უმრავლესობით.

მუხლი 35. ჭნესეთის დათხოვნის შემდეგ მისი არჩევის დღე

ჭნესეთის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ კანონი უნდა შეიცავდეს დებულებას ჭნესეთის შემდგომი არჩევის თარიღის შესახებ.

მუხლი 36. დათხოვნის შემდეგ ჭნესეთის უფლებამოსილების ვადა

ჭნესეთის თვითდათხოვნის შედეგად, შემდგომი ჭნესეთის უფლებამოსილების ვადა გრძელდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ არჩევის დღიდან ოთხი წლის მანძილზე შემდგომი თვის დაწყებამდე.

მუხლი 37. ჭნესეთის საქმიანობის უწყვეტობა

ახალი ჭნესეთის შეკრებამდე უფლებამოსილების განხორციელებას აგრძელებს წინა მოწვევის ჭნესეთი.

მუხლი 38. საკანონმდებლო აქტების კანონიერება

ქნესეთის უფლებამოსილების ამოწურვამდე უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში და ქნესეთის დათხოვნამდე ოთხი თვის განმავლობაში ასევე, ახლადარჩეული ქნესეთის მუშაობის პირველი სამი თვის განმავლობაში მიღებული ნებისმიერი კანონი აგრძელებს მოქმედებას სამი თვის ამოწურვამდე.

მუხლი 39. ქნესეთის წევრების ანაზღაურება

ქნესეთის წევრები იღებენ ანაზღაურებას კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 40. ქნესეთის წევრის გადადგომა

ქნესეთის წევრს უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან; მან წერილობით უნდა განაცხადოს და განცხადებით პირადად უნდა მიმართოს ქნესეთის თავმჯდომარეს თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე და თუ თვითონ ვერ ახერხებს, უნდა გადასცეს დადგენილი წესის შესაბამისად; წარდგენილ განცხადებას ხელი უნდა მოეწეროს განცხადების ან გადაცემის დღესვე.

მუხლი 41. გადადგომის შედეგები

თუ ქნესეთის წევრი განცხადებას გააკეთებს გადადგომის შესახებ, მისი წევრობა უნდა შეწყდეს გადადგომის შესახებ განცხადების თავმჯდომარესთან მიტანიდან ორმოცდარვა საათის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ვადის გასვლამდე ქნესეთის წევრი თვითონ გამოითხოვს განცხადებას.

მუხლი 42. ქნესეთის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

თუ ქნესეთის წევრი აირჩევა ან დანიშნება ქნესეთის წევრობის კანდიდატისთვის შეუთავსებელ თანამდებობაზე, ქნესეთის წევრობა უწყდება მისი არჩევიდან ან დანიშვნიდან.

მუხლი 42ᵃ. ქნესეთის გასამართლებული წევრი

ა) ქნესეთს საკუთარი რეზოლუციით შეუძლია თავისი ნებისმიერი წევრის თანამდებობიდან გადაყენება, თუ ჩათვლის, რომ ის არ შეესაბამება აღნიშნულ თანამდებობას, ვინაიდან მას სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების თანახმად ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაული და მისჯილი აქვს პატიმრობა ერთი ან მეტი წლის ვადით.

ბ) ქნესეთს არ შეუძლია ქნესეთის წევრის თანამდებობიდან გადაყენება, თუ არა პალატის კომიტეტის წინაშე ქნესეთის მინიმუმ ათი წევრის მიერ შეტანილი საჩივრისა და პალატის კომიტეტის წინადადების საფუძველზე. ქნესეთის მიერ ქნესეთის წევრის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ქნესეთის წევრთა ორი მესამედის თანხმობით.

გ) ქნესეთის წევრის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ პალატის კომიტეტს არ შეუძლია წინადადების შეტანა, ხოლო ქნესეთს - გადაწყვეტილების მიღება, სანამ მას არ მიეცემა სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა.

მუხლი 42². სამსახურიდან დროებით გათავისუფლება

ა) ჭესეთის წევრის სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებისას, პალატის კომიტეტს ჭესეთის ნებისმიერი წევრის წინადადების საფუძველზე შეუძლია მოუხსნას მას ჭესეთის წევრის უფლებამოსილება სასამართლო პროცესის დასრულებამდე.

ბ) როდესაც ჭესეთის წევრს ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულში და მისჯილი აქვს პატიმრობა, პალატის კომიტეტს ჭესეთის ნებისმიერი წევრის წინადადების საფუძველზე შეუძლია მოუხსნას მას ჭესეთის წევრის უფლებამოსილება მისი პატიმრობის ვადის დასრულებამდე.

გ) პალატის კომიტეტს არ აქვს ამ მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანის უფლება, სანამ ჭესეთის წევრს არ მიეცემა სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა.

მუხლი 43. ჭესეთის წევრის შეცვლა

ა) იმ შემთხვევაში, თუ ჭესეთის წევრის ადგილი ვაკანტური გახდება, ის უნდა დაიკავოს კანდიდატმა, რომელიც კანდიდატთა სიაში იკავებს ბოლო არჩეული კანდიდატის შემდგომ ადგილს.

ბ) 42-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ჭესეთის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისას, მისი ადგილი უნდა გამოცხადდეს ვაკანტურად უფლებამოსილების ვადის შეწყვეტის განმავლობაში და ის უნდა დაიკავოს „ა“ ქვეპუნქტში განსაზღვრულმა კანდიდატმა. იმ შემთხვევაში, თუ იგი დაბრუნდება საკუთარ თანამდებობაზე, კანდიდატთა სიაში ბოლო ადგილზე მყოფმა კანდიდატმა უნდა დატოვოს დაკავებული თანამდებობა, თუმცა ამან არ უნდა შეზღუდოს „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ჭესეთის წევრად ხელმეორედ გახდომის უფლება.

მუხლი 44. კანონის საგანგებო დებულებების ზემოქმედებისაგან თავისუფლება

მიუხედავად სხვა კანონების დებულებებისა, ეს კანონი არ შეიძლება შეიცვალოს, შეჩერდეს ან გახდეს პირობის საგანი საგანგებო დებულებებით.

მუხლი 45. განმტკიცებული მუხლები

44-ე მუხლი და 45-ე მუხლები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ჭესეთის ოთხმოცი წევრის თანხმობით.

მუხლი 45². ცვლილებების შესახებ დებულება

45-ე მუხლის დებულება ვრცელდება ასევე მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ცვლილებაზე.

მუხლი 46. სპეციალური უმრავლესობის საჭიროება

ამ კანონის შესაბამისად მე-4 მუხლის, მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 34-ე და 45-ე მუხლების შესაცვლელად ჭესეთის გადაწყვეტილების მისაღებად კა-

ნონშემოქმედების ყოველ ეტაპზე საჭიროა წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერა, გარდა ქნესეთის დღის წესრიგის შესახებ დებატებისა. ამ მუხლში „ცვლილება" გულისხმობს, როგორც აშკარად გამოხატულ, ასევე ნაგულისხმებ ცვლილებას.

ძირითადი კანონი: ისრაელის მიწები

მიღებულია 1960 წლის 19 ივლისს

მუხლი 1. ფლობის უფლების გადაცემის აკრძალვა

ისრაელის სახელმწიფო მიწები არ შეიძლება გადაცემულ იქნეს გაყიდვით ან სხვა სახით.

მუხლი 2. კანონისმიერი თანხმობა

პირველი მუხლი არ გამოიყენება ამ მიზნით, კანონით გათვალისწინებული კატეგორიის მიწებსა და გარიგებებზე.

მუხლი 3. განმარტება

ამ კანონის მიხედვით „მიწები" გულისხმობს მიწას, შენობებს და მიწაზე მუდმივად მიმაგრებულ სხვა ობიექტებს.

ძირითადი კანონი: სახელმწიფოს პრეზიდენტი

მიღებულია 1964 წლის 16 ივნისს

მუხლი 1. სტატუსი

პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური.

მუხლი 2. რეზიდენციის ადგილმდებარეობა

სახელმწიფოს პრეზიდენტის რეზიდენცია მდებარეობს იერუსალიმში.

მუხლი 3. არჩევნები და უფლებამოსილების ვადა

სახელმწიფოს პრეზიდენტი აირჩევა ქნესეთის მიერ შვიდი წლის ვადით.

მუხლი 4. უნარიანობა

პიროვნებას, რომელსაც ზედიზედ ორჯერ ეკავა პრეზიდენტის თანამდებობა არ შეუძლება მომდევნო არჩევნებზე იყოს კანდიდატი.

მუხლი 5. არჩევნების დღე

სახელმწიფოს პრეზიდენტის არჩევნები უნდა ჩატარდეს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არანაკლებ ოთხმოცდაათი და არა უმეტეს ოცდაათი დღის ვადაში. თუ პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტურად გამოცხადდება უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, მაშინ არჩევნები უნდა ჩატარდეს ამ თანამდებობის ვაკანტურად გამოცხადებიდან ორმოცდახუთი დღის განმავლობაში. ქნესეთის თავმჯდომარე მის მოადგილესთან კონსულტაციის შემდეგ ნიშნავს არჩევნების დღეს და ეს ქნესეთის დანარჩენ წევრებს უნდა აცნობოს წერილობით არა უგვიანეს ოცი დღის ვადაში. თუ არჩევნების დღე არ ემთხვევა ქნესეთის სესიის პერიოდს, ქნესეთის თავმჯდომარე უფლებამოსილია შეკრიბოს ქნესეთი სახელმწიფოს პრეზიდენტის ასარჩევად.

მუხლი 6. კანდიდატების წარდგენა

ა) არჩევნების დღის დანიშვნის შემდეგ კანდიდატის წარდგენა შეუძლია ქნესეთის ათ ან მეტ წევრს. ქნესეთის თავმჯდომარესთან კანდიდატის წარდგენა ხდება არჩევნების დღემდე არანაკლებ ათი დღის ვადაში წერილობით ან ტელეგრაფის საშუალებით, რომელსაც თან ერთვის კანდიდატის ნებართვა. ქნესეთის წევრი უფლებამოსილია წარადგინოს მხოლოდ ერთი კანდიდატი.

ბ) ქნესეთის თავმჯდომარე არჩევნების დაწყებამდე არა უგვიანეს შვიდი დღით ადრე ქნესეთის წევრებს აცნობებს ყველა წარდგენილი კანდიდატისა და მათი წარმდგენი ქნესეთის წევრების თაობაზე და აცხადებს კანდიდატებს ღია სხდომაზე, რომელზეც ტარდება არჩევნები.

მუხლი 7. კენჭისყრა

სახელმწიფოს პრეზიდენტის არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით, მხოლოდ ამ მიზნით მოწვეული ქნესეთის სხდომაზე.

მუხლი 8. ხმათა უმრავლესობით არჩევა

არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ქნესეთის წევრთა ხმების უმრავლესობას. თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა უმრავლესობას, ტარდება მეორე ტური. თუ მეორე ტურშიც ვერ მიიღება უმრავლესობა, არჩევნები უნდა გაგრძელდეს. ვინც მესამე და ყოველ მომდევნო არჩევნებში შედეგების მიხედვით ყველაზე ცოტა ხმას მიიღებს, ველარ მიიღებს მონაწილეობას შემდეგ ტურში. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მესამე ან ყოველ შემდგომ ტურში მიიღებს კენჭისყრაში მონაწილე ქნესეთის წევრთა ხმების უმრავლესობას. თუ ორი კანდიდატი მიიღებს ხმათა თანაბარ რაოდენობას, კენჭისყრა განმეორებით უნდა ჩატარდეს.

მუხლი 9. ფიცის დადება

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პირი ქნესეთის წინაშე დებს შემდეგი შინაარსის ფიცს: „ვდებ ფიცს, რომ დავიცავ ისრაელის სახელმწიფოსა და მის კანო-

ნებს, ერთგულად შეასრულებ ჩემს ვალდებულებებს, როგორც სახელმწიფოს პრეზიდენტი".

მუხლი 10. განცხადების გაკეთება და უფლებამოსილების ვადის დაწყება

პრეზიდენტი განცხადებას აკეთებს და პრეზიდენტის უფლებამოსილების შესრულებას შეუდგება წინა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლისთანავე. თუ წინა პრეზიდენტის თანამდებობა მისი უფლებამოსილების დასრულებამდე გამოცხადდება ვაკანტურად, არჩეულმა პრეზიდენტმა არჩევის შემდეგ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში უნდა წარმოთქვას ფიცი და დაიკავოს პრეზიდენტის თანამდებობა.

მუხლი 11. ფუნქციები და უფლებამოსილება

ა) სახელმწიფოს პრეზიდენტი:

1. ხელს აწერს ყველა კანონს, გარდა იმისა, რომელიც მის უფლებამოსილებას შეეხება;

2. აყალიბებს მთავრობას, კანონის შესაბამისად იღებს მთავრობის გადადგომას;

3. მთავრობისგან იღებს განაცხადებს მისი შეკრების შესახებ;

4. ახდენს სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას, იღებს უცხო სახელმწიფოების მიერ ისრაელში გამოგზავნილი დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას, უფლებამოსილებას ანიჭებს ისრაელის საკონსულოს წარმომადგენლებს და ამტკიცებს ისრაელში გამოგზავნილი უცხო ქვეყნის საკონსულოს წარმომადგენლების დანიშვნებს;

5. ხელს აწერს ჭნესეთის მიერ რატიფიცირებულ უცხო სახელმწიფოსთან დადებულ კონვენციებს;

6. კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად ნიშნავს და ათავისუფლებს მოსამართლეებსა და სხვა თანამდებობის პირებს.

ბ) სახელმწიფოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გაათავისუფლოს პატიმრები და შეუმციროს მათ სასჯელის ვადა.

გ) სახელმწიფოს პრეზიდენტი ახორციელებს მისთვის კანონით დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 12. დამოწმება

სახელმწიფოს პრეზიდენტის ხელმოწერა ყველა დოკუმენტზე, გარდა მთავრობის ფორმირების აქტისა, უნდა დამოწმდეს პრემიერ-მინისტრის ან სხვა მინისტრის მიერ, რომელსაც მთავრობა გადაწყვეტს.

მუხლი 13. იმუნიტეტი ფუნქციების დაცვის მიზნით

ა) პრეზიდენტი არ არის პასუხისმგებელი არც ერთი სასამართლოს და ტრიბუნალის წინაშე და დაცულია მის ფუნქციებთან და უფლებამოსილებასთან დაკავშირებით განხორციელებული ყველა ლეგალური ქმედებისგან.

ბ) პრეზიდენტი უფლებამოსილია არ მისცეს ჩვენება და არ გაამხილოს ის საკითხები, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა სახელმწიფოს პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით.

გ) სახელმწიფოს პრეზიდენტის იმუნიტეტი გრძელდება მისი თანამდებობის დატოვების შემდეგაც.

მუხლი 14. იმუნიტეტი სისხლისსამართლებრივ პროცედურაზე

დაუშვებელია სახელმწიფოს პრეზიდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აძღვრა. ამ მუხლით გათვალისწინებული იმუნიტეტის ვადა არ მიემატება დანაშაულის ხანდაზმულობის ვადას.

მუხლი 15. ჩვენება

სახელმწიფოს პრეზიდენტი ვალდებულია მისცეს ჩვენება. მისი ჩვენების მიცემა უნდა განხორციელდეს სანქციაში განსაზღვრულ დროსა და ადგილას.

მუხლი 16. ხელფასი და სხვა სახის ანაზღაურება

სახელმწიფოს პრეზიდენტის ხელფასი და სხვა სახის ანაზღაურება, რომელიც მას გადაეცემა თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში ან მისი უფლებამოსილების დასრულების შემდეგ, გარდა მის კმაყოფაზე მყოფი პირებისთვის ანაზღაურებისა, განისაზღვრება ქნესეთის რეზოლუციით, საფინანსო კომიტეტის თანხმობით. ამ სახის რეზოლუცია უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

მუხლი 17. პრეზიდენტის მიერ სხვა თანამდებობის დაუკავებლობა

ა) ქნესეთის პალატის კომიტეტის თანხმობის გარეშე, სახელმწიფოს პრეზიდენტს არ უნდა ეკავოს სხვა თანამდებობა ან ეწეოდეს სხვა საქმიანობას, გარდა პრეზიდენტის უფლებამოსილებისა.

ბ) სახელმწიფოს პრეზიდენტი თავისუფლდება ყველა სავალდებულო სამსახურისგან.

მუხლი 18. უცხოეთში გამგზავრება

სახელმწიფოს პრეზიდენტმა არ შეიძლება დატოვოს სახელმწიფოს ტერიტორია მთავრობის თანხმობის გარეშე.

მუხლი 19. გადადგომა

სახელმწიფოს პრეზიდენტს შეუძლია გადადგეს თანამდებობიდან ქნესეთის თავმჯდომარესთან წერილობითი განაცხადის წარდგენის შემდეგ. გადადგომის შესახებ განაცხადს არ ესაჭიროება დამოწმება. პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტურად ცხადდება ქნესეთის თავმჯდომარესთვის გადადგომის შესახებ განაცხადის წარდგენიდან 48 საათის შემდეგ.

მუხლი 20. პრეზიდენტის თანამდებობიდან გათავისუფლება

ა) ქნესეთს რეზოლუციის საფუძველზე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, თუ ის არ შეესაბამება ამ თანამდებობას და არ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს.

ბ) ქნესეთს პრეზიდენტის თანამდებობიდან გათავისუფლება შეუძლია, თუ ქნესეთის ოცი წევრი პალატის კომიტეტში წარადგენს მოთხოვნას პრეზიდენტის გადაყენების თაობაზე და ამ მოთხოვნის წარდგენას მხარს დაუჭერს ქნესეთის პალატის კომიტეტის წევრთა სამი მეოთხედი. პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ ქნესეთის რეზოლუციას სჭირდება ქნესეთის წევრთა სამი მეოთხედის თანხმობა.

გ) პალატის კომიტეტმა არ უნდა წარადგინოს საკითხი პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე ქნესეთში, სანამ პრეზიდენტი პალატის კომიტეტის მიერ შემუშავებული და ქნესეთის მიერ დამტკიცებული პროცედურის მიხედვით არ წარმოთქვამს მისი გათავისუფლების დამაპირისპირებელ სიტყვას. სანამ ქნესეთი გამოიტანს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის გათავისუფლების შესახებ, მას საშუალება ეძლევა გამოვიდეს სიტყვით, პალატის კომიტეტის მიერ შემუშავებული და ქნესეთის მიერ დამტკიცებული პროცედურის მიხედვით.

დ) სახელმწიფოს პრეზიდენტი პალატის კომიტეტისა და ქნესეთის წინაშე უნდა იქნეს წარმოდგენილი უფლებამოსილი პირის მიერ. უფლებამოსილი პირის სახით არ შეიძლება მოქმედებდეს ქნესეთის წევრი. ამ მუხლის მიხედვით პალატის კომიტეტს შეუძლია მოითხოვოს სახელმწიფოს პრეზიდენტის დასწრება.

ე) ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურა ქნესეთმა უნდა განახორციელოს სხდომაზე ან სპეციალურად ამ მიზნით დანიშნულ სხდომაზე. სხდომა უნდა დაიწყოს პალატის კომიტეტის მიერ რეზოლუციის მიღებიდან არა უმეტეს ოც დღეში. სხდომის დღეს ქნესეთის წევრებს ოფიციალურად წერილობით უცხადებს ქნესეთის თავმჯდომარე. თუ შეხვედრის დაწყება არ ემთხვევა ქნესეთის სესიების დროს, მაშინ ქნესეთის თავმჯდომარემ უნდა მოიწვიოს ქნესეთის სხდომა.

მუხლი 21. თანამდებობის გათავისუფლება ჯანმრთელობის მიზეზით

ა) ქნესეთს შეუძლია, წევრთა უმრავლესობის მიერ რეზოლუციის მიღებით განაცხადოს, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო პრეზიდენტი მუდმივად ვერ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას.

ბ) ქნესეთს შეუძლია არ მიიღოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება, თუ ასეთ მოთხოვნას არ დაეთანხმება პალატის კომიტეტის ორი მესამედი იმ პირობით, რომ სამედიცინო მდგომარეობა აკმაყოფილებს კომიტეტის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს.

გ) თუ ქნესეთი მიიღებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის გათავისუფლების შესახებ მისი ადგილი ვაკანტურად უნდა გამოცხადდეს რეზოლუციის მიღების დღიდან.

მუხლი 22. მუშაობის დროებით შეწყვეტა

ა) სახელმწიფოს პრეზიდენტი დროებით წყვეტს მუშაობას:

1. თუ დატოვებს სახელმწიფოს - გამგზავრების დღიდან დაბრუნებამდე;

2. თუ ის პირადი განცხადებით მიმართავს პალატის კომიტეტს იმის შესახებ, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო დროებით არ შეუძლია განახორციელოს დაკისრებული უფლებამოსილება და ამ განცხადებას მხარს დაუჭერს ქნესეთის კომიტეტის ხმათა უმრავლესობა – ამ განცხადების დამტკიცების დღიდან რეზოლუციაში მითითებული ვადის გასვლამდე ან თუ სახელმწიფოს პრეზიდენტი ამ ვადის გასვლამდე განაცხადებს, რომ ის მალე შესძლებს დაკისრებული უფლებამოსილების შემდგომ განხორციელებას;

3. თუ პალატის კომიტეტი, წევრთა ორი მესამედით, განაცხადებს პრეზიდენტის ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ, რაც დროებით შეუძლებელს ხდის მისი უფლებამოსილების განხორციელებას – რეზოლუციის მიღებიდან პალატის კომიტეტის მიერ რეზოლუციაში მითითებული ვადის გასვლამდე ან სანამ პალატის კომიტეტი განაცხადებს, რომ სახელმწიფოს პრეზიდენტი მალე შესძლებს თავისი ფუნქციების შემდგომ განხორციელებას.

ბ) ამ მუხლის „ა" პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტების განხორციელების დროს პალატის კომიტეტი პრეზიდენტს უნიშნავს სამი თვის ვადას. ეს ვადა შესაძლოა კიდევ გაიზარდოს მაქსიმუმ სამი თვით. ყოველი შემდგომი გაგრძელება საჭიროებს ქნესეთის წევრთა უმრავლესობის მიერ რეზოლუციის მიღებას, რომელსაც წარადგენს პალატის კომიტეტი.

მუხლი 23. დროებითი პრეზიდენტი და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი

ა) იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტურად გამოცხადდება, ახალი პრეზიდენტის არჩევამდე მის მოვალეობას ასრულებს ქნესეთის თავმჯდომარე, როგორც დროებითი პრეზიდენტი.

ბ) იმ დროის განმავლობაში, როდესაც პრეზიდენტმა დროებით შეწყვიტა მისი ფუნქციებისა და უფლებამოსილების განხორციელება, მის მოვალეობას შეასრულებს ქნესეთის თავმჯდომარე, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი.

გ) როგორც დროებითი პრეზიდენტი ან პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ქნესეთის თავმჯდომარე ახორციელებს კანონით პრეზიდენტისთვის მიკუთვნებულ ფუნქციებსა და უფლებამოსილებას.

მუხლი 24. ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოცხადება

ა) ქნესეთის თავმჯდომარე ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში აქვეყნებს განცხადებას:

1. სახელმწიფოს პრეზიდენტის უფლებამოსილების დაწყების შესახებ;

2. სახელმწიფოს პრეზიდენტის თანამდებობის ვაკანტურობის შესახებ;

3. ქნესეთის თავმჯდომარის მიერ პრეზიდენტის უფლებამოსილების შეთავსების ვადის დაწყებისა და დასრულების შესახებ 22-ე მუხლის „ა“ პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტების შესაბამისად.

ბ) პრემიერ-მინისტრი ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში აქვეყნებს განცხადებას პრეზიდენტის მიერ ქვეყნის დატოვებისა და მისი დაბრუნების შესახებ.

მუხლი 25. ამ კანონის უცვლელობა საგანგებო დებულებებით

ეს კანონი არ შეიძლება გაუქმდეს, შეიცვალოს ან გახდეს დროებითი პირობების საგანი სხვა საგანგებო დებულებებით.

მუხლი 26. (ამოღებულია)

მუხლი 27. (ამოღებულია)

ძირითადი კანონი: სახელმწიფოს ეკონომიკა

მიღებულია 1975 წლის 21 ივლისს

(ცვლილებები შეტანილ იქნა 1982 წლის 24 მაისსა და 1983 წლის 21 მარტს)

მუხლი 1. გადასახადები, სავალდებულო სესხები, მოსაკრებლები

ა) გადასახადები, სავალდებულო სესხები და სხვა სავალდებულო გადასახადები არ შეიძლება დაეკისროს და მათი რაოდენობა თანხობრივად არ უნდა იქნეს შეცვლილი, თუ არ არის გათვალისწინებული კანონით; იგივე წესი მოქმედებს მოსაკრებლებთან დაკავშირებით.

ბ) როდესაც ხაზინისათვის გადასახადების, სავალდებულო სესხებისა და სხვა სავალდებულო გადასახადებისა და მოსაკრებლების ხაზინაში გადახდის ოდენობა არ არის განსაზღვრული კანონით, მას დადგენილებით განსაზღვრავს ქნესეთი ან ქნესეთის შესაბამისი კომიტეტი, ქნესეთის მიერ მინიჭებული უფლებამოსილებით.

მუხლი 2. სახელმწიფო ქონება

სახელმწიფო ქონების კერძო პირზე გადაცემა დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ ან კანონით.

მუხლი 3. სახელმწიფო ბიუჯეტი

ა) (1) სახელმწიფო ბიუჯეტი განისაზღვრება კანონით.

2) ბიუჯეტის პროექტი უნდა იყოს დეტალური.

3) თავდაცვის სამინისტროს დეტალიზირებული ბიუჯეტის პროექტი დასამტკიცებლად არ უნდა წარედგინოს ქნესეთს, არამედ მისი წარდგენა უნდა მოხდეს ქნესეთის საფინანსო კომიტეტისა და საზღვარგარეთის და უსაფრთხოების კომიტეტებისაგან შემდგარ გაერთიანებულ კომიტეტში.

4) ბიუჯეტი განისაზღვრება ერთი წლით, რომელიც მოიცავს მთავრობის საკარაუდო და დაგეგმილ ხარჯებს.

ბ) (1) მთავრობა ქნესეთს დასამტკიცებლად წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს. იგი მტკიცდება ქნესეთის ან ქნესეთის მიერ შესაბამისად უფლებამოსილი კომიტეტის მიერ განსაზღვრული წესით, მაგრამ საფინანსო წლის დაწყებიდან არა უგვიანეს სამოცი დღისა.

2) ბიუჯეტის პროექტს თან უნდა ახლდეს მისი დაფინანსების საკარაუდო წყარო.

გ) საჭიროების შემთხვევაში მთავრობამ საფინანსო წლის განმავლობაში შეიძლება წარადგინოს დამატებითი ბიუჯეტის პროექტი.

დ) თუ ქნესეთი საფინანსო წლის დაწყებამდე არ მიიღებს ბიუჯეტის შესახებ კანონს, ძალაში შედის დროებითი ბიუჯეტის პროექტი.

ე) ფინანსთა მინისტრი ვალდებულია ქნესეთს ყოველწლიურად წარუდგინოს მოხსენება სახელმწიფო ბიუჯეტის განხორციელების შესახებ, რომლის პროცედურა დადგენილია კანონით.

მუხლი 4. ფულის ნიშნები და მონეტები

ფულის ნიშნების ბეჭდვა და მონეტების დამზადება უნდა მოხდეს კანონის შესაბამისად.

მუხლი 5. ზედამხედველობა

სახელმწიფო ეკონომიკა არის სახელმწიფო კონტროლიორის ზედამხედველობის ობიექტი. დეტალები განისაზღვრება კანონით.

ძირითადი კანონი: ჯარი

მიღებულია 1976 წლის 31 მარტს

მუხლი 1. ისრაელის თავდაცვის ჯარი

ისრაელის თავდაცვის ჯარი არის სახელმწიფო ჯარი.

მუხლი 2. საკოალიციო ორგანოებისადმი დაქვემდებარება

ა) ჯარი არის სახელმწიფო ხელისუფლების იარაღი.

ბ) ჯარის სათავეში მთავრობის სახელით მდგარი მინისტრი არის თავდაცვის მინისტრი.

მუხლი 3. გენერალური შტაბის უფროსი

ა) ჯარში უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელს წარმოადგენს გენერალური შტაბის უფროსი.

ბ) გენერალური შტაბის უფროსი ასრულებს მთავრობის მითითებებს და ექვემდებარება თავდაცვის მინისტრის.

გ) გენერალური შტაბის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს მთავრობა თავდაცვის მინისტრის რეკომენდაციით.

მუხლი 4. სამხედრო სამსახურის გაელის მოვალეობა და გაწვევა

საყალდებულო სამხედრო სამსახური და ჯარში გაწვევის წესები განსაზღვრულია კანონით ან კანონის საფუძველზე.

მუხლი 5. ინსტრუქციები და ბრძანებები ჯარში

ჯართან დაკავშირებული ინსტრუქციებისა და ბრძანებების გამოცემის უფლებამოსილება უნდა განისაზღვრებოდეს კანონით ან კანონის საფუძველზე.

მუხლი 6. სხვა შეიარაღებული ძალები

ისრაელის თავდაცვის ჯარის გარდა სხვა შეიარაღებული ძალების შექმნა და შენახვა შეიძლება მხოლოდ კანონით.

ძირითადი კანონი:
იერუსალიმი - ისრაელის დედაქალაქი

მიღებულია 1980 წლის 13 დეკემბერს

მუხლი 1. იერუსალიმი, ისრაელის დედაქალაქი

იერუსალიმი, ერთიანი და მთლიანი, არის ისრაელის დედაქალაქი.

მუხლი 2. სახელმწიფოს პრეზიდენტის, ქნესეთის, მთავრობის და უზენაესი სასამართლოს ადგილსამყოფელი

იერუსალიმი წარმოადგენს სახელმწიფოს პრეზიდენტის, ქნესეთის, მთავრობისა და უზენაესი სასამართლოს ადგილსამყოფელს.

მუხლი 3. წმინდა ადგილების დაცვა

წმინდა ადგილი უნდა იქნეს დაცული ძალადობისა და სხვა ხელყოფისაგან, აგრეთვე დისკრიმინაციისაგან, როდესაც სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენ-

ლებსა და წევრებს უშლიან ამ ადგილას შეკრებას, კურთხევის მიღებას და ამ ადგილების მიმართ თავიანთი გრძნობების გამოხატვას.

მუხლი 4. იერუსალიმის განვითარება

ა) მთავრობამ უნდა იზრუნოს იერუსალიმის განვითარებასა და კეთილმოწყობაზე და მის მცხოვრებთა კეთილდღეობაზე, იერუსალიმის მუნიციპალიტეტისათვის ჭნესეთის ფინანსური კომიტეტის თანხმობით სპეციალური ფონდებისა და სპეციალური ყოველწლიური გრანტების გამოყოფით (დედაქალაქის გრანტი).

ბ) იერუსალიმს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი ეკონომიკური და სხვა სახის საკითხების განვითარებისათვის.

გ) ამ მუხლის განსახორციელებლად მთავრობამ უნდა შექმნას სპეციალური სახელმწიფო ორგანო ან ორგანოები.

ძირითადი კანონი:
სასამართლო ხელისუფლება

მიღებულია 1984 წლის 28 თებერვალს

თავი 1. ძირითადი დებულებები

მუხლი 1. სასამართლო ხელისუფლება

ა) სასამართლო ხელისუფლებას იწილებენ შემდეგი სასამართლოები:

1. უზენაესი სასამართლო;
2. საოლქო სასამართლო;
3. მაგისტრატთა სასამართლო;
4. კანონით დადგენილი სხვა სასამართლოები.

ამ კანონში სიტყვა „მოსამართლე" ნიშნავს ზემოაღნიშნული სასამართლოების მოსამართლეს.

ბ) სასამართლო ხელისუფლებას ასევე იწილებენ შემდეგი სასამართლოები:

1. რელიგიური სასამართლოები;
2. სხვა სასამართლოები;
3. კანონით განსაზღვრული სხვა ორგანოები.

გ) სასამართლოები არ შეიძლება შეიქმნას ერთი საქმის განსახილველად.

მუხლი 2. დამოუკიდებლობა

პირი, რომელიც ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას არ არის პასუხისმგებელი არავის წინაშე, გარდა კანონისა.

მუხლი 3. სასამართლო სხდომის საჯაროობა

სასამართლო პროცესი მიმდინარეობს საჯაროდ, გარდა კანონით დადგენილი წესით ან სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილებით.

თავი 2. მოსამართლეები

მუხლი 4. მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნა

ა) მოსამართლეს ნიშნავს სახელმწიფოს პრეზიდენტი მოსამართლეთა საარჩევნო კომიტეტის მიერ არჩევის შემდეგ.

ბ) კომიტეტი შედგება ცხრა წევრისაგან. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, უზენაესი სასამართლოს ცხრა წევრს შორის არჩეული ორი მოსამართლის, იუსტიციის მინისტრის და მთავრობის მიერ დანიშნული სხვა მინისტრის, ქნესეთის მიერ დანიშნული ქნესეთის ორი წევრის და ადვოკატთა პალატის ეროვნული საბჭოს მიერ არჩეული ადვოკატთა პალატის ორი წარმომადგენლისაგან. იუსტიციის მინისტრი უნდა იყოს კომიტეტის თავმჯდომარე.

გ) კომიტეტი აგრძელებს მის საქმიანობას კომიტეტის წევრთა შემცირების მიუხედავად, სანამ კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში არანაკლებ შვიდი წევრი დარჩება.

მუხლი 5. მოქალაქეობა

მოსამართლე უნდა იყოს მხოლოდ ისრაელის მოქალაქეობის მქონე პირი.

მუხლი 6. ფიცის დადება

მოსამართლედ დანიშნულმა პირმა პრზიდენტის წინაშე უნდა დადოს შემდეგი შინაარსის ფიცი: „ეფიცავ, ვიქნები ისრაელის სახელმწიფოს ერთგული და დავიცავ მის კანონმდებლობას, კეთილსინდისიერად განვახორციელებ მართლმსაჯულებას, არ დავარღვევ კანონს და ვიქნები მიუკეძოებელი“.

მუხლი 7. უფლებამოსილების ვადა

მოსამართლის უფლებამოსილება იწყება მისი ფიცის დადებიდან და გრძელდება:

1) პენსიაზე გასვლამდე;

2) თანამდებობიდან გადადგომამდე;

3) მოსამართლისთვის ისეთი თანამდებობის დაკავების ან თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში, რომლის დაკავება აკრძალულია ქნესეთის წევრობის კანდიდატობისას;

4) კომიტეტის თავმჯდომარის ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მომზადებული კომიტეტის გადაწყვეტილებით, რომელიც მიიღება სულ მცირე 7 წევრის ხმათა უმრავლესობით;

5) სადისციპლინო სასამართლოს მოთხოვნით.

მუხლი 8. პენსიაზე გასული მოსამართლეები

პენსიაზე გასული მოსამართლე შეიძლება დროებით ხელახლა დაინიშნოს მოსამართლედ, კანონით დადგენილი წესით, განსაკუთრებულ შემთხვევებში.

მუხლი 9. პირის თანამდებობაზე ხელახლა დანიშვნის შეზღუდვა

ა) არ შეიძლება მოსამართლე მუდმივად იქნეს გადაყვანილი სხვა ადგილას მდებარე სასამართლოში სამუშაოდ, გარდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით, სადისციპლინო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ბ) მოსამართლე მისი თანხმობის გარეშე არ შეიძლება დაინიშნოს თანამდებობაზე უფრო დაბალი ინსტანციის სასამართლოში.

მუხლი 10. ხელფასი და ანაზღაურება

ა) მოსამართლეებმა ხელფასი და სხვა ანაზღაურება უნდა მიიღონ უფლებამოსილების დროის განმავლობაში და მისი დამთავრების შემდეგ. მისი სიკვდილის შემდეგ ანაზღაურებას მიიღებენ მის კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრები კანონით დადგენილი წესით ქნესეთის მიერ ან ქნესეთის მიერ ქნესეთის კომიტეტისთვის მინიჭებული უფლებამოსილების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით.

ბ) არანაირი გადაწყვეტილება არ უნდა ამცირებდეს მხოლოდ მოსამართლის ხელფასს.

მუხლი 11. მოსამართლის მიერ დამატებითი საქმიანობის განხორციელების აკრძალვა

მოსამართლეს არ უნდა ეკავოს დამატებითი თანამდებობა და არ უნდა ეწეოდეს სახელმწიფო საქმიანობას, გარდა იუსტიციის მინისტრისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობისა.

მუხლი 12. სისხლის სამართლის პროცესი

ა) გენერალური ატორნეის ნებართვის გარეშე არ შეიძლება დაიწყოს მოსამართლის მიმართ სისხლის სამართლის საგამოძიებო პროცესი და არანაირი ინფორმაცია არ შეიძლება შეგროვებულ იქნეს მის წინააღმდეგ გენერალური ატორნეის თანხმობის გარეშე.

ბ) ბრალი არ შეეფარდება მოსამართლეს, თუ საოლქო სასამართლოს სამი მოსამართლე არ დაასკვნის, რომ პროცესი ჩატარდა ჩვეულებისამებრ.

გ) ეს მუხლი არ გამოიყენება კანონით განსაზღვრული დანაშაულების მიმართ.

მუხლი 13. დისციპლინური დარღვევა

ა) დისციპლინული დარღვევის შემთხვევაში საქმეს განიხილავს სადისციპლინო სასამართლო.

ბ) სადისციპლინო სასამართლო შედგება მოსამართლეებისაგან და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დანიშნული პენსიაზე გასული მოსამართლეებისაგან.

გ) დებულებები, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება დისციპლინური პროცესი, საჩივრების შეტანის წესი, მოსამართლის ადგილსამყოფელი, სადისციპლინო სასამართლოს უფლებამოსილება და დაკისრებული დისციპლინარული ზომები განისაზღვრება კანონით. საპროცედურო წესები დგინდება კანონით.

მუხლი 14. თანამდებობიდან დროებით დათხოვნა

მოსამართლის წინააღმდეგ ბრალის წაყენების შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მოსამართლე დროებით დაითხოვოს თანამდებობიდან.

თავი 3. სასამართლოები

მუხლი 15. უზენაესი სასამართლო

ა) უზენაესი სასამართლო მდებარეობს იერუსალიმში.

ბ) უზენაესი სასამართლო განიხილავს სააპელაციოდ გასაჩივრებულ საქმეებს და საოლქო სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებებს.

გ) უზენაესი სასამართლო ასევე ასრულებს მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს ფუნქციას და საქმის განხილვისას, როდესაც საჭიროდ ჩათვლის, შეუძლია უბოძოს თავისუფლება სამართლიანობის აღსადგენად, რაც არ შედის სხვა სასამართლოს ფუნქციებში.

დ) ამ მუხლის „გ" ქვეპუნქტის ძირითადი დებულებების გარდა უზენაესი სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო ორგანო კომპეტენტურია:

1. გაათავისუფლოს პირი პატიმრობიდან და წინასწარი დაკავებიდან, თუ მიიჩნევს, რომ ის უდანაშაულოა.

2. მიუთითოს სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის თანამდებობის პირებს თავიანთი უფლებამოსილების სამართლიანად განხორციელების შესახებ ან თუ ისინი არასწორად იყვნენ არჩეულნი ან დანიშნულნი, შეაჩეროს მათი უფლებამოსილება.

3. მიუთითოს სასამართლოებს და იმ პირებსა და ორგანოებს, რომელთაც კანონით გააჩნიათ სასამართლო ან კვაზი-სასამართლო უფლებამოსილება, ამ კანონის შესაბამისად შექმნილ სხვა სასამართლობსა და რელიგიურ სასამართლოებს, რომ განახორციელოს თავიანთი უფლებამოსილება სამართლიანად, კანონის შესაბამისად მოუსმინონ საქმეს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ მიიღონ საქმე წარმოებაში ან გადადოს საქმე განსახილველად.

4. რელიგიურ სასამართლოებს დაავალოს განიხილონ მის კომპეტენციაში შემავალი საქმეები ან თავი შეიკავონ განხილვისგან ან გააგრძელონ განხილვა განსაზღვრულ შემთხვევებში, იმ პირობით, რომ სასამართლო არ განიხილავს

თხოვნას ამ თავის მიხედვით, თუ მთხოვნელმა არ გამოიყენა პირველივე შესაძლებლობა აღეძრა საკითხი სასამართლოში. თუ მას აქვს მცირე შესაძლებლობაც კი აღძრას საქმე რელიგიური სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს პროცედურა ან გადაწყვეტილების მიღება, რომელიც რელიგიურ სასამართლოს იურისდიქციაში არ შედის.

5. უზენაესი სასამართლოს სხვა უფლებამოსილება განისაზღვრება კანონით.

მუხლი 16. სხვა სასამართლოები

საოლქო სასამართლოების, მაგისტრატთა სასამართლოებისა და სხვა სასამართლოების შექმნის, უფლებამოსილების, ადგილმდებარეობისა და იურისდიქციის საკითხები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 17. აპელაცია

პირველი ინსტანციის სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს დადგენილი წესით.

მუხლი 18. დამატებითი განხილვა

უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვა ხორციელდება სამი მოსამართლის, ხოლო დამატებითი განხილვა ამავე საფუძვლებითა და წესით - ხუთი მოსამართლის შემადგენლობით კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 19. სასამართლო საქმის გადასინჯვა

საბოლოოდ განხილული სისხლის სამართლის საქმეები შეიძლება გადაისინჯოს კანონით განსაზღვრული საფუძვლებითა და წესით.

მუხლი 20. დადგენილი წესი

1. სასამართლოს მიერ მიღებული წესები შეიძლება გავრცელდეს ქვემდგომ სასამართლოებზე.

2. უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული წესები შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერ სასამართლოზე.

მუხლი 21. რეგისტრაცია

სასამართლოში შეიძლება იყოს არქივარიუსი, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს მოსამართლე.

თავი 4. განსხვავებული დებულებები

მუხლი 22. კანონის აუმოქმედებლობა საგანგებო დებულებით

ეს კანონი არ შეიძლება გაუქმდეს, შეიცვალოს საგანგებო დებულებით ან იყოს მისი პირობის საგანი.

მუხლი 23. კანონით დასარეგულირებელი დებულებები

კანონით უნდა განისაზღვროს შემდეგი საკითხები:

1. მოსამართლეთა საარჩევნო კომიტეტის წევრების უფლებამოსილება, უფლებამოსილების ვადა და არჩევის წესი;

2. სხვადასხვა რანგის მოსამართლეთა კვალიფიკაცია;

3. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, საოლქო და მაგისტრატთა სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების დანიშვნის წესი;

4. მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის პირობები და პროცედურები;

5. მოსამართლის ერთი სასამართლოდან სხვა ადგილას მდებარე მეორეში სასამართლოში დროებით ან მუდმივად გადაყვანის წესი;

6. მოსამართლეთა თანამდებობიდან დროებით დათხოვნის საკითხები;

7. საკითხები, რომლითაც სხვადასხვა სასამართლო ინსტანციებში მოსმენა მიმდინარეობს ერთი, სამი ან მეტი მოსამართლის მიერ;

8. კონკრეტულ საკითხთა განხილვა ერთი ან რამდენიმე მოსამართლის მიერ.

მუხლი 24. კანონის საფუძველზე განსასაზღვრი დებულებები

კანონის საფუძველზე უნდა განისაზღვროს შემდეგი საკითხები:

1. წესები, რომლითაც განისაზღვრება სასამართლოს ადმინისტრაციული საკითხები და მათი აღსრულებისათვის პასუხისმგებლობა;

2. მოსამართლეთა საარჩევნო კომიტეტის პროცედურები და წესები;

3. მოსამართლეთა გადადგომის პროცედურა;

4. სასამართლოს არქივარიუსის დანიშვნის პროცედურა და უფლებამოსილება;

5. სასამართლო ინსტანციებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრა.

ძირითადი კანონი:
სახელმწიფო კონტროლიორი

მიღებულია 1988 წლის 15 თებერვალს

მუხლი 1. არსი

სახელმწიფო აუდიტს ახორციელებს სახელმწიფო კონტროლიორი.

მუხლი 2. სახელმწიფო აუდიტი

ა) კონტროლიორი ახორციელებს სახელმწიფოს, მთავრობის სამინისტროების, ყველა საწარმოს, დაწესებულების და სახელმწიფო კორპორაციის, ადგი-

ლობრივი ორგანოებისა და იმ ორგანოთა ან სხვა დაწესებულებათა ეკონომიკის, ქონების, ფინანსების, ვალდებულებებისა და მმართველობის აუდიტს, რომლებიც კანონის მიხედვით ექვემდებარებიან სახელმწიფო კონტროლიორის მიერ შემოწმებას.

ბ) სახელმწიფო კონტროლიორმა უნდა შეამოწმოს შემოწმებადი ორგანოების კანონიერება, მთლიანობა, მმართველობითი ნორმები, ეფექტურობა და ეკონომიურობა და აგრეთვე ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც ის ჩათვლის აუცილებლად.

მუხლი 3. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

სახელმწიფო აუდიტს დაქვემდებარებულმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლად უნდა მიაწოდოს სახელმწიფო კონტროლიორს ის ინფორმაცია, დოკუმენტაცია, ახსნა-განმარტებები ან ნებისმიერი სხვა მასალა, რომელსაც კონტროლიორი აუდიტის მიზნებისთვის აუცილებლად მიიჩნევს.

მუხლი 4. კონტროლიორი, როგორც საჩივრების მიმღები პირი

სახელმწიფო კონტროლიორი შეისწავლის საზოგადოების მიერ კანონის შესაბამისად ორგანოებისა და პირების წინააღმდეგ წარმოდგენილ საჩივრებს. აღნიშნული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით სახელმწიფო კონტროლიორს ეწოდება „საზოგადოებისგან საჩივრების მიმღები პირი".

მუხლი 5. დამატებითი მოვალეობები

სახელმწიფო კონტროლიორმა უნდა იკისროს კანონით გათვალისწინებული დამატებითი მოვალეობები.

მუხლი 6. ქნესეთის წინაშე ანგარიშვალდებულება

საკუთარი მოვალეობების შესრულებისას სახელმწიფო კონტროლიორი ანგარიშვალდებულია მხოლოდ ქნესეთის წინაშე და არა კაბინეტის წინაშე.

მუხლი 7. არჩევა

ა) სახელმწიფო კონტროლიორი აირჩევა ქნესეთის მიერ ფარული კენჭისყრით; ზუსტი პროცედურები უნდა განისაზღვროს კანონით.

ბ) სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობაზე ყოფნის ვადაა შვიდი წელი.

გ) სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობაზე ყოფნა შესაძლებელია მხოლოდ ერთი ვადით.

მუხლი 8. კვალიფიკაცია

სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაკავება შეუძლია ისრაელში მუდმივად მცხოვრებ ნებისმიერ მოქალაქეს; ყოველი დამატებითი მოთხოვნა შეიძლება განისაზღვროს კანონით.

მუხლი 9. ფიცის დადება

არჩეულმა სახელმწიფო კონტროლიორმა ქნესეთის წინაშე უნდა დადოს და ხელი მოაწეროს შემდეგ ფიცს:

„ვფიცავ, ვიქნები ისრაელის სახელმწიფოს ერთგული, დავიცავ მის კანონებს და კეთილსინდისიერად შევასრულებ სახელმწიფო კონტროლიორის მოვალეობებს".

მუხლი 10. ბიუჯეტი

სახელმწიფო კონტროლიორის სამსახურის ბიუჯეტი განისაზღვრება ქნესეთის შესაბამისი კომისიის მიერ, სახელმწიფო კონტროლიორის რეკომენდაციის საფუძველზე და ქვეყნდება სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად.

მუხლი 11. ხელფასი და ანაზღაურება

თანამდებობაზე ყოფნისას სახელმწიფო კონტროლიორის ხელფასი ან შემდგომ პერიოდში მის ან მისი მემკვიდრეების სასარგებლოდ განსახორციელებელი სხვა გადახდელები განისაზღვრება კანონით ან ქნესეთის რეზოლუციით ან ქნესეთის სათანადო უფლებამოსილების მქონე კომიტეტის მიერ.

მუხლი 12. ურთიერთობა ქნესეთთან და ანგარიშების წარმოდგენა

ა) სახელმწიფო კონტროლიორმა ქნესეთთან უნდა იქონიოს კანონით განსაზღვრული ურთიერთობა.

ბ) სახელმწიფო კონტროლიორმა უნდა წარმოადგინოს მის მოვალეობებთან დაკავშირებული ანგარიშები და მოსაზრებები და გამოაქვეყნოს ისინი კანონით განსაზღვრული შეზღუდვების შესაბამისად.

მუხლი 13. თანამდებობიდან გადაყენება

სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია კენჭისყრაში მონაწილე ქნესეთის წევრთა ორი მესამედით; საიმპიჩმენტო პროცედურები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 14. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო კონტროლიორს არ შეუძლია საკუთარი ფუნქციების შესრულება, კანონით განსაზღვრული წესითა და ვადით უნდა დაინიშნოს დროებითი კონტროლიორი.

ძირითადი კანონი:
ადამიანის ღირსება და თავისუფლება

მიღებულია 1992 წლის 17 მარტს

მუხლი 1. მიზანი

ამ კანონის მიზანია დაიცვას ადამიანის ღირსება და თავისუფლება, რისთვისაც ძირითად კანონში აყალიბებს ისრაელის სახელმწიფოს, როგორც ებრაელთა და დემოკრატიული სახელმწიფოს ფასეულობებს.

მუხლი 2. სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების დაცვა

უნდა აღიკვეთოს ნებისმიერი პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ყოველი დარღვევა.

მუხლი 3. ქონების დაცვა

დაუშვებელია პირის ქონების ხელყოფა.

მუხლი 4. სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების დაცვის უფლება

ყველა პირი უფლებამოსილია დაიცვას მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ღირსება.

მუხლი 5. პირადი თავისუფლება

დაუშვებელია თავისუფლების ჩამორთმევა ან მისი შეზღუდვა დაკავებით, დაპატიმრებით ექსტრადაციით ან სხვაგვარი ქმედებებით.

მუხლი 6. ისრაელში შემოსვლა და ისრაელიდან გასვლა

ა) ყოველი პირი თავისუფალია ისრაელის დატოვებაში.

ბ) ისრაელის ყველა მოქალაქე უფლებამოსილია შემოვიდეს ისრაელის სახელმწიფოში საზღვარგარეთიდან.

მუხლი 7. საკუთრება

ა) ყოველ პირს აქვს საიდუმლოებისა და და ინტიმურობის უფლება.

ბ) დაუშვებელია მესაკუთრის დაუკითხავად სხვის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე შესვლა.

გ) დაუშვებელია ჩხრეკის ჩატარება პირის ან ორგანოს თხოვნით.

დ) დაუშვებელია პირის პირადი მიმოწერის, კონფიდენციალური საუბრის ან ჩანაწერების კონფიდენციალობის ხელყოფა.

მუხლი 8. უფლებების ხელყოფა

დაუშვებელია ძირითადი კანონით განსაზღვრული უფლებების ხელყოფა, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

მუხლი 9. უშიშროების სამსახურში მსახურობა

ძირითადი კანონი არ ზღუდავს ისრაელის თავდაცვით ძალებში, ისრაელის პოლიციაში, ციხეებსა და სხვა უშიშროების დაწესებულებებში სამსახურს, გარდა კანონით ან კანონის საფუძველზე მიღებული დადგენილებით და ისეთ სამსახურში, რომელიც განსაკუთრებული ხასიათით და ბუნებით გამოირჩევა.

მუხლი 10. კანონის ნამდვილობა

ეს ძირითადი კანონი გავლენას არ ახდენს ძალაში უფრო ადრე შესული რომელიმე კანონის ნამდვილობაზე.

მუხლი 11. განცხადება

ყოველი თანამდებობის პირი და სტრუქტურა ვალდებულია დაიცვას ამ კანონით განსაზღვრული უფლებები.

მუხლი 12. სტაბილურობა

ეს კანონი არ შეიძლება შეიცვალოს, შეჩერდეს ან საჭიროებისამებრ შეიცვალოს მისი შინაარსი საგანგებო დებულებებით; მიუხედავად იმისა, სახელმწიფოში არის თუ არა საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებული, №5708-1948 აღმინისტრაციული ორდონანსისა და კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება უნდა მოხდეს ზემოთ აღნიშნული კანონის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევებში შეიძლება შეიზღუდოს ან გაუქმდეს ამ კანონით განსაზღვრული უფლებები.

ძირითადი კანონი: მთავრობა

მიღებულია 2001 წლის 7 მარტს

მუხლი 1. მთავრობის სტატუსი

მთავრობა არის სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლება.

მუხლი 2. მთავრობის ადგილსამყოფელი

მთავრობის ადგილსამყოფელი არის იერუსალიმი.

მუხლი 3. ქნესეთის ნდობა

მთავრობა თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ქნესეთის ნდობით.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა

მთავრობა ერთიანად არის პასუხისმგებელი ქნესეთის წინაშე. თითოეული მინისტრი თავისი უფლებამოსილების სფეროში პასუხს აგებს პრემიერ-მინისტრის წინაშე.

მუხლი 5. შემადგენლობა

ა) მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრის და სხვა მინისტრებისგან.

ბ) პრემიერ-მინისტრი უნდა იყოს ქნესეთის წევრი. არ არის საკალდებულო, რომ მინისტრი იყოს ქნესეთის წევრი.

გ) მინისტრი არის სამინისტროს მეთაური. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ უპორტფელო მინისტრები.

დ) ერთ-ერთი მინისტრი, რომელიც არის აგრეთვე პარლამენტის წევრი, შეიძლება დაინიშნოს პრემიერ-მინისტრის დროებითი უფლებამოსილების შემსრულებლად.

ე) მინისტრი შეიძლება იყოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე.

მუხლი 6. მინისტრად არჩევის უფლება

ა) მინისტრი უნდა იყოს ისრაელის მოქალაქე და ისრაელში მცხოვრები.

ბ) პირი არ შეიძლება დაინიშნოს მინისტრად, რომელსაც უკავია ქნესეთის შესახებ ძირითადი კანონის მე-7 მუხლით აკრძალული თანამდებობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი კანონით განსაზღვრული წესით დანიშვნამდე ან დანიშვნისას დატოვებს დაკავებულ თანამდებობას.

გ) (1) თუ პირი არის ან იყო მსჯავრდებული და პასუხისმგებლობის ვადის გასვლის ან ვადამდე გათავისუფლების დღიდან არ გასულა შვიდი წელი, არ შეიძლება დაინიშნოს მინისტრად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცენტრალური საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარე განაცხადებს, რომ დანაშაულის გარემოებების გათვალისწინებით აღნიშნული არ იქნება ამორალური.

(2) ცენტრალური საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარემ არ შეიძლება მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, თუ სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ დანაშაული ამორალური ხასიათის მატარებელია.

დ) იმ შემთხვევაში, როდესაც ისრაელის მოქალაქე იმავდროულად არის სხვა სახელმწიფოს მოქალაქე და აღნიშნული სახელმწიფოს კანონმდებლობა მას მოქალაქეობიდან გასვლის ნებას რთავს, იგი მინისტრად დაინიშნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიიღებს ყველა ზომას სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გასასვლელად.

ე) ქნესეთის წევრის ფრაქციიდან გასვლის და მისი გადადგომის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ქნესეთის წევრი ამ ქნესეთის უფლებამოსილების ვადის მანძილზე არ შეიძლება დაინიშნოს მინისტრად. ეს არ ეხება კანონით განსაზღვრული წესით ფრაქციის დატოვებას. ფრაქციიდან გამოსვლა გათვალისწინებულია ქნესეთის შესახებ ძირითადი კანონის მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში.

მუხლი 7. ამოცანების განაწილება მთავრობის ფორმირებისთვის

ა) ახალი მთავრობის ფორმირების დროს, სახელმწიფოს პრეზიდენტი ქნესეთის პარტიულ ჯგუფებთან კონსულტაციის შემდგომ ქნესეთის წევრს, რომელმაც განაცხადა, რომ მზადაა მიიღოს შესაბამისი დავალება, ავალებს მთავრობის ფორმირებას. პრეზიდენტი ამ უფლებამოსილებას ახორციელებს არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან შვიდი დღის განმავლობაში, ხოლო პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების შემთხვევაში – გარდაცვალებიდან 14 დღის განმავლობაში.

ბ) თუ ამ კონსულტაციებს ადგილი აქვს ახალი ქნესეთის მოწვევამდე, პრეზიდენტმა კონსულტაციისთვის უნდა მიმართოს კანდიდატთა იმ სიის წარმომადგენლებს, რომლებიც ახალი ქნესეთის წევრები იქნებიან.

გ) ეს მუხლი არ გამოიყენება მთავრობის ფორმირებისას, თუ ის 28-ე მუხლის შესაბამისად არ მიიღებს ნდობის ვოტომს. 29-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად პრეზიდენტთან განცხადების წარდგენის შემთხვევაში გამოიყენება ამ მუხლის დებულებები.

მუხლი 8. მთავრობის ფორმირების ვადა

ქნესეთის წევრმა, რომელსაც მე-7 მუხლის მიხედვით დაეკისრა მთავრობის ფორმირება, ეს ამოცანა უნდა განახორციელოს 28 დღის განმავლობაში. სახელმწიფოს პრეზიდენტი უფლებამოსილია არა უმეტეს 14 დღით გააგრძელოს ეს ვადა.

მუხლი 9. ამოცანების გადაკისრება

ა) თუ მე-8 მუხლში მითითებული ვადა გავა და ქნესეთის წევრი მთავრობის ფორმირების შესახებ სახელმწიფოს პრეზიდენტს არ აცნობებს, ან თუ ვადის გასვლამდე განუცხადებს პრეზიდენტს, რომ ის ვერ შესძლებს მთავრობის ფორმირებას, ან თუ იგი წარადგენს მთავრობას, მაგრამ ქნესეთი უარყოფს მის მოთხოვნას ნდობის მისაღებად, პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააკისროს მთავრობის ფორმირების ამოცანა ქნესეთის იმ წევრს, რომელმაც განაცხადა მზადყოფნა ამ ამოცანის შესასრულებლად ან შეუძლია აცნობოს ქნესეთის თავმჯდომარეს, რომ მას არ გააჩნია მთავრობის ფორმირების შესაძლებლობა, ამ ვადის გასვლიდან ან მთავრობის ფორმირების შეუძლებლობის შესახებ ქნესეთის წევრთა განცხადებიდან ან მთავრობის ნდობის უარყოფიდან სამი დღის ვადაში.

ბ) ამ მუხლის შესაბამისად ქნესეთის წევრისთვის მთავრობის ფორმირების ამოცანის დაკისრებამდე ან სანამ ის ქნესეთის თავმჯდომარეს განუცხადებს მთავრობის ფორმირების შეუძლებლობაზე, პრეზიდენტს შეუძლია კვლავ გაიაროს კონსულტაციები ქნესეთის ფრაქციების წარმომადგენლებთან.

გ) ქნესეთის წევრმა მთავრობის ფორმირების ამოცანა უნდა განახორციელოს 28 დღის განმავლობაში.

მუხლი 10. ამოცანების დაკისრება პარტიული ჯგუფების მოთხოვნით

ა) როდესაც სახელმწიფოს პრეზიდენტი ქნესეთის თავმჯდომარეს განუცხადებს, რომ მას მე-9 მუხლის შესაბამისად არ შეუძლია მთავრობის ფორმირება, ან როდესაც მან ამავე მუხლის თანახმად დააკისრა მთავრობის ფორმირება ქნესეთის წევრს, მაგრამ მან 28 დღის განმავლობაში არ აცნობა მთავრობის ფორმირების შესახებ, ან როდესაც აცნობა, რომ არ შეუძლია მთავრობის ფორმირება, ან წარადგინა მთავრობა, მაგრამ ქნესეთმა 13-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის თანახმად არ გამოუცხადა მას ნდობა, ქნესეთის წევრთა უმრავლესობას შეუძლია წერილობით მოითხოვოს, რომ სახელმწიფოს პრეზიდენტმა ეს ამოცანა დააკისროს ქნესეთის სხვა წევრს, რომელიც ასევე წერილობით დაეთანხმება პრეზიდენტის მოთხოვნიდან 21 დღის ვადაში, ან მე-9 მუხლში აღნიშნული ვადის ბოლოს ან ქნესეთის წევრის განცხადებისას, რომ მას არ შეუძლია მთავრობის ფორმირება, ან მთავრობის ნდობის ვოტუმის უარყოფისას.

ბ) ზემოაღნიშნული მოთხოვნების პრეზიდენტისთვის წაყენებისას, მან მთავრობის ფორმირების ამოცანა ქნესეთის წევრს უნდა დააკისროს ორი დღის განმავლობაში.

გ) ქნესეთის წევრმა მთავრობის ფორმირების ამოცანა უნდა აღასრულოს თოთხმეტი დღის ვადაში.

მუხლი 11. რიგგარეშე არჩევნები მთავრობის ჩამოუყალიბებლობის შემთხვევაში

ა) მე-10 მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ იქნება წაყენებული თხოვნა, ან იმ შემთხვევებში, როდესაც ქნესეთის შესაბამისი წევრი ვერ შექმნის მთავრობის შემადგენლობას, რაც გათვალისწინებულია მე-10 მუხლის „გ" ქვეპუნქტით, უნდა აცნობოს პრეზიდენტს, ხოლო პრეზიდენტი თავის მხრივ აცნობებს ქნესეთის თავმჯდომარეს.

ბ) ქნესეთის თავმჯდომარისადმი პრეზიდენტის მიერ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, ან თუ ქნესეთის წევრმა, რომელმაც მე-10 მუხლი „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოადგინა მთავრობის ფორმირების შედეგები და ვერ მიიღო მე-13 მუხლის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქნესეთის ნდობა, პრეზიდენტი უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ქნესეთის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. ამ დროს ახალი არჩევნები ჩატარდება პრეზიდენტის განცხადებიდან ან ქნესეთის მიერ მთავრობისთვის ნდობის გამოუცხადებლობიდან არა უმეტეს 90 დღის ბოლო სამშაბათს.

მუხლი 12. მთავრობის ფორმირების პროცედურის გახანგრძლივების დაუშვებლობა

ქნესეთის დათხოვნის შესახებ კანონის მიღების შემდგომ უნდა შეწყდეს მთავრობის ფორმირების პროცედურა.

მუხლი 13. მთავრობის ფორმირება

ა) როდესაც პრეზიდენტი ქნესეთის წევრს დააკისრებს მთავრობის ფორმირების ამოცანას, პრეზიდენტი ამის შესახებ ატყობინებს ქნესეთის თავმჯდომარეს, ხოლო ქნესეთის თავმჯდომარე — ქნესეთს.

ბ) როდესაც ქნესეთის წევრი ჩამოაყალიბებს მთავრობას, იგი ამის შესახებ აცნობებს სახელმწიფოს პრეზიდენტს და ქნესეთის თავმჯდომარეს, ხოლო ქნესეთის თავმჯდომარე აცნობებს ქნესეთს და ცნობიდან შვიდი დღის ვადაში ადგენს ქნესეთისთვის მთავრობის წარდგენის დღეს.

გ) ქნესეთის წევრი, რომელმაც ჩამოაყალიბა მთავრობა უნდა ჩაუდგეს მას სათავეში.

დ) მთავრობის ფორმირების შემდგომ, იგი წარუდგება ქნესეთს და აცნობებს მისი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, მის შემადგენლობას და მინისტრებს შორის ფუნქციების განაწილების წესს და ითხოვს ნდობის გამოხატვას. მთავრობა ჩამოყალიბებულად ითვლება, როდესაც ქნესეთი მას გამოუცხადებს ნდობას და მინისტრები დაიკავებენ თანამდებობებს.

მუხლი 14. ფიცის დადება

ქნესეთის მიერ მთავრობის მიმართ ნდობის გამოცხადებისთანავე, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, პრემიერ-მინისტრმა ქნესეთის წინაშე უნდა დადოს შემდეგი შინაარსის ფიცი:

„მე, (ვინაობა), როგორც პრემიერ-მინისტრი, დავიცავ ისრაელის სახელმწიფოს და მის კანონმდებლობას, კეთილსინდისიერად შევასრულებ პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებას და დავემორჩილები ქნესეთის გადაწყვეტილებებს."

ყოველმა მინისტრმა უნდა დადოს შემდგომი ფიცი:

„მე (ვინაობა), როგორც მთავრობის წევრი, დავიცავ ისრაელის სახელმწიფოს და მის კანონმდებლობას, კეთილსინდისიერად შევასრულებ მთავრობის წევრის უფლებამოსილებას და დავემორჩილები ქნესეთის გადაწყვეტილებებს."

მუხლი 15. მინისტრად დანიშვნა

მთავრობა უფლებამოსილია პრემიერ-მინისტრის წინადადებით მთავრობაში დანიშნოს დამატებითი მინისტრი. როდესაც მთავრობა გადაწყვეტს დამატებითი მინისტრის დანიშვნას, იგი ქნესეთს აცნობებს ამ ფაქტისა და დამატებითი მინისტრის ფუნქციების შესახებ. ქნესეთის მიერ ამ ცნობის დამტკიცების შემთხვევაში დამატებითი მინისტრი იკავებს თანამდებობას და დადებს ფიცს.

მუხლი 16. პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ა) პრემიერ-მინისტრის მიერ სახელმწიფო საზღვრების დატოვების შემთხვევაში, მთავრობის სხდომებს წარუძღვება და ატარებს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი.

ბ) თუ პრემიერ-მინისტრს დროებით არ შეუძლია საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება, მის თანამდებობას იკავებს პრემიერ-მინისტრის მოვალეო-

ბის შემსრულებელი. თუ 100 დღის განმავლობაში პრემიერ-მინისტრი ვერ განახორციელებს უფლებამოსილებას, ითვლება, რომ მას მუდმივად არ შეუძლია მისი უფლებამოსილების განხორციელება.

გ) პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურის ჩავარდნის შემთხვევაში ან „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მისი უფლებამოსილების შეუსრულებლობისას, მთავრობამ პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შესრულება უნდა გადააკისროს სხვა მინისტრს.

მუხლი 17. პრემიერ-მინისტრის დაკითხვა და იმპიჩმენტი

ა) სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ გენერალური ატორნეის თანხმობის გარეშე.

ბ) სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას თანამდებობაზე მყოფი პრემიერ-მინისტრის წინაალმდეგ თანამდებობაზე ყოფნის დროს ან მისი ამოწურვიდან ერთი წლის ვადაში, გენერალური ატორნეის თანხმობის გარეშე.

ბ) პრემიერ-მინისტრის ბრალდების საკითხი უნდა იქნეს განხილული იერუსალიმის საოლქო სასამართლოში სამი მოსამართლის შემადგენლობით; ბრალდების განხილვის საკითხები, სანამ პრემიერ-მინისტრი შეუდგებოდა უფლებამოისლების განხორციელებას, განისაზღვრება კანონით.

გ) პრემიერ-მინისტრის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში სასამართლო მიღებულ გამამტყუნებელ განაჩენში მიუთითებს არის თუ არა დანაშაული ამორალური ხასიათის მატარებელი.

მუხლი 18. თანამდებობიდან გათავისუფლება დანაშაულის ჩადენის გამო

ა) თუ პრემიერ-მინისტრი მსჯავრდებულია იმ დანაშაულის ჩადენისთვის, რომელიც სასამართლოს მიერ განისაზღვრება როგორც ამორალური, ქნესეთი უფლებამოსილია წევრთა უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება მისი დაკავებული თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას მთავრობა უნდა გადადგეს.

(ბ) სასამართლოს საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში ქნესეთის კომიტეტი რეკომენდაციის სახით იღებს გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ და ამ რეკომენდაციას წარუდგენს ქნესეთის პლენუმს; კომიტეტის მიერ დადგენილ პერიოდში ამ რეკომენდაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ქნესეთის თავმჯდომარე უფლებამოსილია ეს საკითხი წარუდგინოს ქნესეთის პლენუმს.

გ) ქნესეთი ან მისი კომიტეტი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრის გადაყენების შესახებ, სანამ პრემიერ-მინისტრი ქნესეთის წინაშე სიტყვით არ წარსდგება.

დ) თუ ქნესეთი გადაწყვეტს, რომ პრემიერ-მინისტრი არ გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან და ამ მუხლის „ა" ქვეპუნქტში მითითებული განაჩენი საბოლოო იქნება, პრემიერ-მინისტრი მაინც გათავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან და მთავრობაც გადადგება.

ე) ქნესეთის შესახებ ძირითადი კანონის 42-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების დებულებათა შესაბამისად ქნესეთს არ შეუძლია მიმართოს პრემიერ-მინისტრს.

მუხლი 19. პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა

გადადგომის შესახებ მთავრობისათვის შეტყობინების შემდეგ პრემიერ-მინისტრი გადადგომის შესახებ განცხადებას წარუდგენს სახელმწიფოს პრეზიდენტს. მისი გადადგომა თავისთავად გულისხმობს მთავრობის გადადგომას.

მუხლი 20. პრემიერ-მინისტრის სიკვდილი და მისი მუდმივი ქმედუუნარობა

ა) პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების შემთხვევაში მთავრობა ამ დღიდან ითვლება გადაყენებულად.

ბ) პრემიერ-მინისტრის მიერ უფლებამოსილების შესრულების მუდმივად შეუძლებლობის შემთხვევაში, მთავრობა გადამდგარად ითვლება პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მიერ პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შესრულებიდან 101-ე დღეს.

მუხლი 21. პრემიერ-მინისტრისა და მისი უფლებამოსილების დროებითი შესრულებლის გადაყენება ქნესეთის წევრის თანამდებობიდან

ა) თუ პრემიერ-მინისტრი შეწყვეტს ქნესეთის წევრობას, იგი გადამდგარად ითვლება; გადამდგარად ითვლება ასევე მთელი მთავრობა.

ბ) პრემიერ-მინისტრის მიერ ქნესეთის წევრობის შეწყვეტისას იგი აღარ ასრულებს არც პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილებას.

მუხლი 22. მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტა

(ა) მინისტრს შეუძლია გადადგეს თანამდებობიდან პრემიერ-მინისტრისათვის განცხადების წარდგენით. მისი მთავრობაში სამსახური შეწყდება ამ განცხადების პრემიერ-მინისტრამდე მიღწევიდან 48 საათის შემდგომ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი ამ ვადის გასვლამდე უკან არ გაიტანს თავის განცხადებას.

(ბ) პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია წერილობითი განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გაათავისუფლოს მინისტრი; მინისტრი გადაყენებულად ჩაითვლება ასეთი განცხადების მინისტრის მიერ მიღებიდან 48 საათის შემდეგ, თუ პრემიერ-მინისტრმა ამ ვადის გასვლამდე არ შეცვალა გადაწყვეტილება.

გ) მინისტრის უფლებამოსილების ვადა წყდება, თუ იგი აირჩევა ან დანიშნება ქნესეთის წევრობის კანდიდატობისთვის შეუთავსებელ თანამდებობაზე.

მუხლი 23. მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლება დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში

ა) მინისტრის წინააღმდეგ ბრალდება, გარდა კანონით გათვალისწინებული დანაშაულებისა, წარედგინება და განიხილება საოლქო სასამართლოში. მის წინააღმდეგ საქმის აღძვრა უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესით.

ბ) სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენში აღინიშნება მინისტრის ამორალური საქციელი. მინისტრის უფლებამოსილების ვადა წყდება ამგვარი განაჩენის გამოტანის დღეს.

გ) ეს ქვეპუნქტი არ ეხება პრემიერ-მინისტრს.

მუხლი 24. მინისტრის უფლებამოსილების დროებითი შემსრულებელი

ა) მინისტრის მიერ, გარდა პრემიერ-მინისტრისა, უცხოეთში წასვლის შემდეგ მთავრობა მისი უფლებამოსილების განხორციელებას აკისრებს სხვა მინისტრს. მინისტრის უფლებამოსილების დროებითი შემსრულებელი მინისტრის უფლებამოსილებას ასრულებს ნაწილობრივ ან სრულად მთავრობის მიერ განსაზღვრული წესით.

ბ) თუ მინისტრი დროებით ვერ ასრულებს თავის უფლებამოსილებას, მას ახორციელებს პრემიერ-მინისტრი ან მთავრობის მიერ დანიშნული სხვა მინისტრი.

გ) „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მინისტრის უფლებამოსილების დროებითი შემსრულებლის უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

მუხლი 25. მინისტრის მოადგილე

ა) მინისტრი პრემიერ-მინისტრის თანხმობითა და მთავრობის დამტკიცებით უფლებამოსილია ქნესეთის წევრთა შემადგენლობიდან დანიშნოს ერთი მინისტრის მოადგილე. მინისტრის მოადგილე უფლებამოსილების განხორციელებას იწყებს, როდესაც მთავრობა მისი დანიშვნის შესახებ აცნობებს ქნესეთს. პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული მინისტრის მოადგილე იწოდება „მინისტრის მოადგილედ პრემიერ-მინისტრის სამსახურში".

ბ) მინისტრის მოადგილე ახორციელებს როგორც მინისტრის ასევე ქნესეთის წევრის მოვალეობებს.

გ) ქნესეთის წევრი, რომელმაც დატოვა ფრაქცია არ შეიძლება დაინიშნოს მინისტრის მოადგილედ მისი ქნესეთში მოღვაწეობის განმავლობაში. ეს დებულება არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც ფრაქცია თვითონ იყოფა სხვადასხვა ფრაქციებად, კანონით განსაზღვრული წესით; ამ ქვეპუნქტის მიზნით „ფრაქციიდან გათავისუფლება" განსაზღვრულია ქნესეთის შესახებ ძირითადი კანონის მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტით.

მუხლი 26. მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლება

მინისტრის მოადგილის უფლებამოსილება წყდება შემდეგ შემთხვევებში:

1) თუ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ პირად განცხადებას წარუდგენს იმ მინისტრს, რომელმაც დანიშნა თანამდებობაზე;

2) თუ მინისტრი, რომელმაც თავისი მოადგილე დანიშნა თანამდებობაზე, გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან;

3) თუ პრემიერ-მინისტრი, მთავრობა ან მინისტრი გადაწყვეტს, რომ თანამდებობიდან გაათავისუფლოს მინისტრის მოადგილე; თუმცა პრემიერ-მინისტრს უფლება არ აქვს მინისტრის მოადგილე თანამდებობიდან გადააყენოს, სანამ ამის შესახებ არ შეატყობინებს მთავრობას და მინისტრს.

4) თუ ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა;

5) თუ მინისტრის მოადგილე შეწყვეტს ქნესეთის წევრობას.

მუხლი 27. მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენება დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში

თუ სასამართლო მინისტრის მოადგილეს დამნაშავედ აღიარებს, განაჩენში უნდა აღინიშნოს დამნაშავის ამორალობა. მოსამართლის ასეთი გადაწყვეტილების გამოტანისას მინისტრის მოადგილე თანამდებობიდან უნდა გათავისუფლდეს იმავე დღეს.

მუხლი 28. მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება

ა) ქნესეთი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას.

ბ) ქნესეთი წევრთა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით უნდობლობას უცხადებს პრეზიდენტის მიერ მიცემული ამოცანის თანახმად ქნესეთის რომელიმე წევრის მიერ ჩამოყალიბებულ მთავრობის შემადგენლობას.

გ) თუ ქნესეთი უნდობლობას გამოუცხადებს მთავრობას, მთავრობა გადადგება უნდობლობის გამოცხადების დღესზე. პრეზიდენტი ორი დღის განმავლობაში ახალი მთავრობის ჩამოყალიბებას აკისრებს ქნესეთის წევრს.

დ) ქნესეთის წევრმა პრეზიდენტის მიერ დაკისრებული ამოცანა მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ უნდა შეასრულოს 28 დღის განმავლობაში. სახელმწიფოს პრეზიდენტმა შეიძლება დამატებითი ვადა დაუნიშნოს არა უმეტეს 14 დღისა.

ე) თუ ქნესეთის წევრი „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ვერ შეასრულებს პრეზიდენტის მიერ დაკისრებულ ამოცანას მთავრობის ფორმირების შესახებ ან აცნობებს პრეზიდენტს, რომ ის ვერ შესძლებს ამ დროის განმავლობაში დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, პრეზიდენტი ამის შესახებ აცნობებს ქნესეთის თავმჯდომარეს.

ვ) თუ პრეზიდენტმა ქნესეთის თავმჯდომარეს აცნობა „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკითხის შესახებ ან თუ მთავრობა წარდგენილი იქნა, მაგრამ ქნესეთმა მე-13 მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად მისი ნდობის გამოცხადებაზე უარი განაცხადა, წყდება ქნესეთის უფლებამოსილების ვადა და ქნესეთის ახალი არჩევნები ტარდება განცხადებიდან ან მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებიდან 90 დღის შემდეგ ბოლო სამშაბათს.

მუხლი 29. ქნესეთის დათხოვნის უფლება

ა) როდესაც პრემიერ-მინისტრი დარწმუნდება, რომ ქნესეთის წევრთა უმრავლესობა ეწინააღმდეგება მთავრობას, რაც იწვევს მთავრობის ეფექტური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლას, მას სახელმწიფოს პრეზიდენტის თანხმობით შეუძლია დაითხოვოს მთავრობა, რის შესახებ ბრძანებასაც აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. ბრძანება ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან 21-ე დღეს, თუ მოთხოვნა არ არის წაყენებული „გ" ქვეპუნქტის თანახმად და მთავრობა გადამდგარად ითვლება ბრძანების გამოქვეყნების დღიდან.

ბ) ბრძანების გამოქვეყნებიდან 21 დღის განმავლობაში ქნესეთის წევრთა უმრავლესობამ შეიძლება მოითხოვოს, რომ ქნესეთის რომელიმე წევრს, რომელიც არ არის პრემიერ-მინისტრი, მისი თანხმობით დაეკისროს მთავრობის შემადგენლობის ჩამოყალიბების ამოცანა.

გ) ზემოხსენებული მოთხოვნის წაყენებისას პრეზიდენტი ამის შესახებ აცნობებს ქნესეთის თავმჯდომარეს. პრეზიდენტი მთავრობის შექმნის უფლებამოსილებას ქნესეთის წევრს აკისრებს ორი დღის განმავლობაში.

დ) ქნესეთის წევრმა მთავრობის ფორმირების ამოცანა უნდა შეასრულოს 28 დღის განმავლობაში. სახელმწიფოს პრეზიდენტმა შეიძლება დამატებითი ვადა დაუწესოს არა უმეტეს 14 დღისა.

ე) თუ „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით არ იქნება წაყენებული ამგვარი მოთხოვნა ან „დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადა გავა და ქნესეთის წევრი არ აცნობებს პრეზიდენტს მთავრობის ფორმირების შესახებ, ან როდესაც იგი წარადგენს მთავრობას, მაგრამ ქნესეთი მას ნდობას არ გამოუცხადებს მე-13 მუხლის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, ქნესეთი წყვეტს უფლებამოსილებას და ახალი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის განცხადებიდან ან მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადებაზე უარის თქმიდან 90 დღის შემდეგ ბოლო სამშაბათს.

ვ) თუ პრეზიდენტი მესამე ქვეპუნქტის შესაბამისად გააკეთებს განცხადებას ან თუ ქნესეთის წევრმა წარმოადგინა მთავრობის შემადგენლობა, მაგრამ ქნესეთმა უარი განაცხადა მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებაზე, ქნესეთი ითვლება გადამდგარად მისი უფლებამოსილების გასვლისას, ხოლო არჩევნები უნდა ჩატარდეს პრეზიდენტის განცხადებიდან ან ქნესეთის მიერ ნდობის გამოცხადებაზე უარის თქმიდან 90 დღის შემდეგ ბოლო სამშაბათს.

ზ) პრემიერ-მინისტრი არ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას შემდეგ შემთხვევებში:

1) ახლადარჩეული ქნესეთის უფლებამოსილების დაწყებიდან ახალი მთავრობის ფორმირებამდე;

2) როდესაც ქნესეთი მთვარობას უნდობლობას გამოუცხადებს 28-ე მუხლის თანახმად;

3) პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომის, ან ქნესეთის კომიტეტის მოთხოვნით ქნესეთის მიერ პრემიერ-მინისტრის გადადგომის შესახებ რეკომენდაციის წარდგენის დღიდან, სანამ ქნესეთი მე-18 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად მიიღებს გადაწყვეტილებას.

თ) ამ მუხლის მიხედვით პრემიერ-მინისტრის ფუნქციის განხორციელების უფლება არ აქვს მისი მოვალეობის შემსრულებელს.

მუხლი 30. მთავრობის უფლებამოსილების ვადის გაგრძელება

ა) როდესაც ახალი ქნესეთი აირჩევა ან თუ მთავრობა გადადგება მე-18, მე-19, მე-20, 21-ე ან 29-ე მუხლების საფუძველზე ან 29 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის საფუძველზე, სახელმწიფოს პრეზიდენტი ამ კანონის შესაბამისად დაიწყებს ახალი მთავრობის ფორმირებას.

ბ) ახალი ქნესეთის არჩევის ან მთავრობის შემადგენლობის გადაყენების შემდეგ (მე-18, მე-19, მე-20, 21-ე ან 29-ე მუხლებით) ძველმა მთავრობამ უნდა გააგრძელოს მისი საქმიანობა ახალი მთავრობის ჩამოყალიბებამდე.

გ) გადაყენებული პრემიერ-მინისტრი აგრძელებს თავის უფლებამოსილებას ახალი მთავრობის ჩამოყალიბებამდე. თუ პრემიერ-მინისტრი გარდაიცვლება ან თუ ის ვერ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას ან თუ მისი უფლებამოსილების ვადა შეწყდა დანაშაულის ჩადენის გამო, პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებას დროებით შეასრულებს რომელიმე მინისტრი, რომელიც არის აგრეთვე ქნესეთის წევრი.

დ) მთავრობა, რომელიც საქმიანობს „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია დანიშნოს ქნესეთის წევრი მინისტრად იმ მინისტრის მაგიერ, რომელიც გადაყენებულ იქნა ამ თანამდებობიდან. ამ პროცედურას არ სჭირდება ქნესეთის თანხმობა.

მუხლი 31. მთავრობის ფუნქცია

ა) მთავრობა ქნესეთის თანხმობით უფლებამოსილია მინისტრებს გარდა პრემიერ-მინისტრისა, შეუცვალოს თავიანთი უფლებამოსილება და როლი.

ბ) მთავრობა უფლებამოსილია ქნესეთის თანხმობით ერთი მინისტრის უფლებამოსილება ნაწილობრივ ან მთლიანად გადააკისროს მეორე მინისტრს.

გ) მთავრობა ქნესეთის თანხმობით უფლებამოსილია შექმნას და ჩამოაყალიბოს ახალი სამინისტროები.

დ) მთავრობა უფლებამოსილია ერთი მინისტრის მოქმედების სფერო გადასცეს მეორეს.

ე) მთავრობა უფლებამოსილია შექმნას დროებითი, მუდმივი ან განსაკუთრებულ საკითხთა მინისტრთა კომიტეტი. კომიტეტის შექმნის შემდეგ მთავრობას შეუძლია უფლებამოსილება გადააკისროს მას.

ვ) მთავრობას შეუძლია დაადგინოს მუშაობის განრიგი და დებატების პროცედურა, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილების მიღების პროცესი მუდმივად ან განსაკუთრებულ საკითხებზე.

მუხლი 32. მთავრობის სხვა უფლებამოსილებანი

მთავრობა უფლებამოსილია სახელმწიფოს სახელით განახორციელოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილება და მოქმედება, თუ ისინი სხვა ორგანოს არ აქვს მიკუთვნებული.

მუხლი 33. უფლებამოსილების დელეგირება

ა) კანონით მთავრობისათვის მინიჭებული უფლებამოსილება შეიძლება დელეგირებულ იქნეს რომელიმე მინისტრზე; ეს არ ეხება ამ ძირითადი კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს, გარდა 32-ე მუხლით განსაზღვრული უფლებებისა.

ბ) 31-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად მინისტრისთვის კანონით დაკისრებული უფლებამოსილება შეიძლება გადაეცეს სხვა მინისტრს ნაწილობრივ, მთლიანად ან სამოქალაქო სამსახურისათვის საჭირო პირობით.

გ) მთავრობის მიერ მინისტრისათვის დელეგირებული უფლებამოსილება, გარდა დებულების მიღების უფლებამოსილებისა, მთავრობის დავალებით შეიძლება გადაეცეს სხვა მინისტრს მთლიანად, ნაწილობრივი სამოქალაქო სამსახურისთვის საჭირო პირობით.

დ) ამ ქვეპუნტის მიზნებისათვის, მთავრობისა და მინისტრისადმი უფლებამოსილების მინიჭება, მოიცავს აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებულ უფლებამოსილებებს.

ე) ამ პუნქტის დებულებები გამოიყენება იმის გათვალისწინებით, რომ კანონით სხვა მიზანი არ ექნება დაკისრებულ უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს.

მუხლი 34. უფლებამოსილების მიღება

მინისტრს, რომელიც აღასრულებს კანონს, შეუძლია მიიღოს ნებისმიერი უფლებამოსილება, რომელიც გადაცემული აქვს სამოქალაქო მოსამსახურეს, გარდა სასამართლო ხასიათის უფლებამოსილებისა, თუ თავად კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. მინისტრი ზემოაღნიშნულს ახორციელებს განსაკუთრებულ საქმეებზე და განსაზღვრული ვადით.

მუხლი 35. საიდუმლოება

ა) მთავრობისა და სამინისტროს კომიტეტის დებატები და გადაწყვეტილებები ქვემოთ განსაზღვრულ საკითხებზე საიდუმლოა და მათი გამჟღავნება და გამოქვეყნება აკრძალულია. ეს საკითხებია:

1) სახელმწიფოს უსაფრთხოება;

2) სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობები;

3) მთავრობის მიერ სახელმწიფოსთვის განსაკუთრებულად საიდუმლოდ მიჩნეული საკითხები, რომელთა შესახებ ცნობა გამოქვეყნდა დადგენილი წესით ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე;

4) საკითხები, რომელთა გასაიდუმლოება გადაწყვიტა სახელმწიფომ; ამ საკითხთა გამჟღავნება და გამოქვეყნება აკრძალულია მხოლოდ იმ პირთათვის, რომლებმაც იციან მის შესახებ.

ბ) „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული დებულება არ ეხება პრემიერ-მინისტრს ან მთავრობას ან პრემიერ-მინისტრის ან მთავრობის მიერ უფლებამოსილ პირს და ნებადართულ საკითხებს, რომელთა გამოქვეყნება საჯაროდებულია.

მუხლი 36. ხელფასები და პენსიები

მინისტრის და მისი მოადგილეების ხელფასები და მათი უფლებამოსილების დროს ან მის შემდეგ, ან მათი გარდაცვალების შემდეგ სხვა გადასახადები განსაზღვრება კანონით ან ქნესეთის გადაწყვეტილებით ან ამ მიზნით ქნესეთის მიერ დანიშნული სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

მუხლი 37. შინაგანაწესი

ა) მინისტრი, რომელიც დანიშნულია კანონის აღსასრულებლად, უფლებამოსილია მათ აღსასრულებლად მიიღოს გადაწყვეტილებები.

ბ) პრემიერ-მინისტრი ან მინისტრი იღებენ გადაწყვეტილებებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ საკითხებზე.

მუხლი 38. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება

ა) ქნესეთი საგანგებო მდგომარეობის დროს, საკუთარი ინიციატივით ან მთავრობის განცხადებით სახელმწიფოში აცხადებს საგანგებო მდგომარეობას.

ბ) განცხადება საგანგებო მდგომარეობის შესახებ გრძელდება, სანამ არ ამოიწურება მასში აღნიშნული მდგომარეობა, მაგრამ ის არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს; ქნესეთი ერთი წლის თავზე აკეთებს ხელახალ განცხადებას საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ.

გ) როგორც კი მთავრობა შეიტყობს, რომ სახელმწიფოში არის საგანგებო მდგომარეობა და ამ მხრივ სავალდებულოა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, უფლებამოსილია იმ დრომდეც გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა, სანამ ქნესეთი შეიკრიბება. ასეთი განცხადების ვადა გადის შვიდი დღის შემდეგ, თუ ქნესეთი ამ დროისთვის მისი უმრავლესობის გადაწყვეტილებით არ დაადასტურებს საგანგებო მდგომარეობის არსებობას. თუ ქნესეთი ვერ შეიკრიბება, მთავრობა ამ ქვეპუნქტის შესაბამისად ხელახლა აცხადებს საგანგებო მდგომარეობას.

დ) მთავრობისა და ქნესეთის ასეთი განცხადება უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ხოლო თუ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოს გამოცემა შეუძლებელია, მაშინ უნდა დამტკიცდეს მისი გამოქვეყნების სხვა წესი, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, წინასწარ როდესაც ეს შესაძლებელია.

ე) ქნესეთს ყოველთვის შეუძლია გააუქმოს საგანგებო მდგომარეობა. მისი გაუქმების შესახებ განცხადება ქვეყნდება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

მუხლი 39. საგანგებო მდგომარეობა

ა) საგანგებო მდგომარეობის პერიოდში მთავრობას შეუძლია მიიღოს საგანგებო გადაწყვეტილებები, რათა დაიცვას სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოება, შეინარჩუნოს სხვადასხვა სახის მარაგი და ძირითადი სამსახურები. საგარეო საქმეთა და უშიშროების კომიტეტისათვის საგანგებო მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილების გაცნობა ხდება მისი მიღებიდან შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ პრემიერ-მინისტრი შეუძლებლად მიიჩნევს ქნესეთის მოწვევას და არსებობს საგანგებო ზომების შესახებ გადაწყვეტილების მიღების გარდაუვალი აუცილებლობა, პრემიერ-მინისტრს შეუძლია ამ გადაწყვეტილების მიღება ან რომელიმე მინისტრისთვის მისი მიღების უფლების მინიჭება.

გ) საგანგებო მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამ შეიძლება შეცვალოს ნებისმიერი კანონი, დროებით შეაჩეროს მისი მოქმედება, ამ გადაწყვეტილების მიღებისას შეიძლება დაწესდეს ან გაიზარდოს საბაჟო ან სხვა საკალდებულო გადასახადები, სანამ კანონით სხვა რამ არ დადგინდება.

დ) საგანგებო მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ აფერხებს სასამართლო საქმის წარმოებას, სასჯელის გამოტანის პროცედურებს და არ იძლევა ადამიანის ღირსების ხელყოფის უფლებას.

ე) საგანგებო გადაწყვეტილები არ მიიღება, არ იცვლება, ასევე არ ხდება სხვადასხვა ღონისძიებების, ზომების და უფლებების განხორციელება, გარდა საგანგებო მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

ვ) საგანგებო მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი თვის შემდეგ იწურება მისი მოქმედების ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ან ქნესეთის მიერ კანონის მიღებით ან ქნესეთის წევრთა უმრვლესობის გადაწყვეტილებით გრძელდება გადაწყვეტილების მოქმედების ვადა.

(ზ) საგანგებო მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების დღიდან. თუ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება ფერხდება, მიღებულ უნდა იქნეს დამატებითი ზომები, რომ გამოქვეყნება, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს.

თ) საგანგებო მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილების შეწყვეტის შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება ძალაში დარჩება მასში მითითებულ ვადამდე, მაგრამ არა უმეტეს საგანგებო მდგომარეობის დასრულებიდან 60 დღისა. საგანგებო მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილება, რომლის მოქმედების ვადა კანონით იქნა გაგრძელებული, ძალაში დარჩება.

მუხლი 40. ომის გამოცხადება

ა) სახელმწიფოს ომის დაწყება შეუძლია მხოლოდ მთავრობის გადაწყვეტილებით.

ბ) ამ პუნქტის ვერცერთი დებულება ვერ შეუშლის ხელს იმ სამხედრო ღონისძიებების მიღებას, რაც ქვეყნის თავდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის არის საჭირო.

გ) მთავრობის განცხადება ომის დაწყების შესახებ „ა" ქვეპუნქტის თანახმად შეძლებისდაგვარად სწრაფად წარედგინება ქნესეთის საგარეო საქმეთა და უშიშროების კომიტეტს, ასევე პრემიერ-მინისტრი ცნობას აწვდის ქნესეთის პლენუმს; ქნესეთის საგარეო საქმეთა და უშიშროების კომიტეტს შეძლებისდაგვარად სწრაფად ეცნობება „ბ" ქვეპუნქტში მოხსენიებული სამხედრო ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 41. საგანგებო კანონების გამოუყენებლობა

ნებისმიერი კანონის დებულების მიუხედავად, საგანგებო მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილებას არ შეუძლია ძირითადი კანონის შეცვლა ან დროებით მისი შეჩერება.

მუხლი 42. მთავრობა და ქნესეთის კომიტეტები

ა) მოთხოვნის შესაბამისად, მთავრობა უზრუნველყოფს ქნესეთსა და მის კომიტეტებს ინფორმაციით და ეხმარება მათ თავიანთი ვალდებულებების შესრულებაში. ინფორმაციის კლასიფიკაციისათვის ხდება კანონით დადგენილი სპეციალური დებულების მიღება, როდესაც ეს საჭიროა ქვეყნის უსაფრთხოების, საგარეო ურთიერთობებისა და კანონით მინიჭებული პრივილეგიების დასაცავად ან საერთაშორისო ვაჭრობისათვის.

ბ) ქნესეთს არანაკლებ 40 წევრის მოთხოვნით უფლება აქვს პრემიერ-მინისტრის მონაწილეობით გამართოს სესია ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით.

გ) ქნესეთს უფლება აქვს დაავალდებულოს მინისტრი წარსდგეს მის წინაშე. იგივე უფლებით სარგებლობენ ქნესეთის კომიტეტები, მათი ამოცანების ფარგლებში.

დ) ქნესეთის ნებისმიერ კომიტეტს მისი უფლებამოსილების შესრულების ფარგლებში, შესაბამისი მინისტრის მხარდაჭერითა და ცოდნით, უფლება აქვს მოსთხოვოს კანონში მოხსენიებულ საჯარო მოხელეს ან სხვა პირს წარსდგეს მათ წინაშე.

ე) ნებისმიერ მინისტრს შეუძლია ქნესეთის ან მისი კომიტეტის წინაშე სიტყვით გამოსვლა.

ვ) დეტალები, რომლებიც ამ ნაწილის განხორციელებას ეხება, შეიძლება დამტკიცებულ იქნეს კანონით ან ქნესეთის რომელიმე მუხლით.

მუხლი 43. არჩევნების თარიღის შეცვლა

როდესაც არჩევნების დღე განისაზღვრება მე-11, 28-ე და 29-ე მუხლების შესაბამისად, ქნესეთს შეუძლია ხმათა უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ვინაიდან არჩევნების დღე ახლოსაა ან ემთხვევა დასვენების ან ხსოვნის

დღეს, არჩევნები ჩატარდეს მსგავსი საკითხის წამოჭრამდე არანაკლებ 100 დღის ვადაში.

მუხლი 44. კანონის სტაბილურობა

ა) მხოლოდ ქნესეთის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით არის შესაძლებელი ძირითადი კანონის შეცვლა. უმრავლესობამ გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს პირველი, მეორე და მესამე მოსმენით. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, „ცვლილება" არსებობს საბოლოო ან პირობითი.

ბ) ამ ქვეპუნქტის დებულება არ ეხება ქნესეთის შესახებ ძირითადი კანონის 45-ე და 46-ე მუხლებს.

მუხლი 45. ქნესეთის შესახებ ძირითად კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

(ამ მუხლით ცვლილებები შედის ქნესეთის შესახებ ძირითად კანონში.)

მუხლი 46. მთავრობის შესახებ ძირითადი კანონის გაუქმება

მთავრობის შესახებ 1992 წლის ძირითადი კანონი გაუქმებულია.

მუხლი 47. ძალაში შესვლა და გამოყენება

ა) ამ ძირითადი კანონის დებულებები ეხება არჩევნებისა და მთავრობის ფორმირების საკითხებს, მე-16 ქნესეთის არჩევის დროიდან.

ბ) როგორც „ა" ქვეპუნქტის დებულებების საგანი, ეს კანონი ძალაში უნდა შედის იმ დღეს, როდესაც მოხდება მთავრობის ფორმირება, როგორც ეს აღნიშნულია „ა" ქვეპუნქტში.

გ) „ბ" ქვეპუნქტის დებულებების მიხედვით, 44-ე მუხლი ძალაში შედის ამ კანონის გამოქვეყნების დღეს.

ძირითადი კანონი: დასაქმების თავისუფლება

მიღებულია 1994 წლის 9 მარტს

მუხლი 1. ძირითადი პრინციპები

ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტური უფლება გამომდინარეობს ადამიანთა პიროვნული ფასეულობებიდან, სიცოცხლის ხელშეუხებლობიდან და იმ ძირითადი პრინციპიდან, როგორიცაა ადამიანის დამოუკიდებლობა; ამ პრინციპთა სიძლიერე ასახულია „ისრაელის სახელმწიფოს დაარსების დეკლარაციაში".

მუხლი 2. მიზანი

ამ ძირითადი კანონის მიზანია დაიცვას პირთა დასაქმების თავისუფლება, რათა ძირითად კანონში ისრაელი აღიარებულ იქნეს, როგორც ებრაული და დემოკრატიული სახელმწიფო.

მუხლი 3. დასაქმების თავისუფლება

ყველა ისრაელის მოქალაქესა და ისრაელში მცხოვრებს უფლება აქვს დაკავდეს ყველა სახის თანამდებობით, პროფესიული და სავაჭრო საქმიანობით.

მუხლი 4. თავისუფლად დასაქმების ხელყოფა

დაუშვებელია დასაქმების თავისუფლების აღკვეთა გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, მხოლოდ განსაზღვრული ოდენობით და სავალდებულო მიზეზის არსებობისას.

მუხლი 5. განცხადება

ყველა სახელმწიფო ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებულია პატივი სცეს ყველა ისრაელის მოქალაქისა და მცხოვრებლის დასაქმების თავისუფლებას.

მუხლი 6. სტაბილურობა

ეს კანონი არ შეიძლება შეიცვალოს, გაუქმდეს ან შეჩერდეს საგანგებო ნორმებით გათვალისწინებული რაიმე სხვა კანონით.

მუხლი 7. კანონის სიმტკიცე

ეს კანონი არ შეიძლება შეიცვალოს სხვა კანონით, გარდა ქნესეთის უმრავლესობით მიღებული ძირითადი კანონისა.

მუხლი 8. კანონის შეუსაბამობის შედეგები

კანონის დებულება, რომელიც ზღუდავს დასაქმების თავისუფლებას, ძალაში იქნება მიუხედავად მე-4 მუხლთან შეუსაბამობისა, თუ მიღებული იქნება ქნესეთის წევრთა ხმების უმრავლესობით. ამ კანონის მოქმედების ვადაა ოთხი წელი, თუ კანონით უფრო მოკლე ვადა არ არის დადგენილი.

მუხლი 9. შეცვლა, გაუქმება

დასაქმების შესახებ ძირითადი კანონი უქმდება ამ კანონით.

მუხლი 10. გარდამავლობა

ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის დებულება, რომელიც მიღებულია უშუალოდ ამ ძირითადი კანონის მიღების წინ, ძალაშია ორი წლის მანძილზე, გარდა იმ შემთხვევისა თუ იგი არ გაუქმდება ამ კანონით ან მე-9 მუხლით.

საბერძნეთი

BULGARIA
MACEDONIA
ALB.
TURK.
Kavála
Alexandroúpolis
Thessaloníki
Mount Olympus
Kérkyra
Ioánnina
Lárisa
Igoumenítsa
Vólos
Límnos
Lésvos
Aegean
Sea
TURKEY
Chalkís
Chíos
Ionian Sea
Pátrai
Elefsís
ATHENS
Sámos
Peiraiefs
Lávrion
Náxos
Kos
Rhodes
Sea of Crete
Mediterranean Sea
Irákleion
Crete
0 50 100 km
0 50 100 mi

ზოგადი ცნობარი

შესავალი

საბერძნეთმა 1829 წელს მიაღწია ოსმალთა იმპერიისაგან დამოუკიდებლობას. მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარსა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მან თანდათან შემოიერთა მის ირგვლივ მდებარე ბერძნულენოვანი ხალხით დასახლებული კუნძულები და ტერიტორიები. II მსოფლიო ომის დროს საბერძნეთი თავდაპირველად იტალიამ (1940 წელს), ხოლო შემდეგ გერმანიამ (1941-1944 წლებში) დაიპყრო, რასაც მოჰყვა ხანგრძლივი სამოქალაქო ომი მეფის მხარდამჭერებსა და აჯანყებულ კომუნისტებს შორის. 1949 წელს ამ უკანაკნელთა დამარცხების შემდეგ, საბერძნეთი 1952 წელს შევიდა ნატოს შემადგენლობაში. 1967 წელს დამყარებულმა შვიდწლიანმა სამხედრო დიქტატურამ, რომლითაც შეიზღუდა პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები, გამოიწვია საბერძნეთის მეფის ქვეყნიდან განდევნა. 1974 წლის დემოკრატიული არჩევნებისა და რეფერენდუმის შედეგად შეიქმნა საპარლამენტო რესპუბლიკა და გაუქმდა მონარქია. საბერძნეთი ევროპული თანამეგობრობის (1992 წლიდან ევროკავშირის) წევრია 1981 წლიდან. იგი 2001 წელს გახდა ევროზონის მე-12 წევრი.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: სამხრეთი ევროპა; ესაზღვრება ეგეოსის, იონიისა და ხმელთაშუა ზღვები, ალბანეთი, მაკედონია, ბულგარეთი, თურქეთი.

ფართობი: სულ: 131.940 კმ^2; ხმელეთი: 130.800 კმ^2; წყალი: 1.140 კმ^2.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ქვანახშირი, ნავთობი, რკინის მადანი, ალუმინის მადანი, ტყვია, თუთია, ნიკელი, მაგნეზიტი, მარმარილო, მარილი, ჰიდროენერგორესურსები.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 10 722 816 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 14.3% (მამაკაცი 789 137 ქალი 742 469);
15-64 წლის: 66.6% (მამაკაცი 3 568 101 ქალი 3 575 572);
65 წლის და ზემოთ: 19.1% (მამაკაცი 898 337 ქალი 1 149 200) (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 0.146% (2008);

შობადობა: 9.54 დაბადებული 1000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 10.42 გარდაცვლილი 1000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: 2.33 მიგრანტი 1000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: ზოგადად: 79.52 წელი; მამაკაცი: 76.98 წელი; ქალი: 82.21 წელი (2005);

ეთნიკური ჯგუფები: ბერძნები 93%, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები 7%.

რელიგია: მართლმადიდებლური 98%, ისლამური 1.3%, სხვა 0.7%.

ენა: ბერძნული 99% (სახელმწიფო), სხვა 1% (ინგლისური, ფრანგული);

განათლების დონე: მთელი მოსახლეობის – 96%; მამაკაცი – 97.8%; ქალი – 94.2% (2001);
განმარტება: შეეხება 15 წლის ასაკს მიღწეულ პირებს, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ვრცელი ფორმა: საბერძნეთის რესპუბლიკა;
შემოკლებული ფორმა: საბერძნეთი;
ადგილობრივი ვრცელი სახელწოდება: ელინიკი დიმოკრატია;
ადგილობრივი შემოკლებული სახელწოდება: ელას ან ელადა;
ძველი სახელწოდება: საბერძნეთის სამეფო.

მმართველობის ფორმა: საპარლამენტო რესპუბლიკა; მონარქია გაუქმდა 1974 წლის 8 დეკემბრის რეფერენდუმით.

დედაქალაქი: ათენი

ადმინისტრაციული ერთეულები: 51 პრეფექტურა და ერთი ავტონომიური რეგიონი.

დამოუკიდებლობა: 1829 წელს (ოსმალთა იმპერიისგან);

ეროვნული დღესასწაული: დამოუკიდებლობის დღე – 25 მარტი (1821);

აღმასრულებელი ხელისუფლება:

სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი კაროლოს პაპულიასი (2005 წლის 12 მარტიდან);

არჩევნები: პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტის მიერ 5 წლის ვადით; დასაშვებია ზედიზედ მხოლოდ ორი ვადით არჩევა.

სამინისტროები: სოფლის მეურნეობის სამინისტრო; კულტურის სამინისტრო; განვითარების სამინისტრო; მრეწველობისა და კვების სამინისტრო; ტურიზმის სამინისტრო; განათლებისა და რელიგიურ საქმეთა სამინისტრო; გარემოს დაცვის, ფიზიკური დაგეგმარებისა და საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტრო; ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; დასაქმებისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; მაკედონიისა და თრაკიის სამინისტრო; საზღვაო ვაჭრობის სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო; პრესისა და მასმედიის სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება:

ერთპალატიანი პარლამენტი (300 წევრი; წევრები აირჩევიან საყოველთაო არჩევნებით, პროპორციული წესით, ოთხი წლის ვადით);

არჩევნები უკანასკნელად ჩატარდა 2007 წლის 16 სექტემბერს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: მემარცხენეთა და პროგრესის კოალიცია, საბერძნეთის კომუნისტური პარტია, ახალი დემოკრატიული (კონსერვატორთა) პარტია, საერთო ბერძნული სოციალისტური მოძრაობა, მართლმადიდებელთა სახალხო გაერთიანება.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: საბერძნეთი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაა, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტის 40% განეკუთვნება საჯარო სექტორს და ერთ სულ მოსახლეზე გააჩნია მთლიანი შიდა პროდუქტის 70% ევროს ზონის ქვეყნებთან შედარებით. ტურიზმი შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის 15%-ს. იმიგრანტები დასაქმებულნი არიან ძირითადად დაბალანაზღაურებად სამუშაოზე და ქვეყნის მასშტაბით ასრულებენ სამუშაოს დაახლოებით ერთ მეხუთედს. საბერძნეთი იღებს მნიშვნელოვან დახმარებას ევროკავშირის ქვეყნებიდან, რაც უდრის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 3.3%-ს. ათენის ოლიმპიური თამაშებით გამოწვეული საინვესტიციო ბუმისა და ინფრასტრუქტურის განვითარების გამო მოხდა საბერძნეთის ეკონომიკური შემოსავლების ზრდა დაახლოებით 4%-ით. მძლავრი ეკონომიკური განვითარების მიუხედავად საბერძნეთის ეკონომიკა ვერ გაუთანაბრდა ევროკავშირის განვითარებისა და სტაბი-

ლურობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბიუჯეტის დეფიციტის ოდენობას – მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ს 2001 წლიდან 2006 წლამდე, თუმცა მიაღწია ამ მაჩვენებელს 2007 წელს. სახელმწიფო ვალი, ინფლაცია და უმუშევრობა ასევე აღემატება ევროზონის ქვეყნების მაჩვენებელს. ეკონომიკის შემდგომი გარდაქმნისათვის აუცილებელია რამდენიმე სახელმწიფო საწარმოს პრივატიზება, საპენსიო ვალდებულებათა აღება და სხვა რეფორმების განხორციელება, აგრეთვე ბიუროკრატიული ბარიერების შემცირება.

მთლიანი შიდა პროდუქტი – მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $324.6 მილიარდი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 4% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $29 200 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორების მიხედვით: სოფლის მეურნეობა: 3.6%; მრეწველობა: 24.8%; მომსახურება: 71.6% (2007);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: მონაცემები არ არსებობს

ბიუჯეტი: შემოსავალი: $111.8 მილიარდი; გასავალი: $120.6 მილიარდი (2007);

ექსპორტი: $23.91 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: საკვები პროდუქტები, სასმელი, ფაბრიკატები, ნავთობპროდუქტები, ქიმიური ნაწარმი, ტექსტილის ნაწარმი.

ექსპორტის პარტნიორები: გერმანია 11.4%, იტალია 10.7%, კვიპროსი 6.5%, ბულგარეთი 6.2%, დიდი ბრიტანეთი 5.4%, რუმინეთი 4.5%, საფრანგეთი 4.2%, აშშ 4.1% (2006);

იმპორტი: $54.28 მილიარდი (2004);

საიმპორტო საქონელი: სატრანსპორტო მოწყობილობა, მანქანები, საწვავი, ქიმიური ნაწარმი

იმპორტის პარტნიორები: გერმანია 12.9%, იტალია 11.7%, საფრანგეთი 5.6%, რუსეთი 5.6%, ჩინეთი 5%, ნიდერლანდები 5% (2006);

საგარეო ვალი: $86.72 მილიარდი (2007);

ვალუტა: ევრო

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. საბერძნეთის პირველი კონსტიტუცია ძალაში შევიდა 1822 წლის 1 იანვრიდან და მას ეწოდებოდა „საბერძნეთის დროებითი კონსტიტუცია". ის შედგებოდა 110 მუხლისგან და იყოფოდა კარებად და თავებად. „დროებითი კონსტიტუცია" შეიცავდა ადამიანის უფლებათა შესახებ დებულებებს და ეფუძნებოდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოები ერთმანეთს აბალანსებდა საკანონმდებლო პროცესში, ხოლო სასამართლო ხელისუფლება აირჩეოდა ამ ორი შტოს მიერ, მათგან დამოუკიდებელი იყო და ახორციელებდა მართლმსაჯულებას.

„საბერძნეთის დროებითი კონსტიტუცია" ახალი კონსტიტუციით შეიცვალა 1823 წლის 13 აპრილს მეორე ეროვნული კრების მიერ. ახალი კონსტიტუციით უფრო დეტალურად მოწესრიგდა მრავალი საკითხი და მცირე უპირატესობა მიენიჭა საკანონმდებლო ხელისუფლებას აღმასრულებელთან შედარებით, კერძოდ, აღმასრულებელი ხელისუფლების აბსოლუტური ვეტოს უფლება კანონპროექტებთან დაკავშირებით, სუსპენზიური ვეტოს უფლებით შეიცვალა; გაფართოვდა კონსტიტუციით დაცული უფლებების არეალი: აღიარებულ იქნა საკუთრების უფლება, პატივის, ღირსებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა არა მხოლოდ ბერძნების, არამედ საბერძნეთში მცხოვრები ყველა მოქალაქისათვის; აღიარებულ იქნა პრესის თავისუფლება და გაუქმდა მონობა; უცვლელად დარჩა მმართველობის ორგანოთა ვადიანი ფუნქციონირების პრინციპი, რაც წარმოადგენდა პოლიტიკოსებსა და სამხედრო პირებს შორის მზარდი უნდობლობის შედეგს. ამასთან, საარჩევნო ასაკი 30-დან 25 წლამდე შემცირდა.

საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის შეუთანხმებლობა საბოლოოდ სამოქალაქო ომში გადაიზარდა, რამაც შესაძლებლობა მისცა უცხოურ ძალებს, შეჭრილიყვნენ საბერძნეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1827 წელს მესამე ეროვნულმა კრებამ მიიღო „საბერძნეთის პოლიტიკური კონსტიტუცია", რომელმაც ისტორიაში პირველად ხელისუფლების წყაროდ ხალხი აღიარა. კონსტიტუცია შედგებოდა 150 მუხლისაგან. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური იყო გუბერნატორი, რომელსაც ჰქონდა მხოლოდ სუსპენზიური ვეტოს უფლება და არ იყო უფლებამოსილი დაეთხოვა პარლამენტი. ამასთან, იგი სარგებლობდა იმუნიტეტით. 1827 წლის საბერძნეთის კონსტიტუცია იმ პერიოდის კონსტიტუციებს შორის გამოირჩეოდა თავისი სრულყოფილებით და ადამიანის იმ უფლებათა დეტალური ჩამონათვალით, რომელთა გარანტს წარმოადგენდა სახელმწიფო. ეს კონსტიტუცია წარმოადგენდა ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებისა და დემოკრატიული სტრუქტურების სინთეზის მცდელობას. 1827 წლის კონსტიტუციის მოქმედება შეჩერდა 1828 წლის იანვარში.

1833 წლიდან საბერძნეთი გამოცხადდა მონარქიად. ამ დროს არ მოქმედებდა კონსტიტუცია. 1843 წლის აჯანყების შედეგად მეფე აიძულეს, დათანხმებულიყო კონსტიტუციის შემუშავებაზე. 1844 წელს ხელმოწერილ იქნა ახალი

კონსტიტუცია, რომელიც იყო ერთგვარი ხელშეკრულება მონარქსა და ხალხს შორის. ამ კონსტიტუციით ხელისუფლება გადანაწილებული იყო მონარქსა და პარლამენტს შორის.

1864-1911 წლები საბერძნეთში წარმოადგენდა კონსტიტუციური მონარქიის პერიოდს. 1864 წელს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელიც არ შეიცავდა მნიშვნელოვან სიახლეებს და ამ კონსტიტუციამ უცვლელი სახით იარსება 1911 წლამდე. აღნიშნულ პერიოდში განხორციელებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა, საშუალო ფენის ჩამოყალიბებამ და ლიბერალურმა გარდაქმნებმა განაპირობა კონსტიტუციის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც გამოიხატა ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერებასა და კონკრეტიზაციაში, კერძოდ, საგადასახადო თანასწორუფლებიანობის, შეკრებების თავისუფლებისა და საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის დამკვიდრებაში, საკუთრების უფლების დაცვისა და არჩევითი სასამართლოს პრინციპების განმტკიცებაში. ასევე აღსანიშნავია, რომ პირველად გაცხადდა სავალდებულო და უფასო განათლების პრინციპი და ბერძნული ენა გამოცხადდა სახელმწიფო ენად.

1924 წელს მონარქიის დამხობისა და ორწლიანი სამხედრო დიქტატორული მმართველობის შემდეგ, 1927 წელს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომლის უმთავრეს ნოვაციას წარმოადგენდა არჩევითი სახელმწიფოს მეთაურის – პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც აირჩეოდა ორპალატიანი პარლამენტის მიერ. დამკვიდრდა საპარლამენტო მმართველობის სისტემა და მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა ის გარემოებაც, რომ მთავრობის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ პირობად განმტკიცდა პარლამენტის მიერ ნდობის გამოცხადება.

1935 წელს გაუქმდა 1927 წლის კონსტიტუცია და აღდგა 1911 წლის კონსტიტუცია, რომელმაც მასში განხორციელებული არადემოკრატიული ცვლილებებით იმოქმედა 1952 წლამდე. 1952 წლის კონსტიტუციით აღდგა კონსტიტუციური მონარქია ძლიერი საპარლამენტო სისტემით. კონსტიტუციის თანახმად, კანონის საფუძველზე საარჩევნო ხმის უფლება შესაძლოა სავალდებულო გამხდარიყო მოქალაქეთათვის და ეს უფლება შეიძლება კანონით მინიჭებოდა აგრეთვე ქალებს. მეფეს მიენიჭა უფლება, პარლამენტის არასასესიო ვადაში, პარლამენტის მიერ არჩეული სპეციალური კომიტეტის თანხმობით გამოეცა დეკრეტი.

1968 და 1973 წლებში სამხედრო დიქტატორული რეჟიმის მიერ მიღებულ იქნა ორი კონსტიტუცია, რომელმაც განამტკიცა არადემოკრატიული სისტემა. აღნიშნული კონსტიტუციების დებულებები მათი არადემოკრატიულობისა და ზედმეტად კონსერვატიული ხასიათის გამო ბოლომდე ვერ იქნა პრაქტიკაში რეალიზებული.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. 1974 წელს ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის აღდგენისა და საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 1975 წელს, 1927 და 1952 წლების კონსტიტუციების საფუძველზე, მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელიც შემდგომში განხორციელებული

ცვლილებებით დღემდე მოქმედებს. მისი მრავალი დებულება ეფუძნება ასევე დასავლეთ გერმანიის 1949 და საფრანგეთის 1958 წლების კონსტიტუციებს. კონსტიტუციის თანახმად საბერძნეთი ჩამოყალიბდა საპარლამენტო რესპუბლიკად, სადაც სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი.

საკმაოდ რთულია კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი. დაუშვებელია კონსტიტუციის იმ დებულებების გადასინჯვა, რომლებიც შეეხება მმართველობის ფორმად საპარლამენტო რესპუბლიკის განსაზღვრას, აგრეთვე ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს (კანონის წინაშე თანასწორობა, პიროვნების განვითარებისა და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, ადამიანის ღირსების დაცვა, პირადი თავისუფლების ხელშეუხებლობა, რელიგიის თავისუფლება).

ასევე მეტად რთული ფორმით არის განსაზღვრული კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცედურა. მის თავისებურებას წარმოადგენს გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის მიღების აუცილებლობა ორი მოწვევის პარლამენტის მიერ. კონსტიტუციის გადასინჯვის აუცილებლობა უნდა დადგინდეს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით, არანაკლებ 50 პარლამენტის წევრის წინადადებით, არანაკლებ ერთი თვის ინტერვალით ჩატარებული ორი კენჭისყრის შედეგად მიღებული პარლამენტის გადაწყვეტილებით. ამ გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს გადასინჯვას დაქვემდებარებული კონსტიტუციური დებულებები. კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ახალმა პარლამენტმა მის პირველ სესიაზე წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით მესამედ უნდა მიიღოს აღნიშნული პროექტი და გადაწყვიტოს კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხი. თუ კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ წინადადება მიიღებს ხმათა უმრავლესობას, მაგრამ წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/5-ზე ნაკლებს, ახალი პარლამენტი უფლებამოსილია მის პირველ სესიაზე 3/5-ის უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება კონსტიტუციის დებულებათა გადასინჯვის შესახებ.

კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებიდან ათი დღის ვადაში ქვეყნდება სამთავრობო გაზეთში და ძალაში შედის პარლამენტის სპეციალური გადაწყვეტილებით.

კონსტიტუციის სტაბილურობის თვალსაზრისით ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ არ დაიშვება კონსტიტუციის გადასინჯვა წინა გადასინჯვის დამთავრებიდან ხუთი წლის მანძილზე.

1975 წლის კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე საკონსტიტუციო ცვლილებები განხორციელდა ორჯერ – 1986 და 2001 წლებში. 1986 წელს, იმ პერიოდში არსებული პოლიტიკური დაძაბულობის მიუხედავად გამოიძებნა კონსენსუსი, რომლის შედეგად შეიცვალა კონსტიტუციის 11 მუხლი, მნიშვნელოვნად შეიზღუდა პრეზიდენტის უფლებამოსილება და საბერძნეთი ჩამოყალიბდა წმინდა საპარლამენტო რესპუბლიკად.

2001 წლის გაზაფხულზე განხორციელდა უფრო მასშტაბური საკონსტიტუციო ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებები შეეხო კონსტიტუციის 79 მუხლს, ისინი ფაქტიურად ერთხმად იქნა მხარდაჭერილი პარლამენტის მიერ. კონსტიტუციით განისაზღვრა ადამიანის უფლებები, რომლებიც ამ პერიოდამდე არ იყო განმტკიცებული კონსტიტუციით (გენეტიკური წარმოშობის შესახებ მონაცემების, აგრეთვე ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემების დაცვა). გათვალისწინებულ იქნა პოლიტიკური ცხოვრების გამჭვირვალობის ახალი მექანიზმები, რომლებიც შეეხება პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას, საარჩევნო ხარჯებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მესაკუთრეების დამოკიდებულებას სახელმწიფოსთან. შეიცვალა პარლამენტის საქმიანობის წესი და ასევე ამ ცვლილებებმა ხელი შეუწყო ქვეყნის დეცენტრალიზაციის პროცესს. საკმაოდ მასშტაბური ცვლილებების მიუხედავად, 1986 წლის ცვლილებებისაგან განსხვავებით 2001 წელს არ შეცვლილა ქვეყნის პოლიტიკური მოწყობისა და ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ძირეული საკითხები.

კონსტიტუციის ანალიზი. საბერძნეთის კონსტიტუცია შედგება 4 კარისა და 120 მუხლისგან. იგი აღიარებს, რომ სახელმწიფო წყობილების საფუძველია სახალხო სუვერენიტეტი. სახელმწიფო ხელისუფლება მომდინარეობს ხალხისგან, არსებობს ხალხისა და ერისათვის და ხორციელდება კონსტიტუციით განსაზღვრული გზით. კონსტიტუცია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად საბერძნეთი ისწრაფვის მშვიდობისა და სამართლიანობის განმტკიცების, ხალხთა და სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარებისაკენ.

საგანგებოდ ხაზგასმულია საბერძნეთის სახელმწიფოსა და მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიის განსაკუთრებული დამოკიდებულება. კონსტიტუციით საბერძნეთში გაბატონებულ რელიგიად აღიარებულია მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგია. მიუხედავად ამისა, რელიგიისადმი დამოკიდებულების თავისუფლება ხელშეუხებელია. სამოქალაქო უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არ არის დამოკიდებული პიროვნების რელიგიურ შეხედულებებზე. ყველა აღიარებული რელიგია თავისუფალია, რელიგიური რიტუალების ჩატარება ხდება შეუზღუდავად და კანონის მფარველობის ქვეშ. დაუშვებელია საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობრივი ნორმების დამრღვევი რელიგიური რიტუალების ჩატარება. ამასთან, ყველა აღიარებული რელიგიის მსახურები სახელმწიფოს ისეთივე ზედამხედველობის ქვეშ არიან და ისეთივე მოვალეობები ეკისრებათ, როგორიც გაბატონებული რელიგიის წარმომადგენლებს.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მომწესრიგებელ კარს ეწოდება პირადი და სოციალური უფლებები, თუმცა იგი მოიცავს ასევე პოლიტიკურ უფლებებსაც. კონსტიტუცია განამტკიცებს კანონის წინაშე ყველა ბერძენი მოქალაქის თანასწორობას. საყურადღებოა საგანგებო ხაზგასმა იმ გარემოებაზე, რომ ბერძენ მოქალაქეებს არ შეიძლება მიენიჭოთ სათავადაზნაურო ან სხვა საპატიო

ტიტულები. ყველა მოქალაქის ვალდებულებაა იარაღით ხელში სამშობლოს დაცვა, თუმცა გამონაკლისის წესით, იმ პირთათვის, რომლებიც შეგნებულ პროტესტს გამოხატავენ შეიარაღებულ ძალებში სამსახურთან დაკავშირებით, კანონით გათვალისწინებულია ალტერნატიული სამსახური სამხედრო ძალებში ან სამხედრო ძალებს გარეთ.

კონსტიტუცია ითვალისწინებს აგრეთვე სიკვდილით დასჯის გამონაკლის შემთხვევებსაც, კერძოდ, სიკვდილით დასჯა გამოიყენება მხოლოდ ომიანობის დროს და ომთან დაკავშირებულ დანაშაულთა ჩადენისას.

დეტალურად არის აღწერილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სტატუსი, მათი ხელმძღვანელი პირების ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დახურვის, საქმიანობის შეჩერების, პუბლიკაციათა კონფისკაციის საკითხები, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შეუფერხებელი საქმიანობის გარანტიები.

კონსტიტუციით დაცვას ექვემდებარება აგრეთვე პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის, კანონით განსაზღვრული ინფორმაციის მიღების უფლებები, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და გადაადგილების თავისუფლება, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, ოჯახი, შრომის უფლება, პროფესიულ კავშირებში გაერთიანებისა და გაფიცვის უფლება, მიმოწერის საიდუმლოების ხელშეუხებლობა, უფასო განათლება, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

საბერძნეთის კონსტიტუცია ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მთელ რიგ გარანტიებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია მოქალაქეთა მიმართ სახელმწიფოს ვალდებულების სახით. ასეთებს მიეკუთვნება: პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უზრუნველყოფა, ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვა და კოორდინაცია, ეროვნულ სიმდიდრეთა ექსპლუატაციისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, მოქალაქეთა სოციალური უზრუნველყოფა, პროფესიული გაერთიანების თავისუფლების ხელშეწყობა, ბუნებრივი და კულტურული გარემოს დაცვა, ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარება.

საგანგებო ყურადღება ეთმობა საკუთრების უფლების დაცვას. არავის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია სათანადო წესით დადასტურებული საზოგადოებრივი ინტერესებისათვის. საკუთრების ჩამორთმევას ყველა შემთხვევაში უნდა მოჰყვეს სრული კომპენსაცია. სასამართლოს მიერ განსაზღვრული საბოლოო ან დროებითი კომპენსაციის გადახდამდე მესაკუთრის ყველა უფლება ხელშეუხებელია და ქონების დაუფლება დაუშვებელია. საკუთრების ღირებულების კომპენსაციასთან ერთად კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მესაკუთრე უფლებამოსილია მოითხოვოს ასევე სათანადო ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის.

მმართველობის ფორმის თვალსაზრისით საბერძნეთი წარმოადგენს საპარლამენტო რესპუბლიკას და მას გააჩნია კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკებისთვის დამახასიათებელი ნიშნები. საკანონმდებლო ხელისუფლება ფართო უფ-

ლებამოსილებითაა აღჭურვილი, რაც, გარკვეულწილად, ხელისუფლების სხვა შტოთა ძალაუფლების შეკვეცის ხარჯზე ხდება. სახელმწიფო წყობილება ეფუძნება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად ხელისუფლების დანაწილებას და მათ შორის ბალანსს.

საბერძნეთში სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ 5 წლის განმავლობაში საბერძნეთის მოქალაქე, მამის ან დედის ხაზით ბერძნული წარმოშობის, 40 წლის ასაკს მიღწეული და გააჩნდეს ხმის უფლება. კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკების მსგავსად, რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტის მიერ ღია კენჭისყრით, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ამ მიზნით მოწვეულ საგანგებო სხდომაზე.

პრეზიდენტის უფლებამოსილების შესუსტების ხარჯზე გაზრდილია როგორც პარლამენტის, ასევე მთავრობის ფუნქციები. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს კონსტიტუციის დებულება, რომლის თანახმად, კონსტიტუციით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა, პრეზიდენტის არც ერთი აქტი არ ჩაითვლება ნამდვილად და არ აღსრულდება შესაბამისი მინისტრის დადასტურების გარეშე, რომელიც ხელმოწერით საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას.

რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებას წარმოადგენს პრემიერ-მინისტრის დანიშვნა, თუმცა ეს უფლებამოსილება ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან პრემიერ-მინისტრად ინიშნება პარლამენტში ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მქონე პარტიის ლიდერი. საინტერესოა ამ საკითხის გადაწყვეტის კონსტიტუციით განსაზღვრული მეთოდი ისეთ შემთხვევაში, თუ არც ერთ პარტიას არ გააჩნია აბსოლუტური უმრავლესობა. პრეზიდენტი საცდელ მანდატს აძლევს შეფარდებითი უმრავლესობის მქონე პარტიის ლიდერს, რათა მან შეისწავლოს პარლამენტის მხარდაჭერის მქონე მთავრობის შექმნის შესაძლებლობა. თუ ზემოაღნიშნული შესაძლებლობა არ არსებობს, პრეზიდენტი საცდელ მანდატს აძლევს პარლამენტში რიცხოვნობით მეორე პარტიის ლიდერს, ხოლო თუ ეს მცდელობაც წარუმატებელი აღმოჩნდა – რიცხოვნობით მესამე პარტიის ლიდერს. თუ ეს მცდელობაც არ განხორციელდა, სახელმწიფო საბჭოს, უმაღლესი სამოქალაქო ან სისხლის სამართლის სასამართლოს ან კონტროლის პალატის თავმჯდომარეს პრეზიდენტი ავალებს შეძლებისდაგვარად მეტი ნდობის მქონე მთავრობის შექმნას და დაითხოვს პარლამენტს.

გარდა აღნიშნული შემთხვევისა პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის ორი შემადგენლობა გადადგა ან მათ მიმართ პარლამენტმა უნდობლობა გამოხატა, რადგან მათი შემადგენლობა ხელს არ უწყობს მთავრობის მდგრადობას. 1986 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით გაუქმდა პრეზიდენტის უფლებამოსილება, დაეთხოვა პარლამენტი, თუ მიიჩნევდა, რომ პარლამენტის საქმიანობა ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ აზრს.

პრეზიდენტი აღჭურვილია ისეთი ფუნქციების შესრულების უფლებამოსილებით, როგორიც დამახასიათებელია საპარლამენტო რესპუბლიკებში სახელმწიფოს მეთაურთათვის. კერძოდ, პრეზიდენტი არის ქვეყნის შეიარაღებული ძალე-

ბის უმაღლესი მთავარსარდალი, ანიჭებს წოდებებს სამხედრო პირებს, ასევე კანონით განსაზღვრული წესით ანიჭებს ჯილდოებს, წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებში, აცხადებს ომს, დებს საზავო, სამოკავშირეო, ეკონომიკური თანამშრომლობის, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კავშირებში მონაწილეობის ხელშეკრულებებს. პრეზიდენტი უფლებამოსილია, იუსტიციის მინისტრის წინადადებით და იმ საბჭოსთან კონსულტაციით, რომელშიც უმრავლესობას მოსამართლეები შეადგენენ, შეიწყალოს პირი, შეუმსუბუქოს სასამართლოს განაჩენით დადგენილი სასჯელი ან შეამოკლოს მისი ვადა, გააუქმოს კანონით გათვალისწინებული წესით გამოტანილი და მოხდილი სასჯელების ყველა შედეგი.

პრეზიდენტის რიგი უფლებამოსილებებისა უკავშირდება პარლამენტს. პრეზიდენტი უფლებამოსილია დეკრეტით გამოაცხადოს რეფერენდუმი მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე. იგი აცხადებს რეფერენდუმს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე მისაღებ კანონპროექტთან დაკავშირებით, გარდა საფინანსო საკითხებისა, პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის გადაწყვეტილების საფუძველზე. პრეზიდენტს აქვს ვეტოს უფლება პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტებთან დაკავშირებით, რომელიც საკმაოდ სუსტია: პარლამენტის მიერ იმავე უმრავლესობით ხელმეორედ მიღების შემთხვევაში კანონპროექტი ხელმოწერილი და გამოქვეყნებული უნდა იქნეს პრეზიდენტის მიერ.

კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი სარგებლობს იმუნიტეტით. კერძოდ, მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა თავის მოვალეობათა შესრულებისას განხორციელებულ ქმედებათა გამო, გარდა სახელმწიფო ღალატისა და კონსტიტუციის განზრახ დარღვევისა. იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც არ უკავშირდება პრეზიდენტის მოვალეობათა შესრულებას, სამართლებრივი დევნა განხორციელდება საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ.

საკანონმდებლო ხელისუფლებას საბერძნეთში წარმოადგენს ერთპალატიანი პარლამენტი, რომლის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება კანონით. იგი არ შეიძლება იყოს ორასზე ნაკლები და სამასზე მეტი. ამჟამად მის შემადგენლობაში 300 წევრია, რომლებიც აირჩევიან პირდაპირი და საყოველთაო არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა მიერ.

პარლამენტი აირჩევა ოთხწლიანი ვადით. თითოეული საარჩევნო ოლქიდან დეპუტატთა რაოდენობა განისაზღვრება იმ ოლქის მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად, კერძოდ, პრეზიდენტის დეკრეტით უკანასკნელი აღწერის თანახმად დადგენილი ოლქის მოსახლეობის რაოდენობის საფუძველზე.

საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატებისა და დეპუტატობის კანდიდატებისათვის დადგენილია ინტერესთა შეუთავსებლობის დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობის მიერ აღიარებული მოთხოვნები, თუმცა გარკვეული თავისებურებებით. საბერძნეთის პარლამენტის წევრობის შეზღუდვა ვრცელდება თანამდებობის პირთა მეტად ფართო წრეზე, ხოლო თანამდებობის პირთა გარკვეულ წრეს არ აქვს პარლამენტის წევრად არჩევის უფლება თანამდებობის დატოვების შემ-

თხვევაშიც კი იმ საარჩევნო ოლქებში, რომლებშიც მსახურობდნენ, ასევე იმ ოლქებში, რომლებზედაც უკანასკნელი თვრამეტი თვის განმავლობაში ვრცელდებოდა მათი უფლებამოსილება. ასეთ თანამდებობის პირებს მიეკუთვნებიან გუბერნატორები, გუბერნატორის მოადგილეები, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეები და აღმასრულებელი დირექტორები, დამოუკიდებელ და მარეგულირებელ ორგანოებად განსაზღვრულ ორგანოთა წევრები, შეიარაღებული ძალებისა და უშიშროების სამსახურის უმაღლესი და უფროსი თანამდებობების ოფიცრები, სახელმწიფო სექტორისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა მოსამსახურეები, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში მმართველობითი ფუნქციებით აღჭურვილი პირები, მინისტრები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელი პირები და კანონით ამ კატეგორიას მიკუთვნებული პირები.

პარლამენტის წევრები სარგებლობენ იმუნიტეტით. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის განმავლობაში დეპუტატი არ ექვემდებარება სამართლებრივ დევნას, დაპატიმრებას, თავისუფლების აღკვეთას ან ნებისმიერ სხვა შეზღუდვას პარლამენტის ნებართვის გარეშე. ასევე დაუშვებელია დათხოვნილი პარლამენტის წევრის სამართლებრივი დევნა პოლიტიკური დანაშაულისათვის პარლამენტის დათხოვნის დღიდან ახალი პარლამენტის წევრების არჩევის გამოცხადებამდე. დანაშაულის ადგილზე დეპუტატის წასწრების შემთხვევაში პარლამენტის ნებართვა არ არის საჭირო. გარდა ამისა, კონსტიტუციაში ხაზგასმულია, რომ პარლამენტის წევრი არ ექვემდებარება სამართლებრივ დევნას ან დაკითხვას მის მიერ დეპუტატის უფლებამოსილების განხორციელებისას გამოთქმულ აზრთან ან მიცემულ ხმასთან დაკავშირებით. თავისი აზრის გამოხატვისას დეპუტატი შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ ცილისწამებისათვის.

პარლამენტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მეოთხედისა. ხმათა გაყოფის შემთხვევაში კენჭისყრა მეორდება, ხოლო მეორედ გაყოფის შემთხვევაში საკითხი უარყოფილად ითვლება.

საბერძნეთში, როგორც საპარლამენტო რესპუბლიკაში, პარლამენტის წამყვანი როლის დამადასტურებელია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პროცედურა. საგარეო საფრთხით გამოწვეული ომის ან მობილიზაციის ან ეროვნული უსაფრთხოების მიმართ პირდაპირი საშიშროების არსებობის, ასევე დემოკრატიული წყობილების დასამხობად შეიარაღებული ამბოხების შემთხვევაში პარლამენტი კაბინეტის წინადადებით მიღებული გადაწყვეტილებით აწესებს მთელ ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში საალყო მდგომარეობას, ქმნის სპეციალურ სასამართლოებს და მთლიანად ან ნაწილობრივ აჩერებს კონსტიტუციის იმ მუხლების მოქმედებას, რომლებიც უკავშირდება ადამიანის უფლებებს. პრეზიდენტი მხოლოდ აქვეყნებს პარლამენტის გადაწყვეტილებას.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნია პარლამენტსა და მთავრობას. საყურადღებოა, რომ ეს უფლება არ აქვთ პრეზიდენტსა და უშუალოდ ამომრჩევლებს.

პარლამენტს გააჩნია არა მხოლოდ კანონის მიღების, არამედ კანონის ავთენტიკური განმარტების უფლებამოსილებაც.

საბერძნეთში აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს მთავრობა, რომელიც შედგება პრემიერ-მინისტრის, ვიცე-პრემიერების, მინისტრებისა და უმორტფელო მინისტრებისგან. მთავრობა განსაზღვრავს და წარმართავს ქვეყნის ძირითად პოლიტიკას. პრემიერ-მინისტრი ინიშნება მკვეთრად გამოხატული პარტიული ნიშნით — იგი უნდა იყოს პარლამენტში ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მქონე პარტიის ლიდერი. მთავრობის ფუნქციონირების დასაწყებად აუცილებელია პარლამენტის მხრიდან ნდობის გამოცხადება. პრემიერ-მინისტრის მიერ ფიცის მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში მთავრობა ვალდებულია პარლამენტის წინაშე დააყენოს ნდობის საკითხი. პარლამენტს უფლება აქვს, თავისი გადაწყვეტილებით უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას ან მის რომელიმე წევრს.

მთავრობის წევრები სარგებლობენ იმუნიტეტით. მხოლოდ პარლამენტს აქვს უფლება, მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები მთავრობის ყოფილი ან ამჟამინდელი წევრების წინააღმდეგ მათი უფლებამოსილების პერიოდში ჩადენილი დანაშაულის გამო.

კაბინეტის წევრები და მათი მოადგილეები კოლექტიურად არიან პასუხისმგებელნი მთავრობის ძირითად პოლიტიკასთან დაკავშირებით, ხოლო ყოველი მათგანი — საკუთარი კომპეტენციის სფეროში განხორციელებული ქმედებებისა თუ უმოქმედობისათვის მინისტრების პასუხისმგებლობის შესახებ კანონების შესაბამისად. პრეზიდენტის წერილობითი თუ ზეპირი მითითება პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს მინისტრებსა და მათ მოადგილეებს.

სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის სასამართლოთა მეშვეობით. მართლმსაჯულებას ახორციელებენ სამუდამო ვადით დანიშნული მოსამართლეები, რომლებიც სარგებლობენ ფუნქციური და პირადი დამოუკიდებლობით. სასამართლო ხელისუფლებაში მოიაზრებიან ასევე პროკურორები.

ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შექმნილია სპეციალური სასამართლო ორგანო — სახელმწიფო საბჭო, რომლის კომპეტენციას მიეკუთვნება ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოთა მიერ უფლებამოსილების გადამეტებით ან კანონის დარღვევით გამოცემული აქტების გაუქმება, ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ უფლებამოსილების გადამეტებით ან კანონის დარღვევით გამოტანილი გადაწყვეტილებების გადასინჯვა და ასევე არსებითი ხასიათის ადმინისტრაციული დავების სასამართლო განხილვა.

მართლმსაჯულების უზენაესი საბჭოს კომპეტენციაშია სასამართლოს მოხელეთა სამსახურებრივი წინსვლა, დანიშვნა, სხვა სამუშაოზე გადაყვანა და ხე-

ლახალი ატესტაცია. რაც შეეხება სასამართლოს მოხელეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას, საამისოდ შექმნილია დისციპლინური საბჭო.

სასამართლო ხელისუფლების განცალკევებულობის ერთ-ერთი ნიშანია სასამართლოს მოხელეთა ხელისუფლების სხვა შტოში გადასვლის აკრძალვა კანონით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა.

საბერძნეთში კონსტიტუციური კონტროლის ორგანოდ კონსტიტუცია მოიაზრებს უმაღლეს სპეციალურ სასამართლოს, რომლის კომპეტენციაში შედის რეფერენდუმის ნამდვილობისა და შედეგების შემოწმება, დეპუტატის თანამდებობრივ შეუთავსებლობასთან და მისთვის მანდატის ჩამორთმევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანა, სასამართლოებს შორის დავის, კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის, საერთაშორისო სამართლის ნორმების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა.

ქვეყნის მმართველობა ხორციელდება დეცენტრალიზაციის პრინციპის საფუძველზე. ადმინისტრაციული დაყოფისას გათვალისწინებულია გეოეკონომიკური, სოციალური და სატრანსპორტო პირობები. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს აქვთ ადმინისტრაციული და ფინანსური დამოუკიდებლობა. მათი არჩევა ხდება საყოველთაო არჩევნებითა და ფარული კენჭისყრით.

საბერძნეთის კონსტიტუციის რელიგიისადმი გამორჩეული დამოკიდებულების კიდევ ერთი დასტურია სპეციალური თავით ათონის წმინდა მთის სტატუსის განსაზღვრა და დაცვა. ათონის ნახევარკუნძული არის ბერძნული სახელმწიფოს თვითმმართველი ნაწილი, რომლის სუვერენიტეტი ხელშეუხებელია. რელიგიური თვალსაზრისით, ათონის წმინდა მთა არის მსოფლიო პატრიარქიის უშუალო იურისდიქციაში. მასზე მომსახურე ყველა ბერი რელიგიურ სამსახურში მიღების მომენტიდან ყოველგვარი დამატებითი პროცედურის გავლის გარეშე იძენს საბერძნეთის მოქალაქეობას.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებანი. კონსტიტუციის შესაბამისად, საბერძნეთი კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკაა. პრეზიდენტის უფლებამოსილება მნიშვნელოვნადაა შეზღუდული პარლამენტისა და მთავრობის უფლებამოსილების გაფართოების ხარჯზე. პრეზიდენტი აირჩევა არა უშუალოდ ამომრჩევლების, არამედ პარლამენტის მიერ. კონსტიტუციით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა, პრეზიდენტის არც ერთი აქტი არ ჩაითვლება ნამდვილად და არ აღსრულდება შესაბამისი მინისტრის დადასტურების გარეშე, რომელიც ხელმოწერით საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას; საპრეზიდენტო ვეტო სუსტი ხასიათისაა და პარლამენტს მისი გადალახვა შეუძლია იმავე უმრავლესობით, რითაც მიიღო კანონპროექტი;

– რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს 5 წლის მანძილზე ნატურალიზებული პირი, რომელიც ამავდროულად უნდა იყოს მამის ან დედის ხაზით ბერძნული წარმოშობის;

– ერთპალატიანი პარლამენტი წარმოადგენს ყველაზე ფართო უფლებამოსილების მქონე ხელისუფლების შტოს ქვეყანაში. საგარეო საფრთხით გამოწვეუ-

ლი ომის ან მობილიზაციის ან ეროვნული უსაფრთხოების მიმართ პირდაპირი საშიშროების არსებობის, ასევე დემოკრატიული წყობილების დასამხობად შეიარაღებული ამბოხების შემთხვევაში პარლამენტი კაბინეტის წინადადებით მიღებული გადაწყვეტილებით აწესებს მთელ ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში საალყო მდგომარეობას, ქმნის სპეციალურ სასამართლოებს და მთლიანად ან ნაწილობრივ აჩერებს კონსტიტუციის იმ მუხლების მოქმედებას, რომლებიც უკავშირდება ადამიანის უფლებებს. რესპუბლიკის პრეზიდენტს გააჩნია მხოლოდ ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების ფუნქცია;

— კონსტიტუცია ზუსტად არ განსაზღვრავს პარლამენტის წევრთა რაოდენობას და ადგენს მის მინიმუმსა და მაქსიმუმს;

— საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნია პარლამენტსა და მთავრობას. ეს უფლება არ გააჩნია პრეზიდენტსა და უშუალოდ ამომრჩეველებს;

— კონსტიტუცია მოიცავს აკრძალვებს ხელისუფლების ერთი შტოს წარმომადგენელთა მეორეში გადასვლასთან დაკავშირებით. აღმასრულებელ თანამდებობის პირებს ეზღუდებათ პარლამენტის წევრად არჩევის უფლება თანამდებობის დატოვების შემთხვევაშიც კი იმ საარჩევნო ოლქებში, რომლებშიც მსახურობდნენ, ასევე იმ ოლქებში, რომლებზედაც უკანასკნელი 18 თვის განმავლობაში ერცელდებოდა მათი უფლებამოსილება. ასევე თანამდებობის დატოვების მიუხედავად, სასამართლოს მოხელეებს, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ეკრძალებათ ხელისუფლების სხვა შტოს სამსახურში გადასვლა;

— საპარლამენტო პოლიტიკურ ძალთა მიერ რამდენიმე მცდელობის შემთხვევაში მთავრობის ჩამოუყალიბებლობისას, შეძლებისდაგვარად მეტი ნდობის მქონე მთავრობის შექმნას პრეზიდენტი ავალებს სახელმწიფო საბჭოს, უმაღლესი სამოქალაქო ან სისხლის სამართლის სასამართლოს ან კონტროლის პალატის თავმჯდომარეს და დაითხოვს პარლამენტს;

— მთავრობის წევრები სარგებლობენ იმუნიტეტით;

— კონსტიტუცია დიდ ადგილს უთმობს რელიგიას და სახელმწიფოსთან მის დამოკიდებულებას. ხაზგასმულია საბერძნეთის სახელმწიფოსა და მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიის განსაკუთრებული დამოკიდებულება. ცალკე გამოყოფილია ათონის წმინდა მთის სამართლებრივი სტატუსი. მასზე მომსახურე ყველა ბერი რელიგიურ სამსახურში მიღების მომენტიდან ყოველგვარი დამატებითი პროცედურის გაევლის გარეშე იძენს საბერძნეთის მოქალაქეობას;

— მეტად რთული და სპეციფიურია კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა. გადასინჯვის შესახებ კანონპროექტი მიიღება ორი მოწვევის პარლამენტის მიერ წევრთა 3/5-ის უმრავლესობით. ამასთან, არ დაიშვება კონსტიტუციის გადასინჯვა წინა გადასინჯვის დამთავრებიდან 5 წლის მანძილზე. გარდა ამისა, დაუშვებელია კონსტიტუციის იმ დებულებების გადასინჯვა, რომლებიც შეეხება მმართველობის ფორმად საპარლამენტო რესპუბლიკის განსაზღვრას, აგრეთვე ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. პრეზიდენტი არანაირ მონაწილეობას არ იღებს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში.

საბერძნეთის კონსტიტუცია[1]

მიღებულია 1975 წლის 11 ივნისს

(ცვლილებები შეტანილ იქნა 1986 და 2001 წლებში)

წმინდა, ერთსახოვანი და განუყოფელი სამების სახელით
ელინთა მეხუთე მოწვევის გარდამავალი პარლამენტი ადგენს

პირველი კარი
ზოგადი დებულებები
I განყოფილება
მმართველობის ფორმა

მუხლი 1. 1. საბერძნეთის მმართველობის ფორმა არის საპარლამენტო რესპუბლიკა.

2. სახელმწიფო წყობილების საფუძველია სახალხო სუვერენიტეტი.

3. სახელმწიფო ხელისუფლება წარმოიშობა ხალხისაგან, არსებობს ხალხისათვის და ხორციელდება კონსტიტუციით განსაზღვრული გზით.

მუხლი 2. 1. სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობას ადამიანის ღირსების დაცვა და პატივისცემა წარმოადგენს.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად საბერძნეთი ისწრაფვის მშვიდობისა და სამართლიანობის განმტკიცების, ხალხთა და სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარებისაკენ.

II განყოფილება
ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა

მუხლი 3. 1. საბერძნეთში გაბატონებულ რელიგიას წარმოადგენს აღმოსავლურ-მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგია. საბერძნეთის მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც მის მეთაურად უფალს ჩვენსას, იესო ქრისტეს აღიარებს, თავისი დოქტრინით განუყოფლად არის დაკავშირებული დიდ ქრისტიანულ კონსტანტინოპოლურ ეკლესიასა და ყველა სხვა ერთმორწმუნე ქრისტიანულ ეკლესიასთან, განუხრელად იცავს წმინდა სამოციქულო და საეკლესიო კანონებს და წმინდა ტრადიციებს. იგი არის ავტოკეფალური და იმართება ეკ-

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.hri.org/MFA/syntagma/ ასევე რიჩმონდის უნივერსიტეტის მიერ მისამართზე: http://confinder.richmond.edu/admin/docs/greek_2001.pdf გამოქვეყნებული საბერძნეთის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტები.

ლესიის სამსახურში მყოფი არქიეპისკოპოსთა წმინდა სინოდისა და მათ მიერ არჩეული მუდმივი წმინდა სინოდის მიერ, რომელიც იქმნება და იკრიბება ეკლესიის წესდებით განსაზღვრული წესით, 1850 წლის 29 ივნისის საპატრიარქო ტომისა და 1928 წლის 4 სექტემბრის სინოდალური აქტის დებულებათა დაცვით.

2. სახელმწიფოს ცალკეულ ოლქებში არსებული საეკლესიო რეჟიმი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წინა პუნქტის დებულებებს.

3. წმინდა წერილის ტექსტი უცვლელი უნდა დარჩეს. საბერძნეთის ავტოკეფალური ეკლესიისა და დიდი ქრისტიანული კონსტანტინოპოლური ეკლესიის ნებართვის გარეშე აკრძალულია ტექსტის ოფიციალური თარგმნა სხვა ენაზე.

მეორე კარი
პირადი და სოციალური უფლებები

მუხლი 4. 1. ყველა ბერძენი კანონის წინაშე თანასწორია.

2. ბერძენ მამაკაცებსა და ქალებს აქვთ თანასწორი უფლებები და მოვალეობები.

3. ბერძენი მოქალაქეები არიან პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ მოქალაქეობისათვის კანონით დადგენილ პირობებს. საბერძნეთის მოქალაქეობის ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის ნებაყოფლობით მიღებისას, უცხო ქვეყნის ისეთ სამსახურში შესვლისას, რომელიც ეწინააღმდეგება საბერძნეთის ეროვნულ ინტერესებს ან კანონით სპეციალურად განსაზღვრული წესითა და პროცედურით.

4. საჯარო სამსახურში დაიშვებიან მხოლოდ ბერძენი მოქალაქეები, გარდა სპეციალური კანონებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

5. ბერძენი მოქალაქეები მათი შესაძლებლობების შესაბამისად, განურჩევლად მონაწილეობენ საზოგადოებრივი ვალდებულებების შესრულებაში.

6. ყოველი ბერძენი, რომელსაც შეუძლია იარაღის ტარება, ვალდებულია კანონით განსაზღვრული წესით მონაწილეობდეს სამშობლოს დაცვაში.

7. ბერძენ მოქალაქეებს არ შეიძლება მიენიჭოთ სათავადაზნაურო ან სხვა საპატიო ტიტულები.

განმარტებითი დებულება:

ამ მუხლის მე-6 პუნქტის დებულება არ გამორიცხავს, რომ იმ პირთათვის, რომლებიც შეგნებულ პროტესტს გამოხატავენ შეიარაღებულ ძალებში სამსახურთან დაკავშირებით, კანონით გათვალისწინებულ იქნეს ალტერნატიული სამსახური სამხედრო ძალებში ან სამხედრო ძალებს გარეთ.

მუხლი 5. 1. ყველას აქვს პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფ-

ლება, თუ ეს არ არღვევს სხვათა უფლებებს და არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციასა და ზნეობრივ ნორმებს.

2. საბერძნეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანის სიცოცხლე, ღირსება და თავისუფლება დაცულია განურჩევლად ეროვნებისა, რასისა, ენისა, რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებებისა. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აკრძალულია უცხოელის გადაცემა, რომელიც იდევნება თავისუფლებისათვის ბრძოლის გამო.

3. პირადი თავისუფლება ხელშეუვალია. დაუშვებელია პიროვნების დევნა, დაკავება, დაპატიმრება ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და წესით.

4. აკრძალულია ქვეყანაში თავისუფალი გადაადგილების ან ცხოვრების, ქვეყანაში თავისუფლად შემოსვლის ან ქვეყნიდან თავისუფლად გასვლის უფლების შემზღუდავი ინდივიდუალური ადმინისტრაციული ზომების მიღება. აუცილებლობით გამოწვეულ გამონაკლის შემთხვევებში, დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, ასეთი ზომები შეიძლება მიღებულ იქნეს დამატებითი სასჯელის სახით, სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით.

5. ყველას აქვს ჯანმრთელობისა და გენეტიკური წარმოშობის დაცვის უფლება. ბიოსამედიცინო ჩარევისაგან მოქალაქეთა დაცვის წესი განისაზღვრება კანონით.

განმარტებითი დებულება:

მე-4 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვები არ მოიცავს პროკურორის აქტით პირის ქვეყნიდან გაძევების შემთხვევას, აგრეთვე საზოგადოებისა და ავადმყოფთა ჯანმრთელობის დაცვისათვის აუცილებელი ზომების მიღების შემთხვევას.

მუხლი 5ª. 1. ყველას აქვს კანონით განსაზღვრული წესით ინფორმაციის მიღების უფლება. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეზღუდვა აუცილებელი და გამართლებულია ეროვნული უსაფრთხოების, დანაშაულის თავიდან აცილების, მესამე პირთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

2. ყველას აქვს ინფორმაციულ საზოგადოებაში მონაწილეობის უფლება. ელექტრონული ინფორმაციისა და პროდუქციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციის გაცვლისა და გავრცელების გაადვილება წარმოადგენს სახელმწიფოს მოვალეობას მე-9, 9ª და მე-19 მუხლებით დადგენილი გარანტიების შესასრულებლად.

მუხლი 6. 1. არავინ არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნეს სასამართლოს დასაბუთებული ბრძანების გარეშე, რომელიც პირს უნდა გადაეცეს დაკავების ან დაპატიმრების მომენტში, გარდა დანაშაულზე წასწრების შემთხვევისა.

2. დანაშაულზე წასწრებით ან ბრძანების საფუძველზე დაკავებული პირი უნდა წარედგინოს შესაბამის გამომძიებელს არა უგვიანეს ოცდაოთხი საათისა, ხოლო თუ პირი დაკავებულია გამომძიებლის სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, მაშინ მისი წარდგენა უნდა მოხდეს პირის გადასაყვანად საჭირო შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში. მოსამართლე ვალდებულია სამი დღის ვადაში გასცეს დაპატიმრების ბრძანება ან გაათავისუფლოს დაკავებული პირი. წარდგენილი პირის შუამდგომლობით ან დაუძლეველი ძალის არსებობისას ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ორი დღით, რაც უნდა დამტკიცდეს შესაბამისი სასამართლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

3. თუ მოცემული ვადებიდან რომელიმეს ამოწურვამდე ესა თუ ის მოქმედება არ შესრულდა, ციხის ნებისმიერი ზედამხედველი ან დაკავებული პირის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი სამოქალაქო თუ სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს იგი. დამრღვევი დაისჯება უკანონო დაპატიმრებისათვის და კანონით განსაზღვრული წესით დაეკისრება დაზარალებულისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურება, მათ შორის მიყენებული მორალური ზიანისათვის ფულადი კომპენსაცია.

4. კანონით განისაზღვრება პატიმრობაში ყოფნის მაქსიმალური ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელიწადს დანაშაულთა საქმეებზე და ექვს თვეს ადმინისტრაციულ გადაცდომათა საქმეებზე. გამონაკლის შემთხვევებში, შესაბამისი სასამართლო საბჭოს გადაწყვეტილებით, მაქსიმალური ვადები შეიძლება გაგრძელდეს შესაბამისად სამი ან ექვსი თვით. დაუშვებელია ერთსა და იმავე საქმეზე სხვადასხვა საპროცესო ვადების გაზრდის შედეგად პატიმრობის საერთო მაქსიმალური ვადის გადაჭარბება.

მუხლი 7. 1. დანაშაულად არ ჩაითვლება და არ არის დასჯადი ქმედება, თუ მისი ჩადენის მომენტში არ არსებობს იურიდიული ძალის მქონე აქტი, რომელიც ამ ქმედებას დანაშაულად აცხადებს და მის შემადგენელ ელემენტებს განსაზღვრავს. არ შეიძლება სასჯელი იმაზე მძიმე იყოს, ვიდრე იგი განსაზღვრულია დანაშაულისათვის მისი ჩადენის მომენტში.

2. წამება, სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანება ან ფსიქიკური ძალადობა, ისევე როგორც პიროვნების ღირსების წინააღმდეგ მიმართული ყველა სხვა დარღვევა აკრძალულია და ისჯება კანონით.

3. ქონების კონფისკაცია დაუშვებელია. სიკვდილით დასჯა არ გამოიყენება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ომიანობის დროს და ომთან დაკავშირებულ დანაშაულთა ჩადენისას.

4. პირობები, რომელთა შესაბამისად სახელმწიფომ უნდა აუნაზღაუროს ზიანი უსამართლოდ ან უკანონოდ მსჯავრდებულ, დაპატიმრებულ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირებს, განისაზღვრება კანონით.

მუხლი 8. არავის არ შეიძლება მისი ნების საწინააღმდეგოდ შეეცალოს განსჯადობის სასამართლო, რომელსაც მას განუსაზღვრავს კანონი.

დაუშვებელია სასამართლო კომიტეტების ან ნებისმიერი სახელწოდების განსაკუთრებული სასამართლოების შექმნა.

მუხლი 9. 1. ნებისმიერი ადამიანის საცხოვრებელი ადგილი ხელშეუხებელია. პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა დაუშვებელია. საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით, ყოველთვის სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლის თანდასწრებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა დამრღვევნი სასჯელს მოიხდიან საცხოვრებელი ადგილის უფლების შელახვისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული წესით დაეკისრებათ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 9¹. ყველას აქვს უფლება, კანონით განსაზღვრული წესით დაცული იყოს მის შესახებ პირადი მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გამოყენებისაგან. პერსონალური მონაცემების დაცვას უზრუნველყოფს დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც იქმნება და მოქმედებს კანონით განსაზღვრული წესით.

მუხლი 10. 1. ყოველ ადამიანს, რომელიც მოქმედებს დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად, უფლება აქვს სახელმწიფოს კანონების დაცვით წერილობითი ფორმით მიმართოს ხელისუფლებას, რომელიც ვალდებულია, მოქმედ დებულებათა საფუძველზე განახორციელოს გადაუდებელი მოქმედება და განმცხადებელს კანონით გათვალისწინებული წესით გასცეს დასაბუთებული პასუხი.

2. განმცხადებლის მიმართ დევნის განხორციელება განცხადებაში აღნიშნული დარღვევების გამო, თუ ასეთებს აქვს ადგილი, დაიშვება მხოლოდ შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ და ამ ორგანოს ნებართვით.

3. შესაბამისი ორგანო ან თანამდებობის პირი ვალდებულია უპასუხოს მოთხოვნას ინფორმაციაზე და არა უგვიანეს 60 დღეში, კანონით განსაზღვრული წესით, გასცეს შესაბამისი დოკუმენტი. ვადის უშედეგო ამოწურვის ან უკანონო უარის შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული სანქციების გარდა, შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს დაეკისრება განმცხადებლისათვის სპეციალური კომპენსაციის გადახდა.

მუხლი 11. 1. ბერძნებს უფლება აქვთ შეიკრიბონ მშვიდობიანად და უიარაღოდ.

2. პოლიციას დასწრების უფლება აქვს მხოლოდ ღია ცის ქვეშ გამართულ საჯარო შეკრებებზე. სამართალდამცავი ორგანოების დასაბუთებული გადაწყვეტილებით ღია ცის ქვეშ შეკრება კანონით განსაზღვრული წესით შეიძლება აიკრძალოს ყველგან, თუ გარდაუვალი საფრთხე ემუქრება საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და ზოგიერთ ადგილზე — თუ არსებობს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დარღვევის საშიშროება.

მუხლი 12. 1. ბერძნებს უფლება აქვთ შესაბამისი კანონების დაცვით ჩამოაყალიბონ არასამეწარმეო ასოციაციები და კავშირები. აღნიშნული უფლების განხორციელება არ შეიძლება კანონით დამოკიდებული გახდეს წინასწარი ნებართვის მიღებაზე.

2. ასოციაციების გაუქმება კანონის ან წესდების არსებით დებულებათა დარღვევის გამო დაიშვება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

3. წინა პუნქტის დებულებები ანალოგიურად შეეხება ადამიანთა იმ გაერთიანებებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ასოციაციებს.

4. ყველა ტიპის სასოფლო-სამეურნეო და ქალაქური კოოპერატიული საქმიანობას ახორციელებს თვითმმართველობის პრინციპით, კანონისა და საკუთარი წესდების დაცვით; კოოპერატივებს იცავს და ზედამხედველობს სახელმწიფო, რომელიც ვალდებულია, იზრუნოს მათ განვითარებაზე.

5. დასაშვებია საკანონმდებლო წესით იძულებითი კოოპერატივების შექმნა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებისა თუ სხვა საწარმოო რესურსების ერთობლივი გამოყენებისათვის იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იყოს კოოპერატივის ყველა წევრის მიმართ თანასწორი დამოკიდებულება.

მუხლი 13. 1. რელიგიისადმი დამოკიდებულების თავისუფლება ხელშეუხებელია. სამოქალაქო უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არ არის დამოკიდებული პიროვნების რელიგიურ შეხედულებებზე.

2. ყველა აღიარებული რელიგია თავისუფალია, რელიგიური რიტუალების ჩატარება ხდება შეუზღუდავად და კანონის მფარველობის ქვეშ. დაუშვებელია საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობრივი ნორმების დამრღვევი რელიგიური რიტუალების ჩატარება. პროზელიტიზმი აკრძალულია.

3. ყველა აღიარებული რელიგიის მსახურები სახელმწიფოს ისეთივე ზედამხედველობის ქვეშ არიან და ისეთივე მოვალეობები ეკისრებათ, როგორიც გაბატონებული რელიგიის წარმომადგენლებს.

4. არავინ შეიძლება გათავისუფლდეს სახელმწიფოს წინაშე მისი მოვალეობების შესრულებისაგან და არავის აქვს უფლება, რელიგიური შეხედულებების გამო უარი თქვას კანონის მორჩილებაზე.

5. ფიცის დადება გამოიყენება მხოლოდ კანონით განსაზღვრული წესითა და ფორმით.

მუხლი 14. 1. ყველას აქვს უფლება სახელმწიფოს კანონების დაცვით გამოხატოს საკუთარი აზრი ზეპირად, წერილობით ან პრესის საშუალებით.

2. პრესა თავისუფალია. ცენზურა და სხვა პრევენციული ღონისძიებები აკრძალულია.

3. გაზეთებისა და სხვა გამოცემათა კონფისკაცია დაუშვებელია როგორც მათ გამოცემამდე, ასევე გამოცემის შემდეგ.

გამონაკლისის სახით კონფისკაცია ნებადართულია მხოლოდ გამოცემის შემდეგ, პროკურორის ბრძანების საფუძველზე, თუ:

ა) ჩადენილია სამართალდარღვევა ქრისტიანული ან სხვა რელიგიის წინააღმდეგ;

ბ) შეურაცხყოფა მიაყენეს რესპუბლიკის პრეზიდენტს;

გ) პუბლიკაცია აშუქებს ინფორმაციას ქვეყნის შეიარაღებული ძალების სტრუქტურაზე, შეიარაღებასა და განლაგებაზე, მიზნად ისახავს არსებული სახელმწიფო წყობილების ძალადობით დამხობას ან მიმართულია სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ;

დ) პუბლიკაცია უხამსი და საზოგადოებრივი მორალის შეურაცმყოფელია, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

4. წინა პუნქტით განსაზღვრულ ყველა შემთხვევაში სახელმწიფო პროკურორი ვალდებულია კონფისკაციიდან ოცდაოთხი საათის განმავლობაში საქმე განსახილველად გადასცეს სასამართლო საბჭოს, რომელმაც ასევე ოცდაოთხი საათის ვადაში მხარი უნდა დაუჭიროს პროკურორის ბრძანებას ან გააუქმოს იგი; სხვა შემთხვევაში კონფისკაცია ავტომატურად გაუქმდება. კონფისკაცია შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში და სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა უზენაეს სასამართლოში იმ გაზეთის ან სხვა გამოცემის გამომცემლის მიერ, რომლის კონფისკაციაც მოხდა ან სახელმწიფო პროკურორის მიერ.

5. პირს, რომლის უფლებებიც შეილახა არასწორი პუბლიკაციითა და გადაცემით, უფლება აქვს პასუხი გასცეს, ხოლო საინფორმაციო საშუალება შესაბამისად ვალდებულია დაუყოვნებლივ და სრულად გამოაქვეყნოს ან გადასცეს პასუხი. პირს, რომლის უფლებებიც შეილახა შეურაცხმყოფელი ან პატივისა და ღირსების შემლახველი პუბლიკაციითა თუ გადაცემით, ასევე უფლება აქვს, პასუხი გასცეს, ხოლო საინფორმაციო საშუალება შესაბამისად ვალდებულია დაუყოვნებლივ და სრულად გამოაქვეყნოს ან გადასცეს პასუხი. დაუყოვნებლივი და სრული პასუხის გამოქვეყნების ან გადაცემის წესი განისაზღვრება კანონით.

6. ამ მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის ხუთი წლის განმავლობაში არანაკლებ სამჯერ ჩადენის შემთხვევაში სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გამოცემის დახურვის ან დროებითი შეჩერების თაობაზე, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში კანონით დადგენილი წესით ჩამოართვას პირს ჟურნალისტური საქმიანობის უფლება. გამოცემის დახურვის ან დროებითი შეჩერების გადაწყვეტილება მოქმედებს სასამართლოს იმ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან, რომელიც საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

7. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხები და აღნიშნული კატეგორიის საქმეების განმხილველი სასამართლო განისაზღვრება კანონით.

8. ჟურნალისტური საქმიანობისათვის საჭირო თვისებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება კანონით.

9. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მესაკუთრის სტატუსის, დაფინანსებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო და კანონით განსაზღვრული წესით ყველასათვის ხელმისაწვდომი. ინფორმაციის საჯაროობისა და სრული გამჭვირვალობისათვის აუცილებელი ზომები და შეზღუდვები განისაზღვრება კანონით. დაუშვებელია ერთი ან სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო საშუალებებზე ინფორმაციის მოპოვებაზე კონტროლის გარდა სხვა სახის კონტროლის განხორციელება. საინფორმაციო საშუალების მესაკუთრის, პარტნიორის, მთავარი აქციონერებისა და მმართველი ორგანოს წევრის თანამდებობა შეუთავსებელია იმ საწარმოს მესაკუთრის, პარტნიორის, მთავარი აქციონერის, მმართველი ორგანოს წევრის თანამდებობასთან, რომელიც აღნიშნულ საინფორმაციო საშუალებასთან დაკავშირებით ახორციელებს საჯარო ფუნქციებს. ასეთივე აკრძალვა ვრცელდება ყველა მასთან დაკავშირებული პირის მიმართ, როგორებიც არიან მეუღლეები, ნათესავები, ფინანსურად დამოკიდებული პირები ან კომპანიები. კანონით გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესაბამისი ნორმები და სანქციები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს რადიო ან ტელეკომპანიის ლიცენზიის გაუქმების ან შესაბამისი კონტრაქტის გაფორმების ან გაუქმების აკრძალვის მიზნით. ამ მუხლით დადგენილი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით კანონმა ასევე უნდა გაითვალისწინოს კონტროლის საშუალებები და გარანტიები.

მუხლი 15. 1. წინა მუხლით გათვალისწინებული პრესის საშუალებათა დამცავი დებულებები არ ვრცელდება ფილმებზე, აუდიოჩანაწერებზე, რადიოზე, ტელევიზიასა და სხვა მსგავს სიტყვისა თუ ქმედების გადამცემ საშუალებებზე.

2. რადიოსა და ტელევიზიაზე უნდა ვრცელდებოდეს სახელმწიფოს პირდაპირი კონტროლი. აღნიშნული კონტროლი და ადმინისტრაციული სანქციების გამოყენება შედის ეროვნული ტელევიზიისა და რადიოს საბჭოს კომპეტენციაში, რომელიც კანონით განსაზღვრული წესით წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს. სახელმწიფო კონტროლი, რომელიც ხორციელდება ასევე წინასწარი ნებართვების გაცემის ფორმით, მიმართული უნდა იყოს ინფორმაციისა და ახალი ამბების ობიექტურ და თანაბარ პირობებში გადაცემისკენ, ასევე ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა გავრცელებასა და პროგრამების გადაცემის ხარისხის უზრუნველყოფისკენ რადიოსა და ტელევიზიის სოციალური დანიშნულებიდან გამომდინარე და ქვეყნის კულტურული განვითარების ინტერესების, პიროვნების ჯეროვნად დაფასებისა და ბავშვთა და ახალგაზრდობის დაცვის გათვალისწინებით.

პარლამენტის სესიებისა და მისი კომიტეტების სხდომების, ასევე პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო გამოსვლების საკალდებულო და თავისუფალი გადაცემის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 16. 1. ხელოვნება და მეცნიერება, კვლევა და პედაგოგიური საქმიანობა თავისუფალია; მათი განვითარება და ხელშეწყობა სახელმწიფოს მოვალე-

ობაა. აკადემიური თავისუფლება და პედაგოგიური საქმიანობის თავისუფლება არავის ათავისუფლებს კონსტიტუციის მორჩილების მოვალეობისაგან.

2. განათლება სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა და იგი მიზნად ისახავს ბერძენთა მორალურ, სულიერ, პროფესიონალურ და ფიზიკურ აღზრდას, მათში ეროვნული და რელიგიური ცნობიერების განვითარებას და მათ ჩამოყალიბებას თავისუფალ და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქეებად.

3. სავალდებულო სწავლების ვადა მოიცავს არანაკლებ ცხრა წელს.

4. ყველა ბერძენს აქვს სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში უფასო განათლების მიღების უფლება მის ყველა საფეხურზე. სახელმწიფო ვალდებულია, ფინანსურად დაეხმაროს წარჩინებულებს, აგრეთვე სტუდენტებს, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას ან სპეციალურ დაცვას, მათი შესაძლებლობების შესაბამისად.

5. უმაღლესი განათლების მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ დაწესებულებებში, რომლებიც წარმოადგენენ სრული თვითმმართველობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. ეს დაწესებულებები არიან სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ და სარგებლობენ მისგან ფინანსური დახმარების უფლებით; ისინი ფუნქციონირებენ მათ შესახებ არსებული კანონებით განსაზღვრული წესით. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების შერწყმა ან გაყოფა შეიძლება მოხდეს კანონით განსაზღვრული წესით ნებისმიერი საწინააღმდეგო დებულების არსებობის მიუხედავად.

სპეციალური კანონით განისაზღვრება სტუდენტთა გაერთიანებებთან დაკავშირებული საკითხები და ამ გაერთიანებებში სტუდენტთა მონაწილეობის წესი.

6. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების პროფესორები არიან საჯარო მოსამსახურეები. დანარჩენი პედაგოგიური პერსონალი კანონით განსაზღვრული პირობებითა და წესით ასევე ასრულებს საჯარო ფუნქციებს. ზემოაღნიშნულ პირთა სტატუსი განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო დაწესებულების წესდებით. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების პროფესორები არ შეიძლება დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან, თუ მათ არ დაურღვევიათ კანონი, გარდა კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, უმაღლესი სასამართლო მოხელეებით დაკომპლექტებული საბჭოს გადაწყვეტილებით, კანონით განსაზღვრული წესით.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების პროფესორთა საპენსიო ასაკი განისაზღვრება კანონით; ამ კანონის მიღებამდე აქტიურ სამსახურში მყოფი პროფესორები პენსიაზე გავლენ იმ აკადემიური წლის ბოლოს, როდესაც მიაღწევენ სამოცდაშვიდი წლის ასაკს.

7. პროფესიულ ან ნებისმიერი სხვა სახის სპეციალურ განათლებას ახორციელებს სახელმწიფო საშუალო სპეციალური სასწავლებლების მეშვეობით და არა უმეტეს სამწლიან ვადაში, რაც განისაზღვრება კანონით, რომელიც ასევე მოაწესრიგებს ასეთი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა პროფესიონალურ უფლებებს.

8. არასახელმწიფო, კერძო სასწავლო დაწესებულებების შექმნისა და საქმიანობის ლიცენზირების პირობები, მათზე კონტროლის განხორციელების ფორმები და ამ დაწესებულებათა პედაგოგიური პერსონალის პროფესიული სტატუსი განისაზღვრება კანონით.

აკრძალულია კერძო პირთა მიერ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა დაარსება.

9. სპორტი იმყოფება სახელმწიფოს დაცვისა და უმაღლესი ზედამხედველობის ქვეშ. სახელმწიფო კანონით განსაზღვრული წესით აფინანსებს და კონტროლს უწევს ყველა ტიპის სპორტულ საზოგადოებებს. სახელმწიფო დაფინანსების სპორტულ საზოგადოებებზე სარგებლიანი განაწილების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 17. 1. საკუთრებას იცავს სახელმწიფო; დაუშვებელია საკუთრებიდან გამომდინარე უფლებების საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ განხორციელება.

2. არავის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია სათანადო წესით დადასტურებული საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით. საკუთრების ჩამორთმევას ყველა შემთხვევაში უნდა მოჰყვეს სრული კომპენსაცია, რომელიც შეესაბამება ჩამორთმეული საკუთრების ღირებულებას კომპენსაციის ოდენობის დროებით განსაზღვრის შესახებ სასამართლო სხდომის ჩატარების მომენტისათვის. როდესაც არსებობს კომპენსაციის ოდენობის საბოლოოდ განსაზღვრის მოთხოვნა, სასამართლოს სხდომაზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ სხდომის გამართვის მომენტისათვის ჩამორთმეული საკუთრების ღირებულება.

თუ კომპენსაციის ოდენობის საბოლოოდ განმსაზღვრელი სასამართლო სხდომა ტარდება კომპენსაციის ოდენობის დროებით განმსაზღვრელი სასამართლო სხდომის ჩატარებიდან ერთი წლის შემდეგ, მაშინ გათვალისწინებულ უნდა იქნეს საკუთრების ღირებულება ამ სხდომის ჩატარების მომენტისათვის. გადაწყვეტილებაში სპეციალურად უნდა იყოს განსაზღვრული, რომ კომპენსაცია ფარავს საკუთრების ჩამორთმევით გამოწვეულ დანაკარგს. საკუთრებაჩამორთმეული პირის თანხმობის შემთხვევაში კომპენსაცია შეიძლება გამოიხატოს ამა თუ იმ სახის ქონებაზე საკუთრების ან სხვა უფლებათა მინიჭებაში.

3. ჩამორთმევის შესახებ აქტის გამოქვეყნების შემდეგ საკუთრების ღირებულების შეცვლა მხედველობაში არ მიიღება.

4. კომპენსაციის საკითხი ყველა შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს საამისოდ უფლებამოსილმა სასამართლომ. ასეთი კომპენსაცია შეიძლება განისაზღვროს სასამართლოს მიერ საკუთრებაჩამორთმეული პირის მოსმენის ან გამოძახების შემდეგ. სასამართლომ თავისი შეხედულებისამებრ კომპენსაციის მისაღებად კანონით განსაზღვრული წესით შეიძლება დააკისროს შესაბამისი გარანტიის წარმოდგენა. კანონმა შეიძლება გაითვალისწინოს საკუთრების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ დავებსა და საქმეებზე ერთგვაროვანი სასამართლოების მიერ მარ-

თლმსაჯულების განხორციელება 94-ე მუხლის დებულებათა მიუხედავად, ასევე ამ საკითხებთან დაკავშირებული საქმეებისათვის განხილვის რიგითობის დადგენისას პრიორიტეტის მინიჭება. იმავე კანონით შეიძლება განისაზღვროს წესი, თუ როგორ უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ შეჩერებული, დაუმთავრებელი საქმეების წარმოების განახლება.

სასამართლოს მიერ განსაზღვრული საბოლოო ან დროებითი კომპენსაციის გადახდამდე მესაკუთრის ყველა უფლება ხელშეუხებელია და ქონების დაუფლება დაუშვებელია.

ქვეყნის ეკონომიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სამუშაოების ჩატარება დაიშვება კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრამდე და გადახდამდე იმ სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილებით, რომელსაც გააჩნია საბოლოო ან დროებითი კომპენსაციის განსაზღვრის უფლება. ამასთან, გადახდილი უნდა იყოს კომპენსაციის მნიშვნელოვანი ნაწილი და უნდა არსებობდეს სრული გარანტია კომპენსაციის მიმღების მიმართ, კანონით გათვალისწინებული წესით.

კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით გადახდილ უნდა იქნეს წელიწადნახევრის განმავლობაში დროებითი კომპენსაციის ან, პირდაპირი მოთხოვნის არსებობისას, საბოლოო კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთრების ჩამორთმევა გაუქმებულად ჩაითვლება.

აღნიშნული კომპენსაცია თავისუფლდება ყველა სახის გადასახადის, დაქვითვისა და მოსაკრებლისაგან.

5. კანონით განისაზღვრება შემთხვევები, როდესაც საკუთრებაჩამორთმეულმა პირმა კომპენსაციის მიღებამდე მიუღებელი შემოსავლისათვის უნდა მიიღოს სათანადო ანაზღაურება.

6. საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელი ან ქვეყნის ეკონომიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სამუშაოების ჩატარებისას კანონმა შეიძლება დაუშვას სახელმწიფოს საკუთრებაში სამუშაოების შესრულებისათვის აუცილებელზე მეტი ფართობის გადაცემა. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს ამ შემთხვევებში საკუთრების ჩამორთმევის პირობებსა და წესს, ასევე ნამეტი ფართობის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის განაწილებისა და გამოყენების წესს.

7. კანონით შეიძლება ნებადართული იყოს სახელმწიფოსათვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის, ადგილობრივი სამთავრობო დაწესებულებებისათვის, საზოგადოებრივი ინტერესების მომსახურე საწარმოებისა და სახელმწიფო საწარმოებისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი სარგებლობის მიზნით მიწისქვეშა გვირაბების თხრა შესაფერის სიღრმეზე კომპენსაციის გადახდის გარეშე, თუ ეს ხელს არ შეუშლის აღნიშნულ მიწებზე არსებული უძრავი ქონებით ნორმალურ სარგებლობას.

მუხლი 18. 1. მაღაროების, კარიერების, გამოქვაბულების, არქეოლოგიური ზონების, განძის, მინერალური, გამდინარე და მიწისქვეშა წყლების, სასარგებლო

წიაღისეულის საკუთრებისა და განაწილების საკითხები რეგულირდება სპეციალური კანონით.

2. საზღვაო ლაგუნებისა და დიდი ზომის ტბების, აგრეთვე მათი დაშრობის შედეგად წარმოქმნილი ტერიტორიების საკუთრების, ექსპლუატაციისა და მართვის საკითხები რეგულირდება სპეციალური კანონით.

3. სპეციალური კანონით რეგულირდება საკუთრების რეკვიზიცია ომის ან მობილიზაციის შემთხვევებში შეიარაღებული ძალების საჭიროებისათვის ან პირდაპირი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობის შემთხვევაში, როდესაც შეიძლება საფრთხე შეექმნას საზოგადოებრივ წესრიგს ან ადამიანთა ჯანმრთელობას.

4. სპეციალური კანონით რეგულირდება მიწის უფრო სარგებლიანი გამოყენების მიზნით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ხელახალი გადანაწილების პროცედურა, ასევე არსებული მცირე მიწათმფლობელობის რეორგანიზაციის გასაადვილებლად საჭირო ზომების მიღება.

5. წინა პუნქტით განსაზღვრული შემთხვევების გარდა ქონებით თავისუფალ სარგებლობასთან და მისგან სარგებლის მიღებასთან დაკავშირებით კანონით შეიძლება გათვალისწინებული იყოს სხვა, განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე შეზღუდვები. კანონი განსაზღვრავს პირს, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს კომპენსაცია და პირს, რომელსაც უფლება აქვს მისი ქონების გამოყენების ან სარგებლობისათვის მიიღოს კომპენსაცია, ასევე ამ კომპენსაციის გადახდის პროცედურას. კომპენსაცია უნდა შეესაბამებოდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებულ პირობებს. ამ პუნქტის შესაბამისად გატარებული ღონისძიებები უნდა გაუქმდეს, თუ აღარ არსებობს ის განსაკუთრებული გარემოებები, რომლებმაც განაპირობეს მათი გატარება. აღნიშნული ღონისძიებების ვადის უმართებულო გაგრძელების შემთხვევაში, მათი გაუქმება დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე შეიძლება მოახდინოს სახელმწიფო სასამართლომ.

6. ეროვნული ეკონომიკის ინტერესებისათვის ან გაღატაკებულ ფერმერთა რეაბილიტაციის მიზნით კანონით შეიძლება მოწესრიგდეს მიტოვებული მიწების განკარგვის საკითხები. იმავე კანონით შეიძლება განისაზღვროს ამ მიწების მესაკუთრეთათვის, მათი ხელახალი გამოჩენის შემთხვევაში, სრული ან ნაწილობრივი კომპენსაციის გონივრულ ვადებში გადახდა.

7. იმ შემთხვევებში, თუ ქალაქური ტიპის დასახლებებზე ან ზოგიერთ მათგანზე მიმდინარე მშენებლობა არ შეესაბამება არსებულ და სამომავლო მშენებლობის წესებს, კანონით ამ ტერიტორიაზე შეიძლება დაწესდეს საერთო საკუთრების იძულებითი ერთობლივი მფლობელობა.

8. ჩამორთმევას არ ექვემდებარება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლებიც ეკუთვნით აგია ანასტასია ფარმაკოლიტრიის საპატრიარქო მონასტრებს ქალკიდიკის ნახევარკუნძულზე, ვლატადესი სალონიკში, იოანე ევანგელისტ თეოლოგისა პატმოსზე, გარდა ბერ-მონაზონთა მიერ დაკავებული ადგილებისა. ასევე არ ექვემდებარება ჩამორთმევას ალექსანდრიის, ანტიოქიისა

და იერუსალიმის საპატრიარქოების, აგრეთვე სინას მთაზე არსებული წმინდა მონასტრის საბერძნეთის ტერიტორიაზე არსებული ქონება.

მუხლი 19. 1. მიმოწერისა და თავისუფალი კორესპონდენციის ყველა ფორმისა და კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების საიდუმლოება აბსოლუტურად ხელშეუხებელია. კანონით განისაზღვრება შემთხვევები, როდესაც სასამართლო ხელისუფლება ეროვნული უსაფრთხოების ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე აღნიშნული გარანტიით არ არის შეზღუდული.

2. კანონით განისაზღვრება იმ დამოუკიდებელი ორგანოს შექმნისა და საქმიანობის წესი და უფლებამოსილება, რომელიც უზრუნველყოფს ამ მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ საიდუმლოებას.

3. კონსტიტუციის ამ მუხლის, მე-9 და 9ᵃ მუხლების დარღვევით მიღებული ჩვენების მტკიცებულებად გამოყენება აკრძალულია.

მუხლი 20. 1. ყველას აქვს სასამართლოს მიერ მისი პიროვნების დაცვის უფლება და შეუძლია თავის უფლებებთან და ინტერესებთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებები გამოხატოს სასამართლოს წინაშე.

2. წინასწარი მოსმენის ჩატარების უფლება შეეხება აგრეთვე პიროვნების უფლებების ან ინტერესების საწინააღმდეგოდ განხორციელებულ ნებისმიერ ადმინისტრაციულ ზომას.

მუხლი 21. 1. ოჯახს, როგორც ერის შენარჩუნებისა და განვითარების საფუძველს, ასევე ქორწინებას, დედებსა და ბავშვებს, იცავს სახელმწიფო.

2. მრავალშვილიანი ოჯახები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ომისა და შრომის ვეტერანები, ომის მსხვერპლნი, ქვრივები და ობლები, განუკურნებელი ფიზიკური თუ გონებრივი სენით დაავადებული პირები წარმოადგენენ სახელმწიფოს სპეციალური ზრუნვის საგანს.

3. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე და იღებდეს სპეციალურ ზომებს ახალგაზრდობის, მოხუცების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაცავად, აგრეთვე გაჭირვებულთა დასახმარებლად.

4. სახელმწიფოს სპეციალური ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს უსახლკაროთა და საცხოვრებელი ადგილით არაუზრუნველყოფილ პირთა საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა.

5. სახელმწიფოს მოვალეობაა დემოგრაფიული პოლიტიკის დაგეგმვა და გატარება, ასევე მისთვის საჭირო ყველა ზომის მიღება.

6. შეზღუდული შესაძლებლობების პირთა მიმართ უნდა გატარდეს ღონისძიებები მათ მიერ საკუთარი შრომით თვითუზრუნველყოფის, პროფესიული ინტეგრაციისა და ამ პირთა ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმის მიზნით.

მუხლი 22. 1. შრომა წარმოადგენს უფლებას და მას იცავს სახელმწიფო, რომელმაც უნდა იზრუნოს ყველა მოქალაქის დასაქმებისათვის პირობების შექმნასა და სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ზნეობრივ და მატერიალურ წინსვლაზე. ყველა მუშა-მოსამსახურეს, განურჩეველად სქესისა თუ სხვა განსხვავებებისა, აქვს ტოლფასი სამუშაოსათვის თანაბარი შრომის ანაზღაურების მიღების უფლება.

2. კანონით განისაზღვრება შრომის საერთო პირობები, რომლებშიც დამატებები შეაქვს თავისუფალი მოლაპარაკებების შედეგად დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებას, ხოლო ასეთი მოლაპარაკებების უშედეგობის შემთხვევაში – არბიტრაჟის მიერ დადგენილ წესებს.

3. სახელმწიფო მოსამსახურეთა, ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა და სხვა დაწესებულებების - საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა მიერ კოლექტიური ხელშეკრულების დადების წესი განისაზღვრება კანონით.

4. იძულებითი შრომის ნებისმიერი ფორმა აკრძალულია. სპეციალური კანონებით განისაზღვრება ომის ან მობილიზაციის შემთხვევაში, ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის ან გადაუდებელი სოციალური აუცილებლობისას პირადი მომსახურების გაწევის პირობები თუ, საფრთხე ექმნება საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, ასევე ადგილობრივ ორგანოებში კერძო შრომის ანაზღაურების საკითხი.

5. სახელმწიფომ კანონით განსაზღვრული წესით უნდა იზრუნოს მუშა-მოსამსახურეთა სოციალურ დაცვაზე.

განმარტებითი დებულება:

შრომის ზოგადი პირობები შეიცავს პროფესიული კავშირის წესდებით განსაზღვრული საწევრო შესატანების გადახდის ვალდებულებასა და მათი აკრეფისა და გადახდის წესს.

მუხლი 23. 1. სახელმწიფო კანონით განსაზღვრულ ფარგლებში იღებს ზომებს პროფესიულ კავშირში გაერთიანების თავისუფლების დაცვისა და მასთან დაკავშირებული უფლებების დაუბრკოლებელი განხორციელებისათვის.

2. გაფიცვა წარმოადგენს უფლებას, რომელიც უნდა განხორციელდეს კანონიერად შექმნილი პროფკავშირების მიერ მუშა-მოსამსახურეთა ფინანსური და საერთო შრომითი ინტერესების დასაცავად და ხელშესაწყობად. აკრძალულია სასამართლოს მოხელეთა და უშიშროების ორგანოების თანამშრომელთა გაფიცვა ნებისმიერი ფორმით. გაფიცვის უფლება შეზღუდული აქვთ საჯარო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეებს, ასევე საზოგადოებრივი სარგებლობისათვის შექმნილი იმ საწარმოების პერსონალს, რომელთა ფუნქციონირება სასიცოცხლოდ აუცილებელია საზოგადოების პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მოცემული შეზღუდვების განხორციელება არ უნდა იწვევდეს გაფიცვის უფლების გაუქმებას ან გაფიცვის კანონიერად ჩატარებისათვის ხელის შეშლას.

მუხლი 24. 1. ბუნებრივი და კულტურული გარემოს დაცვა წარმოადგენს სახელმწიფოს მოვალეობასა და ყველა ადამიანის უფლებას. სახელმწიფო ვალდებულია, გარემოს დასაცავად მხარდაჭერის პრინციპიდან გამომდინარე განახორციელოს სპეციალური პრევენციული ან რეპრესიული ღონისძიებები. კანონით უნდა მოწესრიგდეს ტყეებისა და სატყეო ტერიტორიათა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. სახელმწიფოს მოვალეობაა სატყეო რეესტრის წარმოება. ტყეებისა და სატყეო ტერიტორიების გამოყენების დანიშნულების შეცვლა დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეროვნული ეკონომიკისათვის უფრო მნიშვნელოვანია ამ ტერიტორიების სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენება ან სახელმწიფოს ინტერესებით ნაკარნახევი სხვაგვარი სარგებლობა.

2. ქვეყნის ძირითადი გეგმა, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების საერთო განვითარება, ურბანიზაცია და მოწესრიგება დასახლებული ადგილების განვითარებისა და უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით წარმოადგენს სახელმწიფოს კომპეტენციასა და კონტროლის სფეროს. აღნიშნულთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები წყდება მეცნიერებაში დამკვიდრებული წესების შესაბამისად. სახელმწიფოს მოვალეობას წარმოადგენს მიწის ეროვნული კადასტრის წარმოება.

3. საცხოვრებელი რაიონის სტატუსის მინიჭებისათვის, აგრეთვე მისი ურბანიზაციის მიზნით, ამ ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეებმა შესაბამისი ორგანოსაგან კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე უნდა გადასცენ მიწა გზების, მოედნებისა და საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების ასაშენებლად, ასევე კანონით განსაზღვრული წესით უნდა გაიღონ ხარჯები საზოგადოებრივი სარგებლობისათვის აუცილებელ ნაგებობათა მშენებლობისათვის.

4. კანონით შეიძლება გათვალისწინებული იყოს საცხოვრებელი რაიონის უძრავი ქონების მესაკუთრეთა მონაწილეობა დასახლებული პუნქტის მოწყობასა და განვითარებაში, ქალაქის დამტკიცებული გეგმის საფუძველზე სანაცვლოდ ტოლფასი მიწის ნაკვეთის ან ნაგებობის ასაშენებელი ტერიტორიის გადაცემით.

5. წინა პუნქტების დებულებები გამოიყენება ასევე არსებული დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისას. კანონით განსაზღვრული წესით კეთილმოწყობის შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ტერიტორიები გამოიყენება საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების შესაქმნელად ან გაიყიდება კეთილმოწყობის ხარჯების დასაფარავად.

6. ძეგლები, ისტორიული ადგილები და მათი ელემენტები წარმოადგენს სახელმწიფოს დაცვის საგანს. კანონით განისაზღვრება ამ ობიექტების დაცვასთან დაკავშირებით კერძო საკუთრების შეზღუდვის შემთხვევები და ასეთ შემთხვევებში მესაკუთრეთათვის კომპენსაციის სახეობა და გადახდის წესი.

განმარტებითი დებულება:

ტერმინი „ტყე" ან „ტყის ეკოსისტემა" ნიშნავს მიწის გარკვეულ მონაკვეთზე მერქნიანი ველური მცენარეების ერთობლიობას, რომელიც იქ არსებულ ფლორასა და ფაუნასთან ერთად, მათი ურთიერთდამოკიდებულებითა და ურთიერთქმედებით წარმოადგენს განსაზღვრულ ბიოცენოზს (ტყის ბიოცენოზს) და

განსაზღვრულ ბუნებრივ გარემოს (ტყიდან წარმოშობილს). ასევე ტყეს წარმოადგენენ ტყის მცენარეები (ხეები ან ბუჩქნარი), რომლებიც მეჩხრად იზრდება.

მუხლი 25. 1. სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია ადამიანის, როგორც პიროვნებისა და საზოგადოების წევრის უფლებები და კონსტიტუციური კეთილდღეობის სახელმწიფოს პრინციპი. ყველა სახელმწიფო ორგანო ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ უფლებათა დაუბრკოლებელ და ეფექტურ განხორციელებას. აღნიშნული პრინციპები შეეხება აგრეთვე კერძო პირთა შორის ურთიერთობებს. ამ უფლებათა შეზღუდვა პირდაპირ უნდა იყოს გათვალისწინებული კონსტიტუციით ან კანონით, ამ უკანასკნელზე მითითების არსებობის შემთხვევაში. შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს პროპორციულობის პრინციპს.

2. სახელმწიფოს მიერ ადამიანის ძირითადი და განუყოფელი უფლებების აღიარება და დაცვა ემსახურება სოციალური პროგრესის მიღწევას თავისუფლებისა და სამართლიანობის პირობებში.

3. უფლებათა ბოროტად გამოყენება დაუშვებელია.

4. სახელმწიფო უფლებამოსილია ყველა მოქალაქისაგან მოითხოვოს სოციალური და ეროვნული სოლიდარობის პრინციპის დაცვა.

მესამე კარი
სახელმწიფოს მოწყობა და ფუნქციები
I განყოფილება
სახელმწიფოს სტრუქტურა

მუხლი 26. 1. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებენ პარლამენტი და რესპუბლიკის პრეზიდენტი.

2. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებენ რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობა.

3. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება სასამართლოების მიერ, რომელთა გადაწყვეტილებები აღსრულდება ბერძენი ხალხის სახელით.

მუხლი 27. 1. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ მიღებული კანონით.

2. დაუშვებელია უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ საბერძნეთის ტერიტორიაზე შემოსვლა, ყოფნა ან ქვეყნის ტერიტორიის გავლა, თუ ეს არ განისაზღვრება პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ მიღებული კანონით.

მუხლი 28. 1. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები, ასევე საერთაშორისო შეთანხმებები კანონით მათი რატიფიკაციისა და ძალაში შესვლის მომენტიდან, მათივე დებულებების შესაბამისად, ითვლება შიდა-

ბერძნული სამართლის განუყოფელ ნაწილად და უპირატესობა ენიჭებათ მათთან წინააღმდეგობაში მყოფ კანონის ნებისმიერ დებულებასთან შედარებით. საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო შეთანხმებათა ნორმები უცხოელთა მიმართ გამოიყენება ორმხრივობის პრინციპიდან გამომდინარე.

2. კონსტიტუციით გათვალისწინებული კომპეტენცია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით შეიძლება გადაეცეს საერთაშორისო ორგანიზაციების დაწესებულებებს, როდესაც ეს გადაცემა ემსახურება მნიშვნელოვან ეროვნულ ინტერესებს ან ხელს უწყობს სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობას. საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების რატიფიკაციის კანონის მისაღებად აუცილებელია პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის მხარდაჭერა.

3. საბერძნეთს თავისუფლად შეუძლია პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ მიღებული კანონით შეზღუდოს ეროვნული სუვერენიტეტის განხორციელების ფარგლები, თუ ეს ნაკარნახევია მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესით, არ ხელყოფს ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიული წყობილების საფუძვლებს და ხორციელდება თანასწორუფლებიანობის საწყისებზე და ორმხრივობის პრინციპებიდან გამომდინარე.

განმარტებითი დებულება:

28-ე მუხლი წარმოადგენს ევროპული ინტეგრაციის პროცესში ქვეყნის მონაწილეობის საფუძველს.

მუხლი 29. 1. ხმის უფლების მქონე ბერძენ მოქალაქეებს უფლება აქვთ თავისუფლად დააფუძნონ და გაერთიანდნენ პოლიტიკურ პარტიებში, რომელთა ორგანიზაცია და საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს დემოკრატიული წყობილების თავისუფალ ფუნქციონირებას. მოქალაქეებს, რომელთაც ჯერ არ გააჩნიათ ხმის უფლება, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პარტიის ახალგაზრდული სექციის საქმიანობაში.

2. პოლიტიკურ პარტიებს უფლება აქვთ, კანონით განსაზღვრული წესით მათი საარჩევნო და მიმდინარე ხარჯების დასაფარავად სახელმწიფოსგან მიიღონ ფინანსური მხარდაჭერა. კანონით უნდა განისაზღვროს პოლიტიკური პარტიების, პარლამენტის წევრების, პარლამენტისა და ყველა დონის ადგილობრივი ორგანოების წევრობის კანდიდატების საარჩევნო ხარჯების ფინანსური მართვის გამჭვირვალობის გარანტიები. კანონით უნდა განისაზღვროს საარჩევნო ხარჯების მაქსიმალური ოდენობა, განსაზღვრული სახის წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებაზე შეიძლება დაწესდეს აკრძალვა და დადგინდეს პირობები, რომელთა საფუძველზეც აღნიშნულ დებულებათა დარღვევის შემთხვევაში სპეციალური ორგანოს ინიციატივით მოხდება პარლამენტის წევრობის უფლების ჩამორთმევა. პოლიტიკური პარტიებისა და პარლამენტის წევრობის კანდიდატების საარჩევნო ხარჯების აუდიტი ჩატარდება კანონით განსაზღვრული წესით სპეციალური ორგანოს მიერ, რომელიც შექმნილია უმაღლესი სასამართლო მოხელეების მონაწილებით.

აღნიშნული ნორმები კანონით შეიძლება განვრცობილ იქნეს არჩევნების გზით დასაკავებელ სხვა თანამდებობებზეც.

3. აკრძალულია სასამართლო მოხელეთა, სამხედრო მოსამსახურეთა და უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა მიერ პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერად ან მის საწინააღმდეგოდ ნებისმიერი სახის მანიფესტაციაში მონაწილეობა. აკრძალულია საჯარო მოსამსახურეთა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან სახელმწიფო საწარმოების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საწარმოების, სახელმწიფოს ადმინისტრაციული აქტით დაარსებული ან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოების მოსამსახურეთა მიერ პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერად თუ მის საწინააღმდეგოდ ნებისმიერი სახის მანიფესტაციაში მონაწილეობა.

II განყოფილება
რესპუბლიკის პრეზიდენტი
პირველი თავი
პრეზიდენტის არჩევნები

მუხლი 30. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი არეგულირებს სახელმწიფო დაწესებულებათა ფუნქციონირებას. იგი აირჩევა პარლამენტის მიერ ხუთი წლის ვადით, 32-ე და 33-ე მუხლებით განსაზღვრული წესით.

2. პრეზიდენტის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან, სამუშაო ადგილთან ან საქმიანობასთან.

3. პრეზიდენტობის ვადის ათვლა იწყება პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან.

4. ომის შემთხვევაში პრეზიდენტობის ვადა უნდა გაგრძელდეს ომის დასრულებამდე.

5. ერთი და იმავე პიროვნების პრეზიდენტად ხელახლა არჩევა დაიშვება მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 31. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც არანაკლებ ხუთი წლის განმავლობაში არის საბერძნეთის მოქალაქე, მამის ან დედის ხაზით ბერძნული წარმოშობისაა, მიაღწია ორმოცი წლის ასაკს და გააჩნია ხმის უფლება.

მუხლი 32. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტის მიერ ღია კენჭისყრით, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ამ მიზნით მოწვეულ საგანგებო სხდომაზე, მოქმედი პრეზიდენტის ვადის ამოწურვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა, პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით.

პრეზიდენტის მიერ თავის მოვალეობათა შესრულების მუდმივი შეუძლებლობის შემთხვევაში, როგორც ეს განსაზღვრულია 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით,

ასევე მისი გადადგომის, გარდაცვალების ან კონსტიტუციის შესაბამისად თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევებში პარლამენტი უნდა შეიკრიბოს ახალი პრეზიდენტის ასარჩევად წინა პრეზიდენტის საპრეზიდენტო ვადის ვადამდე ამოწურვიდან არა უგვიანეს ათი დღის განმავლობაში.

2. ყველა შემთხვევაში პრეზიდენტი არჩეულ უნდა იქნეს სრული ვადით.

3. რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩევა კანდიდატი, რომელიც მიიღებს პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა ორ მესამედს. თუ ხმათა ეს რაოდენობა კანდიდატმა ვერ მიიღო, კენჭისყრა უნდა განმეორდეს ხუთი დღის შემდეგ. თუ ვერც მეორე კენჭისყრის დროს მიიღო კანდიდატმა ხმათა საჭირო რაოდენობა, კენჭისყრა კიდევ ერთხელ უნდა განმეორდეს ხუთი დღის შემდეგ და ამ კენჭისყრისას რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩევა კანდიდატი, რომელიც დააგროვებს პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა სამ მეხუთედს.

4. თუ მესამე კენჭისყრის დროსაც არ იქნა მიღწეული აღნიშნული ხმათა კვალიფიციური უმრავლესობა, პარლამენტი დათხოვნილ უნდა იქნეს კენჭისყრის დღიდან ათი დღის ვადაში და უნდა დაინიშნოს პარლამენტის ახალი არჩევნები. ახლადარჩეულმა პარლამენტმა თავისი უფლებამოსილების ცნობისთანავე ღია კენჭისყრით პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა სამი მეხუთედით უნდა აირჩიოს რესპუბლიკის პრეზიდენტი. თუ ხმათა აღნიშნული უმრავლესობა არ იქნა მიღწეული, ხუთი დღის შემდეგ კენჭისყრა კიდევ ერთხელ უნდა განმეორდეს იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც სხვა კანდიდატებზე მეტი ხმები დააგროვეს. კანდიდატი, რომელიც ამ კენჭისყრაში მეორე კანდიდატზე მეტ ხმას მიიღებს, რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულად ითვლება.

5. სესიებს შორის პერიოდში რესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევად, მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით, მოწვეული იქნება სპეციალური სესია. თუ პარლამენტი ამა თუ იმ გზით დათხოვნილ იქნა, პრეზიდენტის არჩევა გადაიდება და ჩატარდება ახალი პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან არა უგვიანეს 20 დღის ვადაში ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული წესით, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დაცვით.

6. თუ წინა პუნქტებით განსაზღვრული ახალი პრეზიდენტის არჩევის პროცედურა დადგენილ ვადაში არ ჩატარდა, მოქმედი პრეზიდენტი თავისი უფლებამოსილებების განხორციელებას აგრძელებს რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევამდე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგაც.

განმარტებითი დებულება:

რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც თავისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე გადადგა, არ შეიძლება იყოს პრეზიდენტობის კანდიდატი იმ არჩევნებში, რომელიც მოსდევს მის გადადგომას.

მუხლი 33. 1. ახლადარჩეული პრეზიდენტი თავის მოვალეობათა შესრულებას უნდა შეუდგეს წინა პრეზიდენტის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის მომდევნო დღეს, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში - მისი არჩევის მომდევნო დღეს.

2. პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე რესპუბლიკის პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე დებს შემდეგი შინაარსის ფიცს: „ვფიცავ წმინდა, ერთსახოვანი და განუყოფელი სამების სახელით, რომ დავიცავ კონსტიტუციასა და კანონებს, ვიზრუნებ მათ კეთილსინდისიერ შესრულებაზე, დავიცავ ეროვნულ დამოუკიდებლობასა და ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ბერძენთა უფლებებსა და თავისუფლებებს და ვემსახურები ბერძენი ხალხის საერთო ინტერესსა და პროგრესს."

3. კანონით განისაზღვრება პრეზიდენტისათვის გაცემული სამოქალაქო ფურცელი და მის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად საჭირო სამსახურების ფუნქციონირების წესი.

მუხლი 34. 1. თუ პრეზიდენტი ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმყოფება ათ დღეზე მეტხანს ან გარდაიცვალა, გადადგა, თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა ან სხვა მიზეზით შეუძლებელია მის მიერ პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელება, მას დროებით შეცვლის პარლამენტის თავმჯდომარე; თუ ამ დროს პარლამენტი არ ფუნქციონირებს, პრეზიდენტის უფლებამოსილებას განახორციელებს წინა პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს ან უარს განაცხადებს, პრეზიდენტის უფლებამოსილებას განახორციელებს კაბინეტი კოლექტიურად. პრეზიდენტის შეცვლის პერიოდში, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიმართ არ გამოიყენება პარლამენტის დათხოვნის შესახებ დებულებები, გარდა 32-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევის, კაბინეტის დათხოვნისა და რეფერენდუმის გამოცხადების შესახებ 38-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დებულებებისა.

2. თუ პრეზიდენტის მიერ მისი მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის პერიოდი გაგრძელდა 30 დღეზე მეტხანს, პარლამენტი აუცილებლად უნდა იყოს მოწვეული იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი დათხოვნილი იყო, რათა პარლამენტის სრული შემადგენლობის ხმათა სამი მეხუთედით გადაწყდეს ახალი პრეზიდენტის არჩევა. ახალი პრეზიდენტის არჩევა არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება გადაიდოს ძველი პრეზიდენტის მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის გამო მისი შეცვლის დღიდან ექვს თვეზე მეტი ხნით.

მეორე თავი
პრეზიდენტის აქტებიდან გამომდინარე უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა

მუხლი 35. 1. პრეზიდენტის არც ერთი აქტი არ ჩაითვლება ნამდვილად და არ აღსრულდება შესაბამისი მინისტრის დადასტურების გარეშე, რომელიც ხელმოწერით საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას, ასევე სამთავრობო გაზეთში აქტის გამოქვეყნების გარეშე. თუ კაბინეტი 38-ე მუხლის პირველი პუნ-

ქტის შესაბამისად გადაყენებულია და პრემიერ-მინისტრი არ ადასტურებს პრეზიდენტის აქტს, მაშინ მას ხელს აწერს მხოლოდ რესპუბლიკის პრეზიდენტი.

2. გამონაკლისის წესით, დადასტურებას არ მოითხოვს შემდეგი აქტები:

ა) პრემიერ-მინისტრის დანიშვნა;

ბ) 37-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად საცდელი მანდატის მიცემა;

გ) 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და 41-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად პარლამენტის დათხოვნა, თუ მას პრემიერ-მინისტრი არ ადასტურებს და 53-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თუ კაბინეტი არ ადასტურებს აქტს;

დ) პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტის ან საკანონმდებლო წინადადების ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება;

ე) რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატში მოსამსახურეთა დანიშვნა.

3. კანონპროექტის შესახებ რეფერენდუმის დანიშვნის დეკრეტი 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით უნდა დადასტურდეს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ.

მუხლი 36. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი 35-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა აუცილებელი დაცვით წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებში, აცხადებს ომს, დებს საზავო, სამოკავშირეო, ეკონომიკური თანამშრომლობის, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კავშირებში მონაწილეობის ხელშეკრულებებს, შესაბამისი განმარტებების თანხლებით აცხადებს მათ პარლამენტში, თუ სახელმწიფოს ინტერესი და უსაფრთხოება ამის საშუალებას იძლევა.

2. შეთანხმებებს ვაჭრობის, გადასახადების, ეკონომიკური თანამშრომლობის, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კავშირებში მონაწილეობის შესახებ, ასევე ნებისმიერ სხვა შეთანხმებას, თუ ისინი შეიცავს დათმობებს, რომლებიც კონსტიტუციის დებულებათა შესაბამისად, არ შეიძლება განხორციელდეს კანონის მიღების გარეშე ან რომლებიც მატერიალურ ტვირთს აკისრებენ თითოეულ ბერძენ მოქალაქეს, იურიდიული ძალა არ გააჩნიათ პარლამენტის მიერ მათი რატიფიკაციის შესახებ კანონის მიღებამდე.

3. ხელშეკრულების ან შეთანხმების საიდუმლო მუხლები არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ღია მუხლებს.

4. საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია არ შეიძლება იყოს 43-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად საკანონმდებლო უფლებამოსილებათა გადაცემის ობიექტი.

მუხლი 37. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, რომლის წინადადებითაც ნიშნავს და ათავისუფლებს კაბინეტის სხვა წევრებს და მინისტრთა მოადგილეებს.

2. პრემიერ-მინისტრად ინიშნება პარლამენტში ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მქონე პარტიის ლიდერი. თუ არც ერთ პარტიას არ გააჩნია აბსოლუტური უმრავლესობა, რესპუბლიკის პრეზიდენტი საცდელ მანდატს აძლევს შეფარდებითი უმრავლესობის მქონე პარტიის ლიდერს, რათა მან შეისწავლოს პარლამენტის მხარდაჭერის მქონე მთავრობის შექმნის შესაძლებლობა.

3. თუ ზემოაღნიშნული შესაძლებლობა არ არსებობს, რესპუბლიკის პრეზიდენტი საცდელ მანდატს აძლევს პარლამენტში რიცხოვნობით მეორე პარტიის ლიდერს, ხოლო თუ ეს მცდელობაც წარუმატებელი აღმოჩნდა - რიცხოვნობით მესამე პარტიის ლიდერს. თითოეული საცდელი მანდატი ძალაშია სამი დღის განმავლობაში. თუ ყველა საცდელი მანდატი წარუმატებელი აღმოჩნდა, რესპუბლიკის პრეზიდენტი მოიწვევს ყველა პარტიის ლიდერს და თუ შეუძლებელია პარლამენტის მხარდაჭერის მქონე მთავრობის ჩამოყალიბება, საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მიზნით ქმნის ყველა საპარლამენტო პარტიის წარმომადგენლისაგან შექმნილ კაბინეტს. თუ ეს მცდელობაც არ განხორციელდა, სახელმწიფო საბჭოს, უმაღლესი სამოქალაქო ან სისხლის სამართლის სასამართლოს ან კონტროლის პალატის თავმჯდომარეს პრეზიდენტი ავალებს შეძლებისდაგვარად მეტი ნდობის მქონე მთავრობის შექმნას და დაითხოვს პარლამენტს.

4. წინა პუნქტების შესაბამისად პრეზიდენტის მიერ კაბინეტის ჩამოყალიბების მანდატის ან საცდელი მანდატის მიცემის შემთხვევებში, თუ პარტიას არ ჰყავს ლიდერი ან თავმჯდომარე, ან იგი არ იყო არჩეული პარლამენტში, რესპუბლიკის პრეზიდენტი მანდატს აძლევს პარტიის საპარლამენტო ჯგუფის მიერ წარდგენილ პირს. წინადადება მანდატის მიცემის შესახებ უნდა გაკეთდეს სამი დღის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე მოახსენებს პრეზიდენტს პარლამენტში თითოეული პარტიის მიერ დაკავებულ ადგილთა რაოდენობის შესახებ. ასეთი ინფორმაცია პრეზიდენტს უნდა მიეწოდოს მანდატის გაცემის ყველა შემთხვევაში.

განმარტებითი დებულება:

პარტიათა მიერ პარლამენტში თანაბარი რაოდენობის ადგილების დაკავების შემთხვევაში მანდატის გაცემისას უპირატესობა ენიჭება პარტიას, რომელმაც მეტი ხმა მიიღო არჩევნებზე. ხელახლა შექმნილი პარტია თავისი საპარლამენტო ჯგუფით, პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, მოსდევს უფრო ძველ პარტიას, რომელსაც პარლამენტში ადგილთა თანაბარი რაოდენობა აქვს დაკავებული. ზემოაღნიშნულ ორივე შემთხვევაში საცდელი მანდატი არ შეიძლება მიეცეს ოთხ პარტიაზე მეტს.

მუხლი 38. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი ათავისუფლებს კაბინეტს მის მოვალეობათა შესრულებისაგან, თუ მთავრობა გადადგა ან პარლამენტმა მას §4-ე მუხლის შესაბამისად უნდობლობა გამოუცხადა. ასეთ შემთხვევებში გამოიყენება 37-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისი დებულებები. თუ გადამდგარი კაბინეტის პრემიერ-მინისტრი ამავდროულად არის პარლამენტში

სრული შემადგენლობის უმრავლესობის მქონე პარტიის ლიდერი, ამ შემთხვევაში გამოიყენება 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის მესამე ნაწილი.

2. პრემიერ-მინისტრის გადადგომის, გარდაცვალების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტი ახალ პრემიერ-მინისტრს ნიშნავს იმ პარტიის საპარლამენტო ჯგუფის წარდგენით, რომელშიც შედიოდა ყოფილი პრემიერ-მინისტრი, იმ პირობით, თუ აღნიშნულ პარტიას პარლამენტში გააჩნია აბსოლუტური უმრავლესობა. წარდგენა უნდა მოხდეს პრემიერ-მინისტრის გადადგომის, გარდაცვალების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მის მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის გამოვლენის დღიდან სამი დღის განმავლობაში. თუ არც ერთ პარტიას არ გააჩნია პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა, ამ შემთხვევაში 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის მეორე ნაწილისა და მე-3 პუნქტის შემდეგ გამოიყენება მე-4 პუნქტი.

პრემიერ-მინისტრის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მის მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობა დასტურდება პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ მიღებული სპეციალური გადაწყვეტილებით, პრემიერ-მინისტრის პარტიის საპარლამენტო ჯგუფის წარდგენით, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ პარტიას პარლამენტში გააჩნია აბსოლუტური უმრავლესობა. ყველა სხვა შემთხვევაში წარდგენას ახორციელებს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მეხუთედი.

ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ასრულებს პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში — რიგით პირველი მინისტრი.

განმარტებითი დებულება:

მე-2 პუნქტის დებულებები გამოიყენება ასევე 34-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტის შესაცვლელად.

მუხლი 39. (ამოღებულია)

მუხლი 40. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი 64-ე მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული წესით, რეგულარულად, წელიწადში ერთხელ იწვევს პარლამენტის სესიას, ასევე რიგგარეშე სესიას იმ შემთხვევებში, როდესაც მიზანშეწონილად ჩათვლის; იგი გახსნილად და დახურულად აცხადებს ყოველ საპარლამენტო სესიას პირადად ან პრემიერ-მინისტრის მეშვეობით.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეაჩეროს საპარლამენტო სესია მისი დაწყების გადავადებით ან სხდომების შეწყვეტით.

3. სესიის შეჩერება არ შეიძლება გაგრძელდეს 30 დღეზე მეტხანს და ამგვარი შეჩერება პარლამენტის თანხმობის გარეშე არ შეიძლება განმეორდეს იმავე სესიის დროს.

მუხლი 41. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი, თუ მთავრობის ორი შემადგენლობა გადადგა ან მათ მიმართ პარლამენტმა უნდობლობა გამოხატა, რადგან მათი შემადგენლობა ხელს არ უწყობს მთავრობის მდგრადობას. არჩევნებს ატარებს დათხოვნილი პარლამენტის ნდობით აღჭურვილი მთავრობა. სხვა შემთხვევებში გამოიყენება 37-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მესამე ვარიანტი.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს ნდობით აღჭურვილი მთავრობის წინადადებით სახალხო მანდატის განახლების მიზნით განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტის წინ დაითხოვოს პარლამენტი. პარლამენტის ახალი შემადგენლობის ამ მიზეზით დათხოვნა დაუშვებელია.

3. წინა პუნქტის შესაბამისად კაბინეტის მიერ დამტკიცებული პარლამენტის დათხოვნის დეკრეტი უნდა ითვალისწინებდეს 30 დღის ვადაში ახალი არჩევნების გამოცხადებას და არჩევნებიდან 30 დღის განმავლობაში პარლამენტის შეკრებას.

4. დათხოვნილი პარლამენტის შემდეგ არჩეული პარლამენტი არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს მისი უფლებამოსილების ვადის დაწყებიდან ერთი წლის ვადაში, გარდა 37-ე მუხლის მე-3 პუნქტსა და ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული შემთხვევებისა.

5. პარლამენტი სავალდებულო წესით უნდა იქნეს დათხოვნილი 32-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში.

განმარტებითი დებულება:

ყველა შემთხვევაში პარლამენტის დათხოვნის დეკრეტი უნდა ითვალისწინებდეს 30 დღის ვადაში ახალი არჩევნების გამოცხადებას და არჩევნებიდან 30 დღის განმავლობაში პარლამენტის შეკრებას.

მუხლი 42. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი ერთი თვის ვადაში აქვეყნებს და გამოსცემს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს. რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს წინა წინადადებაში გათვალისწინებულ ვადაში მოტივირებული შენიშვნებით უკან დააბრუნოს კანონპროექტი.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დაბრუნებული კანონპროექტი გამოტანილ უნდა იქნეს პლენარულ სხდომაზე და თუ იგი კვლავ მიღებულ იქნა პარლამენტის სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით, 76-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პროცედურით, რესპუბლიკის პრეზიდენტი ვალდებულია გამოაქვეყნოს და გამოსცეს იგი მეორედ მიღებიდან ათი დღის ვადაში.

3. (ამოღებულია)

მუხლი 43. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი კანონების აღსასრულებლად გამოსცემს დეკრეტებს; მას არა აქვს უფლება გადადოს მათი აღსრულება ან გამონაკლისის წესით გაათავისუფლოს ვინმე კანონის შესრულების მოვალეობისაგან.

2. კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით და ამ უფლებამოსილების ფარგლებში შესაბამისი მინისტრის წარდგინებით დაიშვება პრეზიდენტის მიერ მარეგულირებელი დეკრეტების გამოცემა. მარეგულირებელი დეკრეტის გამოცემის უფლებამოსილების სხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭება დასაშვებია მხოლოდ სპეციალური შინაარსის, ადგილობრივი მნიშვნელობის, ტექნიკური და დეტალური ხასიათის საკითხთა გადასაწყვეტად.

3. *(ამოღებულია)*

4. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მიღებული კანონებით დასაშვებია მარეგულირებელი დეკრეტების გამოცემის უფლებამოსილების გადაცემა მათში ასახულ საკითხთა ზოგადად გადასაწყვეტად. ამ დეკრეტებით უნდა განისაზღვროს შემდგომში მოსაწესრიგებელ საკითხთა ძირითადი პრინციპები და მიმართულებები და აღნიშნული უნდა იყოს უფლებამოსილებათა გადაცემის ვადა.

5. 72-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად პარლამენტის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები არ შეიძლება გადაცემულ იქნეს წინა პუნქტით განსაზღვრული წესით.

მუხლი 44. 1. სასწრაფო და გაუთვალისწინებელი აუცილებლობით გამოწვეული განსაკუთრებული გარემოებებისას რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს კაბინეტის წინადადებით გამოსცეს საკანონმდებლო შინაარსის აქტი. ასეთი აქტი პარლამენტს დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს 72-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესით, მისი გამოცემიდან ან საპარლამენტო სესიის მოწვევიდან ორმოცი დღის განმავლობაში. თუ ასეთი აქტები არ წარედგინა პარლამენტს ზემოაღნიშნულ ვადაში ან პარლამენტმა წარდგენიდან სამი თვის ვადაში არ დაამტკიცა, ისინი კარგავენ იურიდიულ ძალას.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტი დეკრეტით აცხადებს რეფერენდუმს მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით პარლამენტის სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობის გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც მიღებულია კაბინეტის წარდგინებით.

რესპუბლიკის პრეზიდენტი დეკრეტით აცხადებს რეფერენდუმს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საკითხებზე მისაღებ კანონპროექტთან დაკავშირებით, გარდა ფისკალური საკითხებისა, პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მიღებულია პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მეხუთედის წარდგინებით, პარლამენტის რეგლამენტისა და იმ კანონის შესაბამისად, რომელიც ადგენს ამ პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებათა განხორციელების წესს. დაუშვებელია ერთი და იმავე საპარლამენტო ვადის დროს ორზე მეტი კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე წარდგინებით მიმართვა. რეფერენდუმის გზით კანონპროექტის მიღების შემთხვევაში 42-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის ათვლა იწყება რეფერენდუმის ჩატარების დღიდან.

3. რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას პრემიერ-მინისტრის თანხმობით გზავნილით მიმართოს ხალხს.

გზავნილი დადასტურებული უნდა იყოს პრემიერ-მინისტრის ხელმოწერით და გამოქვეყნებული უნდა იყოს სამთავრობო გაზეთში.

მუხლი 45. რესპუბლიკის პრეზიდენტი არის ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, რომლის ხელმძღვანელობა უნდა განხორციელდეს მთავრობის მიერ კანონით განსაზღვრული წესით. პრეზიდენტი კანონით განსაზღვრული წესით ასევე წოდებებს ანიჭებს სამხედრო პირებს.

მუხლი 46. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი კანონის შესაბამისად ნიშნავს და ათავისუფლებს საჯარო მოსამსახურეებს, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტი შესაბამისი კანონით განსაზღვრული წესით ანიჭებს დადგენილ ჯილდოებს.

მუხლი 47. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს იუსტიციის მინისტრის წინადადებით და იმ საბჭოსთან კონსულტაციით, რომელშიც უმრავლესობას მოსამართლეები შეადგენენ, შეიწყალოს პირი, შეუმსუბუქოს სასამართლოს განაჩენით დადგენილი სასჯელი ან შეამოკლოს მისი ვადა, გააუქმოს კანონით გათვალისწინებული წესით გამოტანილი და მოხდილი სასჯელების ყველა შედეგი.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს პარლამენტის თანხმობით შეიწყალოს მინისტრი, რომლის მიმართ განაჩენი გამოტანილ იქნა 86-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად.

3. ამნისტია შეეხება მხოლოდ პოლიტიკურ დანაშაულზე მსჯავრდებულებს და მიიღება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის სამი მეხუთედით.

4. ჩვეულებრივ დანაშაულთა მიმართ ამნისტია არ შეიძლება დაწესდეს არც კანონით.

მუხლი 48. 1. საგარეო საფრთხით გამოწვეული ომის ან მობილიზაციის ან ეროვნული უსაფრთხოების მიმართ პირდაპირი საშიშროების არსებობის, ასევე დემოკრატიული წყობილების დასამხობად შეიარაღებული ამბოხების შემთხვევაში პარლამენტი კაბინეტის წინადადებით მიღებული გადაწყვეტილებით აწესებს მთელ ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში საალყო მდგომარეობას, ქმნის სპეციალურ სასამართლოებს და მთლიანად ან ნაწილობრივ აჩერებს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-6, მე-8, მე-9, მე-11 მუხლების, მე-12 მუხლის 1-4 პუნქტების, მე-14, მე-19 მუხლების, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 23-ე მუხლის, 96-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 97-ე მუხლების მოქმედებას. რესპუბლიკის პრეზიდენტი აქვეყნებს პარლამენტის გადაწყვეტილებას. პარლამენტის გადაწყვეტილებით უნდა დაწესდეს ამ პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომების მოქმედების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს თხუთმეტ დღეს.

2. თუ პარლამენტი არ ფუნქციონირებს ან შეუძლებელია მისი დროულად მოწვევა, წინა პუნქტში აღნიშნული ზომები განისაზღვრება კაბინეტის წინადადების საფუძველზე გამოცემული პრეზიდენტის დეკრეტით. კაბინეტმა დეკრეტი დასამტკიცებლად მაშინვე უნდა წარუდგინოს პარლამენტს, როგორც კი შესაძლებელი გახდება მისი მოწვევა. იმ შემთხვევაშიც, თუ პარლამენტის უფლებამოსილების ვადა ამოიწურა ან იგი დათხოვნილ იქნა, მაგრამ დეკრეტის გამოცემიდან არა უგვიანეს თხუთმეტი დღისა.

3. წინა პუნქტებში აღნიშნული ზომების ვადა შეიძლება გაგრძელდეს თხუთმეტი დღის ვადაში პარლამენტის გადაწყვეტილებით, რომელიც მოწვეულ უნდა იქნეს მიუხედავად მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვისა თუ დათხოვნისა.

4. წინა პუნქტებში აღნიშნული ზომები ავტომატურად ძალადაკარგულია პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში განსაზღვრული ვადების გასვლისთანავე, თუ მათი მოქმედება პარლამენტის გადაწყვეტილებით არ გაგრძელებულა, ხოლო თუ აღნიშნული ზომები მიღებულია ომის გამო, მაშინ ისინი ყველა შემთხვევაში ძალადაკარგულია ომის დამთავრებისას.

5. წინა პუნქტებში აღნიშნული ზომების ძალაში შესვლიდან რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია, კაბინეტის წინადადებით გამოსცეს საკანონმდებლო აქტები უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში ან კონსტიტუციით განსაზღვრული ინსტიტუტების ფუნქციონირების უმოკლეს ვადაში აღსადგენად. აღნიშნული აქტები პარლამენტს რატიფიკაციისათვის უნდა წარედგინოს მათი გამოცემიდან ან საპარლამენტო სესიის მოწვევიდან თხუთმეტი დღის ვადაში. თუ ეს აქტები აღნიშნულ ვადაში არ წარედგინა პარლამენტს და არ მოხდა მათი რატიფიკაცია, ისინი ძალადაკარგულად ჩაითვლება. საალყო მდგომარეობის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია ამ კანონის მოქმედების პერიოდში.

6. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული პარლამენტის გადაწყვეტილებები მიიღება პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ხოლო პირველი პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილება — წევრთა სრული შემადგენლობის სამი მეხუთედით. აღნიშნულ საკითხებს პარლამენტი წყვეტს ერთ სხდომაზე.

7. ამ მუხლის შესაბამისად საგანგებო მდგომარეობისას მიღებული ზომების მოქმედების პერიოდში კონსტიტუციის 61-ე და 62-ე მუხლები ძალაშია პარლამენტის დათხოვნის ან მისი ვადის ამოწურვის მიუხედავად.

მესამე თავი
რესპუბლიკის პრეზიდენტის სპეციალური პასუხისმგებლობა

მუხლი 49. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტს არ ეკისრება პასუხისმგებლობა თავის მოვალეობათა შესრულებისას განხორციელებულ ქმედებათა გამო, გარდა

სახელმწიფო ღალატისა და კონსტიტუციის განზრახ დარღვევისა. იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც არ უკავშირდება პრეზიდენტის მოვალეობათა შესრულებას, სამართლებრივი დევნა განხორციელდება საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის მიზნით ბრალდების წარდგენის შესახებ წინადადება წარდგენილ უნდა იქნეს პარლამენტისათვის წევრთა ერთი მესამედის ხელმოწერის მისაღებად, ხოლო პარლამენტის გადაწყვეტილება ამ საკითხზე მიიღება წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედის მიერ.

3. პარლამენტის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტი უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე კონსტიტუციის 86-ე მუხლით განსაზღვრული წესით, რომლის დებულებები გამოიყენება ასეთ შემთხვევებთან დაკავშირებით.

4. სასამართლოს წინაშე წარდგენის მომენტიდან რესპუბლიკის პრეზიდენტი ჩამოშორდება მის მოვალეობათა შესრულებას და მისი შეცვლა მოხდება კონსტიტუციის 34-ე მუხლით განსაზღვრული წესით. კონსტიტუციის 86-ე მუხლით განსაზღვრული წესით სასამართლოს მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის უდანაშაულოდ ცნობის შემთხვევაში იგი განაგრძობს თავის მოვალეობათა შესრულებას, თუ არ ამოიწურა მისი უფლებამოსილების ვადა.

5. ამ მუხლის დებულებათა გამოყენების საკითხები უნდა მოწესრიგდეს პარლამენტის მიერ პლენარულ სხდომაზე მიღებული კანონით.

მუხლი 50. რესპუბლიკის პრეზიდენტს არ გააჩნია სხვა უფლებამოსილებანი, კონსტიტუციითა და თანამდევი კანონებით განსაზღვრულის გარდა.

III განყოფილება
პარლამენტი
პირველი თავი
პარლამენტის არჩევა და შემადგენლობა

მუხლი 51. 1. პარლამენტის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება კანონით; იგი არ შეიძლება იყოს ორასზე ნაკლები და სამასზე მეტი.

2. პარლამენტის წევრები არიან ერის წარმომადგენლები.

3. პარლამენტის წევრები აირჩევიან კანონით განსაზღვრული წესით, პირდაპირი და საყოველთაო არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა მიერ. კანონით არ შეიძლება შეიზღუდოს საარჩევნო უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოქალაქეს არ მიუღწევია მინიმალური ასაკისათვის, ქმედუუნაროა ან თუ იგი განსაზღვრული სახის დანაშაულთა ჩადენისათვის იხდის სასჯელს.

4. საპარლამენტო არჩევნები ერთდროულად უნდა ჩატარდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მოქალაქეთა საარჩევნო უფლების განხორციელების საკითხები შეიძლება განისაზღვროს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით მიღებული კანონით. ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მოქალაქეთა საარჩევნო უფლების განხორციელებას ფოსტის ან სხვა მსგავსი საშუალებით გაკეთებული არჩევანის მეშვეობით ხელს არ უშლის არჩევნების ერთდროული ჩატარების პრინციპი, იმ შემთხვევაში, თუ ხმების დათვლა და შედეგების გამოცხადება მოხდება ქვეყნის შიგნით ჩატარებულ ანალოგიურ პროცედურებთან ერთად.

5. საარჩევნო უფლების განხორციელება საიალდებულოა.

მუხლი 52. ხალხის ნების თავისუფალი და გაუყალბებელი გამოხატვა, როგორც სახალხო სუვერენიტეტის გამოხატულება, გარანტირებულია სახელმწიფოს ყველა იმ თანამდებობის პირის მიერ, რომლებიც ვალდებულნი არიან ნებისმიერ შემთხვევაში უზრუნველყონ იგი.

მუხლი 53. 1. პარლამენტის წევრები აირჩევიან უწყვეტად ოთხწლიანი ვადით, რომელიც აითვლება საყოველთაო არჩევნების ჩატარების დღიდან. კაბინეტის კონტრასიგნაციით მიღებული პრეზიდენტის დეკრეტით საერთო საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს საპარლამენტო ვადის ამოწურვამდე ოცდაათი დღის ვადაში და ახალი პარლამენტი უნდა შეიკრიბოს ასევე ოცდაათი დღის განმავლობაში.

2. თუ საპარლამენტო ვადის ბოლო წლის განმავლობაში პარლამენტის წევრის თანამდებობა ვაკანტური გახდა, ამ თანამდებობაზე რიგგარეშე არჩევნები არ ჩატარდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ვაკანტური ადგილების რაოდენობა არ გადააჭარბებს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ერთ მეხუთედს.

3. საპარლამენტო ვადა ომის შემთხვევაში გაგრძელდება მის დასრულებამდე. თუ პარლამენტი დათხოვნილია, ახალი პარლამენტის არჩევნები გადაიდება ომის დასრულებამდე და ავტომატურად ხელახლა მოიწვევა ძველი პარლამენტი.

მუხლი 54. 1. საარჩევნო სისტემა და საარჩევნო ოლქები განისაზღვრება კანონით, რომელიც გამოიყენება მეორე არჩევნების მიმართ, თუ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედით მიღებული კანონის დასკვნითი დებულება არ განსაზღვრავს კანონის გავრცელებას უახლოეს არჩევნებზე.

2. ყოველი საარჩევნო ოლქიდან დეპუტატების რაოდენობა განისაზღვრება პრეზიდენტის დეკრეტით კანონით განსაზღვრული წესით ჩატარებული უკანასკნელი აღწერის თანახმად დადგენილი ოლქის მოსახლეობის რაოდენობის საფუძველზე.

აღწერის შედეგები უნდა გამოქვეყნდეს მისი დასრულების დღიდან ერთი წლის შემდეგ, შესაბამისი უფლებამოსილი ხამსახურის მონაცემების საფუძველზე.

3. პარლამენტის ნაწილი (არა უმეტეს დეპუტატთა სრული შემადგენლობის ერთი მეოცედისა) შეიძლება არჩეულ იქნეს ერთიანი წესით სახელმწიფოს მთელი ტერიტორიიდან იმ შედეგების პროპორციულად, რომელიც მიიღო თითოეულმა პარტიამ მთლიანად ქვეყანაში, კანონით განსაზღვრული წესით.

მეორე თავი
პარლამენტის წევრის თანამდებობასთან შეუთავსებლობის პირობები

მუხლი 55. 1. პარლამენტის წევრობის კანდიდატი უნდა იყოს საბერძნეთის მოქალაქე, რომელსაც გააჩნია აქტიური საარჩევნო უფლება და არჩევნების ჩატარების დღისათვის მიაღწია ოცდახუთი წლის ასაკს.

2. პარლამენტის წევრებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ავტომატურად ჩამოერთმევათ დეპუტატის მანდატი.

მუხლი 56. 1. სახელმწიფო მოხელეები და მოსამსახურეები, სახელმწიფო სექტორის სხვა მოსამსახურეები, შეიარაღებული ძალებისა და უშიშროების სამსახურის ოფიცრები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა მოსამსახურეები, ადგილობრივ ორგანოთა თანამდებობის პირები, გუბერნატორები, გუბერნატორის მოადგილეები, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეები ან აღმასრულებელი დირექტორები არ შეიძლება იყვნენ პარლამენტის წევრობის კანდიდატები და არჩეულ იყვნენ პარლამენტის წევრებად, თუ კანდიდატურის წამოყენების მომენტისათვის არ დატოვებენ დაკავებულ თანამდებობას. თანამდებობიდან გადადგომა გაფორმებულ უნდა იქნეს წერილობით. აკრძალულია გადამდგარი სამხედრო მოსამსახურეების დაბრუნება მოქმედ სამსახურში. ადგილობრივი მმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირებს უფლება არა აქვთ იყვნენ პარალამენტის წევრობის კანდიდატები და არჩეულ იყვნენ პარლამენტის წევრებად, მიუხედავად იმისა, დატოვებენ თუ არა თანამდებობას.

2. წინა პუნქტით დადგენილი შეზღუდვები არ ვრცელდება უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებზე. პროფესორ-მასწავლებლის მოვალეობის შესრულება შეჩერებულ იქნება პარლამენტის უფლებამოსილების ვადით და კანონით განისაზღვრება პროფესორ-მასწავლებლის შეცვლის სამართლებრივი გზები.

3. ამ მუხლში ჩამოთვლილ პირებს პარლამენტის წევრობის კანდიდატობისა და პარლამენტის წევრად არჩევის უფლება არა აქვთ იმ საარჩევნო ოლქებში, რომლებშიც მსახურობდნენ, ასევე იმ ოლქებში, რომლებზედაც უკანასკნელი თვრამეტი თვის განმავლობაში ვრცელდებოდა მათი უფლებამოსილება. ეს პირები არიან:

ა) გუბერნატორები, გუბერნატორის მოადგილეები, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეები და აღმასრულებელი დირექტორები, გარდა იმ ასოციაციების და საწარმოებისა, რომელთა მმართველობას სახელმწიფო ახორციელებს პირდაპირ ან არაპირდაპირ ადმინისტრაციული აქტის მეშვეობით ან როგორც წილთა მფლობელი;

ბ) 101[1] მუხლის შესაბამისად დაარსებული და მოქმედი დამოუკიდებელ ორგანოთა წევრები, ასევე კანონით დამოუკიდებელ და მარეგულირებელ ორგანოებად განსაზღვრულ ორგანოთა წევრები;

გ) შეიარაღებული ძალებისა და უშიშროების სამსახურის უმაღლესი და უფროსი თანამდებობების ოფიცრები;

დ) სახელმწიფო სექტორისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა მოსამსახურეები, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში მმართველობითი ფუნქციებით აღჭურვილი პირები. კანონით განსაზღვრული წესით, ამ პირებს შეიძლება შეეზღუდოთ პარლამენტის წევრობის კანდიდატობისა და პარლამენტის წევრად არჩევის უფლება იმ ოლქებშიც, სადაც უშუალოდ არ იმყოფებოდნენ;

ე) მინისტრები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელი პირები და კანონით ამ კატეგორიას მიკუთვნებული პირები.

ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება სახელმწიფო დეპუტატთა კანდიდატად წოდებულ პირებზე.

4. სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეებს ზოგადად, რომლებმაც კანონის შესაბამისად აიღეს გარკვეული ვადით სამსახურის ვალდებულება, არა აქვთ უფლება გამოცხადდნენ დეპუტატობის კანდიდატებად და მით უმეტეს, არჩეულ იყვნენ დეპუტატებად აღნიშნული ვალდებულების მოქმედების პერიოდში.

მუხლი 57. 1. პარლამენტის წევრობა შეუთავსებელია საწარმოს მფლობელის, პარტნიორის, წილის მფლობელის, მმართველის, ადმინისტრატორის, დირექტორთა გამგეობის წევრის, გენერალური მენეჯერის ან მათი მოადგილეების მოვალეობებთან, რომლებიც:

ა) თავის თავზე იღებენ საზოგადოებრივ სამუშაოებს ან კვლევებს, უზრუნველყოფენ საჯარო სექტორის მომსახურებას ან დებენ ისეთ კონტრაქტებს საჯარო სექტორთან, რომლებიც ეხება განვითარებასა და ინვესტირებას;

ბ) სარგებლობენ განსაკუთრებული პრივილეგიებით;

გ) ფლობენ ან მართავენ რადიო ან სატელევიზიო სადგურს ან გამოსცემენ მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელებად გაზეთს საბერძნეთში;

დ) კონცესიის საფუძველზე ახდენენ საზოგადოებრივ მომსახურებას, აქვთ სახელმწიფო საწარმო ან სახელმწიფო სარგებლობის საწარმო;

ე) კომერციული მიზნებისათვის აქირავებენ სახელწიფოს კუთვნილ უძრავ ქონებას.

ამ პუნქტის მიზნებისათვის, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, კერძო სამართლის იურიდიული პირები, საზოგადოებრივი საწარმოები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა საწარმოები და სხვა საწარმოები, რომელთა მენეჯერებს სახელმწიფო ნიშნავს უშუალოდ ან არაპირდაპირ ადმინისტრაციული აქტით ან როგორც წილის მფლობელი, მიეკუთვნებიან საჯარო სექტორის კატეგორიას. საწარმოთა წილის მფლობელები, რომლებსაც ეხებათ ამ მუხლით დადგენილი შეზღუდვები, ფლობენ საზიარო კაპიტალის ერთ პროცენტზე მეტს.

პარლამენტის წევრის მოვალეობები ასევე შეუთავსებელია ნებისმიერი პროფესიით საქმიანობასთან. პარლამენტის წევრის თანამდებობასთან შეუთავსებადი საქმიანობათა სახეები, ასევე საკითხები, რომლებიც ეხება დაზღვევასა და პენსიის საკითხებს, ასევე იმას, თუ როგორ უნდა დაუბრუნდნენ პარლამენტის წევრები თავის პროფესიას პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ, განისაზღვრება კანონით.

არც ერთ შემთხვევაში წინა პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობანი არ მოიცავს საწარმოში დაქირავებული პირის ან მრჩევლის თანამდებობას ამ პუნქტის „ა-დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამ მუხლის პირობების დარღვევა გამოიწვევს პარლამენტის წევრის თანამდებობიდან დათხოვნას და შესაბამისი აქტების გაუქმებას კანონით განსაზღვრული წესით.

2. პარლამენტის წევრებმა, რომლებსაც ეხებათ პირველი პუნქტით დადგენილი პირობები, საბოლოო არჩევიდან რვა დღის ვადაში უნდა განაცხადონ თავიანთი არჩევანის შესახებ პარლამენტის წევრობასა და ზემოხსენებულ მოვალეობებსა და თანამდებობებს შორის. თუ ეს დათქმულ ვადაში არ მოხდება, ისინი ავტომატურად დატოვებენ პარლამენტის წევრის თანამდებობას.

3. პარლამენტის წევრებს, რომლებსაც უკავიათ ამ ან წინა პუნქტით განსაზღვრული რომელიმე თანამდებობა ან ფუნქცია, რომელიც პარლამენტის წევრობის კანდიდატობისათვის წარმოადგენს დაბრკოლებას ან შეუთავსებელია პარლამენტის წევრის თანამდებობასთან, ავტომატურად უწყდებათ მანდატი.

4. პირველ პუნქტში ხსენებული პარლამენტის წევრის ან მისი ყოფილი საწარმოს მიერ დადებული კონტრაქტების გაგრძელების, გადაცემის ან შეწყვეტის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 58. პარლამენტის იმ არჩევნებთან დაკავშირებით, რომელთა სამართლიანობა ეჭვსქვეშაა დაყენებული არჩევნების ჩატარების შესახებ კანონის დარღვევის ან იურიდიულ მოთხოვნებთან მათი შეუსაბამობის გამო, კონტროლი და სასამართლო განხილვა ეკისრება მე-100 მუხლის შესაბამისად შექმნილ უმაღლეს სპეციალურ სასამართლოს.

მესამე თავი
პარლამენტის წევრთა მოვალეობები და უფლებები

მუხლი 59. 1. პარლამენტის წევრის მოვალეობის შესრულების დაწყებამდე პარლამენტის წევრები პარლამენტის სხდომათა დარბაზში ღია სხდომის მიმდინარეობისას დებენ შემდეგი შინაარსის ფიცს:

„ვფიცავ წმინდა, ერთსახოვანი და განუყოფელი სამების სახელით, ვიქნები სამშობლოსა და დემოკრატიული წყობილების ერთგული, დაეემორჩილები კონსტიტუციასა და კანონებს და შეგნებულად შევასრულებ ჩემს მოვალეობებს".

2. პარლამენტის წევრები, რომლებიც სხვა რელიგიის ან რწმენის მიმდევარნი არიან, ფიცს დებენ ამ რელიგიისა თუ რწმენის შესაბამისად.

3. პარლამენტის წევრები, რომლებიც აირჩევიან პარლამენტის არ არსებობისას, ფიცს დებენ პარლამენტის იმ სექციის წინაშე, რომელიც მუშაობს ამ პერიოდში.

მუხლი 60. 1. პარლამენტის წევრებს გააჩნიათ შეუზღუდავი უფლება, ჰქონდეთ საკუთარი აზრი და ხმა მისცენ საკუთარი სინდისის შესაბამისად.

2. თანამდებობიდან გადადგომა დეპუტატის უფლებაა, რომელიც ხორციელდება პარლამენტის თავმჯდომარისათვის წერილობითი განცხადების წარდგენით და ეს განცხადება გადასინჯვას არ ექვემდებარება.

მუხლი 61. 1. პარლამენტის წევრი არ ექვემდებარება სამართლებრივ დევნას ან დაკითხვას მის მიერ დეპუტატის უფლებამოსილების განხორციელებისას გამოთქმულ აზრთან ან მიცემულ ხმასთან დაკავშირებით.

2. პარლამენტის წევრი სამართლებრივ დევნას ექვემდებარება მხოლოდ ცილისწამებისათვის, კანონით განსაზღვრული წესითა და პარლამენტის ნებართვით. საქმის განხილვა შედის სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციაში. აღნიშნული ნებართვა საბოლოოდ გაცემულად არ ითვლება, თუ პარლამენტის თავმჯდომარისათვის ბრალდების გადაცემის დღიდან 45 დღის განმავლობაში პარლამენტი არ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ნებართვაზე პარლამენტის უარის შემთხვევაში ან მითითებული ვადის გასვლისას პარლამენტის წევრი არ ექვემდებარება სამართლებრივ დევნას.

ეს პუნქტი ამოქმედდება პარლამენტის შემდგომი უფლებამოსილების ვადის დაწყებიდან.

3. პარლამენტის წევრი არ არის ვალდებული მისცეს მოწმის ჩვენება იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე იმ პირებთან დაკავშირებით რომლებმაც მას გაანდეს ინფორმაცია ან რომლებიც ინფორმირებულნი იყვნენ დეპუტატის მიერ.

მუხლი 62. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის განმავლობაში დეპუტატი არ ექვემდებარება სამართლებრივ დევნას, დაპატიმრებას, თავისუფლების აღკვეთას ან ნებისმიერ სხვა შეზღუდვას პარლამენტის ნებართვის გარეშე. დათხოვნილი პარლამენტის წევრი ასევე არ ექვემდებარება სამართლებრივ დევნას, პოლიტიკური დანაშაულისათვის პარლამენტის დათხოვნის დღიდან ახალი პარლამენტის წევრების არჩევის გამოცხადებამდე.

ნებართვა გაცემულად არ ითვლება, თუ პარლამენტს არ მიუღია შესაბამისი გადაწყვეტილება პროკურორის მიერ პარლამენტის თავმჯდომარისათვის დეპუტატის პასუხისგებაში მიცემის შესახებ შუამდგომლობის შეტანის დღიდან სამი თვის ვადაში.

სამთვიანი ვადა გაგრძელდება საპარლამენტო არდადეგების პერიოდზე.

დანაშაულის ადგილზე დეპუტატის წასწრების შემთხვევაში პარლამენტის ნებართვა არ არის საჭირო.

მუხლი 63. 1. პარლამენტის წევრებს უფლება აქვთ თავისი ფუნქციების შესასრულებლად სახელმწიფოსაგან მიიღონ პრემია და ხარჯების კომპენსაცია; თანხების რაოდენობა განისაზღვრება პარლამენტის პლენარული სხდომის გადაწყვეტილებით.

2. პარლამენტის წევრები გათავისუფლებულნი არიან სატრანსპორტო, საფოსტო და სატელეფონო გადასახადებისგან, პარლამენტის პლენარული სხდომის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ფარგლებში.

3. პარლამენტის წევრის არასაპატიო მიზეზით თვეში ხუთზე მეტ სხდომაზე დაუსწრებლობის შემთხვევაში ყოველი გამოტოვებული სხდომისათვის სავალდებულოა მისი ყოველთვიური ანაზღაურების ერთი მეოცდაათედის დაკავება.

მეოთხე თავი
პარლამენტის ორგანიზაცია და საქმიანობა

მუხლი 64. 1. პარლამენტი სპეციალური გადაწყვეტილების გარეშე ავტომატურად, ყოველი წლის ოქტომბრის პირველ ორშაბათს იკრიბება მორიგ სესიაზე თავისი ფუნქციების განსახორციელებლად, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი მე-40 მუხლის შესაბამისად მას უფრო ადრე არ მოიწვევს.

2. მორიგი სესიის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს ხუთ თვეზე ნაკლები, მე-40 მუხლით გათვალისწინებული გადავადების დროის გაუთვალისწინებლად.

მორიგი სესიის გახანგრძლივება სავალდებულოა 79-ე მუხლის შესაბამისად ბიუჯეტის მიღებამდე ან ამ მუხლში მითითებული სპეციალური კანონის მიღებამდე.

მუხლი 65. 1. პარლამენტი საკუთარი თავისუფალი და დემოკრატიული ფუნქციონირების წესს ადგენს 76-ე მუხლის შესაბამისად პლენარულ სხდომაზე მი-

ღებული რეგლამენტით, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარის განკარგულებით უნდა გამოქვეყნდეს სამთავრობო გაზეთში.

2. პარლამენტი თავის წევრთაგან რეგლამენტით განსაზღვრული წესით ირჩევს თავმჯდომარესა და პრეზიდიუმის წევრებს.

3. თავმჯდომარე და მისი მოადგილეები აირჩევიან პარლამენტის ყოველი უფლებამოსილების ვადის დასაწყისში. აღნიშნული დებულება არ გამოიყენება იმ პარლამენტის თავმჯდომარისა და მოადგილეების მიმართ, რომლებიც აირჩევიან მეხუთე გარდამავალი პარლამენტის პირველ სესიაზე. ორმოცდაათი წევრის წინადადებით პარლამენტმა შეიძლება უნდობლობა გამოხატოს თავმჯდომარის ან პრეზიდიუმის წევრის მიმართ, რის შედეგადაც მას უფლებამოსილება უწყდება.

4. პარლამენტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს პარლამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს მისი ფუნქციების განხორციელებას, დეპუტატთა სიტყვისა და აზრის თავისუფლების, აგრეთვე წესრიგის დაცვას; მას შეუძლია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები გამოიყენოს ნებისმიერი წევრის მიმართ, რომელიც არღვევს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილ წესებს.

5. რეგლამენტის შესაბამისად, პარლამენტისათვის საკანონმდებლო საქმიანობაში ხელშეწყობის მიზნით, შეიძლება შეიქმნას პარლამენტის სამეცნიერო-კვლევითი სამსახური.

6. პარლამენტის რეგლამენტი განსაზღვრავს საპარლამენტო სამსახურების ორგანიზაციას პარლამენტის თავმჯდომარის ზედამხედველობით; ყველა საკითხი, რომელიც ეხება მის პერსონალს, უნდა რეგულირდებოდეს ანალოგიური წესით. პარლამენტის თავმჯდომარის აქტები პარლამენტის პერსონალის დანიშვნასა და პროფესიულ სტატუსთან დაკავშირებით ექვემდებარება გასაჩივრებას თვით აქტის ან კანონის საკითხებთან მიმართებით ან გაუქმების შუამდგომლობას სახელმწიფო საბჭოში.

მუხლი 66. 1. პარლამენტი საჯარო სხდომებს ატარებს სხდომათა დარბაზში, თუმცა მთავრობის ან თხუთმეტი დეპუტატის თხოვნით, პარლამენტის მიერ დახურულ სხდომაზე დამტკიცებით, სხდომა შეიძლება ჩატარდეს დახურულ კარს მიღმა, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დებატების ღია სხდომაზე განმეორების შესახებ.

2. მინისტრებსა და მათ მოადგილეებს გააჩნიათ პარლამენტის სხდომებზე თავისუფალი შესვლის უფლება და პირველი მოთხოვნისთანავე ეძლევათ სიტყვა.

3. პარლამენტმა და საპარლამენტო კომიტეტებმა შეიძლება სთხოვონ მინისტრებს ან მთავრობას, დაესწრონ მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროს საკითხთა განხილვას.

საპარლამენტო კომიტეტებს უფლება აქვთ, მოიწვიონ ნებისმიერი პიროვნება, რომლის დასწრებასაც ისინი საქმისათვის სასარგებლოდ მიიჩნევენ და ამის თაობაზე მოახდინონ შესაბამისი მინისტრის ინფორმირება.

საპარლამენტო კომიტეტები მუშაობენ ღია სხდომების მეშვეობით, პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით. თუმცა განხილვა შეიძლება ჩატარ-

ღეს დახურული სხდომის სახით, თუ ამას მთავრობა ან პარლამენტის ხუთი წევრი მოითხოვს და უმრავლესობა გადაწყვეტს დახურული სხდომის ჩატარებას. ამ შემთხვევაში საპარლამენტო კომიტეტი გადაწყვეტს, იმავე საკითხთან დაკავშირებით კვლავ გაიმართოს თუ არა ღია სხდომაზე განხილვა.

მუხლი 67. 1. პარლამენტი გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების აბსოლუტური უმრაველესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მეოთხედისა.

2. ხმათა გაყოფის შემთხვევაში კენჭისყრა მეორდება, ხოლო მეორედ გაყოფის შემთხვევაში საკითხი უარყოფილად ითვლება.

მუხლი 68. 1. ყოველი მორიგი სესიის დასაწყისში წარმოდგენილი კანონპროექტებისა და საკანონმდებლო წინადადებების შესწავლისა და განხილვის მიზნით, პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით პარლამენტი წევრთა შემადგენლობიდან ქმნის მუდმივ საპარლამენტო კომიტეტებს.

2. პარლამენტი წევრთა საერთო რაოდენობის ერთი მეხუთედის წინადადებით ორი მეხუთედის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით, თავის წევრთაგან ქმნის საგამოძიებო კომიტეტებს. საგარეო პოლიტიკასა და ეროვნულ თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე საგამოძიებო კომისიის შესაქმნელად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება. დეტალები კომიტეტის შემადგენლობისა და მუშაობის წესის შესახებ განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

3. საპარლამენტო და საგამოძიებო კომიტეტები, ასევე 70-ე და 71-ე მუხლებით გათვალისწინებული საპარლამენტო სექციები იქმნება პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად პარტიების, ჯგუფებისა და დამოუკიდებელ წევრთა წარმომადგენლობის პროპორციულად.

მუხლი 69. არავის არ აქვს უფლება, საკუთარი ნება-სურვილით გამოცხადდეს პარლამენტში და გააკეთოს სიტყვიერი ან წერილობითი განცხადება. განცხადებათა წარდგენა ხდება შესაბამისი დეპუტატის მეშვეობით და გადაეცემა თავმჯდომარეს. პარლამენტს უფლება აქვს, მისთვის გაგზავნილი განცხადებები გადასცეს მინისტრებსა და მათ მოადგილეებს, რომლებიც ვალდებულნი არიან აუცილებლობის შემთხვევაში მისცენ განმარტებები.

მუხლი 70. 1. პარლამენტი თავის საკანონმდებლო ფუნქციას ახორციელებს პლენარულ სხდომებზე.

2. პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებას მუდმივი საპარლამენტო კომიტეტების მიერ, რომლებიც შექმნილია და ფუნქციონირებენ სესიის განმავლობაში პარლამენტის რეგლამენტითა და 72-ე მუხლის შეზღუდვებით განსაზღვრული წესით.

3. პარლამენტის რეგლამენტი ანალოგიურად განსაზღვრავს სამინისტროთა მიერ მუდმივი საპარლამენტო კომიტეტებისათვის კომპეტენციათა განაწილებას.

4. თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი, პლენარული სხდომებისა და სექციების საქმიანობასთან, ასევე პარლამენტის კომიტეტების ფუნქციონირებასთან მიმართებაში პარლამენტის შესახებ კონსტიტუციური ნორმები უნდა განხორციელდნენ 71-ე მუხლის შესაბამისად.

5. 71-ე მუხლის მიხედვით, სექციისა და მუდმივი საპარლამენტო კომიტეტებისათვის, მათი საკანონმდებლო საქმიანობის მიზნით, ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად რეზოლუციის მისაღებად საჭიროა წევრთა არანაკლებ ორი მეხუთედის უმრავლესობა.

6. საპარლამენტო კონტროლი უნდა განხორციელდეს პლენარულ სხდომაზე, პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით. პარლამენტის რეგლამენტი შეიძლება ითვალისწინებდეს საპარლამენტო კონტროლს სექციის მიერ 71-ე მუხლის შესაბამისად, აგრეთვე მუდმივი საპარლამენტო კომიტეტების მიერ, რომლებიც იქმნებიან და ფუნქციონირებენ სესიის განმავლობაში.

7. საზღვარგარეთ საპარლამენტო ან სამთავრობო მისიით მყოფი პარლამენტის წევრების კენჭისყრაში მონაწილეობის წესი უნდა მოწესრიგდეს პარლამენტის რეგლამენტით.

8. პარლამენტის რეგლამენტი განსაზღვრავს წესს, რომლითაც მთავრობა პარლამენტს აცნობს ინფორმაციას და ატარებს განხილვას ევროკავშირის ფარგლებში დასარეგულირებელ საკითხებზე.

მუხლი 71. პარლამენტის მუშაობაში შესვენების დროს მისი საკანონმდებლო საქმიანობა ხორციელდება 68-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 70-ე მუხლის შესაბამისად შექმნილი პარლამენტის სექციის მიერ, გარდა 72-ე მუხლით განსაზღვრული კანონებისა, რომელთა მიღება შედის პლენარული სხდომის კომპეტენციაში. პარლამენტის რეგლამენტით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კანონპროექტების შესწავლა პარლამენტის იმავე სექციის წევრებისაგან შემდგარი კომიტეტის მიერ.

მუხლი 72. 1. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განიხილება და მიიღება მისი რეგლამენტი, კანონპროექტები და საკანონმდებლო წინადადებები მე-3, მე-13, 27-ე მუხლების, 28-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 33-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 48-ე 51-ე, 54-ე და 86-ე მუხლებით განსაზღვრული საკითხები ადამიანის უფლებათა განხორციელების შესახებ, კანონების ნამდვილ და სწორ განმარტებასთან დაკავშირებით, ასევე ყველა სხვა საკითხზე, რომელიც კონსტიტუციის სპეციალური ნორმებით პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გადასაწყვეტ საკითხებს განეკუთვნება ან მის გადასაწყვეტად სპეციალური უმრავლესობაა საჭირო.

პარლამენტი პლენარულ სხდომაზე იღებს ბიუჯეტს და სახელმწიფოსა და პარლამენტის ფინანსურ დადგენილებას.

2. დებატები და კენჭისყრა ყველა სხვა კანონპროექტზე ან საკანონმდებლო წინადადებაზე შეიძლება მოხდეს სესიის განმავლობაში შესაბამისი მუდმივი საპარლამენტო კომიტეტის მიერ, 70-ე მუხლის შესაბამისად. ეს პროცედურები ხორციელდება აგრეთვე სექციის მიერ, რომელიც შექმნილია და ფუნქციონირებს 71-ე მუხლის მიხედვით იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც პარლამენტი ისვენებს პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით.

3. მუდმივ საპარლამენტო კომიტეტს, რომელიც ატარებს კენჭისყრას კანონპროექტებსა და საკანონმდებლო წინადადებაზე, უფლება აქვს მისი წევრების აბსოლუტური უმრავლესობის მიერ მიღებული რეზოლუციით პლენარულ სხდომას წარუდგინოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც აღემატება მის კომპეტენციას. პლენარული სხდომის გადაწყვეტილება კომიტეტებისათვის სავალდებულოა. კანონპროექტის ან საკანონმდებლო წინადადების გადაცემასა და მუდმივ საპარლამენტო კომიტეტში მის განხილვას შორის უნდა იყოს არანაკლებ ერთკვირიანი შუალედი.

4. კანონპროექტი ან საკანონმდებლო წინადადება, რომელზეც დებატები და კენჭისყრა იმართება უფლებამოსილ მუდმივ საპარლამენტო კომიტეტში, წარდგენილ უნდა იქნეს პლენარულ სხდომაზე ერთ სესიაზე, პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით. მისი განხილვა და კენჭისყრა ხდება მუხლობრივად და მთლიანობაში. კანონპროექტი ან საკანონმდებლო წინადადება, რომელსაც კენჭი ეყრება კომიტეტში, განიხილება პლენარულ სხდომაზე და მიიღება არანაკლებ ოთხი მეხუთედის უმრავლესობით, პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით.

მეხუთე თავი
პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობა

მუხლი 73. 1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნიათ პარლამენტსა და მთავრობას.

2. პენსიის დანიშვნასა და მისი საფუძვლების განსაზღვრასთან დაკავშირებული კანონპროექტები შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ფინანსთა მინისტრის მიერ კონტროლის პალატასთან შეთანხმებით, ხოლო თუ საკითხი ეხება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტიდან გადასახდელ პენსიებს - შესაბამისი მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის მიერ. პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებული საკითხები უნდა მოწესრიგდეს სპეციალური საპენსიო კანონმდებლობით. პენსიის შესახებ ნორმების სხვა კანონებში შეტანა წარმოადგენს ამ ნორმათა ბათილობის საფუძველს.

3. პარლამენტის მიერ წარმოდგენილი არც ერთი საკანონმდებლო წინადადება, ცვლილება ან დამატება არ შეიძლება გამოტანილ იქნეს განსახილველად, თუ უკავშირდება ხარჯებს ან სახელმწიფო, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლისა და საკუთრების

შემცირებას, ხელფასისა და პენსიის გადახდას ან მატერიალური შეღავათების მინიჭებას.

4. თუმცა, პარტიული ლიდერების ან საპარლამენტო ჯგუფის სპიკერის მიერ 74-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით კანონპროექტებში ცვლილებისა და დამატების წარდგენა შესაძლებელია, თუ ისინი ეხება სახელმწიფო მომსახურებას, საჯარო ხასიათის დაწესებულებებს, მათ სტატუსს ზოგადად, სამხედრო ან უშიშროების ოფიცრებს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ან საჯარო სამართლის სხვა იურიდიულ პირებს და სახელმწიფო საწარმოებს ზოგადად.

5. კანონპროექტები, რომელთაც შემოაქვთ ადგილობრივი და სპეციალური გადასახადები ან ცვლილებები მმართველობის ორგანოების ან საჯარო თუ კერძო სამართლის პირების სასარგებლოდ, ხელმოწერილი უნდა იყოს კოორდინაციის მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის მიერ.

მუხლი 74. 1. ყოველ კანონპროექტს უნდა ახლდეს განმარტებითი ბარათი; პლენარული სხდომის ან სექციისათვის განსახილველად გადაცემამდე კანონპროექტი პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით იურიდიული დამუშავებისათვის შეიძლება გადაეცეს სამეცნიერო-კვლევით სამსახურს, 65-ე მუხლის შესაბამისად მისი შექმნის შემდეგ.

2. პარლამენტში შესული კანონპროექტები გადაეცემა შესაბამის საპარლამენტო კომიტეტს. კომიტეტის მიერ მოხსენების წარმოდგენის ან მისთვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ისინი სამი დღის შემდეგ განსახილველად გადაეცემა პარლამენტს, თუ შესაბამისი მინისტრის მიერ არ არიან მიჩნეულნი სასწრაფოდ განსახილველად. განხილვა იწყება შესაბამისი მინისტრისა და საპარლამენტო კომიტეტის მომხსენებელთა მიერ ზეპირად წარმოდგენის შემდეგ.

3. ცვლილებები, რომლებიც პარლამენტის წევრებს შეაქვთ იმ კანონპროექტებში, რომლებზედაც უფლებამოსილია პლენარული სხდომა ან სექცია, არ უნდა იქნეს წარდგენილი განხილვისათვის, თუ ისინი არ ყოფილა წარდგენილი დებატების დაწყებამდე არანაკლებ ერთი დღით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მთავრობა ეთანხმება ასეთი განხილვის ჩატარებას.

4. ცვლილებების კანონპროექტი არ შეიძლება წარდგენილ იქნეს განსახილველად, თუ განმარტებითი ბარათი არ ახლავს ცვლილების მთელ ტექსტს და თუ კანონპროექტის ტექსტი არ შეიცავს ცვლილების სრულ ტექსტს.

5. პირველი პუნქტის დებულებები ასევე ეხება პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით მუდმივ საპარლამენტო კომიტეტში განხილვისა და კენჭისყრისათვის წარდგენილ კანონპროექტებსა და საკანონმდებლო წინადადებებს.

კანონპროექტი ან საკანონმდებლო წინადადება, რომელიც შეიცავს ისეთ დებულებებს, რომლებიც არ უკავშირდება მის ძირითად საკითხს, არ იქნება წარდგენილი განსახილველად.

არავითარი დამატება და ცვლილება არ განიხილება დებატებზე, თუ ის არ უკავშირდება ძირითად საკითხს.

მინისტრების მიერ წარდგენილი ცვლილებები და დამატებები განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ სექციას ან შესაბამის მუდმივ კომიტეტს წარედგინა პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით პლენარულ სხდომამდე არანაკლებ 3 დღით ადრე, 71-ე მუხლის შესაბამისად.

ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებისას პარლამენტის წევრებმა ასევე უნდა დაიცვან წინა ორი პუნქტის დებულებები. აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს პარლამენტი. პარლამენტის წევრები, რომლებიც 71-ე მუხლის შესაბამისად არ მონაწილეობენ კომპეტენტურ მუდმივ საპარლამენტო კომიტეტებში ან სექციაში, პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით, უფლებამოსილნი არიან სიტყვით გამოვიდნენ მუდმივი კომიტეტის წინაშე.

6. თვეში ერთხელ, პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრულ დღეს, გადაწყვეტილების მომლოდინე პარლამენტის წევრთა კანონპროექტები პრიორიტეტულად შევა დღის წესრიგში და მოხდება მათი განხილვა.

მუხლი 75. 1. მინისტრების მიერ შემოტანილი ნებისმიერი კანონპროექტი, რომელიც დაკავშირებულია ბიუჯეტისათვის დამატებით ტვირთთან, არ მიიღება განსახილველად, თუ მას არ ახლავს გენერალური სახელმწიფო ბუღალტერიის დასკვნა, რომელიც განსაზღვრავს ხარჯების ოდენობას. თუ კანონპროექტი შემოტანილია პარლამენტის წევრის მიერ, მაშინ იგი ყოველგვარი განხილვის გარეშე გადაეცემა გენერალურ სახელმწიფო ბუღალტერიას, რომელიც ვალდებულია წარმოადგინოს დასკვნა ხუთდღიან ვადაში. ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კანონპროექტი განსახილველად მიიღება აღნიშნული დასკვნის გარეშე.

2. ანალოგიური წესი მოქმედებს საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, თუ ამას მოითხოვს შესაბამისი მინისტრი. ასეთ შემთხვევაში გენერალური სახელმწიფო ბუღალტერია ვალდებულია დასკვნა წარმოადგინოს სამი დღის ვადაში. მხოლოდ ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ საკანონმდებლო ცვლილება განსახილველად მიიღება აღნიშნული დასკვნის გარეშე.

3. ხარჯებთან ან შემოსავლის შემცირებასთან დაკავშირებული სამთავრობო კანონპროექტი არ მიიღება განსახილველად, თუ მას თან არ ახლავს შესაბამისი მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის მიერ ხელმოწერილი დასკვნა მათი დაფარვის წესის თაობაზე.

მუხლი 76. 1. ყველა კანონპროექტი და საკანონმდებლო წინადადება განიხილება და კენჭი ეყრება ერთხელ მუხლობრივად და მთლიანობაში, გარდა 72-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. კანონპროექტები და საკანონმდებლო წინადადებები, რომლებიც შეეხება 42-ე მუხლს, უნდა გავიდეს დებატებზე და კენჭი ეყაროს პარლამენტის პლენარული სხდომის მიერ ორჯერ და ორ სხვადასხვა სხდომაზე პრინციპების მი-

ხედვით და მუხლობრივად პირველი განხილვისას, ხოლო მუხლობრივად და მთლიანობაში მეორე განხილვისას.

3. თუ განხილვის დროს მიიღება შესწორებები, მთლიან პროექტზე კენჭისყრა გადაიდება, შესწორებული კანონპროექტის ან საკანონმდებლო წინადადების დეპუტატებისათვის დარიგების დღიდან ოცდაოთხი საათის განმავლობაში, გარდა 72-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

4. მთავრობის მიერ სასწრაფო წესით მისაღებად მიჩნეული კანონპროექტი ან საკანონმდებლო წინადადება შეიძლება პლენარული სხდომის ან საპარლამენტო სექციის მიერ მიღებულ იქნეს შეზღუდული დებატების შემდეგ ერთ სხდომაზე, 71-ე მუხლის მიხედვით, პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით.

5. მთავრობის მოთხოვნით სასწრაფო წესით მისაღებად მიჩნეული კანონპროექტი შეიძლება განხილულ იქნეს განსაზღვრული რაოდენობის სხდომებზე, პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით.

6. სპეციალური აქტით შექმნილი სპეციალური კომიტეტების მიერ წარდგენილი სასამართლო ან ადმინისტრაციული კოდექსის პროექტები შეიძლება მიღებულ იქნეს მთლიანად, კოდექსის დამტკიცების შესახებ პლენარული სხდომის სპეციალური აქტის სახით.

7. ამავე პროცედურით ხდება არსებულ საკანონმდებლო დებულებათა კოდიფიკაცია და გაუქმებულ კანონთა კვლავ ამოქმედება, გარდა საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული კანონებისა.

მუხლი 77. 1. კანონების ავთენტიკური განმარტება განეკუთვნება პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქციას.

2. კანონი, რომელიც არ საჭიროებს განმარტებას, ძალაში შედის გამოქვეყნების შემდეგ.

მეექვსე თავი
გადასახადებით დაბეგვრა და ფინანსების მართვა

მუხლი 78. 1. არც ერთი გადასახადი არ შეიძლება დაწესდეს კანონის გარეშე, რომელიც განსაზღვრავს გადასახადით დაბეგვრის სუბიექტს, შემოსავალს, საკუთრების სახეს, ხარჯებსა და ფინანსურ ოპერაციებს ან მათ კატეგორიებს, რომელთაც მიეკუთვნება აღნიშნული გადასახადი.

2. გადასახადი ან სხვა ფინანსური ტვირთი არ შეიძლება დაკისრებულ იქნეს კანონით, რომელსაც გააჩნია უკუქცევითი ძალა იმ საფინანსო წელიწადზე, რომელიც წინ უძღოდა მოცემული გადასახადის შემოღებას.

3. გამონაკლისის სახით იმპორტისა და ექსპორტის საბაჟო გადასახადის, აგრეთვე საშემოსავლო გადასახადის დაწესებისას ან გაზრდისას დაიშვება მათი ამოღება პარალამენტში შესაბამისი კანონპროექტის წარდგენის დღიდან, თუ კანონპროექტის გამოქვეყნება მოხდა 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალის-

წინებულ ვადაში, მაგრამ საპარლამენტო სესიის დამთავრებიდან არა უგვიანეს ათი დღისა.

4. საკანონმდებლო უფლებამოსილებათა დელეგირება დაუშვებელია ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა საგადასახადო დაბეგვრის ობიექტი, საგადასახადო განაკვეთი, საგადასახადო შეღავათი, გადასახადისაგან გათავისუფლება, პენსიის დანიშვნა.

აღნიშნული აკრძალვა არ შეეხება კანონით სახელმწიფო და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების წილის განსაზღვრას, რომელიც მათ ეკუთვნით საზოგადოებრივი სამუშაოების ჩატარების შედეგად გამოწვეული ფასთა ავტომატური ზრდისაგან.

5. გამონაკლისის სახით, სმართლებრივი აქტით დელეგირების საფუძველზე დაშვებულ უნდა იქნეს დამბალანსებელი საგადასახადო სანქციების გამოყენება ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფარგლებში, ეკონომიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, ასევე ზომები ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთგაცვლის უსაფრთხოებისათვის.

მუხლი 79. 1. პარლამენტი თავის ყოველწლიურ მორიგ სესიაზე იღებს სახელმწიფოს მომავალი წლის შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტს.

2. სახელმწიფოს ყველა ხარჯი და შემოსავალი უნდა იქნეს შეტანილი წლიურ ბიუჯეტსა და მისი შესრულების ანგარიშში.

3. ბიუჯეტის პროექტი უნდა გადაეცეს ფინანსთა მინისტრის მიერ უფლებამოსილ, მუდმივ საპარლამენტო კომიტეტს ოქტომბრის პირველ ორშაბათს და განხილვა უნდა ჩატარდეს პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით. კომიტეტის შენიშვნების გათვალისწინებით, ფინანსთა მინისტრმა პარლამენტში ბიუჯეტი უნდა წარადგინოს ფისკალური წლის დაწყებამდე მინიმუმ 40 დღით ადრე. ბიუჯეტთან დაკავშირებით განხილვა და კენჭისყრა გაიმართება პლენარულ სხდომაზე პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს პარლამენტის ყველა პოლიტიკური სექციის მიერ თავიანთი შეხედულებების გამოხატვის უფლება.

4. თუ რაიმე მიზეზით ბიუჯეტის ხარჯებისა და შემოსავლების შესრულება შეუძლებელი გახდა, ისინი უნდა შესრულდეს სპეციალური კანონის საფუძველზე, რომელიც მიიღება ასეთ შემთხვევებში.

5. თუ შეუძლებელი იქნება წინა პუნქტით განსაზღვრული ბიუჯეტთან დაკავშირებული კენჭისყრის ჩატარება ან რომელიმე კანონპროექტის მიღება საპარლამენტო სესიის ბოლომდე, მთავრობის წინადადებით მიღებული დადგენილებით, წინა წლის ბიუჯეტის იურიდიული ძალა საფინანსო წლის ბოლოსათვის უნდა გახანგრძლივდეს ოთხი თვით.

6. კანონით შეიძლება განისაზღვროს ორწლიანი ვადით ბიუჯეტის შედგენის წესი.

7. სახელმწიფოს ფინანსური ანგარიშგება და ზოგადი ბალანსის ფურცელი უნდა წარედგინოს პარლამენტს თითოეული ფისკალური წლის დასრულებიდან

არა უგვიანეს ერთი წლისა, რასაც აუცილებლად უნდა ახლდეს 98-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლის პალატის ანგარიში. გარდა ამისა, ანგარიშგება და ზოგადი ბალანსის ფურცელი უნდა შემოწმდეს პარლამენტის წევრთა სპეციალური კომიტეტის მიერ და სანქცირებული იყოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით.

8. ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები უნდა დამტკიცდეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესით.

მუხლი 80. 1. ნებისმიერი თანამდებობრივი სარგო, პენსია, დახმარება ან პრემია არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტში ან გაცემულ იქნეს ორგანიზაციული ან სხვაგვარი შინაარსის სპეციალური კანონის გარეშე.

2. კანონით განისაზღვრება ეროვნული ვალუტის გამოშვებისა და ემისიის წესი.

განმარტებითი დებულება:

ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დადგენილი ნორმები ხელს არ უნდა უშლიდეს ევროპული ეკონომიკური და მონეტარული გაერთიანების პროცესში და კონსტიტუციის 28-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად საერთო ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში საბერძნეთის მონაწილეობას.

IV განყოფილება
მთავრობა
პირველი თავი
მთავრობის შემადგენლობა და ფუნქციები

მუხლი 81. 1. მთავრობას წარმოადგენს კაბინეტი, რომელიც შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან. კაბინეტის შემადგენლობა და საქმიანობა განისაზღვრება კანონით. ერთი ან რამდენიმე მინისტრი შეიძლება პრემიერ-მინისტრის დეკრეტით დაინიშნონ ვიცე-პრემიერებად. კანონით განისაზღვრება მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი მინისტრის მოადგილის, უპორტფელო მინისტრების, მინისტრის მოადგილეების, რომლებიც შეიძლება იყვნენ მთავრობის წევრები, ასევე მინისტრის მუდმივი მოადგილეების უფლებამოსილება.

2. არავინ შეიძლება დაინიშნოს მთავრობის წევრად ან მინისტრის მოადგილედ, თუ იგი არ აკმაყოფილებს 55-ე მუხლით პარლამენტის წევრისათვის განსაზღვრულ პირობებს.

3. მთავრობის წევრთა, მინისტრის მოადგილეთა და პარლამენტის თავმჯდომარის ნებისმიერი პროფესიული საქმიანობა შეჩერებულ უნდა იქნეს მათი მოვალეობების შესრულების პერიოდში.

4. კანონით შეიძლება განისაზღვროს მინისტრისა და მინისტრის მოადგილის თანამდებობის სხვა საქმიანობასთან შეუთავსებლობის პირობები.

5. ვიცე-პრემიერის არყოფნისას პრემიერ-მინისტრი აუცილებლობის შემთხვევაში მინისტრთაგან ნიშნავს თავის დროებით მოადგილეს.

მუხლი 82. 1. მთავრობა კონსტიტუციისა და კანონების დებულებათა შესაბამისად განსაზღვრავს და წარმართავს ქვეყნის ძირითად პოლიტიკას.

2. პრემიერ-მინისტრი უზრუნველყოფს მთავრობის ერთიანობას და სამთავრობო პოლიტიკის განსახორციელებლად კანონის ფარგლებში წარმართავს მთავრობისა და ზოგადად საჯარო სამსახურის საქმიანობას.

3. ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის დაარსებასთან, საქმიანობასა და უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენს ქვეყნის ძირითადი პოლიტიკის შესახებ სოციალური დიალოგის გამართვა და განსაკუთრებით ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ორიენტაციის ჩამოსაყალიბებლად კანონპროექტებსა და საკანონმდებლო წინადადებებზე კონცეფციის შემუშავება, განისაზღვრება კანონით.

4. ქვეყნის ეროვნული საგარეო პოლიტიკის საბჭოს დაარსებასთან, საქმიანობასა და უფლებამოსილებებთან დაკავშირებული საკითხების პარლამენტში განხილვის წესი მხარეთა წარმომადგენლებისა და იმ პირთა მონაწილეობით, რომლებსაც გააჩნიათ სპეციალური ცოდნა ან გამოცდილება, განისაზღვრება კანონით.

მუხლი 83. 1. ყოველი მინისტრი ახორციელებს კანონით დაკისრებულ ფუნქციებს. უპორტფელო მინისტრები ასრულებენ პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით მათთვის დაკისრებულ ფუნქციებს.

2. მინისტრის მოადგილეები ასრულებენ პრემიერ-მინისტრისა და შესაბამისი მინისტრის ერთობლივი გადაწყვეტილებით მათთვის დაკისრებულ ფუნქციებს.

მეორე თავი
პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობა

მუხლი 84. 1. მთავრობა უნდა სარგებლობდეს პარლამენტის ნდობით. პრემიერ-მინისტრის მიერ ფიცის მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში მთავრობა ვალდებულია პარლამენტის წინაშე დააყენოს ნდობის საკითხი. ამ საკითხის დაყენების უფლება მთავრობას გააჩნია სხვა ნებისმიერ შემთხვევაშიც. თუ მთავრობის ფორმირების პროცესის დროს პარლამენტის მუშაობა შეწყდა, პარლამენტი ნდობის საკითხის გადასაწყვეტად მოიწვევა თხუთმეტდღიან ვადაში.

2. პარლამენტს უფლება აქვს, თავისი გადაწყვეტილებით უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას ან მის რომელიმე წევრს. უნდობლობის გამოცხადების შესახებ წინადადების შეტანა დაიშვება პარლამენტის მიერ ასეთი წინადადების

უარყოფის დღიდან ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ. უნდობლობის შესახებ წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი მეექვსედის მიერ და მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს იმ საკითხებს, რომლებზედაც გაიმართება დებატები.

3. გამონაკლისის წესით უნდობლობის შესახებ წინადადება შეიძლება შეტანილ იქნეს ექვსთვიანი ვადის ამოწურვამდეც, თუ იგი ხელმოწერილ იქნა პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ.

4. ნდობა-უნდობლობის საკითხთან დაკავშირებული დებატები იწყება შესაბამისი წინადადების შეტანიდან ორი დღის შემდეგ, თუ მთავრობა უნდობლობის საკითხის დაყენების შემთხვევაში არ მოითხოვს დებატების დაუყოვნებლივ დაწყებას. დებატები არ შეიძლება გაგრძელდეს სამ დღეზე მეტხანს.

5. კენჭისყრა ნდობა-უნდობლობის საკითხთან დაკავშირებით ტარდება დებატების დამთავრებისთანავე, თუმცა მთავრობის თხოვნით შეიძლება გადადებულ იქნეს ორმოცდარვა საათით.

6. წინადადება ნდობის საკითხზე არ შეიძლება მიღებულ იქნეს, თუ მას მხარი არ დაუჭირა დამსწრე წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ. ეს უმრავლესობა უნდა იყოს პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ორი მეხუთედი. უნდობლობის საკითხზე წინადადება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ.

7. ზემოაღნიშნულ წინადადებებთან დაკავშირებით გამართულ კენჭისყრებში მონაწილეობას იღებენ მინისტრები და მინისტრის მოადგილეები, რომლებიც არიან პარლამენტის წევრები.

მუხლი 85. კაბინეტის წევრები და მათი მოადგილეები კოლექტიურად არიან პასუხისმგებელნი მთავრობის ძირითად პოლიტიკასთან დაკავშირებით, ხოლო ყოველი მათგანი — საკუთარი კომპეტენციის სფეროში განხორციელებული ქმედებებისა თუ უმოქმედობისათვის მინისტრების პასუხისმგებლობის შესახებ კანონების შესაბამისად. რესპუბლიკის პრეზიდენტის წერილობითი თუ ზეპირი მითითება პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს მინისტრებსა და მათ მოადგილეებს.

მუხლი 86. 1. მხოლოდ პარლამენტს აქვს უფლება, მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები მთავრობის ყოფილი ან ამჟამინდელი წევრების წინააღმდეგ მათი უფლებამოსილების პერიოდში ჩადენილი დანაშაულის გამო. სამთავრობო სამართალდარღვევების ინსტიტუტი აკრძალულია.

2. სამართლებრივი დევნა, დაკითხვა, წინასწარი დაკითხვები ან წინასწარი შემოწმებები პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირთა და დანაშაულთა წინააღმდეგ აკრძალულია მე-3 პუნქტის შესაბამისად მიღებული პარლამენტის წინასწარი რეზოლუციის გარეშე.

თუ სხვა დაკითხვის, წინასწარი დაკითხვის, წინასწარი შემოწმების ან ადმინისტრაციული გამოკითხვის მიმდინარეობისას აღმოჩენილ იქნება მტკიცებულება, რომელიც უკავშირდება წინა პუნქტში აღნიშნულ პირებსა და მათ ქმედებებს, ეს მტკიცებულება მისი აღმომჩენი პირის მიერ დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს პარლამენტს.

3. შუამდგომლობა კანონიერი ზომების მისაღებად შეიძლება შემოტანილ იქნეს არანაკლებ პარლამენტის ოცდაათი წევრის მიერ. პარლამენტი მისი წევრების აბსოლუტური უმრავლესობით მიღებული რეზოლუციით ქმნის სპეციალურ საპარლამენტო კომიტეტს წინასწარი შემოწმებების ჩასატარებლად. სხვა შემთხვევაში შუამდგომლობა გაუქმდება, როგორც უსაფუძვლო. სპეციალური კომიტეტის მიერ გამოვლენილი გარემოებები ეცნობება პარლამენტის პლენარულ სესიას, რომელიც გადაწყვეტს, შეიძლება თუ არა კანონიერი ზომების მიღება. სათანადო რეზოლუცია მიიღება პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით.

პარლამენტს შეუძლია თავისი კომპეტენცია განახორციელოს პირველი პუნქტის მიხედვით, სანამ იმ საპარლამენტო ვადის მეორე მორიგი სესია დამთავრდება, რომელიც დაიწყო დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

პარლამენტს შეუძლია ამ პუნქტის პირველი ნაწილით დადგენილი პროცედურით ნებისმიერ დროს გააუქმოს მისი რეზოლუცია ან შეაჩეროს მის მიერ მიღებული კანონიერი ზომები, წინასწარი ან ძირითადი ღონისძიებები.

4. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პირველ და უკანასკნელ ინსტანციაში კომპეტენტური ორგანოა სპეციალური სასამართლო, როგორც უმაღლესი დონის სასამართლო. იგი თითოეული შემთხვევისათვის შედგება სახელმწიფო საბჭოს ექვსი წევრისა და უზენაესი სასამართლოს შვიდი წევრისგან. სპეციალური სასამართლოს მუდმივი და ალტერნატიული წევრები აირჩევიან კანონიერი ზომების მიღების შემდეგ კენჭისყრით, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ პარლამენტის საჯარო სხდომაზე ამ ორი მაღალი რანგის სასამართლოს წევრებისგან, რომელთა დანიშვნა ან დაწინაურება მოხდა კანონიერი ზომების მიღებაზე შუამდგომლობის წარდგენამდე. სპეციალური სასამართლოს თავმჯდომარე აირჩევა უზენაესი სასამართლოს უმაღლესი რანგის წევრებისგან, რომლებიც, თავის მხრივ, კენჭისყრით აირჩევიან. თანაბარი რანგის პირების შემთხვევაში აირჩევა ასაკით უფროსი. იურიდიული საბჭო, რომელიც შედგება თითოეულ შემთხვევაში სახელმწიფო საბჭოს ორი წევრისაგან და უზენაესი სასამართლოს სამი წევრისაგან, ფუნქციონირებს ამ პუნქტით გათვალისწინებული სპეციალური სასამართლოს ფარგლებში. იურიდიული საბჭოს წევრები არ შეიძლება იმავდროულად იყვნენ სპეციალური სასამართლოს წევრები. იურიდიული საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი წევრებიდან ერთ-ერთი ინიშნება გამომცდელ მსაჯულად. წინასწარი სამართლწარმოება მთავრდება ბრძანებით.

სახელმწიფო პროკურორის მოვალეობები სპეციალურ სასამართლოში და ამ პუნქტით გათვალისწინებულ იურიდიულ საბჭოში სრულდება უზენაესი სასამართლოს სახელმწიფო პროკურატურის წევრის მიერ, რომელიც მის მოადგილეს-

თან ერთად აირჩევა კენჭისყრით. ამ პუნქტის მეორე და მესამე ნაწილები ასევე ეხება იურიდიული საბჭოს წევრებს, ხოლო მეორე ნაწილი - სახელმწიფო პროკურორს.

მთავრობის მოქმედი ან ყოფილი წევრების სპეციალური სასამართლოს წინაშე იმპიჩმენტის შემთხვევაში, დანაშაულის ნებისმიერ მონაწილეს კანონით განსაზღვრული წესით მათთან ერთად ედება ბრალი.

5. თუ კაბინეტის მოქმედი ან ყოფილი წევრების მიმართ კანონიერი ზომების მიღებასთან დაკავშირებით პროცედურა ვერ სრულდება ამა თუ იმ მიზეზით, ხანდაზმულობის ვადის ჩათვლით, პარლამენტმა შესაძლოა თვით დაზარალებული პირის ან მისი მემკვიდრეების თხოვნით ბრალდების გამოძიებისათვის დააფუძნოს სპეციალური კომიტეტი, რომელშიც მონაწილეობა ასევე შეუძლიათ უმაღლესი სასამართლო თანამდებობის პირებს.

V განყოფილება
სასამართლო ხელისუფლება
პირველი თავი
სასამართლოს მოხელეები და მოსამსახურეები

მუხლი 87. 1. მართლმსაჯულება ხორციელდება მუდმივ მოსამართლეთაგან შემდგარი სასამართლოების მიერ. მოსამართლეები სარგებლობენ ფუნქციური და პირადი დამოუკიდებლობით.

2. მოსამართლეები თავიანთი მოვალეობის შესრულებისას ემორჩილებიან მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონებს; ისინი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაემორჩილონ კონსტიტუციის დარღვევით მიღებულ დებულებებს.

3. მუდმივ მოსამართლეთა საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებენ ზემდგომი მოსამართლეები, ასევე სახელმწიფო პროკურორი და უმაღლესი სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორის მოადგილე, ხოლო სახელმწიფო პროკურორთა საქმიანობაზე - უმაღლესი სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოს მოსამართლეები და ზემდგომი პროკურორები, კანონით განსაზღვრული წესით.

მუხლი 88. 1. სასამართლოს მოხელეები ინიშნებიან სიცოცხლის ბოლომდე პრეზიდენტის დეკრეტით იმ კანონის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს მოსამართლეობის კანდიდატისათვის აუცილებელ პირობებსა და კანდიდატურების შერჩევის წესს.

2. სასამართლოს მოხელეთა შრომის ანაზღაურება უნდა იყოს მათ თანამდებობასთან თანაფარდობითი. სასამართლოს მოხელეთა რანგთან, შრომის ანაზღაურებასთან და ზოგად სტატუსთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით. 94-ე, 95-ე და 98-ე მუხლებით დადგენილი წესის მიუხედავად, სასამართლოს მოხელეთა შრომის ანაზღაურებასა და პენსიებთან

დაკავშირებული დავა, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხები ეხება პირთა ფართო წრის ხელფასს, პენსიას ან ფისკალურ სტატუსს, განხილულ უნდა იქნეს 99-ე მუხლით განსაზღვრულ სპეციალურ სასამართლოში. ასეთ შემთხვევაში კანონით განსაზღვრული წესით სასამართლოს შემადგენლობაში დამატებით შედიან თითო პროფესორი და ადვოკატი. სასამართლოში პროცესის გაგრძელებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება კანონით.

3. კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სასამართლოს მოხელეთათვის სტაჟირების პერიოდი და გამოსაცდელი ვადა მუდმივ სამუშაოზე მათ დამტკიცებამდე. ამ დროის განმავლობაში მათ შეიძლება კანონით განსაზღვრული წესით შეასრულონ მუდმივი მოსამართლის მოვალეობა.

4. სასამართლოს მოხელეები შეიძლება ჩამოშორდნენ სამსახურს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლითაც დადგინდება მათ მიერ დანაშაულის ან მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის, ასევე ავადმყოფობის, ინვალიდობის ან სამსახურებრივი შეუფერებლობის ფაქტი, რაც უნდა დადასტურდეს კანონით განსაზღვრული წესით 93-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებათა დაცვით.

5. სასამართლო სამსახურიდან პენსიაში გასვლა სამოცდახუთი წლის ასაკის მიღწევისას სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის რანგის და მისი მთავარი პროკურორის რანგის ან მისი შესატყვისი რანგის, ასევე უფრო დაბალი რანგის ყველა მოხელისათვის. თუ სასამართლოს მოხელეები უფრო მაღალი რანგის არიან, პენსიაზე გასვლა სავალდებულია სამოცდაშვიდი წლის ასაკის მიღწევისას. ამ დებულების გამოყენებისას, პენსიაში გასვლის თარიღად უნდა ჩაითვალოს პენსიაში გასვლის წლის ოცდაათი ივნისი, რაც ყველა შემთხვევაში უნდა იქნეს მიჩნეული ზედა ასაკობრივი ზღვარის მიღწევის თარიღად.

6. აკრძალულია სასამართლოს მოხელეთა გადასვლა ხელისუფლების სხვა შტოში. გამონაკლისის სახით მუდმივი მოსამართლეების გადასვლა პირველი ინსტანციის სასამართლოში ან მუდმივი პროკურორებისა — პროკურატურებში დაშვებულია ამ პირთა თხოვნით, კანონით განსაზღვრული წესით. ჩვეულებრივი ადმინისტრაციული სასამართლოების მოსამართლეები კანონით განსაზღვრული წესით უნდა დაწინაურდნენ სახელმწიფო საბჭოს წევრის რანგამდე.

7. კონსტიტუციაში სპეციალურად გათვალიწინებულ სასამართლოებსა და საბჭოებს, რომელიც შედგებიან სახელმწიფო საბჭოსა და უზენაესი სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოს წევრებისაგან, ხელმძღვანელობენ რანგით უფროსი წევრები.

განმარტებითი დებულება:

88-ე მუხლის თანახმად, პირველი ინსტანციის სამოქალაქო სასამართლოების იურისდიქციისა და ამ ინსტანციის სასამართლოს მოხელეთა სამსახურის სტატუსის ერთიანად მოწესრიგება ნებადართულია, თუ კანონი ითვალისწინებს გასამართლებისა და შეფასების პროცედურას.

მუხლი 89. 1. სასამართლოს მოხელეებს ეკრძალებათ ნებისმიერი ანაზღაურებადი საქმიანობა, ასევე ნებისმიერი პროფესიული საქმიანობის განხორციელება.

2. გამონაკლისის წესით დასაშვებია სასამართლოს მოხელეთა არჩევა აკადემიის წევრებად, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა პროფესორებად და დოცენტებად, ასევე მათი მონაწილეობა დისციპლინარული, აუდიტორული ან იურიდიული ბუნების მქონე სპეციალურ საბჭოებში ან კომიტეტებში, თუ მათ მონაწილეობას სპეციალურად ითვალისწინებს კანონი. საბჭოებში ან კომიტეტებში სასამართლოს მოხელეთა სხვა პირთა მიერ შეცვლა დასაშვებია კერძო პირის მიერ ასეთი განზრახვის გაცხადების შემთხვევაში, წინა ნაწილით განსაზღვრული გამონაკლისის გათვალისწინებით, კანონით განსაზღვრული წესით.

3. სასამართლოს მოხელეთათვის ადმინისტრაციულ მოვალეობათა დაკისრება აკრძალულია. იურიდიული ბუნების მქონედ ითვლება მოვალეობები, რომლებიც უკავშირდება სასამართლოს მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებას. ნებადართულია სასამართლოს მოხელეთათვის საერთაშორისო ორგანიზაციებში ქვეყნის წარმოდგენის უფლებამოსილების დაკისრება. სასამართლოს მოხელეთა მიერ საარბიტრაჟო განხილვის ჩატარება დასაშვებია მათი უფლებამოსილების ფარგლებში, კანონით განსაზღვრული წესით.

4. სასამართლოს მოხელეთა მთავრობის შემადგენლობაში ყოფნა დაუშვებელია.

5. ნებადართულია კანონით განსაზღვრული წესით სასამართლოს მოხელეთა გაერთიანებების შექმნა.

მუხლი 90. 1. სასამართლოს მოხელეთა სამსახურებრივი წინსვლა, დანიშვნა, სხვა სამუშაოზე გადაყვანა და მათი ხელახალი ატესტაცია ხორციელდება პრეზიდენტის დეკრეტით, რომელიც გამოიცემა მართლმსაჯულების უზენაესი საბჭოს წინმსწრები გადაწყვეტილების საფუძველზე. საბჭო იქმნება უმაღლესი ინსტანციის შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარისა და ამავე სასამართლოს წევრთაგან, რომლებიც ინიშნებიან კენჭისყრის წესით მათგან, ვინც მასში კანონით განსაზღვრული წესით მინიმუმ ორი წელი იმსახურა. სამოქალაქო და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უზენაეს საბჭოში მონაწილეობას უნდა იღებდეს უზენაესი სასამართლოს პროკურორი და ასევე უზენაესი სასამართლოს ორი პროკურორის მოადგილე, რომლებიც ინიშნებიან კენჭისყრით მათგან, ვინც კანონით განსაზღვრული წესით მინიმუმ ორი წელი იმსახურა უზენაესი სასამართლოს სახელმწიფო პროკურატურაში. სახელმწიფო საბჭოს მართლმსაჯულების უზენაეს საბჭოში ასევე უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფოს გენერალური კომისიონერი, რომელიც ამ სასამართლოებში მსახურობს იმ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება ჩვეულებრივი ადმინისტრაციული სასამართლოების და გენერალური კომისიის სასამართლო მოხელეებს. კონტროლის პალატის მართლმსაჯულების უზენაეს საბჭოში ასევე უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფოს გენერალური კომისიონერი, რომელიც მასში მსახურობს.

მართლმსაჯულების უზენაესი საბჭოში ასევე უნდა მონაწილეობდეს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ან მასთან გათანაბრებული რანგის ორი სასამართლოს მოხელე ხმის უფლების გარეშე იმ სახელისუფლებო შტოდან, რომელსაც სამსახურებრივი სტატუსის ცვლილებები შეეხება და აირჩევა კენჭისყრით, კანონით განსაზღვრული წესით.

2. იმ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება სახელმწიფო მრჩევლების, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, უზენაესი სასამართლოს პროკურორის მოადგილის, კონტროლის პალატის მრჩევლის, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისა და პროკურორის თანამდებობრივ დაწინაურებას, ასევე გენერალური კომისიისა და კონტროლის პალატის წევრთა არჩევასა და პირველი პუნქტით გათვალისწინებული საბჭოსათვის წევრის დამტკიცებას, გადაწყვეტილება მიიღება კანონით განსაზღვრული წესით. დანარჩენ შემთხვევებში გამოიყენება პირველი პუნქტით განსაზღვრული წესი.

3. თუ იუსტიციის მინისტრი არ ეთანხმება მართლმსაჯულების უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას, იგი უფლებამოსილია კანონით განსაზღვრული წესით საქმე გადასცეს შესაბამისი მაღალი ინსტანციის სასამართლოს პლენუმს. სასამართლოს მოხელეს, რომელსაც ეს გადაწყვეტილება შეეხება აქვს კანონით განსაზღვრული წესით მისი გასაჩივრების უფლება. პლენუმის, როგორც მეორე ინსტანციის მართლმსაჯულების უზენაესი საბჭოს სხდომის ჩატარებისათვის გამოიყენება პირველი პუნქტის მე-3-6 ნაწილების დებულებანი. უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ წინა ნაწილით განსაზღვრული საქმეების განხილვისას უზენაესი სასამართლოს სახელმწიფო პროკურატურის თანამშრომლები განხილვაში მონაწილეობენ ხმის უფლებით.

4. პლენუმის, როგორც მეორე ინსტანციის მართლმსაჯულების უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებები მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე მართლმსაჯულების უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებები, რომლებსაც მინისტრი ეთანხმება, საბოლოოა მისთვის.

5. უზენაესი სასამართლოს, სახელმწიფო საბჭოს და კონტროლის პალატის თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნა უნდა მოხდეს კაბინეტის წარდგინებით გამოცემული პრეზიდენტის ბრძანებულებით, მაღალი ინსტანციის სასამართლოს წევრებისაგან კანდიდატურის შერჩევით, კანონით განსაზღვრული წესით. უზენაესი სასამართლოს სახელმწიფო პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნა უნდა მოხდეს ანალოგიური ბრძანებულებით, უზენაესი სასამართლოს წევრებისა და ამ სასამართლოს სახელმწიფო პროკურორების მოადგილეებისგან კანდიდატურის შერჩევით, კანონით განსაზღვრული წესით. კონტროლის პალატის გენერალური კომისიონერის თანამდებობაზე დანიშვნა უნდა მოხდეს ანალოგიური ბრძანებულებით, კონტროლის პალატისა და გენერალური კომისიის წევრებისაგან კანდიდატურის შერჩევით. ადმინისტრაციულ სასამართლოთა გენერალური კომისიონერის თანამდებობაზე დანიშვნა უნდა მოხდეს ანალოგიური ბრძანებულებით გენერალური კომისიებისა და ადმინისტრაციული სააპელაციო სასა-

მართლოების თავმჯდომარეთაგან კანდიდატურის შერჩევით, კანონით განსაზღვრული წესით.

კანონით განსაზღვრული წესით სახელმწიფო საბჭოს, უზენაესი სასამართლოსა და კონტროლის პალატის თავმჯდომარეთა და ასევე უზენაესი სასამართლოს სახელმწიფო პროკურორისა და გენერალური კომისიონერების თანამდებობაზე ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ წელს იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლოს მოხელეს არ მიუღწევია საპენსიო ასაკამდე.

6. ამ მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება ან შესრულებული ქმედება არ ექვემდებარება სახელმწიფო საბჭოს მიერ გადასინჯვას.

მუხლი 91. 1. სასამართლოს მოხელეებზე დისციპლინური პასუხისმგებლობა ხორციელდება უმაღლესი დისციპლინური საბჭოს მიერ კანონით განსაზღვრული წესით. დისციპლინურ სარჩელს აღძრავს იუსტიციის მინისტრი.

2. უმაღლესი დისციპლინური საბჭო შედგება სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, მისი ორი მოადგილის ან სახელმწიფო საბჭოს წევრისგან, უზენაესი სამოქალაქო ან სისხლის სამართლის სასამართლოს თავმჯდომარის ორი მოადგილის ან წევრისაგან, კონტროლის პალატის თავმჯდომარის ორი მოადგილის ან წევრისაგან და უნივერსიტეტის შტატში მომუშავე ორი იურისტი-პროფესორისაგან. თუ საქმე ეხება სახელმწიფო საბჭოს წევრის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, დისციპლინურ საბჭოს თავმჯდომარეობს უზენაესი სამოქალაქო ან სისხლის სამართლის სასამართლოს თავმჯდომარე.

3. სხვა სასამართლო მოხელეთა მიმართ დისციპლინური უფლებამოსილება პირველ და მეორე ინსტანციებში ხორციელდება კანონით განსაზღვრული წესით ჩატარებული კენჭისყრის შედეგად მუდმივ მოსამართლეთა საბჭოს მიერ. დისციპლინურ საქმეზე ინიციატივა შეიძლება მოდიოდეს ასევე იუსტიციის მინისტრისგან.

4. ამ მუხლის შესაბამისად მიღებული დისციპლინარული გადაწყვეტილება არ ექვემდებარება სახელმწიფო საბჭოს მიერ გადასინჯვას.

მუხლი 92. 1. ნებისმიერი სასამართლოს თუ პროკურატურის აპარატის თანამშრომლები არიან საშტატო მოსამსახურეები. ისინი შეიძლება თანამდებობას ჩამოშორდნენ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლითაც დადგინდება მათ მიერ დანაშაულის ან მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, ასევე ავადმყოფობის, ინვალიდობის ან სამსახურებრივი შეუფერებლობის მოტივით, რაც უნდა დადასტურდეს კანონით განსაზღვრული წესით.

2. ნებისმიერი სასამართლოს თუ პროკურატურის აპარატის თანამშრომლისათვის აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება კანონით.

3. მოსამართლეთა დაწინაურება, თანამდებობაზე დანიშვნა, სასამართლო ხელისუფლების სხვა დაწესებულებაში გადაყვანა უნდა მოხდეს ოფიციალური საბჭოების თანხმობით, რომელთა შემადგენლობის უმრავლესობას კანონით განსაზღვრული წესით წარმოადგენენ სასამართლოს მოხელეები. მოსამართლეთა მი-

მართ დისციპლინარული უფლებამოსილება უნდა განახორციელონ იერარქიულად ზემდგომმა მოსამართლეებმა, პროკურორებმა, კომისიონერებმა და დაქირავებულმა მოსამსახურეებმა, აგრეთვე ოფიციალურმა საბჭომ კანონით განსაზღვრული წესით.

მოსამართლეთა სამსახურებრივი სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით, ისევე, როგორც დისციპლინარული გადაწყვეტილებების წინააღმდეგ გადაწყვეტილებათა გასაჩივრება ნებადართულია კანონით განსაზღვრული წესით.

4. მიწის რეგისტრაციის სამსახურის მუშაკები წარმოადგენენ იურიდიულ მოხელეებს. ნოტარიუსები, სახელმწიფო და უხელფასო რეგისტრატორები უცვლელნი არიან, სანამ შეეფერებიან სამსახურს და სანამ ეს თანამდებობები არსებობს. მათთან დაკავშირებით ანალოგიურად გამოიყენება წინა პუნქტების დებულებები.

5. ნოტარიუსები და იპოთეკური და მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩანაწერების შტატგარეშე შემნახველები საკალდებულო წესით პენსიაზე გადიან სამოცდაათი წლის ასაკის მიღწევისთანავე, ხოლო დანარჩენები — კანონით განსაზღვრული ასაკის მიღწევისთანავე.

მეორე თავი
სასამართლოთა ორგანიზაცია და კომპეტენცია

მუხლი 93. 1. სასამართლოები დაყოფილია ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოებად და იქმნებიან კანონით განსაზღვრული წესით.

2. ნებისმიერი სასამართლოს სხდომა საჯაროა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტს, რომ საჯაროობა ვნებს ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს ან თუ არსებობს პროცესის მონაწილეთა პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის განსაკუთრებული პირობები.

3. ყოველი სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იყოს სპეციალურად და დეტალურად დასაბუთებული და უნდა გამოცხადდეს ღია სხდომაზე. ამ პუნქტის წინა ნაწილის დებულებათა დარღვევისათვის კანონი განსაზღვრავს სანქციებს. საკალდებულოა მოსამართლის განსხვავებული აზრის გამოქვეყნება. კანონით განისაზღვრება განსხვავებული აზრის გამოქვეყნების, პროცესის მიმდინარეობის აღრიცხვის წესი და საჯაროობის პირობები.

4. სასამართლო არ არის ვალდებული გამოიყენოს კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

მუხლი 94. 1. სახელმწიფო საბჭო და ჩვეულებრივი ადმინისტრაციული სასამართლოები იხილავენ ადმინისტრაციულ დავებს, კანონით განსაზღვრული წესით, ისე, რომ წინააღმდეგობაში არ მოვიდნენ კონტროლის პალატის განსაჯადობასთან.

2. სამოქალაქო სასამართლოები იხილავენ კერძო დავებს, კანონით განსაზღვრული წესით.

3. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით შეიძლება დაინიშნოს კერძო ხასიათის დავების განხილვა ადმინისტრაციულ სასამართლოებში ან ადმინისტრაციული დავებისა — სამოქალაქო სასამართლოებში.

4. ადმინისტრაციული ხასიათის რაიმე სხვა კომპეტენცია კანონით განსაზღვრული წესით შეიძლება გადაეცეს სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სასამართლოებს. ეს კომპეტენცია მოიცავს იძულებით ღონისძიებებს, რომლებიც საჯარო ადმინიტრაციას აიძულებს, დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს. სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულება კანონით განსაზღვრული წესით სავალდებულოა ასევე საზოგადოებრივი სექტორისათვის, მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის.

მუხლი 95. 1. სახელმწიფო საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) შუამდგომლობის საფუძველზე ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოთა მიერ უფლებამოსილების გადამეტებით ან კანონის დარღვევით გამოცემული აქტების გაუქმება;

ბ) შუამდგომლობის საფუძველზე ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ უფლებამოსილების გადამეტებით ან კანონის დარღვევით გამოტანილი გადაწყვეტილებების გადასინჯვა;

გ) არსებითი ხასიათის ადმინისტრაციული დავების სასამართლო განხილვა კონსტიტუციისა და კანონების შესაბამისად;

დ) ნებისმიერი ზოგადი მარეგულირებელი ხასიათის დეკრეტის შემუშავება.

2. 93-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებები არ შეეხება წინა პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპეტენციას.

3. სასამართლო პროცესი სახელმწიფო საბჭოს განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებზე მისი სამართლებრივი ბუნებიდან და მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე შეიძლება კანონით დაექვემდებაროს ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ სასამართლოებს. სახელმწიფო საბჭოს კანონით განსაზღვრული წესით გააჩნია მეორე ინსტანციის იურისდიქცია.

4. სახელმწიფო საბჭოს ფუნქციები მოწესრიგებულია და ხორციელდება სპეციალური კანონის შესაბამისად.

5. საჯარო ადმინისტრაცია ვალდებულია დაემორჩილოს სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამ მოვალეობის შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას კანონით განსაზღვრული წესით.

მუხლი 96. 1. დანაშაულისათვის სასჯელის დაკისრება და სისხლის სამართლის კანონებით განსაზღვრული ზომების მიღება სისხლის სამართლის მუდმივი სასამართლოების პრეროგატივაა.

2. კანონით შესაძლებელია დადგენილ იქნეს შემდეგი ზომების განხორციელება:

ა) პოლიციური ფუნქციების შემსრულებელ ორგანოებს დაეკისროთ ჯარიმით დასჯადი პოლიციური სამართალდარღვევების განხილვა;

ბ) იმ ქმედებების გამო სასამართლო პროცესის დანიშვნა, რომელიც უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო საკუთრებას და მასთან დაკავშირებულ კერძო დავებს აგრარული ორგანოების მიმართ.

ორივე შემთხვევაში დასაშვებია კომპეტენტური ჩვეულებრივი სასამართლოს წინაშე სააპელაციო წესით გასაჩივრება; გასაჩივრება წყვეტს საქმის განხილვას.

3. სპეციალური კანონით რეგულირდება არასრულწლოვანების საქმეთა სასამართლოებთან დაკავშირებული საკითხები. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება 93-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და 97-ე მუხლით განსაზღვრული დებულებები. ამ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოებმა გადაწყვეტილება უნდა გამოიტანონ დახურულ სხდომაზე.

4. სპეციალური კანონები შეეხება:

ა) სამხედრო, საზღვაო და საჰაერო ძალების სასამართლოებს, რომლებიც არ იხილავენ საქმეებს სამოქალაქო პირების მიმართ;

ბ) პრიზის სასამართლოებს, რომლებიც წყვეტენ სამხედრო ნადავლის მიკუთვნების საკითხს.

5. სასამართლოები, რომლებიც წინა პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად იქმნება, ძირითადად უნდა შედგებოდეს შეიარაღებული ძალების სასამართლო ხელისუფლების წევრებისაგან, რომელთაც აქვთ კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფუნქციური და პირადი დამოუკიდებლობა. 93-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების დებულებები შეეხება ამ სასამართლოების სხდომებსა და განხილვებს. საკითხები, რომლებიც შეეხება ამ პუნქტის დებულებებს, ასევე მათი ძალაში შესვლის დრო განისაზღვრება კანონით.

მუხლი 97. 1. სისხლის სამართლისა და პოლიტიკური დანაშაულები განიხილება ნაფიც მსაჯულთა შერეული სასამართლოების მიერ, რომლებიც იქმნებიან მუდმივ მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთაგან კანონით განსაზღვრული წესით. ამ სასამართლოთა გადაწყვეტილებები გამოტანილ უნდა იქნეს განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

2. სისხლის სამართლისა და პოლიტიკური დანაშაულები, რომლებიც კონსტიტუციის ძალაში შესვლის მომენტისათვის განსახილველად გადაცემული აქვთ სააპელაციო სასამართლოებს, განიხილება მათ მიერ, თუ კანონი მათ ნაფიც მსაჯულთა შერეულ სასამართლოებს არ გადასცემს. აღნიშნული სააპელაციო სასამართლოების განსჯადობას კანონით შეიძლება მიეკუთვნოს აგრეთვე სხვა სისხლის სამართლის დანაშაულები.

3. პრესის საშუალებით ჩადენილი ყველა დანაშაული განეკუთვნება მუდმივი სისხლის სამართლის სასამართლოების იურისდიქციას, კანონით განსაზღვრული წესით.

მუხლი 98. 1. კონტროლის პალატის უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) სახელმწიფოს ხარჯების, ასევე სპეციალური კანონებით მის კონტროლს დაქვემდებარებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და საჯარო სამართლის სხვა იურიდიულ პირთა ხარჯების აუდიტი;

ბ) დიდი ფინანსური ღირებულების ხელშეკრულებათა აუდიტი, რომლითაც საზოგადოებრივი სექტორი ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი მიკუთვნებულია ერთი და იმავე კატეგორიისთვის, რადგან საზოგადოებრივი სექტორი კანონით განსაზღვრული წესით ამ მხრივ არის კონტრაქტის პარტნიორი;

გ) სახელმწიფოსადმი ანგარიშვალდებულ პირთა და „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ორგანოთა ანგარიშების კონტროლი;

დ) რეკომენდაციების გაცემა იმ კანონპროექტების მიმართ, რომლებიც შეეხება 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად პენსიის უფლების მინიჭებას, ასევე სხვა საკითხები კანონით განსაზღვრული წესით;

ე) 79-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად ფინანსური დებულებისა და სახელმწიფოს საბალანსო ფურცლის ანგარიშის მომზადება და პარლამენტისთვის გადაცემა;

ვ) პენსიის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებული დავების განხილვა;

ზ) სასამართლო განხილვის ჩატარება იმ შემთხვევებში, რომლებიც უკავშირდება სამოქალაქო ან სამხედრო მოსამსახურეების პასუხისმგებლობას და ასევე მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოხელეთა პასუხისმგებლობას განზრახ ან გაუფრთხილებლობით, სახელმწიფოს, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ან საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ მიყენებული ზიანის გამო.

2. კონტროლის პალატის ფუნქციები ხორციელდება კანონით განსაზღვრული წესით. 93-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებები არ გამოიყენება წინა პუნქტის „ა-დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საქმეებზე კონტროლის პალატის გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება სახელმწიფო საბჭოს მხრიდან კონტროლს.

მუხლი 99. 1. სასამართლოს მოხელეთა მიერ კანონის დარღვევით გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული სარჩელები კანონით განსაზღვრული წესით განიხილება სპეციალური სასამართლოს მიერ, რომელიც შედგება სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისა და ერთი წევრისგან, უზენაესი სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოს ერთი მოსამართლისგან, კონტროლის პალატის საბჭოს ერთი წევრისგან, ქვეყნის უნივერსიტეტების სამართლის სკოლების სამართლის ორი პროფესორისაგან და ხმათა უმრავლესობით ადვოკატთა უზენაესი დისციპლინარული საბჭოს წევრთაგან არჩეული ორი ადვოკატისაგან.

2. მოსამართლეთა კორპუსს მიკუთვნებული სპეციალური სასამართლოს წევრის ქმედებები ან შეცდომები, რისთვისაც მოწვეულია სასამართლო, წარედგინება მოსამართლეს. სახელმწიფო საბჭოს ან ჩვეულებრივი ადმინისტრაციული სა-

სამართლოების მოხელის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემთხვევაში სპეციალური სასამართლო უნდა შედგეს უზენაესი სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით.

3. სარჩელის შეტანა არ საჭიროებს რაიმე სპეციალური სახის ნებართვას.

მუხლი 100. 1. უნდა შეიქმნას უმაღლესი სპეციალური სასამართლო, რომლის კომპეტენციაში შედის:

ა) 58-ე მუხლით გათვალისწინებული პროტესტის განხილვა;

ბ) 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით ჩატარებული რეფერენდუმის ნამდვილობისა და შედეგების შემოწმება;

გ) დეპუტატის თანამდებობრივ შეუთავსებლობასთან და მისთვის მანდატის ჩამორთმევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანა;

დ) სასამართლოებს შორის დავის გადაწყვეტა;

ე) კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის გადაწყვეტა;

ვ) საერთაშორისო სამართლის ნორმების აღიარებასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული სასამართლო უნდა შედგებოდეს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისაგან, უზენაესი სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოს თავმჯდომარისაგან, კონტროლის პალატის თავმჯდომარისაგან, სახელმწიფო საბჭოს ოთხი წევრისაგან და უზენაესი სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოს ოთხი წევრისაგან, რომლებიც ირჩევიან კენჭისყრით ორწლიანი ვადით. სასამართლოს თავმჯდომარეობს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ან უზენაესი სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოს თავმჯდომარე, ასაკით უხუცესობის მიხედვით.

წინა პუნქტის „დ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს შემადგენლობა იზრდება და მოიცავს ორ სამართლის პროფესორს ქვეყნის უნივერსიტეტების იურიდიული ფაკულტეტებიდან, რომლებიც აირჩევიან კენჭისყრით.

3. სასამართლოს ორგანიზაცია და ფუნქციონირება, მოსამართლეთა დანიშვნის ან შეცვლის საკითხები, აგრეთვე საქმეთა განხილვის პროცედურა განისაზღვრება სპეციალური კანონით.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას. არაკონსტიტუციურად გამოცხადებული კანონის დებულება ძალადაკარგულად ითვლება გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან ან ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ვადის ამოწურვისთანავე.

5. როდესაც სახელმწიფო საბჭოს, უზენაესი სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოს ან კონტროლის პალატის განყოფილება ან დეპარტამენტი ჩათვლის, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი კონსტიტუციასთან შეუსაბამოა, ეს საკითხი უნდა გადაეცეს სათანადო პლენუმს, თუ ეს საკითხი უკვე არ არის გადაწყვეტილი პლენუმის ან ამ მუხლის წინა პუნქტით გათვალისწინებული სპეციალური უმაღლესი სასამართლოს მიერ. პლენუმი უნდა ჩა-

ტარდეს სასამართლოსათვის დადგენილი წესით და მან გარკვეით უნდა გადაწყვიტოს საკითხი კანონის შესაბამისად. ეს დებულება ანალოგიურად ვრცელდება სახელმწიფო საბჭოს მიერ მარეგულირებელი ბრძანებულებების შემუშავებასთან დაკავშირებით.

მუხლი 100. სახელმწიფოს იურიდიული საბჭოს დაარსებასა და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე ამ საბჭოს მოხელეთა და თანამშრომელთა სამსახურებრივ სტატუსთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება კანონით განსაზღვრული წესით. სახელმწიფოს იურიდიული საბჭოს უფლებამოსილებაა სახელმწიფოს სამართლებრივი წარმომადგენლობა, სახელმწიფოს წინააღმდეგ აღძრული სარჩელების აღიარება და ამგვარი დავების მოგვარება. 88-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებისა და 90-ე მუხლის მე-5 პუნქტის დებულებები ანალოგიურად ვრცელდება სახელმწიფოს იურიდიული საბჭოს ძირითად მომსახურე პერსონალზე.

VI განყოფილება
მმართველობა
პირველი თავი
მმართველობის ორგანიზაცია

მუხლი 101. 1. სახელმწიფო მმართველობა ხორციელდება დეცენტრალიზაციის პრინციპის საფუძველზე.

2. ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფა ხორციელდება გეოეკონომიკური, სოციალური და სატრანსპორტო პირობების გათვალისწინებით.

3. რეგიონის თანამდებობის პირებს გააჩნიათ გადამწყვეტი უფლებამოსილება თავიანთ რეგიონებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ცენტრალური ხელისუფლების თანამდებობის პირებს სპეციალური უფლებების გარდა უნდა ჰქონდეთ კანონით განსაზღვრული წესით რეგიონის თანამდებობის პირთა საქმიანობის ძირითადი მიმართულების განსაზღვრის, კოორდინაციისა და კანონიერების კონტროლის უფლება.

განმარტებითი დებულება:

კანონმდებელი და საჯარო ადმინისტრაცია, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, ვალდებულნი არიან მხედველობაში მიიღონ კუნძულოვან რეგიონებთან დაკავშირებული განსაკუთრებული გარემოებები.

მუხლი 101. 1. იმ შემთხვევებში, როდესაც კონსტიტუცია განსაზღვრავს დამოუკიდებელი ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესს, მათი წევრები უნდა დაინიშნონ განსაზღვრული ვადით და კანონით განსაზღვრული წესით უნდა ჰქონდეთ პიროვნული და სამსახურებრივი დამოუკიდებლობა.

2. კანონით რეგულირდება საკითხები, რომლებიც შეეხება დამოუკიდებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველსაყოფად შექმნილი სამეცნიერო და სხვა სახის სამსახურის მომსახურე პერსონალის სამსახურებრივ სტატუსს. პირები, რომლებიც მსახურობენ დამოუკიდებელ ორგანოებში, უნდა ფლობდნენ კანონით განსაზღვრულ სათანადო კვალიფიკაციას. მათი შერჩევა ხდება პარლამენტის თავმჯდომარის კონფერენციის გადაწყვეტილებით ერთხმად ან ოთხი მეხუთედის უმრავლესობით. არჩევის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად წესრიგდება პარლამენტის რეგლამენტით.

3. საკითხები, რომლებიც ეხება ურთიერთობას დამოუკიდებელ ორგანოებსა და პარლამენტს შორის და რომელშიც ხორციელდება პარლამენტის კონტროლი, რეგულირდება პარლამენტის რეგლამენტით.

მუხლი 102. 1. ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეთა მართვა წარმოადგენს პირველი და მეორე დონის ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა კომპეტენციას. ადგილობრივ საქმეთა მართვისას კომპეტენციათა გამიჯვნის არარსებობისას ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა სასარგებლოდ მოქმედებს კომპეტენციის პრეზუმფცია. კანონით განისაზღვრება ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეთა კატეგორიები, ასევე მათი მიკუთვნება კონკრეტული დონეებისათვის. კანონით შეიძლება განხორციელდეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოთათვის სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციის გადაცემა.

2. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს აქვთ ადმინისტრაციული და ფინანსური დამოუკიდებლობა. მათი არჩევა ხდება საყოველთაო არჩევნებითა და ფარული კენჭისყრით, კანონით განსაზღვრული წესით.

3. კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სამუშაოთა შესრულება ან მომსახურების გაწევა სავალდებულო ან ნებაყოფლობითი ასოციაციების მიერ, რომლებიც იმართებიან არჩეული თანამდებობის პირების მიერ.

4. სახელმწიფო ახორციელებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ზედამხედველობას, რაც უნდა მოიცავდეს მხოლოდ კანონიერების კონტროლს და არ უნდა ზღუდავდეს ამ ორგანოთა ინიციატივასა და მოქმედების თავისუფლებას. კანონიერების კონტროლი უნდა განხორციელდეს კანონით განსაზღვრული წესით. იმ შემთხვევათა გარდა, როდესაც ავტომატურად ხდება სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერება ან შეწყვეტა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების თანამდებობების პირთა მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ საბჭოს თანხმობით, რომელიც კანონით განსაზღვრული წესით უმეტესწილად მუდმივი მოსამართლეებისაგან შედგება.

5. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და მათი ფუნქციების განსახორციელებლად აუცილებელი საკანონმდებლო, მარეგულირებელი და ფისკალური ზომები. ამ მიზნით გაცემული თანხების განკარგვა უნდა მოხდეს გამჭვირვალედ. საკითხები, რომლებიც შეეხება ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს

შორის კომპეტენციის განაწილებასა და ამ ორგანოთა ბიუჯეტში შემავალ გადასახადებს, განისაზღვრება კანონით. სახელმწიფოს ცენტრალური ან რეგიონალური ორგანოების თანამდებობის პირთა მიერ ადგილობრივი მმართველობის ორგანოთათვის კომპეტენციათა გადაცემის ყოველ შემთხვევას უკავშირდება ასევე შესაბამისი თანხების ტრანსფერი. კანონით განისაზღვრება საკითხები, რომლებიც უკავშირდება უშუალოდ ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა მიერ ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღებასა და შეგროვებას.

მეორე თავი
ადმინისტრაციის მოხელეთა სტატუსი

მუხლი 103. 1. საჯარო მოსამსახურეები არიან სახელმწიფოს ნების აღმასრულებლები და ემსახურებიან ხალხს. მათთვის აუცილებელი თვისებები და მათი დანიშვნის წესი განისაზღვრება კანონით.

2. არავინ შეიძლება დაინიშნოს კანონით დაუმტკიცებელ საშტატო თანამდებობაზე. კანონით განისაზღვრება სასწრაფო და გაუთვალისწინებელი საჭიროებისათვის კერძო სამართლით გათვალისწინებული წესით გარკვეული ვადით პერსონალის დაქირავების გამონაკლისი შემთხვევები.

3. სპეციალური სამეცნიერო, აგრეთვე ტექნიკური და დამხმარე პერსონალის საშტატო თანამდებობების დაკავება ხდება კერძო სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველზე. კანონით განისაზღვრება თანამდებობის დაკავების ვადა და პერსონალისათვის მინიჭებული სპეციალური გარანტიები.

4. საშტატო თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურეები ითვლებიან უცვლელად მათი თანამდებობების არსებობის ვადით. მათი შრომის ანაზღაურება იზრდება კანონით განსაზღვრული წესით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირი პენსიაზე გადის ასაკობრივი ზღვარის გადაჭარბების გამო ან დათხოვნილია სასამართლოს გადაწყვეტილებით. გარდა ამ შემთხვევებისა, საჯარო მოსამსახურეები არ შეიძლება მათი თანხმობის გარეშე გადაყვანილ იქნენ სხვა სამუშაოზე, დაქვეითდნენ რანგით ან დათხოვნილ იქნენ სამსახურის საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე, რომლის არანაკლებ ორ მესამედს უნდა შეადგენდნენ საჯარო მოსამსახურეები. ეს გადაწყვეტილება კანონით განსაზღვრული წესით საჩივრდება სახელმწიფო საბჭოში.

5. მუდმივი სამსახურის შესახებ დებულებები კანონის შესაბამისად შეიძლება არ შეეხოთ უმაღლეს საჯარო მოსამსახურეებს, რომელთა თანამდებობები არ შედის სამსახურებრივ იერარქიაში, ელჩის რანგის თანამდებობის პირებს, რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის მოსამსახურეებს, პრემიერ-მინისტრის კანცელარიის მოსამსახურეებს, მინისტრებსა და მათ მოადგილეებს.

6. წინა პუნქტის დებულებები შეეხება პარლამენტის პერსონალს, რომელთა სამართლებრივი სტატუსის სხვა ასპექტები რეგულირდება პარლამენტის რეგ-

ლამენტით, ასევე ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა საჯარო მოსამსახურეებს.

7. სამსახურში მიღება საჯარო ადმინისტრაციაში და უფრო ფართო სახელმწიფო სექტორში, თითოეული შემთხვევისათვის განსაზღვრული წესით, გარდა მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, უნდა მოხდეს კონკურსის წესით ან წინასწარ განსაზღვრულ და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ჩატარებული შერჩევით, დამოუკიდებელი ორგანოების მიერ განხორციელებული კონტროლის ქვეშ.

კანონი განსაზღვრავს გამჭვირვალობის გარანტიების ზრდის მიზნით სპეციალური შერჩევის პროცედურებს ან ადგენს სპეციალური პერსონალის შერჩევის პროცედურას იმ თანამდებობებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ სპეციალური კონსტიტუციური გარანტიების სუბიექტებს.

8. კანონით უნდა განისაზღვროს საჯარო ადმინისტრაციაში და უფრო ფართო სახელმწიფო სექტორში კერძო სამართლებრივი წესით დასაქმების პირობები და ხანგრძლივობა, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა. კანონით დეტალურად უნდა განისაზღვროს პერსონალის მიერ წინა პუნქტით დადგენილ მოვალეობათა შესრულების წესი. ასევე მოვალეობები, რომელთაც წინა სექტორის პერსონალი ახორციელებს. კანონით აკრძალულია მუდმივი დასაქმების კონტრაქტის ვადიან კონტრაქტად ან პირიქით გარდაქმნა. ამ პუნქტის აკრძალვები ეხება ასევე შრომის ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებულ პირებს.

9. ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნასა და კომპეტენციებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება კანონით. ომბუდსმენის ინსტიტუტი ფუნქციონირებს დამოუკიდებელი ორგანოს სახით.

მუხლი 104. 1. წინა მუხლში ჩამოთვლილ პირთაგან არავინ შეიძლება დაინიშნოს შეთავსებით მეორე თანამდებობაზე სახელმწიფო აპარატში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, საჯარო სამართლის სხვა იურიდიულ პირებში, სახელმწიფო საწარმოებში ან საზოგადოებრივი ინტერესების მომსახურებისათვის შექმნილ ორგანიზაციებში. გამონაკლისის წესით დაიშვება შეთავსებით დანიშვნა მეორე თანამდებობაზე სპეციალური კანონის საფუძველზე და მომდევნო პუნქტის შინაარსის გათვალისწინებით.

2. წინა პუნქტში ჩამოთვლილ პირთა ნებისმიერი დამატებითი შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს მათი თანამდებობიდან მიღებულ შემოსავალს.

3. საჯარო მოსამსახურეთა, ასევე ადგილობრივი მმართველობისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოსამსახურეთა სასამართლოსათვის გადასაცემად არ არის საჭირო წინასწარი ნებართვა.

მესამე თავი
ათონის წმინდა მთის სტატუსი

მუხლი 105. 1. ათონის ნახევარკუნძული, დაწყებული მეგალი ვიგლადან მთელი ათონის წმინდა მთის ტერიტორია, მისი ძველი პრივილეგირებული სტატუსის შესაბამისად არის ბერძნული სახელმწიფოს თვითმმართველი ნაწილი, რომლის სუვერენიტეტი ხელშეუხებელია. რელიგიური თვალსაზრისით, ათონის წმინდა მთა არის მსოფლიო პატრიარქიის უშუალო იურისდიქციაში. მასზე მომსახურე ყველა ბერი რელიგიურ სამსახურში მიღების მომენტიდან ყოველგვარი დამატებითი პროცედურის გავლის გარეშე იძენს საბერძნეთის მოქალაქეობას.

2. ათონის წმინდა მთა ამ სტატუსის შესაბამისად მართავს მასზე მდებარე ოც წმინდა მონასტერს, რომელთა შორის არის დანაწილებული ათონის ნახევარკუნძული, რომლის ტერიტორია არ ექვემდებარება იძულებით გასხვისებას. ათონის წმინდა მთის მართვა უნდა განხორციელდეს წმინდა მონასტრების წარმომადგენლების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ წმინდა ერთობას. დაუშვებელია ათონის წმინდა მთის მართვის სისტემის, იერარქიული წყობის, მონასტერთა რაოდენობის, დაქვემდებარებულ პირთა მდგომარეობის შეცვლა. აკრძალულია წმინდა მთაზე სხვა რელიგიების წარმომადგენელთა ცხოვრება.

3. ღვთისმსახურების რეჟიმები და მისი განხორციელების ზუსტი წესი განისაზღვრება ათონის წმინდა მთის წესდებით, რომელიც სახელმწიფოს წარმომადგენელთა თანამშრომლობით შემუშავდება და მიიღება ოცი წმინდა მონასტრის მიერ და რატიფიცირებულია მსოფლიო პატრიარქიისა და საბერძნეთის პარლამენტის მიერ.

4. რელიგიური მსახურების წესის ზუსტი დაცვა რელიგიური თვალსაზრისით ექვემდებარება მსოფლიო პატრიარქიის უმაღლეს ზედამხედველობას, ხოლო ადმინისტრაციული თვალსაზრისით — სახელმწიფოს ზედამხედველობას, რომლის განსაკუთრებულ კომპეტენციაში შედის საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა.

5. აღნიშნული სახელმწიფოებრივი ფუნქციები უნდა განხორციელდეს გუბერნატორის მიერ, რომლის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება კანონით.

კანონმა ანალოგიურად უნდა განსაზღვროს მონასტრის მართვის ორგანოებისა და წმინდა ერთობის სამოსამართლო უფლებამოსილება ისევე, როგორც ათონის წმინდა მთისათვის საბაჟო და საგადასახადო პრივილეგიები.

მეოთხე კარი
სპეციალური, დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

I განყოფილება
სპეციალური დებულებები

მუხლი 106. 1. სოციალური მშვიდობისა და საერთო ინტერესების დასაცავად ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის განვითარების მიზნით სახელმწიფო ახორციელებს ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაციას. სახელმწიფომ ყველა ზომა უნდა მიიღოს, რათა განავითაროს ეროვნული სიმდიდრის წყაროები ატმოსფეროში, მიწის ქვეშ, წყალქვეშ და ხელი შეუწყოს რეგიონალური ეკონომიკისა და განსაკუთრებით მთიანი, კუნძულოვანი და სასაზღვრო რეგიონების განვითარებას.

2. დაუშვებელია კერძო ეკონომიკური ინიციატივის განვითარება პიროვნების თავისუფლების, ადამიანური ღირსების ან ეროვნული ეკონომიკის საზიანოდ.

3. უცხოური კაპიტალის რეექსპორტთან დაკავშირებით 107-ე მუხლით გათვალისწინებული დებულების შესაბამისად, კანონით შეიძლება მოწესრიგდეს საწარმოს გამოსყიდვის ან სახელმწიფოს სავალდებულო მონაწილეობის წესი, თუ ეს საწარმოები ეროვნული სიმდიდრის წყაროების განვითარებისათვის მონოპოლიური ან სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ან წინასწარ გამიზნულია მთელი საზოგადოების მომსახურებისათვის.

4. გამოსყიდვის ფასი ან საკომპენსაციო თანხა სახელმწიფოს ან სხვა საჯაროსამართლებრივი დაწესებულების სავალდებულო მონაწილეობისათვის განისაზღვრება სასამართლო წესით და იგი მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს შეძენილი საწარმოს ფასსა და მასში მონაწილეობის ფარგლებს.

5. იმ საწარმოს აქციონერი, პარტნიორი ან მფლობელი, რომლის კონტროლი ხორციელდება სახელმწიფოს ან სახელმწიფო სააგენტოს მიერ მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სავალდებულო მონაწილეობის შედეგად, უფლებამოსილია მოითხოვოს საწარმოში თავისი წილის კანონის შესაბამისად გამოსყიდვა.

6. კანონით შეიძლება დაზუსტდეს საკითხები, რომლებიც შეეხება იმ პირთა მონაწილეობას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულებისას სახელმწიფოს მიერ გაწეულ ხარჯებში, რომლებიც იღებენ სარგებელს ამ სამუშაოთა შესრულების შედეგად.

განმარტებითი დებულება:

მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ფასში არ შედის საწარმოს მონოპოლისტური ხასიათით გამოწვეული დამატებული ღირებულება.

მუხლი 107. 1. უცხოური კაპიტალის დაცვის შესახებ 1967 წლის 21 აპრილამდე მიღებული კანონმდებლობით დადგენილი რიგითობის ფორმალური წესი ინარჩუნებს იურიდიულ ძალას და გამოიყენება მომავალში იმპორტირებული კაპიტალის მიმართ.

2. იგივე იურიდიული ძალის მქონეა მოცემული „გემების დაბეგვრის, საზღვაო ვაჭრობაში სავალდებულო მონაწილეობის, უცხოური გადამზიდველი კომპანიების დაარსებისა და მათთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების შესახებ“ №27/75 კანონის პირველი კარის I-IV თავების დებულებანი.

3. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან სამი თვის განმავლობაში მიღებული კანონით უნდა დაზუსტდეს №2687/1953 საკანონმდებლო დეკრეტის შესასრულებლად 1967 წლის 21 აპრილიდან 1974 წლის 23 ივლისამდე გამოცემული იმ ადმინისტრაციული აქტების გადასინჯვისა და გაუქმების პირობები და პროცედურა, რომლებიც შეეხება უცხოური კაპიტალის ინვესტირებას, გარდა საბერძნეთის დროშის ქვეშ გემების რეგისტრაციის შესახებ კონტრაქტებისა.

მუხლი 108. 1. სახელმწიფო ზრუნავს საზღვარგარეთ მცხოვრებ ბერძნებზე და სამშობლოსთან მათ კავშირზე. სახელმწიფო ზრუნავს აგრეთვე მათ განათლებაზე, სოციალურ და პროფესიონალურ განვითარებაზე.

2. კანონით განისაზღვრება საზღვარგარეთელ ბერძენთა საბჭოს ორგანიზაცია, ფუნქციები და კომპეტენცია, რომლის დანიშნულებაა მსოფლიოში ბერძენთა ყველა გაერთიანების აზრის გამოხატვა.

მუხლი 109. 1. დაუშვებელია ანდერძის, საანდერძო დანაკისრისა და ჩუქების აქტის შინაარსისა და პირობების შეცვლა იმ დებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება სახელმწიფოს ან საქველმოქმედო მიზნებს.

2. თუ სასამართლო დაადგენს, რომ მოანდერძის ნება-სურვილის შესრულება ამა თუ იმ მიზეზით მთლიანად ან ნაწილობრივ შეუძლებელია ან ეს ნება-სურვილი არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს ქონების სხვაგვარად გამოყენების გზით, მაშინ ქონების გამოყენება დაიშვება მჩუქებლის ან მოანდერძის მიერ განსაზღვრულ რაიონში ან უფრო ვრცელ ტერიტორიაზე საერთო-სასარგებლო ან საქველმოქმედო მიზნით.

3. მემკვიდრეობის რეგისტრაციასთან, სამკვიდრო ქონების აღწერასთან და კლასიფიკაციასთან, მჩუქებლის ან მოანდერძის ნების შესაბამისად სამკვიდროს მართვასთან დაკავშირებული და სხვა ანალოგიური საკითხები მთელი ქვეყნის ან რეგიონის მასშტაბით განისაზღვრება კანონით.

II განყოფილება
კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 110. 1. კონსტიტუციის დებულებები შეიძლება გადაისინჯოს, გარდა იმ მუხლებისა, რომლებიც მმართველობის ფორმად განსაზღვრავენ საპარლამენტო რესპუბლიკას, აგრეთვე მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა, მე-4 მუხლის პირველი, მე-4 და მე-7 პუნქტებისა, მე-5 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და 26-ე მუხლისა.

2. კონსტიტუციის გადასინჯვის აუცილებლობა უნდა დადგინდეს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით, არანაკლებ 50 პარლამენტის წევრის წინადადებით, არანაკლებ ერთი თვის ინტერვალით ჩატარებული ორი კენჭისყრის შედეგად მიღებული პარლამენტის გადაწყვეტილებით. ამ გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს გადასინჯვას დაქვემდებარებული კონსტიტუციური დებულებები.

3. კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ახალმა პარლამენტმა მის პირველ სესიაზე წევრთა სრული შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობით უნდა გადაწყვიტოს კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხი.

4. თუ კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ წინადადება მიიღებს ხმათა უმრავლესობას, მაგრამ მე-2 პუნქტით დადგენილ სამ მეხუთედზე ნაკლებს, ახალი პარლამენტი უფლებამოსილია მის პირველ სესიაზე სამი მეხუთედის უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება კონსტიტუციის დებულებათა გადასინჯვის შესახებ.

5. კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებიდან ათი დღის ვადაში ქვეყნდება სამთავრობო გაზეთში და ძალაში შედის პარლამენტის სპეციალური გადაწყვეტილებით.

6. არ დაიშვება კონსტიტუციის გადასინჯვა წინა გადასინჯვის დამთავრებიდან ხუთი წლის მანძილზე.

III განყოფილება
გარდამავალი დებულებები

მუხლი 111. 1. კანონის ან ადმინისტრაციული აქტის ნებისმიერი დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, გაუქმდება კონსტიტუციის ძალაში შესვლის მომენტიდან.

2. 1974 წლის 24 ივლისიდან მეხუთე გარდამავალი პარლამენტის შეკრებამდე მიღებული კონსტიტუციური აქტები, ისევე, როგორც პარლამენტის გადაწყვეტილებანი იურიდიულ ძალას ინარჩუნებს იმ დებულებებთან დაკავშირებითაც, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას. ისინი შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს კანონით. კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან გაუქმებულია 1974 წლის 3 სექტემბრის კონსტიტუციური აქტის მე-8 მუხლის პირობა, რომელიც შეეხება უნივერსიტეტის პროფესორთა საპენსიო ასაკობრივ ზღვარს.

3. იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 1974 წლის 9 ოქტომბრის პრეზიდენტის №700 საკანონმდებლო დეკრეტის მე-2 მუხლი „კონსტიტუციის მე-5, მე-6, მე-8, მე-10, მე-14, 95-ე და 97-ე მუხლების ძალაში ნაწილობრივ შესვლისა და „საალყო მდგომარეობის შესახებ“ კანონის გაუქმების თაობაზე“ და 1974 წლის 16 ნოემბრის №167 საკანონმდებლო დეკრეტი „სამხედრო ტრიბუნალის გადაწ-

ყვეტილებებზე აპელაციის კანონიერი უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე". ისინი შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს კანონით.

4. 1952 წლის 16 (29) აპრილის პარლამენტის გადაწყვეტილება იურიდიულ ძალას ინარჩუნებს ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში. ამ პერიოდში დაიშვება ამ გადაწყვეტილების მე-3 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული კონსტიტუციური აქტებისა და გადაწყვეტილებების კანონით გაუქმება, ცვლილებების ან დამატებების შეტანა ან აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგაც მთლიანად ან ნაწილობრივ მათი ძალაში დატოვება იმ პირობით, რომ შესწორებული ან ძალაში დატოვებული დებულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ამ კონსტიტუციას.

5. ბერძნებს, რომლებმაც ამა თუ იმ გზით დაკარგეს მოქალაქეობა ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე, სასამართლო მოხელეებისაგან შედგენილი სპეციალური კომისიების გადაწყვეტილებით, კანონით განსაზღვრული წესით აღუდგებათ მოქალაქეობა.

6. „საბერძნეთის მოქალაქეობის კოდექსის დამტკიცების შესახებ" №3370/1955 საკანონმდებლო დეკრეტის მე-19 მუხლის დებულება ძალაში რჩება კანონით მის გაუქმებამდე.

მუხლი 112. 1. იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებზედაც კონსტიტუცია იმპერატიულად ადგენს კანონის მიღების აუცილებლობას, ახალი კანონების მიღებამდე იურიდიულ ძალას ინარჩუნებენ კონსტიტუციის ძალაში შესვლისას მოქმედი კანონები ან მარეგულირებელი ხასიათის ადმინისტრაციული აქტები, გარდა კონსტიტუციის საწინააღმდეგო აქტებისა.

2. 109-ე მუხლის მე-2 და 79-ე მუხლის მე-8 პუნქტების დებულებები ძალაში შედიან თითოეულ მათგანში გათვალისწინებული, 1976 წლის ბოლომდე მისაღები კანონის ძალაში შესვლისას. 109-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კანონის ამოქმედებამდე გამოიყენება კონსტიტუციის ძალაში შესვლის დროისთვის არსებული კონსტიტუციური და საკანონმდებლო წესი.

3. 1974 წლის 5 ოქტომბრის კონსტიტუციური აქტის თანახმად, რომელიც ძალას ინარჩუნებს, პროფესორთა და მასწავლებელთა მოვალეობების შესრულების შეზღუდვა მათი პარლამენტის წევრად არჩევის შემთხვევაში და საპარლამენტო უფლებამოსილების ვადით არ ვრცელდება პედაგოგიურ, სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით საქმიანობაზე და ლაბორატორიულ მუშაობაზე; მაგრამ დაუშვებელია ამ პირთა მონაწილეობა სკოლების მართვასა და მასწავლებელთა პერსონალის არჩევაში ან სტუდენტთა გამოცდებში.

4. სავალდებულო სწავლების ვადასთან დაკავშირებით მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის ამოქმედება უნდა განხორციელდეს ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში მიღებული კანონის საფუძველზე.

მუხლი 113. პარლამენტის რეგლამენტი, ასევე პარლამენტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მასში მითითებული გადაწყვეტილებები და კანონები ძა-

ლაშია პარლამენტის ახალი რეგლამენტის მიღებამდე, გარდა კონსტიტუციის საწინააღმდეგო დებულებებისა.

რაც შეეხება კონსტიტუციის 70-ე და 71-ე მუხლებით განსაზღვრულ პარლამენტის სექციათა ფუნქციებს, დამატებით მოქმედებს პარლამენტის ბოლო რეგლამენტით განსაზღვრული ნორმები, რომლებიც არეგულირებენ 1952 წლის 1 იანვრის კონსტიტუციის 35-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური საკანონმდებლო კომიტეტის საქმიანობას, 1974 წლის 14 დეკემბრის პარლამენტის „ა" გადაწყვეტილების მე-3 მუხლით დადგენილი განსაკუთრებული წესის გათვალისწინებით. კონსტიტუციის 71-ე მუხლით გათვალისწინებული კომიტეტი პარლამენტის ახალი რეგლამენტის ძალაში შესვლამდე უნდა შედგებოდეს 60 მუდმივი და 30 ალტერნატიული წევრისაგან, რომლებიც შეირჩევა პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ყველა პარტიიდან და საპარლამენტო გაერთიანებიდან მათი წარმომადგენლობის პროპორციულად. დავის შემთხვევაში, პარლამენტის ახალი რეგლამენტის მიღებამდე საკითხი გადაწყდება პლენარულ სხდომაზე ან პარლამენტის სექციის მიერ.

მუხლი 114. 1. რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის არჩევა უნდა მოხდეს კონსტიტუციის გამოქვეყნებიდან ორი თვის ვადაში პარლამენტის სპეციალურ სხდომაზე, რომელიც მოიწვევა პარლამენტის თავმჯდომარის მიერ არანაკლებ ხუთი დღით ადრე, პარლამენტის თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით პარლამენტის რეგლამენტის ანალოგიური შინაარსის ნორმათა დაცვით. არჩეული პრეზიდენტი თავის მოვალეობათა შესრულებას შეუდგება პრეზიდენტად არჩევიდან ხუთი დღის ვადაში ფიცის მიღების მომენტიდან.

პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხებთან დაკავშირებული, 49-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კანონი მიღებულ უნდა იქნეს 1975 წლის 31 დეკემბრამდე.

33-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კანონის ამოქმედებამდე ამ კანონით გათვალისწინებული საკითხების მიმართ გამოიყენება რესპუბლიკის დროებითი პრეზიდენტის შესახებ ნორმები.

2. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ახალი პრეზიდენტის უფლებამოსილების დაწყებამდე დროებითი პრეზიდენტი შეასრულებს მის მოვალეობებს მეხუთე გარდამავალი პარლამენტის 1974 წლის 24 დეკემბრის II რეზოლუციაში გათვალისწინებული შეზღუდვებით.

მუხლი 115. 1. 86-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კანონის ამოქმედებამდე სამართლებრივი დევნის განხორციელება, გამოძიების ჩატარება და განაჩენის გამოტანა 49-ე მუხლის პირველი პუნქტითა და 85-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებათა მიმართ მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მე-100 მუხლით გათვალისწინებული კანონი მიღებულ უნდა იქნეს ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადაში. მის ამოქმედებამდე და უმაღლესი სპეციალური სასამართლოს ფუნქციონირების დაწყებამდე:

ა) 55-ე მუხლის მე-2 პუნქტთან და 57-ე მუხლთან დაკავშირებულ დავებს წყვეტს პარლამენტი მისი რეგლამენტის იმ ნორმათა შესაბამისად, რომლებიც შეეხება პირად საკითხებს;

ბ) რეფერენდუმის შედეგებისა და კანონიერების კონტროლი, რომელიც უნდა განხორციელდეს 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ასევე საპარლამენტო არჩევნების კანონიერებასა და შედეგებთან დაკავშირებული სასამართლო დავები 58-ე მუხლის შესაბამისად გადაეცემა 1952 წლის 1 იანვრის კონსტიტუციის 73-ე მუხლით გათვალისწინებულ სპეციალურ სასამართლოს პრეზიდენტის №650/1974 დეკრეტის 116-ე და 117-ე მუხლებით გათვალისწინებული პროცედურის შესასრულებლად;

გ) მე-100 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დავის მოგვარება შედის 1952 წლის 1 იანვრის კონსტიტუციის მე-5 მუხლის შესაბამისად შექმნილი სასამართლოს კომპეტენციაში. აღნიშნული სასამართლოს ორგანიზაციის, საქმიანობისა და საქმის განხილვის პროცედურის მარეგულირებელი კანონები ასევე დროებით რჩება ძალაში.

3. 99-ე მუხლით გათვალისწინებული კანონის ძალაში შესვლამდე საქმეები განიხილება 1952 წლის კონსტიტუციის 110-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლოების მიერ ამ კონსტიტუციის გამოქვეყნების მომენტისათვის მოქმედი პროცედურით.

4. 87-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კანონის ძალაში შესვლამდე, ასევე 90-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული სასამართლო და დისციპლინარული კომიტეტების შექმნამდე ძალაშია ამ კონსტიტუციის ამოქმედების მომენტისათვის იურიდიული ძალის მქონე დებულებები. აღნიშნული საკითხების მომწესრიგებელი კანონები მიღებულ უნდა იქნეს ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს ერთი წლის ვადაში.

5. 92-ე მუხლით გათვალისწინებული კანონების ძალაში შესვლამდე კონსტიტუციის ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი დებულებები უნდა დარჩეს ძალაში. აღნიშნული კანონები მიღებულ უნდა იქნეს კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს ერთი წლის ვადაში.

6. 57-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული სპეციალური კანონი მიღებულ უნდა იქნეს ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ექვსი თვის ვადაში.

7. 57-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პარლამენტის წევრის ფუნქციების შეუთავსებლობა ნებისმიერ პროფესიასთან ძალაში შედის იმავე ნორმით გათვალისწინებული კანონის გამოქვეყნებისთანავე და არა უგვიანეს 2001 წლის 1 იანვრისა.

მუხლი 116. 1. მოქმედი დებულებები, რომლებიც ეწინააღმდეგება მე-4 მუხლის მე-2 პუნქტს, ძალაში რჩება კანონით მათ გაუქმებამდე, მაგრამ არა უგვიანეს 1982 წლის 31 დეკემბრისა.

2. მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით პოზიტიური ზომების მიღება არ წარმოადგენს სქესის საფუძველზე დისკრიმინაციას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უთანასწორობის არსებული, განსაკუთრებით კი ქალებთან დაკავშირებული შემთხვევების აღმოფხვრა.

3. მინისტრის მარეგულირებელი ხასიათის გადაწყვეტილებები, ისევე, როგორც კოლექტიურ შეთანხმებათა დებულებები ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები, რომლებიც ადგენენ შრომის ანაზღაურებას და ეწინააღმდეგებიან 22-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებებს, იურიდიულ ძალას უნარჩუნებენ მათ შეცვლამდე, რაც უნდა განხორციელდეს ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს სამი წლის ვადაში.

მუხლი 117. 1. 1967 წლის 21 აპრილამდე 1952 წლის კონსტიტუციის 104-ე მუხლის შესასრულებლად მიღებული კანონები ამ კონსტიტუციის შესაბამისად ითვლებიან და ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

2. დასაშვებია მე-17 მუხლის დებულებებისაგან გადახვევით დღესდღეობით მოქმედი სასოფლო-სამეურნეო მიწის და სხვა უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებების რეგულირება და გაუქმება, სახნავ-სათეს მიწებზე სრული საკუთრების უფლების გამოსყიდვა, აგრეთვე საკუთრების სპეციფიკური ურთიერთობების რეგულირება და გაუქმება.

3. საზოგადოებრივი ან კერძო ტყეები ან ტყის მასივები, რომლებიც განადგურდა ან ნადგურდება ხანძრის მიერ ან სხვა გზით, არ კარგავენ თავის პირვანდელ დანიშნულებას და სავალდებულო წესით ექვემდებარებიან აღდგენას. უნდა გამორიცხოს მათი სხვა დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობა.

4. კერძო პირთა, კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა კუთვნილი ტყეებისა და ტყის მასივების ექსპროპრიაცია ნებადართულია მხოლოდ სახელმწიფოს სასარგებლოდ, მე-17 მუხლით განსაზღვრული წესით, მათი დანიშნულების შეცვლის გარეშე.

5. ექსპროპრიაცია, რომელიც გამოცხადდა ან ცხადდება ექსპროპრიაციის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანამდე უნდა განხორციელდეს მისი გამოცხადების მომენტში ძალაში მყოფი ნორმების შესაბამისად.

6. 24-ე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების დებულებები შეეხება საცხოვრებელ ოლქებს, რომლებიც ასეთებად მიიჩნევა ამ პუნქტებით გათვალისწინებული კანონების ძალაში შესვლის შემდეგ.

7. მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შეცვლილი დებულება ძალაში შედის შესაბამისი კანონის ძალაში შესვლისთანავე და ნებისმიერ შემთხვევაში არა უგვიანეს 2002 წლის 1 იანვრისა.

მუხლი 118. 1. ამ კონსტიტუციის ამოქმედებიდან სასამართლოს მოხელეები, დაწყებული სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ან პროკურორის, მათთან გათანაბრებული ან უფრო მაღალი რანგიდან, სამსახურს ტოვებენ ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე, სამოცდაათი წლის ასაკის მიღწევისას. 1977 წლიდან ასაკობრივი ცენზი შემცირდება ყოველწლიურად თითო წლით, სამოცდაშვიდი წლის ასაკამდე.

2. უმაღლესი სასამართლოს იმ მოხელეთა საქმეები, რომლებიც არ მსახურობდნენ „სასამართლო ხელისუფლებაში წესრიგისა და ჰარმონიის აღდგენის შესახებ" 1974 წლის 4/5 სექტემბრის კონსტიტუციური აქტის გამოცემის მომენტში და რომლებიც ამ აქტის საფუძველზე თანამდებობრივად ჩამოქვეითებულ იქნენ, მათი დაწინაურების დროის გათვალისწინებით, თუ მათ დაკისრებული აქვთ დისციპლინური სახდელი ამ კონსტიტუციური აქტის მე-6 მუხლის შესაბამისად, შესაბამისი მინისტრის მიერ აუცილებლად უნდა გადაეცეს უმაღლეს დისციპლინარულ საბჭოს ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში.

უმაღლესი დისციპლინარული საბჭო გადაწყვეტს, შელახა თუ არა დაწინაურების პირობებმა პირის ავტორიტეტი და სპეციფიური სამსახურებრივი მდგომარეობა და მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, პირის მიერ დაკავებული თანამდებობისა და ამ თანამდებობასთან დაკავშირებული უფლებების ავტომატურად აღდგენის ან არ აღდგენის შესახებ. ამასთან, გამორიცხულია განელილი პერიოდისათვის იძულებით გაცდენილი ანაზღაურება ან პენსიის გადახდა. გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს საბჭოსათვის საქმის გადაცემიდან სამი თვის ვადაში.

რანგით დაქვეითებული და შემდგომში გარდაცელილი სასამართლო მოხელის უახლოესი ნათესავები სარგებლობენ ყველა უფლებით, რომელიც გააჩნიათ იმ პირებს, რომელთა საქმე განსახილველად გადაეცა უმაღლეს დისციპლინარულ საბჭოს.

3. 101-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მიღებამდე ძალაშია პუნქტები, რომლებიც შეეხება ცენტრალურ და რეგიონალურ სამსახურებს შორის უფლებამოსილებათა განაწილებას. ეს დებულებები შეიძლება შეიცვალოს ცენტრალური სამსახურის მიერ რეგიონალურისათვის სპეციალური უფლების გადაცემით.

4. 89-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შეცვლილი დებულებები ძალაში შედის შესაბამისი კანონის ძალაში შესვლისთანავე და ნებისმიერ შემთხვევაში არა უგვიანეს 2002 წლის 1 იანვრისა.

5. მაღალი ინსტანციის სასამართლოთა თავმჯდომარეები, უზენაესი სასამართლოს სახელმწიფო პროკურორი, ადმინისტრაციულ სასამართლოთა და კონტროლის პალატის გენერალური კომისიონერები ისევე, როგორც სახელმწიფოს ურიდიული საბჭოს თავმჯდომარე, რომლებიც მსახურობენ 90-ე მუხლის შეცვლილი მე-5 პუნქტის ძალაში შესვლის მომენტში, პენსიაზე უნდა გავიდნენ 88-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

6. უზენაესი პერსონალის შერჩევის საბჭოს კომპეტენციიდან გამონაკლისები გათვალისწინებულია 2190/1994 კანონში, რომელიც ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

7. საკანონმდებლო აქტები, რომლებიც შეეხება 103-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული პერსონალის სამსახურებრივი სტატუსის შეწყვეტას, იურიდიულ ძალას ინარჩუნებენ სათანადო პროცედურების დასრულებამდე.

მუხლი 119. 1. კანონით შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერი ფორმით არსებული 1967 წლის 21 აპრილიდან 1974 წლის 23 ივნისამდე გამოცემული აქტების გაუქმებაზე შუამდგომლობის დაუშვებლობის შესახებ დებულება მიუხედავად იმისა, შეტანილი იყო ასეთი შუამდგომლობა თუ არა. ამასთანავე ნებისმიერ შემთხვევაში გამოირიცხება განვლილი პერიოდის შემოსავლის გადახდა იმ პირთათვის, რომლებიც გამართლებულ იქნენ ამ საკანონმდებლო პროცედურის შედეგად.

2. სამხედრო ან სამოქალაქო მოსამსახურეებმა, რომლებიც კანონის ძალით იქნენ აღდგენილნი სახელმწიფო აპარატში თავიანთ თანამდებობაზე, თუ მათ მიიღეს პარლამენტის წევრის სტატუსი, რვადღიან ვადაში უნდა განაცხადონ დეპუტატის მანდატსა და სახელმწიფო აპარატში თანამდებობას შორის არჩევანის გაკეთების შესახებ.

IV განყოფილება
დასკვნითი დებულებები

მუხლი 120. 1. ეს კონსტიტუცია, რომელიც მიღებულ იქნა ელინთა მეხუთე გარდამავალი პარლამენტის მიერ, გამოქვეყნდება რესპუბლიკის დროებითი პრეზიდენტის მიერ სამთავრობო გაზეთში კაბინეტის მიერ დამოწმებული დეკრეტის გამოცემის გზით და ძალაში შედის 1975 წლის 11 ივნისიდან.

2 ყველა ბერძენის მოვალეობაა კონსტიტუციისა და მისი თანამდევი კანონების პატივისცემა, სამშობლოსა და დემოკრატიის ერთგულება.

3. სახალხო სუვერენიტეტისა და მისგან გამომდინარე ხელისუფლების უზურპაცია ექვემდებარება სამართლებრივ დევნას კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთანავე; ამ მომენტიდანვე აითვლება ხანდაზმულობის ვადა ამ დანაშაულისათვის.

4. კონსტიტუციის დაცვის გარანტიას წარმოადგენს ბერძენთა პატრიოტიზმი, რომელთა უფლება და მოვალეობაა ყველა ხერხითა და საშუალებით წინააღმდეგობა გაუწიონ კონსტიტუციის ძალადობრივი გზით გაუქმების ყველა მცდელობას.

საფრანგეთის რესპუბლიკა



ზოგადი ცნობარი
შესავალი

ჩვ. წ. აღრიცხვამდე 58-51 წ.წ. გალია (თანამედროვე საფრანგეთი) დაპყრეს და 500 წლის მანძილზე მართავდნენ რომაელები. ჩვ.წ.აღრიცხვით V საუკუნის ბოლოს გალია დაიპყრეს ფრანკებმა და შექმნეს სამეფო. მონარქია დამხობილ იქნა დიდი ფრანგული რევოლუციის შედეგად 1789 წელს. 1792 წელს საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ შეიქმნა კონსტიტუციური მონარქია (1815 წელს), რომელმაც 1848 წლამდე, რესპუბლიკის შემოღებამდე იარსება. მეორე რესპუბლიკა შეიქმნა 1852 წელს. 1871 წელს საფრანგეთში დამყარდა რესპუბლიკური მმართველობა.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: დასავლეთ ევროპა; აღმოსავლეთით ესაზღვრება შვეიცარია და იტალია, ჩრდილოეთით – ბელგია და ლუქსემბურგი, ჩრდილო-აღმოსავლეთით – გერმანია, სამხრეთით კი – ესპანეთი და ანდორა.

ფართობი: სულ: 547 030 კმ^2; ხმელეთი: 545 630 კმ^2; წყალი: 1 400 კმ^2. შენიშვნა: შეიცავს მხოლოდ საფრანგეთს, ზღვისიქითა ადმინისტრაციული ერთეულების გარეშე.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ქვანახშირი, რკინა, ბოქსიტი, თუთია, პოტაში, ურანი, დარიშხანი, კალაქვა, მინდვრის შპატი, ხე-ტყე, თევზი.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 64 057 790 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 18.6% (კაცი 6 091 571; ქალი 5 803 127);
15-64 წლის: 65.2% (კაცი 20 884 919; ქალი 20 849 988);
65 წლის და ზემოთ: 16.3% (კაცი 4 335 996; ქალი 6 092 189) (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 0.574% (2008);

შობადობა: 12.73 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 8.48 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: 1.48 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2005);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 80.87 წელი; კაცი: 77.68; ქალი: 84.23 (2008).

მოქალაქეობა: საფრანგეთის

ეთნიკური ჯგუფები: კელტები, ლათინები, სლაევები, საშხრეთ აფრიკელები, ინდოჩინელები, ბასკები.

რელიგია: კათოლიკე 83%-88%, მუსულმანი 5%-10%, პროტესტანტი 2%, იუდეველი 1%, სხვა 4%.

ენა: ფრანგული 100%, ასევე რეგიონული დიალექტები და ენები.

განათლებულობა: სრული მოსახლეობის: 99%; კაცი 99%; ქალი 99% (2003);

განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ერცელი ფორმა: საფრანგეთის რესპუბლიკა;
მოკლე ფორმა: საფრანგეთი;
ადგილობრივი ერცელი ფორმა: ღეპუბლიკ ფღანსეზ;
ადგილობრივი მოკლე ფორმა: ფღანს

სახელმწიფოს ფორმა: შერეული რესპუბლიკა

დედაქალაქი: პარიზი

ადმინისტრაციული ერთეულები: 22 მეტროპოლიური რეგიონი და 4 ზღვისიქითა ტერიტორია. მეტროპოლიური რეგიონები იყოფა 96 დეპარტამენტად, ხოლო ზღვისიქითა ტერიტორიები — რეგიონის ტერიტორიის შესაბამის 4 ზღვისიქითა დეპარტამენტად.

ზღვისიქითა ტერიტორიები: საფრანგეთის გვიანა, გვადელუპა, მარტინიკა, რეიუნიონი.

დამოკიდებული ტერიტორიები: კლიპერტონის კუნძული, ფრანგული სამხრეთის და ანტარქტიკის მიწები, ახალი კალედონია და სხვ.

დამოუკიდებლობა: 486 წელი

ეროვნული დღესასწაული: ბასტილიის დღე – 14 ივლისი (1789);

აღმასრულებელი ხელისუფლება:

სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი ნიკოლას სარკოზი (2007 წლის 16 მაისიდან);

არჩევნების შედეგები: ნიკოლას სარკოზი არჩეული იქნა 2007 წლის 6 მაისს მეორე ტურში. პირველ ტურში მან მიიღო ხმათა 31.18%, ხოლო მეორე ტურში – 53.1%.

სამინისტროები: სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის სამინისტრო; კულტურისა და კომუნიკაციების სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; ეკოლოგიის, ენერგეტიკის, მდგრადი განვითარების, საქალაქო და ტერიტორიული დაგეგმვის (რეგიონალური განვითარების) სამინისტრო; ეკონომიკის, მრეწველობისა და დასაქმების სამინისტრო; საგარეო და ევროპულ საქმეთა სამინისტრო; შინაგან საქმეთა, ზღვისიქითა საფრანგეთისა და ტერიტორიული ერთეულების სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; იმიგრაციის, ინტეგრაციის, ეროვნული თვითმყოფადობისა და ურთიერთმხარდაჭერის განვითარების სამინისტრო; განათლების სამინისტრო; მშენებლობისა და ურბანულ საკითხთა სამინისტრო; საბიუჯეტო, სახელმწიფო შემოსავლებისა და სამოქალაქო სამსახურის სამინისტრო; უმაღლესი განათლებისა და კვლევის სამინისტრო; შრომის, შრომითი ურთიერთობების, ოჯახისა და სოლიდარობის სამინისტრო; ჯანმრთელობის, სპორტისა და მოხალისეთა სექტორის სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება:

პარლამენტი შედგება ორი პალატისგან: სენატისგან, რომელშიც 6 წლის ვადით არაპირდაპირ არჩეული 321 წევრია და 577 ადგილიანი ეროვნული კრებისგან (მისი წევრები აირჩევიან 5 წლის ვადით საყოველთაო კენჭისყრით);

არჩევნები: სენატის არჩევნები უკანასკნელად ჩატარდა 2004 წლის 26 სექტემბერს, ხოლო ერონული კრების – 2007 წლის 10-17 ივნისს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: მოქალაქეთა და რესპუბლიკური მოძრაობა, დემოკრატიული და ევროპული სოციალური გაერთიანება, კომუნისტური პარტია, მემარცხენე რადიკალური პარტია, მოძრაობა საფრანგეთისათვის, ეროვნული ფრონტი, სოციალისტური პარტია, მწვანეები, კავშირი საფრანგეთის დემოკრატიისათვის, კავშირი სახალხო მოძრაობისათვის.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: ქვეყნის ფარგლებში ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის დიდი ნაწილი მოდის პარიზზე, სადაც მომუშავეთა 20%-ია დასაქმებული. საფრანგეთი გამოირჩევა მოსახლეობის დასაქმების მაღალი მაჩვენებლით. 1998

წლისთვის შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 11.8% იყო დაუსაქმებელი. დასაქმებულთა საერთო რაოდენობა კი 22.7 მილიონ ადამიანს შეადგენდა.

საფრანგეთში მოქმედებს „შერეული ეკონომიკის" პრინციპი, სადაც ეკონომიკური საქმიანობის მართვაში მონაწილებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორი. საფრანგეთს 1947 წლიდან გააჩნია გეგმური ეკონომიკის ტრადიციები. ამ გეგმების ხასიათი და მიზნები სხვადასხვა დროს მნიშვნელოვნად იცვლებოდა.

საფრანგეთი მსოფლიოში მეოთხე ქვეყანაა ავტომობილების წარმოებით. 1997 წელს გამოშვებულ იქნა 4 მილიონი ავტომობილი. ძირითადი მწარმოებლებია „რენო" და „პეჟო". ქიმიურ წარმოებაში 1997 წელს დასაქმებული იყო 276.9 ადამიანი. ტრადიციულია ტექსტილის წარმოება. ამგვარი სახის დიდ საწარმოებში 1997 წლისთვის დასაქმებული იყო 303 ათასი ადამიანი. მთავარი ტექსტილური საწარმოები სამხრეთ საფრანგეთშია. სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობით საფრანგეთი მეოთხე ადგილზეა. მასში დასაქმებულია მუშა-მოსამსახურეთა 18%.

საფრანგეთი გამოირჩევა განსაკუთრებული ლანდშაფტით, მრავალგვარი კულტურის ძეგლებით, ცნობილი სამზარეულოთი და ღვინოებით, რაც ფართოდ იზიდავს ტურისტებს. 1996 წელს ქვეყანაში შემოვიდა 62.4 უცხოელი ტურისტი. ტურიზმის სფეროში დასაქმებულია 1.5 მილიონი ადამიანი.
განვითარებულია ასევე საბანკო სისტემაც, სადაც ძირითადად სამი წამყვანი ბანკი ფუნქციონირებს: „კრედი აგრიკოლი", „ბანკ ნაციონალ დე პარი" და „კრედი ლიონე". ეს უკანასკნელი შედის მსოფლიოს ბანკთა ათეულში.

ენერგეტიკული რესურსებიდან გამოიყენება ქვანახშირი, ნავთობი და გაზი. 1970-იანი წლებიდან ასევე აქტიურად მუშავდება ატომური ენერგიის გამოყენების საკითხიც.

საფრანგეთი მეორე ქვეყანაა მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის მხრივ. მას გააჩნია 30 მილიონი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწები, რომლებიც მაღალი პროდუქტიულობით გამოირჩევიან. ევროკავშირის ქვეყნებში საფრანგეთი იკავებს პირველ ადგილს მარცვლეულის წარმოებასა და ექსპორტში.

ტყეს ქვეყანაში უკავია ტერიტორიის 24%. სახელმწიფოს ეკუთვნის ტყის მასივების 30%.

მთლიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $2.047 ტრილიონი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 1.9% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $33,200 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 2.2%; მრეწველობა: 21%; მომსახურება: 76.7% (2007).

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 6.2% (2004);

ბიუჯეტი: შემოსავალი: $1.288 ტრილიონი; გასავალი: $1.358 ტრილიონი (2007).

ექსპორტი: $548 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: მანქანები და აღჭურვილობა, ქიმიკატები, თვითმფრინავები, პლასტმასი, ფარმაცევტული პროდუქტი, რკინა, მეტალი, სასმელები.

ექსპორტის პარტნიორები: გერმანია 14.9%, ესპანეთი 9.3%, იტალია 8.9%, დიდი ბრიტანეთი 8.2%, ბელგია 7.3%, აშშ 6.1%, ნიდერლანდები 4.1 (2006);

იმპორტი: $600.1 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: მანქანები და აღჭურვილობა, ქიმიკატები, ნავთობი, თვითმფრინავები, პლასტმასი.

იმპორტის პარტნიორები: გერმანია 18.9%, ბელგია 11.3%, იტალია 8.4%, ესპანეთი 7.1%, ნიდერლანდები 7%, დიდი ბრიტანეთი 5.6%, აშშ 4.4%, ჩინეთი 4% (2006);

საგარეო ვალი: $4.396 ტრილიონი (2007);

ეკონომიკური მხარდაჭერა: $10.6 მილიარდი (2006);

ვალუტა: ევრო (EUR).

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. ფრანგული კონსტიტუციონალიზმის ისტორია კონსტიტუციური აქტების სიმრავლით და სიძველით გამოირჩევა. მათი ხშირი ცვალებადობა ძირითადად დაკავშირებული იყო პოლიტიკური რეჟიმისა და მმართველობის ფორმის შეცვლასთან. კონსტიტუციური აქტების რაოდენობა საფრანგეთში 18-ს ითვლის.

ქვეყნის პირველი კონსტიტუცია მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1791 წლის 3 სექტემბერს და წარმოადგენდა მსოფლიოში მესამე, ხოლო ევროპაში მეორე დაწერილ კონსტიტუციას. იგი მიიღო საფრანგეთის დამფუძნებელმა კრებამ, რომლითაც იზღუდებოდა მონარქის ხელისუფლება და იქმნებოდა საკანონმდებლო ორგანო. მართალია ამ კონსტიტუციის მიღებამდე, 1789 წელს მიღებულ იქნა ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაცია, მაგრამ იგი მხოლოდ უფლებებსა და თავისუფლებებზე აკეთებდა აქცენტს და არ შეიცავდა კონსტიტუციონალიზმის სხვა საკითხებს, მათ შორის სახელმწიფო ორგანოთა სტრუქტურას.

შემდგომი კონსტიტუცია 1793 წლის 24 ივნისით თარიღდება და დაკავშირებულია პირველ რესპუბლიკასთან, თუმცა იგი არ გამოყენებულა. მისმა შემდგომმა კონსტიტუციამ, რომელიც 1795 წლის 22 აგვისტოს იქნა მიღებული, დაადგინა დირექტორატი, ხოლო 1799 წლის ანალოგიურმა აქტმა – კონსულობა. შემდგომ, 1814 წლის 4 ივნისის ქარტიით ხელახლა იქნა შემოღებული მონარქია, ხოლო კიდევ ერთი ქარტია 1830 წელს იქნა მიღებული. XIX საუკუნის კონსტიტუციონალიზმის ისტორია სამ ძირითად აქტს ითვლის – 1848, 1852 და 1875 წლების და უკავშირდება ქვეყანაში მეორე რესპუბლიკის, მეორე იმპერიისა და მესამე რესპუბლიკის დამკვიდრებას. XX საუკუნეში მიღებულ იქნა 1940 და 1945 წლების კონსტიტუციური აქტები. საფრანგეთის ბოლოს წინა კონსტიტუცია, რომელმაც მეოთხე რესპუბლიკა დაამკვიდრა, 1946 წლის 27 ოქტომბერს იქნა მიღებული.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. საფრანგეთის მოქმედი კონსტიტუციის მიღება უკავშირდება ხელისუფლებაში შარლ დე გოლის მოსვლას და საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის დაფუძნებას. სწორედ დე გოლის ხელმძღვანელობით იქნა შემუშავებული კონსტიტუციის პროექტი, რომლის ავტორად მიშელ დებრე ითვლება. ეროვნულმა კრებამ დე გოლი გარკვეულწილად შეზღუდა ახალი კონსტიტუციის ტექსტის შემუშავებისას, ვინაიდან 1958 წლის 3 ივნისის კონსტიტუციური კანონით დაადგინა ის 5 ძირითადი პრინციპი, რომლის საფუძველზეც უნდა აგებულიყო მომავალი კონსტიტუცია. ფორმალურად, საჭირო იყო მისი ტექსტის თაობაზე მთავრობას კონსულტაციები ეწარმოებინა საკონსტიტუციო საკონსულტაციო კომიტეტთან, რომელიც შედგებოდა პარლამენტის პალატების წევრთა 2/3-ისა და მთავრობის წევრთა 1/3-ის-

განაუცილებელი იყო ასევე სახელმწიფო საბჭოს დასკვნა, ხოლო შემდგომ – პროექტის რეფერენდუმზე გატანა.

კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1958 წლის 28 სექტემბერს რეფერენდუმზე, რომელიც ჩატარდა საფრანგეთსა და მის ზღვისიქითა ტერიტორიებზე. კენჭისყრისას კონსტიტუციის პროექტმა მიიღო კენჭისყრაში მონაწილეთა 82.5%.

კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვს რესპუბლიკის პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის წინადადებით, ასევე პარლამენტის ყოველ წევრს. კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ პროექტი თავდაპირველად მიიღება ორივე პალატის მიერ იდენტური რედაქციით, ხოლო შემდგომ მტკიცდება რეფერენდუმზე.

აღსანიშნავია, რომ პროექტი არ წარედგინება რეფერენდუმზე, თუ პრეზიდენტი გადაწყვეტს მის გადაცემას კონგრესის სახით მოწვეული პარლამენტისათვის, რომელიც მას ამტკიცებს ხმათა 3/5-ით. კონგრესი წარმოადგენს ორივე პალატის წევრთა ერთობლიობას. მისი ბიუროსა და ხელმძღვანელობის სახით გამოდის ეროვნული კრების ბიურო.

კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა არ შეიძლება დაიწყოს ან გაგრძელდეს ტერიტორიის მთლიანობის საფრთხის არსებობისას. დაცული ნორმაა მმართველობის რესპუბლიკური ფორმა, რომელიც არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი.

კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდა 18-ჯერ. გარდა ამისა, მისი კიდევ ერთი, ბოლო გადასინჯვა ინიცირებული იყო 2008 წლის ზაფხულში პრეზიდენტ ნიკოლას სარკოზის მიერ, რომელიც ეხებოდა პრეზიდენტად არჩევის რაოდენობის ორამდე შეზღუდვას, პრეზიდენტის მიერ ზოგიერთ თანამდებობრივ დანიშვნაზე საპარლამენტო ვეტოს დაწესებას, საპარლამენტო კომიტეტების მიერ სამთავრობო კონტროლს, პარლამენტისათვის უფლების მინიჭებას, განსაზღვროს თავისი დღის წესრიგი და პრეზიდენტის მიერ კოლექტიური შეწყალების უფლებას.

კონსტიტუციის ანალიზი. საფრანგეთის კონსტიტუცია შედგება პრეამბულის, 89 მუხლისა და 16 ნაწილისგან. კონსტიტუციის მე-17 ნაწილი, რომელიც გარდამავალ დებულებებს ეხებოდა, ამოღებულია. კონსტიტუციის ხშირი ცვლილებების გამო, მასში მრავლად არის პრიმა მუხლები. ინტერესს იწვევს ძირითადი კანონის მატერიალური მხარე. მასში შედის სამი აქტი: 1958 წლის კონსტიტუცია, 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია და 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულა.

1958 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში მოცემულია კონსტიტუციის მიღების საფუძვლები. აღნიშნულია, რომ კონსტიტუციის მიღებით ფრანგი ხალხი საზეიმოდ აცხადებს თავის მიმდევრობას ადამიანის უფლებებისა და ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპისადმი, რომლებიც განსაზღვრული იყო 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულით და 1789 წლის დეკლარაციით.

საფრანგეთი არის განუყოფელი, საერო, დემოკრატიული და სოციალური რესპუბლიკა. იგი არ აღიარებს რომელიმე რელიგიის უპირატესობას და პატივს სცემს ყოველგვარ რწმენას. რესპუბლიკის ენაა ფრანგული. კონსტიტუციის დონეზეა აღწერილი ქვეყნის დროშა, ჰიმნი და დევიზი. თავისებურებას წარმოადგენს სახალხო ხელისუფლების იდეის რესპუბლიკის პრინციპის დონეზე განმტკიცებაც, რაც ა. ლინკოლნის ფორმულის სახელწოდებით არის ცნობილი და მოიცავს ხალხის მმართველობას, ხალხის მიერ მმართველობას და ხალხისთვის მმართველობას. ეროვნული სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს, რომელიც მას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების ან რეფერენდუმის მეშვეობით. ხალხის არც ერთმა ნაწილმა ან ცალკეულმა პირმა არ შეიძლება მიითვისოს მისი განხორციელება.

განმტკიცებულია საარჩევნო პრინციპები: საყოველთაობა, თანასწორობა და ფარულობა, თუმცა ამავდროულად არჩევნები შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი. ხმის მიცემის უფლება კანონის შესაბამისად აქვს ყველა სრულწლოვან საფრანგეთის მოქალაქეს, რომელიც სარგებლობს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით, მიუხედავად მისი სქესისა. საფრანგეთია ის ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც კონსტიტუციით არის განსაზღვრული გენდერული თანასწორობა პოლიტიკურ უფლებებში: ქალებისა და მამაკაცებისათვის კანონი უზრუნველყოფს არჩევით თანამდებობებზე თანასწორ შესაძლებლობას.

საფრანგეთი წარმოადგენს შერეული მმართველობის მქონე რესპუბლიკას ორი ძლიერი სახელმწიფო სტრუქტურული ერთეულით: პრეზიდენტითა და მთავრობით. თუმცა საფრანგეთის აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ფუნქციების არასრულყოფილი გამიჯვნა.

ხელისუფლების შტოების სამართლებრივი მდგომარეობის განხილვა კონსტიტუციაში იწყება რესპუბლიკის პრეზიდენტით. მას გააჩნია მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის სტატუსი, არის ეროვნული დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების დაცვის გარანტი, თვალყურს ადევნებს კონსტიტუციის დაცვას, უზრუნველყოფს საჯარო ხელისუფლების ორგანოთა ნორმალურ ფუნქციონირებას, ასევე სახელმწიფოს მემკვიდრეობითობას. მართალია კონსტიტუციაში პირდაპირ არ არის მითითებული, რომ პრეზიდენტი არ ხელმძღვანელობს აღმასრულებელ ხელისუფლებას, მაგრამ მიუხედავად ზემოაღნიშნული დამოუკიდებელი სტატუსისა, იგი აქტიურად მონაწილეობს აღმასრულებელი უფლებამოსილებების განხორციელებაში.

1992 წლის კონსტიტუციური ცვლილებების თანახმად, პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით პირდაპირი და საყოველთაო კენჭისყრით. 2000 წლამდე იგი აირჩეოდა 7 წლის ვადით არაპირდაპირ, საარჩევნო კოლეგიის მიერ, რომელიც შედგებოდა პარლამენტის, გენერალური საბჭოების, ზღვისიქითა ტერიტორიების კრებების წევრებისა და მუნიციპალური საბჭოების არჩეული წარმომადგენლებისგან. შვიდწლიანი საპრეზიდენტო ვადა დაწესდა 1873 წელს, მე-3 რესპუბლიკის დასაწყისში, როდესაც საკმაოდ ძლიერი იყო მონარქისტთა პოზიციები და

ხანგრძლივი საპრეზიდენტო ვადის არსებობა რესპუბლიკის შენარჩუნებას უწყობდა ხელს.

პრეზიდენტი აირჩევა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. ახალი პრეზიდენტის არჩევნები ტარდება თანამდებობაზე მყოფი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არანაკლებ 20 და არა უმეტეს 35 დღის ვადაში. კენჭისყრის კონკრეტული დრო დგინდება მთავრობის გადაწყვეტილებით.

თუ პრეზიდენტის თანამდებობა რაიმე მიზეზით ვაკანტური გახდება ან თუ საკონსტიტუციო საბჭო დაადასტურებს, რომ პრეზიდენტს არ შეუძლია მისი ფუნქციების შესრულება, მის უფლებამოსილებას, დროებით ასრულებს სენატის თავმჯდომარე, ხოლო თუ ამ უკანასკნელს თავისმხრივ არ შეუძლია აღნიშნულის განხორციელება — მთავრობა. ამგვარ შემთხვევას საფრანგეთის ისტორიაში ადგილი ჰქონდა ორჯერ — შარლ დე გოლის გადადგომისას და ჯ. პომპიდოს გარდაცვალებისას. ამ დროს პრეზიდენტის უფლებამოსილება დროებით სენატის თავმჯდომარეზე გადავიდა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ მას ამ პერიოდში არ შეუძლია კანონპროექტის რეფერენდუმზე გატანისა და ეროვნული კრების დათხოვნის უფლებამოსილებათა განხორციელება. გარდა ამისა, ახალი პრეზიდენტის არჩევამდე არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონსტიტუციის 49-ე, 50-ე და 89-ე მუხლები, რომლებიც ეხება პრემიერ-მინისტრის მიერ ეროვნული კრების წინაშე მთავრობის პასუხისმგებლობის დაყენებას, პრეზიდენტის მიერ მთავრობის გადაყენებასა და კონსტიტუციის გადასინჯვას.

მთავრობას დამოუკიდებლად, ყოველგვარი საპარლამენტო დამტკიცების გარეშე აკომპლექტებს პრეზიდენტი, რომელიც ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო ამ უკანასკნელის წარდგინებით — მთავრობის სხვა წევრებს. პრეზიდენტი წყვეტს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებას მთავრობის გადადგომისას, ხოლო მთავრობის წევრთა უფლებამოსილებას წყვეტს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, იგი ხელმძღვანელობს მინისტრთა საბჭოს. პრეზიდენტი ასევე ახდენს კანონების პრომულგირებას მთავრობისათვის გადაცემიდან 15 დღის ვადაში და შეუძლია ვეტო დაადოს კანონს ან მის რომელიმე მუხლს და მოითხოვოს მისი ხელახალი განხილვა. კონსტიტუცია არ საუბრობს ვეტოს გადალახვისთვის საჭირო ხმათა განსაკუთრებულ უმრავლესობაზე და მხოლოდ ვეტოდადებული კანონის ან მუხლის ხელახლა მიღებით შემოიფარგლება.

კონსტიტუცია ითვალისწინებს საკანონმდებლო რეფერენდუმის ინსტიტუტს, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია პრეზიდენტის ხელში. მისი ჩატარების ინიციატივით შეიძლება გამოვიდეს მთავრობა ან ორივე პალატა ერთობლივად, ხოლო ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას პრეზიდენტი იღებს. იგი არ არის ვალდებული, რომ ამ შემთხვევაში დანიშნოს რეფერენდუმი, არამედ უფლებამოსილია: „პრეზიდენტს შეუძლია რეფერენდუმზე გაიტანოს" კანონპროექტი.

სახალხო კენჭისყრაზე შეიძლება გატანილ იქნეს არა ყველა კანონპროექტი, არამედ, რომელიც ეხება საჯარო ხელისუფლების ორგანიზაციას, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკისა და საჯარო ხელისუფლების რეფორმებს, თანამეგობრობის რაიმე შეთანხმების დამტკიცებას, რომელიც არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო დაწესებულებების ფუნქციონირებაზე. კანონპროექტის რეფერენდუმზე დამტკიცების შემთხვევაში, პრეზიდენტი ახდენს კანონის პრომულგირებას.

კონსტიტუცია პრეზიდენტს ანიჭებს უფლებას პრემიერ-მინისტრსა და პალატების თავმჯდომარეებთან კონსულტაციების შემდეგ დაითხოვოს პარლამენტის ქვედა პალატა — ეროვნული კრება. მისი დათხოვნა დაუშვებელია არჩევიდან ერთი წლის მანძილზე და საგანგებო მდგომარეობის პერიოდში. ზედა პალატის დათხოვნის უფლება პრეზიდენტს არ გააჩნია.

პრეზიდენტი ახდენს ქვეყნის ელჩებისა და სხვა საგანგებო დესპანების აკრედიტაციას უცხოეთის ქვეყნებში; უცხოეთის ელჩები და საგანგებო დესპანები აკრედიტაციას იღებენ მისგან. თუმცა, ყურადსაღებია, რომ ფრანგული კონსტიტუციონალიზმის თავისებურებას წარმოადგენს ელჩებისა და დესპანების დანიშვნის უფლებამოსილების ქვეყნის პირველი პირიდან მინისტრთა საბჭოსთვის გადაცემა.

პრეზიდენტი არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ხელმძღვანელობს ეროვნული თავდაცვის უმაღლეს საბჭოებსა და კომიტეტებს, ასევე ნიშნავს სამხედრო სახელმწიფო თანამდებობებზე.

კონსტიტუციონალისტების ყურადღებას და ფართო მსჯელობას იწვევს კონსტიტუციის მე-16 მუხლი, რომლის მიხედვით, როდესაც რესპუბლიკის დაწესებულებებს, ერის დამოუკიდებლობას, მის ტერიტორიულ მთლიანობას ან საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას სერიოზული და უშუალო საფრთხე ექმნება, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციური დაწესებულებების ნორმალური ფუნქციონირება შეწყვეტილია, პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრთან, პალატების თავმჯდომარეებთან, ასევე საკონსტიტუციო საბჭოსთან კონსულტაციების შემდეგ იღებს ამ გარემოებებიდან ნაკარნახევ ზომებს და ამის შესახებ მიმართვით აცნობებს ერს. ეს ზომები ნაკარნახევი უნდა იყოს კონსტიტუციური სახელმწიფო ორგანოების მიერ თავიანთი ამოცანების უმოკლეს ვადებში შესრულების უზრუნველყოფისგან. ამ მიზნით წარმოებს კონსულტაციები საკონსტიტუციო საბჭოსთან. პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება. ამ მექანიზმში მნიშვნელოვანია ის, რომ ამ პერიოდში გამოცემული პრეზიდენტის აქტები არ საჭიროებს შემდგომ საპარლამენტო დამტკიცებას და საკანონმდებლო ორგანოს მონაწილეობა კანონის ძალის მქონე აქტების გამოცემაში მხოლოდ პალატების თავმჯდომარეებთან წინასწარი კონსულტაციით შემოიფარგლება.

საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებს პრეზიდენტი, რომელიც ასევე ახდენს მათ რატიფიკაციას. სამშვიდობო და სავაჭრო ხელშეკრულებები, ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებიც ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს, სახელმწიფო ფინანსებს, პიროვნების სტატუსს, ტერიტორიის დათმობას, გაცვლას ან მიერთებას, ან რომელთაც აქვთ

საკანონმდებლო ხასიათი, შეიძლება რატიფიცირებულ ან დამტკიცებულ იქნეს მხოლოდ კანონის საფუძველზე. ისინი ძალაში შედიან მხოლოდ რატიფიკაციის ან დამტკიცების შემდეგ. ტერიტორიის დათმობა, გაცვლა ან მიერთება დაინტერესებული მოსახლეობის თანხმობის გარეშე არ ითვლება ნამდვილად.

პრეზიდენტს აქვს შეწყალების უფლება.

პრეზიდენტი და მთავრობა რომ საერთო პასუხისმგებლობით მოქმედებენ, ადასტურებს მათი აქტების მიღების წესი. პრეზიდენტი ხელს აწერს მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ ორდონანსებსა და დეკრეტებს, ხოლო პრეზიდენტის აქტებს, გარდა კონსტიტუციით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი და აუცილებლობის შემთხვევაში — პასუხისმგებელი მინისტრი.

რაც შეეხება მთავრობას — მინისტრთა საბჭოს, იგი განსაზღვრავს და წარმართავს ქვეყნის პოლიტიკას. მის განკარგულებაში იმყოფება ადმინისტრაცია და შეიარაღებული ძალები, მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი პრეზიდენტია. საგანგებო მდგომარეობას აცხადებს მინისტრთა საბჭო, ხოლო თუ მისი ხანგრძლივობა 12 დღეზე მეტია, აუცილებელია პარლამენტის თანხმობა. მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

კონსტიტუციის თანახმად, მთავრობის საქმიანობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. იგი პასუხისმგებელია ეროვნულ თავდაცვაზე და უზრუნველყოფს კანონების აღსრულებას. მას შეუძლია მოახდინოს ზოგიერთი საკუთარი უფლებამოსილების მინისტრებზე დელეგირება. პრემიერ-მინისტრის აქტებს აუცილებლობის შემთხვევაში ხელს აწერენ მათ აღსრულებაზე პასუხისმგებელი მინისტრები. აუცილებლობის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი ენაცვლება პრეზიდენტს, როგორც ეროვნული თავდაცვის საბჭოებისა და კომიტეტების სხდომების თავმჯდომარე. გამონაკლის შემთხვევებში ასევე შეუძლია სპეციალური დავალების თანახმად, განსაზღვრული დღის წესრიგით, ჩაენაცვლოს პრეზიდენტს, როგორც მინისტრთა საბჭოს სხდომების თავმჯდომარე.

მინისტრთა საბჭოს გააჩნია მნიშვნელოვანი საკადრო უფლებამოსილებები. იგი ნიშნავს ელჩებსა და დესპანებს, პრეფექტებს, მთავრობის წარმომადგენლებს ზღვისიქითა ტერიტორიებზე და ახალ კალედონიაში, აკადემიების რექტორებს, სახელმწიფო მრჩეველებს, საპატიო ლეგიონის დიდ კანცლერს, საანგარიშო პალატის უფროს მრჩეველებს, ცენტრალური უწყებების დირექტორებს. ორგანული კანონი განსაზღვრავს სხვა თანამდებობებსაც, რომლებზე დანიშვნასაც ახორციელებს მინისტრთა საბჭო, ასევე პირობებს, რომლის დროსაც პრეზიდენტის მიერ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები შეიძლება დელეგირებულ იქნეს მის მიერ მისივე სახელით მოქმედებისათვის.

მთავრობის წევრის ფუნქციები შეუთავსებელია საპარლამენტო მანდატის განხორციელებასთან, საერთო ეროვნული ხასიათის პროფესიულ წარმომადგენლობასთან, სახელმწიფო სამსახურთან და პროფესიულ საქმიანობასთან.

ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი, რომელიც შედგება ქვედა პალატის — ეროვნული კრებისა და ზედა პალატის — სენატისაგან.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციით არ არის მოწესრიგებული პალატების წევრთა რაოდენობისა და უფლებამოსილების ვადის საკითხი და მათ ორგანული კანონი განსაზღვრავს. ამჟამად ეროვნული კრების შემადგენლობაშია 5 წლის ვადით, პირდაპირი გზით არჩეული 577 წევრი, რომელთაგან 570 აირჩევა დეპარტამენტებიდან, 5 — ზღვისიქითა ტერიტორიებიდან (ორი ფრანგული პოლინეზიიდან, თითო — უოლისა და ფუტიუნადან, სენ-პიერიდან და მიკელონიდან და მაიოტიდან), ხოლო ორიც — ახალი კალედონიიდან. დეპუტატები აირჩევიან ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში ორტურიანი სისტემით. ყოველი ოლქი წარმოადგენს დაახლოებით 100 ათას მცხოვრებს.

რაც შეეხება სენატს, მის შემადგენლობაშია 6 წლის ვადით არჩეული 321 წევრი, ყოველ სამ წელიწადში ნახევრის განახლებით. სენატი აირჩევა არაპირდაპირ, 150 ათასი თანამდებობის პირისგან შემდგარი კოლეგიის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან რეგიონების, დეპარტამენტების საბჭოების წევრები, მერები, ქალაქის საბჭოს წევრები და ეროვნული კრების დეპუტატები. სენატი უზრუნველყოფს რესპუბლიკის ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობას და, შესაბამისად, ყველა ტერიტორიულ ერთეულს გააჩნია საკუთარი ქვოტა. გარდა ამისა, სენატში წარმოდგენილნი არიან საფრანგეთის საზღვრებს გარეთ მცხოვრები ფრანგებიც, რომელთა რაოდენობა ამჟამად 12-ს შეადგენს.

პარლამენტის წევრი სესიების დროს სისხლის სამართლებრივ ან პოლიციურ დევნას ან სხვა პრევენციულ ან თავისუფლების შემზღუდავ ღონისძიებას შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ პალატის ბიუროს თანხმობით, რომლის შემადგენლობაშიც არის. ეს თანხმობა არ არის საჭირო დანაშაულის ადგილზე დაკავების ან საბოლოო გასამართლებისას. ტუსაღობა, პრევენციული ან თავისუფლების შემზღუდავი ღონისძიებები ან პარლამენტის წევრის დევნა ჩერდება სესიებს შორის პერიოდში, თუ პალატა, რომლის შემადგენლობაშიც იგი არის, ამას მოითხოვს. დაუშვებელია პარლამენტის წევრის დევნა, ძებნა, დაკავება, დაპატიმრება ან სამართალში მიცემა მისი ფუნქციების განხორციელებისას გამოთქმული აზრებისა და ხმის მიცემისათვის.

იმპერატიული მანდატი ბათილია და პარლამენტის წევრები სარგებლობენ თავისუფალი მანდატით. რაც შეეხება პარლამენტის წევრთა ხმის უფლების ინდივიდუალურობას, საფრანგეთი ერთ-ერთი გამონაკლისია იმ ქვეყანათა შორის, რომლებიც ამ საკითხს განსხვავებულად აწესრიგებენ. მართალია კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ ხმის მიცემა პირადია, მაგრამ ამავდროულად, გამონაკლის შემთხვევებში, ორგანულმა კანონმა შეიძლება დაადგინოს ხმის დელეგირება სხვა პარლამენტის წევრზე. ასეთ შემთხვევაში არავის არ შეიძლება გადაეცეს ერთ ხმაზე მეტი.

პარლამენტი იკრიბება ერთ მორიგ სესიაზე, რომელიც იწყება ოქტომბრის პირველ სამუშაო დღეს და მთავრდება ივნისის ბოლო სამუშაო დღეს. ამავდროულად აღნიშნულია, რომ ყოველი პალატის მიერ სესიის მანძილზე ჩასატარებელ სხდომათა რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 120 დღეს. სასესიო კვირები დგინდება თითოეული პალატისათვის. რიგგარეშე სესიაზე პარლამენტი

იკრიბება პრემიერ-მინისტრის ან ეროვნული კრების წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით განსაზღვრული დღის წესრიგით. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება, რიგგარეშე სესიები იხსნება და იხურება პრეზიდენტის დეკრეტით.

მთავრობის წევრებს შეუძლიათ დაესწრონ ორივე პალატის სხდომებს. მათ უნდა მოუსმინონ მათივე მოთხოვნით.

ეროვნული კრების თავმჯდომარე აირჩევა პალატის უფლებამოსილების ვადით, ხოლო სენატის თავმჯდომარე — სენატის ყოველი ნაწილობრივი განახლების შემდეგ.

კონსტიტუციის ცალკე ნაწილი ეთმობა პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობას. კანონებს იღებს პარლამენტი. კონსტიტუცია ადგენს იმ საკითხების ჩამონათვალს, რომლებიც საკანონმდებლო დონეზე წესრიგდება. ცალკეა ჩამოთვლილი ის სფეროები, სადაც კანონი განსაზღვრავს მხოლოდ ძირითად პრინციპებს. თუმცა, კანონთა სარეგულაციო სფერო შეიძლება განიერცოს და შეიცვალოს ორგანული კანონით.

კონსტიტუცია ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც მთავრობას ენიჭება საკანონმდებლო სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე აქტების მიღების უფლებამოსილება. ეს შესაძლებელია მთავრობის პროგრამის შესასრულებლად, რის თაობაზეც მთავრობა პარლამენტს მიმართავს, რათა შეზღუდული ვადის განმავლობაში, ორდონანსების გამოცემის გზით განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც ჩვეულებრივ განეკუთვნება საკანონმდებლო სფეროს. ორდონანსებს მინისტრთა საბჭო გამოსცემს სახელმწიფო საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ. ისინი ძალაში შედიან გამოქვეყნების შემდეგ, მაგრამ ძალას კარგავენ, თუ მათი დამტკიცების შესახებ კანონპროექტი არ იქნება პარლამენტში შეტანილი უფლებამოსილების დელეგირების შესახებ კანონში აღნიშნული ვადის გასვლამდე. მათი მოქმედების ვადის გასვლისას ორდონანსები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ კანონით.

კონსტიტუცია გამოყოფს კანონთა რამდენიმე სახეს: ფინანსურს, სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსების, პროგრამულს, ჩვეულებრივს და ორგანულს. მათი მიღებისათვის განსხვავებული წესებია დადგენილი.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის წევრებს. ფინანსური კანონპროექტები თავდაპირველად შეიტანება ეროვნულ კრებაში. ტერიტორიული ერთეულების შესაქმნელად მნიშვნელოვანი კანონპროექტები და ის კანონპროექტები, რომლებიც დაკავშირებულია საფრანგეთის საზღვრებს გარეთ მცხოვრები ფრანგი ეროვნების წარმომადგენლობით ორგანოებთან, შეიტანება მხოლოდ სენატში.

პარლამენტის წევრთა მიერ ინიცირებული საკანონმდებლო წინადადებები და შესწორებები არ შეიძლება მიღებულ იქნეს, თუ მათმა მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო სახსრების შემცირება, სახელმწიფო ხარჯების წარმოქმნა ან გაზრდა.

მთავრობის ინიციატივით შეტანილი კანონპროექტები განიხილება მინისტრთა საბჭოში საკონსტიტუციო საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ და შეიტანება ორი პალატიდან ერთ-ერთის ბიუროში. მათი იმ პალატაში განხილვა, სადაც იქნა შეტანილი, მიმდინარეობს მთავრობის მიერ წარდგენილი ტექსტის მიხედვით. ერთი პალატის მიერ მიღებულ ტექსტს მეორე პალატა განიხილავს იმ სახით, რა სახითაც მას წარედგინა.

კანონპროექტი, მთავრობის ან იმ პალატის მოთხოვნით, რომელშიც შეტანილია, შეიძლება განსახილველად გადაეცეს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ კომისიას, ხოლო რომელთან დაკავშირებითაც ამგვარი მოთხოვნა არ იყო წამოყენებული — ერთ-ერთ მუდმივ კომისიას, რომელთა რაოდენობა თითოეულ პალატაში ექვსამდე არის შეზღუდული. კანონპროექტში შესწორებების შეტანის უფლება აქვთ პარლამენტის წევრებსა და მთავრობას.

ნებისმიერი კანონპროექტი თანმიმდევრობით განიხილება პარლამენტის ორივე პალატაში იდენტური ტექსტის მისაღებად. თუ პალატებს შორის თანხმობის შედეგად სამთავრობო ან წევრთა კანონპროექტი ყოველ პალატაში ორი მოსმენით არ იქნება მიღებული ან თუ ერთ-ერთ პალატაში პირველი მოსმენის შემდეგ მთავრობა მოითხოვს მის ვადამდე განხილვას, პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს მოიწვიოს თითოეული პალატიდან თანაბარი რაოდენობის წევრთაგან დაკომპლექტებული შერეული კომისიის სხდომა, რომელიც წარადგენს სადავო დებულებების შესახებ ახალ ტექსტს. შერეული კომისიის მიერ შემუშავებული ტექსტი შეიძლება მთავრობის მიერ დასამტკიცებლად წარედგინოს ორივე პალატას. არც ერთი შესწორება არ შეიძლება მიღებულ იქნეს მთავრობის თანხმობის გარეშე. თუ შერეული პარიტეტული კომისია ვერ მოახერხებს შეთანხმებული ტექსტის მიღებას, მთავრობას შეუძლია ეროვნულ კრებაში ან სენატში ხელახალი განხილვის შემდეგ მოითხოვოს ეროვნული კრების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. ამ შემთხვევაში ეროვნულ კრებას შეუძლია დაუბრუნდეს შერეული კომისიის მიერ შემუშავებულ ტექსტს ან თვით მის მიერ მიღებულ საბოლოო ტექსტს, რომელშიც აუცილებლობის შემთხვევაში სენატის მიერ შეტანილია ერთი ან რამდენიმე შესწორება.

ორგანულია კანონები, რომელთაც კონსტიტუცია ორგანულ ხასიათს ანიჭებს. პალატებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში კანონპროექტს იღებს ეროვნული კრება საბოლოო მოსმენით წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით. ორგანული კანონები, რომლებიც სენატს ეხება, მიღებულ უნდა იქნეს ორივე პალატის მიერ ერთნაირი რედაქციით. მათი პრომულგირება ხდება მხოლოდ საკონსტიტუციო საბჭოს მიერ კონსტიტუციასთან შესაბამისობის გამოცხადების შემდეგ.

კვირაში არანაკლებ ერთი სხდომა გამოიყოფა პრიორიტეტულად პარლამენტის წევრთა შეკითხვებისა და მთავრობის პასუხებისთვის. თვეში არანაკლებ ერთი სხდომა გამოიყოფა პრიორიტეტულად პარლამენტის თითოეული პალატის მიერ დადგენილი დღის წესრიგის მიხედვით.

მთავრობა პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ატარებს მხოლოდ ეროვნული კრების წინაშე. ამგვარი პასუხისმგებლობის რამდენიმე ფორმა გვხვდება. მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი მის პროგრამასთან ან ძირითადი პოლიტიკის შესახებ დეკლარაციასთან დაკავშირებით ეროვნული კრების წინაშე შეიძლება დააყენოს პრემიერ-მინისტრმა მინისტრთა საბჭოში განხილვის შემდეგ. გარდა ამისა, მინისტრთა საბჭოში განხილვის შემდეგ პრემიერ-მინისტრს შეუძლია ეროვნული კრების წინაშე დააყენოს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი კონკრეტული პროექტის კენჭისყრასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაშიც მიიღება გაკიცხვის რეზოლუცია. ეროვნული კრება მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს გაკიცხვის რეზოლუციისთვის კენჭისყრის გზით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ეროვნული კრების წევრთა არანაკლებ 1/10-ის მიერ. გაკითხვის რეზოლუციის მისაღებად საჭიროა კრების წევრთა ხმების უმრავლესობა. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული კრება მიიღებს გაკიცხვის რეზოლუციას ან თუ არ დაამტკიცებს მთავრობის ძირითადი პოლიტიკის შესახებ პროგრამასა და დეკლარაციას, პრემიერ-მინისტრი ვალდებულია პრეზიდენტს მიმართოს მთავრობის გადაყენების შესახებ.

ორიგინალურობით გამოირჩევა ფრანგული საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი, მისი განმახორციელებელი ორგანო არ შედის სასამართლო ხელისუფლების სისტემაში და მეტიც, მას არა საკონსტიტუციო სასამართლო, არამედ საკონსტიტუციო საბჭო ეწოდება. მისი კონსტიტუციურობის შემოწმების იურისდიქცია ვიწროა და მხოლოდ წინასწარ ხასიათს ატარებს. აქედან გამომდინარე, იგი ამოწმებს პროექტების და არა უკვე ძალაში შესული აქტების კონსტიტუციურობას. საკონსტიტუციო საბჭო ყველა შემთხვევაში, სავალდებულო წესით ამოწმებს ორგანული კანონების პრომულგაციამდე და პარლამენტის პალატების რეგლამენტების მიღებამდე მათ შესაბამისობას კონსტიტუციასთან. გარდა ამისა, მას გააჩნია ფაკულტატური იურისდიქციაც, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პალატის თავმჯდომარის, 60 დეპუტატის ან 60 სენატორის მიერ მას შეიძლება ამავე მიზნით გადაეცეს კანონები პრომულგაციამდე. ამ შემთხვევებში საკონსტიტუციო საბჭოსთვის მიმართვა აჩერებს პრომულგაციის ვადას. არაკონსტიტუციურად აღიარებული დებულება არ შეიძლება გამოყენებულ ან პრომულგირებულ იქნეს. საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას. იგი სავალდებულოა მთელი საჯარო ხელისუფლებისა და ყველა ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოსათვის. ზემოაღნიშნულმა სუბიექტებმა საკონსტიტუციო საბჭოს შეიძლება მიმართონ ასევე საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის თაობაზე. თუ საკონსტიტუციო საბჭო განაცხადებს, რომ რომელიმე საერთაშორისო შეთანხმება შეიცავს კონსტიტუციის საწინააღმდეგო დებულებებს, იმ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია ან დამტკიცება შესაძლებელია მხოლოდ კონსტიტუციის გადასინჯვის შემდეგ. ამ უკანასკნელ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 1992 წელს, როდესაც პრეზიდენტის მიმართვის საფუძველზე ევროკავშირის ხელშეკრულების საფრანგეთის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, სა-

კონსტიტუციო საბჭომ არაკონსტიტუციურად აღიარა მისი რამდენიმე დებულება. ამის შედეგად მაასტრიხის შეთანხმების რატიფიკაცია განხორციელდა მხოლოდ კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ.

საკონსტიტუციო საბჭო ასევე უზრუნველყოფს პრეზიდენტის არჩევის კანონიერებას, იხილავს საჩივრებს და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს; გადაწყვეტილებას იღებს დეპუტატთა და სენატორთა არჩევის კანონიერების შესახებ, თუ ის გასაჩივრდება; უზრუნველყოფს საკანონმდებლო და საკონსტიტუციო რეფერენდუმის ჩატარების კანონიერებას და აცხადებს რეფერენდუმის შედეგებს.

საკონსტიტუციო საბჭო შედგება 9 წევრისაგან, რომელთა უფლებამოსილების ვადა 9 წელია და დაუშვებელია ხელახლა დანიშვნა. საკონსტიტუციო საბჭო ყოველ სამ წელიწადში განახლდება 1/3-ით. მის სამ წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, სამს — ეროვნული კრების თავმჯდომარე, სამს — სენატის თავმჯდომარე. ზემოაღნიშნული ცხრა წევრის გარდა მის შემადგენლობაში სიცოცხლის ვადით შედიან ყოფილი პრეზიდენტები.

საბჭოს თავმჯდომარეს ნიშნავს პრეზიდენტი, რომლის ხმა გადამწყვეტია ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში. საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს მინისტრი და პარლამენტის წევრი. შეუთავსებლობის სხვა შემთხვევები დგინდება ორგანული კანონით.

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტს წარმოადგენს რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელსაც ამ უფლებამოსილების განხორციელებაში ეხმარება მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო, რომელიც იმართება პრეზიდენტის მიერ. თავმჯდომარის მოადგილეა იუსტიციის მინისტრი, რომელსაც შეუძლია შეცვალოს პრეზიდენტი.

მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო შედგება ორი პალატისაგან, რომელთაგან ერთს აქვს იურისდიქცია მოსამართლეებთან დაკავშირებით, ხოლო მეორეს — პროკურორებთან დაკავშირებით.

მოსამართლეებთან ურთიერთობაში კომპეტენტური პალატა პრეზიდენტისა და იუსტიციის მინისტრის გარდა აერთიანებს ხუთ მოსამართლესა და ერთ პროკურორს, სახელმწიფო საბჭოს მიერ დანიშნულ ერთ სახელმწიფო მრჩეველს და სამ პირს, რომლებიც არც პარლამენტის შემადგენლობაში შედიან, არც სასამართლო ორგანოებში და შესაბამისად ინიშნებიან პრეზიდენტის, ეროვნული კრების თავმჯდომარისა და სენატის თავმჯდომარის მიერ. აღნიშნული პალატა წინადადებით მიმართავს საკასაციო სასამართლოს მოსამართლეების, სააპელაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარისა და მაღალი ინსტანციის სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნის შესახებ. სხვა მოსამართლეები ინიშნებიან პალატის თანხმობით. იგი, როგორც სადისციპლინო საბჭო, ასევე იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლეებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში მას ხელმძღვანელობს საკასაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარე.

რაც შეეხება პროკურორებთან ურთიერთობაში კომპეტენტურ პალატას, იგი პრეზიდენტისა და იუსტიციის მინისტრის გარდა აერთიანებს ხუთ პროკურორსა და ერთ მოსამართლეს, სახელმწიფო მრჩეველსა და მეორე პალატაში დანიშ-

ნულ ზემოაღნიშნულ სამ პირს. აღნიშნული პალატა იძლევა დასკვნას პროკურორების დანიშვნის შესახებ, გარდა მინისტრთა საბჭოში თანამდებობებზე დანიშვნისა, აგრეთვე პროკურორებთან დაკავშირებით დისციპლინური სანქციების შესახებ. ამ შემთხვევაში მას ხელმძღვანელობს საკასაციო სასამართლოს გენერალური პროკურორი.

საფრანგეთის სასამართლო სისტემის ქვედა დონეა ტრიბუნალები, რომელთა რაოდენობა 471-ს შეადგენს, ასევე შრომით ურთიერთობათა და სავაჭრო საქმეთა სასამართლოები. უფრო სერიოზული დანაშაულები გადაეცემა ზედა ინსტანციის ტრიბუნალებს (მათი რაოდენობა 181-ა) ან გამასწორებელ სასამართლოებს. ამავე დონეზე ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა სასამართლოები.

სამოქალაქო საქმეებზე აპელაციები გადაეცემა სააპელაციო სასამართლოს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეები გამასწორებელი სასამართლოდან – ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. საბოლოოდ, სისხლისა და სამოქალაქო საქმეების ბოლო ინსტანციაა საკასაციო სასამართლო.

საფრანგეთში საკმაოდ განვითარებულია ადმინისტრაციული სამართალწარმოება. ადმინისტრაციული სამართლის საქმეები, მათ შორის რომლებიც ეხება სახელმწიფო თანამდებობის პირებს განიხილება ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ, რომელთაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო საბჭო.

მოსამართლეები შეუცვლელნი არიან. მათი სტატუსი დგინდება ორგანული კანონით.

საფრანგეთის კონსტიტუცია იცნობს სასამართლო უფლებამოსილებით აღჭურვილ ზოგიერთ სხვა ორგანოსაც, რომლებიც მხოლოდ კონკრეტულ თანამდებობის პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის განხილვისთვის იქმნება.

რესპუბლიკის პრეზიდენტის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს იხილავს მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო. პრეზიდენტი თავისი ვალდებულებების შესრულებისას ჩადენილი ქმედებისთვის პასუხისმგებელია მხოლოდ სახელმწიფო ღალატის შემთხვევაში. მას ბრალდება შეიძლება წარედგინოს მხოლოდ ორივე პალატის მიერ, რომლებიც ღია სხდომაზე წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მიიღებენ იდენტურ გადაწყვეტილებას. მართლმსაჯულების უმაღლესი პალატა შედგება ეროვნული კრებისა და სენატის ყოველი სრული ან ნაწილობრივი განახლების შემდეგ მათ მიერ მათივე შემადგენლობიდან თანაბარი რაოდენობით არჩეული წევრთაგან. იგი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს.

რაც შეეხება მთავრობის წევრთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, მას იხილავს რესპუბლიკის მართლმსაჯულების სასამართლო, რომელიც შედგება 15 მოსამართლისგან: ეროვნული კრებისა და სენატის სრული ან ნაწილობრივი განახლებისას მათ მიერ მათივე შემადგენლობიდან თანაბრად არჩეული 12 პარლამენტარისა და საკასაციო სასამართლოს სამი მოსამართლისგან, რომელთაგან ერთ-ერთი ხელმძღვანელობს მართლმსაჯულების სასამართლოს.

ნებისმიერ პირს, რომელიც დაზარალდა მთავრობის წევრის მიერ მისი ფუნქციის განხორციელებისას დანაშაულის ან გადაცდომის ჩადენით, შეუძლია შეიტანოს საჩივარი საჩივრების კომისიაში.

კონსტიტუციით გათვალისწინებულ კიდევ ერთ ორგანოს — ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ფუნქციას წარმოადგენს მთავრობის კონსულტირება ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ნებისმიერ საკითხზე. მას დასკვნისათვის გადაეცემა ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ნებისმიერი გეგმა ან პროგრამული კანონპროექტი.

პარლამენტსა და მთავრობას ფინანსური კანონების აღსრულების გაკონტროლებაში დახმარებას უწევს საანგარიშო პალატა.

ქვეყანა აგებულია დეცენტრალიზაციის პრინციპზე. რესპუბლიკის ტერიტორიული მოწყობა საკმაოდ რთულია და ასიმეტრიულ პრინციპს ემყარება. მის ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენენ კომუნები, დეპარტამენტები, რეგიონები, განსაკუთრებული სტატუსის მქონე ერთეულები და ზღვისიქითა ტერიტორიები. ამჟამად საფრანგეთის ტერიტორია იყოფა 22 მეტროპოლიურ რეგიონად (მათ შორისაა კორსიკა) და 4 ზღვისიქითა ტერიტორიად. ზღვისიქითა ტერიტორიებია: საფრანგეთის გვიანა, გვადელუპა, მარტინიკა, რეუნიონი. მეტროპოლიური რეგიონები იყოფა 96 დეპარტამენტად, ხოლო ზღვისიქითა რეგიონები — რეგიონის ტერიტორიის შესაბამის 4 ზღვისიქითა დეპარტამენტად. დეპარტამენტები იყოფა 341 ოკრუგად, 4032 კანტონად და 36680 კომუნად.

ტერიტორიულ ერთეულებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება იმ კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მათ დონეზე. თუმცა, კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით, გამონაკლისის სახით და შეზღუდული ვადით მათ შეიძლება გადაუხვიონ მათი კომპეტენციის სფეროს, საკანონმდებლო ან სარეგლამენტო დებულებებთან დაკავშირებით. ტერიტორიულ ერთეულებში დანიშნულია სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელიც მთავრობის წევრებს წარმოადგენს. იგი პასუხისმგებელია ეროვნული ინტერესების, ადმინისტრაციული კონტროლისა და კანონთა დაცვის უზრუნველყოფაზე.

ტერიტორიული ერთეულები დამოუკიდებლად იმართება არჩევითი საბჭოების მიერ. დეპარტამენტების წარმომადგენლობითი ორგანოა 6 წლის ვადით, არჩეული გენერალური საბჭო, რომლის შემადგენლობაშია ყოველი კანტონიდან არჩეული თითო წარმომადგენელი. მას ხელმძღვანელობს საბჭოს მიერ არჩეული თავმჯდომარე. კომუნას მართავს არჩეული კომუნალური საბჭო და მის მიერვე არჩეული მერი. 1977 წლიდან, მას შემდეგ, რაც პარიზი გახდა დეპარტამენტი, მისი ხელისუფლება აგებულია იმგვარადვე, როგორც საფრანგეთის სხვა ქალაქების. მას მართავს პარიზის საბჭოს მიერ არჩეული მერი. ქალაქი იყოფა 20 ოკრუგად, რომლებსაც თავისმხრივ ჰყავთ მერი და ადგილობრივი საბჭო.

ყოველი ტერიტორიული ერთეულის ამომრჩევლებს შეუძლიათ მოითხოვონ ამ ერთეულის საკანონმდებლო კრების დღის წესრიგში მათ კომპეტენციას მიკუთვნებული რაიმე საკითხის შეტანა. განხილვაზე გატანილი პროექტები ან რომელიმე ტერიტორიული ერთეულის კომპეტენციას მიკუთვნებული რაიმე აქ-

ტი, შეიძლება გატანილ იქნეს რეფერენდუმზე ამ ერთეულის ამომრჩეველთა ინიციატივით. განსაკუთრებული სტატუსის მქონე ტერიტორიული ერთეულის შექმნის ან ასეთი ერთეულის ორგანიზაციის შეცვლისთვის შეიძლება გაიმართოს შესაბამისი ერთეულის საარჩევნო სიებში შეტანილ ამომრჩევლებთან კონსულტაციები. ამომრჩევლებთან კონსულტაციები ასევე შეიძლება ჩატარდეს ტერიტორიული ერთეულების საზღვრების შეცვლასთან დაკავშირებით.

ტერიტორიული ერთეულები სარგებლობენ რესურსებით, რომლებიც მათ შეუძლიათ თავისუფლად განკარგონ კანონში მითითებული პირობების დაცვით. მათ შეუძლიათ სრულად ან ნაწილობრივ მიიღონ შემოსავალი ნებისმიერი ხასიათის გადასახადით დაბეგვრიდან. კანონმა შეიძლება ნება დართოს ტერიტორიულ ერთეულებს განსაზღვრონ გადასახადები და მათი განაკვეთები.

სახელმწიფოსა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის ნებისმიერი უფლებამოსილების გადაცემისას, ასევე უნდა გადაეცეს ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად აუცილებელი ექვივალენტური სახსრები. უფლებამოსილების ნებისმიერი მინიჭება ან გაფართოება, რაც ტერიტორიული ერთეულების ხარჯების გაზრდას გამოიწვევს, უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი სახსრების გადაცემით. სახსრები პროპორციულად უნდა განაწილდეს, ისე, რომ შენარჩუნდეს ტერიტორიულ ერთეულებს შორის თანასწორობა.

ეს ნორმები ვრცელდება ასევე ზღვისიქითა ტერიტორიებზე, რომელთა მოსახლეობას მათი თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის საყოველთაო იდეალებთან მიმართებაში რესპუბლიკა აღიარებს ფრანგი ხალხის შემადგენლობაში.

ზღვისიქითა ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან დაკავშირებული ცვლილებები, სტატუსის შესუსტებით არ შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი ერთეულის ან ერთეულის ნაწილის ამომრჩევლებისაგან წინასწარ მიღებული ნებართვის გარეშე. სტატუსის ამგვარი ცვლილება დაიშვება მხოლოდ ორგანული კანონით. ამის თაობაზე პრეზიდენტს მთავრობის წინადადებით ან ორივე პალატის ერთობლივი წინადადებით შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება რომელიმე ზღვისიქითა ტერიტორიული ერთეულის ამომრჩევლებთან კონსულტაციის გამართვის შესახებ, ტერიტორიის ორგანიზაციის, კომპეტენციის ან საკანონმდებლო სისტემის საკითხებთან დაკავშირებით.

ზღვისიქითა ტერიტორიებს გააჩნიათ სტატუსი, რომელიც ითვალისწინებს თითოეული მათგანის ინტერესებს რესპუბლიკაში. ეს სტატუსი განისაზღვრება ორგანული კანონით შესაბამისი საკანონმდებლო კრების დასკვნის მიღების შემდეგ. მათ დაწესებულებებთან უნდა გაიმართოს კონსულტაციები ერთეულთან დაკავშირებული განსაკუთრებული დებულებების შემცველ კანონპროექტებთან, ორდონანსებისა და დეკრეტების პროექტებთან, ასევე, ერთეულის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროებში დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით.

ორგანულმა კანონმა ამ ერთეულებისათვის შეიძლება დაადგინოს პირობები, რომელთა მიხედვით: სახელმწიფო საბჭო ახორციელებს სპეციფიკურ სასამართლო კონტროლს საკანონმდებლო კრების მიერ საკანონმდებლო სფეროს მი-

კუთვნებულ სფეროებში მიღებულ ზოგიერთი კატეგორიის აქტებთან დაკავშირებით; საკანონმდებლო კრებას შეუძლია ტერიტორიული ერთეულის ახალი სტატუსის ძალაში შესვლის შემდეგ შეცვალოს პრომულგირებული კანონები, თუ საკონსტიტუციო საბჭო ტერიტორიული ერთეულის ორგანოთა თხოვნით დაადგენს, რომ კანონით მოწესრიგებული საკითხები განეკუთვნება მისი კომპეტენციის სფეროს; ტერიტორიული ერთეულების მიერ თავიანთი მოსახლეობის დასაქმების უზრუნველსაყოფად, მათ მიერ პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად ან მიწის საკუთრების დასაცავად შეიძლება მიღებულ იქნეს ადგილობრივი მოთხოვნილებებით გამართლებული ზომები; ერთეულს, სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, შეუძლია მისთვის მინიჭებული კომპეტენციის განხორციელებისას მონაწილეობა მიიღოს საჯარო თავისუფლებების რეალიზაციაში მთელ ეროვნულ ტერიტორიაზე მოქმედი გარანტიების დაცვით. ტერიტორიული ერთეულის განსაკუთრებული ორგანიზაციის სხვა თავისებურებები დგინდება და იცვლება კანონით მათ საკანონმდებლო კრებებთან კონსულტაციების შემდეგ.

ზღვისიქითა დეპარტამენტებსა და რეგიონებში კანონები და რეგლამენტები გამოიყენება სრული უფლებით. თუმცა, ერთეულების სპეციფიკის გათვალისწინებით მათ შეიძლება მიენიჭოთ უფლება თვითონ დაადგინონ შეზღუდული კომპეტენციის ფარგლებში მათ ტერიტორიაზე გამოსაყენებელი წესები, რაც კანონით უნდა იყოს განსაზღვრული. ეს წესი არ შეეხება მოქალაქეობას, სამოქალაქო უფლებებს, საჯარო თავისუფლებების გარანტიებს, მოქალაქეობრივ მდგომარეობასა და პიროვნების უფლებაუნარიანობას, იუსტიციის ორგანიზაციას, სისხლის სამართალს, სისხლის სამართლის პროცესს, საგარეო პოლიტიკას, თავდაცვას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და წესრიგს, ფინანსებს, კრედიტებს და სავალუტო ოპერაციებს, ასევე საარჩევნო სამართალს. ეს ნუსხა შეიძლება დაზუსტდეს და დამატებულ იქნეს ორგანული კანონით. ეს დებულებები არ გამოიყენება რეუნიონის დეპარტამენტისა და რეგიონისთვის.

კანონით ზღვისიქითა დეპარტამენტის ან რეგიონის შემცველი რომელიმე ერთეულის შექმნა ან ორი ერთეულისთვის ერთი საკანონმდებლო კრების დაფუძნება შესაძლებელია ამ ერთეულებში დარეგისტრირებული ამომრჩევლების თანხმობით.

გარდა ზღვისიქითა ტერიტორიებისა, რომლებიც საფრანგეთის შემადგენელ ნაწილებად ითვლება, ქვეყანას გააჩნია ასევე დამოკიდებული ტერიტორიები, რომელთა სტატუსი განსაზღვრულია თვით ამ ტერიტორიის მოსახლეობის მიერ. ერთ-ერთი ამგვარი ტერიტორიაა ახალი კალედონია, რომლის შესახებ ნორმები კონსტიტუციის დონეზეა გაწერილი. ახალი კალედონიის მოსახლეობამ 1998 წელს მხარი დაუჭირა 1998 წლის 5 მაისს ნუამში ხელმოწერილ შეთანხმებას. ორგანული კანონი, რომელიც ადგენს მასთან დაკავშირებულ ნორმებს, მიიღება ახალი კალედონიის საკანონმდებლო კრებასთან კონსულტაციის შემდეგ. ეს ორგანული კანონი განსაზღვრავს: ახალი კალედონიის დაწესებულებებისათვის უვადოდ გადასაცემ სახელმწიფოს კომპეტენციას, გადაცემის დროსა და პირობებს, ასევე ამ გადაცემის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების გამიჯვნას; ახალი

კალედონიის დაწესებულებების ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ ნორმებს და, ნაწილობრივ, პირობებს, რომელთა შესაბამისად საკანონმდებლო კრების ზოგიერთი კატეგორიის აქტები მათ გამოცემამდე ექვემდებარება საკონსტიტუციო საბჭოს კონტროლს; საერთო სამართლით რეგულირებულ მოქალაქეობის, საარჩევნო სისტემის, დასაქმებისა და პირადი სტატუსის შესახებ ნორმებს; პირობებსა და ვადებს, რომელთა ფარგლებშიც ახალი კალედონიის დაინტერესებულ მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება ხმა მისცეს სრული სუვერენიტეტის მინიჭებას. ეს უკანასკნელი ყველაზე მნიშვნელოვანი ნორმაა, რომელიც ზღვისიქითა ტერიტორიებისგან განსხვავებით დამოკიდებულ ტერიტორიებს ანიჭებს სეცესიის — ქვეყნის შემადგენლობიდან გასვლის უფლებას.

კონსტიტუცია პირდაპირ ითვალისწინებს ნორმას, რომლის მიხედვით, რესპუბლიკას შეუძლია დადოს შეთანხმება სახელმწიფოებთან, რომლებსაც მათი ცივილიზაციის განვითარების მიზნით სურთ მასთან გაერთიანება.

ზღვისიქითა ტერიტორიებზე და ახალ კალედონიაში, სახელმწიფოს მიერ განსახორციელებლად დარჩენილ სფეროში, მთავრობას შეუძლია ორდონანსების გამოცემის გზით გააფართოვოს მეტროპოლიაში მოქმედი საკანონმდებლო სფერო. ორდონანსები გამოიცემა მინისტრთა საბჭოში ტერიტორიების შესაბამისი საკანონმდებლო კრებებისა და სახელმწიფო საბჭოს დასკვნების მიღების შემდეგ. ისინი ძალაში შედიან გამოქვეყნებისთანავე, თუმცა ბათილად ითვლება, თუ გამოქვეყნებიდან 18 თვის მანძილზე პარლამენტი არ მოახდენს მათ რატიფიკაციას.

კონსტიტუციის ცალკე თავი ეთმობა ევროკავშირისა და ევროპული თანამეგობრობების შესახებ ნორმებს, სადაც აღნიშნულია, რომ რესპუბლიკა მონაწილეობს თავისუფალი არჩევანის საფუძველზე სახელმწიფოების მიერ შექმნილ ევროპულ თანამეგობრობებსა და ევროკავშირში, მათ მიერ დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, ზოგიერთი მათი უფლებამოსილების ერთობლივად განსახორციელებლად. იგი მონაწილეობს ევროკავშირში, ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ემატება ევროკავშირისა და ევროგაერთიანების შექმნის შესახებ ხელშეკრულებებს და ხელმოწერილია 2007 წლის 13 დეკემბერს.

თანაზიარობის საფუძველზე და ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, საფრანგეთი თანხმდება ევროპის ეკონომიკური და საფინანსო საბჭოს შესაქმნელად აუცილებელი კომპეტენციის გადაცემაზე. ასევე საფრანგეთი თანხმდება გადასცეს პირთა თავისუფალი გადაადგილების წესისა და მასთან დაკავშირებული სფეროების დასარეგულირებლად აუცილებელი კომპეტენცია.

მუნიციპალურ არჩევნებში ხმის უფლება და კანდიდატად მონაწილეობის უფლება ენიჭებათ მხოლოდ საფრანგეთში მცხოვრებ ევროკავშირის მოქალაქეებს. ამ მოქალაქეებს არ შეუძლიათ განახორციელონ მერის ან მისი მოადგილის ფუნქციები, მონაწილეობა მიიღონ სენატორთა ამრჩევი საარჩევნო კოლეგიის დანიშვნასა და სენატის არჩევნებში.

ნებისმიერი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირისა და ევროპის თანამეგობრობისთვის რომელიმე სახელმწიფოს მიერთებასთან დაკავშირე-

ბული ხელშეკრულების რატიფიკაციას, ექვემდებარება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმზე გატანას.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. საფრანგეთის კონსტიტუციის განსაკუთრებულ თავისებურებას, პირველ რიგში, წარმოადგენს შერეული მმართველობის ფორმის კლასიკური მოდელის დამკვიდრება, რომელსაც შემდგომ ათობით ქვეყანამ მიბაძა. სწორედ მმართველობის ფორმიდან გამომდინარეობს ხელისუფლებათა დანაწილების თავისებურება, რომლის მიხედვით პრეზიდენტს გააჩნია დომინირებული მდგომარეობა.

— მთავრობას დამოუკიდებლად აკომპლექტებს პრეზიდენტი; მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, იგი ხელმძღვანელობს მინისტრთა საბჭოს; განსაკუთრებულ პერიოდში გამოცემული პრეზიდენტის აქტები არ საჭიროებს შემდგომ საპარლამენტო დამტკიცებას;

— მთავრობას აქვს გადაცემული ზოგიერთი ისეთი ფუნქცია, რომელიც, როგორც წესი, სახელმწიფოს მეთაურის კომპეტენციას განეკუთვნება: მთავრობის განკარგულებაში იმყოფება შეიარაღებული ძალები, მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი პრეზიდენტია; ელჩებსა და დესპანებს ნიშნავს მინისტრთა საბჭო;

— კონსტიტუციით არ არის მოწესრიგებული პალატების წევრთა რაოდენობისა და უფლებამოსილების ვადის საკითხი და მათ ორგანული კანონი განსაზღვრავს;

— სენატი აირჩევა არაპირდაპირი გზით;

— მართალია პალატებში კენჭისყრა პირადია, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში, დასაშვებია ხმის მიცემის უფლების დელეგირება სხვა პარლამენტის წევრზე;

— საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოა საკონსტიტუციო საბჭო. მისი კონსტიტუციურობის შემოწმების იურისდიქცია მხოლოდ წინასწარ ხასიათს ატარებს;

— კონსტიტუცია იცნობს სასამართლო უფლებამოსილებით აღჭურვილ ზოგიერთ სხვა ორგანოსაც, რომლებიც მხოლოდ კონკრეტულ თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განხილვისთვის იქმნება, მაგალითად, მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო, რესპუბლიკის მართლმსაჯულების სასამართლო;

— რესპუბლიკის ტერიტორიული მოწყობა საკმაოდ რთულია, ასიმეტრიულ პრინციპზეა აგებული და გარდა მეტროპოლიური საფრანგეთისა, ასევე მოიცავს განსაკუთრებული სტატუსის მქონე ერთეულებსა და ზღვისიქითა ტერიტორიებს;

— კონსტიტუციის ცალკე თავი ეთმობა ევროკავშირისა და ევროპული თანამეგობრობების შესახებ ნორმებს.

საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია[1]

მიღებულია 1958 წლის 4 ოქტომბერს

(ცვლილებები შეტანილ იქნა 1960 წლის 4 ივლისს, 1962 წლის 6 ნოემბერს, 1963 წლის 30 დეკემბერს, 1974 წლის 29 ოქტომბერს, 1976 წლის 18 ივნისს, 1992 წლის 25 ივნისს, 1993 წლის 27 ივლისს, 1993 წლის 25 ნოემბერს, 1995 წლის 4 აგვისტოს, 1996 წლის 22 თებერვალს, 1998 წლის 20 ივლისს, 1999 წლის 25 იანვარს, 1999 წლის 8 ივლისს, 1999 წლის 8 ივლისს, 2000 წლის 2 ოქტომბერს, 2003 წლის 25 მარტს, 2003 წლის 28 მარტსა და 2005 წლის 1 მარტს, 2008 წლის 4 თებერვალს)

პრეამბულა

1958 წლის 3 ივნისის კონსტიტუციური კანონის შესაბამისად რესპუბლიკის მთავრობამ წარმოადგინა, ფრანგმა ხალხმა მიიღო, ხოლო რესპუბლიკის პრეზიდენტი ახდენს შემდეგი შინაარსის კონსტიტუციური კანონის პრომულგირებას:

ფრანგი ხალხი საზეიმოდ აცხადებს თავის მიმდევრობას ადამიანის უფლებებისა და ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპისადმი, როგორც ეს განსაზღვრული იყო 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულით და დადასტურებული და დამატებული 1789 წლის დეკლარაციით.

ამ პრინციპებიდან, ასევე, ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის პრინციპიდან გამომდინარე, ზღვისიქითა ტერიტორიებს, რომლებმაც გამოთქვეს რესპუბლიკასთან შეერთების სურვილი, რესპუბლიკა სთავაზობს თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის საერთო იდეალებზე დამყარებულ ახალ ინსტიტუტებს, რომლებიც მოწოდებულნი არიან ემსახურონ მათ დემოკრატიულ განვითარებას.

მუხლი 1. საფრანგეთი არის განუყოფელი, საერო, დემოკრატიული და სოციალური რესპუბლიკა. იგი უზრუნველყოფს კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობას მიუხედავად მათი წარმოშობის, რასის ან რელიგიისა. იგი პატივს სცემს ყოველგვარ რწმენას. იგი აგებულია დეცენტრალიზაციის პრინციპზე.

ნაწილი I – სუვერენიტეტის შესახებ

მუხლი 2. რესპუბლიკის ენაა ფრანგული.

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია საფრანგეთის ეროვნული კრების ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.assemblee-nationale.fr/english/8ab.asp გამოქვეყნებული საფრანგეთის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი.

ეროვნულ ემბლემას წარმოადგენს სამფეროვანი — ლურჯი, თეთრი და წითელი დროშა.

რესპუბლიკის ჰიმნია „მარსელიოზა“.

რესპუბლიკის დევიზია: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“.

მისი პრინციპია: ხალხის მმართველობა, ხალხის მიერ მმართველობა და ხალხისთვის მმართველობა.

მუხლი 3. ეროვნული სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს, რომელიც მას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების ან რეფერენდუმის საშუალებით.

ხალხის არც ერთმა ნაწილმა ან ცალკეულმა პირმა არ შეიძლება მითვისოს მისი განხორციელება.

კენჭისყრა ხორციელდება კონსტიტუციის შესაბამისად უშუალოდ ან არაპირდაპირ. იგი ყოველთვის საყოველთაო, თანასწორი და ფარულია.

ხმის მიცემის უფლება კანონის შესაბამისად აქვს ყველა სრულწლოვან საფრანგეთის მოქალაქეს, რომელიც სარგებლობს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით, მიუხედავად მისი სქესისა.

ქალებისა და მამაკაცებისათვის კანონი უზრუნველყოფს არჩევით თანამდებობებზე თანასწორ შესაძლებლობას.

მუხლი 4. პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები ხელს უწყობენ კენჭისყრის განხორციელებას. ისინი იქმნებიან და თავის საქმიანობას ახორციელებენ დამოუკიდებლად. ისინი უნდა იცავდნენ ეროვნული სუვერენიტეტისა და დემოკრატიის პრინციპებს.

ისინი, კანონის შესაბამისად, ხელს უწყობენ მე-3 მუხლის ბოლო აბზაცით გათვალისწინებული პრინციპის განხორციელებას.

ნაწილი II — რესპუბლიკის პრეზიდენტი

მუხლი 5. რესპუბლიკის პრეზიდენტი თვალყურს ადევნებს კონსტიტუციის დაცვას. იგი თავისი არბიტრაჟის მეშვეობით უზრუნველყოფს საჯარო ხელისუფლების ორგანოთა ნორმალურ ფუნქციონირებას, ასევე სახელმწიფოს მემკვიდრეობითობას.

იგი არის ეროვნული დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების დაცვის გარანტი.

მუხლი 6. რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა ხუთი წლის ვადით პირდაპირი და საყოველთაო კენჭისყრით.

ამ მუხლის გამოყენების პირობები დგინდება ორგანული კანონით.

მუხლი 7. ესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. თუ კენჭისყრის პირველ ტურში ამგვარი უმრავლესობა არ იქნება მიღებული, მეთოთხმეტე დღეს ტარდება მეორე ტური. მასში მონაწილეობს მხოლოდ ის ორი კანდიდატი, რომელიც კანდიდატურების მოხსნის შემთხვევაშიც კი პირველ ტურში ყველაზე მეტ ხმას მიიღებს.

კენჭისყრის დრო დგინდება მთავრობის გადაწყვეტილებით.

ახალი პრეზიდენტის არჩევნები ტარდება თანამდებობაზე მყოფი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არანაკლებ ოცი და არა უმეტეს ოცდათხუთმეტი დღის ვადაში.

თუ პრეზიდენტის თანამდებობა რაიმე მიზეზით ვაკანტური გახდება ან თუ საკონსტიტუციო საბჭო მთავრობის თხოვნით ხმების აბსოლუტური უმრავლესობით დაადასტურებს გარემოებას, რომელიც აბრკოლებს პრეზიდენტის მიერ მისი ფუნქციების შესრულების შესაძლებლობას, რესპუბლიკის პრეზიდენტის ფუნქციებს, გარდა მე-11 და მე-12 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დროებით ასრულებს სენატის თავმჯდომარე, ხოლო თუ ამ უკანასკნელს თავისმხრივ წარმოეშობა დაბრკოლება — მთავრობა.

რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის ვაკანსიის შემთხვევაში ან საკონსტიტუციო საბჭოს მიერ მისი ფუნქციების განხორციელებაში დაბრკოლების აღიარებისას, ახალი პრეზიდენტის არჩევნებში კენჭისყრა ხორციელდება ვაკანსიის გაჩენიდან ან პრეზიდენტის მიერ ფუნქციის შესრულების შეუძლებლობის მუდმივად აღიარებიდან არანაკლებ ოცი და არა უმეტეს ოცდათხუთმეტი დღის ვადაში, გარდა საკონსტიტუციო საბჭოს მიერ დამტკიცებული დაუძლეველი ძალის შემთხვევისა.

თუ კანდიდატურების წამოყენების ვადის შეწყვეტამდე შვიდი დღის განმავლობაში, იმ პირთაგან ერთ-ერთი, რომელიც ამ თარიღიდან არანაკლებ ოცდათი დღით ადრე საჯაროდ განაცხადებს კანდიდატობის თაობაზე, გარდაიცვლება ან წარმოეშობა დაბრკოლება, საკონსტიტუციო საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არჩევნების ვადის გადატანის შესახებ.

თუ არჩევნების პირველ ტურამდე ერთ-ერთი კანდიდატი გარდაიცვლება ან თუ მას წარმოეშობა დაბრკოლება, საკონსტიტუციო საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას არჩევნების ვადის გადატანის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ ორი კანდიდატიდან ერთ-ერთი, რომლებიც პირველ ტურში იმყოფებიან უკეთეს მდგომარეობაში ამ დრომდე გარდაიცვლება ან წარმოეშობა დაბრკოლება, კანდიდატურების შესაძლო მოხსნამდე საკონსტიტუციო საბჭო გამოაცხადებს ყველა საარჩევნო პროცესის ხელახალი ჩატარების შესახებ. ამგვარი წესი მოქმედებს ასევე, თუ მეორე ტურში მონაწილე ორი კანდიდატიდან ერთ-ერთი გარდაიცვლება ან წარმოეშობა დაბრკოლება.

ყველა შემთხვევაში საკონსტიტუციო საბჭოს მიმართავენ 61-ე მუხლის მე-2 აბზაცით დადგენილი პირობების თანახმად ან მე-6 მუხლის დებულებებით განსაზღვრული და ორგანული კანონით კანდიდატურების წამოყენებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკონსტიტუციო საბჭოს შეუძლია გააგრძელოს მე-3 და მე-5 აბზაცებით გათვალისწინებული ვადები, თუმცა კენჭისყრა უნდა შედგება მის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უმეტეს ოცდათხუთმეტი დღის ვადაში. თუ ამ აბზაცის დებულებების გამოყენება გამოიწვევს არჩევნების თარიღის გადატანას არა უმეტეს თანამდებობაზე მყოფი პრეზიდენტის უფლებამოსილების გასვლამდე, ეს უკანასკნელი ასრულებს თავისი ვალდებულებების შესრულებას მისი მემკვიდრის არჩეულად გამოცხადებამდე.

არ შეიძლება კონსტიტუციის 49-ე და 50-ე, ასევე 89-ე მუხლების გამოყენება, სანამ რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტურია, ასევე რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ფუნქციების მუდმივად განხორციელების შეუძლებლობის გამოცხადებასა და მისი მემკვიდრის არჩევას შორის პერიოდში.

მუხლი 8. რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს. იგი პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებას წყვეტს მის მიერ მთავრობის გადადგომის შესახებ განცხადების წარდგენიდან.

პრემიერ-მინისტრის წარდგინებით პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობის სხვა წევრებს და წყვეტს მათ უფლებამოსილებას.

მუხლი 9. რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს მინისტრთა საბჭოს.

მუხლი 10. რესპუბლიკის პრეზიდენტი ახდენს კანონების პრომულგირებას კანონის საბოლოოდ მიღებიდან და მთავრობისათვის გადაცემიდან თხუთმეტი დღის ვადაში.

მას შეუძლია ამ ვადის გასვლამდე პარლამენტისგან მოითხოვოს კანონის ან მისი რომელიმე მუხლის ხელახალი განხილვა. ხელახალ განხილვაზე უარის თქმა დაუშვებელია.

მუხლი 11. რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია მთავრობის წინადადებით საპარლამენტო სესიების დროს ან ორივე პალატის ერთობლივი წინადადებით, რომელიც ქვეყნდება ოფიციალურ ჟურნალში, რეფერენდუმზე გაიტანოს ნებისმიერი კანონპროექტი, რომელიც ეხება საჯარო ხელისუფლების ორგანიზაციას, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკისა და საჯარო ხელისუფლების რეფორმებს, თანამეგობრობის რაიმე შეთანხმების დამტკიცებას, რომელიც არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო დაწესებულებების ფუნქციონირებაზე.

როდესაც რეფერენდუმი ეწყობა მთავრობის ინიციატივით, მთავრობა თითოეული პალატის წინაშე გამოდის განცხადებით, რომელიც ექვემდებარება შემდგომ განხილვას.

კანონპროექტის რეფერენდუმზე დამტკიცების შემთხვევაში, რესპუბლიკის პრეზიდენტი კენჭისყრის შედეგების გამოცხადებიდან 15 დღის ვადაში ახდენს კანონის პრომულგირებას.

მუხლი 12. რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია პრემიერ-მინისტრსა და პალატების თავმჯდომარეებთან კონსულტაციების შემდეგ განაცხადოს ეროვნული კრების დათხოვნის შესახებ.

საყოველთაო არჩევნები ტარდება დათხოვნიდან არანაკლებ ოცი და არა უმეტეს ორმოცი დღის ვადაში.

ეროვნული კრება თავისი უფლებით იკრიბება არჩევნებიდან მეორე ხუთშაბათს. თუ ეს სხდომა შეირკიბება მორიგი სესიისათვის გათვალისწინებული ვადის დარღვევით, სესია მოიწვევა კანონის ძალით თხუთმეტი დღის ვადაში.

არ შეიძლება დათხოვნას ადგილი ჰქონდეს ამ არჩევიდან ერთი წლის მანძილზე.

მუხლი 13. რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს აწერს მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ ორდონანსებსა და დეკრეტებს.

იგი ნიშნავს სამოქალაქო და სამხედრო სახელმწიფო თანამდებობებზე.

მინისტრთა საბჭო ნიშნავს სახელმწიფო მრჩევლებს, საპატიო ლეგიონის დიდ კანცლერს, ელჩებსა და დესპანებს, საანგაროში პალატის უფროს მრჩევლებს, პრეფექტებს, მთავრობის წარმომადგენლებს 74-ე მუხლში აღნიშნულ ზღვისიქითა ტერიტორიებზე და ახალ კალედონიაში, აკადემიების რექტორებს, ცენტრალური უწყებების დირექტორებს.

ორგანული კანონი განსაზღვრავს სხვა თანამდებობებს, რომლებზე დანიშვნასაც ახორციელებს მინისტრთა საბჭო, ასევე პირობებს, რომლის დროსაც რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები შეიძლება დელეგირებულ იქნეს მის მიერ მისივე სახელით მოქმედებისათვის.

მუხლი 14. რესპუბლიკის პრეზიდენტი ახდენს ელჩებისა და სხვა საგანგებო დესპანების აკრედიტაციას უცხოეთის ქვეყნებში; უცხოეთის ელჩები და საგანგებო დესპანები აკრედიტაციას იღებენ მისგან.

მუხლი 15. რესპუბლიკის პრეზიდენტი არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ხელმძღვანელობს ეროვნული თავდაცვის უმაღლეს საბჭოებსა და კომიტეტებს.

მუხლი 16. როდესაც რესპუბლიკის ინსტიტუტებს, ერის დამოუკიდებლობას, მის ტერიტორიულ მთლიანობას ან საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას სერიოზული და უშუალო საფრთხე ექმნება, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციური ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირება შეწყვეტილია, რესპუბლიკის პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრთან, პალატების თავმჯდომარეებთან, ასევე საკონსტიტუციო საბჭოსთან კონსულტაციების შემდეგ იღებს ამ გარემოებებიდან ნაკარნახევ ზომებს.

იგი ამის შესახებ მიმართვით აცნობებს ერს.

ეს ზომები ნაკარნახევი უნდა იყოს კონსტიტუციური სახელმწიფო ორგანოების მიერ თავიანთი ამოცანების უმოკლეს ვადებში შესრულების უზრუნველყოფისგან. ამ მიზნით წარმოებს კონსულტაციები საკონსტიტუციო საბჭოსთან.

პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება.

ეროვნული კრება არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს საგანგებო მდგომარეობის განხორციელების პერიოდში.

მუხლი 17. რესპუბლიკის პრეზიდენტს აქვს შეწყალების უფლება.

მუხლი 18. რესპუბლიკის პრეზიდენტი პარლამენტის პალატებს უკავშირდება გზავნილების მეშვეობით, რომლებიც პალატებში წაკითხულად ჩაითვლებიან და არ ექვემდებარებიან დებატებს.

სესიებს შორის პერიოდში პარლამენტი ამ მიზნით სპეციალურად იკრიბება.

მუხლი 19. რესპუბლიკის პრეზიდენტის აქტებს, გარდა მე-8 მუხლის პირველ აბზაცში, მე-11, მე-12, მე-16, მე-18, 54-ე, 56-ე და 61-ე მუხლებში მითითებულისა, ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი და აუცილებლობის შემთხვევაში — პასუხისმგებელი მინისტრები.

ნაწილი III — მთავრობა

მუხლი 20. მთავრობა განსაზღვრავს და წარმართავს ერის პოლიტიკას.

მის განკარგულებაში იმყოფება ადმინისტრაცია და შეიარაღებული ძალები.

იგი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე 49-ე და 50-ე მუხლებით გათვალისწინებული პირობებისა და პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 21. პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს მთავრობის საქმიანობას. იგი პასუხისმგებელია ეროვნულ თავდაცვაზე. იგი უზრუნველყოფს კანონების აღსრულებას. იგი, 13-ე მუხლის დაცვით, გამოსცემს განკარგულებებს და ნიშნავს სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობებზე.

მას შეიძლია მოახდინოს ზოგიერთი საკუთარი უფლებამოსილების მინისტრებზე დელეგირება.

აუცილებლობის შემთხვევაში იგი ენაცვლება რესპუბლიკის პრეზიდენტს, როგორც მე-15 მუხლში აღნიშნული საბჭოებისა და კომიტეტების სხდომების თავმჯდომარე.

გამონაკლის შემთხვევებში მას შეუძლია სპეციალური დავალების თანახმად, განსაზღვრული დღის წესრიგით ჩაენაცვლოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, როგორც მინისტრთა საბჭოს სხდომების თავმჯდომარე.

მუხლი 22. პრემიერ-მინისტრის აქტებს აუცილებლობის შემთხვევაში ხელს აწერენ მათ აღსრულებაზე პასუხისმგებელი მინისტრები.

მუხლი 23. მთავრობის წევრის ფუნქციები შეუთავსებელია საპარლამენტო მანდატის განხორციელებასთან, საერთო ეროვნული ხასიათის პროფესიულ წარმომადგენლობასთან, სახელმწიფო სამსახურთან და პროფესიულ საქმიანობასთან.

ორგანული კანონი ადგენს იმ პირობებს, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება ზემოაღნიშნული მანდატის, ფუნქციებისა და თანამდებობის მფლობელის შეცვლა.

პარლამენტის წევრთა შეცვლა მიმდინარეობს 25-ე მუხლის დებულებების შესაბამისად.

ნაწილი IV – პარლამენტი

მუხლი 24. პარლამენტი შედგება ეროვნული კრებისა და სენატისაგან.

ეროვნული კრების დეპუტატები აირჩევიან პირდაპირი კენჭისყრით.

სენატი აირჩევა არაპირდაპირი კენჭისყრის გზით. იგი უზრუნველყოფს რესპუბლიკის ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობას. საფრანგეთის საზღვრებს გარეთ მცხოვრები ფრანგები წარმოდგენილნი არიან სენატში.

მუხლი 25. ორგანული კანონი განსაზღვრავს თითოეული პალატის უფლებამოსილების ვადას, წევრთა რაოდენობას, მათ ანაზღაურებას, საარჩევნო პირობებს, აურჩევლობისა და შეუთავსებლობის რეჟიმებს.

იგი ასევე განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელთა მიხედვით ხდება დეპუტატთა და სენატორთა ვაკანტური ადგილების შევსება თითოეული იმ პალატის სრულ ან ნაწილობრივ განახლებამდე, რომელთა წევრებიც ისინი არიან.

მუხლი 26. დაუშვებელია პარლამენტის წევრის დევნა, ძებნა, დაკავება, დაპატიმრება ან სამართალში მიცემა მათი ფუნქციების განხორციელებისას გამოთქმული აზრებისა და ხმის მიცემისთვის.

პარლამენტის წევრი სესიების დროს სისხლის სამართლებრივ ან პოლიციურ დევნას ან სხვა პრევენციულ ან თავისუფლების შემზღუდავ ღონისძიებას შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ პალატის ბიუროს თანხმობით, რომლის შემადგენლობაშიც არის. ეს თანხმობა არ არის საჭირო დანაშაულის ადგილზე დაკავების ან საბოლოო გასამართლებისას.

ტუსაღობა, პრევენციული ან თავისუფლების შემზღუდავი ღონისძიებები ან პარლამენტის წევრის დევნა ჩერდება სესიებს შორის პერიოდში, თუ პალატა, რომლის შემადგენლობაშიც იგი არის ამას მოითხოვს.

დაინტერესებული პალატა დამატებით სხდომაზე თავისი უფლებით იკრიბება აუცილებლობის შემთხვევაში წინა აბზაცში მითითებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

მუხლი 27. ყოველი იმპერატიული მანდატი ბათილია. პარლამენტის წევრთა ხმის უფლება პირადია. გამონაკლის შემთხვევებში ორგანულმა კანონმა შეიძლება დაადგინოს ხმის დელეგირება. ასეთ შემთხვევაში არავის არ შეიძლება გადაეცეს ერთ ხმაზე მეტი.

მუხლი 28. პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე, რომელიც იწყება ოქტომბრის პირველ სამუშაო დღეს და მთავრდება იენისის ბოლო სამუშაო დღეს.

ყოველი პალატის მიერ სესიის მანძილზე ჩასატარებელ სხდომათა რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 120 დღეს. სასესიო კვირები დგინდება თითოეული პალატისთვის.

პრემიერ-მინისტრს, შესაბამისი პალატის თავმჯდომარესთან ან თითოეული პალატის წევრთა უმრავლესობასთან კონსულტაციის შემდეგ, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სესიის დამატებითი სხდომების ჩატარების შესახებ.

სხდომების დღეები და საათები განისაზღვრება პალატების რეგლამენტებით.

მუხლი 29. რიგგარეშე სესიაზე პარლამენტი იკრიბება პრემიერ-მინისტრის ან ეროვნული კრების წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით განსაზღვრული დღის წესრიგით.

როდესაც რიგგარეშე სესია ტარდება ეროვნული კრების წევრთა მოთხოვნით, მისი დახურვის შესახებ დეკრეტი გამოიცემა მაშინვე, როგორც კი პარლამენტი ამოწურავს დღის წესრიგს, რომლის განსახილველადაც მოწვეულ იქნა, მაგრამ მისი პირველი მოწვევიდან არა უმეტეს ოცი დღის ვადაში.

მხოლოდ პრემიერ-მინისტრს შეუძლია მოითხოვოს ახალი სესიის მოწვევა სესიის დახურვის შესახებ დეკრეტის გამოცემიდან ერთთვიანი ვადის გასვლამდე.

მუხლი 30. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება, რიგგარეშე სესიები იხსნება და იხურება რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტით.

მუხლი 31. მთავრობის წევრებს შეუძლიათ დაესწრონ ორივე პალატის სხდომას.

მათ უნდა მოუსმინონ მათივე მოთხოვნით.

მათ შეიძლება დაეხმარონ მთავრობის კომისრები.

მუხლი 32. ეროვნული კრების თავმჯდომარე აირჩევა პალატის უფლებამოსილების ვადით. სენატის თავმჯდომარე აირჩევა ამ პალატის ყოველი ნაწილობრივი განახლების შემდეგ.

მუხლი 33. ორივე პალატის სხდომები საჯაროა. დებატების შესახებ სრული სტენოგრაფიული ანგარიში ქვეყნდება ოფიციალურ ჟურნალში.

პრემიერ-მინისტრის ან პალატის წევრთა ერთი მეათედის მოთხოვნით თითოეული პალატა შეიძლება შეიკრიბოს საიდუმლო კომიტეტის სახით.

ნაწილი V – პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობის შესახებ

მუხლი 34. კანონებს იღებს პარლამენტი.

კანონი ადგენს ნორმებს, რომლებიც ეხება:

- საჯარო თავისუფლებების განსახორციელებლად მოქალაქეთათვის მინიჭებულ სამოქალაქო უფლებებსა და ძირითად გარანტიებს; მოქალაქეებისა და მათ ქონებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნულ თავდაცვას;
- მოქალაქეობას, მოქალაქეობრივ მდგომარეობასა და უფლებაუნარიანობას, საოჯახო ქონებრივ ურთიერთობებს, მემკვიდრეობასა და ჩუქებას;
- დანაშაულებისა და დელიქტების განსაზღვრას, ასევე, მათთვის შეფარდებულ სასჯელებს; სისხლის სამართალწარმოებას, ამნისტიას; ახალი სასამართლო დაწესებულებების შექმნასა და მოსამართლეთა სტატუსს;
- გადასახადებისა და ყველა სხვა სახის გადასახდელების საფუძვლებს, განაკვეთებსა და აკრეფის პირობების დადგენას; ფულის ემისიის წესს.

კანონი ასევე ადგენს ნორმებს, რომლებიც ეხება:

- პარლამენტის პალატებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევის წესს;
- საჯარო დაწესებულებების კატეგორიების დადგენას;
- სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეებისათვის სახელმწიფოს მიერ მინიჭებულ ძირითად გარანტიებს;
- საწარმოების ნაციონალიზაციასა და სახელმწიფო სექტორის საკუთრების კერძოსთვის გადაცემას.

კანონი განსაზღვრავს ძირითად პრინციპებს შემდეგ სფეროებში:

- ეროვნული თავდაცვის საერთო ორგანიზაცია;
- ტერიტორიული ერთეულების თავისუფალი მართვა, მათი კომპეტენცია და შემოსავლები;
- განათლება;
- საკუთრების რეჟიმი, სანივთო უფლებები, სამოქალაქო და სავაჭრო ვალდებულებები;

- შრომის სამართალი, პროფკავშირული სამართალი და სოციალური უზრუნველყოფა.

ფინანსური კანონები განსაზღვრავენ სახელმწიფოს შემოსავლებსა და გასავლებს ორგანული კანონით გათვალისწინებული პირობებისა და დათქმების დაცვით.

სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსების შესახებ კანონები განსაზღვრავენ თავისი საფინანსო ბალანსის საერთო პირობებს და საყარაუდო შემოსავლების გათვალისწინებითა და ორგანული კანონით განსაზღვრული პირობების დაცვით ადგენენ ხარჯების მიზნებს.

პროგრამული კანონები განსაზღვრავენ სახელმწიფო საქმიანობის ეკონომიკურ და სოციალურ მიზნებს.

ამ მუხლის დებულებები შეიძლება განიერცოს და შეიცვალოს ორგანული კანონით.

მუხლი 35. ომის გამოცხადებაზე თანხმობას აძლევს პარლამენტი.

მუხლი 36. საგანგებო მდგომარეობას აწესებს მინისტრთა საბჭო.

თორმეტ დღეზე ხანგრძლივი ვადით მის გაგრძელებაზე თანხმობას აძლევს პარლამენტი.

მუხლი 37. საკითხები, რომლებიც არ შედის საკანონმდებლო სფეროში, სარეგლამენტო ხასიათისაა.

ამ საკითხებთან დაკავშირებით საკანონმდებლო გზით მიღებული აქტები სახელმწიფო საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ შეიძლება შეიცვალოს დეკრეტებით. ამ აქტებიდან ისინი, რომლებიც მიიღება ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ, შეიძლება შეცვლილ იქნეს დეკრეტით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო საბჭო წინა აბზაცის შესაბამისად დაადგენს, რომ მათ გააჩნიათ სარეგლამენტო ხასიათი.

მუხლი 37[1]. კანონები და რეგლამენტები შეიძლება შეიცავდნენ შეზღუდული მიზნითა და ვადით საექსპერიმენტო საფუძვლით მიღებულ დეპულებებს.

მუხლი 38. მთავრობას შეუძლია თავისი პროგრამის შესასრულებლად პარლამენტს მიმართოს, რათა შეზღუდული ვადის განმავლობაში, ორდონანსების გამოცემის გზით განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც ჩვეულებრივ განეკუთვნება საკანონმდებლო სფეროს.

ორდონანსებს გამოსცემს მინისტრთა საბჭო სახელმწიფო საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ. ისინი ძალაში შედიან მათი გამოქვეყნების შემდეგ, მაგრამ ძალას კარგავენ, თუ მათი დამტკიცების შესახებ კანონპროექტი არ იქნება პარლამენტში შეტანილი უფლებამოსილების დელეგირების შესახებ კანონში აღნიშნული ვადის გასვლამდე.

ამ მუხლის პირველ აბზაცში აღნიშნული ვადის გასვლისას ორდონანსები საკანონმდებლო სფეროს მიკუთვნებულ საკითხებში შეიძლება შეიცვალონ მხოლოდ კანონით.

მუხლი 39. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის წევრებს.

სამთავრობო კანონპროექტები განიხილება მინისტრთა საბჭოში საკონსტიტუციო საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ და შეიტანება ორი პალატიდან ერთ-ერთის ბიუროში. ფინანსური კანონპროექტები თავდაპირველად შეიტანება ეროვნულ კრებაში. 44-ე მუხლის პირველი აბზაცის მიუხედავად, ტერიტორიული ერთეულების შესაქმნელად მნიშვნელოვანი კანონპროექტები და ის კანონპროექტები, რომლებიც დაკავშირებულია საფრანგეთის საზღვრებს გარეთ მცხოვრები ფრანგი ეროვნების წარმომადგენლობით ორგანოებთან შეიტანება მხოლოდ სენატში.

მუხლი 40. პარლამენტის წევრთა მიერ შეტანილი საკანონმდებლო წინადადებები და შესწორებები არ შეიძლება მიღებულ იქნეს, თუ მათმა მიღებამ შეძლება გამოიწვიოს სახელმწიფო სახსრების შემცირება, სახელმწიფო ხარჯების წარმოქმნა ან გაზრდა.

მუხლი 41. თუ საკანონმდებლო პროცედურის მიმდინარეობისას გამოვლინდება, რომ რომელიმე წევრის წინადადება ან შესწორება არ შედის საკანონმდებლო სფეროში ან ეწინააღმდეგება 38-ე მუხლის შესაბამისად განსახორციელებელ დელეგირებულ უფლებამოსილებას, მთავრობას შეუძლია ისინი დაუშვებლად გამოაცხადოს.

მთავრობასა და შესაბამისი პალატის თავმჯდომარეს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო საბჭო ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით გადაწყვეტილებას იღებს რვა დღის ვადაში.

მუხლი 42. სამთავრობო კანონპროექტების იმ პალატაში განხილვა, სადაც ისინი შეტანილ იქნა მიმდინარეობს მთავრობის მიერ წარდგენილი ტექსტის მიხედვით.

ერთი პალატის მიერ მიღებულ ტექსტს მეორე პალატა განიხილავს იმ სახით, რა სახითაც მას წარედგინა.

მუხლი 43. სამთავრობო კანონპროექტები ან წევრთა საკანონმდებლო წინადადებები, მთავრობის ან იმ პალატის მოთხოვნით, რომელშიც შეტანილია, შეიძლება განსახილველად გადაეცეს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ კომისიას.

სამთავრობო კანონპროექტები ან წევრთა საკანონმდებლო წინადადებები, რომელთან დაკავშირებითაც ამგვარი მოთხოვნა არ იყო წამოყენებული, განსახილ-

ველად გადაეცემა ერთ-ერთ მუდმივ კომისიას, რომელთა რაოდენობა თითოეულ პალატაში ექვსამდე არის შეზღუდული.

მუხლი 44. შესწორებების შეტანის უფლება აქვთ პარლამენტის წევრებსა და მთავრობას.

დებატების დაწყების შემდეგ მთავრობას შეუძლია გამოვიდეს ნებისმიერი იმ კანონპროექტის განხილვის წინააღმდეგ, რომელიც წინასწარ არ იყო განხილული კომისიაში.

კანონპროექტის განმხილველმა პალატამ მთავრობის მოთხოვნით, ერთი კენჭისყრით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მთელი განსახილველი ტექსტის ან მისი ნაწილის შესახებ, მთავრობის მიერ წარმოდგენილი ან მიღებული შესწორებების დაცვით.

მუხლი 45. ნებისმიერი სამთავრობო ან წევრთა კანონპროექტი თანმიმდევრობით განიხილება პარლამენტის ორივე პალატაში იდენტური ტექსტის მისაღებად.

თუ პალატებს შორის თანხმობის შედეგად სამთავრობო ან წევრთა კანონპროექტი ყოველ პალატაში ორი მოსმენით არ იქნება მიღებული ან თუ მის ერთ-ერთ პალატაში პირველი მოსმენის შემდეგ მთავრობა მოითხოვს მის ვადამდე განხილვას, პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს მოიწვიოს თითოეული პალატიდან თანაბარი რაოდენობის წევრთაგან დაკომპლექტებული შერეული კომისიის სხდომა, რომელიც წარადგენს სადავო დებულებების შესახებ ახალ ტექსტს.

შერეული კომისიის მიერ შემუშავებული ტექსტი შეიძლება მთავრობის მიერ დასამტკიცებლად წარედგინოს ორივე პალატას. არც ერთი შესწორება არ შეიძლება მიღებულ იქნეს მთავრობის თანხმობის გარეშე.

თუ შერეული პარიტეტული კომისია ვერ მოახერხებს შეთანხმებული ტექსტის მიღებას ან თუ ეს ტექსტი არ იქნება მიღებული წინა აბზაცში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მთავრობას შეუძლია ეროვნულ კრებაში ან სენატში ხელახალი განხილვის შემდეგ მოითხოვოს ეროვნული კრების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. ამ შემთხვევაში ეროვნულ კრებას შეუძლია დაუბრუნდეს შერეული კომისიის მიერ შემუშავებულ ტექსტს ან თვით მის მიერ მიღებულ საბოლოო ტექსტს, რომელშიც აუცილებლობის შემთხვევაში სენატის მიერ შეტანილია ერთი ან რამდენიმე შესწორება.

მუხლი 46. კანონები, რომელთაც კონსტიტუცია ორგანულ ხასიათს ანიჭებს, მიიღება და იცვლება ამ მუხლით გათვალისწინებული პირობებით.

მთავრობის ან წევრის კანონპროექტი მის განმხილველ პალატას განსახილველად და კენჭსაყრელად გადაეცემა წარდგენიდან 15 დღის შემდეგ.

გამოიყენება 45-ე მუხლში გათვალისწინებული პროცედურა. თუმცა, პალატებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში კანონპროექტს იღებს ეროვნული კრება საბოლოო მოსმენით წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით.

ორგანული კანონები, რომლებიც სენატს ეხება, მიღებულ უნდა იქნეს ორივე პალატის მიერ ერთნაირი რედაქციით.

ორგანული კანონების პრომულგირება ხდება მხოლოდ საკონსტიტუციო სასჯელის მიერ კონსტიტუციასთან მისი შესაბამისობის გამოცხადების შემდეგ.

მუხლი 47. პარლამენტი ფინანსურ კანონპროექტებს იღებს ორგანული კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით. თუ ეროვნული კრება პირველი მოსმენით პროექტის წარდგენიდან ორმოცი დღის ვადაში ვერ მიიღებს მის შესახებ გადაწყვეტილებას, მთავრობა პროექტს განსახილველად გადასცემს სენატს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს თხუთმეტი დღის ვადაში. შემდგომ გამოიყენება 45-ე მუხლში გათვალისწინებული პროცედურა.

თუ პარლამენტი სამოცდაათი დღის ვადაში არ მიიღებს გადაწყვეტილებას, პროექტის დებულებები ძალაში შედიან ორდონანსის გამოცემით.

თუ ფინანსური კანონი, რომელიც ადგენს საბიუჯეტო წლის შემოსავლებსა და გასავლებს, არ იქნება წარდგენილი იმ ვადაში, რაც საკმარისი იქნება ამ კანონის საბიუჯეტო წლის დაწყებამდე პრომულგირებისათვის, მთავრობა გადაუდებელი წესით მიმართავს პარლამენტს, მისცეს გადასახადების აკრეფის ნებართვა და დეკრეტით ხსნის იმ კრედიტებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ორგანოების დაფინანსებას და მოქმედებს პარლამენტის მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად.

ამ მუხლში გათვალისწინებული ვადები ჩერდება, თუ პარლამენტი არ არის შეკრებილი.

საანგარიშო პალატა დახმარებას უწევს პარლამენტსა და მთავრობას ფინანსური კანონების აღსრულების გაკონტროლებაში.

მუხლი 47[1]. სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსების შესახებ კანონპროექტებს პარლამენტი იღებს ორგანულ კანონში გათვალისწინებული პირობების დაცვით. თუ ეროვნული კრება პირველი მოსმენით კანონპროექტის შეტანიდან ოცი დღის განმავლობაში არ მიიღებს გადაწყვეტილებას, მთავრობა პროექტს განსახილველად გადასცემს სენატს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს თხუთმეტი დღის ვადაში. შემდგომ პროექტი განიხილება 45-ე მუხლში გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

თუ პარლამენტი ორმოცდაათი დღის ვადაში არ მიიღებს გადაწყვეტილებას, პროექტის დებულებები შეიძლება ძალაში შევიდნენ ორდონანსის გამოცემით.

ამ მუხლში გათვალისწინებული ვადები ჩერდება, თუ პარლამენტი არ არის შეკრებილი, ასევე სამი კვირის განმავლობაში თითოეულ პალატაში, როდესაც პალატამ 28-ე მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად გადაწყვიტა არ ჩაატაროს სხდომა.

საანგარიშო პალატა დახმარებას უწევს პარლამენტსა და მთავრობას სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსების შესახებ კანონთა აღსრულებაში.

მუხლი 48. 28-ე მუხლის ბოლო სამი აბზაცის გამოყენებისგან დამოუკიდებლად პრიორიტეტი შეიძლება მიენიჭოს პალატების სხდომების დღის წესრიგისა და მთავრობის მიერ დადგენილი წესის მიხედვით მთავრობის მიერ წარდგენილი კანონპროექტებისა და მის მიერ დამტკიცებული წევრთა კანონპროექტების განხილვას.

კვირაში არანაკლებ ერთი სხდომა გამოიყოფა პრიორიტეტულად პარლამენტის წევრთა შეკითხვებისა და მთავრობის პასუხებისთვის.

თვეში არანაკლებ ერთი სხდომა გამოიყოფა პრიორიტეტულად პარლამენტის თითოეული პალატის მიერ დადგენილი დღის წესრიგის მიხედვით.

მუხლი 49. მინისტრთა საბჭოში განხილვის შემდეგ პრემიერ-მინისტრი ეროვნული კრების წინაშე აყენებს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს მის პროგრამასთან ან ძირითადი პოლიტიკის შესახებ დეკლარაციასთან დაკავშირებით.

ეროვნული კრება მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს გაკიცხვის რეზოლუციისთვის კენჭისყრის გზით. ამგვარი რეზოლუცია დასაშვებია, თუ ხელმოწერილია ეროვნული კრების წევრთა არანაკლებ ერთი მეათედის მიერ. კენჭისყრა ტარდება რეზოლუციის წარდგენიდან ორმოცდარვა საათის შემდეგ. გაკითხვის რეზოლუციის მისაღებად საჭიროა კრების წევრთა ხმების უმრავლესობა. დეპუტატმა არ შეიძლება ხელი მოაწეროს გაკიცხვის სამ რეზოლუციაზე მეტს მორიგი სესიის განმავლობაში და ერთზე მეტს – რიგგარეშე სესიის განმავლობაში, გარდა მომდევნო აბზაცით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

მინისტრთა საბჭოში განხილვის შემდეგ პრემიერ-მინისტრს შეუძლია ეროვნული კრების წინაშე დააყენოს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი კონკრეტული პროექტის კენჭისყრასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში პროექტი მიღებულად ითვლება, თუ უკანასკნელი ოცდაოთხი საათის განმავლობაში წარდგენილი გაკიცხვის რეზოლუცია მიღებულ იქნება წინა აბზაცში გათვალისწინებული პირობების დაცვით.

პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს სენატს სთხოვოს ძირითადი პოლიტიკის დეკლარაციის დამტკიცების შესახებ.

მუხლი 50. თუ ეროვნული კრება მიიღებს გაკიცხვის რეზოლუციას ან თუ არ დაამტკიცებს მთავრობის ძირითადი პოლიტიკის შესახებ პროგრამასა და დეკლარაციას, პრემიერ-მინისტრი ვალდებულია რესპუბლიკის პრეზიდენტს მიმართოს მთავრობის გადაყენების შესახებ.

მუხლი 51. მორიგი ან რიგგარეშე სესიების დახურვა გადაიდება კანონით, რათა აუცილებლობის შემთხვევაში ჰქონდეს 49-ე მუხლის დებულებების გამოყენების უფლება. ამავე მიზნით კანონის თანახმად იმართება დამატებითი სხდომები.

ნაწილი VI – საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესახებ

მუხლი 52. რესპუბლიკის პრეზიდენტი მოლაპარაკებებს აწარმოებს საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების შესახებ და ახდენს მათ რატიფიკაციას.

მას აწვდიან ინფორმაციას ნებისმიერი იმ საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკებების თაობაზე, რომლებიც არ ექვემდებარებიან რატიფიკაციას.

მუხლი 53. სამშვიდობო და სავაჭრო ხელშეკრულებები, ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებიც ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს, ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება სახელმწიფო ფინანსებს, რომელთაც აქვთ საკანონმდებლო ხასიათი, ეხებიან პიროვნების სტატუსს, ტერიტორიის დათმობას, გაცვლას ან მიერთებას შეიძლება რატიფიცირებულ ან დამტკიცებულ იქნენ მხოლოდ კანონის საფუძველზე.

ისინი ძალაში შედიან მხოლოდ რატიფიკაციის ან დამტკიცების შემდეგ.

ტერიტორიის დათმობა, გაცვლა ან მიერთება დაინტერესებული მოსახლეობის თანხმობის გარეშე არ ითვლება ნამდვილად.

მუხლი 53[1]. თავშესაფრის მიცემის შესახებ შესაბამის კომპეტენციასთან დაკავშირებით თხოვნის განსახილველად რესპუბლიკას შეუძლია ევროპულ სახელმწიფოებთან დადოს შეთანხმებები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია თავშესაფრის მიცემასა და ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ საზეიმო ვალდებულებებით.

თუმცა, თუ დასახელებული ხელშეკრულებების ძალით თხოვნა არ შედის რესპუბლიკის ვალდებულებების სფეროში, მის ხელისუფლების ორგანოებს ყოველთვის აქვთ უფლება თავშესაფარი მიანიჭონ ნებისმიერ უცხოელს, რომელსაც დევნიან თავისუფლების საკეთილდღეო მოქმედების ან რაიმე სხვა საფუძვლით საფრანგეთის მფარველობისთვის.

მუხლი 53[2]. რესპუბლიკას შეუძლია აღიაროს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქცია, 1998 წლის 18 ივლისს ხელმოწერილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

მუხლი 54. თუ საკონსტიტუციო საბჭო, რომელსაც მიმართეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა, ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარემ, სამოცმა დეპუტატთა ან სამოცმა სენატორმა განაცხადებს, რომ რომელიმე საერთაშორისო შეთანხმება შეიცავს კონსტიტუციის საწინააღმდეგო დებულებებს, იმ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია ან დამტკიცება შესაძლებელია მხოლოდ კონსტიტუციის გადასინჯვის შემდეგ.

მუხლი 55. საკალდებულო წესიდან გამომდინარე რატიფიცირებულ ან დამტკიცებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს მეორე მხარის მიერ მათი გამოყენებისას აქვთ კანონის უპირატესი ძალა გამოქვეყნების მომენტიდან.

ნაწილი VII – საკონსტიტუციო საბჭო

მუხლი 56. საკონსტიტუციო საბჭო შედგება ცხრა წევრისაგან, რომელთა უფლებამოსილების ვადა ცხრა წელია და დაუშვებელია ხელახლა დანიშვნა. საკონსტიტუციო საბჭო ყოველ სამ წელიწადში განახლდება ერთი მესამედით. მის სამ წევრს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, სამს – ეროვნული კრების თავმჯდომარე, სამს – სენატის თავმჯდომარე.

ზემოაღნიშნული ცხრა წევრის გარდა საკონსტიტუციო საბჭოში სიცოცხლის ვადით შედიან რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტები.

თავმჯდომარეს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში მისი ხმა გადამწყვეტია.

მუხლი 57. საკონსტიტუციო საბჭოს წევრის ფუნქცია შეუთავსებელია მინისტრისა და პარლამენტის წევრის ფუნქციებთან. შეუთავსებლობის სხვა შემთხვევები დგინდება ორგანული კანონით.

მუხლი 58. საკონსტიტუციო საბჭო უზრუნველყოფს პრეზიდენტის არჩევის კანონიერებას.

იგი იხილავს საჩივრებს და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს.

მუხლი 59. საკონსტიტუციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დეპუტატთა და სენატორთა არჩევის კანონიერების შესახებ, თუ ის გასაჩივრდება.

მუხლი 60. საკონსტიტუციო საბჭო უზრუნველყოფს მე-11 და 89-ე მუხლებით გათვალისწინებული რეფერენდუმის ჩატარების კანონიერებას და აცხადებს რეფერენდუმის შედეგებს.

მუხლი 61. ორგანული კანონები მათ პრომულგაციამდე და პარლამენტის პალატების რეგლამენტები მათ მიღებამდე უნდა წარედგინოს საკონსტიტუციო საბჭოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას კონსტიტუციასთან მათი შესაბამისობის შესახებ.

ამავე მიზნით, საკონსტიტუციო საბჭოს შეიძლება გადაეცეს კანონები მათ პრომულგაციამდე რესპუბლიკის პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, ეროვნული კრების თავმჯდომარის, სენატის თავმჯდომარის, სამოცი დეპუტატის ან სამოცი სენატორის მიერ.

წინამდებარე ორ აბზაცში გათვალისწინებულ შემთხვევებში საკონსტიტუციო საბჭომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ერთ თვიან ვადაში. თუმცა საკითხის გადაუდებლად გამოცხადებისას, მთავრობის ინიციატივით, ეს ვადა მცირდება რვა დღემდე.

ამ შემთხვევებში საკონსტიტუციო საბჭოსთვის მიმართვა აჩერებს პრომულგაციის ვადას.

მუხლი 62. არაკონსტიტუციურად აღიარებული დებულება არ შეიძლება გამოყენებულ ან პრომულგირებულ იქნეს.

საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას. იგი სავალდებულოა მთელი საჯარო ხელისუფლებისა და ყველა ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოებისათვის.

მუხლი 63. ორგანული კანონი განსაზღვრავს საკონსტიტუციო საბჭოს ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს, პროცედურას, განსაკუთრებით, საბჭოსთვის საჩივრით მიმართვის ვადებს.

ნაწილი VIII – სასამართლო ხელისუფლების შესახებ

მუხლი 64. რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტი.

მას ეხმარება მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო.

მოსამართლეთა სტატუსი დგინდება ორგანული კანონით.

მოსამართლეები შეუცვლელნი არიან.

მუხლი 65. მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო იმართება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ. იუსტიციის მინისტრი კანონით ითვლება თავმჯდომარის მოადგილედ. მას შეუძლია შეცვალოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო შედგება ორი პალატისაგან, რომელთაგან ერთს აქვს იურისდიქცია მოსამართლეებთან დაკავშირებით, მეორეს - პროკურორებთან დაკავშირებით.

მოსამართლეებთან ურთიერთობაში კომპეტენტური პალატა რესპუბლიკის პრეზიდენტისა და იუსტიციის მინისტრის გარდა აერთიანებს ხუთ მოსამართლესა და ერთ პროკურორს, სახელმწიფო საბჭოს მიერ დანიშნულ ერთ სახელმწიფო მრჩეველს და სამ პირს, რომლებიც არც პარლამენტის შემადგენლობაში შედიან, არც სასამართლო ორგანოებში და შესაბამისად ინიშნებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის, ეროვნული კრების თავმჯდომარისა და სენატის თავმჯდომარის მიერ.

პროკურორებთან ურთიერთობაში კომპეტენტური პალატა რესპუბლიკის პრეზიდენტისა და იუსტიციის მინისტრის გარდა აერთიანებს ხუთ პროკურორსა და

ერთ მოსამართლეს, სახელმწიფო მრჩეველსა და წინა აბზაცში დასახელებულ სამ პირს.

მოსამართლეებთან ურთიერთობაში კომპეტენტური მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს პალატა აკეთებს წინადადებას საკასაციო სასამართლოს მოსამართლეების, სააპელაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარისა და მაღალი ინსტანციის სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნის შესახებ. სხვა მოსამართლეები ინიშნებიან პალატის თანხმობით.

პალატა, როგორც სადისციპლინო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლეებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს საკასაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარე.

პროკურორებთან ურთიერთობაში კომპეტენტური მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს პალატა იძლევა თავის დასკვნას პროკურორების დანიშვნის შესახებ, გარდა მინისტრთა საბჭოში თანამდებობებზე დანიშვნისა.

პალატა იძლევა თავის დასკვნას პროკურორებთან დაკავშირებით დისციპლინური სანქციების შესახებ. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს საკასაციო სასამართლოს გენერალური პროკურორი.

ორგანული კანონი ადგენს ამ მუხლის გამოყენების პირობებს.

მუხლი 66. არავის არ შეიძლება თვითნებურად აღეკვეთოს თავისუფლება.

სასამართლო ხელისუფლება, როგორც პირადი თავისუფლების დამცველი, ამ პრინციპის დაცვას უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ნაწილი IX – მართლმსაჯულების უმაღლესი პალატა

მუხლი 67. იქმნება მართლმსაჯულების უმაღლესი პალატა.

იგი შედგება ეროვნული კრებისა და სენატის ყოველი სრული ან ნაწილობრივი განახლების შემდეგ მათ მიერ მათივე შემადგენლობიდან თანაბარი რაოდენობით არჩეული წევრების მიერ. იგი თავისივე წევრთა რიცხვიდან ირჩევს თავმჯდომარეს.

ორგანული კანონი ადგენს მართლმსაჯულების უმაღლესი პალატის შემადგენლობას, მისი საქმიანობის წესს, ასევე მის მიერ გამოსაყენებელ პროცედურას.

მუხლი 68. რესპუბლიკის პრეზიდენტი თავისი ვალდებულებების შესრულებისას ჩადენილი ქმედებისთვის პასუხისმგებელია მხოლოდ სახელმწიფო ღალატის შემთხვევაში. მას ბრალდება შეიძლება წარედგინოს მხოლოდ ორივე პალატის მიერ, რომლებიც ღია სხდომაზე წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მიიღებენ იდენტურ გადაწყვეტილებას; მის საქმეს იხილავს მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო.

ნაწილი X – მთავრობის წევრთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ

მუხლი 68¹. მთავრობის წევრები სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ექვემდებარებიან მათ მიერ თავიანთი ფუნქციების შესრულებისას მიღებული აქტებისათვის, რომლებიც მათი ჩადენის მომენტში კვალიფიცირებულ იქნა დანაშაულად ან დელიქტად.

ისინი ექვემდებარებიან რესპუბლიკის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ გასამართლებას.

რესპუბლიკის მართლმსაჯულების სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას დანაშაულისა და დელიქტის ჩადენისათვის კანონით დადგენილი სასჯელის შესაბამისად.

მუხლი 68². რესპუბლიკის მართლმსაჯულების სასამართლო შედგება თხუთმეტი მოსამართლისგან: ეროვნული კრებისა და სენატის სრული ან ნაწილობრივი განახლებისას მათ მიერ მათივე შემადგენლობიდან თანაბრად არჩეული თორმეტი პარლამენტარისა და საკასაციო სასამართლოს სამი მოსამართლისგან, რომელთაგან ერთ-ერთი ხელმძღვანელობს რესპუბლიკის მართლმსაჯულების სასამართლოს.

ნებისმიერ პირს, რომელიც დაზარალდა მთავრობის წევრის მიერ მისი ფუნქციის განხორციელებისას დანაშაულის ან გადაცდომის ჩადენით, შეუძლია შეიტანოს საჩივარი საჩივრების კომისიაში.

ეს კომისია იღებს გადაწყვეტილებას განცხადების არქივში გადაცემის ან საკასაციო სასამართლოს გენერალური პროკურორისათვის გაგზავნის შესახებ, რესპუბლიკის მართლმსაჯულების პალატისათვის შემდგომი განხილვის მიზნით საქმის წარდგენის შესახებ.

საკასაციო სასამართლოს გენერალურ პროკურორს შეუძლია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ოფიციალურად საჩივრით მიმართოს რესპუბლიკის მართლმსაჯულების პალატას.

ორგანული კანონი განსაზღვრავს ამ მუხლის გამოყენების პირობებს.

მუხლი 68³. ამ ნაწილის დებულებები გამოიყენება მის ძალაში შესვლამდე ჩადენილი ქმედებებისათვის.

ნაწილი XI – ეკონომიკური და სოციალური საბჭო

მუხლი 69. ეკონომიკური და სოციალური საბჭო მთავრობის შეკითხის საფუძველზე აკეთებს დასკვნას სამთავრობო კანონების, ორდონანსებისა და დეკრეტების პროექტებზე, ასევე, მისთვის გადაცემულ წევრთა კანონპროექტებზე.

საბჭოს შეუძლია თავისი ერთ-ერთი წევრი დანიშნოს მისთვის განსახილველად წარდგენილი კანონპროექტებისა და საკანონმდებლო წინადადებების შესახებ პარლამენტის პალატებისთვის საბჭოს დასკვნის გასაცნობად.

მუხლი 70. მთავრობა კონსულტაციას გადის ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ნებისმიერ საკითხზე. მას დასკვნისათვის გადაეცემა ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ნებისმიერი გეგმა ან პროგრამული კანონპროექტი.

მუხლი 71. ეკონომიკური და სოციალური საბჭოს შემადგენლობა და მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

ნაწილი XII – ტერიტორიული ერთეულების შესახებ

მუხლი 72. რესპუბლიკის ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენენ კომუნები, დეპარტამენტები, რეგიონები, განსაკუთრებული სტატუსის მქონე ერთეულები და 74-ე მუხლში მითითებული ზღვისიქითა ტერიტორიები. სხვა ტერიტორიული ერთეულები იქმნება აუცილებლობის შემთხვევაში კანონით და აღნიშნულ აბზაცში მითითებული ერთი ან რამდენიმე ერთეულის ადგილას.

ტერიტორიულ ერთეულებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება იმ კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მათ დონეზე.

კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით ეს ერთეულები დამოუკიდებლად იმართებიან არჩევითი საბჭოების მიერ და აქვთ განკარგულებების გამოცემის უფლება.

როდესაც არ მოქმედებენ საჯარო თავისუფლების ან კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზაციის არსებითი პირობები, ტერიტორიულმა ერთეულებმა ან მათმა გაერთიანებებმა, ორგანული კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით, გამონაკლისის სახით და შეზღუდული ვადით შეიძლება გადაუხვიონ მათი კომპეტენციის სფეროს, საკანონმდებლო ან სარეგლამენტო დებულებებთან დაკავშირებით.

არც ერთ ტერიტორიულ ერთეულს არ შეუძლია განახორციელოს მეურვეობა რომელიმე სხვა ერთეულზე. თუმცა, თუ რაიმე კომპეტენციის განხორციელება საჭიროებს რამდენიმე ტერიტორიული ერთეულის მონაწილეობას, კანონით შეიძლება მათგან ან მათი გაერთიანებიდან ერთ-ერთს მიეცეს უფლება განსაზღვროს მათი საერთო საქმიანობის პირობები.

რესპუბლიკის ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელიც მთავრობის ყოველ წევრს წარმოადგენს, პასუხისმგებელია ეროვნული ინტერესების, ადმინისტრაციული კონტროლისა და კანონთა დაცვის უზრუნველყოფაზე.

მუხლი 72[1]. კანონი ადგენს პირობებს, რომელთა დაცვით ყოველი ტერიტორიული ერთეულის ამომრჩევლებს შეუძლიათ განახორციელონ პეტიციის უფლება, მოითხოვონ ამ ერთეულის საკანონმდებლო კრების დღის წესრიგში მათ კომპეტენციას მიკუთვნებული რაიმე საკითხის შეტანა.

ორგანული კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით, განხილვაზე გატანილი პროექტები ან რომელიმე ტერიტორიული ერთეულის კომპეტენციას მიკუთვნებული რაიმე აქტი, შეიძლება გატანილ იქნეს რეფერენდუმზე ამ ერთეულის ამომრჩეველთა ინიციატივით.

როდესაც შემოთავაზებულია განსაკუთრებული სტატუსის მქონე ტერიტორიული ერთეულის შექმნა ან ასეთი ერთეულის ორგანიზაციის შეცვლა, კანონის თანახმად შეიძლება გადაწყდეს შესაბამისი ერთეულის საარჩევნო სიებში შეტანილ ამომრჩევლებთან კონსულტაციების გამართვა. ამომრჩევლებთან კონსულტაციები ასევე შეიძლება გაიმართოს ტერიტორიული ერთეულების საზღვრების შეცვლასთან დაკავშირებით კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

მუხლი 72[2]. ტერიტორიული ერთეულები სარგებლობენ რესურსებით, რომლებიც მათ შეუძლიათ თავისუფლად განკარგონ კანონში მითითებული პირობების დაცვით.

მათ შეუძლიათ სრულად ან ნაწილობრივ მიიღონ შემოსავალი ნებისმიერი ხასიათის გადასახადით დაბეგვრიდან. კანონმა შეიძლება ნება დართოს ტერიტორიულ ერთეულებს კანონით დადგენილ ფარგლებში განსაზღვრონ გადასახადები და მათი განაკვეთები.

ტერიტორიული ერთეულების საგადასახადო და სხვა საკუთარი შემოსავლები ყოველი კატეგორიის ტერიტორიული ერთეულისთვის წარმოადგენენ მათი შემოსავლების ძირითად ნაწილს.

ორგანული კანონი ადგენს ამ წესის განხორციელების პირობებს. სახელმწიფოსა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის ნებისმიერი უფლებამოსილების გადაცემისას, ასევე უნდა გადაეცეს ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად აუცილებელი ექვივალენტური სახსრები. უფლებამოსილების ნებისმიერი მინიჭება ან გაფართოება, რაც ტერიტორიული ერთეულების ხარჯების გაზრდას გამოიწვევს, უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი სახსრების გადაცემით.

კანონი ადგენს სახსრების პროპორციულად განაწილების წესს, ისე, რომ შენარჩუნებულ იქნეს ტერიტორიულ ერთეულებს შორის თანასწორობა.

მუხლი 72[3]. რესპუბლიკა ზღვისიქითა მოსახლეობას მათი თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის საყოველთაო იდეალებთან მიმართებაში აღიარებს ფრანგი ხალხის შემადგენლობაში.

გვადელუპა, გვიანა, მარტინიკა, რეუნიონი, მაიოტი, წმ. ბართლომე, წმ. მარტინი, სენ-პიერი და მიკელონი, უოლისა და ფუტიუნას კუნძულები და ფრანგული პოლინეზია იმართება 73-ე მუხლის შესაბამისად, როგორც დეპარტამენტები

და ზღვისიქითა ტერიტორიები, და როგორც 73-ე მუხლის ბოლო აბზაცისა და 74-ე მუხლის (სხვა ერთეულებისთვის) საფუძველზე შექმნილი ტერიტორიული ერთეულები.

ახალი კალედონიის სტატუსი რეგულირდება XIII ნაწილით.

კანონით შეიძლება დადგინდეს ფრანგული ავსტრალიური და ანტარქტიკული მიწების საკანონმდებლო სტატუსი და განსაკუთრებული ორგანიზაცია.

მუხლი 72[4]. 72[3] მუხლის მე-2 აბზაცში მითითებულ რომელიმე ერთ-ერთ ერთეულთან ან მის ნაწილთან დაკავშირებული ცვლილებები, 73-ე და 74-ე მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი სხვა სტატუსის შესუსტებით არ შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი ერთეულის ან ერთეულის ნაწილის ამომრჩევლებისაგან წინასწარ მიღებული ნებართვის გარეშე და შემდგომ აბზაცში მითითებული პირობების დაუცველად. სტატუსის ამგვარი ცვლილება დაიშვება მხოლოდ ორგანული კანონით.

რესპუბლიკის პრეზიდენტს სესიების დროს მთავრობის წინადადებით ან ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებული ორივე პალატის ერთობლივი წინადადებით შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება რომელიმე ზღვისიქითა ტერიტორიული ერთეულის ამომრჩევლებთან კონსულტაციის გამართვის შესახებ, ტერიტორიის ორგანიზაციის, კომპეტენციის ან საკანონმდებლო სისტემის საკითხებთან დაკავშირებით. თუ კონსულტაცია მიმდინარეობს წინა აბზაცში გათვალისწინებულ ცვლილებებთან დაკავშირებით და იგი იმართება მთავრობის წინადადებით, მთავრობა პარლამენტის ყოველ პალატაში განხილვის შემდეგ იღებს დეკლარაციას.

მუხლი 73. ზღვისიქითა დეპარტამენტებსა და რეგიონებში კანონები და რეგლამენტები გამოიყენება სრული უფლებით. ისინი შესაძლოა ადაპტირებულ იქნენ ამ ერთეულების განსაკუთრებული მახასიათებლებისა და გარემოებების გათვალისწინებით.

ამგვარი ადაპტაცია შეიძლება განხორციელდეს თვით ერთეულების მიერ მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროებში, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით.

პირველი აბზაცის დებულებიდან გადახვევით და ერთეულების სპეციფიკის გათვალისწინებით, რომლის შესახებაც საუბარია ამ მუხლში, მათ შეიძლება მიენიჭოთ უფლება თვითონ დაადგინონ მათი შეზღუდული კომპეტენციის ფარგლებში მათ ტერიტორიაზე გამოსაყენებელი წესები, რაც კანონით უნდა იყოს განსაზღვრული.

ეს წესი არ შეეხება მოქალაქეობას, სამოქალაქო უფლებებს, საჯარო თავისუფლებების გარანტიებს, მოქალაქეობრივ მდგომარეობასა და პიროვნების უფლებაუნარიანობას, იუსტიციის ორგანიზაციას, სისხლის სამართალს, სისხლის სამართლის პროცესს, საგარეო პოლიტიკას, თავდაცვას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და წესრიგს, ფინანსებს, კრედიტებს და სავალუტო ოპერაციებს,

ასევე საარჩევნო სამართალს. ეს ნუსხა შეიძლება დაზუსტდეს და დამატებულ იქნეს ორგანული კანონით.

წინა ორ აბზაცში მითითებული დებულებები არ გამოიყენება რეუნიონის დეპარტამენტისა და რეგიონისთვის.

მეორე და მესამე აბზაცებში მითითებული უფლებამოსილებით აღჭურვა ხორციელდება შესაბამისი ერთეულის თხოვნით ორგანული კანონით გათვალისწინებული პირობებისა და დათქმების გათვალისწინებით. ეს უფლებამოსილება არ შეიძლება მიენიჭოთ, თუ ირღვევა რომელიმე საჯარო თავისუფლების რეალიზაციის ან კონსტიტუციით გარანტირებული რაიმე უფლების არსებითი პირობები.

კანონით ზღვისიქითა დეპარტამენტის ან რეგიონის შემცველი რომელიმე ერთეულის შექმნა ან ორი ერთეულისთვის ერთი საკანონმდებლო კრების დაფუძნება შესაძლებელია ამ ერთეულებში დარეგისტრირებული ამომრჩეველის თანხმობით, 72^4 მუხლის მეორე აბზაცში გათვალისწინებული წესით.

მუხლი 74. ამ მუხლში მითითებულ ზღვისიქითა ტერიტორიებს გააჩნიათ სტატუსი, რომელიც ითვალისწინებს თითოეული მათგანის ინტერესებს რესპუბლიკაში.

ეს სტატუსი განისაზღვრება ორგანული კანონით შესაბამისი საკანონმდებლო კრების დასკვნის მიღების შემდეგ და მოიცავს:

— პირობებს, რომელთა მიხედვით გამოიყენება ამ ერთეულში კანონები და რეგლამენტები;

— ამ ტერიტორიული ერთეულის უფლებამოსილებას; უკვე არსებული კომპეტენციის შენარჩუნებისას, აუცილებლობის შემთხვევაში ორგანული კანონით დაზუსტებული და დამატებული უფლებამოსილების სახელმწიფოსგან გადაცემა არ შეიძლება განხორციელდეს 73-ე მუხლის მეოთხე აბზაცში მითითებულ სფეროებში;

— ტერიტორიული ერთეულის ინსტიტუტების ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ ნორმებს და მათი საკანონმდებლო კრებების საარჩევნო სისტემებს;

— პირობებს, რომელთა მიხედვით ტერიტორიული ერთეულის ინსტიტუტებთან მიმდინარეობს კონსულტაციები ერთეულთან დაკავშირებული განსაკუთრებული დებულებების შემცველი სამთავრობო ან წევრთა კანონპროექტებთან, ორდონანსებისა და დეკრეტების პროექტებთან, ასევე, ერთეულის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროებში დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით.

ორგანულმა კანონმა იმ ერთეულებისათვის, რომელთაც მინიჭებული აქვთ ავტონომია, შეიძლება დაადგინოს პირობები, რომელთა მიხედვით:

— სახელმწიფო საბჭო ახორციელებს სპეციფიკურ სასამართლო კონტროლს საკანონმდებლო კრების მიერ საკანონმდებლო სფეროს მიკუთვნებულ სფეროებში მიღებულ ზოგიერთი კატეგორიის აქტებთან დაკავშირებით;

– საკანონმდებლო კრებას შეუძლია ტერიტორიული ერთეულის ახალი სტატუსის ძალაში შესვლის შემდეგ შეცვალოს პრომულგირებული კანონები, თუ საკონსტიტუციო საბჭო ტერიტორიული ერთეულის ორგანოთა თხოვნით დაადგენს, რომ კანონით მოწესრიგებული საკითხები განეკუთვნება მისი კომპეტენციის სფეროს;

– ტერიტორიული ერთეულების მიერ თავიანთი მოსახლეობის დასაქმების უზრუნველსაყოფად, მათ მიერ პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად ან მიწის საკუთრების დასაცავად შეიძლება მიღებულ იქნეს ადგილობრივი მოთხოვნილებებით გამართლებული ზომები;

– ერთეულს, სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, შეუძლია მისთვის მინიჭებული კომპეტენციის განხორციელებისას მონაწილეობა მიიღოს საჯარო თავისუფლებების რეალიზაციაში მთელ ეროვნულ ტერიტორიაზე მოქმედი გარანტიების დაცვით;

ტერიტორიული ერთეულის ამ მუხლში მითითებული განსაკუთრებული ორგანიზაციის სხვა თავისებურებები დგინდება და იცვლება კანონით მათ საკანონმდებლო კრებებთან კონსულტაციების შემდეგ.

მუხლი 74[1]. 74-ე მუხლში მითითებულ ზღვისიქითა ტერიტორიებზე და ახალ კალედონიაში, სახელმწიფოს მიერ განსახორციელებლად დარჩენილ სფეროში, მთავრობას შეუძლია აუცილებელი ადაპტაციით ორდონანსების გამოცემის გზით გააფართოვოს მეტროპოლიაში მოქმედი საკანონმდებლო სფერო, მაგრამ იმ პირობით, რომ კანონი სპეციალურად არ გამორიცხავდეს ამ დებულებებთან დაკავშირებით ამ პროცედურების გამოყენებას.

ორდონანსები გამოიცემა მინისტრთა საბჭოში ტერიტორიების შესაბამისი საკანონმდებლო კრებებისა და სახელმწიფო საბჭოს დასკვნების მიღების შემდეგ. ისინი ძალაში შედიან მათი გამოქვეყნებისთანავე. ეს ორდონანსები ბათილია, თუ პარლამენტი გამოქვეყნებიდან თვრამეტი თვის მანძილზე არ მოახდენს მათ რატიფიკაციას.

მუხლი 75. რესპუბლიკის მოქალაქეები, რომელთაც არ გააჩნიათ 34-ე მუხლში მითითებული ჩვეულებრივი სამოქალაქო სტატუსი, თავის პირად სტატუსს ინარჩუნებენ, სანამ მასზე უარს არ იტყვიან.

ნაწილი XIII – ახალ კალედონიასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებები

მუხლი 76. ახალი კალედონიის მოსახლეობა მოიწვევა 1998 წლის 31 დეკემბრამდე, რათა ხმა მისცეს ნუამში 1998 წლის 5 მაისს ხელმოწერილ და 1998 წლის 27 მაისს საფრანგეთის რესპუბლიკის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებულ შეთანხმების დებულებებს.

კენჭისყრაში მონაწილეობენ პირები, რომლებიც პასუხობენ 1988 წლის 9 ნოემბრის №88-1028 კანონის მე-2 მუხლში დადგენილ პირობებს.

კენჭისყრის ორგანიზაციისთვის აუცილებელი ზომები დგინდება მინისტრთა საბჭოს დეკრეტით სახელმწიფო საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ.

მუხლი 77. 76-ე მუხლით გათვალისწინებული კენჭისყრით შეთანხმების დამტკიცების შემდეგ, ახალი კალედონიის განვითარების უზრუნველსაყოფად, დასახელებულ ხელშეკრულებაში მითითებული მიმართულებისა და ამ ხელშეკრულების აღსასრულებლად აუცილებელი პირობების შესაბამისად, ახალი კალედონიის საკანონმდებლო კრებასთან კონსულტაციის შემდეგ მიღებული ორგანული კანონი ადგენს:

— ახალი კალედონიის ინსტიტუტებისათვის უვადოდ გადასაცემ სახელმწიფოს კომპეტენციას, გადაცემის დროსა და პირობებს, ასევე ამ გადაცემის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების გამიჯვნას;

— ახალი კალედონიის ინსტიტუტების ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ ნორმებს და, ნაწილობრივ, პირობებს, რომელთა შესაბამისად საკანონმდებლო კრების ზოგიერთი კატეგორიის აქტები მათ გამოცემამდე ექვემდებარებიან საკონსტიტუციო საბჭოს კონტროლს;

— საერთო სამართლით რეგულირებულ მოქალაქეობის, საარჩევნო სისტემის, დასაქმებისა და პირადი სტატუსის შესახებ ნორმებს;

— პირობებსა და ვადებს, რომელთა ფარგლებშიც ახალი კალედონიის დაინტერესებულ მოსახლეობას შესაძლებლობა იქნება ხმა მისცეს სრული სუვერენიტეტის მინიჭებას.

76-ე მუხლში მითითებული ხელშეკრულების ცხოვრებაში გასატარებლად აუცილებელი სხვა ღონისძიებები განისაზღვრება კანონით.

78-87-ე მუხლები ამოღებულია.

ნაწილი XIV — შეთანხმებები გაერთიანების თაობაზე

მუხლი 88. რესპუბლიკას შეუძლია დადოს შეთანხმება სახელმწიფოებთან, რომლებსაც მათი ცივილიზაციის განვითარების მიზნით სურთ მასთან გაერთიანება.

ნაწილი XV – ევროპული თანამეგობრობებისა და ევროკავშირის შესახებ

ევროკავშირის შესახებ

მუხლი 88[1]. რესპუბლიკა მონაწილეობს თავისუფალი არჩევანის საფუძველზე სახელმწიფოების მიერ შექმნილ ევროპულ თანამეგობრობებსა და ევროკავშირში, მათ მიერ დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, ზოგიერთი მათი უფლებამოსილების ერთობლივად განსახორციელებლად.

იგი მონაწილეობს ევროკავშირში, ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ემატება ევროკავშირის ხელშეკრულებას და ევროგაერთიანების შექმნის შესახებ ხელშეკრულებას და ხელმოწერილია 2007 წლის 13 დეკემბერს.

მუხლი 88[1]. რესპუბლიკა მონაწილეობს ევროპულ კავშირში, რომელიც შედგება სახელმწიფოებისგან, რომლებმაც ევროკავშირის შესახებ და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებების თანახმად, 2007 წლის 13 დეკემბერს ლისაბონში ხელმოწერილი ხელშეკრულების შესაბამისად, თავისუფლად აირჩიეს მათი გარკვეული უფლებამოსილების ერთობლივად განხორციელება.

მუხლი 88[2]. თანაზიარობის საფუძველზე და 1992 წლის 7 თებერვალს ხელმოწერილი ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, საფრანგეთი თანხმდება ევროპის ეკონომიკური და საფინანსო საბჭოს შესაქმნელად აუცილებელი კომპეტენციის გადაცემაზე.

ამავე დათქმითა და ევროკავშირის დამფუძნებელი 1997 წლის 2 ოქტომბრის რედაქციით ხელმოწერილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, საფრანგეთი თანხმდება გადასცეს პირთა თავისუფალი გადაადგილების წესისა და მასთან დაკავშირებული სფეროების დასარეგულირებლად აუცილებელი კომპეტენცია.

კანონი განსაზღვრავს ევროკავშირში ყოფნასთან დაკავშირებულ წესებს, ევროკავშირის დაწესებულებების მიერ დამტკიცებული აქტების შესაბამისად.

მუხლი 88[3]. თანაზიარობის საფუძველზე და 1992 წლის 7 თებერვალს ხელმოწერილი ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მუნიციპალურ არჩევნებში ხმის უფლება და კანდიდატად მონაწილეობის უფლება ენიჭებათ მხოლოდ საფრანგეთში მცხოვრებ ამ კავშირის მოქალაქეებს. ამ მოქალაქეებს არ შეუძლიათ განახორციელონ მერის ან მისი მოადგილის ფუნქციები, მონაწილეობა მიიღონ სენატორთა ამრჩევი საარჩევნო კოლეგიის დანიშვნასა და სენატის არჩევნებში.

ამ მუხლის გამოყენების პირობებს ადგენს ორივე პალატის მიერ იდენტური რედაქციით მიღებული ორგანული კანონი.

მუხლი 88[4]. საკანონმდებლო ხასიათის მქონე ევროპის თანამეგობრობისა და ევროკავშირის აქტების პროექტებსა და წინადადებებს, მათი ევროკავშირის საბჭოში წარდგენამდე, მთავრობა გადასცემს ეროვნულ კრებასა და სენატს. მთავრობას შეუძლია ასევე მას გაუგზავნოს პროექტები ან მათი წინადადებები, ასევე ნებისმიერი დოკუმენტი, რომლებიც გამომდინარეობენ ევროკავშირის რომელიმე ინსტიტუტიდან.

აუცილებლობის შემთხვევაში, სესიებს შორის პერიოდში თითოეული პალატის რეგლამენტით დადგენილი პირობების შესაბამისად, წინა აბზაცში მითითებულ პროექტებზე, წინადადებებსა და დოკუმენტებზე მიიღება რეზოლუციები.

მუხლი 88[5]. ნებისმიერი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირისა და ევროპის თანამეგობრობისთვის რომელიმე სახელმწიფოს მიერთებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების რატიფიკაციას, ექვემდებარება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმზე გატანას.

მუხლი 88[6]. ნებისმიერი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირისათვის რომელიმე სახელმწიფოს მიერთებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების რატიფიკაციას, ექვემდებარება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმზე გატანას.

მუხლი 88[7]. ეროვნულმა კრებამ ან სენატმა უნდა გამოთქვას დასაბუთებული მოსაზრება ევროპული აქტის პროექტის სუბსიდიარობის პრინციპთან შესაბამისობის შესახებ. აღნიშნულ მოსაზრებას პალატის თავმჯდომარე უგზავნის ევროპარლამენტის თავმჯდომარის, ევროკავშირის საბჭოსა და ევროკომისიას. ამ მოსაზრების შესახებ უნდა ეცნობოს მთავრობას.

ყოველმა პალატამ უნდა დაადგინოს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში ევროპული აქტის სუბსიდიარობის პრინციპთან შესაბამისობის დადგენის პროცედურა. ამ პროცედურებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს უგზავნის მთავრობა.

ზემოაღნიშნული მიზნით, თუ პარლამენტი არ არის შეკრებილი, რეზოლუცია მიიღება თითოეული პალატის მიერ დადგენილი საპროცედურო წესების შესაბამისად, მათში განხილვის შემდეგ.

მუხლი 88[7]. პარლამენტს შეუძლია ეროვნული კრებისა და სენატის მიერ ერთნაირ ვადებში რეზოლუციის მიღების გზით, უარი თქვას იმ წესის რაიმე ცვლილებაზე, რომელიც აწესრიგებს ევროკავშირის მიერ აქტების მიღებას, ხელშეკრულების გადასინჯვის ჩვეულებრივი პროცედურით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო ურთიერთთანამშრომლობის შესაბამისად, როგორც ეს დადგენილია ევროკავშირის ხელშეკრულებისა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებებით, 2007 წლის 13 დეკემბერს ლისაბონში ხელმოწერილი ხელშეკრულების შესაბამისად.

ნაწილი XVI – კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ

მუხლი 89. კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვს რესპუბლიკის პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის წინადადებით და პარლამენტის ყოველ წევრს.

კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ სამთავრობო ან წევრთა პროექტი მიიღება ორივე პალატის მიერ იდენტური რედაქციით. გადასინჯვა საბოლოოა მისი რეფერენდუმზე დამტკიცების შემდეგ.

თუმცა, გადასინჯვის შესახებ სამთავრობო ან წევრთა პროექტი არ წარედგინება რეფერენდუმზე, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი გადაწყვეტს მის გადაცემას კონგრესის სახით მოწვეული პარლამენტისათვის; ამ შემთხვევაში კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ სამთავრობო ან წევრთა პროექტი დამტკიცებულად ითვლება ხმათა ორი მესამედით. კონგრესის ბიუროს სახით გამოდის ეროვნული კრების ბიურო.

კონსტიტუციის გადასინჯვის არანაირი პროცედურა არ შეიძლება დაიწყოს ან გაგრძელდეს ტერიტორიის მთლიანობის საფრთხის არსებობისას.

მმართველობის რესპუბლიკური ფორმა არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი.

ნაწილი XVII – გარდამავალი დებულებანი

(ამოღებულია)

პოლონეთის რესპუბლიკა

ზოგადი ცნობარი

შესავალი

IX-X საუკუნეებში თანამედროვე პოლონეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ დასავლეთ-სლავური წარმოშობის ტყვეები, რომლებიც ძირითადად ორ ცენტრად იყოფოდნენ. X საუკუნის შუა ხანებში მათ შეძლეს გაერთიანება და დააარსეს სახელმწიფო სახელწოდებით — პოლონეთი. პოლონეთის სამეფოს საბოლოო გაერთიანება XIV საუკუნეში მოხდა. ამავე პერიოდში განხორციელდა პოლონეთის კანონმდებლობის კოდიფიკაცია. შედგენილ იქნა პეტროსკისა და ვისლიცკის სტატუტები, განხორციელდა ადმინისტრაციული და ფულადი რეფორმები. 1364 წელს დაარსდა კრაკოვის აკადემია.

პოლონეთის ისტორიაში ოქროს საუკუნეებად ითვლება XVI-XVII საუკუნეები. 1569 წელს შეიქმნა პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფო, რომელიც დიდ როლს ასრულებდა ევროპულ საქმეებში. მნიშვნელოვნად განვითარდა პოლონეთის კულტურა, მეცნიერება და ხელოვნება.

ქვეყნის ხელახლა დანაწევრებას ადგილი ჰქონდა XVIII საუკუნის ბოლოს, რის შედეგადაც პოლონეთი გაიყო რუსეთს, პრუსიასა და ავსტრიას შორის. პოლონეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა 1918 წელს. ეკონომიკურ განვითარებაში დიდი როლი შეასრულა პოლიტიკურმა მოძრაობამ „სოლიდარობა", რომელიც 1990 წელს ხელისუფლებაში მოვიდა. ეკონომიკის აღმასვლას ხელი შეუწყო „შოკური თერაპიის" პროგრამამ. პოლონეთი დასავლური ორიენტაციის ქვეყანაა. 1999 წელს იგი შევიდა ნატოში, ხოლო 2004 წელს — ევროკავშირში.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: ცენტრალური ევროპა; დასავლეთით ესაზღვრება გერმანია, სამხრეთ-დასავლეთით — ჩეხეთი, სამხრეთით — სლოვაკეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით — უკრაინა, აღმოსავლეთით — ბელარუსი, ჩრდილო-აღმოსავლეთით — ლიტვა და რუსეთი, ხოლო ჩრდილოეთით — ბალტიის ზღვა.

ფართობი: სულ: 312 685 კმ^2; ხმელეთი: 304 465 კმ^2; წყალი: 8 220 კმ^2.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ქვანახშირი, გოგირდი, სპილენძი, ბუნებრივი გაზი, ვერცხლი, ტყვია, მარილი, ქარვა.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 38 500 696 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 15.2% (კაცი 3 013 109; ქალი 2 849 977);

15-64 წლის: 71.4% (კაცი 13 681 481; ქალი 13 808 412);
65 წლის და ზემოთ: 13.4% (კაცი 1 964 477; ქალი 3 183 240) (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: -0.045% (2008);

შობადობა: 10.01 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 9.99 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: -0.46 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 75.41 წელი; კაცი: 71.42; ქალი: 79.65 (2008).

მოქალაქეობა: პოლონეთის

ეთნიკური ჯგუფები: პოლონელი 96.7%, გერმანელი 0.4%, ბელარუსიელი 0.1%, უკრაინელი 0.1%, სხვა 2.7% (2002);

რელიგია: რომაული კათოლიკური 89.8%, აღმოსავლური ორთოდოქსალური, პროტესტანტული და სხვა 10.2%.

ენა: პოლონური

განათლებულობა:
სრული მოსახლეობის: 99.8%; კაცი 99.8%; ქალი 99.7% (2003);
განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ერცელი ფორმა: პოლონეთის რესპუბლიკა;
მოკლე ფორმა: პოლონეთი;
აბრევიატურა: არ აქვს
ადგილობრივი მოკლე ფორმა: პოლსკა

სახელმწიფოს ფორმა: შერეული მმართველობის მქონე უნიტარული რესპუ-ლიკა

დედაქალაქი: ვარშავა

ადმინისტრაციული ერთეულები: 16 საეოევოდო

დამოუკიდებლობა: 1918 წლის 11 ნოემბერი (დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადება);

ეროვნული დღესასწაული: კონსტიტუციის დღე – 3 მაისი (1791);

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი (2005 წლის 23 დეკემბრიდან);
არჩევნები: უკანასკნელად ჩატარდა 2005 წლის 23 ოქტომბერს;
არჩევნების შედეგები: ლეხ კაჩინსკიმ მიიღო ხმათა 54%.

სამინისტროები: გარემოს დაცვის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, ეროვნული განათლების სამინისტრო, ეროვნული თავდაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ინფრასტრუქტურის სამინისტრო, კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სამინისტრო, მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სამინისტრო, რეგიონული განვითარების სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, სოფლის მეურნეობისა და აგრარული განვითარების სამინისტრო, სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის სამინისტრო, შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო, სახელმწიფო ხაზინის სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება:
პარლამენტი შედგება ორი პალატისგან: სეიმისა და სენატისგან. სენატის შემადგენლობაშია 4 წლის ვადით მაჟორიტარული სისტემით არჩეული 100 წევრი, ხოლო სეიმში – 4 წლის ვადით პროპორციული კომპლექსური სისტემით არჩეული 460 წევრი;
არჩევნები: სეიმისა და სენატის არჩევნები უკანასკნელად ჩატარდა 2007 წლის 21 ოქტომბერს.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: გლეხთა დემოკრატიული პარტია, დემოკრატიულ მემარცხენეთა ალიანსი, თავისუფლების კავშირი, კათოლიკურ-ეროვნული მოძრაობა, კანონი და სამართლიანობა, კონსერვატიული გლეხთა პარტია, მოქალაქეთა პლატფორმა, პოლონეთის ოჯახთა ლიგა, პოლონეთის გლეხთა ბლოკი, პოლონეთის გლეხთა პარტია, პოლონეთის თანხმობა, პოლონეთის რეკონსტრუქციის მოძრაობა, სოციალ-დემოკრატიული პარტია, სოციალური მოძრაობა, შრომის კავშირი.

ეკონომიკის მიმოხილვა: მეორე მსოფლიო ომის შედეგად პოლონეთმა დაკარგა ეროვნული საკუთრების 40%. 1940-1980 წლებში პოლონეთის ეკონომიკა აგებული იყო საბჭოურ მოდელზე, რომელიც გამოირჩეოდა ცენტრალიზებული დაგეგმარებით და წარმოების სახელმწიფო საკუთრებით. თუმცა, საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, პოლონეთში არ მომხდარა საყოველთაო კოლექტივიზაცია.

პოლონეთის შრომით რესურსებს 1996 წლის მონაცემებით აწარმოებდა მოსახლეობის 57%. კერძო სექტორში დასაქმებული იყო 65%.

1950-1970 წლებში ქვეყანაში შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური აღმავლობა. ეროვნული შემოსავლის ყოველწლიური მატება შეადგენდა 6.2%-ს. 1974-1992 წლებში ეკონომიკამ გარკვეული დაცემა განიცადა, მაგრამ 1992 წლიდან მან ისევ აღმასვლა დაიწყო. 1994 წლისათვის წლიური ერთიანი შიდა პროდუქტი შეადგენდა 6.3%-ს, 1997 წლისთვის – 6.9%-ს.

რაც შეეხება წარმოებას, 1990 წელს მიღებულ იქნა კანონი პრივატიზაციის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო საწარმოების სააქციო საზოგადოებებად და შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებად გარდაქმნას. 1996 წელს 8841 დიდი საწარმოდან პრივატიზებული იყო 1895. ეს პროცესი უფრო წარმატებულად მიმდინარეობდა მცირე საწარმოებთან დაკავშირებით. 1990 წლისათვის კერძო სექტორისთვის გადაცემული იყო 35 ათასი მცირე საწარმო.

ენერგეტიკის ძირითად წყაროს ქვანახშირი წარმოადგენს, რომელიც პოლონეთშიც მოიპოვება. სათესი მიწები შეადგენენ სასოფლო-სამეურნეო მიწების 47%-ს, საძოვარი – 13-ს, ტყე – 29%-ს. უკვე 1989 წლისათვის მიწების 1/5 ეკუთვნოდა სახელმწიფოს, ხოლო დანარჩენი კერძო სექტორს.

პოლონეთის ეკონომიკაზე დადებითად იმოქმედა მისმა გაწევრიანებამ ევროკავშირში.

მთლიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $620.9 მილიარდი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 6.5% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $16.300 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 4.1%; მრეწველობა: 31.6%; მომსახურება: 64.4% (2007).

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 17% (2003);

ბიუჯეტი: სახელმწიფო შემოსავალი: $85.25 მილიარდი; გასავალი: $91.37 მილიარდი (2007).

ექსპორტი: $144.6 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: მანქანები და სატრანსპორტო აღჭურვილობა, მანუფაქტურული საქონელი, სურსათი, შინაური ცხოველები.

ექსპორტის პარტნიორები: გერმანია 25.9%, იტალია 6.8%, საფრანგეთი 6%, დიდი ბრიტანეთი 5.9%, ჩეხეთის რესპუბლიკა 5.5%, რუსეთი 4.7, უკრაინა 4% (2006);

იმპორტი: $160.2 მილიარდი (2006);

საიმპორტო საქონელი: მანქანები და სატრანსპორტო აღჭურვილობა, მანუფაქტურული საქონელი, ქიმიკატები.

იმპორტის პარტნიორები: გერმანია 28.9%, რუსეთი 8.8%, იტალია 6.5%, ნიდერლანდები 5.6%, საფრანგეთი 5.1%, ჩინეთი 4.2% (2006);

საგარეო ვალი: $169.5 მილიარდი (2007);

ეკონომიკური მხარდაჭერა: $1.524 მილიარდი (2004);

ვალუტა: ზლოტი (PLN).

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. პოლონეთის კონსტიტუციონალიზმის ისტორია 1791 წლიდან იწყება, როდესაც მიღებულ იქნა ევროპაში პირველი კონსტიტუცია. ეს იყო პოლონეთ-ლიტვის ერთიანი სახელმწიფოს კონსტიტუცია. ქვეყნის მმართველობის ფორმას წარმოადგენდა მონარქია, მეფის ხელისუფლება იყო მემკვიდრეობითი, რომელიც ერთდროულად ითვლებოდა სახელმწიფოს და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად. აღიარებული იყო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა ორპალატიანი სეიმი, გათვალისწინებული იყო კონტრასიგნატურისა და საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები. თუმცა, მიუხედავად გარკვეული თანამედროვე დემოკრატიული პრიციპებისა, მასში ასევე მრავლად იყო ფორმულირებული არადემოკრატიული იდეებიც, რაც ძირითადად გამოიხატებოდა ადამიანის უფლებებში: არ იყო აღიარებული მოქალაქეთა თანასწორობა, მიწათმფლობელები ინარჩუნებდნენ გარკვეულ პრივილეგიებს, კათოლიკეებს უპირატესობა ენიჭებოდათ სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან მიმართებით და სხვ.

1793 წლის 23 ნოემბერს სეიმის მიერ მიღებულ იქნა კიდევ ერთი კონსტიტუცია, რომლის ინიციატორად გამოდიოდა ფეოდალთა ნაწილი. ამ კონსტიტუციამ უმაღლეს ორგანოდ განსაზღვრა სეიმის მუდმივი კომიტეტი და ფეოდალებს დაუბრუნა ის პრივილეგიები, რაც ჩამოართვა წინა კონსტიტუციამ. თუმცა 1795 წელს ქვეყნის სამად გაყოფის შემდეგ, პოლონეთის სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა.

შემდგომ კონსტიტუციად ითვლება ე.წ. მცირე კონსტიტუცია, რომლის მიღება ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასთან იყო დაკავშირებული. იგი მიიღო დამფუძნებელმა სეიმმა 1919 წლის თებერვალში, რომელიც ახალი კონსტიტუციის მიღებამდე განსაზღვრავდა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემას.

ახალი კონსტიტუცია 1921 წლის 17 მარტით თარიღდება. ეს იყო დემოკრატიული ტიპის კონსტიტუცია და ითვალისწინებდა იმ დროისთვის აღიარებულ პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებს და სოციალურ გარანტიებს. მმართველობის ფორმას წარმოადგენდა საპარლამენტო რესპუბლიკა. პარლამენტი (ეროვნული კრება) შედგებოდა ორი პალატისგან – სეიმისა და სენატისგან. სენატი წარმოადგენდა ე.წ. სუსტ ზედა პალატას. პრეზიდენტი აირჩეოდა პარლამენტის მიერ. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა მინისტრთა საბჭო, რომლის თავმჯდომარეს ნიშნავდა პრეზიდენტი სეიმის უმრავლესობის წევრთაგან. მინისტრებს ნიშნავდა პრეზიდენტი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით. მთავრობა პოლიტიკურად იყო პასუხისმგებელი სეიმის წინაშე. პრეზიდენტისა და მინისტრების მიმართ კონსტიტუციის დარღვევისთვის გათვალისწინებული იყო იმპიჩმენტის მექანიზმი.

ქვეყანაში მთავრობის როლის გაძლიერების შედეგად, 1935 წლის 23 აპრილს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელიც ფაქტობრივად აკანონებდა ავტორიტარულ რეჟიმს. იზღუდებოდა მოქალაქეთა პო-

ლიტიკური უფლებები, ძირითადი სახელისუფლებო ბერკეტები ექცეოდა პრეზიდენტის ხელში, იზღუდებოდა პარლამენტის როლი, სენატი ფორმირდებოდა ცენზების პრინციპით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პოლონეთში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შედეგად თავდაპირველად აღდგა 1921 წლის კონსტიტუციის მოქმედება გარკვეული გამონაკლისებით, ხოლო შემდგომ, 1947 წლის თებერვალში მიღებულ იქნა უფლებათა და თავისუფლებათა დეკლარაცია და მეორე ე.წ. მცირე კონსტიტუცია — კონსტიტუციური კანონი პოლონეთის რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოთა სტრუქტურისა და კომპეტენციის შესახებ. ამ აქტით საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებდა ერთპალატიანი სეიმი, რომელიც თავისი შემადგენლობიდან ქმნიდა მუდმივ ორგანოს — სახელმწიფო საბჭოს. მისი თავმჯდომარე იყო რესპუბლიკის პრეზიდენტი. ადგილობრივ ორგანოთა რეფორმაც საბჭოთა სისტემის მსგავსად განხორციელდა. ფორმალურად ადგილობრივ ორგანოებს წარმოადგენდნენ არჩევითი საბჭოები, ხოლო ფაქტობრივად მთელი ხელისუფლება მათი მუდმივი პრეზიდიუმების ხელში იყო. მმართველი პარტია იყო კომუნისტური პარტია, ლიკვიდირებულ იქნა ოპოზიციური პარტიები.

1952 წლის 22 ივლისს მიღებულ იქნა შემდგომი საბჭოური კონსტიტუცია, რომელიც საბჭოთა კავშირის ე.წ. სტალინური კონსტიტუციის მაგალითზე იქნა აგებული. ქვეყანას ეწოდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, განხორციელდა საზოგადოებრივი სიმდიდრის დიდი ნაწილის განსახელმწიფოებრიობა, ადამიანის უფლებები ფორმალურად იყო აღიარებული, ფაქტობრივად საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებდა სეიმის მიერ არჩეული სახელმწიფო საბჭო, ხოლო თვით სეიმი იშვიათად იკრიბებოდა.

შემდგომი კონსტიტუცია 1976 წლით თარიღდება და ისიც საბჭოთა რეჟიმის განმტკიცებას ემსახურებოდა. თუმცა, მასში 80-იანი წლების შემდეგ შევიდა ზოგიერთი დემოკრატიული ცვლილება, მაგალითად, შეიქმნა საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები — საკონსტიტუციო ტრიბუნალი და სახელმწიფო ტრიბუნალი, კონტროლის პალატა გავიდა მთავრობის დაქვემდებარებიდან, შემოღებულ იქნა რეფერენდუმის ინსტიტუტი, განმტკიცდა ტერიტორიული თვითმმართველობის საკუთრება, შეიქმნა უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო და სამოქალაქო უფლებებში უფლებამოსილის თანამდებობა.

1989 წლის 31 დეკემბერს მიღებულ იქნა კონსტიტუციის ახალი რედაქცია. ქვეყნის სახელწოდებიდან ამოღებულ იქნა სიტყვა „სახალხო", ხოლო ტექსტიდან — იდეოლოგიზირებული პრეამბულა და სოციალიზმის შესახებ ნორმები, განმტკიცდა მრავალპარტიულობის, საკუთრების უფლების, მემკვიდრეობისა და ეკონომიკური საქმიანობის პრინციპები. გენერალური პროკურატურა დაექვემდებარა იუსტიციის მინისტრს, რომელიც ამავდროულად იყო გენერალური პროკურორი. აღიარებულ იქნა სახალხო ხელისუფლების იდეა, რითაც ხალხი თავის ხელისუფლებას ახორციელებდა სეიმის, სენატის, ეროვნული საბჭოებისა და რეფერენდუმის მეშვეობით. კონსტიტუციაში ცვლილებები იქნა ასევე შეტანილი

1990 წლის მარტსა და სექტემბერში, რომლებიც ეხებოდა ადგილობრივ ორგანოთა არჩევის წესსა და პრეზიდენტის სახალხო გზით არჩევის პრინციპს.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. ახალი კონსტიტუციის შემუშავების საჭიროება ჯერ კიდევ 1992 წელს დადგა დღის წესრიგში. 1992 წლის 23 აპრილს მიღებულ იქნა კონსტიტუციური კანონი „პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების წესის შესახებ", რის საფუძველზეც შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, თუმცა პოლონეთის ე.წ. მცირე კონსტიტუციის მოქმედების პერიოდში კომისიის შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა საპარლამენტო არჩევნების გამო, ვინაიდან იგი ფორმირდებოდა საპარლამენტო გზით.

პოლონეთის მოქმედი კონსტიტუცია მიღებულ იქნა პარლამენტის — ეროვნული კრების მიერ 1997 წლის 2 აპრილს, 451 ხმით 40 ხმის წინააღმდეგ და დამტკიცდა სახალხო წესით — რეფერენდუმზე 1997 წლის 25 მაისს, მონაწილე ამომრჩეველთა 56.8%-ით 43.2%-ის წინააღმდეგ. რეფერენდუმის შედეგები უმაღლესმა სასამართლომ ნამდვილად ცნო 15 ივლისს, 16 ივლისს მას ხელი მოაწერა პრეზიდენტმა, ხოლო 17 ივლისს გამოქვეყნდა. კონსტიტუცია ძალაში შევიდა გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში — 17 ოქტომბერს. მისი მიღებით ძალა დაკარგა 1992 წლის 17 ოქტომბრის კონსტიტუციურმა კანონმა „პოლონეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაძლო ურთიერთობისა და ტერიტორიული თვითმმართველობის შესახებ".

პოლონეთის კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის უფლება აქვს დეპუტატთა არანაკლებ 1/5-ს, სენატსა და პრეზიდენტს. გადასინჯვის პროექტი შეიტანება და თავდაპირველად განიხილება სეიმში. მისი პირველი მოსმენა უნდა შედგეს სეიმში პროექტის შეტანის დღიდან არანაკლებ 30 დღის ვადაში. აუცილებელია, რომ სეიმმა, ხოლო არა უმეტეს 60 დღის ვადაში — სენატმა იგი მიიღოს ანალოგიური რედაქციით. კონსტიტუციის შესწორების შესახებ კანონი სეიმის მიერ მიიღება ხმათა 2/3-ის უმრავლესობით დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით, ხოლო სენატის მიერ — ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით სენატორთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით.

თუ გადასინჯვა ეხება რესპუბლიკის ძირითად ნიშნებს, ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებებს, უფლებებსა და ვალდებულებებს ან კონსტიტუციის გადასინჯვას, სეიმმა იგი უნდა მიიღოს პირველი მოსმენით მიღებიდან არანაკლებ 60 დღის ვადაში. ამ საკითხებთან დაკავშირებით გადასინჯვის შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც სეიმი და სენატი მიიღებს ანალოგიურ რედაქციას, გადასინჯვის ინიციატივის მქონე სუბიექტებმა 45 დღის ვადაში შეიძლება მოითხოვონ დამდგენი რეფერენდუმის ჩატარება, რის თაობაზეც აღნიშნული სუბიექტები მიმართავენ სეიმის მარშალს, რომელიც წინადადების შეტანიდან 60 დღის ვადაში დაუყოვნებლივ ნიშნავს რეფერენდუმს. კონსტიტუციის გადასინჯვა მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობა.

კონსტიტუციის მიღებულ კანონს სეიმის მარშალი ხელმოსაწერად წარუდგენს პრეზიდენტს, რომელიც მას ხელს აწერს წარდგენიდან 21 დღის ვადაში და აქვეყნებს „პოლონეთის რესპუბლიკის კანონთა მაცნეში".

კონსტიტუციაში ჯერჯერობით ცვლილებები არ არის შეტანილი.

კონსტიტუციის ანალიზი. კონსტიტუცია შედგება პრეამბულის, 243 მუხლისა და 13 თავისგან. პირველ თავში „რესპუბლიკა" მოცემულია პოლონეთის სახელმწიფოებრიობის ძირითადი ნიშნები. პოლონეთის რესპუბლიკა არის უნიტარული, დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. აღიარებულია პოლიტიკური პარტიების, პროფესიული გაერთიანებების, პროფესიული თვითმმართველობების, ეკლესიის დამოუკიდებლობის, ასევე საბაზრო ეკონომიკის პრინციპები. უზენაესი ხელისუფლება ეკუთვნის ერს, რომელიც თავის ხელისუფლებას ახორციელებს უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

კონსტიტუციაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებებს, უფლებებსა და ვალდებულებებს. მათ წყაროს წარმოადგენს ადამიანის ბუნებითი და განუსხვისებელი ღირსება. ადამიანის პიროვნება ხელშეუხებელია, ხოლო მისი პატივისცემა და დაცვა წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულებას.

კონსტიტუციური თავისუფლებებითა და უფლებებით სარგებლობის შეზღუდვა შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ კანონით და მხოლოდ მაშიც, როდესაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისათვის, ან გარემოს, ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი მორალის, ან სხვა პირთა თავისუფლებებისა და უფლებების დასაცავად. თუმცა, ამ შეზღუდვებმა არ შეიძლება დაარღვიოს თავისუფლებებისა და უფლებების არსი.

პირადი უფლებებიდან აღიარებულია სიცოცხლის უფლება, პირადი ხელშეუხებლობა და პირადი თავისუფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, კერძო, ოჯახური ცხოვრების, ღირსებისა და კარგი რეპუტაციის სამართლებრივი დაცვის უფლება. აღიარებულია საქმის სამართლიანი და ღია განხილვის უფლება, უსაფუძვლო დაყოვნების გარეშე, კომპეტენტური, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ. ყველასთვის გარანტირებულია სინდისის, რელიგიის, შეხედულებების გამოხატვის, ასევე ინფორმაციის მოძიებისა და გავრცელების, ტერიტორიაზე გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და ბინადრობის, კომუნიკაციის საიდუმლოების თავისუფლება.

არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს სამეცნიერო ექსპერიმენტებს, მათ შორის სამედიცინოს, თუ ნებაყოფლობით არ გამოხატავს თანხმობას. არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან მკაცრ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მიმართვასა და სასჯელს. აკრძალულია სხეულებრივი სასჯელების გამოყენება.

კონსტიტუციის დონეზეა განმტკიცებული, რომ სამხედრო და ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისას არ გამოიყენება ხანდაზმულობის ვადე-

ბი, ხოლო იმ დანაშაულის ხალდაზმულობის ვადის ხანგრძლივობა, რომელიც არ ითვალისწინებს პოლიტიკურ მიზნებს და ჩადენილია სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ ან მათი მითითებით, ექვემდებარება აღდგენას ამ მიზეზთა აღმოფხვრამდე.

ქონების კონფისკაცია შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და მხოლოდ უფლებამოსილი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პოლიტიკური უფლებებიდან ყურადღება გამახვილებულია მშვიდობიანი შეკრების ორგანიზაციისა და მასში მონაწილეობის, გაერთიანების, პროფესიულ კავშირებში, მიწათმოქმედთა სოციალურ-პროფესიულ ორგანიზაციებში, ასევე დამსაქმებელთა ორგანიზაციებში გაერთიანების თავისუფლებაზე, საჯარო სამსახურში მუშაობის, არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებისათვის პეტიციებით, წინადადებებითა და საჩივრით მიმართვის უფლებაზე.

პოლონეთის მოქალაქეს აქტიური საარჩევნო უფლება გააჩნია 18 წლის ასაკიდან. რეფერენდუმსა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ გააჩნიათ პირებს, რომლებიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით აღიარებულნი არიან ქმედუუნაროდ ან აკრძალული აქვთ საჯარო ან საარჩევნო უფლებები.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებიდან გარანტირებულია საკუთრების უფლება, სხვა ქონებრივი უფლებები და მემკვიდრეობის უფლება. საკუთრება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით და მხოლოდ იმ მიცულობით, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.

ყველასთვის გარანტირებულია პროფესიის არჩევისა და განხორციელების, სამუშაო ადგილის არჩევის, მხატვრული შემოქმედების, სამეცნიერო გამოკვლევების, მათი შედეგების გამოქვეყნების, სწავლებისა და კულტურული ღირებულებებით სარგებლობის თავისუფლება, უსაფრთხო და ჰიგიენური შრომის პირობების, დასვენებისა და ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების უფლება.

ამ უფლებებისა და თავისუფლებების განსახორციელებლად ყველას აქვს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და დარღვეული თავისუფლებებისა და უფლებების სასამართლოს მეშვეობით აღდგენის უფლება. თითოეულ მხარეს აქვს უფლება გაასაჩივროს პირველ ინსტანციაში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები და განაჩენები. აღიარებულია საკონსტიტუციო ტრიბუნალისა და მოქალაქეთა უფლებებში უფლებამოსილისათვის საჩივრით მიმართვის უფლება.

პოლონეთის მოქალაქის ვალდებულებას წარმოადგენს ქვეყნის ერთგულება, კანონმდებლობის დაცვა, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ზრუნვა, გადასახადების გადახდა, სამშობლოს დაცვა, გარემოს მდგომარეობაზე ზრუნვა.

კონსტიტუცია ცალკე თავს უთმობს სამართლის წყაროებს. პოლონეთის რესპუბლიკის ზოგადსავალდებულო წყაროებს წარმოადგენს: კონსტიტუცია, კანონები, რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და განკარგულებე-

ბი. ადგილობრივი ორგანოების აქტები ზოგადსავალდებულო წყაროებს წარმოადგენს მათი მიმღები ორგანოების ტერიტორიაზე. კონსტიტუციაში კონკრეტულად არის განსაზღვრული ის სფეროები, რომელთა შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია ან დენონსაცია საჭიროებს წინასწარ თანხმობას.

პოლონეთის რესპუბლიკას შეუძლია საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე საერთაშორისო ორგანიზაციას ან საერთაშორისო ორგანოს გადასცეს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენცია კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით. ამგვარ კანონს იღებენ პალატები ხმათა 2/3-ის უმრავლესობით წევრთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებისას. ამგვარი ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ თანხმობა შეიძლება მიცემულ იქნეს სრულიად პოლონეთის რეფერენდუმით.

მინისტრთა საბჭოს დადგენილებას, ასევე პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების ბრძანებებს გააჩნია შიდა ხასიათი და სავალდებულოა მხოლოდ ამ აქტების გამომცემი ორგანოს ქვემდებარე ორგანიზაციული ერთეულებისათვის. ბრძანებები გამოიცემა მხოლოდ კანონის საფუძველზე და არ შეიძლება ემსახურებოდეს მოქალაქეებთან, იურიდიულ პირებთან, ასევე სხვა სუბიექტებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს.

პოლონეთის რესპუბლიკის მმართველობის სისტემა ეფუძნება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად დანაწილებასა და წონასწორობას. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებენ სეიმი და სენატი, აღმასრულებელ ხელისუფლებას — რესპუბლიკის პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო, ხოლო სასამართლო ხელისუფლებას — სასამართლოები და ტრიბუნალები. ხელისუფლების შტოებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნისა და გაწონასწორების თავისებურებიდან გამომდინარე, პოლონეთი შერეული მმართველობის მქონე ქვეყნებს უნდა მივაკუთვნოთ.

საკანონმდებლო ორგანო შედგება ორი პალატის — ქვედა პალატის — სეიმისა და ზედა პალატის — სენატისაგან. მათგან გადამწყვეტი საკანონმდებლო და საკონტროლი უფლებამოსილებით აღჭურვილია სეიმი, ხოლო სენატი ე.წ. სუსტ ზედა პალატათა რიცხვს განეკუთვნება. მისი უფლებამოსილება საკმაოდ ვიწროა და მხოლოდ ზოგიერთ საკადრო, საბიუჯეტო და სხვა საკითხებში სეიმისთვის თანხმობის მიცემაში გამოიხატება. საკანონმდებლო საქმიანობაშიც პრიორიტეტი სეიმს ენიჭება. სენატს ექსკლუზიური ფუნქციები არ გააჩნია, არ აქვს ასევე კონტროლის უფლებამოსილება. მინისტრთა საბჭოს საქმიანობაზე კონტროლს მხოლოდ სეიმი ახორციელებს.

სეიმი შედგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, პროპორციული და ფარული კენჭისყრით არჩეული 460 დეპუტატისგან, რომლებიც აირჩევიან დ'ონტის მეთოდის გამოყენებით. არჩეულად ჩაითვლებიან იმ პარტიის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ ამომრჩეველთა ხმების 5%-ს, ხოლო პარტიული კოალიციის შემთხვევაში პროცენტული ბარიერი 8%-მდე იმატებს. ყოველი საარჩევნო ოლქიდან აირჩევა 7-დან 19-მდე დეპუტატი. სენატი შედგება საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩეული 100 სენატორისგან. არჩევნები ამ

შემთხვევაშიც მრავალმანდატიანია და სენატორთა რაოდენობა დამოკიდებულია ამომრჩეველთა რაოდენობაზე. ორივე პალატა აირჩევა 4 წლის ვადით. პალატების უფლებამოსილების ვადა იწყება პირველ სხდომაზე შეკრების დღეს და გრძელდება შემდგომი მოწვევის პალატის შეკრების წინა დღემდე.

კონსტიტუცია ითვალისწინებს პალატების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესაძლებლობას დათხოვნის ან თვითდათხოვნის საფუძველზე. პრეზიდენტს სეიმის დათხოვნა შეუძლია მხოლოდ ერთ შემთხვევაში — სეიმის მიერ მთავრობის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, სეიმისა და სენატის მარშლების აზრის მოსმენის შემდეგ. სენატის უფლებამოსილება დამოკიდებულია სეიმის უფლებამოსილებაზე, ვინაიდან მისი უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს სენატის უფლებამოსილების შეწყვეტასაც.

რაც შეეხება თვითდათხოვნას, სეიმს შეუძლია თავისი უფლებამოსილება ვადამდე შეწყვიტოს დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით მიღებული დადგენილებით. მისი უფლებამოსილების ვადის შეწყვეტა იმავდროულად ნიშნავს სენატის უფლებამოსილების შეწყვეტას.

სეიმში შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე პოლონეთის მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, ხოლო სენატში — 30 წლის ასაკიდან. სეიმისა და სენატის არჩევნების ნამდვილობას ამტკიცებს უზენაესი სასამართლო.

დაუშვებელია ერთდროულად დეპუტატობა და სენატორობა. დეპუტატისა და სენატორის მანდატი ასევე შეუთავსებელია სხვა მნიშვნელოვან თანამდებობებთან სახელმწიფო სამსახურში. თუმცა, ეს აკრძალვა არ ეხება მინისტრთა საბჭოს წევრებსა და სამთავრობო ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივნებს.

პარლამენტის წევრები არიან ერის წარმომადგენლები. ისინი არ არიან დაკავშირებულნი ამომრჩეველთა ინსტრუქციებთან.

არჩევნების შედეგების გამოქვეყნების დღიდან სადეპუტატო მანდატის შეწყვეტის დღემდე პარლამენტის წევრი არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში სეიმის თანხმობის გარეშე. იგი არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დანაშაულის ჩადენის ადგილზე წაასწრებენ და თუ მისი დაკავება აუცილებელია სამართალწარმოების მიმდინარეობის სათანადოდ უზრუნველსაყოფად. დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამისი პალატის მარშალს, რომელსაც შეუძლია დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს დაკავებული.

პარლამენტის წევრი არ შეიძლება ახორციელებდეს ეკონომიკურ საქმიანობას სახელმწიფოს ხაზინის ან ტერიტორიული თვითმმართველობის ქონებისგან გამორჩენის მიღების მიზნით ან ამ ქონების შეძენით. აკრძალული დარღვევისათვის, პალატის მარშალის წინადადებით მიღებული პალატის დადგენილების საფუძველზე პარლამენტის წევრი შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე, რომელიც გადაწყვეტილებას მიიღებს მანდატის შეწყვეტის საკითხზე.

პოლონეთის თავისებურებას წარმოადგენს, რომ პარლამენტის წევრთა კვალიფიკაციასთან, შეუთავსებლობასთან, უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავ-

შირებულ და სხვა სამანდატო საკითხებს შესაბამისი პალატა არ წყვეტს და ეს უფლება სხვა სახელმწიფო ორგანოებს გააჩნია.

პალატებს ხელმძღვანელობენ მათივე შემადგენლობიდან არჩეული მარშლები და ვიცე-მარშლები. პალატები ქმნიან მუდმივ კომისიებს, ასევე შეიძლება შექმნან საგანგებო კომისიები. საგამოძიებო კომისიის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ სეიმის შემადგენლობაში.

პალატების შიდა ორგანიზაცია და მუშაობის წესი, ასევე მათი ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესი, ისევე როგორც სახელმწიფო ორგანოების მიერ პალატასთან დაკავშირებული კონსტიტუციური და კანონიერი ვალდებულებების შესრულების საშუალება განისაზღვრება შესაბამისი პალატის დადგენილებით მიღებული რეგლამენტით.

კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, სეიმის მარშალის ხელმძღვანელობით ან მისი არყოფნისას სენატის მარშალის მიერ, სეიმი და სენატი ატარებენ ერთობლივ სესიას, რა დროსაც მოქმედებენ როგორც ეროვნული კრება. ეროვნული კრება იღებს თავის რეგლამენტს.

საკანონმდებლო საქმიანობაში პრიორიტეტი ენიჭება ქვედა პალატას – სეიმს. კანონპროექტი თავდაპირველად სწორედ ამ პალატაში შეიტანება. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნიათ დეპუტატებს, სენატს, პრეზიდენტს, მინისტრთა საბჭოს და საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა არანაკლებ 100 ათას კაციან ჯგუფს. სეიმი კანონის პროექტს იხილავს სამი მოსმენით. პროექტის განხილვისას მასში შესწორებების წარდგენის უფლება აქვს პროექტის ინიციატორს, დეპუტატებსა და მინისტრთა საბჭოს. სეიმის მარშალს შეუძლია უარი თქვას იმ შესწორების კენჭისყრაზე დაყენებაზე, რომელიც წინასწარ არ იყო შესაბამისი კომისიისთვის წარდგენილი.

სეიმი კანონს იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით და გადასცემს სენატს, რომელსაც შეუძლია კანონის გადაცემიდან 30 დღის ვადაში მიიღოს იგი ცვლილებების გარეშე ან შესწორებებით, ან სრულად უარყოს. თუ სენატი ამ ვადაში არ მიიღებს შესაბამის დადგენილებას, კანონი მიღებულად ითვლება სეიმის მიერ მიღებული რედაქციით. სეიმი კანონის უარმყოფელ სენატის დადგენილებას ან წარდგენილ შესწორებას იღებს, თუ სეიმი მას არ უარყოფს ხმათა აბსოლუტური უმრაველესობით, დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით. ამის შემდეგ სეიმის მარშალი მიღებულ კანონს ხელმოსაწერად წარუდგენს პრეზიდენტს, რომელსაც შეუძლია კანონის ხელმოწერამდე მიმართოს საკონსტიტუციო ტრიბუნალს კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის განხილვის თაობაზე და უფლება არა აქვს უარი თქვას იმ კანონის ხელმოწერაზე, რომელსაც საკონსტიტუციო ტრიბუნალი კონსტიტუციურად ცნობს. ამ შემთხვევებში ადგილი აქვს წინასწარი კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებას. საკონსტიტუციო ტრიბუნალის მიერ არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში პრეზიდენტი სეიმის მარშალის აზრის მოსმენის შემდეგ ხელს

აწერს კანონს, გარდა არაკონსტიტუციურად ცნობილი დებულებისა ან შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად უბრუნებს სეიმს.

პრეზიდენტს გააჩნია ასევე ვეტოს უფლებაც. მას შეუძლია მოტივირებული წინადადებით კანონი ხელახალი განხილვისათვის გადასცეს სეიმს, რომელიც მას იღებს 3/5-ის უმრავლესობით, დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებისას.

კონსტიტუცია ფართოდ იყენებს რეფერენდუმის ინსტიტუტს. იმ საკითხთა წრე, რომლებზეც შეიძლება ჩატარდეს სრულიად პოლონეთის რეფერენდუმი, არ არის შეზღუდული, მთავარია მათ გააჩნდეს სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა. რეფერენდუმს ნიშნავს სეიმი ან პრეზიდენტი სენატის თანხმობით. რეფერენდუმის შედეგი სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ხმის უფლების მქონე პირთა არა უმეტეს ნახევარი. რეფერენდუმის ნამდვილობა მტკიცდება უზენაესი სასამართლოს მიერ.

რესპუბლიკის პრეზიდენტი არის მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური, რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი და სახელმწიფო ხელისუფლების ურღვევობის გარანტი. იგი ხელს უწყობს კონსტიტუციის დაცვას, იცავს სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და უსაფრთხოებას, ტერიტორიის ურღვევობასა და განუყოფლობას.

პრეზიდენტი აირჩევა ხალხის მიერ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. იგი ხელახლა შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს პოლონეთის მოქალაქე, რომელმაც არჩევნების დღეს მიაღწია 35 წლის ასაკს და სრულად სარგებლობს სეიმის არჩევნებში საარჩევნო უფლებებით. პრეზიდენტის არჩევნების ნამდვილობა მტკიცდება უზენაესი სასამართლოს მიერ.

თუ რესპუბლიკის პრეზიდენტს დროებით არ შეუძლია უფლებამოსილების განხორციელება, მის უფლებამოსილებას ასრულებს სეიმის მარშალი, ხოლო თუ იგი მუდმივად ვერ შეასრულებს თავის მოვალეობებს, საკონსტიტუციო ტრიბუნალის მიერ ამგვარი მდგომარეობის ცნობისას პრეზიდენტის უფლებამოსილება დროებით გადაეცემა სეიმის მარშალს. თუ ამ უკანასკნელსაც არ შეუძლია პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება, ამ ვალდებულებას თავის თავზე იღებს სენატის მარშალი. პირმა, რომელიც პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს, არ შეიძლება უფლებამოსილება შეუწყვიტოს სეიმს.

პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში: ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციასა და დენონსაციას; ნიშნავს და გამოიწვევს რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლებს; იღებს რწმუნებისა და გამოწვევის სიგელებს. საგარეო ურთიერთობის სფეროში იგი თანამშრომლობს პრემიერ-მინისტრსა და კომპეტენტურ მინისტრებთან.

პრეზიდენტი ასევე არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. მშვიდობიანობის დროს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობას იგი ახორციელებს ეროვნული თავდაცვის მინისტრის მეშვეობით, ხოლო ომის დროს პრემიერ-მინისტრის წინადადებით ნიშნავს შეიარაღებული ძალების უმაღლეს

სარდალს. სახელმწიფოს საშინაო და საგარეო უშიშროების სფეროში პრეზიდენტის სათათბირო ორგანოა ეროვნული უშიშროების საბჭო.

სახელმწიფოზე უშუალო საგარეო თავდასხმის შემთხვევაში პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წინადადებით გამოსცემს ბრძანებას საყოველთაო და ნაწილობრივი მობილიზაციისა და თავდაცვისათვის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ.

პრეზიდენტი ანიჭებს მოქალაქეობას და გამოხატავს თანხმობას მოქალაქეობაზე უარის თქმის თაობაზე, აჯილდოვებს ორდენებითა და მედლებით, აქვს შეწყალების უფლება. შეწყალების უფლება არ გამოიყენება სახელმწიფო ტრიბუნალის მიერ გასამართლებულ პირთა მიმართ.

კონსტიტუცია ითვალისწინებს კაბინეტის საბჭოს ინსტიტუტს. იგი შეიძლება მოიწვიოს პრეზიდენტმა განსაკუთრებული აუცილებლობის საკითხებზე. კაბინეტის საბჭო იქმნება მინისტრთა საბჭოსგან და იკრიბება პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, თუმცა არ ახორციელებს მინისტრთა საბჭოს კომპეტენციას.

პრეზიდენტის ოფიციალური აქტები, გარდა კონსტიტუციის ზუსტად განსაზღვრული გამონაკლისებისა, ნამდვილობისთვის საჭიროებს პრემიერ-მინისტრის ხელმოწერას, რომელიც აქტის ხელმოწერით პასუხისმგებლობას იღებს სეიმის წინაშე.

პრეზიდენტი კონსტიტუციის ან კანონის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენისას შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე. მას ბრალდება შეიძლება წარედგინოს ეროვნული კრების არანაკლებ 140 წევრის წინადადებით, რომელიც მიიღება ეროვნული კრების წევრთა კანონიერი რაოდენობის 2/3-ის თანხმობით. ბრალდების წარდგენის შესახებ დადგენილების მიღების დღიდან პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელება ჩერდება.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მინისტრთა საბჭო. მის უფლებამოსილებას წარმოადგენს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელება. მინისტრთა საბჭო უზრუნველყოფს კანონების აღსრულებას; გამოსცემს განკარგულებებს; კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს სამთავრობო ადმინისტრაციის ორგანოთა საქმიანობას; იცავს სახელმწიფო ხაზინის ინტერესებს; ადგენს სახელმწიფო ბიუჯეტს; ხელმძღვანელობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას, ასევე იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ანგარიშების დახურვისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ; უზრუნველყოფს ქვეყნის შიდა უსაფრთხოებას, ასევე საზოგადოებრივ წესრიგს; უზრუნველყოფს სახელმწიფოს საგარეო უსაფრთხოებას; ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაკავშირებულ ურთიერთობათა სფეროში; დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც საჭიროებს რატიფიკაციას, ასევე ამტკიცებს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს და ახდენს მათ დენონსაციას; ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სფეროში, ასევე ყოველწლიურად განსაზღვრავს სამხედრო სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობას; განსაზღვრავს თავისი საქმიანობის ორგანიზაციასა და წესს.

მინისტრთა საბჭო შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან. მის შემადგენლობაში ასევე შეიძლება დაინიშნონ ვიცე-პრემიერები. პრემიერ-მინისტრს და ვიცე-პრემიერებმა შეიძლება შეასრულონ ასევე მინისტრის ფუნქცია. მის შემადგენლობაში, გარდა ამისა, შეიძლება დაინიშნონ კანონით განსაზღვრული კომიტეტების თავმჯდომარეები. ამჟამად პოლონეთის მინისტრთა საბჭო შედგება პრემიერ-მინისტრის, 2 ვიცე-პრემიერის, რომლებიც იმავდროულად მინისტრები არიან და 16 სხვა მინისტრისგან, რომელთა შორის ერთი უპორტფელო მინისტრია.

პრეზიდენტი წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მინისტრთა საბჭოს შემადგენლობას. ნდობის ვოტუმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სეიმი ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. მინისტრთა საბჭოსათვის ნდობის ვოტუმის წარუდგენლობის შემთხვევაში პრეზიდენტი დაითხოვს სეიმს და დანიშნავს არჩევნებს.

მინისტრთა საბჭოსათვის ნდობის ვოტუმის გამოცხადების თაობაზე სეიმს შეიძლება მიმართოს პრემიერ-მინისტრმაც ნებისმიერ დროს. მინისტრთა საბჭოსათვის ნდობის ვოტუმის წარდგენა ხორციელდება დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებისას ხმათა უმრავლესობით.

მინისტრთა საბჭოს წევრები პასუხისმგებელნი არიან სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე კონსტიტუციის ან კანონების დარღვევის, ასევე დაკავებულ თანამდებობასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულისათვის. სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე მინისტრთა საბჭოს წევრის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებას იღებს სეიმი პრეზიდენტის ან არანაკლებ 115 დეპუტატის წინადადებით დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის 3/5-ის ხმათა უმრავლესობით.

მინისტრთა საბჭოს წევრები სეიმის წინაშე ატარებენ სოლიდარულ პასუხისმგებლობას მინისტრთა საბჭოს საქმიანობაზე, ხოლო ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას — მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე ან პრემიერ-მინისტრის მიერ მათთვის მიცემულ დავალებებზე.

კონსტიტუცია იცნობს უნდობლობის გამოცხადების ინსტიტუტს როგორც ერთიანად მინისტრთა საბჭოს, ისე კონკრეტული მინისტრის მიმართ. მისი გამოცხადების უფლება აქვს სეიმს დეპუტატთა უმრავლესობით, არანაკლებ 46 დეპუტატის ინიციატივით. აღსანიშნავია, რომ უნდობლობის შესახებ დადგენილებაში ამავდროულად მითითებული უნდა იყოს შემდგომი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის ვინაობა. თუ სეიმი მიიღებს უნდობლობის შესახებ დადგენილებას, პრეზიდენტი იღებს მინისტრთა საბჭოს გადადგომას და ნიშნავს სეიმის მიერ არჩეულ ახალ პრემიერ-მინისტრს და მისი წინადადებით მინისტრთა საბჭოს დანარჩენ წევრებს.

რაც შეეხება მინისტრის მიმართ უნდობლობის გამოცხადებას, ამის უფლებაც გააჩნია სეიმს არანაკლებ დეპუტატთა უმრავლესობით, 69 დეპუტატის წინადადებით. პრეზიდენტი გამოიწვევს მინისტრს, რომელსაც სეიმმა გამოუცხადა უნდობლობა.

მინისტრებს ცვლის პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წინადადებით.

პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიული მოწყობა უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების დეცენტრალიზაციას. 1999 წლიდან ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა მოიცავს 3 დონეს. ყველაზე მაღალი რგოლია საოვეოდო, რომლის რაოდენობა 16-ს შეადგენს. ყოველი საოვეოდო იყოფა 12-დან-42-მდე პოვიატად, რომელთა საერთო რიცხვი 379-ია, მათ შორისაა 65 პოვიატის მნიშვნელობის ქალაქი, ყოველი პოვიატი იყოფა 3-დან 19-მდე გმინად (კომუნად, მუნიციპალიტეტად), რომელთა რაოდენობა 2478-ია.

მინისტრთა საბჭოს მიერ საოვეოდოში ინიშნება მისი წარმომადგენელი — ვოევოდი. ასევე ფუნქციონირებს არჩევითი კრება — სეიმიკი, რომელიც ირჩევს აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს — მარზალეკს. ყოველ პოვიატს გააჩნია არჩევითი საბჭო და მის მიერ არჩეული აღმასრულებელი — უხუცესი. გმინების 3 სახე არსებობს: საქალაქო, სასოფლო-საქალაქო და სასოფლო. ისინი იმართება არჩევითი საბჭოსა და პირდაპირი გზით არჩეული მერის მიერ.

ტერიტორიული თვითმმართველობა ასრულებს სახელმწიფოს ისეთ ფუნქციებს, რომლებიც კონსტიტუციითა და კანონებით სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებს არ განეკუთვნება. სახელმწიფო საჭიროებიდან გამომდინარე, კანონმა ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულებს შეიძლება დააკისროს სხვა სახელმწიფო დავალებების შესრულებაც.

ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულებისათვის უზრუნველყოფილია სახელმწიფო შემოსავლებში მონაწილეობა მათთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად. მათ შემოსავლებს წარმოადგენს საკუთარი შემოსავლები, ასევე საერთო სუბსიდიები და მიზნობრივი დოტაციები სახელმწიფოს ბიუჯეტიდან. მათ გააჩნიათ უფლება კანონით განსაზღვრულ ფარგლებში დაადგინონ ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების ოდენობა.

ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულები თავიანთ ამოცანებს ასრულებენ დამდგენი და განმკარგულებელი ორგანოების მეშვეობით. დამდგენი ორგანოების არჩევნები არის საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი და ტარდება ფარული კენჭისყრით.

თვითმმართველი საზოგადოების წევრებს შეუძლიათ რეფერენდუმის გზით გადაწყვიტონ ამ საზოგადოების შესახებ საკითხები, მათ შორის პირდაპირი არჩევნებით არჩეული ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების გამოწვევის შესახებ. ადგილობრივი რეფერენდუმის ჩატარების პრინციპები და წესი განისაზღვრება კანონით.

ტერიტორიული თვითმმართველობის საქმიანობა ექვემდებარება კანონიერების თვალსაზრისით ზედამხედველობას. მის საქმიანობაზე საზედამხედველო ორგანოებს წარმოადგენენ მინისტრთა საბჭოსა და ვოევოდის თავმჯდომარე, ხოლო საფინანსო საქმეებში — რეგიონალური კონტროლის პალატები. პრემიერ-მინისტრის წინადადებით სეიმს შეუძლია დაითხოვოს ტერიტორიული თვითმმართველობის დამდგენი ორგანო, თუ იგი უხეშად არღვევს კონსტიტუციასა და კანონებს.

სასამართლო ხელისუფლებას შეადგენენ სასამართლოები და ტრიბუნალები. მართლმსაჯულებას ახორციელებენ უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოები, ადმინისტრაციული სასამართლოები, ასევე სამხედრო სასამართლოები. განსაკუთრებული სასამართლო ან დაჩქარებული პროცედურა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ ომის დროს.

მოსამართლე არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს პოლიტიკურ პარტიას, პროფესიულ კავშირს, ახორციელებდეს სასამართლოთა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპებთან შეუთავსებელ სახელმწიფო საქმიანობას. მოსამართლეები ინიშნებიან განუსაზღვრელი ვადით პრეზიდენტის მიერ სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭოს წინადადებით და შეუცვლელნი არიან. თუმცა, კანონი ადგენს ასაკობრივ ზღვარს, რომლის მიღწევისას მოსამართლე უნდა გადადგეს. მოსამართლე შეიძლება გადაყენებულ იქნეს ავადმყოფობის ან თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის გამო.

კანონით განსაზღვრული წინასწარი თანხმობის გარეშე დაუშვებელია მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ან თავისუფლების აღკვეთა. მოსამართლე არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დანაშაულის ადგილზე წაასწრებენ და თუ მისი დაკავება აუცილებელია წარმოების მიმდინარეობის სათანადოდ უზრუნველსაყოფად. დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება კომპეტენტური ადგილობრივი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელმაც შეიძლება მოითხოვოს დაკავებულის დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

საერთო და სამხედრო სასამართლოების საქმიანობაზე ზედამხედველობას სასამართლო პოლიტიკის სფეროში ახორციელებს უზენაესი სასამართლო. მის პირველ თავმჯდომარეს პრეზიდენტი ნიშნავს 6 წლის ვადით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საერთო კრების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან.

უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო, ასევე სხვა ადმინისტრაციული სასამართლოები კონტროლს ახორციელებენ სახელმწიფო ადმინისტრაციის საქმიანობაზე. ეს კონტროლი ასევე მოიცავს სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებას ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების მიერ დადგენილი კანონებისა და სამთავრობო ადმინისტრაციის ადგილობრივ ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისად. უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარეს 6 წლის ვადით ნიშნავს პრეზიდენტი უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლეთა საერთო კრების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან.

პოლონეთში საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოა საკონსტიტუციო ტრიბუნალი, რომელიც წყვეტს კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისობას კონსტიტუციასთან; კანონების შესაბამისობას რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან; ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების აქტების შესაბამისობას კონსტიტუციასთან, რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და კანონებთან; პოლიტიკური პარტიის მიზნისა და საქმიანობის შესაბამისობას კონსტიტუციასთან; იმ კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის შესაბამისობას კონსტიტუციასთან, რომლის საფუძველზეც კონსტიტუციაში

განსაზღვრული თავისუფლებებისა და უფლებების ან ვალდებულებების თაობაზე სასამართლომ ან სახელმწიფო ადმინისტრაციის ორგანომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება; დავებს სახელმწიფოს ცენტრალურ კონსტიტუციურ ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე.

კანონის განმარტების უფლება კონსტიტუციის მიღებამდე ჰქონდა საკონსტიტუციო ტრიბუნალს, თუმცა ახალმა კონსტიტუციამ იგი აღარ გაითვალისწინა. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციის მიღების შემდეგ შეწყდა კანონისათვის საერთო-საყოველთაო განმარტების მიცემის ყველა დაწყებული პროცედურა და ძალა დაკარგა ყველა ამგვარმა განმარტებამ.

საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას გააჩნია ზოგადსავალდებულო ძალა და საბოლოოა. იგი ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, თუმცა, საკონსტიტუციო ტრიბუნალმა შეიძლება განსაზღვროს ნორმატიული აქტის საავალდებულო ძალის დაკარგვის სხვა ვადაც, რაც არ უნდა აღემატებოდეს 18 თვეს, როდესაც საქმე ეხება კანონს, ხოლო 20 თვეს — სხვა ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით. საბიუჯეტო კანონში გაუთვალისწინებელ ფინანსურ ხარჯებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესახებ საკონსტიტუციო ტრიბუნალი ნორმატიული აქტის სავალდებულო ძალის დაკარგვის ვადას განსაზღვრავს მინისტრთა საბჭოს აზრის გაცნობის შემდეგ.

ფართოა იმ პირთა წრე, რომლებმაც შეიძლება მიმართონ საკონსტიტუციო ტრიბუნალს. გარდა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელებისა, მას შეიძლება მიმართოს სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭომ, სასამართლომ, ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულის წარმომადგენლობითმა ორგანომ, პროფესიული კავშირის, დამსაქმებელთა ან პროფესიული ორგანიზაციების ორგანოებმა, ეკლესიამ ან სხვა აღმსარებლობითმა კავშირებმა, ასევე მოქალაქეებმა.

საკონსტიტუციო ტრიბუნალი შედგება სეიმის მიერ 9 წლის ვადით ინდივიდუალურად არჩეული იურიდიული განათლების მქონე 15 მოსამართლისგან. დაუშვებელია ტრიბუნალის შემადგენლობაში ხელახლა არჩევა. საკონსტიტუციო ტრიბუნალის თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს პრეზიდენტი ნიშნავს საკონსტიტუციო ტრიბუნალის მოსამართლეთა საერთო კრების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან.

საკონსტიტუციო ტრიბუნალის მოსამართლე, საკონსტიტუციო ტრიბუნალის წინასწარი თანხმობის გარეშე, არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან აღეკვეთის თავისუფლება. მოსამართლე არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დანაშაულის ადგილზე წაასწრებენ, თუ მისი დაკავება აუცილებელია წარმოების მიმდინარეობის სათანადოდ უზრუნველსაყოფად. დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება საკონსტიტუციო ტრიბუნალის თავმჯდომარეს, რომელსაც შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დაკავებულის დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ.

რაც შეეხება სახელმწიფო ტრიბუნალს, მის წინაშე პასუხისმგებლობა ეკისრებათ: პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, ასევე მინისტრთა საბჭოს წევრებს,

ეროვნული ბანკის თავმჯდომარეს, კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარეს, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სრულიად პოლონეთის საბჭოს წევრებს, ასევე შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს დაკავებული თანამდებობის ან თანამდებობრივი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით კონსტიტუციისა და კანონის დარღვევისათვის. სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე კონსტიტუციური პასუხისმგებლობა ეკისრებათ ასევე დეპუტატებსა და სენატორებს, რაც შეუთავსებლობის საფუძვლით მათი უფლებამოსილების შეწყვეტაში გამოიხატება.

სახელმწიფო ტრიბუნალი შედგება დეპუტატთა და სენატორთა შემადგენლობიდან სეიმის მიერ თავისი უფლებამოსილების ვადით არჩეული თავმჯდომარის, 2 თავმჯდომარის მოადგილისა და 16 წევრისაგან. ტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილეებს უნდა გააჩნდეთ მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კვალიფიკაცია. სახელმწიფო ტრიბუნალის თავმჯდომარეა უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე.

სახელმწიფო ტრიბუნალის წევრი სარგებლობს იმუნიტეტით. დანაშაულის ადგილზე წასწრების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სახელმწიფო ტრიბუნალის თავმჯდომარეს, რომელსაც შეუძლია დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს დაკავებული.

სახელმწიფო კონტროლის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს კონტროლის უმაღლესი პალატა, რომელიც ექვემდებარება სეიმს. იგი მოქმედებს კოლეგიალურობის პრინციპით და აკონტროლებს სამთავრობო ადმინისტრაციის ორგანოების, ეროვნული ბანკის, სახელმწიფო იურიდიული პირებისა და სხვა სახელმწიფოს ორგანიზაციული ერთეულების საქმიანობას კანონიერების, ეკონომიურობისა და კეთილსინდისიერების თვალსაზრისით. ამ კუთხით მან ასევე შეიძლება გააკონტროლოს ტერიტორიული კომუნალური ორგანოების, კომუნალური იურიდიული პირებისა და სხვა კომუნალური ორგანიზაციული ერთეულების საქმიანობა.

კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარე ინიშნება სეიმის მიერ სენატის თანხმობით 6 წლის ვადით და ხელმეორედ შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ერთხელ. იგი სარგებლობს იმუნიტეტით.

ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებებისა და უფლებების დაცვის ფუნქცია ენიჭება მოქალაქეთა უფლებებში უფლებამოსილს — ომბუდსმენს, რომელიც ინიშნება სეიმის მიერ სენატის თანხმობით 5 წლის ვადით. იგი სარგებლობს იმუნიტეტით. მოქალაქეთა უფლებებში უფლებამოსილი ყოველწლიურად აწვდის ინფორმაციას სეიმსა და სენატს თავისი საქმიანობის შესახებ, ასევე ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებებისა და უფლებების მდგომარეობის დაცვის შესახებ.

სიტყვის თავისუფლების, ინფორმაციის უფლების, ასევე რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საზოგადოებრივ ინტერესს იცავს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სრულიად პოლონეთის საბჭო. მისი წევრები ინიშნებიან სეიმის, სენატისა და პრეზიდენტის მიერ.

კონსტიტუციის ცალკე თავი ეთმობა სახელმწიფო ფინანსებს. საბიუჯეტო, დროებით საბიუჯეტო, სახელმწიფოს მიერ ვალის აღების, ასევე მათთვის ფინანსური გარანტიების მინიჭების შესახებ კანონებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნია მხოლოდ მინისტრთა საბჭოს. მას საბიუჯეტო კანონის პროექტი სეიმში შეაქვს საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არა უმეტეს 2 თვისა. სენატმა საბიუჯეტო კანონში ცვლილებები უნდა მიიღოს მისი გადაცემიდან 20 დღის განმავლობაში. პრეზიდენტი 7 დღის ვადაში ხელს აწერს სეიმის მარშალის მიერ წარდგენილ საბიუჯეტო კანონს ან დროებითი ბიუჯეტის შესახებ კანონს. მათთან დაკავშირებით პრეზიდენტს არ შეუძლია ვეტოს გამოყენება.

სახელმწიფოს ცენტრალური ბანკი არის პოლონეთის ეროვნული ბანკი. მას ეკუთვნის ფულის ემისიის, ასევე სავალუტო პოლიტიკის დადგენისა და რეალიზაციის განსაკუთრებული უფლება. პოლონეთის ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია პოლონური ვალუტის ღირებულებაზე. ეროვნული ბანკის თავმჯდომარე ინიშნება სეიმის მიერ პრეზიდენტის წინადადებით 6 წლის ვადით.

პოლონეთის კონსტიტუცია იცნობს განსაკუთრებული მდგომარეობის სამ ფორმას: საომარ მდგომარეობას, საგანგებო მდგომარეობასა და სტიქიური უბედურების მდგომარეობას. ეს უკანასკნელი მხოლოდ პოლონეთის კონსტიტუციაში გვხვდება და წარმოადგენს მის თავისებურებას. განსაკუთრებული მდგომარეობა შეიძლება შემოღებულ იქნეს მხოლოდ კანონის საფუძველზე განკარგულებით. კანონით განისაზღვრება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის პრინციპები, ასევე მოცულობა, რომლითაც კონკრეტული განსაკუთრებული მდგომარეობისას შეიძლება შეიზღუდოს ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებები და უფლებები. აღსანიშნავია, რომ ამ მდგომარეობის შემოღების შედეგად განხორციელებული ქმედებები უნდა პასუხობდეს საფრთხის ხარისხს და მიმართული იყოს სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების შეძლებისდაგვარად სწრაფად დაბრუნებისკენ. განსაკუთრებული მდგომარეობის დროს არ შეიძლება შეიცვალოს: კონსტიტუცია, სეიმის, არჩევნების შესახებ დებულებები, ასევე საგანგებო დებულებები.

რაც შეეხება განსაკუთრებული მდგომარეობის თითოეულ სახეს, საომარ მდგომარეობას მინისტრთა საბჭოს წინადადებით შემოიღებს პრეზიდენტი სახელმწიფოს საგარეო საფრთხისა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევებში ან როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს აგრესიის წინააღმდეგ ერთობლივი თავდაცვის ვალდებულება.

საგანგებო მდგომარეობა შეიძლება შემოიღოს პრეზიდენტმა მინისტრთა საბჭოს წინადადებით განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს, თუ საფრთხე ექმნება სახელმწიფოს კონსტიტუციურ წყობილებას, მოქალაქეთა უსაფრთხოებას ან საზოგადოებრივ წესრიგს. საგანგებო მდგომარეობის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ სეიმის თანხმობით და არა უმეტეს 60 დღის ვადით.

სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ განკარგულებას პრეზიდენტი სეიმს წარუდგენს მისი ხელმოწერიდან 48 საათის განმავლობაში. სეიმი დაუყოვნებლივ იხილავს მას, რომლის უარყოფა შეუძლია ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებისას.

სტიქიური უბედურების მდგომარეობა კი შეიძლება გამოაცხადოს მინისტრთა საბჭომ განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 30 დღისა, ბუნებრივი კატასტროფების ან ტექნიკური ავარიის შედეგების აცილების მიზნით, რამაც შეიძლება მოიტანოს სტიქიური უბედურების შედეგი, ასევე მისი ლიკვიდაციის მიზნით. ამ მდგომარეობის გაგრძელება შესაძლებელია სეიმის თანხმობით.

კონსტიტუციაში ზუსტად არის განსაზღვრული იმ უფლებათა და თავისუფლებათა წრე, რაც შეიძლება შეიზღუდოს განსაკუთრებული მდგომარეობის დროს და ეს წრე საკმაოდ ვიწროა. სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობის დროს არ შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციის მუხლები, რომლებიც ეხება ადამიანის ღირსებას, მოქალაქეობას, ცხოვრების დაცვას, ჰუმანურ მიმართვას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, სასამართლოსათვის მიმართვას, სინდისსა და რელიგიას, პეტიციას, ოჯახსა და ბავშვს. სტიქიური უბედურების დროს შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ის მუხლები, რომლებიც ეხება ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას, პირად თავისუფლებას, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლებას, ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილებისა და ყოფნის თავისუფლებას, გაფიცვის თავისუფლებას, საკუთრების უფლებას, შრომის თავისუფლებას, შრომის უსაფრთხო და ჰიგიენურ პირობებს, დასვენების უფლებას.

თუ საომარი მდგომარეობის დროს სეიმი ვერ შეძლებს სხდომაზე შეკრებას, პრეზიდენტი მინისტრთა საბჭოს წინადადებით გამოსცემს კანონის ძალის მქონე განკარგულებას, რომელიც ექვემდებარება სეიმის მიერ უახლოეს სხდომაზე დამტკიცებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ კონსტიტუციის 116-ე მუხლი, რომელიც არ შედის საგანგებო დებულებების თავში საუბრობს განსაკუთრებული მდგომარეობის კიდევ ერთ ფორმაზე — ომის მდგომარეობაზე. მის შესახებ სეიმს შეუძლია მიიღოს დადგენილება პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ან როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს აგრესიისგან ერთობლივი თავდაცვის ვალდებულება. თუ სეიმს არ შეუძლია სხდომაზე შეკრება, ომის მდგომარეობას ადგენს პრეზიდენტი.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. კონსტიტუციის თანახმად, პოლონეთი წარმოადგენს შერეული მმართველობის რესპუბლიკას, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებისას პრიორიტეტი ენიჭება მთავრობას, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლებისას — პარლამენტის ქვედა პალატას.

— გარკვეულწილად შეზღუდულია პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა. მას სეიმის დათხოვნა შეუძლია მხო-

ლოდ სეიმის მიერ მთავრობის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში. გარდა ამისა, პრეზიდენტს არ შეუძლია ვეტოს გამოყენება საბიუჯეტო კანონის ან დროებითი ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტთან დაკავშირებით;

— სენატის — ზედა პალატის უფლებამოსილება დამოკიდებულია სეიმის უფლებამოსილებაზე, ვინაიდან მისი უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს სენატის უფლებამოსილების შეწყვეტასაც;

— პარლამენტის წევრთა არჩევასთან, კვალიფიკაციასთან, შეუთავსებლობასთან, უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებულ და სხვა სამანდატო საკითხებს შესაბამისი პალატა არ წყვეტს და ეს უფლება სხვა სახელმწიფო ორგანოებს გააჩნია;

— კონსტიტუცია ითვალისწინებს პარლამენტის ქვედა პალატის მიერ თვითდათხოვნის ინსტიტუტს, რაც ასევე იწვევს ზედა პალატის დათხოვნას;

— საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს ეწოდება საკონსტიტუციო ტრიბუნალი;

— კონსტიტუციით გათვალისწინებულია როგორც შემდგომი, ასევე წინასწარი კონსტიტუციური კონტროლის შესაძლებლობა, იმ თავისებურებით, რომ ამ უკანასკნელის მოთხოვნის უფლება მხოლოდ პრეზიდენტს გააჩნია;

— მნიშვნელოვან თანამდებობის პირთა მიერ კონსტიტუციისა და კანონის დარღვევის, ასევე დაკავებულ თანამდებობასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულისათვის საქმის განხილვისა და პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით შექმნილია სპეციალური სახელმწიფო ორგანო — სახელმწიფო ტრიბუნალი;

— განსაკუთრებული მდგომარეობის 4 ფორმაა გათვალისწინებული: ომის, საომარი, საგანგებო და სტიქიური უბედურების. ამასთან, ზუსტად არის დადგენილი იმ უფლებათა წრე, რაც შეიძლება შეიზღუდოს ამ პერიოდში. კონსტიტუციაში აღნიშნულია ისიც, რომ განსაკუთრებული მდგომარეობის შემოღების შედეგად განხორციელებული ქმედებები უნდა პასუხობდეს საფრთხის ხარისხს და მიმართული იყოს სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების შეძლებისდაგვარად სწრაფად აღდგენისაკენ.

პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია[1]

მიღებულია 1997 წლის 2 აპრილს
დამტკიცებულია რეფერენდუმზე 1997 წლის 25 მაისს

ჩვენი სამშობლოს არსებობასა და მომავლისათვის ზრუნვისთვის,

1989 წელს ხელახლა მოგვეცა რა შესაძლებლობა სუვერენულად და დემოკრატიულად გადავწყვიტოთ მისი ბედი,

ჩვენ, პოლონელი ერი, — რესპუბლიკის ყველა მოქალაქე,

როგორც სიმართლის, სამართლიანობის, სიკეთისა და სილამაზის წყაროს — ღმერთის მორწმუნენი, რომლებიც არ შევცვლით ამ რწმენას

და გამოვყოფთ რა ამ უნივერსალურ ფასეულობებს სხვა წყაროებიდან,

თანასწორნი ვართ რა უფლებებსა და თავისუფლებებში საერთო საზრუნავთან — პოლონეთთან დაკავშირებით,

მადლობელი ვართ ჩვენი წინაპრების მიმართ მათი შრომის, დიდი მსხვერპლის შედეგად თავისუფლებისათვის ბრძოლის, ერის ქრისტიანულ საფუძველზე დამყარებული კულტურისა და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისთვის,

მთელ მსოფლიოში გაბნეულ ჩვენს თანამემამულეებთან შეკავშირებით,

ვაღიარებთ რა ადამიანური ოჯახის საკეთილდღეოდ ყველა ქვეყანასთან თანამშრომლობის საჭიროებას,

ვიხსენებთ რა იმ დროის მწარე გამოცდილებას, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ირღვეოდა ადამიანის ძირითადი თავისუფლებები და უფლებები,

ვაგრძელებთ რა პირველი და მეორე რესპუბლიკების საუკეთესო ტრადიციებს,

ვალდებულნი ვართ რა მომავალ თაობებს გადავცეთ ყველა ის ფასეულობა, რომელმაც ათასობით წლებს გაუძლო,

ვიღწვით, რათა მუდმივად უზრუნველვყოთ სამოქალაქო უფლებები, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებათა საქმიანობაში დავამკვიდროთ კეთილსინდისიერება და ნაყოფიერება,

შევიგრძნობთ რა პასუხისმგებლობას ღმერთისა და საკუთარი სინდისის წინაშე,

ვიღებს პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას, როგორც სახელმწიფოს ძირითად კანონს,

ვეყრდნობით რა თავისუფლებისა და სამართლიანობის პატივისცემას, ხელისუფლებათა ურთიერთთანამშრომლობას, საზოგადოებრივ დიალოგს, ასევე მოქ-

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია პოლონეთის სეიმის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.sejm.gov.pl/prawo/konst/angielski/kon1.htm გამოქვეყნებული პოლონეთის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი.

ლაქეთა და მათ გაერთიანებათა უფლებამოსილებების განმამტკიცებელ სუბსიდიარობის პრინციპს.

ყველას, ვინც ამ კონსტიტუციას გამოიყენებს მესამე რესპუბლიკის სასიკეთოდ,

მოვუწოდებთ, რომ იზრუნოს ადამიანის თანდაყოლილი ღირსების დასაცავად,

მისი უფლებები, თავისუფლებები და ვალდებულებები იყოს სხვის უფლებებს, თავისუფლებებსა და ვალდებულებებთან სოლიდარული,

ხოლო ამ პრინციპთა პატივისცემა წარმოადგენდეს პოლონეთის რესპუბლიკის ურღვევ საფუძველს.

თავი I. რესპუბლიკა

მუხლი 1. პოლონეთის რესპუბლიკა წარმოადგენს ყველა მოქალაქისათვის საყოველთაო კეთილდღეობას.

მუხლი 2. პოლონეთის რესპუბლიკა არის დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს სოციალური სამართლიანობის პრინციპებს.

მუხლი 3. პოლონეთის რესპუბლიკა უნიტარული სახელმწიფოა.

მუხლი 4. 1. პოლონეთის რესპუბლიკაში უზენაესი ხელისუფლება ეკუთვნის ერს.

2. ერი თავის ხელისუფლებას ახორციელებს უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

მუხლი 5. პოლონეთის რესპუბლიკა დგას დამოუკიდებლობისა და თავისი ტერიტორიის ურღვევობის სადარაჯოზე, უზრუნველყოფს ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებებსა და უფლებებს, ასევე მოქალაქეთა უსაფრთხოებას, დგას ეროვნული მემკვიდრეობის სადარაჯოზე, ასევე ხელმძღვანელობს რა თანაბარი განვითარების პრინციპით, უზრუნველყოფს გარემოს დაცვას.

მუხლი 6. 1. პოლონეთის რესპუბლიკა ქმნის პირობებს პოლონელი ერის თვითმყოფადობის წყაროს — კულტურული სიკეთეების გავრცელების, არსებობისა და განვითარების და ამ სიკეთეებთან თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ.

2. პოლონეთის რესპუბლიკა დახმარებას უწევს საზღვარგარეთ მცხოვრებ პოლონელებს ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობასთან კავშირის შენარჩუნებაში.

მუხლი 7. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოქმედებენ სამართლის საფუძველზე და ფარგლებში.

მუხლი 8. 1. კონსტიტუცია წარმოადგენს პოლონეთის რესპუბლიკის უზენაეს კანონს.

2. კონსტიტუციის დებულებები გამოიყენება უშუალოდ, თუ კონსტიტუცია სხვა რამეს არ ადგენს.

მუხლი 9. პოლონეთის რესპუბლიკა იცავს მისთვის სავალდებულო საერთაშორისო სამართალს.

მუხლი 10. 1. პოლონეთის რესპუბლიკის მმართველობის სისტემა ეფუძნება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად დანაწილებასა და წონასწორობას.

2. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებენ სეიმი და სენატი, აღმასრულებელ ხელისუფლებას — პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო, ხოლო სასამართლო ხელისუფლებას — სასამართლოები და ტრიბუნალები.

მუხლი 11. 1. პოლონეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის თავისუფლებას. პოლიტიკური პარტიები ერთიანდებიან პოლონელ მოქალაქეთა ნებაყოფლობითობისა და თანასწორობის პრინციპებზე, სახელმწიფოს პოლიტიკის ფორმირებაზე დემოკრატული რეჟიმებით ზეგავლენის მოხდენის მიზნით.

2. პოლიტიკური პარტიის დაფინანსება საჯაროა.

მუხლი 12. პოლონეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს პროფესიული კავშირების, მიწათმოქმედთა სოციალურ-პროფესიული ორგანიზაციების, საზოგადოებების, მოქალაქეთა მოძრაობების, სხვა ნებაყოფლობითი გაერთიანებების, ასევე ფონდების შექმნისა და საქმიანობის თავისუფლებას.

მუხლი 13. აკრძალულია ისეთი პოლიტიკური პარტიის ან სხვა ორგანიზაციის არსებობა, რომელთა პროგრამა ეფუძნება ტოტალიტარულ მეთოდებს და ნაცისტურ, ფაშისტურ და კომუნისტურ საქმიანობას, ასევე, რომელთა პროგრამა და საქმიანობა უშვებს რასობრივ ან ეროვნულ სიძულვილს, ხელისუფლების მიტაცების ან ზეგავლენის მიზნით სახელმწიფოს პოლიტიკაზე იყენებს ძალადობას ან ითვალისწინებს სტრუქტურისა და წევრობის დაფარვას.

მუხლი 14. პოლონეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს პრესისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებას.

მუხლი 15. 1. პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიული მოწყობა უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების დეცენტრალიზაციას.

2. სახელმწიფოს ძირითადი ტერიტორიული დაყოფა განისაზღვრება კანონით, რომელიც მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ ან კულტურულ კავშირებს და ტერიტორიული ერთეულებისათვის უზრუნველყოფს სახელმწიფო ამოცანების შესრულების შესაძლებლობას.

მუხლი 16. 1. ძირითადი ტერიტორიული დანაყოფის მცხოვრებთა ერთობლიობა ქმნის თვითმმართველ საზოგადოებას.

2. ტერიტორიული თვითმმართველობა მონაწილეობს საჯარო ხელისუფლების განხორციელებაში. კანონის ფარგლებში მისთვის მიკუთვნებული საჯარო ამოცანების არსებით ნაწილს თვითმმართველობა ასრულებს საკუთარი სახელითა და თავისი პასუხისმგებლობით.

მუხლი 17. 1. კანონით შეიძლება შეიქმნას პროფესიული თვითმმართველობა, რომელიც აერთიანებს პროფესიით დაკავებულ პირებს, რომლებიც საჭიროებენ საზოგადოების ნდობას და ზრუნავენ ამ პროფესიათა სახელმწიფო ინტერესების ფარგლებში სათანადოდ განხორციელებასა და დაცვაზე.

2. კანონით შეიძლება შეიქმნას ასევე თვითმმართველობის სხვა ფორმებიც. ამ თვითმმართველობამ არ შეიძლება დაარღვიოს პროფესიის განხორციელების თავისუფლება და შეზღუდოს ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება.

მუხლი 18. ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი, ოჯახი, დედობა და მშობლობა იმყოფება პოლონეთის რესპუბლიკის დაცვისა და მეურვეობის ქვეშ.

მუხლი 19. პოლონეთის რესპუბლიკა განსაკუთრებულად ზრუნავს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ომის ვეტერანებზე, განსაკუთრებით სამხედრო ინვალიდებზე.

მუხლი 20. სოციალური საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ეყრდნობა ეკონომიკური საქმიანობისა და კერძო საკუთრების თავისუფლებას, ასევე სოციალურ პარტნიორთა სოლიდარობას, დიალოგსა და თანამშრომლობას, წარმოადგენს პოლონეთის რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძველს.

მუხლი 21. 1. პოლონეთის რესპუბლიკა იცავს საკუთრებასა და მემკვიდრეობის უფლებას.

2. ქონების ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ საზოგადოებრივი მიზნით და სამართლიანი ანაზღაურებით.

მუხლი 22. ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით და მხოლოდ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესებისათვის.

მუხლი 23. სახელმწიფოს აგრარული წყობილების საფუძველს წარმოადგენს საოჯახო მეურნეობა. ეს პრინციპი არ არღვევს 21-ე და 22-ე მუხლების დებულებებს.

მუხლი 24. შრომა იმყოფება პოლონეთის რესპუბლიკის დაცვის ქვეშ. სახელმწიფო ზედამხედველობს შრომის პირობების განხორციელებას.

მუხლი 25. 1. ეკლესია და სხვა აღმსარებლობითი კავშირები თანასწორუფლებიანები არიან.

2. პოლონეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები რეგილიური, მსოფლმხედველობრივი და ფილოსოფიური შეხედულებების საკითხებში მიუკერძოებლები არიან და უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ გამოხატვას.

3. სახელმწიფოს, ეკლესიასა და სხვა აღმსარებლობით კავშირებს შორის ურთიერთობა აგებულია მათი ავტონომიურობის პატივისცემასა და თითოეულის დამოუკიდებლობაზე მათ სფეროში, ასევე ადამიანისა და საყოველთაო კეთილდღეობის ურთიერთქმედების პრინციპზე.

4. პოლონეთის რესპუბლიკასა და კათოლიკურ ეკლესიას შორის ურთიერთობა განისაზღვრება აპოსტოლურ ტახტთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებითა და კანონებით.

5. პოლონეთის რესპუბლიკასა და სხვა ეკლესიებს, ასევე აღმსარებლობით კავშირებს შორის ურთიერთობა განისაზღვრება მინისტრთა საბჭოსა და მისი კომპეტენტური წარმომადგენლების მიერ დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული კანონებით.

მუხლი 26. 1. პოლონეთის რესპუბლიკის შეირაღებული ძალები ემსახურება სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიის განუყოფლობას, ასევე უზრუნველყოფს მისი საზღვრების უსაფრთხოებასა და ურღვევობას.

2. შეიარაღებული ძალები პოლიტიკურ საქმეებში იცავს ნეიტრალიტეტს და ექვემდებარება სამოქალაქო და დემოკრატიულ კონტროლს.

მუხლი 27. პოლონეთის რესპუბლიკაში ოფიციალურ ენას წარმოადგენს პოლონური. ამ დებულებით არ ირღვევა რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ეროვნული უმცირესობების უფლებები.

მუხლი 28. 1. პოლონეთის რესპუბლიკის გერბს წარმოადგენს წითელ მინდორზე გვირგვინიანი თეთრი არწივის გამოსახულება.

2. პოლონეთის რესპუბლიკის ფერებია თეთრი და წითელი.

3. პოლონეთის რესპუბლიკის ჰიმნია „მაზურეკ დაბროვსკოეგო“.

4. პოლონეთის რესპუბლიკის გერბი, ფერები და ჰიმნი ექვემდებარება სამართლებრივ დაცვას.

5. გერბთან, ფერებსა და ჰიმნთან დაკავშირებული დეტალები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 29. პოლონეთის რესპუბლიკის დედაქალაქია ვარშავა.

თავი II. ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებები, უფლებები და ვალდებულებები

ძირითადი პრინციპები

მუხლი 30. ადამიანის ბუნებითი და განუსხვისებელი ღირსება შეადგენს ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებებისა და უფლებების წყაროს. იგი ხელშეუხებელია, ხოლო მისი პატივისცემა და დაცვა წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ვალდებულებას.

მუხლი 31. 1. ადამიანის თავისუფლება ექვემდებარება სამართლებრივ დაცვას.

2. ყველა ვალდებულია პატივი სცეს სხვა პირთა თავისუფლებებსა და უფლებებს. არავინ არ შეიძლება იძულებულ იქნეს გააკეთოს ის, რასაც სამართალი არ ავალდებულებს.

3. კონსტიტუციური თავისუფლებებითა და უფლებებით სარგებლობის შეზღუდვა შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ კანონით და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისათვის, ან გარემოს, ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი მორალის, ან სხვა პირთა თავისუფლებებისა და უფლებების დასაცავად. ამ შეზღუდვებმა არ შეიძლება დაარღვიოს თავისუფლებებისა და უფლებების არსი.

მუხლი 32. 1. კანონის წინაშე ყველა თანასწორია. ყველას აქვს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან თანასწორი მოპყრობის უფლება.

2. არავინ არ შეიძლება რაიმე მიზეზით დაექვემდებაროს დისკრიმინაციას პოლიტიკურ, სოციალურ ან ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მუხლი 33. 1. პოლონეთის რესპუბლიკაში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლებები აქვთ საოჯახო, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

2. ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლებები აქვთ განათლების მიღების, დასაქმებისა და სამსახურში დაწინაურების, ერთნაირი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების, სოციალური უზრუნველყოფისას, ასევე თანამდებობის დაკავების, ფუნქციის შესრულების, სახელმწიფო მედლებისა და ჯილდოების მიღებისას.

მუხლი 34. 1. პოლონეთის მოქალაქეობა მოიპოვება პოლონეთის მოქალაქე მშობლებისაგან დაბადებით. პოლონეთის მოქალაქეობის მოპოვების სხვა შემთხვევები განისაზღვრება კანონით.

2. პოლონეთის მოქალაქემ არ შეიძლება დაკარგოს პოლონეთის მოქალაქეობა, თუ თვითონ არ იტყვის უარს მასზე.

მუხლი 35. 1. პოლონეთის რესპუბლიკა ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ პოლონეთის მოქალაქეთათვის უზრუნველყოფს საკუთარი ენის დაცვისა და განვითარების, ჩვეულებებისა და ტრადიციების დაცვის, ასევე საკუთარი კულტურის განვითარების თავისუფლებას.

2. ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს აქვთ საკუთარი თვითმყოფადობის დამცავი საგანმანათლებლო, კულტურული და რელიგიური დაწესებულებების შექმნის უფლება, ასევე მათი კულტურული თვითმყოფადობის შესახებ საქმეთა გადაწყვეტაში მონაწილეობის უფლება.

მუხლი 36. საზღვარგარეთ ყოფნის დროს პოლონეთის მოქალაქეს აქვს პოლონეთის რესპუბლიკის მხრიდან მეურვეობის უფლება.

მუხლი 37. 1. ის, ვინც იმყოფება პოლონეთის რესპუბლიკის ხელისუფლების დაქვემდებარებაში, სარგებლობს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი თავისუფლებებითა და უფლებებით.

2. უცხოელებთან დაკავშირებით ამ პრინციპიდან გამონაკლისი განისაზღვრება კანონით.

პირადი თავისუფლებები და უფლებები

მუხლი 38. პოლონეთის რესპუბლიკა ყველა ადამიანისათვის უზრუნველყოფს სიცოცხლის სამართლებრივ დაცვას.

მუხლი 39. არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს სამეცნიერო ექსპერიმენტებს, მათ შორის სამედიცინოს, თუ ნებაყოფლობით არ გამოხატავს თანხმობას.

მუხლი 40. არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან მკაცრ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მიმართვასა და სასჯელს. აკრძალულია სხეულებრივი სასჯელების გამოყენება.

მუხლი 41. 1. ყველასთვის გარანტირებულია პირადი ხელშეუხებლობა და პირადი თავისუფლება. თავისუფლების აკრძალვა ან შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრული პრინციპებისა და წესის შესაბამისად.

2. სასამართლოს განაჩენის საფუძველზე ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს აღკვეთის კანონიერების დაუყოვნებლივ დადგენის მიზნით. თავისუფლების აღკვეთის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება ოჯახსა და თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ მითითებულ პირს.

3. ყველა დაკავებულს დაუყოვნებლივ და მისთვის გასაგებად უნდა ეცნობოს დაკავების მიზეზის შესახებ. დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში იგი უნდა გადავიდეს სასამართლოს განკარგულებაში. დაკავებული უნდა განთავისუფლდეს, თუ სასამართლოსათვის გადაცემიდან 24 საათის განმავლობაში მის მიმართ წაყენებულ ბრალდებასთან ერთად არ იქნება გამოტანილი სასამართლოს დადგენილება პირის დროებითი დაკავების შესახებ.

4. ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს უნდა მოექცნენ ჰუმანურად.

5. ყველა უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილს აქვს ზიანის ანაზღაურების უფლება.

მუხლი 42. 1. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ექვემდებარება მხოლოდ ის პირი, ვინც ჩაიდინა ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონით გათვალისწინებული ქმედება, რომლისთვისაც სასჯელია გათვალისწინებული. ეს პრინციპი არ აბრკოლებს დასჯას იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლებრივ დანაშაულს.

2. ყველას, ვის წინააღმდეგაც მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე, აქვს წარმოების ყველა სტადიაზე დაცვის უფლება. მას შეუძლია აირჩიოს დამცველი ან კანონით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად ისარგებლოს დანიშნული დამცველის დახმარებით.

3. პირი უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი ბრალი არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერი განაჩენით.

მუხლი 43. სამხედრო და ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისას არ გამოიყენება ხანდაზმულობის ვადები.

მუხლი 44. იმ დანაშაულის ხალდაზმულობის ვადის ხანგრძლივობა, რომელიც არ ითვალისწინებს პოლიტიკურ მიზნებს და ჩადენილია სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ ან მათი მითითებით, ექვემდებარება აღდგენას ამ მიზეზთა აღმოფხვრამდე.

მუხლი 45. 1. ყველას აქვს საქმის სამართლიანი და ღია განხილვის უფლება, უსაფუძვლო დაყოვნების გარეშე, კომპეტენტური, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ.

2. საქმის ღია განხილვისგან გამონაკლისი დაიშვება მორალის, სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ინტერესის, ასევე მხარეთა პირადი ცხოვრების ან სხვა მნიშვნელოვანი კერძო ინტერესის საფუძვლებით. სასამართლოს გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება.

მუხლი 46. ქონების კონფისკაცია შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და მხოლოდ უფლებამოსილი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 47. ყველას აქვს კერძო, ოჯახური ცხოვრების, ღირსებისა და კარგი რეპუტაციის სამართლებრივი დაცვის უფლება, ასევე უფლება, გადაწყვიტოს თავისი პირადი ცხოვრება.

მუხლი 48. 1. მშობლებს აქვთ ბავშვების საკუთარი შეხედულებების მიხედვით აღზრდის უფლება. ამ აღზრდამ უნდა განსაზღვროს ბავშვის მოწიფულობის ხარისხი, ასევე მისი სინდისის, აღმსარებლობისა და შეხედულებების თავისუფლება.

2. მშობელთა უფლებების შეზღუდვა ან აკრძალვა შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და მხოლოდ უფლებამოსილი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 49. უზრუნველყოფილია კომუნიკაციის საიდუმლოების თავისუფლება და დაცვა. მათი შეზღუდვა შესაძლებელია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 50. უზრუნველყოფილია საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა. საცხოვრებელი ადგილის, სადგომის ან სატრანსპორტო საშუალების ჩხრეკა შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 51. 1. არავინ არ არის ვალდებული გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი პირადი ცხოვრების შესახებ, თუ არა კანონის საფუძველზე.

2. სახელმწიფო ხელისუფლებას არ შეუძლია მოიძიოს და შეაგროვოს მოქალაქეების შესახებ სხვა ინფორმაცია, გარდა იმისა, რაც აუცილებელია დემოკრატიულ-სამართლებრივ სახელმწიფოში და დაშვებული გახადოს იგი.

3. ყველას აქვს ისეთი ოფიციალური დოკუმენტებისა და მონაცემთა კრებულების ხელმისაწვდომობის უფლება, რომლებიც მას ეხება. ამ უფლების შეზღუდვა შეიძლება განისაზღვროს კანონით.

4. ყველას აქვს არასწორი, არასრული და კანონსაწინააღმდეგო საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის გამოსწორების, ასევე ამოღების მოთხოვნის უფლება.

5. ინფორმაციის შეგროვების პრინციპები და წესი, ასევე მასზე ხელმისაწვდომობა განისაზღვრება კანონით.

მუხლის 52. 1. ყველასთვის უზრუნველყოფილია პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაადგილების, ასევე საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და ბინადრობის თავისუფლება.

2. ყველას შეუძლია თავისუფლად დატოვოს პოლონეთის ტერიტორია.

3. თავისუფლებები, რომელთა შესახებ საუბარია პირველ და მე-2 ნაწილებში, შეიძლება შეიზღუდოს კანონით.

4. დაუშვებელია პოლონეთის მოქალაქის ქვეყნიდან გაძევება ან მისთვის ქვეყანაში დაბრუნების აკრძალვა.

5. პირს, რომლის პოლონური წარმომავლობა დამტკიცებულია კანონით, შეუძლია მუდმივად დასახლდეს პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მუხლი 53. 1. ყველასთვის გარანტირებულია სინდისისა და რელიგიის თავისუფლება.

2. რელიგიის თავისუფლება მოიცავს თავისუფლებას საკუთარი არჩევანით აღიაროს და მიიღოს რელიგია, ასევე ინდივიდუალურად ან სხვა პირებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ გაამჟღავნოს თავისი რელიგია კულტის მიმართვით, ლოცვით, ჩვეულებებში, რიტუალებსა და სწავლებაში მონაწილეობის გზით. რელიგიის თავისუფლება ასევე მოიცავს საფლავებისა და სხვა საკულტო ადგილების ფლობას მორწმუნეთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ასევე პირთა უფლებას, რელიგიური მომსახურებით ისარგებლონ იქ, სადაც იმყოფებიან.

3. მშობლებს უფლება აქვთ ბავშვებისათვის თავისი შეხედულებების შესაბამისად უზრუნველყონ მორალური და რელიგიური აღზრდა და განათლება. ამ შემთხვევაში გამოიყენება 48-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულებები.

4. ეკლესიის ან სხვა აღმსარებლობითი კავშირის რელიგია, სამართლებრივი რეგულირების საფუძველზე, შეიძლება სასწავლო საგანი იყოს სკოლებში, თუმცა მან არ უნდა დაარღვიოს სხვა პირთა სინდისისა და რელიგიის თავისუფლება.

5. რელიგიის გამჟღავნების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფოს უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის, მორალის ან სხვა პირთა თავისუფლებებისა და უფლებების დასაცავად.

6. არავინ არ შეიძლება იძულებულ იქნეს მონაწილეობა მიიღოს ან არ მიიღოს რელიგიურ რიტუალებში.

7. არავინ არ შეიძლება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ იქნეს ვალდებული დამალოს თავისი მსოფლმხედველობრივი, რელიგიური შეხედულებები და აღმსარებლობა.

მუხლი 54. 1. ყველასთვის უზრუნველყოფილია შეხედულებების გამოხატვის, ასევე ინფორმაციის მოძიებისა და გავრცელების თავისუფლება.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წინასწარი ცენზურა, ასევე პრესის ლიცენზირება აკრძალულია. რადიო ან სატელევიზიო სადგურთა ექსპლუატაციისათვის კანონმა შეიძლება დაადგინოს ლიცენზიის წინასწარ მიღების წესი.

მუხლი 55. 1. აკრძალულია პოლონეთის მოქალაქის ექსტრადიცია.

2. აკრძალულია იმ პირის ექსტრადიცია, რომელიც ეჭვმიტანილია ძალმომრეობის გამოყენების გარეშე პოლიტიკური მიზეზით დანაშაულის ჩადენაში.

3. ექსტრადიციის დაშვებადობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

მუხლი 56. 1. უცხოელები, კანონით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად, პოლონეთის რესპუბლიკაში სარგებლობენ თავშესაფრის უფლებით.

2. პოლონეთის რესპუბლიკისათვის სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად, უცხოელს, რომელიც პოლონეთის რესპუბლიკაში ითხოვს დევნისგან დაცვას, შეიძლება მიენიჭოს ლტოლვილის სტატუსი.

პოლიტიკური თავისუფლებები და უფლებები

მუხლი 57. ყველასთვის უზრუნველყოფილია მშვიდობიანი შეკრების ორგანიზაციისა და მასში მონაწილეობის თავისუფლება. ამ თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება განისაზღვროს კანონით.

მუხლი 58. 1. ყველასთვის გარანტირებულია გაერთიანების თავისუფლება.

2. აკრძალულია გაერთიანებები, რომელთა მიზანი და საქმიანობა ეწინააღმდეგება კონსტიტუციასა და კანონს. ასეთი გაერთიანების რეგისტრაციაზე უარის თქმის ან საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

3. კანონი განსაზღვრავს სასამართლო რეგისტრაციას დაქვემდებარებული გაერთიანებების სახეებს, ასევე ამ გაერთიანებებზე ზედამხედველობის ფორმებს.

მუხლი 59. 1. უზრუნველყოფილია პროფესიულ კავშირებში, მიწათმოქმედთა სოციალურ-პროფესიულ ორგანიზაციებში, ასევე დამსაქმებელთა ორგანიზაციებში გაერთიანების თავისუფლება.

2. პროფესიულ კავშირებს, ასევე დამსაქმებლებსა და მათ ორგანიზაციებს აქვთ მოლაპარაკებების უფლება, კოლექტიური დავების გადაწყვეტის, ასევე კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებისა და სხვა შეთანხმებების დადების მიზნით.

3. პროფესიულ კავშირებს აქვთ მუშათა გაფიცვების ორგანიზებისა და კანონით განსაზღვრულ ფარგლებში სხვა ფორმებით პროტესტის გამოხატვის უფლება. საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნით კანონმა შეიძლება გაითვალისწინოს გაფიცვის შეზღუდვის ან განსაზღვრული კატეგორიის პირებთან დაკავშირებით ან განსაზღვრული ფორმით მისი აკრძალვის უფლება.

4. პროფესიულ კავშირებსა და ორგანიზაციებში, ასევე სხვა პროფკავშირულ გაერთიანებებში გაერთიანების თავისუფლების მოცულობა მხოლოდ ისეთ საკანონმდებლო შეზღუდვებს შეიძლება ექვემდებარებოდეს, რომლებიც დაიშვება პო-

ლონეთის რესპუბლიკისათვის სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

მუხლი 60. პოლონეთის მოქალაქე სრულად სარგებლობს საჯარო უფლებებით და თანასწორობის პრინციპის საფუძველზე გააჩნია საჯარო სამსახურში მუშაობის უფლება.

მუხლი 61. 1. მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ასევე სახელმწიფო ფუნქციების შემსრულებელი პირების საქმიანობის შესახებ. ეს უფლება ასევე მოიცავს ეკონომიკური და პროფესიული თვითმმართველობის ორგანოთა, ასევე სხვა პირთა და იმ ორგანიზაციების ერთეულთა საქმიანობის შესახებ და იმ მოცულობით ინფორმაციის მიღებას, როგორც ისინი ასრულებენ სახელმწიფო ადმინისტრაციის ამოცანებს და განკარგავენ კომუნალური საკუთრებისა და სახელმწიფო ხაზინის ქონებას.

2. ინფორმაციის მიღების უფლება მოიცავს დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობისა და საყოველთაო არჩევნებით ფორმირებული საჯარო ხელისუფლების კოლეგიური ორგანოს სხდომებზე დაშვებას, ხმისა და გამოსახულების ჩაწერის შესაძლებლობით.

3. იმ უფლებათა შეზღუდვას, რომელთა შესახებ საუბარია პირველ და მეორე ნაწილებში, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ თავისუფლებათა და სხვა პირთა და ეკონომიკურ სუბიექტთა უფლებების დაცვის, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის, უსაფრთხოების ან სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტერესის მოტივით.

4. იმ ინფორმაციის გაცემის წესი, რომლის შესახებ საუბარია პირველ და მეორე ნაწილებში, განისაზღვრება კანონით, ხოლო სეიმსა და სენატთან დაკავშირებით — მათი რეგლამენტებით.

მუხლი 62. 1. პოლონეთის მოქალაქეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს რეფერენდუმში, ასევე აირჩიოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, დეპუტატები, სენატორები და წარმომადგენლები ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებში, თუ კენჭისყრის დღეს მაინც მიაღწია 18 წლის ასაკს.

2. რეფერენდუმსა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ გააჩნიათ პირებს, რომლებიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით აღიარებულნი არიან ქმედუუნაროდ ან აკრძალული აქვთ საჯარო ან საარჩევნო უფლებები.

მუხლი 63. ყველას აქვს უფლება პეტიციებით, წინადადებებითა და საჩივრით, საზოგადო, საკუთარი ან სხვა პირის ინტერესებიდან გამომდინარე, მიმართოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, ასევე საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სახელმწიფო ადმინისტრაციის სფეროში მისთვის დაკისრებულ ამოცანათა შესრულებასთან დაკავშირებით. პეტიციის, წინადადებისა და საჩივრის განხილვის წესი განისაზღვრება კანონით.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თავისუფლებები და უფლებები

მუხლი 64. 1. ყველას აქვს საკუთრების უფლება, სხვა ქონებრივი უფლებები, ასევე მემკვიდრეობის უფლება.

2. საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები, ასევე მემკვიდრეობის უფლება ექვემდებარება ყველასთვის თანასწორ დაცვას.

3. საკუთრება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით და მხოლოდ იმ მოცულობით, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.

მუხლი 65. 1. ყველასთვის გარანტირებულია პროფესიის არჩევისა და განხორციელების, ასევე სამუშაო ადგილის არჩევის თავისუფლება. გამონაკლისები განისაზღვრება კანონით.

2. შრომის ვალდებულება შეიძლება დაწესდეს მხოლოდ კანონით.

3. 16 წლამდე ბავშვთა მუდმივად დასაქმება აკრძალულია. დასაქმების დასაშვები ფორმა და ხასიათი განისაზღვრება კანონით.

4. შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა ან ამ ოდენობის დადგენის საშუალებები განისაზღვრება კანონით.

5. სახელმწიფო ხელისუფლება ატარებს სრული, პროდუქტიული დასაქმებისკენ მიმართულ პოლიტიკას, უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის რეალიზაციის საშუალებით, კერძოდ, პროფესიული კონსულტაციებისა და სწავლების, ასევე საზოგადოებრივი სამუშაოებისა და ინტერვენციული შრომის ორგანიზაციისა და მხარდაჭერის გზით.

მუხლი 66. 1. ყველას აქვს უსაფრთხო და ჰიგიენური შრომის პირობების უფლება. ამ უფლების რეალიზაციის წესი, ასევე დამსაქმებლის ვალდებულებები განისაზღვრება კანონით.

2. მუშას აქვს კანონით განსაზღვრულ დღეებში დასვენებისა და ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების უფლება; სამუშაო დროის მაქსიმალური ვადები განისაზღვრება კანინით.

მუხლი 67. 1. მოქალაქეს აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება ავადმყოფობის ან ინვალიდობის, ასევე საპენსიო ასაკის მიღწევისას შრომისუუნარობის შემთხვევაში. სოციალური უზრუნველყოფის მოცულობა და ფორმები განისაზღვრება კანონით.

2. ნების საწინააღმდეგოდ სამუშაოს გარეშე დარჩენილ და არსებობის სხვა საშუალებების არმქონე მოქალაქეს აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება, რომლის მოცულობა და ფორმა განისაზღვრება კანონით.

მუხლი 68. 1. ყველას აქვს ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

2. მოქალაქეთათვის, მიუხედავად მათი მატერიალური მდგომარეობისა, სახელმწიფო ხელისუფლება უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დაფინანსებულ ჯანმრთელობის დაცვის ანაზღაურების უფლებას. მომსახურების პირობები და მოცულობა განისაზღვრება კანონით.

3. სახელმწიფო ხელისუფლება ვალდებულია განსაკუთრებულად იზრუნოს ბავშვთა, ორსულ ქალთა, ფიზიკური და გონებრივი უუნარობის მქონე პირთა ჯანმრთელობაზე.

4. სახელმწიფო ხელისუფლება ვალდებულია ზრუნავდეს ეპიდემიურ დაავადებებზე და აფრთხილებდეს გარემოს დეგრადაციის გზით მოსალოდნელ ჯანმრთელობის უარყოფით შედეგებზე.

5. სახელმწიფო ხელისუფლება მხარს უჭერს ფიზიკური კულტურის, განსაკუთრებით ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარებას.

მუხლი 69. ფიზიკური და გონებრივი ნაკლოვანების მქონე პირებს სახელმწიფო ხელისუფლება კანონის შესაბამისად აღმოუჩენს დახმარებას არსებობის, შრომის შეგუებისა და სოციალური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 70. 1. ყველას აქვს განათლების უფლება. 18 წლამდე სწავლა სავალდებულოა. სასკოლო ვალდებულებათა შესრულების წესი განისაზღვრება კანონით.

2. სახელმწიფო სკოლებში სწავლა უფასოა. კანონმა უმაღლესი სახელმწიფო სკოლებისათვის შეიძლება დაუშვას ზოგიერთი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურება.

3. მშობლებს უფლება აქვთ თავიანთი ბავშვებისათვის სახელმწიფო სკოლების გარდა შეარჩიონ სხვა სკოლებიც. მოქალაქეებსა და დაწესებულებებს უფლება აქვთ დააფუძნონ დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლები, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებები. არასახელმწიფო სკოლების დაფუძნებისა და საქმიანობის და მათ დაფინანსებაში სახელმწიფო ხელისუფლების მონაწილეობის პირობები, ასევე სკოლებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პედაგოგიური ზედამხედველობის პრინციპები განისაზღვრება კანონით.

4. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოქალაქეთათვის უზრუნველყოფენ საყოველთაო და თანაბარ ხელმისაწვდომობას განათლებაზე. ამ მიზნით იქმნება და მხარდაჭერას მოიპოვებენ მოსწავლეთა და სტუდენტთა ინდივიდუალური ფინანსური და ორგანიზაციული სისტემები. დახმარების აღმოჩენის პირობები განისაზღვრება კანონით.

5. უმაღლესი სკოლების ავტონომია უზრუნველყოფილია კანონით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 71. 1. სახელმწიფო თავის სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკაში ითვალისწინებს ოჯახის კეთილდღეობას. მძიმე მატერიალურ და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს, განსაკუთრებით მრავალშვილიანსა და არას-

რულს, აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული დახმარების უფლება.

2. დედას ბავშვის დაბადებამდე და დაბადების შემდეგ აქვს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განსაკუთრებული მხარდაჭერის უფლება, რომლის მოცულობა განისაზღვრება კანონით.

მუხლი 72. 1. პოლონეთის რესპუბლიკა უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების დაცვას. ყველას აქვს უფლება სახელმწიფო ორგანოებიდან მოითხოვოს ძალმომრეობისაგან, სიმკაცრისაგან, ექსპლუატაციისაგან და დემორალიზაციისაგან ბავშვის დაცვა.

2. მშობლის მზრუნველობას მოკლებულ ბავშვს აქვს მეურვეობისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა დახმარების უფლება.

3. ბავშვის უფლებების დადგენისას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ასევე ბავშვზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან მოისმინონ და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინონ ბავშვის მოსაზრება.

4. კანონი განსაზღვრავს ბავშვის უფლებებში უფლებამოსილის კომპეტენციასა და დანიშვნის წესს.

მუხლი 73. ყველასთვის გარანტირებულია მხატვრული შემოქმედების, სამეცნიერო გამოკვლევების, ასევე მათი შედეგების გამოქვეყნების, სწავლებისა და კულტურული ღირებულებებით სარგებლობის თავისუფლება.

მუხლი 74. 1. სახელმწიფო ხელისუფლება ატარებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც არსებული და მომავალი თაობებისათვის უზრუნველყოფს ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.

2. გარემოს დაცვა არის სახელმწიფო ხელისუფლების ვალდებულება.

3. ყველას აქვს უფლება ფლობდეს ინფორმაციას გარემოს მდგომარეობისა და დაცვის შესახებ.

4. სახელმწიფო ხელისუფლება მხარს უჭერს მოქალაქეთა ქმედებას, რომელიც მიმართულია გარემოს დაცვისა და მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

მუხლი 75. 1. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ატარებენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფას, კერძოდ, მიმართულია უსახლკარობის წინააღმდეგ, უზრუნველყოფს საკუთარი საცხოვრებელი ადგილის მიღებისაკენ მიმართულ სოციალური მშენებლობის განვითარებასა და მოქალაქეთა მოქმედებებს.

2. დამქირავებელთა საცხოვრებელ ადგილზე უფლების დაცვა განისაზღვრება კანონით.

მუხლი 76. სახელმწიფო ხელისუფლება მომხმარებლებს, მოსარგებლეებსა და დამქირავებლებს იცავს ისეთი ქმედებისაგან, რომელმაც შესაძლოა საფრთხე

შეუქმნას მათ ჯანმრთელობას, პირად ცხოვრებასა და უსაფრთხოებას, ასევე უსამართლო საბაზრო ეკონომიკისაგან. ამ დაცვის მოცულობა განისაზღვრება კანონით.

თავისუფლებებისა და უფლებების დაცვის საშუალებები

მუხლი 77. 1. ყველას აქვს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება.

2. კანონმა არავის არ შეიძლება წაართვას მისი დარღვეული თავისუფლებებისა და უფლებების სასამართლოს მეშვეობით აღდგენის უფლება.

მუხლი 78. თითოეულ მხარეს აქვს უფლება გაასაჩივროს პირველ ინსტანციაში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები და განაჩენები. ამ პრინციპიდან გამონაკლისი, ასევე მათი გასაჩივრების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 79. 1. ყველას, ვისი კონსტიტუციური თავისუფლებები და უფლებები დაირღვა, უფლება აქვს კანონით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო ტრიბუნალს კონსტიტუციასთან კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის შეუსაბამობის საკითხზე, რომლის საფუძველზეც კონსტიტუციაში განსაზღვრული თავისუფლებებისა და უფლებების ან ვალდებულებების თაობაზე სასამართლომ ან სახელმწიფო ადმინისტრაციის ორგანომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება.

2. პირველი ნაწილის დებულება არ ეხება 56-ე მუხლში განსაზღვრულ უფლებებს.

მუხლი 80. ყველას აქვს უფლება კანონით განსაზღვრული პრინციპების თანახმად მიმართოს მოქალაქეთა უფლებებში უფლებამოსილს თხოვნით, რათა დაეხმაროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ დარღვეული თავისუფლებებისა და უფლებების დაცვაში.

მუხლი 81. 65-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, 66-ე, 69-ე, 71-ე და 74-76-ე მუხლებით განსაზღვრული უფლებების აღდგენა შესაძლებელია კანონით განსაზღვრულ ფარგლებში.

ვალდებულებები

მუხლი 82. პოლონეთის მოქალაქის ვალდებულებას წარმოადგენს პოლონეთის რესპუბლიკის ერთგულება, ასევე საყოველთაო კეთილდღეობისათვის ზრუნვა.

მუხლი 83. ყველა ვალდებულია დაიცვას პოლონეთის რესპუბლიკის კანონმდებლობა.

მუხლი 84. ყველა ვალდებულია ატაროს სახელმწიფო პასუხისმგებლობა და ვალდებულებები, მათ შორის გადაიხადოს კანონით განსაზღვრული გადასახადები.

მუხლი 85. 1. სამშობლოს დაცვა წარმოადგენს პოლონეთის მოქალაქის ვალდებულებას.

2. სამხედრო ვალდებულებების მოცულობა განისაზღვრება კანონით.

3. მოქალაქე, რომელსაც რელიგიური შეხედულებები და აღმსარებლობითი მორალის პრინციპები არ აძლევს სამხედრო სამსახურის მოხდის უფლებას, კანონით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად შეიძლება დაექვემდებაროს ალტერნატიულ სამსახურს.

მუხლი 86. ყველა ვალდებულია იზრუნოს გარემოს მდგომარეობაზე და პასუხი აგოს თავისი მიზეზით მისი გაუარესებისათვის. ამ პასუხისმგებლობის პრინციპები განისაზღვრება კანონით.

თავი III. სამართლის წყაროები

მუხლი 87. 1. პოლონეთის რესპუბლიკის ზოგადსავალდებულო წყაროებს წარმოადგენენ: კონსტიტუცია, კანონები, რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და განკარგულებები.

2. ადგილობრივი ორგანოების აქტები პოლონეთის რესპუბლიკის ზოგადსავალდებულო წყაროებს წარმოადგენენ მათი მიმღები ორგანოების ტერიტორიაზე.

მუხლი 88. 1. კანონების, განკარგულებების, ასევე ადგილობრივი სამართლის აქტების ძალაში შესვლის პირობას წარმოადგენს მათი გამოქვეყნება.

2. ნორმატიული აქტების გამოქვეყნების პრინციპები და წესი განისაზღვრება კანონით.

3. წინასწარი შეთანხმებით რატიფიცირებული, კანონში გამოხატული საერთაშორისო ხელშეკრულებები ქვეყნდება კანონებისთვის დადგენილი წესით. სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოქვეყნების პრინციპები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 89. 1. პოლონეთის რესპუბლიკის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია ან დენონსაცია საჭიროებს კანონში გამოხატულ წინასწარ თანხმობას, თუ ხელშეკრულება ეხება:

1) მშვიდობას, კავშირს, პოლიტიკურ ან სამხედრო მოლაპარაკებას;

2) კონსტიტუციით განსაზღვრულ სამოქალაქო თავისუფლებებს, უფლებებს ან ვალდებულებებს;

3) პოლონეთის რესპუბლიკის წევრობას საერთაშორისო ორგანიზაციაში;

4) სახელმწიფოს მნიშვნელოვან დატვირთვას საფინანსო ურთიერთობებში;

5) კანონით განსაზღვრულ საკითხებს ან იმ საკითხებს, რომელთა შესახებ კონსტიტუცია ითხოვს კანონის მიღებას.

2. პრემიერ-მინისტრი სეიმს აცნობებს განზრახვას იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტს წარედგინოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა რატიფიკაცია არ საჭიროებს კანონში გამოხატულ თანხმობას.

3. საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, რატიფიკაციისა და დენონსაციის პრინციპები და წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 90. 1. პოლონეთის რესპუბლიკას შეუძლია საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე საერთაშორისო ორგანიზაციას ან საერთაშორისო ორგანოს გადასცეს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენცია კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით.

2. კანონს, რომელიც გამოხატავს თანხმობას პირველ ნაწილში აღნიშნულ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციაზე, სეიმი იღებს ხმათა 2/3-ის უმრავლესობით დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებისას, ხოლო სენატი — ხმათა 2/3-ის უმრავლესობით სენატორთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებისას.

3. ამგვარი ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ თანხმობა შეიძლება მიცემულ იქნეს სრულიად პოლონეთის რეფერენდუმით 125-ე მუხლის შესაბამისად.

4. დადგენილებას რატიფიკაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ სეიმი იღებს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებისას.

მუხლი 91. 1. რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულება „პოლონეთის რესპუბლიკის კანონთა მაცნეში" გამოქვეყნების შემდეგ წარმოადგენს ქვეყნის მართლწესრიგის ნაწილს და გამოიყენება უშუალოდ, რამდენადაც მისი გამოყენება არ არის დამოკიდებული კანონის მიღებაზე.

2. კანონის მიხედვით, წინასწარი თანხმობით რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას კანონთან შედარებით აქვს უპირატესი ძალა, თუ კანონი შესაბამისობაში არ არის ხელშეკრულებასთან.

3. პოლონეთის რესპუბლიკის მიერ რატიფიცირებული, საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ კონსტიტუირებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ამ აქტით მიღებული კანონები გამოიყენება უშუალოდ და კანონებთან კოლიზიის შემთხვევაში გააჩნიათ უპირატესობა.

მუხლი 92. 1. განკარგულებები გამოიცემა კონსტიტუციაში მითითებული ორგანოების მიერ კანონში მითითებული სპეციალური დათქმების საფუძველზე და კანონის აღსრულების მიზნით. დათქმამ უნდა განსაზღვროს განკარგულების გამოცემის უფლებამოსილი ორგანო და დასარეგულირებლად გადაცემული საკითხთა წრე, ასევე აქტის შინაარსის შესახებ მიმართულებები.

2. განკარგულების გამოცემის უფლებამოსილ ორგანოს არ შეუძლია სხვა ორგანოს გადასცეს პირველ ნაწილში აღნიშნული თავისი უფლებამოსილება.

მუხლი 93. 1. მინისტრთა საბჭოს დადგენილებას, ასევე პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების ბრძანებებს გააჩნია შიდა ხასიათი და სავალდებულოა მხოლოდ ამ აქტების გამომცემი ორგანოს ქვემდებარე ორგანიზაციული ერთეულებისათვის.

2. ბრძანებები გამოიცემა მხოლოდ კანონის საფუძველზე. ისინი არ შეიძლება ემსახურებოდნენ მოქალაქეებთან, იურიდიულ პირებთან, ასევე სხვა სუბიექტებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს.

3. დადგენილებები და ბრძანებები ექვემდებარება კონტროლს მათი ზოგადსავალდებულო სამართლის შესაბამისობასთან დაკავშირებით.

მუხლი 94. ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოები, ასევე სამთავრობო ადმინისტრაციის ადგილობრივი ორგანოები კანონში ასახული საფუძვლითა და ფარგლებში ადგენენ ამ ორგანოების საქმიანობის ტერიტორიაზე სავალდებულო ადგილობრივი სამართლის აქტებს. ადგილობრივი სამართლის აქტების გამოცემის პრინციპები და წესი განისაზღვრება კანონით.

თავი IV. სეიმი და სენატი

მუხლი 95. 1. პოლონეთის რესპუბლიკაში საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებენ სეიმი და სენატი.

2. კონსტიტუციისა და კანონების დებულებებით განსაზღვრულ ფარგლებში სეიმი კონტროლს ახორციელებს მინისტრთა საბჭოს საქმიანობაზე.

არჩევნები და უფლებამოსილების ვადა

მუხლი 96. 1. სეიმი შედგება 460 დეპუტატისგან.

2. სეიმის არჩევნები საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და პროპორციულია და ტარდება ფარული კენჭისყრით.

მუხლი 97. 1. სენატი შედგება 100 სენატორისგან.

2. სენატის არჩევნები საყოველთაო და პირდაპირია და ტარდება ფარული კენჭისყრით.

მუხლი 98. 1. სეიმი და სენატი აირჩევიან ოთხი წლის ვადით. სეიმისა და სენატის უფლებამოსილების ვადა იწყება სეიმის პირველ სხდომაზე შეკრების დღეს და გრძელდება შემდგომი მოწვევის სეიმის შეკრების წინა დღემდე.

2. სეიმისა და სენატის არჩევნები ინიშნება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ სეიმისა და სენატის უფლებამოსილების ვადის დაწყებიდან 4 წლის გასვლამდე არა უგვიანეს 90 დღით ადრე, არასამუშაო დღეს, რომელიც მოდის სეიმისა და სენატის უფლებამოსილების ვადის დაწყებიდან 4 წლის გასვლამდე 30-ე დღეს.

3. სეიმს შეუძლია თავისი უფლებამოსილების ვადა შეწყვიტოს დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით მიღებული დადგენილებით. სეიმის უფლებამოსილების ვადის შეწყვეტა იმავდროულად ნიშნავს სენატის უფლებამოსილების შეწყვეტას. ამ შემთხვევაში გამოიყენება მე-5 ნაწილის დებულებები.

4. რესპუბლიკის პრეზიდენტს სეიმისა და სენატის მარშლების აზრის მოსმენისას შეუძლია კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში გამოსცეს ბრძანება სეიმის უფლებამოსილების ვადის შეწყვეტის შესახებ. სეიმის უფლებამოსილების შეწყვეტასთან ერთად წყდება ასევე სენატის უფლებამოსილება.

5. რესპუბლიკის პრეზიდენტი სეიმის უფლებამოსილების ვადის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემით იმავდროულად ბრძანებს სეიმისა და სენატის არჩევნების ჩატარებას და მათ თარიღს ნიშნავს, სეიმის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემის დღიდან არა უმეტეს 45 დღის ვადაში. რესპუბლიკის პრეზიდენტი არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს 15 დღის ვადაში იწვევს ახალარჩეული სეიმის პირველ სხდომას.

6. სეიმის უფლებამოსილების ვადის შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება პირველი ნაწილის დებულებები.

მუხლი 99. 1. სეიმში შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე პოლონეთის მოქალაქე, რომელმაც არჩევნების დღეს მიაღწია 21 წლის ასაკს.

2. სენატში შეიძლება არჩეულ იქნეს საარჩევნო უფლების მქონე პოლონეთის მოქალაქე, რომელმაც არჩევნების დღეს მიაღწია 30 წლის ასაკს.

მუხლი 100. 1. დეპუტატთა და სენატორთა კანდიდატები შეიძლება დაასახელონ პოლიტიკურმა პარტიებმა, ასევე ამომრჩეველებმა.

2. დაუშვებელია ერთდროულად სეიმში და სენატში კენჭისყრა.

3. კანდიდატთა წარდგენისა და არჩევნების ჩატარების პრინციპები და წესი, ასევე არჩევნების ნამდვილობის პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 101. 1. სეიმისა და სენატის არჩევნების ნამდვილობა მტკიცდება უზენაესი სასამართლოს მიერ.

2. ამომრჩეველებს კანონით განსაზღვრული პრინციპების თანახმად გააჩნიათ უზენაესი სასამართლოსათვის არჩევნების ნამდვილობის წინააღმდეგ საჩივრით მიმართვის უფლება.

დეპუტატები და სენატორები

მუხლი 102. დაუშვებელია ერთდროულად დეპუტატობა და სენატორობა.

მუხლი 103. 1. დეპუტატის მანდატი შეუთავსებელია პოლონეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარის, კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარის, მოქალაქეთა უფლებებში უფლებამოსილის, ბავშვთა უფლებებში უფლებამოსილისა და მათი მოადგილეების, ფულადი პოლიტიკის საბჭოს წევრის, სრულიად პოლონეთის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საბჭოს წევრისა და ელჩის ფუნქციასთან, ასევე სეიმის, სენატისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიაში ან სამთავრობო ადმინისტრაციაში თანამდებობასთან. ეს აკრძალვა არ ეხება მინისტრთა საბჭოს წევრებსა და სამთავრობო ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივნებს.

2. მოსამართლეს, პროკურორს, საჯარო სამსახურის თანამდებობის პირს, მოქმედ სამხედრო სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეს, პოლიციის თანამდებობის პირს, ასევე სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამდებობის პირს არ აქვთ სადეპუტატო მანდატის განხორციელების უფლება.

3. სადეპუტატო მანდატის სახელმწიფო ფუნქციებთან შეთავსების სხვა შემთხვევები, ასევე მათი განხორციელების აკრძალვები შეიძლება განისაზღვროს კანონით.

მუხლი 104. 1. დეპუტატები არიან ერის წარმომადგენლები. ისინი არ არიან დაკავშირებულნი ამომრჩეველთა ინსტრუქციებთან.

2. მანდატის განხორციელების დასაწყისში დეპუტატები სეიმის წინაშე დებენ შემდეგი შინაარსის ფიცს:

„საზეიმოდ ვფიცავ, რომ სამართლიანად და კეთილსინდისიერად შევასრულებ ერის წინაშე ვალდებულებებს, დავიცავ სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და ინტერესებს, გავაკეთებ ყველაფერს მამულისა და მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის, დავიცავ პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და სხვა კანონებს.“

ფიცი შეიძლება დადებულ იქნეს შემდეგი წინადადების დამატებით: „ღმერთი იყოს ჩემი მფარველი“.

3. ფიცის დადებაზე უარის თქმა ნიშნავს მანდატზე უარის თქმას.

მუხლი 105. 1. დეპუტატი არ შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში სადეპუტატო მანდატის განსახორციელებელი საქმიანობისათვის, არც მისი მოქმედების პერიოდში, არც მისი შეწყვეტის შემდეგ. ამგვარი საქმიანობისათვის დეპუტატი პასუხს აგებს მხოლოდ სეიმის წინაშე, ხოლო მესამე პირთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში სასამართლო პასუხისგებაში შეიძლება მიეცეს მხოლოდ სეიმის თანხმობით.

2. არჩევნების შედეგების გამოქვეყნების დღიდან სადეპუტატო მანდატის შეწყვეტის დღემდე დეპუტატი არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში სეიმის თანხმობის გარეშე.

3. სეიმის მოთხოვნით დეპუტატად არჩევის დღიდან მანდატის შეწყვეტამდე უნდა შეჩერდეს მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართალწარმოება. ამ შემთხვევაში ასევე ჩერდება სისხლის სამართალწარმოების ხანდაზმულობის ვადა.

4. დეპუტატს უფლება აქვს გამოთქვას თანხმობა მის სისხლის სამართალში მიცემაზე. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-2 და მე-3 ნაწილების დებულებები.

5. დეპუტატი არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას დანაშაულის ჩადენის ადგილზე წაასწრებენ და თუ მისი დაკავება აუცილებელია სამართალწარმოების მიმდინარეობის სათანადოდ უზრუნველსაყოფად. დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სეიმის მარშალს, რომელსაც შეუძლია დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს დაკავებული.

6. დეპუტატთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის დაწვრილებითი პრინციპები, ასევე წარმოების წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 106. სადეპუტატო ვალდებულებების ჯეროვნად შესასრულებლად აუცილებელი და მანდატის განხორციელებიდან გამომდინარე უფლებების დაცვის პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 107. 1. კანონით განსაზღვრულ ფარგლებში დეპუტატი არ შეიძლება ახორციელებდეს ეკონომიკურ საქმიანობას სახელმწიფოს ხაზინის ან ტერიტორიული თვითმმართველობის ქონებისგან გამორჩენის მიღების მიზნით ან ამ ქონების შეძენით.

2. პირველი ნაწილით აკრძალული დარღვევისათვის, სეიმის მარშალის წინადადებით მიღებული სეიმის დადგენილების საფუძველზე დეპუტატი შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე, რომელიც გადაწყვეტილებას მიიღებს მანდატის შეწყვეტის საკითხზე.

მუხლი 108. სენატორებისათვის შესაბამისად გამოიყენება 103-107-ე მუხლების დებულებები.

ორგანიზაცია და საქმიანობა

მუხლი 109. 1. სეიმი და სენატი განხილვას ახორციელებენ სხდომებზე.

2. სეიმისა და სენატის პირველი სხდომები მოიწვევა რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ არჩევნებიდან 30-ე დღეს, გარდა 98-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

მუხლი 110. 1. სეიმი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სეიმის მარშალსა და ვიცე-მარშლებს.

2. სეიმის მარშალი ხელმძღვანელობს სეიმში განხილვებს, დგას სეიმის უფლებათა სადარაჯოზე, ასევე წარმოადგენს სეიმს მის გარეთ.

3. სეიმი ქმნის მუდმივ კომისიებს, ასევე შეიძლება შექმნას საგანგებო კომისიები.

მუხლი 111. 1. სეიმს შეუძლია განსაზღვრული საქმის გამოსაძიებლად შექმნას საგამოძიებო კომისია.

2. საგამოძიებო კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 112. სეიმის შიდა ორგანიზაცია და მუშაობის წესი, ასევე მისი ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესი, ისევე როგორც სახელმწიფო ორგანოების მიერ სეიმთან დაკავშირებული კონსტიტუციური და კანონიერი ვალდებულებების შესრულების საშუალება განისაზღვრება სეიმის დადგენილებით მიღებული სეიმის რეგლამენტით.

მუხლი 113. სეიმის სხდომები ღიაა. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, სეიმს შეუძლია ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის ნახევრის დასწრებით მიიღოს გადაწყვეტილება დახურული განხილვის ჩატარების შესახებ.

მუხლი 114. 1. კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, სეიმის მარშალის ხელმძღვანელობით ან მისი არყოფნისას სენატის მარშალის მიერ, სეიმი და სენატი ატარებენ ერთობლივ სესიას, რა დროსაც მოქმედებენ როგორც ეროვნული კრება.

2. ეროვნული კრება იღებს თავის რეგლამენტს.

მუხლი 115. 1. პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა საბჭოს სხვა წევრები ვალდებულნი არიან 21 დღის ვადაში გასცენ პასუხი სადეპუტატო ინტერპელაციებსა და შეკითხვებს.

2. პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა საბჭოს სხვა წევრები ვალდებულნი არიან სეიმის ყოველ სხდომაზე გასცენ პასუხი მიმდინარე საკითხებს.

მუხლი 116. 1. სეიმი პოლონეთის რესპუბლიკის სახელით წყვეტს ომისა და ზავის საკითხებს.

2. სეიმს შეუძლია მიიღოს დადგენილება ომის შესახებ პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ან როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს აგრესიისგან ერთობლივი თავდაცვის ვალდებულება. თუ სეიმს არ შეუძლია სხდომაზე შეკრება, ომის მდგომარეობას ადგენს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მუხლი 117. შეიარაღებული ძალების პოლონეთის რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ გამოყენების პრინციპები განისაზღვრება რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან კანონით. უცხო ქვეყნის ჯარების პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყოფნისა და ამ ტერიტორიაზე მათი გადაადგილების პრინციპები განისაზღვრება საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან კანონებით.

მუხლი 118. 1. საკანონმდებლო ინიციატივა ეკუთვნით დეპუტატებს, სენატს, რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მინისტრთა საბჭოს.

2. საკანონმდებლო ინიციატივა ასევე ეკუთვნის საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა არანაკლებ 100 000 კაციან ჯგუფს. ამ საქმეზე პროცედურა განისაზღვრება კანონით.

3. სეიმში კანონის პროექტის შეტანის ინიციატორები წარმოადგენენ მისი აღსრულების საფინანსო შედეგებს.

მუხლი 119. 1. სეიმი კანონის პროექტს იხილავს სამი მოსმენით.

2. სეიმში კანონის პროექტის განხილვისას, მასში შესწორებების წარდგენის უფლება გააჩნია პროექტის ინიციატორს, დეპუტატებსა და მინისტრთა საბჭოს.

3. სეიმის მარშალს შეუძლია უარი თქვას იმ შესწორების კენჭისყრაზე დაყენებაზე, რომელიც წინასწარ არ იყო კომისიისთვის წარდგენილი.

4. ინიციატორს შეუძლია პროექტის მეორე მოსმენით დამთავრებამდე კანონის პროექტი გამოითხოვოს სეიმის საკანონმდებლო პროცესიდან.

მუხლი 120. სეიმი ხმათა უბრალო უმრავლესობით დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით ადგენს კანონის მიღების შესახებ, თუ კონსტიტუცია სხვა უმრავლესობას არ ითვალისწინებს. ამავე წესით იღებს სეიმი დადგენილებას, თუ კანონი ან სეიმის დადგენილება სხვა რამეს არ ადგენს.

მუხლი 121. 1. სეიმის მიერ მიღებულ კანონს სეიმის მარშალი გადასცემს სენატს.

2. სენატს კანონის გადაცემიდან 30 დღის ვადაში შეუძლია მიიღოს იგი ცვლილებების გარეშე, შესწორებებით ან სრულად უარყოს. თუ სენატი კანონის გადაცემიდან 30 დღის ვადაში არ მიიღებს შესაბამის დადგენილებას, კანონი მიღებულად ითვლება სეიმის მიერ მიღებული რედაქციით.

3. კანონის უარმყოფელი სენატის დადგენილება ან სენატის დადგენილებით წარდგენილი შესწორება მიღებულად ითვლება, თუ სეიმი მას არ უარყოფს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით.

მუხლი 122. 1. 121-ე მუხლში განსაზღვრული პროცედურის დამთავრებისას სეიმის მარშალი მიღებულ კანონს ხელმოსაწერად წარუდგენს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს აწერს კანონს მისი წარდგენიდან 21 დღის ვადაში და გამოსცემს ბრძანებას „პოლონეთის რესპუბლიკის კანონთა მაცნეში" მისი გამოქვეყნების შესახებ.

3. კანონის ხელმოწერამდე რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო ტრიბუნალს კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის განხილვის თაობაზე. რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება არა აქვს უარი თქვას იმ კანონის ხელმოწერაზე, რომელიც საკონსტიტუციო ტრიბუნალმა კონსტიტუციურად სცნო.

4. რესპუბლიკის პრეზიდენტი უარს ამბობს იმ კანონის ხელმოწერაზე, რომელიც საკონსტიტუციო ტრიბუნალმა არაკონსტიტუციურად სცნო. თუ არაკონსტიტუციურობა ეხება კანონის ცალკეულ დებულებებს, ხოლო საკონსტიტუციო ტრიბუნალი არ გამოიტანს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ ისინი განუყრელად არიან დაკავშირებულნი მთლიან კანონთან, რესპუბლიკის პრეზიდენტი სეიმის მარშალის აზრის მოსმენის შემდეგ ხელს აწერს კანონს, გარდა არაკონსტიტუციურად ცნობილი დებულებისა ან შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად კანონს უბრუნებს სეიმს.

5. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი მე-3 ნაწილის თანახმად, წინადადებით არ მიმართავს საკონსტიტუციო ტრიბუნალს, მას შეუძლია მოტივირებული წინადადებით კანონი ხელახალი განხილვისათვის გადასცეს სეიმს. სეიმის მიერ 3/5-ის უმრავლესობით, დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით, კანონის შესახებ გადაწყვეტილების ხელახლა მიღების შემდეგ 7 დღის ვადაში რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს აწერს კანონს და გამოსცემს ბრძანებას „პოლონეთის რესპუბლიკის კანონთა მაცნეში" მისი გამოქვეყნების შესახებ. კანონის შესახებ სეიმის ხელახალი დადგენილების მიღების შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტს არ აქვს უფლება საკონსტიტუციო ტრიბუნალს მიმართოს მე-3 ნაწილის შესაბამისად.

6. რესპუბლიკის პრეზიდენტის საკონსტიტუციო ტრიბუნალისთვის მიმართვა წინადადებით, რათა განიხილოს კანონის კონსტიტუციურობასთან შესაბამისობის საკითხი ან სეიმისათვის წინადადებით მიმართვა, რომ ხელახლა განიხილოს იგი, აჩერებს კანონის ხელმოწერის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ვადას.

მუხლი 123. 1. მინისტრთა საბჭოს შეუძლია კანონის პროექტი ცნოს სასწრაფოდ, გარდა საგადასახადო და იმ კანონებისა, რომლებიც ეხება რესპუბლიკის პრეზიდენტის, სეიმის, სენატის და ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს, ან კანონებისა, რომლებიც არეგულირებს სახელმწიფო ხელისუფლების შემადგენლობასა და კომპეტენციას, ასევე კოდექსები.

2. სეიმისა და სენატის რეგლამენტები განსაზღვრავენ სასწრაფო პროექტების საქმეებზე საკანონმდებლო პროცედურის დეტალებს.

3. იმ კანონის სენატის მიერ განხილვის ვადა, რომლის პროექტიც სასწრაფოდ იქნა ცნობილი, შეადგენს 14 დღეს, ხოლო რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ კანონის ხელმოწერის ვადა — 7 დღეს.

მუხლი 124. სენატს შესაბამისად ეხება 110-ე, 112-ე, 113-ე და 120-ე მუხლების დებულებები.

რეფერენდუმი

მუხლი 125. 1. იმ საკითხებზე, რომლებსაც სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია, შეიძლება ჩატარდეს სრულიად პოლონეთის რეფერენდუმი.

2. სრულიად პოლონეთის რეფერენდუმის დანიშვნის უფლება აქვს სეიმს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით ან რესპუბლიკის პრეზიდენტს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით გამოხატული სენატის თანხმობით, სენატორთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებისას.

3. თუ სრულიად პოლონეთის რეფერენდუმზე მონაწილეობას მიიღებს ხმის მიცემის უფლების მქონე პირთა არა უმეტეს ნახევარი, რეფერენდუმის შედეგი საეალდებულოა.

4. სრულიად პოლონეთის რეფერენდუმის, ასევე 235-ე მუხლის მე-6 ნაწილში აღნიშნული რეფერენდუმის ნამდვილობა, მტკიცდება უზენაესი სასამართლოს მიერ.

5. რეფერენდუმის ჩატარების პრინციპები და წესი განისაზღვრება კანონით.

თავი V. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი

მუხლი 126. 1. პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი არის პოლონეთის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი და სახელმწიფო ხელისუფლების ურღვევობის გარანტი.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელს უწყობს კონსტიტუციის დაცვას, დგას სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვის, ასევე მისი ტერიტორიის ურღვევობისა და განუყოფლობის სადარაჯოზე.

3. რესპუბლიკის პრეზიდენტი ასრულებს თავის ამოცანებს კონსტიტუციასა და კანონებში განსაზღვრული მოცულობითა და პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 127. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა ერის მიერ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების გზით ფარული კენჭისყრით.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა ხუთი წლის ვადით და ხელახლა შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ ერთხელ.

3. რესპუბლიკის პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს პოლონეთის მოქალაქე, რომელმაც არჩევნების დღეს მიაღწია 35 წლის ასაკს და სრულად სარგებლობს სეიმის არჩევნებში საარჩევნო უფლებებით. კანდიდატს წამოაყენებს სეიმში აქტიური არჩევის უფლების მქონე არანაკლებ 100 000 მოქალაქე.

4. რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიცემულ ნამდვილ ხმათა არა უმეტეს ნახევარს მიიღებს. თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ მიიღებს საჭირო უმრავლესობას, პირველი კენჭისყრიდან მეთოთხმეტე დღეს ტარდება ხელახალი კენჭისყრა.

5. ხელმეორედ კენჭისყრისას არჩევანი კეთდება იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც პირველი კენჭისყრისას ხმათა უკეთესი რაოდენობა მიიღეს. თუ ამ ორი კანდიდატიდან ერთ-ერთმა უარი თქვა კენჭისყრაზე, დაკარგა საარჩევნო უფლება ან გარდაიცვალა, ხელმეორედ არჩევნებზე კენჭისყრისას მის ადგილზე დაიშვება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ კენჭისყრაზე მომდევნო საუკეთესო რაოდენობის ხმები მიიღო. ამ შემთხვევაში ხელმეორედ კენჭისყრის თარიღი გადაიდება კიდევ 14 დღით.

6. რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც ხელმეორედ კენჭისყრისას მეტ ხმებს მიიღებს.

7. კანდიდატთა წამოყენებისა და არჩევნების ჩატარების, ასევე რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ნამდვილობის პირობები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 128. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა იწყება მისი თანამდებობაზე გამწესების დღიდან.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ინიშნება სეიმის მარშალის მიერ რესპუბლიკის მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არანაკლებ 100 და არა უმეტეს 75 დღისა, ხოლო რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში — თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან არა უმეტეს თოთხმეტი დღისა, არასამუშაო დღეს, არჩევნების დანიშვნის დღიდან 60 დღის ვადაში.

მუხლი 129. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ნამდვილობა მტკიცდება უზენაესი სასამართლოს მიერ.

2. კანონში განსაზღვრული პრინციპების თანახმად, ამომრჩეველს უფლება აქვს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ნამდვილობის წინააღმდეგ საჩივრით მიმართოს უზენაეს სასამართლოს.

3. რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ბათილად ცნობის შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევის შესახებ, 128-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად, ტარდება ხელახალი არჩევნები.

მუხლი 130. რესპუბლიკის პრეზიდენტი თანამდებობას იკავებს ეროვნული კრების წინაშე შემდეგი ფიცის დადებით:

„ვიკავებ რა ერის ნებით პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობას, საზეიმოდ ვფიცავ, რომ დავიცავ კონსტიტუციის დებულებებს, ურყევად დავიცავ ერის პატივს, სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას, ხოლო მამულისა და მოქალაქეთა კეთილდღეობა ჩემთვის ყოველთვის უზენაესი ვალდებულება იქნება“.

ფიცი შეიძლება დაიდოს შემდეგი წინადადების დამატებით: „ღმერთი იყოს ჩემი მფარველი“.

მუხლი 131. 1. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტს დროებით არ შეუძლია უფლებამოსილების განხორციელება, იგი ამის შესახებ აცნობებს სეიმის მარშალს, რომელიც დროებით თავის თავზე იღებს რესპუბლიკის პრეზიდენტის ვალდებულებებს. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი არ არის იმ მდგომარეობაში, რომ სეიმის მარშალს შეატყობინოს მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შესახებ, მაშინ სეიმის მარშალის წინადადებით, რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მოვალეობის შესრულების გარემოებათა კონსტატაციის შესახებ საკითხს წყვეტს საკონსტიტუციო ტრიბუნალი. თუ საკონსტიტუციო ტრიბუნალი აღიარებს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მოვალეობის შესრულების გარდამავალ შეუძლებლობას, იგი სეიმის მარშალს ავალდებულებს დროებით შეასრულოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობა.

2. სეიმის მარშალი დროებით, რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არჩევამდე ასრულებს რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობებს შემდეგ შემთხვევებში:

1) რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდაცვალებისას;

2) რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თანამდებობაზე უარის თქმისას;

3) რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ბათილად ცნობის ან არჩევნების შემდეგ თანამდებობის დაუკავებლობის სხვა მიზეზებისას;

4) ეროვნული კრების მიერ კანონიერ წევრთა რაოდენობის არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით მიღებული დადგენილებით რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელების მუდმივი შეუძლებლობის ცნობისას;

5) სახელმწიფო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებისას.

3. თუ სეიმის მარშალს არ შეუძლია რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება, ამ ვალდებულებას თავის თავზე იღებს სენატის მარშალი.

4. პირმა, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს, არ შეიძლება უფლებამოსილება შეუწყვიტოს სეიმს.

მუხლი 132. რესპუბლიკის პრეზიდენტს არ შეუძლია დაიკავოს სხვა თანამდებობა ან შეასრულოს რაიმე სხვა სახელმწიფო ფუნქცია, გარდა იმისა, რაც დაკავშირებულია თანამდებობრივ მოვალეობებთან.

მუხლი 133. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში:

1) ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციასა და დენონსაციას, რის შესახებაც ატყობინებს სეიმსა და სენატს;

2) ნიშნავს და გამოიწვევს სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში პოლონეთის რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლებს;

3) მის წინაშე აკრედიტებული სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების დიპლომატიური წარმომადგენლებისგან იღებს რწმუნებისა და გამოწვევის სიგელებს;

2. რესპუბლიკის პრეზიდენტს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციამდე შეუძლია საკონსტიტუციო ტრიბუნალს მიმართოს წინადადებით განიხილოს საკითხი მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ.

3. რესპუბლიკის პრეზიდენტი საგარეო ურთიერთობის სფეროში თანამშრომლობს პრემიერ-მინისტრსა და კომპეტენტურ მინისტრებთან.

მუხლი 134. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი არის პოლონეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

2. მშვიდობიანობის დროს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობას რესპუბლიკის პრეზიდენტი ახორციელებს ეროვნული თავდაცვის მინისტრის მეშვეობით.

3. რესპუბლიკის პრეზიდენტი განსაზღვრული ვადით ნიშნავს გენერალური შტაბის უფროსსა და შეიარაღებული ძალების სახეობების სარდლებს. მათი უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობა, ვადის გასვლამდე დათხოვნის წესი და პირობები განისაზღვრება კანონით.

4. ომის დროს რესპუბლიკის პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წინადადებით ნიშნავს შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდალს. ამავე წესით შეუძლია მას დაითხოვოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდალი. შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლის კომპეტენცია და პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური ორგანოებისადმი ქვემდებარეობის პრინციპები განისაზღვრება კანონით.

5. რესპუბლიკის პრეზიდენტი ეროვნული თავდაცვის მინისტრის წარდგინებით ანიჭებს კანონით განსაზღვრულ სამხედრო წოდებებს.

6. შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობასთან დაკავშირებული რესპუბლიკის პრეზიდენტის კომპეტენცია დაწვრილებით განისაზღვრება კანონით.

მუხლი 135. სახელმწიფოს საშინაო და საგარეო უშიშროების სფეროში რესპუბლიკის პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წარმოადგენს ეროვნული უშიშროების საბჭო.

მუხლი 136. სახელმწიფოზე უშუალო საგარეო თავდასხმის შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წინადადებით გამოსცემს ბრძანე-

ბას საყოველთაო და ნაწილობრივი მობილიზაციისა და პოლონეთის რესპუბლიკის თავდაცვისათვის შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ.

მუხლი 137. რესპუბლიკის პრეზიდენტი ანიჭებს პოლონეთის მოქალაქეობას და გამოხატავს თანხმობას პოლონეთის მოქალაქეობაზე უარის თქმის თაობაზე.

მუხლი 138. რესპუბლიკის პრეზიდენტი აჯილდოვებს ორდენებითა და მედლებით.

მუხლი 139. რესპუბლიკის პრეზიდენტს აქვს შეწყალების უფლება. შეწყალების უფლება არ გამოიყენება სახელმწიფო ტრიბუნალის მიერ გასამართლებულ პირთა მიმართ.

მუხლი 140. რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია მიმართოს სეიმს, სენატს ან ეროვნულ კრებას. მიმართვა არ წარმოადგენს განხილვის საგანს.

მუხლი 141. 1. განსაკუთრებული აუცილებლობის საკითხებზე რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია მოიწვიოს კაბინეტის საბჭო. კაბინეტის საბჭო იქმნება მინისტრთა საბჭოსგან და იკრიბება რესპუბლიკის პრეზიდენტის ხელმძღვანელობით.

2. კაბინეტის საბჭო არ ახორციელებს მინისტრთა საბჭოს კომპეტენციას.

მუხლი 142. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი 92-ე და 93-ე მუხლებში განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად გამოსცემს განკარგულებებსა და ბრძანებებს.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტი გამოსცემს დადგენილებებს თავისი სხვა უფლებამოსილების რეალიზაციის სფეროში.

მუხლი 143. რესპუბლიკის პრეზიდენტის დამხმარე ორგანოს წარმოადგენს რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარია. რესპუბლიკის პრეზიდენტი იღებს კანცელარიის შესახებ დებულებას, ასევე ნიშნავს და გამოიწვევს რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის ხელმძღვანელს.

მუხლი 144. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი სარგებლობს რა თავისი კონსტიტუციური და საკანონმდებლო კომპეტენციით, გამოსცემს ოფიციალურ აქტებს.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტის ოფიციალური აქტები ნამდვილობისთვის საჭიროებს პრემიერ-მინისტრის ხელმოწერას, რომელიც აქტის ხელმოწერით პასუხისმგებლობას იღებს სეიმის წინაშე.

3. მე-2 ნაწილის დებულება არ ეხება:

1) სეიმისა და სენატის არჩევნების დანიშვნას;

2) ახალარჩეული სეიმისა და სენატის პირველი სხდომის მოწვევას;

3) კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში სეიმის უფლებამოსილების ვადის შეწყვეტას;

4) საკანონმდებლო ინიციატივას;

5) სრულიად პოლონეთის რეფერენდუმის დანიშვნას;

6) კანონის ხელმოწერას ან მის ხელმოწერაზე უარის თქმას;

7) კანონის ან საერთაშორისო ხელშეკრულების „პოლონეთის რესპუბლიკის კანონთა მაცნეში" გამოქვეყნების შესახებ ბრძანების გამოცემას;

8) სეიმის, სენატის ან ეროვნული კრებისთვის მოხსენებით მიმართვას;

9) საკონსტიტუციო ტრიბუნალისთვის წინადადებით მიმართვას;

10) კონტროლის უმაღლესი პალატის მიერ კონტროლის ჩატარებაზე წინადადების მიცემას;

11) პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წამოყენებას და დანიშვნას;

12) მინისტრთა საბჭოს გადადგომის მიღებას და მისთვის ვალდებულების დროებით შესრულების დაკისრებას;

13) სეიმში წინადადების შეტანას მინისტრთა საბჭოს წევრის სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე პასუხისგებაში მიცემის შესახებ;

14) მინისტრის გამოწვევას, რომელსაც სეიმმა უნდობლობა გამოუცხადა;

15) კაბინეტის საბჭოს მოწვევას;

16) ორდენებით დაჯილდოებას და ჯილდოების მინიჭებას;

17) მოსამართლის დანიშვნას;

18) შეწყალების უფლების გამოყენებას;

19) პოლონეთის მოქალაქეობის მინიჭებას და პოლონეთის მოქალაქეობაზე უარის თქმას;

20) უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარის დანიშვნას;

21) საკონსტიტუციო ტრიბუნალის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნას;

22) უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნას;

23) უზენაესი სასამართლოს, ასევე უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნას;

24) სეიმში წინადადების შეტანას პოლონეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ;

25) ფულადი პოლიტიკის საბჭოს წევრთა დანიშვნას;

26) ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრთა დანიშვნასა და გამოწვევას;

27) სრულიად პოლონეთის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საბჭოს წევრთა დანიშვნას;

28) რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის შესახებ დებულების მიღებას, ასევე რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის უფროსის დანიშვნასა და გამოწვევას;

29) 93-ე მუხლში განსაზღვრული პრინციპების შესახებ ბრძანების გამოცემას;

30) რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თანამდებობაზე უარის თქმას.

მუხლი 145. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი კონსტიტუციის ან კანონის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენისას შეიძლება მიიცეს პასუხისგებაში სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტს ბრალდება შეიძლება წარედგინოს ეროვნული კრების არანაკლებ 140 წევრის წინადადებით, რომელიც მიიღება ეროვნული კრების წევრთა კანონიერი რაოდენობის ხმათა არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობის მიერ ეროვნული კრების დადგენილებით.

3. რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე ბრალდების წარდგენის შესახებ დადგენილების მიღების დღიდან რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელება ჩერდება. ამ შემთხვევაში გამოიყენება 131-ე მუხლის დათქმა.

თავი VI. მინისტრთა საბჭო და სამთავრობო ადმინისტრაცია

მუხლი 146. 1. მინისტრთა საბჭო ახორციელებს პოლონეთის რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

2. მინისტრთა საბჭოს უფლებამოსილებაში შედის სახელმწიფო პოლიტიკის ის საკითხები, რომლებიც არ განეკუთვნება სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებს.

3. მინისტრთა საბჭო ხელმძღვანელობს სამთავრობო ადმინისტრაციას.

4. მინისტრთა საბჭო, კონსტიტუციითა და კანონებით განსაზღვრული მოცულობითა და პრინციპების შესაბამისად:

1) უზრუნველყოფს კანონების აღსრულებას;

2) გამოსცემს განკარგულებებს;

3) კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს სამთავრობო ადმინისტრაციის ორგანოთა საქმიანობას;

4) იცავს სახელმწიფო ხაზინის ინტერესებს;

5) ადგენს სახელმწიფო ბიუჯეტს;

6) ხელმძღვანელობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას, ასევე იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ანგარიშების დახურვისა და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ;

7) უზრუნველყოფს ქვეყნის შიდა უსაფრთხოებას, ასევე საზოგადოებრივ წესრიგს;

8) უზრუნველყოფს სახელმწიფოს საგარეო უსაფრთხოებას;

9) ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაკავშირებულ ურთიერთობათა სფეროში;

10) დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც საჭიროებს რატიფიკაციას, ასევე ამტკიცებს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს და ახდენს მათ დენონსაციას;

11) ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სფეროში, ასევე ყოველწლიურად განსაზღვრავს სამხედრო სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა რაოდენობას;

12) განსაზღვრავს თავისი საქმიანობის ორგანიზაციასა და წესს.

მუხლი 147. 1. მინისტრთა საბჭო შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან.

2. მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში ასევე შეიძლება დაინიშნონ ვიცე-პრემიერები.

3. პრემიერ-მინისტრმა და ვიცე-პრემიერებმა შეიძლება შეასრულონ ასევე მინისტრის ფუნქცია.

4. მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში, გარდა ამისა, შეიძლება დაინიშნონ კანონით განსაზღვრული კომიტეტების თავმჯდომარეები.

მუხლი 148. პრემიერ-მინისტრი:

1) წარმოადგენს მინისტრთა საბჭოს;

2) ხელმძღვანელობს მინისტრთა საბჭოს მოშაობას;

3) გამოსცემს განკარგულებებს;

4) უზრუნველყოფს მინისტრთა საბჭოს პოლიტიკის განხორციელებას და განსაზღვრავს მისი განხორციელების საშუალებებს;

5) ახდენს მინისტრთა საბჭოს წევრთა საქმიანობის კოორდინაციას და აკონტროლებს მათ;

6) კონსტიტუციითა და კანონებით განსაზღვრულ ფარგლებში და ფორმით ახორციელებს ზედამხედველობას ტერიტორიულ თვითმმართველობაზე;

7) არის სამთავრობო ადმინისტრაციის მოსამსახურეთა სამსახურის ხელმძღვანელი.

მუხლი 149. 1. მინისტრები ხელმძღვანელობენ სამთავრობო ადმინისტრაციის განსაზღვრულ სფეროებს ან ასრულებენ პრემიერ-მინისტრის მიერ მათთვის დაკისრებულ ამოცანებს. სამთავრობო ადმინისტრაციის სფეროს ხელმძღვანელი მინისტრის საქმიანობის არეალი განისაზღვრება კანონით.

2. სამთავრობო ადმინისტრაციის სფეროს ხელმძღვანელი მინისტრი გამოსცემს განკარგულებებს. მინისტრთა საბჭომ პრემიერ-მინისტრის წინადადებით შეიძლება გააუქმოს მინისტრის განკარგულება და ბრძანება.

3. იმ კომიტეტის თავმჯდომარის მიმართ, რომლის შესახებაც საუბარია 147-ე მუხლის მე-4 ნაწილში, შესაბამისად გამოიყენება სამთავრობო ადმინისტრაციის სფეროს ხელმძღვანელი მინისტრის შესახებ დებულებები.

მუხლი 150. მინისტრთა საბჭოს წევრმა არ შეიძლება განახორციელონ სახელმწიფოებრივი ვალდებულებების საწინააღმდეგო საქმიანობა.

მუხლი 151. პრემიერ-მინისტრი, ვიცე-პრემიერები და მინისტრები რესპუბლიკის პრეზიდენტის წინაშე დებენ შემდეგი შინაარსის ფიცს:

„ვიკავებ რა პრემიერ-მინისტრის (ვიცე-პრემიერის, მინისტრის) თანამდებობას, საზეიმოდ ვფიცავ, რომ დავიცავ პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სხვა კანონების დებულებებს, ხოლო მამულისა და მოქალაქეთა კეთილდღეობა ჩემთვის ყოველთვის იქნება უზენაესი ვალდებულება“.

ფიცი შეიძლება დაიდოს შემდეგი წინადადების დამატებით: „ღმერთი იყოს ჩემი მფარველი“.

მუხლი 152. 1. მინისტრთა საბჭოს წარმომადგენელი საეოეოდოში არის ეოეოდი.

2. ეოეოდის დანიშვნისა და გამოწვევის წესი, ასევე საქმიანობის სფერო განისაზღვრება კანონით.

მუხლი 153. 1. სახელმწიფოს პროფესიული, ნებაყოფლობითი, მოუკერძოებელი და პოლიტიკურად ნეიტრალური ამოცანების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით სამთავრობო ადმინისტრაციის დაწესებულებებში ფუნქციონირებს საჯარო მოსამსახურეთა კორპუსი.

2. პრემიერ-მინისტრი არის საჯარო მოსამსახურეთა კორპუსის ხელმძღვანელი.

მუხლი 154. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი წამოაყენებს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, რომელიც წარმოადგენს მინისტრთა საბჭოს შემადგენლობას. რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს მინისტრთა საბჭოს სხვა წევრებთან ერთად სეიმის პირველი სხდომის დღიდან ან წინა მინისტრთა საბჭოს გადადგომის მიღებიდან 14 დღის ვადაში და იღებს ახლადდანიშნულ მინისტრთა საბჭოს წევრთა ფიცს.

2. პრემიერ-მინისტრი რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშვნიდან 14 დღის ვადაში სეიმს წარუდგენს მინისტრთა საბჭოს საქმიანობის პროგრამას ნდობის ვოტუმის მისაღებად. ნდობის ვოტუმის შესახებ გადაწყვეტილებას სეიმი იღებს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით.

3. თუ პირველი ნაწილის თანახმად არ დაინიშნება მინისტრთა საბჭო ან მე-2 ნაწილით დადგენილი წესით ვერ მიიღებს იგი ნდობის ვოტუმს, პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრული ვადების გასვლიდან 14 დღის ვადაში სეიმი ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით ირჩევს პრემიერ-მინისტრს და მის მიერ წარმოდგენილ მინისტრთა საბჭოს წევრებს. რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს ამ გზით არჩეულ მინისტრთა საბჭოს და იღებს მის წევრთა ფიცს.

მუხლი 155. 1. თუ მინისტრთა საბჭო არ იქნება დანიშნული 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რესპუბლიკის პრეზიდენტი 14 დღის ვადაში ნიშნავს პრემიერ-მინისტრსა და მისი წინადადებით მინისტრთა საბჭოს დანარჩენ წევრებს და იღებს მათ ფიცს. რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ მინისტრთა საბჭოს დანიშვნიდან 14 დღის ვადაში სეიმი დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებისას ხმათა უმრავლესობით მას წარუდგენს ნდობის ვოტუმს.

2. პირველი ნაწილის თანახმად, მინისტრთა საბჭოსათვის ნდობის ვოტუმის წარუდგენლობის შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტი წყვეტს სეიმის უფლებამოსილების ვადას და ნიშნავს არჩევნებს.

მუხლი 156. 1. მინისტრთა საბჭოს წევრები პასუხისმგებელნი არიან სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე კონსტიტუციის ან კანონების დარღვევის, ასევე დაკავებულ თანამდებობასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულისათვის.

2. სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე მინისტრთა საბჭოს წევრის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებას იღებს სეიმი რესპუბლიკის პრეზიდენტის ან არანაკლებ 115 დეპუტატის წინადადებით დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის 3/5-ის ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 157. 1. მინისტრთა საბჭოს წევრები სეიმის წინაშე ატარებენ სოლიდარულ პასუხისმგებლობას მინისტრთა საბჭოს საქმიანობაზე.

2. მინისტრთა საბჭოს წევრები სეიმის წინაშე ატარებენ ასევე ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე ან პრემიერ-მინისტრის მიერ მათთვის მიცემულ დავალებებზე.

მუხლი 158. 1. სეიმი მინისტრთა საბჭოს უნდობლობის ვოტუმს უცხადებს დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის უმრავლესობით, რომელიც შეტანილია არანაკლებ 46 დეპუტატის მიერ და სადაც მითითებულია პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის ვინაობა. თუ სეიმი მიიღებს დადგენილებას, რესპუბლიკის პრეზიდენტი იღებს მინისტრთა საბჭოს გადადგომას და ნიშნავს სეიმის მიერ არჩეულ ახალ პრემიერ-მინისტრს და მისი წინადადებით მინისტრთა საბჭოს დანარჩენ წევრებს, ასევე იღებს მათ ფიცს.

2. წინადადება იმ დადგენილების მიღების შესახებ, რომელზეც საუბარია პირველ ნაწილში, შეიძლება კენჭისყრაზე დადგეს მისი შეტანის დღიდან არანაკლებ 7 დღის ვადაში. განმეორებითი წინადადება შეიძლება შეტანილ იქნეს მომდევნო წინადადების შეტანის დღიდან არანაკლებ 3 თვის ვადაში. განმეორებითი წინადადება შეიძლება შეტანილ იქნეს 3 თვის გასვლამდეც, თუ მას მოითხოვს არანაკლებ 115 დეპუტატი.

მუხლი 159. 1. სეიმს უფლება აქვს უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადოს მინისტრს. უნდობლობის ვოტუმის შესახებ წინადადება შეიძლება შეტანილ იქნეს

არანაკლებ 69 დეპუტატის მიერ. ამ შემთხვევაში გამოიყენება 158-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულება.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტი გამოიწვევს მინისტრს, რომელსაც სეიმმა დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის ხმათა უმრავლესობით გამოუცხადა უნდობლობის ვოტუმი.

მუხლი 160. პრემიერ-მინისტრს შეუძლია მიმართოს სეიმს თხოვნით მინისტრთა საბჭოსათვის ნდობის ვოტუმის გამოცხადების შესახებ. მინისტრთა საბჭოსათვის ნდობის ვოტუმის წარდგენა ხორციელდება დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებისას ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 161. რესპუბლიკის პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წინადადებით ახორციელებს მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის შეცვლას.

მუხლი 162. 1. მინისტრთა საბჭოს გადაყენების შესახებ პრემიერ-მინისტრი აცხადებს ახალარჩეული სეიმის პირველ სხდომაზე.

2. პრემიერ-მინისტრი მინისტრთა საბჭოს გადაყენების შესახებ აცხადებს ასევე შემდეგ შემთხვევებში:

1) სეიმის მიერ მინისტრთა საბჭოს გადადგომის შესახებ დადგენილების მიუღებლობისას;

2) მინისტრთა საბჭოსათვის ნდობის ვოტუმის გამოცხადებისას;

3) პრემიერ-მინისტრის გადადგომისას.

3. რესპუბლიკის პრეზიდენტი იღებს რა მინისტრთა საბჭოს გადაყენებას, ახალი მინისტრთა საბჭოს დანიშვნამდე მასვე აკისრებს ვალდებულებების შემდგომ შესრულებას.

4. მე-2 ნაწილის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია უარი თქვას მინისტრთა საბჭოს გადაყენების მიღებაზე.

თავი VII. ტერიტორიული თვითმმართველობა

მუხლი 163. ტერიტორიული თვითმმართველობა ასრულებს სახელმწიფოს ისეთ ფუნქციებს, რომლებიც კონსტიტუციითა და კანონებით სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებს არ განეკუთვნება.

მუხლი 164. 1. ტერიტორიული თვითმმართველობის ძირითად ერთეულს წარმოადგენს ოლქი (გმინი).

2. რეგიონული ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ერთეულები განისაზღვრება კანონით.

3. ოლქი ასრულებს ტერიტორიული თვითმმართველობის ყველა ამოცანას, რომელიც არ მიეკუთვნება ტერიტორიული თვითმმართველობის სხვა ერთეულებს.

მუხლი 165. 1. ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. მათ გააჩნიათ საკუთრებისა და სხვა ქონებრივი უფლებები.

2. ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულების დამოუკიდებლობა დაცულია სასამართლო წესით.

მუხლი 166. 1. სახელმწიფო ამოცანები, რომლებიც ემსახურება თვითმმართველობის საზოგადოების მოთხოვნილებებს, სრულდება ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულების მიერ, როგორც საკუთარი ამოცანები.

2. სახელმწიფო საჭიროებიდან გამომდინარე, კანონმა ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულებს შეიძლება დააკისროს სხვა სახელმწიფო დავალებების შესრულებაც. კანონით განისაზღვრება დავალებათა გადაცემის წესი და შესრულების საშუალებები.

3. ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებისა და სამთავრობო ადმინისტრაციის კომპეტენციებს შორის დავები წყდება ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ.

მუხლი 167. 1. ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულებისათვის უზრუნველყოფილია სახელმწიფო შემოსავლებში მონაწილეობა მათთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად.

2. ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულების შემოსავლებს წარმოადგენს მათი საკუთარი შემოსავლები, ასევე საერთო სუბსიდიები და მიზნობრივი დოტაციები სახელმწიფოს ბიუჯეტიდან.

3. ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულების შემოსავლის წყაროები განისაზღვრება კანონით.

4. ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულების ამოცანათა და კომპეტენციათა მოცულობის ცვლილება ხორციელდება სახელმწიფო შემოსავლების განაწილებაში შესაბამისი ცვლილებებით.

მუხლი 168. ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულებს გააჩნიათ უფლება კანონით განსაზღვრულ ფარგლებში დაადგინონ ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების ოდენობა.

მუხლი 169. 1. ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულები თავიანთ ამოცანებს ასრულებენ დამდგენი და განმკარგულებელი ორგანოების მეშვეობით.

2. დამდგენი ორგანოების არჩევნები არის საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი და ტარდება ფარული კენჭისყრით. კანდიდატთა წარდგენისა და არჩევ-

ნების ჩატარების პრინციპები და წესი, ასევე არჩევნების ნამდვილობის პირობები განისაზღვრება კანონით.

3. არჩევნების, ასევე ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების გამოწვევის პრინციპები და წესი განისაზღვრება კანონით.

4. ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულების შიდა ორგანიზაცია განისაზღვრება კანონის ფარგლებში მათი დამდგენი ორგანოების მიერ.

მუხლი 170. თვითმმართველი საზოგადოების წევრებს შეუძლიათ რეფერენდუმის გზით გადაწყვიტონ ამ საზოგადოების შესახებ საკითხები, მათ შორის პირდაპირი არჩევნებით არჩეული ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების გამოწვევის შესახებ. ადგილობრივი რეფერენდუმის ჩატარების პრინციპები და წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 171. 1. ტერიტორიული თვითმმართველობის საქმიანობა ექვემდებარება კანონიერების თვალსაზრისით ზედამხედველობას.

2. ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულთა საქმიანობაზე საზედამხედველო ორგანოებს წარმოადგენენ მინისტრთა საბჭოსა და ვოევოდის თავმჯდომარე, ხოლო საფინანსო საქმეებში – რეგიონალური კონტროლის პალატები.

3. პრემიერ-მინისტრის წინადადებით სეიმს შეუძლია დაითხოვოს ტერიტორიული თვითმმართველობის დამდგენი ორგანო, თუ იგი უხეშად არღვევს კონსტიტუციასა და კანონებს.

მუხლი 172. 1. ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულებს აქვთ გაერთიანების უფლება.

2. ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულს გააჩნია უფლება შეეიდეს საერთაშორისო გაერთიანების ადგილობრივ და რეგიონულ საზოგადოებებში, ასევე ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოთა ადგილობრივ და რეგიონულ საზოგადოებებთან.

3. პრინციპები, რომლითაც ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულებს შეუძლიათ ისარგებლონ პირველ და მე-2 ნაწილებში აღნიშნული უფლებით, განისაზღვრება კანონით.

თავი VIII. სასამართლოები და ტრიბუნალები

მუხლი 173. სასამართლოები და ტრიბუნალები წარმოადგენენ სხვა ხელისუფლების შტოებისგან განკერძოებულ და დამოუკიდებელ ხელისუფლების შტოს.

მუხლი 174. სასამართლოები და ტრიბუნალები გადაწყვეტილებას იღებენ პოლონეთის რესპუბლიკის სახელით.

სასამართლოები

მუხლი 175. 1. პოლონეთის რესპუბლიკაში მართლმსაჯულებას ახორციელებენ უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოები, ადმინისტრაციული სასამართლოები, ასევე სამხედრო სასამართლოები.

2. განსაკუთრებული სასამართლო ან დაჩქარებული პროცედურა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ ომის დროს.

მუხლი 176. 1. სამართალწარმოება არის არანაკლებ ორინსტანციანი.

2. სასამართლოთა შემადგენლობა და კომპეტენცია, ასევე სასამართლო წარმოება განისაზღვრება კანონით.

მუხლი 177. საერთო სასამართლოები მართლმსაჯულებას ახორციელებენ ყველა საქმეზე, გარდა კანონით სხვა სასამართლოებისათვის მიკუთვნებული საქმეებისა.

მუხლი 178. 1. მოსამართლეები თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელნი არიან და ექვემდებარებიან მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონებს.

2. მოსამართლეებისთვის გარანტირებულია თანამდებობრივი ღირსებისა და ვალდებულებების მოცულობის შესაბამისი შრომის პირობები და ანაზღაურება.

3. მოსამართლე არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს პოლიტიკურ პარტიას, პროფესიულ კავშირს, ახორციელებდეს სასამართლოთა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპებთან შეუთავსებელ სახელმწიფო საქმიანობას.

მუხლი 179. მოსამართლეები ინიშნებიან განუსაზღვრელი ვადით რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭოს წინადადებით.

მუხლი 180. 1. მოსამართლეები შეუცვლელნი არიან.

2. მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენებას, მისი ვალდებულებების შესრულების შეჩერებას, მისი ნების საწინააღმდეგოდ სხვა ადგილას ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

3. მოსამართლე შეიძლება გადაყენებულ იქნეს ავადმყოფობის ან თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის გამო. მისი გადაყენე-

ბის, ასევე ამ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების წესი განისაზღვრება კანონით.

4. კანონი ადგენს ასაკობრივ ზღვარს, რომლის მიღწევისას მოსამართლე უნდა გადადგეს.

5. სასამართლოთა შემადგენლობის ან სასამართლო ოლქის საზღვრების შეცვლის შემთხვევაში მოსამართლე შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა სასამართლოში ან გადაყენებულ იქნეს მისი ხელფასის სრული შენარჩუნებით.

მუხლი 181. კანონით განსაზღვრული წინასწარი თანხმობის გარეშე დაუშვებელია მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ან თავისუფლების აღკვეთა. მოსამართლე არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დანაშაულის ადგილზე წაასწრებენ და თუ მისი დაკავება აუცილებელია წარმოების მიმდინარეობის სათანადოდ უზრუნველსაყოფად. დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება კომპეტენტური ადგილობრივი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელმაც შეიძლება მოითხოვოს დაკავებულის დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

მუხლი 182. მოქალაქეთა მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში განისაზღვრება კანონით.

მუხლი 183. 1. უზენაესი სასამართლო საერთო და სამხედრო სასამართლოების საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს სასამართლო პოლიტიკის სფეროში.

2. უზენაესი სასამართლო ახორციელებს ასევე კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ სხვა საქმიანობას.

3. უზენაესი სასამართლოს პირველ თავმჯდომარეს რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს ექვსი წლის ვადით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საერთო კრების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან.

მუხლი 184. უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო, ასევე სხვა ადმინისტრაციული სასამართლოები სახელმწიფო ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებენ კანონით განსაზღვრულ სფეროში. ეს კონტროლი ასევე მოიცავს სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებას ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების მიერ დადგენილი კანონებისა და სამთავრობო ადმინისტრაციის ადგილობრივ ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 185. უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარეს ექვსი წლის ვადით ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლეთა საერთო კრების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან.

მუხლი 186. 1. სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭო დგას სასამართლოებისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის სადარაჯოზე.

2. სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭოს უფლება აქვს მიმართოს საკონსტიტუციო ტრიბუნალს წინადადებით, განიხილოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი, იმ სფეროში, რომელშიც ისინი ეხება სასამართლოთა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობას.

მუხლი 187. 1. სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭო შედგება:

1) უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარის, იუსტიციის მინისტრის, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული ერთი პირისაგან;

2) უზენაესი სასამართლოს, საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული სასამართლოებისა და სამხედრო სასამართლოების შემადგენლობიდან არჩეული თხუთმეტი წევრისაგან;

3) სეიმის მიერ დეპუტატთაგან არჩეული ოთხი წევრისაგან, ასევე სენატის მიერ სენატორთაგან არჩეული ორი წევრისაგან.

2. სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭო თავის წევრთაგან ირჩევს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის ორ მოადგილეს.

3. სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭოს არჩევით წევრთა უფლებამოსილების ვადა შეადგენს ოთხ წელს.

4. სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭოს შემადგენლობა, საქმიანობის სფერო და მუშაობის წესი, ასევე მის წევრთა არჩევის წესი განისაზღვრება კანონით.

საკონსტიტუციო ტრიბუნალი

მუხლი 188. საკონსტიტუციო ტრიბუნალი წყვეტს შემდეგ საქმეებს:

1) კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისობას კონსტიტუციასთან;

2) კანონების შესაბამისობას რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, რომელთა რატიფიკაციაც კანონის თანახმად საჭიროებს წინასწარ თანხმობას;

3) ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული აქტების შესაბამისობას კონსტიტუციასთან, რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და კანონებთან;

4) პოლიტიკური პარტიის მიზნისა და საქმიანობის შესაბამისობას კონსტიტუციასთან;

5) საკონსტიტუციო სარჩელის თაობაზე, რომელზეც საუბარია 79-ე მუხლის პირველ ნაწილში.

მუხლი 189. საკონსტიტუციო ტრიბუნალი წყვეტს დავებს სახელმწიფოს ცენტრალურ კონსტიტუციურ ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე.

მუხლი 190. 1. საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას გააჩნია ზოგადსავალდებულო ძალა და საბოლოოა.

2. 188-ე მუხლში ჩამოთვლილ საქმეებზე საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება ექვემდებარება იმ ოფიციალურ ორგანოში დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას, რომელშიც გამოქვეყნებული იყო ნორმატიული აქტი. თუ აქტი არ იყო გამოქვეყნებული, გადაწყვეტილება ქვეყნდება პოლონეთის რესპუბლიკის ოფიციალურ მაცნეში „პოლონური მონიტორი".

3. საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, თუმცა საკონსტიტუციო ტრიბუნალმა შეიძლება განსაზღვროს ნორმატიული აქტის სავალდებულო ძალის დაკარგვის სხვა ვადაც. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს თვრამეტ თვეს, როდესაც საქმე ეხება კანონს, ხოლო ოც თვეს — სხვა ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით. საბიუჯეტო კანონში გაუთვალისწინებელ ფინანსურ ხარჯებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესახებ საკონსტიტუციო ტრიბუნალი ნორმატიული აქტის სავალდებულო ძალის დაკარგვის ვადას განსაზღვრავს მინისტრთა საბჭოს აზრის გაცნობის შემდეგ.

4. საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება კონსტიტუციასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებასთან ან კანონთან იმ ნორმატიული აქტის შეუსაბამობის შესახებ, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა სასამართლოს გადაწყვეტილება, საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილება სხვა საქმეებზე, წარმოადგენს წარმოების განახლების ან სხვა სახის გადაწყვეტილებების უარყოფის საფუძველს, მოცემულ წარმოებას მიკუთვნებულ ჩანაწერში განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

5. საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 191. 1. 188-ე მუხლში აღნიშნულ საქმეებზე საკონსტიტუციო ტრიბუნალს შეიძლება მიმართონ:

1) რესპუბლიკის პრეზიდენტმა, სეიმის მარშალმა, სენატის მარშალმა, პრემიერ-მინისტრმა, 50 დეპუტატმა, უზენაესი სასამართლოს პირველმა თავმჯდომარემ, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარემ, გენერალურმა პროკურორმა, კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარემ, მოქალაქეთა უფლებებში უფლებამოსილმა;

2) სრულიად პოლონეთის სასამართლო საბჭომ 186-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული სფეროს შესახებ;

3) ტერიტორიული თვითმმართველობის ერთეულის დამდგენმა ორგანომ;

4) სრულიად პოლონეთის პროფესიული კავშირის ორგანოებმა, ასევე დამსაქმებელთა და პროფესიული ორგანიზაციების სრულიად პოლონეთის ორგანოებმა;

5) ეკლესიამ და სხვა აღმსარებლობითმა კავშირებმა;

6) 79-ე მუხლში განსაზღვრულმა სუბიექტებმა, ამავე მუხლში განსაზღვრული მოცულობით.

2. პირველი ნაწილის მე-3—მე-5 პუნქტებში აღნიშნულ სუბიექტებს შეუძლიათ ამგვარი წინადადებით მიმართონ, თუ ნორმატიული აქტი ეხება მათ სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს.

მუხლი 192. 189-ე მუხლში აღნიშნულ საქმეებზე საკონსტიტუციო ტრიბუნალისთვის წინადადებით მიმართვა შეუძლია: რესპუბლიკის პრეზიდენტს, სეიმის მარშალს, სენატის მარშალს, პრემიერ-მინისტრს, უზენაესი სასამართლოს პირველ თავმჯდომარეს, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარესა და კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარეს.

მუხლი 193. ყველა სასამართლოს აქვს უფლება საკონსტიტუციო ტრიბუნალში შეიტანოს სამართლებრივი საკითხი, რომელიც ეხება ნორმატიული აქტის შესაბამისობას კონსტიტუციასთან, რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან ან კანონთან, თუ სამართლებრივი საკითხის პასუხზე დამოკიდებულია სასამართლოს მიერ განსახილველი საქმის გადაწყვეტა.

მუხლი 194. 1. საკონსტიტუციო ტრიბუნალი შედგება სეიმის მიერ 9 წლის ვადით ინდივიდუალურად არჩეული იურიდიული განათლების მქონე 15 მოსამართლისაგან. დაუშვებელია ტრიბუნალის შემადგენლობაში ხელახლა არჩევა.

2. საკონსტიტუციო ტრიბუნალის თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს საკონსტიტუციო ტრიბუნალის მოსამართლეთა საერთო კრების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან.

მუხლი 195. 1. საკონსტიტუციო ტრიბუნალის მოსამართლეები თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კონსტიტუციას.

2. საკონსტიტუციო ტრიბუნალის მოსამართლეებისთვის უზრუნველყოფილია თანამდებობრივი ღირსებისა და ვალდებულებების მოცულობის შესაბამისი შრომის პირობები და ანაზღაურება.

3. საკონსტიტუციო ტრიბუნალის მოსამართლეები თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში არ შეიძლება მიეკუთვნებოდნენ პოლიტიკურ პარტიას ან პროფესიულ კავშირს, ახორციელებდნენ სასამართლოებისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპებთან შეუსაბამო სახელმწიფო საქმიანობას.

მუხლი 196. საკონსტიტუციო ტრიბუნალის მოსამართლე, საკონსტიტუციო ტრიბუნალის წინასწარი თანხმობის გარეშე, არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან აღეკვეთის თავისუფლება. მოსამართლე არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც და-

ნაშაულის ადგილზე წაასწრებენ, თუ მისი დაკავება აუცილებელია წარმოების მიმდინარეობის სათანადოდ უზრუნველსაყოფად. დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება საკონსტიტუციო ტრიბუნალის თავმჯდომარეს, რომელსაც შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დაკავებულის დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ.

მუხლი 197. საკონსტიტუციო ტრიბუნალის ორგანიზაცია და წარმოების წესი განისაზღვრება კანონით.

სახელმწიფო ტრიბუნალი

მუხლი 198. 1. დაკავებული თანამდებობის ან თანამდებობრივი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით კონსტიტუციისა და კანონის დარღვევისათვის სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე კონსტიტუციური პასუხისმგებლობა ეკისრებათ: რესპუბლიკის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, ასევე მინისტრთა საბჭოს წევრებს, პოლონეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარეს, კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარეს, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სრულიად პოლონეთის საბჭოს წევრებს, პირებს, რომელთაც პრემიერ-მინისტრმა მიანდო სამინისტროების ხელმძღვანელობა, ასევე შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს.

2. სახელმწიფო ტრიბუნალის წინაშე 107-ე მუხლში განსაზღვრული მოცულობით კონსტიტუციური პასუხისმგებლობა ეკისრებათ ასევე დეპუტატებსა და სენატორებს.

3. სახელმწიფო ტრიბუნალის მიერ დასანიშნი სასჯელის სახეები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 199. 1. სახელმწიფო ტრიბუნალი შედგება დეპუტატთა და სენატორთა შემადგენლობიდან სეიმის მიერ თავისი უფლებამოსილების ვადით არჩეული თავმჯდომარის, 2 თავმჯდომარის მოადგილისა და 16 წევრისაგან. ტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილეებს უნდა გააჩნდეთ მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კვალიფიკაცია.

2. სახელმწიფო ტრიბუნალის თავმჯდომარეა უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე.

3. სახელმწიფო ტრიბუნალის წევრები სახელმწიფო ტრიბუნალის მოსამართლის ფუნქციის განხორციელებისას დამოუკიდებლები არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონებს.

მუხლი 200. დაუშვებელია სახელმწიფო ტრიბუნალის წევრის სახელმწიფო ტრიბუნალის წინასწარი თანხმობის გარეშე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ან თავისუფლების აღკვეთა. სახელმწიფო ტრიბუნალის წევრი არ

შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დანაშაულის ადგილზე წაასწრებენ, თუ მისი დაკავება აუცილებელია წარმოების მიმდინარეობის სათანადოდ უზრუნველსაყოფად. დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება სახელმწიფო ტრიბუნალის თავმჯდომარეს, რომელსაც შეუძლია დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს დაკავებული.

მუხლი 201. სახელმწიფო ტრიბუნალის ორგანიზაცია და წარმოების წესი განისაზღვრება კანონით.

თავი IX. სახელმწიფო კონტროლისა და უფლებების დაცვის ორგანოები

კონტროლის უმაღლესი პალატა

მუხლი 202. 1. კონტროლის უმაღლესი პალატა წარმოადგენს სახელმწიფო კონტროლის უმაღლეს ორგანოს.

2. კონტროლის უმაღლესი პალატა ექვემდებარება სეიმს.

3. კონტროლის უმაღლესი პალატა მოქმედებს კოლეგიალურობის პრინციპით.

მუხლი 203. 1. კონტროლის უმაღლესი პალატა აკონტროლებს სამთავრობო ადმინისტრაციის ორგანოების, პოლონეთის ეროვნული ბანკის, სახელმწიფო იურიდიული პირებისა და სხვა სახელმწიფოს ორგანიზაციული ერთეულების საქმიანობას კანონიერების, ეკონომიურობისა და კეთილსინდისიერების თვალსაზრისით.

2. კონტროლის უმაღლესი პალატა შეიძლება აკონტროლებდეს ტერიტორიული კომუნალური ორგანოების, კომუნალური იურიდიული პირებისა და სხვა კომუნალური ორგანიზაციული ერთეულების საქმიანობას კანონიერების, ეკონომიურობისა და კეთილსინდისიერების თვალსაზრისით.

3. კონტროლის უმაღლესი პალატა კანონიერებისა და ეკონომიურობის თვალსაზრისით ასევე შეიძლება აკონტროლებდეს სხვა ორგანიზაციული ერთეულებისა და სამეურნეო სუბიექტების საქმიანობას, იმ ფარგლებში, რამდენადაც ისინი სარგებლობენ სახელმწიფო და კომუნალური ქონებით ან რესურსებით, ასევე სახელმწიფოს სასარგებლოდ ფინანსური ვალდებულებიდან გამომდინარე.

მუხლი 204. 1. კონტროლის უმაღლესი პალატა სეიმს წარუდგენს:

1) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და ფულადი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ანალიზს;

2) დასკვნას მინისტრთა საბჭოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;

3) ინფორმაციას კანონით განსაზღვრული კონტროლის შედეგების, წარდგინებისა და მიმართვის შესახებ.

2. კონტროლის უზენაესი პალატა ყოველწლიურად წარუდგენს სეიმს თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

მუხლი 205. 1. კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარე ინიშნება სეიმის მიერ სენატის თანხმობით 6 წლის ვადით და ხელმეორედ შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ერთხელ.

2. კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარემ არ შეიძლება დაიკავოს სხვა თანამდებობა, გარდა უმაღლესი სკოლის პროფესორის თანამდებობისა, და განახორციელოს სხვა პროფესიული საქმიანობა.

3. კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარე არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს პოლიტიკურ პარტიას, პროფესიულ კავშირს, აწარმოებდეს თანამდებობრივ ღირებასთან შეუთავსებელ სახელმწიფო საქმიანობას.

მუხლი 206. დაუშვებელია კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარის სეიმის წინასწარი თანხმობის გარეშე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ან თავისუფლების აღკვეთა. კონტროლის უმაღლესი პალატის თავმჯდომარე არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დანაშაულის ადგილზე წაასწრებენ და თუ მისი დაკავება აუცილებელია წარმოების მიმდინარეობის სათანადოდ უზრუნველსაყოფად. დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება სეიმის მარშალს, რომელსაც შეუძლია დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს დაკავებული.

მუხლი 207. კონტროლის უმაღლესი პალატის ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

მოქალაქეთა უფლებებში უფლებამოსილი

მუხლი 208. 1. მოქალაქეთა უფლებებში უფლებამოსილი დგას კონსტიტუციით, ასევე სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებებისა და უფლებების სადარაჯოზე.

2. მოქალაქეთა უფლებებში უფლებამოსილის საქმიანობის სფერო და წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 209. 1. მოქალაქეთა უფლებებში უფლებამოსილი ინიშნება სეიმის მიერ სენატის თანხმობით 5 წლის ვადით.

2. მოქალაქეთა უფლებებში უფლებამოსილმა არ შეიძლება დაიკავოს სხვა თანამდებობა, გარდა უმაღლესი სკოლის პროფესორის თანამდებობისა, და განახორციელოს სხვა პროფესიული საქმიანობა.

3. მოქალაქეთა უფლებებში უფლებამოსილი არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს პოლიტიკურ პარტიას, პროფესიულ კავშირს, ასრულებდეს თანამდებობრივ ღირსებასთან შეუთავსებელ სახელმწიფო საქმიანობას.

მუხლი 210. მოქალაქეთა უფლებებში უფლებამოსილი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, არ ექვემდებარება სხვა სახელმწიფო ორგანოებს და კანონით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად პასუხისმგებელია მხოლოდ სეიმის წინაშე.

მუხლი 211. დაუშვებელია მოქალაქეთა უფლებებში უფლებამოსილის სეიმის წინასწარი თანხმობის გარეშე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ან თავისუფლების აღკვეთა. მოქალაქეთა უფლებებში უფლებამოსილი არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დანაშაულის ადგილზე წაასწრებენ და თუ მისი დაკავება აუცილებელია წარმოების მიმდინარეობის სათანადოდ უზრუნველსაყოფად. დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება სეიმის მარშალს, რომელსაც შეუძლია დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს დაკავებული.

მუხლი 212. მოქალაქეთა უფლებებში უფლებამოსილი ყოველწლიურად აწვდის ინფორმაციას სეიმსა და სენატს თავისი საქმიანობის შესახებ, ასევე ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებებისა და უფლებების მდგომარეობის დაცვის შესახებ.

რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სრულიად პოლონეთის საბჭო

მუხლი 213. 1. რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სრულიად პოლონეთის საბჭო დგას სიტყვის თავისუფლების, ინფორმაციის უფლების, ასევე რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საზოგადოებრივი ინტერესის სადარაჯოზე.

2. რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სრულიად პოლონეთის საბჭო გამოსცემს განკარგულებებს, ხოლო ინდივიდუალურ საქმეებზე იღებს დადგენილებებს.

მუხლი 214. 1. რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სრულიად პოლონეთის საბჭოს წევრები ინიშნებიან სეიმის, სენატისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ.

2. რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სრულიად პოლონეთის საბჭოს წევრი არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს პოლიტიკურ პარტიას, პროფესიულ კავშირს, აწარმოებდეს შესასრულებელი ფუნქციის ღირსებასთან შეუთავსებელ სახელმწიფო საქმიანობას.

მუხლი 215. რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სრულიად პოლონეთის საბჭოს საქმიანობის პრინციპები და წესი, ორგანიზაცია, ასევე მის წევრთა დანიშვნის დეტალური პრინციპები განისაზღვრება კანონით.

თავი X. სახელმწიფო ფინანსები

მუხლი 216. 1. ფინანსური საშუალებები იკრიბება სახელმწიფო მიზნებისათვის და იხარჯება კანონით განსაზღვრული წესით.

2. უძრავი ქონების, წილებისა და აქციების მიღება, გასაღება და დატვირთვა, ასევე სახელმწიფო ხაზინის, პოლონეთის ეროვნული ბანკის ან სხვა სახელმწიფო იურიდიული პირების ფასიანი ქაღალდების ემისია მიმდინარეობს კანონით განსაზღვრული პრინციპებისა და წესის შესაბამისად.

3. მონოპოლიის დადგენა ხორციელდება კანონით.

4. სახელმწიფოს მიერ სესხის აღება, ასევე საფინანსო გარანტიებისა და თავდებობის მინიჭება ხორციელდება კანონით განსაზღვრული პრინციპებისა და წესის შესაბამისად.

5. დაუშვებელია სესხის აღება ან საფინანსო გარანტიებისა და თავდებობის მინიჭება, რომელთა შედეგად სახელმწიფოს საჯარო ვალი აღემატება ეროვნული შიდა პროდუქტის წლიური ღირებულების 3/5-ს. ეროვნული შიდა პროდუქტის წლიური ღირებულების, ასევე სახელმწიფოს საჯარო ვალის გამოთვლის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 217. გადასახადებითა და სხვა სახელმწიფო მოსაკრებლებით დაბეგვრა, გადასახადითა და საგადასახადო განაკვეთებით დასაბეგრ სუბიექტთა განსაზღვრა, ასევე შეღავათების აღიარებისა და ნარჩენი გადასახადის ბათილობის პრინციპები და გადასახადებისგან განთავისუფლებულ სუბიექტთა კატეგორიები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 218. სახელმწიფო ხაზინის ორგანიზაცია და ქონების მართვის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 219. 1. სეიმი სახელმწიფო ბიუჯეტს იღებს საბიუჯეტო კანონის ფორმით საბიუჯეტო წელს.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავების პრინციპები და წესი, მისი დაწვრილებითობის ხარისხი და მოთხოვნები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს საბიუჯეტო კანონის პროექტი, ასევე საბიუჯეტო კანონის აღსრულების პრინციპები და წესი განისაზღვრება კანონით.

3. გამონაკლის შემთხვევებში სახელმწიფოს შემოსავლები და გასავლები არანაკლებ ერთი წლის ვადით შეიძლება განისაზღვროს დროებითი ბიუჯეტის შესახებ კანონით. ჩანაწერები, რომლებიც ეხება საბიუჯეტო კანონის პროექტს,

შესაბამისად გამოიყენება დროებითი ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტისთვისაც.

4. თუ საბიუჯეტო კანონი ან დროებითი ბიუჯეტის შესახებ კანონი არ შევა ძალაში საბიუჯეტო წლის დაწყების დღეს, მინისტრთა საბჭო სახელმწიფო ფინანსებს აწარმოებს შეტანილი კანონის პროექტის საფუძველზე.

მუხლი 220. 1. მინისტრთა საბჭოს მიერ დაგეგმილი გასავლების ზრდა ან შემოსავლების შეზღუდვა არ შეიძლება წარიმართოს სეიმის მიერ იმ საფინანსო დეფიციტის დადგენით, რაც გათვალისწინებულია საბიუჯეტო კანონის პროექტში.

2. საბიუჯეტო კანონმა შეიძლება გაითვალისწინოს საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვა სახელმწიფოს ცენტრალური ბანკის წინაშე ვალდებულების აღების გზით.

მუხლი 221. საბიუჯეტო, დროებით საბიუჯეტო, სახელმწიფოს მიერ ვალის აღების, ასევე მათთვის ფინანსური გარანტიების მინიჭების შესახებ კანონებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნია მხოლოდ მინისტრთა საბჭოს.

მუხლი 222. მინისტრთა საბჭოს საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არა უმეტეს 2 თვისა სეიმში შეაქვს შემდგომი წლის საბიუჯეტო კანონის პროექტი. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია პროექტის მოგვიანებით შეტანაც.

მუხლი 223. სენატმა საბიუჯეტო კანონში ცვლილებები უნდა მიიღოს მისი გადმოცემიდან 20 დღის განმავლობაში.

მუხლი 224. 1. რესპუბლიკის პრეზიდენტი 7 დღის ვადაში ხელს აწერს სეიმის მარშალის მიერ წარდგენილ საბიუჯეტო კანონს ან დროებითი ბიუჯეტის შესახებ კანონს. საბიუჯეტო კანონთან ან დროებითი ბიუჯეტის შესახებ კანონთან დაკავშირებით არ გამოიყენება 122-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულება.

2. რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ საკონსტიტუციო ტრიბუნალისათვის მიმართვის შემთხვევაში საბიუჯეტო კანონის ან დროებითი ბიუჯეტის შესახებ კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობას ტრიბუნალი წყვეტს მის ხელმოწერამდე, წინადადების ტრიბუნალისთვის გაგზავნის დღიდან არანაკლებ 2 თვის ვადაში.

მუხლი 225. თუ საბიუჯეტო კანონის პროექტის სეიმში შეტანის დღიდან 4 თვის განმავლობაში იგი ხელმოსაწერად არ წარედგენა რესპუბლიკის პრეზიდენტს, მას შეუძლია 14 დღის ვადაში გამოსცეს ბრძანება სეიმის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 226. 1. მინისტრთა საბჭო საბიუჯეტო წლის დამთავრების შემდეგ 5 თვის ვადაში სეიმს წარუდგენს საბიუჯეტო კანონის შესრულების შესახებ ანგარიშს, სახელმწიფოს დავალიანების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად.

2. სეიმი იხილავს წარდგენილ ანგარიშს და კონტროლის უმაღლესი პალატისათვის დასკვნის გასაცნობად ანგარიშის სეიმისათვის წარდგენიდან 90 დღის ვადაში იღებს დადგენილებას მისი დამტკიცების ან არდამტკიცების შესახებ.

მუხლი 227. 1. სახელმწიფოს ცენტრალური ბანკი არის პოლონეთის ეროვნული ბანკი. მას ეკუთვნის ფულის ემისიის, ასევე სავალუტო პოლიტიკის დადგენისა და რეალიზაციის განსაკუთრებული უფლება. პოლონეთის ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია პოლონური ვალუტის ღირებულებაზე.

2. პოლონეთის ეროვნული ბანკის ორგანოებია: პოლონეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარე, სავალუტო პოლიტიკის საბჭო, ასევე პოლონეთის ეროვნული ბანკის მმართველობა.

3. პოლონეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარე ინიშნება სეიმის მიერ რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით 6 წლის ვადით.

4. პოლონეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარე არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს პოლიტიკურ პარტიას, პროფესიულ კავშირს, ახორციელებდეს თანამდებობრივი ღირსებისათვის შეუფერებელ საქმიანობას.

5. სავალუტო პოლიტიკის საბჭოს შემადგენლობაში შედიან პოლონეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარე, როგორც თავმჯდომარე, ასევე ფინანსების სფეროში გამორჩეული პირები, რომლებიც ინიშნებიან 6 წლის ვადით, რესპუბლიკის პრეზიდენტის, სეიმისა და სენატის მიერ თანაბარი რაოდენობით.

6. სავალუტო პოლიტიკის საბჭო ყოველწლიურად ადგენს სავალუტო პოლიტიკის ძირითად დებულებებს და ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტთან ერთად განსახილველად წარუდგენს სეიმს. სავალუტო პოლიტიკის საბჭო საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე 5 თვით ადრე სეიმს წარუდგენს ანგარიშს სავალუტო პოლიტიკის ძირითადი დებულებების შესრულების შესახებ.

7. პოლონეთის ეროვნული ბანკის საქმიანობის ორგანიზაცია და პრინციპები, ასევე მის ორგანოთა დანიშვნისა და განთავისუფლების სხვა პრინციპები განისაზღვრება კანონით.

თავი XI. საგანგებო დებულებები

მუხლი 228. 1. განსაკუთრებით საშიშ სიტუაციებში, თუ ჩვეულებრივი საკონსტიტუციო საშუალებები არასაკმარისია, შეიძლება შემოღებულ იქნეს შესაბამისი განსაკუთრებული მდგომარეობა: საომარი მდგომარეობა, საგანგებო მდგომარეობა ან სტიქიური უბედურების მდგომარეობა.

2. განსაკუთრებული მდგომარეობა შეიძლება შემოღებულ იქნეს მხოლოდ კანონის საფუძველზე, განკარგულებით, რომელიც დამატებით ექვემდებარება საყოველთაო გაცნობას.

3. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის პრინციპები, ასევე მოცულობა, რომლითაც კონკრეტული განსაკუთრებული მდგომარეობისას შეიძლება შეიზღუდოს ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებები და უფლებები, განისაზღვრება კანონით.

4. კანონმა შეიძლება განსაზღვროს იმ ქონებრივი დანაკარგების კომპენსაციის საფუძველი, მოცულობა და წესი, რომელიც გამომდინარეობს განსაკუთრებული მდგომარეობის დროს ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებათა და უფლებათა შეზღუდვიდან.

5. განსაკუთრებული მდგომარეობის შემოღების შედეგად განხორციელებული ქმედებები უნდა პასუხობდეს საფრთხის ხარისხს და მიმართული იყოს სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების შეძლებისდაგვარად სწრაფად აღდგენისკენ.

6. განსაკუთრებული მდგომარეობის დროს არ შეიძლება შეიცვალოს: კონსტიტუცია, სეიმის, სენატისა და ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შესახებ დებულებები, კანონი რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის შესახებ, ასევე საგანგებო დებულებები.

7. განსაკუთრებული მდგომარეობის დროს, ასევე მისი დამთავრებიდან 90 დღის ვადაში არ შეიძლება შეწყდეს სეიმის უფლებამოსილების ვადა, ჩატარდეს სრულიად პოლონეთის რეფერენდუმი, სეიმის, სენატის, ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები, ხოლო ამ ორგანოთა უფლებამოსილების ვადები — გაგრძელდეს. ტერიტორიული თვითმმართველობის შესახებ არჩევნების ჩატარება მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, სადაც განსაკუთრებული მდგომარეობა არ ვრცელდება.

მუხლი 229. სახელმწიფოს საგარეო საფრთხისა და პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევებში ან როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს აგრესიის წინააღმდეგ ერთობლივი თავდაცვის ვალდებულება, რესპუბლიკის პრეზიდენტი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში მინისტრთა საბჭოს წინადადებით შემოიღებს საომარ მდგომარეობას.

მუხლი 230. 1. თუ საფრთხე ექმნება სახელმწიფოს კონსტიტუციურ წყობილებას, მოქალაქეთა უსაფრთხოებას ან საზოგადოებრივ წესრიგს, რესპუბლიკის პრეზიდენტს მინისტრთა საბჭოს წინადადებით უფლება აქვს განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს, სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში შემოიღოს საგანგებო მდგომარეობა.

2. საგანგებო მდგომარეობის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ სეიმის თანხმობით და არა უმეტეს 60 დღის ვადით.

მუხლი 231. სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ განკარგულებას რესპუბლიკის პრეზიდენტი სეიმს წარუდგენს მისი ხელმოწერიდან 48 საათის განმავლობაში. სეიმი დაუყოვნებლივ იხილავს რესპუბლიკის პრეზიდენტის განკარგულებას. სეიმს მისი უარყოფა შეუძლია ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებისას.

მუხლი 232. ბუნებრივი კატასტროფების ან ტექნიკური ავარიის შედეგების აცილების მიზნით, რომლებმაც შეიძლება მოიტანონ სტიქიური უბედურების შედეგი, ასევე მათი ლიკვიდაციის მიზნით, მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 30 დღისა, სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე შემოიღოს სტიქიური უბედურების მდგომარეობა. ამ მდგომარეობის გაგრძელება შესაძლებელია სეიმის თანხმობით.

მუხლი 233. 1. კანონმა, რომელიც განსაზღვრავს სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებებისა და უფლებების შეზღუდვის მოცულობას, არ შეიძლება შეზღუდოს 30-ე მუხლში (ადამიანის ღირსება), 34-ე და 36-ე მუხლებში (მოქალაქეობა), 38-ე მუხლში (ცხოვრების დაცვა), 39-ე და მე-40 მუხლებსა და 41-ე მუხლის მე-4 ნაწილში (პუმანური მიმართვა), 42-ე მუხლში (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება), 45-ე მუხლში (სასამართლოსათვის მიმართვა), 53-ე მუხლში (სინდისი და რელიგია), 63-ე მუხლში (პეტიცია), ასევე 48-ე და 72-ე მუხლებში (ოჯახი და ბავშვი) განსაზღვრული თავისუფლებები და უფლებები.

2. დაუშვებელია ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებებისა და უფლებების შეზღუდვა რასის, სქესის, ენის, აღმსარებლობის (ან მისი უარყოფის) ან სოციალური წარმომავლობის, დაბადების, ასევე ქონების გამო.

3. კანონმა, რომელიც სტიქიური უბედურების დროს განსაზღვრავს ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებებისა და უფლებების შეზღუდვის მოცულობას, შეიძლება შეზღუდოს 22-ე მუხლით (ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება), 41-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-5 ნაწილებით (პირადი თავისუფლება), 50-ე მუხლით (საცხოვრებელი ადგილის თავისუფლება), 52-ე მუხლის პირველი ნაწილით (პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაადგილებისა და ყოფნის თავისუფლება), 59-ე მუხლის მე-3 ნაწილით (გაფიცვის თავისუფლება), 64-ე მუხლით (საკუთრების უფლება), 65-ე მუხლის პირველი ნაწილით (შრომის თავისუფლება), 66-ე მუხლის პირველი ნაწილით (შრომის უსაფრთხო და ჰიგიენური პირობები), ასევე 66-ე მუხლის მე-2 ნაწილით (დასვენების უფლება) გათვალისწინებული თავისუფლებები და უფლებები.

მუხლი 234. 1. თუ საომარი მდგომარეობის დროს სეიმი ვერ შეძლებს სხდომაზე შეკრებას, რესპუბლიკის პრეზიდენტი მინისტრთა საბჭოს წინადადებით გამოსცემს კანონის ძალის მქონე განკარგულებას 228-ე მუხლის მე-3-5 ნა-

წილებში განსაზღვრული მოცულობითა და ფარგლებში. ეს განკარგულებები ექვემდებარება სეიმის მიერ უახლოეს სხდომაზე დამტკიცებას.

2. განკარგულებას, რომლის შესახებაც საუბარია პირველ ნაწილში, გააჩნია ზოგად სავალდებულო სამართლის წყაროს ხასიათი.

თავი XII. კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 235. 1. კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტი შეიძლება შეიტანოს დეპუტატთა არანაკლებ 1/5-მა, სენატმა ან რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

2. კონსტიტუციის გადასინჯვა ხდება კანონით, რომელიც ერთნაირი რედაქციით მიიღება სეიმის, ხოლო შემდეგ, არა უმეტეს 60 დღის ვადაში, სენატის მიერ.

3. კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის პირველი მოსმენა უნდა შედგეს სეიმში პროექტის შეტანის დღიდან არანაკლებ 30 დღის ვადაში.

4. კონსტიტუციის შესწორების შესახებ კანონი სეიმის მიერ მიიღება ხმათა 2/3-ის უმრავლესობით დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით, ხოლო სენატის მიერ — ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით სენატორთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით.

5. სეიმის მიერ იმ კანონპროექტის მიღება, რომელიც ცვლის კონსტიტუციის I, II ან XII თავებს, შეიძლება განხორციელდეს ამ კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღებიდან არანაკლებ სამოცი დღის ვადაში.

6. თუ კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ კანონი ეხება I, II ან XII თავების დებულებებს, პირველ ნაწილში განსაზღვრულ სუბიექტებს შეუძლიათ სენატის მიერ კანონის მიღებიდან 45 დღის ვადაში მოითხოვონ დამდგენი რეფერენდუმის ჩატარება. ამ წინადადებით აღნიშნული სუბიექტები მიმართავენ სეიმის მარშალს, რომელიც წინადადების შეტანიდან 60 დღის ვადაში დაუყოვნებლივ ნიშნავს რეფერენდუმს. კონსტიტუციის გადასინჯვა მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობა.

7. მე-4 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული პროცედურის დამთავრების შემდეგ სეიმის მარშალი მიღებულ კანონს ხელმოსაწერად წარუდგენს რესპუბლიკის პრეზიდენტს. რესპუბლიკის პრეზიდენტი კანონს ხელს აწერს მისი წარდგენიდან 21 დღის ვადაში და გამოსცემს ბრძანებას „პოლონეთის რესპუბლიკის კანონთა მაცნეში" მისი გამოქვეყნების შესახებ.

მუხლი 236. 1. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში მინისტრთა საბჭო სეიმს წარუდგენს კონსტიტუციის მისაღებად აუცილებელ კანონპროექტებს.

2. 176-ე მუხლის პირველი ნაწილის ცხოვრებაში გასატარებელი კანონები ადმინისტრაციული სასამართლოების წარმოების სფეროსთან დაკავშირებით წარდგენილ უნდა იქნეს კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან 5 წლის მანძილზე. ამ კანონების ძალაში შესვლამდე მოქმედებს უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილების საგანგებო გადასინჯვასთან დაკავშირებული დებულებები.

მუხლი 237. 1. კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან 4 წლის მანძილზე გადაცდომის შესახებ საქმეებზე გადაწყვეტილება მიიღება რაიონული სასამართლოების გადაცდომის საქმეთა კოლეგიების მიერ, თუმცა დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილებას მხოლოდ სასამართლო იღებს.

2. კოლეგიის გადაწყვეტილებაზე საჩივარს განიხილავს სასამართლო.

მუხლი 238. 1. სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციური ორგანოებისა და მათში შემავალ იმ პირთა უფლებამოსილების ვადა, რომლებიც არჩეული ან დანიშნულია არიან ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე, იწურება კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღემდე მოქმედი დებულებებით დადგენილი ვადის გასვლისას.

2. იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღემდე მოქმედი დებულებები არ ადგენს უფლებამოსილების ვადას, ხოლო არჩევისა თუ დანიშვნის დღიდან გავიდა უფრო ხანგრძლივი ვადა, ვიდრე ეს დადგენილია კონსტიტუციით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა და მის შემადგენლობაში შემავალ პირთა უფლებამოსილების ვადა იწურება ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ.

3. იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღემდე მოქმედი დებულებები არ ადგენს უფლებამოსილების ვადას, ხოლო არჩევისა თუ დანიშვნის დღიდან გავიდა უფრო მოკლე ვადა, ვიდრე ეს დადგენილია კონსტიტუციით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა და მის შემადგენლობაში შემავალ პირთა მიმართ, დრო, რომლის განმავლობაში ეს ორგანოები ან პირები ასრულებენ წინა დებულებებით დადგენილ ფუნქციებს, ჩაითვლება ამ კონსტიტუციით დადგენილ უფლებამოსილებათა ვადაში.

მუხლი 239. 1. ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე 2 წლის განმავლობაში მიღებული საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილებები, რომლებიც არ შეესაბამება მის ძალაში შესვლამდე მოქმედ კანონებს, არ არის საბოლოო და ექვემდებარება სეიმის მიერ განხილვას, რომელსაც შეუძლია ხმათა 2/3-ის უმ-

რავლესობით დეპუტატთა კანონიერი რაოდენობის არანაკლებ ნახევრის დასწრებით გააუქმოს საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილებები. ეს არ ეხება საკონსტიტუციო ტრიბუნალისთვის სამართლებრივ საკითხებზე მიმართვით მიღებულ გადაწყვეტილებებს.

2. საკონსტიტუციო ტრიბუნალის მიერ კანონისათვის საერთო-საყოველთაო განმარტების მიცემის პროცედურა, რომელიც დაწყებულია კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე, ექვემდებარება შეწყვეტას.

3. კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღეს კანონისათვის განმარტების მიცემის შესახებ საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილებები კარგავს საერთო-საყოველთაო ძალას. ძალაში რჩება სასამართლოსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ის კანონიერი გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია საკონსტიტუციო ტრიბუნალის მიერ კანონისათვის საერთო-საყოველთაო განმარტების მიცემის შესახებ გადაწყვეტილების თანახმად.

მუხლი 240. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის მანძილზე საბიუჯეტო კანონმა, სახელმწიფოს ცენტრალური ბანკის წინაშე ვალდებულების აღების გზით, შეიძლება გაითვალისწინოს საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვა.

მუხლი 241. 1. პოლონეთის რესპუბლიკის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც მიღებულია მათი რატიფიკაციის დროს მოქმედი კონსტიტუციური დებულებების საფუძველზე და გამოქვეყნებულია „კანონთა მაცნეში" ითვლება კანონით გათვალისწინებული წინასწარი თანხმობით რატიფიცირებულ ხელშეკრულებებად და მათ მიმართ გამოიყენება კონსტიტუციის 91-ე მუხლის დათქმა, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებების შინაარსიდან ჩანს, რომ ისინი მიეკუთვნება კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ საკითხთა კატეგორიას.

2. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან 2 წლის ვადაში მინისტრთა საბჭო სეიმს წარუდგენს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების სიას, რომლებიც შეიცავს კონსტიტუციის საწინააღმდეგო დებულებებს.

3. კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე არჩეული სენატორები, რომელთაც არ მიუღწევიათ 30 წლის ასაკს, თავიანთ მანდატს ინარჩუნებენ იმ ვადით, რა ვადითაც არიან არჩეულნი.

4. დეპუტატისა და სენატორის მანდატის შეუთავსებლობა 103-ე მუხლით აკრძალულ ფუნქციასთან ან საქმიანობასთან იწვევს მანდატის შეწყვეტას ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ დეპუტატი ან სენატორი ამ ვადის გასვლამდე არ იტყვის უარს ფუნქციის შესრულებაზე ან არ შეწყვეტს საქმიანობას.

5. საქმე, რომელიც წარმოადგენს საკანონმდებლო პროცესის ან საკონსტიტუციო ტრიბუნალში ან სახელმწიფო ტრიბუნალში განსახილველ საგანს და დაწყებულია კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე, გრძელდება ამ საქმის დაწყების დღისათვის მოქმედი კონსტიტუციური დებულებების შესაბამისად.

6. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან 2 წლის მანძილზე მინისტრთა საბჭო ადგენს კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული ან გამოცემული მინისტრთა საბჭოს რომელი დადგენილება ან მინისტრის ან სამთავრობო ადმინისტრაციის სხვა ორგანოს ბრძანება საჭიროებს, კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 92-ე მუხლის თანახმად, შეცვლას კანონის საფუძველზე მიღებული განკარგულებით, რომელთა პროექტს შესაბამის დროს მინისტრთა საბჭო შეიტანს სეიმში. ამავე დროს მინისტრთა საბჭო სეიმში შეიტანს კანონ-პროექტს, რომელიც განსაზღვრავს, თუ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული სამთავრობო ადმინისტრაციის რომელი აქტები გახდება კონსტიტუციის 93-ე მუხლის თანახმად მიღებული დადგენილებები და განკარგულებები.

7. კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მოქმედი ადგილობრივი სამართლის აქტები, ასევე სათემო დებულებები კონსტიტუციის 87-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ხდება ადგილობრივი სამართლის აქტები.

მუხლი 242. ძალას კარგავენ:

1) 1992 წლის 17 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი „პოლონეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაძლო ურთიერთობისა და ტერიტორიული თვითმმართველობის შესახებ";

2) 1992 წლის 23 აპრილის კონსტიტუციური კანონი „პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების წესის შესახებ".

მუხლი 243. პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში.

პოლონეთის რესპუბლიკის
პრეზიდენტი
ალექსანდრ კვასნევსკი

16 ივნისი, 1997 წ.

ჩინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა

ზოგადი ცნობარი

შესავალი

ჩინეთის სახელმწიფო ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოა და ძვ. წ. აღ. მე-3 საუკუნიდან იღებს სათავეს. იგი ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი წარმმართველი ცივილიზაცია მსოფლიოში ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაზრისით. თუმცა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნეში ჩინეთი მოიცვა სამოქალაქო დაპირისპირებებმა, შეიარაღებულმა შეტაკებებმა და მის გარკვეულ ნაწილებში დამყარდა უცხოელთა ოკუპაცია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩინელმა კომუნისტებმა მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით განახორციელეს რევოლუცია და დააფუძნეს ავტოკრატიული სოციალისტური სახელმწიფო. მნიშვნელოვნად განმტკიცდა ჩინეთის სახელმწიფოებრიობა და სუვერენიტეტი. 1978 წლიდან მაო ძე-დუნის მემკვიდრემ დენ სიაოპინმა და სხვა ლიდერებმა ორიენტაცია აიღეს სახელმწიფო ეკონომიკის პარალელურად საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაზე და მნიშვნელოვნად შეარბილეს მკაცრი კომუნისტური მმართველობა.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: დასავლეთი აზია; ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთი და მონღოლეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთით — ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა, სამხრეთ-აღმოსავლეთით — წყნარი ოკეანის ზღვები, აღმოსავლეთით — ყვითელი ზღვა, სამხრეთით — ვიეტნამი, ლაოსი, ბირმა, ინდოეთი, ნეპალი, ბუტანი, დასავლეთით — ავღანეთი და პაკისტანი, ჩრდილო-დასავლეთით — ყირგიზეთი და ყაზაყეთის.

ფართობი: სულ: 9.596.960 კმ^2; ხმელეთი: 9.326.410 კმ^2; წყალი: 270.550კმ^2.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ნავთობი, ბუნებრივი გაზი, რკინა, ალუმინი, ფერადი ლითონები, მარგანეცი, ქვანახშირი, ვოლფრამი მოლიბდენი, შავი ლითონები, მსოფლიოში უმდიდრესი ჰიდრო რესურსები.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 1 330 044 605 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 20.1% (კაცი 142 085 665; ქალი 1125 300 391);
15-64 წლის: 71.9% (კაცი 491 513 378; ქალი 465 020 030);
65 წლის და ზემოთ: 8% (კაცი 50 652 480; ქალი 55 472 661) (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 0.629% (2008);

შობადობა: 13.71 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 7.03 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: -0.39 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 73.18 წელი; კაცი: 71.37; ქალი: 75.18 (2008).

მოქალაქეობა: ჩინეთის

ეთნიკური ჯგუფები: ხანი ჩინელები 91,5%, ჟუანგი, იუგური, ჰუი, ი, ტიბეტელები, მიაო, მანჩუ, მონღოლები ბუიი, კორეელები და სხვა ერები 8,5% (2000);

რელიგია: დაოიზმი, ბუდიზმი; ისლამი – 1-2%, ქრისტიანობა – 3-4%, (2002);

ენა: სტანდარტული ჩინური ან მანდარინი (პუ-ტონგჰუა, დაფუძნებულია პეკინურ დიალექტზე), იუე (კანტონური), ვუ (შანხაიური), მინბეი (ფუჟოუ), მინანი (ჰოკეინ-ტაივანური), ხიანგი, განი, ჰაკკა დიალექტები, ეროვნულ უმცირესობათა ენები.

განათლებულობა:
სრული მოსახლეობის: 90.9%; კაცი 95.1%; ქალი 86.5% (2002);
განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ვრცელი ფორმა: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა;
მოკლე ფორმა: ჩინეთი;
ადგილობრივი ვრცელი ფორმა: ჟონგჰუა რენმინ გონგჰეგოუ;
ადგილობრივი მოკლე ფორმა: ჟონგ გუო

სახელმწიფოს ფორმა: სოციალისტური რესპუბლიკა

დედაქალაქი: პეკინი

ადმინისტრაციული ერთეულები: 23 პროვინცია, 5 ავტონომიური რეგიონი, 4 მუნიციპალიტეტი, აგრეთვე სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონები ჰონგ-კონგი და მაკაო.

დამოუკიდებლობა: ძვ.წ.აღ. 221 წელი (ცინის დინასტიის სამეფოს ფარგლებში გაერთიანება), 1912 წლის 1 იანვარი (პირველი რესპუბლიკა) 1949 წლის 1 ოქტომბერი (სახალხო რესპუბლიკა);

ეროვნული დღესასწაული: სახალხო რესპუბლიკის დაფუძნების დღე – 1 ოქტომბერი (1949 წ.);

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი ჰუ ძინტაო (2003 წლის 15 მარტიდან);
არჩევნების შედეგები: ჰუ ძინტაო არჩეულია ეროვნული სახალხო ყრილობის დეპუტატთა მიერ 2937 ხმით, 4 დეპუტატმა ხმა მისცა წინააღმდეგ, 4 არ ესწრებოდა და 38-მა დეპუტატმა თაეი შეიკავა.

სამინისტროები: განათლების სამინისტრო, ელექტრონული მრეწველობის სამინისტრო, კომუნიკაციების სამინისტრო, კულტურის სამინისტრო, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტრო, მიწისა და რესურსების სამინისტრო, მშენებლობის სამინისტრო, რკინიგზის სამინისტრო, საგარეო ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, საინფორმაციო მრეწველობის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, შრომისა და სოციალური უსაფრთხოების სამინისტრო, ჯანმრთელობის სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება: ერთპალატიანი ეროვნული სახალხო ყრილობა – კუანჯოუ რენმინ დაიბიაო დაჰუი – (2987 ადგილიანი; მისი წევრები აირჩევიან მუნიციპალური, რეგიონული და პროვიციების სახალხო ყრილობების მიერ, აგრეთვე არმიიდან 5 წლის ვადით). ბოლო არჩევნები გაიმართა 2007 წლის დეკემბერსა და 2008 წლის თებერვალში.

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: ჩინეთის კომუნისტური პარტია, აგრეთვე მის მიერ კონტროლირებული მცირე პარტიები. იატაკქვეშ მოქმედებს ჩინეთის დემოკრატიული პარტია და ფალუნგონგის სასულიერო მოძრაობა.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: 1978 წლიდან ჩინეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ძვრები განხორციელდა. თანდათანობით დაიწყო ცენტრალიზებული სახელმწიფო ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. მიუხედავად იმისა, რომ პარალელურად არსებობს ეკონომიკაზე სახელმწიფო კონტროლი, მნიშვნელოვნად

გაიზარდა მოქალაქეებისა და კერძო იურიდიული პირების ეკონომიკური აქტივობა. სახელმწიფომ წაახალისა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინიციატივების გააქტიურება და დაუშვა მრეწველობაში მცირე კერძო საწარმოებისა და მანუფაქტურის ტიპის წარმოებების საქმიანობა. შედეგად, 1978 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპები და მისი მსყიდველობითი უნარი. დღეისათვის ჩინეთის ეკონომიკა მასშტაბებით მეორე ადგილზეა მსოფლიოში აშშ-ის ეკონომიკის შემდეგ. თუმცა მნიშვნელოვან სამრეწველო და სავაჭრო ცენტრებთან შედარებით (მაგ.: ჰონგ-კონგი, შანხაი და ა.შ.) ქვეყნის ბევრ რეგიონში ეკონომიკური წინსვლის ეფექტი არ იგრძნობა და აქ წარმმართველი როლი სოფლის მეურნეობას ენიჭება. სახელმწიფოს ძირითადი ყურადღება მიმართულია ა) ათობით მილიონი დაუსაქმებელი პირისათვის სამუშაო ადგილების შექმნისკენ; ბ) სახელმწიფო ეკონომიკის სფეროში კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულების აღმოფხვრისკენ; გ) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უზარმაზარი საწარმოების სწორი მართვის უზრუნველყოფისაკენ.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩინეთის ეკონომიკური განვითარების ტემპის შენარჩუნებას, მაგრამ ამავე დროს გარკვეული პრობლემები შეუქმნა ჩინეთის რთულ ჰიბრიდულ ეკონომიკას სახელმწიფო კონტროლის ნაწილში. ჩინეთის ეკონომიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უცხოურ ინვესტიციებსაც. 2007 წლისათვის პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ჩინეთის ეკონომიკაში მთელი წლის განმავლობაში 75 მილიარდ დოლარს მიაღწია. 172 ქვეყნიდან განხორციელებული პირდაპირი ინვესტირების შედეგად ჩინეთში 5000-ზე მეტი საწარმო შეიქმნა.

მთლიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $6.991 ტრილიონი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 11.4% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $5.300 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 11.3%; მრეწველობა: 48.6%; მომსახურება: 40.1% (2007).

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: 8% (2006);

ბიუჯეტი: შემოსავალი: $674,3 მილიარდი; გასავალი: $651,6 მილიარდი (2007).

ექსპორტი: $1,217 ტრილიონი (2007);

საექსპორტო საქონელი: მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა, რკინა, ფოლადი, აბრეშუმი, პლასტმასის პროდუქცია, ელექტრო ხელსაწყოები და აღჭურვილობა, მობილური ტელეფონები.

ექსპორტის პარტნიორები: აშშ 21%, ჰონგ-კონგი 16%, იაპონია 9.5%, სამხრეთ კორეა 4.6% გერმანია 4.2% (2007);

იმპორტი: $907.3 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: მანქანები და აღჭურვილობა, ნედლი ნავთობი და მინერალური რესურსები, ორგანული ქიმიკატები, სამედიცინო აღჭურვილობა და დანადგარები, ოპტიკური აღჭურვილობა, ქვანახშირი.

იმპორტის პარტნიორები: იაპონია 14.6%, სამხრეთ კორეა 11.3%, ტაივანი 10.9%, აშშ 7.5%, გერმანია 4.8% (2007);

უცხოური ვალუტისა და ოქროს რეზერვები: $1,534 ტრილიონი (2007);

საგარეო ვალი: $363 მილიარდი (2007);

ეკონომიკური მხარდაჭერა: $1,641 მილიარდი (2007).

ვალუტა: იუანი (CNY).

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. ჩინეთი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი კულტურის ქვეყანაა. სამართლის წერილობითი ძეგლები აქ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა. თუმცა სამართალშემოქმედების სფეროში ასეთი პროგრესის მიუხედავად კონსტიტუციონალიზმის ისტორია ჩინეთში მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. ჯერ კიდევ მანჯურიული ცინის დინასტიის პირობებში 1906 წლიდან ცინის დინასტიის მთავრობა აქტიურად აწარმოებდა ე.წ. კონსტიტუციონალიზმის კამპანიას. საიმპერატორო კარი შეეცადა შეექმნა კონსტიტუციური აქტის პროექტი, რომლითაც უნდა მომხდარიყო ღრმა კრიზისში მყოფი მანჯურიელთა საიმპერატორო ხელისუფლების რეფორმა და ჩინეთის კონსტიტუციურ მონარქიად გადაქცევა. 1908 წელს მართლაც შეიქმნა აქტი „ცინდინგ ქსიანფა დაგანგ" (ინგლ. Qinding Xiànfǎ Dagang), რომელიც დასავლეთის სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად ითარგმნება: როგორც „საიმპერატორო ბრძანებით მოხაზული კონსტიტუცია" ან „კონსტიტუციის მონახაზი" და ა.შ. მართალია, ეს აქტი სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეიძლება განვიხილოთ სრულყოფილ კონსტიტუციად, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ დროიდან გაჩნდა ჩინეთში კონტიტუციური სამართლის განვითარების პირველი ნიშნები.

ქსინჰაის რევოლუციის გამარჯვების შედეგად 1912 წლის პირველ იანვარს ოფიციალურად გამოცხადდა ჩინეთის რესპუბლიკის დაარსება. 1912 წლის თებერვალში მოხდა ჩინეთის ბოლო იმპერატორ ქსუანტონგ პიუის აბდიკაცია ტიტულის შენარჩუნებით. ამ მოვლენებმა დღის წესრიგში დააყენა რესპუბლიკისათვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნის აუცილებლობა. შესაბამისად პრეზიდენტ სუნ-იატ სენის მიერ შემუშავებული პროექტის საფუძველზე 1912 წლის 11 მარტს მიღებულ იქნა ჩინეთის რესპუბლიკის დროებითი კონსტიტუცია, რომელიც აღიარებულ იქნა სახელმწიფოს უზენაეს კანონად. ამ აქტის ძირითად სამართლებრივ დატვირთვას სახელმწიფო მმართველობის ფორმისა და სახელმწიფო მოწყობისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მართვის მოძველებული ორგანიზაციული სისტემის შეცვლა და რესპუბლიკური სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირება წარმოადგენდა.

1912 წლის 11 მარტის კონსტიტუციაში გათვალისწინებული იყო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. იმ დროინდელი დასავლური სახელმწიფო მმართველობის გამოცდილების კვალდაკვალ აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემოტანილ იქნა ფრანგული ე.წ. საპრეზიდენტო კაბინეტის მოდელი. მნიშვნელოვანი ფუნქციები და კომპეტენცია მიენიჭა პარლამენტს, რომლის უფლებამოსილებათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პრეზიდენტის არჩევის უფლება. ასევე ამ დოკუმენტში აისახა სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელი შტოს — სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის მარეგლამენტირებელი დებულებები, განმტკიცდა სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობა მართლმსაჯულების განხორციელებისას. თუმცა 1912 წლის 11 მარტის კონსტიტუციას დიდ

ხანს არ უმოქმედია, რადგან იმავე წელს ახალი დროებითი პრეზიდენტის იუან ში კაის ძალისხმევით შემოღებულ იქნა ე.წ. კონსტიტუციური შეთანხმებების პაკეტი, რომელიც კონსტიტუციისგან მთელი რიგი განსხვავებით აწესრიგებდა სახელმწიფო მმართველობის საკითხებს. იურიდიულად კონსტიტუციის მოქმედება არ შეჩერებულა და იგი არც გაუქმებულა, მაგრამ მისი ნორმები პრაქტიკაში მხოლოდ ნაწილობრივ ხორციელდებოდა. 1912 წლის 11 მარტის კონსტიტუციამ რეალური პოლიტიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობა მხოლოდ 1916 წლიდან შეიძინა, როდესაც ახალმა პრეზიდენტმა ლი იუან ჰონგმა აღადგინა მისი მოქმედება. მიუხედავად დროებითი კონსტიტუციის სტატუსისა, ჩინეთის 1912 წლის კონსტიტუცია, თავისი არსით საკმაოდ პროგრესული სამართლებრივი აქტი, ჩინეთის კონსტიტუციური სამართლის განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დოკუმენტია.

მომდევნო კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1923 წლის 10 ოქტომბერს ახალი პრეზიდენტის გენერალ ცაო კუნის ინიციატივით და იურიდიულად ძალაში იყო 1931 წლის ივნისამდე. 1923 წლის კონსტიტუცია იურიდიულ მეცნიერებაში დღესაც განიხილება როგორც თავისი დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული და პროგრესული დოკუმენტი. თუმცა მისი, როგორც სახელმწიფო მმართველობის სფეროში საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეალური რეგულატორის როლი საეჭვოა, რადგან მის ნორმებს ძალიან იშვიათად იცავდნენ პრაქტიკაში. მთავრობების შეცვლის პარალელურად იცვლებოდა მიდგომა კონსტიტუციის შესრულების მიმართაც. მაგალითად, 1925 წელს ე.წ. ნაციონალისტური პარტიის (კუომინტანგის) ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 1928 წლიდან სახელმწიფო ინსტიტუტები მოქმედებენ არა კონსტიტუციის, არამედ ახალი ხელისუფლების მიერ გამოცემული ორგანული კანონის შესაბამისად, რომელიც ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციით დადგენილ ნორმებს.

1923 წლის კონსტიტუციამ იურიდიულად ძალა დაკარგა 1931 წლის ივნისში ახალი დროებითი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, რომელიც ნაციონალისტური ხელისუფლების ინიციატივით იქნა მიღებული. ახალი დროებითი კონსტიტუციით დამკვიდრდა ერთპარტიული ცენტრალიზებული სახელმწიფო მმართველობა, რომელშიც გაზიარებული იყო რუსი ბოლშევიკი რევოლუციონერების მიერ დამყარებული სახელმწიფო მმართველობის ცალკეული ელემენტები. ამ აქტს ისტორიაში ხშირად „პოლიტიკური მეურვეობის პერიოდის დროებით კონსტიტუციას“ უწოდებენ.

1937-1945 წლების ჩინეთ-იაპონიის ომმა და ქვეყნის შიგნით მთავრობის საწინააღმდეგო სხვადასხვა მოძრაობის (განსაკუთრებით გაძლიერებული კომუნისტური პარტიის) აქტივობამ, სამოქალაქო ომმა და ხშირმა შეარაღებულმა დაპირისპირებებმა აიძულა პრეზიდენტი ჩან კაი-ში და მმართველი ნაციონალისტური პარტია მოეხდინა სახელმწიფო მმართველობის ერთპარტიული სისტემის ცვლილება ხელისუფლების დემოკრატიზაციის კუთხით, რომელიც უზრუნველყოფდა ოპოზიციური პოლიტიკური ძალების ხელისუფლებაში (პარლამენტში) დაშვებას არჩევნების გზით. ამისთვის კი საჭირო გახდა შესაბამისი სამართლებ-

რივი საფუძვლის შექმნა, რაც ბუნებრივად იწვევდა საკონსტიტუციო რეფორმის აუცილებლობას. ამდენად, 1946 წლის 25 დეკემბერს ჩინეთის მაშინდელმა უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ ეროვნულმა ასამბლეამ დაამტკიცა მთავრობის მიერ წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც პრომულგირებულ იქნა 1947 წლის პირველ იანვარს, ხოლო ძალაში შევიდა 1947 წლის 25 დეკემბერს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1947 წლის კონსტიტუცია მხოლოდ თეორიულად შეიძლება იქნეს განხილული ჩინეთის სახელმწიფოს უზენაეს კანონად, რადგან მიუხედავად ჩინეთის მთელ ტერიტორიაზე მოქმედების თაობაზე დეკლარირებისა, ამ კონსტიტუციას ფაქტიურად არ უმოქმედია იმის გამო, რომ მისი მიღების მომენტში ჩინეთში ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობდა და სამოქალაქო ომის პირობებში ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში ძალაუფლება სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის ხელიდან ხელში გადადიოდა. საბოლოოდ სამოქალაქო ომი დასრულდა კომუნისტური პარტიის გამარჯვებითა და მაო ძე დუნის მიერ პეკინში 1949 წლის პირველ ოქტომბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებით. ჩან კაი შის ნაციონალისტური მთავრობა კუნძულ ტაივანზე გაიქცა, სადაც შეინარჩუნა 1947 წლის კონსტიტუცია, რომელსაც დაამატეს სპეციალური ნორმები „კომუნისტური აჯანყების პერიოდში მოქმედი დროებითი დებულებები". ამ დამატებებით გაიზარდა პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის კომპეტენცია და გახანგრძლივდა მათი თანამდებობებზე ყოფნის ვადები. 1947 წლის ჩინეთის კონსტიტუცია რეალურად იქცა ტაივანის კონსტიტუციად და მის მოქმედებას ჩინეთის კონსტიტუციონალიზმისთვის, რომელიც ტაივანს თავის ტერიტორიად აღიარებს, იურიდიული მნიშვნელობა არ გააჩნია.

კომუნისტურ პარტიას ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე წელი დასჭირდა სახელმწიფოს ახალი ძირითადი კანონის მისაღებად. ახალი კონსტიტუცია, რომელსაც კომუნისტი ჩინელი მეცნიერები ჩინეთის პირველ სოციალისტურ კონსტიტუციას უწოდებენ, ერთხმად იქნა მიღებული ჩინეთის პირველ ეროვნულ სახალხო ყრილობაზე 1954 წლის 20 სექტემბერს. ამ აქტით განისაზღვრა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემა (პრეზიდენტი, ეროვნული სახალხო ყრილობა და სახელმწიფო საბჭო), დადგინდა სახელმწიფო სიმბოლოები და ა.შ. 1954 წლის კონსტიტუცია საკმაოდ ვრცელი დოკუმენტი იყო და რამდენიმე ასეული მუხლისგან შედგებოდა. ამ აქტმა შექმნა კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები ე.წ. ჩინური „კულტურული რევოლუციის" დასაწყებად.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მომდევნო კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1975 წლის იანვარში მიმდინარე მეოთხე ეროვნულ სახალხო ყრილობაზე და მისი მიზანი იყო ქვეყანაში მიმდინარე „კულტურული რევოლუციის" შედეგების სათანადო იურიდიული ასახვა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირება. მიუხედავად ახალი კონსტიტუციის მიღების ოფიციალური მოტივისა, რომლის მიხედვითაც 1954 წლის კონსტიტუციის მნიშვნელოვანი ნაწილი მოძველებული იყო და ცვლილებებს საჭი-

როებდა, 1975 წლის კონსტიტუციის დებულებებში გადმოტანილ იქნა 1954 წლის კონსტიტუციის რიგი არსებითი ხასიათის ნორმები. 1975 წლის აქტმა, რომელიც 30-მდე მუხლისგან შედგებოდა, იურიდიულად კიდეე ერთხელ განამტკიცა კონსტიტუციურ დონეზე პროლეტარიატის დიქტატურა, სახელმწიფო სისტემისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის განუყოფელი ურთიერთკავშირი. პრაქტიკულად, ჩინეთის კომუნისტური პარტია სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად იქცა. ამის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ ის ფაქტი, რომ კონსტიტუციამ ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის მეთაურობის უფლება კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიანიჭა. საინტერესოა, რომ 1975 წლის კონსტიტუციამ აღიარა ადამიანის ცალკეული უფლებები, მაგალითად, სიტყვის თავისუფლება, თუმცა იმ დათქმით, რომ ეს უფლებები არ უნდა გამოყენებულიყო კომუნისტური პარტიის საწინააღმდეგოდ.

1978 წლის 5 მარტს მეხუთე ეროვნულმა სახალხო ყრილობამ თავის პირველ სესიაზე მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რიგით მესამე სოციალისტური კონსტიტუცია. იგი დაახლოებით 70-მდე მუხლისგან შედგებოდა და ძირითადად იმეორებდა 1975 წლის კონსტიტუციის ნორმებს. მისი ღირსშესანიშნაობა იმაში მდგომარეობს, რომ 1978 წლის კონსტიტუციაში პირველად დაფიქსირდა ტაივანის, როგორც ჩინეთის სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილის, იურიდიული სტატუსი, ასევე გაიზარდა ადამიანის უფლებათა ჩამონათვალი.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. 1982 წლის კონსტიტუციამ შეცვალა 1978 წლის კონსტიტუცია. მისი მიღება მოხდა წინა კონსტიტუციების მსგავსი მექანიზმით ეროვნული სახალხო ყრილობის მიერ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩინეთის კონსტიტუცია განსაკუთრებულ ყურადღებას კონსტიტუციის მიღებასა და გადასინჯვას არ უთმობს და მასზე მხოლოდ ეროვნული სახალხო ყრილობის საკანონმდებლო კომპეტენციის ფარგლებში საუბრობს. საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატივის უფლება ორ სუბიექტს აქვს: ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივ კომიტეტს ან ყრილობის დეპუტატთა არანაკლებ ერთ მეხუთედს. მუდმივი კომიტეტი თავის მხრივ შედგება ეროვნული ყრილობის წევრთაგან და თავად ყრილობის მიერ აირჩევა. ამდენად, საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატორთა შეზღუდული წრე მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს ფარგლებში მოქმედ სუბიექტთაგან შედგება. რაც განაპირობებს კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცესის მოქცევას მთლიანად საკანონმდებლო ხელისუფლების სფეროში. საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტი ეროვნული სახალხო ყრილობის წევრთა არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერის შემთხვევაში მიიღება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩინეთის კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი კონსტიტუციის ან საკონსტიტუციო ცვლილებების პრომულგაციის საკითხზე.

ჩინეთის 1982 წლის კონსტიტუცია, მიუხედავად გადასინჯვის საკმაოდ მარტივი პროცედურისა, საკმაოდ სტაბილურად მოქმედებს და თითქმის 30 წლიანი პერიოდის განმავლობაში მასში ცვლილებები მხოლოდ ოთხჯერ იქნა

შეტანილი და ყველა მათგანი ძირითადად ეკონომიკურ სფეროსთან და საკუთრების უფლებასთან იყო დაკავშირებული.

პირველი ცვლილება მიიღეს 1988 წლის 12 აპრილს მე-7 მოწვევის ეროვნული სახალხო ყრილობის პირველ სესიაზე და იგი დაკავშირებული იყო ჩინეთში ეკონომიკის კერძო სექტორის მზარდი განვითარების პირობებში შესაბამისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირების დადგენასა და კერძო სამეწარმეო საქმიანობის ლეგალიზებასთან. ასევე ცვლილებებით მოწესრიგდა მიწის საკუთრებასთან და მის განკარგვასთან, ყიდვა-გახიდვასთან დაკავშირებული საკითხები.

მე-8 მოწვევის ეროვნულმა სახალხო ყრილობამ თავის პირველ სესიაზე 1993 წლის 29 მარტს მიიღო კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის კანონპროექტი, რომელიც შეეხებოდა კონსტიტუციის როგორც ძირითად ნაწილს, ისე პრეამბულასაც. პრეამბულაში შეიცვალა ცალკეული სახელმძღვანელო პრინციპები, რომელზეც ორიენტირებულია ჩინეთის საზოგადოებისა და სახელმწიფოს ძალისხმევა ქვეყნის განვითარებისკენ. ასევე პრეამბულაში განისაზღვრა, რომ ჩინეთი სოციალიზმის პირველ საფეხურზე იმყოფება და გადის მოდერნიზაციის პერიოდს. შეტანილი იქნა ნორმები მრავალპარტიული სისტემის დასაშვებობის შესახებ, თუმცა აქვე აღიარებულ იქნა პარტიებს შორის კომუნისტური პარტიის წარმმართველი და უპირატესი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა კოლექტიური სამეურნეო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო საწამოების საქმიანობის მარეგულირებელმა დებულებებმა. გეგმიური სახელმწიფო ეკონომიკის პირობებში აღნიშნულ საწარმოებსა და კოოპერატივებს მიეცათ მთელი რიგი უფლებები მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროში. კონსტიტუციის ტექსტში პირველად გაჩნდა ტერმინი „სოციალისტური საბაზრო ეკონომიკა და ჩამოყალიბდა ამ ახალი ტიპის ეკონომიკის ფუნქციონირების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი. ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ პირებს მიეცათ გარკვეული საგნებისა და ქონების კერძო საკუთრებაში ქონის უფლება და, პარალელურად, კერძო ეკონომიკური საქმიანობის უფლება პირადი მოგების მიღების მიზნით გარკვეული შეზღუდვების ფარგლებში.

კონსტიტუციის მესამე ცვლილება, რომელიც დანარჩენ სამ ცვლილებასთან შედარებით მოცულობით ყველაზე ვრცელია, მიღებულ იქნა 1999 წლის 15 მარტს მე-9 მოწვევის ეროვნული სახალხო ყრილობის მეორე სესიაზე. ცვლილება შეეხო როგორც პრეამბულას ასევე კონსტიტუციის ძირითად ტექსტს. პრეამბულაში ჩინეთის სახელმწიფოს ფუძემდებლური სახელმძღვანელო პრინციპების ჩამონათვალს, რომელიც ძირითადად მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებისა და მაოისტური იდეოლოგიის ცალკეულ მიმართულებებს მოიცავდა, დაემატა ასევე დენ სიაო პინის თეორიის რიგი მიდგომები. გარდა ამისა, კონსტიტუციის ძირითადმა ტექსტმა განიცადა მნიშვნელოვანი კორექტირება. ცვლილებები ამჯერადაც დაკავშირებული იყო სოციალისტურ საბაზრო ეკონომიკასა და საკუთრების უფლებასთან. კონსტიტუციაში უფრო მკაფიოდ იქნა განსაზღვრული სოციალისტური საბაზრო ეკონომიკის არსი და მოიხაზა მისი ჩარჩოები. კონსტიტუ-

ციამ აღიარა კერძო სამეწარმეო საქმიანობა და ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორი სოციალისტური საბაზრო ეკონომიკის განუყოფელ კომპონენტებად, თუმცა ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი კვლავ ეკონომიკის ანგარიშგასაწევ ნაწილად ჩენარჩუნდა. კერძო და სახელმწიფო საკუთრების უფლების პარალელურად მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო კოლექტიური საკუთრების უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. კოლექტიური საკუთრება, ისევე როგორც კოლექტიური ეკონომიკური საქმიანობა, დაშვებული და წახალისებული იქნა ეკონომიკის თითქმის ყველა დარგში.

არსებით ეკონომიკურ საკითხებთან ერთად 1999 წლის ცვლილებამ რამდენიმე ფორმალური მომენტიც გაითვალისწინა. მაგალითად, კონსტიტუციის ტექსტიდან ამოღებულ იქნა სიტყვები „კონტრრევოლუციური ძალები" და სხვა მსგავსი მოძველებული ტერმინები.

ბოლო ცვლილება ჩინეთის კონსტიტუციაში 2004 წლის 14 მარტს მეათე ეროვნული სახალხო ყრილობის მე-2 სესიაზე შეიტანეს. იგი შეეხო როგორც პრეამბულას და შეიცავდა დეკლარაციულ ცვლილებებს, ასევე ეკონომიკურ სფეროს და სახელმწიფო მოწყობის საკითხებს. მნიშვნელოვნად შეიცვალა ეკონომიკის კერძო სექტორის ინტერპრეტაცია, ტერმინები „პირადი ეკონომიკა" და „პირადი საკუთრება" შეცვალა ტერმინებმა „ეკონომიკის კერძო სექტორი" და „კერძო საკუთრება". დაზუსტდა კერძო საკუთრების ჩამორთმევის წესი და ჩაიდო განსაკუთრებული გარანტიები საკუთრების ჩამორთმევისას კომპენსაციის მისაღებად. გარდა ამისა, შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილების ვადები და კონსტიტუციაში პირველად დაფიქსირდა ჩინეთის შემადგენლობაში არცთუ დიდი ხნის წინ გაერთიანებული ჰონგ-კონგისა და მაკაოს სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონების წარმომადგენელთა ეროვნულ სახალხო ყრილობაში არჩევის შესაძლებლობა.

ამდენად, ჩინეთის 1982 წლის კონსტიტუციამ წერტილი დაუსვა ქვეყანაში პერიოდულად ახალი კონსტიტუციების მიღების პრაქტიკას და დაამკვიდრა მოქმედი ძირითადი კანონის ტექსტში ცვლილებების შეტანის ტრადიცია. აღსანიშნაეია, რომ იგი ახალი კონსტიტუციის მიღების იურიდიულ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს და კონსტიტუციური ნორმების შეცვლა მხოლოდ მოქმედი კონსტიტუციის ტექსტის ცვლილებითაა შესაძლებელი და არა ახალი აქტის მიღების გზით. ჩინეთის მოქმედი კონსტიტუციის ცვლილებების ანალიზი შინაარსისა და რეგულირების სფეროს მიხედვით ნათლად უჩვენებს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი ჩინეთის მზარდი ეკონომიკა და მისი განვითარების პროცესში ახალი და კონსტიტუციით მანამდე გაუთვალისწინებელი ეკონომიკური ურთიერთობების წარმოშობაა და არა რაიმე პოლიტიკური მოვლენა ან კონსტიტუციის სამართლებრივი სრულყოფის მოტივაცია.

კონსტიტუციის ანალიზი. ჩინეთის 1982 წლის კონსტიტუცია შედგება პრეამბულისა და 138 მუხლისგან, რომლებიც ოთხ თავშია გაერთიანებული. მესამე

თავი — „სახელმწიფოს სტრუქტურა“, თავის მხრივ, შინაარსის მიხედვით შედ განყოფილებად იყოფა. იურიდიული ტექნიკის გათვალისწინებით კონსტიტუცია საკმაოდ მარტივი წყობით ხასიათდება. მარტივია ტექსტის წყობაც, რომელიც პატარა წინადადებებისგან შედგება. ამასთანავე, კონსტიტუციის ტექტში მრავალადაა დეკლარაციული ხასიათის დებულებები.

ჩინეთის კონსტიტუციას ყველაზე ვრცელი პრეამბულა აქვს მსოფლიოს სხვა ქვეყნების კონსტიტუციებთან შედარებით. პრეამბულაში სრულად არის აღწერილი XX საუკუნეში ჩინეთში განვითარებული მოვლენები, ჩინეთის თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის საფუძვლები და მშენებლობის პროცესი, რომელშიც წარმმართველი როლი კომუნისტურ პარტიას ეკისრება. მარქსიზმ-ლენინიზმი, მაოიზმი, დენ სიაო პინისა და ძიან ძემინის სწავლება აღიარებულია სახელმწიფო იდეოლოგიად. აქვე ხაზგასმით არის აღნიშნული „ჩინური ტიპის სოციალიზმი“, როგორც საზოგადოებისა და სახელმწიფოს წყობილების ფორმა და ნათქვამია, რომ ჩინეთი სოციალიზმის პირველ საფეხურზე იმყოფება და განაგრძობს მოდერნიზაციის პროცესს. ტაივანი დაფიქსირებულია ჩინეთის წმინდა ტერიტორიის განუყოფელ ნაწილად. პრეამბულაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კომუნისტურ პარტიას, როგორც საზოგადოების წარმმართველ ძალასა და სახელმწიფოს მართვაში განსაკუთრებული როლის მქონე გაერთიანებას.

კონსტიტუციის პირველი თავი — „ზოგადი დებულებები“ შინაარსობრივად განსხვავებული ნორმების გაერთიანებას წარმოადგენს და მასში საკითხთა ფართო სპექტრია წარმოდგენილი. იგი განსაზღვრავს ჩინეთის სახელმწიფოს არსს, ხელისუფლების წყაროსა და სახელმწიფო ორგანოებს, სამართლის სისტემისა და ეკონომიკის საფუძვლებს. ჩინეთი აღიარებულია სოციალისტურ სახელმწიფოდ, მუშათა და გლეხთა მჭიდრო კავშირზე დაფუძნებული დემოკრატიული სახალხო დიქტატურით, რომელსაც ხელმძღვანელობს მუშათა კლასი. სოციალისტური სისტემა ქვეყნის ძირითადი სისტემაა და მისი შეცვლა დაუშვებელია. ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც ხელისუფლებას ახორციელებს ეროვნული სახალხო ყრილობისა და სხვადასხვა დონის ადგილობრივი ყრილობების მეშვეობით. სახელმწიფო ორგანოთა სისტემა ეფუძნება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს. კონსტიტუციის პირველ თავში დეტალურადაა გაწერილი ჩინეთის სოციალისტური საბაზრო ეკონომიკის სისტემასთან დაკავშირებული საკითხები. ეს სისტემა კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების თავისებურ ნაერთს წარმოადგენს და თავის თავში მოიცავს ეკონომიკის სახელმწიფო სექტორსა და არასახელმწიფო სექტორს. ეს უკანასკნელი კი პირადი ეკონომიკისა ეკონომიკის კერძო სექტორებისგან შედგება. დაშვებულია კერძო სამეწარმეო საქმიანობა და უცხო ქვეყნის საწარმოთა საქმიანობა.

კონსტიტუცია იცნობს საკუთრების სამ ფორმას — სახელმწიფო (საერთო სოციალისტურ), კოლექტიურ და კერძო საკუთრებას. სახელმწიფო საკუთრებაშია როგორც მიწები და ბუნებრივი რესურსები, ასევე საწარმოები. კონსტიტუცია განსაკუთრებით წაახალისებს და იცავს კოლექტიურ საკუთრებას, კოლექტივების შექმნა დასაშვებია და წახალისებულია ნებისმიერ სფეროში: როგორც

სოფლის მეურნეობაში ან მრეწველობაში, ისე სამომხმარებლო სფეროშიც. ძირითადი კანონის პირველივე თავშია მოწესრიგებული სახელმწიფოს დამოკიდებულება სოციალისტური განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებისადმი, აღიარებულია სახელმწიფოს უფლება ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით. აქვე განსაზღვრულია სახელმწიფო მმართველობის პრინციპები, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, შეიარაღებული ძალების სტატუსი და ამოცანები, სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ცალკე მუხლში დეკლარირებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩინეთის კონსტიტუცია სხვა ქვეყნის მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს და მის ტექსტში რამდენჯერმე არის ხაზგასმული, რომ ჩინეთის ტერიტორიაზე მყოფი სხვა ქვეყნის მოქალაქენი და საწარმოები ვალდებული არიან დაიცვან ჩინეთის კანონმდებლობა.

კონსტიტუციის მეორე თავი ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს შეეხება და ამავე დროს მოქალაქეთა ძირითად ვალდებულებებსაც ადგენს. პოლიტიკური უფლებები წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან. ამ ასაკიდან წარმოიშობა როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება. კონსტიტუცია აღიარებს კლასიკურ თანსწორობას და ჩინეთის მოქალაქეებს ანიჭებს სიტყვის, პრესის, შეკრების, გაერთიანების, მიტინგისა და დემონსტრაციის თავისუფლებას, რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებას, პიროვნების თავისუფლებასა და ხელშეუხებლობას, მოქალაქის პატიოსანი და ღირსების ხელშეუხებლობას, საცხოვრებლის ხელშეუხებლობას, მიმოწერის თავისუფლებას, შრომის, დასვენების, პენსიის, სოციალური და სამედიცინო დახმარების, განათლების მიღების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, ლიტერატურული და სამხატვრო შემოქმედებისა და კულტურის სხვა სფეროებში მოღვაწეობის უფლებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხს და ოჯახის დაცვას. კონსტიტუცია ურთიერთდახმარებისა და ურთიერთრჩენის პრინციპის დაცვით აწესრიგებს მშობელთა და შვილთა ურთიერთობის არსებით საკითხებს. რაც შეეხება ვალდებულებათა ნაწილს, მოქალაქებს ეკისრებათ შრომის, განათლების მიღების, გადასახადების გადახდისა და სახალხო ლაშქარში მონაწილეობის მოვალეობა. ჩინეთის მოქალაქეები ომიანობისას ვალდებულნი არიან წინ აღუდგნენ აგრესიას და დაიცვან სამშობლო, ასევე ვალდებულნი არიან დაიცვან კონსტიტუცია და კანონმდებლობა, შეინახონ სახელმწიფო საიდუმლოება, დაიცვან საერთო საკუთრება, შრომის დისციპლინა და საზოგადოებრივი წესრიგი. სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე, როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ. ჩინეთის კონსტიტუციის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მასში ცალკე მუხლში განსაკუთრებულად არის აღნიშნული მოქალაქეთა უფლება გააკრიტიკონ სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები. დეტალურად არის განმარტებული ამ უფლების გამოყენების პირობები და პროცედურები როგორც მოქალაქეთათვის,

ისე შენიშვნებისა და კრიტიკის აღრესატი სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთათვის. მოქალაქენი ყველა ამ უფლებით შეუზღუდავად სარგებლობენ, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ უფლებების რეალიზაციისას დაცული უნდა იქნეს და არ შეილახოს სახელმწიფოს, კოლექტივისა და სხვა მოქალაქეთა კანონიერი უფლებები და ინტერესები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის ტექსტში არაფერია ნათქვამი უდანაშაულობის პრეზუმფციაზე.

კონსტიტუციის მესამე თავი — „სახელმწიფოს სტრუქტურა" ჩინეთის კონსტიტუციის ყველაზე ვრცელი და მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც თემატურად შვიდ განყოფილებად იყოფა: 1) ეროვნული სახალხო ყრილობა, 2) ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი, 3) სახელმწიფო საბჭო, 4) ცენტრალური სამხედრო კომისია, 5) სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობები და სახალხო მთავრობები, 6) ეროვნული ავტონომიური ტერიტორიების თვითმმართველობის ორგანოები, 7) სახალხო სასამართლოები და სახალხო პროკურატურები. კონსტიტუციის ეს ნაწილი აწესრიგებს სახელმწიფო მმართველობასთან, სახელმწიფო ორგანოთა სისტემასთან, მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ეროვნული სახალხო ყრილობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას. ყრილობა შედგება 2987 დეპუტატისგან, რითაც იგი მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი საკანონმდებლო ორგანოა. დეპუტატები აირჩევიან 5 წლის ვადით სხვადასხვა დონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებიდან და სამხედრო ძალებიდან. ეროვნულ უმცირესობებს აქვთ თავიანთი ქვოტები უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. არჩევნები, როგორც წესი, კომუნისტური პარტიის კონტროლქვეშ მიმდინარეობს, თუმცა გამოყოფილია სპეციალური კვოტა სხვა პარტიების წევრი და არაპარტიული პირებისთვისაც, რომლებიც მმართველი კომუნისტური პარტიის არაპირდაპირი გავლენის ქვეშ არიან. სპეციალური კვოტები აქვთ ჰონგ-კონგსა და მაკაოს რეგიონებსაც. ყრილობა თავის საქმიანობას სესიების გზით წარმართავს, რის გამოც იგი არამუდმივმოქმედი ორგანოა. ეროვნული ყრილობა სესიაზე წელიწადში ორჯერ იკრიბება და თითოეული სესია მხოლოდ რამდენიმე კვირას გრძელდება. მუშაობის ასეთი ფორმები საკანონმდებლო ხელისუფლების თვალსაზრისით გარკვეულ ვაკუუმს ქმნის. ამ ვაკუმს ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივი კომიტეტი ავსებს, რომელიც პრაქტიკულად კვაზისაკანონმდებლო ორგანოა და სესიებს შორის პერიოდში ასრულებს ყრილობის ფუნქციებს. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მუდმივი კომიტეტი სესიების დროსაც მნიშვნელოვანი კომპეტენციითაა აღჭურვილი. კერძოდ, იგი განმარტავს კონსტიტუციასა და კანონებს, იღებს კანონებს როგორც ყრილობის სესიის მსვლელობისას, ისე სესიებს შორის პერიოდში. მუდმივი კომიტეტი შეზღუდულია ამ უფლების განხორციელებისას იმ კანონების ჩამონათვალით, რომელთა მიღებაც მხოლოდ ეროვნული სახალხო ყრილობის უფლებამოსილებაშია. მუდმივი კომიტეტი უფლებამოსილია გააუქმოს მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სამართლებრივი

აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციასა და კანონებს, იღებს გადაწყვეტილებას საზღვარგარეთ ელჩებისა და წარმომადგენლების დანიშვნა-გამოწვევაზე, თანამდებობაზე ნიშნავს და გადააყენებს უმაღლესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებსა და სხვა მაღალი თანამდებობის მოსამართლეებს, გენერალური პროკურორის მოადგილეებსა და პროკურატურის სხვა მაღალ თანამდებობის პირებს, ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებასა და დენონსირებას, გამოსცემს შეწყალებას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას, ზედამხედველობს სახელმწიფო საბჭოს, აგრეთვე უმაღლესი სახალხო სასამართლოსა და პროკურატურის საქმიანობას. სესიებს შორის პერიოდში მუდმივი კომიტეტი: ქვეყანაზე აგრესიის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას და უფლებამოსილია შეიარაღებული ძალების გამოყენებაზე, აცხადებს ნაწილობრივ ან საყოველთაო მობილიზაციას, ირჩევს ცენტრალური სამხედრო კომისიის წევრებს, გენერალურ აუდიტორს, მინისტრებსა და სახელმწიფო საბჭოს გენერალურ მდივანს, ახორციელებს ეროვნული სახალხო ყრილობის სხვა უფლებებს.

მუდმივი კომიტეტი აირჩევა ეროვნული სახალხო ყრილობის უფლებამოსილების ვადით, თუმცა მისი უფლებამოსილება წყდება მხოლოდ მომდევნო მოწვევის ეროვნული ყრილობის მუდმივი კომიტეტის არჩევისას. მუდმივი კომიტეტის წევრები აირჩევიან ყრილობის დეპუტატთაგან. ეროვნულ სახალხო ყრილობაში იქმნება სხვა კომიტეტებიც დარგობრივი სპეციალიზაციით, ასევე საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია საგამოძიებო კომიტეტის შექმნის შესაძლებლობაც. დეპუტატები სარგებლობენ იმუნიტეტით და არ აგებენ პასუხს პოლიტიკური თუ სხვა გამოსვლებისათვის. თუმცა, კონსტიტუციით დეპუტატები, როგორც „ხალხის მსახურები" შეზღუდული არიან იმპერატიული მანდატით და ამომრჩეველს მათი ინტერესების არაჯეროვნად დაცვის შემთხვევაში აქვთ უფლება უკან გამოიწვიონ მათ მიერ არჩეული დეპუტატი. ჩინური საარჩევნო სისტემის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ეროვნული სახალხო ყრილობის არჩევნების გამართვის უზრუნველყოფა სწორედ მუდმივი კომიტეტის ფუნქციას წარმოადგენს. ჩინეთის კონსტიტუცია საარჩევნო სისტემის საფუძველს პრინციპების დონეზეც კი არ განსაზღვრავს და ამ სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას კანონს ანდობს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ეძღვნება კონსტიტუციის მესამე თავის მეორე განყოფილება. პრეზიდენტი აირჩევა ეროვნული სახალო ყრილობის მიერ 45 წლის ასაკს მიღწეულ ჩინეთის მოქალაქეთაგან. პრეზიდენტთან ერთად აირჩევა ვიცე-პრეზიდენტიც. ორივე თანამდებობის პირი ეროვნული სახალხო ყრილობის უფლებამოსილების ვადით აირჩევა და მათი უფლებამოსილება გრძელდება ახალი მოწვევის ეროვნული სახალხო ყრილობის მიერ პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევამდე. პრეზიდენტის მიერ მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-პრეზიდენტი, რომლის ძირითადი ფუნქცია სწორედ პრეზიდენტის დახმარება და მისი არყოფნისას პრეზიდენტის უფლება-მოვალეობათა შესრულებაა, ხოლო თუ

ვიცე-პრეზიდენტიც ვერ ახერხებს ამ ფუნქციის შესრულებას, მაშინ მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე მოქმედებს როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი და იმართება ახალი არჩევნები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კონსტიტუციის მიხედვით ჩინეთის პრეზიდენტის კომპეტენცია არსებითად ნომინალურია და წარმომადგენლობითი ხასიათის ფუნქციებით შემოიფარგლება. თუმცა ის გარემოება, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი, როგორც წესი, იმავდროულად ქვეყნის მმართველი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში არსებით როლს თამაშობს, მას რეალურად ანგარიშგასაწევ და გავლენიან სახელმწიფო მეთაურად აქცევს. კონსტიტუციის შესაბამისად ყველა მნიშვნელოვან უფლებას პრეზიდენტი სახალხო ყრილობის ან მისი მუდმივი კომიტეტის გადაწყვეტილების ან თანხმობის საფუძველზე ახორციელებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის – პრემიერის, ვიცე-პრემიერებისა და სახელმწიფო მრჩეველების, მინისტრების, სახელმწიფო საბჭოს გენერალური მდივნის დანიშვნა, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება და მობილიზაციის ბრძანების გამოცემა. ჩინური სახელმწიფო სისტემის კიდევ ერთი თავისებურებაა ის ფაქტი, რომ ქვეყნის პრეზიდენტი არ არის აღჭურვილი არც უმაღლესი მთავარსარდლის კომპეტენციით და კონსტიტუციაში არც სახელმწიფოს მეთაურად მოიხსენიება, მიუხედავად იმისა, რომ ახორციელებს სახელმწიფოს მეთაურის ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა სხვა ქვეყნის ელჩებისა და დიპლომატიური წარმომადგენლების მიღება და ჩინელი დიპლომატების დანიშვნა და გამოწვევა, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია და გაუქმება.

კონსტიტუციის მესამე თავის მომდევნო განყოფილება აღმასრულებელ ხელისუფლებას ანუ სახელმწიფო საბჭოს უფლებამოსილებასა და საქმიანობას შეეხება. სახელმწიფო საბჭო არის ჩინეთის მთავრობა და სახელმწიფო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანო და შედგება პრემიერის, ვიცე-პრემიერების, სახელმწიფო მრჩეველების, სამინისტროების ხელმძღვანელი მინისტრებისა და კომისიების ხელმძღვანელი მინისტრებისაგან. მის შემადგენლობაში ასევე შედიან გენერალური მდივანი და გენერალური აუდიტორი. სახელმწიფო საბჭოში ქვეყნის მართვის ოპერატიულობის უზრუნველსაყოფად მისი ცალკეული წევრების შემადგენლობით იქმნება ე.წ. მუდმივმოქმედი ბიურო. სახელმწიფო საბჭოს უფლებამოსილების ვადა ისევე, როგორც ჩინეთის სახელმწიფო ორგანოთა უმეტესობის უფლებამოსილების ვადა ეროვნული სახალხო ყრილობის უფლებამოსილებაზეა მიბმული. სახელმწიფო საბჭო პრემიერის ხელმძღვანელობით უფლებამოსილია: განახორციელოს ქვეყნის მასშტაბით ყველა დონის ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაობის ხელმძღვანელობა, კონსტიტუციისა და კანონების აღსასრულებლად გაატაროს სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული ზომები, წარმართოს ქვეყნის საგარეო ურთიერთობები, შეიმუშავოს და განახორციელოს სახელმწიფოს ეკონომიკური და სხვა გეგმები და სახელმწიფო ბიუჯეტი, გადაწყვიტოს ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფა, ხელმძღვანელობა გაუწიოს ქვეყნის განვითარების სხვადასხვა სფეროს და განახორციელოს ქვეყნის მართვასთან დაკავში-

რებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. სახელმწიფო საბჭოს თანამდებობის პირთა დანიშვნა ფორმდება პრეზიდენტის აქტით, რომელიც ეროვნული სახალხო ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა. სახელმწიფო საბჭო პასუხისმგებელია ყრილობის წინაშე. სახელმწიფოს საფინანსო კონტროლის უმაღლესი დაწესებულება – აუდიტორული ორგანო ჩინეთის სახელმწიფო საბჭოსთან მოქმედებს და მისი ხელმძღვანელი – გენერალური აუდიტორი შედის მთავრობის შემადგენლობაში.

სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩინეთის ცენტრალურ სამხედრო კომისიას, რომელიც უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციის განმახორციელებელ დამოუკიდებელ კოლეგიურ ორგანოს წარმოადგენს. ცენტრალური სამხედრო კომისია აირჩევა ეროვნული სახალხო ყრილობის მიერ და მის წინაშეა პასუხისმგებელი. ცენტრალური სამხედრო კომისიის უფლებამოსილების ვადაც ეროვნული სახალხო ყრილობის უფლებამოსილების ვადას ემთხვევა. ეროვნული სამხედრო კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე. აღსანიშნავია, რომ 1982 წლის კონსტიტუციამდე ჩინეთის შეიარაღებულ ძალთა ხელმძღვანელობას კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებდა. უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციათა განმახორციელებელი კოლეგიური ორგანოს არსებობა მსოფლიო პრაქტიკაში იშვიათ პრეცედენტს წარმოადგენს.

კონსტიტუციის მესამე თავის მე-5 განყოფილება ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს. ადგილობრივი ხელისუფლების სისტემას ჩინეთში ქმნის პროვინციების, ცენტრალური მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი მუნიციპალიტეტების, ოლქების, ქალაქების, მუნიციპალური რაიონების, დაბების, ეროვნულ უმცირესობათა დაბებისა და მცირე ქალაქების სახალხო ყრილობები და სახალხო მთავრობები. საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად ადგილობრივი სახალხო ყრილობების უფლებამოსილების ვადა ადმინისტრაციული დაყოფის ყველა დონეზე ხუთი წლით განისაზღვრა. ადგილობრივი სახალხო ყრილობები არჩევნების გზით ფორმირდება, რომლის წესიც სპეციალური კანონით განისაზღვრება. ადგილობრივი სახალხო ყრილობების ფორმირების პრინციპი ემყარება ზედა დონის სახალხო ყრილობის დეპუტატთა არჩევას ქვედა დონის სახალხო ყრილობის მიერ. ეს უკანასკნელი უფლებამოსილია უფლება-მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების გამო უკან გამოიწვიოს მის მიერ არჩეული წევრი. ადგილობრივი სახალხო ყრილობების მიერ მიღებული ნორმატიული ხასიათის სამართლებრივი აქტები იურიდიული ძალის შესაძენად საჭიროებს მუდმივი კომიტეტის მიერ რეგისტრაციას. ადგილობრივი სახალხო ყრილობა შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში აღჭურვილია ფაქტიურად იგივე ტიპის კომპეტენციით, რითაც ეროვნული სახალხო ყრილობა ქვეყნის მასშტაბით. ოლქისა და ზედა დონის ადგილობრივ სახალხო ყრილობებში იქმნება მუდმივი კომიტეტები, რომლებიც ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივი კომიტეტის მსგავსად მოქმედებენ. ადგილობრივი სახალხო ყრილობები ირჩევენ გუბერნატორს ტერიტორიულ ერთეულში, ხოლო მერს ქალაქში, ასევე შესაბა-

მისი სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებს, სახალხო პროკურორსა და პროკურატურის თანამდებობის პირებს, ამტკიცებენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს, ადმინისტრაციული ერთეულის ბიუჯეტს, ახდენენ ადმინისტრაციული ერთეულის სახალხო მთავრობის ფორმირებას. ადმინისტრაციული ერთეულის მთავრობა ანგარიშვალდებულია როგორც შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის სახალხო ყრილობის, ასევე ზედა დონის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და, საბოლოო ჯამში, სახელმწიფო საბჭოს წინაშე. ადგილობრივი სახალხო მთავრობა უზრუნველყოფს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში კანონების აღსრულებას და უძღვება რეგიონის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას და ახორციელებს მმართველობით საქმიანობას. ადგილობრივ სახალხო მთავრობასთან მოქმედებს ადგილობრივი აუდიტორული ორგანო და მისი ხელმძღვანელი შედის ადგილობრივი მთავრობის შემადგენლობაში.

კონსტიტუციის ცალკე განყოფილება ეთმობა ეროვნული ავტონომიური ტერიტორიების თვითმმართველობის საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ავტონომიური ტერიტორიები რეგიონული ავტონომიის სტატუსით მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობით სარგებლობენ. ავტონომიური რეგიონის, ავტონომიური პრეფექტურისა და ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელი აუცილებლად იმავე ავტონომიურ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი უნდა იყოს. ეროვნული ავტონომიური ტერიტორიების სახალხო ყრილობებს უფლება აქვთ თავად დაადგინონ თავიანთი ავტონომიური მმართველობის წესები, რომლებიც მხოლოდ კონკრეტულ ავტონომიურ ერთეულში იმოქმედებს. ეროვნული ავტონომიური ტერიტორიების სახალხო ყრილობები ასევე უფლებამოსილი არიან დამოუკიდებლად განსაზღვრონ მათი რეგიონების ეკონომიკური განვითარების საკითხები, განაგონ ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროს მიკუთვნებული საკითხები. ავტონომიური ტერიტორიების თვითმმართველობის ორგანოები დამოუკიდებლად ახორციელებენ ფინანსების ადმინისტრირებასა და განკარგვას თავიანთი რეგიონების ფარგლებში. რეგიონის ტერიტორიაზე შეკრებილი ყველა შემოსავალი ადგილობრივი საჭიროებისათვის გამოიყენება და მათი განკარგვა შესაბამისი თვითმმართველობის ორგანოებს ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად შეუძლიათ. კონსტიტუცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ ხელისუფლებას ავალდებულებს ეროვნულ ავტონომიურ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისას და საწარმოთა მშენებლობისას გაითვალისწინოს ამ ტერიტორიის ინტერესები. ავტონომიური ტერიტორიების თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ ტერიტორიაზე ოფიციალური საქმის წარმოებისათვის გამოიყენონ ის ენა, რომელიც გავრცელებულია ამ ავტონომიურ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობაში. რეგიონული ავტონომიის ჩინური მოდელის ყველაზე საინტერესო თავისებურება ის არის, რომ ეროვნული ავტონომიური ტერიტორიების თვითმმართველ ორგანოებს ცენტრალური ხელისუფლების, კონკრეტულად კი სახელმწი-

ფო საბჭოს, თანხმობით ადგილობრივი საჭიროებიდან გამომდინარე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით და სახელმწიფოს სამხედრო სისტემის შესაბამისად შექმნას ადგილობრივი უსაფრთხოების სამსახურები. მსოფლიოში დამკვიდრებული გამოცდილებით უსაფრთხოების სამსახურები და შეიარაღებული ფორმირებები, როგორც წესი, ყოველთვის ფედერალური ხელისუფლების დაქვემდებარებაშია და ცენტრალური ხელისუფლება ყოველთვის ერიდება მსგავსი კომპეტენციის ავტონომიური ხელისუფლებისათვის გადაცემას. ამდენად ჩინეთის კონსტიტუცია ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ საინტერესო გამონაკლისს წარმოადგენს. სახელმწიფო ეროვნულ ავტონომიურ ტერიტორიებს აქტიურად ეხმარება მატერიალური, ფინანსური და ტექნიკური კუთხით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს რეგიონების თანაბარი განვითარების პროცესი.

კონსტიტუციის მესამე თავის ბოლო განყოფილება სასამართლო წყობილების საფუძვლებს განსაზღვრავს. სასამართლო სისტემას ქმნის უმაღლესი სახალხო სასამართლო და მისი ქვემდგომი სხვადასხვა დონის სახალხო სასამართლოები, ასევე კანონით გათვალისწინებული სპეციალური სახალხო სასამართლოები. უმაღლესი სასამართლოს საქმიანობას ხელმძღვანელობს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომლის უფლებამოსილების ვადაც ემთხვევა ეროვნული სახალხო ყრილობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადას. სასამართლო ორგანოების ორგანიზაციული სტრუქტურა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სისტემაზეა მიბმული. კონსტიტუციის თანახმად იგულისხმება, რომ უმაღლესი სახალხო სასამართლო შექმნილია ეროვნული სახალხო ყრილობის, ხოლო მისი ქვემდგომი სახალხო სასამართლოები შესაბამისი დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობის მიერ, ამიტომ უმაღლესი სახალხო სასამართლო ანგარიშვალდებულია ეროვნული სახალხო ყრილობის, ხოლო ქვემდგომი სახალხო სასამართლოები პასუხისმგებელი არიან შესაბამისი დონის სახალხო ყრილობების წინაშე. პასუხისმგებლობის ასეთი ფორმების არსებობა თავისთავად გამორიცხავს ჩინეთში ხელისუფლების დანაწილებისა და ხელისუფლების შტოთა შორის ბალანსის პრინციპის არსებობას.

სასამართლო სისტემის ფარგლებში, მაგრამ დამოუკიდებლად მოქმედებს სახალხო პროკურატურა, რომლის სტრუქტურა უმაღლეს სახალხო პროკურატურას, სამხედრო და სპეციალური სახალხო პროკურატურებისა და სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო პროკურატურების ერთიანობას წარმოადგენს. უმაღლეს სახალხო პროკურატურას ხელმძღვანელობს ეროვნული სახალხო ყრილობის მიერ არჩეული გენერალური პროკურორი. ამ თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადაც ეროვნული სახალხო ყრილობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადას ემთხვევა. უმაღლესი სახალხო პროკურატურა პასუხისმგებელია ეროვნული სახალხო ყრილობის, ხოლო ქვემდგომი სახალხო პროკურატურები შესაბამისი დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობების წინაშე. პროკურატურას ჩინეთის სახელმწიფო ორგანოთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია იმის გათვალისწინებით, რომ იგი წარმოადგენს კანონიერებაზე ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოს. ჩინეთის კონსტიტუცია აღიარებს სის-

ხლის სამართლის საქმეთა წარმოებისას სასამართლო და პროკურატურის ორგანოთა, ასევე უსაფრთხოების სამსახურების დამოუკიდებლობისა და ურთიერთჩაურეველობის პრინციპს. თუმცა მათ კოორდინაციისათვის გარკვეულ საფუძველსაც შეიცავს.

კონსტიტუციის ბოლო მე-4 თავი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლოებს განსაზღვრავს. დადგენილია ეროვნული დროშისა და გერბის აღწერილობა და სახელმწიფოს დედაქალაქი. ამ ჩამონათვალს 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად ასევე სახელმწიფო ჰიმნის განმსაზღვრელი ნორმები დაემატა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 1982 წლის კონსტიტუციას არ აქვს არც გარდამავალი და არც დასკვნითი დებულებები, რაც იურიდიული ტექნიკის სხვა ნიუანსების გათვალისწინებით (კონსტიტუციის გადასინჯვისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურის მომწესრიგებელი ნორმების არარსებობა, მუხლების აბზაცებად დაყოფა, ვრცელი პრეამბულა და ა.შ) მას გარკვეულ ორიგინალურობას ანიჭებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შინაარსის მიხედვით 1982 წლის კონსტიტუცია მისი წინამორბედი სოციალისტური კონსტიტუციებისგან განსხვავებით უდავოდ პროგრესული დოკუმენტია როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებები. ჩინეთის კონსტიტუციას მრავალი თავისებურება ახასიათებს დაწყებული ფორმალურ-თეორიული მომენტებით, რაც თავად კონსტიტუციის ტექსტის წყობიდან და ხასიათიდან გამომდინარეობს, არსებითი ხასიათის თავისებურებებით დამთავრებული, რომლებიც დაკავშირებულია კონსტიტუციის მიერ დადგენილ სახელმწიფო ინსტიტუტებთან.

ჩინეთის კონსტიტუციის ყველაზე ყურადსაღებ თავისებურებებად შეიძლება ჩაითვალოს:

დეკლარაციული ხასიათის ვრცელი პრეამბულა, ძირითადი დებულებების ლაკონური ხასიათი, ეკონომიკისა და ეკონომიკური საკითხების დეტალური რეგულირება, იმ ფონზე, როცა სახელმწიფო მოწყობის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა ჩვეულებრივ კანონებზეა დელეგირებული, სახელმწიფო ენის განმსაზღვრელი ჩანაწერის, კონსტიტუციის მიღების, გადასინჯვის, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის პროცედურის მომწესრიგებელი ცალკე ნორმების, ასევე გარდამავალი და დასკვნითი დებულებების არარსებობა, სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობათა არასრულყოფილი რეგულირება და ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის ღიად დატოვება, როგორიცაა აღმასრულებელი ხელისუფლების პასუხისმგებლობის ფორმები ეროვნული სახალხო ყრილობის წინაშე, იმპიჩმენტის პროცედურის მოუწესრიგებლობა და ა.შ.; ადამიანის უფლებათა ნაწილში უდანაშაულობის პრეზუმფციის გაუთვალისწინებლობა, მოქალაქეთათვის სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირთა კრიტიკის უფლების მინიჭება და დეტალური რეგულირება, კოლექტივების როლის წინ წამოწევა და კოლექტივების უფლებათა განსაკუთრებული დაც-

ვა, რომელიც მოქალაქეებს ავალდებულებს მათთვის მინიჭებული უფლებებით სარგებლობისას გაითვალისწინონ კოლექტივების ინტერესი; სახელმწიფო ინსტიტუტების ნაწილში დემოკრატიული სახალხო დიქტატურის ოურიდიული აღიარება; ხელისუფლების არათანაბარი დანაწილება სახელმწიფო ორგანოთა შორის; დემოკრატიული ცენტრალიზმისა და ფართო ავტონომიური უფლებამოსილებების სისტემის ერთობლივი ფუნქციონირება; ეროვნული სახალხო ყრილობის წევრთა დიდი რაოდენობა, მისი განსაკუთრებული როლი სახელმწიფოს მართვაში, რომელზეც მიბმულია ჩინეთის თითქმის ყველა სახელმწიფო ორგანოს ფორმირებისა და თანამდებობის პირთა დანიშვნის კომპეტენცია და ამ ორგანოთა და თანამდებობის პირთა უფლებამოსილების ვადა, ასევე პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმი; ეროვნული სახალხო ყრილობის არჩევნების უზრუნველყოფის კომპეტენციის თაავდ ყრილობის მუდმივი კომიტეტისათვის მინიჭება, ეროვნული სახალხო ყრილობის კვაზისაკანონმდებლო ორგანოს სახით ფუნქციონირება და მისი ფართო კომპეტენცია, რომელიც ეროვნული სახალხო ყრილობის სესიებს შორის პერიოდში მუდმივ კომიტეტს ე.წ. „მინი პარლამენტად" აქცევს, მუდმივი კომიტეტისათვის კონსტიტუციურ ნორმათა განმარტების უფლების მინიჭება; ეროვნული სახალხო ყრილობის დეპუტატთა, ასევე ქვედა დონის სახალხო ყრილობის დეპუტატთა იმპერატიული მანდატით შეზღუდვა; პრეზიდენტის შეზღუდული კომპეტენცია და უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მისი უფლებამოსილების ეროვნული სახალხო ყრილობისა და მისი მუდმივი კომიტეტის გადაწყვეტილებებზე მიბმა, კონსტიტუციის მიერ პრეზიდენტის რეალური მდგომარეობის არასათანადო ასახვა და მისთვის სახელმწიფოს მეთაურის ოფიციალური სტატუსის მიუნიჭებლობა; სახელმწიფო საბჭოს – აღმასრულებელი ხელისუფლების ქოლგის ქვეშ სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის მაკონტროლებელი უმაღლესი აუდიტორული ორგანოს ფუნქციონირება, რომლის ხელმძღვანელი გენერალური აუდიტორიც მთავრობის შემადგენლობაში შედის; მთავრობის შემადგენლობაში სახელმწიფო საბჭოს გენერალური მდივნის შეყვანა, რომლის სტატუსს, კომპეტენციასა და დანიშნულებას კონსტიტუცია არ განსაზღვრავს; უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციის სახელმწიფოს მეთაურის ნაცვლად სპეციალიზებული პროფესიული კოლეგიური ორგანოს, ცენტრალური სამხედრო კომისიისთვის გადაცემა, რომელიც ეროვნული სახალხო ყრილობის (პარლამენტის) მიერ ფორმირდება და მის წინაშეეეა პასუხისმგებელი; ადგილობრივი თვითმმართველობის არაპირდაპირი სისტემა, რომელიც არჩევის ისეთ პრინციპზეა დამყარებული, როცა ყველაზე ქვედა დონის თვითმმართველ ორგანოს ირჩევს ხალხი, ხოლო ყველა მომდევნო დონის თვითმმართველობის ორგანო ქვედა დონის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ არჩეულ დეპუტატთაგან იქმნება, ადგილობრივი მთავრობის ორმაგი პასუხისმგებლობის სისტემა ადგილობრივი სახალხო ყრილობისა და ზემდგომი მთავრობის წინაშე; დემოკრატიული ცენტრალიზმის პირობებში ფართო რეგიონული ავტონომიების არსებობა ეროვნული უმცირესობებისათვის, რომელთა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიც აღჭურვილი არიან უფლებით, თავად დაადგინონ თვითმმართველო-

ბის წესები, სრული მოცულობით და დამოუკიდებლად განკარგონ მათ ტერიტორიაზე ადმინისტრირებული შემოსავლები, დამოუკიდებლად განაგონ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე ეკონომიკურ, საფინანსო, კულტურულ, საგანმანათლებლო სფეროს მიკუთვნებული საკითხები; ეროვნული ავტონომიური ტერიტორიების თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო საბჭოს თანხმობით შექმნას ადგილობრივი უსაფრთხოების სამსახურები; სასამართლო ხელისუფლების ეროვნულ სახალხო ყრილობაზე მჭიდრო დამოკიდებულება, რაც სასამართლო ორგანოების ეროვნული სახალხო ყრილობისა და სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობების მიერ ფორმირებასა და სასამართლო ორგანოების მათ წინაშე პასუხისმგებლობით გამოიხატება; პროკურატურისათვის კანონიერებაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს ფუნქციის მინიჭება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია[1]

მიღებულია მეხუთე ეროვნული სახალხო ყრილობის
მეხუთე სესიაზე 1982 წლის 4 დეკემბერს

(ცვლილებები შეტანილ იქნა 1988 წელს,
1993 წელსა და 1999 წელს)

პრეამბულა

ჩინეთი მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ისტორიის მქონე ქვეყანაა. ჩინეთის ყველა ეროვნების ხალხმა ერთსულოვნად შექმნა დიადი კულტურა და ბრწყინვალე რევოლუციური ტრადიცია.

1840 წლის შემდეგ ფეოდალური ჩინეთი თანდათან გადაიქცა ნახევრად კოლონიალურ და ნახევრად ფეოდალურ ქვეყანად. ეროვნული დამოუკიდებლობისა და განთავიუფლების, დემოკრატიისა და თავისუფლების მოსაპოვებლად ჩინეთის ხალხმა აწარმოა ბევრი წარმატებული გმირული ბრძოლა.

დიდ და ძირფესვიან ცვლილებებს ჰქონდა ადგილი ჩინეთში მე-20 საუკუნეში.

1911 წლის რევოლუციამ, რომელსაც დოქტორი სუნ იატ-სენი ხელმძღვანელობდა გაუქმა ფეოდალური მონარქია და დასაბამი მისცა ჩინეთის რესპუბლიკას. მაგრამ ჩინელი ხალხის იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის დამხობის ისტორიული მისია შეუსრულებელი დარჩა.

ხანგრძლივი მღელვარებისა და ენერგიული ბრძოლების შემდეგ, შეიარაღებული და სხვა გზებით, მთელი ზიგზაგური კურსის განმავლობაში ჩინელმა ხალხმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერ მაო ძე-დუნის მეთაურობით 1949 წელს საბოლოოდ განდევნა იმპერიალიზმი, ფეოდალიზმი და ბიუროკრატიული კაპიტალიზმი, ახალი დემოკრატიული რევოლუციით მოპოვებულ იქნა დიდებული გამარჯვება და დაარსდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. მას შემდეგ ჩინელმა ხალხმა მოიპოვა სახელმწიფო ხელისუფლება და გახდა თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი.

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია ჩინეთის კანონმდებლობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.gis.net/chinalaw/lawtran1.htm ასევე მისამართზე: www.chinalegalaidprogram.org/english/Constitution1999.pdf გამოქვეყნებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტები.

სახალხო რესპუბლიკის დაარსების შემდეგ ჩინეთი თანდათან აღწევდა ახალი დემოკრატიულიდან სოციალისტურ საზოგადოებად გარდაქმნას. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების სოციალისტურად გარდაქმნა დასრულდა, ერთი ადამიანის მეორეზე ექსპლუატაცია გაუქმდა და დაფუძნდა სოციალისტური სისტემა. განვითარდა და განმტკიცდა მუშათა და გლეხთა კავშირზე დაფუძნებული მუშათა კლასის მიერ დამყარებული ხალხთა დემოკრატიული დიქტატურა, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის არსს წარმოადგენს. ჩინელმა ხალხმა და ჩინელი ხალხის განმათავისუფლებელმა არმიამ დაამარცხა იმპერიალისტთა და ჰეგემონისტთა აგრესია, საბოტაჟი და შეიარაღებული პროვოკაციები და ამის საშუალებით დაიცვა ჩინეთის ეროვნული დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება და განამტკიცა მისი ეროვნული თავდაცვა. მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული ეკონომიკურ განვითარებაში. საბოლოოდ ჩამოყალიბდა ვრცელი და ურთიერთდაკავშირებული სოციალისტური მრეწველობის სისტემა. აღსანიშნავია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა. მნიშვნელოვანი წინსვლა განხორციელდა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგებში, მაშინ როდესაც სოციალისტურ იდეოლოგიაში განათლებამ აღსანიშნავი შედეგები გამოიღო. საგრძნობლად გაუმჯობესდა ხალხის ცხოვრების დონე.

ორივე, ჩინეთის ახალი დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება და წარმატებული სოციალისტური კურსი მიღწეულ იქნა ყველა ეროვნების ჩინელი ხალხის მიერ, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, მარქსიზმ-ლენინიზმისა და მაო ძე-დუნის სწავლებათა და დენ სიაო პინის თეორიის ხელმძღვანელობით, სიმართლის მხარდაჭერით, შეცდომების გამოსწორებითა და სიძნელეების დაძლევით. ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის პირველ სტადიაშია. ერის წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანაა ძალისხმევის კონცენტრირება სოციალისტური მოდერნიზაციის განსახორციელებლად, ჩინური ტიპის სოციალიზმის მშენებლობის თეორიის გათვალისწინებით. ჩინეთის კომუნისტური პარტიის მეთაურობითა და მარქსიზმ-ლენინიზმისა და მაო ძე-დუნის სწავლებათა, დენ სიაო პინის თეორიის, აგრეთვე „სამი წარმოდგენის" მნიშვნელოვანი მოძღვრების ხელმძღვანელობით, ჩინეთის ყველა ეროვნების ხალხი გააგრძელებს დემოკრატიული სახალხო დიქტატურისა და სოციალისტური გზის ერთგულებას და მხარს დაუჭერს რეფორმის გატარებას და გახსნის გზას მთელს მსოფლიოში, რათა სწრაფად განვითარდეს სოციალური ინსტიტუტები, განვითარდეს სოციალური დემოკრატია, გაუმჯობესდეს სოციალური სამართლებრივი სისტემა და ყველაფერს გააკეთებს ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ეროვნული თავდაცვის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მოდერნიზაციისათვის და ნაბიჯ-ნაბიჯ მატერიალურ, პოლიტიკურ და სულიერ ფასეულობათა ურთიერთშეთანხმებული განვითარებით ჩინეთის ძლიერ, აყვავებულ, კულტურული წინსვლისა და დემოკრატიული სოციალიზმის ერად ჩამოსაყალიბებლად.

ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში ექსპლუატატორთა კლასი გაუქმებულ იქნა. თუმცა, კლასობრივი ბრძოლა დიდი ხნის მანძილზე გააგრძელებს არსებობას გარკვეულ ფენებში. ჩინელმა ხალხმა როგორც შინ - სამშობლოში, ისე საზღვარგარეთ უნ-

და იბრძოლოს იმ ძალებისა და ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი ჩინეთის სოციალისტური სისტემის მიმართ და ცდილობენ ძირი გამოუთხარონ მას. ტაივანი წარმოადგენს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წმინდა ტერიტორიის ნაწილს. ჩინეთის ყველა ხალხის, მათ შორის ტაივანში ჩვენი თანამოძმეების, შეუცვლელი მოვალეობაა დაასრულონ უდიდესი ამოცანა, სამშობლოს გაერთიანება. სოციალიზმის მშენებლობის აუცილებელი ნაწილია დაყრდნობა მუშებზე, გლეხებზე და ინტელექტუალებზე და ყველა იმ ძალთა გაერთიანება, რომელთა გაერთიანებაც შეიძლება. რევოლუციისა და ქვეყნის მშენებლობის მრავალი წლის მანძილზე ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ფართო პატრიოტული გაერთიანება, რომელიც შედგება დემოკრატიული პარტიებისა და სახალხო ორგანიზაციებისაგან, რომლებიც აერთიანებენ ყველა სოციალისტურ მშრომელ ხალხს, სოციალიზმის ყველა მშენებელს, ყველა პატრიოტს, ვინც მხარს უჭერს სოციალიზმს და იზარებს ქვეყნის გაერთიანების აუცილებლობას. ეს მოწინავე გაერთიანება გააგრძელებს კონსოლიდირებასა და განვითარებას. ჩინელი ხალხის პოლიტიკური სათათბირო კონფერენცია, მნიშვნელოვანი ისტორიული როლის მქონე მოწინავე გაერთიანებების მიერ ღიად დაფუძნებული წარმომადგენლობითი ორგანიზაცია, კვლავ გააგრძელებს უფრო მნიშვნელოვანი როლის შესრულებას ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვა ქვეყნებთან მეგობრობის გაუმჯობესებაში, სოციალისტური მოდერნიზაციისა და ქვეყნის გამთლიანებისთვის ბრძოლაში. მრავალპარტიული თანამშრომლობა და პოლიტიკური კონსულტაციის სისტემა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განაგრძობს და განავითარებს მომავლის კეთილდღეობას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა წარმოადგენს მისი ყველა ერის ხალხთა მიერ ერთსულოვნად შექმნილ უნიტარულ, მრავალეროვნულ სახელმწიფოს. თანასწორობის, ერთიანობისა და საერთო ურთიერთდახმარების სოციალისტური ურთიერთობები დამყარდა ერებს შორის და განაგრძობს განმტკიცებას. ერთა ერთიანობისათვის ბრძოლაში აუცილებელია დიდი ერის შოვინიზმის დაძლევა, განსაკუთრებით კი „ხანური შოვინიზმის", და ადგილობრივი ეროვნული შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს ყველა ერის საერთო საკუთრების გაუმჯობესებისთვის.

ჩინეთის მიღწევები რევოლუციასა და აღმშენებლობაში განუყოფელია მსოფლიოს ხალხთა მხარდაჭერისაგან. ჩინეთის მომავალი მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიოს მომავალთან. ჩინეთი თანამიმდევრულად ატარებს დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას და იცავს ურთიერთპატივისცემის ხუთ პრინციპს - სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ურთიერთთავდაუსხმელობის, ერთმანეთის საშინაო საკითხებში ჩაურევლობის, თანასწორობისა და ურთიერთდახმარების და სხვა ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების, ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის განვითარების პირობებში მშვიდობიან თანაცხოვრების. ჩინეთი თანამიმდევრულად ებრძვის იმპერიალიზმს, ჰეგემონიზმსა და კო-

ლონიალიზმს, მუშაობს სხვა ქვეყნების ხალხებთან დაახლოების გაძლიერებაზე, მხარს უჭერს ჩაგრულ ერებს და განვითარებად ქვეყნებს მათ სამართლიან ბრძოლაში ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად და ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის, ისწრაფვის მსოფლიო მშვიდობის დასაცავად და ატარებს ჰუმანური პროგრესის კურსს.

ეს კონსტიტუცია სამართლებრივად ადასტურებს ყველა ეროვნების ჩინელი ხალხის ბრძოლით მოპოვებულ მიღწევებს და განსაზღვრავს სახელმწიფო სისტემის საფუძვლებსა და სახელმწიფოს მთავარ ამოცანებს, იგი წარმოადგენს სახელმწიფოს ძირითად კანონს და უზენაეს სამართლებრივ ძალაუფლებას. ყველა ეროვნების ხალხმა, ყველა სახელმწიფო ორგანომ, შეიარაღებულმა ძალებმა, ყველა პოლიტიკურმა პარტიამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, ყველა საწარმომ და დაწესებულებამ ქვეყანაში უნდა აღიაროს კონსტიტუცია, როგორც ძირითადი სახელმძღვანელო ნორმა; მათ აკისრიათ მოვალეობა განამტკიცონ კონსტიტუციის უზენაესობა და უზრუნველყონ მისი შესრულება.

თავი I - ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არის სოციალისტური სახელმწიფო, მუშათა და გლეხთა მჭიდრო კავშირზე დაფუძნებული დემოკრატიული სახალხო დიქტატურით, რომელსაც ხელმძღვანელობს მუშათა კლასი.

სოციალისტური სისტემა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ძირითადი სისტემაა. აკრძალულია ნებისმიერი ორგანიზაციის ან პიროვნების მხრიდან სოციალისტური სახელმწიფოს ხელყოფა.

მუხლი 2. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მთელი ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს.

ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს ეროვნული სახალხო ყრილობისა და სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობების მეშვეობით.

ხალხი კანონის შესაბამისად ახორციელებს სახელმწიფოს მართვას და სხვადასხვა მეთოდებითა და გზებით ახდენს ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ საკითხთა გადაწყვეტას.

მუხლი 3. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოები ეფუძნება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს.

ეროვნული სახალხო ყრილობა და სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობები იქმნება დემოკრატიული არჩევნების გზით. ისინი პასუხისმგებელნი არიან ხალხის წინაშე და იმყოფებიან მისი ზედამხედველობის ქვეშ.

ადმინისტრაციული, სასამართლო და პროკურატურის ყველა სახელმწიფო ორგანო იქმნება სახალხო ყრილობების მიერ, რომელთა წინაშეც ისინი პასუხისმგებელნი არიან და მათი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან.

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის ფუნქციებისა და ხელისუფლების განაწილება ხდება ცენტრალური ხელისუფლების ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ინიციატივისა და ენთუზიაზმის გამოვლენის ფართო შესაძლებლობების მინიჭების პრინციპით.

მუხლი 4. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ყველა ეროვნება თანასწორია. სახელმწიფო იცავს ეროვნული უმცირესობების ყველა კანონიერ უფლებასა და ინტერესს და მხარს უჭერს და ავითარებს ჩინეთის ეროვნულ უმცირესობებს შორის თანასწორობის, ერთიანობისა და ურთიერთდახმარების ურთიერთობებს. რომელიმე ეროვნების დისკრიმინაცია ან ჩაგვრა აკრძალულია; დაუშვებელია ნებისმიერი ქმედება, რომელიც ძირს უთხრის ერების ერთიანობას ან მოწოდებულია მათი გათიშვის წასაქეზებლად.

სახელმწიფო, სხვადასხვა ეროვნული უმცირესობების თავისებურებებიდან და მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, დახმარებას უწევს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებს მათი ეკონომიკური და კულტურული განვითარების დაჩქარებაში.

ეროვნული ავტონომია ხორციელდება იმ ტერიტორიებზე, სადაც ეროვნული უმცირესობები ცხოვრობენ მჭიდრო დასახლებებად. ამ ტერიტორიებზე ავტონომიური ხელისუფლების განსახორციელებლად იქმნება თვითმმართველობის ორგანოები. ყველა ეროვნული ავტონომიის ტერიტორია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია.

ყველა ერს აქვს თავისუფლება ისარგებლოს თავისი დამწერლობით და განავითაროს იგი, აგრეთვე დაიცვას ან მოახდინოს თავისი ჩვეულებების რეფორმირება.

მუხლი 5. სახელმწიფო იცავს და განამტკიცებს სოციალისტური სამართლებრივი სისტემის ერთიანობასა და უზენაესობას.

არც ერთი კანონი ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადგილობრივი წესი ან დებულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას.

ყველა სახელმწიფო ორგანო, შეიარაღებული ძალები, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებები უნდა იცავდნენ კონსტიტუციასა და კანონმდებლობას. ყველა ქმედება, რომელიც არღვევს კონსტიტუციასა და კანონს გამოძიებული უნდა იქნეს.

არც ერთი ორგანიზაცია ან პიროვნება არ სარგებლობს პრივილეგიით, იდგეს კონსტიტუციასა და კანონზე მაღლა.

მუხლი 6. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალისტური ეკონომიკის საფუძველი არის წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საერთო საკუთრება, კერძოდ კი მთელი ხალხის საერთო საკუთრება და მშრომელი ხალხის კოლექტიური საკუთრება.

სოციალისტური საერთო საკუთრება უარყოფს ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ექსპლუატაციის სისტემას, ემყარება რა პრინციპს „თითოეული ადამიანისაგან - შესაძლებლობის მიხედვით, თითოეულ ადამიანს - გაწეული შრომის მიხედვით".

სოციალიზმის დაწყებით სტადიაზე სახელმწიფო მხარს უჭერს ეკონომიკურ სისტემას, რომელშიც საერთო საკუთრებას წარმმართველი როლი ეკისრება და საკუთრების სხვა ფორმები პარალელურად ვითარდებიან. სახელმწიფო ვალდებულია შეინარჩუნოს სისტემა, რომელშიც დომინირებს შემოსავლის დანაწილება შრომის შესაბამისად, ხოლო პარალელურად არსებობს შემოსავლის დანაწილების სხვა ფორმებიც.

მუხლი 7. სახელმწიფო ეკონომიკა ანუ სოციალისტური ეკონომიკა საერთო საკუთრებით არის ეროვნული ეკონომიკის წარმმართველი ძალა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ეკონომიკის კონსოლიდაცია და განვითარება.

მუხლი 8. სასოფლო კოლექტიური სამეურნეო ორგანიზაციები ახორციელებენ მეურნეობის ორდონიან სისტემას, რომლის საფუძველსაც ქმნის ოჯახური მეურნეობა. სოფლად კოოპერატიული მეურნეობის სხვადასხვა ფორმები - სამრეწველო, სამიმწოდებლო-სავაჭრო, საკრედიტო, სამომხმარებლო და სხვა სახით, წარმოადგენენ ეკონომიკის სოციალისტურ სექტორს, რომელიც ეფუძნება მშრომელი მასების კოლექტიური საკუთრების სისტემას. მშრომელები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან სასოფლო კოლექტიურ სამეურნეო ორგანიზაციებში, უფლებამოსილნი არიან, კანონით დადგენილ ფარგლებში, აწარმოონ მეურნეობა მათ საკუთრებაში მყოფ საკარმიდამო ნაკვეთებში, აწარმოონ საოჯახო მრეწველობა და გაამრავლონ საკუთარი საქონელი.

ქალაქად და დასახლებებში კოოპერატივების სხვადასხვა ფორმები - კუსტარული წარმოების, სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო, სავაჭრო და მომსახურების სფეროში, წარმოადგენენ ეკონომიკის სოციალისტურ სექტორს, რომელიც ეფუძნება მშრომელი მასების კოლექტიური საკუთრების სისტემას.

სახელმწიფო იცავს ქალაქად და სოფლად არსებული კოლექტიური სამეურნეო ორგანიზაციების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, წაახალისებს, ეხმარება და ხელს უწყობს კოლექტიური მეურნეობის განვითარებას.

მუხლი 9. მინერალური რესურსები, წყალი, ტყეები, მთები, ველმინდვრები, აუთვისებელი მიწები, სანაპიროები და სხვა ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებასა და საერთო სახალხო საკუთრებას, გარდა იმ ტყეე-

ბის, ველმინდვრების, აუთვისებელი მიწებისა და სანაპიროებისა, რომლებიც კანონის შესაბამისად კოლექტივების საკუთრებაშია.

სახელმწიფო უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და იცავს იშვიათ ცხოველებსა და მცენარეებს. დაუშვებელია ნებისმიერი პიროვნების ან ორგანიზაციის მიერ ბუნებრივი რესურსების რაიმე მიზეზით მითვისება ან დაზიანება.

მუხლი 10. ქალაქების მიწა სახელმწიფო საკუთრებაა.

მიწები სოფლად და ქალაქგარეთ კოლექტიური საკუთრებაა, გარდა იმ ნაწილისა, რაც კანონის შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს.

სახელმწიფო უფლებამოსილია, სახალხო ინტერესებიდან გამომდინარე და კანონის შესაბამისად, საზოგადოებრივი საჭიროების მიზნით მოახდინოს მიწების ექსპროპრიაცია ან ჩამორთმევა და გასცეს შესაბამისი კომპენსაცია ექსპროპრიირებული ან ჩამორთმეული მიწის სანაცვლოდ.

არც ერთ ორგანიზაციას ან კერძო პირს არ შეუძლია მიწის უკანონოდ გამოყენება, ყიდვა, გაყიდვა ან სხვა ფორმით გასხვისება. მიწით სარგებლობის უფლება შეიძლება გასხვისდეს მხოლოდ კანონის შესაბამისად.

ყველა ორგანიზაცია და კერძო პირი, რომელიც იყენებს მიწას, ვალდებულია უზრუნველყოს მისი რაციონალური გამოყენება.

მუხლი 11. ქალაქსა და სოფლად მომუშავე ხალხის პირადი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც კანონით დადგენილ ფარგლებში ხორციელდება, წარმოადგენს სოციალისტური სახალხო ეკონომიკის დანამატს. სახელმწიფო იცავს ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორების ისეთი სფეროების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს როგორებიცაა ეკონომიკის პირადი და კერძო სექტორი. სახელმწიფო წაახალისებს, ხელს უწყობს და წარმართავს ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორების განვითარებას და კანონის შესაბამისად ახორციელებს ზედამხედველობასა და კონტროლს მათზე.

სახელმწიფო უშვებს ეკონომიკის კერძო სექტორის არსებობასა და განვითარებას კანონით დადგენილ ფარგლებში. ეკონომიკის კერძო სექტორი წარმოადგენს სოციალისტური სახალხო ეკონომიკის დანამატს. სახელმწიფო იცავს ეკონომიკის კერძო სექტორის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, წარმართავს მას და ახორციელებს ზედამხედველობასა და კონტროლს.

მუხლი 12. სოციალისტური საერთო საკუთრება ხელშეუხებელია.

სახელმწიფო იცავს სოციალისტურ საკუთრებას. დაუშვებელია სახელმწიფო ან კოლექტიური საკუთრების რომელიმე ორგანიზაციის ან კერძო პირის მიერ, ნებისმიერი მიზეზით მითვისება ან დაზიანება.

მუხლი 13. მოქალაქეთა კანონიერი კერძო საკუთრება და ხელშეუხებელია.

სახელმწიფო კანონის შესაბამისად იცავს მოქალაქეთა კერძო საკუთრების უფლებას და მემკვიდრეობის უფლებას.

სახელმწიფო უფლებამოსილია, სახალხო ინტერესებიდან გამომდინარე და კანონის შესაბამისად, საზოგადოებრივი საჭიროების მიზნით მოახდინოს კერძო საკუთრების ექსპროპრიაცია ან ჩამორთმევა და გასცეს შესაბამისი კომპენსაცია ექსპროპრიირებული ან ჩამორთმეული კერძო საკუთრების სანაცვლოდ.

მუხლი 14. სახელმწიფო თანდათან ზრდის შრომის ნაყოფიერებას, აუმჯობესებს ეკონომიკურ შედეგებს და ავითარებს საწარმოო ძალებს მუშათა ენთუზიაზმის გაზრდით, ხელს უწყობს მათი ტექნიკური უნარჩვევების დონის ამაღლებას, ავითარებს მოწინავე მეცნიერებებსა და ტექნოლოგიებს, აუმჯობესებს ეკონომიკური მართვის სისტემებს, საწარმოო ოპერაციებსა და მენეჯმენტს, სხვადასხვა ფორმით აფუძნებს სოციალისტური პასუხისმგებლობის სისტემას და აუმჯობესებს შრომის ორგანიზაციას.

სახელმწიფო ახორციელებს მკაცრ ეკონომიას და ებრძვის გაფლანგვას.

სახელმწიფო ზედმიწევნით ანაწილებს მარაგებსა და ხარჯებს, ითვალისწინებს კოლექტივებისა და კერძო პირთა, ისევე როგორც სახელმწიფოს ინტერესებს. აგრეთვე, გაზრდილი პროდუქციის ხარჯზე, თანდათან აუმჯობესებს ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონეს.

სახელმწიფო ქმნის ეკონომიკური განვითარების შესაბამის ჯანმრთელობის სოციალური დაცვის სისტემას.

მუხლი 15. სახელმწიფო ახორციელებს სოციალისტურ საბაზრო ეკონომიკას.

სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს ეკონომიკური კანონმდებლობა და გააუმჯობესოს ეკონომიკაზე მაკრო-კონტროლი.

სახელმწიფომ კანონის შესაბამისად უნდა აკრძალოს ნებისმიერი ორგანიზაციის ან პიროვნების მხრიდან სოციალურ-ეკონომიკური წესრიგის დარღვევა.

მუხლი 16. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები გარკვეული სამეურნეო-ეკონომიკური ოპერაციების მიმართ, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში სარგებლობენ გადაწყვეტილების მიღების უფლებით.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა ხდება დემოკრატიული მმართველობით, მუშებისა და კოლექტივების ყრილობების, აგრეთვე, კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.

მუხლი 17. კოლექტიური ეკონომიკური ორგანიზაციები დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისას, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად სარგებლობენ გადაწყვეტილების მიღების უფლებით.

კოლექტიური ეკონომიკური ორგანიზაციები იყენებენ დემოკრატიულ მმართველობას, ირჩევენ და გადააყენებენ თავიანთ ხელმძღვანელ პირებს, კანონის

შესაბამისად იღებენ გადაწყვეტილებებს ცალკეულ ეკონომიკურ ოპერაციებსა და მეურნეობის მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე.

მუხლი 18. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ნებას რთავს უცხოეთის საწარმოებს, სხვა უცხოურ ეკონომიკურ ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს განახორციელონ ინვესტიციები ჩინეთში და სხვადასხვა ფორმით მიიღონ მონაწილეობა ჩინურ საწარმოებთან და სხვა ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

ყველა უცხოური საწარმო ან სხვა უცხოური ეკონომიკური ორგანიზაცია, ისევე როგორც ჩინურ-უცხოური ერთობლივი წამოწყებები ჩინეთის ტერიტორიაზე საქმიანობენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 19. სახელმწიფო ხელს უწყობს სოციალისტური განათლების განვითარებას და იღწვის მთელი ერის სამეცნიერო და კულტურული დონის ასამაღლებლად.

სახელმწიფო ქმნის და მართავს სხვადასხვა ტიპის სკოლებს, უზრუნველყოფს დაწყებითი განათლების საყოველთაობასა და საშუალო, პროფესიული და უმაღლესი, ასევე, წინასასკოლო განათლების განვითარებას.

წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრით სახელმწიფო აუმჯობესებს საგანმანათლებლო შესაძლებლობებს და მუშების, გლეხების, სახელმწიფო მოსამსახურეებისა და სხვა მშრომელი ხალხისთვის უზრუნველყოფს პოლიტიკურ, სამეცნიერო, ტექნიკურ, პროფესიულ განათლებას, ასევე, ზოგად განათლებას. იგი ხელს უწყობს და წაახალისებს ხალხს მიიღონ განათლება დამოუკიდებელი სწავლის მეშვეობით.

სახელმწიფო ხელს უწყობს კოლექტიურ ეკონომიკურ ორგანიზაციებს, სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებს, აგრეთვე საზოგადოების სხვა სექტორებს კანონის შესაბამისად დააფუძნონ სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო ინსტიტუტები.

სახელმწიფო უზრუნველყოფს მთელ ქვეყანაში პუ-ჰუნტუას[1] გავრცელებას.

მუხლი 20. სახელმწიფო უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებათა განვითარებას, ხელს უწყობს მეცნიერული და ტექნოლოგიური ცოდნის გავრცელებას, აგრეთვე, წაახალისებს და აჯილდოვებს სამეცნიერო მიღწევებს, ტექნოლოგიურ სიახლეებსა და გამოგონებებს.

მუხლი 21. სახელმწიფო ავითარებს სამედიცინო და სოციალურ სამსახურებს, ხელს უწყობს თანამედროვე მედიცინისა და ტრადიციული ჩინური მედიცინის განვითარებას, წაახალისებს და მხარს უჭერს სასოფლო-ეკონომიკური კოლექტივების, სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე სა-

---

[1] თანამედროვე ჩინური ლიტერატურული ენა.

მეზობლო ორგანიზაციების, სამედიცინო და ჯანმრთელობის დაცვის დანიშნულების სხვადასხვა საშუალებებით აღჭურვას, ახორციელებს მასობრივი ხასიათის ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარიულ ღონისძიებებს, იცავს ხალხის ჯანმრთელობას.

ხალხის ფიზიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სახელმწიფო ხელს უწყობს ფიზიკური კულტურისა და მასობრივი სპორტული ღონისძიებების განვითარებას.

მუხლი 22. სახელმწიფო ხელს უწყობს ხელოვნების, ლიტერატურის, პრესის, რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის, ბეჭდვითი და გამავრცელებელი სამსახურების, ბიბლიოთეკების, კულტურული ცენტრებისა და ყველა სხვა იმ კულტურული საქმიანობის განვითარებას, რომლებიც ხალხისა და სოციალიზმის სამსახურშია. იგი ხელს უწყობს მასობრივ კულტურულ ღონისძიებებს.

სახელმწიფო იცავს სამეცნიერო და ისტორიული მნიშვნელობის ადგილებს, ფასეულ კულტურულ ძეგლებსა და ნაშთებს, აგრეთვე ჩინეთის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობიდან სხვა ღირებულ საგნებს.

მუხლი 23. სახელმწიფო ამზადებს სპეციალურ პერსონალს ყველა სფეროში, რომლებიც სოციალიზმს ემსახურებიან, ზრდის ინტელექტუალთა კლასს და ქმნის პირობებს, რათა მათ როლს სოციალისტურ მოდერნიზაციაში უფრო ფართო მასშტაბები მიეცეს.

მუხლი 24. სახელმწიფო აძლიერებს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას კულტურული მიღწევებისა და იდეოლოგიის მეშვეობით, მაღალი იდეალებით განათლების, ეთიკის, ზოგადი ცოდნის, დისციპლინისა და კანონიერების ამაღლების გზით, აგრეთვე, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების მიერ წესების ჩამოყალიბებითა და მათი დაცვის ხელშეწყობის გზით.

სახელმწიფო მხარს უჭერს საზოგადოებრივ მორალს, რომლისთვისაც დამახასიათებელია სამშობლოს, ხალხის, შრომის, მეცნიერების, სოციალიზმის სიყვარული, ხელს უწყობს ხალხში პატრიოტიზმის, კოლექტივიზმის, ინტერნაციონალიზმის, კომუნიზმის სულისკვეთების ჩამოყალიბებას, ისტორიული დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე აღზრდას, ახორციელებს ბრძოლას ბურჟუაზიული, ფეოდალური და სხვა გამხრწნელი იდეოლოგიის წინააღმდეგ.

მუხლი 25. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის დაგეგმვას ისე, რომ მოსახლეობის ზრდა შეესაბამებოდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს.

მუხლი 26. სახელმწიფო იცავს და აუმჯობესებს ადამიანთა საცხოვრებელ პირობებსა და გარემო პირობებს, აკონტროლებს და თავიდან იცილებს დაბინძურებასა და სხვა საზოგადოებრივ საფრთხეებს.

სახელმწიფო ორგანიზებას უწევს და წაახალისებს ტყის განაშენიანებასა და ტყეების დაცვას.

მუხლი 27. ყველა სახელმწიფო ორგანო ახორციელებს მარტივი და ეფექტური მმართველობის პრინციპს, გაწეულ სამუშაოზე პასუხისმგებლობის სისტემას, თანამდებობის პირთა წერთნის სისტემასა და მათი შესაძლებლობების შეფასებას შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და ეფექტურობის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის მიზნით.

ყველა სახელმწიფო ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებულია დაეყრდნოს ხალხს, მუდმივად შეინარჩუნოს მჭიდრო კავშირი ხალხთან, ყურადღება მიაქციოს ხალხის მასების აზრებსა და წინადადებებს, იმყოფება რა მისი კონტროლის ქვეშ მთელი ძალებით ემსახუროს ხალხს.

მუხლი 28. სახელმწიფო იცავს საზოგადოებრივ წესრიგს, ახდენს მოღალატეობრივი და სხვა კონტრ-რევოლუციური საქმიანობის აღკვეთას, საზოგადოებრივი წესრიგისათვის საფრთხის შემქმნელი და სოციალისტური ეკონომიკის ხელყოფისკენ მიმართული დანაშაულებრივი ქმედებების, აგრეთვე სხვა დანაშაულებრივი ქმედებების დასჯას; ახდენს დამნაშავეთა დასჯასა და გამოსწორებას.

მუხლი 29. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები ეკუთვნის ხალხს. მათი ამოცანებია: განამტკიცონ ეროვნული თავდაცვისუნარიანობა, წინ აღუდგნენ აგრესორებს, დაიცვან სამშობლო, დაიცვან ხალხის მშვიდობიანი შრომა, მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ გარდაქმნაში და გააკეთონ ყველაფერი, რათა ემსახურონ ხალხს.

სახელმწიფო აძლიერებს შეიარაღებული ძალების მშენებლობას, რევოლუციურობის, მოდერნიზაციისა და რეგულირებადობის თვალსაზრისით და აძლიერებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.

მუხლი 30. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ადმინისტრაციული დაყოფა შემდეგნაირია:

1) ქვეყანა იყოფა პროვინციებად, ავტონომიურ რეგიონებად და ცენტრალური მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფ მუნიციპალიტეტებად;

2) პროვინციები და ავტონომიური რეგიონები იყოფა ავტონომიურ პრეფექტურებად, ოლქებად, ავტონომიურ ოლქებად და ქალაქებად;

3) ოლქები და ავტონომიური ოლქები იყოფა დაბებად, ეროვნულ უმცირესობათა დაბებად და მცირე ქალაქებად.

ცენტრალური მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი მუნიციპალიტეტები და სხვა დიდი ქალაქები დაყოფილია რაიონებად და ოლქებად. ავტონომიური პრეფექტურები დაყოფილია ოლქებად, ავტონომიურ ოლქებად და ქალაქებად.

ყველა ავტონომიური რეგიონი, ავტონომიური პრეფექტურა და ავტონომიური ოლქი წარმოადგენს ეროვნულ ავტონომიურ ტერიტორიას.

მუხლი 31. საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო უფლებამოსილია შექმნას სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონები. ის სისტემები, რომლებიც შემოღებულ იქნება სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონებში უნდა განისაზღვროს კანონით, რომელიც მიღებული იქნება ეროვნული სახალხო ყრილობის მიერ სპეციალური გარემოებების გათვალისწინების საფუძველზე.

მუხლი 32. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იცავს ჩინეთის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. ჩინეთის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონმდებლობას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა უფლებამოსილია თავშესაფარი მისცეს იმ უცხოელებს, რომლებიც ამას მოითხოვენ პოლიტიკური მიზეზების გამო.

თავი II – მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და მოვალეობები

მუხლი 33. ყველა პიროვნება, რომელსაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქვეშევრდომობა გააჩნია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მოქალაქე კანონის წინაშე თანასწორია. ყველა მოქალაქე აღჭურვილია უფლებებით და ამავე დროს ეკისრება კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობები.

სახელმწიფო პატივს სცემს და იცავს ადამიანის უფლებებს.

მუხლი 34. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, გარდა იმ პირებისა, რომელთაც კანონის შესაბამისად ჩამორთმეული აქვს პოლიტიკური უფლებები, აქვს ხმის მიცემისა და არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის უფლება, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა, რასისა, სქესისა, პროფესიისა, რელიგიური აღმსარებლობისა, განათლებისა, საკუთრებისა, ცხოვრების ხანგრძლივობისა.

მუხლი 35. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქები სარგებლობენ სიტყვის, პრესის, შეკრების, გაერთიანების, მიტინგისა და დემონსტრაციის თავისუფლებით.

მუხლი 36. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალქეები სარგებლობენ რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებით.

არც ერთ სახელმწიფო ორგანოს, საჯარო დაწესებულებას ან პიროვნებას არ აქვს უფლება აიძულოს მოქალაქეები მიიღონ ან უარყონ რომელიმე რელიგია, ან შეავიწროვონ მოქალაქეები რომელთაც სწამთ, ან უარყოფენ რომელიმე რელიგიას.

სახელმწიფო იცავს ნორმალურ რელიგიურ საქმიანობას. დაუშვებელია რელიგიური საქმიანობის განხორციელება, რომელიც გამოიწვევს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, შეასუსტებს მოქალაქეთა ჯანმრთელობას ან ჩაერევა სახელმწიფოს განათლების სისტემაში.

რელიგიური ორგანიზაციები ან რელიგიური საკითხები არ შეიძლება გახდეს უცხოელთა ჩარევის საგანი.

მუხლი 37. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქის პიროვნების თავისუფლება ხელშეუხებელია.

არც ერთი მოქალაქე არ შეიძლება იქნეს დაპატიმრებული სახალხო პროკურატურის სანქციის ან სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე და დაპატიმრება უნდა განხორციელდეს მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოს მიერ.

დაუშვებელია უკანონო დაპატიმრების ან სხვა უკანონო მოქმედების გზით პიროვნების თავისუფლების აკრძალვა ან შეზღუდვა. აკრძალულია მოქალაქეთა უკანონო ჩხრეკა.

მუხლი 38. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქის პატივი და ღირსება ხელშეუხებელია. დაუშვებელია მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული შეურაცხყოფა, ცილისწამება, ყალბი ბრალდება ან ყალბი ინკრიმინირება.

მუხლი 39. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქის საცხოვრებელი ადგილი ხელშეუხებელია. უკანონო ჩხრეკა ან მოქალაქეთა სადგომში უკანონო შეჭრა დაუშვებელია.

მუხლი 40. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეთა მიმოწერის თავისუფლება დაცულია კანონით. არც ერთ ორგანიზაციას ან პიროვნებას, არანაირი საფუძვლით არ აქვს უფლება ხელყონ მოქალაქეთა მიმოწერის თავისუფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ან დანაშაულის გამოძიების მიზნით, სახელმწიფო უშიშროების ან პროკურატურის ორგანოებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით შეამოწმონ მიმოწერა.

მუხლი 41. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ გააკრიტიკონ და შენიშვნები გამოთქვან ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის მიმართ. მოქალაქეებს უფლება აქვთ შესაბამის ორგანოებში შეიტანონ საჩივარი ან წარადგინონ ბრალდება, ან გაამჟღავნონ ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის მხრიდან კანონის დარღვევა ან მოვალეობათა შეუსრულებლობა. ცილისწამების მიზნით ფაქტების გაყალბება ან დამახინჯება, ან ყალბი ბრალდება დაუშვებელია.

შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები ვალდებულნი არიან განიხილონ საჩივრები, ბრალდებები და განცხადებები ფაქტების შემოწმების გზით და პასუხისმგებელი არიან მათ გადაწყვეტაზე. არავის აქვს უფლება ამ საჩივრების, ბრალდებებისა და განცხადებების გამოყენებით შეავიწროვოს ან ზეგავლენა მოახდინოს მოქალაქეებზე, რომელთაც ისინი შეიტანეს.

მოქალაქეები, რომელთაც ზიანი მიადგათ სახელმწიფო ორგანოების ან თანამდებობის პირთა მხრიდან მათი სამოქალაქო უფლებების ხელყოფის შედეგად, უფლებამოსილი არიან მიიღონ კომპენსაცია კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 42. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება და ამავე დროს აკისრიათ შრომის ვალდებულება.

სახელმწიფო სხვადასხვა გზით ქმნის დასაქმების პირობებს, აუმჯობესებს შრომის უსაფრთხოებასა და სამუშაო პირობებს და გაზრდილი პროდუქციის ხარჯზე ზრდის შრომის ანაზღაურებასა და მომუშავეთა მატერიალურ კეთილდღეობას.

შრომა ყველა შრომისუნარიანი მოქალაქის საპატიო მოვალეობაა. ყველა მშრომელი, რომელიც დასაქმებულია სახელმწიფო საწარმოებსა და ეკონომიკურ კოლექტიურ ორგანიზაციებში ქალაქად და სოფლად, ვალდებულია მიუდგეს თავის სამუშაოს როგორც ქვეყნის ბატონ-პარტონი. სახელმწიფო ხელს უწყობს სოციალისტური შრომის კონკურენციის განვითარებას, წაახალისებს და აჯილდოვებს სანიმუშო და მოწინავე მშრომელებს. სახელმწიფო წაახალისებს მოქალაქეებს ნებაყოფლობით მიიღონ მონაწილეობა უანგარო შრომაში.

სახელმწიფო მოქალაქეთა დასაქმებამდე უზრუნველყოფს მათ აუცილებელ შრომით განათლებას.

მუხლი 43. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელ ხალხს აქვს დასვენების უფლება.

სახელმწიფო აუმჯობესებს შესაძლებლობებს მშრომელთა დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის დონის ასამაღლებლად, მუშებისა და სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის განსაზღვრავს სამუშაო საათებისა და შვებულებების სისტემას.

მუხლი 44. სახელმწიფო, კანონის შესაბამისად, განსაზღვრავს სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების მუშებისა და თანამშრომლების, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოთა თანამდებობის პირების საპენსიო სისტემას. სახელმწიფო და საზოგადოება უზრუნველყოფენ პენსიონერებს.

მუხლი 45. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებს მოხუცებულობის, ავადმყოფობის ან შრომისუუნარობის დროს უფლება აქვთ მატერიალური დახმარება მიიღონ სახელმწიფოსა და საზოგადოებისგან. სახელმწიფო ავითარებს სოციალური დაზღვევის, სოციალური დახმარების, სამედიცინო დახმარებისა და

ჯანმრთელობის დაცვის სისტემებს, რათა მოქალაქეებმა ისარგებლონ ამ უფლებით.

სახელმწიფო და საზოგადოება უზრუნველყოფენ შეიარაღებული ძალების ინვალიდებს, პენსიას აძლევენ დაღუპულ გმირთა ოჯახებს და შეღავათებს უწესებენ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს.

სახელმწიფო და საზოგადოება დახმარებას უწევენ ბრმებს, ყრუ-მუნჯებსა და სხვა ინვალიდ მოქალაქეებს სამუშაოზე მოწყობაში, საარსებო საშუალებებისა და განათლების მიღებაში.

მუხლი 46. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ განათლების მიღების უფლება და ამავე დროს აკისრიათ მისი მიღების ვალდებულება.

სახელმწიფო უზრუნველყოფს ბავშვებისა და ახალგაზრდების სრულფასოვან მორალურ, ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებას.

მუხლი 47. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, ლიტერატურული და სამხატვრო შემოქმედებისა და კულტურის სხვა სფეროებში მოღვაწეობის თავისუფლება. სახელმწიფო მხარს უჭერს და წაახალისებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეთა შემოქმედებით აქტივობას განათლების, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებში, აგრეთვე სხვა კულტურულ საქმიანობას, რომელიც გამომდინარეობს ხალხის ინტერესებიდან.

მუხლი 48. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ქალები სარგებლობენ მამაკაცების თანაბარი უფლებებით ცხოვრების ყველა სფეროში, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ და საოჯახო ცხოვრებაში.

სახელმწიფო იცავს ქალთა უფლებებსა და ინტერესებს, თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით მამაკაცების თანასწორი შრომისათვის ქალებს უზრუნველყოფს მამაკაცების თანაბარი ანაზღაურებით, აგრეთვე წვრთნის, შეარჩევს და აწინაურებს კადრებს ქალთა რიგებიდან.

მუხლი 49. ქორწინებას, ოჯახს, დედასა და შვილს იცავს სახელმწიფო.

ორივე მეუღლე - ქმარი და ცოლი, ვალდებულნი არიან დაგეგმონ შობადობა.

მშობლებს აკისრიათ არასრულწლოვანი შვილების შენახვისა და აღზრდა-განათლების მოვალეობა, სრულწლოვანი შვილები ვალდებულნი არიან დაეხმარონ თავიანთ მშობლებს.

ქორწინების თავისუფლების ხელყოფა აკრძალულია. მოხუცების, ქალებისა და ბავშვებისადმი სასტიკი მოპყრობა დაუშვებელია.

მუხლი 50. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იცავს საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, აგრეთვე იცავს საზღვარგარე-

თიდან დაბრუნებული და საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელების ოჯახის წევრთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

მუხლი 51. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებმა თავიანთი თავისუფლებებისა და უფლებების განხორციელებისას არ უნდა ხელყონ სახელმწიფოს, საზოგადოების ან კოლექტივის ინტერესები, აგრეთვე სხვა მოქალაქეთა კანონიერი თავისუფლებები და უფლებები.

მუხლი 52. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეთა მოვალეობას წარმოადგენს ქვეყნის მთლიანობისა და აქ მცხოვრები ყველა ერის ერთიანობის დაცვა.

მუხლი 53. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეები მოვალენი არიან დაიცვან კონსტიტუცია და კანონმდებლობა, შეინახონ სახელმწიფო საიდუმლოება, დაიცვან საერთო საკუთრება, შრომის დისციპლინა და საზოგადოებრივი წესრიგი, პატივი სცენ სოციალურ ეთიკას.

მუხლი 54. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეთა მოვალეობას წარმოადგენს .სამშობლოს უსაფრთხოების, ღირსებისა და ინტერესების დაცვა; მათ არ უნდა ჩაიდინონ სამშობლოს უსაფრთხოების, ღირსებისა და ინტერესებისათვის ზიანის მომტანი ქმედება.

მუხლი 55. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მოქალაქის წმინდათაწმინდა მოვალეობას წარმოადგენს სამშობლოს დაცვა და აგრესიის წინ აღდგომა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას წარმოადგენს კანონით დადგენილი წესით სამხედრო სამსახურის გავლა და სახალხო ლაშქარში მონაწილეობა.

მუხლი 56. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეთა მოვალეობას წარმოადგენს კანონის შესაბამისად გადასახადების გადახდა.

თავი III – სახელმწიფოს სტრუქტურა
განყოფილება I – ეროვნული სახალხო ყრილობა

მუხლი 57. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული სახალხო ყრილობა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა. მისი მუდმივმოქმედი ორგანოა ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივი კომიტეტი.

მუხლი 58. ეროვნული სახალხო ყრილობა და მისი მუდმივი კომიტეტი ახორციელებენ სახელმწიფოს საკანონმდებლო ხელისუფლებას.

მუხლი 59. ეროვნული სახალხო ყრილობა შედგება დეპუტატებისგან, რომლებიც აირჩევიან პროვინციებიდან, ავტონომიური რეგიონებიდან, ცენტრალური მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი მუნიციპალიტეტებიდან სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონებიდან, აგრეთვე შეიარაღებული ძალებიდან. ყველა ეროვნულ უმცირესობას გააჩნია შესაბამისი წარმომადგენლობა.

ეროვნული სახალხო ყრილობის დეპუტატთა არჩევნებს ატარებს ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივი კომიტეტი.

ეროვნული სახალხო ყრილობის დეპუტატთა რაოდენობა და არჩევნების პროცედურა განისაზღვრება კანონით.

მუხლი 60. ეროვნული სახალხო ყრილობა აირჩევა ხუთი წლის ვადით.

ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივმა კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს ეროვნული სახალხო ყრილობის დეპუტატების ახალი შემადგენლობის არჩევნების დასრულება მოქმედი ეროვნული სახალხო ყრილობის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ორი თვით ადრე მაინც. თუ რაიმე საგანგებო გარემოებამ შეიძლება ხელი შეუშალონ დადგენილ ვადაში არჩევნების გამართვას, მაშინ იგი გადაიდება და მოქმედი ეროვნული სახალხო ყრილობის უფლებამოსილების ვადა გაგრძელდება მისი მუდმივი კომიტეტის წევრთა გადაწყვეტილებით, ხმათა არანაკლებ ორი მესამედით. მომდევნო ეროვნული სახალხო ყრილობის დეპუტატთა არჩევნები უნდა ჩატარდეს საგანგებო გარემოებების დამთავრებიდან არა უგვიანეს ერთ წელიწადში.

მუხლი 61. ეროვნული სახალხო ყრილობა იკრიბება სესიაზე წელიწადში ერთხელ და მოიწვევა მუდმივი კომიტეტის მიერ. ეროვნული სახალხო ყრილობის სესიის მოწვევა ხდება ნებისმიერ დროს, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლის მუდმივი კომიტეტი ან ამგვარ მოთხოვნას წამოაყენებს ეროვნული სახალხო ყრილობის დეპუტატთა ერთ მეხუთედზე მეტი.

ეროვნული სახალხო ყრილობა სესიის ხელმძღვანელობის მიზნით, შეკრების შემდეგ ირჩევს პრეზიდიუმს.

მუხლი 62. ეროვნული სახალხო ყრილობა ახორციელებს შემდეგ ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს:

1) ცვლილებები შეაქვს კონსტიტუციაში;

2) ზედამხედველობს კონსტიტუციის შესრულებას;

3) იღებს და ცვლილებები შეაქვს ძირითად კანონებში, რომლებიც აწესრიგებს სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, სახელმწიფო ორგანოებთან დაკავშირებულ საკითხებსა და სხვა ურთიერთობებს;

4) ირჩევს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს;

5) ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო საბჭოს პრემიერის არჩევაზე, აგრეთვე პრემიერის

წარდგინებით, ვიცე-პრემიერების, სახელმწიფო მრჩევლების, სამინისტროების ან კომისიების ხელმძღვანელი მინისტრების, გენერალური აუდიტორისა და სახელმწიფო საბჭოს გენერალური მდივნის არჩევაზე;

6) ირჩევს ცენტრალური სამხედრო კომისიის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის წარდგინებით გადაწყვეტილებას იღებს ცენტრალური სამხედრო კომისიის ყველა სხვა წევრის არჩევაზე;

7) ირჩევს უმაღლესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს;

8) ირჩევს უმაღლესი სახალხო პროკურატურის გენერალურ პროკურორს;

9) განიხილავს და ამტკიცებს ეროვნული ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმას და ისმენს მოხსენებებს მისი შერულების თაობაზე;

10) განიხილავს და ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ისმენს მოხსენებებს მისი შერულების თაობაზე;

11) ცვლის ან აუქმებს ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივი კომიტეტის არასათანადო გადაწყვეტილებებს;

12) ამტკიცებს პროვინციების, ავტონომიური რეგიონებისა და ცენტრალური მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი მუნიციპალიტეტების შექმნას;

13) გადაწყვეტილებებს იღებს სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონების შექმნისა და მათი მართვის სისტემების შესახებ;

14) გადაწყვეტილებას იღებს ომისა და ზავის საკითხებზე;

15) ახორციელებს სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს, რომელთა განხორციელებაც მას, როგორც სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს შეუძლია.

მუხლი 63. ეროვნული სახალხო ყრილობა უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს შემდეგი პირები:

1) ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი;

2) პრემიერი, ვიცე-პრემიერები, სახელმწიფო მრჩევლები, სამინისტროების ან კომისიების ხელმძღვანელი მინისტრები, გენერალური აუდიტორი და სახელმწიფო საბჭოს გენერალური მდივანი;

3) ცენტრალური სამხედრო კომისიის თავმჯდომარე და ცენტრალური სამხედრო კომისიის სხვა წევრები;

4) უმაღლესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე;

5) უმაღლესი სახალხო პროკურატურის გენერალური პროკურორი.

მუხლი 64. საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივის უფლება აქვს ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივ კომიტეტს ან ეროვნული სახალხო ყრილობის დეპუტატთა ერთ მეხუთედზე მეტს და მისი მიღება ხდება ყრილობის დეპუტატთა ხმების არანაკლებ ორი მესამედით.

კანონები და რეზოლუციები მიიღება ეროვნული სახალხო ყრილობის დეპუტატთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 65. ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივი კომიტეტი შედგება:

თავმჯდომარის,

თავმჯდომარის მოადგილების,

გენერალური მდივნისა და წევრებისგან.

ეროვნულ უმცირესობებს გააჩნიათ შესაბამისი წარმომადგენლობა ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივ კომიტეტში.

ეროვნული სახალხო ყრილობა ირჩევს და უფლება აქვს გამოიწვიოს მუდმივი კომიტეტის წევრები.

ეროვნული სახალხო ყრილობის არც ერთ წევრს არ აქვს უფლება იმავდროულად დაიკავოს თანამდებობა სახელმწიფოს რომელიმე სხვა ადმინისტრაციულ, სასამართლო ან პროკურატურის ორგანოში.

მუხლი 66. ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივი კომიტეტი აირჩევა ეროვნული სახალხო ყრილობის უფლებამოსილების ვადით და თავის უფლებამოსილებას ახორციელებს, სანამ მომდევნო ეროვნული სახალხო ყრილობის მიერ არჩეული ახალი მუდმივი კომიტეტი არ შეუდგება თავისი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელებას.

მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეებს უფლება არა აქვთ ეკავოთ ეს თანამდებობა ზედიზედ ორ ვადაზე მეტი ხნით.

მუხლი 67. ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივი კომიტეტი ახორციელებს შემდეგ ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს:

1) განმარტავს კონსტიტუციას და ზედამხედველობს მის შესრულებას;

2) იღებს კანონებს და ცვლილებები შეაქვს მათში, გარდა იმ კანონებისა, რომელთა მიღება ან შეცვლა მხოლოდ ეროვნულ სახალხო ყრილობას შეუძლია;

3) ეროვნული სახალხო ყრილობის სესიებს შორის პერიოდში ცვლილებები და დამატებები შეაქვს ეროვნული სახალხო ყრილობის მიერ მიღებულ კანონებში, იმ პირობით, რომ შეტანილი ცვლილებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კანონების ძირითადი პრინციპებს;

4) განმარტავს კანონებს;

5) ეროვნული სახალხო ყრილობის სესიებს შორის პერიოდში განიხილავს და ამტკიცებს იმ უმნიშვნელო შესწორებებს ეროვნული ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელთა მიღებაც გამომდინარეობს მათი შესრულების საჭიროებიდან;

6) ზედამხედველობს სახელმწიფო საბჭოს, ცენტრალური სამხედრო კომისიის, უმაღლესი სახალხო სასამართლოსა და უმაღლესი სახალხო პროკურატურის მუშაობას;

7) აუქმებს სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებულ ადმინისტრაციულ წესებს, გადაწყვეტილებებს ან ბრძანებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას ან კანონებს;

8) აუქმებს პროვინციების, ავტონომიური რეგიონების, ცენტრალური მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი მუნიციპალიტეტების სახელმწიფო ორგანოების ადგილობრივ წესებს ან გადადაწყვეტილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას ან კანონებს;

9) ეროვნული სახალხო ყრილობის სესიებს შორის პერიოდში სახელმწიფო საბჭოს პრემიერის წარდგინებით გადაწყვეტილებას იღებს სამინისტროს ან კომისიის ხელმძღვანელი მინისტრის, გენერალური აუდიტორის ან სახელმწიფო საბჭოს გენერალური მდივნის არჩევაზე;

10) ეროვნული სახალხო ყრილობის სესიებს შორის პერიოდში ცენტრალური სამხედრო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით გადაწყვეტილებას იღებს ცენტრალური სამხედრო კომისიის სხვა წევრების არჩევაზე;

11) უმაღლესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და გადააყენებს უმაღლესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებსა და მოსამართლეებს, უმაღლესი სახალხო სასამართლოს სასამართლო კომიტეტის წევრებსა და სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეს;

12) უმაღლესი სახალხო პროკურატურის გენერალური პროკურორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და გადააყენებს გენერალური პროკურორის მოადგილეებსა და უმაღლესი სახალხო პროკურატურის პროკურორებს, უმაღლესი სახალხო პროკურატურის კომიტეტის წევრებსა და სამხედრო პროკურატურის მთავარ პროკურორს, აგრეთვე ამტკიცებს პროვინციების, ავტონომიური რეგიონებისა და ცენტრალური მთავრობის პირდაპირ დაქვემდებარებაში მყოფი მუნიციპალიტეტების მთავარი პროკურორების თანამდებობაზე დანიშვნასა და გადაყენებას;

13) გადაწყვეტილებებს იღებს საზღვარგარეთ საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენლების დანიშვნასა და გამოწვევაზე;

14) გადაწყვეტილებას იღებს უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებებისა და მნიშვნელოვანი შეთანხმებების რატიფიკაციის ან დენონსირების შესახებ;

15) სამხედრო და დიპლომატიური პერსონალისთვის აწესებს წოდებებისა და რანგების სისტემას, აგრეთვე სხვა სპეციალურ წოდებებსა და რანგებს;

16) აწესებს სახელმწიფო მედლებსა და საპატიო წოდებებს და გადაწყვეტილებებს იღებს მათი მინიჭების შესახებ;

17) გადაწყვეტილებას იღებს სპეციალური შეწყალების გამოცემის შესახებ;

18) ქვეყანაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში, ან როდესაც ეს გამომდინარეობს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან, რომელიც აგრესიის წინააღმდეგ ერთიან თავდაცვას შეეხება, ეროვნული სახალხო ყრილობის სესიებს შორის პერიოდში იღებს გადაწყვეტილებას საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ;

19) გადაწყვეტილებას იღებს საყოველთაო ან ნაწილობრივი მობილიზაციის შესახებ;

20) გადაწყვეტილებას იღებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან კონკრეტულ პროვინციაში, ავტონომიურ რეგიონში ან ცენტრალური მთავრობის პირდაპირ დაქვემდებარებაში მყოფ მუნიციპალიტეტში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ;

21) ახორციელებს ეროვნული სახალხო ყრილობის მიერ დელეგირებულ სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს.

მუხლი 68. ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს მუდმივი კომიტეტის მუშაობასა და იწვევს მის სხდომებს. თავმჯდომარის მოადგილეები და გენერალური მდივანი დახმარებას უწევენ თავმჯდომარეს საქმიანობაში.

თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და გენერალური მდივანი შეადგენენ თავმჯდომარის საბჭოს, რომელიც წარმართავს ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივი კომიტეტის ყოველდღიურ მუშაობას.

მუხლი 69. ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივი კომიტეტი პასუხისმგებელია ეროვნული სახალხო ყრილობის წინაშე და ანგარიშს აბარებს გაწეული საქმიანობის თაობაზე.

მუხლი 70. ეროვნული სახალხო ყრილობა ქმნის ეროვნებათა კომიტეტს, იურიდიულ კომიტეტს, საფინანსო და ეკონომიკურ კომიტეტს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტს, საგარეო საკითხთა კომიტეტს, საზღვარგარეთ მყოფ ჩინელთა კომიტეტს და საჭიროების მიხედვით სხვა სპეციალურ კომიტეტებს. სპეციალური კომიტეტები მუშაობენ მუდმივი კომიტეტის ხელმძღვანელობით, ეროვნული სახალხო ყრილობის სესიებს შორის პერიოდში.

სპეციალური კომიტეტები ეროვნული სახალხო ყრილობის ან მისი მუდმივი კომიტეტის მითითებით შეისწავლიან, განიხილავენ და შეიმუშავებენ შესაბამის კანონპროექტებსა და რეზოლუციების პროექტებს.

მუხლი 71. ეროვნული სახალხო ყრილობა და მისი მუდმივი კომიტეტი, როდესაც საჭიროდ ჩათვლიან, ქმნიან საგამოძიებო კომიტეტებს სპეციალური საკითხებზე და მათი მოხსენებების საფუძველზე იღებენ შესაბამის რეზოლუციებს.

ყველა სახელმწიფო ორგანო, საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მოქალაქე, რომელთაც ეს შეეხება, ვალდებულნი არიან მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია საგამოძიებო კომიტეტებს, როდესაც ისინი ატარებენ გამოძიებას.

მუხლი 72. ეროვნული სახალხო ყრილობის დეპუტატები და მუდმივი კომიტეტის წევრები უფლებამოსილნი არიან, ეროვნული სახალხო ყრილობისა და მისი მუდმივი კომიტეტის ფუნქციებისა და უფლებამოსილების ფარგლებში, კანონით დადგენილი წესით, წარმოადგინონ კანონპროექტები და წინადადებები.

მუხლი 73. ეროვნული სახალხო ყრილობის დეპუტატები და მუდმივი კომიტეტის წევრები უფლებამოსილნი არიან, ყრილობის სესიაზე ან კომიტეტის შეკრებებზე, კანონით დადგენილი წესით, შეკითხვებით მიმართონ სახელმწიფო საბჭოს ან მის დაქვემდებარებაში მყოფ კომისიებსა და სამინისტროებს, რომლებიც ვალდებული არიან შესაბამისი წესით გასცენ პასუხი.

მუხლი 74. ეროვნული სახალხო ყრილობის არც ერთი დეპუტატი არ შეიძლება იქნეს დაპატიმრებული ან სასამართლოში წარდგენილი ეროვნული სახალხო ყრილობის სესიის პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე, ხოლო ეროვნული სახალხო ყრილობის სესიებს შორის პერიოდში - მისი მუდმივი კომიტეტის თანხმობის გარეშე.

მუხლი 75. ეროვნული სახალხო ყრილობის დეპუტატებს არ შეიძლება დაეკისროთ იურიდიული პასუხისმგებლობა შეკრებებზე თავიანთი გამოსვლების ან მიცემული ხმის გამო.

მუხლი 76. ეროვნული სახალხო ყრილობის დეპუტატები სამაგალითონი უნდა იყვნენ კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დაცვაში, შეინახონ სახელმწიფო საიდუმლოება, საზოგადოებრივ საქმიანობაში, წარმოებასა თუ სხვა სამუშაოზე ხელი შეუწყონ კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესრულებას.

ეროვნული სახალხო ყრილობის დეპუტატებმა მჭიდრო კონტაქტი უნდა შეინარჩუნონ თავიანთ ამომრჩევ ერთეულებთან და ხალხთან, ყურადღება მიაქციონ და გამოხატონ მათი შეხედულებები და მოთხოვნები და იშრომონ ბევრი, რათა ემსახურონ მათ.

მუხლი 77. ეროვნული სახალხო ყრილობის დეპუტატები ექვემდებარებიან ზედამხედველობას მათი ამომრჩევი ერთეულების მხრიდან. ამომრჩევი ერთეულები უფლებამოსილნი არიან, კანონით დადგენილი წესით, გამოიწვიონ მათ მიერ არჩეული დეპუტატები.

მუხლი 78. ეროვნული სახალხო ყრილობისა და მისი მუდმივი კომიტეტის ორგანიზაცია და საქმიანობის პროცედურები განისაზღვრება კანონით.

განყოფილება II – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი

მუხლი 79. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი აირჩევიან ეროვნული სახალხო ყრილობის მიერ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ ხმის მიცემისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება და მიაღწიეს 45 წლის ასაკს, უფ-

ლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევნებში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა შეესაბამება ეროვნული სახალხო ყრილობის უფლებამოსილების ვადას და მათ არა აქვთ ამ თანამდებობის ზედიზედ ორზე მეტი ვადით დაკავების უფლება.

მუხლი 80. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი, ეროვნული სახალხო ყრილობის ან/და მისი მუდმივი კომიტეტის გადაწყვეტილებების თანახმად, ახდენს კანონების პრომულგირებას; თანამდებობაზე ნიშნავს და გადააყენებს სახელმწიფო საბჭოს პრემიერს, ვიცე-პრემიერებს, სახელმწიფო მრჩეველებს, მინისტრებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ სამინისტროებს ან კომისიებს, გენერალურ აუდიტორს, სახელმწიფო საბჭოს გენერალურ მდივანს; ანიჭებს სახელმწიფო მედლებსა და საპატიო წოდებებს; გამოსცემს სპეციალური შეწყალების ბრძანებებს; აცხადებს საგანგებო მდგომარეობის შემოღებას, აცხადებს საომარ მდგომარეობას და გამოსცემს მობილიზაციის შესახებ ბრძანებას.

მუხლი 81. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით იღებს უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს და ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივი კომიტეტის გადაწყვეტილებების თანახმად ნიშნავს ან გამოიწვევს სრულუფლებიან წარმომადგენლებს საზღვარგარეთ და ახდენს უცხოეთის ქვეყნებთან დადებული მნიშვნელოვანი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიკაციას ან გაუქმებას.

მუხლი 82. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი დახმარებას უწევს პრეზიდენტს თავისი საქმიანობის განხორციელებაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი უფლებამოსილია შეასრულოს პრეზიდენტის ის ფუნქციები, რომელთა განსახორციელებლად პრეზიდენტი მიანიჭებს მას რწმუნებას.

მუხლი 83. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი თავიანთ ფუნქციებსა და უფლებამოსილებას ახორციელებენ, სანამ მომდევნო ეროვნული სახალხო ყრილობის მიერ არჩეული ახალი პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი დაიკავებენ თანამდებობებს.

მუხლი 84. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში ამ თანამდებობას იკავებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში ეროვნული სახალხო ყრილობა ვაკანსიის შესავსებად აირჩევს ახალ ვიცე-პრეზიდენტს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე ერთდროულად წარმოიშობა ვაკანსია, ეროვნული სახალხო ყრილობა ირჩევს ახალ პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს. ამგვარი არჩევნების გამართვამდე ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე მოქმედებს როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი.

განყოფილება III – სახელმწიფო საბჭო

მუხლი 85. სახელმწიფო საბჭო არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა და წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს აღმასრულებელ შტოს. იგი სახელმწიფო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოა.

მუხლი 86. სახელმწიფო საბჭო შედგება: პრემიერის, ვიცე-პრემიერების, სახელმწიფო მრჩევლების, სამინისტროების ხელმძღვანელი მინისტრების, კომისიების ხელმძღვანელი მინისტრების, გენერალური აუდიტორისა და გენერალური მდივნისაგან.

სახელმწიფო საბჭოს მუშაობაზე საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება პრემიერს. მინისტრები პასუხისმგებელნი არიან სამინისტროებისა და კომისიების მუშაობაზე.

სახელმწიფო საბჭოს ორგანიზაცია განისაზღვრება კანონით.

მუხლი 87. სახელმწიფო საბჭოს უფლებამოსილების ვადა შეესაბამება ეროვნული სახალხო ყრილობის უფლებამოსილების ვადას.

მუხლი 88. პრემიერი ხელმძღვანელობს სახელმწიფო საბჭოს მუშაობას. ვიცე-პრემიერები და სახელმწიფო მრჩევლები დახმარებას უწევენ მას თავისი საქმიანობის განხორციელებაში.

სახელმწიფო საბჭოს აღმასრულებელ შეკრებებზე სავალდებულოა პრემიერის, ვიცე-პრემიერების, სახელმწიფო მრჩევლებისა და სახელმწიფო საბჭოს გენერალური მდივნის დასწრება.

პრემიერი, პრემიერის მოადგილეები, სახელმწიფო საბჭოს წევრები და სამდივნოს უფროსი ქმნიან სახელმწიფო საბჭოს მუდმივმოქმედ ბიუროს.

პრემიერი იწვევს და თავმჯდომარეობს სახელმწიფო საბჭოს მუდმივმოქმედი ბიუროს სხდომებსა და სახელმწიფო საბჭოს პლენარულ სხდომებს.

მუხლი 89. სახელმწიფო საბჭო ახორციელებს შემდეგ ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს:

1) კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად ახორციელებს ადმინისტრაციულ ზომებს, ადგენს ადმინისტრაციულ წესებსა და დებულებებს, გამოსცემს გადაწყვეტილებებსა და ბრძანებებს;

2) განსახილველად შეაქვს წინადადებები ეროვნულ სახალხო ყრილობაში ან მის მუდმივ კომიტეტში;

3) განსაზღვრავს სახელმწიფო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფი სამინისტროებისა და კომისიების ამოცანებსა და პასუხისმგებლობას, ახორციელებს ერთიან ხელმძღვანელობას სამინისტროებისა და კომისიების საქმიანობაზე და წარმართავს ეროვნული მნიშვნელობის ყველა იმ ადმინისტრაციულ სამუშაოს, რომლების არ შედის სამინისტროებისა და კომისიების კომპეტენციაში;

4) ახორციელებს ერთიან ხელმძღვანელობას სხვადასხვა დონის სახელმწიფო ადმინისტრაციის ადგილობრივი ორგანოების მუშაობაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსაზღვრავს ცენტრალურ მთავრობასა და პროვინციების, ავტონომიური რეგიონებისა და ცენტრალური მთავრობის პირდაპირ დაქვემდებარებაში მყოფი მუნიციპალიტეტების სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს;

5) შეიმუშავებს და ახორციელებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმას, სახელმწიფო ბიუჯეტს;

6) ხელმძღვანელობს და განაგებს ეკონომიკურ საკითხებს და ქალაქებისა და სოფლების განვითარებას;

7) ხელმძღვანელობს და განაგებს განათლების, მეცნიერების, კულტურულ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური კულტურისა და ოჯახის დაგეგმვის საკითხებს;

8) ხელმძღვანელობს და განაგებს სამოქალაქო საკითხებს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სასამართლოების საქმიანობის, ზედამხედველობისა და სხვა ამგვარ საკითხებს;

9) წარმართავს საგარეო ურთიერთობებს, დებს ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან;

10) ხელმძღვანელობს და განაგებს ეროვნული თავდაცვის მშენებლობას;

11) ხელმძღვანელობს და განაგებს ეროვნებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, იცავს ეროვნული უმცირესობების თანასწორუფლებიანობას და ეროვნული ავტონომიური ტერიტორიების ავტონომიურობის უფლებას;

12) იცავს საზღვარგარეთ მყოფი ჩინელი მოქალაქეების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, აგრეთვე იცავს საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ჩინელებისა და უცხოეთში წასული ჩინელი მოქალაქეების ოჯახის წევრთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს;

13) ცვლილებები შეაქვს ან აუქმებს სამინისტროებისა და კომისიების მიერ გამოცემულ შეუსაბამო ბრძანებებს, დირექტივებსა და დებულებებს;

14) ცვლილებები შეაქვს ან აუქმებს სხვადასხვა დონის სახელმწიფო ადმინისტრაციის ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოცემულ ბრძანებებსა და გადაწყვეტილებებს;

15) ამტკიცებს პროვინციების, ავტონომიური რეგიონებისა და ცენტრალური მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი მუნიციპალიტეტების გეოგრაფიულ დაყოფას, აგრეთვე ავტონომიური პრეფექტურების, ოლქების, ავტონომიური ოლქების, ქალაქების შექმნასა და მათ გეოგრაფიულ დაყოფას;

16) გადაწყვეტილებებს იღებს პროვინციების, ავტონომიური რეგიონებისა და ცენტრალური მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე ან მის ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების თაობაზე;

17) ადმინისტრაციული ორგანოების სტრუქტურიდან გამომდინარე, კანონის შესაბამისად, განსაზღვრავს თანამშრომელთა შტატებს, გამოსცდის და იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა დანიშვნის ან გადაყენების შესახებ, უზრუნველყოფს მათ მომზადებასა და საშემსრულებლო კულტურის ამაღლებას, აჯილდოვებს ან სჯის მათ;

18) ახორციელებს სხვა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს, რომელთა დელეგირებასაც მოახდენს ეროვნული სახალხო ყრილობა ან მისი მუდმივი კომიტეტი.

მუხლი 90. სახელმწიფო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფი სამინისტროებისა და კომისიების ხელმძღვანელი მინისტრები პასუხისმგებელნი არიან მათზე დაქვემდებარებული შესაბამისი დეპარტამენტების მუშაობაზე და იწვევენ და თავმჯდომარეობენ სამინისტროების საერთო თათბირებს და კომისიების აღმასრულებელ თათბირებს შესაბამისი დეპარტამენტების საქმიანობაში არსებული მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად. სამინისტროები და კომისიები გამოსცემენ ბრძანებებს, დირექტივებსა და დებულებებს შესაბამისი დეპარტამენტების კომპეტენციის ფარგლებში და კანონის საფუძველზე, აგრეთვე მთავრობის მიერ მიღებული ადმინისტრაციული წესების, დებულებების, გადაწყვეტილებებისა და ბრძანებების შესაბამისად.

მუხლი 91. სახელმწიფო საბჭო ქმნის აუდიტორულ ორგანოს სახელმწიფო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფი ყველა დეპარტამენტის, სხვადასხვა დონის ადგილობრივი მთავრობის შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე სახელმწიფოს საფინანსო და ფულად-საკრედიტო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების შემოსავლებისა და ხარჯების აუდიტორული ზედამხედველობის მიზნით.

სახელმწიფო საბჭოს პრემიერის დაქვემდებარების ქვეშ მყოფი აუდიტორული ორგანო კანონის შესაბამისად დამოუკიდებლად ახორციელებს აუდიტორული ზედამხედველობის უფლებამოსილებას. დაუშვებელია მისთვის ნებისმიერი სხვა ადმინისტრაციული ორგანოს, სახელმწიფო დაწესებულების ან პიროვნების მხრიდან ხელის შეშლა.

მუხლი 92. სახელმწიფო საბჭო პასუხისმგებელია და თავისი საქმიანობის შესახებ მოხსენებებს წარუდგენს ეროვნულ სახალხო ყრილობას, ხოლო ეროვნული სახალხო ყრილობის სესიებს შორის პერიოდში - მის მუდმივ კომიტეტს.

განყოფილება IV – ცენტრალური სამხედრო კომისია

მუხლი 93. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სამხედრო კომისია ხელმძღვანელობს ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს.

ცენტრალური სამხედრო კომისია შედგება: თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოდგილეებისა და წევრებისაგან.

ცენტრალური სამხედრო კომისიის მუშაობაზე პასუხისმგებელია თავმჯდომარე.

ცენტრალური სამხედრო კომისიის უფლებამოსილების ვადა შეესაბამება ეროვნული სახალხო ყრილობის უფლებამოსილების ვადას.

მუხლი 94. ცენტრალური სამხედრო კომისიის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ეროვნული სახალხო ყრილობისა და მისი მუდმივი კომიტეტის წინაშე.

განყოფილება V – სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობები და ადგილობრივი სახალხო მთავრობები

მუხლი 95. სახალხო ყრილობები და სახალხო მთავრობები შექმნილია პროვინციებში, ცენტრალური მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფ მუნიციპალიტეტებში, ოლქებში, ქალაქებში, მუნიციპალურ რაიონებში, დაბებში, ეროვნულ უმცირესობათა დაბებში და მცირე ქალაქებში.

სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობებისა და ადგილობრივი მთავრობების ორგანიზაცია განისაზღვრება კანონით.

თვითმმართველობის ორგანოები შექმნილია ავტონომიურ რეგიონებში, ავტონომიურ პრეფექტურებში და ავტონომიურ ოლქებში. თვითმმართველობის ორგანოების ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით კონსტიტუციის მესამე თავის მეხუთე და მეექვსე განყოფილებებში ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 96. სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობები წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს.

ადგილობრივი სახალხო ყრილობების მუდმივი კომიტეტები იქმნება მხოლოდ ოლქისა და უფრო ზედა დონეების სახალხო ყროლობებში.

მუხლი 97. პროვინციების, ცენტრალური მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი მუნიციპალიტეტებისა და იმ ქალაქების, რომლებიც დაყოფილი არიან რაიონებად, სახალხო ყრილობების დეპუტატები აირჩევიან შესაბამისი ქვემდგომი სახალხო ყრილობების მიერ; ოლქების, იმ ქალაქების, რომლებიც არ არიან დაყოფილი რაიონებად, მუნიციპალური რაიონების, დაბების, ეროვნული უმცირესობების დაბებისა და მცირე ქალაქების სახალხო ყრილობების დეპუტატები აირჩევიან პირდაპირ თავიანთი ამომრჩევლების მიერ.

სხვადასხვა დონის სახალხო ყრილობების დეპუტატთა რაოდენობა და არჩევის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 98. სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობების უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

მუხლი 99. სხვადასხვა დონის სახალხო ყრილობები უზრუნველყოფენ შესაბამის ტერიტორიებზე კონსტიტუციის, კანონების, ადმინისტრაციული წესებისა და დებულებების შესრულებაზე ზედამხედველობას. კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ადგენენ წესებს და განიხილავენ და გადაწყვეტილებებს იღებენ ადგილობრივი მნიშვნელობის ეკონომიკური და კულტურული განვითარების გეგმებზე და საჯარო სამსახურის განვითარებაზე.

ოლქებისა და უფრო ზედა დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობები განიხილავენ და ამტკიცებენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს და შესაბამისი ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს, აგრეთვე განიხილავენ და ამტკიცებენ მათი შესრულების ანგარიშებს. ისინი უფლებამოსილნი არიან შეცვალონ ან გააუქმონ მათი მუდმივი კომიტეტების შეუსაბამო გადაწყვეტილებები.

ეროვნულ უმცირესობათა დაბების სახალხო ყრილობებს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, შეუძლიათ მიიღონ განსაკუთრებული ზომები ეროვნული უმცირესობების თავისებურებებიდან გამომდინარე.

მუხლი 100. პროვინციების, ცენტრალური მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი მუნიციპალიტეტების სახალხო ყრილობები და მათი მუდმივი კომიტეტები უფლებამოსილნი არიან დაამტკიცონ ადგილობრივი მნიშვნელობის წესები, რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას, კანონს, ადმინისტრაციულ წესებსა და დებულებებს და ადგილობრივი წესების მიღების შემთხვევაში მათ რეგისტრაციისათვის უნდა მიმართონ ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივ კომიტეტს.

მუხლი 101. ადგილობრივი სახალხო ყრილობები შესაბამის დონეზე უფლებამოსილნი არიან აირჩიონ და გამოიწვიონ გუბერნატორები და გუბერნატორების მოადგილეები, მერები და მერების მოადგილეები, ოლქების, რაიონების, დაბებისა და მცირე ქალაქების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები.

ოლქისა და უფრო ზედა დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობები უფლებამოსილნი არიან აირჩიონ და გამოიწვიონ შესაბამისი დონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეები და სახალხო პროკურატურის მთავარი პროკურორები. სახალხო პროკურატურის მთავარი პროკურორების არჩევისა და გამოწვევის საკითხი დასამტკიცებლად წარედგინება ზედა დონის სახალხო ყრილობის მუდმივ კომიტეტს.

მუხლი 102. პროვინციების, ცენტრალური მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი მუნიციპალიტეტების და იმ ქალაქების, რომლებიც რაიონებად იყოფიან, სახალხო ყრილობების დეპუტატები იმყოფებიან მათი ამომრჩევი ერთეულების ზედამხედველობის ქვეშ; ოლქების იმ ქალაქების, რომლებიც არ არიან დაყოფილი რაიონებად, მუნიციპალური რაიონების, დაბების, ეროვნულ უმცირესობათა დაბების და მცირე ქალაქების სახალხო ყრილობების დეპუტატები იმყოფებიან მათი ამომრჩევლების ზედამხედველობის ქვეშ.

ამომრჩევ ერთეულებსა და ამომრჩევლებს, რომლებიც ირჩევენ სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობების დეპუტატებს, უფლება აქვთ გამოიწვიონ ისინი კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 103. ოლქისა და უფრო ზედა დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობის მუდმივი კომიტეტი შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრებისაგან. იგი პასუხისმგებელია და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს შესაბამის სახალხო ყრილობას.

ოლქისა და უფრო ზედა დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობა ირჩევს და უფლებამოსილია გამოიწვიოს თავისი მუდმივი კომიტეტის წევრები.

ოლქისა და უფრო ზედა დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობის მუდმივი კომიტეტის წევრებს ეკრძალებათ დაიკავონ თანამდებობები იმავდროულად რომელიმე ადმინისტრაციულ, სასამართლო და პროკურატურის ორგანოში.

მუხლი 104. ოლქისა და უფრო ზედა დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობის მუდმივი კომიტეტი განიხილავს და გადაწყვეტილებებს იღებს თავის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე შრომასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, ზედამხედველობს შესაბამისი დონის სახალხო მთავრობის, სახალხო სასამართლოსა და სახალხო პროკურატურის მუშაობას, აუქმებს შესაბამისი დონის სახალხო მთავრობის შეუსაბამო გადაწყვეტილებებსა და ბრძანებებს, აუქმებს ქვედა დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობის შეუსაბამო დადგენილებებს, გადაწყვეტილებებს იღებს სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირთა დანიშვნასა და გადაყენების შესახებ კანონით დადგენილ უფლებამოსილებათა ფარგლებში და შესაბამისი დონის სახალხო ყრილობის სესიებს შორის პერიოდში, გამოიწვევს ზემდგომი სახალხო ყრილობის ცალკეულ დეპუტატებს და ირჩევს მათ უფლებამონაცვლეებს შესაბამის სახალხო ყრილობაში ვაკანსიის შესავსებად.

მუხლი 105. სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო მთავრობები წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების აღმასრულებელ ორგანოებს, აგრეთვე სახელმწიფო ადმინისტრაციის ადგილობრივ ორგანოებს შესაბამის დონეზე.

გუბერნატორები, მერები და ოლქების, რაიონების, დაბებისა და მცირე ქალაქების ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო მთავრობების მუშაობაზე.

მუხლი 106. სხვადასხვა დონის ადგილობრივი მთავრობების უფლებამოსილების ვადა შეესაბამება იმავე დონის ადგილობრივი სახალხო ყრილობის უფლებამოსილების ვადას.

მუხლი 107. ოლქისა და უფრო ზედა დონის ადგილობრივი სახალხო მთავრობები, კანონით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წარმართავენ ადმინისტრაციულ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური კულტურის, ქალაქებისა და სოფლების განვითარების, საფინანსო, სამოქალაქო ურთიერთობების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ეროვნებათა ურთიერთობების, სასამართლო ორგანიზაციის, ოჯახის დაგეგმვისა და ზედამხედველობის საკითხებთან; შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში გამოსცემენ გადაწყვეტილებებსა და ბრძანებებს, თანამდებობებზე ნიშნავენ და გადააყენებენ ადმინისტრაციულ მოხელეებს, უზრუნველყოფენ მათ გადამზადებასა და საშემსრულებლო დონის ამაღლებას, სჯიან და აჯილდოებენ მათ.

დაბების, ეროვნულ უმცირესობათა დაბების, მცირე ქალაქების ადგილობრივი სახალხო მთავრობები აღასრულებენ შესაბამისი დონის სახალხო ყრილობების გადაწყვეტილებებს, ისევე როგორც ზედა დონის ადმინისტრაციული ორგანოების ბრძანებებს, შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში წარმართავენ ადმინისტრაციულ საქმიანობას.

მუხლი 108. ოლქისა და უფრო ზედა დონის ადგილობრივი სახალხო მთავრობები ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებული დეპარტამენტებისა და ქვედა დონის სახალხო მთავრობების მუშაობას და უფლებამოსილნი არიან შეცვალონ ან გააუქმონ მათზე დაქვემდებარებული დეპარტამენტებისა და ქვედა დონის ადგილობრივი სახალხო მთავრობების გადაწყვეტილებები.

მუხლი 109. ოლქისა და უფრო ზედა დონის ადგილობრივი სახალხო მთავრობები ქმნიან აუდიტორულ ორგანოებს. სხვადასხვა დონის ადგილობრივი აუდიტორული ორგანოები, კანონის შესაბამისად, დამოუკიდებლად ახორციელებენ აუდიტორულ ზედამხედველობას და პასუხისმგებელნი არიან შესაბამისი დონის სახალხო მთავრობისა და ზედა დონის აუდიტორული ორგანოს წინაშე.

მუხლი 110. სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო მთავრობები პასუხისმგებელნი არიან და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშებს წარუდგენენ ზედა დონის სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებს.

სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო მთავრობები მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმოადგენენ სახელმწიფო საბჭოს საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებს და ექვემდებარებიან მას.

ადგილობრივი სახალხო მთავრობები პასუხისმგებელი არიან ზედა დონის სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე და მათ ექვემდებარებიან. ქვეყნის ყველა ადგილობრივი სახალხო მთავრობა წარმოადგენს სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომლებიც სახელმწიფო საბჭოს ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებიან და მას ექვემდებარებიან.

მუხლი 111. ქალაქში მცხოვრებთა კომიტეტები და სოფელში მცხოვრებთა კომიტეტები იქმნება ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთა შორის მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და წარმოადგენენ თვითმმართველობის მასობრივ ორგანიზაციებს ყველაზე დაბალ დონეზე. მცხოვრებთა კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და წევრები აირჩევიან შესაბამისი მცხოვრებლების მიერ. მცხოვრებთა კომიტეტებისა და სახელმწიფო ხელისუფლების პირველადი ორგანოების ურთიერთობები წესრიგდება კანონით.

ქალაქში მცხოვრებთა კომიტეტები და სოფელში მცხოვრებთა კომიტეტები ქმნიან შუამავალ კომიტეტებს შესაბამის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სხვა საზოგადოებრივი საკითხების მოსაგვარებლად და სოციალური სამსახურების უზრუნველსაყოფად, შუამავლობენ სამოქალაქო დავებში, ხელს უწყობენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და ადგილობრივ სახალხო მთავრობებს აწვდიან მოსახლეობის შეხედულებებსა და მოთხოვნებს, აგრეთვე სთავაზობენ წინადადებებს.

განყოფილება VI – ეროვნული ავტონომიური ტერიტორიების თვითმმართველობის ორგანოები

მუხლი 112. ეროვნული ავტონომიური ტერიტორიების თვითმმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ ავტონომიური რეგიონების, ავტონომიური პრეფექტურებისა და ავტონომიური ოლქების სახალხო ყრილობები და სახალხო მთავრობები.

მუხლი 113. ავტონომიური რეგიონების, ავტონომიური პრეფექტურებისა და ავტონომიური ოლქების სახალხო ყრილობებში, ამ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგიონული ავტონომიის განმახორციელებელი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი დეპუტატების გარდა, მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნულ უმცირესობებს უფლება აქვთ წარმოდგენილი იქნენ შესაბამისად.

ავტონომიური რეგიონების, ავტონომიური პრეფექტურებისა და ავტონომიური ოლქების სახალხო ყრილობების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეებს შორის არანაკლებ ერთი მოქალაქე უნდა იყოს იმ ეროვნების ან ეროვნებების წარმომადგენელი, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზე ახორციელებენ რეგიონულ ავტონომიას.

მუხლი 114. ავტონომიური რეგიონის თავმჯდომარე, ავტონომიური პრეფექტურის პრეფექტი ან/და ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელი უნდა იყოს იმ ეროვნების წარმომადგენელი, რომელიც მოცემულ ტერიტორიაზე ახორციელებს რეგიონულ ავტონომიას.

მუხლი 115. ავტონომიური რეგიონების, ავტონომიური პრეფექტურებისა და ავტონომიური ოლქების თვითმმართველობის ორგანოები კონსტიტუციის მესამე თავის მეხუთე განყოფილებაში განსაზღვრული წესით ახორციელებენ სახელმწიფოს ადგილობრივ ორგანოთა ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს. ამავე დროს ისინი ახორციელებენ ავტონომიურ უფლებამოსილებებს თავიანთი ხელისუფლების ფარგლებში კონსტიტუციის, „რეგიონული ეროვნული ავტონომიების შესახებ" ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით, რომლებიც განსაზღვრავენ და უზრუნველყოფენ სახელმწიფო პოლიტიკას ადგილობრივი ვითარების გათვალისწინებით.

მუხლი 116. ეროვნული ავტონომიური ტერიტორიების სახალხო ყრილობები უფლებამოსილნი არიან დაადგინონ წესები ავტონომიის განსახორციელებლად, აგრეთვე დამოუკიდებელი წესები მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნების ან ეროვნებების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით. ავტონომიის განსახორციელებლად დადგენილი წესები, აგრეთვე ავტონომიური რეგიონისთვის მიღებული დამოუკიდებელი წესები ძალაში შესვლამდე დასამტკიცებლად ეგზავნება ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივ კომიტეტს. ავტონომიური პრეფექტურებისა და ოლქების მიერ მიღებული ამგვარი წესები ძალაში შესვლამდე დასამტკიცებლად წარედგინება პროვინციის ან ავტონომიური რეგიონის სახალხო ყრილობებს და რეგისტრაციისათვის გადაეცემა ეროვნული სახალხო ყრილობის მუდმივ კომიტეტს.

მუხლი 117. ეროვნული ავტონომიური ტერიტორიების თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ მათ ტერიტორიაზე ფინანსების ადმინისტრირების ავტონომიური უფლებამოსილება. სახელმწიფო საფინანსო სისტემის ფარგლებში ეროვნულ ავტონომიურ ტერიტორიაზე შეგროვებული ყველა შემოსავლის განკარგვა და გამოყენება ხდება ამ ავტონომიური ტერიტორიის თვითმმართველობის ორგანოთა მიერ დამოუკიდებლად.

მუხლი 118. ეროვნული ავტონომიური ტერიტორიების თვითმმართველობის ორგანოები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ და წარმართავენ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საკითხებს სახელმწიფო გეგმების საფუძველზე.

ეროვნულ ავტონომიურ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისას და საწარმოთა მშენებლობისას, სახელმწიფო ვალდებულია გაითვალისწინოს ამ ტერიტორიების ინტერესები.

მუხლი 119. ეროვნული ავტონომიური ტერიტორიების თვითმმართველობის ორგანოები დამოუკიდებლად განაგებენ განათლების, მეცნიერების, კულტურულ, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ფიზიკური კულტურის საკითხებს შესაბამის ტერიტორიებზე, იცავენ და ზრუნავენ ეროვნული უმცირესობების კულტურულ მემკვიდრეობაზე და მუშაობენ მისი აქტიური განვითარებისთვის.

მუხლი 120. ეროვნული ავტონომიური ტერიტორიების თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილნი არიან სახელმწიფოს სამხედრო სისტემის შესაბამისად და პრაქტიკული ადგილობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სახელმწიფო საბჭოს თანხმობით შექმნან ადგილობრივი უსაფრთხოების სამსახურები.

მუხლი 121. ეროვნული ავტონომიური ტერიტორიის თვითმმართველობის ორგანოები, ავტონომიის შესახებ დადგენილი წესების შესაბამისად, იყენებენ იმ ენასა და დამწერლობას ან ენებსა და დამწერლობებს, რომლებიც გავრცელებულია მოცემულ ტერიტორიაზე.

მუხლი 122. სახელმწიფო ახორციელებს ფინანსურ, მატერიალურ და ტექნიკურ დახმარებას ეროვნული უმცირესობებისათვის მათი ეკონომიკური და კულტურული განვითარების დასაჩქარებლად.

სახელმწიფო დახმარებას უწევს ეროვნულ ავტონომიურ რეგიონებს ადგილობრივი ეროვნებების წარმომადგენლებისგან პროფესიონალი კადრების, სპეციალისტებისა და კვალიფიციური მუშების მომზადებაში.

განყოფილება VII – სახალხო სასამართლოები და სახალხო პროკურატურები

მუხლი 123. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო სასამართლოები წარმოადგენენ სახელმწიფოს სასამართლო ორგანოებს.

მუხლი 124. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ქმნის უმაღლეს სახალხო სასამართლოსა და სხვადასხვა დონის ადგილობრივ სახალხო სასამართლოებს, სამხედრო სასამართლოებს და სხვა სპეციალურ სახალხო სასამართლოებს.

უმაღლესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა შეესაბამება ეროვნული სახალხო ყრილობის უფლებამოსილების ვადას. თავმჯდომარეს ამ თანამდებობის დაკავება შეუძლია არა უმეტეს ზედიზედ ორი ვადით.

სახალხო სასამართლოების ორგანიზაცია განისაზღვრება კანონით.

მუხლი 125. ყველა საქმე სახალხო სასამართლოებში განიხილება საჯაროდ, გარდა კანონით განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევებისა. ბრალდებულს აქვს დაცვის უფლება.

მუხლი 126. სახალხო სასამართლოები სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ დამოუკიდებლად, კანონით დადგენილი წესით, და ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს, საჯარო დაწესებულების ან პიროვნების მხრიდან დაუშვებელია მათ საქმიანობაში ჩარევა.

მუხლი 127. უმაღლესი სახალხო სასამართლო უმაღლესი სასამართლო ინსტანციაა.

უმაღლესი სახალხო სასამართლო ზედამხედველობს სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო სასამართლოებისა და სპეციალური სახალხო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელებას. ზედა დონის სახალხო სასამართლოები ზედამხედველობენ ქვედა დონის სახალხო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელებას.

მუხლი 128. უმაღლესი სახალხო სასამართლო პასუხისმგებელია ეროვნული სახალხო ყრილობისა და მისი მუდმივი კომიტეტის წინაშე. სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო სასამართლოები პასუხისმგებელნი არიან იმ სახელმწიფო ორგანოების წინაშე, რომელთა მიერაც არიან შექმნილნი.

მუხლი 129. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო პროკურატურები წარმოადგენენ კანონიერებაზე ზედამხედველობის სახელმწიფო ორგანოებს.

მუხლი 130. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ქმნის უმაღლეს სახალხო პროკურატურასა და სხვადასხვა დონის ადგილობრივ სახალხო პროკურატურებს, სამხედრო პროკურატურებსა და სხვა სპეციალურ სახალხო პროკურატურებს.

უმაღლესი სახალხო პროკურატურის გენერალური პროკურორის თანამდებობაზე ყოფნის ვადა შეესაბამება ეროვნული სახალხო ყრილობის უფლებამოსილების ვადას. გენერალური პროკურორი უფლებამოსილია ეს თანამდებობა ეკავოს არა უმეტეს ზედიზედ ორი ვადისა.

სახალხო პროკურატურების ორგანიზაცია განისაზღვრება კანონით.

მუხლი 131. სახალხო პროკურატურები ახორციელებენ საპროკურორო უფლებამოსილებას დამოუკიდებლად, კანონით დადგენილი წესით, და ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს, საჯარო დაწესებულების ან პირვნების მხრიდან დაუშვებელია მათ საქმიანობაში ჩარევა.

მუხლი 132. უმაღლესი სახალხო პროკურატურა პროკურატურის უმაღლესი ორგანოა.

უმაღლესი სახალხო პროკურატურა ხელმძღვანელობს სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო პროკურატურებისა და სხვადასხვა დონის ადგილობრივი სპეციალური სახალხო პროკურატურების მუშაობას. ზედა დონის სახალხო პროკურატურები ხელმძღვანელობენ ქვედა დონის სახალხო პროკურატურების მუშაობას.

მუხლი 133. უმაღლესი სახალხო პროკურატურა პასუხისმგებელია ეროვნული სახალხო ყრილობისა და მისი მუდმივი კომიტეტის წინაშე. სხვადასხვა დონის ადგილობრივი სახალხო პროკურატურები პასუხისმგებელნი არიან იმ სახელმწიფო ორგანოების წინაშე, რომელთა მიერაც არიან შექმნილნი, აგრეთვე ზედა დონის სახალხო პროკურატურების წინაშე.

მუხლი 134. ყველა ეროვნების მოქალაქეებს უფლება აქვთ სასამართლო განხილვებში მონაწილეობა მიიღონ თავიანთ ენებზე და დამწერლობებზე. სახალხო სასამართლოები და სახალხო პროკურატურები ვალდებული არიან უზრუნველყონ თარგმანი სასამართლო პროცესში მონაწილე იმ მხარეებისათვის, რომელთათვისაც გაუგებარია, სასამართლო განხილვისას როგორც წერილობითი, ისე ზეპირად გამოყენებული ენა, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება აღნიშნულ ტერიტორიაზე. იმ ტერიტორიებზე, სადაც ერთიან საზოგადოებად ცხოვრობს ეროვნული უმცირესობა ან რამდენიმე ეროვნული უმცირესობა ცხოვრობს ერთად, სასამართლო განხილვები უნდა გაიმართოს იმ ენაზე ან ენებზე, რომელიც ჩვეულებრივად გამოიყენება მოცემულ ტერიტორიაზე. საბრალდებო აქტები, სასამართლოს გადაწყვეტილებები და განაჩენები, ცნობები და სხვა დოკუმენტები წერილობით უნდა იქნეს შესრულებული საჭიროების მიხედვით იმ ენაზე ან ენებზე, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება ამ ტერიტორიაზე.

მუხლი 135. სახალხო სასამართლოები, სახალხო პროკურატურები და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურები, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას დამოუკიდებლად და ურთიერთჩაურევლად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს და პასუხისმგებელნი არიან გაწეულ სამუშაოზე. ამავე დროს მათ ერთმანეთთან უნდა შეათანხმონ თავიანთი საქმიანობა, რათა უზრუნველყონ ცხოვრებაში კანონების ზუსტად და ეფექტურად გატარება.

თავი IV – ეროვნული დროშა, ეროვნული ჰიმნი, ეროვნული გერბი და დედაქალაქი

მუხლი 136. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დროშა არის წითელი, ხუთი ვარსკვლავით. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ჰიმნი არის „მოხალისეთა მარში".

მუხლი 137. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული გერბი შედგება ტიანანმენის გამოსახულებისგან, რომლის ცენტრი გაბრწყინებულია ხუთი ვარსკვლავით და შემოფარგლულია ხორბლის თავთავების წნულითა და დაკბილული ბორბლით.

მუხლი 138. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქია პეკინი.

조ᄀᆞᄆᆞᄋᆞ


0 50 100 km
0 50 100 mi
Norwegian Sea
Barents Sea
NORWAY
Ivalo
SWEDEN
Rovaniemi
Oulu
RUSSIA
Kokkola
Vaasa
Gulf of Bothnia
Kuopio
Joensuu
Jyväskylä
Varkaus
Pori
Tampere
Rauma
Uusikaupunki
Lahti
Turku
Lovisa
Hamina
Espoo
Kotka
HELSINKI
ÅLAND ISLANDS
Gulf of Finland
Baltic Sea
ESTONIA

ზოგადი ცნობარი

შესავალი

ფინეთი თავდაპირველად იყო პროვინცია, შემდეგ მე-12-19 საუკუნეებში – შვედეთის დიდი საჰერცოგო, ხოლო 1809 წლიდან – რუსეთის ავტონომიური დიდი საჰერცოგო. ფინეთმა სრული დამოუკიდებლობა 1917 წელს მოიპოვა. მეორე მსოფლიო ომის დროს მან შეძლო თავისუფლების წარმატებული დაცვა და საბჭოთა კავშირის შემოტევის მოგერიება ტერიტორიის მცირე დანაკარგით. მომდევნო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ფინეთმა მოახდინა შთამბეჭდავი გარდაქმნა ფერმერული/სატყეო ეკონომიკიდან მრავალსახოვან სამრეწველო განვითარებულ ეკონომიკამდე. 1995 წლიდან ფინეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანაა და ევროპის ჩრდილოეთის ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც ევროპულ სისტემას შეუერთდა 1999 წლის იანვარს.

გეოგრაფია

ადგილმდებარეობა: ჩრდილოეთი ევროპა; ჩრდილოეთით ესაზღვრება ნორვეგია, აღმოსავლეთით – რუსეთი, ხოლო დასავლეთით – შვედეთი.

ფართობი: სულ: 338 145 კმ^2; ხმელეთი: 304 473 კმ^2 ; წყალი: 33 672 კმ^2.

ძირითადი ბუნებრივი რესურსები: ხე-ტყე, რკინის მადანი, სპილენძი, ტყვია, თუთია, ქრომიტები, ნიკელი, ოქრო, ვერცხლი, კირქვა.

მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა: 5 244 749 (2008);

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა:
0-14 წლის: 16.6% (მამაკაცი 443 738; ქალი 427 875);
15-64 წლის: 66.8% (მამაკაცი 1 773,232; ქალი 1 731 808);
65 წლის და ზემოთ: 16.6% (მამაკაცი 349 826; ქალი 518 270) (2008).

მოსახლეობის ზრდის ტემპი: 0.112% (2008);

შობადობა: 10.39 დაბადებული 1 000 მოსახლეზე (2008);

სიკვდილიანობა: 10 გარდაცვლილი 1 000 მოსახლეზე (2008);

მიგრაცია: 0.73 მიგრანტი 1 000 მოსახლეზე (2008);

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა: მთელი მოსახლეობის მიმართ: 78.82 წელი; კაცი: 75.31 წელი; ქალი: 82.46 (2008);

ეთნიკური ჯგუფები: ფინელი 93.4%, შვედი 5.6 %, რუსი 0.5%, ესტონელი 0.3 %, ბოშა 0.2%, საამი 0.1% (2006);

რელიგია: ლუთერანული 82.5%, მართლმადიდებლური 1.1%, სხვა ქრისტიანული 1.1% სხვა 15.2% (2006);

ენა: ფინური 91.5% (სახელმწიფო ენა), შვედური 5.5% (სახელმწიფო ენა), საამიზე და რუსულად მოლაპარაკე უმცირესობა.

განათლებულობა: მთელი მოსახლეობის - 100%. მამაკაცი - 100%; ქალი - 100% (2000);
განსაზღვრება: მოცემულია 15 წლის ზევით პირთა მიმართ, რომელთაც წერა-კითხვა შეუძლიათ.

ხელისუფლება

ქვეყნის სახელწოდება:
ვრცელი ფორმა: ფინეთის რესპუბლიკა;
შემოკლებული ფორმა: ფინეთი;
ადგილობრივი ვრცელი სახელწოდება: სუომენ ტასავალტა;
ადგილობრივი შემოკლებული სახელწოდება: სუომი.

მმართველობის ფორმა: შერეული რესპუბლიკა

დედაქალაქი: ჰელსინკი

ადმინისტრაციული ერთეულები: 6 პროვინცია (ლაანი): ალანდი, ეტელა-სუომენ ლაანი, იტა-სუომენ ლაანი, ლანსი-სუომენ ლაანი, ლაპი, ოულუნ ლაანი.

დამოუკიდებლობა: 1917 წლის 6 დეკემბერი (რუსეთისაგან);

ეროვნული დღესასწაული: დამოუკიდებლობის დღე, 6 დეკემბერი (1917);

აღმასრულებელი ხელისუფლება:
სახელმწიფოს მეთაური: პრეზიდენტი ტარია ჰალონენი (2000 წლის 1 მარტიდან);
მთავრობის თავმჯდომარე: პრემიერ-მინისტრი მატი ვანჰანენი (2003 წლის 24 ივნისადან);

არჩევნები: უკანასკნელად ჩატარდა 2006 წლის 15 იანვარს;

სამინისტროები: განათლების სამინისტრო; გარემოს დაცვის სამინისტრო; დასაქმებისა და ეკონომიკის სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; სოციალურ საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; სოფლის მეურნეობისა და ტყის სამინისტრო; ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საკანონმდებლო ხელისუფლება:
ერთპალატიანი პარლამენტი – ედუსკუნტა შედგება 200 წევრისაგან;
არჩევნები: უკანასკნელად ჩატარდა 2007 წლის 18 მარტს;

ძირითადი პოლიტიკური პარტიები: ცენტრისტული პარტია, ქრისტიან-დემოკრატები, მწვანეთა პარტია, მემარცხენე ალიანსი, ეროვნული კოალიციის (კონსერვატორები) პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, სახალხო პარტია.

ეკონომიკა

ეკონომიკის მიმოხილვა: ფინეთს აქვს მაღალი დონის სამრეწველო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა – მშპ ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით დიდ ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის დონეზეა. მისი წამყვანი ეკონომიკური სექტორია ვაჭრობა – ძირითადად ხე-ტყით, ლითონით, ტექნოლოგიებით, ტელეკომუნიკაციებით, ელექტრონული პროდუქციით. ვაჭრობა ექსპორტთან ერთად შეადგენს მშპ-ის ორ მეხუთედს. ფინეთი გამოირჩევა მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტით, მაგ: მობილური ტელეფონების ექსპორტით. გარდა ხე-ტყისა და რამდენიმე სახეობის მინერალისა, ფინეთი დამოკიდებულია ნედლი მასალების, ენერგიისა და სასაქონლო პროდუქციის ზოგიერთი კომპონენტის იმპორტზე. კლიმატის გამო, სასოფლო-სამეურნეო განვითარება შეზღუდულია ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახეობებით და იგი ორიენტირებულია ქვეყნის შიდა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. სატყეო მეურნეობა უზრუნველყოფს სოფლის მოსახლეობის დამატებით დასაქმებას. ქყეყნის ძირითად პრობლემას წარმოადგენს უმუშევრობის მაღალი დონე.

მთლიანი შიდა პროდუქტი - მსყიდველობითი უნარის პარიტეტი: $185.5 მილიარდი (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი: 4.4% (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: $35.300 (2007);

მთლიანი შიდა პროდუქტის შემადგენლობა სექტორებით: სოფლის მეურნეობა: 2.6%; მრეწველობა: 31.9%; მომსახურება: 65.6% (2007);

მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ: მონაცემები არ არსებობს

ბიუჯეტი: შემოსავალი: $62.02 მილიარდი; გასავალი: $58.16 მილიარდი (2007);

ექსპორტი: $104.9 მილიარდი (2007);

საექსპორტო საქონელი: მანქანა-დანადგარები, ქიმიური ნაწარმი, ლითონები, ხე-ტყე, ქაღალდი, მაკულატურა.

ექსპორტის პარტნიორები: გერმანია 10.9%, შვედეთი 10.7%, რუსეთი 10.3%, აშშ 6.4%, დიდი ბრიტანეთი 5.8%, ნიდერლანდები 5.6% (2006);

იმპორტი: $81.54 მილიარდი (2007);

საიმპორტო საქონელი: საკვები პროდუქტები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ქიმიური ნაწარმი, სატრანსპორტო მოწყობილობა, რკინა და ფოლადი, მანქანები, ტექსტილის ნაწარმი, ხორბალი.

იმპორტის პარტნიორები: გერმანია 15.9%, შვედეთი 13.7%, რუსეთი 13.7%, ნიდერლანდები 6.7%, ჩინეთი 5.3%, დიდი ბრიტანეთი 4.9% (2006);

საგარეო ვალი: $271.2 მილიარდი (2007 წლის 30 ივნისი);

ეკონომიკური მხარდაჭერა: $1.023 მილიარდი (2007);

ვალუტა: ევრო (EUR).

კონსტიტუციონალიზმის ისტორია. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ მეფის რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა ფინელი ხალხისათვის გარკვეულ დათმობებზე წასულიყო. მეფის მიერ 1906 წლის 20 იელისს დამტკიცებულმა სეიმის შესახებ ორგანულმა კანონმა (სეიმის წესდებამ) თითქმის 10-ჯერ გააფართოვა იმ პირთა წრე, ვისაც საარჩევნო უფლება გააჩნდა და განამტკიცა ერთპალატიანი სეიმის შექმნა. იგი აირჩეოდა საყოველთაო და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, რაც მსოფლიოში ასეთი ტიპის პირველ პრეცედენტს წარმოადგენდა.

სეიმის წესდებასთან ერთად მოქმედებდა კანონი სიტყვის, შეკრებებისა და გაერთიანებების თავისუფლების შესახებ, რომელიც კონსტიტუციურ ხასიათს ატარებდა და აფართოებდა მოსახლეობის შესაძლებლობებს დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციაში. მეფის რუსეთის მთავრობას არ შეეძლო ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედებაში ჩარევა ფინეთის მოქალაქის დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების კუთხით.

რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ფინეთმა გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამის შემდგომ ქვეყანაში შექმნილი დაძაბული და მძიმე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მომხდარი რევოლუციური მოვლენების შედეგად მომწიფდა კონსტიტუციის მიღების აუცილებლობა. ძირითადი კონსტიტუციური დოკუმენტის ტექსტი, რომელსაც შვედური მაგალითის შესაბამისად ეწოდა „მმართველობის ფორმა" მოამზადა პროფესორმა სტოლბერგმა. მეორე ძირითად კანონს წარმოადგენდა 1906 წლის სეიმის წესდება, რომელიც მოგვიანებით 1928 წლის 13 იანვარს შეიცვალა აქტით ედუსკუნტას (პარლამენტის) შესახებ. ძირითადი კანონების რიცხვს, რომელთაც ერთად ფინეთის კონსტიტუცია შეადგინეს, განეკუთვნებოდა 1922 წლის 22 ნოემბერს მიღებული კიდევ ორი დოკუმენტი: აქტი „პარლამენტის უფლების შესახებ" გააკოტროლოს სახელმწიფო საბჭოს წევრების და იუსტიციის კანცლერის საქმიანობის კანონიერება მათ მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებისას და აქტი „სახელმწიფო სასამართლოს შესახებ".

ფინეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტიტუციურ აქტებში, ასევე რუსეთის შემადგენლობაში ფინეთის ავტონომიის განმსაზღვრელ აქტებში, ადგილი ჰქონდა შვედეთის სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტების რეცეფციას.

„მმართველობის აქტმა" ფინეთი გამოაცხადა სუვერენულ რესპუბლიკად, რითაც განამტკიცა მონარქიულ წყობილებაზე უარის თქმა. თუმცა, მასში ფორმალურადაც კი არ იყო გაცხადებული ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს უზენაესობა. კონსტიტუციის თანახმად, საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდებოდა პარლამენტისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ, რომელთანაც ქვეყნის მართვის მიზნით იქმნებოდა სახელმწიფო საბჭო. სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნოდა სასამართლოებს უზენაესი და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოებით სათავეში. ამდენად, კონსტიტუციის შესაბამისად ფი-

ნეთში ჩამოყალიბდა რესპუბლიკა შერეული მმართველობის ფორმით, რომლის ძირითად სახელმწიფოებრივ მექანიზმს წარმოადგენდა პრეზიდენტი და არა ედუსკუნტა, რომლის პოზიციები უფრო სუსტი იყო. აღნიშნული ეხებოდა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ისეთ ძირითად საკითხებს, როგორიცაა კანონებისა და ბიუჯეტის მიღება, კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე.

ამის შემდგომ ახალი კონსტიტუციის მიღებამდე ფინეთის ძირითად კონსტიტუციურ დოკუმენტში მრავალი ცვლილება და დამატება იქნა შეტანილი, რომელთა მიზანი ძირითადად მდგომარეობდა უკვე ჩამოყალიბებული პრაქტიკის განმტკიცებაში, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტების გათვალისწინება, საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაცია, პარლამენტის უფლებათა გაფართოება პრეზიდენტის უფლებების ხარჯზე, ფინეთის ევროპის კავშირში შესვლის კონსტიტუციურ დონეზე უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ ფინეთში ამ პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა მმართველობის ფორმის შეცვლა.

კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურა. მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის ყველაზე რთული ომისშემდგომი პრობლემები ძირითადად მოგვარებული იყო და ფინეთში კანონზომიერად დადგა კონსტიტუციური რეფორმის ჩატარების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ კეკონენის მიერ შექმნილ საკონსტიტუციო კომისიის წევრთა შორის არ იყო მიღწეული შეთანხმება – ჩატარებულიყო სრულმასშტაბიანი რეფორმა თუ შემოფარგლულიყვნენ ცალკეული და საკმაოდ მნიშვნელოვანი შესწორებებით, ყველა წევრი ცალსახად ერთხმად აღიარებდა პარლამენტის უფლებების გაფართოების, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე მისი კონტროლის, პრეზიდენტის უფლებების, უპირველეს ყოვლისა, საშინაო პოლიტიკის საკითხებში შეზღუდვის აუცილებლობას.

კეკონენის გადადგომისა და პრეზიდენტად მ. კოივისტოს არჩევის შემდეგ, თავდაპირველად საკონსტიტუციო შეთანხმებების საფუძველზე, ხოლო შემდგომ უკვე კონსტიტუციური გზით დაიწყო სახელმწიფო წყობილების ეტაპობრივი გარდაქმნა. კოივისტომ ნებაყოფლობით სახელმწიფო საბჭოს დაუთმო თავისი შიდაპოლიტიკური და შიდაეკონომიკური უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი ნაწილი. შემდგომ „მმართველობის ფორმამ“ და „ედუსკუნტას შესახებ“ აქტმა განამტკიცა ასეთი პრაქტიკა. საკუთარი უფლებამოსილების უმეტესობა პრეზიდენტს უნდა განეხორციელებინა სახელმწიფო საბჭოს თანხმობით, ელჩებისა და დესპანების დანიშვნის პროგატივა მთლიანად სახელმწიფო საბჭოს მიეკუთვნა. ამდენად, მომზადდა ნიადაგი ფართო საკონსტიტუციო რეფორმისათვის, რომელიც განხორციელდა 1991-1995 წლებში და შეეხო ფინეთის სამ ძირითად კანონს. შესაბამისად, „მმართველობის ფორმამ“ გააძლიერა პარლამენტის როლი და გაზარდა სახელმწიფო საბჭოს უფლებები პრეზიდენტის უფლებამოსილების ხარჯზე.

90-იანი წლების მნიშვნელოვანი რეფორმა გახდა 1995 წელს „მმართველობის ფორმის“ მე-2 თავის ახალი რედაქციით მიღება, რომელიც ახდენდა ფინე-

თის მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების რეგლამენტაციას და სრულად ითვალისწინებდა ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტების მოთხოვნებს.

თუმცა, კონსტიტუციური ევოლუცია ამით არ შეჩერდა, რადგან 1991 წლის 11 ივნისს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია – ფინეთის ძირითადი კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 1 მარტს. ძირითადი კანონი წარმოადგენს ერთ დოკუმენტს, რომელმაც შეცვალა წინა 4 ძირითადი კანონი. აღნიშნული სფეროების მომწესრიგებელი უფრო დეტალური ნორმები კანონებით და ედუსკუნტას რეგლამენტით უნდა იქნეს მოწესრიგებული.

ფინეთის კონსტიტუციაში ცვლილებები ჯერ არ არის შეტანილი. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუცია არ შეიცავს მისი გადასინჯვის შესახებ ცალკე თავს. თუმცა, კონსტიტუციური კანონის, რომელიც მხოლოდ ერთი მუხლის სახით არის წარმოდგენილი, მიღების საკმაოდ რთული მექანიზმი გვხვდება. მას ორი მოსმენით იღებს პარლამენტი და ხმათა უმრავლესობით საბოლოოდ მისაღებად გადადებს შემდგომი მოწვევის პარლამენტის პირველ სესიამდე. ამ შემთხვევაში, კომიტეტის დასკვნის შემდეგ, წინადადება მიიღება ერთი მოსმენით ხმათა არანაკლებ 2/3-ით.

კონსტიტუციის ანალიზი. ფინეთის კონსტიტუცია შედგება 13 თავისა და 131 მუხლისგან. ფინეთის ძირითადი კანონი, ერთი მხრივ, წარმოადგენს 90-იან წლებში განხორციელებული ცვლილებების რეცეფციას, ხოლო, მეორე მხრივ, შეიცავს მნიშვნელოვან დებულებებს, რომელთაც გააგრძელეს სახელმწიფო წყობილების და ფინეთის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია.

ფინეთის კონსტიტუციის პირველ თავში განმტკიცებულია ის ძირითადი ფუძემდებლური პრინციპები, რაზედაც არის აგებული კონსტიტუცია. ფინეთის კონსტიტუციის მთავარი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა უზრუნველყოს ადამიანური ღირსების, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების ხელშეუხებლობა, აგრეთვე ხელი შეუწყოს კანონიერებას საზოგადოებაში.

ფინეთი არის სუვერენული რესპუბლიკა, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს, რომელიც პარლამენტშია წარმოდგენილი. კონსტიტუციის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს ხელისუფლების დანაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. კონსტიტუციის თანახმად, საკანონმდებლო და ფინანსური ხელისუფლება ეკუთვნის ედუსკუნტას, აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი და სახელმწიფო საბჭო.

კონსტიტუციით გამოცხადებულია ფინეთის ტერიტორიის განუყოფლობა და მოწესრიგებულია ფინეთის მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები.

კონსტიტუციის მე-2 თავი მთლიანად ეთმობა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც მოიცავს კანონის წინაშე ყველას თანასწორობას, სიცოცხლის, პირადი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას, უდანაშაულობის პრეზუმფციას, გადაადგილების თავისუფლებას და საცხოვრებელი ადგი-

ლის არჩევის უფლებას, პირადი ცხოვრების, პატივისა და საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლებას, რელიგიისა და სინდისის თავისუფლებას, გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას. საკუთრების უფლება დაცულია. საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის და სრული ანაზღაურების პირობით.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხილვისას განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ჯგუფი, უფლებები განათლებისა და კულტურის სფეროში, აგრეთვე ნორმები, რომლებიც ეძღვნება სახელმწიფოსა და საზოგადოების ვალდებულებებს პიროვნების ეკოლოგიური დაცვის უზრუნველსაყოფად. კონსტიტუციურ დონეზეა გათვალისწინებული ნორმები, რომლებიც აწესრიგებს ადამიანის სამართლებრივ დაცვას მართლმსაჯულების სფეროში.

აღნიშვნის ღირსია კონსტიტუციის ის მუხლები, რომლებიც აცხადებენ სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის სფეროში მიღებული დოკუმენტების საჯაროობას და უზრუნველყოფენ სამართალწარმოების საჯაროობას როგორც საერთო იურისდიქციის, ისე ადმინისტრაციულ სასამართლოებში. ამასთან, მოქალაქისა და ადამიანის უფლებათა შესახებ კონსტიტუციური ნორმები უზრუნველყოფილია მათ საფუძველზე მიღებული სპეციალური კანონებით და არა აღმასრულებელი ხელისუფლების აქტებით.

ფინეთში სახელმწიფო ენებს წარმოადგენს ფინური და შვედური ენები. კონსტიტუცია თანაბრად იცავს ფინურ და შვედურ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობას. კონსტიტუციის შესაბამისად, ყველასთვის გარანტირებულია საკუთარი ენის – ფინურის ან შვედურის სასამართლოში და სხვა სახელმწიფო ორგანოებში გამოყენება, ასევე ამ ენაზე ოფიციალური დოკუმენტების მიღების უფლება. დაცულია ეროვნული უმცირესობების უფლებები, კერძოდ საამებს, როგორც ქვეყნის ძირძველ მცხოვრებლებს, ასევე ბოშებსა და სხვა ჯგუფებს აქვთ თავიანთი ენისა და კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების უფლება. საამების მიერ თავიანთი ენის სახელმწიფო ორგანოებთან გამოყენების უფლება მოწესრიგებულია კანონით. კონსტიტუცია საგანგებოდ მიუთითებს, რომ იმ პირთა უფლება, რომლებიც ჟესტების ენით, აგრეთვე შრომისუუნარობის გამო სპეციალისტის ან თარჯიმნის დახმარებით სარგებლობენ, კანონით არის გარანტირებული.

კონსტიტუციის თანახმად, ფინეთში ეროვნულ არჩევნებში და რეფერენდუმში ხმის მიცემის უფლება გააჩნია ფინეთის 18 წელს მიღწეულ ყველა მოქალაქეს, ხოლო ადგილობრივ არჩევნებში ხმის მიცემის უფლებით სარგებლობს აგრეთვე ფინეთში მუდმივად მცხოვრები ყველა უცხოელი.

კონსტიტუცია ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვებს უშვებს მხოლოდ ფინეთის მიერ ადამიანის უფლებათა სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად და თუ ეს აუცილებელია ფინეთზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ან როდესაც შეზღუდვა დაკავშირებულია ისეთ საგანგებო გარემოებებთან, რაც ერს საფრთხეს უქმნის და კანონის შესაბამისად სიმძიმით უტოლდება შეიარაღებულ თავდასხმას.

ძირითადმა კანონმა თანმიმდევრულად განახორციელა ქვეყნის გარდაქმნა პრეზიდენტის როლის შემცირებისკენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, ასახულია კონსტიტუციის სტრუქტურაში, სადაც სახელმწიფო ორგანოების სისტემაში პირველ ადგილზეა ედუსკუნტა, რომელსაც ეთმობა ორი სპეციალური თავი, აგრეთვე მრავალი სხვა მუხლი სხვა თავებში. მმართველობის ფორმასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მართალია მეცნიერებასა და სხვადასხვა გამოცემებში ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკად არის მოხსენიებული პარლამენტის გაზრდილი როლის გამო, მაგრამ ქვეყნის კონსტიტუცია მაინც შეიცავს ზოგიერთ ისეთ ნორმას, რაც საპრეზიდენტო რესპუბლიკებისთვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, პრეზიდენტი არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, იგი აირჩევა უშუალოდ ამომრჩეველთა მიერ და სხვ. ამდენად, იგი შერეული მმართველობის მქონე რესპუბლიკად უნდა მოვიხსენიოთ.

ფინეთში საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს პარლამენტი – ედუსკუნტა, რომელიც შედგება ოთხი წლის ვადით არჩეული 200 წევრიანი ერთი პალატისგან. პარლამენტის წევრები აირჩევიან პირდაპირი და პროპორციული წესით ფარული კენჭისყრით. პარლამენტის არჩევნებისთვის ქვეყანა, მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად, იყოფა არანაკლებ 12 და არა უმეტეს 18 საარჩევნო ოლქად იმგვარად, რომ თითოეული საარჩევნო ოლქიდან არჩეულ იქნეს არანაკლებ შვიდი პარლამენტის წევრი. ალანდის კუნძულები ქმნიან ერთადერთ საარჩევნო ოლქს პარლამენტის ერთი წევრის ასარჩევად.

პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო ხმის უფლების მქონე ნებისმიერი პირი, რომელიც არ იმყოფება მზრუნველობის ქვეშ.

დეპუტატის უფლებამოსილება ჩერდება, როდესაც იგი ევროპარლამენტის წევრი ხდება. ამ შემთხვევაში მის ნაცვლად დეპუტატის უფლებამოსილებას ასრულებს მისი მოადგილე. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუჩერდება აგრეთვე სამხედრო ვალდებულების შესრულების დროს. თუ პარლამენტის წევრი არსებითად და მუდმივად უგულებელყოფს თავის მოვალეობებს, პარლამენტი უფლებამოსილია ხმათა არანაკლებ ორი მესამედით საკონსტიტუციო კომიტეტის დასკვნის მიღების შემდეგ, მას უფლებამოსილება შეუწყვიტოს სამუდამოდ ან გარკვეული ვადით.

თუ პარლამენტის წევრს ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე დანაშაულის ჩადენისათვის შეეფარდება თავისუფლების აღკვეთა ან საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის – სასჯელი, პარლამენტი უფლებამოსილია დასვას მისი უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი. თუ სამართალდარღვევა ცხადყოფს, რომ ბრალდებულის ქმედება არ შეესაბამება პარლამენტის წევრის თანამდებობრივ ნდობასა და პატივისცემას, პარლამენტი უფლებამოსილია, საკონსტიტუციო კომიტეტის დასკვნის შემდეგ ხმათა არანაკლებ ორი მესამედით მიიღოს გადაწყვეტილება პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

პარლამენტის წევრი სარგებლობს იმუნიტეტით და იგი გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, ვინაიდან იმუნიტეტის მოხსნა დასაშვებია პარლამენტის

წევრის მიერ არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენისათვის, არამედ მოსაზრების დაფიქსირებისათვისაც, კერძოდ, პარლამენტის წევრს შეიძლება წაეყენოს ბრალდება ან აღეკვეთოს თავისუფლება დეპუტატად ყოფნის პერიოდში პარლამენტში საკუთარი აზრის გამოთქმისათვის ან სხვა საქმის განხილვის დროს, თუ პარლამენტი ამაზე თანხმობას მისცემს ხმათა ხუთი მეექვსედით.

პარლამენტის წევრის დაპატიმრების ან დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტის თავმჯდომარეს. იგი, პარლამენტის თანხმობის გარეშე არ შეიძლება იქნეს დაპატიმრებული ან დაკავებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებითი საფუძვლებით ბრალდებულად მიჩნეულია ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც პატიმრობის სახით გათვალისწინებული სასჯელი წარმოადგენს არანაკლებ ექვს თვეს.

კონსტიტუცია ითვალისწინებს პარლამენტის დათხოვნის მექანიზმს, როდესაც პრეზიდენტი აღჭურვილია უფლებამოსილებით დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები. თუმცა, დათხოვნის საფუძვლები კონსტიტუციაში არ არის განსაზღვრული — მისთვის საკმარისია პრემიერ-მინისტრის დასაბუთებული წარდგინება და პარტიული ფრაქციების აზრის მოსმენა.

პარლამენტს ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარე, რომელსაც პარლამენტი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარის ორ მოადგილესთან ერთად. თავმჯდომარე იწვევს პლენარულ სხდომას, შეაქვს საკითხები დღის წესრიგში, ზედამხედველობს დებატებს და თვალყურს ადევნებს პლენარულ სხდომაზე საქმის განხილვისას კონსტიტუციის დაცვას, ამასთან მას არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს პლენარულ სხდომაზე დებატებსა და კენჭისყრაში.

პარლამენტის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეები ქმნიან პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებულ საბჭოს, რომელიც გამოსცემს ინსტრუქციებს პარლამენტის საქმიანობის ორგანიზებასთან დაკავშირებით და განსაზღვრავს პარლამენტში საქმის განხილვის წესს. საბჭოს გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება იმ კანონპროექტებთან მიმართებაში, რომლებიც პარლამენტის მოსამსახურეებსა და პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანას ეხება.

პარლამენტი, საკუთარი უფლებამოსილების ვადით, ირჩევს კომიტეტებს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი კომიტეტის არსებობა თვით კონსტიტუციით არის განმტკიცებული, რომლის თანახმად, პარლამენტის შემადგენლობაში იქმნება დიდი კომიტეტი, ასევე საკონსტიტუციო, საგარეო საქმეთა და საფინანსო კომიტეტები. ამასთან, ყოველ კომიტეტში წევრთა რაოდენობა იმატებს მისი ფუნქციის მნიშვნელობის მიხედვით. თითოეულ კომიტეტს ჰყავს ალტერნატიული წევრების შესაბამისი რაოდენობა. კომიტეტებისა და სხვა ორგანოების წევრები პარლამენტის მიერ აირჩევიან. აღსანიშნავია, რომ თუ პარლამენტი არჩევნების დროს ერთსულოვნებას ვერ მიაღწევს, კომიტეტებისა და სხვა ორგანოების წევრები პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე აირჩევიან.

პარლამენტში განსაკუთრებული უფლებამოსილებით არის აღჭურვილი დიდი კომიტეტი, რომელსაც მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა გააჩნია ორი ძირითადი მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინეთის ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრაში, რაც დაკავშირებულია ქვეყნის ევროპულ კავშირში წევრობასთან, რასაც იგი ძირითადად ახორციელებს ევროპული კავშირის საკანონმდებლო წინადადებებთან მიმართებაში პოზიციის შემუშავებით. ამას გარდა, მისი მეორე მთავარი ფუნქცია მდგომარეობს იმ კანონპროექტების განხილვაში, რომელიც მას გადაეცემა პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენის შემდეგ.

სახელმწიფო ფინანსების მართვისა და ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მიზნით პარლამენტი ქმნის სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, საბანკო სისტემაზე ზედამხედველობის მიზნით ირჩევს ფინეთის ბანკის რწმუნებულებს, ხოლო სოციალური დაზღვევის ფონდის მართვისა და მისი საქმიანობის კონტროლის მიზნით – სპეციალურ საპარლამენტო რწმუნებულებს.

პარლამენტი ოთხი წლის ვადით ნიშნავს საპარლამენტო ომბუდსმენს, რომელსაც სამართლის გამორჩეული ცოდნა უნდა ჰქონდეს. ეს პირი არ წარმოადგენს პარლამენტის შიდა ორგანოს და მნიშვნელოვანი დამოკიდებლობით სარგებლობს, თუმცა მის საქმიანობაზე კონსტროლს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისია ახორციელებს. საპარლამენტო ომბუდსმენი თავისი ფუნქციების შესრულებისას აკონტროლებს არა მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, არამედ აგრეთვე სასამართლოების, სხვა ორგანოებისა და კერძო პირების მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის დაცვასა და მოვალეობათა შესრულებას. ამ მიზნის მისაღწევად მას მინიჭებული აქვს შესაბამისი ორგანოების სხდომაზე მონაწილეობის, საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვისა და ბრალდებული პირების მიმართ დევნის დაწყების უფლება. საპარლამენტო ომბუდსმენი პარლამენტს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ, რომელიც მოიცავს მართლმსაჯულების განხორციელების მდგომარეობასა და კანონმდებლობაში აღმოჩენილ ხარვეზებს.

პარლამენტის არანაკლებ ოც წევრს უფლება აქვს სახელმწიფო საბჭოს ან მინისტრს ინტერპელაციით მიმართოს სახელმწიფო საბჭოს ან მინისტრის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეზე, რაზეც პასუხი უნდა გაიცეს მიმართვიდან 15 დღის განმავლობაში. პარლამენტის წევრი აგრეთვე უფლებამოსილია მინისტრს შეკითხვით მიმართოს მის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე, ისევე როგორც პარლამენტი უფლებამოსილია სახელმწიფო საბჭოსგან მიიღოს მის მიერ საქმის განსახილველად აუცილებელი ინფორმაცია.

პლენარულ სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, თუ კონსტიტუცია გადაწყვეტილების მიღების სხვა წესს არ ითვალისწინებს. ხმათა გაყოფის შემთხვევაში საკითხი წყდება წილისყრით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაწყვეტილების მისაღებად ხმების კვალიფიციური უმრავლესობაა აუცილებელი. კანონპროექტი პარლამენტში იხილება ორი მოსმენით.

განსხვავებით საპარლამენტო სხდომებისგან, კომიტეტის სხდომები არ არის ღია. კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ღია სხდომის ჩატარების შესახებ, როდესაც საქმის განხილვის მოსამზადებლად აგროვებს ინფორმაციას. კომიტეტის სხდომის ოქმები და სხვა დოკუმენტაცია საჯაროა, თუ კომიტეტი აუცილებელი მიზეზით სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

კონსტიტუციის შესაბამისად, ფინეთში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნიათ პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებულ საბჭოს, პარლამენტის წევრებს, სახელმწიფო საბჭოს, უზენაეს სასამართლოს და უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოს.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონი დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელიც ვალდებულია გადაწყვეტილება კანონის დამტკიცების შესახებ მიიღოს წარმოდგენიდან სამი თვის ვადაში. პრეზიდენტი უფლებამოსილია კანონი დასკვნისათვის გადასცეს უზენაეს სასამართლოს ან უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოს. თუ პრეზიდენტი კანონს არ დაამტკიცებს, იგი განსახილველად უბრუნდება პარლამენტს. პარლამენტის მიერ კანონის ხელახლა არსებითი ცვლილებების გარეშე მიღების შემთხვევაში, იგი ძალაში შედის დამტკიცების გარეშე. დამტკიცებული ან დამტკიცების გარეშე ძალაში შესული კანონი უნდა იქნეს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი და შესაბამისი მინისტრის მიერ დადასტურებული. სახელმწიფო საბჭო ვალდებულია კანონი დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს „ფინეთის კანონთა წიგნში". პარლამენტის მიერ კანონის ხელმეორედ დაუმტკიცებლობის შემთხვევაში კანონი უარყოფილად ითვლება.

კონსტიტუციური კანონის მიღების, მასში ცვლილების შეტანის, გაუქმების ან ნაწილობრივი გაუქმების პროექტი მეორე მოსმენის დროს უნდა გადაიდოს ხმათა უმრავლესობით, პარლამენტის ახლადარჩეული მოწვევის პირველ სესიამდე. ამ შემთხვევაში, კომიტეტის დასკვნის შემდეგ, წინადადება არსებითი ცვლილებების გარეშე მიიღება ერთი მოსმენით პლენარულ სხდომაზე ხმათა არანაკლებ ორი მესამედით. თუ მიღებულია გადაწყვეტილება საკანონმდებლო წინადადების დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ, რისთვისაც ხმათა არანაკლებ ხუთი მეექვსედის თანხმობაა აუცილებელი, წინადადება არ გადაიდება და იგი შეიძლება მიღებულ იქნეს ხმათა არანაკლებ ორი მესამედით.

ფინეთში რეფერენდუმის შედეგები სავალდებულო არ არის და საკონსულტაციო ხასიათს ატარებს. გადაწყვეტილება საკონსულტაციო რეფერენდუმის ჩატარების შესახებ მიიღება კანონის შესაბამისად, რომელიც უნდა შეიცავდეს დებულებებს რეფერენდუმის ჩატარების ვადისა და მასში მონაწილეთათვის შეთავაზებული საკითხების თაობაზე.

პარლამენტი მნიშვნელოვანი უფლებამოსილებით სარგებლობს აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირების პროცესში. ძირითად კანონში მკაფიო ასახვა ჰპოვა სახელმწიფო საბჭოს ფორმირების საპარლამენტო პრინციპმა შვედური წესის გათვალისწინებით. პრემიერ-მინისტრი პარლამენტის მიერ აირჩევა და ფორმალურად მტკიცდება პრეზიდენტის განკარგულებით, ხოლო სხვა მინის-

ტრები პრეზიდენტის მიერ ინიშნებიან პრემიერ-მინისტრის წარდგინების საფუძველზე. ამ პროცესში პრეზიდენტის როლი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის ფორმირებაში მინიმუმამდეა დაყვანილი. მას არ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს კაბინეტის ფორმირებაზე. თუმცა, პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა, რომელიც პრეზიდენტის მიერ წარედგინება, ზედმიწევნით მოწმდება პოლიტიკური პარტიების ფრაქციების მიერ.

ფინეთში აღმასრულებელ ხელისუფლებას სახელმწიფო საბჭოსთან ერთად ახორციელებს რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა პირდაპირი წესით 6 წლის ვადით. იგი უნდა იყოს დაბადებით ფინეთის მოქალაქე. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება ზედიზედ აირჩეს მხოლოდ ორჯერ. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს მიიღებს. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს აღნიშნულ უმრავლესობას, საუკეთესო მაჩვენებლის მქონე ორ კანდიდატს შორის ტარდება ხელახალი არჩევნები. არჩევნების მეორე ტურში პრეზიდენტად აირჩევა ის კანდიდატი, რომელიც ხელახალ არჩევნებზე ხმათა უმრავლესობას მიიღებს, ხოლო თუ არჩევნებზე ერთი კანდიდატია წარდგენილი, იგი პრეზიდენტად არჩეულად ითვლება არჩევნების გარეშე.

პრეზიდენტის მიერ მოვალეობათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ფუნქციები დაეკისრება პრემიერ-მინისტრს, ხოლო თუ პრემიერ-მინისტრს იგივე დაბრკოლებები წამოექმნა — იმ მინისტრს, რომელიც ვიცე-პრემიერია.

პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელება ძირითადად სახელმწიფო საბჭოს საქმიანობის ფარგლებში წარიმართება და იგი გადაწყვეტილებებს იღებს სახელმწიფო საბჭოს წინადადებების საფუძველზე.

პრეზიდენტი, სახელმწიფო საბჭოს წინადადების გარეშე გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე: მთლიანად სახელმწიფო საბჭოს ან კონკრეტული მინისტრის დანიშვნისა და გადადგომის მიღების შესახებ; პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შესახებ; შეწყალებისა და კანონით საგანგებოდ განსაზღვრული საქმეების შესახებ, რომლებიც ეხება კერძო პირებს ან ისეთ საქმეებს, რომლებიც არ საჭიროებს სახელმწიფო საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვას; ალანდის კუნძულების ავტონომიის შესახებ კანონით, გარდა იმ საკითხებისა, რაც ალანდის კუნძულების ფინანსებს ეხება.

პრეზიდენტი არის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, თუმცა უფლებამოსილია სახელმწიფო საბჭოს წინადადებით ეს ფუნქცია სხვა პირს გადასცემს, რომელიც იქნება ფინეთის მოქალაქე. პრეზიდენტი ნიშნავს სამხედრო ძალების ოფიცრებს, სახელმწიფო საბჭოს წინადადებით იღებს გადაწყვეტილებას სამხედრო ძალების მობილიზაციის შესახებ. სამხედრო ხასიათის ბრძანებებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს პრეზიდენტი იღებს შესაბამის მინისტრთან ერთად.

ცალკეულ შემთხვევებში პრეზიდენტი, უზენაესი სასამართლოს დასკვნის მიღების შემდეგ, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ

შეფარდებული სასჯელისაგან პირის სრული ან ნაწილობრივი შეწყალების შესახებ. საყოველთაო ამნისტია შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ კანონით.

სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში შედის პრემიერ-მინისტრი და მინისტრების შესაბამისი რაოდენობა. ამჟამად მის შემადგენლობაში 11 სამინისტროა. მინისტრები ანგარიშვალდებულნი არიან პარლამენტის წინაშე. თითოეული მინისტრი, რომელიც მონაწილეობს სახელმწიფო საბჭოში საქმის განხილვაში, პასუხისმგებელია მიღებულ გადაწყვეტილებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განაცხადებს, რომ არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, რაც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი. პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს სახელმწიფო საბჭოს საქმიანობას, ზედამხედველობს საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მომზადებასა და განხილვას და თავმჯდომარეობს მის სხდომებს. პრემიერ-მინისტრის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დანიშნული მინისტრი, ხოლო პრემიერ-მინისტრის მოადგილის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობისას — თანამდებობაზე ყოფნის დროისთვის უხუცესი მინისტრი.

მინისტრს უფლებამოსილების განხორციელების დროს არ შეიძლება ეკავოს სხვა სახელმწიფო თანამდებობა ან ასრულებდეს სხვა სამუშაოს, რომელიც მისი უფლებამოსილების განხორციელებას ხელს შეუშლის ან მოახდენს მინისტრის თანამდებობის დისკრედიტაციას.

პრეზიდენტი სახელმწიფო საბჭოს ან მინისტრის გადადგომას იღებს მათი თხოვნით. იგი უფლებამოსილია მინისტრის გადადგომა მიიღოს აგრეთვე პრემიერ-მინისტრის წინადადების საფუძველზე. პრეზიდენტი ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია სახელმწიფო საბჭოს ან მინისტრის უფლებამოსილება შეწყვიტოს, მიუხედავად მათი თხოვნის არარსებობისა, თუ სახელმწიფო საბჭო ან მინისტრი პარლამენტის ნდობით აღარ სარგებლობს.

კონსტიტუცია ითვალისწინებს იუსტიციის კანცლერის თანამდებობას. მას ნიშნავს პრეზიდენტი, რომლის მთავარი ფუნქციაა სახელმწიფო საბჭოსა და პრეზიდენტის ოფიციალური აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. იუსტიციის კანცლერი აგრეთვე ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს სასამართლოების, სხვა ორგანოებისა და კერძო პირების მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის დაცვასა და მოვალეობათა შესრულებას, აგრეთვე იგი კონტროლს ახორციელებს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე.

კონსტიტუცია ცალკე თავს უთმობს ფინეთის საერთაშორისო ურთიერთობებს. ქვეყნის საგარეო პოლიტიკა წარიმართება პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო საბჭოსთან ერთად. პარლამენტი ახდენს საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიკაციასა და დენონსაციას და იღებს გადაწყვეტილებას ფინეთის საერთაშორისო ვალდებულებების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით. ომისა და ზავის საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით. პარლამენტის მიერ რატიფიცირებას საჭიროებს ხელშეკრულებები და სხვა სა-

ერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც შეიცავს საკანონმდებლო ხასიათის მქონე დებულებებს, ან თუ სხვა მხრივ გააჩნია დიდი მნიშვნელობა ან რომლებიც კონსტიტუციის შესაბამისად სხვა მიზეზით საჭიროებენ პარლამენტის მიერ რატიფიცირებას. პარლამენტი ასევე იღებს გადაწყვეტილებას შეთანხმებების დენონსაციის თაობაზე.

ფინეთში მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები. საერთო სასამართლოების სისტემა შედგება უზენაესი, სააპელაციო და რაიონული სასამართლოებისგან, ხოლო საერთო ადმინისტრაციული იუსტიციის სასამართლოებს განეკუთვნებიან უზენაესი და რეგიონალური ადმინისტრაციული სასამართლოები. სპეციალური სასამართლოები მოიცავს სადაზღვევო, საბაზრო, შრომის, მიწის, საზღვაო სასამართლოებსა და საზღვაო საკითხთა უმაღლეს სასასამართლოს.

უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი სასამართლო ინსტანცია სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე, ხოლო უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო — ადმინისტრაციულ საქმეებზე.

ფინეთის კონსტიტუციის თანახმად, ქვეყანაში იმპიჩმენტის საქმეთა განსახილველად იქმნება სპეციალური სასამართლო ორგანო — იმპიჩმენტის უმაღლესი სასამართლო, რომელიც განიხილავს ბრალდებებს პრეზიდენტის, სახელმწიფო საბჭოს წევრების, იუსტიციის კანცლერის, საპარლამენტო ომბუდსმენის, უზენაესი სასამართლოსა და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს წევრების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას კანონიერების დარღვევის საქმეებზე. ამ სასამართლოს შემადგენლობაში შედის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარე და სააპელაციო სასამართლოების სამი უხუცესი თავმჯდომარე, აგრეთვე პარლამენტის მიერ ოთხი წლის ვადით არჩეული ხუთი წევრი.

მოსამართლეები ინიშნებიან უვადოდ პრეზიდენტის მიერ და საქმიანობას ახორციელებენ 70 წლის ასაკის მიღწევამდე. მოსამართლე თანამდებობიდან შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ფინეთში არ არსებობს კონსტიტუციური კონტროლის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა პარლამენტის მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე და კონსტიტუციური ნორმების ახსნა-განმარტებაზე. ფინეთის თავისებურებაა, რომ კონსტიტუციურობის კონტროლზე პასუხისმგებელი სპეციალური ორგანო არ არსებობს და მას ახორციელებს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისია — საკანონმდებლო პროცესის განმავლობაში.

ფინეთში პროკურატურას ხელმძღვანელობს უმაღლესი პროკურორი — გენერალური პროკურორი, რომელიც ინიშნება პრეზიდენტის მიერ. ფინეთის კონსტიტუციის ცალკე თავი აქვს დათმობილი კანონიერებაზე კონტროლს, რომელსაც იუსტიციის კანცლერი და საპარლამენტო ომბუდსმენი ახორციელებენ. მოსამართლის მიერ ბრალდების წაყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის კანცლერი ან საპარლამენტო ომბუდსმენი. ამას გარდა, ორივე უფლებამოსილია ჩაატაროს გამოძიება ან გასცეს განკარგულება სხვა საქმეებზე ბრალ-

დების წაყენების შესახებ, კანონიერებაზე ზედამხედველობის კომპეტენციის ფარგლებში. თუ პრეზიდენტის გადაწყვეტილება უკანონოა, სახელმწიფო საბჭო იუსტიციის კანცლერის დასკვნის მიღების შემდეგ ვალდებულია გამოაცხადოს, რომ გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს შესრულებული და პრეზიდენტს მოსთხოვოს მისი შეცვლა ან გაუქმება.

თუ იუსტიციის კანცლერი, საპარლამენტო ომბუდსმენი ან სახელმწიფო საბჭო მიიჩნევს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტს ბრალი მიუძღვის სამშობლოს ღალატში ან ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენაში, იგი ვალდებულია ამის თაობაზე შეატყობინოს პარლამენტს. თუ პარლამენტი ხმათა სამი მეოთხედით მიიღებს გადაწყვეტილებას იმპიჩმენტის უმაღლესი სასამართლოს წინაშე ბრალდების წაყენების შესახებ, გენერალური პროკურორი იწყებს იმპიჩმენტის უმაღლეს სასამართლოში რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას. პრეზიდენტი ამ პერიოდში ვალდებულია თავი შეიკავოს თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისგან. სხვა შემთხვევაში პრეზიდენტის ოფიციალური აქტების გამო მის მიმართ ბრალდების წაყენება დაუშვებელია.

სახელმწიფო საბჭოს წევრისთვის მისი საქმიანობის დროს კანონიერების დარღვევის გამო იმპიჩმენტის უმაღლესი სასამართლოს წინაშე ბრალდების წაყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი მინისტრის სამსახურებრივი საქმიანობის კანონიერების შესახებ საკონსტიტუციო კომიტეტის დასკვნის მიღების შემდეგ. გადაწყვეტილების მიღებამდე პარლამენტმა სახელმწიფო საბჭოს წევრს უნდა მისცეს განმარტების მიცემის უფლება. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს გენერალური პროკურორი.

სახელმწიფო საბჭოს წევრის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს, თუ მინისტრი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არსებითად უგულებელყოფს თავის მოვალეობებს ან უფლებამოსილებათა განხორციელებისას სხვაგვარად აშკარად უკანონოდ მოქმედებს.

იუსტიციის კანცლერისა და საპარლამენტო ომბუდსმენის ოფიციალური აქტის კანონიერების გამოძიება, მათ მიმართ ბრალდების წაყენება და ასეთი ბრალდების განხილვა ხორციელდება სახელმწიფო საბჭოს წევრისთვის დადგენილი პროცედურებით.

ძირითადი კანონი შეიცავს სპეციალურ თავს ალანდის კუნძულების ავტონომიის შესახებ, მაგრამ ამ საკითხის რეგლამენტაციას მიაკუთვნებს სპეციალურ კანონს და კანონს ამ კუნძულებზე მიწის შეძენის შესახებ. ალანდის კუნძულებს გააჩნია თვითმმართველობა, რაც ალანდის კუნძულების ავტონომიის შესახებ კანონით სპეციალურად არის გათვალისწინებული. ალანდის კუნძულები წარმოადგენს ავტონომიურ ერთეულს ფინეთის შემადგენლობაში, რომელსაც გააჩნია თავისი საკანონმდებლო ორგანო. კუნძულების ტერიტორია პოლიტიკურად ნეიტრალური და მთლიანად დემილიტარიზებულია, ხოლო მისი მოსახლეობა გათავისუფლებულია ფინეთის შეიარაღებულ ძალებში გაწვევისაგან. ფინეთის მთავრო-

ბას კუნძულებზე წარმოადგენს გუბერნატორი, რომელსაც ნიშნავს ფინეთის პრეზიდენტი ალანდის პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით. ალანდის კუნძულების ავტონომიური სტატუსი განისაზღვრა 1921 წელს ერთა ლიგის გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც განმტკიცდა იმ ხელშეკრულების ფარგლებში, რითაც ფინეთი ევროპული კავშირის წევრი გახდა.

ფინეთი დაყოფილია მუნიციპალიტეტებად, რომელთა მმართველობა მის მცხოვრებთა თვითმმართველობას უნდა ეფუძნებოდეს. ქვეყანაში მოქმედებს ადგილობრივი ადმინისტრაციული მოწყობის ორსაფეხურიანი სისტემა – პროვინციებისა და კომუნების სახით. ადმინისტრაციული მოწყობის რეფორმის ჩატარების შემდეგ ქვეყანა დაყოფილია 6 პროვინციად და 400-ზე მეტ კომუნად, მათ შორის 100-ზე მეტ საქალაქო კომუნად. ადგილებზე სახელმწიფო მმართველობისა და სასამართლო სისტემის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია აგრეთვე შუალედური რგოლები – თემები. თუმცა, კონსტიტუცია ადგილობრივ თვითმმართველობას ითვალისწინებს მხოლოდ კომუნების დონეზე. პროვინციებში შექმნილია მხოლოდ ცენტრის ინტერესების გამომხატველი ორგანოები, სადაც პრეზიდენტი ნიშნავს გუბერნატორებს. თემებში შექმნილი საპოლიციო ორგანოები უშუალოდ ექვემდებარება გუბერნატორს.

კონსტიტუციის განსაკუთრებული თავისებურებანი.

– ფინეთი შერეული მმართველობის მქონე ქვეყანაა, მას ახასიათებს როგორც საპარლამენტო, ასევე საპრეზიდენტო რესპუბლიკის ნიშნები, მაგრამ პრეზიდენტი ფაქტიურად სრულად არ იყენებს თავის ბერკეტებს და პრაქტიკაში გაზრდილია პარლამენტის როლი;

– ფინეთის კონსტიტუციაში ცვლილებები ჯერ არ არის შეტანილი. მისი შესწორების რთული მექანიზმია დადგენილი: იგი უნდა მიიღოს ორი მოწვევის პარლამენტმა;

– ქვეყნის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის გათვალისწინებით, ფინურთან ერთად სახელმწიფო ენას წარმოადგენს შვედურიც;

– პარლამენტის თავმჯდომარეს არ აქვს პლენარულ სხდომაზე დებატებსა და კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლება;

– პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე ფინეთის ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც არ იმყოფება მზრუნველობის ქვეშ. სხვა საარჩევნო ცენზს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს;

– რეფერენდუმის შედეგებს მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათი გააჩნია;

– საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, გარდა საპარლამენტო სუბიექტებისა, ასევე გააჩნია უზენაეს სასამართლოსა და უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოს;

– თავისებურებით ხასიათდება სასამართლო სისტემა, რომელსაც გარდა საერთო სასამართლოებისა, შეადგენენ სპეციალური საადაზღვევო, საბაზრო, შრომის, მიწის, საზღვაო იურისდიქციის სასასამართლოები;

— იმპიჩმენტის საქმეთა განსახილველად იქმნება სპეციალური სასამართლო ორგანო — იმპიჩმენტის უმაღლესი სასამართლო;

— მთავრობისა და პრეზიდენტის აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობის მიზნით შექმნილია იუსტიციის კანცლერის თანამდებობა;

— საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანო არ არსებობს და მას საკანონმდებლო პროცესის განმავლობაში ახორციელებს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისია.

ფინეთის (ფინეთის რესპუბლიკის) კონსტიტუცია[1]

მიღებულია 1999 წლის 11 ივნისს

თავი 1. ძირითადი დებულებები

მუხლი 1. სახელმწიფო წყობილება

ფინეთი არის სუვერენული რესპუბლიკა.

ფინეთის კონსტიტუცია დამტკიცებულია ამ კონსტიტუციური კანონით. კონსტიტუციამ უნდა უზრუნველყოს ადამიანური ღირსებისა და პიროვნების თავისუფლებისა და უფლებების ხელშეუხებლობა, აგრეთვე ხელი შეუწყოს კანონიერებას საზოგადოებაში.

ფინეთი საერთაშორისო თანამეგობრობაში მონაწილეობს მშვიდობისა და ადამიანის უფლებების დაცვის, აგრეთვე საზოგადოების განვითარების მიზნით.

მუხლი 2. დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო

ფინეთში სახელმწიფო ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს, რომელიც პარლამენტშია წარმოდგენილი. დემოკრატია მოიცავს პიროვნების უფლებას მონაწილეობა მიიღოს და ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებისა და თავისი საარსებო გარემოს განვითარებაზე.

სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს კანონს. სახელმწიფოს საქმიანობაში კანონი მკაცრად უნდა იქნეს დაცული.

მუხლი 3. პარლამენტარიზმი და ხელისუფლების დანაწილება

საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება პარლამენტის მიერ, რომელიც აგრეთვე იღებს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო ფინანსების თაობაზე.

აღმასრულებელი ხელისუფლება ხორციელდება რესპუბლიკის პრეზიდენტისა და სახელმწიფო საბჭოს მიერ, რომლის წევრები პარლამენტის ნდობით უნდა სარგებლობდნენ.

სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება დამოუკიდებელი სასამართლოების მიერ უზენაესი სასამართლოსა და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს უმაღლესი ინსტანციებით სათავეში.

მუხლი 4. ფინეთის ტერიტორია

ფინეთის ტერიტორია განუყოფელია. დაუშვებელია სახელმწიფო საზღვრების შეცვლა პარლამენტის თანხმობის გარეშე.

---

[1] თარგმანისას გამოყენებულია ფინეთის პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.finlex.fi/pdf/saadkaan/E9990731.PDF გამოქვეყნებული ფინეთის კონსტიტუციის ინგლისურენოვანი ტექსტი.

მუხლი 5. ფინეთის მოქალაქეობა

ბავშვი ფინეთის მოქალაქეობას იძენს დაბადებით და მშობლების მოქალაქეობის საფუძველზე, რაც უფრო დეტალურად განისაზღვრება კანონით. მოქალაქეობა ასევე მოიპოვება შეტყობინების ან განცხადების საფუძველზე, კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად.

არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ან უარი ეთქვას ფინეთის მოქალაქეობაზე, გარდა კანონით განსაზღვრული საფუძვლებით და მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი არის სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ან უნდა მიენიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

თავი 2. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 6. თანასწორობა

კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

არავის არ შეიძლება საფუძვლიანი მიზეზის გარეშე ეკავოს სხვებისგან განსხვავებული მდგომარეობა სქესის, ასაკის, წარმოშობის, ენის, რელიგიის, მრწამსის, შეხედულებების, ჯანმრთელობის, ქმედუნარიანობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, რომელიც პიროვნებას ეხება.

ბავშვებს უნდა მოეპყრონ, როგორც თანასწორ პიროვნებებს, რომელთაც უნდა ჰქონდეთ უფლება ზეგავლენა მოახდინონ იმ საკითხების გადაწყვეტაზე, რომელიც მათ ეხება, მათი განვითარების დონის შესაბამისად.

სქესებს შორის თანასწორობა საზოგადოებრივ საქმიანობაში ან შრომით ცხოვრებაში, განსაკუთრებით, რაც შრომის ანაზღაურებისა და დასაქმების სხვა პირობების განსაზღვრას შეეხება, უფრო დეტალურად არის უზრუნველყოფილი კანონით.

მუხლი 7. სიცოცხლის, პირადი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება

ყველას აქვს სიცოცხლის, პირადი თავისუფლების, ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების უფლება.

არავის მიმართ არ შეიძლება იქნეს გამოყენებული სიკვდილით დასჯა, წამება ან ადამიანური ღირსების შემლახავი სხვა რაიმე ზემოქმედება.

დაუშვებელია პირადი ხელშეუხებლობის დარღვევა და თავისუფლების აღკვეთა თვითნებურად ან კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე. თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული სასჯელი მხოლოდ სასამართლოს მიერ შეიძლება იქნეს შეფარდებული. თავისუფლების აღკვეთის სხვა შემთხვევების კანონიერების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში. თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებები დაცულია კანონით.

მუხლი 8. კანონიერების პრინციპი სისხლის სამართლში

არავინ არ შეიძლება ბრალეულად იქნეს ცნობილი დანაშაულის ჩადენაში ან შეეფარდოს სასჯელი იმ ქმედების გამო, რომელიც მისი ჩადენის დროს კანონის შესაბამისად დანაშაულად არ ითვლებოდა. დანაშაულის ჩადენისათვის შეფარდებული სასჯელი იმაზე მკაცრი არ უნდა იყოს, რაც კანონის თანახმად დაიშვებოდა დანაშაულის ჩადენის დროს.

მუხლი 9. გადაადგილების თავისუფლება

ფინეთის მოქალაქეებს, აგრეთვე ქვეყანაში კანონიერად მცხოვრებ უცხოელებს აქვთ ქვეყნის შიგნით თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება.

ყველას აქვს ქვეყნის დატოვების უფლება. ეს უფლება შეიძლება კანონით შეიზღუდოს, თუ ეს აუცილებელია სამართალწარმოების ან სასჯელის აღსრულების განსახორციელებლად ან სამშობლოს დაცვის მოვალეობის შესრულებისთვის.

დაუშვებელია ფინეთის მოქალაქეების ფინეთში შემოსვლის უფლების შეზღუდვა ან მათი გაძევება ან ექსტრადიცია სხვა სახელმწიფოში მათი ნების საწინააღმდეგოდ.

უცხოელის მიერ ფინეთში შემოსვლისა და ქვეყანაში დარჩენის უფლება მოწესრიგებულია კანონით. უცხოელი არ შეიძლება იქნეს სხვა ქვეყანაში გაძევებული, ექსტრადირებული ან დაბრუნებული, თუ მას სიკვდილით დასჯა, წამების ან ადამიანური ღირსების შემლახავი მოპყრობა ემუქრება.

მუხლი 10. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

თითოეულის პირადი ცხოვრების, პატივისა და საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა გარანტირებულია. პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად განისაზღვრება კანონით.

მიმოწერის, სატელეფონო საუბრების და სხვა კონფიდენციალური შეტყობინებების საიდუმლოება ხელშეუხებელია.

კანონით შეიძლება დადგინდეს ზომები, რომლებიც არღვევს საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობას, რაც ამასთან აუცილებელია ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად ან დანაშაულის გამოძიებისთვის. კანონი ადგენს აგრეთვე შეტყობინებების ხელშეუხებლობის ისეთ შეზღუდვებს, რაც აუცილებელია იმ დანაშაულის გამოსაძიებლად, რომელიც ხელყოფს პიროვნების ან საზოგადოების უსაფრთხოებას, საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობას, სამართალწარმოებისა და უსაფრთხოების ზომებს, ასევე, რაც აუცილებელია თავისუფლების აღკვეთის პერიოდში.

მუხლი 11. რელიგიისა და სინდისის თავისუფლება

ყველა სარგებლობს რელიგიისა და სინდისის თავისუფლებით.

რელიგიისა და სინდისის თავისუფლება მოიცავს რელიგიის აღმსარებლობისა და რიტუალების ჩატარების, საკუთარი მრწამსის გამოხატვის, რელიგიური თემისადმი მიკუთვნების ან ასეთ მიკუთვნებაზე უარის თქმის გამოცხადების უფლებას. არავინ არ შეიძლება იქნეს იძულებული მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ რიტუალებში საკუთარი მრწამსის საწინააღმდეგოდ.

მუხლი 12. გამოხატვისა და ინფორმაციის მიღების თავისუფლება

ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ინფორმაციის, შეხედულებებისა და სხვა შეტყობინებების შეუზღუდავად გამოხატვის, გავრცელებისა და მიღების უფლებას.

გამოხატვის თავისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებული დეტალური საკითხები განისაზღვრება კანონით. კანონი ადგენს ისეთი გამოსახულებითი პროგრამების შეზღუდვის შემთხვევებს, რაც აუცილებელია ბავშვების დასაცავად.

სახელმწიფო ორგანოებში არსებული დოკუმენტები და ჩანაწერები საჯაროა, თუ მათი გამოქვეყნება აუცილებელი მიზეზებით სპეციალურად კანონით არ არის შეზღუდული. ყველას აქვს საჯარო დოკუმენტებისა და ჩანაწერების მიღების უფლება.

მუხლი 13. შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

ყველა სარგებლობს ნებართვის გარეშე შეკრებისა და მანიფესტაციის მოწყობის და მასში მონაწილეობის თავისუფლებით.

ყველას აქვს გაერთიანების თავისუფლება. გაერთიანების თავისუფლება მოიცავს ნებართვის გარეშე გაერთიანების შექმნისა და მის წევრად ყოფნის ან მის საქმიანობაში მონაწილეობის, აგრეთვე პროფესიული გაერთიანებებისა და სხვა ინტერესების დასაცავად გაერთიანების უფლებას.

გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებული დეტალური საკითხები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 14. საარჩევნო უფლება

ფინეთის 18 წელს მიღწეულ ყველა მოქალაქეს აქვს ეროვნულ არჩევნებში და რეფერენდუმში ხმის მიცემის უფლება. სახელმწიფო ორგანოებში არჩევის შესახებ სპეციალური დებულებები განისაზღვრება ამ კონსტიტუციით.

18 წელს მიღწეულ ფინეთის ყველა მოქალაქესა და ფინეთში მუდმივად მცხოვრებ ყველა უცხოელს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად აქვს ადგილობრივ არჩევნებში და რეფერენდუმში ხმის მიცემის უფლება. კანონი განსაზღვრავს ადგილობრივ მმართველობაში სხვა ფორმებით მონაწილეობის უფლებას.

სახელმწიფო ორგანოები ყველასთვის უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის შესაძლებლობასა და იმ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის უფლებას, რაც თითოეულს ეხება.

მუხლი 15. საკუთრების დაცვა

ყველას საკუთრება დაცულია.

საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, სრული ანაზღაურებით, საკუთრების ჩამორთმევასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება კანონით.

მუხლი 16. განათლების უფლება

ყველას აქვს უფასო დაწყებითი განათლების მიღების უფლება. საავალდებულო განათლების მიღებასთან დაკავშირებული საკითხები დგინდება კანონით.

სახელმწიფო ორგანოებმა, კანონით დადგენილი წესით, ყველასთვის უნდა უზრუნველყონ ნიჭისა და განსაზღვრული მოთხოვნილებების შესაბამისად განათლების, აგრეთვე თვითგანათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობები.

მეცნიერების, ხელოვნებისა და უმაღლესი განათლების თავისუფლება გარანტირებულია.

მუხლი 17. საკუთარი ენისა და კულტურის უფლება

ფინეთის სახელმწიფო ენებია ფინური და შვედური.

ყველასთვის გარანტირებულია საკუთარი ენის — ფინურის ან შვედურის სასამართლოში და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან გამოყენების, ასევე ამ ენაზე ოფიციალური დოკუმენტების მიღების უფლება. სახელმწიფო ორგანოებმა თანასწორი პრინციპების საფუძველზე უნდა უზრუნველყონ ფინურ და შვედურ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის კულტურული და საზოგადოებრივი მოთხოვნილებები.

საამებს, როგორც ქვეყნის ძირძველ მცხოვრებლებს, ასევე ბოშებსა და სხვა ჯგუფებს აქვთ თავიანთი ენისა და კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების უფლება. საამების მიერ თავიანთი ენის სახელმწიფო ორგანოებთან გამოყენების უფლება მოწესრიგებულია კანონით. კანონით გარანტირებულია იმ პირთა უფლებები, რომლებიც ჟესტების ენით, აგრეთვე შრომისუუნარობის გამო სპეციალისტის ან თარჯიმნის დახმარებით სარგებლობენ.

მუხლი 18. შრომისა და სამეწარმეო საქმიანობის უფლება

ყველას აქვს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დაქირავების, ხელობის ან მეწარმეობის გზით საკუთარი შემოსავლის მიღების უფლება, რომელთაც იგი თავისუფლად ირჩევს. სახელმწიფო ორგანოები პასუხისმგებელნი არიან იძულებითი შრომისაგან დაცვაზე.

სახელმწიფო ორგანოებმა ყველას უნდა შეუწყონ ხელი შრომის უფლების უზრუნველყოფის გზით დასაქმებასა და მუშაობაში. დებულებები სამუშაოზე მოწყობის მიზნით სწავლების უფლების შესახებ დგინდება კანონით.

არავინ არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან კანონიერი საფუძველის გარეშე.

მუხლი 19. სოციალური უზრუნველყოფის უფლება

ყველას, ვისაც არ ძალუძს ადამიანის ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი საშუალებების მოპოვება, აქვს სავალდებულო სოციალური უზრუნველყოფისა და ზრუნვის უფლება.

კანონი ყველასთვის უზრუნველყოფს ძირითადი საარსებო საშუალებების მიღების უფლებას უმუშევრობის, ავადმყოფობის, შრომისუუნარობისა და ასაკის გამო, აგრეთვე ბავშვის დაბადების ან მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში.

სახელმწიფო ორგანოებმა კანონით დადგენილი წესით ყველასთვის უნდა უზრუნველყონ შესაბამისი სოციალური და სამედიცინო მომსახურება, აგრეთვე ხელი შეუწყონ მოსახლეობის ჯანმრთელობას. სახელმწიფო ორგანოებმა აგრეთვე ხელი უნდა შეუწყონ ოჯახსა და სხვა პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ბავშვის რჩენისათვის, რომ მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ უზრუნველყონ ბავშვის კეთილდღეობა და პერსონალური განვითარება.

სახელმწიფო ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ყველას საბინაო უფლებასა და მისი რეალიზების შესაძლებლობას.

მუხლი 20. პასუხისმგებლობა გარემოს დაცვაზე

ყველა პასუხისმგებელია ბუნებისა და მისი მრავალფეროვნების, აგრეთვე გარემოსა და ეროვნული მემკვიდრეობის დაცვაზე.

სახელმწიფო ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ყველასთვის ჯანსაღი გარემოს დაცვას და იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მოხდენას, რაც თითოეული პირის საცხოვრებელ გარემოს ეხება.

მუხლი 21. სასამართლო დაცვა

ყველას აქვს თავისი საქმის შესაბამისი სასამართლოს ან სახელმწიფო ორგანოს მიერ დაუსაბუთებელი დაყოვნების გარეშე განხილვის, ასევე სასამართლოში ან მართლმსაჯულების განმახორციელებელ სხვა დამოუკიდებელ ორგანოში იმ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, რომელიც მის უფლება-მოვალეობებს ეხება.

განხილვის საჯაროობის, მოსმენის, მოტივირებული გადაწყვეტილების მიღებისა და გასაჩივრების უფლებები, აგრეთვე სამართლიანი სასამართლოს და კარგი მმართველობის სხვა გარანტიები დგინდება კანონით.

მუხლი 22. ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა

სახელმწიფო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

მუხლი 23. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები საგანგებო მდგომარეობის პირობებში

კანონით შეიძლება დაწესდეს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ისეთი შეზღუდვები, რაც დასაშვებია ფინეთის მიერ ადამიანის უფლებათა სფე-

როში აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად და რაც აუცილებელია ფინეთზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ან როდესაც ეს დაკავშირებულია ისეთ საგანგებო გარემოებებთან, რაც ერს საფრთხეს უქმნის და კანონის შესაბამისად სიმძიმით უტოლდება შეიარაღებულ თავდასხმას.

თავი 3. პარლამენტი და პარლამენტის წევრები

მუხლი 24. პარლამენტის შემადგენლობა და უფლებამოსილების ვადა

პარლამენტი შედგება ერთი პალატისგან. მის შემადგენლობაში შედის ოთხი წლის ვადით არჩეული 200 წევრი.

უფლებამოსილების ვადა იწყება პარლამენტში არჩევნების შედეგების შეჯამების შემდეგ და გრძელდება შემდეგი არჩევნების ჩატარებამდე.

მუხლი 25. პარლამენტის არჩევნები

პარლამენტის წევრები აირჩევიან პირდაპირი და პროპორციული წესით ფარული კენჭისყრით. საარჩევნო ხმის უფლების მქონე ყველა მოქალაქე არჩევნებში თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობს.

პარლამენტის არჩევნებისათვის ქვეყანა, მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად, იყოფა არანაკლებ 12 და არა უმეტეს 18 საარჩევნო ოლქად იმგვარად, რომ თითოეული საარჩევნო ოლქიდან არჩეულ იქნეს არანაკლებ შვიდი პარლამენტის წევრი. ალანდის კუნძულები ქმნიან ერთ საარჩევნო ოლქს პარლამენტის ერთი წევრის ასარჩევად.

კანონის შესაბამისად, პარლამენტის არჩევნებში კანდიდატის წარდგენის უფლებით სარგებლობენ რეგისტრირებული პარტიები და საარჩევნო ხმის უფლების მქონე პირთა ჯგუფები.

პარლამენტის არჩევნების დრო, კანდიდატთა წარდგენისა და არჩევნების ჩატარების წესი და საარჩევნო ოლქები დგინდება კანონით.

მუხლი 26. პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები

პარლამენტის მოწვევის პერიოდში პრემიერ-მინისტრის დასაბუთებული წარდგინებისა და პარტიული ფრაქციების მოსმენის შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები. რიგგარეშე არჩევნების ჩატარებამდე პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას თავისი მუშაობის ვადის დასრულების შესახებ.

რიგგარეშე არჩევნების ჩატარების შემდეგ პარლამენტი იკრიბება არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 90 დღის მომდევნო თვის პირველ რიცხვში, თუ პარლამენტს შეკრების უფრო ადრინდელი თარიღი არ აქვს დადგენილი.

მუხლი 27. მოთხოვნები პარლამენტის წევრობის კანდიდატის მიმართ

პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო ხმის უფლების მქონე ნებისმიერი პირი, რომელიც არ იმყოფება მზრუნველობის ქვეშ.

პარლამენტის წევრი არ შეიძლება იყოს სამხედრო სამსახურში მყოფი პირი.

სახელმწიფო საბჭოში იუსტიციის კანცლერი, საპარლამენტო ომბუდსმენი, უზენაესი სასამართლოსა და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს წევრი, აგრეთვე გენერალური პროკურორი არ შეიძლება იყვნენ პარლამენტის წევრები. თუ პარლამენტის წევრი რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩევა ან სხვა ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე აირჩევა ან დაინიშნება, მისი სადეპუტატო უფლებამოსილება წყდება დანიშვნის ან არჩევის დღეს. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება უწყდება ასევე, თუ დაკარგავს პასიურ საარჩევნო უფლებას.

მუხლი 28. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეჩერება, შეწყვეტა ან მისი გათავისუფლება

პარლამენტის წევრის უფლებამოსილება ჩერდება, როდესაც იგი ევროპარლამენტის წევრი ხდება. ამ შემთხვევაში მის ნაცვლად დეპუტატის უფლებამოსილებას ასრულებს მისი მოადგილე. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუჩერდება აგრეთვე სამხედრო ვალდებულების შესრულების დროს.

პარლამენტის წევრის სურვილით, პატივსადები მიზეზების არსებობისას, პარლამენტს შეუძლია თანხმობა მისცეს მისი სადეპუტატო უფლებამოსილებიდან გათავისუფლების შესახებ.

თუ პარლამენტის წევრი არსებითად და მუდმივად უგულებელყოფს თავის მოვალეობებს, პარლამენტი უფლებამოსილია ხმათა არანაკლებ ორი მესამედით საკონსტიტუციო კომიტეტის დასკვნის მიღების შემდეგს, მას უფლებამოსილება შეუწყვიტოს სამუდამოდ ან გარკვეული ვადით.

თუ პარლამენტის წევრს ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე დანაშაულის ჩადენისათვის შეეფარდება თავისუფლების აღკვეთა ან საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის — სასჯელი, პარლამენტი უფლებამოსილია დასვას მისი უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი. თუ სამართალდარღვევა ცხადყოფს, რომ ბრალდებულის ქმედება არ შეესაბამება პარლამენტის წევრის სტატუსისათვის აუცილებელ ნდობასა და პატივისცემას, პარლამენტი უფლებამოსილია, საკონსტიტუციო კომიტეტის დასკვნის შემდეგ ხმების არანაკლებ ორი მესამედით მიიღოს გადაწყვეტილება პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 29. პარლამენტის წევრის დამოუკიდებლობა

პარლამენტის წევრი ვალდებულია თავის უფლებამოსილებას ახორციელებდეს სამართლიანად და კანონიერად. იგი შებოჭილია მხოლოდ კონსტიტუციით.

მუხლი 30. პარლამენტის წევრის იმუნიტეტი

დაუშვებელია პარლამენტის წევრისთვის დაბრკოლებების შექმნა მისი სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისას.

უფლებამოსილების განხორციელებისას პარლამენტის წევრს არ შეიძლება წაეყენოს ბრალდება ან აღეკვეთოს თავისუფლება დეპუტატად ყოფნის პერიოდში პარლამენტში საკუთარი აზრის გამოთქმისათვის ან სხვა საქმის განხილვის დროს, თუ პარლამენტი ამაზე თანხმობას არ მისცემს ხმათა ხუთი მეექვსედით.

პარლამენტის წევრის დაპატიმრების ან დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტის თავმჯდომარეს. პარლამენტის წევრი, პარლამენტის თანხმობის გარეშე არ შეიძლება იქნეს დაპატიმრებული ან დაკავებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებითი საფუძვლებით ბრალდებულად მიჩნეულია ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც თავისუფლების აღკვეთის სახით გათვალისწინებული სასჯელი წარმოადგენს არანაკლებ ექვს თვეს.

მუხლი 31. პარლამენტის წევრის აზრის გამოთქმისა და გამოხატვის უფლება

პარლამენტის წევრს უფლება აქვს თავისუფლად გამოხატოს აზრი პარლამენტში განსახილველი თითოეული საკითხის თაობაზე, აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვაში.

პარლამენტის წევრი ზრდილობიანად და ღირსეულად უნდა იქცეოდეს და სხვებს არ უნდა შეურაცხყოფდეს. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, პარლამენტის თავმჯდომარეს უფლება აქვს შენიშვნა მისცეს მას ან აუკრძალოს გამოსვლის გაგრძელება. პარლამენტის წევრი, რომელიც განმეორებით დაარღვევს წესრიგს, შეიძლება პარლამენტმა გააფრთხილოს ან ჩამოაცილოს საპარლამენტო სხდომებს არა უმეტეს ორი კვირის ვადით.

მუხლი 32. ინტერესთა კონფლიქტი

პარლამენტის წევრი ჩამოცილდება საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებას, თუ მას იგი პირადად ეხება. ამასთან, იგი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს პლენარულ სხდომებზე დებატებში. პარლამენტის წევრი არ შეიძლება მონაწილეობდეს კომისიის სხდომაზე იმ საქმის განხილვაში, რომელიც მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შემოწმებას ეხება.

თავი 4. პარლამენტის საქმიანობა

მუხლი 33. პარლამენტის სხდომები

პარლამენტი სესიაზე მოიწვევა ყოველ წელს პარლამენტის მიერ დადგენილ დროს. ამის შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტი პარლამენტის სესიას გახსნილად აცხადებს.

პარლამენტის სესია გრძელდება, სანამ პარლამენტი მომდევნო სესიაზე არ შეიკრიბება. პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე უკანასკნელი სესია გრძელდება, სანამ პარლამენტი გადაწყვეტილებას არ მიიღებს თავისი საქმეების დასრულების თაობაზე. ამის შემდეგ პრეზიდენტი აღნიშნული მოწვევის პარლამენტის საქმიანობას დასრულებულად აცხადებს. აუცილებლობის შემთხვევაში, პარლამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია ახალი არჩევნების ჩატარებამდე პარლამენტი ხელახლა მოიწვიოს.

მუხლი 34. პარლამენტის თავმჯდომარე და თავმჯდომარესთან არსებული საბჭო

ყოველ სესიაზე პარლამენტი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის ორ მოადგილეს.

თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები ფარული კენჭისყრით აირჩევიან. არჩეულად ითვლება პარლამენტის ის წევრი, რომელიც ხმების ნახევარზე მეტს მიიღებს. ორი კენჭისყრის შედეგად ხმების საჭირო რაოდენობის მიუღებლობის შემთხვევაში, არჩეულად ითვლება ის დეპუტატი, რომელიც მესამე კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობას მიიღებს.

პარლამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეები ქმნიან პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებულ საბჭოს. პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული საბჭო ამ კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად გამოსცემს ინსტრუქციებს პარლამენტის საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებით და განსაზღვრავს პარლამენტში საქმის განხილვის წესს. თავმჯდომარესთან არსებულ საბჭოს გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება იმ კანონპროექტებთან მიმართებაში, რომლებიც პარლამენტის მოსამსახურეებსა და პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანას ეხება. საბჭო აგრეთვე წარადგენს კანონპროექტებს დეპუტატთა საქმიანობის სხვა მიმართულებებზე.

მუხლი 35. საპარლამენტო კომიტეტები

პარლამენტი საკუთარი უფლებამოსილების ვადით ირჩევს შემდეგ კომიტეტებს: დიდ კომიტეტს, საკონსტიტუციო კომიტეტს, საგარეო საქმეთა კომიტეტს, საფინანსო კომიტეტს და პარლამენტის რეგლამენტში მითითებულ სხვა მუდმივ კომიტეტებს. პარლამენტი უფლებამოსილია შექმნას დროებითი კომიტეტები გარკვეულ საქმეთა მოსამზადებლად ან გამოსაძიებლად.

დიდი კომიტეტი შედგება 25 წევრისგან. საკონსტიტუციო, საგარეო საქმეთა და საფინანსო კომიტეტები შედგება არანაკლებ 17-17 წევრისგან. სხვა მუდმივი კომიტეტები შედგება არანაკლებ 11-11 წევრისგან. თითოეულ კომიტეტს ჰყავს ალტერნატიული წევრების შესაბამისი რაოდენობა.

კომიტეტი უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს წევრთა არანაკლებ ორი მესამედის დასწრებისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოცემული საქმისთვის უფრო მაღალი ქვორუმია აუცილებელი.

მუხლი 36. პარლამენტის მიერ არჩეული სხვა ორგანოები და წარმომადგენლობები

სოციალური დაზღვევის ფონდის მართვისა და საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტი ირჩევს რწმუნებულებს, რაც კანონით უფრო დეტალურად არის მოწესრიგებული.

ამ კონსტიტუციის, კანონის ან პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად პარლამენტი ირჩევს სხვა აუცილებელ ორგანოებს.

საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დაფუძნებულ ორგანოში ან სხვა საერთაშორისო ორგანოში პარლამენტის წარმომადგენლები აირჩევიან კანონის ან პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად.

მუხლი 37. პარლამენტის ორგანოების არჩევა

საპარლამენტო კომიტეტები და სხვა საპარლამენტო ორგანოები პირველ სესიაზე აირჩევიან პარლამენტის უფლებამოსილების ვადით, თუ ამ კონსტიტუციით, პარლამენტის რეგლამენტით ან შესაბამისი ორგანოსათვის პარლამენტის სპეციალური საპროცედურო წესებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თავმჯდომარესთან არსებული საბჭოს წინადადებით პარლამენტი თავისი უფლებამოსილების პერიოდში შეიძლება დაეთანხმოს კომიტეტის ან სხვა ორგანოს ხელახლა არჩევას.

კომიტეტებისა და სხვა ორგანოების წევრები პარლამენტის მიერ აირჩევიან. თუ პარლამენტი არჩევნების დროს ერთსულოვნებას ვერ მიაღწევს, კომიტეტებისა და სხვა ორგანოების წევრები პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე აირჩევიან.

მუხლი 38. საპარლამენტო ომბუდსმენი

პარლამენტი ოთხი წლის ვადით ნიშნავს საპარლამენტო ომბუდსმენს და მის ორ მოადგილეს, რომელთაც სამართლის გამორჩეული ცოდნა უნდა ქონდეთ. საპარლამენტო ომბუდსმენის მოადგილეების მიმართ შესაბამისად გამოიყენება საპარლამენტო ომბუდსმენისათვის გათვალისწინებული დებულებები.

საკონსტიტუციო კომიტეტის დასკვნის მიღების შემდეგ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიზეზის არსებობისას, პარლამენტი უფლებამოსილია ხმათა არანაკლებ ორი მესამედით ომბუდსმენი თანამდებობიდან გაათავისუფლოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

მუხლი. 39. პარლამენტში საკითხთა შეტანის წესი

პარლამენტში საკითხები განსახილველად შეიტანება სახელმწიფო საბჭოს წინადადების ან პარლამენტის წევრის შუამდგომლობის გზით ან ამ კონსტიტუციით ან პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი სხვა ფორმით.

პარლამენტის წევრი უფლებამოსილია შეიტანოს:

1) საკანონმდებლო წინადადება, რომელიც შეიცავს კანონპროექტს;

2) საბიუჯეტო წინადადება, რომელიც შეიცავს ბიუჯეტში ან დამატებით ბიუჯეტში ასიგნების შეტანას ან ბიუჯეტთან დაკავშირებულ სხვა გადაწყვეტილებას;

3) პეტიციური წინადადება, რომელიც ითვალისწინებს კანონპროექტის მომზადების წინადადებას ან სხვა ზომების მიღებას.

მუხლი 40. საქმეთა მომზადება

სახელმწიფო საბჭოს წინადადებები, პარლამენტის წევრის შუამდგომლობები, პარლამენტისათვის განკუთვნილი ანგარიშები და ამ კონსტიტუციით ან პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა საქმეები პლენარულ სხდომაზე საბოლოო განხილვამდე წინასწარ უნდა იქნეს მომზადებული საპარლამენტო კომიტეტებში.

მუხლი 41. პლენარულ სხდომაზე საქმეთა განხილვა

საკანონმდებლო და პარლამენტის რეგლამენტთან დაკავშირებული წინადადება პლენარულ სხდომაზე გაიელის ორ მოსმენას. გადადებული საკანონმდებლო წინადადება ან დაუმტკიცებელი კანონი პლენალურ სხდომაზე ერთ მოსმენას გაიელის. სხვა საკითხები პლენარულ სხდომაზე ერთი მოსმენით განიხილება.

პლენარულ სდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, თუ ამ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ხმათა გაყოფის შემთხვევაში საკითხი წყდება წილისყრით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაწყვეტილების მისაღებად ხმების კვალიფიციური უმრავლესობაა აუცილებელი. ხმის მიცემასთან დაკავშირებული საკითხები უფრო დეტალურად განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

მუხლი 42. პლენარულ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობები

თავმჯდომარე იწვევს პლენარულ სხდომას, შეაქვს საკითხები დღის წესრიგში, ზედამხედველობს დებატებს და თვალყურს ადევნებს პლენარულ სხდომაზე საქმის განხილვისას ამ კონსტიტუციის დაცვას.

თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი უარი თქვას საქმის დღის წესრიგში შეტანაზე ან წინადადების კენჭისყრაზე დაყენებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს ამ კონსტიტუციასთან, სხვა კანონთან ან პარლამენტის ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებთან შეუსაბამობას. ამ შემთხვევაში თავმჯდომარემ უნდა განმარტოს უარის თქმის მიზეზები. თუ პარლამენტი თავმჯდომარის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, საქმე საკონსტიტუციო კომიტეტს გადაეცემა, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა დაადგინოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების სისწორე.

თავმჯდომარე არ მონაწილეობს პლენარულ სხდომაზე დებატებსა და კენჭისყრაში.

მუხლი 43. ინტერპელაცია

პარლამენტის არანაკლებ ოც წევრს უფლება აქვს სახელმწიფო საბჭოს ან მინისტრს ინტერპელაციით მიმართოს სახელმწიფო საბჭოს ან მინისტრის კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეზე. ინტერპელაციაზე პასუხი უნდა გაიცეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სახელმწიფო საბჭოსადმი ინტერპელაციით მიმართვიდან 15 დღის განმავლობაში.

ინტერპელაციის განხილვის დასასრულს ნდობის საკითხს კენჭი ეყრება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო საბჭოს ან მინისტრისადმი უნდობლობის საკითხი დებატების დროს იყო წაყენებული.

მუხლი 44. სახელმწიფო საბჭოს მოხსენებები და ანგარიშები

სახელმწიფო საბჭო უფლებამოსილია პარლამენტში განსახილველად შეიტანოს მოხსენება ან ანგარიში ისეთ საკითხზე, რომელიც სახელმწიფო მმართველობას ან საერთაშორისო ურთიერთობებს ეხება.

მოხსენების განხილვის დასასრულს ნდობის საკითხს კენჭი ეყრება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო საბჭოს ან მინისტრისადმი უნდობლობის საკითხი დებატების დროს იყო წაყენებული. ანგარიშის განხილვისას სახელმწიფო საბჭოს ან მინისტრისადმი უნდობლობის გამოცხადების საკითხის დაყენება დაუშვებელია.

მუხლი 45. შეკითხვები, განცხადებები და დებატები

პარლამენტის წევრი უფლებამოსილია მინისტრს შეკითხვით მიმართოს მის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე. შეკითხვით მიმართვისა და მასზე პასუხის გაცემის უფრო დეტალური პროცედურები განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

პრემიერ-მინისტრი ან პრემიერ-მინისტრის დავალებით მინისტრი უფლებამოსილია პარლამენტის წინაშე განცხადება გააკეთოს ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხზე.

ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხზე დებატები შეიძლება ჩატარდეს პლენარულ სხდომაზე პარლამენტის რეგლამენტის უფრო დეტალური პროცედურების შესაბამისად.

პარლამენტი არ იღებს გადაწყვეტილებებს ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე. ასეთი კატეგორიის საქმეთა განხილვისას შეიძლება დაშვებულ იქნეს გამონაკლისი ამ კონსტიტუციის 31-ე მუხლით დადგენილი აზრის გამოხატვის უფლების მიმართ.

მუხლი 46. ანგარიშები პარლამენტის წინაშე

სახელმწიფო საბჭო ვალდებულია პარლამენტს ყოველწლიურად წარუდგინოს ანგარიში თავისი საქმიანობისა და პარლამენტის გადაწყვეტილებების აღსასრულებლად გატარებული ზომების შესახებ, აგრეთვე ანგარიში სახელმწიფო ფინანსებისა და ბიუჯეტის შესრულების თაობაზე.

სხვა ანგარიშები პარლამენტს წარედგინება ამ კონსტიტუციის, კანონის ან პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად.

მუხლი 47. პარლამენტის მიერ ინფორმაციის მიღების უფლება

პარლამენტი უფლებამოსილია სახელმწიფო საბჭოსგან მიიღოს მის მიერ საქმის განსახილველად აუცილებელი ინფორმაცია. მინისტრი, ვის გამგებლობასაც განეკუთვნება აღნიშნული საქმე, ვალდებულია კომიტეტებში ან პარლამენტის სხვა ორგანოში დაუყოვნებლივ წარადგინოს სახელმწიფო ორგანოების ხელთ არსებული საჭირო დოკუმენტაცია და სხვა ინფორმაცია. კომიტეტი უფლებამოსილია სახელმწიფო საბჭოს ან შესაბამისი სამინისტროსგან მიიღოს ინფორმაცია მის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კომიტეტი უფლებამოსილია სახელმწიფო საბჭოს ან სამინისტროს მიმართოს მოხსენებით.

თავისი მოვალეობების შესრულების მიზნით პარლამენტის წევრი უფლებამოსილია მიიღოს სახელმწიფო ორგანოებში არსებული ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს საიდუმლოს და არ ეხება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს მისი მომზადების სტადიაზე.

პარლამენტის წევრის მიერ საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების უფლება განისაზღვრება ამ კონსტიტუციით გათვალისწინებული დებულებებით.

მუხლი 48. პარლამენტის სხდომაზე მინისტრების, საპარლამენტო ომბუდსმენისა და იუსტიციის კანცლერის დასწრების უფლება

მინისტრი უფლებამოსილია დაესწროს პარლამენტის პლენარულ სხდომას და მონაწილეობა მიიღოს მასში, მაშინაც, როდესაც არ არის პარლამენტის წევრი. მინისტრი არ შეიძლება იყოს პარლამენტის კომიტეტის წევრი. მინისტრი, რომელიც ამ კონსტიტუციის 59-ე მუხლის შესაბამისად რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობებს ასრულებს, არ არის უფლებამოსილი მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის მუშაობაში. საპარლამენტო ომბუდსმენი და სახელმწიფო საბჭოს იუსტიციის კანცლერი უფლებამოსილნი არიან დაესწრონ პარლამენტის პლენარულ სხდომას და დებატებში მონაწილეობა მიიღონ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მათ მიერ ინიცირებული მოხსენებისა და სხვა საქმეების განხილვას.

მუხლი 49. საქმის განხილვის გაგრძელება

ერთ სესიაზე დაუმთავრებელი საქმის განხილვა გრძელდება მომდევნო სესიაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პარლამენტის არჩევნები ტარდება სესიებს შორის პერიოდში.

ინტერპელაციებისა და სახელმწიფო საბჭოს მოხსენებების მომდევნო სესიაზე განხილვის გაგრძელება არ ხდება. სახელმწიფო საბჭოს ანგარიშის მომდევნო სესიაზე განხილვის გაგრძელება ხდება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით.

პარლამენტში შეტანილი საერთაშორისო საქმეების განხილვა, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გაგრძელდეს მომდევნო სესიაზეც, რომელიც ჩატარდება პარლამენტის არჩევნების შემდეგ.

მუხლი 50. პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობა

პარლამენტის პლენარული სხდომები ღიაა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პარლამენტი მოცემულ საქმეზე მნიშვნელოვანი მიზეზით სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. პარლამენტი თავის ოქმებს აქვეყნებს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით.

კომიტეტის სხდომები ღია არ არის. კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ღია სხდომის ჩატარების შესახებ, როდესაც საქმის განხილვის მოსამზადებლად ინფორმაციას აგროვებს. კომიტეტის სხდომის ოქმები და სხვა დოკუმენტაცია საჯაროა, თუ კომიტეტი აუცილებელი მიზეზის გამო მოცემულ საქმეზე სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

კომიტეტის წევრებმა საიდუმლოდ უნდა შეინახონ კომიტეტის მიერ საჭიროდ მიჩნეული ცნობები. ფინეთის საერთაშორისო ურთიერთობების და ევროკავშირთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას კომიტეტის წევრებმა საიდუმლოდ უნდა შეინახონ საგარეო საქმეთა კომიტეტის ან დიდი კომიტეტის მიერ საჭიროდ მიჩნეული ცნობები სახელმწიფო საბჭოს აზრის მოსმენის შემდეგ.

მუხლი 51. პარლამენტის სამუშაო ენები

პარლამენტის სამუშაო ენებია ფინური ან შვედური.

განსახილველი საქმეებისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია, სახელმწიფო საბჭოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ პარლამენტს გადაეცემა ფინურ და შვედურ ენებზე. პარლამენტის პასუხები და შეტყობინებები, კომიტეტების ანგარიშები და მოხსენებები, აგრეთვე პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული საბჭოს წერილობითი წინადადებები იწერება ფინურ და შვედურ ენებზე.

მუხლი 52. პარლამენტის რეგლამენტი, სხვა ინსტრუქციები და საპროცედურო წესები

პარლამენტის საპროცედურო საკითხები, მისი ორგანოებისა და პარლამენტის მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით. პარლამენტის რეგლამენტი პლენარულ სხდომაზე მიიღება საკანონმდებლო წინადადებების განხილვისთვის დადგენილი წესით და უნდა გამოქვეყნდეს „ფინეთის კანონთა წიგნში".

პარლამენტი უფლებამოსილია გამოსცეს ინსტრუქციები პარლამენტის შიდა მართვის, პარლამენტის მიერ არჩევნების ჩატარების და პარლამენტის მუშაობის უფრო დეტალური მოწესრიგებისათვის. პარლამენტი უფლებამოსილია მის მიერ დანიშნული ორგანოებისათვის გამოსცეს საპროცედურო წესები.

მუხლი 53. რეფერენდუმი

გადაწყვეტილება საკონსულტაციო რეფერენდუმის ჩატარების შესახებ მიიღება კანონის შესაბამისად, რომელიც უნდა შეიცავდეს დებულებებს რეფერენდუმის ჩატარების ვადისა და რეფერენდუმის მონაწილეთათვის შეთავაზებული საკითხების თაობაზე.

დებულებები რეფერენდუმის ჩატარების წესის შესახებ განისაზღვრება კანონით.

თავი 5. რესპუბლიკის პრეზიდენტი და სახელმწიფო საბჭო

მუხლი 54. რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები

რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი წესით ექვსი წლის ვადით. პრეზიდენტი უნდა იყოს დაბადებით ფინეთის მოქალაქე. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება ზედიზედ არჩეულ იქნეს მხოლოდ ორჯერ.

პრეზიდენტად არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა ნახევარზე მეტს მიიღებს. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა ნახევარზე მეტს, საუკეთესო მაჩვენებლის მქონე ორ კანდიდატს შორის ტარდება ხელახალი არჩევნები. პრეზიდენტად ის კანდიდატი აირჩევა, რომელიც ხელახალ არჩევნებზე ხმათა უმრავლესობას მიიღებს. თუ არჩევნებზე ერთი კანდიდატია წარდგენილი, იგი პრეზიდენტად არჩეულად ითვლება არჩევნების გარეშე.

პრეზიდენტის არჩევნებში კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც პარლამენტის წინა არჩევნებში მოპოვებული ჰქონდა არანაკლებ ერთი მანდატისა, აგრეთვე ხმის მიცემის უფლების მქონე ოცი ათას ამომრჩეველს. პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების დრო და წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 55. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა

რესპუბლიკის პრეზიდენტი თავისი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგება არჩევნების ჩატარების თვის მომდევნო კალენდარული თვის პირველ დღეს.

პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა იწურება ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დაწყების დღიდან.

პრეზიდენტის გარდაცვალების შემთხვევაში ან თუ სახელმწიფო საბჭო დაადასტურებს, რომ პრეზიდენტის მიერ თავის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად წარმოიშვა მნიშვნელოვანი დაბრკოლებები, ახალი პრეზიდენტი შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში უნდა იქნეს არჩეული.

მუხლი 56. პრეზიდენტის საზეიმო ფიცი

პრეზიდენტი თანამდებობის დაკავების წინ ვალდებულია პარლამენტის წინაშე დადოს შემდეგი შინაარსის საზეიმო ფიცი:

„მე, ამირჩია რა ფინეთის ხალხმა რესპუბლიკის პრეზიდენტად, ვაცხადებ, რომ პრეზიდენტის მოვალეობათა შესრულებისას პატიოსნად და განუხრელად დავიცავ რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს, ყველა ღონეს ვიხმარ ფინეთის ხალხის კეთილდღეობისათვის".

მუხლი. 57. პრეზიდენტის მოვალეობები

ფინეთის პრეზიდენტი ასრულებს ამ კონსტიტუციით ან სხვა სპეციალური კანონით განსაზღვრულ მოვალეობებს.

მუხლი 58. პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი

პრეზიდენტი სახელმწიფო საბჭოში გადაწყვეტილებებს იღებს სახელმწიფო საბჭოს წინადადებების საფუძველზე.

თუ პრეზიდენტი სახელმწიფო საბჭოს წინადადების საფუძველზე არ მიიღებს გადაწყვეტილებას, საქმე მოსამზადებლად უბრუნდება სახელმწიფო საბჭოს. მას შემდეგ გადაწყვეტილება სახელმწიფო საბჭოს წინადადების დადასტურების ან უარყოფის შესახებ მიიღება სახელმწიფო საბჭოს ახალი წინადადების საფუძველზე.

პრეზიდენტი, სახელმწიფო საბჭოს წინადადების გარეშე გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:

1) სახელმწიფო საბჭოს ან მინისტრის დანიშვნისა და მათი გადადგომის მიღების შესახებ;

2) განკარგულებას პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შესახებ;

3) შეწყალებისა და კანონით საგანგებოდ განსაზღვრული საქმეების შესახებ, რომლებიც ეხება კერძო პირებს ან ისეთ საქმეებს, რომლებიც არ საჭიროებს სახელმწიფო საბჭოს პლენარულ სხდომაზე განხილვას;

4) ალანდის კუნძულების ავტონომიის შესახებ კანონით გათვალისწინებულ საკითხებზე, გარდა იმ საკითხებისა, რაც ალანდის კუნძულების ფინანსებს ეხება.

საკითხის თაობაზე პრეზიდენტს მოახსენებს ის მინისტრი, რომლის გამგებლობას განეკუთვნება ეს საქმე. სახელმწიფო საბჭოს მომხსენებელი პრეზიდენტს წარუდგენს სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობის ისეთ ცვლილებას, რომელიც მთელ სახელმწიფო საბჭოს ეხება.

სამხედრო ხასიათის ბრძანებებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს პრეზიდენტი იღებს კანონით დადგენილი წესით შესაბამის მინისტრთან ერთად. გადაწყვეტილებას სამხედრო პირების დანიშვნისა და რესპუბლიკის პრეზიდენტის სამსახურის საქმეთა შესახებ პრეზიდენტი იღებს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 59. პრეზიდენტის მოვალეობათა განხორციელება

პრეზიდენტის მიერ მოვალეობათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ფუნქციები დაეკისრება პრემიერ-მინისტრს, ხოლო თუ პრემიერ-მინისტრს იგივე დაბრკოლებები წამოექმნა — იმ მინისტრს, რომელიც ვიცე-პრემიერია.

მუხლი 60. სახელმწიფო საბჭო

სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში შედის პრემიერ-მინისტრი და მინისტრების საჭირო რაოდენობა. მინისტრი უნდა იყოს დაბადებით ფინეთის მოქალაქე, რომელიც თავის გამოცდილებითა და პატიოსნებით არის ცნობილი.

მინისტრები თავისი საქმიანობისათვის ანგარიშვალდებულნი არიან პარლამენტის წინაშე. თითოეული მინისტრი, რომელიც სახელმწიფო საბჭოში საქმის განხილვაში მონაწილეობს, პასუხისმგებელია მიღებული გადაწყვეტილებისთვის გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განაცხადებს, რომ არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, რაც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი.

მუხლი 61. სახელმწიფო საბჭოს ფორმირება

პარლამენტი ირჩევს პრემიერ-მინისტრს, რომელსაც შემდეგ თანამდებობაზე ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი. სხვა მინისტრებს ნიშნავს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წინადადებით.

პრემიერ-მინისტრის არჩევამდე, პარლამენტის პარტიული ჯგუფების წარმომადგენლები მთავრობის შემადგენლობისა და მისი პოლიტიკური პროგრამის შესახებ აწარმოებენ მოლაპარაკებას. მოლაპარაკების შედეგად და პარლამენტის თავმჯდომარისა და საპარლამენტო ჯგუფების მოსმენის შემდეგ, პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას. კანდიდატი პრემიერ-მინისტრად აირჩევა ღია კენჭისყრით ხმათა ნახევარზე მეტით.

თუ კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა საჭირო რაოდენობას, იმავე წესის დაცვით .უნდა იქნეს წარდგენილი ახალი კანდიდატი. თუ ახალი კანდიდატი ხმათა ნახევარზე მეტს ვერ მიიღებს, ღია კენჭისყრის გზით ტარდება ახალი არჩევნები, რომლებშიც არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა უმრავლესობას მიიღებს.

პარლამენტი სხდომაზე უნდა შეიკრიბოს სახელმწიფო საბჭოს დანიშვნისა ან მისი შემადგენლობის არსებითად შეცვლის დროს.

მუხლი 62. მოხსენება სამთავრობო პროგრამის შესახებ

სახელმწიფო საბჭო ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს პარლამენტს თავისი პროგრამა მოხსენების ფორმით. იგივე წესი მოქმედებს სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობის არსებითად შეცვლის დროს.

მუხლი 63. მინისტრის თანამდებობასთან შეუთავსებლობა

მინისტრის უფლებამოსილების განხორციელების დროს სახელმწიფო საბჭოს წევრს არ შეიძლება ეკავოს სხვა სახელმწიფო თანამდებობა ან ასრულებდეს სხვა სამუშაოს, რომელიც მისი უფლებამოსილების განხორციელებას ხელს შეუშლის ან მოახდენს მინისტრის თანამდებობის დისკრედიტაციას.

მინისტრი თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ ვალდებულია პარლამენტს დაუყოვნებლივ წარუდგინოს ანგარიში თავისი კომერციული საქმიანობის, აქციებისა და სხვა მნიშვნელოვანი თანხის ფლობის, აგრეთვე მინისტრის მოვალეობათა გარდა ისეთ მოვალეობათა ან სხვა ინტერესების შესახებ, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს მისი, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრის შეფასებისათვის.

მუხლი 64. სახელმწიფო საბჭოს ან მინისტრის გადადგომა

რესპუბლიკის პრეზიდენტი სახელმწიფო საბჭოს ან მინისტრის გადადგომას იღებს მათი თხოვნით. პრეზიდენტი უფლებამოსილია მინისტრის გადადგომა მიიღოს პრემიერ-მინისტრის წინადადების საფუძველზე.

პრეზიდენტი ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია სახელმწიფო საბჭოს ან მინისტრის უფლებამოსილება შეწყვიტოს, მიუხედავად მათი თხოვნის არარსებობისა, თუ სახელმწიფო საბჭო ან მინისტრი პარლამენტის ნდობით აღარ სარგებლობს.

თუ მინისტრი რესპუბლიკის პრეზიდენტად ან პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩევა, თანამდებობიდან გათავისუფლებულად ითვლება არჩევის დღიდან.

მუხლი 65. სახელმწიფო საბჭოს მოვალეობები

სახელმწიფო საბჭოს მოვალეობებს განეკუთვნება ამ კონსტიტუციით გათვალისწინებული, აგრეთვე სხვა სამთავრობო და ადმინისტრაციული საკითხები, რომლებიც სახელმწიფო საბჭოს ან მინისტრის გამგებლობას განეკუთვნება ან არ შედის რესპუბლიკის პრეზიდენტის ან სხვა სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციაში.

სახელმწიფო საბჭო აღასრულებს პრეზიდენტის გადაწყვეტილებებს.

მუხლი 66. პრემიერ-მინისტრის მოვალეობები

პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს სახელმწიფო საბჭოს საქმიანობას და ზედამხედველობს სახელმწიფო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მომზადებასა და განხილვას. პრემიერ-მინისტრი თავმჯდომარეობს სახელმწიფო საბჭოს სხდომებს.

პრემიერ-მინისტრის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ის მინისტრი, რომელიც პრემიერ-მინისტრის მოადგილედ არის დანიშნული, ხოლო პრემიერ-მინისტრის მოადგილის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობისას — თანამდებობაზე ყოფნის დროისთვის უხუცესი მინისტრი.

მუხლი 67. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებების მიღების წესი

სახელმწიფო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები მის სხდომაზე ან იმ სამინისტროში წყდება, რომელსაც ეს საკითხი ეხება. სხდომაზე განიხილება არსებითი და პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხები, აგრეთვე სხვა საკითხები, რომლებიც განხილვას საჭიროებენ. სახელმწიფო საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული საკითხები უფრო დეტალურად განისაზღვრება კანონით.

სახელმწიფო საბჭოში განსახილველი საკითხები უნდა მომზადდეს იმ სამინისტროში, რომლის გამგებლობასაც განეკუთვნება.

სახელმწიფო საბჭოში საქმეთა მოსამზადებლად შეიძლება შეიქმნას მინისტრთა კომიტეტები.

სახელმწიფო საბჭოს პლენარული სხდომები გადაწყვეტილებაუნარიანია ხუთი მინისტრის დასწრების შემთხვევაში.

მუხლი 68. მინისტრები

სახელმწიფო საბჭო შედგება აუცილებელი რაოდენობის მინისტრებისგან. თითოეული სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია სახელმწიფო საბჭოს განსახილველი საკითხების მომზადებაზე, სამინისტროს შესაბამისი საქმიანობის განხორციელებასა და მართვაზე. სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი. სამინისტროების მაქსიმალური რაოდენობა და მათი დაფუძნების ზოგადი პრინციპები განისაზღვრება კანონით. სამინისტროების კომპეტენციის სფეროებთან, სამინისტროებს შორის საქმეთა განაწილებასა და სახელმწიფო საბჭოს ორგანიზაციის სხვა ფორმებთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება კანონით ან სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 69. სახელმწიფო საბჭოს იუსტიციის კანცლერი

სახელმწიფო საბჭოში შექმნილია იუსტიციის კანცლერისა და იუსტიციის კანცლერის მოადგილის თანამდებობები. ისინი ინიშნებიან რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ. მათ უნდა გააჩნდეთ გამორჩეული იურიდიული ცოდნა. პრეზიდენტი არა უმეტეს ხუთი წლის ვადით ნიშნავს იუსტიციის კანცლერის მოადგილის შემცველელს, რომელიც იუსტიციის კანცლერის მოადგილის მოვალეობებს ასრულებს ამ უკანასკნელის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში.

იუსტიციის კანცლერის მოადგილისა და იუსტიციის კანცლერის შემცველელის მიმართ შესაბამისად მოქმედებს იუსტიციის კანცლერისათვის დადგენილი წესები.

თავი 6. კანონმდებლობა

მუხლი 70. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება

კანონის მიღების შესახებ წინადადება პარლამენტში შეიტანება სახელმწიფო საბჭოს სამთავრობო ან პარლამენტის წევრის საკანონმდებლო წინადადების სახით. საკანონმდებლო ინიციატივა წარდგენილ უნდა იქნეს საპარლამენტო სესიის დროს.

მუხლი 71. სამთავრობო წინადადებაში დამატების შეტანა და მისი გამოწვევა

სამთავრობო წინადადება შეიძლება შევსებულ იქნეს დამატებითი წინადადების გზით ან უკან იქნეს გამოთხოვილი. დამატებითი წინადადება არ შეიძლება შეტანილ იქნეს მას შემდეგ, რაც კომიტეტი, რომელიც ამ საქმეს ამზადებს, გასცემს თავის დასკვნას.

მუხლი 72. საკანონმდებლო წინადადების განხილვა პარლამენტში

საქმის მომზადებისათვის უფლებამოსილი კომიტეტის მიერ შესაბამისი დასკვნის გაცემის შემდეგ, საკანონმდებლო წინადადება განიხილება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ორი მოსმენით.

საკანონმდებლო წინადადების პირველი მოსმენის დროს მოისმინება და განიხილება კომიტეტის დასკვნა, რის შემდეგ პარლამენტი წყვეტს საკითხს საკანონდებლო წინადადების შინაარსის შესახებ. მეორე მოსმენის დროს, რომელიც პირველი მოსმენის დასრულებიდან არანაკლებ მესამე დღეს ტარდება, პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას საკანონმდებლო წინადადების მიღების ან უარყოფის შესახებ.

პირველი მოსმენის დროს საკანონმდებლო წინადადება განსახილველად შეიძლება გადაეცეს დიდ კომიტეტს.

საკანონმდებლო წინადადების განხილვასთან დაკავშირებული დეტალური პროცედურები განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

მუხლი 73. კონსტიტუციური კანონის განხილვის წესი

კონსტიტუციური კანონის მიღების, მასში ცვლილების შეტანის, გაუქმების ან ნაწილობრივი გაუქმების პროექტი მეორე მოსმენის დროს გადადებულ უნდა იქნეს ხმათა უმრავლესობით, პარლამენტის ახლადარჩეული მოწვევის პირველ სესიამდე. ამ შემთხვევაში, კომიტეტის დასკვნის შემდეგ, წინადადება არსებითი ცვლილებების გარეშე მიიღება ერთი მოსმენით პლენარულ სხდომაზე ხმათა არანაკლებ ორი მესამედით.

გადაწყვეტილება საკანონმდებლო წინადადების დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ მიიღება ხმათა არანაკლებ ხუთი მეექვსედით. ასეთ შემთხვევაში წინადადება არ გადაიდება და იგი შეიძლება მიღებულ იქნეს ხმათა არანაკლებ ორი მესამედით.

მუხლი 74. კონსტიტუციურობის კონტროლი

საკონსტიტუციო კომიტეტი ვალდებულია მიიღოს დასკვნა საკანონმდებლო წინადადებებისა და მისთვის განსახილველად წარდგენილი სხვა საკითხების კონსტიტუციურობის შესახებ, აგრეთვე მათი ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობის თაობაზე.

მუხლი 75. ალანდის კუნძულების სპეციალური კანონმდებლობა

ალანდის კუნძულების ავტონომიისა და ალანდის კუნძულებზე მიწის შეძენის შესახებ კანონების მიღების საკანონმდებლო პროცედურა განისაზღვრება აღნიშნული კანონების სპეციალური დებულებებით.

ალანდის კუნძულების საკანონმდებლო კრებაში საკანონმდებლო წინადადებების შეტანისა და კანონების მიღების უფლება განისაზღვრება ალანდის კუნძულების ავტონომიის შესახებ კანონით.

მუხლი 76. კანონი ეკლესიის შესახებ

დებულებები ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის ორგანიზაციისა და მართვის შესახებ განისაზღვრება ეკლესიის შესახებ კანონით.

ეკლესიის შესახებ კანონის მიღების საკანონმდებლო პროცედურა და ეკლესიის შესახებ კანონთან დაკავშირებულ საკითხებზე საკანონმდებლო წინადადებების წარდგენის უფლება განისაზღვრება ეკლესიის შესახებ კანონით.

მუხლი 77. კანონების დამტკიცება

პარლამენტის მიერ მიღებული კანონი დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს რესპუბლიკის პრეზიდენტს. პრეზიდენტი ვალდებულია გადაწყვეტილება კანონის დამტკიცების შესახებ მიიღოს კანონის დასამტკიცებლად წარდგენიდან სამი თვის ვადაში. პრეზიდენტი უფლებამოსილია კანონი დასკვნისათვის გადასცეს უზენაეს სასამართლოს ან უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოს.

თუ პრეზიდენტი კანონს არ დაამტკიცებს, იგი განსახილველად უბრუნდება პარლამენტს. პარლამენტის მიერ კანონის ხელახლა არსებითი ცვლილებების გარეშე მიღების შემთხვევაში, იგი ძალაში შედის დამტკიცების გარეშე. პარლამენტის მიერ კანონის ხელმეორედ დაუმტკიცებლობის შემთხვევაში კანონი უარყოფილად ითვლება.

მუხლი 78. დაუმტკიცებელი კანონის განხილვა

პრეზიდენტის მიერ დადგენილ ვადაში კანონის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, იგი დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს ხელახალი განხილვისათვის. კომიტეტის შესაბამისი დასკვნის მიღებისთანავე კანონი მტკიცდება არსებითი ცვლილების გარეშე ან იგი უარყოფილ უნდა იქნეს. გადაწყვეტილება პლენარულ სხდომაზე მიღებულ უნდა იქნეს ხმათა უმრავლესობით ერთი მოსმენით.

მუხლი 79. კანონის გამოქვეყნება და ძალაში შესვლა

თუ კანონი კონსტიტუციური კანონის მიღების წესის შესაბამისად არის მიღებული, ეს მისი ტექსტიდან უნდა გამომდინარეობდეს.

დამტკიცებული ან დამტკიცების გარეშე ძალაში შესულ კანონს ხელს აწერს რესპუბლიკის პრეზიდენტი და ადასტურებს შესაბამისი მინისტრი. სახელმწიფო საბჭო ვალდებულია კანონი დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს „ფინეთის კანონთა წიგნში".

კანონში უნდა მიეთითოს მისი ძალაში შესვლის თარიღი. განსაკუთრებული მიზეზის არსებობისას, კანონში შეიძლება მიეთითოს, რომ მისი ძალაში შესვლის დრო განკარგულებით განისაზღვრება. თუ კანონი მისი ძალაში შესვლის დადგენილი თარიღისათვის არ გამოქვეყნდება, იგი ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღეს.

კანონები მიიღება და ქვეყნდება ფინურ და შვედურ ენებზე.

მუხლი 80. დადგენილებების გამოცემა და საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირება

რესპუბლიკის პრეზიდენტი, სახელმწიფო საბჭო და მინისტრები უფლებამოსილნი არიან ამ კონსტიტუციის ან სხვა კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ძალით. დებულებები კერძო პირების ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების და სხვა საკითხების შესახებ, რომლებსაც წინამდებარე კონსტიტუციის შესაბამისად საკანონმდებლო ხასიათი გააჩნიათ, უნდა მოწესრიგდეს კანონით. თუ დადგენილების მიმღები ორგანო სპეციალურად არ არის განსაზღვრული, იგი სახელმწიფო საბჭოს მიერ გამოიცემა.

სხვა სახელმწიფო ორგანოები უფლებამოსილნი არიან გარკვეულ საკითხებზე მიიღონ ნორმატიული აქტები, თუ საკითხის შინაარსისა და მნიშვნელობის გამო მათი კანონით თუ განკარგულებით მოწესრიგება აუცილებლობას არ წარმოადგენს.

საერთო დებულებები დადგენილებებისა და სხვა ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის შესახებ დგინდება კანონით.

თავი 7. სახელმწიფო ფინანსები

მუხლი 81. სახელმწიფო გადასახადები და მოსაკრებლები

სახელმწიფო გადასახადები დგინდება კანონით, რომლებიც უნდა შეიცავდნენ დებულებებს საგადასახადო ვალდებულებების საფუძვლების, გადასახადების ოდენობისა და გადასახადის გადამხდელების სამართლებრივი დაცვის შესახებ.

დებულებები სახელმწიფო ფუნქციების, მომსახურებისა და სახელმწიფო ორგანოების სხვა საქმიანობისათვის მოსაკრებლების დაკისრებისა და მათი ოდენობის შესახებ დგინდება კანონით.

მუხლი 82. სახელმწიფო ვალი და გარანტიები

სახელმწიფო ვალის აღება დასაშვებია მხოლოდ პარლამენტის თანხმობით, რომელიც განსაზღვრავს ახალი ვალისა და სახელმწიფოს საერთო ვალის უმაღლეს ზღვარს.

სახელმწიფო თავდებობა და გარანტიები შეიძლება გაცემულ იქნეს პარლამენტის თანხმობით.

მუხლი 83. სახელმწიფო ბიუჯეტი

ყოველ საფინანსო წელს პარლამენტი იღებს სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც ქვეყნდება „ფინეთის კანონთა წიგნში".

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ სახელმწიფო საბჭოს წინადადება და მასთან დაკავშირებული სხვა წინადადებები პარლამენტს უნდა წარედგინოს მომდევნო საფინანსო წლის დაწყებამდე. საბიუჯეტო წინადადებაში დამატების შეტანისა და მისი გამოთხოვის მიმართ მოქმედებს ამ კონსტიტუციის 71-ე მუხლით დადგენილი წესი.

პარლამენტის თითოეული წევრი უფლებამოსილია საბიუჯეტო წინადადების საფუძველზე მასში შეიტანოს საბიუჯეტო წინადადება ასიგნების ან სხვა გადაწყვეტილების თაობაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტი მტკიცდება პლენარულ სხდომაზე ერთი მოსმენით საფინანსო კომიტეტის დასკვნის შემდეგ. პარლამენტში საბიუჯეტო წინადადებების განხილვის დეტალური პროცედურები განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

თუ სახელმწიფო ბიუჯეტის მიღება ყოვნდება ისე, რომ მისი გამოქვეყნება ვერ ხორციელდება საფინანსო წლის დაწყებამდე, სახელმწიფო საბჭოს საბიუჯეტო წინადადებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებით ბიუჯეტად პარლამენტის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 84. ბიუჯეტის შინაარსი

სახელმწიფო ბიუჯეტი შეიცავს წლიური შემოსავლებისა და გასავლების შეფასებას, წლიური გასავლების მიმართულებებსა და სხვა საკითხებს. კანონით შეიძლება დადგინდეს, რომ ბიუჯეტში ასახულ იქნეს ერთმანეთთან დაკავშირებულ გარკვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა. ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლები უნდა ფარავდეს ხარჯებს.

ხარჯების დაფარვის შემდეგ შეიძლება წარმოიშვას გადაჭარბებული თანხა ან დეფიციტი კანონით დადგენილი წესით. კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთმანეთთან დაკავშირებული სავარაუდო შემოსავლები და ხარჯები შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ბიუჯეტში რამდენიმე საბიუჯეტო წლით. ზოგადი პრინციპები სახელმწიფო საწარმოების ფუნქციებისა და ფინანსების შესახებ განისაზღვრება კანონით. სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებაში სავარაუდო შემოსავლები და ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანება კანონით დადგენილი წესით.

სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისას პარლამენტი ამტკიცებს უმნიშვნელოვანესი მომსახურების სახეებისა და სახელმწიფო საწარმოების ამოცანებს.

მუხლი 85. სახელმწიფო საბიუჯეტო ხარჯები

სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანება ზუსტი, სავარაუდო და სატრანსფერო ხარჯები. სავარაუდო ხარჯები შეიძლება გადაჭარბებულ იქნეს, ხოლო სატრანსფერო ხარჯები მომდევნო საბიუჯეტო წლებისათვის იქნეს გადატანილი კანონის შესაბამისად. დაუშვებელია ზუსტი და სატრანსფერო ხარჯების გადაჭარბება, ხოლო ზუსტი ხარჯების სატრანსფერო ხარჯებად გადატანა, თუ ეს კანონით არ არის გათვალისწინებული.

ბიუჯეტის ერთი მუხლით გათვალისწინებული ხარჯები მეორეში არ უნდა იქნეს გადატანილი, თუ ამას ბიუჯეტი არ უშვებს. ხარჯების ბიუჯეტის იმ მუხლში გადატანა, რომელთანაც იგი პირდაპირ არის დაკავშირებული, შეიძლება დაშვებულ იქნეს კანონით.

ნებადართულია მომავალი საბიუჯეტო წლების საბიუჯეტო სახსრებიდან გარკვეული თანხის ფარგლებში და მიზნებით ხარჯების დაფარვა.

მუხლი 86. დამატებითი ბიუჯეტი

სახელმწიფო საბჭოს წინადადება დამატებითი ბიუჯეტის შესახებ პარლამენტში უნდა იქნეს წარდგენილი, თუ მას გააჩნია სახელმწიფო ბიუჯეტის შესაცვლელად მოტივირებული საფუძველი. პარლამენტის წევრი უფლებამოსილია შეიტანოს დამატებითი ბიუჯეტის პროექტთან პირდაპირ დაკავშირებული საბიუჯეტო წინადადება სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილების შესახებ.

მუხლი 87. არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდები

არასაბიუჯეტო ფონდი შეიძლება შეიქმნას კანონის საფუძველზე, თუ ამას საჭიროებს სახელმწიფოს მიერ არსებით მოვალეობათა განხორციელება. პარლამენტის გადაწყვეტილება არასაბიუჯეტო ფონდის დაარსების ან ასეთი ფონდის ან მისი მიზნის გაფართოების შესახებ მიიღება ხმათა არანაკლებ ორი მესამედით.

მუხლი 88. კანონიერი მოთხოვნები სახელმწიფოს მიმართ

ყველას აქვს სახელმწიფოსგან კანონიერი სახსრების მიღების უფლება სახელმწიფო ბიუჯეტისგან დამოუკიდებლად.

მუხლი 89. სახელმწიფო სამსახურის პირობების დამტკიცება

პარლამენტის სახელით, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი იღებს სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირთა პირობების შესახებ შეთანხმებას, თუ ეს პარლამენტის დაფინანსებას საჭიროებს.

მუხლი 90. სახელმწიფო ფინანსების ზედამხედველობა და კონტროლი

პარლამენტი ახორციელებს სახელმწიფო ფინანსების მართვის ზედამხედველობას, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან ერთად. ამ მიზნით პარლამენტი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სახელმწიფო აუდიტორებს.

სახელმწიფო ფინანსების მართვისა და ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მიზნით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახით იქმნება დამოუკიდებელი ორგანო. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კომპეტენცია განისაზღვრება კანონით.

სახელმწიფო აუდიტორები და სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილნი არიან მათ კონტროლქვეშ მყოფი სახელმწიფო ორგანოებისა და სხვა პირებისაგან მიიღონ თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელი ინფორმაცია.

მუხლი 91. ფინეთის ბანკი

ფინეთის ბანკი საქმიანობს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად პარლამენტის დაცვითა და ზედამხედველობის ქვეშ. ფინეთის ბანკის საქმიანობაზე ზედამხედველობის მიზნით პარლამენტი ირჩევს უფლებამოსილ პირებს.

პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი და უფლებამოსილი პირები უფლებამოსილნი არიან მიიღონ ფინეთის ბანკზე ზედამხედველობის განსახორციელებლად აუცილებელი ინფორმაცია.

მუხლი 92. სახელმწიფო სახსრები

დებულებები სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიების აქციების მართვის უფლებამოსილებისა და წესის შესახებ განისაზღვრება კანონით. დებულებები სახელმწიფოს მიერ კომპანიების შეძენასა ან გადაცემაზე კონტროლის მიზნით პარლამენტის თანხმობის აუცილებლობის შესახებ განისაზღვრება კანონით.

სახელმწიფოს უძრავი საკუთრება შეიძლება გადაცემულ იქნეს მხოლოდ პარლამენტის თანხმობით ან კანონის შესაბამისად.

თავი 8. საერთაშორისო ურთიერთობები

მუხლი 93. კომპეტენცია საგარეო პოლიტიკის სფეროში

ფინეთის საგარეო პოლიტიკა წარიმართება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო საბჭოსთან ერთად. პარლამენტი ახდენს საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიკაციასა და დენონსაციას და იღებს გადაწყვეტილებას ფინეთის საერთაშორისო ვალდებულებების ძალაში შესელასთან დაკავშირებით ამ კონსტიტუციით დადგენილი წესით. ომისა და ზავის საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით.

სახელმწიფო საბჭო პასუხისმგებელია ევროკავშირში მისაღები გადაწყვეტილებების ქვეყნის შიგნით მომზადებასა და სხვა თანმხლები ზომების მიღებაზე,

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება საჭიროებს პარლამენტის მიერ დამტკიცებას. პარლამენტი ამ კონსტიტუციის შესაბამისად მონაწილეობს ევროპულ კავშირში მისაღები გადაწყვეტილების ქვეყნის შიგნით მომზადებაში.

სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისათვის მნიშვნელოვან საგარეო პოლიტიკურ პოზიციებზე პასუხისმგებელია ის მინისტრი, რომლის გამგებლობასაც განეკუთვნება საერთაშორისო ურთიერთობები.

მუხლი 94. საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირება და დენონსირება

პარლამენტის მიერ რატიფიცირებას საჭიროებენ ხელშეკრულებები და სხვა საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც შეიცავენ საკანონმდებლო სახიათის მქონე დებულებებს, სხვა მხრივ გააჩნიათ დიდი მნიშვნელობა ან რომლებიც ამ კონსტიტუციის შესაბამისად სხვა მიზეზით საჭიროებენ პარლამენტის მიერ რატიფიცირებას. პარლამენტი ასევე იღებს გადაწყვეტილებას შეთანხმებების დენონსაციაზე.

გადაწყვეტილება საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირების ან დენონსირების შესახებ მიიღება ხმათა უმრავლესობით. თუ წინადადება ხელშეკრულების რატიფიცირების შესახებ ეხება კონსტიტუციას ან სახელმწიფო საზღვრების შეცვლას, იგი მიღებულ უნდა იქნეს ხმათა არანაკლებ ორი მესამედით.

საერთაშორისო შეთანხმება საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს კონსტიტუციის დემოკრატიულ პრინციპებს.

მუხლი 95. საერთაშორისო შეთანხმების ძალაში შესვლა

ხელშეკრულების ან სხვა საერთაშორისო შეთანხმებების ნორმები, რომლებიც საკანონმდებლო სფეროს ეხება, ძალაში შედის კანონის მიღების გზით. სხვა შემთხვევებში საერთაშორისო შეთანხმებები ძალაში შედის რესპუბლიკის პრეზიდენტის განკარგულებით.

საერთაშორისო შეთანხმების ძალაში შესვლის შესახებ სახელმწიფო საბჭოს პროექტი განიხილება კანონის მიღებისათვის დადგენილი პროცედურის შესაბამისად. თუ წინადადება კონსტიტუციის ან სახელმწიფოს ტერიტორიის შეცვლას ეხება, პარლამენტი, წინადადების გადადების გარეშე, გადაწყვეტილებას იღებს ხმათა არანაკლებ ორი მესამედით.

საერთაშორისო შეთანხმების ძალაში შესვლის თაობაზე კანონმა შეიძლება დაადგინოს, რომ იგი ძალაში შედის განკარგულების გამოცემის გზით. ხელშეკრულების ან სხვა საერთაშორისო შეთანხმებების გამოქვეყნების შესახებ საერთო დებულებები დგინდება კანონით.

მუხლი 96. პარლამენტის მონაწილეობა ევროპულ კავშირთან დაკავშირებული საკითხების ქვეყნის შიგნით მომზადებაში

პარლამენტი განიხილავს წინადადებებს ევროკავშირისთვის გადასაცემი სამართლებრივი აქტების, ხელშეკრულებების ან სხვა ღონისძიებების თაობაზე, აგრეთვე რომლებიც კონსტიტუციის შესაბამისად პარლამენტის კომპეტენციას განეკუთვნება.

სახელმწიფო საბჭო ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წინადადების თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ პარლამენტის პოზიციის გარკვევის მიზნით მას განსახილველად დაუყოვნებლივ წარუდგინოს ასეთი წინადადება. წინადადება განიხილება დიდ კომიტეტში ან ჩვეულებრივ ერთ ან რამდენიმე სხვა კომიტეტში, რომლებიც დასკვნას წარუდგენენ დიდ კომიტეტს. საგარეო საქმეთა კომიტეტი განიხილავს საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ წინადადებას. დიდი კომიტეტი ან საგარეო საქმეთა კომიტეტი აუცილებლობის შემთხვევაში უფლებამოსილნი არიან სახელმწიფო საბჭოს მოაწოდონ დასკვნა წინადადებასთან დაკავშირებით. პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ასეთი საქმეები დაექვემდებაროს პარლამენტის მიერ პლენარულ სხდომაზე განხილვას. ასეთ შემთხვევაში პარლამენტი არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე.

სახელმწიფო საბჭო ვალდებულია შესაბამისი კომიტეტი უზრუნველყოს ევროკავშირის მიერ განსახილველი საქმეების თაობაზე ინფორმაციით. დიდ კომიტეტს ან საგარეო საქმეთა კომიტეტს უნდა ეცნობოს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით სახელმწიფო საბჭოს პოზიცია.

მუხლი 97. პარლამენტის უფლება მიიღოს ინფორმაცია საერთაშორისო საკითხებზე

პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტი უფლებამოსილია თავისი თხოვნით ან აუცილებლობის შემთხვევაში, სახელმწიფო საბჭოსაგან მიიღოს ანგარიში საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შესაბამისად, პარლამენტის დიდმა კომიტეტმა ან საგარეო საქმეთა კომიტეტმა უნდა მიიღონ ინფორმაცია ევროპულ კავშირში სხვა საქმეების მომზადებასთან დაკავშირებით. პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ანგარიშის პლენარულ სხდომაზე განხილვის თაობაზე. ამ შემთხვევაში პარლამენტს ამ საქმეზე გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია.

პრემიერ-მინისტრი ვალდებულია ევროპის საბჭოში განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით წინასწარ და საბჭოში შეხვედრის შემდეგ დაუყოვნებლივ უზრუნველყოს პარლამენტი და შესაბამისი კომიტეტი ინფორმაციით. იგივე წესი ვრცელდება ევროპული კავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებაში ცვლილებების მომზადებისას.

პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი უფლებამოსილია ზემოაღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე სახელმწიფო საბჭოს გაუგზავნოს დასკვნა.

თავი 9. მართლმსაჯულება

მუხლი 98. სასამართლოები

საერთო იურისდიქციის სასამართლოებს განეკუთვნება: უზენაესი სასამართლო, სააპელაციო სასამართლო და რაიონული სასამართლოები.

საერთო ადმინისტრაციული იუსტიციის სასამართლოებს განეკუთვნება: უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო და რეგიონალური ადმინისტრაციული სასამართლოები.

დებულებები სპეციალური სასამართლოების შესახებ, რომლებიც მართლმსაჯულებას სპეციალურად განსაზღვრულ სფეროებში ახორციელებენ, განისაზღვრება კანონით.

დროებითი სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.

მუხლი 99. უზენაესი სასამართლოს და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენცია

უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი სასამართლო ინსტანცია სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე, ხოლო უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო — ადმინისტრაციულ საქმეებზე.

უზენაესი სასამართლოები მართლმსაჯულებაზე ზედამხედველობას ახორციელებენ თავიანთი კომპეტენციის სფეროში. ისინი უფლებამოსილნი არიან სახელმწიფო საბჭოში შევიდნენ საკანონმდებლო წინადადებით.

მუხლი 100. უზენაესი სასამართლოს და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს შემადგენლობა

უზენაესი სასამართლოსა და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს შემადგენლობაში შედიან თავმჯდომარეები და მოსამართლეების შესაბამისი რაოდენობა.

უზენაესი სასამართლო და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო უფლებამოსილნი არიან გადაწყვეტილება მიიღონ ხუთი წევრის დასწრების შემთხვევაში, თუ კანონით განსხვავებული ქვორუმი არ იქნა დადგენილი.

მუხლი 101. იმპიჩმენტის უმაღლესი სასამართლო

იმპიჩმენტის უმაღლესი სასამართლო განიხილავს ბრალდებებს სახელმწიფო საბჭოს წევრების, იუსტიციის კანცლერის, საპარლამენტო ომბუდსმენის, უზენაესი სასამართლოსა და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს წევრების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას კანონიერების დარღვევის საქმეებზე. სახელმწიფო განიხილავს აგრეთვე ამ კონსტიტუციის 113-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებებს.

იმპიჩმენტის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თავმჯდომარის სახით, აგრეთვე უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარე და სააპელაციო სასამართლოების სამი

უხუცესი თავმჯდომარე, აგრეთვე პარლამენტის მიერ ოთხი წლის ვადით არჩეული ხუთი წევრი.

იმპიჩმენტის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობის, ქვორუმისა და პროცედურის შესახებ დებულებები დეტალურად განისაზღვრება კანონით.

მუხლი 102. მოსამართლეთა დანიშვნა

ვადიანი უფლებამოსილების მქონე მოსამართლეებს კანონით დადგენილი წესით ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი. სხვა მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ დებულებები დგინდება კანონით.

მუხლი 103. მოსამართლეთა მიერ თანამდებობის შენარჩუნების უფლება

მოსამართლე თანამდებობიდან შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. მოსამართლე არ შეიძლება სხვა თანამდებობაზე იქნეს გადაყვანილი მისი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადგილი აქვს სასამართლო სისტემის რეორგანიზაციას.

მოსამართლეთა მიერ გარკვეული ასაკის მიღწევისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის გამო თანამდებობიდან გადადგომის წესი განისაზღვრება კანონით.

მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის სხვა პირობები დგინდება კანონით.

მუხლი 104. პროკურორები

პროკურატურას ხელმძღვანელობს უმაღლესი პროკურორი — გენერალური პროკურორი, რომელიც ინიშნება რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ. პროკურატურის საქმიანობა დეტალურად განისაზღვრება კანონით.

მუხლი 105. შეწყალება

ცალკეულ შემთხვევებში რესპუბლიკის პრეზიდენტი, უზენაესი სასამართლოს დასკვნის მიღების შემდეგ, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელისაგან პირის სრული ან ნაწილობრივი შეწყალების შესახებ.

საყოველთაო ამნისტია შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ კანონით.

თავი 10. კანონიერებაზე კონტროლი

მუხლი 106. კონსტიტუციის უზენაესობა

სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეში კანონის გამოყენებისას კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში, სასამართლო უპირატესობას ანიჭებს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ნორმას.

მუხლი 107. უფლების შეზღუდვა კანონქვემდებარე აქტების ნორმების გამოყენებაზე

თუ განკარგულების ან სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დებულებები ეწინააღმდეგება კონსტიტუციას ან სხვა კანონს, ისინი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ.

მუხლი 108. იუსტიციის კანცლერის კომპეტენცია

იუსტიციის კანცლერი ზედამხედველობს სახელმწიფო საბჭოსა და რესპუბლიკის პრეზიდენტის ოფიციალური აქტების კანონიერებას. იუსტიციის კანცლერი აგრეთვე ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს სასამართლოების, სხვა ორგანოებისა და კერძო პირების მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის დაცვასა და მოვალეობათა შესრულებას. თავისი ფუნქციების განხორციელებისას იუსტიციის კანცლერი კონტროლს ახორციელებს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე.

იუსტიციის კანცლერი ვალდებულია პრეზიდენტის, სახელმწიფო საბჭოს ან მინისტრის თხოვნით უზრუნველყოს ისინი იურიდიულ საკითხებზე ინფორმაციითა და მოსაზრებებით.

იუსტიციის კანცლერი პარლამენტსა და სახელმწიფო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს თავისი სამსახურებრივი საქმიანობის შესახებ და დასკვნას — კანონმდებლობის დაცვის შესახებ.

მუხლი 109. საპარლამენტო ომბუდსმენის კომპეტენცია

საპარლამენტო ომბუდსმენი კონტროლს უწევს სასამართლოების, სხვა ორგანოებისა და კერძო პირების მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის დაცვასა და მოვალეობათა შესრულებას. თავისი ფუნქციების განხორციელებისას იგი ახორციელებს კონტროლს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე.

საპარლამენტო ომბუდსმენი პარლამენტს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ, რომელიც მოიცავს მართლმსაჯულების განხორციელების მდგომარეობასა და კანონმდებლობაში აღმოჩენილ ხარვეზებს.

მუხლი 110. იუსტიციის კანცლერისა და საპარლამენტო ომბუდსმენის მიერ ბრალდების წაყენების უფლება და მათ შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა

გადაწყვეტილებას მოსამართლის მიერ მის სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას კანონიერების დარღვევისათვის ბრალდების წაყენების შესახებ იღებს იუსტიციის კანცლერი ან საპარლამენტო ომბუდსმენი. ორივე უფლებამოსილია ჩაატაროს გამოძიება ან გასცეს განკარგულება სხვა საქმეებზე ბრალდების წაყენების შესახებ, კანონიერებაზე ზედამხედველობის კომპეტენციის ფარგლებში.

დებულებები მათ შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ შეიძლება კანონით დადგენილ იქნეს, მაგრამ ამ შემთხვევაში დაუშვებელია მათი კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობის უფლებამოსილების შეზღუდვა.

მუხლი 111. იუსტიციის კანცლერისა და საპარლამენტო ომბუდსმენის მიერ ინფორმაციის მიღების უფლება

იუსტიციის კანცლერი და საპარლამენტო ომბუდსმენი უფლებამოსილნი არიან სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სხვა პირებისაგან მიიღონ კანონიერებაზე ზედამხედველობის განსახორციელებლად აუცილებელი ინფორმაცია.

იუსტიციის კანცლერი ესწრება სახელმწიფო საბჭოს სხდომებსა და სახელმწიფო საბჭოს საპრეზიდენტო სხდომაზე რესპუბლიკის პრეზიდენტისთვის საქმეების წარდგენას. საპარლამენტო ომბუდსმენი უფლებამოსილია დაესწროს ასეთ სხდომებს.

მუხლი 112. სახელმწიფო საბჭოსა და პრეზიდენტის ოფიციალური აქტების კანონიერების კონტროლი

თუ იუსტიციის კანცლერმა იცის, რომ სახელმწიფო საბჭოს, მინისტრების ან რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებების ან ღონისძიებების კანონიერება წარმოადგენს შენიშვნის საფუძველს, იგი ვალდებულია წარმოადგინოს შენიშვნები. თუ შენიშვნები რეაგირების გარეშე რჩება, იუსტიციის კანცლერი თვალყურს ადევნებს, რომ შენიშვნები სახელმწიფო საბჭოს ოქმში ცალკე პუნქტად იქნეს შეტანილი და აუცილებლობის შემთხვევაში იღებს სხვა ზომებს. საპარლამენტო ომბუდსმენს აგრეთვე გააჩნია შენიშვნების წარდგენისა და სხვა ზომების მიღების უფლებამოსილება.

თუ პრეზიდენტის გადაწყვეტილება უკანონოა, სახელმწიფო საბჭო იუსტიციის კანცლერის დასკვნის მიღების შემდეგ ვალდებულია გამოაცხადოს, რომ გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს შესრულებელი და პრეზიდენტს მოსთხოვოს მისი შეცვლა ან გაუქმება.

მუხლი 113. პრეზიდენტის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

თუ იუსტიციის კანცლერი, საპარლამენტო ომბუდსმენი ან სახელმწიფო საბჭო მიიჩნევს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტს ბრალი მიუძღვის სამშობლოს ღალატში ან ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენაში, იგი ვალდებულია ამის თაობაზე შეატყობინოს პარლამენტს. თუ პარლამენტი ხმათა სამი მეოთხედით მიიღებს გადაწყვეტილებას იმპიჩმენტის უმაღლესი სასამართლოს წინაშე ბრალდების წაყენების შესახებ, გენერალური პროკურორი იწყებს იმპიჩმენტის უმაღლეს სასამართლოში რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას. პრეზიდენტი ვალდებულია ამ პერიოდში თავი შეიკავოს თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისგან. სხვა შემთხვე-

ვაში პრეზიდენტის ოფიციალური აქტების გამო მის მიმართ ბრალდების წაყენება დაუშვებელია.

მუხლი 114. მინისტრის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება

სახელმწიფო საბჭოს წევრს მისი საქმიანობის დროს კანონიერების დარღვევის გამო იმპიჩმენტის უმაღლესი სასამართლოს წინაშე ბრალდება წაეყენება კანონის უფრო დეტალური დებულებების შესაბამისად.

ბრალდების წაყენების შესახებ გადაწყვეტილება პარლამენტის მიერ მიიღება მინისტრის სამსახურებრივი საქმიანობის კანონიერების შესახებ საკონსტიტუციო კომიტეტის დასკვნის მიღების შემდეგ. გადაწყვეტილების მიღებამდე პარლამენტმა სახელმწიფო საბჭოს წევრს უნდა მისცეს განმარტების მიცემის უფლება. კომიტეტში ასეთი კატეგორიის საქმეთა განხილვა უნდა მოხდეს მის წევრთა სრული შემადგენლობით.

სახელმწიფო საბჭოს წევრის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს გენერალური პროკურორი.

მუხლი 115. მინისტრის იურიდიული პასუხისმგებლობის შესახებ საქმის აღძვრა

პარლამენტის საკონსტიტუციო კომიტეტში მინისტრის ოფიციალური აქტების კანონიერების შესახებ გამოძიება შეიძლება დაიწყოს შემდეგი საფუძვლებით:

ა) საკონსტიტუციო კომიტეტში იუსტიციის კანცლერის ან საპარლამენტო ომბუდსმენის მიერ შეტყობინებით;

ბ) პარლამენტის არანაკლებ 10 წევრის განცხადებისას;

გ) გამოძიების დაწყების შესახებ საკონსტიტუციო კომიტეტისათვის პარლამენტის სხვა კომიტეტის მიერ გადაცემულ თხოვნაზე.

საკონსტიტუციური კომიტეტი უფლებამოსილია აღნიშნული სახის გამოძიება დაიწყოს ასევე საკუთარი ინიციატივით.

მუხლი 116. მინისტრის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი

სახელმწიფო საბჭოს წევრის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს, თუ მინისტრი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არსებითად უგულებელყოფს თავის მოვალეობებს ან თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას სხვაგვარად აშკარად უკანონოდ მოქმედებს.

მუხლი 117. იუსტიციის კანცლერისა და საპარლამენტო ომბუდსმენის იურიდიული პასუხისმგებლობა

იუსტიციის კანცლერისა და საპარლამენტო ომბუდსმენის ოფიციალური აქტის კანონიერების გამოძიება, მათ მიმართ ბრალდების წაყენება და ასეთი

ბრალდების განხილვა ხორციელდება ამ კონსტიტუციის 114-ე და 115-ე მუხლებით სახელმწიფო საბჭოს წევრისათვის დადგენილი პროცედურებით.

მუხლი 118. სამსახურებრივი საქმიანობისათვის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო მოსამსახურე პასუხისმგებელია სამსახურში მოქმედების კანონიერებისათვის. მოსამსახურის პასუხისმგებლობა დგება აგრეთვე კოლეგიურ ორგანოში გადაწყვეტილების მიღებისათვის, რომელსაც მოსამსახურემ მხარი დაუჭირა.

მომხსენებელი პასუხისმგებელია მის მიერ წარდგენილი გადაწყვეტილებების მოხსენებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი უარს განაცხადებს ასეთ გადაწყვეტილებასთან თანხმობაზე.

სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სხვა პირის უკანონო მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად დაზარალებულ ყველა პირს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად უფლება აქვს მოითხოვოს ზემოაღნიშნული პირების მიმართ სასჯელის გამოყენება, აგრეთვე მიყენებული ზიანის ანაზღაურება მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე პასუხისმგებელი ორგანოს, თანამდებობის პირის ან სხვა პირის მიერ. ბრალდების წაყენება დაუშვებელია იმ პირის მიმართ, რომლის ბრალდების საქმეც ამ კონსტიტუციის შესაბამისად ექვემდებარება იმპიჩმენტის უმაღლეს სასამართლოში განხილვას.

თავი 11. მმართველობა და თვითმმართველობა

მუხლი 119. სახელმწიფო მმართველობა

გარდა სახელმწიფო საბჭოსა და სამინისტროებისა, სახელმწიფოს ცენტრალურ მმართველობას შეიძლება ახორციელებდნენ სააგენტოები, დაწესებულებები და სხვა ორგანოები. გარდა ამისა, სახელმწიფოს შეიძლება გააჩნდეს რეგიონალური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები. მმართველობის ორგანოების პარლამენტისთვის დაქვემდებარების წესი განისაზღვრება კანონით.

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საქმიანობის ძირითადი პრინციპები წესრიგდება კანონით, თუ მათი უფლებამოსილება მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას. რეგიონალური და ადგილობრივი მმართველობის პრინციპები ასევე განსაზღვრული უნდა იქნეს კანონით. სახელმწიფო მმართველობასთან დაკავშირებული სხვა დებულებები შეიძლება მოწესრიგდეს განკარგულებით.

მუხლი 120. ალანდის კუნძულების განსაკუთრებული სტატუსი

ალანდის კუნძულებს გააჩნია თავითმმართველობა, რაც ალანდის კუნძულების ავტონომიის შესახებ კანონით სპეციალურად არის გათვალისწინებული.

მუხლი 121. ადგილობრივი და სხვა რეგიონალური თვითმმართველობა

ფინეთი დაყოფილია მუნიციპალიტეტებად, რომელთა მმართველობა მის მცხოვრებთა თვითმმართველობას უნდა ეფუძნებოდეს.

დებულებები მუნიციპალური მმართველობის ზოგადი პრინციპებისა და მუნიციპალიტეტების უფლებამოსილების შესახებ დგინდება კანონით.

მუნიციპალიტეტებს აქვთ მუნიციპალური გადასახადების დაკისრების უფლება. დებულებები საგადასახადო ვალდებულებების საფუძვლების, გადასახადების ოდენობისა და გადასახადის გადამხდელების სამართლებრივი დაცვის შესახებ დგინდება კანონით.

დებულებები მუნიციპალიტეტზე მსხვილ ერთეულებში თვითმმართველობის შესახებ განისაზღვრება კანონით. საამები თავის ძირძველ ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესის შესაბამისად სარგებლობენ ენობრივი და კულტურული თვითმმართველობით.

მუხლი 122. ადმინისტრაციული დაყოფა

ადმინისტრაციული მოწყობისას ტერიტორიული დაყოფის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ფინურ და შვედურ ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობის მიერ საკუთარ ენაზე მომსახურების თანასწორი მიღების წესის უზრუნველყოფა.

დებულებები ტერიტორიული ერთეულების მმართველობის ზოგადი პრინციპების შესახებ დგინდება კანონით.

მუხლი 123. უნივერსიტეტები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულები

უნივერსიტეტი კანონის შესაბამისად სარგებლობს თვითმმართველობით.

სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული საგანმანათლებლო მომსახურების განხორციელების პრინციპები და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი განათლების მიღების უფლება განისაზღვრება კანონით.

მუხლი 124. მმართველობის სფეროში უფლებამოსილებების დელეგირება სხვა ორგანოებისათვის

სახელმწიფო მმართველობის უფლებამოსილების გადაცემა არასახელმწიფო ორგანოებისათვის შეიძლება მხოლოდ კანონით ან კანონის ძალით, თუ ეს აუცილებელია შესაბამისი საქმიანობის განსახორციელებლად და საფრთხეს არ უქმნის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, სამართლებრივი დაცვის საშუალებებსა და კარგ მმართველობასთან დაკავშირებულ სხვა გარემოებებს. სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებული უფლებამოსილებები შეიძლება გადაცემულ იქნეს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებისათვის.

მუხლი 125. საერთო მოთხოვნები საჯარო სამსახურისათვის და დანიშვნის სხვა საფუძვლები

კანონმა შეიძლება დაადგინოს, რომ მხოლოდ ფინეთის მოქალაქეებს შეუძლიათ გარკვეული სახელმწიფო თანამდებობების დაკავება.

სახელმწიფო მოსამსახურეების დანიშვნის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს კომპეტენტურობა, ნიჭი და აღიარებული კეთილსინდისიერება.

მუხლი 126. სახელმწიფო მოსამსახურეების დანიშვნა

რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს სამინისტროების მუდმივ მდივნებს, რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მუდმივ მდივანსა და მომხსენებლებს, აგრეთვე ფინეთის საზღვრებს გარეთ დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს. პრეზიდენტი ასევე ნიშნავს სხვა თანამდებობის პირებს, რომელთა დანიშვნა ამ კონსტიტუციის ან სხვა კანონის შესაბამისად მის კომპეტენციას განეკუთვნება. სახელმწიფო საბჭო ნიშნავს სახელმწიფო მოსამსახურეებს, რომელთა დანიშვნა პრეზიდენტის, მინისტრის ან სხვა სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციას არ განეკუთვნება.

თავი 12. ეროვნული თავდაცვა

მუხლი 127. სახელმწიფო თავდაცვის ვალდებულება

ფინეთის ყველა მოქალაქე ვალდებულია კანონით დადგენილი წესის შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს სამშობლოს თავდაცვაში ან ხელი შეუწყოს მას.

დებულებები მრწამსის საფუძველზე ქვეყნის სამხედრო თავდაცვაში მონაწილეობისაგან გათავისუფლების შესახებ დგინდება კანონით.

მუხლი 128. უმაღლესი მთავარსარდალი

რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. სახელმწიფო საბჭოს წინადადებით პრეზიდენტი უფლებამოსილია ეს ფუნქცია ფინეთის სხვა მოქალაქეს გადასცეს.

პრეზიდენტი ნიშნავს სამხედრო ძალების ოფიცრებს.

მუხლი 129. მობილიზაცია

სახელმწიფო საბჭოს წინადადებით რესპუბლიკის პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას სამხედრო ძალების მობილიზაციის შესახებ. ასეთ შემთხვევაში პარლამენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეიკრიბოს, თუ სესია მოწვეული არ არის.

თავი 13. დასკვნითი დებულებები

მუხლი 130. ძალაში შესვლა

ეს კონსტიტუცია ძალაში შედის 2000 წლის 1 მარტიდან.

ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლისათვის აუცილებელი დებულებები განისაზღვრება კანონით.

მუხლი 131. კონსტიტუციური კანონების ძალადაკარგულად გამოცხადება

ეს კონსტიტუცია ცვლილებებთან ერთად ძალადაკარგულად აცხადებს შემდეგ აქტებს:

1) 1919 წლის 17 ივლისის კონსტიტუციური კანონი „ფინეთის მმართველობის ფორმის შესახებ";

2) 1928 წლის 13 იანვრის კანონი „პარლამენტის შესახებ";

3) 1922 წლის 25 ნოემბრის კანონი „იმპიჩმენტის უმაღლესი სასამართლოს შესახებ";

4) 1922 წლის 25 ნოემბრის №274/1922 კანონი „სახელმწიფო საბჭოს წევრების, იუსტიციის კანცლერისა და საპარლამენტო ომბუდსმენის ოფიციალური აქტების კანონიერების პარლამენტის მიერ შემოწმების შესახებ".

რეზიუმე

კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“ მისი თავმჯდომარის ვასილ გონაშვილის ხელმძღვანელობით იკვლევს საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციურ სამართალს.

ამ მიზნით,

– 2004 წელს გამოიცა წიგნი „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I“, რომელიც მოიცავს 12 ქვეყნის: აშშ-ის, არგენტინის, დანიის, იაპონიის, ჩეხეთის, მაროკოს, კუბის, ლატვიის, რუსეთის, სომხეთის, შვეიცარიის, ქუვეითის კონსტიტუციებს;

– 2005 წელს გამოიცა წიგნი „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი II“, რომელიც მოიცავს 12 ქვეყნის: აესტრალიის, ავსტრიის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, ლიტვის, ლუქსემბურგის, ისრაელის, საბერძნეთის, საფრანგეთის, პოლონეთის, ჩინეთის, ფინეთის კონსტიტუციებს;

– 2006 წელს გამოიცა წიგნი „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი III“, რომელიც მოიცავს 12 ქვეყნის: ბოსნიისა და ჰერცეგოვინის, გერმანიის, ესპანეთის, ესტონეთის, თურქეთის, კანადის, ნორვეგიის, რუმინეთის, უკრაინის, უნგრეთის, ყაზახეთის, ხორვატიის კონსტიტუციებს;

– 2007 წელს გამოიცა წიგნი „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი IV“, რომელიც მოიცავს 12 ქვეყნის: ალბანეთის, ბელგიის, ბულგარეთის, ინდოეთის, ისლანდიის, მაკედონიის, მექსიკის, მოლდაველეთის, მონაკოს, ყირგიზეთის, შვედეთის კონსტიტუციებს და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს კონსტიტუციურ აქტებს.

– 2007 წელს გამოიცა წიგნი „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი V“, რომელიც მოიცავს 12 ქვეყნის: ბრაზილიის, ვატიკანის, ირლანდიის, იტალიის, კვიპროსის, ლიხტენშტეინის, ნიდერლანდის, პორტუგალიის, სერბეთის, სლოვაკეთის, სლოვენიის, ტაჯიკეთის კონსტიტუციურ აქტებს.

– 2008 წელს გამოიცა წიგნი „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი I“ მეორე – განახლებული გამოცემა.

ეს წიგნი არის ამ სერიის II ნაწილის მეორე – განახლებული გამოცემა.

უახლოეს მომავალში იგეგმება ვასილ გონაშვილის მონოგრაფიის „პარლამენტის წევრის სტატუსი საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საქართველოში“ გამოცემა.

კავშირის „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“ შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კავშირის ვებ-გვერდზე, მისამართზე: WWW.LRL.ORG.GE